სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი
„სამი საუნჯის“ დამატება



რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი

ისტორია და თანამედროვეობა



თბილისი, 2015

უაკ: 070 (479.22)
ს-21

კრებულში შეტანილია „სამ საუნჯეში“
გამოქვეყნებული სტატიები და თეზისები

სარედაქციო საბჭო

გიორგი გოგოლაშვილი, ბორის დარჩია, ანზორ თოთაძე, გვანცა კოპლატაძე (რედაქტორის მოადგილე), **ნოდარ ლომოური, გრიგოლ რუხაძე** (რედაქტორი), **გრანი ქავთარია.**

დაიბეჭდა საქველმოქმედო ორგანიზაცია
„სინერგიის“ ფინანსური მხარდაჭერით.

გამომცემელი შპს **„სამი საუნჯე“**.

ISSN 2233-338X

© «სამი საუნჯე», დამატება, 2015.

სარჩევი

საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის ლოცვით-კანონიკური კავშირის აღდგენა (ამონაწერი სინოდის ოქმიდან. 19.11.1943.) 5

გულბაათ რცხილაძე, 2012: რეალური საფრთხეები და პერსპექტივები საქართველოსთვის 25

თემურ მირიანაშვილი, მორალური შეფასება დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციებისა 37

თეიმურაზ მირიანაშვილი, ღია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს, ბატონ რიჩარდ ნორლანდს 55

გვანცა კოპლატაძე, „ვისაც რომ სამშობლო უყვარს, სიცოცხლე მისთვის ომია“ 61

ზურაბ ცუცქირიძე, სამშობლო საფრთხეშია 70

თემურ მირიანაშვილი, სიმართლე საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე უკანასკნელი ხუთი საუკუნის განმავლობაში 77

გულბაათ რცხილაძე, სერბეთისა და საქართველოს ტრაგედია... 92

ვალერიან მაჭარაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი 98

თინა იველაშვილი, მესხეთიდან გასახლებული მუსლიმების ისტორია..... 141

გრიგოლ რუხაძე, ახალი ტოტალიტარული სექტა 158

გვანცა კოპლატაძე, სამცხე-ჯავახეთის საათაბაგო XIX საუკუნის პირველ ნახევარში (I-III ნაწ.) 176

ნოდარ ლომოური, რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის აუცილებლობის შესახებ 202

მამუკა ცუხიშვილი, პეტრე ბაგრატიონი 209

გულბაათ რცხილაძე, რატომ ეწინააღმდეგება დასავლეთი უკრაინისგან ყირიმის გამოყოფას? 226

შოთა აფხაიძე, „უკრაინული მაიდნის“ თავიდან აცილების გზა 230

მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი), საქართველოს გზა 235

მამუკა ცუხიშვილი, მიხეილ ვორონცოვი – XIX საუკუნის საქართველოს აღმშენებელი 255

გრიგოლ რუხაძე, საქვეყნო ამბების მიმოხილვა 277

უწმიდესი პატრიარქი კირილეს მიმართვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების საჭეთმპყრობელებისადმი უკრაინაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით 298

ევრაზიის ინსტიტუტი, აგვისტოს ომი (პასუხები მთავარ კითხვებზე ხუთი წლის შემდეგ) 306
გულბაათ რცხილაძე, გამოკითხვა 2014: საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება ნატოსა და აშშ-სადმი 327
იოსებ არჩვაძე, საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური ორიენტაცია 331
ვალერიან დოლიძე, მაიდანი და უკრაინული სცენარის გავრცელების პერსპექტივა სამხრეთ კავკასიაში 336
მარუტ ვარდაზარიანი, უკრაინის კრიზისი და ქართულ-სომხური ურთიერთობები 361
ზურაბ ცუცქირიძე, მადლი და უმადურობა 375
გრიგოლ რუხაძე, გლობალიზაციის ბედნიერი მონები 382
მამუკა ცუხიშვილი, გაიოზ რექტორი 389

თეზისები

გიორგი პაიჭაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის..... 405
სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ..... 434
ილია მაისურაძე, მესხური ხალხური ზეპირსიტყვიერება თურქ-დამპყრობთა ბარბაროსობაზე 444
მარინა ბულეიშვილი, საქართველოს სამღვდელოება რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში 457
ვალერიან მაჭარაძე, თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში 486
ვალერიან მაჭარაძე, რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო (ნაწ. I-IV) 522
ვალერიან მაჭარაძე, რუსეთის ქართული კოლონიების ისტორიის ზოგიერთი საკითხი (XVIII საუკუნის 60-70-იანი წწ.) 605
РЕЗЮМЕ (რუს. თარგ. თამარ ფანცულაიასი) 609-629

საქართველოსა და რუსეთის მართმადიდებელ ეკლესიებს შორის ლოცვით-კანონიკური კავშირის აღდგენა[1]

ამონაწერი
მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმიდეს პატრიარქთან არსებული წმიდა სინოდის 1943 წლის 19 ნოემბრის, №12 სხდომის განჩინებიდან

მოსმენილ იქნა სტავროპოლისა და პიატიგორსკის არქიეპისკოპოსის, მისი უსამღვდელოესობის ანტონის მოხსენება მისი ქ. თბილისში მოვლინების შესახებ და უწმიდესი პატრიარქის წინადადება ამ მოხსენებასთან დაკავშირებით

თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას საქართველოს მართლმადიდებელ იერარქიასთან გაწყვეტილი აქვს კანონიკური კავშირი. უთანხმოების მიზეზი გახდა, ამ იერარქიის მიერ იმდროინდელი რუსული ეკლესიის მმართველი, სრულიად რუსეთის წმიდა სინოდის კურთხევის გარეშე, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება. თავდაპირველად ქართული ეკლესია რუსულ ეკლესიასთან შერიგებას ცდილობდა, თუმცა ამ მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია. ბოლოს, მიმდინარე 1943 წელს, უწმიდესი პატრიარქი, საქართველოს კათოლიკოსი თავის ეპისტოლეში, მილოცავს რა მოსკოვის საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრებას, გამოთქვამს სურვილს, ორ ეკლესიას შორის ურთიერთობების აღდგენის თაობაზე და იმედოვნებს, რომ ორი და, ორი ეკლესია გააგრძელებს ცხოვრებას სრულ თანხმობაში, სულიერ ერთობასა და ურთიერთსიყვარულში.

მიგვაჩნია რა უსაფუძვლოდ ყოველივე იმის განხილვა, რაც ითქვა

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №1(1), 2011

და დაიწერა ქართული ავტოკეფალიის დასაცავად ან მის საწინააღმდეგოდ, ასევე უგულველვყოფთ რა ყოველგვარ ანგარიშსწორებას, ეჭვებს, წინაზრახვებსა და სამწუხარო გაუგებრობებს, რომლებიც ხელს უშლიდნენ მოცემული საკითხის მიუკერძოებელ განხილვას, ჩვენ ამჟამად გვეძლევა ბედნიერი შესაძლებლობა შემოვიფარგლოთ მხოლოდ ყველაზე მთავარით და არსებითით: საეკლესიო კანონების თანახმად (მსოფ. IV, 17 და სხვ.), საეკლესიო საზღვრები უნდა ემთხვეოდეს სახელმწიფოებრივ საზღვრებს. საქართველო კი წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილს და არ სარგებლობდა რაიმე სახის, თუნდაც ფინეთისათვის მინიჭებული ავტონომიის უფლებებით. მეორე მხრივ, რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონების მიხედვით, თვითმპყრობელობა მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეში თავის ძალაუფლებას ახორციელებდა „წმიდა სინოდის მეშვეობით“. მაშასადამე, საეკლესიო თვალსაზრისით, იმპერიის მთელ ტერიტორიას, საქართველოს ჩათვლით, სათავეში ედგა წმიდა სინოდი და წარმოადგენდა ერთიან რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას. იმპერიის ფარგლებში სხვა, სინოდისაგან დამოუკიდებელ მართლმადიდებელ ეკლესიას, იურიდიულად არ ჰქონდა არსებობის უფლება. სწორედ ამან განაპირობა რუსი საეკლესიო სამართალმცოდნეების მკაცრი პოზიცია. ან სულაც შესაძლებელია, რომ მათთვის ფსიქოლოგიურად მიუღებელი იყო ქართული, ისევე როგორც ყველა სხვა ეკლესიის ავტოკეფალია, ვიდრე იგი მართლმადიდებლობის წიაღში რჩებოდა. ავტოკეფალიის მომხრეთა დადანაშაულება პოლიტიკურ არაკეთილსაიმედობაში დიდ სირთულეს ნამდვილად არ წარმოადგენდა. ამჟამად საქართველოს მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. მართალია, იგი, ისევე როგორც სხვა ეროვნული რესპუბლიკები, ახლაც რჩება ჩვენი სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად, მაგრამ როგორც საბჭოთა კავშირის თავისუფალ წევრს, ისევე როგორც სხვებს, მასაც აქვს თავისი განსაზღვრული სახელმწიფოებრივი ტერიტორია და საკუთარი მმართველობა. ამიტომ, ჩვენი რუსული მართლმადიდებელი ეკლესია, აბარებს რა წარსულს ყოველგვარ საკანონმდებლო დავასა და ანგარიშსწორებას, მზაობითა და სიხარულით ეგებება ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც ესწრაფვის ჩვენთან ერთობლივ ლოცვასა და წმიდა საიდუმლოებში მონაწილეობას.

დაადგინეს: იმის საფუძველზე, რომ უწმიდესმა პატრიარქმა, საქართველოს კათოლიკოსმა ქართველი იერარქების, სამღვდელო კრებულისა და სამწყსოს სახელით დაგვიდასტურა ქართული ეკლესიის ურყევი მზაობა, როგორც წარსულში, ასევე აწმყოსა და

მომავალში უერთგულოს წმიდა მოციქულების მიერ ნაქადაგებ მართლმადიდებლურ სარწმუნოებასა და წმიდა მამების სწავლებას, დაიცვას საეკლესიო კანონები, რაც მისაღებია — მიიღოს, რაც არა — უარყოს, ვთვლით:

ა) მისმა უსამღვდელოესობამ, არქიეპისკოპოსმა ანტონმა 1943 წლის 31 ოქტომბერს დაამყარა ლოცვითი და ევქარისტიული კავშირი მის უწმიდესობა კათოლიკოსთან და მის დაქვემდებარებაში მყოფ სამღვდელო კრებულთან. არქიეპისკოპოსის, მისი უსამღვდელოესობის ანტონის საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოსკოვის უწმიდესი პატრიარქის მიერ არქიეპისკოპოსისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს, შეფასდეს როგორც მართებული, და ამდენად:

ბ) რუსეთისა და საქართველოს, ორი ავტოკეფალური ეკლესიის ლოცვითი და ევქარისტიული კავშირი, ყველასდა სასიხარულოდ, ჩაითვალოს აღდგენილად;

გ) ეცნობოს საქართველოს სსრ-ს ფარგლებში არსებულ რუსულ მართლმადიდებელ სამწყსოს აღნიშნული მოვლენის შესახებ და განემარტოს მას, რომ ამიერიდან მისი მოვალეობაა ღმრთისმსახურების დროს მიღებული წესით, მოიხსენიოს საქართველოს უწმიდესი კათოლიკოსისა და სხვა ქართველი იერარქების სახელები და საიდუმლოების აღსრულებისთვის მიმართოს ქართველ მართლმადიდებელ სამღვდელოებას;

დ) ეთხოვოს უწმიდეს პატრიარქს, საქართველოს კათოლიკოსს, როგორც მწყემსთმთავარს, თავისი ეკლესიის წიაღში მიიღოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრები რუსული მართლმადიდებელი სამწყსო და მისცეს მას საშუალება სამრევლო პრაქტიკაში და წირვა-ლოცვის დროს დაიცვას რუსული ეკლესიის წესები და ჩვეულებები;

ე) ეთხოვოს უწმიდეს კათოლიკოს-პატრიარქს, თავის დაქვემდებარებაში მიიღოს საქართველოს ფარგლებს გარეთ — სომხეთში მცხოვრები რუსული მართლმადიდებელი სამწყსო და განიხილოს მისი საეკლესიო საქმენი, რამეთუ ტერიტორიული სიშორე და სხვა სახის დაბრკოლებები ართულებენ მათ ურთიერთობას რუსეთის ეკლესიის ხელმძღვანელობასთან;

ვ) პატრიარქის ეპისტოლე გაეგზავნოს სხვა ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებს და ეცნობოს მათ, ჩვენ მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისა და მასთან ლოცვითი და ევქარისტიული კავშირის აღდგენის შესახებ.

ყოველივე ამაზე, პატრიარქის განსაკუთრებული ეპისტოლეთი, ეცნობოს უწმიდეს პატრიარქს, საქართველოს კათოლიკოსს. ეპისტოლეს ასლები გადაეგზავნოს საქართველოში მცხოვრებ რუსულ მართლმადიდებელ სამწყსოს, აგრეთვე წერილობითი ბრძანებით აღნიშნულის თაობაზე ეცნობოს მის უსამღვდელოესობას, ალეუტის მიტროპოლიტს.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი სერგი

წმიდა სინოდის წევრები:

ლენინგრადის მიტროპოლიტი ალექსი;
კიევისა და გალიციის მიტროპოლიტი ნიკოლოზი;
ყაზანის არქიეპისკოპოსი ანდრია;
კუიბიშევის არქიეპისკოპოსი ალექსი;
იაროსლავისა და როსტოვის არქიეპისკოპოსი იოანე.

მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველი —
სარატოვისა და სტალინგრადის არქიეპისკოპოსი გრიგოლი.

უწმიდესი პატრიარქის სერგის წერილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს კალისტრატეს

უწმიდეს უფალ კალისტრატეს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ჩვენს ქრისტესმიერ ძმასა და თანამწირველს!

სინოდური განჩინება, რომელიც ჩვენს წერილს თან ერთვის, ცხადყოფს, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი აღარ წარმოადგენს დავის საგანს. საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის ფარგლებში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ჩვენ ვაღიარებთ ავტოკეფალურად, მისი მმართველობითა და სჯულდებით, და აღვადგენთ მასთან ლოცვით და ევქარისტიულ კავშირს მართლმადიდებლური აღმსარებლობის დოგმატებისა და საეკლესიო კანონების დაცვის პირობით, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს, თავის არიდება ლოცვითი კავშირისაგან რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ განკვეთილ პირებთან და საზოგადოებებთან. თქვენ, როგორც ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს, თქვენს მწყემსთმთავრულ წიაღში და მამობრივ

მზრუნველობაში, გადმოგცემთ აქამდე ჩვენს განმგებლობაში მყოფ რუსულ მართმადიდებელ სამწყსოს, მცხოვრებს თქვენს საქვეუწყებო, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. წმიდა მსოფლიო ეკლესიის ზეციერი წინამძღოლი წყალობდეს ჩვენს გაერთიანებულ ეკლესიებს და, დაე, მოგვეცეს ურთიერთპატივისცემა და სიყვარული, მშვიდობა და სრული თანხმობა უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

დასასრულ, კიდევ ერთხელ, ამბორის ყოფით ვეხვევი თქვენს უწმიდესობას და მოწიწებით გთხოვთ კურთხევას თქვენ და თქვენს უსამღვდელოეს მღვდელმთავრებს, სამღვდელო კრებულს და თქვენს მართლმადიდებელ სამწყსოს. ჩემი მხრიდან, გისურვებთ ყველას ჯანმრთელობას, კეთილდღეობასა და სულიერ სიმრთელეს.

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,
თქვენი ქრისტესმიერი ძმა და
ერთგული თანამწირველი
ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲡᲔᲠᲒᲘ.

უწმიდესი პატრიარქის სერგის მიმართვა საქართველოში მცხოვრები რუსებისადმი

მდაბალი სერგი, ღმრთის წყალობით მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

საქართველოში მცხოვრებ ყველა
მართლმადიდებელ რუსს:
სასულიერო და საერო პირებს,
ბერებსა და მონაზვნებს

მადლი და მშვიდობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი განმრავ-ლდინ.

ჩემო საყვარელო, ქრისტეს წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგულნო შვილნო, დიდი სიხარულით გაცნობებთ: 1943 წლის 31 ოქტომბერს, ქ.თბილისში აღსრულდა დიადი მოვლენა. ორ მართლ-მადიდებელ ეკლესიას, ქართულსა და რუსულს, გაერთიანებულთ ერთი რწმენით, ერთი სწავლებითა და საიდულოებით, მთელი 25 წლის მანძილზე, თავიანთი ცოდვებისდა გამო, არ ჰქონდათ ლოცვი-თი კავშირი. ყოველთვის და ყოველგან ასეთი სახის სამწუხარო საეკლესიო უთანხმოება, განსაკუთრებით მძიმე უნდა ყოფილიყო თქვენთვის: თქვენ, საქართველოში მცხოვრებ, რუსული სამწყსოს უმრავლესობას, არ გქონდათ რა სულიერი ურთიერთობა არც სამ-ღვდელოებასთან, არც საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებთ-ან, მოკლებული იყავით მოძღვრის სულიერ ხელმძღვანელობასა და საეკლესიო ნუგეშს. მართალია, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც არ აცნობიერებდნენ რა საეკლესიო უთანხმოების არსს, დადიოდნენ ქართულ ტაძრებში, ლოცულობდნენ ქართველ სამღვდელოებასთან ერთად, იღებდნენ მათგან ზიარებას, თუმცა, ტაძრის დატოვების შემ-დეგ დარწმუნებული არ იყვნენ, სწორად იქცეოდნენ თუ არა. ასეთ მდგომარეობაში იყავით არა ერთი და ორი, არამედ 25 წელი.

და, აი, ბოლოს, 31 ოქტომბერს უთანხმოება დასრულდა, გაცისკ-როვნდა ღმრთივსასურველი საეკლესიო მშვიდობა. ყოველი ჩვენი შფოთი და ეჭვი წარსულს უნდა ჩაბარდეს. თქვენ, როგორც ქრისტეს ერთიანი სამწყსო, გულდაჯერებულად უნდა გაყვეთ ღმრთის მიერ ნაბოძებ ქართული ეკლესიის სამღვდელოებას და მის მამამთავარს, უწმიდეს კათოლიკოს-პატრიარქს, ილოცოთ ტაძრებში მათთან ერ-თად, ღმრთისმსახურების დროს მოიხსენიოთ მათი სახელები, მი-

იღოთ მათგან წმიდა საიდუმლოები და საერთოდ, თავი იგრძნოთ ქართულ ეკლესიაში, როგორც ჭეშმარიტ საუფლო სახლში.

მადლობა შევწიროთ უფალს თავის ეკლესიაზე ზრუნვისა და კეთილი ზრახვისდა გამო. მადლიერებით ვადიდოთ ქართველ წმიდანთა ბრწყინვალე დასი: ქართველთა განმანათლებელი, მოციქულთა სწორი წმიდა ნინო და ურიცხვი ქართველი მოწამენი და მოღვაწენი, რომლებიც რუსეთის გაქრისტიანებამდე მრავალი საუკუნით ადრე უკვე ფლობდნენ იესო ქრისტეს სიტყვას. გვწამს, რომ ღმერთმა შეისმინა ზეცით კურთხეული საქართველოს ლოცვები, მით უფრო კი წმიდა ღმრთისმშობლის ვედრება, მისი წილხვედრი ქვეყნისათვის და კეთილად აღასრულა ყოველივე ყველა მართლმადიდებლისათვის. ვადიდოთ უფალი უკუნითი უკუნისამდე!

ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥ ᲡᲔᲠᲒᲘᲡ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲒᲔᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲔᲑᲡ

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲛᲘᲔᲠ ᲫᲛᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲬᲘᲠᲕᲔᲚᲡ,
ᲛᲘᲡ ᲧᲝᲕᲚᲐᲓᲣᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝᲔᲡᲝᲑᲐᲡ,
ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲞᲝᲚᲘᲡ – ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲝᲛᲘᲡ
ᲐᲠᲥᲘᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ
ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲡ, ᲣᲤᲐᲚ ᲒᲔᲜᲘᲐᲛᲔᲜᲡ

1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, რომელიც ამ დრომდე წარმოადგენდა რუსული ეკლესიის განუყოფელ ნაწილს და ექვემდებარებოდა სრულიად რუსეთის წმიდა მმართველ სინოდს, რუსული ეკლესიის უმაღლესი ხელმძღვანელობის თანხმობის გარეშე გამოაცხადა ავტოკეფალია. გაწყდა ლოცვითი კავშირი ორ დას, ორ ეკლესიას შორის. თადაპირველად, ქართველების მხრიდან იყო შერიგების მცდელობები, მაგრამ რუსული ეკლესიის მიერ ყველა ეს მცდელობა უგულველყოფილ იქნა. წმიდა სინოდი, როგორც სახელმწიფოებრივი დაწესებულება, თავის მოვალეობად თვლიდა იმპერიის ძირითადი კანონის დაცვას, რომლის თანახმად, იმპერიის ტერიტორიაზე, შესაბამისად საქართველოშიც, საეკლესიო საქმეში მეფის ხელისუფლება მოქმედებდა მხოლოდ წმიდა სინოდის მეშვეობით. მაგრამ შემდგომში, უკვე სინოდის გარეშეც, რუსული მხარე, გარკვეულწილად

ინერციით, გარკვეულწილად კი, ალბათ, ქართველების „თვითნებობის“ გამო, ისევ იმავე პოზიციაზე იდგა. ასე გრძელდებოდა მთელი 25 წელი, ვიდრე საპატრიარქოს აღდგენამდე. ეს აღდგენა საბაბი გახდა საქართველოს უწმიდესი კათოლიკოსისათვის, ჩვენს ეკლესიასთან განეახლებინა ავტოკეფალიის საკითხის განხილვა. ჩვენი საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრებასთან დაკავშირებით გამოგზავნილ მისალოც დეპეშაში უწმიდესმა კალისტრატემ გამოთქვა სურვილი და იმედი, რომ ამიერიდან ჩვენი ეკლესიები დაამყარებენ კავშირს და იცხოვრებენ მშვიდობაში და ერთად, თანხმობით იმოღვაწებენ ღმრთის სადიდებლად. დეპეშის საპასუხოდ, ვითარებაში გასარკვევად, მე, ჩემს წარმომადგენლად, თბილისში მივავლინე მისი უსამღვდელოესობა, სტავროპოლის არქიეპისკოპოსი ანტონი და საქმის კეთილად დასრულების შემთხვევაში, დავავალე ჩემი და მთელი რუსული ეკლესიის სახელით, დაამყაროს ევქარისტიული კავშირი უწმიდეს კალისტრატესთან და მის ქვესაუწყებო სამღვდელოებასთან. და, აი, 1943 წლის 31 ოქტომბერს, კვირას შედგა ჩვენთვის სანუკვარი და ღმრთისათვის სასურველი შერიგება ორი ეკლესიისა. ამ დღეს, ქ. თბილისის უძველეს საკათედრო ტაძარში, საქართველოს უწმიდესმა კათოლიკოს-პატრიარქმა, ქართული საეკლესიო იერარქიისა და ქართველი სამღვდელოების თანამონაწილეობით, ჩაატარა საზეიმო ლიტურგია. მათთან ერთად მსახურობდა და ქრისტეს წმიდა საიდუმლოებს ეზიარებოდა ჩვენი რუსი არქიეპისკოპოსი ანტონიც. ქ.თბილისის მოსახლეობა ცრემლნარევი სიხარულით შეხვდა ეკლესიების შერიგებას და გულითადად ულოცავდა თავის კათოლიკოსსა და ჩვენს წარმომადგენელსაც, რომელმაც ყველასათვის ესოდენ სასიხარულო ამბავი ჩამოიტანა. მოსკოვში ჩამოსვლისთანავე არქიეპისკოპოსმა ანტონმა, მე და წმიდა სინოდს მოგვახსენა თბილისში ჩატარებული მოლაპარაკებების შესახებ, რომელიც ერთობლივი ევქარისტიული მსახურებით დასრულდა.

მოხსენების მოსმენის შემდეგ, წმიდა სინოდმა ჩემი თავმჯდომარეობით მოიწონა არქიეპისკოპოს ანტონის საქმიანობა და გამოიტანა განჩინება ჩვენი ეკლესიის ქართულ ავტოკეფალურ ეკლესიასთან კავშირის აღდგენის შესახებ. ა. წ. 21 ნოემბერს მოსკოვში, ჩვენს საკათედრო ტაძარში, საზეიმო ლიტურგიის დროს წარმოთქმულ ქადაგებაში, მე საეკლესიო მრევლს მოვახსენე ეკლესიების შერიგების შესახებ თბილისში და მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიების წარმომადგენელთა შორის პირველად მოვიხსენიე საქართველოს უწმიდესი კათოლიკოს-პატრიარქის სახელი.

ვუგზავნით რა თქვენს ყოვლადუწმიდესობას ზემოაღნიშნული სინოდური განჩინების ასლს, ღრმად გვწამს, რომ თქვენი უწმიდესობა, ზეციურ ძალებთან ერთად, გაიზიარებს ჩვენს საერთო სიხარულს და ორი შერიგებული ეკლესიის მიმართ აღვლენილი გულითადი ლოცვებით, დაამტკიცებს შემდგარ შერიგებას.

მოწიწებით გთხოვთ კურთხევას, დიდი პატივისცემითა და ქრისტესმიერი სიყვარულით

თქვენი უწმიდესობის მოყვარული ძმა და თანამწირველი
ᲛᲓᲐᲒᲐᲚᲘ ᲡᲔᲠᲒᲘ, ᲦᲛᲠᲗᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ

უწმიდესი პატრიარქის სერგის მიერ ასეთივე შინაარსის სიგელები გადაეგზავნათ აღმოსავლური ეკლესიების სხვა პატრიარქებსაც: ალექსანდრიის პაპსა და პატრიარქს, უნეტარეს ქრისტეფორეს; ანტიოქიის პატრიარქს, უნეტარეს ალექსანდრეს და იერუსალიმის პატრიარქს, უნეტარეს ტიმოთეს.

ᲡᲢᲐᲕᲠᲝᲞᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲐᲢᲘᲒᲝᲠᲡᲙᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲣᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲣᲬᲛᲘᲓᲔᲡᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲡᲔᲠᲒᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ Ქ.ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებიდან (1917) ვიდრე დღემდე, ორ მართლმადიდებელ ეკლესიას გაწყვეტილი ჰქონდა ლოცვითი ერთობა. საერთო რწმენის, საერთო სწავლებისა და წმიდა საიდუმლოების მქონე ორ ეკლესიას უთანხმოების გამო გაწყვეტილი ჰქონდა ლოცვითი და კანონიკური კავშირი. მხოლოდ წელს, მისი უწმიდესობის კეთილი ნებით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან მოსალაპარაკებლად, ეკლესიებს შორის ლოცვით-კანონიკური კავშირის გაწყვეტის საბოლოო ლიკვიდაციისათვის, ქ.თბილისში მივლინებულ იქნა სტავროპოლის არქიეპისკოპოსი ანტონი. ამ მოვლენის საფუძველი გახდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ მისი უწმინდესობის აღსაყდრების დღეს გამოგზავნილი მისალოცი დეპეშა, რომელშიც იგი გამოთქვამდა სურვილს, რომ ორ დას, ორ

ეკლესიას ეცხოვრათ სრული თანხმობით, სულიერი ერთობითა და ურთიერთსიყვარულით.

1943 წლის 28 ოქტომბერს მისი უსამღვდელოესობა, არქიეპისკოპოსი ანტონი ეახლა საქართველოს კათოლიკოსს და შემდეგი სიტყვით მიმართა:

„თქვენო უწმინდესობავ, მეუფეო!

მისმა უწმიდესობამ, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმიდესმა პატრიარქმა, დამნიშნა რა სტავროპოლის კათედრაზე სტავროპოლისა და პიატიგორსკის არქიეპისკოპოსად, მიბრძანა, რომ სტავროპოლში ჩასვლისა და ჩემდამი რწმუნებული ეპარქიის საქმეთა გაცნობის შემდეგ, პირველივე შესაძლებლობისთანავე ჩამოვსულიყავი თქვენთან, როგორც საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის მამამთავართან, რათა ადგილზე ყოფილიყო გამონახული რუსულ და ქართულ ეკლესიებს შორის გაწყვეტილი ლოცვითი და კანონიკური კავშირის აღდგენის საშუალებები.

ჩვენი უწმიდესი პატრიარქის ნებისა და სამსახურეობრივი მივლინების მიზნების შესასრულებლად ვეახელი თქვენს უწმიდესობას და ვიმედოვნებ, რომ ჩემი ჩამოსვლა უშედეგო არ იქნება. ვიდრე დავიწყებდეთ მოლაპარაკებას, თავს ვალდებულად ვთვლი, მოვახსენო თქვენს უწმიდესობას შემდეგი: რაც შეეხება ზოგად კანონიკურ დებულებას, რომლის თანახმადაც საეკლესიო საზღვრები უნდა ემთხვეოდეს საერო საზღვრებს, რუსეთის საპატრიარქო მზად არის ცნოს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ტერიტორიული ნიშნით, საქართველოს სსრ ფარგლებში.

მაგრამ, როგორც ქართული ეკლესიის, ისე რუსული ეკლესიის სასულიერო პირთათვის, ავტოკეფალია თითქმის კარგავს ყოველგვარ ინტერესს, თუკი ორ ეკლესიას შორის იმავდროულად არ იქნება აღდგენილი ლოცვითი და კანონიკური კავშირი. ლოცვითი და კანონიკური კავშირის აღდგენას შეიძლება ხელი შეუშალოს ქართული ეკლესიის ლოცვითმა კავშირმა რუსული ეკლესიისაგან გამოყოფილ ანტიკანონიკური ხასიათის სხვადასხვა საეკლესიო ჯგუფთან. ჩვენი ლოცვითი, ასევე კანონიკური ერთობა რომ აღსრულდეს წმიდა კანონების დაცვით და მორწმუნე მართლმადიდებელი

ქრისტიანების მხრიდან არ გამოიწვიოს გაკიცხვა, საყვედური და ცდუნება, რამეთუ რწმენის დამცველი ყოველთვის იყო და არის მართლმადიდებელი ხალხი (იხ. „მართლმადიდებლური სარწმუნოება“), მე, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმიდესი პატრიარქის მიერ მონიჭებული უფლებამოსილებით, უმორჩილესად

გთხოვთ თქვენ, თქვენო უწმიდესობავ, მოიღეთ წყალობა და ამომწურავად, შეძლებისამებრ წერილობითი ფორმით, უპასუხეთ შემდეგ კითხვას: რა ურთიერთობაშია საქართველოს ეკლესია ზემოაღნიშნულ საეკლესიო ჯგუფებთან?

თქვენი პასუხიდან გამომდინარე, ნათელი გახდება, შეძლებს თუ არა რუსული ეკლესია აღადგინოს და დაამყაროს კანონიკური და ლოცვითი კავშირი ქართულ ეკლესიასთან, კერძოდ, თქვენთან, როგორც მის წინამძღოლთან, კათოლიკოს-პატრიარქთან“.

კათოლიკოს-პატრიარქმა არქიეპისკოპოსის ანტონის მიმართვაზე უპასუხა:

„თქვენო უსამღვდელოესობავ, მეუფე ანტონ!

თავს მოვალედ ვთვლი თქვენს შეკითხვას ვუპასუხო შემდეგი: ქართველ ხალხს, „ვინაᲲთგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არღარა უარ-გვიყოფიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი“ (ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სიტყვები, წარმოთქმული 1053 წელს ანტიოქიის პატრიარქის პეტრე III წინაშე). იცოდა რა ქართველების ასეთი სიმტკიცე და ერთგულება ქრისტეს სარწმუნოებისადმი, ფართო და ღრმა ერუდიციით გამორჩეულმა მოსკოვის მიტროპოლიტმა ფილარეტმა (1867) ქართულ ეკლესიას „ძველი მართლმადიდებლობის ერთგული დამცველი და რუსული ეკლესიის მართლმადიდებლობის მოწმე“ უწოდა. წმიდაო მეუფეო! რანიც ვიყავით წარსულში, იგივე ვრჩებით აწმყოშიც: საქარ**თ**ველოს საკათოლიკოსოში არსებულ საეკლესიო მრევლს, განურჩევლად ეროვნებისა, მართლმადიდებლობის კალთის ქვეშ, მშვიდობითა და თანხმობით მცხოვრებს, რომელიც მემორჩილება მე, არავითარი ანტიკანონიკური გადახრები, რომელთაც შეუძლიათ ხელი შეუშალონ რუსული და ქართული ეკლესიების ლოცვით-კანონიკური კავშირის აღდგენას, არ გააჩნია“.

ამის შემდეგ დაიწყო მოლაპარაკებები. მისმა უსამღვდელოესობამ, არქიეპისკოპოსმა ანტონმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს დაუსვა მთელი რიგი კითხვები, კერძოდ: ჰყავთ თუ არა მათ დაქორწინებული ეპისკოპატი; ჰყავთ თუ არა მეორედ დაქორწინებული სამღვდელოება; ხომ არ აქვთ ლოცვითი კავშირი რუსული ეკლესიისაგან განდგომილ და მის მიერ განკვეთილ ანტიკანონიკურ ჯგუფებთან. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც კათოლიკოს-პატრიარქმა ამომწურავი პასუხებით, დაბეჯითებით დაარწმუნა იგი, მისმა უსამღვდელოესობამ, არქიეპისკოპოსმა ანტონმა, მისი უწმიდესობა მოსკოვის პატრიარქის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძ-

ველზე, კანონიკურად შესაძლებლად ჩათვალა, ეთხოვა ერთობლივი ღმრთისმსახურების ჩატარების უფლება, რომელიც შედგა საქართველოს უძველეს საკათედრო ტაძარში – სიონში, 31 ოქტომბერს, რითაც ორ ეკლესიას შორის ფაქტობრივად აღდგა ლოცვითი კავშირი. საზეიმო ლიტურგიის დროს, ღმრთისმსახურებაში კათოლიკოს-პატრიარქის და მისი უსამღვდელოესობის, არქიეპისკოპოსის ანტონის გარდა, მონაწილეობას იღებდნენ მისი უსამღვდელოესობა, ნინოწმინდის ეპისკოპოსი დიმიტრი, კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, აგრეთვე, ქ. თბილისის ქართველი და რუსი დაბალი წოდების სამღვდელოება.

საღმრთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ, პარაკლისის წინ, როცა მთელი სამღვდელოება კათოლიკოს-პატრიარქის წინამძღოლობით ტაძრის შუაგულში გამოვიდა, რათა სამადლობელი პარაკლისი გადაეხადა, მისმა უსამღვდელოესობამ ანტონმა სიტყვით მიმართა კათოლიკოს-პატრიარქს:

„თქვენო უწმიდესობავ, წმიდაო მეუფეო, მოწყალეო მამაო და მწყემსმთავარო! დღევანდელი საზეიმო ღმრთისმსახურებით აღდგენილია ლოცვითი კავშირი ორ მართლმადიდებელ ეკლესიას – ქართულსა და რუსულს შორის.

უდიდეს ბედნიერებად მიმაჩნია დღევანდელ დღესასწაულში მონაწილეობა, ერთი მხრივ, როგორც ორი ეკლესიის ცხოვრებაში ამ სამწუხარო მოვლენის სათავეებთან მდგარ ცოცხალ მოწმეს, ხოლო მეორე მხრივ, როგორც მისი საბოლოო ლიკვიდირების თანამონაწილესა და შუამავალს. და ამიტომ, როგორც მისი უსამღვდელოესობის, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის სერგის წარმომადგენელს, წმიდათა-წმიდა მოვალეობად მიმაჩნია, მივულოცო თქვენს უწმიდესობას ლოცვითი კავშირის აღდგენის საზეიმო დღე, რომელიც, როგორც ქართული, ისე რუსული ეკლესიისათვის, ისტორიულია.

ერთი და ორი კი არა, მთელი 25 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე, გვერდი-გვერდ თანაარსებულ ორ ეკლესიას, საერთო რწმენით, სწავლებით, წმიდა საიდუმლოებებითა და კანონებით, განგების ნებით არ ჰქონდა ლოცვითი და კანონიკური კავშირი და ამ დრომდე რაღაც ფარულ უთანხმოებაში იმყოფებოდა. ქადაგებდნენ მშვიდობას, რომელიც თავად არ ჰქონდათ ერთმანეთში; ჰქონდათ საერთო რწმენა და წმიდა საიდუმლოები, ლოცვითი კავშირი კი გაწყვეტილი იყო. რაღა უნდა იყოს ამ მოვლენაზე საკალალო ეკლესიების ცხოვრებისათვის! და მხოლოდ დღევანდელ დღეს, ესოდენ ხანგრძლივი

დროისა და წინასწარი ახსნა-განმარტებებისა და მოლაპარაკებების შემდეგ, ეკლესიებმა დაამყარეს ლოცვითი და კანონიკური კავშირი.

ჭეშმარიტად კურთხეულია დღევანდელი დღე და კურთხეულია უფალი, რომ გაგვაერთიანა!...

თუკი წმიდა სახარების მიხედვით, „ასევე ხარობენ ღმრთის ანგელოზნი ერთი მონანიე ცოდვილის გამო“ (ლუკ. 15,10), ჩვენ რაღა უნდა ვთქვათ და როგორ წარმოვიდგინოთ ის სიხარული და ზეიმი „ცათა შინა“, როცა ერთი და ორი ადამიანი კი არა, არამედ ორი ეკლესია, როგორც ღვიძლი დები, ივიწყებენ რა ისტორიულ ანგარიშსწორებასა და უთანხმოებას, ეკონებიან ერთურთს და გამთლიანებული გულითა და ერთიანი ბაგეებით ადიდებენ შემოქმედსა და ჩვენს მხსნელს იესო ქრისტესა და ღმრთისმშობელს.

მოციქულთა დროიდან მოყოლებული, სულიწმიდის გარდამოსვლის დღიდან, წმიდა ეკლესია საეკლესიო ერთობის, თანხმობისა და მშვიდობისაკენ მოგვიწოდებს: „რაჟამს ცეცხლისა ენანი განუყენა, ერთბამად მიიყვანა იგინი, ამისთვისცა ერთობით ვადიდებდეთ სულსა ყოვლად-წმიდასა, თანასწორსა მამისა და ძისასა“, — ასე გალობენ კონდაკში სულიწმიდის გარდამოსვლის დღეს.

საეკლესიო მშვიდობისაკენ მოგვიწოდებენ და გვმოძღვრავენ წმიდა მამებიც. წმიდა იოანე ოქროპირი თავის ერთ-ერთ წიგნში საეკლესიო უთანხმოებებისა და განხეთქილების შესახებ წერს: „ისე არაფერი არღვევს ეკლესიის მთლიანობას, როგორც ძალაუფლების სიყვარული; ისე არაფერი იწვევს ღვთის რისხვას, როგორც ეკლესიის განხეთქილება“ (ტ.1, გვ.47). სხვაგან იგი აღნიშნავს: „ეკლესია თანხმობა და ერთსულოვნებაა“.

ამიტომ არის დღევანდელი დღე, როგორც ჩვენი ეკლესიების ერთობისა და გამთლიანების დღე, ესოდენ სასიხარულო და დაუვიწყარი.

სასიხარულოა, უპირველეს ყოვლისა, თქვენთვის, თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესო წინამძღოლო ქართული ეკლესიისა, რამეთუ თქვენ ამყარებთ რა რუსულ ეკლესიასთან ლოცვით კავშირს, ამით სრულიად მსოფლიო ეკლესიასთანაც ამყარებთ კავშირს, რამეთუ რუსული ეკლესია მსოფლიო ეკლესიის ნაწილია, რომლის ისტორიული წარმომადგენლები აღმოსავლეთის პატრიარქები არიან, კერძოდ: მსოფლიო პატრიარქი, უწმიდესი ბენიამენი; ალექსანდრიის პატრიარქი, უნეტარესი ქრისტოფორე; ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქი, უნეტარესი ალექსანდრე; იერუსალიმის პატრიარქი, უნეტარესი ტიმოთე და მოსკოვისა და

სრულიად რუსეთის პატრიარქი, უწმიდესი სერგი.

ამყარებთ რა მათთან ლოცვით კავშირს, თქვენ ხდებით სრულუფლებიანი, კანონიკურად დამოუკიდებელი ქართული ავტოკეფალური ეკლესიის მამამთავარი.

ბრძანეთ, ნუთუ ეს დიდ სიხარულს არ განიჭებთ? განა სულიერი ნუგეში არ არის — გქონდეს ლოცვითი კავშირი სრულიად მსოფლიო ეკლესიასთან და თქვენი ეკლესიის წინამძღოლობით ახორციელებდეთ მსოფლიოს ერთიანობის იდეას, და რაც მთავარია, აღასრულებდეთ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს უმნიშვნელოვანეს მცნებას, განშორების წინ, ვნების კვირამდე ცოტა ხნით ადრე თავის მოწაფეებს რომ დაუტოვა: „გიყვარდეთ ერთმანეთი; და როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, ასევე გიყვარდეთ თქვენც ერთმანეთი. იმით გიცნობთ ყველა, რომ ჩემი მოწაფეები ხართ, თუ გექნებათ ერთმანეთის სიყვარული“ (ინ. 13, 34-35).

ასევე სასიხარულოა დღევანდელი დღე ჩვენი რუსული ეკლესიის მამამთავრის, მისი უწმიდესობის მოსკოვის პატრიარქისათვის, რომელიც, მერწმუნეთ, რუსული ეკლესიის სათავეში დგომის პირველივე დღიდან გულწრფელად განიცდიდა და წუხდა ორ მეზობელ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის არსებული ლოცვითი და კანონიკური უთანხმოების გამო და გამუდმებით ფიქრობდა ამ უთანხმოების ლიკვიდაციის საშუალებების მოძიებაზე. და ამიტომ, ორ ეკლესიას შორის შემდგარი ლოცვითი კავშირის აღდგენის შესახებ ცნობას, იგი შეხვდება ღმრთისა და საქართველოს ზეციური მფარველის, ღმრთისმშობლისადმი ღრმა მადლიერების გრძნობით, მათ მიერ ბოძებული და გარდმოვლენილი მადლმოსილი საეკლესიო მშვიდობისა და ლოცვითი კავშირის აღდგენის გამო. მასთან ერთად გაიხარებენ რუსული ეკლესიის მწყემსმთავრები და სამღვდელოება, რომლებსაც ამ დღიდან ეძლევათ კანონიკური შესაძლებლობა ძმური ლოცვითი კავშირი დაამყარონ თქვენი ავტოკეფალური ეკლესიის მწყემსმთავრებთან და სამღვდელოებასთან.

მაგრამ, განსაკუთრებული სიხარულით ამ მოვლენას მაინც თქვენდამი რწმუნებულ საკათოლიკოსოს რუსული სამწყსო შეხვდება: სასულიერო და საერო პირები, ბერები და მონაზვნები, რომლებიც არსებულ, სამწუხარო საეკლესიო გარემოებათა გამო, მრავალი წლის განმავლობაში რჩებოდნენ საეკლესიო ხელმძღვანელობის გარეშე და როგორც უმწყემსოდ გაფანტული, გზააბნეული ცხვრები, ცხოვრობდნენ რელიგიური გრძნობების დაკმაყოფილებისა და ეკლესიის გარეშე, და თუკი ზოგიერთი მათგანი მაინც დადიოდა

თქვენს ეკლესიებში, ტაძრის დატოვების შემდეგ მათ ყოველთვის ქენჯნიდათ ქრისტიანული სინდისი...

ისმის კითხვა: ვინ არის მიზეზი ასეთი ნათელი ზეიმისა, ყველასათვის ესოდენ სასიხარულო დღისა? გეტყვით პირდაპირ, ყოველგვარი გაზვიადებისა და პირფერობის გარეშე: ამ საერთო სულიერი სიხარულის მიზეზი ხართ თქვენ, თქვენო უწმიდესობავ, და ამიტომ ქებათა-ქება თქვენ, რამეთუ თქვენ ბრძანდებოდით ორ ეკლესიას შორის მშვიდობისა და სიყვარულის დამკვიდრების ინიციატორი! ქებათა-ქება თქვენ, რამეთუ თქვენ პირველმა მოისურვეთ და გააცნობიერეთ ღმრთის ორ ეკლესიას შორის ლოცვითი და კანონიკური კავშირის აღდგენის მნიშვნელობა და აუცილებლობა!... როგორ შეიძლება ვდუმდეთ და არ ვუმადლოდეთ თქვენს უწმიდესობას თქვენი სულიერი თვალსაწიერის სიფართოვისა და დროული და ღირსეული გამბედაობისა და სიმტკიცისათვის?!

მაშინ, როცა ჩვენმა და თქვენმა სამშობლომ, უსასტიკესი ომის დროს, მსხვერპლად გაიღო თავისი საუკეთესო შვილების სიცოცხლე, როცა ზოგიერთი მხარე და ქალაქი ჩვენი სახელოვანი მეომრების სისხლით იყო მორწყული, როცა დაუნდობელი მტერი უმოწყალოდ ანგრევდა ჩვენ ქალაქებსა და სოფლებს; იმ დროს, როცა ჩვენი მთავრობის ბრძენი წინამძღოლისა და მეთაურისაგან გონებისა და ტაქტის, აგრეთვე, მთელი სამხედრო ძალებისა და სამოქალაქო მოსახლეობის განსაკუთრებული მობილიზება იყო საჭირო, რათა საბოლოოდ განედევნათ ჩვენი სამშობლოს ტერიტორიიდან გაამპარტავნებული მტერი, სწორედ ამ ურთულეს დროებაში, სახელმწიფოსათვის უმძიმეს მომენტში თქვენ, თქვენო უწმიდესობავ, ჩვენი პატრიარქისადმი გამოგზავნილი მისალოცი დეპეშით ძმური ურთიერთობა შემოგვთავაზეთ; თქვენ ინებეთ და გამოთქვით სურვილი, რომ ორ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის აღდგენილიყო მშვიდობა და თანხმობა და ერთიანი ლოცვითი ძმური კავშირით გეთხოვათ კურთხევა ზეციური მსაჯულისათვის, ჩვენი გმირი მეომრების საბოლოო გამარჯვებისათვის მტერზე.

დაე, უკუნითი უკუნისამდე სუფევდეს და განმტკიცდეს ორ ეკლესიას შორის ეს ლოცვით-კანონიკური კავშირი და ძმური სულიერი ერთობა.

თქვენო უწმიდესობავ!

მისი უწმიდესობა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი სერგი გიცნობთ თქვენ როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალყოვლადუსამღვდელოეს წინამძღვარს, როგორც

კათოლიკოს-პატრიარქს, რომელმაც ზედმიწევნით კარგად იცის ეკლესიის ისტორია და მისი წმიდა კანონები; გიცნობთ როგორც შინაგანი სულიერი სიმტკიცით გამორჩეულ, საეკლესიო მსახურებითა და ცხოვრებისეული ღრმა გამოცდილებით თმადათოვლილ, ღვაწლმოსილ მოღვაწეს უძველესი ქართული ეკლესიისა, და ამდენად, მისი უწმიდესობა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი სერგი იმედოვნებს, რომ მასთან ლოცვითი კავშირის აღდგენის დღიდან თქვენ, თქვენო უწმიდესობავ, შემდგომშიც არ დაამყარებთ ლოცვით კავშირსა და ურთიერთობას არცერთ ანტიკანონიკური ხასიათის საეკლესიო ჯგუფთან და ისევ მტკიცედ და ურყევად, წმიდა კანონების საფუძველზე გააგრძელებთ თქვენი ეკლესიის ხელმძღვანელობას. მისი უსამღვდელოესობა, მოსკოვის პატრიარქი ასევე დარწმუნებულია, რომ თქვენ, თქვენი ფართო საეკლესიო ერუდიციიდან გამომდინარე, გაითვალისწინებთ თქვენი საკათოლიკოსოს რუსი ეროვნების ადამიანების რელიგიურ თავისებურებებსაც, რომელთაც უყვართ ღვთისმსახურებისა და ტაძრების მშვენიერება, პატივს სცემენ საეკლესიო დღესასწაულებს, იცავენ საეკლესიო წესჩვეულებებს და მიუჩენთ მათ ისეთ მოძღვრებს, რომელთათვისაც უცხო არ იქნება ეს თავისებურებები და სათანადო გულმოდგინებითა და მოკრძალებით აღასრულებენ მათთვის ღვთისმსახურებას, ხოლო ორ ეკლესიას შორის ლოცვითი უთანხმოების გამო შეწუხებული რუსი მორწმუნეები, უკვე მშვიდი სინდისით ილოცებენ თქვენს ტაძრებში, თქვენს სამღვდელოებასთან და მორწმუნე ქართველ ხალხთან როგორც ერთი სამწყსო, რომლის დამოუკიდებელი მწყემსმთავარი ბრძანდებით თქვენ, თქვენო უწმიდესობავ.

დარწმუნებული იყავით, თქვენო უწმიდესობავ, რომ დღეიდან თქვენთან, როგორც ქართული ეკლესიის წინამძღვართან, მოვა ბევრი, სხვადასხვა წოდებისა და მდგომარეობის რუსი ეროვნების ადამიანი, სასულიერო და საერო პირი. ზოგი კურთხევისათვის, ზოგი რჩევისათვის, ზოგი კი ცხოვრებისეული საჭირბოროტო საკითხების მოსაგვარებლად და ჩვენ გვჯერა, რომ ყველა მათგანი, თქვენი სახით, იპოვის ბრძენ მეუფეს, კეთილ და მოწყალე მამასა და სულიერ ხელმძღვანელს.

თქვენო უწმიდესობავ, თქვენს საპატრიარქო გამგებლობასა და მზრუნველობაში, საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის წიაღში, დღევანდელი დღიდან მიიღეთ საქართველოში მცხოვრები ყველა მართლმადიდებელი რუსი მორწმუნე. აკურთხეთ ისინი, დამოძღვრეთ, დააყენეთ თითოეული მათგანი ხსნის გზაზე და შეუნარჩუნეთ

მართლმადიდებლობის სიწმინდე, რითაც ოდითგანვე გამოირჩეოდა ქართული ეკლესია. ჩვენ კი შეგვინდოს უძლურთა მკურნალმა და გლახაკთა აღმავსებელმა სული წმიდის მადლმა ის ისტორიული შეცოდებანი, რომლებმაც უწინ ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიების ცხოვრებაში გამოიწვია თქვენთვის და ჩვენთვის სამწუხარო, ამჟამად, ღვთის წყალობით ლიკვიდირებული, ლოცვითი უთანხმოება. ამინ“.

პარაკლისის დამთავრებისთანავე და წესისდა მიხედვით, საბჭოთა სახელმწიფოს, მისი მთავრობისა და მხედრობის სადიდებლად წარმოთქმული მრავალჟამიერის შემდეგ, დღეგრძელობა უსურვეს მის უწმიდესობას, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. დასასრულ, კათოლიკოს-პატრიარქმა თავისი მადლიერება, ლოცვითი კავშირის აღდგენის თაობაზე, შემდეგი სიტყვებით გამოხატა:

„თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, ქრისტესმიერო ძმაო და თანამწირველო, არქიეპისკოპოსო ანტონ!

თქვენს მშვენიერ მისალმებაში ბევრი დაუმსახურებელი რამ ითქვა ჩემი მისამართით: რუსულ და ქართულ ეკლესიებს შორის ლოცვითი და კანონიკური კავშირის დამყარების უმნიშვნელოვანეს აქტში ჩემი წილი ერთი ფუტკრის მუშაობას არ აღემატება სკაში თაფლის დამზადების დროს. მხოლოდ უფლის უსაზღვრო მოწყალებამ ჩემდამი ღირს მქნა და მომანიჭა სიხარული, ვყოფილიყავი ამ წმინდა საქმის დასრულების მონაწილე. დიდება უფალს, ყოველივე მისი ნებაა!...

ჩემი ღრმა რწმენით, ახლანდელი სიყვარულისა და სამართლიანობის ზეიმის მიზეზი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი, უწმინდესი სერგია, მწყემსმთავარი, გამორჩეული თავისი გონებითა და განათლებით, ისტორიული ჭეშმარიტებისა და ღმრთეებრივი კანონებისადმი სიყვარულით ცნობილი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლებების მცოდნე და ამიტომაც ისურვა მან მშვიდობის, თანხმობის, ძმობისა და სიყვარულის მყარ ფუნდამენტზე აეშენებინა ორი დის, ორი ეკლესიის ურთიერთობის შენობა. დიდი მადლობა, მის უწმიდესობას!

მისი უწმიდესობის ნების გამომხატველი, ჩვენი მშვიდობის გამომცხადებელი, სიკეთის მახარობელი (ეს. 52,7) ხართ თქვენ, თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ. წარსულში დიდხანს ცხოვრობდით ჩვენ შორის, ათეულ წელზე მეტ ხანს ამდიდრებდით ჩვენს ბავშვებს ქრისტიანული სწავლებითა და საღმრთისმეტყველო

ცოდნით, ამჟამად კი იტვირთეთ რუსეთის გულიდან საქართველოს გულში მოგზაურობის მძიმე ტვირთი. გულითადი მადლობა, თქვენ!... რაც შეეხება ეკლესიის მართვასა და ჩემს დამოკიდებულებას რუსი ეროვნების მორწმუნეებისადმი, შეგიძლიათ მოახსენოთ მის უწმიდესობას, რომ პირველი ყოველთვის ემყარებოდა (და ემყარება) საღმრთო კანონებს, ხოლო მეორე (რუსებისადმი დამოკიდებულება) ნათელია: საქართველოს საკათოლიკოსოს ტერიტორიაზე არსებული რუსული სამწყსო, ჩემი საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ, სრულად ინარჩუნებს თავისი საეკლესიო ცხოვრების ეროვნულ წესს. ეს დამოკიდებულება გაგრძელდება მომავალშიც არა მარტო უკვე არსებულ, არამედ ახლად ჩამოყალიბებულ სამწყოსთან მიმართებაშიც.

დასასრულ, წრფელი გულით ვაცხადებ: კეთილდღეობა და მშვიდობა, ჯანმრთელობა და საუკუნო ნეტარება და შემწეობა მიეცა, უფალო, მის უწმიდესობას, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ სერგის და მისი ბრძნული წინამძღოლობით მავალ მწყემსმთავრებს, სამღვდელო კრებულსა და სამწყსოს. დღეგრძელნი იყვნენ მრავალჟამიერ!“

საეკლესიო ზეიმის შემდეგ, ქართული და რუსული სამღვდელოება, სრული შემადგენლობით გაემართა კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენციისაკენ, სადაც ტრაპეზის დროს წაიკითხეს მისი უწმიდესობის, მოსკოვის პატრიარქის სახელზე შედგენილი მისალოცი დეპეშა:

„ძმური სიყვარულით მივიღეთ თქვენი უწმიდესობის მიერ ჩვენთან წარმოგზავნილი სტავროპოლის არქიეპისკოპოსი ანტონი. მოვისმინეთ მისგან სასიხარულო ცნობა რუსული ეკლესიის გადაწყვეტილების შესახებ. ამ ცნობამ სიხარულით აღავსო ივერიის ეკლესიის წინამძღოლის, სამღვდელო კრებულისა და ყველა ეროვნების მორწმუნის გულები. ამის შემდეგ, 31 ოქტომბერს, ჩვენს მახარობელ არქიეპისკოპოს ანტონთან ერთად, სიონის უძველეს საკათედრო ტაძარში, აღვასრულეთ რა საღვთო ლიტურგია და სამადლობელი გალობა, ჩვენ მადლობა შევწირეთ ჩვენს მწყემსმთავრს, იესო ქრისტეს, საქმის ესოდენ კეთილად დასრულებისათვის. ყოველივე ამის მიზეზი კი ბრძანდებით თქვენ, თქვენო უწმიდესობავ. გულითადად ვლოცულობ თქვენთვის: დღეგრძელი იყავით და შეგეწიოთ უფალი თქვენს მხცოვანებაში; დაე, არ მოაკლოს წყალობა ყოვლადკეთილმა ღმერთმა თქვენს მწყემსმთავრებს, სამღვდელო კრებულსა და სამწყსოს; დაე, ღირს გვყოს ყოვლადძლიერმა უფალმა თითოეული ჩვენგანი, გვენახოს ჩვენი საშშობლო მტრისაგან საბოლოოდ გათავისუფლებული“.

ამ დეპეშაზე მოსკოვის უწმიდესმა პატრიარქმა უპასუხა შემდეგი მილოცვით:

„სიხარულით მოვუსმინე მოსკოვში გუშინ დაბრუნებულ არქიეპისკოპოს ანტონს. ძმურად ვეხვევი საქართველოს ავტოლაფალური ეკლესიის მეთაურს. დაე, ამიერიდან ლოცვაში და წმიდა საიდუმლოებში გამთლიანებულ ორ დას, ორ ეკლესიას, ქართულსა და რუსულს, ღმრთის სადიდებლად წარმატებით ეღვაწოთ ქრისტეს ერთიან სამწყსოში“.

ასე აღსრულდა, ღვთის წყალობით, დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა — ორი დის, ორი მართლმადიდებელი ეკლესიის შერიგება.

უფალო, დიდება და მადლობა შენდა!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲙᲐᲚᲘᲡᲢᲠᲐᲢᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე, ერისკაცობაში — კალისტრატე ცინცაძე, დაიბადა 1866 წლის 12 აპრილს, მღვდლის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, საშუალო – თბილისის სასულიერო სემინარიაში, უმაღლესი – კიევის სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1892 წელს.

1893 წელს ხელთდასმულ იქნა დიდუბის ეკლესიაში მღვდლად; 1903 წელს გადაყვანილ იქნა ქაშვეთის ეკლესიაში იმავე ხარისხით; 1909 წელს მიენიჭა დეკანოზის წოდება. სხვადასხვა დროს დაკავებული ჰქონდა შემდეგი თანამდებობები: სათავადაზნაურო გიმნაზიის საღვთო სჯულის პედაგოგი; ლევანდოვსკის სახელობის ვაჟთა გიმნაზიის საღვთო სჯულის პედაგოგი; ვაჟთა I გიმნაზიის საღვთო სჯულის პედაგოგი და თბილისის სასულიერო სემინარიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. დაჯილდოვებულია სხვადასხვა ხარისხის ორდენით, ანას მე-2 ხარისხის ჩათვლით. 1925 წელს აკურთხეს ეპისკოპოსად, იმავდროულად აყვანილ იქნა მანგლისის მიტროპოლიტის ხარისხში, ბერად აღკვეცის გარეშე. 1932 წელს სამღვდელოებისა და ერისკაცთა კრების მიერ არჩეულ იქნა მცხეთა-თბილისის არქიეპისკოპოსად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად.

კათოლიკოს-პატრიარქის გარდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ამჟამად მოღვაწეობენ შემდეგი ეპისკოპოსები:

1. სოხუმის ყოფილი მიტროპოლიტი მელქისედეკი (შავი სამ-

ღვდელოება). ერისკაცობაში მიხეილ ფხალაძე. დამთავრებული აქვს ყაზანის სასულიერო აკადემია.

2. წილკნელი ეპისკოპოსი ტარასი (კანდელაკი). მიღებული აქვს საშუალო განათლება, სწავლობდა სათავადაზნაური გიმნაზიაში. ეპისკოპოსად კურთხევამდე წინამძღოლობდა შიომღვიმის მონასტერს.

3. ნინოწმინდელი ეპისკოპოსი დიმიტრი (ლაზარეშვილი). მიღებული აქვს საშუალო განათლება. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. ეპისკოპოსად აკურთხეს ბერად აღკვეცის გარეშე. ერისკაცობაში — დიმიტრი ლაზარეშვილი.

4. ეპისკოპოსი ეფრემი (სიდამონიძე). განათლება მიიღო ჯერ სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიის ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ ჩააბარა თბილისის უნივერსიტეტში. მიიღო სრული უმაღლესი განათლება. ბერად აღკვეცის შემდეგ აკურთხეს წილკნის ეპისკოპოსად.

Журнал Московской Патриархии, №3, 1944.

თარგმანი **თამარ ფანცულაიასი.**

გულბაათ რცხილაძე

2012: რეალური საფრთხეები და პერსპექტივები საქართველოსათვის[1]

მიმდინარე, 2012, როგორც არჩევნების წელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის იგი ახალ ეტაპს მოასწავებს იმისდა მიუხედავად, შეიცვლება ამჟამინდელი მმართველი „გუნდი“, თუ იგი ძალაუფლებას შეინარჩუნებს. თუკი ხელისუფლება და მასთან ერთად ამ ხელისუფლების მიერ აღებული კურსი შეიცვლება, ეს მნიშვნელოვან გარდატეხას გამოიწვევს, მაგრამ ძველი ხელისუფლების დარჩენა ქვეყნის სათავეში და კურსის გაგრძელებაც კიდევ უფრო დიდ ზეგავლენას მოახდენს ქართულ საზოგადოებრიობასა და სახელმწიფოებრიობაზე, ვიდრე დღეს ახდენს.

გამომდინარე აქედან, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, 2012 წლის გადმოსახედიდან გავაანალიზოთ საქართველოს წინაშე მდგარი ძირითადი პრობლემები – საფრთხეები, და მათგან თავის დაღწევის შესაძლებლობები.

* * *

თავდაპირველად აუცილებელია განმარტებულ იქნას, თუ რა ფუნდამენტზე ხდება მსჯელობის აგება, როდესაც საქართველოსთვის არსებულ საფრთხეებზეა საუბარი, რადგან ბევრი მოვლენა და ფაქტი ცხოვრებაში, მით უმეტეს კი პოლიტიკაში, ინტერპრეტაციის საკითხია. ვინმესთვის ესა თუ ის მოვლენა შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს, საფრთხედ აღიქმებოდეს, მაგრამ სხვისთვის –

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №1(3), 2012

არა. ინტერპრეტაცია საერთოდ ფრიად საინტერესო თემაა პოლიტიკაში და მას ერთ-ერთი გადამწყვეტი ადგილთაგანი უკავია. ბოლო ორი ათწლეულის პოლიტოლოგიაში განსაკუთრებით მოდური გახდა სოციოლოგიის სხვა დისციპლინებში უკვე კარგა ხანს წარმოდგენილი, ეგრეთ წოდებული კონსტრუქტივისტული თეორია, რომელიც მოწოდებულია, ახსნას თითქმის ყველა ქმედება პოლიტიკაში, გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს ობიექტური რეალობა: „რეალობა... ეს არის სამყარო, რომელსაც ჩვენ შევიგრძნობთ; მაგრამ როდესაც რეალობაზე ვსაუბრობთ, ემპირიულ გამოცდილებას ვავსებთ მრავალრიცხოვანი ინტერპრეტაციებით, რომელთა საშუალებით განმარტებას ვუკეთებთ ჩვენს მიერ აღქმულ მთლიანს, ეს მთლიანი კი, უკვე ნახსენები მიზეზით, ყოველთვის წარმოადგენს იმაზე მეტს, ვიდრე ჩვენი რეალური დაკვირვებების ჯამია. „რეალობის“ მიღმა საინტერპრეტაციო კონსტრუქცია იმალება“.[2] კონსტრუქტივიზმის თეორია, მიუხედავად მისი მოდურობისა, სამართლიანი კრიტიკის ობიექტი გახდა მასში არსებული მრავალი წინააღმდეგობის გამო,[3] მაგრამ კონსტრუქტივიზმის საბოლოო მოწოდება, ყურადღება გაამახვილოს საერთაშორისო პოლიტიკის სუბიექტების ქმედებათა საფუძველში ჩადებულ რეალობის სხვადასხვა კონსტრუქციებზე, პოლიტოლოგიური ანალიზის კუთხით მთლიანობაში სწორი გზაა, თუმცა მხოლოდ კონსტატაცია ფაქტისა, რომ საერთაშორისო პოლიტიკის აქტიორებს ყოველთვის აქვთ (ამა თუ იმ ძალით / ადრე თუ გვიან) ცვალებადი საინტერპრეტაციო კონსტრუქციები, ვერ ხსნის ამ ცვალებადობის მიზეზებს, მათ შორის „მეგობრისა„ და „მტრის„ აღქმის თვალსაზრისით.

მაგალითად, ამერიკული პოლიტიკა ავღანეთში მოძრაობა „თალიბანის„ მიმართ ჩვენს თვალწინ იცვლება. ცნობები გაჩნდა იმის შესახებაც კი, რომ „თალიბანს“ ნებას დართავენ, თავისი წარმომადგენლობა გახსნას ნატოს წევრ-სახელმწიფო თურქეთში. ამერიკელები აწარმოებენ დიალოგს ავღანური მოძრაობის „ზომიერ ნაწილთან“, რომელსაც თავის დროზე თავად დაეხმარნენ, ქვეყანაში ფეხი მოეკიდა, მოგვიანებით კი, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, „ალ ყაიდასთან“ ერთად ამერიკისა და „მთელი ცივილიზებული სამყაროს„ მტრად გამოაცხადეს. ამ შემთხვევაში მტრის

[2] Stefan Jensen: Erkenntnis – Konstruktivismus – Systemtheorie. Einfuehrung in die Philosophie der konstruktivistischen Wissenschaft. Opladen/Wiesbaden 1999, S.27.

[3] მაგალითად იხ.: Christoph Weller: Internationale Politik und Konstruktivismus. Ein Beipackzettel; in: „Welt Trends~, Nr.41, 2003/2004.

აღქმაში ხშირი ცვლილებები არ მიუთითებს პრობლემის სიღრმისეულ გაცნობიერებას ამერიკელების მხრიდან, არამედ ეს არის ერთდროულად „ალ ყაიდასა“ და „თალიბანის“ წინააღმდეგ მიმართული გამუდმებული სამხედრო ოპერაციების უპერსპექტივობის შედეგი. როგორც „ტრანსატლანტისტი„ ექსპერტები წერენ, ვაშინგტონისათვის „მტერს“ ამერიკული სპეცსამსახურებისვე მეორე პირმშო – „ალ ყაიდა“ წარმოადგენს, ხოლო „თალიბანი“, როგორც ამბობენ, ისეთი დემონი სულაც არ ყოფილა, როგორადაც მას ადრე მიიჩნევდნენ.[4] აშკარაა ახალი რეალობის კონსტრუირება, რომელიც პრაქტიკაში ნიშნავს „ალ ყაიდასთან“ „თალიბანის“ შეჯახების მცდელობას. ერთი მხრივ, ეს მოცემულობა არის ავღანეთში დასავლეთის გაუთავებელი სამხედრო ოპერაციების წარუმატებლობის შედეგი, მეორე მხრივ კი – მცდელობა დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან, მოერგონ ახალ რეალობას, მოახდინონ სამხედრო წარუმატებლობის კომპენსირება ყოფილი მტრების მეგობრებად გადაქცევის გზით და მათი ენერგია მიმართონ სხვა, ნამდვილი თუ არანამდვილი მტრებისკენ.

რეალობის ასეთივე იძულებით კონსტრუქციად შეიძლება იქნას მიჩნეული დასავლეთის ახალი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში. დასავლეთმა, გააცნობიერა რა, რომ არაბულ ქვეყნებში მისი ზოგი მოკავშირის შენარჩუნება შეუძლებელია, გამოაცხადა, რომ „ხალხის მხარეს„ იჭერს...

მაგრამ რეალობის ინტერპრეტირება (კონსტრუქცია) აქტუალური არა მხოლოდ კონკრეტული ემპირიული სიტუაციებისთვისაა, არამედ, როგორც ზემოთ ნაწილობრივ უკვე აღინიშნა, სახელმწიფოებისა და ხალხების მიერ თავიანთი ინტერესების დეფინიციისთვის. გამომდინარე იქიდან, თუ რას მივიჩნევთ საქართველოს ინტერესებად, და საერთოდაც, რას წარმოადგენს ჩვენთვის საკუთრივ საქართველოს ცნება, განვსაზღვრავთ კიდეც ძირითად საფრთხეებს.

უკვე ოც წელიწადზე მეტია, რაც ქართული „ეროვნული მოძრაობა“, შემდეგ კი ქართული სახელმწიფო, რუსეთს აღიქვამს მთავარ საფრთხედ და მისგან მტრის ხატიც კი შექმნა. განსაკუთრებული რადიკალიზმით, ამ მხრივ, ახლანდელი ხელისუფლება გამოირჩევა, რომელმაც პრაქტიკულად ხაზი გადაუსვა ორმხრივ ურთიერთობებს და რუსული სახელმწიფოს დემონიზაციას ეწევა. ამავე დროს, საინტერესოა, რომ ე. წ. „უსაფრთხოების დოქტრინაში„ რუსეთი,

[4] მაგალითისთვის იხ. **Alex S. van Linchoten and Felix Kuehn: Separating the Taliban from al-Qaeda: The Core of Success in Afghanistan; in: «Global Post», 9th February, 2011.**

როგორც საფრთხე, მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ არის მოხსენიებული, ანუ მას შემდეგ, რაც აფხაზეთსა და შიდა ქართლში უკვე ყველაფერი დამთავრდა და რუსეთმა ეს რეგიონები „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ აღიარა. გამოდის, რომ რუსეთის მხრიდან მომდინარე მთავარი საფრთხე ხელისუფლებამ პოსტ ფაქტუმ დაინახა. არის კიდევ ერთი ახსნა ამისა, კერძოდ ის, რომ რუსეთი საფრთხეს პოტენციურად მხოლოდ ამ ხელისუფლებისთვის წარმოადგენს, რადგან მას, აფხაზეთის და შიდა ქართლის გარდა, ქართულ ტერიტორიებზე პრეტენზიები არ განუცხადებია. რუსეთი მხოლოდ სააკაშვილის რეჟიმს აცხადებს მიუღებლად, სხვა მხრივ ქართველ ხალხს რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება, მოძმე ერად აცხადებს და საქართველოსადმი პატივისცემას ადასტურებს. რაც შეეხება აფხაზეთსა და შიდა ქართლს, მათი აღიარება მოსკოვის მიერ იძულებითი ნაბიჯს წარმოადგენდა, ამის შესახებ თავად პრეზიდენტმა მედვედევმა განაცხადა 2008 წლის 26 აგვისტოს („ეს ჩვენთვის იყო მძიმე გადაწყვეტილება„), თავად საქართველოს ხელისუფლებამ მიიყვანა რუსეთის ხელისუფლება ამ გადაწყვეტილებამდე, ცხინვალში გაჩაღებული სამარცხვინო ომის საშუალებით. რუსეთისთვის განსაკუთრებით მძიმე იყო სააკაშვილის რეჟიმის მიერ საერთაშორისო მანდატის მქონე ათობით რუსი მშვიდობისმყოფელის დახოცვა, ამას, ბუნებრივია, იგი არ მოითმენდა.

ასეა თუ ისე, რუსული „საფრთხე“ ამოიწურება აფხაზეთისა და შიდა ქართლის რეგიონებით, რომლებიც უკვე გამიჯნულია საქართველოსგან და, შესაბამისად, რუსეთისგან შემტევ ღონისძიებებს აღარ უნდა ველოდოთ (თუკი საქართველო თავად არ მოახდენს რუსეთის პროვოცირებას – ამის შესახებ ქვემოთ), მით უმეტეს, რომ აშკარაა ამ ტერიტორიებზე რუსული მხარის მიერ თავდაცვითი ღონისძიებების გატარება („საზღვრების“ გასწვრივ მავთულხლართების გავლება და ა. შ.). ქართველი საზოგადოებრიობა თანხმდება იმაზე, რომ ქვეყნის მთავარი ინტერესია, აღდგეს ე. წ. ტერიტორიული მთლიანობა და საქართველო არ იყოს დანაწევრებული. მაგრამ ეს ზოგადი წარმოდგენაა, კონკრეტული ხედვები საზოგადოებაში ამასთან დაკავშირებით გაყოფილია: არსებული რეჟიმი და მისი მომხრეები გამოსავალს დასავლეთთან დაახლოებაში, ნატოსა და ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის გზით ხედავენ, თუმცა არ ითვალისწინებენ, რომ განსაკუთრებით ნატოში ინტეგრაცია და საქართველოს ტერიტორიაზე რაიმე ტიპის დასავლური შეიარაღებების და სამხედრო კონტინგენტის განთავსება კატეგორიულად მი-

უღებელია რუსეთის სტრატეგიული ინტერესებისათვის (რაც მისი პროვოცირების საფუძველს იძლევა და მაშინ რუსეთი მართლაც ხდება საფრთხე), ხოლო საზოგადოების დიდი ნაწილი გამოსავალს ისევ რუსეთთან დიალოგში ხედავს, ამ დიალოგის წარმატება კი აფხაზებსაც და ოსებსაც უბიძგებს დიალოგისკენ ქართულ მხარეს-თან, რათა მოიძებნოს ყველასათვის მისაღები ფორმულა, მიღწეულ იქნას კონსენსუსი. მაგრამ საქართველოში საზოგადოებას ჯერ კიდევ არ აქვს ბოლომდე გაცნობიერებული, თუ რას ნიშნავს აწ უკვე ყბადაღებული „ტერიტორიული მთლიანობა", კონკრეტულად როგორ წარმოგვიდგენია აფხაზებთან და ოსებთან თანაცხოვრება. რამდენად რეალურია უნიტარულ სახელმწიფოზე ოცნება? ისევ ვეწინააღმდეგებით აფხაზებთან და ოსებთან ფედერაციის და, მით უმეტეს, კონფედერაციის იდეას? საერთოდ, რა გვინდა აფხაზებთ-ან და ოსებთან – მხოლოდ ტერიტორიების კონტროლი და მათი დამორჩილება, მათი თბილისიდან მართვა?.. სანამ ეს და სხვა მომი-ჯნავე კითხვები პასუხგაუცემელი იქნება, ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ მკაფიოდ ჩვენს ეროვნულ ინტერესებს. შესაბამისად, ვერც რეალურ საფრთხეებს ამოვიცნობთ.

ხელისუფლებამ მოახდინა თავისი რეალობის კონსტრუირება, რომელიც შემდეგ თავს მოახვია საზოგადოებას – რუსეთი „მტე-რია", დასავლეთი – „მეგობარი". მაგრამ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ზედმეტად რადიკალური დასავლური კურსი, განსაკუთრებით მასთან სამხედრო თანამშრომლობა, რუსეთის პროვოცირებას იწვევს. საქართველოს არ შესწევს იმის ძალა, რომ რუსეთთან მუდ-მივ კონფრონტაციას გაუძლოს, დასავლეთისგან კი იმაზე მეტი დახმარება და მხარდაჭერა არ არის მოსალოდნელი, რაც 2008 წლის ომის დროს ვიხილეთ. ამ აზრით, ადგილი აქვს საქართველოს ინტერესების უგულებელყოფას, რეალობის განზრახ თუ უნებლიეთ არასწორი შეფასების გამო. არსებობს ფაქტები: რაც დრო გადის, საქართველოს სახელმწიფო ვალი დასავლეთის მიმართ სულ უფრო იზრდება, არსებობს იმის საფრთხე, რომ საქართველო ვეღარასოდეს ამოვა ვალების ჭაობიდან, რაც ჩვენს ისედაც ეფემერულ სუვერენი-ტეტს საერთოდ გააცამტვერებს. გარდა ამისა, უახლოეს წარსულ-ში ვნახეთ და დღესაც ვხედავთ, რომ დასავლეთი აქტიურად ერევა საქართველოს საშინაო საქმეებში, არჩევნების ჩათვლით. ქართველი პოლიტიკოსები ბევრს მოგზაურობენ საზღვარგარეთ, ცდილობენ, მიაღწიონ აუდიენციას თუნდაც მეორეხარისხოვან ამერიკელ და ევ-როპელ ჩინოვნიკებთან, 2007-2008 წლებში ქართული არჩევნების

ბედს ვიღაც მეთიუ ბრაიზა განსაზღვრავდა, დღესაც თითქმის იგივე მეორდება – როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის ძირითადი ნაწილის მთელი ენერგია მიმართულია იქითკენ, რომ მოიპოვონ ვაშინგტონის მხარდაჭერა. ამასობაში ხელისუფლებამ ბევრი „რეფორმა“ განახორციელა დასავლეთის მხარდაჭერით, ფაქტობრივად კი საქმე ექსპერიმენტებთან გვაქვს, ექსპერიმენტების ობიექტი – ქართული საზოგადოებაა. შეტევა იქნა მიტანილი მართლმადიდებელ მოძღვრებაზე, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაზე... ყოველივე ეს საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი და ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ, გამომდინარე აქედან, არსებობს ასეთი რეალობაც, რომლიდანაც ლოგიკური დასკვნა გამოგვაქვს – საქართველოსთვის საფრთხე არა იმდენად რუსეთია, რომელიც ორი ქართული რეგიონის კონტროლზე აცხადებს პრეტენზიას, მაგრამ ჩვენს შინაურ საქმეებში არ ერევა, არამედ დასავლეთი, პირველ რიგში აშშ სახით, რომელიც აქტიურად ერევა ჩვენს საქმეებში და ეს ჩარევა დროთა განმავლობაში სულ უფრო საშიშ ფორმებს იღებს. მთავარი აქ ისაა, რომ დასავლეთის ჩარევის შედეგად არა მხოლოდ ჩვენი ფორმალური სუვერენიტეტი ილახება, არამედ ხდება ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ ფასეულობებზე, ცხოვრების წესზე, ცნობიერებაზე შეტევა, ადგილი აქვს მცდელობას, მართლმადიდებლობა შემოფარგლონ რიტუალიზმით, გარეგნული ეფექტებით, გამოაცალონ მას რეალური შინაარსი და ადგილი ხალხის ცხოვრებაში.

გამოდის, რომ დასავლეთი საქართველოსთვის საფრთხეს სულ მცირე, სამი თვალსაზრისით წარმოადგენს:

1) ეკონომიკური და სოციალური მომენტი: ვალებით დაკაბალეება, ეროვნული წარმოების ფაქტობრივი მოსპობა და იმპორტის მოძალება; ეს დემოგრაფიაზეც ახდენს უშუალო გავლენას – ძლიერდება ხალხის გადინება უცხოეთში;

2) პოლიტიკური მომენტი: ჩარევა შიდა საქმეებში, მათ შორის საარჩევნო პროცესებში, ისეთი სისტემის შექმნა, როდესაც მმართველი ძალა მხოლოდ რადიკალურად პროდასავლური პოზიციის, ნატოში შესვლის სურვილის დეკლარირებას უნდა ახდენდეს და რუსეთთან კონფრონტაციას ინარჩუნებდეს, რაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ოცნების სფეროში ტოვებს; საქართველოს იზოლაცია კავკასიის რეგიონში და მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში, რადგან საქართველოს გარდა, ნატოში შესვლის კურსს არც ერთი სხვა რესპუბლიკა არ აცხადებს;

3) რელიგიურ-კულტურული მომენტი: ხელისუფლების მცდელობა, ხალხში ფეხი მოიკიდოს მართლმადიდებლობასთან არანაირი საერთოს მქონე სეკულარულმა მენტალიტეტმა, დამკვიდრდეს არატრადიციული ფსევდოფასეულობები, გამოყვანილ იქნას „ახალი ქართველის“ ტიპაჟი – ზერელე განათლების მქონე, ჰედონისტი, აპოლიტიკური, უინიციატივო, შეშინებული და მორჩილი – დასავლეთის ირიბ და ხანდახან პირდაპირ მხარდაჭერას ეფუძნება.

წესით და რიგით, ყოველივე ეს საკმარისზე მეტია იმისათვის, რომ დასავლეთი საფრთხედ იქნას აღქმული. დღევანდელ ურთიერთობებს დასავლეთთან ხელისუფლება „სტრატეგიულ პარტნიორობას„ ეძახის, არადა, ყოველივე უფრო მეტად ჰგავს „სტრატეგიულ ბატონყმობას“.

* * *

გარდა ამისა, არ შეიძლება, არ ითქვას თურქულ საფრთხეზე, რაც ყველაზე კარგად აჭარის საკითხში ვლინდება. საპატრიარქოს მიერ ე. წ. „აზიზიეს მეჩეთთან“ დაკავშირებულ პოზიციაში მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული ყველა ის არგუმენტი, თუ რატომ არის მიუღებელი ბათუმში ახალი მეჩეთის თუ სულაც თურქული „კულტურული ცენტრის“ მშენებლობა. იმედია, რომ საპატრიარქოს პოზიცია გაიმარჯვებს და საკუთარი ხელისუფლება თურქეთზე დიდი საფრთხე არ აღმოჩნდება საქართველოსთვის... მაგრამ უკვე თავად მიდგომა ჩვენი სამხრეთელი მეზობლისა, ამ საკითხისადმი, ცხადჰყოფს, რომ აჭარა და, საერთოდ, მთელი სასაზღვრო ზოლი, ახალციხის რეგიონის ჩათვლით, თურქეთის ინტერესების ზონად განიხილება. აშკარაა თურქული ეკონომიკური და რელიგიური ექსპანსია. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ინტერესების საზიანოდ უნდა ჩაითვალოს ჯერ ახალციხიდან, შემდეგ კი უკვე სააკაშვილის რეჟიმის დროს, ბათუმიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა. რუსული სამხედრო კონტინგენტი, შეზღუდული რაოდენობით, რომელიც აქ იყო განთავსებული, სიმბოლურ დატვირთვას ატარებდა და თურქულ მხარეს მორალურად და სტრატეგიულადაც უქმნიდა დისკომფორტს, ქართული ტერიტორიების „თავისად„ აღქმაში. სანამ ბათუმთან ახლოს რუსული სამხედრო შენაერთი იყო განთავსებული, თურქები აჭარაში თავს ისე ლაღად ვერ გრძნობდნენ, როგორც დღეს. არავის მოუვიდოდა თავში აზრად ბათუმში „აზიზიეს მეჩეთის“ აშენება, არც ზემო აჭარაში იყო გაშლილი თურქული პროპაგანდა დღევანდელივით...

თუმცა, თურქეთის ენერგიული, ფაქტობრივად კი ექსპანსიონისტური პოლიტიკა საქართველოს მიმართ მხოლოდ მეჩეთების და აჭარის საკითხით არ ამოიწურება. ახლახან ევრაზიის ინსტიტუტის საიტზე განვათავსეთ თურქული პრესის მასალების თარგმანები და ანალიზი,[5] საიდანაც პირდაპირ ჩანს, რომ თურქეთის ხელისუფლება აქტიურად მუშაობს ე. წ. „თურქი მესხების" ჩამოსახლებაზე სასაზღვრო რეგიონში – მესხეთში, რომელსაც თურქები „ახისკას" უწოდებენ. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა პირდაპირ განაცხადა სააკაშვილის თანდასწრებით სტამბულში, 2012 წლის 13 იანვარს: „ჩვენი საუბრის დროს შევეხეთ ახისკას თურქების საკითხს. ბატონი სააკაშვილი დადებითად არის განწყობილი ამ საკითხის მიმართ, რაც იმედს გვაძლევს, რომ ახისკელი თურქები, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში დაშორებული იყვნენ სამშობლოს, ბოლოს და ბოლოს დაუბრუნდებიან საკუთარ კერებს". ბუნებრივია, რომ „ახისკელი" თურქები ითხოვენ, „სამშობლოში" მათ თურქული სკოლები და მეჩეთები გაუხსნან. თურქეთში „ახისკელებს" გაშლილი აქვთ საზოგადოებრივი მუშაობა, მათი წარმომადგენლები თვით რესპუბლიკის პრეზიდენტმა აბდულა გიულმა მიიღო. 2012 წლის 9-15 იანვარს „ახისკას თურქების მსოფლიო საბჭოს" ეგიდით, ანკარაში გაიმართა ფოტოგამოფენა თემაზე: „დეპორტაციის უხმო მოწმენი: ახისკას თურქები — 1944". ამ ღონისძიების გამართვა მიეძღვნა მრავალრიცხოვანი საზოგადოებების, ფონდების და კავშირების გააქტიურებას, რომლებიც მუშაობენ „ახისკას თურქების" დაბრუნების თემაზე.

„დასავლური ცნობიერების" ხელისუფლებისთვის მსგავსი თემები განხილვის საგანს არ წარმოადგენს და საფრთხედ არ განიხილება, ხელისუფლება თავის მიერ კონსტრუირებულ რეალობაში ცხოვრობს და მის ფასეულობებს ჩვენც თუ გავიზიარებთ, არც ჩვენ აღვიქვამთ ყოველივე ამას საფრთხედ: როდესაც ხელისუფლებისათვის საქართველო მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინია და მას გამოცლილი აქვს სულიერი შინაარსი – მართლმადიდებელი ქრისტიანობის პრიორიტეტი, რომელიც განაპირობებს ყველა სხვა ტრადიციულად წარმოდგენილ კონფესიასთან, მათ შორის ისლამთან, კონსენსუსს, მაშინ სულ ერთია, აჭარაში და ახალციხეში რა აღმსარებლობის და ეთნიკური წარმომავლობის ხალხი იქნება უმრავლესობაში. მაგრამ ხელისუფლება არათუ მართლმადიდებელი

[5] მკითხველს შეუძლია, ინტერნეტში ეს ბმული ნახოს: **http://geurasia.org/problema-analizi/ahiska-turqebi/**.

ფასეულობებიდან არ ამოდის, არამედ არც გეოპოლიტიკურად აზროვნებს: ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, რომ აღარაფერი ვთქვათ მაკიაველიზე, ცნობილია ელემენტარული კანონი სახელმწიფოთშორის ურთიერთობებში: როდესაც დიდი და ძლიერი მეზობელი აქტიურობს მცირე და სუსტი მეზობლის სასაზღვრო ზოლში და ბალანსი არ არსებობს, მცირე და სუსტი მეზობელი აუცილებლად დაზარალდება.

* * *

საქართველოსთვის პერსპექტივები, ჩვენი ღრმა რწმენით, მაშინ გაჩნდება, როდესაც საზოგადოება ბოლომდე განიხილავს საქართველოს არა ვიწრო-ნაციონალისტურ ჭრილში, მხოლოდ ცალკე აღებულ „სუვერენულ სახელმწიფოდ“, რომელიც „ნატოსკენ ისწრაფის“ ან „საერთო კავკასიურ სახლზე“ ოცნებობს, არამედ როგორც მართლმადიდებლური ცივილიზაციის შემადგენელ ნაწილს, რომელიც შორს სცდება სახელმწიფოებრივ საზღვრებს. 21-ე საუკუნეში გადარჩენა წარმოუდგენელია ნაციონალური სახელმწიფოს კონცეფციის მიხედვით, ვინაიდან ჩვენს წინაშეა ნამდვილი „ცივილიზაციების დაპირისპირება“, არა მთლად იმ სახით და კონფიგურაციით, როგორც ამას ს. ჰანტინგტონი მოიაზრებდა, მაგრამ პრინციპულად მოწმენი ვართ დასავლეთის, როგორც ერთი ცივილიზაციური პოლუსის მოქმედებისა მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე, მეორე პოლუსზე კი ისლამი აქტიურობს. ჩვენ, მართლმადიდებელი სამყარო ამ ორ ძალას შორის ვართ გეოგრაფიულად მოქცეულნი და პოსტკომუნისტურ ეპოქაში ჯერ კიდევ საბოლოოდ არ გაგვიცნობიერებია მორალური და იდეოლოგიური ორიენტირები. თუმცა ბოლო პერიოდში რუსეთის მოთავეობით აქტიური ნაბიჯები გადაიდგა ე. წ. ევრაზიის კავშირის შესაქმნელად. გეოგრაფიულად ახალი კავშირი მართლმადიდებელი და მუსლიმანი ერების გამაერთიანებელი სივრცე იქნება, კონსენსუსის საფუძველზე. აქ იკვეთება არა მხოლოდ ცივილიზაციური ასპექტი, არამედ, რა თქმა უნდა, არსებითი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, რომელთა რეალიზება ამ საერთო დიდ სივრცეში იქნება შესაძლებელი, რომელიც, განსხვავებით დასავლეთისგან ან რადიკალური არაბულ-სუნიტური ისლამისაგან ჩვენი ქართულ-მართლმადიდებლური იდენტობის გადაგვარების საფრთხეს არ ქმნის. საქართველო, ადრე თუ გვიან, უნდა შევიდეს მომავალ ევრაზიის კავშირში, ერთადერთი გზა ეს არის. ამ სტრიქონების ავტორი 2000 წლიდან

მოყოლებული ნეიტრალიტეტის იდეას ქადაგებდა, ეს ნაწილობრივ იმითაც იყო განპირობებული, რომ საზოგადოება ჯერ მზად არ იყო მსგავსი ინტეგრაციული პროექტებისათვის. მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომმა ხაზი გადაუსვა საქართველოს სრული ნეიტრალიტეტის შესაძლებლობასაც, ამიტომ დღეს არჩევანის საშუალება შემცირებული გვაქვს. შესაბამისად, უნდა „მივეკედლოთ„ იმ სახელმწიფოთა ბლოკს, რომელიც ჩვენთვის სულიერად, ეკონომიკურად, კულტურულად, ისტორიულად და მენტალურად უფრო ახლობელია.

არ უნდა შეგვაშინოს რუსეთსა და საქართველოს შორის დღეს არსებულმა უთანხმოებამ ტერიტორიების გარშემო. ეს პრობლემა გრძელვადიან პერსპექტივაში მოგვარებადია – როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთთან დიალოგისა და დაახლოების გზით. ამ გზის რეალიზების საუკეთესო საშუალებას კი სწორედ ევრაზიის კავშირის ტიპის გაერთიანებაში საქართველოს გააქტიურება იძლევა. საქართველოს თავისი მნიშვნელობის წარმოჩენა სწორედ „შიგნიდან“ შეუძლია, საქართველო რუსეთისთვის ღირებული ქვეყანაა და მას მეტი წონა აქვს, ვიდრე სხვა კავკასიურ სახელმწიფოებსა თუ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს. მთავარია, რომ ჩვენს პოლიტიკურ ლოიალობაში დავარწმუნოთ რუსეთი, რომ ჩვენ მეგობრები ვართ და არა მტრები.

რაც შეეხება ლოკალურ კონფლიქტებსა და თუნდაც ომებს, რომლებიც ჩვენ გადაგვხდა უახლოეს მეზობლებთან, გავიხსენოთ ევროპული ისტორია. კარლ შმიტი ასე აფასებს მაშინ ჯერ კიდევ ქრისტიანული დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ომებს: „არსებითია ის, რომ ომები, რომლებიც იწარმოებოდა ქრისტიანი მმართველების მიერ ქრისტიანული სამყაროს შიგნით, გამოირჩევიან შეზღუდული, რეგლამენტირებული ხასიათით. ეს ომები განსხვავდებიან არაქრისტიან მმართველებთან და ხალხებთან ომებისაგან. შინაგანი, შეზღუდული ომები არ აუქმებენ Respublica Christiana-ს ერთობას. აღნიშნული ომები გვევლინებიან შიდა დაპირისპირებებად უფლების დამკვიდრების, განხორციელების ან წინააღმდეგობის გაწევის უფლების რეალიზაციის ასპექტით, და მიმდინარეობენ ერთსა და იმავე საერთო წესრიგის ფარგლებში, რომელიც ორივე მეომარ მხარეს მოიცავს“.[6] თუკი ევრაზიის კავშირის ფარგლებში ინტეგრაცია გაღრმავდა, მაშინ დღეს არსებული კონფლიქტები მი-

[6] ციტირებულია რუსული გამოცემის მიხედვით: **Карл Шмитт: Номос земли в Праве народов Jus Pu blicum Europaeum, С.-Петербург, 2008, стр. 33**.

იღებენ „შეზღუდულ, რეგლამენტირებულ ხასიათს“, გამომდინარე იქიდან, რომ საქმე გვაქვს ერთიან მართლმადიდებელ ეკუმენასთან, როგორც შმიტის მიერ აღწერილი ევროპა წარმოადგენდა ერთიან ფასეულობრივ სამყაროს და დღესაც ასეთად რჩება (თუმცა სხვა, ქრისტიანობისგან დაშორებული ფასეულობებით). რუსეთთან ჩვენს დაპირისპირებასაც, შეიძლება ითქვას, არ აქვს ტოტალური ხასიათი, ხელისუფლებამ მთავარს ვერ მიაღწია – ქართველი რომც აღიქვამდეს რუსეთს საფრთხედ, მისთვის რუსეთი არ არის ტოტალური მტერი, ასევე, რუსების მხრიდან საქართველო არ განიხილება ტოტალურ მტრად და ქართველი ხალხისადმი კვლავ სიმპათიები სჭარბობს რუს ხალხში.

ე. წ. პრორუსული ორიენტაცია ქართული იდენტობისათვის საშიში არასოდეს ყოფილა და არც დღეს არის. პირიქით, მხოლოდ ამ ორიენტაციის საფუძველზე, ისევე როგორც მეთვრამეტე საუკუნეში, შეიძლება ქართული იდენტობის გადარჩენა, რადგან რაც არ უნდა მიუღებელი სახელმწიფო იყოს დღევანდელი რუსეთი თავისი პოლიტიკით, იგი არის ჩვენი უალტერნატივო მეზობელი, რომელთანაც მეგობრობის და კეთილმეზობლობის აღორძინების უდიდესი პოტენციალი არსებობს, გამომდინარე რუსეთისა და საქართველოს გეოსტრატეგიული ინტერესებიდან, რომლებიც არ შეცვლილა და გარკვეულწილად მუდმივობას ინარჩუნებს. ამას დავუმატოთ რელიგიური და კულტურული სიახლოვე, ტრადიციად ჩამოყალიბებული თბილი, ადამიანური დამოკიდებულება ორი ერის თვალსაჩინო წარმომადგენლებსა და თუნდაც „უბრალო“ ადამიანებს შორის. თუკი ქართულ იდენტობას გავაიგივებთ ჩვენს მართლმადიდებელ რწმენასთან, და ეს ასეც უნდა ვქნათ, მაშინ რუსეთი ჩვენი ბუნებრივი, ორგანული მოკავშირეა და ეს სულიერი სიახლოვე უფრო მაღლა დგას, ვიდრე დღევანდელი, თუნდაც უმძიმესი, უთანხმოება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხის გარშემო. ყოველივე ეს რთულად, მაგრამ საბოლოო ჯამში მოგვარებადია, მთავარია, ორიენტირი არ დავკარგოთ.

აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმაზე, რომ რუსეთს შეუძლია, საქართველო დაიცვას გარე ექსპანსიისაგან, როგორისაც დღეს მოწმენი ვართ აჭარაში, ამასთან ქართული ეკონომიკის აღორძინება – წარმოების გაზრდა ექსპორტის გზით, მუშახელის მივლინება და სხვა, ისევ და ისევ რუსეთს უკავშირდება, საქართველოსათვის რუსული სავაჭრო და შრომითი ბაზრის გახსნის თვალსაზრისით. ამრიგად, რუსეთთან დაახლოება რაღაც აკვიატებული აზრი არ არის,

მას მრავალი არგუმენტი ამყარებს და ამას ხალხი გრძნობს კიდეც, დღეს აშკარაა ხალხში ე. წ. „პრორუსული“ განწყობა, რაც ხელისუფლების გაღიზიანებას იწვევს. განსაკუთრებით ეს გაღიზიანება მაშინ იგრძნობა ხოლმე, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურები რუს ხალხთან სულიერ ერთიანობაზე აკეთებენ აქცენტს და ხვდებიან რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურებს ან რუს პოლიტიკოსებს. არადა, ეკლესიას უდიდესი მისია აკისრია ამ დიდ საღვთო საქმეში – მშვიდობისმყოფელობაში. საფიქრებელია, რომ ჩვენი ეკლესიის მტკიცე პოზიცია, პატრიარქის მიერ გადადგმული ნაბიჯები რუსეთის მიმართ, ისევე როგორც მთელი ჩვენი ხალხის განწყობა, რუსულ-ქართული დაახლოების მოწინააღმდეგეთა ავ განზრახვას წარმატების შანსს არ უტოვებს.

თემურ მირიანაშვილი

მორალური შეფასება დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციებისა[1]

ივანე ჯავახიშვილი „ქართული სამართლის ისტორიაში“ წერს, საქართველოში ჯალათის პროფესია არ არსებობდაო, ანუ ისტორიულად ჩვენში არ ყოფილან ადამიანები, ვისაც ხელობად ექნებოდათ სიკვდილმისჯილთა მოკვდინება. გასაოცარი ფაქტია! და ეს ფაქტი, ივანეს აზრით, იმით აიხსნება, რომ ჩვენს სახელმწიფოში სასიკვდილო განაჩენი უაღრესი იშვიათობა იყო. ივანე ჯავახიშვილი სიკვდილით დასჯის მეთოდებსაც განიხილავს და წერს, რომ საქართველოში გავრცელებული იყო მხოლოდ ჩამოხრჩობა და თავის მოკვეთა, ანუ მოკვდინების ყველაზე მსუბუქი და ჰუმანური წესები: სიკვდილის წინ კაცის წამება, რაოდენ საშინელი დანაშაულიც არ უნდა ჰქონოდა მას ჩადენილი, ჩვენში არ ყოფილა მიღებული.

დასავლეთის ქვეყნებში დღეს ურყევად დამკვიდრებულია აზრი, რომ ამა თუ იმ ხელისუფლების, ხალხის ჰუმანურობის და ცივილიზებულობის ერთი უმთავრესი საზომი არის ის, თუ რაოდენ ხშირად ან იშვიათად გამოაქვთ იმ ქვეყანაში სასიკვდილო განაჩენი და რამდენად უმოწყალო თუ ლმობიერი წესით აღასრულებენ მას. სიკვდილით დასჯის იშვიათობა მიანიშნებს არა მხოლოდ ხელისუფალთა ჰუმანურობაზე, არამედ მოქალაქეთა, მათი უდიდესი უმრავლესობის ადამიანურ ღირსებებზეც; თუ ქვეყანაში ისტორიულად ნაკლები იყო სიკვდილით დასჯის შემთხვევები, ეს უტყუარი საბუთია იმისა, რომ ამ ქვეყანაში ნაკლებად არსებობდა დანაშაული, პირველ ყოვლისა, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი. ხოლო დანაშაულის იშვიათობა დასტურია ეკონომიკური კეთილდღეობის, სხ-

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №2(4), 2012

ვადასხვა საზოგადოებრივ ფენათა ურთიერთგამტანობის, შემწყნარებლობის და ცალკეულ ადამიანთაგან ერთმანეთისადმი ადამიანურად მოპყრობისა.

დასავლეთის ქვეყნებში ის აზრიც სრულიად უეჭველად არის დამკვიდრებული, რომ ჰუმანურობის ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია მათმა ცივილიზაციამ — დასავლურმა ცივილიზაციამ და რომ ეს მტკიცდება არა მხოლოდ თანამედროვე ვითარებით, არამედ ისტორიულადაც. დასავლეთ ევროპელები და ჩრდილოამერიკელები, რასაკვირველია, ვერ უარყოფენ, რომ მათ წარსულში უამრავი ჯოჯოხეთური ფაქტია, მაგრამ ისინი ამგვარად მსჯელობენ: ყველაფერი შედარებითია, აღმოსავლეთთან შედარებით დასავლეთი შემწყნარებლობის, სიკეთის, სიქველის, საერთოდ, ადამიანურობის ყოველგვარი გამოვლინების ეტალონად უნდა მიიჩნეს.

საკითხავია, სად გადის საზღვარი დასავლეთსა და აღმოსავლეთ შორის? რომელი ტერიტორიები უნდა მიეკუთვნოს ერთს და რომელი მეორეს? ეს სამყაროები ხომ არავის არასოდეს გაუმიჯნავს სადემარკაციო ზოლით. ამ საკითხზე მხოლოდ ჩვენ, ევროპის აღმოსავლეთი ნაწილის მკვიდრნი ვმსჯელობთ და ვპაექრობთ. დასავლელთათვის ყველაფერი ნათელია, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილია: აღმოსავლეთი არის ევროპის ის ქვეყნები, სადაც მართლმადიდებელი ერები ცხოვრობენ, ხოლო დასავლეთი — ქვეყნები დასახლებული კათოლიკეებითა და პროტესტანტებით.

ვერავინ ვერაფრით შეძლებს, ეჭვი შეატანინოს დასავლელებს ორი სამყაროს ამგვარად გამიჯვნის საფუძვლიანობაში, ისევე როგორც ვერავინ აფიქრებინებს, წუთითაც კი ვერ დააშვებინებს მათ აზრს იმის თაობაზე, რომ აღმოსავლეთი ადამიანურ ღირებულებათა მიღწეული დონით შეიძლება თუნდაც შეედაროს დასავლეთს. მაგრამ თუ ეს ასეა, ხოლო ჰუმანურობის ერთ-ერთი უმთავრესი საზომი არის სიკვდილით დასჯის სიხშირე — სიიშვიათე და მისი აღსრულების ლმობიერება-ულმობლობა, რით უნდა აიხსნას, რომ ევროპის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვართან მდებარე საქართველოში სიკვდილით ძალიან იშვიათად სჯიდნენ და თუ მაინც სჯიდნენ — ძალიან ლმობიერი წესით, დასავლეთ ევროპაში კი დღეს მიახლოებითაც ვერ ანგარიშობენ, რამდენი მილიონი ადამიანი (თანაც უფრო მეტად, ქალები და არაიშვიათად ბავშვები, მათ შორის ორი-სამი წლისანიც) გაჟლიტა ინკვიზიციის სასამართლომ ან „კაროლინამ“ და მისმა მსგავსმა სხვა კანონთა წიგნებმა? ხოლო სიკვდილის წინ ადამიანის წამებაში, ალბათ არც ერთი სხვა ცივილიზაციის წარ-

მომადგენლებს არ გამოუვლენიათ კათოლიკეთა და პროტესტანტთა დარი გამომგონებლობა, ფანტაზია და, თუ გნებავთ, მოთმინების უნარიც; ადვილი საქმეა — მრავალი საათის, დღის, ზოგჯერ კი კვირების მანძილზე ელოდე, როდის ამოხდის სულს სიკვდილმისჯილს სასტიკი, მაგრამ ნელი წამება?!

პასუხი ამ კითხვებზე, ერთი შეხედვით, ადვილი მისაკვლევია. საქართველო არის ძალიან პატარა ქვეყანა, ქართველების ხვედრითი ოდენობა მართლმადიდებლობის მაღიარებელთა შორის 1,5 პროცენტსაც კი არ შეადგენს. ამიტომ მართლმადიდებლური სამყაროს მახასიათებელ თვისებებზე დაფიქრებულ დასავლელ ადამიანს, საქართველო შეიძლება, უბრალოდ, გამორჩეს მხედველობიდან, ან არ მიიღოს მხედველობაში მოსახლეობის რიცხობრივი უმნიშვნელობის გამო. მით უმეტეს, რომ მთელს მსოფლიოში მცხოვრებ მართლმადიდებელთაგან ორმოცდაათი პროცენტი რუსია. რუსეთს კი — პირდაპირ უნდა ითქვას — ყველაზე სახელგატეხილი ისტორია აქვს საქრისტიანო სამყაროში. თითქმის არავინ (მათ შორის არც თავად რუსთა უმრავლესობა) არ დავობს, რომ ქრისტიანულ სახელმწიფოთაგან არც ერთს არ ჰქონია ისეთი ბნელი და ობსკურანტული წარსული, როგორიც რუსეთს.

ვიმეორებ, ეს აზრი თითქმის საყოველთაოდ მიღებული და აღიარებულია. ალბათ, არც ამის მტკიცება იქნება გადაჭარბებული: ასეთი აზრი მართლმადიდებელ რუსთა ისტორიაზე ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი საქრისტიანო სამყაროს და არა მხოლოდ მას — არასაქრისტიანოსაც. მოდადაც კია ქცეული მსჯელობა ძველი (და არცთუ მაინცდამაინც ძველი) რუსული სინამდვილის, ყოფის შავბნელ და ველურ ხასიათზე. რად ღირს თუნდაც ივანე მრისხანე! ყველა დროის ქრისტიან ხელმწიფეთაგან ყველაზე სისხლისმსმელ სადისტად შერაცხული. ისტორიკოსებს გამოთვლილი აქვთ, რომ მისი ორმოცწლიანი მეფობის ყოველ წელიწადს იგი საშუალოდ ას კაცს აგზავნიდა ეშაფოტზე. ივანე მრისხანის „იმიჯი“, ისევე, როგორც საზოგადოდ რუსეთის ისტორიისა, შეუვალი და ურყევია: მის დარი ჯალათი თუ საერთოდ ისტორიას არა, საქრისტიანოს ისტორიას თურმე ნამდვილად არ ახსოვს!

მაგრამ საქმე ის არის, რომ ივანე მრისხანის ეპოქაში ცხოვრობდა იმპერატორი კარლოს V, რომელმაც გერმანიაში ასოცი ათასი ადამიანი დასაჯა სიკვდილით, თავის უმცროს თანამედროვეზე — რუსეთის მეფეზე ოცდაათჯერ მეტი! კარლოს მეხუთემ დაახლოებით ოცდაათი წელი იმეფა. მაშასადამე, წელიწადში თითქმის ოთხი ათას

კაცს გზავნიდა ეშაფოტზე, ანუ ყოველწლიურად იმდენს, რამდენიც მთელი თავისი ტახტზე ჯდომის მანძილზე გაგზავნა ივანე მრისხანემ. მაგრამ კარლოს მეხუთეს რატომღაც არ აქვს ივანე მრისხანისებრ საშინელი სახელი. ისტორიკოსთა წრის გარეთ იგი თითქმის მივიწყებულია. რიგით ადამიანთაგან დღეს იშვიათს თუ სმენია რაიმე მის შესახებ. მისგან განსხვავებით, ინგლისის მეფე ჰენრი მერვე, ივანე მრისხანის კიდევ ერთი ასაკით უფროსი თანამედროვე, დღემდე ინარჩუნებს „პოპულარობას“. მასზე ბევრს წერენ, იღებენ მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს. მაგრამ არც მას დაუმკვიდრდა, ივანე მრისხანის მსგავსად, ჯალათისა და სადისტის სახელი, თუმცა მანაც რუს კოლეგებზე ბევრჯერ მეტ ადამიანს მოუსწრაფა სიცოცხლე — დაახლოებით 70 ათასს. ჰენრი მერვის უმცროსმა ასულმა და მემკვიდრემ, ელისაბედ პირველმა 20 ათასამდე ადამიანი დაასჯევინა სიკვდილით. იგი პროგრესულ მეფედ შევიდა ისტორიაში. ელისაბედ პირველის რეპრესიები დღემდე მართლდება მის წინაშე მდგომი დიადი სახელმწიფოებრივი ამოცანებით.

ელისაბედის დამ, ჰენრი მერვის უფროსმა ასულმა, მარიამ პირველმა თავისი ძალიან ხანმოკლე მეფობის ხანს მოასწრო სიკვდილით დაესაჯა ივანე მრისხანეზე გაცილებით მეტი ადამიანი. მაგრამ მარიამ პირველი (ისევე როგორც მისი მეტსახელი — „სისხლიანი“) დღეს მივიწყებულია. პირველი ადგილი მსოფლიოს ყველაზე სისხლიანი ჯალათების არასაპატიო კვარცხლბეკზე ივანე მრისხანეს რჩება.

კარლოს V სიცოცხლის მიწურულს გადადგა, უარყო ტახტი და ბერად აღიკვეცა, მაგრამ დარჩა მის მიერ შექმნილი წიგნი „კაროლინა“ — კანონთა კრებული, რომელსაც მომავალი ორნახევარი საუკუნის განმავლობაში, XIII ს-ის მიწურულამდე ეყრდნობოდა კათოლიკური და პროტესტანტული სისხლის სამართალი და რომელიც პრაქტიკულად ყველა დანაშაულისთვის ერთადერთ სასჯელს ითვალისწინებდა — სიკვდილს მხეცური წამებით. XVII საუკუნეში ერთმა გერმანელმა მოსამართლემ, გვარად ფონ კარპცოვმა, „კაროლინის“ საფუძველზე, ოცი ათასი სასიკვდილო განაჩენი გამოიტანა. ყოველდღე რომ თითო ადამიანისთვის მიესაჯა სიკვდილი ფონ კარპცოვს უქმეებზე დაუსვენებლად, ორმოცდათვრამეტი წელიწადი დასჭირდებოდა ამდენი ხალხის ეშაფოტზე ასაყვანად.

...გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში, როცა ყველა დასავლურისადმი კერპთაყვანისმცემლური ქედისმოდრეკით დაავადდა, საქართველო და არა მხოლოდ საქართველო,

მთელი საბჭოთა კავშირიც, სოციალისტური ევროპაც, როცა ყველას, ან თითქმის ყველას გვწამდა, რომ დასავლეთში არ არსებობს არაფერი არაიდეალური და აწმყოთიც, წარსულითაც ის სამყაროს მიბაძვისა და შთაგონების ერთადერთი წყაროა, ამ სტრიქონების ავტორს რამდენიმე კითხვა აეკვიატა: რით აიხსნება ის პარადოქსი, რომ ივანე მრისხანეს აქვს ყველაზე სისხლიანი მეფის სახელი, თუმცა დასავლელმა მეფეებმა — ზემოხსენებულებმაც და მრავალმა სხვამაც — შეუდარებლად მეტი სისხლი დაღვარეს? ან ის პარადოქსი რით უნდა აიხსნას, რომ ადამიანის წამების „ხელოვნება“ კათოლიკეებმა და პროტესტანტებმა „სრულყოფილების“ უმაღლეს საფეხურებამდე აიყვანეს, ბრალი კი ამაშიც უფრო მართლმადიდებელ ხელისუფლებს ედებათ, რომლებიც მხოლოდ უნიჭო და უფანტაზიო ეპიგონ-პლაგიატორები იყვნენ თავიანთი დასავლელი კოლეგების, აგრეთვე, ინკვიზიციის მესვეურებისა?

XX საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულს ისტორიული ნაშრომების, სახელმძღვანელოების და ენციკლოპედიების გაცნობამ კიდევ ერთი პარადოქსული კანონზომიერება დამანახა. ბოლო დროს ენციკლოპედიაში არაფერია ნათქვამი კარლოს მეხუთის, ჰენრი მერვის და მრავალი სხვა მათნაირი კათოლიკე თუ პროტესტანტი მეფის მიერ დაღვრილ სისხლზე. ხოლო ისტორიული გამოკვლევები და სახელმძღვანელოები მკითხველს უხსნიან, რომ სისხლისღვრა, რასაკვირველია, ცუდია, მაგრამ დასავლელი მეფეები იბრძოდნენ სეპარატიზმის, სახელმწიფო გადატრიალებებისა და დესტაბილიზაციის წინააღმდეგ. ბრძოლას კი, სამწუხაროდ, ახლავს სისხლისღვრა... ვეცნობოდი ამ მასალას და მებადებოდა კითხვა: ნუთუ მართლმადიდებელ ხელისუფალთა წინაშე არასდროს მდგარა ამგვარი პრობლემები? ნუთუ ისინი მხოლოდ და მხოლოდ გვრიტებივით უწყინარ და უმანკო ხალხს სჯიდნენ?

ეს კითხვაც მებადებოდა: რატომ გაქრა ბოლო ათწლეულებში გამოცემული ენციკლოპედიებიდან ბენედიქტ ფონ კარპცოვის ხსენება? თითქოს არასდროს ეარსებოს მას აქვეყნად და არც, ალბათ, ყველა დროის სამართალწარმოების რეკორდი დაემყარებინოს ოცი ათასი სასიკვდილო განაჩენის გამოტანით.

დიდხანს ვერ მივაკვლიე ამ პარადოქსების მიზეზს. ამიტომ უბრალო გაუგებრობის შედეგად ჩავთვალე. მხოლოდ წლების შემდეგ მივხვდი, რომ „პარადოქსს“ დიდი პოლიტიკა სდებია სარჩულად, პროპაგანდის საათივით აწყობილი და ძალიან შორსგამიზნული მექანიზმისგან ყოფილა წარმოშობილი.

თვით ამ პოლიტიკურ სარჩულზე და პროპაგანდის მექანიზმზე დაფიქრებამ კი გამაცემინა პასუხი იმ კითხვაზე, რომელსაც ოთხმოციანი წლების მიწურულიდან ყველაზე ხშირად ვუსვამთ ჩვენს თავს ქართველები: რამ დაგვატეხა თავს ეროვნული ტრაგედია? მკითხველს, შეიძლება ხელოვნურად და ნაძალადევად მოეჩვენოს ბოლო წლების ქართული უბედურების დაკავშირება მართლმადიდებლურ და კათოლიკურ-პროტესტანტულ სამყაროში ისტორიულად დამკვიდრებული სიკვდილით დასჯის წესებთან. მით უმეტეს, ამ წესებზე დაკვირვების მეშვეობით, ჩვენი ერის წინაშე მდგომ ყველაზე მთავარ, ყველაზე მტკივნეულ კითხვაზე პასუხის მიღება, იქნებ, სრულიად დაუჯერებელი და ფანტასტიკურიც კი ჩანდეს. მაგრამ ვთხოვ მკითხველს, ნუ დაივიწყებს ჩემ მიერ უკვე მოთხრობილ ისტორიულ ფაქტებს, დააკვირდეს იმ ისტორიულ ფაქტებსაც, რომელთაც ქვემოთ მოვიტან...

ივანე მრისხანის ძის, თევდორეს სიკვდილის შემდეგ რუსეთის ტახტზე ავიდა ბორის გოდუნოვი, რომლის მეფედ კურთხევისას მოხდა განსაცვიფრებელი ფაქტი, უნიკალური ევროპის მთელი მანამდელი ისტორიისთვის. ბორის გოდუნოვმა დაიფიცა, რომ თავისი ხელმწიფობის პირველი ხუთი წლის განმავლობაში სიკვდილით არ დასჯიდა არავის, თვით ყველაზე საშინელ დანაშაულთა ჩამდენ ბოროტმოქმედებსაც კი! ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიას თუ ვიხმართ, მეფე ბორისმა სიკვდილის დასჯაზე ხუთწლიანი მორატორიუმი გამოაცხადა! ეს იყო 1598 წელს!

ევროპაში ამ დროს „კაროლინაზე“ დამყარებული სადისტური სისხლის სამართალი მძვინვარებდა, გერმანიაში სწორედ ამ დროს დაიბადა იურისპრუდენციის მომავალი პროფესორი და შეთავსებით პრაქტიკოსი მოსამართლე ბენედიქტ ფონ კარპცოვი. თვით „კაროლინის“ გავრცელების არეალი კი უკვე შორს გასცდა გერმანიის საზღვრებს და დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს კანონმდებლობას დაედო საფუძვლად. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „კაროლინა“ მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსი იყო. მის პარალელურად მოქმედებდა წმიდა ინკვიზიციის სასამართლო. და ისიც ასეულობით ათას რელიგიურ „დამნაშავეს“ წვავდა კოცონზე. თუ ქალის თვალების ფერი, ყურების ან ნაკვთების ფორმა მის ეშმაკისეულ ბუნებას „ამხილებდა“, განაჩენი მზად იყო. სატანა თავის მოციქულებად რატომღაც პირველ რიგში ქალებს ირჩევდა. კოცონზე დამწვართა ოთხმოც პროცენტს ისინი შეადგენდნენ. თუმცა არც ნებისმიერი მამაკაცი იყო დაზღვეული, თუკი ინკვიზიცია სა-

ტანას შეიცნობდა მათს გარეგნობაში, ან თუ მის სახლში აღმოჩნდებოდა შავი მამალი ან თეთრი კატა, ანდა თუ მის სხვენში ღამურები დაიბუდებდნენ...

აი, ასეთ დროს გამოაცხადა ბორის გოდუნოვმა ხუთწლიანი მორატორიუმი სიკვდილით დასჯაზე. და აღასრულა კიდეც! მაგრამ თუ ერთი მართლმადიდებელი მეფის, ივანე მეოთხის მრისხანება, მისი სისხლიანი რეპრესიები დღეს იცის ყველამ, ისტორიაში სრულიად გაუნათლებელმაც კი, მეორე მართლმადიდებელი მეფის, ბორისის მორატორიუმის შესახებ ბევრ განათლებულ ისტორიკოსსაც კი არაფერი სმენია.

აქვე ჩნდება მეორე და არანაკლებ უცნაური პარადოქსი. მეფეთაგან ძალიან ბევრია შესული ისტორიაში მეტსახელით. თუნდაც იგივე მეფე ივანე IV, რომელიც არასოდეს მოიხსენიება გარეშე მეტსახელისა „მრისხანე". სამაგიეროდ, სრულებით მივიწყებულია, რა შეარქვა ხალხმა სხვა მართლმადიდებელ მეფეს ალექსის, რომელიც სამი ათწლეულის მანძილზე მართავდა რუსეთს მეჩვიდმეტე საუკუნეში. მას ეძახდნენ «Тишеищий»-ს, ანუ „უწყნარესს", ლმობიერი და შემწყნარებელი ხასიათის გამო. მართალია, არაერთ ისტორიკოსს უცდია, დაემტკიცებინა, ალექსი ამართლებდაო რუსულ ანდაზას, რომ წყნარ გუბეში ეშმაკები ბუდობენ, მაგრამ ამ მეფის განსაკუთრებული სისასტიკის ფაქტები ვერავის მოაქვს.

ალექსის ძე, პეტრე პირველი, საყოველთაოდ აღიარებულია რუსეთის ყველაზე დიად მეფედ. ბუნებით იგი ივანე მრისხანეს უფრო ჰგავდა, ვიდრე უწყნარეს ალექსის. უეჭვოდ დადასტურებულია, რომ მან თვით ივანე მრისხანეზე მეტ ადამიანს მოუსწრაფა სიცოცხლე, მაგრამ პეტრეს „მიღწევები" ამ საქმეში ვერც კი შეედრებოდა ევროპელი მეფეებისას.

პეტრეს ასულმა, იმპერატრიცა ელისაბედმა, საერთოდ, ევროპის ისტორიაში უპრეცედენტო რამ მოიმოქმედა: სამუდამოდ აკრძალა სიკვდილით დასჯა! და ეს იმ დროს, 1753 წელს, როცა ევროპელებს იდეის, თეორიის დონეზეც კი არ მიეღწიათ დამნაშავეთა არამოკვდინების მოთხოვნისათვის.

პოპულარული ისტორიოგრაფია, პუბლიცისტიკა, მთელი თანამედროვე საინფორმაციო საზოგადოებრიობა არც ამ ფაქტს ახმოვანებს. ეს ფაქტიც მიყრუებული და ანალებში ჩარჩენილია.

შეიძლება, გვითხრან, რომ ელისაბედის გარდაცვალების შემდეგ სიკვდილით დასჯა განახლდა. მაგრამ განა უაღრესად მნიშვნელოვანი არ არის თვით ფაქტი, სასამართლოსგან კაცის მოკვ-

დინების აღმკვეთი პირველი განკარგულების გამოცემისა, ევროპის ისტორიაში? იმავე XVIII საუკუნის სამოციან წლებში რუსეთის კიდევ ერთმა იმპერატრიცამ, ეკატერინე მეორემ დაადასტურა თავისი ერთგულება ელისაბედის კანონისადმი და ხელახლა აღკვეთა სიკვდილით დასჯა. მართალია, ეკატერინემ მალე თავადვე დაარღვია მის მიერვე ნაბრძანები, დაახოცინა ემელიან პუგაჩოვი და მისი რამდენიმე უახლოესი თანამზრახველი, მაგრამ ფაქტია, XVIII საუკუნის რუსეთში სიკვდილით დასჯა, როგორც კანონის ზომა, ათასჯერ ნაკლებად გამოიყენებოდა, ვიდრე იმავე დროის ევროპაში.

მკითხველთა შორის უთუოდ გამოჩნდებიან ისეთები, ვინც შემახსენებს, რომ ელისაბედი არ იყო პირველი ქრისტიანი მეფე, ვინც ადამიანის მოკვდინება აკრძალა. თამარ მეფის საქართველოშიც ხომ არავის სჯიდნენ სიკვდილით. ეს მაგალითიც ადასტურებს, რაოდენ მცდარია დღეს მოარული, თითქმის უალტერნატივოდ გაბატონებული შეხედულება, თითქოს ევროპელ (ანუ კათოლიკე და პროტესტანტ) მეფეთა მმართველობა უფრო ჰუმანური და შემწყნარებლური იყო, ვიდრე მართლმადიდებელი მეფეებისა.

ევროპელთაგან პირველი, ვინც სიკვდილით დასჯის კანონგარეშე გამოცხადება მოითხოვა, იყო ჩეზარე ბეკარია, რომელმაც 1766 წელს გამოაქვეყნა წიგნი ამის თაობაზე, ანუ მაშინ გამოაქვეყნა, როცა სამართლმადიდებლო სამყაროში უკვე იყო მაგალითები სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმის დაწესებისაც, მისი აკრძალვებისაც, ხოლო რუსეთში XVIII საუკუნის დამდეგიდან მრავალ მოაზროვნეს ჰქონდა გამოთქმული აზრი, რომ ადამიანის მკვლელობას არავითარი სასამართლო განაჩენი არ ამართლებს.

ბეკარიას ევროპაში მიმდევრები გამოუჩნდნენ. თუმცა აუცილებლად აღსანიშნავია, რომ არც ერთ მათგანს, თვით ბეკარიას ჩათვლით, სიკვდილით დასჯის მთლად აღკვეთა არ მოუთხოვია. იბრძოდნენ მხოლოდ ამ პრაქტიკის შესაზღუდად. თუ როგორი იყო ეს პრაქტიკა, ჩანს თუნდაც ერთი ისტორიული ფაქტიდან, რომლის შესახებაც წერდა ვოლტერი, თავისი დროის ყველაზე დიდი ინტელექტუალური ავტორიტეტი ევროპაში. ვოლტერი გამოეხმაურა თვრამეტი წლის მოახლე გოგონასთვის სიკვდილის მისჯას იმის გამო, რომ მან თვრამეტი ცალი ხელსახოცი მოპარა თავის ქალბატონს. ვოლტერი წერდა, სასამართლოზე დადგინდა, რომ ქალბატონი თვეების მანძილზე ხელფასს არ უხდიდა გოგონას და საჭმელსაც უმალავდა. მოახლემ ხელსახოცები იმისთვის მოიპარა და გაყიდა, რომ შიშმილით არ მომკვდარიყო. არც ამ უსამართლო განაჩენის

გახმაურებამ, არც ვოლტერის უზარმაზარმა გავლენამ არ უშველა საბრალო გოგონას. იგი ჩამოახრჩვეს.

ასეთი იყო შუა საუკუნეების ევროპა. თითქმის ყოველგვარი დანაშაულისთვის არსებობდა ერთადერთი სასჯელი — სიკვდილი! გინდ სამშობლოსთვის გეღალატა დ გინდ ქათამი მოგეპარა, გინდ კაცი მოგეკლა და გინდ ქალი გაგეუპატიურებინა...

ყველაფრისთვის — სიკდილი!

გაილია მეთვრამეტე ასწლეული და მასთან ერთად შუა საუკუნეებიც. ახალ დროში შეაბიჯეს ევროპამაც და რუსეთმაც (საქართველოიანად). მეცხრამეტე საუკუნეში კიდევ უფრო თვალნათლივ გამოიკვეთა მართლმადიდებლური და კათოლიკურ-პროტესტანტული სამყაროების აბსოლუტურად განსხვავებული დამოკიდებულება უმთავრესისადმი — ადამიანის სიცოცხლისადმი.

ვიცი, ბევრს დაუჯერებლად მოეჩვენება ეს, მაგრამ ფაქტი ფაქტია და მას ვერსად წაუხვალ: მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე რუსეთის იმპერიაში სიკვდილით დაისაჯა სულ ასამდე ადამიანი, ანუ პროცენტულად თითო წელიწადზე დაახლოებით თითო სიკვდილით დასჯა მოდიოდა. ევროპაში მარტო პარიზის კომუნის დამხობის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს ათასობით კაცი, ქალი, ბავშვი. საფრანგეთში კანონმდებლობით 1848 წლის რევოლუციის შემდეგ პოლიტიკური დანაშაულისთვის სიკვდილით დასჯა გაუქმებული იყო. მიუხედავად ამისა, 1871 წელს კომუნაზე გამარჯვების შემდეგ სასამართლოებს გამოჰქონდათ სასიკვდილო განაჩენები. ბევრს, საერთოდ, გაუსამართლებლად ხოცავდნენ.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედის განმავლობაში რუსეთის მეფე იყო ალექსანდრე I. მის დროს სიკვდილით დასაჯეს 24 კაცი, მათგან დიდი უმრავლესობა — ნაპოლეონთან ომის პერიოდში. ისტორიულ წიგნებში წერია, რომ პარიზელი კომუნარების მიმართ გამოჩენილი სისასტიკე აიხსნება იმ რთული ვითარებით, რაც საფრანგეთის მიერ 1870 წელს პრუსიასთან ომმა და შემდეგ კომუნის შექმნამ გამოიწვია. მაგრამ განა 1812-1814 წლების რუსეთ-საფრანგეთის ომმა ნაკლები სირთულე შეუქმნა მართლმადიდებლურ სახელმწიფოს?!

1825 წელს, როცა ალექსანდრე I გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა მისი ძმა ნიკოლოზ I, ჩახშობილ იქნა დეკაბრისტების შეთქმულება. სასამართლომ 36 დეკაბრისტს სიკვილი მიუსაჯა. მათგან ჩამოახრჩეს მხოლოდ ხუთი. დანარჩენები შეიწყალა იმ მეფემ, რომლის დამხობასაც დეკაბრისტები აპირებდნენ. ნიკოლოზ

პირველმა ოცდაათ წელზე მეტ ხანს იმეფა და 40 ადამიანი დასაჯა სიკვდილით. მისი შვილის და შვილიშვილის, ალექსანდრე მეორისა და ალექსანდრე მესამის მეფობის ჟამს, ანუ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულამდე, მოკვდინებულ იქნა კიდევ 40 ადამიანი. მათ შორის, ორივე მეფეზე მრავალი თავდასხმის მონაწილეები და ალექსანდრე მეორის მკვლელები.

ინგლისის პარლამენტში კი მეცხრამეტე საუკუნის ათიანი წლების მანძილზე ათ წელს მიმდინარეობდა პაექრობა „კაროლინაზე" დამყარებული სისხლის სამართლის კოდექსის შესაცვლელად. მაგრამ პარლამენტმა ძალაში დატოვა კანონი, რომელიც სიკვდილს ითვალისწინებდა ორასი კატეგორიის დანაშაულისთვის, ანუ პრაქტიკულად ყველა დანაშაულისთვის! სხვათა შორის, სახრჩობელაზე კიდებდნენ ქურდებს, რომელნიც ერთ შილინგზე მეტს მოიპარავდნენ. პარლამენტი ათ წელს დაობდა, მინიმალური თანხის ერთი შილინგიდან ხუთ შილინგამდე გაზრდის თაობაზე. ამ შემთხვევაში ოთხი შილინგის მომპარავი სიკვდილით აღარ დაისჯებოდა. მაგრამ პარლამენტმა არ შეცვალა კანონი. ამასთან, სიკვდილით ისჯებოდნენ ქურდების თანამზრახველებიც. იგულისხმება ის ადამიანები, ვინც იცოდა ქურდის განზრახვა, ან ქურდობის შემდეგ გაიგო და არ დააბეზღა.

ასეთი იყო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე დღეს ლამის იდეალურად გამოცხადებული ინგლისის იურისპრუდენცია. ის მხოლოდ სამოციანი წლებიდან შეარბილეს რამდენადმე.

1828 წელს ესპანეთში, სევილიაში, დაწვეს 26 წლის ქალი იმისთვის, რომ იგი თურმე ალქაჯი, კუდიანი იყო და ღამ-ღამობით ცოცხზე გადამჯდარი დაფრინავდა ცაში. სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ეს იყო უკანასკნელი აუტოდაფე. ამით დასრულდა კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიების რვაასწლიანი ტერორი დასავლეთ ევროპაში. რვაასწლიანი!!! დღეს არავინ უწყის, რამდენი მილიონი ადამიანი (ძირითადად ქალები) გამოასალმეს სიცოცხლეს ენით აუწერელი წამებით იმ რვაასი წლის მანძილზე. დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ არც ერთ სხვა სარწმუნოებას, არცერთ სხვა ცივილიზაციას არასოდეს, არსად დაუტეხია ხალხისთვის მსგავსი, თუნდაც ოდნავ მიმსგავსებული ჯოჯოხეთი.

მართლმადიდებლური სარწმუნოებისთვის ამგვარი რამ საერთოდ უცხოა. მართლმადიდებლური „ველური" აღმოსავლეთი არ სცნობდა აუტოდაფეს.

პირველი ევროპული სახელმწიფო, რომელმაც მეთვრამეტე

საუკუნის მიწურულს გააუქმა სიკვდილით დასჯა, იყო ტოსკანა, ცეროდენა სამთავრო. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან კიდევ რამდენიმე პატარა ევროპულმა ქვეყანამ უარჰყო ადამიანის მოკვდინების კანონი. თუმცა ყველაზე დიდი და მთავარი ევროპული ქვეყნების — ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ესპანეთის — სასამართლოები განაგრძობდნენ ადამიანთა სისხლის მდინარეების ღვრას.

XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დამდეგს ყველაზე დიდმა ევროპელმა ფილოსოფოსებმა, იმანუელ კანტმა და გეორგ ჰეგელმა ბევრი დაწერეს სამართლის თემაზე. ისინი მოითხოვდნენ, რომ სიკვდილი სასჯელის არსებითად ერთადერთი ზომა აღარ ყოფილიყო. მაგრამ ამ ზომის საერთოდ გაუქმება არასოდეს მოუთხოვიათ. პირიქით, ევროპული ფილოსოფიის ორივე მწვერვალი არსებითად ტალიონისეული სამართლის ჩარჩოებში დარჩნენ — კბილი კბილის წილ, თვალი თვალის წილ, სისხლი სისხლის წილ... მართლმადიდებლური რუსეთის „ბნელეთში“ კი კანტისა და ჰეგელის ეპოქამდე ბევრად ადრე დაიბადა სიკვდილით დასჯისადმი პროტესტი. რუსეთში თითქმის ყველა მოაზრონვე პეტრე პირველის ეპოქის შემდეგ გმობდა ადამიანის მოკვდინებას. აღწევდნენ კიდეც მიზანს. სიკვდილი, როგორც სასჯელის ზომა რუსეთში სულ უფრო იშვიათდებოდა.

ევროპაში კი მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს წარმოიშვა იურისპრუდენციის ეგრეთ წოდებული ანთროპოლოგიური სკოლა, რომლის მამამთავარი ჩეზარე ლომბროზო დღემდე ძალიან პოპულარულია. მისი წიგნები დიდი ტირაჟებით იბეჭდებოდა. ანთროპოლოგისტები თვლიდნენ და თვლიან (ისინი დღესაც არიან დასავლეთში), რომ დამნაშავე იბადება დამნაშავედ, ამიტომ მისი გამოსწორება შეუძლებელია. თურმე დამნაშავედ გაჩენილის შეცნობაც კი შეიძლება მისი თავის ქალის ფორმით და სახის ნაკვთებით. აქედან — დასკვნა: თუ საზოგადოებრიობას სურს კრიმინალური ვითარების ნორმალურ ფარგლებში დატოვება, საჭიროა, რაც შეიძლება მეტი დამნაშავის ფიზიკურად მოსპობა.

მართლმადიდებლურ სამყაროში არასოდეს არავითარი მსგავსი თეორია არ შექმნილა. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი დღესაც პრაქტიკულად გაბატონებულია ასეთი აზრი: მანიაკ მკვლელთა (ან, როგორც თვითონ ამერიკელები უწოდებენ, სერიულ მკვლელთა) კატასტროფულად დიდი რიცხვი ამ ქვეყანაში იმით აიხსნება, რომ ღმერთი აჩენს ამგვარ ადამიანებს. მაგრამ რატომ მაინცდამაინც

ამერიკაში აჩენს ღმერთი მანიაკების ოთხმოც პროცენტს? ამ კითხვაზე პასუხს ამერიკელები არც კი ეძიებენ.

დასავლური კანონმდებლობა ისტორიულად პრაქტიკულად არ ცნობდა ისეთ რამეს, როგორიცაა შეწყალება. „ბნელ“ რუსეთში კი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე სიკვდილმისჯილთა ოთხმოცი პროცენტი შეიწყალეს. თანაც ძალიან ხშირად სასიკვდილო განაჩენს ცვლიდნენ საოცრად მსუბუქი სასჯელით. აქ არ შეიძლება, არ გაგვახსენდეს გენიალური მწერლის, ფ. დოსტოევსკის ბედი, რომელსაც პეტრაშევსკის ჯგუფის წევრობისთვის, სხვა პეტრაშეველებთან ერთად, სიკვდილი ჰქონდა მისჯილი. ნიკოლოზ პირველმა ყველა შეიწყალა, თუმცა პეტრაშეველები სწორედ ამ მეფის დამხობას გეგმავდნენ. დოსტოევსკის მხოლოდ ოთხი წლის პატიმრობა მიუსაჯეს...

ჩვენი ისტორიაც გავიხსენოთ. საქართველოში 1832 წლის შეთქმულების გახსნის შემდეგ, რამდენიმე შეთქმულს (მათ შორის ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს, სოლომონ დოდაშვილს) სიკვდილი მიესაჯა. მაგრამ იმავე ნიკოლოზ პირველმა ყველა შეიწყალა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქში გადაასახლა. არც ერთ შეთქმულს გადასახლებაში ხუთ წელზე მეტი არ დაუყვია. განთავისუფლების შემდეგ კი არცერთისთვის აღარ გაუხსენებიათ ძველი „ცოდვა“. შემდგომში ზოგიერთმა შესანიშნავი კარიერა გაიკეთა. გრიგოლ ორბელიანი ინფანტერიის გენერალი და ოქროს ხმლის კავალერი გახდა. ფაქტია, რომ, რუსული სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით, ქართველი შეთქმულების ჩანაფიქრი საშინელ დანაშაულს შეიცავდა. ჩვენს თავადებს განზრახული ჰქონდათ დიდ პურმარილზე დაეპატიჟათ მეფის ნაცვალი და მისი უახლოესი გარემოცვა, აგრეთვე, საქართველოში მყოფი რუსული ჯარის მეთაურები და ყველა მათგანი დაეხოცათ. შემდეგ უნდა გაენადგურებინათ უმეთაუროდ დარჩენილი ჯარი, გადაეკეტათ დარიალი, საქართველოს სამხედრო გზა და აღედგინათ ქვეყნის დამოუკიდებლობა.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: მეცხრამეტე საუკუნეში სიკვდილით არ დასჯილა არც ერთი ქართველი!

***

ჩვენ განვიხილეთ კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიების მიერ ჩადენილი, ჯერ არნახული და არგაგონილი, საოცარი მასშტაბების მქონე, მაგრამ მხოლოდ ერთი დანაშაული — სიკვდილით დასჯა. თუ გავიხსენებთ ამ ეკლესიებისა და მათი გავლენით ჩამოყალიბებული კულტურების სხვა ბოროტქმედებებსაც, ცხადი გახდება, რომ არცერთ რელიგიას, არცერთ ცივილიზაციას

მსგავსი ავკაცობა არ ჩაუდენია.

ცხადია, ეს განცხადება შეიძლება ბევრს ეხამუშოს, მაგრამ ფაქტია, რომ მრავალი ადამიანი მთელს მსოფლიოში, უპირველეს ყოვლისა კი, პოსტსაბჭოთა სივრცეში, ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლდა ყოველივე დასავლურის, განსაკუთრებით, ვითომდა მათი ცივილიზაციისათვის იმანენტურად დამახასიათებელი ლიბერალური „ღირებულებების“ განდიდებისაკენ მიმართული, დასავლეთის პოლიტტექნოლოგების მიერ აგორებული პიარკომპანიის ზეგავლენისაგან. პიარის აგორება დასავლეთის პოლიტტექნოლოგებს ეხერხებათ; საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბოროტმზრახველები საკმაოდ კარგი ორატორები არიან.

დასასრულს, ჩვენ უბრალოდ ჩამოვთვლით დასავლეთის ისტორიის საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს. ყველა მეტ-ნაკლებად განათლებული ადამიანისათვის ეს ფაქტები ცნობილია, მაგრამ რატომღაც დავიწყებას მიეცა. როგორც ჩანს, პიარს ძალა შესწევს, არა მარტო თავს მოახვიოს ადამიანს წარმოუდგენელი, არგაგონილი სიცრუე, არამედ დაავიწყოს ჭეშმარიტება.

შეგახსენებთ, დღეს მოზეიმე სიცრუის მიერ გაფერმკთალებულ, მნიშვნელობადაკარგულ წარსულის საზოგადოდ ცნობილ მოვლენებს:

კათოლიციზმის გარდა, არცერთ რელიგიას არასდროს უწარმოებია ჯვაროსნული ომები. ამ ომებში პროტესტანტებს მონაწილეობა არ მიუღიათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პროტესტანტული რელიგია ჯერ კიდევ არ არსებობდა. კათოლიკეებმა დამოუკიდებლადაც მოახერხეს მილიონობით „ურწმუნოთა“, ძირითადად, ქალებისა და ბავშვების განადგურება;

არასდროს არცერთ რელიგიას „კუდიანებზე არ უნადირია“. დასავლეთში ეს კოშმარი რვა საუკუნე გაგრძელდა. XVI საუკუნეში წარმოშობილი პროტესტანტიზმი კი კათოლიციზმს ულმობლობაში არაფრით ჩამორჩებოდა;

არასდროს არცერთ ცივილიზაციას მთელი კონტინენტის გენოციდი არ მოუწყვია, როგორც ეს კათოლიკეებმა და პროტესტანტებმა გააკეთეს და ამერიკის კონტინენტის ორივე მატერიკის აბორიგენი მოსახლეობის 95% ამოწყვიტეს;

„კათოლიკეებისა და პროტესტანტებისათვის დასაბამიდანვე დამახასიათებელი ლიბერალიზმის“ კიდევ ერთი გამოვლინება, — მონობის აღდგენა XVI საუკუნეში. და ეს მაშინ, როცა მთელ მსოფლიოს დავიწყებული ჰქონდა მონათმფლობელობა;

არასდროს არცერთ რელიგიას არ უწარმოებია ისეთი მასშტაბური და ტოტალური რელიგიური ომები, როგორც ეს დასავლეთში ხდებოდა. თუ საქმე „ურწმუნოთა“ ძარცვასა და განადგურებას ეხებოდა, კათოლიკეები და პროტესტანტები ყოველთვის ახერხებდნენ გაერთიანებასა და თანამშრომლობას, ნაძარცვის გაყოფისას კი ერთიანობა უმალ ირღვეოდა. ქვეყნის შიგნით გავლენის მოპოვების მიზნით, ორივე კონფესია ისეთი სისატიკითა და დაუნდობლობით უსწორდებოდა ერთმანეთს, როგორითაც არაქრისტიანებს;

დასავლეთში ჩვეულებრივი მოვლენა იყო რელიგიური და საერო ხელისუფალთა დაუფარავი, აშკარა კავშირი ყველაზე ამაზრზენ ბანდიტებთან. მაგალითები მრავლადაა. ერთით დავკმაყოფილდეთ: ინგლისის დედოფალმა ელისაბედ I-მა რაინდის წოდება მიანიჭა მეკობრე ფრენსის ბლეიკს, რომელსაც საკმაოდ დიდი თანხები შეჰქონდა ხაზინაში. ფულის წარმომავლობა კი, არავის არც აინტერესებდა და არც აწუხებდა!

ფაშიზმის წარმოშობისთანავე, კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიები მის სამსახურში ჩადგნენ. პაპმა პიუს XI-მ ბენიტო მუსოლინს „ღვთაებრივი მმართველი“ უწოდა. ვატიკანი ფრანცისკო ფრანკოსაც გააფთრებით იცავდა ესპანეთში. დასავლეთის ორივე ქრისტიანული ეკლესიის უმაღლესი ხელმძღვანელობის სიყვარული გერმანელი ფაშისტებისა და მათი წინამძღოლის ადოლფ ჰიტლერისადმი მრავალტომიანი რომანის თემაა. მათი ურთიერთკავშირი და სიყვარული იმდენად ორგანული იყო, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს, რომის პაპმა არ დაგმო ფაშისტების მიერ, სხვათა ჭკუის სასწავლებლად, თავისუფლებისათვის მებრძოლი ათასობით იტალიელის მკვლელობა.

გავიმეორებ, კათოლიკურ-პროტესტანტული ცივილიზაციის ზემოაღნიშნული და სხვა მსგავსი ბოროტქმედებები საზოგადოდაა ცნობილი, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, დასავლეთის ლიბერალური დემოკრატიის აპოლოგეტებისათვისაც. თუმცა მათ სულაც არ უშლის ხელს, განადიდონ და გააიდეალონ ყოველივე ევროპული და ამერიკული: კათოლიკური და პროტესტანტული კონფესიები, ისევე როგორც კათოლიკურ-პროტესტანტული ცივილიზაცია, საუკეთესოა ყველა არსებულს შორის! უფრო მეტიც, ყველა შესაძლოს შორის! დასავლეთის ტრუბადურებს ვერ გადაარწმუნებ. მიუხედავად ფართოდ გაპიარებული პოლიტკორექტურობისა, ისინი ხმამაღლა აცხადებენ, რომ ყველა სხვა რელიგია, კონფესია, ცივილიზაცია ჩამორჩენილი, არასრულყოფილი და მანკიერია.

პროდასავლური პიარის ჯოჯოხეთური ზეწოლის პირობებში ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ ვატიკანის ამჟამინდელმა მეთაურმა, პაპმა ბენედიქტე XVI-მ მუჰამედს ანტიქრისტე უწოდა და განაცხადა, რომ ისლამს არაფერი შეუქმნია, ღვთის გმობის გარდა. — ასეთი განცხადებების შემდეგაც კი მუსულმან სასულიერო პირებს მცირედი შეურაცხყოფაც არ მიუყენებიათ ქრისტიანული რელიგიისათვის, ხოლო იესო ქრისტეს ისევ უდიდეს წინასწარმეტყველად თვლიან.

იმავე ბენედიქტე XVI-მ კათოლიციზმი ერთადერთ ქრისტიანულ კონფესიად გამოაცხადა. ამ განცხადებას რუსული მართლმადიდებელი ეკლესია გამოეხმაურა. მის ზედმიწევნით გაწონასწორებულ, კორექტულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ პონტიფიკოსის მოსაზრებაში ახალი არაფერია, გარდა მოსაზრების გულწრფელობისა. მართლაც, ვატიკანი თავის თავს ყოველთვის ღვთის ერთადერთ ტაძრად თვლიდა, მაგრამ უწინ საჯაროდ არასდროს გაუჟღერებია ეს მოსაზრება. თუმცა მისი პოლიტიკა ყოველთვის მიმართული იყო სხვა ქრისტიანული კონფესიების, უპირველეს ყოვლისა, მართლმადიდებლობის წინააღმდეგ. გავიხსენოთ თუნდაც კონსტანტინეპოლის დაცემის ისტორია – აღმოსავლეთის ქრისტიანობის ციტადელი შესაძლებელია არ დაცემულიყო, რომს პირობა რომ შეესრულებია და დახმარებოდა ბიზანტიას, მაგრამ რომმა პირობა არ შეასრულა, მოიტყუა.

კათოლიკები და პროტესტანტები საკუთარ სიწმინდეებსაც არ ინდობდნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს, ამერიკელებისა და ინგლისელების ავიაციამ მიწასთან გაასწორა VI საუკუნის შესანიშნავი ტაძარი – მონტეკასინო (იტალია), სადაც იმ დროისთვის არცერთი გერმანელი სამხედრო პირი არ იმყოფებოდა (აღსანიშნავია, რომ ფაშისტებმაც კი დაინდეს ეს უძველესი ტაძარი). კათოლიციზმისა და პროტესტანტიზმის ბევრი საკულტო ძეგლი (დრეზდენში, ჰამბურგში, კიოლნში და ა.შ.), განადგურებულ იქნა ამერიკული და ინგლისური საჰაერო შეიარაღებული ძალების მიერ, სამხედრო თვალსაზრისით, უაზრო, თავისი არსით კი, სადისტური დაბომბვების დროს!

შემდეგი პარადოქსული ფაქტიც გავიხსენოთ: მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკებითა და პროტესტანტებით დასახლებული ტერიტორიები ზომიერ და ცივ კლიმატურ ზონებს განეკუთვნება, ყველა ეპოქაში მძიმე ინფექციური დაავადებების კერა სწორედ აქ ჩნდებოდა და პანდემიის სახით ვრცელდებოდა. მაშინ, როცა თბილ სარტყ-

ლებში განლაგებულ მართლმადიდებლურ, ასევე მუსულმანურ ქვეყნებსაც მსგავსი პანდემიები, რომლებსაც მოსახლეობის მესამედი ეწირებოდა, არ ახსოვთ.

ეს პარადოქსი არ არის. კათოლიკე და პროტესტანტი მოსახლეობის დაბალი ფენები წარმოუდგენელ ანტისანიტარულ პირობებში ცხოვრობდნენ – საოცარ სიღარიბესა და სიბინძურეში. არსად, არცერთ ქვეყანაში უბრალო ადამიანი ისეთ მძიმე ექსპლუატაციას არ განიცდიდა, როგორც დასავლეთში.

ასე რომ, დასავლეთის „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ ერთნაირად (ან თითქმის ერთნაირად) ჩაგრავდნენ და ტანჯავდნენ საკუთარი და სხვა ქვეყნების მოსახლეობას. რაც შეეხება პიარ-განქიქებას, ეს იარაღი მხოლოდ უცხოებისადმია მიმართული. **დასავლეთი საკუთარი წარსულის შელამაზებით თავს აღარ იწუხებს, ახლა უკვე მის იდეალიზებას ახდენს.**მის მიერ კონტროლირებადი მულტი-მედია ყველა შესაძლო საშუალებით საზოგადოდ ამკვიდრებს მოსაზრებას, რომ მხოლოდ დასავლეთში ცხოვრობენ ჭეშმარიტი მორწმუნეები, ჭეშმარიტად ეკლესიური ადამიანები. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, აქ მხოლოდ ფანატიკოსი-ფუნდამენტალისტები, ერეტიკოსები ან უბრალოდ ურწმუნონი ცხოვრობენ (ყოველივე ამის შემდეგ რატომღა უნდა გაგვიკვირდეს ამჟამინდელი პაპის მხრიდან ათეისტების მისამართით შეურაცხმყოფელი გამოთქმები?). ეს თვისება მხოლოდ დასავლეთის პროპაგანდისთვის არის დამახასიათებელი. მხოლოდ დასავლეთში ხატავენ და აქვეყნებენ სხვა რელიგიების წინასწარმეტყველებსა და წმინდანებზე კარიკატურებს. მხოლოდ დასავლეთში ანიჭებენ უმაღლეს სახელმწიფოებრივ ჯილდოებს სხვა რჯულის წარმომადგენლებს, რომლებმაც საკუთარი რელიგიის წმიდა ტექსტები შეურაცხყვეს და შებილწეს (გავიხსენოთ თუნდაც მხოლოდ სილმან რუდშის ისტორია).

სამაგიეროდ, საკმარისია რომელიმე სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელმა გაიხსენოს და ხმამაღლა გააჟღეროს, რომ სწორედ დასავლეთის კონფესიებში, სრულიად აშკარად, ყოველგვარი შეფარვის გარეშე, არსებობდა რელიგიური მექრთამეობა — სიმონია, ინვესტიტურე, ინდულგენციები... რომ პრაქტიკულად მთელი ისტორიის მანძილზე, მხოლოდ დასავლეთის კონფესიის უმაღლეს იერარქთა შორის გვხვდებოდნენ გარყვნილები, მძარცველები, მკვლელები... რომ მხოლოდ დასავლეთში ნიშნავენ თავიანთი ეკლესიების იერარქებად აშკარა პედერასტებსა და პედოფილებს, მაშინვე ისმის ცილისწამება და მუქარა.

თურმე ნუ იტყვი, ყოველივე ამის გახსენება ბღალავს დასავლეთის მოსახლეობის ღირსებას, ჩრდილს აყენებს მათი ცივილიზაციის ყბადაღებულ ღირებულებებს. ფართოდ გაპიარებული მოსაზრების თანახმად, არავის აქვს უფლება ეჭვი შეიტანოს დასავლეთში მცხოვრები ადამიანების ჭეშმარიტ მორწმუნეობასა და ღვთისმოსაობაში, საეკლესიო ცხოვრების სრულყოფილების და საერთოდ მათი ცხოვრების იდეალურ წესში — ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული და ა.შ. თვალსაზრისით.

რა თქმა უნდა, დასავლეთის სინამდვილისათვის დამახასიათებელი ყველა სიმახინჯე და საშინელება დასავლეთში მცხოვრები ადამიანების შინაგანი თვისებებით არ არის განპირობებული. დასავლური ყაიდის ქრისტიანობა თავიდანვე ჩამოყალიბდა როგორც ტოტალიტარული რელიგია. კათოლიციზმის წარმოშობის შემდეგ, დასავლეთ-ევროპულ ქრისტიანობაში არსებული ტოტალიტარიზმი კიდევ უფრო გაძლიერდა. ვატიკანის იერარქია ავტორიტარული რეჟიმების და სპეცსამსახურების სტრუქტურული ვერტიკალის იდენტურია.

მართლმადიდებლობას ეროვნებათაშორისი ცენტრალიზებული ადმინისტრაცია არ გააჩნია. მართლმადიდებლობა ნაციონალური ეკლესიების სუვერენიტეტს, ავტოკეფალიას აღიარებს. უნდა აღინიშნოს, რომ არცერთ მოქმედ მონოთეისტურ რელიგიას მმართველობის ტოტალიტარული სტრუქტურა არ აქვს. სწორედ ამიტომ არ ახსოვს ისტორიას, მათი მხრიდან, კათოლიციზმის მსგავსი დანაშაულებრივი ქმედებები.

რაც შეეხება პროტესტანტიზმს: თავის დროზე ეს კონფესია ჩამოყალიბდა ვატიკანის დიქტატის წინააღმდეგ მიმართული სახალხო პროტესტის საფუძველზე, ამჟამად კი ცდილობენ ვატიკანის წიაღში მის დაბრუნებას. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც დაპირისპირებულები ერთიანდებიან. პროტესტანტიზმის მამებმა, უწევდნენ რა პროპაგანდას თავიანთი კონფესიის უაღრესად ლიბერალურ ხასიათს, სინამდვილეში ჩამოაყალიბეს კათოლიციზმის მსგავსი ტოტალიტარული და დანაშაულებრივი მიმართულება. „კუდიანებიც“ არანაკლები დაუწვიათ, სხვა რწმენის ადამიანებიც არანაკლებ ეზიზღებათ, ვიდრე კათოლიკებს. მათი ღვთისმოსაობა კი მოჩვენებითი და გარეგნულია. ალბათ, მთელმა კაცობრიობამ იცის, თუ რა იმალება ამერიკული ღირებულებების მიღმა. ამერიკის შეერთებულ შტატებში (ქვეყანაში, სადაც მილიონზე მეტი პროტესტანტული ეკლესიაა) შექმნილი ფილმები, დაწერილი სიმღერები, ზოგადად

მასობრივი კულტურა, დასცინის და მასხრად იგდებს ბიბლიურ ათ მცნებას მთლიანად, ქადაგებს სახარებისეული ზნეობის საწინააღმდეგო ღირებულებებს, ანტისახარებას. წმიდა წიგნების თანახმად, ფარისეველად მიჩნეულია ადამიანი, რომელიც რწმენას ნიღბად ატარებს. ის კი, ვინც ანტისახარებას ქადაგებს და ნამდვილად სწამს ამის, ბევრად უარესია...

კულტურა, ამ ცნების ნამდვილი მნიშვნელობით, დასავლეთში პრაქტიკულად უკვე განადგურებულია. ხელოვნების არცერთ სფეროში აღარ იქმნება შედევრები, ჭეშმარიტად მხატვრული ღირებულების ნაწარმოებები. „უმაღლესი დემოკრატიული ფასეულობების“ იარლიყით კაცობრიობას სიმახინჯეების აპოლოგიას სთავაზობენ. ამასთან ერთად, საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული ძრწოლის პანორამა, გასული საუკუნის შუა პერიოდიდან, ზღვარგადასული გარყვნილებითაა „გამდიდრებული“.

მთავარი ის არის, რომ მთელი სამყარო, ყველა ერი ვალდებულია გაიზიაროს და მიიღოს ეს „ფასეულებები“. წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხს აგებს დასავლური „დემოკრატიის“ ადეპტების წინაშე. დასავლეთი ხომ შეუბღალავი დემოკრატიის უშრეტი წყარო და ერთადერთი ჭეშმარიტი ნიმუშია. ეს ფაქტია! ყველამ უნდა გაითვალისწინოს და დაეთანხმოს მას! არავის აქვს შეპასუხების უფლება! ისევე, როგორც არავის აქვს უფლება, არ დაეთანხმოს დასავლეთის მიერ მეოცე საუკუნის მოღვაწეებისა და მოვლენების შეფასებას! მაგრამ ჩვენ გავბედეთ და შევეპასუხეთ. შევუპირისპირეთ რა ერთმანეთს ისტორიული ფაქტები და დასავლური დემოკრატიის ადეპტებისეული შეფასებანი.

თეიმურაზ მირიანაშვილი

ღია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს ბატონ რიჩარდ ნორლანდს[1]

ბატონო რიჩარდ,

დამერწმუნეთ, უკიდურესად იშვიათად ხდება ხალხის კოლექტიურ განწყობაში ისეთი კარდინალური ცვლილება, თანაც იმდენად მოკლე დროში, როგორიც ქართველების ამერიკის შეერთებული შტატებისადმი დამოკიდებულებაში მოხდა ბოლო შვიდი-ათი წლის მანძილზე.

ქართველები თითქმის ვაღმერთებდით ამერიკას. მიგვაჩნდა იგი დემოკრატიის, პროგრესის, საერთოდ ყოველივე საუკეთესოს მცველად მთელს მსოფლიოში; ყოველივე საუკეთესოს სიმბოლოდ.

დღეს კი მე ამერიკის მიერ საქართველოს თავს დატეხილი კატასტროფის თაობაზე გწერთ და ვბედავ, გთხოვოთ, ამიხსნათ, როგორ უნდა ვაფასებდეთ ქართველები ამერიკის პოლიტიკას, თუ არა როგორც გამოვლინებას გარეგნული მეგობრობისა, ხოლო სინამდვილეში კი ნეოკოლონიალიზმისა, ქართველების არასრულფასოვან ადამიანებად ჩათვლისა?..

ცხადია, არ მაქვს იმედი, რომ თქვენ, ბატონო რიჩარდ, მოიცლით პასუხის გასაცემად. თუმცა ამ ღია წერილში არა მხოლოდ პირადად ჩემი პრეტენზიებია გამოთქმული ამერიკული პოლიტიკისადმი; რასაც მე გწერთ, ამაზე ქართველთა უმრავლესობა ლაპარაკობს — თითქმის ყველა ქართველი, ამერიკის მიერ გაწვრთნილი მეხუთე კოლონის გარდა.

მაშ ასე, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვარ, პასუხს თქვენგან ვერ ველირსები, მაინც მოგახსენებთ, რა არ მოგვწონს ქა-

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №3(5), 2012

რთველებს ამერიკის დამოკიდებულებაში ჩვენი ქვეყნისადმი. რა იწვევს ჩვენს აღშფოთებას. თქმა ნამდვილად სჯობს ართქმას. ამასაც ხომ თქვენ შთაგვაგონებთ. სხვა საქმეა, რომ თქვენ თვითონ არ ითვალისწინებთ ამ შთაგონებას და ყოველნაირად უკეტავთ გზას იმ აზრს, რომელიც არ მოგწონთ, რომელიც მიუღებელია თქვენთვის და თქვენს პოლიტიკურ-პროპაგანდისტულ კონცეფციას არ შეესაბამება.

1. ამერიკა მთელს მსოფლიოში ხმამაღლა ქადაგებს დემოკრატიის პრინციპთა უპირატესობას. დემოკრატიის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი კი, თქვენივე აზრით, ისაა, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს უპირველეს პოსტზე პიროვნება შეიძლება დარჩეს მხოლოდ და მხოლოდ განსაზღვრული დროით — ორი ვადით. მაშ, რატომ უშვებთ გამონაკლისს საქართველოსთვის? როგორც მოგეხსენებათ, მ. სააკაშვილს უკვე უმთავრდება პრეზიდენტობის მეორე ვადა, მაგრამ იგი არაცმთუ არ აპირებს გადადგომას, არამედ სრულიად დაუფარავად აცხადებს, რომ არც არასოდეს გადადგება; მას სურს სიკვდილამდე იყოს საქართველოს მმართველი. რატომ დუმს ამ აღმაშფოთებელ ფაქტზე ამერიკა? ყველას კარგად გვახსოვს, როგორი ხმაური ატეხეს ამერიკამ და მიერ მიერ მხარდაჭერილმა პოლიტიკურმა ძალებმა 2008 წელს, როცა ვლადიმერ პუტინმა პრეზიდენტის პოსტიდან პრემიერ-მინისტრის პოსტზე გადაინაცვლა. მაშინ პუტინს რუსეთის კონსტიტუციის არცერთი მუხლი არ დაურღვევია. სააკაშვილმა კი კონსტიტუცია მთლიანად თავის ნებაზე მოირგო, შეიტანა მასში ყველა ცვლილება, რაც კი მოესურვებოდა, მაგრამ „დემოკრატიის ქომაგი“ აშშ დუმს. უფრო სწორად, ყველანაირად მხარს უჭერს სააკაშვილს და „დემოკრატიის შუქურად“ აცხადებს მას.

2. 2008 წელს საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში პოლიტიკური ვითარების უაღრესი დაძაბვით აღინიშნა. სააკაშვილი წინასაარჩევნო პერიოდში ყველაფერს კადრულობდა, ყველანაირ უკანონობაზე მიდიოდა. მოსახლეობის დიდ ნაწილში იმხანად ჯერ კიდევ იყო ნდობა ამერიკისადმი და ჩვენი ხალხი იმედოვნებდა, რომ აშშ არ დაუშვებდა აღვირახსნილი სააკაშვილის თავნებობას. მაგრამ რა მოხდა სინამდვილეში? არჩევნების დღეს საღამო ხანს, როცა საარჩევნო უბნებზე ჯერ კიდევ ამომრჩეველთა რიგები იდგა, ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა დაურეკა სააკაშვილს და... გამარჯვება მიულოცა. გეკითხებით, ბატონო რიჩარდ, როგორ უნდა აეხსნა ქართველ ხალხს თქვენი ქვეყნის პრეზიდენტისა და ხელისუფლების ეს საქციელი, თუ არა როგორც შეუფარავი, გაუმართლებელი მხარდაჭერა სააკაშვილისადმი?

3. უკვე 2008 წლის არჩევნების პერიოდში სააკაშვილი, ქართველი ხალხის თვალში, უკიდურესად იყო დისკრედიტირებული. მას უკვე იმ დროისთვის დაუმკვიდრდა იმიჯი გონებრივი და ზნეობრივი ხეიბრისა. ელექტორატში სააკაშვილს თითქმის არავითარი მხარდაჭერა აღარ ჰქონდა. არჩევნების წინა თვეების განმავლობაში თბილისის ქუჩებში მის წინააღმდეგ მრავალი დემონსტრაცია და მიტინგი გაიმართა. თბილისს და მთელს საქართველოს მანამდე არასოდეს უნახავს ხალხის ესოდენი მოზღვავება. რამდენჯერმე ქუჩებში გამოვიდა სამასი ათასი ადამიანი, რაც იმას ნიშნავს, ამერიკაში მიტინგ-დემონსტრაციებზე 25-30 მილიონი რომ გამოვიდეს. როგორი იყო თქვენი ქვეყნის რეაქცია ქართველი ხალხის ამ სასოწარკვეთილ ქმედებაზე? — სრული დუმილი. ამერიკამ, ზოგადად დასავლეთმა, ანუ „ცივილიზებულმა სამყარომ“ „ვერ შენიშნა“ ის აქციები. დასავლურ მედიას ისინი საერთოდ არ გაუშუქებია ისევე, როგორც დღეს „ვერ ამჩნევს“ „ცივილიზებული დასავლეთი“ საქართველოს მოქალაქეთა გრანდიოზულ აქციებს ბიძინა ივანიშვილის მხარდასაჭერად. ბ. ივანიშვილის მხარდამჭერმა აქციებმა 4-5 წლის წინანდელებს გადააჭარბა. ა. წ. 27 მაისს დემონსტრაციაში სულ ცოტა ნახევარი მილიონი ადამიანი მონაწილეობდა. მაგრამ დასავლეთმა, რომელიც ერთ ამბავს ტეხს მოსკოვში ას ორმოცდაათკაციანი ანტიპუტინური გამოსვლის გამო, თბილისში სააკაშვილის წინააღმდეგ გამოსული ნახევარი მილიონი „ვერ შენიშნა“. დასავლურ მედიას არც ეს დემონსტრაცია უჩვენებია არცერთხელ.

4. ყველა, ვინც დღეს საქართველოში ცხოვრობს, ხედავს, რომ ქვეყნის ახლანდელ პრეზიდენტს პრაქტიკულად თითქმის არავინ უჭერს მხარს. გამონაკლისს შეადგენენ მისი გარემოცვა, ოჯახის წევრები და ნათესავები, აგრეთვე, სააკაშვილისგან „ხელთდასხმული“ — უკიდურესად ვიწრო ფენა ფულისმკეთებლებისა, დღევანდელი ხელისუფლების ხელისშეწყობით და მასთან კავშირით. სოციოლოგიური გამოკვლევები კი ფანტასტიკურ, პირდაპირ ჭკუაზე-შემშლელ ციფრებს აქვეყნებენ; თურმე სააკაშვილს და მის პარტიას საქართველოს მოსახლეობის ორი მესამედი უჭერს მხარს. გამოკვლევებს, რა თქმა უნდა, „ავტორიტეტული“ ამერიკული ორგანიზაციები ატარებენ... ნუთუ ვერ ხვდება ამერიკის ხელისუფლება, რომ, ამგვარი მანიპულაციები, სპობს ამერიკის სახელმწიფოს ავტორიტეტს?! და არა მხოლოდ საქართველოში. საქართველო დღეს მთელი ჩვენი რეგიონის და უფრო ფართო სივრცის ყურადღების ცენტრშია. ჩვენი ქვეყნის მწარე გამოცდილების ცოდნამ ჩრდილოკავკასიელებს უჩვეულო

ნაბიჯი გადაადგმევინა: გასული წლის დეკემბერს რუსეთში გამართულ საპარლამენტო და 2012 წლის მარტის საპრეზიდენტო არჩევნებზე ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში ვ. პუტინმა ხმათა თითქმის 100 პროცენტი მიიღო. პუტინი და რუსეთი ამერიკისგან თავის დახსნის იმედად იქცნენ ჩვენი რეგიონის ხალხებისათვის.

5. ახლანდელ წინასაარჩევნო პერიოდში სააკაშვილი ისე მოქმედებს, როგორც მუდამ — ყველაფერს კადრულობს — ცრუპენტელობს, თაღლითობს, ყაჩაღობს, ხალხს არბევს... ბიძინა ივანიშვილმა მთელი თავისი ცხოვრებით დაიმსახურა ქართველი ხალხის ნდობა და პატივისცემა. მის წინააღმდეგ ბრძოლაში სააკაშვილს, ცხადია, არავითარი შანსი არ აქვს. ამიტომ იგი სჩადის აბსოლუტურად ყოველგვარ უკანონობას. მე არ დავიწყებ მის კრიმინალურ ქმედებათა ჩამოთვლას. თუ თქვენ, ბატონო რიჩარდ, მიგაჩნიათ, რომ „ცივილიზებული დასავლეთის“ მიერ დეკლარირებულ დემოკრატიულ ნორმათაგან არსებობს თუნდაც ერთი, რომელსაც სააკაშვილი არ არღვევდეს, დაგვისახელეთ. ამასთანავე, იქნებ ისიც აგვიხსნათ, რატომ დუმს ჩვენი პრეზიდენტის ბოროტმოქმედებებზე ამერიკის შეერთებული შტატები?

თქვენი პასუხის იმედი, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არ მაქვს. „ცივილიზებულ სამყაროს“ წესად აქვს მისთვის არასასურველ საკითხებზე წაყრუება. თუმცა იმის დაფარვას კი ვეღარ ახერხებთ, რომ „ცივილიზებული სამყაროს“ და, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებული შტატების ავტორიტეტი მეტისმეტად შეილახა მთელს დანარჩენ მსოფლიოში. დაფიქრდით, იქნებ, ამის ერთი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ცდილობთ, დემოკრატიული რიტორიკით გააბრუოთ ადამიანები და რეალურად სააკაშვილის მსგავსი გონებრივი და ზნეობრივი ხეიბრები წამოასვათ თავზე. თანაც უვადოდ, სიკვდილამდე, სიკვდილის შემდეგ კი მისნაირით ან მასზე უარესით შეცვალოთ.

უკვე ოცი წელია, რაც საქართველო აშშ-ის მეგობრად და მისი განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტად გამოაცხადეთ. ამ ოცი წლის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ და ხალხმა დაკარგა აბსოლუტურად ყველაფერი, რაც გააჩნდა. ქართველები მსოფლიოში, ყველა თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე ხალხიდან ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ ხალხად გადავიქეცით. ოც წელიწადში განადგურდა ჩვენი მაღალგანვითარებული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, მოგვესპო მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება. დაგვისახიჩრდა განათლების სისტემა...

ქართველები ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანი ერი ვართ. როდესაც კონსტანტინე დიდმა რომის იმპერიის სახელმწიფო რელიგიად

გამოაცხადა ქრისტიანობა, თითქმის იმავდროულად ქართველმა მეფემ, მირიანმა თავის ქვეყანაში დააკანონა ქრისტეს რჯული. მაგრამ უკვე მეოთხედი საუკუნეა, რაც დასავლეთიდან შემოგვესივნენ „მისიონერები“, სექტანტები, ვიღაც გაურკვეველი ადამიანები და ჩვენს სარწმუნოებას ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე შავბნელი ჟამი დაუყენეს.

ხალხის ცნობიერებაში უკუქცევის პროცესი დაიწყო. სულ უფრო და უფრო ძლიერდება კომუნისტური ეპოქის ნოსტალგია. ყოველ ნაბიჯზე გაიგონებ საუბარს იმის თაობაზე, რომ თურმე მართალნი ყოფილან კომუნისტები, რასაც კაპიტალისტებსა და დასავლეთის სამყაროზე ამბობდნენ. საბჭოთა დროის მომსწრე ადამიანებს დღეს კომუნიზმში ნაცხოვრებთ ეძახიან. ასევე დასავლეთის მიერ აგორებული ანტირუსული ისტერია შეიცვალა პრორუსული განწყობით, საქართველოს მოსახლეობის სულ ცოტა ოთხმოცდაათი პროცენტი მომხრეა იმისა, რომ რამენაირად თავი დავაღწიოთ ამერიკას, დასავლეთს და აღვადგინოთ მეგობრული ურთიერთობა რუსეთთან.

ყოველ ნაბიჯზე გაიგონებ საუბარს იმის თაობაზეც, რომ ამერიკა ქართველებს იმას გვიმზადებს, რაც თავის დროზე ინდიელებს და ზანგებს დამართა. და რომ ეს პროცესი დაწყებულია — ამერიკასთან „მეგობრობის“ ოცი წელი ჩვენი ერისთვის დემოგრაფიული კატასტროფის წლებიცაა, მაშინ, როცა რუსეთის იმპერიასა და საბჭოთა კავშირში ყოფნის 190 წლის მანძილზე ქართველთა რიცხვი რვაჯერ გაიზარდა.

იყო დრო, როცა ადამიანებს საქართველოშიც, მთელს პოსტსაბჭოურ სივრცეშიც სჯეროდა თქვენი ყოვლისწამლეკი ანტიკომუნისტური პროპაგანდის. მაგრამ დღეს, ამ თვალსაზრისითაც, გარდატეხა მოხდა. უმრავლესობას აღარ სჯერა, რომ კომუნისტები „ისტორიაში ყველაზე საშინელი დამნაშავეები“ იყვნენ. სულ უფრო ხშირად გაიგონებ, რომ ყველაფერი, რასაც დასავლეთი და მისი მეხუთე კოლონები საბჭოთა ისტორიაში ჩადენილ დანაშაულებზე ლაპარაკობენ, ცილისწამებაა, ასე რომ არ იყოსო, ამბობს ხალხი, რა უშლის დასავლეთს ხელს, რომ მოაწყოს მეორე ნიურნბერგი, ნიურნგბერგი კომუნისტების წინააღმდეგ?!

რაც შეეხება ისტორიაში ყველაზე საშინელ დანაშაულებს, გაიხსენეთ, ბატონო რიჩარდ, თქვენი ქვეყნის ისტორია: ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის გენოციდი, ზანგების სამნახევარ საუკუნოვანი მონობა და შემდეგ კიდევ საუკუნოვანი სეგრეგაციის პოლიტიკა, გაიხსენეთ მშვიდობიან ქალაქებში ჩამოყრილი ატომური ბომბები,

ამერიკის მიერ ატეხილი უთვალავი ომი, რომელთა უსამართლო ხასიათს დღეს ამერიკული პროპაგანდაც კი ვეღარ უარყოფს. გაიხსენეთ მარტო მეოცე საუკუნეში ამერიკის მიერ სხვადასხვა ქვეყანაში მოწყობილი ასზე მეტი სახელმწიფო გადატრიალება...

ქართველები ვხედავთ, რომ ჩვენს ქვეყანაში მზადდება მორიგი სახელმწიფო გადატრიალება (არჩევნების შედეგების კიდევ ერთი გაყალბება). თუ გამარჯვება 1 ოქტომბერსაც საკაშვილს დარჩა, საქართველოს მოქალაქეები, დარწმუნებული ვარ, მასობრივად გამოვლენ ქუჩებში. ჩვენი ხალხი ვეღარ აიტანს საკაშვილის ტირანიას! თუ ცნებებმა: სამართლიანობამ, დემოკრატიამ, მეგობრობამ შინაარსი დაკარგა და ცარიელ სიტყვებად იქცა, მის წილხვედრილ ქვეყანას ყოვლადწმინდა ღმრთისმშობელი არ მიატოვებს და იხსნის ჩვენს ისტორიაში ერთი ყველაზე უარესი მმართველისაგან.

გვანცა კოპლატაძე

«ვისაც რომ სამშობლო უყვარს, სიცოცხლე მისთვის ომია»[1]

მე-19 საუკუნის მიწურულს, როცა მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკურად დაწინაურებულ ქვეყნებში აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია ზნეობისა და სამართლიანობის ფულზე დამყარებული მძლავრობით ჩანაცვლებისა, ილია ჭავჭავაძემ პირველმა იგრძნო ის საფრთხე, რომელიც ახალმა ვითარებამ მისი პატარა სამშობლოს არსებობას შეუქმნა. ამჯერად ქართველობას იარაღიანი მტრისაგან ფიზიკური განადგურება კი არ ემუქრებოდა, არამედ სულიერი გადაგვარება, რასაც ბუნებრივად მისი ფიზიკური სიკვდილიც მოჰყვებოდა. ამგვარი ომის საწარმოებლად მტერს შესაფერისი იარაღიც შერჩეული ჰქონდა — ცოდნა-მოხერხება და ფული, რომლითაც, ადამიანის დაცემული ბუნებიდან გამომდინარე, ყველაფრის ყიდვა შეიძლება, მათ შორის – სინდისისაც. ამ დროს, რადგან ქვეყანას არც მეფე ჰყავდა და არც საკუთარი საერო და საეკლესიო ხელისუფლება, ერის ბედზე ზრუნვა უწინარესად მის მოაზროვნე ნაწილს, ინტელიგენციას უნდა ეკისრა, მას უნდა გაეანალიზებინა შექმნილი ვითარება და ხალხისთვის განემარტა, რაც მის თავს ხდებოდა; თვითონაც იმ იარაღით უნდა შეიარაღებულიყო და ხალხიც იმავე იარაღით აღეჭურვა, რითაც მტერი მოდიოდა, ანუ ცოდნისათვის ცოდნა უნდა დაეპირისპირებინა, ხერხისთვის — ხერხი და ფულისთვის თავაუღებელი ჯაფა და გარჯა, რათა ქვეყანას საკუთარი შემოსავალი ჰქონოდა და სამათხოვროდ ხელი სხ-

1 პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №3(5), 2012

ვისთვის არ გაეწვდინა.

ყოველმა ერმა, რომელსაც თავის გადარჩენა სურს, უნდა იცოდეს მოცემულ კონკრეტულ დროში რისი გაკეთება ჰმართებს. ილიას აზრით, ჩვენი პატარა ქვეყნის გადარჩენის ერთი ძირითადი მიზეზთაგანი სწორედ ის იყო, რომ ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ, რომელ „დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შემოგვინახა!... იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სილბო გვქონდა ნაქსოვისა — ვით ქრისტიანებს და სიმტკიცე ნაჭედისა“ — ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა“.[2]

ხედავდა რა საზოგადოების უმოქმედობას კარს მომდგარი საფრთხის წინაშე, წმ. ილია მართალი მას სამართლიანად საყვედურობდა: „არ ვიცით — რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ — რანი ვართ, ვერ გამოგვისახია — რანი ვიქნებით“.[3]ამიტომ თვითონ განმარტავდა იმასაც, რა მოთხოვნებს უყენებდა ახალი დრო მის სამშობლოს და იმასაც, როგორი პასუხი უნდა გაეცათ ამ მოთხოვნებისათვის: „ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც ზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეთა-მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითია სულითა, ცოდნითა და მარჯვენითა“.[4]

სამწუხაროდ, ილიას ეჭვი ეპარებოდა, რომ მის თანამედროვე ქართველობას რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე სჭირდა, ამიტომ ახალი წლის მისალოცად დაწერილ წერილში „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ (1897 წ.) გონიერი და მამულის ბედზე დაფიქრებული მკითხველებისათვის სასიხარულო სათქმელი არც არაფერი ჰქონდა. სამაგიეროდ იგი საზოგადოებას აფრთხილებდა, რომ, რაც

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, თბ., 1955. გვ. 12.

[3] იქვე,გვ. 14.

[4] იქვე, გვ. 13-14.

„ხმლიანმა მტერმა“ ვერ შეძლო — სამშობლო ვერ წაგვართვა, — იმას „შრომითა და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული“ მტერი შეძლებდა — თან გაგვიტანდა, ფეხქვეშ მიწას გამოგვაცლიდა, სახელს გაგვიქრობდა და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, დაეპატრონებოდა, თუ მას წინ ჩვენი მხრიდანაც შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს არ მივაგებებდით და არ დავახვედრებდით.

გასაოცრად ემთხვევა ილია ჭავჭავაძის მიერ აღწერილი ვითარება იმ ვითარებას, რომელშიც დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ, მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში აღმოვჩნდით და დღემდე ვიმყოფებით, ოღონდ მდგომარეობა ბევრად უფრო დამძიმებულია, იმ გარემოებით, რომ დღეს ამ ფარული ომის მწარმოებელნი ადამიანთა ფსიქიკაზე ზემოქმედების ბევრად უფრო მრავალფეროვანი იარაღით არიან აღჭურვილნი და ბევრად უფრო დახვეწილი ტექნოლოგიებით მოქმედებენ. ამიტომ დღეს კიდევ უფრო ღრმა და უძიროა ის თხრილი, რომელზეც ი. ჭავჭავაძე წერდა და რომელიც ქართველი ერის დასამარხად იყო გათხრილი, დღესაც ერთი ხელის კვრაა საჭირო, რომ „შიგ დედაბუდიანად გადავიჩეხოთ“, ისე რომ ჩვენი ძვლები ორბმა და არწივმაც კი ვერ იპოვოს. ხოლო ჩვენ ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი მდგომარეობა საფუძვლიანად გავაანალიზოთ, დროის შესაფერისი ცოდნით აღვიჭურვოთ და თავის გადასარჩენად მისი შესაფერისი ხერხი და ღონე მოვძებნოთ, ისევე როგორც ილიას დროს, ამ თხრილის პირას „ვდგევართ და უღონოდა ვბზუით „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და ამ ბზუილიდამ არა გამოდის რა“.

თავი და თავი ჩვენი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგომისა, რომელიც ლამის უკვე მეოთხედი საუკუნეა გრძელდება, ისაა, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან, როცა საბჭოთა იმპერიის რღვევის პროცესი ინტენსიურად წარიმართა, ერი ფაქტობრივად უწინამძღვროდ დარჩა. ინტელიგენციას, რომელსაც, როგორც საზოგადოების მოაზროვნე ნაწილს, დროის შესაფერისი ცოდნის გამომჟღავნება და გადარჩენის ხერხებისა და ღონის მოძიება ყველაზე მეტად მოეთხოვებოდა, ამისთვის არც ძალა ეყო და არც გაბედულება. რა თქმა უნდა, ყველაზე ამის თქმა არ შეიძლება, მაგრამ ისინი, რომელთაც გაბედულებაც ჰქონდათ სიმართლის სათქმელად და გონიერებაც ჰყოფნიდათ შექმნილი ქაოსური მდგომარეობიდან გამოსავლის მოსაძებნად, იმდენად მცირერიცხოვანნი აღმოჩნდნენ, რომ მათი ხმა ადვილად გადაფარეს

ნაწვიმარზე სოკოებით მომრავლებულმა პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა, რომელნიც, სრულიად გაუგებარი იყო, ერთბაშად რა დამსახურებით იქცნენ ჭკუის საკითხავ პიროვნებებად და ერის ბედის გამგებლებად. სინამდვილეში ასეთებად ისინი საინფორმაციო საშუალებებმა — ტელე-რადიო არხებმა და ჟურნალ-გაზეთებმა აქციეს, რომელთაც, მათი ლამის ყოველდღიური მიწვევითა და ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე გამართული „სჯა-ბაასით“, რაც უმეტესწილად უმეცრებისა, და შესაბამისად, ამპარტავნობის ზეიმს წარმოადგენდა, მათ პოპულარიზაციაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს.

სამწუხაროდ, ეს პროცესი დღესაც წარმატებით გრძელდება, რადგან პოლიტიკური პარტიების ლიდერებს ე.წ. ექსპერტები, თეოლოგები, ფილოსოფოსები თუ საზოგადო მოღვაწენიც შეემატნენ, რომელთაც ეს როლები სრულიად დაუმსახურებლად მოირგეს და ელექტრონული თუ ბეჭდური მედიის საშუალებით, შესაბამისად საკუთარი არჩევანისა თუ სუბიექტური შეხედულებებისა, მენტორული ტონით ჩვენს ხალხს დაუსრულებლად მოძღვრავენ.

უკიდურესი ეკონომიკური შეჭირვების გამო, არსებობისათვის ყოველდღიური ბრძოლით დაქანცულ ადამიანებს უკვე უჭირს ამ აზრებისა და შეხედულებების კორიანტელში გარჩევა იმისა, ვინ ეუბნება სიმართლეს და ვინ ატყუებს, ვინაა ჭეშმარიტი გულშემატკივარი ქვეყნისა და ერისა და ვინ მხოლოდ საკუთარი პრივილიგირებული მდგომარეობის შენარჩუნებაზე ზრუნავს. ურცხვად ნათქვამ ტყუილებზე მეტად ხალხს სანახევროდ მხილებული სიმართლე აბნევს, რომელშიც ძირითადად ე. წ. ოპოზიციური პარტიების ლიდერები არიან გაწაფულნი.

ამგვარი შეგნებულად და წინასწარგანზრახულად აბურდულ-დაბურდული და ქაოსური მდგომარეობიდან თავის დაღწევისათვის მხოლოდ ერთი ორიენტირი არსებობს — ზნეობრივი კრიტერიუმები, რომელიც თეთრისა და შავის, სიკეთისა და ბოროტების, სათნოებისა და ცოდვის ერთმანეთისაგან გარჩევასა და, შესაბამისად, არჩევანის სწორად გაკეთებაში დაგვეხმარება.

ამ ორიენტირის არსებობა მხედველობიდან არც მტერს გამორჩა და მისი სრული წაშლისათვის უკვე კარგა ხანია იბრძვის, განსაკუთრებით ხელოვნების ცალკეული დარგების იმგვარი „შედევრების“ შექმნით, რომელნიც ბოროტებასა და ცოდვას ადამიანის ისეთივე ბუნებრივ მდგომარეობად მიიჩნევენ, როგორც სიკეთესა და სათნოებას და, აქედან გამომდინარე, მათ არსებობას ყოველ-

გვარი გამყოფი ზღვარის გარეშე წარმოადგენენ. სამწუხაროდ, ამ ზღვარის უარყოფით მათ მიზანს ნაწილობრივ უკვე მიაღწიეს, რადგან პიროვნების საქმიანობის შეფასებისას თუ მოვლენების ანალიზისას დასკვნების გამოტანა ზნეობრივი კრიტერიუმების გამოყენებით თანდათან უფრო კლებულობს და იშვიათი ხდება. დღეს სიკეთისა და ბოროტების, სათნოებისა და ცოდვის ერთმანეთისაგან გარჩევისა და, აქედან გამომდნარე, ზნეობრივ ღირებულებათა დაცვისაკენ მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია მოგვიწოდებს. ამას ყბადაღებული ლიბერალიზმის დამცველებიც კარგად ხედავენ და რამდენადაც თვითონ პიროვნების თავისუფლებას მისი ყველაზე მდაბალი და ცხოველური ინსტიქტებისათვის გასაქანის მიცემასთან აიგივებენ, თავიანთი გზიდან ეკლესიის — ამ უკანასკნელი დაბრკოლების, ჩამოსაცილებლად არცერთ ხერხსა და საშუალებას არ თაკილობენ, რაც მათი მრწამსიდან ბუნებრივად გამომდინარეობს.

თუ უახლოეს წარსულშიც კი, ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო, რომ ადამიანს ზნეობის ძირითადი პრინციპები ღმრთისაგან შესაქმეშივე ბოძებული მხოლოდ ბუნებითი სჯულით — სინდისით დაეცვა, ჩვენს დროში ზნეობრივი იდეალების ერთგულება და მათი მიხედვით ცხოვრება მართლმადიდებელი ეკლესიის წევრობის გარეშე, უკვე შეუძლებელი ხდება. აქვე შევნიშნავთ, რომ ეკლესიის გაიგივება მის რომელიმე მართლაც უღირს მსახურთან, უდიდეს შეცდომას წარმოადგენს, რადგანაც იგი ხომალდია, რომლითაც ადამიანმა ცხოვრების აბობოქრებული ზღვა უნდა გადალახოს და თუ ამ დროს რომელიმე მენიჩბე ნიჩაბს უკუღმა მოუსვამს ან საერთოდ ხელიდან გააგდებს, ეს ხომალდის მიმართულებას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეცვლის, რადგან მისი მესაჭე თავად უფალი იესო ქრისტეა.

ეკლესიური ცხოვრების სწორად წარმართვა არა მხოლოდ მღვდელმსახურებზე, არამედ ჩვენზეც, მის წევრებზეცაა დამოკიდებული. მართალია, სამ ათეულ წელზე მეტია ჩვენი პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის თავდადებულმა სულიერმა მოღვაწეობამ ერის ცხოვრებაში გარდატეხა მოახდინა და წინაპრებისაგან ნაცად, ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზაზე მრავალი მოაქცია, მაგრამ რამდენადაც ყველაზე მეტად ქრისტესგან ბოძებული იმ ორი ძირითადი მცნების შესრულება გვიჭირს, რომელიც ჩვენს ეკლესიურ ცხოვრებას უნდა დავუდოთ საფუძვლად: 1. შეიყვარე უფალი ღმერთი შენი მთელი შენი არსებით და 2. შეიყვარე მოყვასი ვითარცა თავი შენი, — ამდენად ჩვენი მორწმუნეობაც

უფრო ფასადური და ზედაპირულია, ვიდრე სულსა და გულში ღრმად ფესვებგადგმული, რადგან, როგორც კი მას ცხოვრება გამოცდას მოუწყობს, მაშინვე გარედან წასმული საღებავივით ადვილად ჩამოგვერეცხება ხოლმე (წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი).

რაც შეეხება პირველ მცნებას, ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ ის დავამტკიცეთ, რომ უფრო დიდი მიდრეკილება კერპების თაყვანისცემისაკენ გვაქვს, რაც სარწმუნოებით გვეკრძალება, ვიდრე ღმრთის მთელი არსებით შეყვარებისკენ. აქვე მინდა შევნიშნო, რომ სიყვარული და გაკერპება, როგორც ამას წმ. წერილი გვასწავლის არსებითად განსხვავებული ცნებებია. მაცხოვარმა ადამიანის სიყვარული, მიუხედავად მისი ღირსეულობა-უღირსობისა და ჩვენთან დამოკიდებულებისა — მტერია თუ მოყვარე, იმ მცნებად დაგვიდო, რომლის შესრულების გარეშე ვერც რჯულს აღვასრულებთ: **ხოლო მე გეტყჳ თქუენ: გიყუარდედ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ** (მთ. V, 44). ხოლო იმ ათი მცნებიდან, რომელიც მოსეს სინას მთაზე მისცა, ერთ-ერთით ყოველგვარი ქმნილების, და მათ შორისაა ადამიანიც, თაყვანისცემა აგვიკრძალა: **არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველი მსგავსებაჲ, რაოდენი ცათა შინა-ზე და რაოდენი ქუეყანასა ზედა-ქუე და რაოდენნი წყალთა ქუეშეთ ქუეყანისა. არა თაყუანისცე მათ, არცა ჰმსახურო მათ** (გამს. XX, 4-5).

როგორ უნდა გავარჩიოთ სიყვარული გაკერპებისაგან? სიყვარული არ გულისხმობს ადამიანის ნაკლოვან მხარეებზე თვალის დახუჭვას, მის გაიდეალებას, ჩვენ გვიყვარს იგი ისეთი, როგორიც სინამდვილეშია — თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით, რადგან ქმნილება არ შეიძლება სრულყოფილი იყოს, სრულყოფილება მხოლოდ ღმრთის თვისებაა. ადამიანს ოდენ სრულყოფის დაუსრულებელი კიბის საფეხურებზე სიკეთის სამსახურით თანდათანობით ამაღლება და სრულყოფასთან, რაც შეიძლება, მეტად მიახლოება ხელეწიფება.

გაკერპება კი ნიშნავს, რომ არა მხოლოდ ჩვენ ვერ ვხედავთ, ან არ გვინდა დავინახოთ ადამიანის ნაკლოვანი მხარეები, არამედ სხვებისგანაც იმავეს მოვითხოვთ, ქმნილებას შემოქმედის თვისებას — სრულყოფილებას ვანიჭებთ და ამდენად, ვაყენებთ რა ღმერთის ადგილას, თაყვანს-ვცემთ და ვემსახურებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კერპთაყვანისმცემლობა უკვე თავისთავად გამორიცხავს ღმრთის მთელი არსებით შეყვარებას და

მის თაყვანისცემას, რადგან, როგორც სახარება გვასწავლის, ორი ბატონის სამსახური არავის შეუძლია.

ისევ და ისევ ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, ერის გაძღოლის ინიციატივა, ინტელიგენციის უსუსურობის გამო, რა თქმა უნდა, გარეშე და შინაური მტრების ხელშეწყობითაც, თავიდანვე კერპთაყვანისმცემლებმა იგდეს ხელთ და მის დათმობას არც დღეს აპირებენ. მაშინაც კი, როცა მათი კერპები ღმრთისა და ეკლესიის სწავლებას სიტყვითაც და საქმითაც აშკარად უპირისპირდებოდნენ და უპირისპირდებიან, არა მხოლოდ თვითონ აკეთებენ არჩევანს ღმერთსა და გაკერპებულ პიროვნებას შორის, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, არამედ საზოგადოების მორწმუნე და გონიერი ნაწილისაგანაც კატეგორიულად იმავეს მოითხოვენ. ამ მოთხოვნის კატეგორიულობაზე მეტყველებს არა მხოლოდ ფსიქოლოგიური ზემოქმედება სხვაგვარად მოაზროვნეებზე (ქართული სახელმწიფოს მტრად და მოღალატედ გამოცხადება), არამედ ხშირად მათი ფიზიკურად დევნა-შევიწროვებაც.

კერპთაყვანისმცემლობაა სწორედ მიზეზი მეორე ძირითადი მცნების, რომელიც ჩვენგან ზოგადად კაცთმოყვარეობას, ადამიანის სიყვარულს მოითხოვს, შეუსრულებლობისა. მისი მიმდევრებისთვის, რომელნიც საზოგადოების ყველაზე აქტიურ ნაწილს შეადგენენ, ის ადამიანები, რომელთაც ღმრთისა და მოყვასის სიყვარულით ცხოვრება სურთ, არა სიყვარულის, არამედ სიძულვილისა და მტრობის ობიექტები ხდებიან. ყველაზე საშიში ისაა, რომ ეს სენი, სხვაგვარად მოაზროვნის მტრად მიჩნევისა, თანდათანობით ფეხს ერშიც იკიდებს. ადამიანები, რომელნიც პოლიტიკურ საქმიანობას არ ეწევიან, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზის გამო, რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდამჭერნი არიან, ხშირად აგრესიულად ესხმიან თავს მათ, რომელნიც კეთილგანწყობას სხვა ძალების მიმართ ამჟღავნებენ. კიდევ უფრო სამწუხარო ისაა, რომ ახალგაზრდობაც ამ მაგალითზე იზრდება და თვითონაც კატეგორიულ აზროვნებას ეჩვევა. გამოდის, რომ ჩვენი სიყვარული და პატივისცემა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა, რის გამოხატვაშიც ხშირად ერთმანეთს ვეჯიბრებით, მხოლოდ გარეგნული ყოფილა და არა ჭეშმარიტი, რადგან არც მას ვუგდებთ ყურს, როცა შეგვაგონებს, რომ მორწმუნესა და გონიერ ადამიანს კატეგორიული აზროვნება არა მხოლოდ არ შეშვენის, არამედ საშიშიცაა.

ჩვენი ჟურნალის ორმა ახალგაზრდა ავტორმა, რომელთა წიგნიერება და სარწმუნოებისადმი პატივისცემა იმედს იძლეოდა, რომ

სერიოზულ მკვლევარებად, ერისა და ქვეყნის ერთგულ მსახურებად ჩამოყალიბდებოდნენ, და ამიტომ რედაქციაც შეძლებისდაგვარად ცდილობდა ხელი შეეწყო მათთვის, წერილობით გვაცნობეს, რომ ჟურნალთან თანამშრომლობას ვეღარ გააგრძელებდნენ, რადგან ერთ-ერთი გარდაცვლილი სასულიერო პირის მოღვაწეობის შესახებ მათგან განსხვავებული თვალსაზრისი აღმოგვაჩნდა. ნიშანდობლივია, რომ მათ ურთიერთობა ისე გაწყვიტეს, რომ გარკვევაც კი არ მოისურვეს იმისა, რა მიზეზები ჰქონდა ჩვენს შეხედულებას. აი, მრავლისმეტყველი მაგალითი ერთი ჩვეულებრივი სასულიერო პირის (იგი წმინდანთა დასში არ ირიცხება) გაკერპებისა და მისგან გამომდინარე, კატეგორიული შეუწყნარებლობა არა მარტო სხვაგვარი **აზრისა,** არამედ იმ **ადამიანებისაც,** რომელთაც ეს აზრი აქვთ.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რა უფლებით ვდებთ ბრალს კომუნისტებს თავისუფალი აზროვნების შეზღუდვაში, თუ ჩვენც ზუსტად მათსავით ვიქცევით, როცა სხვა აზრი ჩვენსას არ ემთხვევა და ჩვენს ინტერესებს ეწინააღმდეგება. სხვათა შორის ისინიც სხვაგვარად მოაზროვნეებს ავიწროვებდნენ და არა თანამოაზრეებს.

დღევანდელი ტერიტორიებწართმეული, ეკონომიკურად გაჩანაგებული, კულტურის დაბალ დონეზე მდგომი, თითქმის უწიგნური საქართველოს „შემოქმედნი“ როგორც კი ვინმე ამ მტკივნეულ პრობლემებზე ლაპარაკს გაბედავს, პროტესტის გამომხატველს მაშინვე წარსულში დაბრუნებით აშინებენ (როცა საქართველო ტერიტორიულად მთლიანი, ხოლო ეკონომიკურად და კულტურულად აყვავებული იყო, განსაკუთრებით დღევანდელთან შედარებით) და შეახსენებენ, რომ მაშინ პიროვნებასაც და ქვეყანასაც თავისუფლება წართმეული ჰქონდა. მინდა ვიკითხო: დღეს თავისუფალნი ვართ? თუ თავისუფლებას ადამიანის ყველაზე მდაბალი და ცხოველური ინსტიქტებისთვის გასაქანის მიცემასთან გავაიგივებთ, ალბათ, კი. შეიძლება ვინმემ მიპასუხოს, კომუნისტურ ეპოქაში ხელისუფლების ასე მწარედ გაკრიტიკების უფლებას არავინ მოგვცემდაო. მაგრამ ისიც ვიკითხოთ, რა აზრი აქვს კრიტიკას, თუკი მას ხელისუფლება პასუხობს ანდაზით: „ძაღლი ყეფს, ქარავანი კი მიდის“. ამგვარ ვითარებაში კრიტიკას მხოლოდ „გულის მოფხანის“ ფუნქციაღა რჩება, მაგრამ როგორც დიდი ილია გვასწავლის, ფხანა ქეცმა იცის, ჩვენ კი არა გულის გაქეციანება, არამედ საკუთარი ცოდვების აღიარებით მისი გაწმენდა გვჭირდება, რათა სულიერი თვალი აგვეხილოს და ისიც სწორად გავიაზროთ „რანი ვყოფილვართ“, ისიც, „რანი ვართ“

და ისიც, როგორი მომავალი გვინდა რომ გვქონდეს.

„ვისაც რომ ქვეყანა უყვარს, სიცოცხლე მისთვის ომია“, — ბრძანა ვაჟა-ფშაველამ. ადვილი მისახვედრია, რომ ჩვენი სახელოვანი პოეტი აქ იარაღით ხელში ბრძოლას არ გულისხმობს. ამ ომში, რომელიც ჭეშმარიტი მამულიშვილისათვის მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება, ქვეყანაში განვითარებული მოვლენებისათვის ფხიზლად თვალ-ყურის დევნება, გარეშე და შინაური მტრებისათვის საკადრისი პასუხის გაცემა, დროთა შესაფერისი ცოდნის შეძენა, ავის მსურველთაგან თავისა და ეროვნული ინტერესების დასაცავად ყოველდღიურად გაწეული ჯაფა და შრომა იგულისხმება. როგორც წმ. ილია მართალი იტყოდა, დღეს ჩვენი საბრძოლო ასპარეზი ესაა, რომელზეც გამართული ომი, თუ საქართველოს სიცოცხლე გვსურს, აუცილებლად უნდა მოვიგოთ.





ზურაბ ცუცქირიძე

საშობლო საფრთხეშია[1]

ნუ იფიქრებთ, რომ ამ წერილის ავტორმა არ იცის იმ ლოზუნგის ისტორია, რომელიც სათაურშია გამოტანილი. ვიცი, როგორ არა! ეს ლოზუნგი სხვადასხვა ვარიაციით არაერთხელ გაცოცხლებულა ქვეყნისა და ხალხის ძნელბედობისას, სხვადასხვა ეპოქასა და სხვადასხვა სახელმწიფოში. უკანასკნელად იგი 1941 წლის შემოდგომაზე გამოჩნდა, როდესაც გერმანელ ფაშისტთა ურდოები ყოფილი საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვს უშუალოდ დაემუქრნენ. მაშინ ამ ლოზუნგმა დიდი მაორგანიზებელი როლი შეასრულა. თუმცა, შეიძლება ეს მხოლოდ ამ ლოზუნგის ემოციური მუხტის გავლენა არ იყო. უზარმაზარ მაორგანიზებელ ძალას, ამას, ალბათ, ის ფოლადის კაცი აძლევდა, ვინც მაშინ ქვეყნის საჭესთან იდგა.

ახლა ის ცეცხლოვანი ლოზუნგი რომ გავიხსენე, იმის იმედი როდი მაქვს, ხალხი დაირაზმება სამშობლოს გადასარჩენად-მეთქი. არა. მე მხოლოდ მინდა ჩემი და ჩემი კოლეგების, თანამშრომლების, თაანამოაზრეების უკიდურესი შეშფოთება გამოვხატო და სათაურში გამოტანილი ამ ლოზუნგით მივანიშნო, რომ საქართველოს იმაზე ნაკლები საფრთხე არ ემუქრება, ვიდრე საბჭოთა კავშირის ხალხებსა თუ საფრანგეთის ახალგაზრდა რესპუბლიკას ემუქრებოდა თავის დროზე.

მტერი ხმლითა და თოფით კი აღარ მოდის, ცოდნითა და ფულით მოდისო, — გვაფრთხილებდა დიდი ილია. — ცხოვრებას თუ ერთი წუთით თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსო.

რა ზუსტად უთქვამს და ჯერ კიდევ როდის უთქვამს იმ სულ-

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №3(5), 2012

კურთხეულს!

რახან მტერი ცოდნითა და ფულით მოდის, ცხადია, იგი შენიღბულია და მეგობრად, გულშემატკივრად, შემწედ, ქველმოქმედად ასაღებს თავს. მოდის საჩუქრებით და, უფრო ხშირად, ქრთამით. მე შენ გეტყვი და საქართველოში კაცის მოქრთამვა გაუჭირდება! ყოველ ნაბიჯზე იპოვნი ისეთს, ოცდაათ თუ არა, ასოცდაათ ვერცხლად რომ მაინც გაჰყიდის მოყვასს.

დღეს ბრძენთა ხმობა აღარ არის საჭირო იმის გასაგებად, რომ ჩვენს მტრებსა და მათი ვერცხლით ტვინგადაბრუნებულ ქართველებს (გვარით ქართველებს!) ქართული ეროვნული ცნობიერების დანგრევა აქვთ გადაწყვეტილი. კარგად ორგანიზებული, მასირებული შეტევა ეროვნულ ღირებულებებზე „შეუიარაღებელი თვალითაც“ ჩანს. კონსულტანტები და ჭკუისდამრიგებლებიც რომ არ აკლიათ! მოზარდებსა და ახალგაზრდობაზეა მიმართული მათი პროპაგანდისტული ზეგავლენის თაფლში ამოვლებული შხამიანი ისრები. აბა, ჩამოყალიბებული, ზრდასრული, ცხოვრებისეული გამოცდილებით აღჭურვილი პიროვნების შეგნებას ხომ ვერ შეცვლიან უვიცი და ხეპრე, ზნეობისაგან დაცლილი გავლენის აგენტები.

სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩაო წინაპართაგან, — გვმოძღვრავდა დიდი ილია, — მამული, ენა, სარწმუნოება. ამ საუნჯეს თუ არ გავუფრთხილდით და არ მოვუარეთ, რაღა კაცები ვიქნებითო, — დასძენდა. სწორედ ეს „ეროვნული სამება“ ამოიღეს მიზანში ამ ადამიანის სახედაკარგულებმა.

ჩვენს მამულს გარეშე მტრებმა შინაურთა ხელშეწყობით რაც დამართეს, მტერს დაემართოს ისეთი! გურამიშვილის თქმისა არ იყოს, როცა ჩვენი მამლები აიქოჩრნენ და ქანდარაზე მოხერხებული ადგილების დასაკავებლად ერთმანეთს წაეკიდნენ, იქვე ჩასაფრებულმა ტურა-მელიებმა ისარგებლეს და ჩვენი მამულის ხარჯზე კაი გვარიანი ლუკმა იგდეს ხელთ. იმის ნაცვლად, რომ გონს მოვსულიყავით, ჩვენმა ხელისუფლებამ წინაპართა სამკვიდროს ერთი ნაწილი ძალით შეაჩეჩა მტერს: შიდა ქართლს „სამხრეთ ოსეთი“ ხელახლა უწოდა, კოდორის ხეობის სვანეთს „ზემო აფხაზეთი“ დაარქვა, რითაც წამგლეჯებს უთხრა: ეს ტერიტორიები საქართველოსი არ გეგონოთო, მოდით მიიერთეთო! იმათაც სხვა რაღა უნდოდათ!

ეს ეგრეთ წოდებული სეპარატისტულ რეგიონებზე ვთქვი, მაგრამ, ის რაც ვითომ ჯერჯერობით ჩვენია, მართლა ჩვენია?

ჩვენი ჰქვია იმ რაიონსა თუ რეგიონს, სადაც ქართულად ვერავის დაელაპარაკები? სადაც ქართული სკოლები აღარ არის?

(ქართველები აღარ ცხოვრობენ და ქართული სკოლები რატომ უნდა იყოს, ნეტავი!). საქართველო ჰქვია იმას, სადაც მიწა-წყლის ორი მესამედი ბარდაუკვრელია და ყამირად არის ქცეული? (ჩვენ კი უცხოური ბაღლინჯოიანი ფქვილით გამომცხვარი პურით ვიწამლებით).

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: **წინაპართაგან დატოვებული ერთი საუნჯეთაგანი — მამული — ხელყოფილია.**

როგორც კი ნაციონალური მოძრაობა მოვიდა ხელისუფლების სათავეში, მაშინვე გამოვლინდა ყოველგვარი ქართულისადმი სიძულვილი. პირველ ყოვლისა, უგულებელყვეს ეროვნების საფუძველთა საფუძვლის — ენის მნიშვნელობა. ქართული ენისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება ნორმად იქცა და სახელმწიფო პოლიტიკის რანგში დამკვიდრდა. მეტიც. განათლების ვაი-რეფორმატორთა ერთ-ერთმა იდეოლოგმა განაცხადა: ინგლისური ენის უცოდნელად წარმატებული ადამიანი ვერ იქნებიო. ესე იგი, შენი ქვეყნის სახელმწიფო ენა გინდა გცოდნია, გინდა არა, ამას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი ინგლისურის ცოდნაა. ამის მთქმელი ისე სულელი არა მგონია, მართლა ასე ფიქრობდეს. ეს უფრო სხვისი დავალების შესრულებას ჰგავს. აბა, მევენახე, მძღოლი, მემანქანე, პოეტი, მწერალი, მუსიკოსი, მსახიობი, ხარაზი თუ ხაბაზი ინგლისური ენის უცოდნელად წარმატებული ვერ იქნება?

შენს მშობლიურ ენას, რომელსაც კონსტიტუციურად სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს მინიჭებული, ასე რომ დაამცირებ, ეროვნული საუნჯის ხელყოფაა, აბა, რა ჯანდაბაა? როდესაც ქალაქის ცენტრში ბევრი დაწესებულების აბრებზე მხოლოდ უცხოური დასახელებებია აღნიშნული, ქართული ენის — სახელმწიფო ენის აბუჩად აგდება არ არის?

ქართული ენის დამცირება-დაკნინების, მისი ლიტერატურული ნორმების სრული უგულებელყოფისა და ელემენტარული უვიცობის მუდმივ დემონსტრირებას ახდენენ ჩვენი ტელევიზიები. ქართველი ტელეწამყვანები რა კილოზე ლაპარაკობენ, რა ჟარგონებს ხმარობენ, ქართულისათვის რა არაბუნებრივ მახვილებს იყენებენ, გაოგნდები კაცი! ქართული ლექსიკა ხომ არ იციან და არა! ბარბარიზმებს ისე ხმარობენ, წარმოდგენაც არ აქვთ, რას სჩადიან. ასე მგონია, საგანგებოდ ცდილობენ, ისე ილაპარაკონ, როგორც ამერიკელი ილაპარაკებდა ახლადნასწავლი ქართულით.

ეს ტუტუცი გოგო-ბიჭები სისულელეს რომ იტყვიან ტელეეთერში, უხერხულობას კი არ გრძნობენ ათიათასობით

ქართველი მაყურებლის წინაშე, სიცილით იხოცებიან, უხარიათ, ეს რა მაგარი სისულელე წამოვროშეთო. ამას წინათ, დილის გადაცემაში ისე გადაფიჩინდა ერთი ცნობილი ტელეწამყვანი, დარწმუნებული ვარ, მის ნაცვლად ჩემთან ერთად უამრავი მაყურებელი ჩავარდა უხერხულ მდგომარეობაში.

წინაპართაგან ნაანდერძევი მეორე საუნჯეც ხელყოფილია.

და მაინც, ყველაზე გააფთრებული შეტევა ჩვენს ზნეობაზეა; ზღვარდაუდებელი ლიბერალები გაცოფებული უტევენ იმ საფუძვლებს, რასაც ქართული ეროვნული ცნობიერება ეფუძნება. ეროვნულ ღირებულებაზე ლაპარაკი ჩვენს ე. წ. ლიბერალისტებს უიმედო ჩამორჩენილობად მიაჩნიათ. ამ უზნეო გრანტიყლაპიებს, რომელთა უმეტესობას არც გარკვეული ეროვნება, არც გარკვეული სქესი და სარწ-მუნოება აქვს, მიაჩნიათ, რომ ეროვნული ღირებულების ცნება საერთოდ შინაარსს მოკლებულია. ერთი ამიხსენით, რას უწოდებთ ეროვნულ ღირებულებებსო, — ირონიული ტონით მკითხა ერთმა, თავისთავად, კარგმა, განათლებულმა ახალგაზრდა მეცნიერმა, რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ, ზღვარდაუდებელი ლიბერალიზმის ტყვეობაშია მოქცეული.

მის და მისნაირთა გასაგონად მინდა ვთქვა, თორემ მებრძოლ ლიბერალისტებს მამა ღმერთი თუ შეასმენს რაიმეს. ეროვნული ღირებულებანი არის ის, რითაც ერთი ერი მეორე ერისგან განსხვავდება. ერებს აერთიანებთ საკაცობრიო ღირებულებანი და განასხვავებთ ეროვნული ფასეულობები! უფრო დაწვრილებით ახსნას არ ვაკადრებ იმ ახალგაზრდასავით დროებით დაბნეულ ადამიანებს.

ზნეობრიობაზე მასირებულ, უაღრესად აგრესიულ შეტევას გლობალური ხასიათი აქვს. ზოგან იგი წარმატებით განხორციელდა, ზოგან მტიცედ დაუხვდნენ და უზნეობის ადეპტები თავიანთი ქვეყნებიდან გააპანღურეს. ჩვენში საზოგადოების მხრიდან უზნეობის შემოტევის წინააღმდეგ მაინცდამაინც აქტიური წინააღმდეგობის სურვილი არ იგრძნობა. ეს იმიტომ კი არა, რომ ქართველობა ამ სატანის ნაშიერებს დანებდა. არა! „საქმე იმიტომ უფროა ცუდად, რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა“ (მ. მაჭავარიანი).

ბევრ ჩვენს თანამემამულეს ამ ზნეობრივი საფრთხეების მიმართ არასერიოზული დამოკიდებულება აქვს. მერე რა მოხდა, ვიღაც წყალწაღებულსა და ზნედაცემულს ტელევიზორში თუ მოიწვევენ და მთელი ქვეყნის დასანახად და გასაგონად დაუწყებენ საუბარს მათ უზნეო თავგადასავლებზეო, — იტყვის მავანი და ხუმრობის საგნად

გადააქცევს ამ უზნეობას. ამ ოციოდე წლის წინათ პირველად რომ გავიგონეთ სატანისტური დაგინება „ჩემი დედა...“, საზოგადოებამ აღშფოთებით კი არ გამოხატა პროტესტი, არამედ მხიარული ანეკდოტი შექმნა: „მიხო ქალაქიდან დაბრუნდა და თანასოფლელებს ამცნო: გაიგეთ ხალხო, ქალაქში უკუღმა იგინებიანო!“ ჰო და, ახლა მთელი საქართველო უკუღმა იგინება.

მამათმავლობისა და ლესბოსელობის აშკარა პროპაგანდას მხილება და გაკიცხვა კი არ დავუპირისპირეთ, არამედ იქაც სახალისო ანეკდოტებით შევიქციეთ თავი: „გილოცავ ბავშვის შეძენას! გოგოა თუ ბიჭი?“ — ეკითხება ერთი კაცი მეორეს! „გაიზრდება და თვითონ გადაწყვეტსო“, — პასუხობს ახალშობილის მამა.

აი, ასეა და რაღა გასაკვირია, თუ ზნეობრივი ღირებულებების აბუჩად ამგდები თავხედობა ასე მოგვეძალა ყველგან — მწერლობაში, ხელოვნებაში, სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებლებში... პოლიტიკაშიც.

პოლიტიკაში რაღაო, გაიკვირვებს მავანი. თქვე კაი ხალხო, ომის დროს მოწინააღმდეგეს ქრთამს რომ შესთავაზებ იმისათვის, თუ ძმა ხარ, აგერ ჩემი ქალაქის შუაგულში ესა და ეს ობიექტი დამიბომბეო, თუ არა უკიდურესი ზნედაცემულობა, სხვა რა შეიძლება ეწოდოს.

ლიბერალისტები თავისუფლების დემაგოგიური ლოზუნგით გვიტევენ. ადამიანს გამოხატვის სრული თავისუფლება უნდა ჰქონდესო. როგორ შეიძლება, საკუთარი აზრის გამოთქმისა და ამ აზრის შესაბამისი მოქმედება შეუზღუდო კაცსო.

კი, ბატონო (ხელი და პირი ლიბერალისტებისკენ მიქნია!), შენ უფლება გაქვს, რაც გინდა ის იფიქრო დედაშენზე, მაგრამ მისი პროპაგანდის უფლება არ გაქვს, რადგან, ის რაც შენთვის მისაღებია, ჩემთვის მიუღებელი და ამაზრზენია. თავისუფლების წეს-კანონი ჩემთვის არ არსებობს? მე არა ვარ თავისუფალი? და თუ თავისუფალი ვარ, ხომ მაქვს უფლება გავემიჯნო, თვალი და ყური მოვარიდო იმას, რაც ადამიანის ღირსების შეურაცხყოფად და დამამცირებლად მიმაჩნია!

ახლა ლიბერალისტურ დემოკრატიაზე „თავგადაკლული“ ვინმე მედასავლეთე მეტყვის: „კი, მაგრამ, უმცირესობის უფლებებზე არაფერი გსმენია“-ო. მსმენია, როგორ არა! ძალიანაც პატივს ვცემ უმცირესობებს, ეროვნული იქნება იგი, ეთნიკური თუ რელიგიური, მაგრამ სექსუალური ორიენტაცია რა უბედურებაა? ადამიანს შეიძლება არასწორი გეოგრაფიული, სოციალური, პოლიტიკური

ორიენტაცია ჰქონდეს, მაგრამ ამ თავისი ორიენტაციის შესაბამისი მოქმედებით მიზანს რომ ვერ მიაღწევს, უარს იტყვის მასზე და მისი აზრით სწორ ორიენტაციას აირჩევს (თბილისიდან გორში რომ მიდიოდეს კაცი და აღმოსავლეთით აიღოს გეზი, სართიჭალაში თუ არა საგარეჯოში მაინც მიხვდება, რომ სწორ გზას არ ადგას!). კაცი კაცს რომ ირთავს ცოლად, ეს ორიენტაციაა? რა მიზანი აქვს ამგვარ ორიენტაციას? ოჯახის შექმნა? ამგვარ კაცებს, ახლა მოფერებით გეიებს რომ უწოდებენ, ადრე პედარასტები ერქვათ. ზოგან იგი ავადმყოფებად მიაჩნდათ და შეძლებისდაგვარად მკურნალობდნენ, ზოგან მძიმე დანაშაულად თვლიდნენ და დილეგებში ამწყვდევდნენ (ზოგან უარესსაც უშვებოდნენ!).

ადამიანის ყველა ფიზიკური თუ სულიერი თვისება, რაც მისი ჭეშმარიტი ბუნების საწინააღმდეგოა, მედიცინაში პათოლოგიად არის სახელდებული და მას ან მკურნალობენ, ან საზოგადოებისგან იზოლირებულად ინახავენ.

ორიენტაცია კი არა, ეს არის ზნეობრივი დეზორიენტაცია და ღმერთმა დაიფაროს კაცობრიობა მისგან!

უზნეობის ბაცილა სწრაფად ვრცელდება, განსაკუთრებით, მატერიალურ კეთილდღეობას დახარბებულთა შორის. რამდენიმე ხნის წინ მთელმა საქართველომ ნახა (ვისაც შეხედვისთანავე გული არ აერია, რა თქმა უნდა!) სამხატვრო აკადემიის დიპლომანტი ქალიშვილები და ჭაბუკები, რა მშვიდად ისხდნენ მრგვალი მაგიდის გარშემო და ასევე მშვიდად აფურთხებდნენ ერთმანეთს სახეში. აკადემიის რექტორმა „გაგვანათლა“: ეს სადიპლომო პროექტიაო. ამაზე რომელიღაც საერთაშორისო ორგანიზაცია გრანტს მოგვცემსო. მე, პირადად, ადამიანისათვის სახეში შეფურთხების მომხრე არა ვარ, მაგრამ დასავლურ ცივილიზაციას ხომ ვერ ჩამოვრჩებითო.

იმ ეგრეთ წოდებულ აკადემიის რექტორს დიდი სურვილი მაქვს ვუთხრა: შენ და შენსავით „ლიბერალური ღირებულებების“ დამცველ შენს შვილს უფლება გაქვთ, რა თქმა უნდა, დასხდეთ თქვენს სახლში (სჯობს, სამზარეულოში!) და აფურთხოთ ერთმანეთს სახეში. მაგრამ სტუდენტი ახალგაზრდების გაბრიყვების უფლება არ გაქვთ. ის ექვსი თუ შვიდი მომავალი მხატვარი, ამის შემდეგ როგორ უნდა გამოჩნდეს იმ საზოგადოებაში, რომელიც ნამდვილი კაცებისა და ქალებისაგან შედგება!

მტერმა კარგად იცის, რომ ჩვენს ზნეობრივ მრწამსს ისე ვერ დაანგრევს, თუ ტრადიციული სარწმუნოება არ მოგვიშალა. ჩვენი

ზნეობრივი მრწამსი 17 საუკუნეა მართლმადიდებლობას ეფუძნება. ჩვენ ეკლესიური ცხოვრებით ვცხოვრობთ და თუ არ ვცხროვრობთ, ჩვენი ცხოვრების წესი და შინაარსი მაინც მართლმადიდებლობით არის განსაზღვრული. აი, სწორედ მართლმადიდებლობას ებრძვიან ჩვენი მტრები ასე გააფთრებით (სხვათა შორის, ასე იქცეოდნენ 20-იანი წლების ბოლშევიკებიც!). ეს ლიბერალისტები ერთგულად ასრულებენ ზბიგნევ ბჟეზინსკის მითითებას — მართლმადიდებლობა ჩვენი (ე. ი. სატანის მიმდევრების!) მტერიაო.

სამწუხაროდ, დალესისა და ბჟეზინსკის მიმდევრები ჩვენშიც საკმაოდ აღმოჩნდნენ, რომლებმაც ოკეანისგაღმელი „მეგობრების“ საამებლად არაერთგზის აღმართეს ხელი ჩვენს სიწმინდეებზე.

ასე რომ, წინაპართაგან ნანდერძევი მესამე საუნჯეც ხელყოფილია!

ასე ჩუმად თუ ვიქნებით, ერთ დღეს გავიღვიძებთ და... ფა-ფუ საქართველო თავისი წარსულითა და მომავლით!

გვინდა ასეთი ხვალე?

ღმერთო დაგვიფარე!



თეიმურაზ მირიანაშვილი

სიმართლე საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე უკანასკნელი ხუთი საუკუნის განმავლობაში[1]

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოში მიმდინარეობს მწვავე პოლემიკა ორიენტაციის საკითხზე — დასავლეთი თუ რუსეთი? ვესტერნისტები ანუ დასავლური ორიენტაციის მომხრენი გვთავაზობენ ლოზუნგს: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი“. სტატიის ავტორმა აღნიშნულ პრობლემას უძღვნა რამდენიმე პუბლიკაცია, რომლებშიც საკმაოდ დიდი ადგილი დაეთმო მტკიცებას იმისა, რომ თეორია ქართველთა ევროპელობის თაობაზე მცდარია. თვით დასავლელმა მეცნიერებმა დიდი ხანია ეჭვმიუტანლად დაასაბუთეს, რომ გენეტიკურად ქართველები არ ენათესავებიან არც ერთ ევროპელ ერს. დასავლელ მეცნიერთა შორის დღეს არც იმაზე დაობს ვინმე, რომ ქართული ეთნოკულტურა არამცთუ არ ენათესავება ევროპელ ეთნოკულტურებს, არამედ მისგან არსებითად განსხვავებული ხასიათისაა. ვესტერნისტებმა ამას ვერავითარი კონტრარგუმენტები ვერ დაუპირისპირეს, ამიტომ თავიანთ ძირითად კოზირად აქციეს ორიენტაციის საკითხი, მტკიცება იმისა, რომ თურმე ქართველებს ერად გაჩენის დღიდან ევროპისკენ მიუწევდათ გული. წინამდებარე სტატიაში, რომელიც ძველი სტატიების შეჯამებას წარმოადგენს, ნაჩვენებია — თუ რაოდენ ყალბია ეს თეორია.

I. საით იმზირებოდნენ დიადი წინაპრები

მას შემდეგ, რაც დაემხო ერთმორწმუნე ბიზანტიის იმპერია

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №4(6), 2012

(1453 წ.) და უდროოდ გარდაიცვალა დიდი მეფე გიორგი ბრწყინვალე (1446 წ.), თითქმის ყველა ჩვენს თვალსაჩინო წინაპარს, სამას წელზე მეტი ხნის განმავლობაში, რუსეთთან მიერთებამდე, პროჩრდილოური ორიენტაცია ჰქონდა. ჯერ კიდევ კახთა მეფე ალექსანდრე პირველმა გაგზავნა ელჩობა მოსკოვში (1491 წ.); საუკუნის შემდეგ (1587 წ.) ალექსანდრე მეორემ ერთგულების ფიცი დაუდო რუსთ ხელმწიფე ფიოდორ ივანოვიჩს. აქედან მოყოლებული განსაკუთრებით გაცხოველდა ქართულ-რუსული კონტაქტები. სისხლის წვიმების ჟამს (XVII-XVIII სს.) არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ქართველი მეფე თუ საზოგადო მოღვაწე, რომელსაც იმედის თვალით არ შეეხედოს რუსეთისთვის. ერთადერთი გამონაკლისი იყო ერეკლე მეორის მდივანბეგი სოლომონ ლიონიძე.

ჩვენი წინაპრების დასავლეთისკენ „მუდმივი ლტოლვის“ მქადაგებელთა ერთადერთი არგუმენტია სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა დასავლეთ ევროპაში. თუმცა, „ავიწყდებათ“, რომ საბა, ამ სრულიად წარუმატებელი მოგზაურობის შემდეგ, მოსკოვში გაემგზავრა, იქ გარდაიცვალა და დღესაც ვსესვიატკოეში განისვენებს. „ავიწყდებათ“ აგრეთვე, რომ ვახტანგ VI, ისტორიაში ყველაზე პრორუსულად განწყობილი მეფის სახელით შესული, სწორედ საბას ჰყავდა გაზრდილი შვილივით და შემდეგაც მისი მოძღვარი იყო.

ძველმა პუბლიკაციებმა საკმაოდ ცხოველი გამოხმაურებები გამოიწვიეს, მაგრამ ოპონენტები, ძირითადად, ჩემი ლანძღვით და იარლიყების მოწებებით შემოიფარგლნენ. მათ არც კი უცდიათ გაბათილება ჩემი არგუმენტებისა, რომ ქართველები არც გენეტიკურად და არც ეთნოკულტურულად არ ვართ ევროპელები. ჩვენმა ოპონენტებმა ვერაფერი დაუპირისპირეს ვერც იმ ფაქტებს, არგუმენტებს, რომელნიც ღაღადებენ, რომ XV საუკუნიდან ქართველებს პრორუსული ორიენტაცია გვქონდა. ამიტომ ეს საკითხიც საბოლოოდ გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ოპონენტებმა შეიძლება მითხრან (უფრო სწორედ, ამბობენ), რომ შეცდნენ ჩვენი მეფეები და, რომ რუსეთზე ორიენტირებამ აბსოლუტურად არავითარი სიკეთე არ მოგვიტანა.

სიმართლე რუსეთის როლზე ჩვენს ისტორიაში უკვე დიდი ხნის ნათქვამია XIX საუკუნის ყველაზე დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეთა და მოაზროვნეთა მიერ, სწორედ მათს მოსაზრებებს შევახსენებ ქვემოთ საზოგადოებრიობას.

მაგრამ თავდაპირველად იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ჩაითვალოს მეცხრამეტე საუკუნის ყველაზე თვალსაჩინო საზოგადოებრივ-პო-

ლიტიკურ მოაზროვნეებად. უპირველეს ყოვლისა, ცხადია, ილია — უპირველესი ქართველი. აგრეთვე, იაკობ გოგებაშვილი — ვინც ილიასთან ყველაზე ახლოსაა დაკრძალული, რადგან მისი ყველაზე ერთგული და თანამიმდევრული თანამებრძოლი იყო. გავიხსენებთ დიმიტრი ყიფიანის ნააზრევსაც. იგი ხომ ქართველთა აღიარებული ლიდერი იყო საუკუნის შუა ხანს, ანუ ილიას სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლამდე, ხოლო XIX საუკუნის პირველი ნახევრის პოლიტიკური აზროვნების (და, ცხადია, არა მხოლოდ პოლიტიკურის) მწვერვალია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია. ჩვენ მის ნააზრევსაც გავიხსენებთ.

ეს შეხსენება დიდ წინაპართა ნააზრევისა და ნამოქმედარისა იმასაც თვალსაჩინოდ დაგვანახებს, თუ რატომ სძულთ ისინი დღევანდელ კარიერისტებს. ცივილიზაციის, ვითომცდა უმაღლეს მიღწევათა ქართულ ნიადაგზე გადმონერგვის ლოზუნგებით რომ სურთ აღგავონ პირისაგან მიწისა ყოველივე ტრადიციული, ყოველივე ქართული.

დიადი წინაპრები ხმალამოწვდილნი ებრძოდნენ რუსეთის ველიკოდერჟავულ ძალებს, მაგრამ, საქართველოს რუსეთთან მიერთების ავკარგის აწონვით, ასკვნიდნენ, რომ ერეკლე მეორის ნაბიჯებმა განუზომლად მეტი სიკეთე მოჰგვარა ქვეყანას, ვიდრე ბოროტება. დიდი წინაპრები, თუმცა საქართველოს დამოკიდებლობას ნატრულობდნენ, მაგრამ რუსეთთან ყოველმხრივი და უმჭიდროესი კავშირის აუცილებლობას ხშირად და საგანგებოდ უსვამდნენ ხაზს. ასევე ხშირად, საგანგებოდ აფრთხილებდნენ ერს ჩრდილოელ გიგანტთან დაპირისპირების დამღუპველობის თაობაზე.

II. „რომ ქრისტიანთ ხმა მარად ისმოდეს“!

რუსეთ-საქართველოს ურთიერთდამოკიდებულების საკითხს **ნ. ბარათაშვილმა** უძღვნა თავისი ერთადერთი პოემა „ბედი ქართლისა“ და სამი ლექსი: **„სუმბული და მწირი“, „საფლავი მეფის ირაკლისა“, „ძრწოდე, კავკასო“**. „ბედი ქართლისაში“ პოეტი ცდილობს, ჩასწვდეს ერეკლე მეორის ფიქრებს, მისთვის და მთელი ერისთვის საბედისწერო ნაბიჯის წინ. აქვე მოაქვს არგუმენტები სოლომონ ლიონიძისა, ერეკლეს ერთადერთი და, როგორც ვთქვით, საერთოდ, ერთადერთი ანტირუსულად განწყობილი მოღვაწისა XV-XVIII საუკუნეების მანძილზე. მაგრამ, ვიდრე შევეხებოდეთ უშუალოდ მეფისა და მისი მსაჯულის პაექრობას, უსათუოდ უნდა აღინიშნოს

ერთი უაღრესად საყურადღებო გარემოება. გენიალურ პოეტს თავის ძალიან მცირე ზომის, ათიოდ გვერდიან პოემაზე ათ წელიწადზე მეტ ხანს უმუშავია. თავად არაერთგზის უთქვამს მეგობრებისთვის, ამ პოემის იდეა გიმნაზიაში სწავლისას დამებადაო; დოკუმენტურად დასაბუთებულია, რომ პოემის ვარიანტები 1839-1844 წლებში, ანუ ხუთი წლის მანძილზე იქმნებოდა.

გენიალურ ტატოს თავისი ხანმოკლე სიცოცხლის თითქმის ნახევარი მიუძღვნია რუსეთთან შეერთების საკითხის გააზრებისთვის. მეგობრებთან ისიც უთქვამს, პოემას „არ ვაჩენდი, ვიდრე გვარიანად არ შევიმუშავეო“.[2] აი, რაოდენი სიფრთხილით უდგებოდა საჯაროდ აზრის გამოთქმას რუსეთთან ურთიერთობის თემაზე!

... ბოდიშს ვიხდი ამგვარი შედარებისთვის. მაგრამ აქ გავიხსენოთ ეროვნულ-დამანგრეველი ძალები და მათ სულიერ მემკვიდრეთა გუნდი ზ. გამსახურდიას დროინდელ პარლამენტში. ესენი დიდხანს კი არა, საერთოდ არ ფიქრობდნენ, რა უნდა ეთქვათ რუსეთზე (თუმცა არც სხვა თემებზე ფიქრით იტკივებდნენ თავს), ამბობდნენ ყველაფერს, რაც პირზე მოადგებოდათ და არც მერე ფიქრობდნენ. ამგვარი გნიასითა და ლანძღვა-გინებით უკანასკნელ ზღვრამდე მიიყვანეს დაძაბულობა საქართველო-რუსეთს შორის. პრაქტიკულად საომარი მდგომარეობა შექმნეს.

ამ ხალხს მხოლოდ ერთი რამ აფიქრებდა: მაშინ, როცა აბსოლუტურად არ იყო საშიში კრემლისა და რუსების ლანძღვა, რუსული იმპერიის წინააღმდეგ გმირ მებრძოლებად წარმოედგინათ თავი ყველაზე დაბალი კატეგორიის ბრბოსთვის. მკითხველს მ. საakაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკასთან პარალელის გავლება არ გაუჭირდება.

... დავუბრუნდეთ **„ბედი ქართლისას“**. თავიდან პოეტი მოგვითხრობს კრწანისის ომისთვის სამზადისზე (1795 წ.). თვით ომზე ჩვენ მიერ რიცხობრივად ბევრჯერ აღმატებული მტრის ძლევაზე და ბოლოს მაინც მარცხზე, რადგან „იუდა ჟამს ეძიებდა“. შემდეგ გახიზნული ერეკლე ხმამაღლა ფიქრობს თავის მსაჯულთან, სოლომონ ლიონიძესთან.

მის მონოლოგში იხატება ქვეყნის უმძიმესი ვითარება. დაბოლოს, მეფე მიმართავს მსაჯულს: ***„აწ განთქმულია რუსთა სახელი, ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი, დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა, მტკიცე კავშირი, სარწმუნოება, მას, მსურს, რომ მივცე მემკვიდრეობა, და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა“.***

[2] იხ. ზაქარია ჭიჭინაძე, „ნ. ბარათაშვილი“, 1885, გვ. 18.

სოლომონი გაგონილმა შეაძრწუნა: *„რასა მიბრძანებ“, ჰკადრა მან მეფეს, „ბატონო, ღმერთი გადღეგრძელებდეს, ნუ გააგონებ მაგ ხმას ქართველთა, ეზდენ შენზედა მსასოებელთა!“* ამას მოსდევს სოლომონის ვრცელი მონოლოგი, რომლის არსი იმაშია, რომ არც საქართველოს უჭირს ესოდენ და არც რუსია სანდო. *„ნუ ხელმწიფეო, მას ნუ ინებებ!“* — ეხვეწება იგი ერეკლეს.

„ჩემო სოლომონ“, მეფემ უბრძანა... მე არა ვფიქრობ ვითარცა მეფე, თვის დიდებისთვის სისხლთა აღმჩქეფე, არამედ ვითა მამა კეთილი, რომელსა ჰსურს, რომ თავისი შვილი თვის სიცოცხლეშივ დაასახლკაროს“.

და, აი, პოემის კულმინაცია: *„ახლა კი დროა, სოლომონ, რომა მშვიდობა ნახოს საქართველომა. მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის; და მხოლოდ მაშინ უეჭვოდ გვრწამდეს, რომ ქრისტიანთ ხმა მარად ისმოდეს საფლავთ ზედ ჩვენთა მამა-პაპათა, და განისვენოს აჩრდილთა მათთა!“*

აქ სოლომონი აღშფოთების უფლებასაც კი აძლევს თავს: *„ვეღარ გაუძლო მსაჯულსა გულმან და ჰკადრა მეფეს აღშფოთებულმან: „განზრახვა შენი, მეფევ, მაკვირვებს! ირაკლიმ იცის, რომე, ქართველებს არად მიაჩნით უბედურება, თუ აქვთ თვის ჭერთ ქვეშ თავისუფლება“*

„სულ მართალია, ჩემო სოლომონ, მაგრამ, აბა, თქვი, ქართველთა რა ჰყონ, ამ უბედობის და დარღვევის დროს?“.

მსაჯულის პასუხი კვლავ ემოციურია: *„მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება, მისდევდე შენსა გულისკვეთებას და უთრგუნავდე თავისუფლებას?“*

პაექრობა გაგრძელდა, პოემა კი პოეტის ამ სტრიქონებით მთავრდება: *„მაგრამ ამაო იყო ყოველი: დიდი ხანია, რომ ბედი ქართლის გადაიწყვიტა გულმან ირაკლის“.*

„ბედი ქართლისა“, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიყრმის ასაკში ჩაიფიქრა ბარათაშვილმა, ჯერ კიდევ არ შეიცავს ერეკლეს ნაბიჯის სრულ გამართლებასა და მხარდაჭერას. აქ უფრო ამ ნაბიჯის ახსნაა ქართველთა მაშინდელი საშინელის ყოფისა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მიწურულში განსაკუთრებით ბევრს და ღრმად ფიქრობდა რუსეთთან კავშირის ავ-კარგზე. 1842 წელს მან დაწერა **„სუმბული და მწირი“**. აქ ძალიან გამჭვირვალე ალეგორიაში გამოსჭვივის განსჯა კვლავ ერეკლეს საბედისწერო გადაწყვეტილებისა: ღარიბ, უპოვარ, მაგრამ თავისუფალ მწირს აკვირვებს მოვლა-ზრუნვით გარემოცუ-

ლი, მაგრამ ბუნებაში თავისუფლად ყოფას მოკლებული სუმბულის დარდიანობა.

დიახ, იცოდა გენიალურმა პოეტმა თავისუფლების ყადრი და ფასი, მაგრამ მომდევნო 1843 წელს იგი წერს ლექსს **„საფლავი მეფის ირაკლისა“**, სადაც უკვე ყოველმხრივ ამართლებს პატარა კახს.

„მოვიდრეკ მუხლსა შენს საფლავს წინ, გმირო მხცოვანო“, — ამ სტრიქონით იწყებს ლექსს პოეტი და შემდეგ მიმართავს გმირ მეფეს: ***„ახ, რად არ ძალუძს განცოცხლება წმიდას აჩრდილსა, რომ გარდმოჰხედო ახალს ქართლსა, შენს პირმშო შვილსა“.***

ამას მოსდევს ერეკლეს ნაანდერძევის სრულიად ცალსახა შეფასება: „თაყვანს ვცემ შენსა ნაანდერძევს!“ შემდეგ ტონი კიდევ უფრო აღტაცებული ხდება: ***„აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ ჰაზრი შენი და ვსჭამთ ნაყოფსა მისვან ტკბილსა აწ შენნი ძენი!“*** შემდეგ „ტკბილ ნაყოფთაც“ ჩამოთვლის: ჩრდილოეთიდან დაბრუნებული ჩვენი ახალგაზრდები ***„ჰხიდვენ თესლთ ძვირფასთ მშობელს ქვეყნად“.*** *გარდა ამისა:* ***„სადა აქამდინ ხრმლითა და ძალითა ჰფლობდა ქართველი, მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი! აწ აღარ ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა...“***

განათლებისა და კულტურის აღორძინება, მშვიდობის დამყარება ქართველთა ჟლეტის შეწყვეტა, ქართველთა გამრავლების დაწყება პირველად მრავალი საუკუნის შემდეგ, ქართველთა გაერთიანება, ერის სხვადასხვა ტომად დაშლის შეჩერება, სრულიად ქართული ცნობიერების განმტკიცება... აი, რა მისცა საქართველოს ერეკლეს ნაბიჯმა. ლექსის უკანასკნელი ორი სტრიქონი უთუოდ ყველაზე საგულისხმოა: ***„აწ მიჰხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძ-ნამაგსა და თაყვანსა სცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგსა!“***

„აწ მიჰხვდა“-ო, წერს პოეტი და ესაა ყველაზე საგულისხმო. ქართველობას და თვით ბარათაშვილს გაუჭირდათ პირველ ხანებში ერეკლეს ჩანაფიქრის შეფასება, უფრო ზუსტად, მის შედეგთან შეგუება გაუჭირდათ.

ამის შემდეგ შეუძლებელია არ დაწერილიყო **„ძრწოდე, კავკასო!“** ამ ლექსის ნამდვილი სახელწოდებაა: **„ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირის-პირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა, წელსა 1844-სა, მძღვანელობისა ქვეშე ღუბერნიის მარშლის, თავადის დიმიტრი თამაზის ძის ორბელიანისა“**. აქ ბარათაშვილი ეხმაურება ქართველთა ათასშვიდასკაციანი ლაშქრის გამგზავრებას შამილთან საომრად და, შესაბამისად, რუსთათვის მხარის დასაჭერად.

„ძრწოდე კავკასო, ახლო არს დღე შენის აღსასრულისა!“ ასე

იწყება ლექსი... ჩვენი ვესტერნისტები აშკარად, თითქმის სრულიად შეუნიღბავად უჭერდნენ მხარს რუსთა წინააღმდეგ მებრძოლ ჩეჩნებს. თუმცა არა, ჩეჩენ ხალხს კი არა, რომელსაც მშვიდი, ადამიანური ცხოვრება სურს ნორმალურ ქვეყანაში, არამედ ბასაევს და მის ბანდას უჭერდნენ მხარს, რომელთაც ჩვენი ბიჭების მოჭრილი თავებით ფეხბურთი ითამაშეს გაგრის სტადიონზე და ჩვენი ორსული ქალები ფატრეს. მითხარით ახლა, არ არის ეს ხალხი მოღალატე? თუ იქნებ მათ თვითონ დაუძახონ მოღალატე ნიკოლოზ ბარათაშვილს?! ეს რომ ჰქნან, რა გასაკვირია! გაულანძღავი ხომ არც რუსთაველი გადაურჩათ, არც ილია, არც აკაკი, არც გალაკტიონი!

„ჰძრწოდე, კავკასო!“ ერთი აღფრთოვანებული ამოსუნთქვითაა დაწერილი: ***„ქართლთაგან მოვალს მარადის მამულის მონა ლაშქარი!“*** ლაშქარში არიან მკვიდრნი სომხითის, ანუ ქვემო ქართლის, კახეთის, თუშეთის... სათაურშიც იმიტომ ჩაწერა ავტორმა „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“, რომ ხაზი გაესვა: ეს არ იყო უბრალო ლაშქრობა. ეს იყო, შეიძლება ითქვას, სამამულო ბრძოლა მათ წინააღმდეგ, ვინც თავისი განუწყვეტელი ყაჩაღური თავდასხმებით ჯვარს აცვა საქართველო საუკუნეთა მანძილზე. ***„ძრწოდე კავკასო! შეირყა ჩეჩნეთიც დასამხობელი! ვის არა აღეტაცების სული, ამ ამბის მცნობელი!“*** შემდეგ მოლაშქრეებს მიმართავს: **„ძმანო, თქვენ ჰქმენით საქმენი, ღირსნი თქვენთა წინაპართა! მეფესა თავი შესწირეთ, ვაგლახი ეცით წარმართთა!“**

„მეფესა თავი შესწირეთ!“ — წერს, როგორც ვხედავთ, ბარათაშვილი, ანუ რუს მეფესო, რადგან ქართველი მეფე იმხანად აღარ არსებობდა. თუმცა, ლექსის საბოლოო ვარიანტში ავტორს ცოტა სხვანაირად უწერია: **„იმპერატორსა ემსხვერპლეთ!“** რაკი ბოლო ვარიანტში ასეა, წიგნშიც ასე უნდა იყოს, მაგრამ თავის დროზე იმპერატორი მეფით შეცვალეს, — შეარბილეს.

მაშ ასე, საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე, ერეკლეს გადაწყვეტილების ავ-კარგზე ბარათაშვილმა სიყრმიდან, გიმნაზიის მერხიდან დაიწყო ფიქრი, როგორც ყველა ქართველს, მით უფრო ახალგაზრდას, გულს წყვეტდა სამშობლოს თავისუფლების დაკარგვა. მაგრამ ასაკის მატებისა და იმ სიკეთეთა გააზრების კვალობაზე, რაც რუსეთთან კავშირმა მოუტანა საქართველოს, თანდათან სულ უფრო დადებითად აფასებდა პატარა კახს და სიცოცხლის ბოლოსწინა წელს ქართულ, „მარადის მამულის მონა ლაშქარს“ ესეც კი მოუწოდა:„მეფესა თავი შესწირეთ!“ „იმპერატორს ემსხვერპლეთ!“

III. ღმერთკაცთა ანდერძი

ბარათაშვილი, როგორც ვნახეთ, „სუკის აგენტი“ და „კრემლის ჯაშუში“ ყოფილა. ახლა მოვუსმინოთ მის „თანამზრახველებს“ ...დიმიტრი ყიფიანს, იაკობ გოგებაშვილს, ილია ჭავჭავაძეს.

დიმიტრი ყიფიანი სიცოცხლეშივე დიდად აღიარებული და დაფასებული იყო, მას ოფიციალურად ჰქონდა მინიჭებული ქართველი თავად-აზნაურობის მარშლის ტიტული, მაგრამ მთავარი იყო ის უდიდესი სიყვარული და მოწიწება, რასაც ხალხი გამოხატავდა მისდამი. დ. ყიფიანმა მთელი სიცოცხლე ერის მსახურებას შესწირა. მან პირველმა აღიმაღლა ხმა ქართული ენის დასაცავად.

ქართველი თავად-აზნაურობის მარშალი მეცნიერულად ასაბუთებდა ეთნიკური მრავალეროვნების აუცილებლობას, ანუ ყველა ერისთვის არსებობისა და განვითარების უფლების მინიჭებას. დ. ყიფიანი პირველი დაუპირისპირდა მოსკოველ რეაქციონერ ჟურნალისტ მ. ნ. კოტკოვს, რომელიც შემდეგ ილიამ ამხილა და უწოდა „გაცვეთილი კაცი“.

80-იან წლებში შეიქმნა ტრაგიკულ მოვლენათა ჯაჭვი, რომლის საბოლოო რგოლი იყო დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა: თბილისის გიმნაზიის მოსწავლე იოსებ ლაღიაშვილმა ხანჯლით მოკლა გიმნაზიის რექტორი ჩუდეცკი მისი ცოლის თვალწინ. ამისთვის ეგზარქოსმა პავლემ დაწყევლა ქართველი ერი. დ. ყიფიანმა წერილი მისწერა პავლეს, მოსთხოვა განმარტება და მონანიება. ყოველივე ამას მოჰყვა მხცოვანი მოღვაწის სტავროპოლში გადასახლება და იქ მისი იდუმალებით მოცული მკვლელობა 1887 წელს. ნეშტი თბილისში ჩამოასვენეს და მთაწმინდის სასაფლაოზე დაკრძალეს. ამ ტრაგიკულ ფაქტს გამოეხმაურა აკაკი თავისი ღვთაებრივი „განთიადით“, რომელშიც დიმიტრის მოიხსენიებს, როგორც „რაინდსა, ურჩსა მტრისასა“. დ. ყიფიანის დაკრძალვის შემდეგ გაჩნდა იდეა მთაწმინდის ჩვეულებრივი სასაფლაოს გადაქცევისა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონად.

ახლა ვნახოთ, რას წერდა დ. ყიფიანი საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე. ***„ქართველები იარაღით ხელში თხუთმეტ საუკუნეს იცავდნენ თავიანთ მართლმადიდებლობას. მაგრამ რა დაინახეს, ასეთს ზეწოლას ფიზიკურად ვერ გაუძლებდნენ, ძმური გრძნობითა და ქრისტიანული მინდობით შეაფარეს თავი რუსეთს“.*** ამ აზრს, ანუ აზრს იმის შესახებ, რომ ქართველები ნებაყოფლობით შევიდნენ რუსეთის მფარველობაში (დაუთმეს რუსეთს თავიანთი სახელმ-

წიფოებრივი სუვერენიტეტის მნიშვნელოვანი ნაწილი), დ. ყიფიანი მრავალგზის იმეორებს. ასევე დაუღალავად იმეორებს ამ აზრსაც: ***„როგორც სამათემატიკო ჭეშმარიტება ისეთი არის ეს ჭეშმარიტებაცა, რომ საქართველოს ხალხზედ უფრო ერთგული ტახტისა მრთელს რუსეთის სხვა ხალხი არ ასხია“.*** დ. ყიფიანი სრულ სიმართლეს ღაღადებს. ქართველები იყვნენ იმპერიის ერთგული ქვეშევრდომნი და უდიდესი ნდობითაც სარგებლობდნენ.

ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის მოსაზრებები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხზე პირველად თვრამეტი წლის წინათ გამოვაქვეყნე.[3] ეს შეხედულებები შემდეგაც არაერთგზის გამოქვეყნდა როგორც ჩემ, ასევე სხვა პუბლიკატორთა მიერ. რუსოფობთა მხრიდან ამ პუბლიკაციებს მოჰყვა სრული დუმილი, ან რა აქვთ სათქმელი! ბოლოს და ბოლოს, ილიას და იაკობს სუკის აგენტებად ხომ არ გამოაცხადებენ! XIX საუკუნის ამ ორი ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწის პოზიცია კი, მართლაც და, „მოღალატურია“. ერეკლეს ნაბიჯში ისინი დადებითს გაცილებით მეტს ხედავდნენ, ვიდრე უარყოფითს. აქ შემეძლო ორივეს ნაწერებიდან მომეხმო მრავალი სათანადო ციტატა. მაგრამ რაკი ეს სტატია მეტისმეტად იზრდება და ამასთან, აღნიშნული ციტატები ბევრჯერ არის გამოქვეყნებული (განსხვავებით ნ. ბარათაშვილის და დ. ყიფიანის აზრებისა რუსეთის თემაზე, რომელთათვისაც დღემდე არავის მიუქცევია ყურადღება), ალბათ, შეიძლება შემოვიფარგლო შემდეგი განცხადებით: **ილიას და იაკობის თხზულებათაგან ვერავინ მოიტანს ციტატებს, რომელნიც ამ აბზაცში გატარებულ აზრს ეწინააღმდეგებოდეს. თუ ვინმესთვის არადამარწმუნებელია ეს განცხადება, მზად ვარ მასთან მომავალში ფაქტებით, კონკრეტული ციტირებით საპოლემიკოდ.**

როგორც ვნახეთ, ნააზრევში XIX საუკუნის ოთხი ყველაზე თვალსაჩინო პოლიტიკური მოაზროვნისა, რომელნიც ერმა ღმერთკაცებად შერაცხა და მთაწმინდის მიწას მიაბარა, არავითარი ანალოგი არ ეძებნება ვესტერნისტთა დღევანდელ პროვოკატორულ, ანტიქართულ საქმიანობას, გამიზნულს საქართველოს შესატაკებლად რუსეთთან. თუმცა არა მხოლოდ რუსეთთან! ზემოთ დავასაბუთე, რომ ეს გუნდი გვამტერებს ყველა სხვა მეზობელ ხალხს. ჩემს ამ ბრალდებაზე პროვოკატორთა ბანაკიდან კრინტი არავის დაუძრავს, წაუყრუეს. ან რა აქვთ სათქმელი?

სამაგიეროდ, ამ ხალხს გაჩაღებული ჰქონდათ სასტიკი მორალური ტერორი, ხალხი სიმართლის თქმას ვეღარ ბედავდა. მასმედიის

[3] იხ. „ვეჩერნი ტბილისი“, 2 თებერვალი, 1994.

ძირითადი საშუალებები ამავე გუნდის მიერ იყო უზურპირებული.

გასაგებია, რომ ხალხის ამგვარი იდეოლოგიური დამუშავებისა და დაშინების პირობებში, ბევრისთვის მოულოდნელი და უცნობი აღმოჩნდებოდა ზემოთ ნათქვამი სიმართლე იმის თაობაზე, თუ რაოდენ დადებითად აფასებდნენ XIX საუკუნის ყველაზე თვალსაჩინო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოაზროვნენი — ნიკოლოზ ბარათაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი — ერეკლე მეორის გადაწყვეტილებას, რუსეთისთვის შეეერთებინა საქართველო. თავისუფლების ფასი ოთხივემ კარგად იცოდა. მაშ, რატომ ეთაყვანებოდნენ ერეკლეს? რით ავხსნათ, რომ ილიას კაბინეტში მრავალ სურათს შორის ყველაზე საპატიო ადგილას ერეკლეს სურათი ეკიდა, თანაც ეს იყო ყველაზე დიდი სურათი? დასმულ კითხვას ამგვარად შეიძლება გაეცეს პასუხი.

გიორგი ბრწყინვალის გარდაცვალებისა და ერთმორწმუნე ბიზანტიის დამხობის შემდეგ, XV საუკუნის შუა ხანებში, საქართველომ ფეხზე წამოდგომა ვეღარ შეძლო, დაიწყო სისხლის წვიმების ეპოქა... გარეშე და შინაურ მტერთა თარეში, ერი დაღუპვის მიჯნასთან მივიდა, მოაზროვნე ქართველთათვის ერთადერთ იმედად გამოჩნდა რუსეთის ერთმორწმუნე და სულ უფრო აღმავალი იმპერია. ამიტომ სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, ბატონ ედუარდ შევარდნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, «Просили, на коленях стояли, чтобы войти в империю покровительства Русского Царя».[4]

ერეკლე მეორემ ეს ლტოლვა დააგვირგვინა. ვისაც წაუკითხავს ილიას სტატია „ასი წლის შემდეგ“ (მისი ფრაგმენტები მე გამოვაქვეყნე პრესაში, ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ კი მთელი ტექსტი დაბეჭდა), მან იცის, როგორ აღწერს უპირველესი ქართველი თბილისელთა სიხარულს, აღფრთოვანებას, სასოებას რუსის ჯარის პირველი შემოსვლის გამო თბილისში 1799 წლის 26 ნოემბერს.

მაგრამ რუსეთის იმპერიაში გატარებულმა პირველმა ათწლეულებმა ჩააცხრო სიხარული და აღფრთოვანება, რუსებმა გატეხეს სიტყვა და არ მისცეს საქართველოს შეპირებული ავტონომია, დაიწყეს ქართული ენის დევნა, ავტოკეფალია ჩამოართვეს ჩვენს ეკლესიას, ხალხს თავს დაატყდა მისთვის მანამდე უცნობი ჩინოვნიკური განუკითხაობა... და იფეთქეს საქართველოში ამბოხებებმა. მათი სისხლში ჩახშობის შემდეგ დაიწყო მზადება შეთქმულებისთვის, მაგრამ ისიც გაცემულ იქნა 1832 წელს. ბუნებრივია, ერს ჰქონდა საფუძველი სასოწარკვეთისთვის. მაგრამ ოციანი და, გან-

[4] „ნეზავისიმაია გაზეტა“, 21 ნოემბერი, 1991.

საკუთრებით ოცდაათიანი წლებიდან ერეკლეს ნაბიჯის დადებითმა შედეგებმაც ნელ-ნელა იჩინეს თავი. ქვეყანაში თანდათან დამყარდა მრავალი საუკუნის მანძილზე ნანატრი მშვიდობა. ერი ფიზიკურად გადარჩა, გაერთიანდა, გამრავლება დაიწყო პირველად თამარის ეპოქის შემდეგ, ოცდაათიანი წლებიდან მომრავლდნენ თერგდალეულნი; გაჩნდა პერსპექტივა განათლების და კულტურის აღორძინებისა. თანდათან იწყო ამაღლება ცხოვრების მატერიალურმა დონემაც... თუმცა „რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული!“ — წერს ამ პროცესთა მაცქერალი ბარათაშვილი. მაგრამ მანაც, სხვა მოაზროვნეებმაც, დროის სვლის კვალობაზე, გააცნობიერეს, რომ რუსული იმპერიალიზმი შედარებით მსუბუქი იყო, ვიდრე ინგლისური, ესპანური, ოსმალური და ა.შ.

ზოგიერთები გაჰკივიან ნაცისტურ ტირადებს, რომ რუსებს ახასიათებთ თანდაყოლილი აგრესიულობა, დამპყრობლობა, ჯალათობა. რაც შეეხება რუსთა „გენეტიკურ, რასობრივ ნაკლოვანებებს“, ისტორიული ფაქტები იმას მეტყველებს, რომ სწორედ რუსეთის იმპერიაში „ნაცმენებს“ ჰქონდათ არსებობის გაცილებით უკეთესი პირობები, ვიდრე იმ დროის სხვა იმპერიების დაპყრობილ ხალხებს. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ რუსეთში პრაქტიკულად არ არსებობდა მოქალაქეთა ინდივიდუალური დიფერენციაცია ეთნიკურ საფუძველზე, ქართველი თავადი რუს თავადს იყო გათანაბრებული, ქართველი გლეხი — რუს გლეხს. გარდა ამისა, თუმცა რუსეთში, როგორც საერთოდ ყველა იმპერიაში, ცდილობდნენ სხვა ენათა შევიწროებას, მაგრამ ამასაც არ მიუღია ისეთი მასშტაბები, როგორიც სხვა იმპერიებში მიიღო. ნუ დაგვავიწყდება, რომ ინგლისელთა წყალობით, შოტლანდიელებმა, ირლანდიელებმა, უელსელებმა პირწმინდად დაივიწყეს თავიანთი დედაენები.

მოაზროვნე ქართველები იმასაც ხედავდნენ, რომ, თუმცა რუსეთის რეაქციულ ძალებს ქართველები, ალბათ, სხვა „ნაცმენებზე“ მეტად ჰყავდათ ათვალისწუნებული (რისი მიზეზიც ქართველთა შეუფარავი პატრიოტობა იყო), მაგრამ ლიბერალი რუსები ქართველებისადმი განსაკუთრებულ სიმპათიებს ამჟღავნებდნენ. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ რუს პოეტებს არცერთი ქვეყნისადმი არ მიუძღვნიათ იმდენი მშვენიერი ლექსი, რამდენიც საქართველოსადმი. დღეს კი მხოლოდ ცუდს გვახსენებენ ჩვენი პოლიტიკანები. **ყოველდღიურად გაისმის მრაკობესების — იანოვსკის, ვოსტორგოვის, კატკოვის — სახელები. სამაგიეროდ, ცდილობენ დაგვავიწყონ, მაგალითად, ის, რასაც დ. ყიფიანი წერდა გორის სემინარიის რექტორის სემიონოვი-**

სა და ქუთაისის მასწავლებელთა კრების თავმჯდომარის მარსოვის შესახებ. ისინი, მიუხედავად იანკოვსკის მუქარისა, სამსახურს დაგატოვებინებთო, არ კრძალავდნენ ქართულის სწავლებას თავიანთ სასწავლებლებში. ამგვარი მოღვაწენი სხვებიც იყვნენ რუსთა შორის და, ჩვენი მხრიდან, უმადურობა იქნება მათი დავიწყება.

განსაკუთრებით გულსატკენია ის, რაც დღეს ხდება გრაფ მიხაილ სემიონოვიჩ ვორონცოვის სახელის ირგვლივ. რაც ამ კაცმა საქართველოსთვის მოიმოქმედა თბილისში მეფისნაცვლად ათწლიანი ყოფნის მანძილზე, საერთოდ არ ეძებნება ანალოგი მსოფლიო კოლონიალიზმის ისტორიაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მისმა მოღვაწეობამ შექმნა ნიადაგი ილიასა და მისი თაობის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსასვლელად. ჩვენში კი მოდად იქცა ამ დიდებული პიროვნების ლანძღვა.

მ. ვორონცოვმა დააარსა თბილისში რუსული თეატრი (1845 წ.), იტალიური ოპერა (1851 წ.) და აღადგინა ქართული თეატრი (1852 წ.), დააარსა საჯარო ბიბლიოთეკა (1846 წ.), წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი (1847 წ.), მუზეუმი (1859 წ.), ბოტანიკური ბაღი (1845 წ.), მისი ხელშეწყობით გამოვიდა გაზეთი „კავკაზი“ (1846 წ.) და ქართული ჟურნალი „ცისკარი“ (1852 წ.), ყოველმხრივ უწყობდა ხელს ქართველი ახალგაზრდების გამგზავრებას რუსეთის უნივერსიტეტებში, ვორონცოვის წყალობით, კეთილშობილური წარმომავლობა (თავად-აზნაურობა) საბუთების წარმოუდგენლად დაუმტკიცდა მრავალ პირს, რომელთაც სხვადასხვა მიზეზთა გამო სათანადო საბუთი არ გააჩნდათ (მათ შორის იყო ილიას მამა გრიგოლ ჭავჭავაძე). ამის შედეგად, **იმპერიის არცერთ ერს არ ჰყავდა თავად-აზნაურთა ისეთი მაღალი პროცენტი, როგორც ქართველებს, იმპერიაში არსებული ორას ორმოცი კეთილშობილური წარმომავლობის გვარიდან ქართული იყო ოთხმოცდათვრამეტი!..** ქართველი ერის წინაშე დამსახურება სხვაც კიდევ ბევრი აქვს ამ დიდ ლიბერალს (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით) და ჰუმანისტს — დეკაბრისტებისა და ტურგენევის მეგობარს, პეტერბურგის აკადემიის საპატიო წევრს, კაცს, რომელმაც ჯერ კიდევ 1820 წელს შექმნა ყმათა განმათავისუფლებელი ორგანიზაცია.

ამიტომ ნუ ვიქნებით უმადურნი. მით უმეტეს, რომ თვითონ ხალხს, ქართველ ხალხს არ ავიწყდება გრაფი ვორონცოვი. მის მიერ აგებული, მისივე სახელობის ხიდის ადგილას აგებულ ახალ ხიდსაც „ვორონცოვს“ ეძახიან, თუმცა ოფიციალურად ახალი ხიდი სხვისი სახელობისაა (რაც, ვფიქრობ, უნდა გასწორდეს და აღდგეს

ძველი სახელწოდება).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობ, თვალსაჩინოა, რატომ აფასებდნენ დადებითად ერეკლეს ნაბიჯს დიდი ქართველები: საქართველოს მაშინ სუვერენულად არსებობის ძალა არ გააჩნდა, რუსეთის მფარველობის ქვეშ ერმა ჭრილობები მოიშუშა, გაერთიანდა, გამრავლდა, ააღორძინა კულტურა... ქართველები ცუდსაც ხედავდნენ: ავტონომიაზე უარის თქმას, ენის გამუდმებულ შევიწროებას, ეკლესიისთვის დამოუკიდებლობის წართმევას. მაგრამ ესმოდათ, რომ ამ თვალსაზრისით, სხვა იმპერიებში კიდევ უფრო უარესი ვითარება იყო. ამასთან, ისიც ესმოდათ, რომ XIX საუკუნისთვის აბსოლუტურად უცხო იყო პოლიტიკური ალტრუიზმი — ძლიერის მიერ სუსტის სრულიად უანგაროდ გადარჩენა.

ყოველივე ამის გაცნობიერებამ გაუერთგულა ქართველები რუსთ ხელმწიფეს. ამიტომ ღვრიდნენ სისხლს იმპერიისთვის. ამიტომ ოცნებობდა ნ. ბარათაშვილიც სამხედრო კარიერაზე, მიუხედავად თავისი ინვალიდობისა.

ხოლო თავისუფალ, დამოუკიდებელ, სუვერენულ საქართველოზე ოცნება, ორიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის აღდგენა გულში ჰქონდათ დამარხული.ამ ოცნების ახდენის გეგმა ილიამ შეიმუშავა: ჯერ ერის გამოფხიზლება, განათლება, გამდიდრება, რეალური კულტურული ავტონომიის მიღწევა. შემდეგ პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა და ბოლოს სრული სუვერენიტეტი. ოღონდ ამ შემთხვევაშიც, ილიას გეგმით, საქართველო უმჭიდროვესად უნდა ყოფილიყო დაკავშირებული რუსეთთან, ყოველმხრივ უნდა გაეთვალისწინებინა ამ ზესახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესები.

IV. ვინ დაგვიპყრო?

ზემოთ უკვე დავასაბუთე, რომ ვესტერნისტები ყირამალა აყენებდნენ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის პირველი ოთხი საუკუნის ისტორიულ ფაქტებსაც და ამ ფაქტთა ლოგიკასაც. ამჯერად კი დავრწმუნდებით, რომ ზუსტად ასეთივეა მათი მიდგომა XX საუკუნის ისტორიული სინამდვილისადმიც: რუსეთმა 1921 წელს დაგვიპყრო, როგორც ოდესღაც გვიპყრობდნენ სპარსნი, არაბნი, თურქნი, მონღოლნი, მაგრამ რუსთა უღელი ყველაზე მძიმე იყო ...მათ პირწმინდად გაანადგურეს ჩვენი მატერიალური და სულიერი ყოფა, გათელეს კულტურა... ამგვარია უმოკლესად ვესტერნისტების ხედვა საქართველო-რუსეთის ურთიერთობისა XX საუ-

კუნეში, მე კი, ჩემი მხრივ, ფაქტებს შემოგთავაზებთ.

1918 წელს, ამიერკავკასიიდან რუსის ჯარის გასვლისა და საქართველოს დამოუკიდებელ ქვეყნად დე-ფაქტო გახდომის შემდეგ, ჩატარდა ჩვენს ისტორიაში პირველი საყოვეთაო დემოკრატიული არჩევნები. გაიმარჯვა სოციალ-დემოკრატიულმა (მენშევიკთა) პარტიამ. მან მოიპოვა ხმათა დაახლოებით 92 პროცენტი. მენშევიკთა ლიდერი ნოე ჟორდანია გახდა მთავრობის თავმჯდომარე, ანუ ქვეყნის მეთაური. ასეთი ტრიუმფით მოვიდა ხელისუფლების სათავეში პარტია, რომელიც მანამდე (1918 წლამდე) თავისი არსებობის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში გააფთრებით ებრძოდა აბსოლუტურად ყოველგვარ გამოვლინებას საქართველოს თავისუფლებისა, დამოუკიდებლობისა, სუვერენიტეტისა. ჟორდანია წლების მანძილზე ეპაექრებოდა სოციალ-ფედერალისტთა მთავარ იდეოლოგ არჩილ ჯორჯაძეს, რომელიც ილიას შემდგომი თაობის ერთ-ერთ ყველაზე პატრიოტ პოლიტიკურ მოაზროვნედ მიიჩნევა და რომელიც მოითხოვდა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის სახით შესვლას რუსეთის განახლებულ სახელმწიფოში. ნ. ჟორდანია კი კატეგორიულად უარყოფდა არა მხოლოდ პოლიტიკურ ავტონომიას, არამედ თვით კულტურული ავტონომიის საჭიროებასაც — საქართველო უნდა ყოფილიყო რუსეთის ჩვეულებრივი გუბერნია!

არ. ჯორჯაძისა და ნ. ჟორდანიას პოლემიკა შეეხო საქართველოს საზღვრების საკითხსაც, ანუ არკვევდნენ, რა ტერიტორიებით უნდა შესულიყო საქართველოს ავტონომია ან ქართველებით დასახლებული გუბერნია რუსეთის შემადგენლობაში. ნ. ჟორდანია აცხადებდა, რომ მხოლოდ იმ ტერიტორიებით, რომელთა მოსახლეობაც იყო პირწმინდად ქართული, ხოლო ის ძველთაძველი ქართული მიწები, რომლებზეც სხვა ერთა წარმომადგენლებიც ცხოვრობდნენ, ან მით უმეტეს, უმრავლესობას შეადგენდნენ, უნდა გადასცემოდა მეზობელ ქვეყნებს. არ. ჯორჯაძის აზრით კი, საქართველოს უნდა ჩამოსცილებოდა მხოლოდ ის ქართული მიწები, სადაც ქართველები უმცირესობას წარმოადგენდნენ.

XIX საუკუნის დამდეგს ნ. ჟორდანია ვაჟა-ფშაველასაც დაუპირისპირდა. გენიალური პოეტი ქართველ მთიელთა ინტერესებისთვის იბრძოდა. იგი ახსენებდა თანამედროვეებს, რომ ისტორიულად მთის ნამატი მოსახლეობა ჩამოდიოდა ბარად და იკავებდა მტერთა გამუდმებული შემოტევებისაგან ამოწყვეტილ ბარის მკვიდრთა ნასახლარებს. ეს იყო საქართველოს არსებობის ელექსირი. მაგრამ XIX საუკუნეში ბარად ხალხის ჟლეტა შეწყდა, მთაში კი იმდენად გამრავ-

ლდა მოსახლეობა, რომ შიმშილობამ იფეთქა. ვაჟამ თავად მოიძია თავისუფალი სავარგულები აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ მას წინ გადაეღობა ნ. ჟორდანია თავისი პარტიით, — ამ მიწებზე მთიელთა ჩამოსახლებას არ დავუშვებთ, რადგან აქ რუსები უნდა ჩამოვასახლოთ ქართველ გლეხთა რევოლუციური სულისკვეთების ასამაღლებლად და ხალხთა შერწყმის მარქსისტული (სინამდვილეში, ფსევდომარქსისტული) იდეალის განსახორციელებლადო.

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს სუვერენიტეტის დეკლარირების დღეს, ნ. ჟორდანიაც და მისი მარჯვენა ხელი, განთქმული ორატორი და დემაგოგი ირაკლი (კაკი) წერეთელიც, აგრეთვე სხვა მენშევიკებიც გულამოსკვნილნი ტიროდნენ, — იძულებულნი ვართ, საქართველო რუსეთს მოვწყვიტოთ, რადგან იქ საზიზღარმა ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ძალაუფლება ხელთო. მაგრამ არაუშავსო, დაემხობიან ბოლშევიკები და ჩვენი ქვეყანა კიდევ იქნება რუსეთის გუბერნიაო.

აი, ამ პარტიას მისცა ხმა ამომრჩეველმა, თანაც 92 პროცენტმა!

ახლა ვნახოთ, რასა იქმდა იმავე პარტიის მეორე ფრთა ...ბოლშევიკური. მათ არასოდეს დაუმალავთ, რომ საქართველოს მომავალს მხოლოდ რუსეთთან კავშირში ხედავდნენ. ერთმა ქართველმა კრემლიდან მეორე ქართველს გამოუგზავნა რუსული ასოებით დაწერილი ქართული ორი სიტყვა: „აიგე კალაკი!“ იმ მეორემაც იმწამს დაძრა თბილისისკენ მეთერთმეტე არმია, რომლის პირადი შემადგენლობის ნახევარი (მეტი თუ არა!) ქართველებით იყო დაკომპლექტებული.

მაშ ასე, თავისუფალ არჩევნებში ხალხის 92 პროცენტი ხმას აძლევს პარტიას, რომელიც საქართველოს რუსეთის გუბერნიად გახდომისთვის იბრძვის, რომელიც ითხოვს ტერიტორიათა ნახევარზე მეტის გასხვისებას, ხოლო დანარჩენ ტერიტორიებზე რუსთა ჩამოსახლებას ქართველების სრული ასიმილირებისთვის. იმავე პარტიის მეორე ფრთის ლიდერი იძლევა განკარგულებას თბილისის აღებისა და სანახევროდ ქართველთაგან შემდგარი არმია ქართველის სარდლობით ასრულებს ბრძანებას (სხვათა შორის, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისთვის მებრძოლმა ერთადერთმა პარტიამ, ეროვნულ-დემოკრატიულმა, პარლამენტში ერთადერთი დეპუტატის გაყვანა შეძლო).

მკითხველმა თავად განსაჯოს, რამდენად შეიძლება ასეთ ვითარებაში საქართველოს რუსეთის მიერ დაპყრობაზე ლაპარაკი. მე კი ერთს განვაცხადებ კატეგორიულად. ეს დაპყრობა ნამდვილად არ იყო სპარსული, არაბული, თურქული, მონღოლური და ამერიკული დაპყრობის დარი!

გულბაათ რცხილაძე

სერბეთის ტრაგედია და საქართველო[1]

დღეს საკმაოდ ხშირად გამოითქმის (მართებული) აზრი იმის შესახებ, რომ დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების ფაქტი (2008 წლის თებერვალი) საქართველოსთვის, მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვეულობის გამო, მეტად ნეგატიური პრეცედენტია. რომ არ ეღიარებინა კოსოვო დასავლეთის სახელმწიფოებს, რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს არ აღიარებდა. თუმცა თავდაპირველად გასათვალისწინებელია ფაქტი, თუ რატომ იყო დასავლეთი, პირველ ყოვლისა კი, ამერიკის შეერთებული შტატები, ასე მოწადინებული, სერბეთისგან კოსოვო ჩამოეშორებინა. ამის ასახსნელი ფაქტორი საკმაოდ ბევრია, ყველას ვერ განვიხილავთ. ერთი ფაქტორია ბალკანური ნავთობსადენის მარშრუტის გაკონტროლება ბონდსტილის სამხედრო ბაზის საშუალებით.[2] მაგრამ ასევე გასათვალისწინებელია, რომ ამერიკაში საკმაოდ ძლიერი ალბანური ლობი მოღვაწეობს, და აშშ-ის მიერ კოსოვოელი ალბანელების უპირობო მხარდაჭერა ამ მომენტითაც მნიშვნელოვნად არის განპირობებული იმისგან დამოუკიდებლად, რომ სერბულ-ალბანურ კონფლიქტში სიმართლე სულაც არ დგას კოსოვოელი ალბანელების მხარეს.

„ე.წ.„დიდი ალბანეთის“ აგიტაციას აშშ-ში ფაშისტური ხასიათის საწყისები აქვს. ნაცისტებთან თანამშრომლობაში მყოფმა კოლაბორაციონისტებმა 1949 წლიდან დაცვა და მხარდაჭერა შეერთებულ შტატებში ჰპოვეს. მათ შორის იყვნენ: ქსაფერ დევა (Xafer Deva) — კოსოვოში შშ-ის მიერ მხარდაჭერილი ფაშისტური ჯარების ბოლო მეთაური,

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №4(6), 2012.

[2] იხ. Chalmers Johnson, The Sorrows of The Empire. Militarism, Secrecy and the End of Republic. N.Y., 2003.

ჰასან დოსტი (Hasan Dosti), — ქუიზლინგის ალბანური მთავრობის იუსტიციის მინისტრი, ასევე მიდჰატ ფრაშერი (Midhat Frascheri) — ნაციონალისტური ორგანიზაცია Balli Kombetar-ის ხელმძღვანელი, რომელიც ნაცისტებთან მჭიდროდ თანამშრომლობდა. ამ ადამიანებმა ამერიკაში ჩამოსვლისთანავე დააარსეს „ეროვნული კომიტეტი თავისუფალი ალბანეთისთვის", რომელიც უხვად ფინანსდებოდა სი-აი-ეის მიერ. 1986 წელს ალბანურმა ლობიმ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, როდესაც დიო გუარდისა (Dio Guardi) და შემდგომში საპრეზიდენტო კანდიდატ ბობ დოულის (Bob Dole)[3] მეცადინეობით კონგრესმა რეზოლუცია მიიღო იუგოსლავიაში მცხოვრებ ალბანელთა სასარგებლოდ. 1987 წელს დიო გუარდიმ ახალი ძლიერი ლობისტური გაერთიანება Albanian-American Civic League (AACL) დააარსა, რომელმაც აშშ-ში კოსოვოს თემის მონოპოლიზება მოახდინა. სერბული ანალოგი ამ გაერთიანებას ამერიკაში არ ჰქონია". [4]

1990-იან წლებში ამ ჯგუფის მიერ გაშლილი ანტისერბული კამპანია საკმაოდ მნიშვნელოვანი (თუნდაც არა ერთადერთი) ფაქტორი იყო აშშ-ის პოლიტიკის განსასაზღვრად კოსოვოს საკითხში. ალბანური ლობი ფულს არ იშურებდა გავლენიანი ამერიკელი პოლიტიკოსების მოსასყიდად. ჯერ კიდევ 1987 წელს ბობ დოულს საარჩევნო კამპანიაში ალბანელმა ლობისტებმა 1,2 მილიონი დოლარი გადაურიცხეს. ალბანელებმა ასევე დააფინანსეს რენომირებული პიარ-ფირმა Ruder Finn, რომელსაც საუკეთესო ურთიერთობები ჰქონდა აშშ ადმინისტრაციასთან და აგრეთვე მასმედიასთან. ამ ფირმამ დიდი რეკლამა გაუწია „კოსოვას რესპუბლიკის" (ალბანელები კოსოვოს უწოდებენ „კოსოვა"-ს) იდეას. უკვე 1992 წლისთვის აშშ მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ლოურენს იგლბერგერმა (Lაწრენცე Eაგლბურგერ) შეუთვალა იუგოსლავიის ლიდერ მილოშევიჩს: „სერბების მიერ კოსოვოში გამოწვეული კონფლიქტის შემთხვევაში აშშ მზადყოფნას აცხადებს კოსოვოსა და სერბეთის ძირითად ნაწილში ძალის გამოსაყენებლად". [5] აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი მართლაც ზედმეტია.

ასე და ამგვარად იქცა სერბეთის ძირძველი ნაწილი — კოსოვო

[3] 1996 წელს ბობ დოული უკვე პრეზიდენტი კლინტონის წინააღმდეგ წარდგა საპრეზიდენტო კანდიდატად რესპუბლიკური პარტიიდან, მაგრამ კლინტონმა მას დამაჯერებლად მოუგო. დოული, მას შემდეგ, რაც მას უმკურნალა ეროვნებით სომეხმა ექიმმა, განიმსჭვალა არმენოფილური განწყობებით, რასაც ღიად ადასტურებდა (გ.რ.).

[4] შესაბამის სქოლიოებთან ერთად ეს ინფორმაციები იხ.: **Matthias Küntzel, Der Weg in den Krieg. Deutschland, die NATO und das Kosovo. Berlin 2000, S.141-142.**

[5] იხ. იქვე, გვ.142.

— ამერიკული იმპერიალიზმის საექსპერიმენტო ადგილად. სულ რამდენიმე წლის წინ ცნობილმა იტალიურმა გამომცემლობა Fratinelli-მ გამოსცა შვეიცარიელი კარლა დელ პონტეს (Carla del Ponte), რომელიც 2007 წლის ბოლომდე ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე საერთაშორისო ტრიბუნალის ბრალმდებლის ფუნქციებს ასრულებდა, შემდეგ კი არგენტინაში შვეიცარიის ელჩად დაინიშნა, 412-გვერდიანი წიგნი სათაურით „ნადირობა: მე და სამხედრო დამნაშავენი". ამის შესახებ გვატყობინებს „ნეზავისიმაია გაზეტა — დიპკურიერი".[6] თავის დროზე დელ პონტე ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი იყო სერბეთის დაბომბვისა (ნატომ საჰაერო ომი სერბეთის წინააღმდეგ გააჩაღა 1999 წლის 22 მარტს, რომელიც იმავე წლის მაისის ბოლომდე გრძელდებოდა) და დიდი წვლილი შეიტანა სლობოდან მილოშევიჩის ტრიბუნალისთვის გადაცემის საქმეში (2001 წლის ზაფხული), ისევე, როგორც სხვა, უპირატესად სერბი სამხედროების ექსტრადიციაში. მაგრამ თავის წიგნში დელ პონტე ცდილობს, ობიექტურად გააანალიზოს წარსული და თვალნათლივ წარმოუდგენს მკითხველს, თუ რაოდენ ტენდენციური იყო დასავლეთის მიდგომა საკითხისადმი — თუკი სერბულ მხარეს ტრიბუნალის მიერ დანდობის არანაირი იმედი არ დაუტოვეს, ნატოს, აშშ-ის თუ სხვა დასავლური სახელმწიფოების მხრიდან ჩადენილი აშკარა სამხედრო დანაშაულებები არა თუ დასჯილი, არამედ გამოუძიებელიც დარჩა. მეტიც, თვით ალბანელი ტერორისტები, „კოსოვას გათავისუფლების არმიაში" (UCK) გაერთიანებულნი, დელ პონტეს მიერ მრავალრიცხოვან მოწმეთა ჩვენებებისა, და ნაწილობრივ ნივთმტკიცებების საფუძველზეც, მხილებულ იქნენ ათეულობით ადამიანის გატაცებაში, მათთვის ჯანსაღი ორგანოების (მაგ., თირკმელები და სხვ.) ამოკვეთაში, ამ ორგანოების ალბანეთის გავლით ევროპაში გაყიდვის მიზნით, მაგრამ გამოძიებას სერიოზული მსვლელობა არ მისცემია. ამერიკის მიერ ხელდაფარებული ალბანელი ტერორისტები, შემდგომში დასავლეთის მიერ ფავორიტებად აღიარებულნი, კოსოვოს პრემიერ-მინისტრის ჰაშიმ ტაჩის (Hashim Thachi) ჩათვლით, ხელშეუხებელნი აღმოჩნდნენ.

რასაკვირველია, ალბანელების მიერ ჩადენილ არაადამიანურ ქმედებათა ფონზე გასაკვირი აღარ არის, რომ ამერიკელი პილოტი, რომელმაც ბრძანება მიიღო სარკინიგზო ხიდის განადგურებაზე მაშინ, როდესაც იცოდა, რომ მანვე დააზიანა ხიდზე გამავალი სამგზავრო მატარებელი, დაუსჯელი დარჩა. კიდევ ბევრ ასეთ ფაქტს ამზეურებს

[6] **Всеволод Гнетий, «Охота» Карлы дель Понте за военными преступниками. «НГ-Дипкурьер», 19 мая 2008г.**

დელ პონტე, მათ შორის იხსენებს იმასაც, რომ მის მიერ ინიცირებული გამოძიებები ნატო-ს მიერ ჩადენილ დანაშაულებებთან დაკავშირებით მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდა ამ ორგანიზაციაში, მაგრამ, პირველ ყოვლისა, ვაშინგტონში. ამერიკის კონგრესმა დელ პონტე მსგავსი მცდელობებისთვის გააკრიტიკა, ხოლო პენტაგონმა თავის მხრივ, დელ პონტესავე მოგონებების მიხედვით, იგი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა. ასევე საინტერესოა — როდესაც ტრიბუნალის წინაშე სლობოდან მილოშევიჩმა ნატოს მაშინდელი მთავარსარდალი უესლი კლარკი (Wesley Clark) გამოიძახა მოწმედ და იგი თავისი შეკითხვებით რთულ ვითარებაში ჩააგდო, სასამართლოს თავმჯდომარემ, მოსამართლე რიჩარდ მეიმ (Richard May) მილოშევიჩს აუკრძალა ნატოს მიერ იუგოსლავიის დაბომბვაზე დეტალური საუბარი. „ეს მთელი პროცესის განმავლობაში ერთადერთი მომენტი იყო, როდესაც მე მილოშევიჩის მხარეს ვიყავი“, აღიარებს დელ პონტე. მე კი დავძენ: ერთადერთი მომენტი იყო, მაგრამ რაოდენ მნიშვნელოვანი მომენტი!

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მილოშევიჩმა ნატოს საკმაოდ ბევრ დანაშაულს ახადა ფარდა მის წინააღმდეგვე გამართულ სასამართლო პროცესზე, ჰააგაში. თავად მილოშევიჩს, რომელიც პროცესზე საკუთარ თავს თვითონვე იცავდა, იურიდიულად თითქმის არც ერთი ბრალდება არ დაუმტკიცდა პროცესზე.[7] სერბეთის ყოფილი პრეზიდენტი ბრალდებულიდან ბრალმდებლად გადაიქცა. სწორედ ამ ეტაპზე, 2006 წლის 11 მარტს, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა ჰააგის საპატიმროში. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მილოშევიჩის პროცესის შესახებ ინფორმაციები პრესასა და ტელევიზიაში საკმაოდ მწირად გადიოდა (თუმცა სხდომის სტენოგრამები და ოქმები ინტერნეტში ქვეყნდებოდა, მაგრამ დროში გაწელილი პროცესის მუდმივად თვალყურის დევნება, მოსახლეობას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია და იგი დამოკიდებულია ჟურნალისტების მიერ მიწოდებულ ინფორმაციებზე), საზოგადოების ყურადღების გამახვილება ხდებოდა ძირითადად ბრალდების მხარის პოზიციებზე. თუმცა მილოშევიჩმა მოასწრო თავისი დაცვითი გამოსვლების შეგროვება და გადაცემა წიგნად გამოშვების მიზნით. ინგლისურად ეს წიგნი 2006 წელსვე გამოვიდა: Defense Speaks, For History and the Future, by Slobodan Milosevic. ასევე გერმანულენოვანი ვარიანტი: Slobodan Milosevic, Die Zerstörung Jugoslawiens. Slobodan Milosevic antwortet seinen Anklägern.

---

[7] შედარებისთვის იხ. გერმინალ ჩივიკოვის წიგნი: მილოშევიჩის პროცესი. დამკვირვებლის მოხსენება/Germinal Civikov, Der Milosevic-Prozess. Bericht eines Beobachters. „ProMedia“, 2006.

სერბეთის ტრაგედია — უზარმაზარი სამხედრო ალიანსის მიერ მისი დაბომბვა, ინფრასტრუქტურის მოსპობა, მშვიდობიანი მოსახლეობის დახოცვა, ძირძველი მიწის ოკუპაცია და ბოლოს, ამ ტერიტორიის „დამოუკიდებლად“ ცნობა — ამერიკული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და პირდაპირ ახდენს გავლენას საქართველოზე. მაგრამ საინტერესოა, რომ მაშინ, როდესაც სერბეთის მშვიდობიანი ქალაქები უმოწყალოდ იბომბებოდა ნატოს თვითმფრინავების მიერ, საქართველოში სხვაგვარი განწყობა სუფევდა (ჩვენდა სამარცხვინოდ). პოლიტიკოსების და პოლიტოლოგების ზეგავლენით, „უბრალო ადამიანების“ უმრავლესობა ეიფორიით იყო მოცული, აქაოდა, ნატომ კოსოვოში „რუსეთს დაარტყა“ და ამით მისი გავლენა შეამცირა, ხოლო აფხაზეთის და ცხინვალის დაბრუნების შანსები ჩვენთვის ახლა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ნატო და ამერიკა დაგვეხმარებიანო. მოვლენების რეალისტური შეფასება მხოლოდ კანტი-კუნტად ისმოდა:

„რუსული გავლენის შევიწროება მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე კოსოვოთი არ დაწყებულა. მაგრამ ამ ვითარებისგან აუცილებლად უნდა განვასხვაოთ რუსეთი, როგორც რეგიონული სახელმწიფო. გასათვალისწინებელია, რომ უშუალოდ თავის საზღვრებთან (მათ შორის, აფხაზეთში) მიმდინარე მოვლენებზე ამ სახელმწიფოს შეუდარებლად უფრო მწვავე რეაქცია ექნება, ვიდრე მან გამოამჟღავნა მისგან მინიმუმ ათას კილომეტრზე მოწყვეტილსა და იზოლირებულ, თუნდაც „ძმურ“ სლავურ იუგოსლავიასთან მიმართებით. რუსეთი თავის მილიონორასათასიანი არმიით და ატომური შეიარაღებით ჯერ კიდევ ანგარიშგასაწევ ძალად რჩება. ეს, რა თქმა უნდა, მშვენივრად ესმის დასავლეთს. ახლა ჩვენ ვიკითხოთ: რამდენად მოწადინებული შეიძლება იყოს ამერიკა და ნატო რუსეთთან აფხაზეთის გამო ურთიერთობის გამწვავებით, როდესაც საკუთარი ძირითადი სტრატეგიული მიზანი — ნავთობით მდიდარ კასპიის ზღვასთან პირდაპირი კავშირის დამყარება — პრაქტიკულად უკვე განახორციელეს (არძინბა მილოშევიჩი არ არის და მათ ხელს ნამდვილად არაფერში უშლის). ამასთან დაკავშირებით, მგონი, არ ღირს ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის სესტანოვიჩის პასუხის დავიწყებაც ქართველი ჟურნალისტის შეკითხვაზე, როდესაც მან კატეგორიულ ტონში მიუღებლად მიიჩნია კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტებს შორის პარალელის გავლება — ერთადერთი მსგავსება ამ ორ კონფლიქტს შორის არის ის, რომ ორივეგან ლტოლვილთა რიცხვი დიდია... აფხაზეთის პრობლემა მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდესო. [...] როგორც ვხედავთ, ვითარება არც ისე მარტივია და

სახარბიელო“. [8]

მორალურ მხარეს რომ თავი დავანებოთ, რომელიც გვავალდებულებდა, ჯერ ერთი, ჩვენი ერთმორწმუნე ერისათვის — სერბეთისთვის დაგვეჭირა მხარი, რომელსაც ზუსტად იგივე პრობლემა (სეპარატიზმი) ჰქონდა, საქართველომ პოლიტიკური სიბეცე და ამერიკისადმი დაუფარავი სერვილიზმი გამოამჟღავნა (მართალია, საქართველოს მაინც არავინ ეკითხებოდა ბალკანეთის ბედს, მაგრამ მით უმეტეს გაუგებარი იყო ქვეყანაში ატეხილი აჟიოტაჟი). დღეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კამათის საგანს აღარ წარმოადგენს ის მოსაზრება, რომ იუგოსლავიისთვის (შემდგომში — სერბეთისთვის) კოსოვოზე უფლების ჩამორთმევამ დასავლეთის მიერ, საკმაოდ უარყოფითად იმოქმედა ტერიტორიული პრობლემის დადებითად გადაწყვეტაზე საქართველოსათვის. თუმცა პრობლემის არსს მხოლოდ ტერიტორიული საკითხი არ წარმოადგენს. კოსოვოში განთავსებული ნატოს სამშვიდობო (იგივე საოკუპაციო) ჯარების ქმედებები, როდესაც ალბანელ ტერორისტებს საშუალება მიეცათ, მეთოდურად გაენადგურებინათ და შეებღალათ კოსოვოში მიმოფანტული მრავალი მართლმადიდებლური ტაძარი და მონასტერი, ნაწილობრივ ხსნის დასავლეთის მოტივებს, თუ რატომ აღმოუჩენს იგი მხარდაჭერას ანტიმართლმადიდებლური მიმართულების ნებისმიერ ძალას სერბეთში, რუსეთში თუ საქართველოში. დასავლეთს ნაკლებად აღელვებს ცალკე აღებული საქართველო, ცალკე აღებული სერბეთი და თვით ცალკე აღებული რუსეთიც კი. დასავლეთს აღელვებს მართლმადიდებლობა, როგორც რწმენა და როგორც ევრაზიული იდენტობის საფუძველი.

[8] გულბაათ რცხილაძე, ბალკანეთის ომი და მისი შედეგები. „დილის გაზეთი“, 1999 წლის 1 ივლისი.



ვალერიან მაჭარაძე

გეორგიევსკის ტრაქტატი[1]

გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით ქართლ-კახეთის სამეფო ნებაყოფლობით შევიდა რუსეთის მფარველობაში. ეს იყო პირველი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში. ამ აქტით ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II „სახელითა თჳსითა, მემკჳდრეთა და მენაცულეთა თჳსთა დღესასწაულობით“ აცხადებდა, რომ ამიერიდან სამუდამოდ უარს ამბობდა, ეცნო ირანის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს მეთაურის უზენაესი ხელისუფლება, გარდა რუსეთისა, ხოლო რუსეთი ვალდებულებას იღებდა, დაეცვა ქართლ-კახეთი გარეშე მტრებისაგან და ეზრუნა მისთვის მტრის მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნებისათვის, რომელიც ქართველი მეფის მფლობელობაში უნდა დარჩენილიყო.

გეორგიევსკის ტრაქტატი მკვეთრი მობრუნება იყო არა მარტო რუსეთ-საქართველოს, არამედ, აგრეთვე, საქართველო-სპარსეთისა და საქართველო-თურქეთის ურთიერთობაშიც.

გეორგიევსკის ტრაქტატი, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, ახალი ეტაპის დასაწყისი იყო საქართველოსა და ამიერკავკასიის საკითხში რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ურთიერ-

---

• წყარო: გეორგიევსკის ტრაქტატი, გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გამც. „ხელოვნება“, 1983.

[1] გამოკვლევის ძირითადი დებულებები მოხსენდა თსუ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიას 1959 წლის მაისში (თეზისები გამოქვეყნებულია). შემდეგ შრომა შეივსო, დაზუსტდა და 1982 წლის 21 მარტს წაკითხულ იქნა თსუ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, ხოლო იმავე წლის 25 აპრილს — საქართველოს საისტორიო საზოგადოების საქართველოს ისტორიის სექციის სხდომაზე.

თობაში, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული ურთიერთობისაგან. უფრო მეტიც, ეს აქტი მოასწავებდა საერთოდ კავკასიის პრობლემის ახლებურად დაყენებას.

წყაროებისა და ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა[2]

გეორგიევსკის ტრაქტატი თავისი მნიშვნელობით, ბუნებრივია, მკვლევართა დიდ ყურადღებას იმსახურებს. ტრაქტატს მიეძღვნა არა ერთი გამოკვლევა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი დღემდე არ არის სათანადოდ გაშუქებული. ეს განპირობებულია იმით, რომ მკვლევართათვის ძირითად წყაროდ დღემდე რჩება ა. ცაგარლის პუბლიკაციები[3] და პ. ბუტკოვის „მასალები“.[4]

პ. ბუტკოვს დიდი დამსახურება მიუძღვის კავკასიის ხალხების ისტორიის შესწავლის საქმეში. მისი შრომები შეიცავენ საყურადღებო ცნობებს, ამოკრებილს საარქივო დოკუმენტებიდან, ზეპირი გადმოცემებიდან და სხვა მასალებიდან, აგრეთვე საყურადღებო მოსაზრებებსაც, მაგრამ ავტორს ნაშრომი დაუმთავრებელი, „შავი“ ხელნაწერის სახით დარჩა, რომელსაც, გამომცემლების აღიარებით „სერიოზული ხარვეზები გააჩნდა“ და მეტწილად „წყაროზე მითითებაც არ ახლდა“,[5] ამიტომ მათი შემოწმება ძნელი იყო, რამაც დაღი დაასვა მომდევნო ხანის გამოკვლევებს.

დიდია ა. ცაგარლის დამსახურება მეცნიერების წინაშე. მისი პუბლიკაციები დიდი ხანია ქართველი ისტორიკოსებისათვის სამაგიდო წიგნებად ითვლება, მაგრამ, ამასთან, ხსენებულ პუბლიკაციებს სერიოზული ნაკლიც გააჩნიათ: ჯერ ერთი, მკვლევარს საარქივო „საქმეების“ უმრავლესობა არ გაუსინჯავს, ხოლო გასინჯულიდან გამორჩენია (კრებულში არაა შეტანილი) საყურადღებო დოკუმენტები; მეორეც, გამოქვეყნებული დოკუმენტები ცუდად დაუბეჭდავს;[6] გეორგიევსკის

[2] წიგნის ხასიათი და მოცულობა შეუძლებელს ხდის წყაროებისა და ლიტერატურის სრულ მიმოხილვას.

[3] **Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, под ред. А. А. Цагарели, т. 1, СПБ., 1891 (ქვემოთ: Грамоты, 1); Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, под. ред. А. А. Цагарели, т. II, вып. 1, СПБ., 1898 (ქვემოთ: Грамоты, II, вып.1); Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, под ред. А. А. Цагарели, т. II, вып. II, СПБ., 1901 г. (ქვემოთ: Грамоты, II, вып. II).**

[4] **П. Г. Б у т к о в, Материалы для новой истории Кавказа, ч. I-III, СПБ., 1869.**

[5] **П. Б у т к о в, Материалы, ч. I, გვ. VIII (შესავალი).**

[6] **ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IV, თბილისი, 1967, გვ. 164.**

ტრაქტატთან დაკავშირებულ დოკუმენტებშიც, უმნიშვნელო ხარვეზებსა და კორექტურაზე რომ არაფერი ვთქვათ, გამოტოვებულია საყურადღებო ადგილები. მაგალითად, ჯერჯერობით მხოლოდ ა. ცაგარლის პუბლიკაციითაა ცნობილი ერეკლე II 1771 წ. 30 დეკემბრის წერილი, სადაც წამოყენებულია ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის პირობები, რომელიც შემდეგ ტრაქტატის შემუშავების საფუძველი გახდა. დოკუმენტის პუბლიკაციაში დამახინჯებულია 3 ძირითადი მუხლი: 1) მუხლს ახალციხის შესახებ ბოლო აქვს მოკვეთილი; 2) მუხლს ჭარის (აღმოსავლეთი კახეთი) შესახებ მოკვეთილი აქვს თავი და ეს ორი მუხლი მექანიკურადაა ერთმანეთთან გაერთიანებული, რაც ტექსტს გაუგებარს ხდის; 3) დამახინჯებულია მუხლი საქართველოში გამოგზავნილი რუსეთის ჯარის მეთაურის უფლებების შესახებ. აქვე მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს. პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „როდესაც ძალითა და შეწევნითა თ. დ. კორპუსისათა რაც ოსმალთაგან წართმეულს ადგილებს დავიჭერთ ბედნიერებითა თ. დ. ამასაც, როგორც ზემორე დაგვიწერია, იმ სახით ვამსახურებთ: კომლზე თოთხმეტს შაურს წელიწადში, და იმავ ადგილებიდამ წელიწადში აბრაშუმს ორას ფუთსა იმ ქვეყნებიდამ, და, თუ მეტი შევიძელით, მეტს მოვართმევთ დ. თ.“[7]

დედანში კი მოცემულია: „როდესაც ძალითა და შეწევნითა თქვენისა დიდებულების კორპუსისათა, რაც ოსმალთაგან წართმეული *მამულები გვაქუს და იმ ადგილებს დავიჭერთ, იმათ მოგართვან ხარჯი თქვენ ყოვლად დიდებულსა ჴელმწიფესა, რაც რომ რუსეთის იმპერიაში თავადის ყმა აძლევს, იმისი ნახევარი ხარჯი.*

თუ რომ კახეთის წართმეული ადგილები დავიჭირეთ ბედნიერობითა თქვენის დიდებულებისათა, ამასაც, როგორც ზემორე დაგვიწერია, იმ სახით ვამსახურებთ: კომლზე თოთხმეტს შაურს წელიწადში და იმავ ადგილებიდამ წელიწადში აბრეშუმს ორას ფუთსა და იმ ქვეყნებიდამ, და, თუ მეტი შევიძელით, მეტს მოვართმევთ დიდებულობასა თქვენსას“.[8]

როგორც ვხედავთ, აქ მექანიკურად გაერთიანებულია ორი პუნქტი და საერთოდ ამოვარდნილია კახეთის ხსენება. ამასთან, ჩანს, რომ ერეკლე აბრეშუმით გადასახადს ახალციხის შემოერთების შემთხვევაში კი არ კისრულობდა, არამედ — „კახეთის წართმეული ადგილების“ (ჭარის), ხოლო გადასახადს 14 შაურს კომლზე ახალციხის მხრიდან კი არ კის-

[7] **Грамоты, II, вып. I, с. 84.**

[8] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1769-76гг., оп. 110/2, д. 12, л. 463** (დახრილად აწყობილი ადგილები გამოტოვებულია ა. ცაგარლის პუბლიკაციაში).

რულობდა, არამედ იმის ნახევარს, რაც „რუსეთის იმპერიაში თავადის ყმას“ ედო (ე. ი. 35 კაპიკს).

პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „და გვებოძოს ჯარი რიცხვით ოთხი ათასი... ვინც ჯარის თავი იქნება, ჩვენს რჩევას მიიღებდეს და დაიჯერებდეს, ვინადგან ვართ აქაურთა საქმეთა შინა მყოფნი და მეცნიერნი ამისთვის“.[9]

დედანში სხვაგვარადაა მოცემული: „...გვებოძოს ჯარი რიცხვით ოთხი ათასი... ვინც ჯარის თავი იქნება, ჩვენის შეძლებით, *როგორც რჩევას იმას დაუჯერებდეთ, ეგრეთვე ისიც ჩვენს რჩევას მიიღებდეს და დაიჯერებდეს*, ვინადგან ვართ აქაურთა საქმეთა შინა მყოფნი და მეცნიერნი ამისთვის“.[10]

ასე რომ, ერეკლე II იმას კი არ ითხოვდა, რუსეთის ჯარის სარდლები მე უნდა დამემორჩილოსო, არამედ მე რუსეთის ჯარის მეთაურს შეძლებისდაგვარად („ჩვენის შეძლებით“) მოვუსმენ და იმანაც უნდა მომისმინოსო.

ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ერეკლე II 1771 წლის 30 დეკემბრის წერილის ა. ცაგარლისეულმა გამოცემამ მკვლევარები შეცდომაში შეიყვანა: ი. ციცინაძემ შეამჩნია დოკუმენტის ხარვეზები, რაც წერილის სტილს დააბრალა და მის ნაცვლად ქართლ-კახეთის სამეფო კარის მიერ წამოყენებული პირობების გადმოსაცემად მიმართა ანტონ კათალიკოსისა და ლევან ბატონიშვილის გვიანდელ (1773 წლის) წერილს, როგორც „უფრო ვრცელსა“ და „უკეთ გამართულს“;[11] ხოლო გ. პაიჭაძემ[12] ვერ მოახერხა ერეკლეს მიერ წამოყენებული პირობების სრულად და სწორად გადმოცემა.

ასეთი მაგალითები შეიძლებოდა სხვაც მრავალი მოგვეტანა.

ა. ცაგარელს გამორჩენია და მეცნიერებისათვის დღემდე უცნობი რჩებოდა მეორე უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი ქართლ-კახეთის სამეფო კარის პირობა,[13] რომელიც ერეკლეს მიერ გაგზავნილი ხელშეკრულების პროექტს ახლდა და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მნიშვნელოვნად ავსებდა მას.[14]

---

[9] **Грамоты, II, вып. I, с. 83.**

[10] **АВПР, ф. Сн. России с Грузией, 1769-76гг., оп. 110/2, д. 12, л. 462** (დახრილად აწყობილი სიტყვები ა. ცაგარლის პუბლიკაციაში გამოტოვებული იყო).

[11] ი. ციცინაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბილისი, 1960, გვ. 59.

[12] გ. პაიჭაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა, თბილისი, 1980, გვ. 29.

[13] **АВПР, ф. Сн. России с Грузией, 1769-76гг., оп. 110/2, д. 12, л. 459.**

[14] ერეკლეს მიერ რუსეთის მფარველობაში შესვლის თაობაზე 1771-73 წლების დოკუმენტები და ქართლ-კახეთის ელჩობის რუსეთის მთავრობასთან 1772-1774 წლებში მოლაპა-

რაც შეეხება ხელშეკრულების ტექსტს, იგი რამდენჯერმე დაიბეჭდა, მაგრამ სრული და იმ სახით, რა სახითაც რეალურად არსებობს, ჯერ მკითხველებსა და მკვლევარებს არ უხილავთ.

ტრაქტატის ნაწილი, სახელდობრ: პრეამბულა, 13 ძირითადი მუხლი და ქართლ-კახეთის მეფის რუსეთისადმი ერთგულების ფიცის ნიმუში („სახე") პირველად რუსულ ენაზე სტამბური წესით დაბეჭდეს ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უმალვე,[15] იმპერიაში გასაცხადებლად და საზღვარგარეთ რუსეთის ელჩებისათვის გასაგზავნად.[16]

ხელშეკრულება მეორედ სტამბურად დაიბეჭდა 1783 წლის ბოლოს და 1784 წლის დასაწყისში ქართულ და რუსულ ენებზე (პარალელური ტექსტი). გვერდის მარცხენა ნახევარზე რუსული ტექსტი იყო მოთავსებული, მარჯვენაზე — ქართული (ნუსხახუცური შრიფტით).[17] ამას ადასტურებს ა. ბეზბოროდკოს 1783 წლის 15 დეკემბრის წერილი.[18] შინაარსიდან ჩანს, რომ ტრაქტატის ორენოვანი ტექსტი მეცნიერებათა აკადემიაში გაიგზავნა დასაბეჭდად და მეთვალყურეობა (რედაქტორობა) თავად მოურავოვისათვის (თარხან-მოურავი) დაუვალებიათ.[19] მეც-

---

რაკების მასალები სრულად იბეჭდება ჩვენი „მასალების" III წიგნში.

[15] **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 80-82.**

[16] **1783 წლის 21 აგვისტოს ა. ბეზბოროდკო ცარსკოე სელოდან საგარეო საქმეთა კოლეგიას (საგარაუდებელია გრაფ ოსტერმანს) წერდა: «Препровождая сим Трактат, заключенный с карталинским и кахетским царем Ираклием Теймуразовичем о признании им верховной власти Всероссийских императоров над царями и царствами Карталинским и Кахетским, имею честь сообщить вашему сиятельству о высочайшем ея императорскаго величества соизволении, чтоб, во-первых, на сей Трактат заготовлена была императорская ратификация, в которой царю Ираклию Теймуразовичу дать все те титулы, коим он себя именует в своей Полной мочи. Второе, сей Трактат для сведения в Империи всероссийской напечатать, а хотя и должно оный во известие сообщить министрам российским в чужих краях пребывающим, но притом наставить их, что в случае каковых либо безпокойств от каких бы то ни было держав имеют они отвествовать, что у нас все вобще дела азиатския почитаются посторонными и отнюдь не принадлежащими к европейским державам, так что и сами союзники наши имеют о том с нами точное условие, что и здесь наблюдать. Третье, что же касается до сепаратных артикулов, оные в печать не отдавать и никуда не разсылать» (АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, л. 18).**

[17] **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 35-47.**

[18] **ა. ბეზბოროდკოს წერილი 1783 წლის 15 დეკემბრისაა და არა 18 დეკემბრის, როგორც ეს რ. მიმინოშვილსა და გ. პაიჭაძეს მიაჩნიათ (იხ. ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, ნაწ. I, თბილისი, 1970, გვ. 184, 188).**

[19] **«Милостивый государь мой! Ея императорскому величеству угодно, чтобы ваше сиятельство (ალბათ იგულისხმება გრაფი ოსტერმანი — ვ. მ.) благоволили приказать препроводить к ее сиятельству княгине Катерине Дашковой с г-м канцелярии советником князем Моуравовым верную копию трактата, постановленнаго с карталинским и кахетинским царем Ираклием для напечатания в Академии на**

ნიერებათა აკადემიის მიერ დაბეჭდილი ტექსტი შეიცავდა არა მარტო ხელშეკრულების ძირითად ტექსტსა (პრეამბულასა და 13 მუხლს) და ფიცის ნიმუშს („სახეს“), არამედ ადრე დაბეჭდილი ტექსტისაგან განსხვავებით, მას დართული ჰქონდა აგრეთვე ქართლისა და კახეთის თავად-აზნაურთა სიაც, რომელსაც ხელი მოაწერა ერეკლე II ჯერ კიდევ ხელშეკრულების დადებამდე (1783 წლის 28 ივნისს). სიაც ორენოვანი იყო. მთარგმნელის შეცდომით, რუსულ ტექსტში სიის ხელმოწერის თარიღად 18 ივნისია აღნიშნული.[20]

1830 წელს გეორგიევსკის ტრაქტატი დაიბეჭდა რუსეთის იმპერიის კანონთა სრულ კრებულში, სეპარატული (ცალკე) მუხლების გარეშე.[21]

1898 წელს ა. ცაგარელმა გამოაქვეყნა გეორგიევსკის ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელი საქართველოს მხრივ (ქართულ ენაზე), სადაც, ძირითად ტექსტთან ერთად, პირველად გამოქვეყნდა სეპარატული მუხლები.[22] მაგრამ ა. ცაგარელმა დაარღვია დოკუმენტის სტრუქტურა. სარატიფიკაციო სიგელში შეიტანა ელჩების რწმუნების სიგელი, ხოლო სარატიფიკაციო სიგელის პირველი დოკუმენტის (სიგელი ორი დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით არსებობს) დასკვნითი ნაწილი გადაიტანა მეორე დოკუმენტის ბოლოში. ეს იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ მკვლევარმა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ხელშეკრულების დედანი და სარატიფიკაციო სიგელი ერთმანეთისაგან ვერ განასხვავა; ზედმეტად მიუჩნევია სარატიფიკაციო სიგელის პირველი დოკუმენტის დასკვნითი ნაწილი, რაკი იგი ხელშეკრულების დედანში არ იყო. მართალია, არ გამოუტოვებია, მაგრამ პირველი დოკუმენტის დასკვნითი (ბოლო) ნაწილი მეორე დოკუმენტის ბოლოში გადაუტანია, რაც დაუშვებელია.

1902 წელს ა. ცაგარელმა დაბეჭდა აგრეთვე ხელშეკრულების პროექტის რუსული ტექსტი, რომელიც ა. ბეზბოროდკოს ავტოგრაფითაა შემონახული.[23]

1949 წელს დ. ენუქიძემ გამოაქვეყნა ტრაქტატის სარატიფიკაციო

грузинском и российском языках. Имея честь сообщить о сем вашему сиятельству пребываю в совершенным почитанием» (АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, л. 19).

[20] **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 35-47** (ქართველ თავად-აზნაურთა სიის დართვას პრაქტიკული მნიშვ-ნელობა ჰქონდა, რადგან ტრაქტატის მე-9 მუხლით ისინი უთანაბრდებოდნენ რუს თავად-აზნაურობას და რუს მოხელეებს ეს უნდა სცდონოდათ, რომ შესაბამისი პატივი მიეგოთ).

[21] **ПСЗ, т. XXI, СПб., 1830, док. №15835, с. 1013-1017.**

[22] **Грамоты, II, вып. I, გვ. 99-110.**

[23] **Грамоты, II, вып. I, გვ. 32-41.**

სიგელი საქართველოს მხრივ (ერეკლეს მიერ რატიფიცირებული ტექსტი) ქართულ ენაზე. საქართველოს მუზეუმში დაცული (ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტშია) დედნის მიხედვით, ოღონდ მასში შეტანილია ქართველი ელჩების რწმუნების სიგელი, რომელიც ა. ცაგარლის პუბლიკაციიდან გადაბეჭდა.[24]

1960 წელს ი. ცინცაძემ დაბეჭდა ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელი საქართველოს მხრივ (ერეკლეს მიერ რატიფიცირებული ტექსტი) ქართულ ენაზე (საქართველოს მუზეუმში დაცული დედნის მიხედვით). გამომცემელს სარატიფიკაციო სიგელისათვის დასაწყისი (პირველი გვერდი) მოუკვეთია. აქვეა დაბეჭდილი ხელშეკრულების პროექტის, ხელშეკრულების ძირითადი ნაწილისა და დამატებითი მუხლის რუსული ტექსტებიც, რომლებიც გადმობეჭდილია ადრინდელი გამოცემებიდან.[25]

1965 წელს ი. დოლიძემ გამოსცა ტრაქტატის ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზე, რომელსაც დაურთო ქართველ თავად-აზნაურთა სია.[26] პუბლიკაცია რამდენიმე შენიშვნას იმსახურებს. ჯერ ერთი, დაბეჭდილია არა ხელშეკრულების დედანი, არამედ სარატიფიკაციო სიგელის ქართული ტექსტი, რომელიც გამომცემელს შეუვსია, ან როგორც თვითონ წერს, ადგილი „აღუდგენია“ საარქივო საქმით. ე. ი. სარატიფიკაციო სიგელში ადგილი შეუტანია ხელშეკრულების დედნიდან და იგი კვადრატულ ფრჩხილებში მოუთავსებია,[27] რაც გაუმართლებლად მიგვაჩნია. რადგან ტრაქტატის დედანი და სარატიფიკაციო სიგელის დედანი დამოუკიდებელი დოკუმენტებია, ამიტომ ისინი ცალ-ცალკე უნდა დაბეჭდილიყო. ამგვარად, ვერც ერთი ვერ მივიღეთ მისი ნამდვილი სახით; მეორე, სარატიფიკაციო სიგელის პარალელურ რუსულ ნაწილად დაუბეჭდავს არა მისი „თარგმანი“,[28] რომელიც მოსკოვის არქივშია დაცული, არამედ ტრაქტატის დედნის „თარგმანი“. ამიტომ ქართულ ტექსტს რუსული თარგმანი თავიდანვე კი არ მისდევს, არამედ მეორე გვერდიდან იწყება და ბოლომდე არ მიჰყვება — ქართული ტექსტის ბოლო ნაწილიც „თარგმანის“ გარეშეა დაბეჭდილი;[29] მესამე, ქართულ ტექსტში გამომცემელს

[24] საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის დოკუმენტები, შეადგინა და კომენტარები დაურთო დ. ენუქიძემ, თბილისი, 1949, გვ. 31-44.

[25] ი.ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. თბილისი, 1960, გვ. 198-233.

[26] ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბილისი, 1965, გვ. 457-492.

[27] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 473.

[28] აქ სიტყვა „თარგმანს“ პირობითად ვხმარობთ, რის თაობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

[29] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 457-482.

ენობრივი (ორთოგრაფიული) ფორმები გაუსწორებია, რაც მართებულად არ მიგვაჩნია. რუსული ტექსტი კი ძველი ორთოგრაფიით დაუბეჭდავს,[30] რაც რუსული საარქივო დოკუმენტების პუბლიკაციის თანამედროვე წესებს ეწინააღმდეგება; მეოთხე, შეცდომებია დაშვებული კომენტარებშიც, სადაც საარქივო საქმის ძველი სათაური, რომელსაც მთელი ფურცელი უჭირავს, „მინაწერადაა" გამოცხადებული.[31] დასასრულ, გამომცემელს რატომღაც გამოუტოვებია ხელშეკრულების დამატებითი მუხლი (ე. წ. „შესასრულებელი არტიკული").

ტრაქტატის ტექსტი 1970 წელს რ. მიმინოშვილმა და გ. პაიჭაძემ გამოსცეს,[32] მაგრამ არც ეს გამოცემა აღმოჩნდა სრული. მართალია, ხელშეკრულების ქართული ტექსტი სრულადაა დაბეჭდილი,[33] მაგრამ ქართული სარატიფიკაციო სიგელის მხოლოდ დასაწყისი და ბოლოა დაბეჭდილი,[34] რაც საკმარისი არ არის, რადგან ქართული სარატიფიკაციო სიგელი დამოუკიდებელი დოკუმენტია, ამიტომ იგი სრულად უნდა დაბეჭდილიყო; რაც შეეხება რუსულ ტექსტს — ხელშეკრულების დედნის მხოლოდ „თარგმანია" დაბეჭდილი,[35] სარატიფიკაციო სიგელის „თარგმანი" კი საერთოდ გამოუტოვებიათ; მეორე, გამომცემლებს ქართულ ტექსტის დასადგენად საჭიროდ ჩაუთვლიათ სხვა გამოცემების პარალელური ფორმების სქოლიოში გამოტანა,[36] რაც ზედმეტად მიგვაჩნია, რაკი ტრაქტატის დედანი გვაქვს (გვიანდელი ასლებით რომ ვსარგებლობდეთ, ან დაზიანებული იყოს, მაშინ ეს აუცილებელი იქნებოდა); მესამე, გამომცემლებს ქართულ დედანში ორთოგრაფიული ფორმები გაუსწორებიათ, რაც მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია; რუსულ ტექსტებში გამომცემლებს ყველა არსებითი სახელი, სამხედრო და სამოქალაქო წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვები, თითქმის ყველა ნაცვალსახელი მთავრულით დაუწერიათ,[37] რასაც არც რუსული საისტორიო დოკუმენტების გამოცემის თანამედროვე „წესები" ითვალისწინებს და არც საბჭოთა ისტორიოგრაფიის პრაქტიკა; მეოთხე, გამომცემლებს 82 ფურცლიანი საქმის საერთო,

[30] იქვე, 458-482.

[31] იქვე, 638-639.

[32] ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბილისი, 1970, გვ. 182-245.

[33] იქვე, გვ. 193-207.

[34] იქვე, გვ. 208-211.

[35] იქვე, გვ. 223-233.

[36] იქვე, გვ. 193-211.

[37] იქვე, გვ. 221-237.

ძველი სათაური (ყდაზე წარწერა),[38] რომელიც ახალი პაგინაციით 1 ფურცლადაა დანომრილი, გადაუტანიათ მეცხრე ფურცელზე დაწყებული რუსული ტექსტის სათაურად,[39] რაც „წესებს“ ეწინააღმდეგება; მეხუთე, შეცდომაა დაშვებული წყაროზე მითითებისას — წინასიტყვაობაში საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს გეორგიევსკის ტრაქტატი ერთ საარქივო საქმეში (საქმე № 178) იყოს წარმოდგენილი.[40] სინამდვილეში იგი სამ საქმეშია დაცული (ელჩების რწმუნებანი — საქმე №177,[41] ტრაქტატის დედანი და მასთან დაკავშირებული მასალები — საქმე №178[42] და სარატიფიკაციო სიგელი და მასთან დაკავშირებული მასალები — საქმე №179)[43], ყოველ მათგანს შესაბამისი სათაური აქვს, ხოლო გამომცემლების მიერ მოტანილი მასალა ორ საქმეშია (საქმე №177 და საქმე №178) დაცული და არა ერთ საქმეში (საქმე №178-ში), როგორც აღნიშნულია.[44] მეექვსე, პუბლიკაციის წინასიტყვაობასა და კომენტარებში გვხვდება უზუსტობანი. მაგალითად, საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს ქართველ თავად-აზნაურთა სია ერეკლემ პოლკოვნიკ ტამარას 1784 წლის იანვარში გადასცა,[45] მაშინ როცა ამ სიას ერეკლემ 1783 წლის 28 ივნისს მოაწერა ხელი და გაატანა ი. ბაგრატიონსა და გ. ჭავჭავაძეს, რომლებმაც იგი გეორგიევსკში გადასცეს პ. პოტიომკინს, ხოლო ამ უკანასკნელმა ეს სია 1783 წლის 24 ივლისს გაგზავნა პეტერბურგში, 1783 15 დეკემბერს კი აკადემიის სტამბაში გაატანეს დასაბეჭდად თავად მოურავოვს (თარხან-მოურავს).

დასასრულ, დაბეჭდილ ტექსტებში შეინიშნება სხვა ხარვეზებიც (არასწორად ამოკითხული ადგილები, კორექტურული შეცდომები და სხვა), რომლებსაც აქ არ შევეხებით. შევეხეთ მხოლოდ საერთო ნაკლს, რომელიც ცხადყოფს, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი მისი სრული სახით არც ქართულ და არც რუსულ ენაზე (ჩვენს არქივებში დაცული მასალების მიხედვით) დღემდე არ დაბეჭდილა და არც მისი

[38] საგარეო საქმეთა კოლეგიის საქმეების ძველი აქტების არქივიდან საგარეო პოლიტიკის არქივში გადატანი-სას მას ახალი ყდა გაუკეთეს და შესაბამისად დაასათაურეს, ხოლო ძველი ყდა და სათაური საქმეში დარჩა და 1 ფურცლად დაინომრა(АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, л. 1), რასაც მოჰყვა მთელი საქმის გადანომრვა, რაც აქვე დაბეჭდილ ფოტოპირებზე კარგად ჩანს.

[39] ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, გვ. 223.

[40] იქვე, გვ. 182-190.

[41] АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 177, лл. 1-4.

[42] იქვე, д. 178, лл. 1-82.

[43] იქვე, д. 179, лл. 1-34.

[44] ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, გვ. 182-190.

[45] იქვე, გვ. 183-187.

მეცნიერული გამოცემა არსებობს.

* * *

რაც შეეხება საკითხის ისტორიოგრაფიას, სურათი არც აქაა სახარბიელო. რევოლუციამდელმა მკვლევარებმა საკითხის მეცნიერული გაშუქება ვერ შეძლეს. რომ არაფერი ვთქვათ რევოლუციამდელი მკვლევარების მეთოდოლოგიასა და ტენდენციურობაზე (ეს ეხება როგორც ქართველ, ისე რუს მკვლევარებს), მათ ვერ შეძლეს ტრაქტატის დადების უმთავრესი მიზეზების განსაზღვრაც კი, რადგან მათი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, როგორც ზემოთ აღინიშნა, შეზღუდული იყო. ტრაქტატის დადების უმთავრეს მიზეზებს ისინი ეძებდნენ XVIII ს. 70-80-იანი წლების მიჯნაზე, განსაკუთრებით 80-იანი წლების დასაწყისში ქართლ-კახეთის მდგომარეობის განსაკუთრებულ გაუარესებაში (თითქოს ჯამაგირი რომ დაუგვიანდებოდათ, ლეკები თბილისში ჩამოდიოდნენ და ქალაქს აწიოკებდნენ, თითქოსდა ალექსანდრე ბაქარის ძის დაღესტანში გამოჩენით ერეკლემ არ იცოდა სად წასულიყო). ამ მუქ სურათს ზოგიერთი ისტორიკოსი უმატებდა ეკატერინეს „გულჩვილობასაც“, რომელსაც „შეცოდებია“ გაჭირვებაში ჩავარდნილი ერეკლე. ერთი სიტყვით, ქართლ-კახეთის მიერ ტრაქტატის დადების მიზეზებს XVIII ს. 80-იანი წლების დასაწყისის კონიუნქტურით ხსნიდნენ, ხოლო რუსეთის მხრივ — ირანული პოლიტიკის „გამოცოცხლებით“.[46]

რევოლუციის შემდეგ, 30-40-იან წლებში, იყო საკითხის ახლებურად გაშუქების ცდა, მაგრამ მას რაკი წყაროების სპეციალური ძიება არ ახლდა, არსებითი შედეგები არ მოჰყოლია.

საკითხის სპეციალურად შესწავლა ამ ოცდაათიოდე წლის წინ დავიწყეთ და 1959 წელს, ძირითადად, დავამთავრეთ მონოგრაფია „გეორგიევსკის ტრაქტატი“. ვაჩვენეთ, რომ გეორგიევსკის ტრაქტატს საფუძვლად დაედო ერეკლეს მიერ 1771 წელს წამოყენებული პირობები, ხოლო მისი შეპირისპირებით ეკატერინეს ინსტრუქციასთან და ტრაქტატის ტექსტთან ცხადი გავხადეთ, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი საქართველოსათვის უფრო შეღავათიან პირობებში დაიდო, ვიდრე ერეკლეს პროექტი ითვალისწინებდა, რასაც ადრე ყურადღება არ ექცეოდა. ამასთან, უარვყავით მოსაზრება საქართველოს ვითარების განსაკუთრებით გაუარესების თაობაზე XVIII საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე და აქცენტი გადავიტანეთ რუსეთის ვითარების გაუმჯობესებაზე 80-იან წლებში, რამაც გადაწყვიტა ტრაქტატის

[46] თითქოს, რაკი ვოინოვიჩის საზღვაო ექსპედიციამ მარცხი განიცადა, ერეკლესთან დადეს ხელშეკრულება, რომ ხმელეთით შეჭრილიყვნენ ირანში.

დადება. გარდა ამისა, სპარსეთის ნაცვლად წინა პლანზე წამოვწიეთ თურქეთის როლი და ადგილი, რომელსაც აგრეთვე ადრე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა.[47] ამრიგად, უარვყავით რევოლუციამდელი ისტორიოგრაფიის ძირითადი დებულებები, ვაჩვენეთ მათი უსაფუძვლობა.

მართალია, 1960 წლიდან გეორგიევსკის ტრაქტატს რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზემოთ წამოყენებულმა მოსაზრებებმა შემდგომი განვითარება ვერ პოვეს. გეორგიევსკის ტრაქტატზე დაწერილი ნაშრომებიდან ი. ცინცაძის გამოკვლევა გამოირჩევა, სადაც მოცემულია როგორც ქართლ-კახეთის სამეფო კარის მიერ წარდგენილი პროექტის, ისე ხელშეკრულების მუხლების ვრცელი ანალიზი. როგორც ჩანს, ავტორს ყურადღება მიუქცევია ჩვენი მოხსენების თეზისებისათვის და ნაშრომის შესავალში აღნიშნავს, რომ „რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა... ყოველმხრივ გაშუქებული არ გამოიყურებოდა“ და „1783 წლის შემდეგ მომხდარი ზოგი მოვლენის მართებული ახსნა არ მოგვეპოვებაო“. მაგრამ მკვლევარს ძიება არასწორი გზით წარუმართავს — წინა პლანზე ე. წ. „საბერძნეთის პროექტი“ — თურქეთის „წაქცევის“ გეგმა წამოუწევია, რომლის ნაწილადაც გეორგიევსკის ტრაქტატი გამოუცხადებია. რასაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჩვენ ვერ გავიზიარებთ. ამასთან, ავტორს რუსეთის მთავრობის ამიერკავკასიის გეგმა დიპლომატთა ცალკეულ განცხადებებზე აუგია, რასაც, აგრეთვე, ვერ გავიზიარებთ.[48]

არასპეციალურ ნაშრომებში, ნარკვევებსა და სტატიებში, რომლებიც ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა, საკმაო რაოდენობით გვხვდება ფაქტობრივი და სხვა ხასიათის შეცდომები, მაგრამ ჩვენ მათზე ვერ შევჩერდებით. აქ მხოლოდ სპეციალურ ნაშრომს შევეხებით.

გ. პაიჭაძის წიგნში „გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა“ არ არის სათანადოდ გაშუქებული საქართველოს ვითარება XVIII საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე, არც ერეკლეს მიერ წამოყენებული პირობებია სწორად და სრულად გადმოცემული; გვერდი აქვს ავლილი ეკატერინეს ინსტრუქციას პოტიომკინისადმი. არც ერეკლეს პროექტია ხელშეკრულების ტექსტთან შეპირისპირებული და სხვა.[49]

---

[47] ძირითადი დებულებები დაბეჭდილია (იხ. თსუ ისტორიის ფაკულტეტი, III სამეცნიერო სესია, 1959 წლის 4 -8 მაისი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1959, გვ. 14-15).

[48] ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი თბილისი, 1960.

[49] გ. პაიჭაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა, თბილისი, 1980.

* * *

ცხადია, წინამდებარე პუბლიკაციაში ვერ იქნება წარმოდგენილი მთელი მასალა, აქ ვბეჭდავთ მხოლოდ რამდენიმე დოკუმენტს (ფოტოპირებითურთ). კერძოდ, ტრაქტატის ტექსტთან და სარატიფიკაციო სიგელებთან ერთად ერეკლეს მიერ 1771 წელს 30 დეკემბერს რუსეთის მფარველობაში შესვლის თაობაზე წამოყენებულ პირობებს, ქართლ-კახეთის სამეფო კარის პირობას 1772 წლის 6 იანვრისა და ეკატერინე II ინსტრუქციას გ. პოტიომკინისადმი, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ.[50] ხსენებული დოკუმენტების ფართო მკითხველისათვის მიწოდება ხელს შეუწყობს ტრაქტატის შინაარსისა და მნიშვნელობის უკეთ გაგების საქმეს. ტრაქტატის ტექსტის სრული და დედნისეული სახით გამოცემა, რომელსაც ფოტოპირებიც ახლავს, ხელმისაწვდომი გახდება აგრეთვე ისტორიკოსებისა და ლიტერატურისმცოდნეებისათვის, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებით არიან დაინტერესებულნი, აგრეთვე ენათმეცნიერებისათვის, რომლებიც ქართული ენის ისტორიას იკვლევენ.

ხელშეკრულების მომზადება და დადება

გეორგიევსკის ტრაქტატის პროექტის შემუშავებას საფუძვლად დაედო სამი დოკუმენტი: ერეკლე მეფის თხოვნის წიგნი (1771 წლის 30 დეკემბრისა), ქართლ-კახეთის სამეფო კარის პირობა (1772 წლის 6 იანვრისა) და ეკატერინე II მითითება გრ. პოტიომკინისადმი (1782 წლის ბოლო — 1783 წლის დასაწყისი).

ერეკლეს თხოვნის წიგნში წამოყენებული იყო შემდეგი პირობები: 1) რუსეთს ქართლ-კახეთში უნდა გამოეგზავნა ოთხიათასიანი ჯარი, ხოლო „ვინც ჯარის თავი იქნება, ჩვენის (ერეკლეს — ვ. მ.) შეძლებით, როგორც რჩევას იმას დაუჯერებდეთ, ეგრეთვე ისიც ჩვენს რჩევას მიიღებდეს და დაიჯერებდეს, ვინადგან ვართ აქაურთა საქმეთა შინა მყოფნი და მეცნიერნი ამისთვის“;[51] 2) მიეღოთ ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობაში სამუდამოდ, ოღონდ იმ პირობით, რომ ერეკლეს „ჩამომავლობის მეფობა... საუკუნოდ უცვალებე-

[50] გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებული დოკუმენტები სრულად დაიბეჭდება ჩვენი „მასალების“ IV წიგნში.

[51] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1769-76гг., оп. 110/2, д. 12, лл. 462-463** (ა. ცაგარლის გამოქვეყნებული ტექსტი ნაკლოვანია; **Грамоты, II, вып. I, с. 83-84**).

ლად“ დარჩენილიყო; 3) რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო ეკლესიურადაც დამოუკიდებელი უნდა დარჩენილიყო: „მსგავსადვე კათოლიკოზიცა წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად“; 4) ყირიმში გათავისუფლებულ ტყვეებს სამშობლოში დაბრუნების ნება დართოდათ; 5) ქართლ-კახეთს მისცემოდა სესხი.[52]

თუ ერეკლეს თხოვნა დაკმაყოფილდებოდა, მეფე რუსეთის მთავრობის წინაშე ვალდებულებას იღებდა: 1) „დღეს ჩვენს ქვეყანაში, რომლისაც ნივთის მადანი არის და ან გამოჩნდება, იქიდამ სარგებელი მოიპოება, ნახევარი თქვენის დიდებულების ხაზინას მიერთმეოდეს“; 2) „...რაც ჩვენს მორჩილებას ქვეშ კაცნი არიან, ყოველ წლივ ამათგან კვამლზედ თოთხმეტი შაური საჴელმწიფოთ აიღებოდეს და მოგერთმეოდესთ“; 3) „...ღვინოს, რიცხვით ორი ათას ვედრას, რომელიც ჩვენ ქვეყანაში რჩეული ღვინო იშოება, ყიზლარს ჩვენის ხარჯით მივიტანთ საჴელმწიფოთა“; 4) „რაც ამ ქვეყანაში რჩეული ცხენი იშოება, თოთხმეტი ცხენი ნიადაგ წელიწადს ყოვლად დიდებულებასა თქვენსა მიერთმეოდეს“; 5) „როდესაც ძალითა და შეწევნითა თქვენისა დიდებულების კორპუსისათა, რაც ოსმალთაგან წართმეული მამულები გვაქუს და იმ ადგილებს დავიჴერთ, იმათ მოგართვან ხარჯი თქვენ ყოვლად დიდებულსა ჴელმწიფესა, რაც რომ რუსეთის იმპერიაში თავადის ყმა აძლევს, იმისი ნახევარი ხარჯი“; 6) „თუ რომ კახეთის წართმეული ადგილები (ჴარი — ვ. მ.) დავიჴირეთ... ამასაც, როგორც ზემორე დაგვიწერია, იმ სახით ვამსახურებთ: კომლზე თოთხმეტს შაურს წელიწადში და იმავ ადგილებიდამ წელიწადში აბრეშუმს ორას ფუთსა იმ ქვეყნიდამ, და, თუ მეტი შევიძელით მეტს მოვართმევთ დიდებულობასა თქვენსა“; 7) როდესაც ქვეყნის მდგომარეობა გაუმჯობესდება, ჯარზე დახარჯული ფული დაუბრუნდება რუსეთის ხაზინას; 8) როდესაც ქვეყანა დამშვიდდება, „რაც რუსეთის იმპერიაში სულზედ სალდათი აძეს, ჩვენ იმდენს კვამლზედ მივართმევთ სალდათს თქვენს დიდებულებასა“; 9) თუ ზემოაღნიშნული თხოვნა შესრულდება „...მივართმევთ ძესა ჩვენსა რომელსამე და ეგრეთვე რაოდენსამე კნიაზსა თქვენს ყოვლად დიდებულსა ჴელმწიფესა და აზნუართაცა შეძლებისაებრ ჩვენის“.[53]

დასასრულ, ერეკლე ისევ თავის ძირითად თხოვნას უსვამდა ხაზს: „კუალად ვედრებით მოვახსენებთ თქვენს ყოვლად მოწყალებასა, რათა ამავე ზაფხულსა არ უტეონ დაუპყრობელად ქვეყანა ახალციხისა, და უკეთუ შერიგება მოხდეს... მაშინაც გარეთ არ დარჩეს ქვეყანა

[52] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1769-76гг., оп. 110/2, д. 12, лл. 462-463.**

[53] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1769-76гг., оп. 110/2, д. 12, лл. 462-463.**

ახალციხისა, ვინაადგან საქართველოს მიწა არის და ქართული ენა აქუსთ და მრავალნი ქრისტიანენი არიან იმათში, და სხუანიცა ახალი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ“.[54]

ამასთან, ერეკლე პრეტენზიას არ აცხადებდა უცხო ქვეყნების ტერიტორიების მითვისებაზე: „უკეთუ ღ“თითა და ბედნიერობითა თქვენითა, რომელიც სხვა მტერის ქვეყანა თქვენის დიდებულის კორპუსის ძალით დავიჭიროთ, იმისი სრულიადი ნება თქუენის დიდებულებისა არის“.[55] ერეკლე მეფე არც 1782 წლის 21 დეკემბერს წარდგენილ პროექტში აცხადებდა პრეტენზიებს არაქართულ მიწებზე,[56] რაც საგანგებოდ უნდა აღინიშნოს.[57]

ასეთია ერეკლეს მიერ წაყენებული პირობები.

ზემოხსენებული თხოვნის წიგნის გასამაგრებლად ქართლ-კახეთის სამეფო კარს საჭიროდ ჩაუთვლია 1772 წლის 6 იანვარს მცხეთაში გადასულიყო და იქ, ძველ სატახტოში შეედგინა მეორე დოკუმენტი, რომელსაც ხელი მოაწერეს და ბეჭედი დაუსვეს ერეკლე II, დარეჯან დედოფალმა, ანტონ კათალიკოსმა, გიორგი, ლევან, ვახტანგ და იულონ ბატონიშვილებმა. დოკუმენტზე ხელმომწერნი აცხადებენ, რომ რუსეთის ჯარის დახმარებით თურქეთთან და ირანთან ბრძოლაში როგორ წარმატებასაც არ უნდა მიაღწიონ, რუსეთის ქვეშევრდომობაზე ხელს არ აიღებენ.

„ყოვლად დიდებულის ჴელმწიფის მოწყალებით და ძალით ამ მჴარის ქვეყნებში თურქისა თუ სპ[ა]რსეთისა ადგილები რომ დავ[ი]ჭირო, რასაც პატივსა და სიმაღლეში შევიდეთ, მაშინც მონებრ დამორჩილებულნი ვ[ი]ყვნ[ე]თ ყოვლად დიდებულობისა ჴელმწიფობისა

---

[54] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1769-76гг., оп. 110/2, д. 12, лл. 462-463.**

[55] იქვე.

[56] ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 195-197.

[57] ერეკლე II არც რუსეთის მთავრობისათვის წარდგენილ ხსენებულ დოკუმენტებში და არც სხვაგან წამოუყენებია არაქართული მიწების უშუალოდ საქართველოსთვის შემოერთების გეგმა. ერეკლეს სომეხთა გამათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებმა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში არაერთგზის შესთავაზეს სომხეთის მეფის გვირგვინიც, მაგრამ მეფე ამაზე არ დათანხმდა (შდრ. ა. იოანესიანის შრომები). მართალია, ერეკლეს ვასალურ დამოკიდებულებაში ჰყავდა ერევნისა და განჯის სახანოები, მაგრამ ეს უფლება თვითონ ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნით, ირანის ტახტის მაძიებლებისაგან დაცვით მოიპოვა და მტკიცედ იცავდა ამ ხაზს, რადგან ამით საქართველოზე მოსასვლელ სტრატეგიულ პუნქტებს ინარჩუნებდა. ამიტომაც ირანისა და თურქეთის წაქეზებით, ხსენებულ სახანოთა მმართველების განდგომას ზოგჯერ არ უშვებდა. რაც შეეხება ელჩების რწმუნების სიგელში ერეკლეს ტიტულში არაქართული მიწების მფლობელად მოხსენიებას (შდრ. **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 177, лл. 3-4**) და ა. ბეზბოროდკოს მითითებას სარატიფიკაციო სიგელში, ერეკლე იმავე ტიტულით მოიხსენიეთო (შდრ. **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, л. 18**), იგი ერეკლეს ინიციატივით კი არა, მხარეთა წინასწარი შეთანხმებით გამიზნულ ნაბიჯად გვესახება, რომელსაც გზა უნდა გადაეღობა ირანის შემდგომი აგრესიისათვის ამიერკავკასიაში.

თქვენისასა და როგორადაც სხვას მეორეს ჩვენგნით თქვენის იმპერატორების დიდებულების სამსახურისა და აღთქმისდა კვალად ჩვენგანვე თქვენის ყოვლად მოწყალების სათხოველის არზაში მოგვიხსენებია, რომელზედაც თვით ჩემი ჴელი აწერია,[58] იმ სახით ყოვლითურთ ჩემის ჩამომავლობით დამორჩილებულნი და ყმანი ვიყვნეთ საუკუნოდ".[59]

ამრიგად, ერეკლე II უარს აცხადებდა თავისი სუვერენული უფლებების ნაწილზე, კისრულობდა ხარკსაც, მაგრამ მეფე ამ ნაბიჯს დგამდა დიდი მნიშვნელობის საკითხების მოსაგვარებლად — ქართლ-კახეთის უშიშროების უზრუნველსაყოფად და მტრის მიერ მიტაცებული ქართული მიწების დასაბრუნებლად. ქართული მიწების დაბრუნების მნიშვნელობაზე, რომ არაფერი ვთქვათ, ამ ოლქებს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ თვით ქართლისა და კახეთის თავდაცვისათვის. ჯერ ერთი, თურქებმა, მიიტაცეს რა სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ძალით გაავრცელეს ისლამი, მოსახლეობის ნაწილი გაათურქეს, მოშალეს ეკონომიკა, გაანადგურეს მატერიალური კულტურის ძეგლები, ხოლო ახალციხის საფაშო აქციეს თავიანთ პლაცდარმად, საიდანაც თავს ესხმოდნენ ქართლ-კახეთსა და კავშირს ამყარებდნენ ლეკებთან;[60] მეორე, ლეკებმა დაიკავეს აღმოსავლეთ კახეთი და გადააქციეს თავიანთ ბაზად, საიდანაც თავს ესხმოდნენ კახეთსა და ქართლს, იტაცებდნენ ადამიანებს, მიერეკებოდნენ საქონელს და ა. შ. ახალციხისა და ჭარის ტერიტორიული სიახლოვე აიოლებდა ლეკების კავშირს თურქებთან. პირველი (ახალციხის) საკითხის გადაწყვეტა საქართველოს გარეშე ძალის დაუხმარებლად არ შეეძლო და ეს საკითხი არც დასმულა დღის წესრიგში, სანამ არ დაინახეს რუსეთის დაინტერესება ამიერკავკასიით; მეორე საკითხი (ჭარის) ერეკლემ და თეიმურაზმა დასვეს 50-იან წლებში, მაგრამ ვერ გადაწყვიტეს, რადგან ჭარელებს ამიერკავკასიის მაჰმადიანი მფლობელები წამოეშველნენ და საიდუმლოდ არც თურქებს დაუკლიათ ხელი. მტრის ამ ორი პლაცდარმის მოშლის გარეშე ქართლ-კახეთის დაცვა შეუძლებელი იყო.

აი, რატომ გადადგა ერეკლე II ასეთი ნაბიჯი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა რუსეთის მხრივ ყოველგვარი ჩაგონების გარეშე. რუსეთის

---

[58] ლაპარაკია ერეკლე მეფის 1771 30 დეკემბრის წერილზე, რომელსაც ზემოთ გავეცანით.

[59] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1769-76гг., оп. 110/2, д. 12, л. 459.**

[60] ლეკთა საკითხის გადახლართვა საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის საკითხთან საკმაოდ ნათლად აქვს ნაჩვენები ნ. ბერძენიშვილს (აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან. იხ. „მიმომხილველი", III, 1953, გვ. 85-86).

წარმომადგენლები გენერალი ა. სუხოტინი და კაპიტანი ი. ლვოვი, რომლებიც მაშინ ქუთაისში იყვნენ, აღშფოთებულიც კი იყვნენ, მათთვის შეუტყობინებლად ელჩების რუსეთში გამგზავრების გამო (როგორც ჩანს, ეჭვობდნენ ერეკლემ ჩვენზე საჩივარი ხომ არ მისწერაო) და მთავრობას აცნობებდნენ, ჩვენ ელჩობის მიზანი არ ვიცითო.[61]

1772 წლის იანვარში რუსეთში გაემგზავრა ელჩობა ანტონ კათალიკოსისა და ლევან ბატონიშვილის მეთაურობით, რომელთაც მიჰქონდათ ერეკლე II თხოვნის წიგნი და სამეფო კარის პირობა.

რა თქმა უნდა, რუსეთს, თურქეთთან ომის დროს[62] — როცა ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი რუსეთის შავი ზღვის სანაპიროზე დამკვიდრებისა და თავისუფალი ნაოსნობის უფლების საკითხები, ევროპის ქვეყნების მტრული პოზიციის ვითარებაში, — არ შეეძლო მიეღო ქართლ-კახეთი მფარველობაში, რადგან იგი გამოიწვევდა თურქეთთან ომის გაჭიანურებას და ირანელ ხანებსაც (ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი შენიშვით) მოთმინებიდან გამოიყვანდა, რომლებთანაც დამაიმედებელი წერილები ჰქონდათ გაგზავნილი (რომ რუსეთს ირანის წინააღმდეგ მტრული განზრახვა არ ჰქონდა და ჯარი საქართველოში მხოლოდ თურქეთის წინააღმდეგ საომრად შემოიყვანა). ამიტომ 1773 წლის 31 დეკემბრის წერილით ეკატერინე II თუმცა უწონებდა ერეკლეს გადაწყვეტილებას, მაგრამ მეფეს ატყობინებდა, რომ თქვენი წინადადების მიღება ამჯერად არ შეგვიძლია და ეს ამბავი უფრო ხელსაყრელი დროისათვის გადავდოთო. ამასთან, იმპერატორი მეფეს ჰპირდებოდა — თურქეთთან ზავის დადებისას სულთანს ქართველი ხალხის უშიშროების უზრუნველყოფის პირობას ჩამოვართმევთ, რომლის შესრულებაზე მე თვითონ დავაწესებ კონტროლსო.[63] 1774 წელს ელჩები ხელცარიელი დაბრუნდნენ საქართველოში.[64]

ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ რუსეთის ვითარება საგრძნობლად გაუმჯობესდა: ჯერ ერთი, დნეპრსა და ბუგს შორის ტერიტორიისა და კინბურნის სიმაგრის მიღებით, რუსეთი შავ ზღვაზე გავიდა; მეორე, ქერჩისა და ენიკალეს მიღებით, რუსეთს გზა გაეხსნა აზოვიდან შავი ზღვისაკენ; მესამე, თურქეთმა სცნო რუსეთის უფლება — შავ ზღვაზე

[61] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1769-75гг., оп. 110/2, д. 11, лл. 45-50; 1769-70 гг., оп. 110/2, д. 13, л. 172; 1771-75 гг., оп. 110/2, д. 16, л. 7; Грамоты, I, 334.**

[62] 1768-74 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის ომი.

[63] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1770-74 гг., оп. 110/2, д. 14, лл. 45-47; Грамоты, I, с. 394-397.**

[64] ხსენებული ელჩობის ისტორია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები, როგორც ზემოთ ითქვა, ცალკე იბეჭდება.

თავისუფალი ნაოსნობისა. ამრიგად, რუსეთი საბოლოოდ დამკვიდრდა შავ ზღვაზე. ქუჩუკ-კაინარჯის ზავით თურქეთის ვასალი ყირიმის სახანო დამოუკიდებლად გამოცხადდა. ამ აქტით თურქეთმა დაკარგა პლაცდარმი და საიმედო რეზერვი შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა რუსეთის სტრატეგიული მდგომარეობა. გარდა ამისა, ქუჩუკ-კაინარჯის ზავით გაუქმდა 1739 წლის ბელგრადის ტრაქტატი, რომლითაც ყაბარდო ნეიტრალურ ზონად იყო გამოცხადებული და რუსეთს (თურქეთსაც) ეკრძალებოდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის საქმეში ჩარევა; თუმცა ქუჩუკ-კაინარჯის ზავს საბოლოოდ არ გადაუწყვეტია ყაბარდოს საკითხი, მაგრამ რამდენადაც თურქეთმა რუსეთსა და ყირიმს დაუთმო მისი გადაწყვეტა, რუსეთს თავისუფალი მოქმედებისათვის ხელები ეხსნებოდა. ყირიმელ დიდებულთა წინდაუხედავი პოლიტიკის (თურქეთიდან ჩამოცილება არ შეგვიძლიაო) წყალობით ომის შემდეგ თურქეთი (70-80-იანი წლების მიჯნაზე) აქტიურად ჩაერია ყირიმის საქმეებში[65] (ტამანიდან ყირიმში შეჭრითა და იქ თავისი ბატონობის აღდგენით თურქეთი ქერჩისა და ენიკალეს ციხეებს ემუქრებოდა და ქერჩის სრუტის ხელახლა ჩაკეტვის საფრთხეს ქმნიდა; გარდა ამისა, თურქეთი ტამანიდანვე საფრთხეს უქმნიდა აგრეთვე რუსეთის პოზიციებს ჩრდ. კავკასიაში, ხოლო ოჩაკოვიდან — კინბურნის ციხესა და დნეპრიდან შავ ზღვაზე გასასვლელს). ამ მდგომარეობამ აიძულა რუსეთი ავსტრიასთან დაახლოების გზას დადგომოდა და დაეჩქარებინა ყირიმის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა. რუსეთის მთავრობამ რეალურად დასვა ყირიმის საკითხი, ხოლო მისი გადაწყვეტის შემთხვევაში შესაძლოდ მიიჩნიეს საქართველოს საკითხის წამოჭრაც.[66] ასეთ პირობებში რუსეთის მთავრობამ ქართ-

[65] ყირიმში შესაჭრელად თურქეთის დიდი მზადების თაობაზე ქართველმა დიპლომატებმა რუსეთის მთავრობას ჯერ კიდევ 1778 წელს აცნობეს (იხ. ვ. მაჭარაძე, ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბილისი, 1968, გვ. 218).

[66] მართალია, ირანის სისუსტე ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, რომ საქართველოს საკითხი დაესვათ, მაგრამ XVIII ს. 70-80-იანი წლების მიჯნაზე რუსეთს ირანში შეჭრის საკითხი არ წამოუყენებია და არც „ირანის საკითხის გამოცოცხლებას“ ჰქონდა ადგილი, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ეჩვენებოდა. მაშინ საქმე ეხებოდა მხოლოდ რუსი ვაჭრების ინტერესებისა და რუსეთის პრესტიჟის დაცვას. ისტორიოგრაფიაში გაზვიადებულია აგრეთვე თურქეთის მიმართ რუსეთის გეგმებიც (ე. წ. საბერძნეთის პროექტი). 80-იანი წლების დასაწყისში საქმე ეხებოდა არა საკუთრივ თურქეთის ტერიტორიას, არა კონსტანტინოპოლს, არამედ ყირიმის საკითხს და ყაბარდოში დამკვიდრებას, რადგან ტამანში გამაგრებული თურქეთი, რუსეთთან ომში მარცხის მიუხედავად, თავის პრეტენზიებზე ხელს არ იღებდა.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში რუსეთის დიპლომატია მართლმადიდებლების ხსნის დიდი ლოზუნგით არ გამოსულა, რადგან 1768-74 წლების ომის გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ ბალკანეთის მოსახლეობა ამ ბრძოლისათვის ჯერ კიდევ არ იყო პოლიტიკურად და ორგანიზაციულად მოშზადებული, ხოლო დუნაის სამთავროებისა (ვალახია, მოლდავია) და ქართული სამეფოების ბრძოლისა და რუსეთის იარაღის წარმატების შედეგებიც, ევროპის ქვეყნებმა (პირველ რიგში ავსტრიამ) მინიმუმამდე შეკვეცეს. რუსეთის მთავრობამ გამოცდილებით იცოდა, რომ ამ

ველ მეფეებს ი. რაინეგსის პირით აცნობა დიპლომატიური მოლაპარაკების განახლების შესაძლებლობაზე და ხელშეკრულების პროექტის შემუშავებას შეუდგა.

ეკატერინე II ინსტრუქციაში, რომელიც გრაფმა ა. ბეზბოროდკომ 1782 წლის ბოლოსა, თუ 1783 წლის დასაწყისში აცნობა გრ. პოტიომკინს,[67] ნათქვამია:

«Мнение ея величества было, чтоб: 1-е, чрез вашу светлость заключить с грузинскими царями союзный трактат, не именуя их подданными, но союзниками, от Империи всероссийской покровительствуемыми.

2. Поборов денежных не принять никаких, ниже половины с металлов и минералов, а оставить все то в пользу царей грузинских, а принять только ежегодную присылку шелку, вин и лошадей».[68]

გარდა ამ ორი უმთავრესი პუნქტისა, ეკატერინე II ინსტრუქცია შეიცავდა კიდევ ოთხ პუნქტს, რომლებზედაც იმპერატორს აინტერესებდა თავად პოტიომკინის მოსაზრებები:

3. ომის შემთხვევაში საქართველოში გამოსაგზავნი ჯარისა და სუბსიდიის რაოდენობა განესაზღვრა თავად გრ. პოტიომკინს;

4. ერეკლეს კავშირი ავსტრიის იმპერატორთან სასურველად არ იყო მიჩნეული და ერეკლესაც მიმოწერაზე ხელი უნდა აეღო (რუსეთ-ავსტრიის დაახლოება ერეკლემ რუსეთიდან ცნობის მიღებამდე შეიტყო, ამიტომ მიმართა მეფემ ავსტრიის იმპერატორს, მაგრამ რუსეთის სამეფო კარმა 1768-74 წლების გამოცდილებით იცოდა, რომ „მეგობრობის“ მიუხედავად, ავსტრიის მთავრობას შეეძლო ხელი შეეშალა);

5. ჯარისა და სხვა საკითხებზე იმპერატორი თავად პოტიომკინის მოსაზრებებს ელოდებოდა;

6. ხომ არ თვლიდა თავადი პოტიომკინი საჭიროდ ერეკლესა და სოლომონს შორის ნათელი და ზუსტი ზავის დადებას მისივე (თავად

დიდ საქმეში ავსტრია პარტნიორად არ გამოდგებოდა (ამიტომაც არ დართო რუსეთმა იმერეთს ნება 1787-91 წლების ომში ჩაბმულიყო, რადგან იცოდნენ შედეგს ვერ მიიღებდნენ). მაგრამ თუ ახლა ავსტრია მაინც „მეგობრად“ აირჩიეს, რუსეთს მხოლოდ იმის იმედიღა შეიძლებოდა ჰქონოდა, რომ ავსტრია, ბუკოვინის მიტაცების (1774) შემდეგ, თურქეთის „მეგობარი“ აღარ იყო და შავი ზღვის ჩრდილო ნაწილში სადაო საკითხებზე რუსეთს განზე ვერ განუდგებოდა.

[67] წერილს თარიღი არ უზის. ა. ცაგარელი მას 1782 წლის დეკემბრით ათარიღებდა (Грамоты, II, вып. I, с. 30-31), ი. ცინცაძემ 1783 წლის თებერვალ-მარტში შედგენილად მიიჩნია (ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 99).

[68] АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1774-1804 гг., оп. 110/2, д. 18, лл. 66-67; Грамоты, II, вып. II, с. 30-31.

პოტიომკინის) თავდებობით.[69]

ეკატერინეს მითითებებს გარდა, ა. ბეზბოროდკოც თავის მოსაზრებებსაც სთავაზობდა თავად გრ. პოტიომკინს, სადაც სხვა საკითხებთან ერთად[70] ისიც იყო აღნიშნული, რომ საქართველოდან ღვინო ფასით უნდა წაეღოთ, რადგან იგი «касается простого народа».[71]

ამრიგად, ეკატერინე II ინსტრუქცია ითხოვდა, ტრაქტატი დადებულიყო უფრო შეღავათიან პირობებში ქართლ-კახეთისათვის, ვიდრე ერეკლეს პროექტით იყო ნავარაუდევი.[72] აქედან ძნელი როდია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ტრაქტატი შეიძლებოდა დადებულიყო 1772 წელს, ხოლო მისი 11 წლით დაგვიანების მიზეზი უნდა ვეძიოთ არა საქართველოს, არამედ რუსეთის საგარეო ვითარებაში. კიდევ მეტი, რაკი ქართლ-კახეთი 1771 წელს მზად იყო, დაედო ხელშეკრულება უფრო მძიმე პირობებით, მაშასადამე, ხელშეკრულებების დადება 1783 წელს განუპირობებია არა საქართველოს მდგომარეობას 80-იანი წლების დასაწყისში (მისი გაუარესება ან გაუმჯობესება აქ მთავარი არ იყო), არამედ რუსეთის საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებას.

რა თქმა უნდა, ეკატერინე II დათმობის მიზეზი დედოფლის კეთილშობილებაში კი არ უნდა ვეძიოთ, როგორც ამას ზოგიერთი ისტორიკოსი ვარაუდობდა, არამედ მაშინდელი რუსეთის საერთაშორისო ვითარებასა და იმაში, თუ რა როლი უნდა ეთამაშა საქართველოს, როგორც რუსეთის ერთგულ და საიმედო მოკავშირეს კავკასიის პრობლემის გადაწყვეტაში. საქმე ისაა, რომ თურქეთმა სამი საუკუნის მანძილზე, რიგი მიზეზების გამო, მოახერხა მთის კავკასიაში ქრისტიანობის ამოძირკვითა და ისლამის, მისი სუნიტური სექტის დამკვიდრებით, საიმედო საყრდენი გაეჩინა კავკასიის მთის ტომების დიდკაცებში, რაც კავკასიის პრობლემის გადაჭრას აჭიანურებდა და ართულებდა. ფეხზე წამომდგარ საქართველოს, ცხადია, რუსეთის გეგმების გადაჭრაში საპატიო როლი უნდა ეთამაშა (ეს გაკვრით ა. ბეზბოროდკოს წერილშიც ჩანს.[73] შემდგომში,

[69] იქვე.

[70] ეს მოსაზრებები ეხებოდა საქართველოში გამოგზავნილი ჯარის რაოდენობას, ინვესტიტურას, ქართული ეკლესიისა და რუსეთის სინოდის დამოკიდებულებასა და სხვ.

[71] АВПР, ф. Сн. России с Грузией, 1774-1804 гг., оп. 110/2, д. 18, л. 67; Грамоты, II, вып. II, с. 31.

[72] ცხადია, ცდებოდნენ მკვლევარები, რომლებიც ლაპარაკობდნენ რუსეთის დიპლომატიის მიერ „ერეკლესთან მომგებიანი ხელშეკრულების“ დასადებად ალექსანდრე ბატონიშვილის გამოყენების შესახებ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 688).

[73] АВПР, ф. Сн. России с Грузией, 1772-1804 гг., оп. 110/2, д. 18, л. 67; Грамоты, II, вып. II, с. 31.

XIX საუკუნეში, საქართველომ მართლაც ითამაშა ეს როლი, რასაც, სამწუხაროდ, ისტორიოგრაფიაში სათანადო ყურადღება არ ექცევა).

* * *

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს ვითარებას, იგი ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ მნიშვნელოვად გაუმჯობესდა. საქართველოს მდგომარეობის შესწავლამ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ერეკლე II მეფობაში, ვიდრე 1783 წლამდე (ე. ი. 1744-1783 წლებში), ყველაზე უკეთესი 1775-1783 წლებია. ეს არაა შემთხვევითი: ჯერ ერთი, 1768-1774 წლების ომში დამარცხების შემდეგ მნიშვნელოვნად დასუსტებულ თურქეთს (ქუჩუკ-კაინარჯის ზავით) აკრძალული ჰქონდა საქართველოში ახალი მიწების ხელში ჩაგდება (ზავით თურქეთმა ვალდებულება იკისრა: «не почитать между ими (ქართველთა შორის — ვ. მ.) никого за своих подданных, кроме тех, кой издревле ей принадлежали»);[74] ამ საკითხში რუსეთის პოზიცია თურქეთის მთავრობისათვის კარგად იყო ცნობილი 50-60-იან წლებში;[75] მეორე, თურქეთი, თავისი სისუსტის მიუხედავად, ყირიმელი დიდკაცების უგუნური პოლიტიკის გამო, არ ეშვებოდა ყირიმსა და ყაბარდოს, რის გამოც რუსეთთან უკიდურესად დაძაბულ ურთიერთობაში იმყოფებოდა. ცხადია, ასეთ პირობებში თურქეთს აღმოსავლეთ საქართველოს საქმეებში ჩარევის თავი კი არა, დასავლეთ საქართველოშიც კარგავდა თავის პოზიციებს (ვითარებით კარგად ისარგებლა სოლომონ I); მესამე, სპარსეთი წინანდებურადვე დაშლილი და დასუსტებული იყო, ხოლო 1779 წლიდან, ქერიმ ხანის სიკვდილის შემდეგ, ისევ შინა ბრძოლებმა მოიცვა.

ზემოაღნიშნულ პირობებში ერეკლემ აღადგინა თავისი პოზიციები ამიერკავკასიაში, ხელი მოკიდა სამთო საწარმოების გახსნას, რასაც ადრე გარეშე მტრების მომრავლების შიშით ვერ ბედავდა, ხოლო ქვემო ქართლის სპილენძისა და ვერცხლის საწარმოები მეფეს მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა; მორიგე ჯარის შექმნით მეფემ მნიშვნელოვნად ალაგმა ლეკთა თარეში. საფუძველს მოკლებულია პ. ბუტკოვის შეუმოწმებელი ცნობა, თითქოს ლეკებს ჯამაგირი რომ დაუგვიანდებოდათ, თბილისში ჩამოდიოდნენ და ქალაქს

[74] Ц. И. Дружинина, Кючук-Кайнарджийский мир, М., 1955, с. 356.

[75] რუსეთის დიპლომატიამ არაერთხელ ააღებინა ხელი თურქეთის სულთანს „სპარსეთის საქმეში“ ჩარევაზე — ქართლში შეჭრაზე.

იკლებდნენ.[76]

რაც შეეხება ალექსანდრე ბატონიშვილის გამოჩენას, იგი 60-იან წლებშიც იყო დაღესტანში, მაგრამ ვერაფერი გააწყო და თავი ქერიმ ხანს შეაფარა, ხოლო ქერიმ ხანის სიკვდილის შემდეგ, რაკი ირანში არეულობა დაიწყო, თავს უშველა და საქართველოში გამოიქცა. ქართლშიც მოვიდა, მაგრამ მარცხი განიცადა და მეორედ გაიქცა დაღესტანში; ამ ფაქტს კი არ უგულვებელვყოფთ, მაგრამ არ შეიძლება მას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭოს, რადგან ალექსანდრე ავანტიურისტი იყო და მისი მომხრეებიც ერეკლეს საკმაოდ წელში გატეხილი ჰყავდა. რაც შეეხება რუსეთის მთავრობის დამოკიდებულებას ალექსანდრე ბატონიშვილისადმი, იგი შერისხული და რუსეთიდან გაძევებული იყო და არც ამჯერად უცდიათ მისი გამოყენება. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთი საქართველოში (და საერთოდ კავკასიაში) შინაპოლიტიკური ბრძოლების ჩაქრობისათვის იბრძოდა, რომ თურქეთსა და ირანს ჩარევის საბაბი არ მისცემოდათ.[77]

რა თქმა უნდა, აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობის გაუმჯობესება XVIII საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე არ ნიშნავდა საქართველოს საერთო მდგომარეობის რადიკალურად შეცვლას, რადგან მტრის ძალები ბევრად ჭარბობდა ქართველთა ძალებს. საქართველოს მოსახლეობა XVI-XVIII საუკუნეებში თურქთა, სპარსელთა და ლეკების შემოსევის წყალობით, კატასტროფულად შემცირდა. მაგალითად, 1254 წელს საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 810 ათას კომლს ანუ 4-5 მილიონ კაცს, ხოლო 1770 წელს 87-90 ათას კომლს ანუ 400-500 ათას კაცს (ე. ი. ათჯერ შემცირდა); რაც შეეხება საკუთრივ აღმოსავლეთ საქართველოს, მისი მოსახლეობა 56 ათას კომლს ანუ 280-300 ათას კაცს შეადგენდა. ამასთან, გარეშე მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი საქართველოს მოსახლეობის გაერთიანება გარეშე ფაქტორის გამო შეუძლებელი იყო.[78] თურქეთი დასავლეთ საქართველოს თავის ვა-

[76] სამწუხაროდ, ამ შეუმოწმებელ ცნობას, რომელიც პ. ბუტკოვიდან მოდის (**И. Бутков, Материалы, ч. II, с. 119**), იზიარებდნენ არა მარტო რევოლუციამდელი, არამედ ზოგიერთი საბჭოთა მკვლევარიც კი (გ. ქ ი ქ ო ძ ე, ერეკლე მეორე, თბილისი, 1958, გვ. 166).

[77] ამ საკითხზე აქ ვერ შეეჩერდებით. ალექსანდრე ბატონიშვილისა და საქართველოში შინაპოლიტიკური ბრძოლებისადმი რუსეთის მთავრობის დამოკიდებულების შესახებ დაწვრილებით სპეციალურ მონოგრაფიაში გვექნება საუბარი.

[78] ეს ასე იყო არა მარტო 1783 წლამდე, არამედ შემდეგაც, ამიტომ უმართებულოა ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისის კრიტიკა, რომელიც „საქართველოს ისტორიის ნარკვევებშია“ მოცემული საქართველოს გაერთიანების შესაძლებლობის თაობაზე (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ. 1973, გვ. 728). ამ ახალმა სადაო თვალსაზრისმა თავისი ასახვა

სალად თვლიდა, ამიტომ იმერეთისადმი დახმარებას მტრულ აქციად მიიჩნევდა და საპასუხო ზომებს იღებდა. მაგალითად, 60-იან წლებში სულთანმა უბრძანა ახალციხის ფაშას, თუ შეიტყობ, რომ ქართლიდან იმერლებს ეხმარებიან, ნება გეძლევა ჩემს უკითხავად შეიჭრა ჯარით ქართლშიო. მაგრამ თურქეთის მთავრობამ, რუსი დიპლომატების პროტესტის გამო, თავი შეიკავა.[79] ამიტომ იყო, რომ ქართველ მეფეთა 1758 წლის ურთიერთდახმარების შეთანხმება რეალურად და აშკარად ვერ ხორციელდებოდა.

რაც შეეხება მოწინააღმდეგის ძალებს, ლეკებსა და ირანზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო თურქეთი ახერხებდა იმ დროს ნახევარმილიონიანი არმიის გამოყვანას (ე. ი. იმაზე მეტს, ვიდრე მთელი საქართველოს მოსახლეობა იყო).[80] ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თურქეთი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აქტიურად ამკვიდრებდა ისლამს და სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს (ახალციხის მხარის, აჭარის, იმერეთის) მოსახლეობის გათურქების პოლიტიკას ატარებდა. იმერეთი სოლომონ I თავგანწირულმა ბრძოლამ და 1768 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამ გადაარჩინა.

რა თქმა უნდა, ერეკლე II კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა თურქეთი (შემთხვევით არ იყო მეფე რუსეთის მთავრობას რომ სწერდა: ახალციხეში ბევრია ახალგადასული მაჰმადიანურ რჯულზე და თუ დროზე არ ვუშველეთ, ბევრსაც გადააქცევენო).[81] მას, როგორც

ჰპოვა შემდგომი დროის ლიტერატურაში (შდრ.: კოხისა და სპენსერის ცნობები, თბილისი, 1981, გვ. 272-279); ეს დიდი საკითხია, რომელსაც მრავალი ასპექტი აქვს და მასზე ცალკე გვექნება საუბარი.

[79] **АВПР, ф. Сн. России с Турцией, 1765 г., оп. 89/8, д. 375, лл. 27-30.**

[80] თურქეთი არც ისე „ღონემიხდილი“ იყო XVIII საუკუნის 70-იან წლებში, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ეჩვენება და არც ისაა სიმართლე, თითქოს 1787 წელს თურქეთს „ძლივს შეეგროვებიოს 2 ათასი მხედარი“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 679, 722, 723); მართალია, თურქეთი XVIII ს-ის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ, დაქვეითების გზას დაადგა, მაგრამ ეს „ღონემიხდილი“ ევროპის ქვეყნების ხელშეწყობით, კიდევ 100 წელიწადს აგრძელებდა ბრძოლას თავისი პოზიციების შენარჩუნებისათვის ბალკანეთსა და კავკასიაში და ცნობილია, სულთანის თურქეთმა რა უბედურება მოუტანა რუმინელებს, სერბებს, ხორვატებს, ბერძნებს, განსაკუთრებით ბულგარელებს, ქართველებს, სომხებს. მითი თურქეთის „ღონემიხდილობის“ შესახებ ევროპელმა დიპლომატებმა შეთხზეს, რომ „**status quo**“ შეენარჩუნებინათ, რათა ოსმანთა იმპერიას ტერიტორია არ ჩამოჭროდა, თურქეთის ბაზარი არ შემცირებილიყო. ამიტომ ეღობებოდნენ წინ რუსეთს, აზვიადებდნენ მის გეგმებსა (ე. წ. „საბერძნეთის პროექტიც“ მათი ნახელავია) და შესაძლებლობებს, ეხმარებოდნენ სულთანს ქრისტიანი ხალხების მონობაში შენარჩუნების საქმეში. ამიტომ იყო, რომ ბალკანეთისა და კავკასიის ხალხები რუსეთში თავის „მხსნელსა და გამათავისუფლებელს“ ხედავდნენ (ფრ. ენგელსი), ევროპელი დიპლომატების მიერ XVIII-XIX საუკუნეებში შექმნილი მითი, სამწუხაროდ, დღესაც ვერაა დაძლეული ისტორიოგრაფიაში.

[81] **АВПР, ф. Сн. России с Грузией, 1769-76 гг., оп. 110/2, д. 12, лл. 462-463; იქვე, 1771-75 гг., оп. 110/2, д. 16, л. 112.**

ქვეყნის მეთაურსა და მოწინავე სახელმწიფო მოღვაწეს, მორალური უფლება არ ჰქონდა, არ გაეთვალისწინებინა ეს მდგომარეობა. ამიტომ მეფეს, ქვეყნის მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესების მიუხედავად, ოდნავადაც არ უყოყმანია და დაუყოვნებლივ გამოეხმაურა რუსეთის დაგვიანებულ პასუხს.

ერეკლეს ნაბიჯი, უპირველეს ყოვლისა, სამხრეთ საქართველოს მაგალითმა განაპირობა. მეფეს რუსი დიპლომატების „ჩაგონება“ და „ზემოქმედება“ არ ჭირდებოდა, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ჰგონია.

ერეკლე მეორისა და ქართლ-კახეთის სამეფო კარის ერთსულოვან გადაწყვეტილებას საზოგადოებრივი აზრიც აპირობებდა: ჯერ ერთი, რუსეთთან მრავალსაუკუნოვანმა ურთიერთობამ და მოსკოვის ქართული კოლონიის საქმიანობამ საქართველოს ფეოდალური საზოგადოების ზედაფენებში რუსეთისადმი ნდობა განამტკიცა. საქმე ისაა, რომ უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ სამასწლოვანი უთანასწორო ბრძოლის დროს რუსეთი ქართველებისათვის იმედი იყო, ხოლო მარცხის შემთხვევაში — თავშესაფარი. ამასთან, თურქები და სპარსელები მოსახლეობის გაჟლეტისა და ძალით გამაჰმადიანების გარდა, კულტურის ძეგლებსაც (ეკლესია-მონასტრებს) ანგრევდნენ. რუსეთიდან კი ოსტატებს გზავნიდნენ ამ ძეგლების აღსადგენად (საყოველთაოდ ცნობილია რუსი მხატვრების მოღვაწეობა საქართველოში XVII საუკუნეში). თურქებმა და სპარსელებმა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველო აიკლეს, სტამბა დაანგრიეს და კულტურული საქმიანობა ჩაკლეს. რუსეთში კი გადასახლებულ ქართველებს ადამიანური ცხოვრებისა და კულტურული მოღვაწეობისათვის პირობები შეუქმნეს. XVIII საუკუნეში მოსკოვის ქართული კოლონია, სხვა მრავალმხრივ საქმიანობასთან ერთად, ქართულ ენაზე წიგნებსაც ბეჭდავდა, რომლითაც საქართველოსაც ამარაგებდა.

მეორე, საქართველოს საზოგადოების ქვედა ფენებში — გლეხობაში დიდი იყო რუსეთისადმი ნდობა და პატივისცემა. რუსეთში თავშესაფარსა და ადამიანურ მოპყრობას პოულობდნენ დაღესტნიდან, ყირიმიდან, და თურქეთიდან გამოქცეული ქართველი ტყვეები. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ტყვეების დაცვა რუსეთში სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ავიდა. 1758 წელს იმპერატორის ბრძანებულებით რუსეთის გუბერნიების მესვეურებს დაევალათ, ტყვეობიდან გაქცეული ქართველებისადმი — „ტყვეობაში გადატანილი გაჭირვებისათვის“ («за полонное терпение» როგორც

ეს დოკუმენტებშია ნათქვამი), მიეცათ სამგზავრო პასპორტი, უზრუნველეყოთ გზაში სურსათით, ღამის გასათევითა (სასტუმრო) და მეგზურით, რომ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ.[82] რუსეთის არქივებში ათასობით დოკუმენტია შემონახული, გაცემული კიევის, ხარკოვის, ბელგოროდის, ასტრახანის საგუბერნიო კანცელარ-

[82] ქართველი ტყვეების შესახებ რამდენიმე ტიპური დოკუმენტი ადრე გამოვაქვეყნეთ (იხ. ვ. მაჭარაძე, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. II, თბილისი, 1968, გვ. 140-142, 523-525, 542-546); „მასალების" III წიგნში იბეჭდება 60-70-იანი წლების რამდენიმე ტიპური დოკუმენტი, მაგრამ რაკი წიგნი ჯერ არ გამოქვეყნებულა, აქვე მოვიტანთ ნაწყვეტს ორი დოკუმენტიდან: 1) 1763 წლის 8 იანვარს, კიევის ობერკომენდანტის გენერალ ჩიჩერინის ხელმოწერით, იმპერატორის 1758 წლის ბრძანების შესაბამისად, გაიცა სამგზავრო პასპორტი, რომელშიც ვკითხულობთ: **«Объявитель сего, вышедший из татарского полону грузинец Юрий Васильев, отпущен по желанию ево чрез Москву и Астрахань в ево отечество в Грузию. Того ради по тракту от Киева до Москвы и Астрахани чинить ему, грузинцу, свободной пропуск и в рассуждении ево иностранства за полонное терпение оказывать ему всякое благодеяние и давать денные и ночные квартиры, а следуя чрез Москву явиться ему, Васильеву, с сим пашпортом ГКИД, а в Астрахане — в тамошней губернской канцелярии» (АВПР, ф. Московская контора КИД, 1763 г., оп. 7/3, д. 95, л. 8); 2)** ბელგოროდის საგუბერნიო კანცელარიის მიერ იმპერატორის ბრძანების თანახმად, 1764 წ. 4 აგვისტოს გაცემულ პასპორტში ნათქვამია: **«... по присланному прошлого, 1758 году, декабря 9 числа Государственной иностранной колегии ис кантори указу велено: вышедшим ис плену грузинам давать пашпорты для проходу до Москвы, прописывая во оных, чтоб они явились КИД в кантору и чтоб за полонное их терпение в пути показано было им всякое благодеяние и даваны были денныя и ночныя квартеры бес препятствия, того ради оному грузину Егору Ермолову от Белагорода до Москвы по тракту в городех, селах и деревнях чинит. свободной пропуск без задержания и по его чужестранству и за полонное терпение, в силе выше писанного указу, показывать не токмо благодеяние, но и на пропитание ево от доброхотных дателеи подавано б было милостиня и денныя и ночныя квартеры давать, и для показания ему, грузинцу, прямейшаго пути, дабы он, яко незнающей российскаго языка, з дороги Московского тракта в другую сторону зайтить куда не мог, в городах давать им из обивателей по одному человеку...» (АВПР, ф. Московская контора КИД, 1764 г., оп. 7/3, д. 126, л. 1)**.

აღსანიშნავია, რომ პასპორტების გაცემისას ტყვეს ვინაობას გამოჰკითხავდნენ. ეს ჩანაწერები ძვირფას მასალას იძლევა ტყვეების საცხოვრებელი ადგილისა და სოციალური კუთვნილების შესახებ. მასალა ცხადყოფს, რომ ტყვეების უმრავლესობა გლეხები იყვნენ. ზოგჯერ პასპორტს ერთად აძლევდნენ რამდენიმე კაცს. მაგ., 1763 წლის 27 სექტემბერს კიევის გუბერნატორმა გლებოვმა ერთად მისცა პასპორტი ერეკლე მეფის ყმებს, თელაველ გლეხებს ივანე „ხუცის" (ხუციშვილის?), იური „ჩელაშულას" (ჭილაშვილს?) და „ატოსის" წმ. გიორგის მონასტრის მჭედელს იური „იარაკს"(?) (АВПР, ф. Московская контора КИД, 1764 г., оп. 7/3, д. 121, лл. 2-3), მაგრამ თუ რომელიმე მათგანი ჯგუფს რაიმე მიზეზით ჩამორჩებოდა, მის შესახებ ცალკე იცემოდა ბრძანება. მაგ., 1764 წლის 14 მაისს საგარეო საქმეთა კოლეგიამ ბრძანება გაუგზავნა ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიას — სამშობლოში გაეგზავნა ყირიმელ თათართა ტყვეობიდან გამოქცეული ოთარ „დათუნოვი" (დათუნაშვილი?), რომელიც თავის ბიძასთან ელისე „ლალაძესთან" (ლოლაძე?) ერთად პოლტავიდან ჩასულა მოსკოვში, ელისე მაშინვე საქართველოში წამოსულა, ხოლო ოთარი, ავადმყოფობის გამო, დარჩენილა მოსკოვში და გამოჯანმრთელებულს ნება მიეცა გამგზავრებულიყო სამშობლოში (АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1762-76 гг., оп. 110/2, д. 4, л. 14).

იებისა და საგარეო საქმეთა კოლეგიის მოსკოვის კონტორის მიერ, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ქართლ-კახეთში ყოველწლიურად ათობით, ზოგჯერ ასობით გლეხი, სასულიერო პირი, აზნაური და თავადი ბრუნდებოდა რუსეთის მთავრობის ხელშეწყობით.

მრავალი ამგვარი საბუთის მოტანა შეიძლება, მაგრამ აქ მხოლოდ ორ ფაქტს გავიხსენებ: 1768-74 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს ხმელთაშუა ზღვაში იმყოფებოდა რუსეთის ესკადრა. მათ მიმართეს თურქეთიდან გაქცეულმა სამმა ქართველმა ტყვემ. ისინი ა. ორლოვის ბრძანებით 1772 წლის ივნისში რუსმა მეზღვაურებმა პეტერბურგში წამოიყვანეს, ხოლო ოქტომბერში საგარეო საქმეთა კოლეგიის თანხმობით, მისცეს სამგზავრო პასპორტები, გამცილებელი ჯარისკაცი ასტრახანამდე, დაუქირავეს ოთხი „ფურგონი“, რომელშიც 154 მანეთი გადაიხადეს და მისცეს სახარჯო ფული 20-20 მანეთი; ასტრახანიდან, ასეთივე წესით გამოაცილეს ყიზლარსა და მოზდოკამდე.[83] 1772 წლის ზაფხულში საქართველოში დაბრუნდა 200-ზე მეტი ტყვედნამყოფი ქართველი, რომლებიც რუსეთის ჯარმა ყირიმის დაკავების დროს გაათავისუფლა[84] (ერეკლე II 1782 წლის 18 ოქტომბერს ავსტრიის იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ ყირიმში რუსეთის ჯარმა რამდენიმე ათასი ქართველი გაათავისუფლაო).[85] გარდა ამისა, იყო შემთხვევები, როცა რუსეთის მოხელეები გამოისყიდიდნენ ქართველ ტყვეებს (ყიზლარის კომენდანტი გენერალი სტუპიშინი,[86] პოლტავის კომენდანტი თურქისტანოვი[87] და სხვა), ათავისუფლებდნენ და სამშობლოში წასვლის ნებას რთავდნენ. რუსეთის მთავრობა ხელს უწყობდა ქართველებს ტყვეობაში მყოფი ნათესავების მოძებნისა და გამოსყიდვის საქმეში. მაგალითად, რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის შუამდგომლობით 1773 წლის 31 დეკემბერს ეკატერინე მეორემ განკარგულება გასცა, ასპინძის ბრძოლის მონაწილე თავად პავლე ანდრონიკაშვილისათვის მიეცათ 500 მანეთი ლეკების მიერ 1770 წელს გატაცებული დედის, ცოლისა და ორი დის გამოსასყიდად.[88] 1763 წლის 10 მარტს რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიამ ნება დართო აზნაურ რევაზ

---

[83] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1769-73 гг., д. 9, лл. 242-259; იქვე, 1770-74 гг., д. 14, лл. 329, 330.**

[84] **იქვე, 1769-70 гг., оп. 110/2, д. 13, л. 18.**

[85] **იქვე, 1782 г., оп. 110/3, д. 458, лл. 21-22; Грамоты, II, вып. II, с. 15-16.**

[86] **АВПР, ф. Московская контора КИД, 1765 г., оп. 7/3, д. 105, л. 5.**

[87] **იქვე, оп. 7/3, д. 103, л. 1-10.**

[88] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1771-76 гг., оп. 110/2, д. 16, лл. 147-150.**

ჯომარჯიძეს გამგზავრებულიყო პოლონეთში თავისი ძმის პეტრეს მოსაძებნად, რომელიც 40 წლის წინ ლეკებმა გაიტაცეს და გაყიდეს თურქეთში, საიდანაც პოლონეთში გაქცეულიყო.[89]

შემთხვევითი არაა, რომ ერეკლე II 1770 წელს ქერიმხანთან წერილში საგანგებოდ უსვამდა ხაზს რუსეთის დამსახურებას ქართველი ტყვეების დახსნის საქმეში, რითაც თავის კავშირს რუსეთთან ასაბუთებდა.[90] ალბათ, ზედმეტი არ იქნება თუ აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ ქუჩუკ-კაინარჯის ზავის (1774 წ.) შემდეგ, ქართველი ტყვეების დაცვა რუსეთის მხრივ საერთაშორისო პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი, რასაც მოწმობს რუსეთის ელჩების მოხსენებები კონსტანტინოპოლიდან.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთში (სადგერიდან-გავაზამდე), ალბათ, არც იყო სოფელი, სადაც რუსეთის მთავრობის დახმარების წყალობით ტყვეობიდან თავდახსნილი გლეხი არ ცხოვრობდა.[91] სწორედ ამიტომ რუსეთისადმი ნდობამ და რუსულმა ორი-

---

[89] **იქვე, 1762-74 გგ., оп. 110/2, д. 4, лл. 4-8.**

[90] **1770 წლის ზაფხულში ქერიმ ხანი „ურჩევდა“ ერეკლეს გაეწყვიტა რუსეთთან კავშირი, რუსეთის ჯარი გაეძევებია საქართველოდან და მორიგებოდა ოსმალეთს (АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1768-75 гг., оп. 110/2, д. 20, лл. 75-78). საპასუხო წერილში ერეკლე მეფეს ჩამოთვლილი აქვს ყველა ის უბედურება, რასაც ახალციხის ფაშა და მასთან კავშირში მყოფი ლეკები აყენებდნენ საქართველოს და აღნიშნავს, რომ სულთანი მის თხოვნას ყურად არ იღებს და ქვეყანა იღუპებაო. ერეკლე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ: «ни с турецкой стороны обороны мне не было, ни Персия к ранам моим пластыря не приложила, равномерно ж и от протчих соседей, ближних и дальных, никакого вспоможения против эхшекинцев (ახალციხელების — ვ. მ.), лезгинцев, нападающих на Грузию, ожидать мне осталось» (იქვე, 82-86). ქვემოთ მეფე „მეგობრულად“ უხსნის ქერიმ ხანს რუსეთთან კავშირის მიზეზებს, რომელთაგან გამოყოფს ორს: «первое, все попадающияся по случаям здешние жители в плен к лезгинцам и туркам высвобождаются помощию российской монархини, коим не токмо дается воля в возвращении им в свое отечество, но бедные, изнуренные из них и лишенные дневнаго пропитания приемлются милостиво и снабдеваются во всем щедно. И второе, живущие в соседстве с Грузиею... горские народы, ежали бы не опасались российской монархини, не преминули б Грузии причинять крайние разорения» (იქვე).**

[91] **აკად. ნ. ბერძენიშვილის მსჯელობა, თითქოს ჩრდ. კავკასიაში ახალი დაბა-სოფლების გაჩენასთან დაკავშირებით „...ქართველი... ტყვეები ყირიმიდან, საჩაჩნო-დაღესტნიდან“, იქ „სხდებიან და სამშობლოში კი აღარ“ მოდიანო, რადგან იქ უკეთესი პირობები ჰქონიათ და „რუსული ხელისუფლებაც არ შეელევა მათ ადვილად“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IV, თბილისი, 1967, გვ. 167), სიზუსტეს მოკლებულია. როგორც ჩანს, ნ. ბერძენიშვილი ასეთ დასკვნამდე „ყიზლარისა და მოზდოკის საქმეს“ (სულ ერთი საქმეა ასეთი) და მოზდოკის მოსახლე ქართველთა გრძელ სიას მიუყვანია, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ მოზდოკში ქართველთა მომრავლება, ძირითადად, თერგისპირა ქართული კოლონიების ხარჯზე მოხდა. მართალია, მოზდოკში მოახალშენეთა მიწვევაზე ივ. ფიცხელაურმა დიდად იღვაწა, მაგრამ ყურადღების ცენტრში მთიელთა მიწვევა და გაქრისტიანება იდგა, რათა ჩრდილოეთ კავკასიაში რუსულ ორიენტაციას ფართო ასპარეზი მოეპოვებინა. რაც შეეხება ტყვეობიდან გაქცეულ ქართველებს, რუსეთის მთავრობა 60-70-იან წლებში სამშობლოში დაბრუნების საქმეში, როგორც ზემოთ მოტანილი საბუთები მოწმობდა, არავითარ დაბრკოლებას არ უქმნიდა. კიდევ მეტი, თუ ტყვეობიდან გათავისუფლებულ ქართველთაგან**

ენტაციამ საქართველოში საყოველთაო საერთო სახალხო ხასიათი მიიღო, მას პროპაგანდა არ სჭირდებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთის მფარველობაში შესვლა — გეორგიევსკის ტრაქტატის დადება XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში შექმნილი კონიუნქტურით კი არ ყოფილა ნაკარნახევი, არამედ საქართველოს საერთო ვითარების სერიოზული განსჯისა და საფუძვლიანი გაანალიზების, რუსეთთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის გათვალისწინებით მოხდა.

***

გეორგიევსკის ტრაქტატის პროექტის შემუშავებას, როგორც ზემოთ ითქვა, საფუძვლად დაედო სამი დოკუმენტი: ერეკლეს II პროექტი, ქართლ-კახეთის სამეფო კარის პირობა და ეკატერინე II მითითებანი გრ. პოტიომკინისადმი.

ხელშეკრულების პროექტის ერთ-ერთი ვარიანტი,[92] რომელიც ა. ბეზბოროდკოს ავტოგრაფითაა შემონახული, გულისხმობდა ორივე ქართულ სამეფოსთან (ქართლ-კახეთთან და იმერეთთან) *სამოკავშირეო-მფარველობით ხელშეკრულების* დადებას,[93] მაგრამ თურქეთის აშკარა გამოწვევას (იმერეთი თურქეთის სავასალო ქვეყანა იყო) თავი აარიდეს. დამოუკიდებელი ყირიმის შეერთება (თუმცა იგი არღვევდა ქუჩუკ-კაინარჯის ზავის პირობებს) და ასევე დამოუკიდებელი ქართლ-კახეთის მფარველობაში მიღება (თუმცა ისიც არღვევდა რუსეთ-თურქეთის ტრადიციულ დამოკიდებულებას „ირანის საკითხისადმი", — ორივე დიდი სახელმწიფო XVIII საუკუნის 50-60-იან წლებში მტკიცედ სთხოვდნენ ერთმანეთს ქართლ-კახეთის, როგორც ირანის სავასალო ქვეყნის საქმეებში აშკარა ჩარევისაგან თავი შეეკავებინათ — და აგრეთვე ქუჩუკ-კაინარჯის ზავის პირობებსაც), ეს ორი აქტი, მაინც არ ნიშნავდა თურქეთის კუთვნილი ტერიტორიის

ერთეულები მაინც რჩებოდნენ რუსეთში (ქართულ კოლონიებში ქართველ ქალზე დაქორწინების და სხვა მოტივებით), მათ საგანგებოდ, დასაბუთებას თხოვდნენ და საგუბერნიო კანცელარიის მიერ გაცემულ პასპორტს ჩამოართმევდნენ (ასეთი ჩამორთმეული პასპორტები ერთეულებიღაა), ახალ პასპორტს აძლევდნენ და საგანგებო აღრიცხვაზეც აჰყავდათ. ასე რომ, რუსეთში დარჩენა აკრძალული არ იყო, მაგრამ იგი დამატებით სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ვიდრე სამშობლოში დაბრუნება. არც ქართველ თავადაზნაურობას ეპატიჟებოდნენ საგანგებოდ, მხოლოდ თავშესაფარს აძლევდნენ, თუ ისინი ითხოვდნენ — ამის დასტურად ივანე ბაგრატიონის (პეტრეს მამის) მაგალითიც იკმარებდა (იხ. **АВПР, ф. Кизлярские и Моздокские дела, 1762-72 гг., д. 1, лл. 312-314, 319-320** და ა. შ.).

[92] არ გამოვრიცხავთ პროექტის სხვა ვარიანტის არსებობას.

[93] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1774-1804 гг., оп. 110/2, д. 18, лл. 46-56; Грамоты, II, вып. II, с. 32-41.**

ხელყოფას, თურქეთის საშინაო საქმეებში აშკარა ჩარევას.[94]

1783 წლის 7 მაისს გენერალმა პ. პოტიომკინმა პოდპოლკოვნიკ ტამარას ხელით თავად გრ. პოტიომკინისაგან მიიღო ქართლ-კახეთის სამეფოსთან დასადები ხელშეკრულების პროექტი, რომლითაც 9 მაისს პოდპოლკოვნიკი ტამარა თბილისისაკენ გამოისტუმრა.[95] გენერალი პ. პოტიომკინი სოლომონ მეფეს სწერდა, რომ ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობაშია მიღებული და გულწრფელად მსურს, ვითარებამ შესაძლებელი გახადოს თქვენი მიღებაცო, ახლა კი იმპერატორის სურვილია, თქვენ და ერეკლე მეფე მეგობრულ ურთიერთობაში იყოთო.[96] ერეკლესადმი წერილში გენერალი მეფეს რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილებას ულოცავდა და აცნობებდა, რომ ტრაქტატის მუხლების თაობაზე განმარტებას პოდპოლკოვნიკი ტამარა მოგცემთ, ელჩები შეარჩიეთ გეორგიევსკში გამოსაგზავნადო, ხოლო ტრაქტატზე ხელმოწერისთანავე დამხმარე ჯარი საქართველოში შემოვა და მაჰმადიან ხანებსაც გაფრთხილება გაეგზავნებათო.[97] მალე (1783 წლის მაისში) საქართველოში გამოიგზავნა აგრეთვე პოლკოვნიკი ს. ბურნაშოვი, რომელსაც საქართველოს თავდაცვის მდგომარეობა უნდა შეესწავლა.[98]

1783 წლის მაისის მეორე ნახევარში პოდპოლკოვნიკი ტამარა თბილისში ჩამოვიდა და ერეკლე II გადასცა ხელშეკრულების პროექტი (რუსულ და ქართულ ენებზე), ქართლ-კახეთის სამეფო კარი თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იხილავდა პროექტს. პოდპოლკოვნიკ ტამარას ცნობით, ერეკლეს რუსულიდან „თარგმანის“ მიმართ შენიშვნები გაუკეთებია და შესწორებებიც შეუტანია, რაზედაც პოდპოლკოვნიკი ტამარა დაჰპირებია, თუ რუსეთში მთარგმნელები მისაღებად მიიჩნევენ, გავასწორებთო.[99]

1783 წლის ივნისის ბოლოს საბოლოოდ გადაწყდა საქართველოს წარმომადგენლების შემადგენლობა: პირველ ელჩად დაინიშნა თავადი ივანე ბაგრატიონი, მეორე ელჩად — თავადი გარსევან ჭავჭავაძე, ასისტენტად — თელავის სემინარიის რექტორი გაიოზ არქიმანდრი-

[94] თურქეთი იოლად როდი შეეხვდა ამ ორ აქტს, რასაც შედეგად მოჰყვა ჯერ ამიერკავკასიელი მაჰმადიანი მფლობელების ამხედრება, ხოლო შემდეგ რუსეთ-თურქეთის 1787-91 წლების ომი.

[95] **ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, л. 66. об.**

[96] იქვე, 67.

[97] იქვე, 68-69.

[98] ს. ბურნაშოვის მოხსენებები, როგორც ძვირფასი საისტორიო წყარო, ჩვენი „მასალების“ IV წიგნში დაიბეჭდება.

[99] **ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, лл. 117-118.**

ტი. შეარჩიეს საელჩოს მდივანი და ელჩების ამალა 20 კაცის (სულ 24) შემადგენლობით. ამასთან, თუ ელჩებს შორის უთანხმოება ჩამოვარდებოდა, ერთ-ერთი ელჩის ხელმოწერა საკმარისი იყო.[100] 1783 წლის ივნისში ქართლ-კახეთის სამეფო კარმა პროექტი ძირითადად მოიწონა, 28 ივნისს ერეკლემ ხელი მოაწერა სამეფოს თავად-აზნაურთა სიას, რომელიც ტრაქტატის დანართს წარმოადგენდა[101] და მალე ელჩობა რუსეთს გაემგზავრა.

რუსეთის მთავრობამ თავის წარმომადგენლად თავადი გრ. პოტიომკინი დანიშნა, ამასთან, თუ იგი მოლაპარაკებაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, ნება ეძლეოდა თვითონვე დაენიშნა სხვა წარმომადგენელი. ასეც მოხდა — გრ. პოტიომკინმა თავის წარმომადგენლად დანიშნა თავისი ნათესავი „კავკასიის ხაზის“ სარდალი გენერალი პავლე პოტიომკინი.[102]

1783 წლის 15 ივლისს ქართლ-კახეთის წარმომადგენლები მოზდოკში ჩავიდნენ. პ. პოტიომკინი, ცნობის მიღებისთანავე, ყუბანიდან გეორგიევსკში დაბრუნდა, 16 ივლისს ელჩებს პორუჩიკი თავადი ჩოლოყაევი (ჩოლოყაშვილი) გაუგზავნა მისასალმებლად და 50 ცხენი მიართვა, ხოლო 17 ივლისს პოდპოლკოვნიკი ტამარა მოზდოკში გაგზავნა ეკიპაჟით, რომ ქართველი ელჩები მიეცილებინა გეორგიევსკამდე; 18 ივლისს გეორგიევსკიდან მაიორი კომარსკი გაიგზავნა, რათა იგი ელჩებს პავლოვსკის ციხე-სიმაგრეში შეხვედროდა, მთავარსარდლის სახელით ბედნიერად ჩასვლა მიელოცა და გეორგიევსკამდე მიეცილებინა. ელჩობის მარშლად დაინიშნა სეკუნდ-მაიორი გრაფი აპრაქსინი, რომელიც გეორგიევსკის მახლობლად უნდა შეხვედროდა ელჩებს და რეზიდენციამდე გასძღოლოდა, ხოლო ქართველ ელჩებს ციხე-სიმაგრის კარიბჭესთან უნდა შეხვედროდა მაიორი გილი; პოლკოვნიკ მოლოჟენნიკოვს, როგორც ციხე-სიმაგრის უფროსს დაევალა, რეზიდენციაში მიეყვანა ელჩები და გამასპინძლებოდა. 18 ივლისს საღამოს 8 საათზე, ზემოაღნიშნული ცერემონიალის დაცვით, ელჩები გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში შევიდნენ.[103]

1783 წლის 19 ივლისს დღის 9 საათზე ქართველ ელჩებთან გამოცხადდა ელჩობის მარშალი გრაფი აპრაქსინი და აცნობა, რომ 11 საათზე სხდომა იყო დანიშნული. მთავარსარდლის მისაღებთან

[100] იქვე.

[101] **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 35-47.**

[102] **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 3, 9.**

[103] **ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, лл. 164-165.**

ელჩებს პატივით მიეგებნენ. დაიწყო პირველი სხდომა, რომელიც საზეიმო ხასიათს ატარებდა. სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს გარსევან ჭავჭავაძემ და პავლე პოტიომკინმა. დღის 5 საათზე დაიწყო მეორე სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: პ. პოტიომკინი, ი. ბაგრატიონი, გ. ჭავჭავაძე, გაიოზ არქიმანდრიტი, ქართული საელჩოს მდივანი, პოდპოლკოვნიკი ტამარა და მთარგმნელები — პორუჩიკი თავადი ჩოლოყაევი (ჩოლოყაშვილი) და პორუჩიკი სევარსამიძე. პ. პოტიომკინმა სხდომა გახსნა შესავალი სიტყვით, რომელშიც ხაზი გაუსვა იმ დათმობებს, რომელიც რუსეთის მთავრობამ ქართლ-კახეთის სასარგებლოდ გააკეთა (იგულისხმება ერეკლეს პროექტის შერბილება), ხოლო შემდეგ ი. ბაგრატიონს გადასცა იმპერატორის მიერ გრ. პოტიომკინისათვის მიცემული რწმუნების სიგელი და გრ. პოტიომკინის მიერ მისთვის მიცემული რწმუნების დამადასტურებელი დოკუმენტი. შემდეგ ქართველმა ელჩებმა პ. პოტიომკინს გადასცეს მათი რწმუნების სიგელი.[104] რწმუნების სიგელების გაცვლის შემდეგ დაიწყეს ხელშეკრულების ტექსტის კითხვა (ჯერ წაიკითხეს რუსული ტექსტი, შემდეგ — ქართული). მოლაპარაკებისას წამოიჭრა საკითხები, რომლებზედაც მხარეებმა წერილობითაც კი მიმართეს ერთმანეთს. 21 ივლისს კამათი ეხებოდა მეფის კურთხევას, ტიტულს, გერბს, კათალიკოსის ადგილს რუსეთის სინოდში და სხვა. 23 ივლისის სხდომაზე დაიწყეს ტექსტის ხელმეორედ კითხვა (რუსული წაიკითხა ტამარამ, ქართული — გაიოზმა). ყოველი მუხლი ერთმანეთს შეადარეს მთარგმნელებმა (ჩოლოყაშვილმა და სევარსამიძემ). 1783 წლის 24 ივლისს დილით წარმომადგენლები შეიკრიბნენ და 1 საათზე საზეიმოდ ხელი მოაწერეს სამ დოკუმენტს: ტრაქტატის ძირითად ნაწილს, სეპარატულ მუხლებს და „ფიცის სახეს“ (რუსულ და ქართულ ტექსტებს), ჯერ პ. პოტიომკინმა, ხოლო შემდეგ ქართველმა ელჩებმა.[105] წინასწარ შეთანხმდნენ მეოთხე დოკუმენტზეც (დამატებით მუხლზე). ხელმოწერის შემდეგ ხელშეკრულების ტექსტები გაცვალეს. სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა გარსევან ჭავჭავაძემ, სადაც საგანგებოდ აღნიშნა ამ საქმეში გრ. პოტიომკინის დამსახურება. 24 ივლისს საღამოს მთელი ქალაქი გეორგიევსკი გაჩირაღდნებული იყო. იმავე დღეს პ. პოტიომკინმა ხელშეკრულების დედანი, ქართველ თავად-აზნაურთა სია და მოლაპარაკების ოქმი გაუგზავნა გრ. პოტიომკინს და აცნობა: 25 ივლისს ქართველი ელჩები მთავარსარდლის ბანაკს მოინახულებენ, ხოლო 27 ივლისს სამ-

[104] **იქვე, ლლ. 166-168.**

[105] **ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, лл. 169-175.**

შობლოში გაემგზავრებიან.[106]

გეორგიევსკის ტრაქტატი ოთხი დამოუკიდებელი დოკუმენტისაგან შედგება: ცამეტი ძირითადი, ოთხი სეპარატული (ცალკე), ერთი დამატებითი მუხლისაგან და ერეკლეს ფიცის ნიმუშისაგან („სახე“). ყოველ მათგანს, როგორც დამოუკიდებელ დოკუმენტს, წარმომადგენლებმა ცალკე მოაწერეს ხელი და თავიანთი ბეჭდები დაუსვეს. ხელშეკრულება რუსულ და ქართულ ენებზე შედგა, ორივე ტექსტი სრული ძალისა იყო, არც ერთ მათგანს მეორე ენაზე არსებულ ტექსტზე მითითება არ აქვს, ამიტომაც ყოველ მათგანს მეორე ენაზე „თარგმანი“ ახლდა, ეს ფაქტი მხარეთა ეროვნული ღირსების პატივისცემას გამოხატავდა.[107] ეს გეორგიევსკის ტრაქტატის, როგორც ხელშეკრულების, თავისებურება იყო. დღეს მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართული დედანი (რუსული „თარგმანითურთ“),[108] რომელიც რუსეთის მხარეს გადაეცა (იგი რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივშია დაცული),[109] ხოლო რუსული დედანი (ქართული „თარგმანითურთ“), რომელიც საქართველოს მხარეს გადაეცა, ჯერ მიკვლეული არ არის.[110]

ტრაქტატის პირველ დოკუმენტს, მის 13 მუხლს (არტიკულს), წინ უძღვის პრეამბულა, სადაც მოკლედ ჩამოყალიბებულია ხელშეკრულების ან „მეგობრობითი პირობის“ (რუსული ტექსტით „მეგობრობის ხელშეკრულების“ — «дружественный договор») დადების მოტივები. აღნიშნულია, რომ საქართველოს ოდითგანვე აწუხებდა მეზობელი ქვეყნები და რუსეთმა არაერთგზის აღმოუჩინა მას დახმარება, ხოლო ახლა შევთანხმდით, რომ ქართლ-კახეთის მეფე სცნობს რუსეთის ხელმწიფის უზენაეს ხელისუფლებას, ხოლო რუსეთი დაიცავს ქართლ-კახეთს გარეშე მტრებისაგანო. შემდეგ დახასიათებულია მხარეთა მიერ დანიშნული სრულუფლებიანი წარმომადგენლები და ქვემოთ 13 მუხლად (არტიკულად) ჩამოყალიბებული შეთანხმების პირობები, რომელთა შინაარსი ასეთია:

1) ქართლ-კახეთის მეფე „სახელითა თჳსითა მემკვიდრეთა და მენაცულეთა თჳსთა“ საზეიმოდ („დღესასწაულობით“) და საქვეყნოდ

[106] იქვე, 162, 176.

[107] **В. Мачарадзе, С. Повальников, Подлинник русско-грузинского договора 1783 года, см. журн. «Литературная Грузия», 1982 г., № 2, с. 201-210.**

[108] მართალია, „თარგმანს“ ბეჭედი არ აქვს დასმული, მაგრამ, ცხადია, იგი დედანს ზუსტად იმეორებდა.

[109] **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 3-8, 9-12.**

[110] რუსული დედანი, ალბათ, აღა-მაჰმად ხანის მიერ 1795 წელს თბილისის აკლებისას ქართლ-კახეთის სამეფოს მთელ არქივთან ერთად დაიღუპა.

აცხადებს, რომ იგი ამიერიდან სამუდამოდ უარს ამბობს სცნოს ირანის ან რომელიმე სხვა ქვეყნის ხელმწიფის უზენაესი ხელისუფლება და მფარველობა, გარდა რუსეთის იმპერატორისა და მისი მემკვიდრეებისა, აღუთქვამს მათ ერთგულებას;

2) რუსეთის იმპერატორი თავისი და მემკვიდრეების სახელით აღუთქვამს ერეკლე მეფეს, რომ იგი სამუდამოდ გაუწევს მფარველობას ქართლ-კახეთის სამეფოს და დაიცავს მას გარეშე მტრებისაგან, იმ სამფლობელოების ჩათვლით, რომელთაც ერეკლე თეიმურაზის ძე, ვითარების წყალობით, მომავალში შემოიერთებს, რომლებიც მასვე დაუმკვიდრდება (მუხლი 2);

3) როდესაც ერეკლეს მემკვიდრეები გახდებიან მეფეები, უმალ აუწყებენ რუსეთის მთავრობას და რუსეთის მთავრობა უგზავნის მათ სამეფო ნიშნებს[111] და იღებენ ერთგულების ფიცს; ამ წესს აღასრულებს ერეკლე მეფეც (მუხლი 3);

4) ერეკლემ (შემდეგ მისმა მემკვიდრეებმაც) უცხო ქვეყნებთან მიმოწერა რუსეთის მინისტრთან (წარმომადგენელთან) და „კავკასიის ხაზის“ სარდალთან უნდა შეათანხმოს (მუხლი 4);

5) ერეკლე II რუსეთის სამეფო კარზე ეყოლება თავისი მინისტრი, ან რეზიდენტი, რომელიც მეფის საჭიროებაზე მოახსენებს რუსეთის მთავრობას, იგი უფლებებით გათანაბრებული იქნება სხვა მფლობელ მთავართა მინისტრებთან, ხოლო რუსეთის მთავრობას ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ეყოლება თავისი მინისტრი (წარმომადგენელი, მუხლი 5);

6) რუსეთის იმპერატორი, რომლის უზენაესობა აღიარა ქართლ-კახეთმა და მიიღო ეს უფლება, თავისი და მემკვიდრეების სახელით აღუთქვა მას, ქართლ-კახეთს: ა) ქართული სამეფოების მოსახლეობას თვლის იმპერიასთან მჭიდრო კავშირში მყოფად, ამიტომ დაიცავს მას გარეშე მტრებისაგან და მათ მტრებს თავის მტრად ჩათვლის, ხოლო თურქეთთან, სპარსეთთან და სხვა ქვეყნებთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებები მათზეც ვრცელდება; ბ) ერეკლესა და მის შთამომავლებს „დაიცავს უცუალებელად სამეფოთა ზედა ქართლისა და კახეთისათა“; გ) ქვეყნის საშინაო საქმეები — მმართველობა, სასამართლო და მსჯავრი, გადასახადების აკრეფა, ქართლ-კახეთის მეფის სრული ნებაა და სარგებელიც მისია; რუსეთის მთავრობა

[111] როდესაც ერეკლეს მემკვიდრეები სამეფო ტახტზე ავლენ, აცნობებენ რუსეთის მთავრობას, ხოლო იმპერა-ტორისაგან მიიღებდნენ წერილობით დამტკიცებას და სამეფო ნიშნებს: დროშას რუსეთის გერბით (მათ ჰქონ-დათ საკუთარი სამეფო გერბიც), ხმალს, კვერთხს და ყარყუმის მანტიას (წამოსასხამს).

აუკრძალავს თავის სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლებს ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში ჩარევას (მუხლი 6);

7) ერეკლე, რუსეთის იმპერატორის აღთქმის პასუხად, თავისი და მემკვიდრეების სახელით ვალდებულებას კისრულობს: ა) ყოველთვის მზად იყოს თავისი ჯარით რუსეთის იმპერატორის სამსახურზე; ბ) რუსეთის მოხელე დიდკაცებთან მუდმივი მიმოწერა ჰქონდეს და ასრულებდეს მათ მოთხოვნას და დაიცვას რუსეთის ქვეშევრდომები შევიწროებისა და შეურაცხყოფისაგან; გ) თანამდებობაზე პირთა დანიშვნის, თუ მათი დაწინაურებისას, გაითვალისწინებს რუსეთის იმპერიის წინაშე მათს დამსახურებასაც (მუხლი 7);

8) ქართლ-კახეთის კათალიკოსი უწმინდესი სინოდის წევრი ხდება და იგი რუსეთის ეპისკოპოსებს შორის სინოდში იკავებს მერვე ადგილს (ტობოლსკის ეპისკოპოსის შემდეგ); თუმცა ქართლ-კახეთის საეკლესიო მართვისა და სინოდთან ურთიერთობის თაობაზე ცალკე შეთანხმება უნდა მოხდეს (მუხლი 8);

9) ქართველი თავადაზნაურობა უფლებებით უთანაბრდება რუსეთისას, სათანადო პატივი რომ მიაგონ რუსეთში ჩასვლისას — ერეკლესაგან ითხოვენ სიას (მუხლი 9);

10) ქართლ-კახეთის მცხოვრებთ უფლება აქვთ გადასახლდნენ რუსეთში და სურვილისამებრ დაბრუნდნენ სამშობლოში, ხოლო ქართველ ტყვეებს, რომლებიც გამოხსნილი იქნებიან სპარსეთის ან თურქეთის ტყვეობიდან, სურვილებისამებრ უფლება ეძლევათ დაბრუნდნენ სამშობლოში, ოღონდ გამოსასყიდი და გზის ხარჯები უნდა დაფარონ, ასეთივე წესი ვრცელდება საქართველოს მეზობელთაგან ტყვეობიდან გამოხსნილ რუსებზეც (მუხლი 10);

11) ქართლ-კახეთის ვაჭრებს უფლება ეძლევათ ივაჭრონ რუსეთში და იქ ისარგებლებენ იმავე უფლებებით, რომლებითაც რუსი ვაჭრები სარგებლობენ, ხოლო რუს ვაჭრებს ეძლევა ისეთივე უფლება საქართველოში, აგრეთვე საქართველოს გზით მეზობელ ქვეყნებში სავაჭროდ გამგზავრებისა (მუხლი 11);

12) ხელშეკრულება იდება საუკუნოდ (სამუდამოდ — «на вечные времена»), მაგრამ თუ საჭირო აღმოჩნდება რომელიმე მუხლის შეცვლა, ან დამატება მხარეთა სასარგებლოდ, საჭიროა ორივე მხარის თანხმობა (მუხლი 12);

13) ტრაქტატის რატიფიკაციისა და გაცვლის ვადად წესდება 6 თვე, თუ შესაძლებელი იქნება ადრეც (მუხლი 13);[112]

ტრაქტატის პირველ დოკუმენტს (ძირითად მუხლებს), რომელიც

[112] **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 3-5.** (იხ. რუსული ტექსტი, იქვე, ფურცლები 9-12).

დაიდო გეორგიევსკში 1783 წლის 24 ივლისს ხელს აწერენ: გენერალი პ. პოტიომკინი, თავადი იოანე ბაგრატიონი და თავადი გარსევან ჭავჭავაძე, დასმულია მათი ბეჭდები.[113]

დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით გაფორმდა 4 სეპარატული (ცალკე) მუხლი (არტიკული), რომელთა შინაარსი ასეთია:

1) ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით, ერეკლეს ევალება მეგობრულ ურთიერთობაში დარჩეს სოლომონ იმერთა მეფესთან, ხოლო უთანხმოების ჩამოვარდნის შემთხვევაში, უნდა დაემორჩილოს რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებას (მუხლი 1);

2) ქართლ-კახეთის დასაცავად რუსეთმა საქართველოში უნდა გამოგზავნოს თავისი ხარჯით ქვეითი ჯარის 2 ბატალიონი 4 ზარბაზნით (მუხლი 2);

3) რუსეთის „მესაზღვრე უფროსი" (კავკასიის ხაზის სარდალი) უფლებამოსილია იმპერატორისაგან, ომის შემთხვევაში შეუთანხმდეს ერეკლეს და ისეთი ზომები მიიღოს ქართლ-კახეთის დასაცავად და მტრის წინააღმდეგ სამოქმედოდ, როგორიც საჭიროა საერთო მტრის წინააღმდეგ სამოქმედოდ; ხოლო თუ ქართლ-კახეთის ჯარი იმპერატორის სამსახურში იქნება გამოყენებული, ხარჯი რუსეთმა უნდა გაიღოს (მუხლი 3);

4) რუსეთის იმპერატორი აღუთქვამს ერეკლე მეფეს, რომ ომის დროს ეცდება იარაღით, ხოლო დაზავებისას მოლაპარაკების გზით დაუბრუნოს ქართლ-კახეთს მტრისაგან მიტაცებული მიწები, რომელიც ადგილობრივი (ქართლ-კახეთის) მეფის გამგებლობაში დარჩება (მუხლი 4).[114]

სეპარატული მუხლები გაფორმდა გეორგიევსკში 1783 წლის 24 ივლისს, მას ხელი მოაწერეს ზემოთ ხსენებულმა წარმომადგენლებმა და დაუსვეს თავიანთი ბეჭდები.[115]

ცალკე დოკუმენტის სახით გაფორმდა ფიცის ნიმუში („სახე"), რომელიც ერეკლეს უნდა მიეღო ტრაქტატზე ხელმოწერის შემდეგ. იგი შეთანხმებული იქნა გეორგიევსკში 1783 წლის 24 ივლისს, ხელი მოაწერეს და ბეჭდები დაუსვეს პავლე პოტიომკინმა, იოანე ბაგრატიონმა და გარსევან ჭავჭავაძემ. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე, თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით აღუთქვამდა რუსეთის იმპერატორს, მის ძეს პავლეს და ყოველ კანონიერ მემკვიდრეს რუსეთის ტახტისას, რომ იქნება ერთგული რუ-

[113] იქვე, 5.

[114] **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, л. 6** (შდრ.: რუსული ტექსტი, იქვე, ფურცლები 13-14).

[115] იქვე, 6.

სეთის იმპერატორისა და აღიარებს მის უზენაეს ხელისუფლებასა და მფარველობას, უარყოფს სხვა ხელმწიფეთა უზენაეს ხელისუფლებას და მფარველობას, რუსეთის მტერს თავის მტრად შერაცხს.[116]

დასასრულ, მეოთხე დოკუმენტი, ე. წ. „შესასრულებელი არტიკული“ ანუ დამატებითი მუხლი ეხება ქართლ-კახეთის მეფის კურთხევის წესს. აქ აღნიშნულია, რომ რაკი ქართლ-კახეთის მეფეები ძველთაგან სამეფო ტახტზე გვირგვინით იმკობოდნენ და მირონცხებას იღებდნენ, რუსეთის იმპერატორი ნებას რთავს ასეთივე წესით ეკურთხონ, მაგრამ, ამას გარდა, რუსეთის იმპერატორი გამოუგზავნის მას ინვენსტიტურას და ჩვეულებრივ სამეფო გვირგვინს, როგორც ხელშეკრულებითაა განსაზღვრული, მეფე მიიღებს მას და ატარებს. ერეკლე თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით აღუთქამს, რომ ამ წესს აღასრულებენ ერთგულების ფიცის მიღების შემდეგ. საინტერესოა, რომ ეს მუხლიც ხელმოწერილია ხსენებულ წარმომადგენელთა მიერ, დასმული აქვს მათივე ბეჭდები, ოღონდ ხელმოწერის თარიღია 1784 წლის 24 იანვარი და ხელმოწერის ადგილი მინიშნებულია ქ. თბილისი.[117] თუმცა, როგორც ცნობილია, პ. პოტიომკინი 1784 წლის იანვარში თბილისში არ ყოფილა, ამასთან, საქმეში იქვე დაცული დამატებითი მუხლის რუსულ „თარგმანს“ თვე, რიცხვი და ხელმოწერის ადგილი მინიშნებული არა აქვს.[118] როგორც ირკვევა, ეს მუხლი, გეორგიევსკში იქნა შეთანხმებული, მაგრამ წარმომადგენლებმა ხელმოწერისაგან თავი შეიკავეს, სანამ მათი სუვერენები არ გადაწყვეტდნენ საკითხს. ჯერ ეკატერინემ დაამტკიცა იგი და პოლკოვნიკმა ტამარამ 1783 წლის დეკემბერში ჩამოუტანა პ. პოტიომკინს, რომელმაც რუსული დედანი შეადგინა, ხელი მოაწერა და საქართველოში გამოგზავნა, თან პოლკოვნიკ ტამარას დაავალა, რომ ეთხოვა ერეკლე მეფისათვის «чтоб он приказал сей артикул бывшим полномочным подписать, а такой же написать (იგულისხმება ქართულ ენაზე — ვ. მ.) за их печатми и подписью комне доставить».[119] ასე რომ, ქართული ტექსტი, რუსული ტექსტის ადეკვატური, დაიწერა თბილისში 1784 წლის 24 იანვარს და საქართველოს წარმომადგენლებმა, ერეკლეს მიერ ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელის ხელმოწერის დღეს, მოაწერეს ხელი (ასევე რუსულ ეგზემპლარსაც), 25 იანვარს ქართველმა ელჩებმა და პოლკოვნიკმა

[116] იქვე, 8 (იხ. რუსული ტექსტი, იქვე, ფურცელი 16).

[117] იქვე, 7.

[118] იქვე, 15.

[119] ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, л. 344; იქვე, ч. II, лл. 29-30.

ტამარამ ტექსტები გაცვალეს[120] (ქართული პოლკოვნიკმა ტამარამ ჩაიბარა, ხოლო რუსული — ი. ბაგრატიონმა და გ. ჭავჭავაძემ), ხოლო პ. პოტიომკინს, ტამარას თბილისიდან დაბრუნების შემდეგ, მოუწერია ხელი (თარიღი ძველი, თბილისში ხელმოწერის დრო დაუტოვებია). ამიტომაა, რომ დამატებითი მუხლის ქართული ტექსტი გაფორმებითაც და ხელითაც განსხვავდება ტრაქტატის დედნის დანარჩენი დოკუმენტებისაგან, იგი იმავე ხელითაა ნაწერი, რომლითაც სარატიფიკაციო სიგელი.[121]

1783 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ელჩები საქართველოში დაბრუნდნენ, რასაც სიხარულით შეხვდნენ. პოლკოვნიკი ბურნაშოვი თავად გრ. პოტიომკინს სწერდა: ერეკლე ტრაქტატით ძალზე კმაყოფილია, დიდებულები მასში საკუთარ სარგებლობას ხედავენ, ხალხი ადიდებს მარჯვენას, რომელიც მას ლეკებისაგან დაიცავსო.[122] 1783 წლის 20 აგვისტოს ერეკლემ ტრაქტატზე ხელმოწერის აღსანიშნავად საზეიმო ცერემონიალი დანიშნა. ზეიმზე პოლკოვნიკი ბურნაშოვი მიიწვია. 9 საათზე ხალხი სიონის ტაძართან შეიკრიბა, ხოლო 11 საათზე მეფე უფლისწულებითა და დიდებულებით მოვიდა. წირვა გადაიხადეს. შემდეგ მეფემ წვეულება გამართა, სალუტი მისცეს, ხოლო საღამოს მეფის სასახლე და მთელი ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. მხიარული ხალხი მთელი ღამე ქუჩაში დადიოდა.[123] ზეიმზე გაიოზ არქიმანდრიტმა წარმოთქვა სიტყვა, რომლის ტექსტი რუსეთში გაგზავნეს.[124]

1783 წლის აგვისტოში ტრაქტატის დედანი პეტერბურგში ჩაიტანეს. იგი მოიწონეს და განკარგულება გასცეს მისი დაბეჭდვის თაობაზე. ტრაქტატის ძირითადი ტექსტი — 13 მუხლი მალე სტამბური წესით დაიბეჭდა რუსულად „ქვეყანაში გასაცხადებლად“, რუსეთის საელჩოებსაც გაუგზავნეს უცხოეთში,[125] 1783 წლის 21 სექტემბერს ეკატერინე II მოახდინა ტრაქტატის ანუ როგორც იგი წერდა, „მეგობრობის ხელშეკრულების“ რატიფიკაცია და საქართ-

---

[120] **ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, л. 344.**

[121] **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 3-8;** ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, საქმე **№2073-ა, №2073-ბ.**

[122] **ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, лл. 251-252.**

[123] **იქვე, 253-254.**

[124] **იქვე, 256-259.**

[125] ერთი ეგზემპლარი ინახება რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში (**იხ. АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 80-82**).

ველოში გამოგზავნეს.[126]

1783 წლის ოქტომბერში რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი, როგორც ეს ტრაქტატით იყო განსაზღვრული, საქართველოში შემოვიდა. 3 ნოემბერს ისინი თბილისის გარეთ ვაკე მინდორზე, ქალაქიდან 3 ვერსზე (ალბათ, საბურთალოზე, დღევანდელ სპორტის სასახლის ახლოს) პოლკოვნიკმა ბურნაშოვმა საპარადოდ მოაწყო და ერეკლეს წარუდგინა, ხოლო 4 ნოემბერს პოლკოვნიკმა ბურნაშოვმა ერეკლეს წარუდგინა რუსის ჯარის ობერ და შტაბ ოფიცრები.[127]

1783 წლის დეკემბერში პოლკოვნიკი ტამარა პეტერბურგიდან გეორგიევსკში ჩავიდა, საიდანაც 26 დეკემბერს გენერალმა პ. პოტიომკინმა იგი ტრაქტატის რატიფიცირებული რუსული ტექსტით, სამეფო ნიშნებითა და საჩუქრებით თბილისისაკენ გამოისტუმრა.[128]

1784 წლის 17 იანვარს პოლკოვნიკი ტამარა თბილისში ჩამოვიდა და 22 იანვარს ერეკლეს წარუდგა. 24 იანვარს ერეკლე მეორემ ტრაქტატის რატიფიკაცია მოახდინა (სარატიფიკაციო სიგელს ხელი მოაწერა), 25 იანვარს რუსი მოხელეების (ბურნაშოვისა და ტამარას) თანდასწრებით რუსეთის ერთგულების ფიციც მიიღო, რის შემდეგ ვახტანგ ბატონიშვილმა და პოლკოვნიკმა ტამარამ სარატიფიკაციო სიგელები გაცვალეს,[129] ხოლო ი. ბაგრატიონმა და გ. ჭავჭავაძემ დამატებითი მუხლი გაუცვალეს პოლკოვნიკ ტამარას.[130]

გეორგიევსკის ტრაქტატი ძალაში შევიდა.

საქართველოში ადრე გამოგზავნილი პოლკოვნიკი ს. დ. ბურნაშოვი, რომელმაც 1783 წლის ნოემბერში რუსეთის ჯარის 2 ბატალიონიც ჩაიბარა, 1784 წლის 25 იანვრიდან ოფიციალურად შეუდგა საქართველოში რუსეთის მთავრობის წარმომადგენლის (რეზიდენტის, მინისტრის) ფუნქციის შესრულებას, ხოლო 1784 წლის 29 იანვარს ერეკლე II ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლად (რეზიდენტად, მინისტრად) რუსეთის სამეფო კარზე თავადი გარსევან

---

[126] ეკატერინე II მიერ რატიფიცირებული რუსული ტექსტი დაკარგულად უნდა ჩაითვალოს, ზემოთ ნახსენები მიზეზების გამო, მაგრამ შენახულია მისი „შავი“ პირი (იხ.: **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 71-79**).

[127] **ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, лл. 284-290.**

[128] იქვე, 343-349.

[129] ქართული სარატიფიკაციო სიგელი რუსეთის მხარეს გაიგზავნა, მაგრამ 1922 წელს იგი საქართველოს დაუბრუნდა (იურიდიულად იგი რუსეთის მხარის კუთვნილება იყო) სხვა უნიკალურ ქართულ მასალებთან ერთად და ამჟერად ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (იხ. ფონდი H, საქმე №2073-ა და საქმე №2073-ბ).

[130] **ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. II, лл. 29-30.**

ჭავჭავაძე დანიშნა.[131]

გეორგიევსკის ტრაქტატი პირველი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება იყო რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში,[132] *რომლითაც რუსეთი პირველად აცხადებდა საჯაროდ დიდი მაჰმადიანური იმპერიების — ოსმალეთისა და სპარსეთის — გასაგონად, რომ იგი ამიერიდან სამუდამოდ დაიცავდა ქრისტიანულ საქართველოს, ხოლო ქართლ-კახეთიც ასევე პირველად აცხადებდა საჯაროდ, რომ იგი სამუდამოდ ემიჯნებოდა მაჰმადიანურ სამყაროს და მხოლოდ რუსეთის მფარველობას სცნობდა.*

გეორგიევსკის ტრაქტატი, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება ორი სამყაროს, ფეოდალური ეპოქის ორი უმთავრესი იდეოლოგიის დაპირისპირებაც იყო, მაგრამ იგი საკუთრივ თურქეთისა და ირანის ტერიტორიის ხელყოფას არ გულისხმობდა, არც ამ ქვეყნების რელიგიისა და სახელმწიფოებრივი წყობილების წინააღმდეგ იყო მიმართული, იგი არც ე. წ. „საბერძნეთის პროექტის“, თურქეთის „წაქცევის“ გეგმის ნაწილი ყოფილა, იგი მხოლოდ ოსმალეთის იმპერიისა და შაჰის ირანის მტაცებლურ გეგმებს ზღვარს უდებდა კავკასიის რეგიონში.

გეორგიევსკის ტრაქტატით, ან თვით ხელშეკრულების გამოთქმა რომ ვიხმაროთ „მეგობრობის პირობით“, ან *„მეგობრობის ხელშეკრულებით“,* ამ *ორმხრივი* სამოკავშირეო-მფარველობითი ხელშეკრულებით, *ქართლ-კახეთის სამეფო ნებაყოფლობით სამუდამოდ შევიდა რუსეთის მფარველობაში.* გეორგიევსკის ტრაქტატით ორ ქვეყანას შორის გაფორმდა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომლითაც *ქართლ-კახეთის მეფე ქვეყნის საშინაო მმართველობაში სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, ხოლო საგარეო პოლიტიკის საკითხები უნდა შეეთანხმებინა მფარველ-მოკავშირესთან*

[131] იქვე, 30.

[132] 1944 წელს ნ.ბერძენიშვილმა 1587 წლის კახეთის მეფის „ფიცის წიგნსა“და 1589 წლის რუსეთის ხელმწიფის „წყალობის სიგელს“ ერთგან უწოდა „ხელშეკრულება“(ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IVგვ.23). თუმცა ნ.ბერძენიშვილი იმავე ნაშრომში უმთავრესად, სხვა ტერმინებს ხმარობს „ფიცის წიგნი“, „წყალობის სიგელი“, ორივეს ერთად „მფარველობა ხელდებულების აქტს“ უწოდებს. ეს თვალსაზრისი, ხსენებული ცალმხრივი აქტების მიმართ, ზოგმა უბრალოდ გაიმეორა, ზოგმაც „ფიცის წიგნს“ხელშეკრულება უწოდა, ხოლო „წყალობის სიგელს“ — მისი რატიფიკაცია. შემდეგტერმინი „ხელშეკრულება“ გაავრცელეს XVII საუკუნის ანალოგიურ დოკუმენტებზეც და ბოლოს „ხელშეკრულებებით“ გატაცებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ამ ბოლო დროს ზოგი მკვლევარი პეტრეI და ვახტანგVI შორის დადებულ ხელშეკრულებაზეც კი ლაპარაკობს, თუმცა თვითონვე აღიარებს, რომ „იურიდიულად ეს ხელშეკრულება არსად იყო გაფორმებულიო“. ამ თვალსაზრისს ჩვენ ვერ გავიზიარებთ.

— *რუსეთთან, რომელმაც იკისრა ქართლ-კახეთის დაცვა საგარეო მტრებისაგან.* მართალია, ეს იყო ქართლ-კახეთის მეფის მიერ თავისი სუვერენიტეტის ნაწილზე უარის თქმა, მაგრამ ერეკლე II ეს ნაბიჯი გადადგა *აღმოსავლეთ საქართველოს უშიშროებისა და მისი ისტორიულ საზღვრებში აღდგენისათვის,* რაზედაც მეორე მხარისაგან ოფიციალური ხელშეკრულებით დაპირება მიიღო.

გეორგიევსკის ტრაქტატის მნიშვნელობა დიდი იყო, როგორც რუსეთის, ასევე კავკასიის ხალხებისათვის. ჯერ ერთი, ტრაქტატზე ხელმოწერისთანავე ჩრდილოეთ ოსეთში შეიქმნა რამდენიმე გამაგრებული პუნქტი, რათა საქართველოსთან უზრუნველეყოთ უშიშარი კომუნიკაციები. ამით ჩრდილოეთ ოსეთის ნაწილი გათავისუფლდა ყაბარდოელ მთავართა ბატონობისაგან და რეალურად აღმოჩნდა რუსეთის მფარველობაში, ოსებს გზა გაეხსნათ მოზდოკისაკენ. მეორე, ჩრდილოეთ ოსეთში ფეხის მოკიდებით რუსეთმა გათიშა ყაბარდოელი მთავრები და იქ მოქმედი თურქეთის აგენტები ჩეჩენ-დაღესტნელებისაგან. ეს კი გზას უხსნიდა რუსეთს ხსენებულ რაიონებში დამკვიდრებისაკენ. მესამე, გეორგიევსკის ტრაქტატი ახალი ეტაპის დასაწყისი იყო ამიერკავკასიის ხალხებისათვის. ტრაქტატზე ხელმოწერისთანავე იმერეთის სამეფომ ხელახლა დასვა საკითხი რუსეთის მფარველობაში შესვლის თაობაზე, გეორგიევსკის ტრაქტატის ანალოგიური პირობებით, ხოლო სომხებმა ბრძოლა გააჩაღეს რუსეთის მფარველობაში შესვლისათვის. ზოგიერთი აზერბაიჯანელი ხანიც მზად იყო შესულიყო რუსეთის მფარველობაში.

ერეკლე II ფართო გეგმებს სახავდა ტრაქტატით გათვალისწინებული პირობების განხორციელებისათვის, მაგრამ მტრებსაც არ ეძინათ. ოსმალეთის იმპერია, რომელსაც მხარში ამოუდგნენ ევროპის ქვეყნები, მალე აშკარად გამოვიდა. სულთანის ფულმა და აგენტურამ მოახერხა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ კავკასიელი მფლობელების ამოქმედება და საქმეში ლეკების აქტიურად ჩაბმა. თურქეთის აგენტურამ ჩრდილო კავკასიაში გააჩაღა მთიელთა მოძრაობა, რომელმაც საფრთხე შეუქმნა რუსეთის სამხრეთ საზღვარზე (კავკასიის ხაზზე) მდებარე ციხე-ქალაქებს. კავკასიაში შეიქმნა განსაკუთრებით რთული ვითარება. მიუხედავად ამისა, ერეკლე II ურყევად დარჩა გეორგიევსკის ტრაქტატის ერთგული და ბრძოლას აგრძელებდა.[133] ხოლო იმერეთის დიპლომატები თანმიმდევრულად

[133] ქართველმა დიპლომატებმა ისიც კი სცადეს, რომ თურქეთისათვის დაეპირისპირებინათ მისივე ქვეშევრდომები აზიასა და აფრიკაში და დაეკავშირებინა ისინი რუსეთთან (**В. Мачарадзе, Грузинские документы по истории русско-грузинско-египетско-**

იბრძოდნენ რუსეთთან ანალოგიური ხელშეკრულების დასადებად,[134] რადგანაც რუსეთთან კავშირში ხედავდნენ ქართველი ხალხის, მისი ენის, სარწმუნოებისა და კულტურის ხსნის ერთადერთ გზას და ამაში ისინი მართალნი იყვნენ.[135] მათი ნაბიჯის სისწორის უტყუარი მოწმობა იყო ქართველი ხალხის სამასწლოვანი უთანასწორო ბრძოლა უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ და ამ ბრძოლის მძიმე შედეგები: კატასტროფულად შემცირებული საქართველოს მოსახლეობა, ქვემო ქართლის (და არა მარტო ქვემო ქართლის) დაცარიელებული სოფლები, დიდებული კულტურის ძეგლების ნანგრევები და სამხრეთ საქართველოს გამაჰმადიანებულ-გათურქებული მოსახლეობა.

გეორგიევსკის ტრაქტატი იყო კავკასიის პრობლემის გადაწყვეტისა და საქართველოს აღდგენა-გამოხსნის დიდი გეგმა, რომლის განხორციელებას მრავალი დაბრკოლება გადაეღობა წინ და ბევრი ბრძოლაც დასჭირდა, მაგრამ ამ ბრძოლაში ქართველი ხალხი გამარჯვებული გამოვიდა, ქართველობა გადარჩა.

ტექსტისათვის

ტრაქტატის ქართული პროექტი, რომელიც 1783 წლის მაისში საქართველოში პოდპოლკოვნიკმა ტამარამ ჩამოიტანა, ჩვენი ვარაუდით, პეტერბურგში შესრულებული რუსული პროექტის თარგმანი იყო. ჩვენივე ვარაუდით, მთარგმნელი უნდა ყოფილიყო მოსკოვის ქართულ კოლონიაში აღზრდილი, ქართული და რუსული ენების შესანიშნავი მცოდნე და 60-80-იან წლებში დოკუმენტების ცნობილი მთარგმნელი, აკადემიის სტამბაში 1783 წლის ბოლოსა და 1784 წლის დასაწყისში დაბეჭდილი ქართული ტექსტის რედაქტორი თავადი ანტონ მოურავოვი (თარხან-მოურავი).[136] მოსკოვის ქართული კოლონიის სკოლის სათავეებთან იდგნენ სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, ვახუშტი ბაგრატიონი, დავით გურამიშვილი და სხვ.

ხელშეკრულების პროექტის ქართულ ტექსტს თბილისში 1783

эфиопских отношений 80-х гг. XVIII века, Тбилиси, 1967).

[134] იმერეთის დიპლომატების ბრძოლა რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატის მსგავსი ხელშეკრულების დასადებად. იხ. ვ. მაჭარაძე, ბესიკი დიპლომატურ სარბიელზე, თბილისი, 1968.

[135] არ იყვნენ მართალნი რევოლუციამდელი ქართველი მკვლევარები (ზ. ავალოვი და სხვ.), რომლებიც XVIII საუკუნის ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს გულუბრყვილობას სწამებდნენ და რუსულ ორიენტაციას შეცდომად უთვლიდნენ. თურქეთისა და ირანის დამოკიდებულება საყოველთაოდ ცნობილია, ხოლო ევროპის ქვეყნებმა ვერასოდეს „მოიცალეს“ საქართველოს დასახმარებლად.

[136] **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 18, 35-47.**

წლის მაის-ივნისში რედაქცია გაუკეთეს ერეკლე II, ანტონ კათალიკოსმა და მისმა მოწაფემ თელავის სემინარიის რექტორმა გაიოზ არქიმანდრიტმა. მათვე გაუკეთებიათ შენიშვნები რუსულ ტექსტზეც.[137] გეორგიევსკში 1783 წლის 19-23 ივლისს ხელშეკრულების დედნის ქართულ ტექსტს საბოლოო რედაქცია გაუკეთეს გაიოზ არქიმანდრიტმა და მოსკოვის ქართული კოლონიის სკოლის აღმზრდელებმა პორუჩიკებმა ჩოლოყაშვილმა და სევარსამიძემ,[138] ხოლო საქართველოს მხრივ, სარატიფიკაციო სიგელის საბოლოო რედაქცია (1783 წლის აგვისტო — 1784 წლის იანვარი) ეკუთვნის ერეკლე II, ანტონ კათალიკოსსა და გაიოზ არქიმანდრიტს.[139] საბუთებიდან სხვა „მოქმედი“ არ ჩანს, თუმცა ს. ლეონიძეს უთქვამს, მე ვიყავი „მოქმედიო“.[140]

ამრიგად, ხელშეკრულების ქართულ ტექსტთან ერთდროულად დაკავშირებული აღმოჩნდა სამი სკოლა: მოსკოვის ქართული კოლონიის, თბილისისა და ანტონ კათალიკოსისა, რომელმაც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ სამწერლო ენაზე დიდი გავლენა მოახდინა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სამივე სკოლამ განიცადა რუსულის გავლენა, როგორც ეს აქვე დაბეჭდილი დოკუმენტებიდანაც კარგად ჩანს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დიპლომატიური დოკუმენტების ენა არა მარტო საშუალი ქართულის ნიმუშია, არამედ მასში რუსული ენის გავლენაც საგრძნობია. ამიტომ, ქართული ენის განვითარების ისტორიის თვალსაზრისითაც XVIII საუკუნის მეორე ნახევარი ცალკე გამოკვეთილი პერიოდია, რომელიც საგანგებო შესწავლას იმსახურებს.[141]

ცნობილია, რომ ანტონ კათალიკოსმა ქართული სამწერლო ენის ბუნებრივი განვითარება დაარღვია. ამასთან, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დოკუმენტების ენას ისევე ეტყობა რუსულის გავლენა, როგორც აღორძინების ხანის ქართველი მწერლების (თეიმურაზ I, არჩილის, ბესიკის) თხზულებათა ენას — სპარსულის გავლენა.

[137] **ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, лл. 117-118.**

[138] იქვე, 164-176.

[139] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, საქმე №2073-ა, №2073-ბ.

[140] გაზ. „კომუნისტი“, 1981 წლის 27 სექტემბერი.

[141] ჩვენ განზრახული გვაქვს გამოვაქვეყნოთ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსული დოკუმენტების ქართული თარგმანების ფოტოპირები, რომლებიც სპეციალისტებს დაეხმარება არა მარტო ქართული დიპლომატიის ენის შესწავლას, არამედ რუსულ-ქართული ენობრივი ურთიერთობის შესწავლის საქმეშიც.

ანგარიშგასაწევია ერთი გარემოებაც: რუსული ისტორიული დოკუმენტების პუბლიკაციის წესები რამდენჯერმე გამოიცა და არსებობს სავალდებულო კანონის სახით. ქართული ისტორიული დოკუმენტების გამოცემის წესები საერთოდ არ არის დამუშავებული და არც მისი გამოცემის წესები (სავალდებულო კანონი) არსებობს. რაც შეეხება XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დიპლომატიური დოკუმენტების პუბლიკაციის ტრადიციას, იგი ა. ცაგარლის სახელთანაა დაკავშირებული, მაგრამ ნ. ბერძენიშვილმა სავსებით სამართლიანად დაიწუნა საბუთებისადმი ა. ცაგარლისეული მიდგომა. რაკი ა. ცაგარლის შემდეგ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ დიპლომატიურ დოკუმენტებზე საგანგებოდ არავის უმუშავია, ცხადია, არც დიდი ტრადიცია შექმნილა, რომ „წესები“ (კანონი) დამუშავებულიყო. ამიტომაა, რომ ყველა გამომცემელი, რომელმაც კი XVIII საუკუნის მეორე ნახევრის თითო-ოროლა საბუთი დაბეჭდა, ტექსტს თავისებურად ექცევა და ენობრივ (ორთოგრაფიულ) ფორმებს „ასწორებს“, რაც მართებულად არ მიგვაჩნია. დოკუმენტების პუბლიკაციისას ჩვენ შევეცადეთ გაგვეთვალისწინებინა ნ. ბერძენიშვილის შენიშვნები და გამოცდილება. ჯერჯერობით აუცილებელია, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დიპლომატიური დოკუმენტები დაიბეჭდოს დედნისეული ფორმით როგორც ისტორიული და სამწერლო ენის ძეგლები, შემდეგ, როცა მასალა დაგროვდება დიდი რაოდენობით, ალბათ, შესაძლებელი გახდება მისი გაანალიზება და წესების საბოლოო დადგენაც.

დაბეჭდილი დოკუმენტების ენა მძიმეა, მაგრამ მათ შორისაც გამოირჩევა ტრაქტატის დედანი და განსაკუთრებით კი სარატიფიკაციო სიგელი, რომელიც ხელოვნურად დაუმძიმებია ანტონ კათალიკოსს და მის სკოლას. მათი გასწორება ამჯერად მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

ჩვენს გამოცემაში ქართული დოკუმენტების ტექსტები იბეჭდება დედნისეული ორთოგრაფიის დაცვით. მხოლოდ ზოგიერთი ფორმა, რომელიც შინაარსის გაგებას აძნელებდა, ასევე რამდენიმე სიტყვა, რომლებიც გადამწერის უნებლიე (მექანიკური) შეცდომის გამო არასწორად იყო დაწერილი, ხოლო მისი შესატყვისი სწორი ფორმები ტექსტშივე აღმოჩნდა, გასწორდა. ამასთან, ყოველი ასეთი შემთხვევა აღნიშნულია შენიშვნაში, სადაც გამოტანილია დედნისეული დაწერილობა. ტექსტის გაგების გასაადვილებლად სასვენი ნიშნები დავუსვით. რაკი წიგნი ფართო მკითხველისთვისაც არის განკუთვნილი, საჭიროდ ჩავთვალეთ აქვე დაგვერთო ძველი ქარ-

თული ანბანიც, ტექსტში სადაც მთელი სიტყვა, ან წინადადება იყო ასომთავრულით ნაწერი, მკითხველისათვის ზედმეტი შრომის თავიდან ასაცილებლად, ჩამოვიტანეთ სქოლიოში მხედრულით.

რუსული დოკუმენტები, რომლებიც აქ „თარგმანად“ იწოდება,[142] იბეჭდება ისტორიული დოკუმენტების პუბლიკაციის თანამედროვე წესებისა და საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით. დოკუმენტების ენა და სტილი დაცულია: მაგარი (ъ) და რბილი (ь) ნიშნები და მთავრული და ნუსხური ასოები დაწერილია თანამედროვე წესების გათვალისწინებით. გარდა ამისა, არასწორად გაყოფილი ტექსტი გაერთიანდა სიტყვად, ხოლო შეერთებულად დაწერილი ტექსტი გაიყო სიტყვებად; სტრიქონს ზემოთ დაწერილი ასოები ჩატანილია სტრიქონში; სასვენი ნიშნები დასმულია თანამედროვე წესით.

ვითვალისწინებთ რა ხსენებული დოკუმენტების დიდ მნიშვნელობას, აგრეთვე სპეციალისტებისა და ფართო მკითხველის ინტერესს, აქვე ვბეჭდავთ დოკუმენტების ფოტოპირებსაც. მადლობას მოვახსენებ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივის ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს, რომლებმაც ხელი შემიწყეს მასალებზე მუშაობის დროს და ფოტოპირებიც დამიმზადეს, აგრეთვე ვ. ე. სავინს, რომელმაც ფოტოპირები დასაბეჭდად მოამზადა.



[142] რუსული დედნების ასლებია, მაგრამ რაკი გეორგიევსკის ტრაქტატის დედნები ორივე მხარეთა ენაზე დაიწერა და ორივე ტექსტი თანაბარი ძალისა იყო, ამიტომ მათ ახლდა „თარგმანი“ მეორე ენაზე (ქართულ დედანს — რუსული „თარგმანი“, ხოლო რუსულს — ქართული); რაც მხარეთა ეროვნული ღირსების პატივისცემის გამოხატულება იყო.

თინა იველაშვილი

მესხეთიდან გასახლებული მუსლიმების ისტორია[1]

1. ახალქალაქის მაზრა

1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებული მაჰმადიანი მოსახლეობის, ე. წ. „თურქი მესხების“ დაბრუნება-არდაბრუნების პრობლემა ქართველი ხალხის წინაშე დიდი ხანია დგას და მის შესახებ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. პოლიტიკური კლიმატის ცვალებადობის შესაბამისად, ეს საკითხი ხან გააქტიურდება, ხან მინელდება. ამ ბოლო დროს გარკვეულმა წრეებმა მასზე ყურადღება კვლავ გაამახვილეს და საერთაშორისო კონფერენციაც კი მიუძღვნეს.

არსებული წერილობითი წყაროების, სპეციალური თუ ზოგადი ლიტერატურის, დოკუმენტების, საარქივო მასალებისა და აღნიშნულ რეგიონში ჩვენ მიერ წლების განმავლობაში მოძიებულ-დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალების ურთიერთ შეჯერება-გაანალიზება საშუალებას გვაძლევს ერთხელ და საბოლოოდ განვსაზღვროთ, ვინ არიან ე. წ. თურქი მესხები და ვინ რა მიზნით იყენებს ამ ხელოვნურად შექმნილ ტერმინს.

გამაჰმადიანებული მოსახლეობა (თარაქამები, ქურთები, თურქები, მოგვიანებით ისლამმიღებული ქართველები) გასახლებამდე ძირითადად ორ — ახალქალაქისა და ახალციხის მაზრაში (დღევანდელი ნინოწმინდის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენისა და ახალციხის რაიონები) ცხოვრობდა. ვინაიდან ამ მაზრებში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა არაერთგვაროვანი იყო, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, იმ დროისათვის ამ რეგიონებში არსებული ვითარება ცალ-ცალკე განვიხილოთ.

---

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №2(8), 3(9), 2013.

აღნიშნული რეგიონიდან 1944 წელს გასახლებული მაჰმადიანი მოსახლეობის, „თურქი მესხების“ ეთნიკურ ვინაობას და მათ უკან „სამშობლოში“ დაბრუნების საკითხზე ზოგადად არა ერთხელ ითქვა და დაიწერა კიდეც. ახალციხის მაზრისაგან განსხვავებით, სადაც (ურავლის ხეობის გარდა) მოსახლეობის უდიდეს ნაწილს გამაჰმადიანებული ქართველობა შეადგენდა, ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთა ეთნიკური შემადგენლობა მეტად მრავალფეროვანი იყო. აქ ცხოვრობდნენ მკვიდრი ქრისტიანი და გამაჰმადიანებული ქართველები (რომელთა რიცხვი საკმაოდ მოკრძალებული იყო), შემოცხოვრებული ქრისტიანი სომხები, თარაქამები (ყარაფაფახელები), ქურთები, თურქები და ბოშებიც კი. ვინ იყვნენ და როდის შემოცხოვრდნენ ეს უცხოტომელები ამ რეგიონში? მივყვეთ ფაქტებს.

წერილობითი დოკუმენტებითა და ეთნოგრაფიული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ახალქალაქის მაზრაში არა გამაჰმადიანებული ქართველების, არამედ ძირითადად XVIII ს-ის ბოლოსა და განსაკუთრებით XIX ს-ის დასაწყისიდან სხვადასხვა მაჰმადიანი ტომების წარმომადგენელთა სიჭარბე იყო. ამ ფაქტთან დაკავშირებით ალექსანდრე ფრონელი გულისტკივილით აღნიშნავდა: „ვარძიას რკინის რგოლივით გარს არტყია მაჰმადიანობა; ნეტა ოსმალნი მაინც იყვნენ ან ჩვენი აჭარლები, ვინ რას იტყვის კიდევ? უვარგისი წარმომადგენელნი მაჰმადიანობისა: ქურთნი, თარაქამა, მუტრუფნი, ბოშანი გაბნეულან ვარძიის გარშემო. ქართველთა მხოლოდ ოთხი სოფელია: აფნია, გოგაშენი მტკვრის მარჯვნივ, აგარა და ზედათმოგვი მარცხნივ“[3; გვ. 95].

1830 წელს „სომხების დიდი რაოდენობით შემოსახლებასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი ჯავახეთიდან სხვა სარწმუნოებისა და სხვა ხალხის გასახლებისა და ჩამოსახლებული სომხებისათვის ერთგვარი ავტონომიური ბუფერის შექმნისა... ამასთან დაკავშირებული ღონისძიება იყო, რომ 1831 წელს ყარაფაფახელების ერთი ნაწილი აყარეს ჯავახეთიდან და დაასახლეს ერუშეთის იმ ნაწილში, რომელიც ანდრიანოპოლის ზავის შემდეგ რუსეთის საზღვრებში დარჩა და რომელსაც ისტორიულ წყაროებში „ნიგალის“ ანუ ნიალის ველი (ეს ტერიტორია დღეს ასპინძის რაიონს ეკუთვნის — თ. ი.) ეწოდება“ [2, გვ. 333].

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ არა მხოლოდ ახალქალაქის მაზრაში, არამედ საერთოდ სამცხე-ჯავახეთში შემოცხოვრებულ ქურთებსა და თარაქამებს რუსეთის მიერ ამ რეგიონის შემოერთებამდე და შემოერთების შემდეგაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ თურქეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან და ხშირად

გადადიოდნენ-გადმოდიოდნენ საზღვარზე. მათ ამგვარი მიმოსვლა არც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეუწყვეტიათ.

თარაქამები, ანუ ყარაფაფახელები, სამცხე-ჯავახეთში შემოდიან XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში. ისინი მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ და ამავე ს-ის ბოლოსაც კი მიწაზე ნაკლებად იყვნენ დამაგრებულნი (2; გვ., 334).

„მოსახლეობის 1926 წლის აღწერის დროს სომხეთში 6331 ადამიანი დარეგისტრირდა როგორც ყარაფაფახი. მათი დიდი უმრავლესობა ცხოვრობდა საქართველოსა და თურქეთის მოსაზღვრე შირაქის ოლქში...1940-იან წლებში ყარაფაფახელები უმთავრესად მესხეთში ცხოვრობდნენ“ [5; გვ., 21]. მათი უდიდესი ნაწილი მეფის რუსეთის მიერ XIX ს-ის მეორე ნახევრიდან ძირითადად ახალქალაქის მაზრაში იყო შემოცხოვრებული. ამ მეჯოგე-მომთაბარე ხალხისათვის იქ შესანიშნავი საზაფხულო-საზამთრო საძოვრები და იმ პერიოდში თურქეთში გადახვეწილი 65 ათასი მაჰმადიანი ქართველის მიერ მიტოვებული ბინები ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მათი ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლისათვის. ამ ფაქტთან დაკავშირებით ალ. ფრონელი აღნიშნავდა: „1828 წლის სექტემბრის ანდრიანოპოლის ტრაქტატით ჯავახეთი შეუერთდა რუსეთს და მაშასადამე საქართველოს როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილს. ამავე დროს მოხდა საოცარი და სამწუხარო ამბავი; გამაჰმადიანებული ჯავახობა ოსმალეთს გადაიხვეწა და დაცარიელდა ჯავახეთი. მკვიდრთაგან დარჩნენ მხოლოდ მცირეოდენი ჯავახობა... ჩუმი მართლმადიდებელი ქრისტიანენი, ქართველი კათოლიკენი სომხის ტიბიკონისა, ქურთნი, თარაქამნი და გამაჰმადიანებული ქართველების სულ მცირე ნაწილი. დაცარიელებულ ჯავახეთში რუსის მხედრობის სარდალმა პასკევიჩმა მოიყვანა 1830 წ. არზრუმიდან დიდძალი სომხები და დააბინავა ქერთველების ნასოფლარებში. ბევრი ბევრი დღევანდელ ჯავახეთში ქართველობა სამივე წესისა – მართლმადიდებელნი, კათოლიკენი და მაჰმადიანნი მეექვსე-მეშვიდე ნაწილს შეადგენენ. ამგვარად, დღევანდელ ჯავახეთში ცხოვრობენ: 1) ოსმალეთის ბატონობის დროიდან დარჩენილი ქურთები; 2) თარაქამნი; 3) არზრუმიდან მოსული სომხები; 4) რუსეთიდან გადმოსახლებული დუხაბორები და 5) მკვიდრნი ქართველნი: მართლმადიდებელი, კათოლიკე და მაჰმადიანი ქართველები“ [3; გვ.170–171]. მეფის რუსეთის მიზანმიმართული პოლიტიკის წყალობით ახალქალაქის მაზრაში მამაპაპური მშობლიური კერა იძულებით დატოვა რამდენიმე ათეულმა ათასმა სარწმუნოებაგამოცვლილმა მკვიდრმა ქართველმა და არა შემოცხოვრე-

ბულმა თურქული მოდგმის ტომებმა თუ სხვა ხალხმა.

მ. ბერიძის მითითებით, „თარაქამები ცხოვრობდნენ ფანაქეთში, ქარზამეთში, არდოხში, ვანში, ბუზმარეთში, ალანძიაში, ოთაში, ყოინდარაში, მოიდოღლში, ბაზირხანაში; ხოლო ქურთები სახლობდნენ ორ სოფელში — მირაშხანსა და ნაქალაქევში. 1944 წლისათვის ისინი დასახლებულან კერძოდ ანაკეთში ზედა ვარძიასა და თმოგვში“ [1; გვ. 25-26]. სხვა წერილობითი მონაცემებით, გარდა ზემოთ დასახელებული პუნქტებისა, თარაქამები განსახლებული ყოვნენ ასევე შემდეგ სოფლებში: ნიალა, ოსკერია, ოთა, თაზაქვევი, ახჩია, ტაშლიყიშლა, თოლერთა, გავეთი, გიორგიწმინდა, გელსუნდა, შულავერი, ლებისი, ვარნეთი, ნარმანი, შვიდრევანტა, ქვაცხელები, მილახევი, ზედა ვარძია და ბერთაყანა; ქურთებს კი ათვისებული ჰქონიათ სოფელი გავეთი, მირაშხანი, გიორგიწმინდა, რუსთავი, ახჩია, ჯოლდა, დანიეთი, მარგასტანი, შულავერი, ხერთვისი, ოსკერია, ფია და ოთა [4; გვ. 107-108).

„მაჰმადიანი ქურთების საქართველოში მასობრივი დასახლება XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. ისინი, როგორც მომთაბარე ტომები, თურქეთიდან ჩამოვიდნენ და ძირითადად ჩასახლდნენ საქართველოს სამხრეთ რაიონებში....1939 წელს დარეგისტრირდა 12915 ქურთი....აქედან 3646 ადამიანი, უმთავრესად მაჰმადიანი ქურთი სახლობდა მესხეთის რეგიონებში, ხოლო 2898 კი აჭარაში. 1944 წლის ნოემბერში მესხებთან და სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში მცხოვრებ მაჰმადიანთა სხვა ჯგუფებთან ერთად გადაასახლეს დაახლოებით 7000-8000 ქურთი“ [6; გვ., 24–26].

მკვიდრი ქრისტიანი ქართული მოსახლეობა იყო მხოლოდ სოფელ საროში, ხიზაბავრაში, ვარგავში, თოკში, ზედათმოგვში, ქილდაში, გოგაშენში, ჩუნჩხაში, პტენაში, მურჩახეთში, კოთელიაში, ბარალეთსა და აგარაში, ხოლო როკეთში, ოკამში, მარგასტანში, ქუნცაში, დადეშში, ზველში, ერკოტაში, ჭობარეთსა და ტოლოშში მოგვიანებით ქრისტიან ქართველებთან ერთად გაჩნდნენ გამაჰმადიანებული ქართველებიც, რომელთა სალაპარაკო ენა იყო ქართული. იდუმალაში, ორგორაში, სახუდაბელში, ღობიეთში, რუსთავში, ასპინძასა და ოშორაში მხოლოდ გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობდნენ. მათ უკვე დავიწყებული ჰქონდათ მშობლიური ქართული და, ფაქტობრივად თურქულ ენაზე საუბრობდნენ. გამაჰმადიანებული ქართველების იმ ნაწილს, რომელიც ქრისტიან თანამოძმეებთან ერთად ცხოვრობდა, ნაწილობრივ ჯერ კიდევ ჰქონდა შემორჩენილი ქართული ეროვნული ცნონიერება და შეძლები-

სდაგვარად ეხმარებოდა კიდეც ძნელბედობის ჟამს გაჭირვებაში ჩავარდნილ ქრისტიან თანამოძმეებს და მოძალადე თანამორწმუნეებისაგან იარაღითაც კი იცავდნენ. საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ ფაქტს დავასახელებთ. 1918 წელს ხუჟნების*[2] შემოსევების დროს სოფელ ქუნცაში მცხოვრებმა ერთ-ერთმა მუსლიმანმა ქართველმა თავის ბოსელში თავი მოუყარა მეზობელ, ასევე ახვა სოფლებიდან შემოხიზნულ ქრისტიან ქართველებს და სამი დღე იარაღით იცავდა მოთარეშე ხუჟანებისაგან. სამწუხაროდ, ასეთი ერთეულები ამინდს ვერ ქმნიდნენ, ამიტომ ახალქალაქის მაზრის ქრისტიან მოსახლეობას ამ წლებში ორჯერ მოუხდა აყრა და ბაკურიანისაკენ თუ ყარაიასაკენ გაქცევა. სარწმუნოებაგამოცვლილი ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თავისი შეგნებით, მრწამსითა და რწმენით თურქები იყვნენ და ნებაყოფლობით აირჩიეს გასახლებულთა ბედი.

არსებული ეთნოგრაფიული მასალების მონაცემებით ნიალაში 400, გავეთში 60, გელსუნდაში 30-40, თოლერთაში 20, ალანძიაში 20 კომლი თარაქამა, ხოლო ნაქალაქევში 150, თმოგვში 100, შულავერში 60, ხერთვისში 800 კომლი ქურთი ცხოვრობდა [8]. სამწუხაროდ, დანარჩენ სოფლებში მაცხოვრებელ კომლთა რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემები არ გვაქვს, მაგრამ თითოეულში საშუალოდ 10-20 კომლი მაინც უნდა ვივარაუდოთ. 1944 წლისათვის რეგიონში საერთოდ დაახლოებით 3000 კომლს უნდა ეცხოვრა. ოფიციალური მონაცემებით ამ წლის ნოემბერში მარტო ასპინძის რაიონიდან 4220 ოჯახი გაასახლეს, რომელთა უმრავლესობა (დაახ. 70-75% მაინც) XIX ს-ის I ნახევარში თურქეთიდან შემოცხოვრებული არაქართველი, მუსლიმანური სარწმუნოების მიმდევარი ხალხი იყო [9; გვ., 223-232].

ეს რომ სიმართლეა იქიდანაც ჩანს, რომ იმ სოფლებში, სადაც შერეული ქრისტიანულ-მაჰმადიანური სარწმუნოების მატარებელი მოსახლეობა ცხოვრობდა, გასახლებამდე რამდენიმე დღით ადრე მოწვეულ იქნა სოფლის საერთო კრება – „დინი საჩლაჯარ“ („რჯულის გამრჩევი ყრილობა“). ყოველ მაცხოვრებელს, განურჩევლად რწმენისა, მიეცა საშუალება, ნებაყოფლობით თვითონ აერჩია ქრისტიანობა– ქართველობა თუ მაჰმადიანობა — თურქობა (ამ რაიონის მოსახლეობაში ქრისტიანობა ნიშნავდა ქართველობას, ხოლო მაჰმადიანობა — თათრობა-თურქობას). არა მარტო ქურთებმა, თარაქამებმა და თურქებმა, არამედ სარწმუნოებაგამოცვლილმა ქართველთა

* ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა „ხუჟნებს“ ახალციხისა და ადიგენის რაიონებში მცხოვრებ გამაჰმადიანებულ ქართველთა მოთარეშე ბანდებს უწოდებდა. 1918-1919 წლებში ეს ბანდები ქრისტიანულ მოსახლეობას განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდნენ.

დიდმა უმრავლესობამაც (რამდენიმე ცალკეული ოჯახის გარდა) თავის რჯულად მაჰმადიანობა, ე.ი. თურქობა შეგნებულად აღიარა და ამდენად თვითონვე გადაწყვიტა თავისი ბედი; მათ რჯულის დატოვებას სამშობლოს დატოვება არჩიეს და ამას არა თუ ისინი, არამედ მათი შთამომავლობაც არ ნანობს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს მათთან არაერთგზის შეხვედრა და საუბარი.

გასული ს-ის 90-იან წლებში სამარყანდში (მე და ჩემი კოლეგები სამარყანდიდან ბუხარაში მივემგზავრებოდით) შემთხვევით შევხვდით და გავესაუბრეთ საფელ ანდიდან (ახალციხის რ-ნი) გადასახლებულ ჯაფაროვების ოჯახის წევრებს. მათ გულთბილად და სიყვარულით გაიხსენეს თავიანთი სოფელი, მეზობლები, მათთან ურთიერთობა. დამშვიდობებისას ვკითხეთ, ხომ არ აპირებდნენ სამშობლოში დაბრუნებას. ყველამ (სულ ექვსნი იყვნენ) გულახდილად გვიპასუხეს: „რა თქმა უნდა, არა. აქ კარგად ვცხოვრობთ, შეძლებულად, სარწმუნოებითაც და ენითაც აქაურებთან ვართ ერთად. იქ კი სარწმუნოებითაც და ენითაც უცხო გარემოში ვიქნებით და შეგუებას ვერ შევძლებთ“-ო. ამ საუბარს სხვებიც ისმენდნენ და ჯაფაროვების წასვლის შემდეგ რამდენიმე ახალგაზრდა მამაკაცი გამოგველაპარაკა. ისინი აღმოჩდნენ ასპინძის რაიონის სოფელ ალანძიიდან გასახლებულ თარაქამთა შთამომავლები, რომლებსაც „სამშობლოში“ დაბრუნების დიდი სურვილი ჰქონდათ. გაოცებულებმა როცა ვკითხეთ, არა თავიანთ ისტორიულ სამშობლოში, არამედ მაინცდამაინც საქართველოში (სადაც XIX ს-ში მისი მომთაბარე-მეჯოგე პაპის მამა შემოვიდა) — „სამშობლოში“ თუ რატომ სურდათ დაბრუნება, მათ გულახდილად გვიპასუხეს: „ჩვენთვის აქ ადგილი არ არის. ჩვენ ჩვენი კუთხე, ჩვენი ავტონომია გვინდა, აქ არ გვაძლევენ; ასე გვპირდებიან და იმედს გვაძლევენ (მაგრამ არ დააკონკრეტეს, ვინ ჰპირდება, ან ვინ აძლევს იმედს — თ. ი.), როცა საქართველოში დაბრუნდებით, იქ მიიღებთ ამ ყველაფერს.მათ თუ ეს დანაპირები არ შეასრულეს, ჩვენ მაინც დავბრუნდებით და ჩვენ თვითონ შევიქმნით ჩვენს ავტონომიას“–ო. [7]. საინტერესოა, რაღა მაინცდამაინც ყოფილ ახალქალაქის მაზრაში XVIII-XIX სს-ში შემოცხოვრებულ და 1944 წელს შუა აზიაში (მათ ისტორიულ სამშობლოში) გასახლებულ უცხოტომელებს გაეხსნათ საქართველოში დაბრუნების „გენეტიკური მეხსიერება?“.

არსებული წერილობითი წყაროებიდან და დოკუმენტური მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ახალქალაქის მაზრიდან 1944 წელს გასახლებულთა 70%-ზე მეტი არც თურქი იყო და არც მესხი. ისინი XVIII-XIX სს-ში შემოცხოვრებული მაჰმადიანურ სარწ-

მუნოებამიღებული სხვადასხვა ტომის წარმომადგენლები იყვნენ (რომელთა წინაპრების ბინადრობა აქ ას წელსაც კი არ მოიცავდა) და არანაირი გენეტიკური ფესვები არ აკავშირებთ მკვიდრ ქართველ ხალხთან თუ საქართველოსთან. ისევე როგორც სომხების, მათი შემოცხოვრებაც ამ რეგიონში თავის დროზე თურქეთის, შემდეგ კი რუსეთის შორსგამიზნული ქმედება იყო ადგილობრივი მკვიდრი ქართული მოსახლეობის ეთნიკური მეობისა და თვითმყოფადობის გადაგვარება-გაქრობისათვის. ამიტომ ვერ დავეთანხმებით ბ-ნ მამუკა არეშიძეს, ყოფილი ახალქალაქის მაზრიდან 1944 წელს გასახლებულები თითქოს ყველანი „საქართველოს მკვიდრები არიან და ადრე თუ გვიან საქართველოში უნდა დაბრუნებულიყვნენ“ [5].

უკვე ათეული წლებია ქართულ პოლიტიკაში აქტიურად მუსირებს ე. წ. თურქი მესხების „სამშობლოში“ დაბრუნებისა და მათი ინტეგრაციის საკითხი. ამ საქმეში ჩარეულია არაერთი პარაზიტი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ვითომდა საქმის შესასწავლად ასეულათასობით (დღეისათვის უკვე მილიონობით) თანხებს ითვისებენ. ამ არასამთავროების ნაცვლად (რომლის წევრთა უმრავლესობამ არც კი იცის ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების საზღვრები რა ტერიტორიებს მოიცავდა, ამიტომ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ხშირად დაუზუსტებელი და მცდარია) უკეთესი იქნება შეიქმნეს კომპეტენტურ სპეციალისტთა მცირე ჯგუფი, რომელიც დიფერენცირებულად, ცალ-ცალკე, სიღრმისეულად შეისწავლის აღნიშნული მაზრების იმდროინდელი მოსახლეობის ეთნიკურ ვინაობას, შემოცხოვრების მიზანს, სახელმწიფოებრივ აზროვნებას, გასახლების ნამდვილ მიზეზს და არა შეთხზულსა თუ ყურით მოთრეულს (გრანტის მიღების მიზნით ამ გზას არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია მიმართავს), მათი მიღებისათვის ჩვენი ქვეყნის მზაობას და ა. შ. ასეთი საჭირბოროტო და უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია ყოველი წვრილმანი თუ მეორეხარისხოვანი დეტალის გულდასმით და საფუძვლიანად გაანალიზება. საბედნიეროდ, გვყვავს ასეთი სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ საკითხი უმოკლეს ვადაში ფუნდამენტურად შეისწავლონ და საფუძვლიანი რეკომენდაციები მიაწოდონ ხელისუფლებას.

ჩვენ ადრეც ვაცხადებდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ ქართველი კაცს, თუ მას „გენეტიკურ მეხსიერებაში“ შემორჩენილი აქვს ეროვნული თვითშეგნება, სახელმწიფოებრივი აზროვნება და სამშობლოში დაბრუნების სურვილი, ის ჩვენი საზრუნავია და შეძლებისდაგვარად კიდეც უნდა დავეხმაროთ. მაგრამ ისიც უნდა დაგვეხმაროს იმით,

რომ გაითვალისწინოს ქვეყნის დღევანდელი შესაძლებობები, შექმნილი მძიმე მდგომარეობა და დასთანხმდეს იმას, რასაც არსებული ვითარებიდან გამომდინარე სახელმწიფო შესთავაზებს.

რაც შეეხება „თურქ მესხებად“ მათ მონათვლას, ეს ტერმინი ქართულ საზოგადოებაში გარკვეული მიზანმიმართულებით ხელოვნურად არის დანერგილი. ასეთი რამ მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ ხდება. საინტერესოა, რომ საქართველოში ნაწვიმარზე სოკოებივით მომრავლებულმა არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციებმა ეს არ იციან, ან იციან, მაგრამ „მსოფლიოს ახალი წესრიგის“ მამამთავართა დაკვეთითა თუ მსუყე დაფინანსებით ერთ-ერთი უძველესი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ერის დენაციონალიზმის, მისი ეროვნული მთლიანობისა და თვითშეგნების განადგურების მიზნით შეგნებულად იქცევიან ასე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. *მ. ბერიძე,* მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდელობა, თბ., 2009.

2. *შ. ლომსაძე,* სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975.

3. *ა. ფრონელი,* დიდებული მესხეთი, თბ., 1991.

4. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1930.

5. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №56, 2013 წელი.

6. *ტ. ტრიერი, გ. თარხან-მოურავი, ფ. კოლიმნიკი,* მესხები: გზა შინისაკენ..., თბ., 2012.

7. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 24 ნოემბერი, 1989 წელი.

8. *თ. იველაშვილი,* სამცხე-ჯავახეთში 1983 წლის მივლინების მასალები.

9. Матералы для изучения экономческого быта государственных крестьян Закавказского края, т. 3. 1886.

2. ახალციხის მაზრა

1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებული მაჰმადიანი მოსახლეობის, ე. წ. „თურქი მესხების“ დაბრუნება-არდაბრუნების პრობლემა და მათი ვინაობის გარკვევის საკითხი ქართველი ხალხის წინაშე დიდი ხანია დგას და მის შესახებ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ქვეყანაში პოლიტიკური ციებ-ცხელების გამძაფრების შესაბამისად, ეს პრობლემა პოლემიკის სახით დრო-

დადრო აქტიურად წამოტივტივდება (თუ შეგნებულიდ წამოატივ-ტივებენ ხოლმე).

დღეისათვის არსებული წერილობითი წყაროების, სპეციალური თუ ზოგადი ლიტერატურის, საარქივო დოკუმენტებისა და ჩვენ მიერ ათეული წლების განმავლობაში მოძიებულ-დაფიქსირებული ეთნო-გრაფიული მასალების ურთიერთშეჯერება-გაანალიზება საშუალებას იძლევა, ერთხელ და საბოლოოდ განისაზღვროს, რა ობიექტურ-სუბიექტური მიზეზების გამო მოხდა სამცხე-ჯავახეთიდან მაჰმადი-ანური სარწმუნოების მქონე (განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა) მოსახლეობის შუა აზიაში გასახლება.

გამაჰმადიანებული მოსახლეობა (თარაქამები, ქურთები, თურქები, მოგვიანებით ისლამმიღებული ქერთველები) გასახლებამდე ძირითა-დად ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში ცხოვრობდა. ახალქა-ლაქის მაზრის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი (იხ. „სამი საუნჯე," 2, 2013). წარმოდგენილ წერილში კი მიმოვიხილავთ 1917 წ. ოქტომბრის რევოლუციამდე ახალციხის მაზრაში, ხოლო რევოლუციის შემდეგ ახალციხისა და ადიგენის რაიონებში არსებულ მდგომარეობას.

წერილობითი დოკუმენტებითა და ეთნოგრაფიული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ XX ს-ის 40-იან წლებამდე, ეთნიკური შემად-გენლობითა და რელიგიური კუთვნილების მიხედვით, ახალციხისის მაზრის მოსახლეობა მეტად ჭრელი იყო. აქ ცხოვრობდნენ ძირძველი, მკვიდრი ქრისტიანი და ნაწილობრივ გამაჰმადიანებული ქართველე-ბი, მოგვიანებით შემოცხოვრებული ქურთები, სომხები, ბერძნები, უკრაინელები თუ ყარაფაფახელები.

1870 წელს გამოცემული „თბილისის გუბერნიის აღწერილობის მასალების კრებულის" მონაცემებით, იმ დროისათვის ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში ცხოვრობდა: „მაჰმადიანი ქართველი — 20 855 სული, ქურთი — 1 067, თარაქამა — 2 360, თათარი — 575" [3, 7], სულ — 24 857 სული.

1916 წლის მონაცემებით, ახალციხის მაზრაში „ქართველი მუს-ლიმები — 52 000, ქურთები — 2 000, ახალქალაქის მაზრაში — 7 000 მუსლიმი ქართველი, 1000 — ქურთი და 1000 თარაქამა" ცხოვრობდა [4, 12]. ამ მონაცემებს თუ შევაჯამებთ, დავინახავთ, რომ ორივე მაზრაში მთლიანობაში 59 ათასი ქართველი მაჰმადიანი, 3000 ქურთი და 1000 თარაქამა ცხოვრობდა, მთლიანობაში კი ორივე მაზრის მუსლიმანური მოსახლეობა 63 000 სულს შეადგენდა.

1939 წლის აღწერის მასალებით, ახალციხის რაიონში 83 სოფელი იყო 55 450 სული მოსახლეობით. აქედან ქრისტიანი ქართველები

5 836 სულს შეადგენდა, გამაჰმადიანებული ქართველები — 28 428 სულს, სომხები — 16 454 სულს, ქურთები — 1 423 სულს. ქრისტიანი ქართველები ცხოვრობდნენ 7 სოფელში, გამაჰმადიანებული ქართველები — 47 სოფელში, სომხები — 14 სოფელში, ქურთები — 24 სოფელში და ბერძნები — 1 სოფელში [1;2,69]. თუ შევაჯამებთ ამ მონაცემებს, დავინახავთ, რომ ახალციხის რაიონიდან გასახლებულთა რიცხვში მოხვდა 28.428 გამაჰმადიანებული ქართველი და 1 423 ქურთი, სულ 29 851 სული [2,60].

ახალციხის რაიკომის მდივნის, გ. კირვალიძის მიერ საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივან კ. ჩარკვიანისადმი 1944 წლის ივნისში გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნულია: ახალციხის რაიონის გამაჰმადინებული ქართველებით დასახლებული 47 სოფლიდან, რომელთა მოსახლეობის მუსლიმანიზაცია ფაქტობრივად XVIII საუკუნიდან დაიწყო (აღარას ვამბობთ ქურთების სოფლებზე), „22 სოფელში კარგად ლაპარაკობენ ქართულ ენაზე...12 სოფელში ქართულად სუსტად ლაპარაკობს მცირე ნაწილი მოსახლეობისა და უმეტესობა მათ შორის მოხუცებია, ახალგაზრდობამ და ბავშვობამ თითქმის არ იცის ქართული ენა... დღეისათვის 47 სოფლიდან მხოლოდ 24 სოფელში ლაპარაკობენ და ესმით ქართული ენა“ [3,60].

იმ სოფლებში, სადაც მხოლოდ გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობდნენ, უკვე დავიწყებული ჰქონდათ მშობლიური ქართული; ფაქტობრივად, თურქულ ენაზე საუბრობდნენ და მათი უმრავლესობა ეთნიკურად თურქობას აღიარებდა.

1918–1919 წლებში, ამ სოფლების გამაჰმადიანებული მოსახლეობისგან შემდგარი ფანატიკოსთა ბანდები, ე. წ. ხუჟნები* ქრისტიანებს, გამურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა, განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდა.

გამაჰმადიანებული ქართველების ის ნაწილი, რომელიც ქრისტიან თანამოძმეებთან ერთად ცხოვრობდა, ნაწილობრივ ჯერ კიდევ ჰქონდა შემორჩენილი ქართული ეროვნული ცნობიერება, შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა ძნელბედობის ჟამს გაჭირვებაში ჩავარდნილ ქრისტიან თანამოძმეებს და მოძალადე თანამორწმუნეებისგან იარაღითაც კი იცავდა. სამწუხაროდ, ასეთი ერთეულები ამინდს ვერ ქმნიდნენ, ამიტომ არა მარტო ახალქალაქის, არამედ ახალციხის მაზრის ქრისტიან მოსახლეობასაც ამ წლებში ორჯერ მოუხდა აყრა და გაქცევა.

1944 წლისთვის სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სარწმუნოებაგამოცვლილი ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკვე თავისი შეგნებით, მრწამსითა და რწმენით თურქი იყო და ნებაყოფლობით

აირჩია გასახლებულთა ბედი. ეს რომ სიმართლეა, იქიდანაც ჩანს, რომ იმ სოფლებში, სადაც შერეული ქრისტიანულ-მაჰმადიანური სარწმუნოების მატარებელი მოსახლეობა ცხოვრობდა, გასახლებამდე რამდენიმე დღით ადრე მოწვეულ იქნა სოფლის საერთო კრება. ყოველ მაცხოვრებელს, განურჩევლად რწმენისა, მიეცა საშუალება, ნებაყოფლობით აერჩია ქრისტიანობა-ქართველობა ან მაჰმადიანობა-თურქობა (ამ რეგიონის მოსახლეობაში ქრისტიანობა ნიშნავდა ქართველობას, ხოლო მაჰმადიანობა – თათრობა-თურქობას). არა მარტო ქურთებმა, თარაქამებმა და თურქებმა, არამედ სარწმუნოებაგამოცვლილმა ქართველთა დიდმა უმრავლესობამაც (რამდენიმე ცალკეული ოჯახის გარდა) შეგნებულად თავის რჯულად მაჰმადიანობა, ე. ი. თურქობა აღიარა და, ამდენად, თვითონვე გადაწყვიტა თავისი ბედი; მათ მაჰმადის რჯულის დატოვებას სამშობლოს დატოვება ამჯობინეს და, როგორც მასალებიდან ჩანს, ამას მათი შთამომავლობა არც ნანობს.

უკვე ათეული წლებია ქართველი თუ უცხოელი „ჭკუის დამრიგებელნი“ დაჟინებით გვიკიჟინებენ, რომ ამ მოსახლეობის გასახლება იყო „საბჭოთა ბოროტება“, ამ მოსახლეობის მიმართ შეგნებულად გატარებული გენოციდი“ და ა. შ. მაგრამ არავინ ხმას არ იღებს იმ ობიექტურ (თუნდაც სუბიექტურ) მიზეზებზე, რის საფუძველზეც გადაწყდა, მაინცდამაინც საზღვრისპირა რეგიონებიდან, მხოლოდ მაჰმადიანი მოსახლეობის — ქურთების, თურქების, ჰემშირების, სარწმუნოებაგამოცვლილი ქართველებისა და არა აქ მაცხოვრებელი სხვა ხალხების, მაგალითად, სომხების, ებრაელების, უკრაინელების, ოსების, ან თუნდაც ქვემო ქართლიდან აზერბაიჯანელების გასახლება. ყველა ლაპარაკობს ამ გასაიდუმლოებული დადგენილების შესახებ, იშველიებენ „გადასახლების ჩატარების შესახებ არსებულ ინსტრუქციას“, მაგრამ სრული ტექსტი (თავისი პრეამბულით) ამ საიდუმლო დადგენილება-ბრძანებისა, არც ერთ კრიტიკოსს დაფიქსირებული არ აქვს, ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილ რეალობებს კი იგნორირებას უკეთებენ. ისე კი, ყველა კერძო პირი და სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია, ვინც ამ გასახლებულთა საკითხებზე „მუშაობს“, მასალების და ინფორმაციის მისაღებად არა სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ რეპატრიანტებისაგან მიღებული ინფორმაციით კმაყოფილდებიან და მათ მონათხრობს, მოპირდაპირე მხარესთან გადაუმოწმებლად, საქმეში ჩაუხედავ მკითხველს „უტყუარ საბუთად“ აწვდიან.

ცნობილი ფაქტია, რომ, „საბჭოთა პერიოდის პირველ ათწლეულებში საზღვარი თურქეთთან ისე მტკიცე არ იყო, რომ თავისუფალ

მოძრაობას დაჩვეული თათრები მისვლა-მოსვლას დახსნოდნენ....სასაზღვრო რეჟიმი 1937 წლიდან გამკაცრდა, მაგრამ მისვლა-მოსვლა მაინც გრძელდებოდა. თათრები საზღვარზე გადმოდიოდნენ და იქიდან ახლობლების მოკითხვა და დანაბარები მოჰქონდათ აქაურებისათვის. თურქეთში ქრისტიანი ქართველიც ბევრი იყო, პოლიტიკური თუ სხვა მოტივით გადახვეწილი. 1944 წლამდეც კი არალეგალური მიმოსვლა და მათთან კონტაქტი არ შეწყვეტილა“, —სამართლიანად აღნიშნავს მ. ბერიძე [6, 110].

„მეორე მსოფლიო ომის მოლოდინში მყოფი საბჭოთა ხელისუფლება ახალ აღწერას ატარებს და ამავდროულად, მოსახლეობის პოლიტიკურ განწყობასაც ფარულად ამოწმებს. 1937 წლის აღწერის შედეგები მთავრობამ „დეფექტურად“ ჩათვალა და 1939 წელს ხელახალი აღწერა ჩაატარა. ამ აღწერის დროს მთლიანად იქნა უგულვებელყოფილი ეროვნული მიკუთვნებულობის განსაზღვრის გენეტიკური და ისტორიული ფაქტორები. გამოსაკითხი პირი საკუთარ ეროვნულობას თვითონ ასახელებდა“ [8,59]. ამ აღწერისას მაჰმადიანმა მოსახლეობამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა საკუთარი ეროვნული კუთვნილება. საბოლოოდ, საკუთარი ნებით ოფიციალურად გაემიჯნა ქართველობას და თავი თურქად (აზერბაიჯანელად) გამოაცხადა[6,112]. რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ ამ ფაქტში საშიში ტენდენცია დაინახა. სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანური სარწმუნოების მქონე მოსახლეობის (განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა) დიდი ნაწილი დაუფარავად აღიარებდა არა მხოლოდ თურქეთთან კონფესიურ და ეთნიკურ იდენტურობას, არამედ გამოხატავდა ფარულ პოლიტიკურ ნებასაც — თურქეთის სახელმწიფოსადმი სიმპათიას და მისგან შესაძლო მფარველობის იმედს.

როგორც ჩანს, მოსახლეობის პოლიტიკური ორიენტაციის გარკვევა საკმაოდ ორგანიზებულად მიმდინარეობდა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას ბიურის 1937 წლის 15 ივნისის დადგენილებით, აღწერის წინ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისაგან შეიქმნა კომისია, რომელიც ვითარების გასარკვევად სამცხე-ჯავახეთში გაემგზავრა.

კომისია ადგილზე ატარებდა მოსახლეობის გამოკითხვას მათი ეროვნული კუთვნილების შესახებ. არაოფიციალური ცნობებით, მაჰმადიანებს წინადადებას აძლევდნენ, რომ ქართველებად დაწერილიყვნენ. აღნიშნული კომისიის შემადგენლობაში აკად. ს. ჯანაშიაც შედიოდა. მან მოიარა სამცხე-ჯავახეთის სოფლები, სადაც ხვდებოდა მაჰმადიან მოსახლეობას, არკვევდა მათ ეროვნულ კუთვნილებას და ქართველებად ჩაწერას სთავაზობდა. ამ წინადადებას მოსახლეობა სასტიკი უარით

ხვდებოდა. მ. ბერიძის მოტანილი აქვს არა ერთი ფაქტი იმისა, თუ როგორი წინააღმდეგი იყო მუსლიმანური მოსახლეობა პასპორტსა თუ აღწერის გრაფაში ქართველად ჩაწერისა. ერთ-ერთი მთხრობლის გადმოცემით: „ასპინძის რაიკომში მაშინ მუშაობდა ინდუსელი გელაშვილი, სახელად მურთაზი ერქვა, ქართულს ჩვეულებრივად ლაპარაკობდა. რაიკომის მდივანს, ეტყობა, ენანებოდა გასასახლებლად და შესთავაზა, — კაცო, მაინც ქართული გვარი გაქვს და რა იქნება გაქართველდეო, — არაო, რჯულს არ შევიცვლიო. — რჯულის შეცვლას და მონათვლას ხო არავინ ავალებდა, მარტო პასპორტში უნდა ჩაეწარა ეროვნებად ქართველი. — არ ქნა, არ აღიარა თავი ქართველად და გაასახლეს სხვებთან ერთად“[6, 116]. მისი მართებული შენიშვნით: ამ საგანგებო აქციის მიზანი „იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად შეიძლებოდა ქართველ მაჰმადიანთა თურქული ორიენტაციიდან შემობრუნება და მათში პოლიტიკური დასაყრდენის მოპოვება“ [6, 112].

ფაქტია, რომ 1941-1944 წლებში თურქეთის საზღვრებთან მოსახლე მაჰმადიანურმა მოსახლეობამ მთელი რიგი სირთულეების წინაშე დააყენა იმდროინდელი ხელისუფლება. თვალსაჩინოებისთვის რამდენიმე ფაქტს მოვიტანთ. სამცხე-ჯავახეთში დარჩენილ ადგილობრივ მკვიდრ ქრისტიან ქართველთა გადმოცემით: „ჩვენი ქვეყანა თურქეთთან საომარ მდგომარეობაში იყო, რადგან ის გერმანიის მოკავშირეს წარმოადგენდა. ყოველ წუთს შეიძლებოდა ომში ჩაბმულიყო ჩვენს წინააღმდეგ. ამიტომ აქ, საზღვართან ჩვენი სამხედრო ბატალიონები იდგა და თურქების გამო გერმანიის ფრონტზე ვერ მიდიოდა. მართალია, ჯარი იდგა, მაგრამ თათრების გადასვლა-გადმოსვლა მაინც არ წყდებოდა. თათრებში ჩუმათ ძალიან მუშაობდნენ მოლები და ხალხს აქეზებდნენ, რომ ომში არ წასულიყვნენ. არაერთხელ მოხდა, რომ ვისაც პოვესტკა (ჯარში გასაწვევი ბარათი) მიუვიდა ომში გაწვევისა, ან საზღვარზე გადავიდა ჩუმად და თურქეთში გაიქცა, ან შეირაღებული ტყეში გავიდა. ომის პერიოდში ადიგენის ტყეებში ასეთი 200-კაციანი შეიარაღებული რამდენიმე ბანდა იყო“[7].

1942 წელს სოფელ მუსხის გამაჰმადიანებული მოსახლეობისაგან შეიქმნა 300 კაციანი რაზმი და ფრონტზე წასვლის ნაცვლად ტყეში გავიდა. ამავე წელს სოფელ ხონიდან ფრონტზე გაწვეულმა ოცდაორმა მაჰმადიანმა წვევამდელმა საზღვარი გადალახა და თურქეთში გადავიდა. თურქეთის მხრიდან მეორე ფრონტის გახსნის მოლოდინში, თურქეთის ხელშეწყობით შეიარაღებული გამაჰმადიანებულ ქართველთა სამასკაციანი ჯგუფი მოხის ტყეში იყო დაბანაკებული. მათ გასანეიტრალებლად ხელისუფლებას სამხედრო ძალის გამოყენება

დასჭირდა. ფაქტების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის დასანახათ, როგორი „ეროვნული სულისკვეთებით“ იყო გამსჭვალული სამცხე-ჯავახეთში მაცხოვრებელი მუსლიმანი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი.

ინფორმატორთა ცნობით, „ომის დამთავრებისას ქვეყნის ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა, თურქეთისაგან მიტაცებული ჩვენი მიწები დაებრუნებინა. ამიტომ ამოწმებდა თათრების სანდოობას და მათ სოფლებში თავისი ხალხი შეგზავნა. მაგალითად, გასახლებამდე რამდენიმე თვით ადრე 60 ჩეკისტი შევიდა ვალეში, ვითომ ომიდან გამოქცეულები. ისინი საბძელში ცხოვრობდნენ და ხალხს მოუწოდებდნენ საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ: „მალე თურქეთი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაიწყებს ომს და ვისაც იარაღი გაქვთ, ჩვენთან მოიტანეთ და შემოგვიერთდითო.“ ძალიან ბევრმა თათარმა დამალული იარაღი (თოფი, ვინტოვკა, ტყვიამფრქვევიც კი) მათთან ჩუმად მიიტანა და თურქების შემოსვლას ელოდნენ“[7].

„მაჰმადიანური მოსახლეობის პოლიტიკური ორიენტაცია, როგორც ჩანს, დიდ საიდუმლოს არ წარმოადგენდა მხარის დანარჩენი მოსახლეობისათვის. თათრები თავიანთ მომავალს აშკარად აკავშირებდნენ სხვა სახელმწიფოს ბედთან. ამიტომ მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ქართველ მოსახლეობაში გაჩნდა თათრების აგრესიის შიში“[6,115].

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან, განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა, 64-65 ათასი მუსლიმანური სარწმუნოების მქონე ადამიანი გაასახლეს და არა 125 ათასი, როგორც ამას ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია თუ მისი წარმომადგენელი აცხადებს [3,12]. ამ ციფრს თუ სომხეთიდან რამდენიმე ათეულ ათას გასახლებულ მუსლიმანურ მოსახლეობას დავამატებთ, რომელთა შორის „1926 წლის აღწერით 6311 ყარაფაფახელი“ იყო [10,24], მაშინ კი გამოვა 125 ათასი.

მეტად საინტერესოა ერთი გარემოება. სომხეთმა არ აღიარა მისი ტერიტორიიდან იმ რამდენიმე ათეული ათასი მუსლიმი მოსახლეობის გასახლების ფაქტი და, აქედან გამომდინარე, არც ვალდებულება აიღო მათი უკან დაბრუნების შესახებ. როგორც ჩანს, უცხოეთის გარკვეული წრეების მიერ მსუყე დაფინანსებით საქართველოში დაფუძნებულმა „კვლევითმა“ ინსტიტუტებმა და ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით მომრავლებულმა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ეს მოსახლეობაც მიზანმიმართულად „თურქ მესხებად“ მონათლეს და საქართველოს თავსატეხად აქციეს.

ყველა პოლიტიკური პარტია და არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაცია, ვისაც არ ეზარება ამ თემაზე საუბარი, რატომღაც სამხრეთ კავკასიიდან (როგორც საქართველოს სხვა კუთხეებიდან, ისე სომხეთიდან) გასახლებულ მუსლიმანურ მოსახლეობას, გარკვეული პოლიტიკური მიზნით, მხოლოდ და მხოლოდ სამცხე-ჯავახეთში მაცხოვრებლებად მიიჩნევს და მათ გენეტიკურ მეხსიერებაზე ამახვილებს ყურადღებას.

საერთოდ, რაც შეეხება „გენეტიკურ მეხსიერებას“ (რომლისთვისაც ზოგიერთი ჩვენი თანამოქალაქე თავს იკლავს), იგი სიცოცხლის უნარიანია მხოლოდ იმ ხალხში, რომელსაც არ დაუკარგავს ეროვნული თვითშეგნება, მშობლიური ენა, ტრადიციები და ეროვნული მეობა. გენეტიკური მეხსიერება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სრულიად გააზრებულად შემორჩენილი აქვთ არა რაღაც 60-70 წლის წინათ სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებულ გამაჰმადიანებულ ქართველობას, არამედ სამი-ოთხი საუკუნის წინ კახეთიდან ძალით აყრილ და ფერეიდანში გადასახლებულებს, ასევე თურქეთის საქართველოში საკუთარ მიწაზე მცხოვრებ მილიონობით ქართველს, რომლებსაც რამდენიმე ასეული წლის წინ სარწმუნოება შეუცვალეს, მაგრამ ეროვნული მეობა, მენტალიტეტი, თვითშეგნება არ დაუკარგავთ და დღესაც (ყოველ შემთხვევაში ოჯახში მაინც) მშობლიურ ქართულ ენაზე მეტყველებენ.

მართალია, 1999 წელს, გარეშე ძალების ფარული ზეწოლის შედეგად, საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა, მიეღო გადაწყვეტილება 1994 წელს სამხრეთ კავკასიიდან გასახლებული მუსლიმანური მოსახლეობის უკან დაბრუნების შესახებ, მაგრამ, სამართლიანობა მოითხოვს, ისიც აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილება გადაწყვეტილებად დარჩა და მის განსახორციელებლად კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგმულა.

დღეს, როდესაც ლუკმა-პურის შესაძენი გროშების მოსაპოვებლად საქართველოდან, რომლის მოსახლეობაც ოფიციალურად ოთხ მილიონს ძლივს მოითვლის, თითქმის მილიონნახევარი შრომისუნარიანი საზღვარგარეთ არის გადახვეწილი, მათი დაბრუნებისთვის შრომითი პირობების შექმნის ნაცვლად, გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან (და არა მარტო სამცხე-ჯავახეთიდან) სარწმუნოებაგამოცვლილი და ეროვნული თვითშეგნებადაკარგული გასახლებული მოსახლეობის უკან დაბრუნების შესახებ ევროკავშირისა თუ გაურკვეველი ფუნქციების მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე აღებულ უაზრო ვალდებულებების შესრულების პასუხისმგებლობას გამოვკიდებივართ.

როცა სჭირდება, ევროსაბჭო, დროდადრო საქართველოს შეახსენებს ამ ვალდებულებების არსებობას. სწორედ „ამგვარი შეხსენების“ შემდეგ ქართულ პოლიტიკაში აქტიურად მუსირებს ე. წ. „თურქი მესხების“ „სამშობლოში“ დაბრუნებისა და მათი ინტეგრაციის საკითხი. ამ საქმეში ჩარეულია არაერთი პოლიტიკური პარტია და არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ვითომდა საქმის შესასწავლად ასეულათასობით (დღეისათვის უკვე მილიონობით) თანხებს ითვისებენ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით სრულიად მართებულად აღნიშნავს ადამიანთა უფლების დამცველი გიორგი თევზაძე: საქართველოდან მუსლიმი მოსახლეობის „გასახლების გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღო საკავშირო ხელისუფლებამ საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე. საინტერესოა ევროსაბჭოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომა. რატომ ავალდებულებენ საქართველოს საკავშირო ხელისუფლების ერთპიროვნული გადაწყვეტილების შედეგების ლიკვიდაციას“[9].

ამ არასამთავროების ნაცვლად (რომლის წევრთა უმრავლესობამ ხეირიანად არც კი იცის, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების საზღვრები რა ტერიტორიებს მოიცავდა, ვინ ცხოვრობდა წარსულში ან ვინ ცხოვრობს დღეს. ამიტომ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ხშირად დაუზუსტებელი და მცდარია) უკეთესი იქნება, შეიქმნეს კომპეტენტურ სპეციალისტთა მცირე ჯგუფი (მასში აუცილებლად ჩართულნი უნდა იყვნენ გამოცდილი იურისტები და ისტორიკოს-ეთნოგრაფები), რომელიც საკითხის ღრმად და ყოველმხრივ შესწავლის შედეგად მისი გადაწყვეტის შესახებ დასაბუთებულ დასკვნას დადებს.

ყურადღებიდან არც ერთი მნიშვნელოვანი გარემოება უნდა გამოგვრჩეს. ადვილი შესაძლებელია, მეზობელი სახელმწიფოს მუშაობის შედეგად, ზოგიერთმა საქართველოში შემოღწევისა და თავისი პოზიციების განმტკიცების სურვილით შეპყრობილმა, დროებით არც ქართულ წარმომავლობაზე და არც ქართული გვარის დაბრუნებაზე თქვას უარი, რათა ჩვენი ქვეყნის საზიანოდ გარედან დაკვეთილი, შორს გამიზნული ვერაგული ჩანაფიქრის განსახორციელებლად როგორმე „სამშობლოში“ დაბრუნდეს. ამას გვაფიქრებინებს ამ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები. კერძოდ: რელიგიურ ნიადაგზე მოსახლეობის დაპირისპირების არაერთი შემთხვევა, მიხეილ სააკაშვილის მიერ თურქეთის ათასამდე მოქალაქისთვის უპირობოდ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება, საქართველოში ისლამისტთა რაოდენობის გაზრდის აუცილებლობის შესახებ თურქეთის გარკვეუ-

ლი პოლიტიკური წრეების განცხადებები და ა. შ.

ჩვენ ადრეც ვაცხადებდით და ახლაც ვამბობთ, რომ ყოველი ქართველი, თუ მას შემორჩენილი აქვს ეროვნული თვითშეგნება, სახელმწიფოებრივი აზროვნება და სამშობლოში დაბრუნების სურვილი, ჩვენი საზრუნავია და შეძლებისდაგვარად კიდეც უნდა დავეხმაროთ. მაგრამ ისიც უნდა დაგვეხმაროს იმით, რომ გაითვალისწინოს ქვეყნის დღევანდელი შესაძლებობები, შექმნილი მძიმე მდგომარეობა და დასთანხმდეს იმას, რასაც არსებული ვითარებიდან გამომდინარე სახელმწიფო შესთავაზებს.

დაბოლოს, ე.წ. „თურქი მესხების“ საქართველოში შემოსახლება-არშემოსახლებას, ეს ჩვენი შინაური საქმეა და თუ ჩვენ სრულუფლებიანი, სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, ამ საკითხთან დაკავშირებით არ გვჭირდება არც გაეროს, არც მსოფლიო ბანკისა და არც ევროკავშირის წინაშე რაიმე ვალდებულებების აღება, არც მათი, ხშირად ჩვენი სინამდვილისათვის მიუღებელი, მითითებებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინება-შესრულება.

გამოყენებული ლიტერატურა

1 . გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი,“ № 63 (11293), 1989 წ.

2. ჟურ. „საბჭოთა სამართალი,“ № 7, 1989 წ.

3. მ. ბარათაშვილი, მესხ რეპატრიანტთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, თბ., 1998.

4. პ. ინგოროყვა, საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, კონსტანტინოპოლი, 1918.

5. მ. ბერიძე, მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდელობა, ახალციხე, 2013.

6. მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები ახლო წარსულიდან, თბ., 2005.

7. თ. იველაშვილი, 1983 წლის სამცხე-ჯავახეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები.

8. ვ. ლორთქიფანიძე, სამცხე-ჯავახეთი XIX-XX სს., დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, თბ., 1994.

9. გაზ. „ახალი თაობა,“ № 109, 2011 წ.

10. ტომ ტრირერი, გიორგი თარხან-მოურავი, ფორესტ კოლიმნიკი, გზა შინისაკენ, თბ., 2011.



გრიგოლ რუხაძე

ახალი ტოტალიტარული სექტა[1]

ცხადია, ქართველმა ხალხმა იცოდა, თუ ვის წინააღმდეგ მისცა ხმა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე, მაგრამ ამ ორი წლის განმავლობაში, თითქმის დღე არ გადის, რომ «ნაციონალური მოძრაობის» მოღალატური პოლიტიკის, პათოლოგიური სისასტიკისა და სიბილწის შესახებ ახალ-ახალი ამბავი არ შევიტყოთ. ბოლოს და ბოლოს ყველა რწმუნდება, რომ ღმერთმა საქართველო ფიზიკური და მორალური განადგურებისგან ბიძინა ივანიშვილის ხელით გადაარჩინა.

მიუხედავად ამისა, ნაცებთან ერთად გამოჩნდნენ ახალი კრიტიკოსები, რომლებიც «სიტყვის თავისუფლებას» პრემიერ-მინისტრის დასადანაშაულებლად იყენებენ. აზრი, რა თქმა უნდა, ყველას თავისი აქვს, მაგრამ უმადურობისა და უტაქტობის გამომჟღავნება დამსახურებული სახელმწიფო მოღვაწის მიმართ არ ეგების! ჩვენ, ერთი ქვეყნის შვილებს, მოგვეთხოვება არა მარტო ერთმანეთის პატივისცემა, არამედ მართლზომიერების დაცვაც, რადგან ცოდვა-მადლს სოციალური თვისება აქვს; რაც იმას ნიშნავს, რომ მისი თანაფარდობა არა მარტო ადამიანის პიროვნულ მდგომარეობაზე ზემოქმედებს, არამედ საზოგადოებრივ ვითარებაზეც აისახება. მადლის გამრავლებას სიკეთე და მშვიდობა მოაქვს, ხოლო ცოდვის სიმძიმეს — შფოთი და განსაცდელი. აქედან გამომდინარე, თითოეული მოყვასისადმი კეთილმოსურნეობას ქვეყნისთვისაც სარგებელი მოაქვს, ხოლო შური და გაუტანლობა არა მარტო ცალკეული ადამიანის სულს, არამედ მთლიანად სახელმწიფოსაც ზიანს აყენებს. ე. ი. კეთილი კაცი ქვიტკირია ქვეყნისა, ხოლო ბოროტი — ფითრი და ჟანგი.

ამიტომ, როცა ჩვენ ზემოაღნიშნულ კრიტიკოსებს ვსაყვედურობთ, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამოვდივართ და ხმას იმის გამო კი არ ვიმაღლებთ, რომ მათი გაკიცხვის სურვილი გვამოძრავებს, არ-

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №3(9), 2013

ამედ იმ მადლმოსილ მოღვაწეთა გამოცდილების გაზიარება გვსურს, რომლებმაც იცოდნენ ცხოვრების კანონზომიერებანი, მათ შორის — **ვის, როდის** და **სად** უნდა ეთქვა სიმართლე.

ვის. პირველი მოთხოვნიდან გამომდინარე, ვინც რაიმე საგანზე მსჯელობს, იგი ამ საგნის ნიშან-თვისებათა მცოდნე, ანუ მეცნიერი უნდა იყოს, ხოლო, მორალური თვალსაზრისით, მას განსჯის საგანზე აღმატებულობა თუ არა, მასთან მსგავსება მაინც მოეთხოვება. «მსწავლოს მე მართალმან წყალობითა და მამხილოს მე; ზეთი ცოდვილისაჲ ნუ განაპოხებნ თავსა ჩემსა»(ფს. 140,5). «ჴელი ცოდვილისაჲ ნუ შემძრავნ მე»(ფს. 35,11). «არა შვენის უგუნურსა ბაგენი მართალი»(იგ. 17,7). ჩვენს შემთხვევაში, განსახილველი საგანი არის საქვეყნო საქმე ბიძინა ივანიშვილის და მისი ოჯახისა, რომელსაც ქართველთმოძულე და პირსისხლიანი ნაცებისგან საქართველოს გადარჩენა ჰქვია. მიუხედავად იმისა, რომ მანამდე ამ კაცმა საკუთარი შეხედულებისამებრ ეკონომიკური დახმარება აღმოუჩინა თვით ნაცებს, 2012 წლის 1 ოქტომბერი იმდენად აღემატება ამ დახმარების მიზეზზე გამოთქმულ ყველა ვარაუდს და, თუნდაც, მის შეუწონელ ქველმოქმედებას, რომ ამ თარიღს უკვე ეპოქალური მნიშვნელობა აქვს შეძენილი. მაშასადამე, პრემიერის მხილებას თუ ვინმე დააპირებს, მას რაიმე დამსახურება უნდა ჰქონდეს ქვეყნის წინაშე და განვლილი ცხოვრება ზურგს უმაგრებდეს, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ არასამთავრობო ორგანიზაციის «ყოვლისმცოდნე» ექსპერტსა თუ ყვითელი პრესის ჟურნალისტს დაემსგავსება, რომელთაც ქართველი ერისთვის ტრადიციული ეროვნულ-სარწმუნოებრივი ღირებულებებისგან განსხვავებული კრიტერიუმები აქვთ და, ბუნებრივია, ჩვენგან განსხვავებული მიზნები ამოძრავებთ.

როდის. ყველაფერს თავისი დრო აქვს. «ჟამი არს დუმილისაჲ და ჟამი სიტყჳსაჲ»(ეკლ. 3,7). ბატონი ბიძინას არჩევნებისწინა ეკონომიკურ პროგრამას ყავლი არ გასვლია. ნელ-ნელა, მაგრამ კომუნალურმა გადასახადებმა და მედიკამენტების ფასებმა კლება დაიწყო. ქართველმა გლეხმა სახელმწიფოს თანადგომა იგრძნო. ორ ათეულ წელზე მეტი ხნის წინ მიტოვებული სავარგულები დამუშავდა. რაც მთავარია, ადამიანებს არა მარტო უმიზეზოდ დაჭერის შიში გაუქრათ, არამედ მომავალს იმედის თვალით შეჰყურებენ.

მართალია, დასავლური პოლიტიკური სტრუქტურების მიერ ჩვენი ახალი ხელისუფლებისთვის თავსმოხვეულმა «კოჰაბიტაციამ» სიმართლის აღდგენის პროცესი შეაფერხა, მაგრამ არც მისი გამომწვევი შიდა მიზეზები არის დაფარული: უწინარეს ყოვლისა, ესაა

ქვეყნის მაოხრებელი და უკანონო პრეზიდენტი მ. სააკაშვილი, რომელიც ჯერაც თავდადებით იბრძვის სახელმწიფოებრივი კრიზისის შესაქმნელად. მისი ფსიქოზური და მანიაკური პერსონა ჩვენს ისტორიაში ცნობილი ყველაზე სასტიკი დამპყრობლების წარმოსახვის საშუალებასაც კი იძლევა. ვფიქრობთ, არავისთვის საეჭვო აღარაა, გარდა შეგნებული მტრებისა და პათოლოგიური ადამიანებისა, რომ პრეზიდენტობის ცხრა წელი მან მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური განადგურებისთვის გამოიყენა. ამ მოღალატური საქმიანობით კი, ბუნებრივია, მ. სააკაშვილმა საკუთარი დიდი სალარო შექმნა, მაგრამ მასში უცხოელ კაპიტალისტებსაც (წაიკითხე: დამპყრობლებსაც) პატარა წილი არ უდევთ და მას, მით უმეტეს 27 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, მილიარდების დამოუკიდებლად განკარგვის საშუალებას არავინ მისცემს. საუბედუროდ, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რამდენად ტრაგიკული შეიძლება აღმოჩნდეს ამ უცხოელი მოწილეების მოთხოვნები საქართველოს უძრავ თუ მოძრავ ქონებაზე, როცა ისინი, ალბათ, სულ მალე, თავიანთ პრეტენზიებს საჯაროდ განაცხადებენ.

ასე რომ, სიტუაცია მარტივი სულაც არ არის და მოთმინება, სულ მცირე, საპრეზიდენტო არჩევნების დამთავრებამდე მაინც მოგვეთხოვება, რათა ჩვენთვის ყველაზე სანდო ადამიანს დემოკრატიული პროცესების წარმართვაში, დახმარების ნაცვლად, ხელი არ შევუშალოთ.

ამასთანავე, ზედმეტად მოშურნე ჭკუის დამრიგებელთა გასაგონად გვინდა ვთქვათ, რომ პრემიერ-მინისტრი თავის თანამდებობას როდის დატოვებს, ეს საქმე მისი გადასაწყვეტია. ისევ გავიმეორებთ, ბ-მა ბიძინამ უკვე იმდენი გააკეთა ქართველი ხალხისთვის, რომ მისი მომავალი პოლიტიკური არჩევანი მხოლოდ მის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული და მასზე ზემოქმედების მორალური უფლება არავის აქვს. ერთია — სთხოვდე მას ხელისუფლებაში დარჩენას, მაგრამ მეორეა — მის წასვლას ღალატად აფასებდე. ასეთ უკიდურესობას ზომიერების დაკარგვა იწვევს, მაშინ როცა, მას განსაკუთრებული მოფრთხილება სჭირდება. თუმცა არ შეიძლება არ ითქვას, რომ პოლიტიკიდან წასვლაზე პრემიერის კატეგორიულმა განცხადებამ და მის მიერ საპრეზიდენტო არჩევნებში გ. მარგველაშვილის უალტერნატივო კანდიდატად გამოცხადებამ, ბევრ მის მხარდამჭერს გულწრფელად დაწყვიტა გული. მაგრამ, ჩვენი აზრით, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის მძიმე პოლიტიკური რეალობა, რაც ბ. ივანიშვილმა «ნაციონალური მოძრაობისგან» მემკვიდრეობით მიიღო. ცხადად ჩანს, რომ პრემიერს თავისუფლად მოქმედების საშუ-

ალება არ ეძლევა და ყველა პრობლემა სააშკარაოზე ვერ გამოაქვს. ნაცების მიერ დასავლეთისთვის გადაცემულ საჭევარს, ქვეყნის მართვის ყველა სადავეს, ერთბაშად ვერავინ დაიბრუნებს. ყოველ შემთხვევაში, გარეშე ძალები იმდენად დიდ ზეგავლენას ახდენენ ჩვენს პრემიერზე, რომ მან ერთ დღეს ნათქვამი დამაიმედებელი სიტყვა: «მე (პოლიტიკიდან) წავალ მაშინ, როდესაც დავრწმუნდები, რომ... ქვეყანა სტაბილურად ვითარდება», ხოლო «თუ ამას აუცილებლობა მოითხოვს, მე დავუბრუნდები აქტიურ პოლიტიკას» (ღია წერილი, 03.09.2013), მეორე დღეს მოწვეულ პრესკონფერენციაზე აღარ გაიმეორა და ახალი თეზაც წამოაყენა: «თუ მარგველაშვილი ვერ გაიმარჯვებს, უფრო სწრაფად გადავდგები პრემიერობიდან».

ძნელია იმის დაჯერება, რომ «ქართული ოცნების» განმხორციელებელმა ტაქტის გრძნობა ან ქართველი ხალხის პატივისცემა შეიძლება დაკარგოს, მაგრან *ძალა აღმართს ხნავს.* ახლა თუ მაინც შევძელით წინაპართა ამ სიბრძნის გათვალისწინება და მთელი რისხვა ისევ ერთ კაცს არ დავატეხეთ თავს, მაშინ «ორმოცი წელი უდაბნოში ხეტიალი» ალბათ არ დაგვჭირდება და ჩვენს შვილებს ახალ საზრუნავს აღარ გავუჩენთ. მოთმინებით უნდა შევეგუოთ ბ-ნი ბიძინას პოლიტიკური ასპარეზიდან წასვლას და 27 ოქტომბერს დინჯად გავაკეთოთ ქვეყნისთვის საჭირო არჩევანი.

საბ. სიმართლის სათქმელად არც *ადგილი* არის უმნიშვნელო ფაქტორი, რადგან ყველა საქმე თავის შესაფერის გარემოში სრულდება. მაგალითად, ტრიბუნაზე იმისთვის არ უნდა ახვიდე, რომ პერანგის მაჯით ცხვირი მოიწმინდო; არც ტროტუარია სპორტული მოედანი, რომ გიჟივით თავქუდმოგლეჯილი დარბოდე, ან შუა ქუჩაში ასფალტს ცხვირით ხვრეტდე; და არც ბუჩქის ძირია ის ალაგი, სადაც შეიძლება ახალგაზრდებს გაპირუტყვებისკენ მოუწოდო. მოკლედ, მოქმედების მიზნისა და სათქმელის შინაარსის შესაბამისად ადგილსა და გარემოს შერჩევა სჭირდება.

აღნიშნულ კონტექსტში ყურადღებას ჟურნალისტებზე გადავიტანთ, რომლებიც პრემიერისა და მინისტრებისგან ინტერვიუებს იღებენ, კონფერენციებს ესწრებიან, საზოგადოებრივ მოვლენებს აფასებენ და ერთგვარ ფონსაც ქმნიან მედია-სივრცეში. ეს გაამპარტავნებული, „დამოუკიდებელი“ თუ არასამთავრობო ექსპერტ-ჟურნალისტები მოქმედებენ წინასწარ განსაზღვრული შტამპის მიხედვით (ძირს რუსეთი! გაუმარჯოს ნატოს! თანადგომა ლგბტ-ს!) და იმ სურვილით, რომ იქნებ პრემიერს, ან მის რომელიმე თანაგუნდელს, რამე შეეშალოს და ევროატლანტიკური ორგანიზაციებისა და ევრო-

კავშირის რეკომენდაციებისგან განსხვავებული აზრი გამოთქვას.

ვფიქრობთ, გონივრულად დასმული შეკითხვა თავის თავში საზოგადოებისთვის საჭირო თემას უნდა მოიცავდეს და არა «დემოკრატიის მამების» ინსტრუქციული მოთხოვნების შემოწმებას. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი სურვილია, თორემ, რეალურობიდან გამომდინარე, მედიის ახლანდელი აპარატი ნატო-ლგბტ-რუსეთის მაგიურ წრეს, ალბათ, კიდევ დიდხანს თავს ვერ დააღწევს. ეს კი თავისთავად ხელს უშლის სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებას, რადგან: თუ დემოკრატია ხალხის მმართველობას ნიშნავს, მაშინ ცალკეული **საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წინასწარ მოცემული კატეგორიები კი არ უნდა განსაზღვრავდეს ხალხების პოლიტიკური შეხედულებებისა და სოციალური ურთიერთობების მოდელს, არამედ თავისუფლებას უნდა აძლევდეს მათ, მათთვის სასურველი სახელმწიფოს შესაქმნელად. ხოლო სახელმწიფო, ქრისტიანული თვალსაზრისით, იმდენადვე შეიძლება დადებითად შეფასდეს, რამდენადაც იგი ხელს უწყობს მისი მოქალაქეების ზნეობრივ სრულყოფასა და ღმერთთან მიახლოებას;** რაც ჩვენი ძველი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყნისთვის გულისხმობს საერო ხელისუფლების თანადგომას მართლმადიდებლური ეკლესიისადმი, არა იმიტომ, რომ იგი იერარქიის მოქრთამვას შეეცადოს მასზე ზეგავლენის მოპოვების მიზნით, არამედ იმისთვის, რომ მან მთელი სამღვდელო დასის მორალურ გაჯანსაღებასა და ჭეშმარიტ სასულიერო განათლებას შეუწყოს ხელი. არცერთი გონიერი სახელმწიფო მოხელე თანადგომის მანკიერ გზას არ აირჩევს, ვინაიდან, ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, სახელმწიფოებრივ წინსვლას მხოლოდ მთავრობისა და ეკლესიის სიმფონიური, ეთიკურ კანონებზე დაფუძნებული ურთიერთობა განაპირობებს.

დემოკრატიის ლოზუნგს ამოფარებული ლიბერალი იტყვის, დახეთ, ადამიანთა თანასწორობის პრინციპს როგორ არღვევს და თავის რელიგიას პრივილეგიას როგორ ანიჭებსო! — ადამიანთა უფლებების უზომოდ დამცველნო, ჩვენ, მართლმადიდებელი ქრისტიანები, ადამიანთა მიერ შექმნილ ყოველგვარ სამართლის კოდექსზე უზენაეს მნიშვნელობას რელიგიურ და მორალურ კანონთა დაცვას ვანიჭებთ! სწორედ ამიტომ (ისტორია მოწმეა!) გვამაჰმადიანებდნენ, გვაკათოლიკებდნენ და გვასომხებდნენ; თუ ამას ვერ აღწევდნენ, მაშინ გვკვლავდნენ, გვწვავდნენ და გვაწამებდნენ! მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ოდესმე მართლმადიდებლები (კათოლიკეებში არ აგერიოთ) თავიანთ სარწმუნოებას ვინმეს თავს ძალით აბვევდნენ და ამის გამო სხვა აღმსარებლობის ადამიანებს სულიერად ან ფიზიკურად ანადგურებდნენ!

ჩვენ ხომ არც ახლა ვერჩით ვინმეს რამეს, პირიქით, მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის მოვუწოდებთ ჩვენს სამშობლოში მცხოვრებ ყველა აღმსარებლობისა და ეროვნების ადამიანს, მაგრამ, საპასუხოდ, ჩვენგან სხვათა პრივილეგიების აღიარებას მოითხოვენ; თითქოს ჩვენ, ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყულ მშობლიურ მიწაზე, ჩვენივე წესითა და ადათით ცხოვრების უფლება არ გვქონდეს.

ბოლო დროს ჩვენს თავისუფალ ყოფა-ცხოვრებაში განსაკუთრებით უხეშად ერევა საერთაშორისო (ევროპულ-ამერიკული) დემოკრატიული ინსტიტუტის მანდატით აღჭურვილი ლგბტ(ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი), რომელიც თავისი აბრევიატურით სექსუალური გარყვნილების ნაზავია, მაგრამ მას სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციაც აქვს შეთვისებული და, ამ თვალსაზრისით, იგი ახალი სახის ტოტალიტარულ სექტას წარმოადგენს.

ლგბტ, მსგავსად სხვა ტოტალიტარული სექტებისა, თავისი გავლენის მოპოვებას მთელ მსოფლიოზე ცდილობს, მაგრამ მიზნის მისაღწევად სხვათაგან განსხვავებულ მეთოდს იყენებს: იგი, საღმრთო სწავლების საწინააღმდეგოდ, თავის სატანურ კანონებს სრულიად შეუნიღბავად და საზოგადოებრივი აზრის სრული იგნორირებით ამკვიდრებს. ჩვენ უკვე შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ დასავლეთი (ევროპა და აშშ) საკუთარი ფასეულობების გასავრცელებლად არც ამგვარ ძალადობას თაკილობს, მაგრამ, ვფიქრობთ, მამათმავლების საზეიმო მსვლელობის ჩატარებას სერბების მაგალითის გაზიარება სჯობს, რადგან ბრძოლაში მხოლოდ ფიზიკურად იღუპება კაცი, წარწყმედილ სულს კი ვერავინ შველის.

ამა წლის 17 მაისს, ლგბტ-ების მიერ თბილისში მოწყობილმა აქციამ დაგვანახა, თუ როგორი ერთსულოვნებით დაუჭირეს მას მხარი მთელმა დიპლომატიურმა კორპუსმა (ფაქტობრივად, მსოფლიომ) და თითქმის ყველა ქართულმა ტელე-არხმა, როგორც ერთმა შემადგენელმა ნაწილმა გლობალიზებული მასმედიისა. განსაკუთრებით იმ დღეს ცხადად გამოჩნდა სიტყვის თავისუფლების შეზღუდული სივრცე და ზემოთ აღნიშნული «მაგიური წრე», რომელიც მკაცრად განსაზღვრული ინსტრუქციით ბრუნავს. ამას, აგრეთვე, ადასტურებს კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს: «ევროპის მინისტრთა საბჭოს რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისათვის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე — საქართველო» (რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“, თბ., 2012).

ჯერ გავეცნოთ ცალკეულ რეკომენდაციებს, თუ რას სთავაზობს ევროსაბჭო საქართველოს მთავრობას, და დასკვნები შემდეგ გამოვიტანოთ. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ დოკუმენტს «რეკომენდაცია» კი ჰქვია, მაგრამ ევროსაბჭოს «წევრ სახელმწიფოებს მისი შესრულების მკაფიო ვალდებულება ეკისრებათ» (თავი III); ამასთან, 2010 წლის 31 მარტს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული ეს «რეკომენდაცია ერთხმად იქნა მიღებული ევროპის საბჭოს წევრი 47 სახელმწიფოს მიერ» (იქვე).

თ. II, მუხლი 4: აუცილებელია სქესის კვლავმინიჭების პროცესის რეგულირება ისე, რომ ტრანსგენდერ პირებს ეფექტურად მიუწვდებოდეთ ხელი საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ფსიქოლოგიურ და ენდოკრინოლოგიურ დახმარებაზე და ამის ხარჯებს საზოგადოებრივი ჯანდაცვა უნდა ფარავდეს.

თ. II, მ. 13: განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროებმა უნდა იმოქმედონ კოორდინირებულად, რათა შეიტანონ შესაბამისი ცვლილებები ამჟამად არსებულ და შემოთავაზებულ სამედიცინო სახელმძღვანელოებსა და სასწავლო პროგრამებში და უზრუნველყონ, რომ ამ სახელმძღვანელოებში ჰომოსექსუალობა არ განისაზღვრებოდეს როგორც ავადმყოფობა, ფსიქიკური აშლილობა, სექსუალური გარყვნილება და ა. შ.

თ. II, მ. 16: სახელმწიფომ არასრულწლოვან ლგბტ პირებს უნდა შესთავაზოს ეფექტური დაცვა ოჯახური ძალადობისაგან. მათ შორის, ფსიქოლოგიური ზეწოლისაგან ოჯახის წევრთა მხრიდან, რომლებიც აიძულებენ არასრულწლოვან ლგბტ პირებს გაიარონ „სამედიცინო მკურნალობა ორიენტაციის შესაცვლელად“.

თ. IV, ნაწ. II: დანართის II ნაწილი მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისაგან სათანადო ზომების მიღებას, რათა უზრუნველყონ, რომ ლგბტ ორგანიზაციებს შეეძლოთ ოფიციალურად დარეგისტრირება, სათანადოდ იყვნენ ჩართულები პარტნიორების სტატუსით ისეთი საჯარო პოლიტიკების შემუშავებასა და განხორციელებაში, რომელთაც ლგბტ პირებზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ და დისკრიმინაციის გარეშე შეეძლოთ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი საჯარო დაფინანსების მიღება; აგრეთვე, რომ ლგბტ ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციები ეფექტურად იყვნენ დაცული მტრული განწყობისაგან და აგრესიისაგან.

თ. IV, ნაწ. IVა: წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, *უზრუნველყონ პირის მიერ სქესის კვლავმინიჭების სრული სამართლებრივი აღიარება სწრაფად, გამჭვირვალედ და ხელმისაწვდომი გზით, გააუ-*

ქმონ ნებისმიერი წინასწარი მოთხოვნნები ასეთი აღიარების მიმართ (ნებისმიერი ფიზიკური ხასიათის მოთხოვნების ჩათვლით) და უზრუნველყონ, რომ ტრანსგენდერ პირებს შეეძლოთ დაუყოვნებლივ დაქორწინება სქესის კვლავმინიჭების პროცესის დასრულებისთანავე.

თ. IV, ნაწ. VI: წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, რომ განათლების უფლება ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე. მათ შორის უნდა იქნას მიღებული ზომები ჩაგვრისაგან და სოციალური გარიყვისაგან დასაცავად; ეს მოიცავს თანასწორობისა და უსაფრთხოების პოლიტიკას, ქცევის კოდექსებსა და თანამშრომელთა თრეინინგების პროგრამებს, ისევე, როგორც სკოლებში ურთიერთშემწყნარებლობისა და პატივისცემის დამკვიდრებისათვის ზომების მიღებას, სასკოლო პროგრამებში და საგანმანათლებლო მასალებში ობიექტური ინფორმაციის შეტანას, ლგბტ მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის სპეციალური ინფომაციის მიწოდებასა და მხარდაჭერას, ტრანსგენდერი სტუდენტების სპეციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ზომების მიღებას.

თ. V, მ. 2: წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სასჯელის განსაზღვრისას, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მოტივი მხედველობაში იქნას მიღებული როგორც დამამძიმებელი გარემოება.

თ. V, მ. 8: საჯარო მოხელეები და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები უნდა წახალისდნენ, რათა სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათ შორის მასმედიასა და სპორტულ ორგანიზაციებთან, პოლიტიკური და რელიგიური თემების წარმომადგენლებთან დიალოგის დროს ხელი შეუწყონ ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანის მიმართ შემწყნარებლობისა და მათი უფლებების პატივისცემის დანერგვას.

თ. V, მ. 15: წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა მიიღონ შესაბამისი ზომები ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების უფლებებისთვის გამართული მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეების დასაცავად, აღნიშნული დემონსტრაციის უკანონო შეწყვეტის ან შეკრების თავისუფლებით სარგებლობაში ხელის შეშლის მცდელობების აღსაკვეთად.

თ. V, მ. 17: ხელისუფლების წარმომადგენლებს ყველა დონეზე უნდა მოეწოდოს, რომ საჯაროდ დაგმონ, განსაკუთრებით მედიაში, გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების ინდივიდუა-

ლურ და ჯგუფურ უფლებაში ნებისმიერი არაკანონიერი ჩარევა, განსაკუთრებით როცა ეს ეხება ადამიანის უფლებებს ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებსა და ტრანსგენდერებთან მიმართებაში.

თ. V, მ. 18: წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ პირებს შორის ერთსქესიანი ნებაყოფლობითი სექსუალური კავშირის სისხლის სამართლებრივად ამკრძალავი ყველანაირი დისკრიმინაციული კანონმდებლობის გაუქმება.

თ. V, მ. 21: წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა ცხოვრების ყველა სფეროში მოახდინონ პირის სქესის შეცვლის სრული სამართლებრივი აღიარება; კერძოდ, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შესაძლებელი გახადონ ოფიციალურ დოკუმენტებში სახელისა და სქესის შეცვლა სწრაფი, გამჭვირვალე და ადვილად ხელმისაწვდომი გზით; წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, საჭიროების მიხედვით, არასახელმწიფო ერთეულების მიერ შეცვლილი სქესის და აღნიშნულთან დაკავშირებით განხორციელებული სხვა ცვლილებების შესაბამისი აღიარება ისეთ ძირითად დოკუმენტებში, როგორიცაა განათლების დამადასტურებელი დიპლომი ან შრომის წიგნაკი.

თ. V, მ. 22: წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ტრანსგენდერი ადამიანის მიერ მისი ახალი სქესის საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან ქორწინების უფლების რეალური გამოყენება.

თ. V, მ. 27: წევრმა სახელმწიფოებმა, რომელთა ეროვნული კანონმდებლობა მარტოხელა პირებს შვილად აყვანის უფლებას აძლევს, უნდა უზრუნველყონ, რომ შესაბამისი კანონის გამოყენება მოხდეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.

— ე. ი. ევროსაბჭო საქართველოს მთავრობისგან მოითხოვს: ლგბტ პირების უპირობო მხარდაჭერასა და პრივილეგიების მინიჭებას; სქესის შეცვლის პროცედურის დაფინანსებას სახელმწიფოს მიერ; ჰომოსექსუალობა არცერთ საბუთში არ განისაზღვრებოდეს ავადმყოფობად ან გარყვნილებად; მშობლებს უნდა აეკრძალოთ არასრულწლოვანი ლგბტ შვილების მკურნალობა ორიენტაციის შესაცვლელად; ლგბტ პირებმა უნდა ისარგებლონ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი თანხებით; ლგბტ სტუდენტების სპეციალური (სიც) მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს; ლგბტ პირებმა დემონსტრაციების გამართვა თავისუფლად უნდა შეძლონ; ერთსქესიანი პირების სექსუალური კავშირების ამკრძალავი ყველანაირი კანონი უნდა გაუქმდეს; ჰომოსექსუალებს შვილის აყვანის

უფლება უნდა მიეცეთ; ერთსქესიანებმა დაქორწინება უნდა შეძლონ.

ახლა ეს მოთხოვნები შევადაროთ საეკლესიო კანონმდებლობას და დავრწმუნდებით, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა პირით თვით ეშმაკი გველაპარაკება. დიდსა და მცირე სჯულისკანონებში წ˜ა ბასილი დიდისა და წ˜ა გრიგოლ ნოსელის არაერთი ეპიტიმია არის დადებული მამათმავალთა, მემრუშეთა და მსიძავთათვის, მაგრამ ამჯერად არც პავლე მოციქულის მკაცრ შეგონებებს გაგიმეორებთ და მხოლოდ წ˜ა დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეული რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერით შემოვიფარგლებით: «ყოველმან სულმან ქრისტეანემან მართლმადიდებელმან, ამათ სიტყუათა მსმენელმან, რომელმან შემდგომად ამის ძეგლისა წარკითხვისა არა იჯმნას ბილწისა მის სოდომურისა ცოდვისაგან... უეჭუელად მოიწიოს მის ზედა ამას უკუე საწუთოსა საშინელი რაჲმე და ცოცხლივ ჯოჯოხეთად შთამჴდელი რისხვაჲ მსგავსად წუნწუბასა თანა აღრეულისაჲ მის სოდომელთა ცეცხლისაჲ. ხოლო... ჩუენგან არღარა კურთხევაჲ, არამედ კდემაჲ და მხილებაჲ დაიმკჯდროს საუკუნოჲ» (კან. 18).

«რეკომენდაციათა» შესრულების თაობაზე წარმოდგენილ ერთ-ერთ ანგარიშში სპეციალური დამკვირვებლები ასკვნიან: «სკოლებსა და უნივერსიტეტებში ლგბტ პირების მიმართ არსებული დამოკიდებულება ასახავს საზოგადოებაში არსებულ ტენდენციებს და იმ ტრადიციული სტიგმების, ტაბუებისა და ფასეულობების ძლიერი ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, რომელთაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მხარს უჭერს» (გვ. 27). მიუხედავად კოდირებული ტერმინოლოგიისა, დასკვნიდან მაინც ჩანს, ლგბტ-ების უფლებათა დამცველებმა კარგად უწყიან, რომ მათი გლობალური მიზნების განხორციელების გზაზე ტრადიციული ფასეულობანი და მართლმადიდებელი ეკლესია შებრკოლების ლოდებად არიან აღმართულნი.

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით ზემოთ აღნიშნულ მაისის აქციაზე სამღვდელოების მიერ მხედრული მამაცობის გამოჩენის შემდეგ, ახალი ტოტალიტარული სექტა ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ნებისმიერ მეთოდს გამოიყენებს. ალბათ, როგორც არასდროს, ქართველებს განსაკუთრებული სიფხიზლე გვმართებს. თუ ჩვენს ზნეობრივ და სულიერ საძირკველს ძირი გამოუთხარეს, უნდა ვიცოდეთ, რომ მერე ყოველგვარი ცდა და გარჯა ამაო გამოდგება. ერთ-ერთი სუსტი მხარე ჩვენი სტრატეგიისა, ჩვენი აზრით, არის ეროვნული ინსტიტუტების არარსებობა, მაშინ როცა, დასავლური იდეოლოგიითა და ფინანსებით აღჭურვილი არასამთავრობო ორგანიზაციები ქართულ ეროვნულ-სარწმუნოებრივ ტრადიციებს დაუფარავად ებრძვიან.

ალბათ ყველას ახსოვს, «ვარდების რევოლუციის» შემდეგ ყოფილმა ჩინოვნიკებმა და, უბრალოდ, ეკონომიკურად შეძლებულმა ქართველებმა რა მძიმე ხარკი მიიტანეს «ნაციონალური მოძრაობის» ურდოს წინაშე. მანამდე კი არავინ მოინდომა, რომ ამ «ხარკის» რაღაც ნაწილი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის გაეღო, ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაცია, სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, პერიოდული გამოცემა ან ტელეარხი დაეარსებინა და ნაცების ლიბერალურ-კოსმოპოლიტურ მსოფლმხედველობას იდეოლოგიურად შებრძოლებოდა. თითქოს ყველამ ერთბაშად დაივიწყა დიდი ქართველი პოეტის შეგონება: «არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს». პარადოქსია, მაგრამ თუ ბიზნესმენი თავისი პროდუქციის რეკლამირებისთვის შემოსავლის 20-30%-ს ხარჯავს, თავისი სამშობლოს გადარჩენისთვის ფული უნდა შეენანოს?! ნუთუ არ შეიძლება, რომ რეალურმა საფრთხემ გაერთიანება გვასწავლოს და ჩვენი შვილების საკეთილდღეოდ ქვეყანას უანგაროდ შევეწიოთ? ამისთვის სულაც არ არის საჭირო ბიზნეს-ცენტრებში ხმაურიანი კონფერენციების მოწყობა, სურვილის შემთხვევაში, ქართველები თავიანთ ვიწრო სამეგობრო წრეებშიც კარგად შეძლებენ მნიშვნელოვანი საქმეების წამოწყებას.

ზემოთ განხილული პრობლემების, განსაკუთრებით სოდომური «რეკომენდაციების», გათვალისწინება აუცილებელია ჩვენი პოლიტიკური ვექტორის მიმართულების დასადგენად. ის «სტიგმები და ტაბუები», რომელნიც ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრებით მიღებულ სარგებლიანობას დაასაბუთებდნენ, ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის. საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ევროატლანტიკური სტრუქტურების მიმართ პოზიტიურად არის განწყობილი, ძირითადად მასმედიის ზომბირებას, ანუ ქვეცნობიერ ზემოქმედებას განიცდის, თორემ ცოდნას აღნიშნული სტრუქტურების შედგენილობის, იერარქიისა და მიზანდასახულობის შესახებ საერთოდ არ ფლობს; ამგვარი ინფორმაცია მას, უბრალოდ, არავისგან არ მიეწოდება* (რატომ? — პასუხი თქვენ გამოიცანით).

საზოგადოება ნელ-ნელა იწყებს გაცნობიერებას, რომ ეს «საშინელი და ოკუპანტი» რუსეთი, რომელსაც ანტიჰომოსექსუალური კანონების მიღების გამო მთელი დასავლური სამყარო უპირისპირდება, მარტოდმარტო დგას ქრისტიანული ზნეობის სადარაჯოზე და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მსოფლიოს ტოტალიტარული სექტებით წალეკვისაგან იცავს. ამას წინათ, რუსეთში სტუმრობისას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ფრიად

მნიშვნელოვანი აზრი გამოთქვა: «სტალინი გამოჩენილი პიროვნებაა. ასეთი პიროვნებები იშვიათად იბადებიან. მან იცოდა რუსეთის მსოფლიო მნიშვნელობა» („ს.რ.“, 01.08.2013). უკვე დიდი ხანია, სწორედ ამ მნიშვნელობის დაკნინებისთვის მუშაობს დასავლეთის დიდი და მრავალდარგოვანი მილიტარისტულ-იდეოლოგიური მანქანა, მაგრამ ჩვენი ვალია შეცნობა ჭეშმარიტებისა და აღიარება სიმართლისა, რათა ჩვენს სამშობლოსთან ერთად ჩვენი სულიცა და ხორციც გადავარჩინოთ. გადარჩენა კი, დღევანდელ გაუკუღმართებულ სამყაროში, რუსეთთან თანადგომის გარეშე შეუძლებელია.

ჟურნალის წინა ნომერში, ჯავახეთის წარსულზე საუბრისას, ჩვენს მკითხველს დავპირდით, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე შექმნილ ისტორიულ ნაშრომებს კრიტიკულად განვიხილავდით,** მაგრამ მანამდე ვიტყვით, რომ ტენდენციამ რუსეთის ძაგებისა მწვერვალს ნაცების ცხრაწლიანი თარეშის დროს მიაღწია და, უწინარეს ყოვლისა, სასწავლო სახელმძღვანელოების შინაარსი დაამახინჯა. ამიტომ ახალგაზრდებს დაფიქრებისკენ უნდა მოვუწოდოთ, რომ მათი ზერელე ცოდნითა და გამოუცდელობით სხვებმა არ ისარგებლონ და, მით უმეტეს, ამ მოახლოებული არჩევნების წინ არასწორი გადაწყვეტილება არ მიაღებინონ. სწორ გადაწყვეტილებაში ჩვენ ვგულისხმობთ ქვეყნისთვის სასარგებლო არჩევანის გაკეთებას, ხოლო მის მთავარ მახასიათებლად რუსეთთან კეთილმეზობლური და ძმური ურთიერთობის აღდგენას მივიჩნევთ.

არ გაგვიკვირდება, თუ ვინმე ჩვენი შეხედულებისთვის რუსეთის აგენტის სტატუსს მოგვანიჭებს, მაგრამ ამგვარმა ცილისწამებებმა უკვე ხიბლი დაკარგა. ადამიანები ნაცების ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ ფაქტებს გონივრულად აანალიზებენ და თუ აქამდე ეშინოდათ ხმის ამოღებისა, ახლა აღარ მალავენ, რომ მძიმე წლებში თავს სწორედ რუსეთიდან გამოგზავნილი სახსრებით ინახავდნენ. სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩემი თაობა რომ ცრუ პროპაგანდას ემსხვერპლა, ამის თქმა კი შემიძლია; ახალგაზრდობაში, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, რუსების მიმართ ისეთი აგდებული და ქედმაღლური დამოკიდებულება გვქონდა, რომ რუსეთში ჩადენილ სათაკილო საქციელსაც კი ვაჟკაცობად მივიჩნევდით (დღემდე ვინანიებ ჩემს უვიცობას).

გვეგონა, რომ რუსების მიერ დასავლურ ქვეყნებსა და იქაურ მოვლენებზე მოწოდებული იმფორმაცია უეჭველად ყალბი იყო, ხოლო სიმართლეს მხოლოდ «ამერიკის ხმა», რუსი დისიდენტები და ჩვენი «ეროვნული მოძრაობის» აქტივისტები ამბობდნენ. წლების განმავლობაში, დასავლური სპეცსამსახურების მიერ სახელმწიფო

უშიშროების კომიტეტში (КГБ) ჩანერგილი ჩეკისტები იდეურად ხრწნიდნენ საბჭოთა კავშირს და რუსების სიძულვილის წილ «ცისფერსისხლიანი» ამერიკელებისა და ევროპელების გაიდეალებას ეწეოდნენ. სამწუხაროდ, პოლიტიკური ატმოსფერო იმდენად იყო გაჯერებული ცრუ პროპაგანდით, რომ მართალი სიტყვის მთქმელი ერთი კაციც არ მახსენდება. მგონია, რომ ასეთი სიტყვის მისაღებად ადამიანებს ცნობიერების სარქველებიც კი დახშული ჰქონდათ (ზომბირების კლასიკური მაგალითია). დასავლეთმა თითქოს მიზანს მიაღწია, სსრკ დაიშალა, მაგრამ დარჩა რუსეთი, რომლის «მსოფლიო მნიშვნელობა» კიდევ უფრო გაიზარდა და, რელიგიური თვალსაზრისით, შეიძინა მისია «მესამე რომისა», რასაც არა ანტიკური, არამედ ბიზანტიური ახსნა აქვს და მასში მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის დაცვა იგულისხმება.

ვფიქრობთ, დადგა დრო, რომ უფრო კრიტიკულად შევაფასოთ ცრუ იდეოლოგების მიერ ხელოვნურად პოპულარიზებული ქართული მესიანიზმი და თავმდაბლად მივიღოთ ის წყალობა, რასაც უფალი ჩვენზე უფრო ძლიერთა ხელით გვიგზავნის. მართალია, იყო მომენტები, როცა სერბებიც და ჩვენც მოწოდების სიმაღლეზე აღმოვჩნდით, მაგრამ თავს ნუ გავიმედიდურებთ: რომ არა მართლმადიდებელი რუსეთის სიახლოვე, ნატოელ კომანდოსებს თავიანთი წესრიგი, სერბეთის მსგავსად, საქართველოშიც კარგა ხნის დამყარებული ექნებოდათ.

გვანცა კოპლატაძე

სამცხე-ჯავახეთის საათაბაგო XIX საუკუნის პირველ ნახევარში[1]

ნაწილი I

წინა ხელისუფლების განცხადებანი იმის თაობაზე, რომ საქართველოს ისტორია 2004 წლიდან იწყებოდა, ისეთი ცხადი ტყუილი იყო, რომ თავიდან მხოლოდ ირონიულ ღიმილს იწვევდა. ამგვარ არასერიოზულ განცხადებებს მას მხოლოდ ბაქიაობა-კვეხნაში ვუთვლიდით, ვერც იმ საშიშროებას ვხედავდით, რომელიც მათ უკან იმალებოდა. სინამდვილეში ამგვარი და სხვა ამგვარი განცხადებანი ხშირ-ხშირად, „დათა თუთაშხიას“ ცბიერი და ვერაგი პერსონაჟის, არქიფო სეთურისა არ იყოს, იმ იმედით კეთდებოდა, რომ ხალხს ეფიქრა, ასეთ ცხად სიცრუეს როგორ გვეტყვის ჩვენი არჩეული ხელისუფლება, ეტყობა, მართლაც რაღაცაშია საქმეო.

თუ წინა თაობებს მაინც შეიძლებოდა შერჩენოდა ხსოვნა ქართველი ერის ამ სამყაროში უხსოვარი დროიდან არსებობისა და მისი ტრაგიკულად დიდებული ისტორიისა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ მომავალ თაობებს საკუთარი სამშობლოს არსებობის ათვლა 21-ე საუკუნიდან დაეწყოთ, ე. წ. განათლების რეფორმის შედეგად, სასკოლო სწავლება სრულიად მოიშალა. დღეს ჩვენს სკოლადამთავრებულებს ზერელე, ინფორმაციული ცოდნაც კი არ აქვთ არც საქართველოს ისტორიაში, არც მშობლიურ ლიტერატურასა და არც მეცნიერების სხვა დარგებში. სამწუხაროდ, მას ჩვენ ვხვდებით, ე. წ. ძველი თაობები, რომელთაც საშუალო სკოლაში განათლების საფუძვლები მართლაც შევიძინეთ, თორემ ახალგაზრდობა იმასაც კი ვერ ხვდება, რომ მას ჭეშმარიტი განათლების მიღების უფლება წაართვეს.

1 პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №3(9), 1(11), 2(12), 2013.

სადაო არაა, რომ ერის ძლიერებას მეცნიერების ყველა დარგში საფუძვლიანად ცოდნამიღებული თაობები განაპირობებენ, მაგრამ მის არსებობას ყველაზე დიდ საფრთხეს მაინც საკუთარი ისტორიისა და კულტურის დავიწყება ქმნის.

წმ. ილია მართლის შეგონება იმის თაობაზე, რომ „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს... ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს“ (თხზ. ტ. IV, თბ., 1955, გვ. 179), ჩვენზე უკეთ ჩვენმა მტრებმა გამოიყენეს და დედამიწაზე ქართველი ერის სახსენებლის გასაქრობად სწორედ ამ, ერთი შეხედვით მშვიდობიან, მაგრამ ყველაზე ვერაგულ ხერხს იყენებენ და მიზანსაც აუცილებლად მიაღწევენ, თუ გონს დროზე არ მოვეგეთ და თავის გადარჩენის გზები და საშუალებანი არ გამოვძებნეთ.

ისევ ილია ჭავჭავაძეს მოვუსმინოთ: „ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, მასთანვე გვასწავლის ჭკვასა, როგორ უნდა მოვიქცეთ. წინა-კაცსა უკან მომდევარი იმისთვის უყურებს, რომ, ვინიცობაა, წინამ ფეხი წამოკრას და ყირაზე გადაიაროს, უკანამ ნახოს და იმ გზას შორს მოუაროს“ (ტ. III, გვ. 12). მაშასადამე, ისტორიის არცოდნით მტერს ჩვენზე გამარჯვების მოპოვებას იმითაც გავუადვილებთ, რომ წინაპართა შეცდომებზე კი არ ვისწავლით, არამედ პირიქით, ისე ადვილად და გაუაზრებლად გავიმეორებთ, რომ არც დავფიქრდებით, საკუთარ არსებობას რა საფრთხეში ვაგდებთ.

ჯერ კიდევ წმ. ილია მართალმა უწოდა „ოსმალოს საქართველო“ ისტორიულ მესხეთს, რომელიც დანარჩენ საქართველოს თურქეთმა მე-17 საუკუნეში მოგლიჯა. ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა მხარე, რომელიც „მედგრად იბრძოდა ჩვენთვის სარწმუნოების, განათლების, ერთ-მთავრობის დადგენისათვის და მათდა და ჩვენდა სასახელოდ ძლევითაც მოსილ იქმნა“ (ტ. IV, გვ. 10). და დაკარგა რა მიზეზით? ეს მიზეზი უწინარესად საკუთარ თავში უნდა ვეძიოთ: ესაა დაუოკებელი სურვილი საკუთარი პატივისა და დიდების მოხვეჭისა, რომლისკენაც გზა აუცილებლად საქვეყნო ინტერესების ღალატზე გადის.

„სამი საუნჯის“ ეგიდით მოწყობილმა ექსპედიციებმა სამცხე-ჯავახეთში — ისტორიული მესხეთის იმ ნაწილში, რომელიც მე-19 საუკუნეში რუსეთ-თურქეთის ორი ომის შედეგად სამშობლოს დაუბრუნდა, ერთხელ კიდევ მწვავედ გვაგრძნობინა, რომ ჩვენი ისტორიის არა თუ დავიწყება, არამედ ერთმანეთისათვის მუდმივად

შეხსენება გვმართებს, რათა სიფხიზლე არ დავკარგოთ და ოცნება არ ავუხდინოთ ისტორიის ასპარეზიდან ჩვენი გაქრობის მოსურნეებს, რომელნიც ცდილობენ, პოლიტიკაზე გაუთავებელი ლაყბობისა, უაზრო შოუებისა თუ პრიმიტიული სერიალების საყურებლად ტელეეკრანებთან მიგვაჯაჭვონ, რათა ცხოვრების დიდი ნაწილი მათ სმენასა და ყურებაში ისე გავლიოთ, რომ კარს მომდგარ საფრთხეთა გასააზრებლად და მათ წინააღმდეგ საბრძოლველად აღარც დრო გვქონდეს და აღარც ძალა შეგვწევდეს.

სამხრეთ საქართველოში მოგზაურობისას მუდმივად გახსენდება სიტყვები: დიდებული მესხეთი და ღალატი, ამპარტავნობის საზარელი შედეგი.

1453 წელს, როცა თურქებმა არა მხოლოდ ბიზანტიის, არამედ მთელი მართლმადიდებლური სამყაროს ათასწლოვანი დედაქალაქი კონსტანტინეპოლი აიღეს, სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველოს მეფე-მთავრები ერთმანეთზე უპირატესობის მოპოვების სურვილით ისე იყვნენ გატაცებულნი, რომ არა თუ კონსტანტინეპოლის დაცემა და მისი ქრისტიანული მოსახლეობის ენით უთქმელი სისასტიკით ამოჟლეტა განუცდიათ ისე, როგორც ეს ქრისტიანებს მოეთხოვებოდა, არამედ ის საფრთხეც კი ვერ გაუთვალისწინებიათ, რომელიც შეიძლებოდა ამ ფაქტს პირადად მათი სამეფო-სამთავროებისათვის მოჰყოლოდა: ბიზანტიის განადგურება და მცირე აზიაში ოსმალების გაბატონება საქართველოს ხომ „მაჰმადიანთა საბრძანებლის რკალს არტყამდა“. „...ამიტომ, — წერს ივანე ჯავახიშვილი, — სწორედ განმაცვიფრებელია, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში კონსტანტინეპოლის აღების შესახებ ასეთი მცირე და მხოლოდ მშრალი მატიანესებური ცნობები მოიპოვება“ (თხზ. ტ. III, თბ., 1982, გვ. 290).

პირველობისათვის ერთმანეთთან ბრძოლით გართული ქართველი მმართველები, 1459 წელს რომის პაპის მოწოდებამ, ევროპელ ჯვაროსნებთან ერთად გაელაშქრათ თურქების წინააღმდეგ კონსტანტინეპოლის გამოსახსნელად, მცირე ხნით ერთმანეთთან გააერთიანა. გამოდგა, რომ გიორგი მეფეს თურქების წინააღმდეგ ორმოციათასი კაცის გამოყვანა შეეძლო, მესხეთის მმართველს — ყუარყუარე ათაბაგს — 20.000 ცხენოსანის; სამეგრელოს მთავარსაც აღუთქვამს, რომ ამ ბრძოლაში მთელ თავის სამხედრო ძალას ჩააბამდა. ითვალისწინებდნენ რა თურქებთან ბრძოლის სირთულეებს, ქართველმა დიპლომატებმა მოკავშირეობა მცირე აზიაში ჯერ ქრისტიან მეზობლებს — ტრაპიზონის მეფესა და მცირე სომხეთის პატრონს შეს-

თავაზეს, ხოლო შემდეგ სპარსეთის მეფე უზუნ-ჰასანი, რომელსაც ოსმალები ჭირის დღესავით სძულდა, ბრძოლაში მონაწილეობაზე დაითანხმეს.

ქართველთა გაცხოველებულ მზადებას მომავალი ბრძოლისათვის დასავლეთმა სრული გულგრილობითა და, რაც მთავარია, უმოქმედობით უპასუხა. რომში ჩასული ქართველი მეფე-მთავრებისა და მათი მოკავშირეების ელჩებთან პაპმა თავი იმით იმართლა, რომ დასავლეთის ქვეყნები მის მოწოდებას თურქების წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის მოწყობის შესახებ დუმილით შეხვდნენ და ისინი საქმის გასარკვევად საფრანგეთის მეფესა და ბურგუნდიის მთავართან გააგზავნა. ელჩები მართლაც ჩავიდნენ საფრანგეთშიც და ბურგუნდიაშიც და დასავლეთის სხვა მთავრებსაც მიაკითხეს, მაგრამ უშედეგოდ.

დასავლეთში არც თურქების ხელში ჩავარდნილი კონსტანტინეპოლის ბედი აღელვებდათ და არც, საერთოდ, აღმოსავლეთის ქრისტიანებისა, რომელთაც მცირე აზიაში თურქების გაბატონება უდიდეს საფრთხეს უქმნიდა. დასავლეთის გულგრილობა რა სახსენებელია იმ უგუნურებასთან, რომელიც საქართველოს მმართველმა წრეებმა კარს მომდგარი საფრთხისა და საკუთარი მომავლის წინაშე გამოიჩინეს. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ მცირეაზიელ მოკავშირეებთან ერთად უკვე ისეთი მრავალრიცხოვანი ჯარი იყრიდა თავს, რომ ოსმალთა წინააღმდეგ გალაშქრება დასავლეთის დახმარების გარეშეც შეეძლოთ, გეგმის ჩაშლისთანავე ერთმანეთთან მტრობა გაიხსენეს და ერთმანეთის (და არა თურქთა) წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღეს.

განდიდების ჟინმა მესხეთის მმართველ ყვარყვარე ათაბაგს გონება ისე დაუბნელა, რომ მშობლიური ეკლესიის წინააღმდეგაც აამხედრა. ქვეყნის ერთიანობის ღალატის გზაზე შემდგარი, სამწუხაროდ, მიზნის მისაღწევად, ისეთი უმძიმესი ცოდვის ჩადენასაც კი არ მოერიდა, როგორიც ეკლესიის მთლიანობის დაშლა-დაყოფაა და თავისი სამფლობელოს — მესხეთის საკათალიკოსო საყდრისგან ჩამოშორებისათვის დიდად „იღვაწა“. საათაბაგოსათვის სრული დამოუკიდებლობის მოპოვება მან ამ ვერაგული ხერხით გადაწყვიტა. გეგმის ბოლომდე განსახორციელებლად ყვარყვარემ მაწყვერელი ეპისკოპოსის უფლებათა გაფართოება განიზრახა, ისე რომ, ამიერიდან მესხეთის საეპისკოპოსოები არა „ქართლისა კათალიკოსსა და ყოვლისა საქართველოჲსა პატრიარქის“ პატრონობის ქვეშ ყოფილიყვნენ, არამედ აწყურის ეპისკოპოსისა. ეპისკოპოსებად

და არქიმანდრიტებად შერჩეულ პირთა ხელთდასხმაც ამიერიდან აწყურში უნდა შესრულებულიყო და არა მცხეთაში. და კიდევ ერთი: ხელთდასასხმელ პირთა შერჩევის უფლება ყვარყვარეს სასულიერო პირებისათვის წაურთმევია და თვითონ მიუთვისებია, რათა მომავალი ეპისკოპოსები მისი უგუნური პოლიტიკის მხარდამჭერნი და გამტარებელნი ყოფილიყვნენ.

მართალია, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დავითის ბრძნული მოქმედებით, რომელიც არა მხოლოდ სამშობლოს სიყვარულით, არამედ საეკლესიო კანონებითაც იყო განმტკიცებული, ყვარყვარე ათაბაგმა წადილი ვერ აისრულა, მაგრამ მამის ოცნების განხორციელება მისმა მემკვიდრემ მზეჭაბუკმა შეძლო. მიზნის მისაღწევად მან მესხეთში საკალმასოდ ჩამოსული ანტიოქიის პატრიარქი დოროთეოსი გამოიყენა, რომელიც ქვეყნის მთლიანობის აღსადგენად მებრძოლი ქართლის მეფის, კათოლიკოს-პატრიარქისა და თვით ხალხის „უსჯულოებაში“ დაარწმუნა. შედეგად პატრიარქმა ზემოხსენებული „უსჯულოებისადმი“ რისხვა გამოხატა, ხოლო თავად მზეჭაბუკს ღმრთის მიერ განმტკიცებული და განძლიერებული **დიდი მეფე და ყოვლისა აღმოსავლეთისა ხელმწიფე** უწოდა. ასე რომ, მზეჭაბუკ ათაბაგმა მესხეთის დედაეკლესიისაგან სარწმუნოების მოწყვეტითა და იქაურ ეკლესია-მონასტრებში საქართველოს კათოლიკოსისა და მეფის ხსენების ამოკვეთით მოახერხა, რომ „საქართველოს მთლიანობის ეს გარეგნული, სიმბოლური გამოხატულებაც გამქრალიყო და მცხეთის საყდართან დამოკიდებულება მოსპობილიყო“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1967, გვ. 167).

მიზანი მიღწეულ იქნა: მესხეთის სასულიერო პირებს ეპისკოპოსებად ხელთდასხმისათვის მცხეთაში წასვლა და მეფე-კათალიკოსის ერთგულების აღთქმის დადება აღარ სჭირდებოდათ. მესხეთმა თვითმწყსობის უფლება მიიღო, მაგრამ შედეგი ამ უგუნური მიზნის მიღწევისა თვით მესხეთისათვის ბევრად უფრო ტრაგიკული გამოდგა, ვიდრე დანარჩენი საქართველოსათვის.

ბოროტება წინ ვერ იხედება და მომავალს ვერ ჭვრეტს, იგი მხოლოდ ხანმოკლე გამარჯვებით ზეიმობს. ვერც სამცხე-საათაბაგოს მმართველებმა გაიხედეს წინ და ვერ განჭვრიტეს, რა განსაცდელს უმზადებდა ქართველ ერს მრავალრიცხოვანი და ძლიერი მტერი ოსმალეთის სახით, რომელიც მეზობლად გაუხდა „ერთმორწმუნე, მეგობრულად განწყობილი ბიზანტიისა და ტრაპიზონის სახელმწიფოების მაგიერ“ (იქვე, გვ. 56). მართალია, როგორც ჩანს, თვითონ მზეჭაბუკს

პიროვნულად ეს განსაცდელი არ აშინებდა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ამტკიცებდა „დედის მუცლით ჩემითგან“ ღმრთისმშობლისადმი „მოლტოლვილი“ ვიყავიო, მაინც ქართლის მეფის მორჩილებას ოსმალთა მორჩილება ამჯობინა, როგორც ამას ვახუშტი ბატონიშვილი მოწმობს: „ძზეჭაბუკ დაეზავა ოსმალთა მორჩილების პირსა ზედა“-ო, მაგრამ საკუთარ ხალხს რას ერჩოდა? თუმცა ხალხი რა სახსენებელია იმათთვის, რომელთაც სარწმუნოების ღალატიც კი არ უჭირთ ამაო და კვამლივით წარმავალი ამქვეყნიური დიდების მოსახვეჭად. თუმცა ისიც საკითხავია, მართლა აიცილა თუ არა განსაცდელი სამშობლოს ღალატითა და ოსმალთა მორჩილებით ათაბაგმა თუ, პირიქით, თავი მარადიული განსაცდელისათვის გასწირა? სანამ ამ ცისქვეშეთში ზნეობრივი ღირებულებები იარსებებენ, მასზე ხომ ვერავინ იტყვის: „აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა“.

მე-16 საუკუნის შუა ხანებში ევროპის ქვეყნების დაპყრობით გართულმა ოსმალებმა მეზობელი საქართველოსთვისაც მოიცალეს. რა თქმა უნდა, თურქების ამიერკავკასიაში გაბატონების დიდმპყრობელურ ზრახვებს უწინარესად სამხრეთ საქართველო, სამცხე-საათაბაგო შეეწირა. ამ ზრახვათა განხორციელების გზაზე მათ ირანიც ჩამოიცილეს, რომელიც ხანგრძლივი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, იძულებული გახდა მთელს ამიერკავკასიაზე ოსმალეთის უფლება ეცნო (1590 წ.). კასპიის ზღვაზე გასვლის შემდეგ, თურქებს რეალური შესაძლებლობა გაეხსნათ თავდაპირველ სამშობლოსთან — შუა აზიასთან კავშირის გაბმისა, „რის შემდეგაც ისინი ადვილად შეძლებდნენ ხელთ ეგდოთ ვოლგა-ასტრახანის მაგისტრალი, ეს კი რუსეთის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლას ნიშნავდა“ (შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975, გვ. 35). ასე რომ, მეგობრული ურთიერთობის დამყარება და საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანება როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის ინტერესებშიც შედიოდა.

ჯერ კიდევ მე-16 საუკუნის 80-იანი წლებიდან თურქები თვლიდნენ, რომ სამცხე-საათაბაგოს ვასალური დამოკიდებულება ოსმალთა სახელმწიფოზე, რაც პოლიტიკურად მოხარკეობით გამოიხატებოდა, რეალობას საკმარისად არ ასახავდა და დაპყრობილი სამხრეთ საქართველოს სრულად შემოერთების საქმეს შეუდგნენ, რასაც შედეგად მისი სამხედრო ერთეულებად დანაწილება, სამამულო სოციალურ-ეკონომიკური წყობის მოშლა და სანაცვლოდ თურქული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის შემოღება-დანერგვა მოჰყვა. მართალია, 1628 წლამდე სამცხე-საათაბაგო ირანსა და ოსმალეთს შორის ისევ ხელიდან ხელში გადადიოდა, მაგრამ ოსმალებმა ჩილდირის ვილაი-

ეთის (ისტორიული მესხეთის) ბეგლარ-ბეგად გამაჰმადიანებული ჯაყელების შთამომავალი ბექას, შემდეგში საფარ-ფაშად წოდებულის დანიშვნის შემდეგ მესხეთში ფეხი მკვიდრად მოიკიდეს და ქვეყნის გადაგვარება-გათურქების პროცესი მნიშვნელოვნად დააჩქარეს. რეალური პოლიტიკური ვითარება ირანთან 1639 წელს დადებული ზავით გაფორმდა. აქედან მოყოლებული, უწინარესად შინა გამცემთა და მოღალატეთა „მოღვაწეობის“ შედეგად პოლიტიკურად დაშლილი საქართველო ვერცერთხელ ვერ გაიმართა წელში, ისე რომ, მესხეთის დაბრუნებაზე ფიქრი და ოცნება რეალობად ექცია, მით უმეტეს, რომ მე-17 საუკუნიდან მოყოლებული აღმოსავლეთ საქართველოს ახალი უბედურება დაატყდა თავს მეზობელი ლეკების სახით. სამუშაოს მძებნელი ლეკი აბრაგებისათვის სულერთი იყო, რომელი ძალა დაიქირავებდა, მათთვის მთავარი ფული იყო, რომლის შოვნისთვის ყველაზე ხელსაყრელ საშუალებად ბრძოლასა და ტყვეთა გაყიდვას თვლიდნენ. ლეკთა ბელადები ერეკლე მეფეს მიმართავდნენ: ჩვენ გვირჩევნია თქვენ დაგვიქირაოთ და თქვენს მტრებს მიგვისიოთ, ვიდრე თქვენმა მტრებმა დაგვიქირავოს და თქვენი ქვეყანა გვანადგურებინოსო, მაგრამ სამწუხაროდ ქართველ მეფეებს, ათასგზის დარბეული და გაძარცული ქვეყნის პატრონებს, სწორედ ფული არ გააჩნდათ. ერეკლე მეფის ისტორიკოსი ომან მდივანბეგი მის შესახებ ამბობს: „არა აქვნდა პირდაპირი ძალი, არცა ჯარითა, არცა ხაზინითა და თვინიერ სიმხნისა კიდევ არა რაი აქვნდაო“. სამაგიეროდ, ამ გასაოცარი მხნეობისა და ქვეყნის ერთგულებისათვის დიდ მეფეს უფალი წყალობდა და სასწაულებრივად აძლევდა ძალას ყოველი მხრიდან შემოსეული მტრებისათვის პასუხი ღირსეულად გაეცა.

ასეა თუ ისე, გამაჰმადიანებული, თანაც სუნიზმის მიმდევარი ლეკები ქართულ სოფლებს თავს ჯგუფ-ჯგუფად ესხმოდნენ, აწიოკებდნენ, მინდვრებში მომუშავე ადამიანებს ატყვევებდნენ და ყირიმსა და თურქეთში ჰყიდდნენ. მე-18 საუკუნეში თურქების ხელშეწყობით ლეკმა აბრაგებმა ახალციხეში დაიდეს ბინა და ქვეყანა თითქმის რკალში მოაქციეს. ქვემო ქართლის მოოხრების შემდეგ, როცა უკვე „არღარა იპოვებოდა შენობა ქართლსა შინა“, ლეკებმა სათარეშო ასპარეზად სამცხე-ჯავახეთი გაიხადეს და ისედაც გაწამებული მხარე სულ „წაახდინეს“.

საქართველოს ისტორიაში ქართლის განსაკუთრებულ როლზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ასეთ უმძიმეს ვითარებაშიც კი, ქართლს, რომელიც თვითონაც სპარსეთის მოხარკე ვასალი იყო, მცდელობა არ დაუკლია თურქებისაგან მესხეთის გამოხსნისათვის. მიზნის მის-

აღწევად ქართლის მეფეები ირან-თურქეთს შორის არსებულ პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ შუღლს იყენებდნენ და ირანის მხარეს იჭერდნენ, მაგრამ თანდათან რწმუნდებოდნენ, რომ ამ გზით სანუკვარ შედეგს ვერ მიაღწევდნენ, რადგან ზავის დადებისას ირანი ქართლის ინტერესებს არასოდეს ითვალისწინებდა.

1762 წელს გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფედ ერეკლეს გამოცხადებისას ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ოსმალთა უღელქვეშ მყოფი მესხეთი იმყოფებოდა, რომელიც დედა-სამშობლოს სარწმუნოებრივადაც და კულტურულადაც საბოლოოდ შორდებოდა; ამიტომ დიდი მეფის პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ საკითხად ტყვეობიდან იმ მხარის გამოხსნა გახდა, საიდანაც თავის დროზე საქართველოს გაერთიანება და კულტურული აღმავლობა დაიწყო. რადგან საკუთარი ძალებით ამ მტკივნეული საკითხის გადაჭრა შეუძლებელი იყო, მეფე ერეკლე ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირის დამყარების გზას დაადგა, რაც შექმნილ ვითარებაში მართლაც ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო.

XV-XVII საუკუნეების მოვლენათა დაწვრილებითი ანალიზის შედეგად სრულიად მართებულად ასკვნის შოთა ლომსაძე: „ქართველი პოლიტიკოსები მიხვდნენ, რომ ირანი მოკავშირედ არ გამოდგებოდა, ხოლო ქართულ სამეფოებს საკუთარი ძალებით ამის გაკეთება არ შეეძლოთ“ (სამცხე-ჯავახეთი, გვ. 60). ჩვენი მხრიდან მხოლოდ იმას დავამატებდით, რომ მაჰმადიანთა რკალში მოქცეულებს და მათთან ყოველდღიური ბრძოლით სისხლდაცლილებს, მალე ძალა არა დაკარგული მხარეების დასაბრუნებლად, არამედ საკუთარი თავის დასაცავადაც აღარ ეყოფოდათ. ამ ვითარებაში რა უნდა ექნათ ქართველ მეფეებს, გულხელდაკრეფილებს მშვიდად ეყურებინათ, როგორ თვალსა და ხელს შუა ილეოდა ქართველი ერი თუ გამოსავალი მოეძებნათ? იმერეთისა და ქართლ-კახეთის მმართველებმა გამოსავლის მოძებნა ამჯობინეს და ამჯერად იმედის თვალი სრულიად მართებულად ერთმორწმუნე რუსეთს მიაპყრეს.

პირველი შედეგი რუსეთთან გაცხოველებული ურთიერთობისა 1769 წლის შემოდგომაზე დარიალის გზით საქართველოში გენერალ ტოტლებენის მეთაურობით რუსთა მცირე რაზმის შემოსვლა იყო. ახლა დაწვრილებით თხრობას იმისა, რაც ცნობილი ასპინძის ბრძოლას უძღოდა წინ, აღარ შევუდგებით და მკითხველის ყურადღებას უფრო საინტერესო დეტალებზე შევაჩერებთ. გენერალი ტოტლებენის მიერ ბრძოლის ველის მიტოვებას ხშირად იხსენიებენ, მაგრამ არ მახსენდება ვინმეს ხშირად ან თუნდაც იშვიათად ეხსენებინოს,

ასპინძის ბრძოლაში მებრძოლი მხარეები ეთნიკურად და სარწმუნოებრივად ვისგან შედგებოდნენ, სახელდობრ, ვინ მოისურვა ქართველთა ლაშქრის ამოწყვეტა და თვით სახელოვანი მეფის გაწირვა. საქმე ისაა, რომ ქართველთა საპირისპიროდ ძირითად ქართველებივე იდგნენ, ოღონდ გამაჰმადიანებულები, რაც სრულიად დასაბუთებული აქვს შოთა ლომსაძეს წიგნში „სამცხე-ჯავახეთი“: „ეს იყო ძირითადად ახალციხის საფაშოში შეკრებილი ადგილობრივი ლაშქარი, რომელთა უმრავლესობა გამაჰმადიანებული მესხებისა და ლაზებისაგან შედგებოდა“ (გვ. 77), — ასკვნის იგი. საბედნიეროდ, ეს უთანასწორო ბრძოლა, მეფე ერეკლეს გენიალური სამხედრო ნიჭისა და სიმამაცის წყალობით, მეფის ლაშქარმა მოიგო, მაგრამ ვინ დაამარცხა? — ძმები, რომელთაც ძალით თავსმოხვეული რელიგია ეთნიკურ ერთობაზე მაღლა დააყენეს და თავიანთი ჯიშისა და მოდგმის ძმებს, რომელნიც დედასამშობლოში მათ დასაბრუნებლად მზად იყვნენ სიცოცხლე გაეწირათ, სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ.

ეს ფაქტი ხაზგასმით არა მათ მიმართ საყვედურის გამოსახატავად წარმოვადგინეთ, რადგან რელიგიური ფანატიზმით დაბრმავებულებს გააზრებული არ ჰქონდათ ვის ებრძოდნენ, არამედ რათა დღევანდელ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების საფუძვლიანად გაანალიზება შევძლოთ და მწვავე პრობლემათა გადასაჭრელად (მაგ., ე.წ. თურქი მესხების მესხეთში დაბრუნების საკითხი), რაც შეიძლება, სწორი გზა დავსახოთ.

ნაწილი II

წმიდა ილია მართალი, დავით აღმაშენებლის ხსენების დღისათვის დაწერილ წერილში ისტორიის არსსა და მნიშვნელობას მოკლედ, მაგრამ ამომწურავად განმარტავს: „რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც“.[2] მაშასადამე, ისტორიის ფუნქცია მხოლოდ წარსულის შესწავლით არ შემოიფარგლება, წარსულის ანალიტიკური ცოდნა, ერს და ქვეყანას წარსულში ჩადენილი შეცდომების განმეორებისაგან იცავს, რაც შედეგად აუცილებლად მოიტანს უკეთეს მომავალს.

ხალხებს, რომელთაც არ ჰქონიათ ისტორია, ანუ „იმისთანა

[2] i. WavWavaZe, TxzulebaTa sruli krebuli aT tomad, t. IV, Tb., 1955, gv. 179.

ცნობიერი ცხოვრება, რომელიც გამოსახავს ხოლმე სულიერსა და ხორციელს ვინაობას ერთიანის კრებულისას“, წმ. ილია მართალი უბინაო კაცს ადარებს, რომელმაც არ იცის — ვინ არის, რისთვის არის, საიდან მოდის და სად მიდის. ასეთ ხალხებს, რომელნიც დიდად არ განირჩევიან პირუტყვთაგან, ულმობელი კანონი ისტორიისა ვერ დაინდობს, რომელიმე უფრო ძლიერი ისტორიის მქონე ერი გაანადგურებს და შეიწირავს. მაგრამ ამგვარ ხალხებზე დიდად მაღლა არც ის ერი დგას, რომელსაც ისტორია ჰქონდა, მაგრამ დაივიწყა. „აღარც ამისთანა ერსა აქვს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საჭიდაოდ, — წერს იგი წერილში „ერი და ისტორია“, — იმიტომ რომ, რა იყო — ის დავიწყებული აქვს და, მაშასადამე, რა არის — არც ის იცის. არ იცის რა გაიმაგროს, რისთვის გაიწიროს თავი, რას გამოესარჩლოს და რას არა“.[3]

ი. ჭავჭავაძე მისი მშობელი ერის ამ უკანასკნელთა რიგებში ჩადგომის საფრთხეს აშკარად ხედავდა და ამიტომ მრავალ ასპარეზზე თავდაუზოგავად იბრძოდა ქართველი ერის ისტორიული მეხსიერების გამოღვიძებისა და შენარჩუნებისათვის. დღეს, გლობალიზაციისა და ტექნოლოგიურ საშუალებათა არნახული განვითარების პირობებში, საფრთხე ისტორიული წარსულის დავიწყებისა, რაც ერს არსებობის გასაგრძელებლად ბრძოლისათვის ღონეს სრულიად აცლის და იმის მიმართ ვინ იქნება მომავალში, ინდიფერენტულად განაწყობს, ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ის ილია ჭავჭავაძის დროს იყო.

ასე რომ, ე. წ. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავგამოდებული მცდელობა არა მხოლოდ მსოფლიო, არამედ თვით ქართველი ხალხიც კი დაერწმუნებინა იმაში, რომ მისი ისტორია „ვარდების რევოლუციისგან“ იწყებოდა, არც მხოლოდ უვიცობითა და არც მხოლოდ თავქარიანობით იყო გამოწვეული; მას უფრო ღრმა და საფუძვლიანი მიზეზი ჰქონდა: მეხსიერებიდან ისტორიული წარსულის აღმოფხვრით ერის „სულითა და ხორცით“ მოშლა, დარღვევა და ბოლოს სულ გაქრობა

სამწუხაროდ, ე. წ. ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდიდან — წინა საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული მხოლოდ იმის მოწმენი ვართ, რომ სამოქმედო ასპარეზე გამოსულ არცერთ პოლიტიკურ ძალას არ გამოუმჟღავნებია ჩვენი ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა, რასაც ნათლად ამოწმებენ მათ მიერ წარმოდგენილი პროგრამები; არცერთი მათგანი არ ეყრდნობა და არ ითვალ-

[3] იქვე, გვ. 201.

ისწინებს ქართველი ერის არსებობის ხანგრძლივ ისტორიას და მის განმავლობაში შეძენილ გამოცდილებას. ისინი ტყუპის ცალებივით ისე ჰგვანან ერთმანეთს, გაგიკვირდება, რა საჭიროა ქვეყანაში ამდენი პარტიის არსებობა, როცა სამოქმედო პროგრამები ერთმანეთს თითქმის ზუსტად იმეორებენ. მაგრამ მიზეზი მათ არსებობასაც აქვს: ჩვენთვის დამახასიათებელი ამპარტავნობა საუკეთესო საშუალება გამოდგა ფასადური დემოკრატიის შესაქმნელად, თორემ სინამდვილეში რა დემოკრატიაც არსებობს, მაშინვე ჩნდება, როგორც კი ვინმე გაბედავს და ქვეყნის გადასარჩენად იმ გზას და საშუალებებს დასახავს, რომელიც სავალდებულოდ ქცეულ საყოველთაო პროგრამაში წარმოდგენილ გზასა და საშუალებებს არ ემთხვევა; იგი მყისვე ხდება ყველა ტელე-რადიო არხისა და ჟურნალ-გაზეთების მხრიდან ხმაშეწყობილი ლანძღვისა და თავდასხმის ობიექტი და თანაც, რაც მთავარია, სამშობლოსა და ქართველი ხალხის ღალატის ბრალდებით, ხალხისა, რომლის არსებობაც მხოლოდ ამგვარ შემთხვევებსა და არჩევნების ჟამს ახსენდებათ.

წინა წერილში „სამცხე-ჯავახეთის საათაბაგო XIX საუკუნის პირველ ნახევარში“[4], მოკლედ გადმოვეცით ის მიზეზები, რომელმაც ისტორიული მესხეთი დაგვაკარგვინა და „ოსმალოს საქართველოდ“ აქცია. გავიხსენეთ, აგრეთვე, მეფე ერეკლეს მცდელობანი მისი დაბრუნებისათვის, რასაც მართალია, თავად დიდი მეფე ვერ მოესწრო, მაგრამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქეთის ტყვეობიდან გამოხსნა და შემოერთება სწორედ იმ გზით მოხდა, რომელიც მან აირჩია.

როცა ერეკლეს მიერ 1783 წელს რუსეთთან დადებულ ტრაქტატსა და მის შედეგებს განვიხილავთ, ჩვეულებრივ, მხოლოდ საქართველოში მეფობის გაუქმებასა და ქართული სახელმწიფოს მოშლას ვიხსენებთ, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვიქნებით ობიექტურნი, თუ ამავდროულად ისიც არ გავიხსენეთ, როგორ მოხდა სამცხე-საათაბაგოს დაბრუნება და რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ფაქტს არა მხოლოდ მისი, არამედ საერთოდ საქართველოს გადარჩენისთვის.

1802 წლის 16 აპრილს, ოთხი დღის შემდეგ საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ იმპერატორი ალექსანდრე I-ის მიერ ხელმოწერილი მანიფასტის სიონში წაკითხვიდან, მთავარმართებელმა გენერალმა კნორინგმა ახალციხის გამგებელს, შერიფ-ფაშას შეატყობინა, რომ ამიერიდან მისი მეზობელი ქვეყანა არა ქართლ-

[4] `sami saunje~, №3, 2013

კახეთის სამეფო, არამედ რუსეთი იქნებოდა. მანიფესტში აღნიშნული იყო, რომ ალექსანდრე მეფე ვალდებულებად იღებდა ქვეყანაში მშვიდობის დამყარებასა და მის დაცვას გარეშე მტრების თავდასხმებისაგან. მიუხედავად ამისა, ყოველდღიური თავდასხმებით გაწამებულ ქვეყანაში დიდი ხნის ნანატრი მშვიდობის დამყარება კიდევ კარგა ხანს ვერ მოხერხდა. არც თურქები და არც მათი მოკავშირე ლეკები არ აპირებდნენ დათმობას შემოსავლის იმ წყაროსი, რომელიც მათ მრავალი წლის განმავლობაში ქართული სოფლების რბევა-აწიოკებითა და გატაცებული ტყვეების გაყიდვით ჰქონდათ. საქართველოს ახალი მმართველობის გაფრთხილება საფაშოს მიმართ და კონსტანტინეპოლში რუსეთის ელჩის იტალინსკის მრავალგზისი თხოვნა, შეწყვეტილიყო თავდასხმები ახალციხის მხრიდან, ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა რჩებოდა. ლეკთა განუწყვეტელი შემოსევებისაგან ქართლ-კახეთში ყოველწლიურად სამასამდე კომლი ან ნადგურდებოდა, ან ახალციხეში ტყვეებად იყიდებოდა. ხშირად მათ ბედს რუსი ჯარისკაცებიც იზიარებდნენ. ტყუოდა შერიფ-ფაშა, როცა თავს იმართლებდა, რომ ლეკები არაფერს ეკითხებოდნენ; სიმართლე ის იყო, რომ მას, ისევე როგორც მის წინამორბედებს, ლეკთა რაზმები მოკავშირეებად ეგულებოდათ. 1802 წლის აგვისტოში ახალციხეში ოთხი ათასი ლეკი იყო (!), რომელთაც ფაშა ხელფასს უხდიდა (დღეში ერთ ყურუშს).

ლეკი აბრაგები ახალციხიდან ქართლში შემოსაჭრელად სექტემბერში ემზადებოდნენ. რუსეთის სარდლობამ მათთვის გზის გადაკეტვა გადაწყვიტა. გენერალი ლაზარევი ორი ბატალიონით, 75 კაზაკითა და ორასი ქართველით საზღვართან მივიდა და შერიფ-ფაშას შეუთვალა, თუ ლეკების განდევნაში არ მიეშველებოდა, თავშესაფარს მაინც ნუ მისცემდა მათ. ვიდრე იგი პასუხს ელოდებოდა, 600 ლეკი 12 სექტემბერს ფარულად დაესხა ღამით თავს სოფელ აღაიანს, ხოლო 23 სექტემბერს სოფელ კავთისხევს და გატაცებული ტყვეებითა და საქონლით ახალციხეს მიაშურა.

ამ ფაქტების გაცნობის შემდეგ ძნელია გაიზიარო ის აღტაცება, რომელსაც ჩვენი ისტორიკოსები და მათგან განსწავლული საზოგადოება იმ ბატონიშვილების მიმართ გამოხატავენ, რომელთაც რუსეთის მართლმადიდებლური იმპერიის ქვეშევრდომობას ლეკების, თურქებისა და ირანელების მფარველობითა და დახმარებით ტახტისთვის ბრძოლა ამჯობინეს.

რადგან ლაზარევმა და კნორინგმა ქრისტიანული მოსახლეობის მშვიდობიანი ცხოვრება ვერ უზრუნველყვეს, ალექსანდრე პირველ-

მა საქართველოში მთავარმართებლად გარუსებული ქართველი, პავლე ციციანოვი გამოგზავნა. ციციანოვმა სტრატეგია შეცვალა და ბრძოლის დაწყება ჭარ-ბელაქნიდან გადაწყვიტა, რომელიც იმ ბუდედ იყო გადაქცეული, საიდანაც ლეკები ქართული სოფლების ასაწიოკებლად მოდიოდნენ, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა; როცა იგი ჭარ-ბელაქანსა და განჯას უტევდა, ლეკი აბრაგები ქართლს ჯავახეთიდან შემოესივნენ, სოფლებს მოედვნენ და გაანადგურეს. მაშინ ციციანოვმა პეტერბურგს ლეკების თვით ახალციხის საფაშოში დევნის უფლება სთხოვა და მიიღო კიდეც, ოღონდ იმ პირობით, რომ ყოველი ასეთი შემთხვევის შესახებ კონსტანტინეპოლში რუსეთის ელჩს აცნობებდა. ამან შედეგი მართლაც გამოიღო. 600 განიარაღებული ლეკი პირობისამებრ უვნებლად გაატარეს ახალციხიდან დაღესტანში გადასასვლელად.

31 ივლისს გენერალი დ. ორბელიანი, რომელსაც ლეკების საქართველოდან განდევნა ჰქონდა დავალებული, სამი ასეულით, 135 კაზაკით, მოხალისეებითა და 14 ზარბაზნით ახალციხის საფაშოს საზღვრებს მიადგა. პირველ ივლისს საზღვარი გადალახა და ტაბაწყურში დაბანაკდა, საიდანაც კაცი გაუგზავნა ფაშას და შესთავაზა, რომ ისიც შეერთებოდა თავისი ჯარით და ლეკების წინააღმდეგ ერთად ემოქმედათ. შეშინებულმა ფაშამ თანხმობა განაცხადა, ოღონდ იმ პირობით, თუ რუსეთის არმია თავის საზღვრებში დაიხევდა.[5] როცა რუსებმა წაყენებული მოთხოვნა შეასრულეს, რაჯაბ ფაშა და სელიმ ხიმშიაშვილი ერთი პირობა მართლაც დევნიდნენ ლეკებს და შედეგიც ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე წინა წლებში. 1803 წლის იანვრიდან ივნისამდე ტყვედ მხოლოდ ოცი კაცი იქნა გატაცებული.

მტრებისათვის გათამამების საშუალება რომ არ მიეცა, ციციანოვი საზღვარზე პატარა დარღვევასაც კი არ ტოვებდა უყურადღებოდ. 1804 წლის აპრილს იგი ახალციხის ფაშას, სელიმ ხიმშიაშვილს სწერდა: 7 აპრილს შემატყობინეს, რომ ატენის ხეობაში ცხრა შეიარაღებული ლეკი შეიჭრა, ორი მწყემსი დაატყვევა და ახალციხეში გადმოიყვანა. იძულებული ვარ გითხრათ: თქვენი ამდენი დაპირების შემდეგ, ამას არ მოველოდი. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სიტყვით ერთგულებას გვეფიცებით, საქმით კი გვმტრობთო. გთხოვთ, ის ორი კაცი მომიძებნოთ და წერილის მომტან კაცს გამოატანოთო. ფაშამ მართლაც მოძებნა ისინი და უკან დააბრუნა. ეს უკვე დიდი წარმატება იყო.

[5] **Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. IV, стр. 130, Петербург, 1886.**

1804 წლის 30 აპრილს ციციანოვი ხიმშიაშვილს ოფიციალურად აცნობებდა, რომ იმერეთი და გურია რუსეთის მფარველობაში შევიდნენ და ფაშებს იქ ტყვეების შესყიდვა ეკრძალებოდათ. მთავარმართებელი ცდილობდა, გამაჰმადიანებულ ქართველზე გავლენა ადამიანური ურთერთობებითაც მოეხდინა და ამ გზით კეთილი საქმეებისათვის წაექეზებინა. მაგალითად, როცა სელიმმა ლეკი აბრაგების მიერ სოფელ ქვეშედან გატაცებული ტყვეები მონახა და დააბრუნა, მადლობა გულწრფელად შეუთვალა. მაგრამ კეთილი საქმის სამსახურში მუდმივად ჩადგომის საშუალებას ფაშას თავისი მდგომარეობა არ აძლევდა, თურქეთის ცენტრალურ ხელისუფლებას, ვისაც იგი ემორჩილებოდა და ემსახურებოდა, ახალციხეში ლეკთა რაზმების ყოფნა ხელს აძლევდა, რადგან ეს საშუალებას აძლევდა, ამ საზღვრისპირა რეგიონში სამხედრო ძალები თვითონ აღარ გამოეგზავნა. გარდა ამისა, ლეკთა თარეშს ქართულ სოფლებში სელიმ ფაშა თუნდაც იმ მიზეზითაც ვერ აკრძალავდა, რომ ამ გზით მათი შესანახი თანხების გაღებისაგან თავისუფლდებოდა.

ციციანოვმა მიზანს, რომელიც მთავარმართებლად დანიშვნისთანავე დაისახა და რომელიც ახალციხის საფაშოს, როგორც უძველესი ქართული მიწა-წყლის დიპლომატიური გზით შემოერთებას გულისხმობდა, ვერ მიაღწია; ვერც მიაღწევდა, რადგან ამისთვის ადგილობრივი მმართველობისა და მოსახლეობის მხარდაჭერა იყო აუცილებელი, რისი სურვილიც არც გადაგვარებულ დიდკაცობას გამოუჩენია და არც გამაჰმადიანებულ დაბალ ფენას, რომლის უმეტესობას უკვე დავიწყებული ჰქონდა, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოება მტრებმა ტანჯვა-წამების და სიცოცხლის შენარჩუნების ფასად დაათმობინეს. ისლამური რელიგიისათვის დამახასიათებელი ფანატიზმით შეპყრობილნი მის დასაცავად მზად იყვნენ თანამოძმეებსაც კი შებმოდნენ. ამის ნათელი დადასტურება იყო ასპინძის ბრძოლა, სადაც მაჰმადიანმა მესხებმა მთელი საქართველოსთვის სათაყვანებელი მეფე ერეკლე ალყაში მოაქციეს და სასიკვდილოდ გაწირეს. საბედნიეროდ, ამ საშინელი ცოდვის ჩადენისაგან ისინი თვითონ მეფე ერეკლემ იხსნა გენიალური სამხედრო ნიჭის წყალობით, როცა ეს უიმედო ბრძოლა მოიგო. უფრო სამართლიანი და ტაქტით აღსავსე შეფასება ამ ბრძოლისა, ვიდრე ეს სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მკვლევარმა შოთა ლომსაძემ გააკეთა, შეუძლებელია: „ეთნიკური იერით იგი ქართველების ომს ჰგავდა, პოლიტიკური თვალსაზრისით კი — ორ სხვადასხვა სახელმწიფოსა და ორ რელიგიას შორის ბრძოლას. მართალია, მესხი მაჰმადიანები

საკუთარ ქვეყანაში იბრძოდნენ თავიანთი ქართველი მოძმეების წინააღმდეგ, მაგრამ მათი მხრიდან ეს მაინც უსამართლო ბრძოლა იყო, რადგან მათგან დამოუკიდებლად, მათი ქმედება მიმართული იყო მესხეთის საბოლოო გადაგვარების, უძველესი კულტურის მოსპობის, ქართული სარწმუნოებისა და ენის მოსპობისაკენ, რეალურად მესხეთის კულტურის, ენის, სარწმუნოების ნამდვილ დამცველად და ერთადერთ მემკვიდრედ ქართლ-კახეთის სამეფო, ამ შემთხვევაში ერეკლე გამოდიოდა და ამ თვალსაზრისით ქვეყანაც მისი იყო“[6].

საქმეს ართულებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების დამოკიდებულებაც რუსეთთან. ჯერ კიდევ 1796 წლის აგვისტოში საფრანგეთის მთავრობამ თურქეთში გაგზავნა მისია ოლივერის ხელმძღვანელობით. მისიის მიზანი იყო თურქეთის წაქეზება რუსეთთან ომის დაწყებისათვის, მაგრამ ამჯერად იგი უშედეგო გამოდგა. ოლივერი ახალციხესაც სტუმრობდა. რამდენიმე წლის შემდეგ კონსტანტინეპოლში ნაპოლეონის წარმომადგენელი სებასტიანი ჩავიდა, რომელმაც სულთანი სელიმი დაარწმუნა, რომ თუ რუსეთთან ომს დაიწყებდა, საფრანგეთი მხარს მას დაუჭერდა და დაკარგულ ყირიმს დაიბრუნებდა. ამ დაპირებებითა და ნაპოლეონის სამხედრო წარმატებებით გულმოცემულმა თურქეთმა ომის დაწყება გადაწყვიტა. იგი 1806 წლის 18 დეკემბერს დაიწყო. გაიხსნა ორი ფრონტი: ევროპასა და კავკასიაში. კავკასიის ფრონტზე მებრძოლი რუსეთის ორი დივიზიის მთავარსარდლად გენერალი გუდოვიჩი დაინიშნა. მთავარი ბრძოლა ახალქალაქთან გაიმართა. რადგან ციხის კომენდანტმა, სელიმ ხიმშიაშვილის ძმისშვილმა უბრძოლველად დანებების წინადადება არ მიიღო, ციხის აღება იერიშის გზით გადაწყდა, რომელიც 8 მაისს დაიწყო. მართალია, მამაცმა სალდათებმა ერთი კოშკის აღება შეძლეს და მტრის ზარბაზანიც ჩაიგდეს ხელში, მაგრამ რადგან დახმარება ვერ მიიღეს, მტრებმა შეავიწროვეს და კოშკიანად ააფეთქეს. ახალქალაქთან განცდილი მარცხის შემდეგ, კავკასიის კორპუსმა უკან დაიხია. სელიმ ხიმშიაშვილი ბრძოლით მიჰყვა მას განძამდე (ფარავნის ტბასთან), სადაც წინააღმდეგობა გენერალ პორტნიაგინის ნაწილებმა გაუწიეს და დაამარცხეს.

ბუნებრივია, მოვლენათა ასე განვითარების გამო, დროებით ზავში, რომელიც 1807 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის უზუნკალიშში დაიდო, სამცხე-ჯავახეთის შემოერთების საკითხი ნახსენებიც კი არ იყო.

[6] შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი. თბ., 1975, გვ. 78.

კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი გუდოვიჩი ბევრად უფრო ენერგიულმა ტორმასოვმა შეცვალა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთებისათვის ზრუნვა მან ფოთით დაიწყო, რომელიც ახალციხის მსგავსად ტყვეთა სყიდვის ბაზრად იყო ქცეული. ფარული მოლაპარაკება აფხაზეთის მთავართა სახლის შვილთან, ქუჩუკ ბეი შერვაშიძესთან, რომელიც ქალაქს განაგებდა, ფოთის მშვიდობიანი გზით გადმოცემის შესახებ, უშედეგოდ დამთავრდა, ამიტომ 1809 წლის 15 ნოემბერს იგი ბრძოლით იქნა აღებული. ამის შემდეგ ტორმასოვი შეეცადა, ახალციხის ფაშა სელიმ ხიმშიაშვილი რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლაზე დაეთანხმებინა, რისთვისაც ტრაქტატიც კი შეადგინა, რომლის მიხედვითაც, მართალია, ახალციხეში რუსეთის გარნიზონი ჩადგებოდა, მაგრამ ფაშას უფლებები და შემოსავალი შეუნარჩუნდებოდა და გენერალ-ლეიტენანტის ჩინს მიიღებდა. სელიმი გამოკვეთილად არც თანხმობას აცხადებდა და არც უარს, რაც მოლაპარაკებას აჭიანურებდა. ამასობაში, 1809 წლის ბოლოს, იგი ტახტიდან შერიფ-ფაშამ (ჯაყელმა) ჩამოაგდო. გაქცეულმა სელიმმა თავი აჭარას შეაფარა. ტორმასოვმა მოლაპარაკება შერიფთან გააგრძელა, მაგრამ მისი წინამორბედის მსგავსად, გადაწყვეტილების მიღებას არც ის ჩქარობდა. ამასობაში ახალციხეში იმერეთის მეფე სოლომონი, ქართლ-კახეთის ტახტის მაძიებელნი — ალექსანდრე და ლევან იულონის ძე ბატონიშვილები ჩავიდნენ. მათი ჩასვლით, რამდენადაც ისინი მზად იყვნენ კავკასიიდან რუსეთის გასაძევებლად კავშირი თურქებთან შეეკრათ, შერიფ-ფაშას გული მოეცა; ან რატომღა უნდა მოესურვებინა რუსეთის მფარველობაში შესვლა და მისი მორჩილება, როცა ქართულ სამეფოთა ტახტის მემკვიდრენი, ოსმალეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომობას იქით ჰპირდებოდნენ, თუკი მისი დახმარებით საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდოდნენ.

ახალციხეში ჩავიდნენ დაღესტნელი ფეოდალები, ფაშას ხშირად სტუმრობდნენ ირანის შაჰის წარმომადგენლებიც. ასე რომ, ახალციხე კავკასიაში რუსთა წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად იქცა. ამ ბრძოლაში რუსეთი რომ მართლაც დამარცხებულიყო და კავკასიიდან გასულიყო, მაჰმადიანური ქვეყნებისა და ხალხებისაგან ყოველმხრივ ალყაში მოქცეულ საქართველოს, ისედაც ტერიტორიებწაგლეჯილსა და დაპატარავებულს, და ფიზიკური განადგურების პირამდე მისულ ერთ მუჭა ქართველობას სრული გაქრობა და გადაგვარება ელოდებოდა და, სამწუხაროდ, ამაში დიდი წვლილი ექნებოდა შეტანილი ტახტისა და ხელისუფლების

მაძიებელ ქართველ ბატონიშვილებსა და მათ მხარდამჭერ ქართველ ფეოდალებსაც.

როგორც ვნახეთ, უმნიშვნელო როლი მათ არც ახალციხის საფაშოს მშვიდობიანი გზით შემოერთებისათვის გამართულ მოლაპარაკების ჩაშლაში შეუსრულებიათ, რის შემდეგაც საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის დასაბრუნებლად რუსეთს მხოლოდ ბრძოლის გზაღა რჩებოდა, მაგრამ ბრძოლა ერთდროულად ორ ფრონტზე: თურქეთთან და ირანთან ძნელი იყო; ამიტომ რუსეთი ირანთან ზავის დადებას შეეცადა. ზავის პირობებზე მოლაპარაკება 1809 წელს დაიწყო, მაგრამ ისიც ჩაიშალა, ამჯერად ინგლისის ზემოქმედების შედეგად. იგი არწმუნებდა აბას მირზას, რომ თუკი რუსეთთან ზავის დადების ნაცვლად მის წინააღმდეგ თურქეთთან ერთად გამოვიდოდა, გამარჯვების შემთხვევაში (და მისი მიღწევისათვის თვითონ ფინანსურსა და დიპლომატიურ დახმარებას ჰპირდებოდა), მას საბატონოდ აღმოსავლეთ საქართველო დარჩებოდა, ხოლო თურქეთს — დასავლეთი. მოკავშირეებმა დაღესტნელი ფეოდალების გააქტიურებისა და ოსების მისამხრობადაც იზრუნეს. მთავარი მოქმედი პირები უნდა ყოფილიყვნენ ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილი და იმერეთის ემიგრანტი მეფე სოლომონ II. მათი მონაწილეობა თურქეთსა და ირანს, ისევე როგორც მათ ზურგს უკან მდგარ ინგლისს, საშუალებას აძლევდა ნამდვილი მიზანი დაეფარათ და ქართველი ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად საქმე ისე წარმოედგინათ, რომ თითქოს საქართველოში მეფობის გაუქმებით აღშფოთებულნი რუსეთის სამართლიანობის აღდგენისათვის ებრძოდნენ. ალექსანდრე ბატონიშვილი ქართველი თავადაზნაურობისა და ეკლესიისადმი მიწერილ მიმართვაში წერდა, რომ საქართველოში მოდიოდა და მოჰქონდა „სამთა ძლიერთა და დიდთა ხელმწიფეთა ძალი და **ხაზინა** სრულიად ირანისა, ოსმანთა და ინგლისისა, გამოხსნად თქუენდა ხელთაგან უცხოთასა“ (Акты, т. IV, გვ. 127) [7].

შეუძლებელია ალექსანდრე ბატონიშვილს არ სცოდნოდა, რომ საქართველოსთან იდეოლოგიურად დაპირისპირებული უცხო ქვეყნების ძალითა და ფულით ქვეყანას თავისუფლების მოპოვების ნაცვლად ერთმორწმუნე რუსეთის ქვეშევრდომობიდან ირან-თურქეთის მონობაში ჩააგდებდა, ხოლო მათი ბატონობა ქართველ ხალხს რასაც მოუტანდა, ამის მაგალითი თვალწინ ჰქონდა; გამაჰმადიანებული მესხეთი, რომელსაც სარწმუნოებასთან ერთად ეროვნული თვითშეგნებაც დაკარგული ჰქონდა და იმ დიდებული კულტურისა-

[7] მოტანილია შ. ლომსაძის დასახელებული წიგნიდან.

განაც გაუცხოებული იყო, რომელიც მისი ქრისტიანი წინაპრების დახვეწილი გემოვნებითა და მაღალი ოსტატობით იყო შექმნილი.

მომდევნო 1809 წლის 28 სექტემბერს მიწერილ წერილში ალექსანდრე ბატონიშვილი ირწმუნებოდა, რომ შაჰისა და მის მოკავშირეთა ძლიერი ლაშქარი 1810 წლის მარტში თბილისში შევიდოდა[8]. როგორ შეიძლება ვიფიქროთ, რომ თუნდაც ისტორიული გამოცდილების, ქართლ-კახეთის უახლესი წარსულისა და მისი იმჟამიდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ბატონიშვილს არ სცოდნოდა, რა შედეგი მოჰყვებოდა საქართველოში მაჰმადიანთა კოალიციური ჯარის შესვლას მათგან მრავალგზის აწიოკებული ქართლის სოფლების მცხოვრებთა და თბილისის მოსახლეობისათვის, მაგრამ, როგორც ჩანს, სამეფო ტახტზე ასვლის ვნებით შეპყრობილს, თანამემამულეთა ბედზე დაფიქრების არც ძალა და არც სურვილი არ ჰქონდა. სამწუხაროდ, ალექსანდრე ბატონიშვილი თავისი მეფური წარმომავლობისა და იმის გამო, რომ საკუთარ დიდებისმოყვარეობას სამშობლოს განთავისუფლებისათვის უშიშარი მებრძოლის ნიღბით მოსავდა, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც ქართლ-კახეთის, ისე ლეკ ფეოდალთა შორის.

იგივე ითქმის სოლომონ II-ის შესახებაც, რომელიც სამეფო გვირგვინის დაკარგვამ ისე გაამწარა, რომ მისი ქვეყნის დაუძინებელ მტრებს დაუკავშირდა. ახალციხეში გადახვეწილმა სოლომონმა 1810 წლის იმერეთის აჯანყების თავის სასარგებლოდ გამოყენება მოინდომა და ქვეყანაში საფაშოს ჯარით შეიჭრა. 21 ივლისს საქართველოს საზღვრებს ირანის ჯარი მოადგა ერევნის ხანის ჰუსეინ-ყულის სარდლობით და საფაშოსკენ დაიძრა. გზადაგზა მას თურქმანული ტომები, ყარს-ახალქალაქის მხარეში ჩასახლებული ყარაფახელები (თარაქამები) შეუერთდნენ და ახალქალაქს ათიათასი კაცი მიადგა. ერევნის ხანი ახალქალაქში ალექსანდრე ბატონიშვილს შეხვდა, მას თან ჰქონდა მოტანილი დიდძალი ფული ჯაშუშობისა და დივერსიისათვის ქართველი ხალხის მისამხრობად და ასაჯანყებლად.[9]

შექმნილი მძიმე ვითარებიდან, რომლის შედეგებიც ქართველი ხალხის ბედზე ბევრად უფრო ტრაგიკულად აისახებოდა, ვიდრე რუსეთისა, ჩვენი ქვეყანა გენერალ-მაიორის მარკიზ პაულიჩის სამხედრო ნიჭმა და რუსი სალდათების გამბედაობამ და სიმამაცემ იხსნა. გენერალ-მაიორმა რუსთა გაძლიერებული რაზმები ახალქა-

[8] იქვე, გვ. 128.

[9] იქვე, გვ. 113.

ლაქის ციხემდე შეუმჩნევლად მიიყვანა და ღამით იერიშით აიღო. ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით, რუსებმა „აოტნეს სპარსნი, თურქნი და ლეკნი ვიდრე თექვსმეტი ათას კაცამდე“.[10]

მდგომარეობა რუსეთის სასარგებლოდ კიდევ უფრო საიმედო გახადა 1810 წლის ივლისში სოხუმის განთავისუფლებამ, რომელიც რუსებმა 18-საათიანი მძიმე ბრძოლის შედეგად აიღეს. „მამის მკვლელი ასლან ბეგ სირცხვილეული წავიდა ჯიქეთს“ და აფხაზეთის მთავარი ქრისტიანი გიორგი შერვაშიძე გახდა.[11] სოხუმის აღება იმას ნიშნავდა, რომ რუსეთი თურქეთის ბატონობას ბოლოს არა მხოლოდ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, არამედ კავკასიაშიც უღებდა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ამ ფაქტს აფხაზეთის ქრისტიანი ქართველებისა და საერთოდ საქრისტიანო საქართველოსთვის.

მაგრამ ბრძოლის ბოლომდე მისაყვანად აუცილებელი იყო კავკასიაში თურქეთის მთავარი დასაყრდენის — ახალციხის გათავისუფლება. მის ასაღებად ტორმასოვმა შეადგინა გეგმა, რომლის მიხედვითაც ქალაქისკენ სამხედრო ნაწილები სამი მხრიდან უნდა დაეძრათ: გენერალი პორტნიაგინი წალკა-ჯავახეთის გზით წავიდოდა, გენერალი სიმონოვიჩი იმერეთიდან ზეკარის უღელტეხილით გადმოვიდოდა, ხოლო მთავარი ნაწილი, რომელსაც სათავეში ბარონ როზენთან ერთად თავად მთავარსარდალი ტორმასოვიც ედგა, ახალციხეს ბორჯომის გზით მიუახლოვდებოდა. ახალციხის ასაღებად ბრძოლაში მონაწილეობა უნდა მიეღო ქართული მილიციის ორ ბრიგადას — კონსტანტინე ბაგრატიონისა და ვახტანგ ორბელიანის მეთაურობით. სიმონოვიჩს გურია-სამეგრელოდან რაზმების გამოყვანის ორგანიზაცია დაევალა. იმედი ჰქონდათ, აგრეთვე, სელიმ ხიმშიაშვილისა, რომელიც რუსთა მხარეზე თავისი ლაშქრით უნდა გადმოსულიყო, მაგრამ მან თავისი დაპირება არ შეასრულა და მიუსვლელობის მიზეზად უქეიფობა დაასახელა.

25 ოქტომბერს ტორმასოვმა ახალციხის საფაშოს მოსახლეობას პროკლამაციით მიმართა. მასში განმარტებული იყო ბრძოლის მიზანი, კერძოდ, საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის განთავისუფლება და რეგიონში წესრიგის დამყარება. მთავარსარდალი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მიდიოდა არა მოსახლეობის დასარბევად და ასაწიოკებლად, არამედ შერიფ ფაშას დასასჯელად, რომელმაც სიტყვა გატეხა, მშვიდობა დაარღვია და ქვეყანაში ირანის ჯარი შემოიყვანა.

[10] ბაგრატ ბატონიშვილი, „ახალი მოთხრობა“, გვ. 113.

[11] ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 202.

14 ნოემბერს წალკა-ჯავახეთის გზით, მცირე წინააღმდეგობათა გადალახვის შემდეგ, ახალციხეს გენერალი პორტნიაგინი და ქართლის მილიცია მიადგა. დიდთოვლობის მიუხედავად, ზეკარის უღელტეხილი სიმონოვიჩმაც გადმოლახა, რომელსაც თან მეგრელები, აფხაზნი და ლეჩხუმელნი ახლდნენ ლევან დადიანთან ერთად. უღელტეხილის გადალახვისთანავე მაჭას წყალთან მათ ლეკ-ოსმალთა ორიათასკაციანი ჩასაფრებული ჯარი დაამარცხეს და 12 ნოემბერს ახალციხესთან მივიდნენ.

აღსანიშნავია, რომ რუსთა სამხედრო ნაწილებს ახალციხისკენ მოძრაობა დიდი სირთულეების გადალახვით უხდებოდა. გზების უვარგისობისა და ხიდების არარსებობის გამო, ისინი იძულებულნი ხდებოდნენ, დრო და ენერგია გზების შეკეთებისა და ხიდების ასაგებადაც დაეხარჯათ. ბორჯომის გზით მიმავალმა მთავარმა ნაწილმა გზადაგზა ლეკებისა და თურქებისაგან სადგერისა და აწყურის ციხეები გაწმინდა, შემხვედრი რაზმებიც დაამარცხა, 19 ნოემბერს კი ყაია-ფაშას სიმაღლეც აიღო, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ახალციხის დასაკავებლად.

26 ნოემბერს, მაშინ, როცა „რუსთა გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა“[12], ტორმასოვი იძულებული გახდა, ალყა მოეხსნა შავი ჭირის გამო, რომელიც ახალციხეში უკვე ათი დღე იყო, რაც მძვინვარებდა და ქართულ მილიციასა და რეგულარულ ჯარშიც იჩინა თავი, რასაც შედეგად შეიძლებოდა მთელი სამხედრო კორპუსის განადგურება მოჰყოლოდა. შავმა ჭირმა იმსხვერპლა საქართველოს უკანასკნელი კანცლერი სოლომონ ლიონიძე და პატრი ნიკოლა, რომელნიც სოლომონ მეორესთან ერთად ახალციხეში ქუთაისიდან გადმოიხვეწნენ. ალყის მოხსნის შემდეგ სოლომონი, რომელმაც საბრძოლო ოპერაციების დაწყებისას ახალციხე დატოვა და არტაანის გზით ერევანში გადავიდა, ისევ ახალციხეში დაბრუნდა.

ნაწილი III

მას შემდეგ, რაც რუსეთის არმიამ 1809 წლის 15 ნოემბერს თურქებს ფოთი წაართვა, ხოლო 1810 წლის ივლისში — სოხუმი[13], თურქეთის ბატონობას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე

[12] შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 136.

[13] იხ. სამი საუნჯე, №1, 2014.

ბოლო მოეღო, რის შერიგებასაც იგი, რა თქმა უნდა, არ აპირებდა. ამ მხარის დასაბრუნებლად თურქებმა გეგმა შეადგინეს, რომლის განხორციელებაშიც მნიშვნელოვანი როლი იმერეთის ლტოლვილ მეფეს — სოლომონ მეორეს უნდა შეესრულებინა, რომელიც ამ დროს ახალციხის ფაშასთან იმყოფებოდა. გეგმის მიხედვით, უფრო აქტიური დახმარება უნდა გაეწიათ სოლომონისთვის და თურქეთის მფარველობაში „აღედგინათ“ იმერეთის სამეფო. რა თქმა უნდა, დიდი გონიერება არ სჭირდებოდა იმის გამოცნობას, რომ „აღდგენილ“ სამეფოს დიდი დღე არ ეწერა, როგორც კი რუსებს საქართველოდან განდევნიდნენ, თურქეთი ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნულ-სარწმუნოებრივი გადაგვარებისთვის აგრესიულ პოლიტიკას ძველებურად გაატარებდა. სოლომონის იმერეთის ტახტზე დაბრუნებით, თურქეთი რუსეთის ყურადღების იმერეთზე გადატანას ცდილობდა, რაც ახალციხის საფაშოს, როგორც საქართველოზე თავდასხმების ბაზას, ამოსუნთქვის საშუალებასა და გადამწყვეტი ბრძოლისათვის უკეთ მომზადების საშუალებას მისცემდა.

მიზნის მისაღწევად, ერთიან ლაშქრობაზე არზრუმისა და ტრაპიზონის სერასკირები ემინ ფაშა და სულეიმან ხაზინადარ ოღლი და ახალციხის ფაშა შერიფი შეთანხმდნენ. ზღვისპირეთის დაბრუნება სულეიმან ხაზინადარ ოღლის დაევალა, რომელიც, მართალია, ძველი ქართული ფეოდალური გვარის შთამომავალი იყო, მაგრამ სარწმუნოებაგამოცვლილისთვის მოდგმა და ჯიში არაფერს ნიშნავდა. ლაშქრობის დაწყებას იგი მხოლოდ იმ მიზეზით აგვიანებდა, რომ დარწმუნებული არ იყო იმაში, სელიმ ფაშა ხიმშიაშვილი და გურიელი ბრძოლაში ვის დაუჭერენ მხარს: რუსებსა და სამშობლოს გადარჩენისათვის მებრძოლ ქართველობას, თუ სასტიკ დამპყრობელ თურქეთს.

1811 წლის 18 მარტს ემინ ფაშამ და ხაზინადარ ოღლიმ მამია გურიელთან იუსუფ გეგიძე გააგზავნეს წერილებით. წერილებში მას ატყობინებდნენ, რომ საქართველოში „სულთანის მიწების გამოსახსნელად“ (?!) დიდი ლაშქრობა იწყებოდა, რომლის დროსაც არზრუმის სერასკირი თბილისისკენ 100.000 კაცით გაემართებოდა, ტრაპიზონისა — დასავლეთ საქართველოში 80.000 კაცით შევიდოდა; ბრძოლაში მონაწილეობას ახალციხის ფაშაც მიიღებდა. სერასკირები ცდილობდნენ, გურიელი თურქების უცილობელ გამარჯვებაში დაერწმუნებინათ, რათა მას ყოყმანი დაეთმო და თავის გადასარჩენად გამარჯვებულის მხარე თავიდანვე დაეჭირა.

მანამდე, 1811 წლის ზამთარში, მთავარმართებელმა მარკიზ პა-

ულიჩმა, რადგან ოსმალეთის ჯარები მოქმედების დაწყებას აყოვნებდნენ, ახალქალაქის აღება გადაწყვიტა, რაც მამაც პოლკოვნიკს კოტლიარევსკის დაევალა. კოტლიარევსკიმ ქართველ გრენადერთა პოლკის ორი ბატალიონითა და 100 კაზაკით თოვლიანი თრიალეთი გადალახა და 7 დეკემბერს ახალციხის საფაშოში შეუმჩნევლად შეიჭრა. მეორე დღეს, საღამოთი, იგი თავისი რაზმით ასევე შეუმჩნევლად მიადგა ახალქალაქს. ღამის ორ საათზე რუსმა სალდათებმა ციხის კედლებს კიბეები მიადგეს და მტერს გონზე მოსვლაც არ აცალეს. ციხემ და მისმა გარნიზონმა საათნახევარში დაყარა იარაღი. ამ წარმატებისთვის კოტლიარევსკიმ გენერლობა დაიმსახურა. ქართველთაგან ახალქალაქის აღებისას განსაკუთრებით მამაცურად ზაქარია, ქაიხოსრო და დიმიტრი ჯავახიშვილებსა და ძმებს საგინაშვილებს უბრძოლიათ.[14]

ახალქალაქის დაკარგვა და მის ციხეში რუსული გარნიზონის ჩაყენება ახალციხის საფაშოს არსებობას მართლაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. ეს კარგად იცოდნენ თურქებმაც და გათურქებულმა ქართველებმაც, ამიტომ იანვარში შერიფ ფაშამ ორჯერ სცადა მისი დაბრუნება, თებერვალში სამჯერ, მაგრამ უშედეგოდ.

ამ პერიოდში ახალქალაქის ციხის დაცვას გენერალ-მაიორი დიმიტრი ორბელიანი ხელმძღვანელობდა, ქვეყნის ერთგული და მამაცი შვილი. ახალქალაქთან განცდილ დამარცხებათა გამო შერიფ-ფაშამ თხოვნა ვერ შეუსრულა 1812 წლის კახეთის აჯანყების მესვეურთ და სამხედრო ძალები ვერ მიაშველა.[15] ამ ფაქტიდანაც ჩანს, რომ სინამდვილეში ეს არა სახალხო აჯანყება იყო, არამედ ორგანიზებული ამბოხი, მოწყობილი საქართველოს მტრებისა და მოღალატე ქართველთა მიერ, რომელთათვისაც წარმავალი პატივი და დიდება, თუნდაც უზნეო გზით მოპოვებული, უფრო ძვირად ფასობდა, ვიდრე ეროვნულ-სარწმუნოებრივი სახის შენარჩუნება, ანუ სულიერი და ფიზიკური გადარჩენა საკუთარი ერისა.

მიუხედავად თურქების მხრიდან ახალქალაქის დაბრუნების მრავალგზის წარუმატებელი ცდისა, რუსეთმა და საქართველომ, მათგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ახალქალაქისა და ფოთის შენარჩუნება მაინც ვერ შეძლეს. 1812 წ. 16 მაისს რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, ისინი როგორც იარაღის ძალით „მიტაცებულნი“ (!) თურქეთს უბრუნდე-

[14] ქორთუა ნ., საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, თბ., 1964, გვ. 38.

[15] Дубровин Н., История войны и владычества русских на Кавказе, Петербург, 1886, т. VI, გვ. 35.

ბოდა. ამ მოულოდნელ დათმობაზე წასვლას სხვა მიზეზი გარდა იმისა, რომ რუსეთს დასვალეთიდან რეალური საფრთხე დაემუქრა, ვერ მოეძებნება.

ბუქარესტში ზავის დადებიდან თვეზე ცოტა მეტი იყო გასული, როცა 24 ივნისს იმპერატორ ალექსანდრე პირველს, მის პატივსაცემად გამართულ ბალზე შეატყობინეს, რომ ნაპოლეონის მრავალრიცხოვანმა არმიამ (ნახევარ მილიონზე მეტი) რუსეთის საზღვრები გადმოლახა. მართალია, ნაპოლეონი რუსეთს თავს გაუფრთხილებლად დაესხა, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებასა და სამხედრო წრეებს არ შეიძლებოდა, არ სცოდნოდათ ნაპოლეონის მზადება რუსეთზე თავდასხმისათვის. ცხადია, ომის მოლოდინში მყოფ ქვეყანას ამჯერად თურქეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადება ერჩივნა, თუნდაც წამგებიანი პირობებით, ვიდრე მასთან საბრძოლო მდგომარეობაში ყოფნა. ნიშანდობლივია, რომ გადაეცა თუ არა ახალქალაქი თურქებს, ახალციხის საფაშოდან მსწრაფლ განახლდა თავდასხმები ქართლზე. ყარსისა და ახალციხის ფაშები, მიუხედავად საქართველოს მმართველობის მხრიდან მრავალგზისი მოთხოვნისა, სამშვიდობო ხელშეკრულების პირობებს არ ასრულებდნენ და ქვეყნის ძარცვა-გლეჯასა და აოხრებას ძველებურად განაგრძობდნენ.

ორიოდე სიტყვა სელიმ ფაშა ხიმშიაშვილის შესახებ, რომელიც, როგორც ამაზე ფაქტები მეტყველებენ, იქიდან გამომდინარე, თუ ვისი მხარდაჭერით შეძლებდა სამცხე-ჯავახეთის საათაბაგოში მმართველობის ხელში ჩაგდებას — თურქეთისა თუ რუსეთის, ორმხრივ თამაშს ეწეოდა. ამიტომ ზოგი მას თურქების წინააღმდეგ მებრძოლ პატრიოტად მიიჩნევს, ზოგიც გადაგვარებულ ქართველად, რომელსაც მხოლოდ ვიწრო, საკუთარი ხელისუფლების გაზრდის ინტერესები ამოძრავებდა. სწორად წერს შ. ლომსაძე, როცა აღნიშნავს, რომ რამდენადაც ახალციხის საფაშოს რუსეთთან შეერთების შემთხვევაში მისი იდეალი, სამეგრელოს მთავრის მსგავსად, ავტონომიური უფლებების მოპოვება იყო და არა ერთიან საქართველოზე ზრუნვა და რამდენაც მისი ფაშობისას ქართლსა და იმერეთზე არც მძარცველური თავდასხმები შეუწყვეტია და არც ტყვეთა სყიდვა, მას თავდადებულ პატრიოტად ვერ ვაღიარებთ, მაგრამ ვერ დავეთანხმებით მის მიერ გამოტანილ დასკვნას, რომელიც ამგვარი მსჯელობის შემდეგ მართლაც უცნაური ჩანს. „ეს ყველაფერი, — წერს მკვლევარი, — რა თქმა უნდა, მართალია, მაგრამ **არ არის საკმარისი მისი, როგორც ეროვნული მოღვაწის, უარსაყოფად,** რადგან

ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლის დროს იგი ძირითადად ადგილობრივ, ქართულ ელემენტს ეყრდნობოდა და მოკავშირედ ქართველი მთავარი ეგულებოდა გურიელის სახით, რომელიც ამ შემთხვევაში რუსეთს განასახიერებდა“.[16]

სამწუხაროდ, ამ ტიპის დასკვნებს, რომლებშიც ზღვარი ზნეობასა და უზნეობას შორის წაშლილია და ცნებები ერთმანეთში აღრეული, მხოლოდ ბ-ნ შოთა ლომსაძესთან როდი ვხვდებით, რომლის „სამცხე-ჯავახეთიც“ ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ნამდვილად გამოირჩევა პირველწყაროების უხვად გამოყენებითა და მათი ობიექტური ანალიზით. ასეთი ზღვარწაშლილობა და აღრევა საერთოდ დამახასიათებელია მე-20 საუკუნის, განსაკუთრებით მეორე ნახევრის ქართული მეცნიერებისათვის, რისი მიზეზიც, ალბათ, დასავლეთიდან იმპორტირებული ათეისტური იდეოლოგიაა, რადგან ზნეობასა და უზნეობას ერთმანეთისაგან მკვეთრად მხოლოდ სჯული მიჯნავს და მხოლოდ მისი მცნებათა ცოდნა გვაძლევს საშუალებას, გავარკვიოთ რა არის ცოდვა და რას შეიძლება ვუწოდოთ იგი, როგორც ამას პავლე მოციქულიც გვასწავლის: **არამედ ცოდვაჲ არა ვიცოდე, გარნა შჯულისაგან. რამეთუ გულისთქუმაჲ არა ვიცოდე, უკუეთუმცა არა შჯული იტყოდა, ვითარმედ „ნუ გული-გითქუამნ“ მიზეზი უკუე პოვა ცოდვამან მცნებისა მისგან და შექმნა ჩემ თანა ყოველი გულის-თქუმაჲ, რამეთუ თჳნიერ შჯულისა ცოდვაჲ მკუდარ არს. ხოლო მე ცხოველ ვიყავ ოდესმე თჳნიერ შჯულისა, და ოდეს მოიწია მცნებაჲ** იგი, ცოდვაჲ განცოცხლდა, და მე მოვკუედ (რომ. VII, 7-10). სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ტენდენცია ზნეობას და უზნეობას შორის ზღვარის წაშლისა მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან ისე განვითარდა და გაიზარდა, რომ დღეს უკვე მათ შორის გამყოფი ზღვარის დადებაზე კი არ მიდის საუბარი, არამედ იმაზე, რომ ცოდვა ადამიანის პიროვნულ თავისუფლებად და უფრო მეტიც, სათნოებადაც უნდა იქნეს თუ არა გაგებული.

თურქეთის სულთნები ქვეშევრდომებს მერყევ ერთგულებასა და მსახურებას, ჩვეულებრივ, არ პატიობდნენ და სასტიკად სჯიდნენ. ეს ბედი ეწია სელიმ ფაშასაც. 1815 წელს აჭარაში ჩაკეტილი სელიმ ხიმშიაშვილი არზრუმის სერასკირმა ბაბა ფაშამ დაამარცხა და თავი მოჰკვეთა.

1828 წ. დასაწყისში დამთავრდა თითქმის ორწლიანი ომი, რომელიც რუსეთს ირანმა გამოუცხადა. ომის დამთავრებას, რა-

[16] შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975, გვ. 145-146.

საც რუსეთი თურქეთთან შექმნილი საბრძოლო ვითარების გამო ასე ესწრაფვოდა, დიდად შეუწყო ხელი გიორგი ერისთავის მიერ თავრიზის აღებამ. ამ ომის შედეგად რუსეთმა ერევან-ნახჩევანის სახანოები შემოიერთა და ამიერკავკასიაში თავისი საზღვრები კიდევ უფრო გააფართოვა. 1827 წლის ოქტომბრიდან, როცა რუსეთმა საბერძნეთ-თურქეთის კონფლიქტში საბერძნეთის მხარე დაიჭირა და თურქეთის ფლოტი გაანადგურა, ეს უკანასკნელი მასთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის გამალებულ მზადებას შეუდგა. არზრუმის სერასკირად[17], რომელშიც 11 ვილაიეთი იქნა გაერთიანებული, ყოფილი დიდი ვეზირი, ნაპოლეონ ბონაპარტეს კარზე ყოფილი ელჩი და ბუქარესტში დადებული ზავის მონაწილე ღალიბ ფაშა დაინიშნა, სამხედრო საქმეებში მოადგილედ მას ბრძოლებში სახელმოხვეჭილი ქიოსა მაჰმად ფაშა დაუდგინეს.

ფაშებს აზიაში სტამბულიდან ფულთან ერთად წერილებიც დაუგზავნეს, რომლებშიც მათგან ომის დაწყებისათვის მზადებას მოითხოვდნენ. ღალიბ ფაშამ, გარდა ლაშქრის შეკრებისა, სასაზღვრო ციხე-სიმაგრეთა შეკეთება-გამაგრება ბრძანა. საზღვრისპირა რაიონებიდან არათურქი მოსახლეობა, მათ შორის ისინიც კი, რომელნიც უკვე გამაჰმადიანებულები იყვნენ, აყარეს და ქვეყნის სიღრმეში გადაასახლეს, ხოლო არამაჰმადიან მოსახლეობას იარაღი ჩამოართვეს. გარდა ამისა, ამიერკავკასიაში მრავალი ადამიანი შემოაგზავნეს საიდუმლო დავალებით, კერძოდ, მათ რუსეთის საწინააღმდეგო პროპაგანდა-აგიტაციით ასაჯანყებლად არა მხოლოდ მუსულმანური მოსახლეობა, არამედ სხვებიც უნდა განეწყოთ. თურქეთი ამ საქმეში დიდ იმედებს ბატონიშვილებზე — ალექსანდრესა და ვახტანგზე ამყარებდა და არცთუ უსაფუძვლოდ. 1812 წლის კახეთის აჯანყების ფარული ორგანიზატორი და შემდეგში მისი აქტიური მონაწილე სწორედ ალექსანდრე იყო, რომელმაც, მარჯვედ გამოიყენა რა ხალხის სიყვარული მისი დიდ მამისადმი, სამეფო ტახტზე ასვლის დაუოკებელი ჟინით შეპყრობილმა, თუმცა უშედეგოდ, მაგრამ დიდძალი მსხვერპლი გააღებინა თანამემამულეებს ამ სურვილის განხორციელებისათვის.

თურქებმა ფოთის გარნიზონი 700 კაცამდე გაზარდეს, ქობულეთისა და ლიხაურის მიდამოებში ახალი სიმაგრეები ააგეს, გააძლიერეს აწყურის გარნიზონიც, ხოლო ტაბაწყურისა და თავფარავნის ტბის მიდამოებში სპეციალური რაზმები ჩააყენეს. თუ ახალციხელებმა ღალიბ ფაშას ბრძანებას ჯარში წასვლაზე უარით

[17] სერასკირი, სერასქერი — ოსმალეთის არმიის მთავარსარდალი.

უპასუხეს, სამაგიეროდ ახალქალაქის თურქულ გარნიზონს 1000-მდე ლაზი და აჭარელი შეემატა. არზრუმში ჩაყენებულ ათიათასიან ჯარს სტამბულიდან გამოგზავნილი 3000 ჯარისკაცი და 24 ევროპელი ოფიცერი შეუერთდა, რომელთაც ლაშქრისათვის ევროპის ქვეყნების საბრძოლო გამოცდილება უნდა გაეზიარებინათ.

თურქები ყარსთან 60.000 კაციანი არმიის შეგროვებას ვარაუდობდნენ, რომელსაც გეზი თბილისისაკენ უნდა აეღო, ხოლო იმერეთში შეჭრა და მისი დაკავება ახალციხის ფაშას ევალებოდა. იმერეთის აღების შემდეგ, იგი ყარსიდან დაძრულ მთავარ ჯარს უნდა შეერთებოდა თბილისის დასაპყრობად.

რაც შეეხება რუსეთს, მისი სამხედრო კორპუსი, რომელიც კავკასიაში იდგა 15.000-მდე კაცს შედგენდა. ამას ემატებოდა ადგილობრივი მოსახლეობიდან შეკრებილი ლაშქარიც, რომლის რიცხვიც დადგენილი არ ყოფილა. 1828 წლის მარტში ერევნის ომში გამარჯვებულ პასკევიჩს, რომელიც თბილისში ბრუნდებოდა, საიდუმლოდ აცნობეს, რომ ომი თურქეთთან მალე დაიწყებოდა; მართლაც, იმავე წლის აპრილში პეტერბურგში გამოქვეყნდა მანიფესტი თურქეთთან ომის შესახებ. შეგროვდა და დამზადდა სურსათის მარაგი, მოეწყო სახელდახელო ჰოსპიტლები და მოძრავი ლაზარეთები, შეკეთდა საზღვრისპირა გზები, ირანის ომთან შედარებით უკეთ იქნა ორგანიზებული ტრანსპორტის საქმე. ამ ომის დროს დაქირავებულ ურმებსა და ხარვარზე[18] ფასები გაიზარდა. ასე რომ, გლეხს, რომელიც თავისი ურმითა და ყევარი ხარით ჯარს მოემსახურებოდა, შეიძლებოდა 40-50 მანეთი ეშოვნა. რადგან ომის დაწყების წინ ერთი დივიზია საქართველოდან რუსეთში გადაიყვანეს, პასკევიჩის ჯარი ამჯერად უფრო მცირერიცხოვანი იყო, ვიდრე სპარსეთთან ომის წინ. ამიტომ პასკევიჩი განუწყვეტლივ ფიქრობდა და ეძებდა გზებს, რომლითაც რიცხვით აღმატებულ მტერზე გამარჯვებას შეძლებდა. გამარჯვების მოპოვება საიმედო გახადა იმ ფაქტმაც, რომ დასავლეთის ფრონტზე, კერძოდ, შავი ზღვის პირას მდგარი ციხე-სიმაგრე ანაპა დაეცა, რამაც, თავის მხრივ, რუსეთის არმიის ნაწილებისათვის ფოთის უბრძოლველად დანებება განაპირობა. პასკევიჩმა გადაწყვიტა დაესწრო მტრისათვის, რომელიც მოქმედებას აგვიანებდა, შეტევაზე გადასულიყო და არზრუმი და ახალციხე ერთმანეთისაგან მოეწყვიტა.

1828 წლის 14 ივნისს, განთიადისას, გუმრის ციხიდან საზღვრი-

[18] ხარვარი, ხარვალი (თურქ.) — მარცვლეულის ერთგვარი საწყაო, ქართ. კაბიწი: 12 კოდი და ნახევარი (ნ. ჩუბ.).

საკენ დაიძრა ჯარი, რომელსაც სურსათით დატვირთული 2000 ურემი მისდევდა და 2500 ხარვარი. აღსანიშნავია, რომ ქართველ მეურმეებს სპეციალური ნაწილები იცავდნენ. რვა საათზე დაცლილი სოფლების — თიხნისისა და ფალდარავანის გავლით სოფელ მუშკოს მიადგნენ, რომელსაც თურქთა ცხენოსანი რაზმი იცავდა. მტერმა უკან დაიხია და 18 ივნისს რუსეთის არმიის ნაწილები ყარსის ახლოს, აზატხევში დაბანაკდნენ. მანამდე, 16 ივნისს, ყარსში მდგარი თურქეთის თერთმეტათასიანი ლაშქრის დასახმარებლად სარდალი ქიოსა მაჰმად ფაშა მივიდა 15.000 კაცით. ყარსის ალყა 20 ივნისს დაიწყო და 23 ივნისს გამარჯვებით დამთავრდა. ბრძოლაში თავი ქართველ ცხენოსანთა რაზმმაც გამოიჩინა. ყარსის აღებამ კავკასიის კორპუსის ბრძოლისუნარიანობის გაზრდას ხელი დიდად შეუწყო.

ახალციხის განთავისუფლება – 16 აგვისტო, 1828 წ.

პასკევიჩმა ახალქალაქის ციხის აღება და ახალციხისკენ წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ მტრისათვის თავგზის ასაბნევად თავდაპირველად არზრუმის გზას დაადგა, თუმცა პირი მალევე იბრუნა, გვექტაღის მთა გადმოვლო და ჯავახეთის ზეგანზე დაეშვა, 23 ივლისის დილას კი, ახალქალაქის ციხის ახლოს, თავფარავნისა და მურჯახეთის მდინარეებს შორის დაბანაკდა. ციხის კომენდანტთან მან ელჩები წარგზავნა და უბრძოლველად დანებება შესთავაზა. ციხის სიახლოვეს ელჩებს წინ ოთხი იარაღასხმული კაცი გადაუდგა და განუცხადა, რომ ისინი არც ერევნელები იყვნენ და არც ყარსელები, არამედ — ახალციხელები. არც ცოლშვილი ჰყავდათ ციხეში და არც ქონება ჰქონდათ, ამიტომ ციხის ათასივე მცველს ქალაქის კედლებთან სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი.

ახალქალაქის გარნიზონმა, რომელიც ძირითადად გამაჰმადიანებული ქართველებისაგან შედგებოდა და სელიმ ფაშას შვილი ფარხად-ბეგ ხიმშიაშვილი მეთაურობდა, გასაოცარი ფანატიზმი გამოამჟღავნა.[19] შეტევის დაწყების წინა საღამოს მეომრებმა ერთმანეთს შეჰფიცეს, რომ ალაჰის სახელისათვის დაიხოცებოდნენ. 24 ივლისს, განთიადისას, მინარეთიდან აზანი გაისმა, რასაც ციხის მცველთა სიმღერა მოჰყვა ყურანის სიტყვებზე და ერთი საათი გაგრძელდა. რუსული ნაწილები ციტადელს ჭურვებს 18 დიდი

[19] **Потто В., Кавказская война, в отдельных эпизодах, легендах и биографиях, Петербург, 1885, т. IV.** გვ. 108.

ზარბაზნით უშენდნენ. ნახევარი საათის შემდეგ ციხის კედლებზე ხელების ქნევით რამდენიმე კაცი გადმოდგა, რაც მოლაპარაკების დაწყების თხოვნას ნიშნავდა. ამიტომ ცეცხლი შეწყდა და ციხის კარებთან მოსალაპარაკებლად რამდენიმე კაზაკთან ერთად ობუხოვი მივიდა, მაგრამ მოლაპარაკების დაწყებაზე მინიშნება მხოლოდ ვერაგული ხერხი გამოდგა და იგი მოკლეს. როცა ციხის იმედგადაწურულმა მცველებმა დანებება გადაწყვიტეს, მოედანზე მათი უფროსი ფარხად-ბეგი ხიმშიაშვილი გამოვიდა და დადებული ფიცი შეახსენა. ამ გზით აიძულა მან დაქანცულ მეომრებს წინასწარ დასამარცხებლად განწირული ბრძოლის განახლება, რომელიც დიდხანს აღარ გაგრძელებულა: ციხე დაეცა. ცოცხლად გადარჩენილთა ერთი ნაწილი ციტადელიდან ხერთვისისაკენ გაიქცა, მაგრამ გაქცეულებს დაედევნენ და ხერთვისში ძალიან ცოტამ ჩააღწია. ცოცხალი მხოლოდ ის სამასი კაცი გადარჩა, რომელიც დანებდა. ბრძოლაში დაიღუპა ფარხად-ბეგ ხიმშიაშვილიც. არტაანიდან დასახმარებლად გამოგზავნილი 2000 ლაზი ახალქალაქს მაშინ მიუახლოვდა, როცა ბრძოლა თითქმის უკვე დამთავრებული იყო; ლაზები უკან გაბრუნდნენ.

ახალქალაქიდან ხერთვისამდე ოთხი გზა არსებობდა, მაგრამ პასკევიჩმა ის გზა აირჩია, რომელიც მდ. თავფარავნის მარჯვენა ნაპირს მიჰყვებოდა, სადაც მრავალი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა. როცა ხერთვისის გარნიზონს იარაღის უბრძოლველად დაყრა შესთავაზეს, ახალქალაქის ბედით დაშინებულმა თავკაცებმა პოლკოვნიკ რაევსკის ციხის გასაღები უბრძოლველად ჩააბარეს. ხერთვისის დანებების შემდეგ 150-მა მცველმა ასპინძის ციხე მიატოვა და გაიქცა. ასაღები ახალციხეღა რჩებოდა. ოთხ აგვისტოს გენერალ მურავიოვის ავანგარდი ახალციხის პირდაპირ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დაბანაკდა. პასკევიჩმა ბორჯომის ხეობაში მდგარ პოპოვს ახალციხისკენ დაძვრა უბრძანა, იგი ჯარს იმერეთიდანაც ელოდებოდა. ახალციხეში ბრძოლისათვის ემზადებოდნენ, თურქეთმა 12-60 წლამდე მაჰმადიანთა მობილიზაცია გამოაცხადა და შეაიარაღა; ასე რომ, ბრძოლის წინ ახალციხის გარნიზონის რიცხვი 10.000-იდან 15 ათასამდე გაიზარდა; რაც შეეხება ქრისტიან ქართველებსა და ებრაელებს, მათ იარაღი ჩამოართვეს და ზედამხედველობდნენ. ახალციხის გარნიზონის დასახმარებლად, რომელსაც ახმედ ფაშა მეთაურობდა, 30.000 კაცით სოღანლუღიდან სარდალი ქიოსა მაჰმად ფაშა დაიძრა და ახალციხესთან 4 აგვისტოს მიაღწია. პასკევიჩმა გადაწყვიტა, მისთვის ახალციხეში

შესვლის საშუალება არ მიეცა, და ველზე შებმოდა. 5 აგვისტოს გამართულ ბრძოლაში, რომელიც რუსულმა ნაწილებმა მოიგეს, თავი ქართველმა მხედრებმაც გამოიჩინეს: პოდპოლკოვნიკმა ანდრონიკოვმა, იასონ, სპირიდონ, რომან ჭავჭავაძეებმა და სხვებმა.[20]

შვიდ აგვისტოს რუსთა ჯარს ბორჯომის ხეობიდან მოსული გენერალი პოპოვი შეუერთდა თავისი რაზმით, მაგრამ მალევე ცნობილი გახდა, რომ თურქები ახალციხის გასამაგრებლად კიდევ 10.000 ლაზს აგზავნიდნენ. პასკევიჩმა სასწრაფოდ სამხედრო საბჭო მოიწვია. მისი წევრებიდან ზოგი ბორჯომის ხეობით უკან გაბრუნებას მოითხოვდა, მაგრამ საბოლოოდ საბჭომ ცნობილი დეკაბრისტის პუშჩინის წინადადება მოიწონა, რიმლის მიხედვითაც ახალციხეზე შეტევა იმ ღამესვე უნდა დაეწყოთ. რუსული არმიის შემტევ ნაწილებს წინ ახალქალაქის ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნილი მუთი ბეგ ფალავანდიშვილი გაუძღვა, რომელმაც ახალციხისკენ მიმავალი ყველა ბილიკი ხუთი თითივით იცოდა.

ბრძოლა დილის ოთხ საათზე დაიწყო და რუსების უპირატესობით წარიმართა, ხუთასი თურქი ათი ზარბაზნითურთ ტყვედ დანებდა, თავად სარდალი ქიოსა მაჰმად ფაშა მძიმედ დაიჭრა. 11 აგვისტოს ციხის ჩრდილოეთ ნაწილში თეთრი ბაირაღი გადმოფინეს და მოლაპარაკება ითხოვეს, მაგრამ ქიოსა ფაშამ ამის ნება არ დართო. 12 აგვისტოს პასკევიჩმა გარნიზონს დანებება შესთავაზა და მოსალაპარაკებლად მუთი ბეგი და კაპიტანი ყორღანოვი გააგზავნა, მაგრამ პასუხად მიიღო, რომ მათ შორის მოციქული მხოლოდ ხმალი იქნებოდა.

15 აგვისტოს დღის ოთხ საათზე ახალციხეზე შტურმი დაიწყო. შეტევაზე ორკესტრის მუსიკის თანხლებით პირველი შირვანის პოლკი გადავიდა. ახალციხის განთავისუფლებისათვის პირველი შეტევისას დაეცნენ მამაცი პოდპორუჩიკი ვაჩნაძე და ოცი სალდათი. შირვანის პოლკის მეომრები პირველები შევიდნენ ქალაქის გარეუბანში, მათი მამაცი მეთაური პოლკოვნიკი ბოროდინი მათ თვალწინ მოკლეს. მაჰმადიანები ერთ გოჯ მიწასაც კი არ თმობდნენ უბრძოლველად; ძალიან რომ გაუჭირდათ, ბრძოლაში მამაკაცურად გადაცმული მუსულმანი ქალებიც ჩაებნენ. როცა რუსების ნასროლმა ყუმბარამ ერთ-ერთ სახლს ცეცხლი წაუკიდა, პასკევიჩმა, რომელიც დარწმუნდა, რომ ქალაქის არა თუ ყოველი უბნის, არამედ ყოველი სახლის შტურმით აღება დასჭირდებოდა, მისი ხანძრისთვის მიცემა გადაწყვიტა. ხანძარი, რომელიც პირველად სამხრეთ-დასავლეთის

[20] **Потто В., Кавказская война, т. IV.** გვ. 131.

უბნებს მოედო, უეცრად ამოვარდნილმა ქარმა კიდევ უფრო გააძლიერა. ქალაქის ცეცხლში გახვევას ხელი მისმა ტერასულმა განლაგებამაც შეუწყო. რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი ახალციხელები, მათ შორის ქალებიც, ტყვედ ჩავარდნასა და დანებებას გამძვინვარებულ ცეცხლში გამობუგვას ამჯობინებდნენ. ბევრმა მათგანმა თავი ხანჯლითაც მოიკლა. ამას დაერთო შავი ჭირი, რომელიც ახალციხეში არზრუმიდან მოსულმა ჯარმა შემოიტანა, და შიმშილობა. ქალაქის მახლობელი სოფლების პური და საქონელი რუსულ სამხედრო ნაწილების გამოკვებას დასჭირდა, ხოლო ციხის მცველმა გარნიზონმა მოსახლეობისათვის სურსათის მიცემაზე უარი თქვა.

15 აგვისტოს, პასკევიჩის ბრძანებით, ახალციხეში შეჭრილმა შირვანის პოლკის, ქართული მილიციისა და ქართველ გრენადერთა პოლკის ნაწილებმა ციტადელი დაიკავეს, ახმედის მინარეთზე აღმართული რუსთა ნასროლი ყუმბარით სანახევროდ მოგლეჯილი ნახევარმთვარე ჩამოხსნეს და ოქროსფერი ჯვარი აღმართეს.[21]

მიუხედავად ამისა, ახალციხის დაშლილი გარნიზონი დამარცხებას არ ურიგდებოდა და 15-სა და 16 აგვისტოს ღამით ხანძრით განათებულ ქუჩებში ხელჩართული ბრძოლები გრძელდებოდა. 16 აგვისტოს, დილით, ქიოსა მაჰმად ფაშამ 5 დღით დროებითი ზავის დადება მოითხოვა. პასკევიჩმა მოსაფიქრებლად მხოლოდ ხუთი საათი მისცა. ქიოსა ფაშას მოსაფიქრებლად ხუთი საათი არ დასჭირვებია, ერთ საათში შემოთვალა, რომ ციხეს ჩააბარებდა, თუ გარნიზონს ქალაქიდან გასვლის ნებას იარაღითა და ქონებითურთ მისცემდა. პასკევიჩმა მხოლოდ იარაღის, როგორც სამხედრო ნადავლის ჩაბარება მოითხოვა.

თურქებმა კაპიტულაციას ხელი მოაწერეს და 16 აგვისტოს დილის 8 საათზე ციხის გასაღები რუსებს გადასცეს. ამის შემდეგ ქართველ გრენადერთა პოლკი წმიდა გიორგის დროშითა და საზეიმო მუსიკის თანხლებით ციტადელის ფართოდ გაღებულ ჭიშკარში შევიდა. ამ ფაქტმა შეუძლებელია გულისხმიერი ქართველი მკითხველის ყურადღება არ მიიპყროს: სისხლისმღვრელი სასტიკი ბრძოლა, მართალია, ქართველთა მონაწილეობითაც, მაგრამ, რა თქმა უნდა, რუსულმა არმიამ მოიგო, მიუხედავად ამისა, ციტადელში პირველად შესვლის პატივი არა შირვანის პოლკს, რომელმაც ახალციხეზე პირველი შეტევა განახორციელა და ქალაქშიც პირველი შეიჭრა, არამედ ქართველ გრენადარებს ერგოთ. ვფიქრობთ,

[21] **Тифлисские ведомости, №48, 1829 წ.**

ამ გადაწყვეტილებით რუსული არმიის სარდლობამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საუკუნეთა განმავლობაში დაპყრობილი და მიტაცებული ქართული მიწა-წყალი უწინარესად დედა სამშობლოს — საქართველოს და ქართველებს უბრუნდებოდა. ამ დღეს, ალბათ, ზეციურ საქართველოში ჩვენი დიდი მეფის ერეკლესა და სხვა თავდადებულ წინაპართა სულებიც ზეიმობდნენ, რომელთათვისაც უძველესი ქართული მიწა-წყლის, ქართული კულტურის აკვანის — სამცხე-ჯავახეთის დაბრუნება აუხდენელ ოცნებად და ნატვრად იყო ქცეული.

როცა ქართველ გრენადერთა პოლკი ციტადელში შედიოდა, დამარცხებული ქიოსა მაჰმად ფაშა და ახალციხის საფაშოს მმართველი ახმედ ფაშა გადარჩენილი მეომრების თანხლებით არტაანის გზას დაადგნენ. სამწუხაროდ, **გამაჰმადიანებულმა ქართველებმა ქრისტიანულ იმპერიაში ცხოვრებას მშობლიური მიწა-წყლის მიტოვება და მათი გაყოლა ამჯობინეს.**

შეუძლებელია, არ დავეთანხმოთ შ. ლომსაძეს, რომელიც სამართლიანად მიიჩნევს ახალციხის ბრძოლების ერთ-ერთი მონაწილის, პოლკოვნიკი ლაზარევის შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ახალციხე რუსი სალდათის გაუგონარი მამაცობის წყალობით იქნა აღებული.[22]

17 აგვისტოს ახალციხის ბრძოლებში მოპოვებული ნადავლით დატვირთული ურმები თბილისისკენ გაემართნენ. ქალაქში შესული ურმები მეტეხიდან დაიძრნენ და ზარების რეკვის, ზარბაზნების სროლისა და უამრავი ხალხის თანხლებით მთავარი ქუჩები მოიარეს. გასაგებია, რომ თბილისი ზეიმით აღნიშნავდა ახალციხის განთავისუფლებას, მაგრამ მის აღებას იმპერიის სხვა დიდ ქალაქებშიც ზეიმობდნენ.

[22] შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 170.



ნოდარ ლომოური

რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის აუცილებლობის შესახებ[1]

ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აღსავსეა მეტად რთული წინააღმდეგობებით; უდიდესი წარმატებები, გამარჯვებები, აღმავლობა ენაცვლებოდა საშინელ მარცხებს, ქვეყნის აოხრებებს, შიდა გამცემლობებს... XVIII ს-დან ამ პროცესებში ჩაერთო ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი — რუსეთი. იგი კი არ ჩაერთო ამ ურთულეს კოლიზიებში, არამედ გახდა მათი წარმმართველი და განმაპირობებელი. საქართველო შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში და ამიერიდან სწორედ ეს იმპერია მართავდა ჩვენი პატარა ერის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებს. ასე იყო შემდეგაც, საბჭოთა რუსეთის ერთ-ერთ რესპუბლიკად, მის ორგანულ ნაწილად საქართველოს ყოფნისას.

და აქ მე მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ უაღრესად მნიშვნელოვან გარემოებაზე: ესაა, ერთი შეხედვით, თითქოს აუხსნელი ვითარება, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ ჩვენი პატარა ერი კი არ ჩაიხრჩო მასზე მომდგარ აგრესიულ ოკეანეში, არამედ შეინარჩუნა ეთნიკური თვითთავადობა, საკუთარი ენა, კულტურა, თვითშეგნება და დღემდე ამ პოზიციაზეა. უფრო მეტიც, ქართველმა ერმა განავითარა თავისი ეროვნული კულტურა, მეცნიერება, ხელოვნება და იქცა ერთ-ერთ პროგრესულ ძალად რუსეთის იმპერიის შემადგელობაში.

ამ რთული და წინააღმდეგობრივი პროცესების აღწერა, გააზრება და შეფასება, ეს ცალკე თემაა; ამჟამად კი გვინდა, შევეხოთ დღევანდელ ვითარებასა და რუსეთთან ჩვენს ამჟამინდელ ურთიერთობას.

რუსეთისგან ჩვენმა ერმა ბევრი წყენა იწვნია, რაც ჩვენს ის-

1 პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №3(9), 2013.

ტორიოგრაფიაში სათანადოდაა შეფასებული. მაგრამ, ამავე დროს, იმავე რუსეთიდან ჩვენ იმდენი სიკეთე, დადებითი მუხტი და ჩვენი კულტურის აღორძინებისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა მივიღეთ, რომ ამის დავიწყება არამც და არამც არ შეიძლება.

სამწუხაროდ, დღეისათვის, განსაკუთრებით სააკაშვილ-ლომაიას ე. წ. რეფორმის და 2008 წლის აგვისტოს სამარცხვინო ომის შემდეგ, ჩვენ მთლიანად დავკარგეთ ურთიერთობა რუსეთთან, გაგვიწყდა კავშირი მის მოწინავე, პროგრესულ ძალებთან და ეს ჩვენთვის უდავოდ უდიდესი დანაკარგია. მე ჯერ კიდევ 2003 წ. ვწერდი, რომ ჩვენთვის არსებობდა და არსებობს „ორი რუსეთი". „პირველი" — ესაა პროგრესული, ჩვენი მრავალი თაობისათვის ძვირფასი რუსეთი და „მეორე" — აგრესიული, მონათა და ბატონთა, „დაუბანელი" (მ. ლერმონტოვი) რუსეთი, რომელიც, ცხადია, ჩვენთვის სრულიად მიუღებელია.[2]

და აი დღეს, ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება, ბიძინა ივანიშვილის სახით, ცდილობს გამონახოს საერთო ენა „პირველ რუსეთთან"; შეიქმნა საგანგებო კომისიაც კი დიდად გამოცდილი დიპლომატის ზურაბ აბაშიძის თავმჯდომარეობით, რომელიც უკვე ცდილობს რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების განხორციელებას.

უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმიდესობის ილია II-ის ჩაბრძანება რუსეთში და მცდელობა საეკლესიო ურთიერთობათა გამოცოცხლებისა. სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს ჩვენი ინტელექტუალური ელიტის ღონისძიებები, „პირველ რუსეთთან" ურთიერთობის აღდგენის მიმართულებით. ჩემი მიზანიც ამჟამად არის, გავაცოცხლო ოდინდელი ურთიერთობები სწორედ „პირველ რუსეთთან" და ჩემი, ამ მხრივ არსებული გამოცდილების, მოგონებების სახით წარმოჩენა.

ჩემს თაობას ბავშვობის წლებიდან ჰქონდა რუსულ ლიტერატურასთან, პოეზიასთან, ხელოვნებასთან ურთიერთობა. ამ მხრივ არ შეიძლება საგანგებოდ არ აღვნიშნო ჩვენი მოწაფეობის დროიდან გაცნობა მოსკოვში მოღვაწე მწერლის **ანა ანტონოვსკაიას** მონუმენტური რომანისა „დიდი მოურავი", რომლის მიხედვით 40-იან წლებში თბილისის კინოსტუდიაში მიხეილ ჭიაურელის და ნიკოლოზ შენგელაიას მიერ გადაღებულ იქნა ორსერიანი ფილმი.[3] შემდგომ

[2] იხ. კრებული «Некоторые вопросы грузино-русских взаимо отношений в современной историографии», თბ., 2011, გვ. 154-159.

[3] ანა ანტონოვსკაია 1886 წ. დაიბადა თბილისში, აქვე მიიღო სასკოლო განათლება, შემდეგ

ჩვენი მასწავლებლების ხელმძღვანელობით ვეუფლებოდით გამოჩენილ რუს მეცნიერთა ნამოღვაწარსაც. მაგრამ პირველი უშუალო ზიარება რუსულ მეცნიერებასთან მე მომიხდა 1954 წ., როდესაც ჩემი დიდებული მასწავლებლის, აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის მოთხოვნით მე მასთან ერთად (აგრეთვე ცნობილ მეცნიერებთან ლ. მელიქსეთ-ბეგთან და ვ. დონდუასთან ერთად) გავემგზავრე პეტერბურგს (მაშინდელ ლენინგრადს) ბიზანტინისტთა IV საკავშირო კონფერენციაზე.

ჩვენი იმჟამინდელი ყოფნა პეტერბურგში საკმაოდ დაწვრილებით მაქვს აღწერილი ჯერ კიდევ 1996 წ. ამჟამად მოკლედ აღვნიშნავ, რომ ეს იყო ნამდვილი ტრიუმფი, რომელიც განაპირობა იქ სიმონ ყაუხჩიშვილის ყოფნამ და კონფერენციაში მონაწილეობამ, ეს იყო პირველი აშკარა აღიარება ქართული ბიზანტინოლოგიური სკოლის უაღრესად მაღალი დონისა, აღიარება უპირობო. რად ღირს თუნდაც რუსული ბიზანტინოლოგიის გამოჩენილი წარმომადგენლის **ზინაიდა უდალცოვას** ასეთი განცხადება: „როდესაც საბჭოურ ბიზანტინოლოგიას ჰყავს სიმონ გიორგის-ძე ყაუხჩიშვილი, ჩვენ უნდა ვიფიქროთ ქართული ენის შესწავლაზე!“ ან იქვე დიდი რუსი აღმოსავლეთმცოდნის, აკადემიკოს **ვასილ სტრუვეს** აღიარება ს. ყაუხჩიშვილის უმაღლესი მეცნიერული დონისა და მილოცვა საბჭოთა ბიზანტინოლოგიისადმი, რომ მას ჰყავს ასეთი მეცნიერი, როგორიცაა ყაუხჩიშვილი.[4]

იმ ვიზიტის დროს ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ რუსეთის ინტელექტუალურ ელიტაში უდიდესი ავტორიტეტითა და აღიარებით სარგებლობენ ისეთი ქართველი მეცნიერები, როგორიც ბრძანდებოდნენ გრიგოლ წერეთელი და გიორგი ჩუბინაშვილი.

ეს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იყო. რუსი მეცნიერები ასე ადვილად არ თმობდნენ თავიანთ პრიორიტეტებს. აქედან დაიწყო ქართული მეცნიერების მსოფლიო ასპარეზზე გასვლა და აღიარება.

ქართული ბიზანტინოლოგიის ეს წარმატება შემდეგშიაც გაგრძელდა და ეს უკვე ჩვენმა თაობამაც იწვნია. რუს მეცნიერებასთან უმჯიდროესი კავშირი გამოიხატა აქტიურ ურთიერთობაში რუს კოლეგებთან. კონკრეტულად მე ასეთი კოლეგიური და მეგობრული ურთიერთობა მქონდა რუსეთის ბიზანტინოლოგიის და კლასიკური

მონაწილეობდა კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციებში. 1922 წ-დან გადავიდა ოჯახთან ერთად მოსკოვში, თუმცა საქართველოსთან ურთიერთობა არ შეუწყვეტია. იყო რუსეთის აღიარებული მწერალი და აქვე შექმნა თავის მონუმენტური რომანი „დიდი მოურავი“.

4 იხ. ჩვენი — „სიმონ ყაუხჩიშვილი, მეცნიერი, მოძღვარი, ერისკაცი, მოქალაქე“, თბ., 1996, გვ. 62-71.

ფილოლოგიის წარმომადგენლებთან (გ. ლიტავრინთან, ს. კარპოვთან, ი. მედვედევთან, ბ. ფონკიჩთან და სხვ.). ჩვენ ერთმანეთს სისტემატურად ვხვდებოდით, ისინი თბილისშიაც ჩამოდიოდნენ. 1994 წ-დან ვიდრე 2008 წ-დე ვიყავი მოსკოვში გამომავალი სამეცნიერო ჟურნალის, «Византийский Временник»-ის სარედაქციო საბჭოს წევრი, არჩეული ვიყავი ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის საკავშირო ორგანიზაციის პრეზიდიუმის წევრად. ასეთი უმჭიდროესი კონტაქტები რუსეთთან მხოლოდ ჩვენი დარგის წარმომადგენლებს როდი გვქონდა, არამედ შემიძლია უშუალოდ დავაფიქსირო ურთიერთობა და აღიარება ქართული მეცნიერების სხვა დარგებისა, განსაკუთრებით ისეთისა, როგორიც იყო, მაგალითად, ანთროპოლოგია. საკმარისია, აღინიშნოს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართული ანთროპოლოგიური სკოლის ფუძემდებელი **მალხაზ აბდუშელიშვილი** 1971-1983 წწ-ში რუსეთის აკადემიის ინიციატივით ხელმძღვანელობდა ფართომასშტაბიან ექსპედიციას ინდოეთში. ეს უდავოდ დიდი გამონაკლისი იყო და რუსეთისთვის ეს იშვიათი დათმობა გახლდათ.

და უცებ აშკარა გარდატეხა! ასპარეზზე აქტიურად გამოვიდნენ დიდმპყრობელური რუსეთის აგრესიული ძალები, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ არა მარტო ქართული თვითმყოფადობის ყოველმხრივი დაკნინებისთვის, არამედ საერთოდ ქართველობის აღმოფხვრისათვის, ეს ნიშნავს ასპარეზზე „მეორე რუსეთის“ აქტიურ გამოსვლას. ასეთი აგრესიულობის აშკარა გამოხატულება იყო ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს ა. სახაროვის გაუაზრებელი და სრულიად აფსურდული განცხადება, როდესაც მან საქართველო „მცირე იმპერიად“ მონათლა. ამას მოყვა ნაკადი ანტიქართული გამოხდომებისა, რომელთა ავტორები — ზატულინები, ეპიფანცევები, მიგრანიანები და სხვები, იქამდე მივიდნენ, რომ საერთოდ უარყვეს ქართული სახელმწიფოს, უფრო მეტიც, ქართული ეროვნების არსებობა. მაგრამ აქ აუცილებლად პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, ვინ არიან ეს ადამიანები, არიან კი ისინი თვითონ რუსეთის ინტერესთა ერთგულნი და დამცველნი? და კიდევ ერთი: არც საქართველოს აკლდა და აკლია ადამიანები, რომელნიც თავს მგზნებარე პატრიოტებად სწორედ რადიკალური განცხადებებით წარმოაჩენენ, თუმცა არ შეიძლება იცოდნენ, რომ ამგვარი განცხადებებით ქვეყანას მხოლოდ ზიანს აყენებენ. მათ აფსურდულ, ყოველმხრივ ყალბსა და აგრესიულ განცხადებებს არაერთგზის გაეცა პასუხი, მაგრამ დღევანდელმა და მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ ამის შესახებ.

ეს იყო ღია შემოტევა „მეორე რუსეთისა“, რომელიც განსაკუთრებით გამძაფრდა და აშკარა აგრესიაში გადაიზარდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მიმდინარე პროცესების დროს, თუმცა აქ კვლავ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება არის გასათვალისწინებელი, რომელმაც აშკარა გახადა, რომ ამ უმძიმეს ვითარებაშიც ჩვენთვის „პირველი რუსეთი“ არ დაკარგულა.

1992 წლის ზაფხულში დაიწყო აფხაზეთში სეპარატისტული ძალების წინააღმდეგ ქართული კანონიერი ხელისუფლების სამხედრო ძალების მოქმედება, ანუ ე. წ. „აფხაზური ომი“. აფხაზ სეპარატისტებს იმთავითვე რუსეთიდან ჰქონდათ მხარდაჭერა და აფხაზთა ერთ-ერთი ორგანიზაციის, ე. წ. „სლავური სახლის“ ხელმძღვანელებმა მიმართეს რუსეთის მეც. აკადემიის ეთნოლოგიისა და ეთნიკური ანთროპოლოგიის ინსტიტუტს თხოვნით, მიევლინებინათ აფხაზეთში სპეციალისტი, რომელიც მათ დაეხმარებოდა ეთნო-კულტურულ პრობლემებზე მუშაობისას, კონსულტაციებს გაუწევდა აფხაზეთში შექმნილი სიტუაციის მათ სასარგებლოდ და საქართველოს საწინააღმდეგოდ გადაწყვეტა-დასაბუთებაში. სწორედ ამ მიზნით გაიგზავნა აფხაზეთში აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსი **სვეტლანა ჩერვონნაია.** და მოხდა მოულოდნელი რამ: გაეცნო რა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს, მიიღო რა სათანადო ინფორმაცია ორივე დაპირისპირებული მხრიდან, სვ. ჩერვონნაიამ სრულიად მიუდგომლად შეაფასა აფხაზი სეპარატისტების დასაგმობი და დაუსაბუთებელი ქმედებები და ასეთი სახის დასკვნით წარდგა მოსკოვში დაბრუნების შემდეგ თავისი ინსტიტუტის ზედამხედველობის წინაშე. ამან იქ საშინელი აღშფოთება გამოიწვია და მას მრავალნაირი ბრალდებები დაატეხეს თავს. მაგრამ სვ. ჩერვონნაია არ შეშინდა და შემდეგ წელს გამოსცა ცალკე წიგნი, რომელშიც აფხაზეთის მოვლენების უფრო ღრმად და მეცნიერულად გაანალიზების საფუძველზე შეაფასა აქ მიმდინარე პროცესები, როგორც რეაქციული აჯანყება კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ.[5]

მაშასადამე, აქ კვლავ ვხედავთ საქართველოს მიმართ „ორი რუსეთის“ მოქმედებას — „მეორე რუსეთის“ მესვეურთა მიერ აფხაზეთის სეპარატისტების ყოველმხრივ ხელშეწყობას, ხოლო ამის საპირისპიროდ, „პირველი რუსეთისაგან“ ჩვენს იდეოლოგიურ და ყოველმხრივ მხარდაჭერას.

---

[5] **С. М. Червонная, Абхазия -1992: Посткоммунистическая грузинская Вандея, М. 1993;** ვანდეა — საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს რეაქციული, როიალისტური აჯანყება.

ასეთი რთული კოლიზიები შემდგომაც გრძელდებოდა, მაგრამ 2008 წლიდან ჩვენი ყოველგვარი კონტაქტები რუსეთთან შეწყდა. როგორც აღვნიშნე, ამჟამად გამოჩნდა რაღაც პერსპექტივები რუსეთთან ურთიერთობის განახლებისა. ეს, ვიმეორებ, აუცილებელია; ესაა ერთადერთი გზა რუსეთის რეაქციული ძალების, ე. ი. „მეორე რუსეთის“ ზეწოლის შერბილებისა, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისაკენ სვლისა. ჩვენ მოგვდის ინფორმაციები რუსეთიდან, რომ იქ კვლავ არსებობენ საქართველოსადმი ლოიალურად განწყობილი ძალები, ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს მათთან ურთიერთობის დამყარებისთვის.

მაგრამ ასეთი მოქმედებისას ჩვენ უნდა ვიყოთ უაღრესად ფხიზლად, რადგან რუსეთში არსებობენ ჩვენი მოწინააღმდეგე სხვა ძალებიც, კერძოდ, ჩვენი სამხრეთელი მეზობლის — სომხეთის — ჩვენს მიმართ უაღრესად აგრესიულად განწყობილი დაჯგუფებები. საკმარისია დასახელდეს, მოსკოვში წლების მანძილზე მოსაქმე ვიადა არუთინოვა-ვიდანიანი, იქვე მყოფი მიგრანიანი, თვით სომხეთში მყოფი სხვადასხვა ერემიანები, მურადიანები და სხვ., რომელთაც საქართველოს ნახევარი სომხურად გამოაცხადეს, მცხეთის ჯვარი, ატენის სიონი, კუმურდო და ა. შ. სომხურ ძეგლებად, ქართული დამწერლობის შექმნა სომხებს მიაწერეს, ხოლო ჩვენი სასიქადულო მოღვაწეები, მათ შორის შოთა რუსთაველიც კი, სომხებად მონათლეს. ამის შესახებ საკმაოდ ბევრი დაიწერა და გამოქვეყნდა,[6] მაგრამ ეს ძალები დღესაც მოქმედებენ, „მეორე რუსეთის“ ხელშეწყობით, ეს არ უნდა დავივიწყოთ!

უაღრესად ფხიზლად უნდა ვიყოთ უფრო დიდი და ძლიერი მეზობლის — თურქეთის მიმართ, რომელიც არა მარტო იდეოლოგიურ, არამედ აშკარა აგრესიასაც ახორციელებს ჩვენ მიმართ, იმედია, ჩვენი ამჟამინდელი ხელისუფლება და გამოცდილი დიპლომატები ამას ყოველივეს გაითვალისწინებენ.

***

მინდა მოკლედ შევეხო დღეს ჩვენში მომდინარე პროცესებსაც. უპირველეს ყოვლისა, საყოველთაო მითქმა-მოთქმის საგნად ქცეული ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომ იგი პოლიტიკური მოღვაწეობიდან წასვლას აპირებს. რეაქციულად განწყობილი ძალები ცდილობენ, საქმე ისე წარმოაჩინონ, რომ ეს უახლოეს დროში მოხ-

[6] იხ. კრებული — **«Некоторе вопросы истории Грузии в армянской историографии», т. 5, 2009.**

დება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიაზროთ, რომ ბ. ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლას მას შემდეგ ვარაუდობს, როდესაც გაირკვევა ვინ არის ქვეყნის პრეზიდენტი, დალაგდება ახალი მთავრობა, დამყარდება მშვიდი პოლიტიკური გარემო. ამას კი საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. ამასთან, ბ. ივანიშვილი სრულიადაც არ გეგმავს პოლიტიკიდან მთლიანად წასვლას, იგი დატოვებს უმაღლეს თანამდებობებს, ხოლო აქტიურად განაგრძობს ერისთვის აუცილებელ და საჭირო პროცესებში მოღვაწეობას.

აუცილებლად გასააზრებელია, რომ ამ უახლოეს დროში არ შეიძლება რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობებზე ლაპარაკი; ეს იქნება კონტაქტები „მეორე რუსეთთან“ და არსებითად ჩვენი ძირძველი მხარეების დამოუკიდებლობის აღიარება. ასევე ამ ეტაპზე მიუღებელია სომხეთ-რუსეთის რკინიგზის ამოქმედება. ეს შესაძლოა, საერთოდ სასარგებლო საქმეა, მაგრამ დღევანდელ პირობებში ამის განხორციელება დაუშვებელია.

მამუკა ცუხიშვილი

პეტრე ბაგრატიონი [1]

200 წელი გვაშორებს იმ დღიდან, როდესაც რუსეთ-საფრანგეთის ომის (ბოროდინოს ბრძოლის) მთავარი გმირი და რუსეთის არმიის მხედართმთავარი პეტრე ბაგრატიონი აღესრულა. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს მკითხველისთვის, როდის, რა ვითარებაში და რატომ დაემკვიდრა საქართველოს სამეფო დინასტიის ერთ-ერთი უდიდესი შტო რუსეთში. ზაქარია ჭიჭინაძე ბრძანებს: „პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის სწავლა-განათლების მიღება რუსეთში, სამხედრო სამსახური და სახელოვნება ჩვენთვის არ უნდა იყოს უცხო და ხამი. აი, რათა: ქართველთ და რუსთა კავშირი იწყება ძველთაგანვე, 17 საუკ. გაცხარებით მიწერ-მოწერაც იმართება ქართველთ და მოსკოვის რუსთა მეფეთა წინაშე. შემდგომ ამისა, ანუ 18 საუკ. დამდეგიდან პეტრე დიდი საქართველოს აპყრობს დიდ ყურადღებას და ხალხთა შორისაც იმართება მიწერ-მოწერა“[2].

იმავე პერიოდიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ვახტანგმა თავი რუსეთს შეაფარა, მას თითქმის მთელი სამეფო ოჯახი თან გაჰყვა. მათ შორის იყვნენ ბაქარი, ვახუშტი, პაატა, ლევან, ივანე, ალექსანდრე და კირილე ბატონიშვილები, ზაალ ანდრონიკაშვილი, ერასტი თურქესტანიშვილი, მიხეილ ელვაძე, გაბრიელ გელოვანი, სვიმონ მაკაციძე და სხვები.

ვახტანგის ძმას იესეს (ალიყული-ხანი, 1680-1727 წწ.) ჰყავდა 5 ვაჟი; პირველი ცოლისაგან, მარიამ ყაფლანიშვილისაგან — გიორგი, ხოლო თეიმურაზ I-ის ასული ელენესაგან 4 ვაჟი — თეიმურაზი

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №3(9), 2013.

[2] ზ. ჭიჭინაძე, რუსეთის სამამულისშვილო ომი, თბ., 1912, გვ. 21.

(ანტონ I კათალიკოსი, 1720-1788 წწ.), აბდულა-ბეგი, ისაყ-ბეგი და უსეინ-ბეგი.

აბდულა, ისაყი და უსეინი მაჰმადიანები იყვნენ, თუმცა, როგორც წყაროებიდან ირკვევა, 1750 წელს კვლავ დედაეკლესიის წიაღში დაბრუნებულან და მართლმადიდებლურად მონათლულან, მაგრამ მასალებში ჩანს მხოლოდ ისაყ-ბეგი ვაჟებით: „ისაყ ბატონიშვილი, რომელ ესვიდა სჯულსა მაჰმადისასა, აღიარა წმიდა სჯული ქრისტიანობისა, და განიხარა მეფემან მორწმუნემან თეიმურაზ. განიყვანეს ქალაქისა გარეთ, ჩასვეს ისაყ მტკვარსა შინა, განათლეს შვილითურთ წმიდისა ნათლისღებითა და აღბეჭდეს წმიდისა ბეჭდისა მირონისათა. აღქმელ იქმნა მეფე ცხებული, და უწოდეს ქრისტიანობისა ალექსანდრე და ძეთა მისთა უწოდეს იოანე და სოლომონი. გაურიგეს მამული საბატონიშვილო ალექსანდრე ბატონიშვილს“[3].

ალექსანდრეს, ყოფილ ისაყ-ბეგს, ექვსი შვილი ჰყავდა — იოანე, სოლომონი, ანა, თომა და კიდევ ორი ქალიშვილი, რომელთა სახელები, სამწუხაროდ, ვერ დავადგინეთ. თვით ალექსანდრე სამხედრო სამსახურში შესულა და იოანე, სოლომონი და თომაც სამხედრო სამსახურში შეუყვანია. ხოლო ანა თავად გოლიცინზე გათხოვილა და პეტერბურგში გადასახლებულა.

ალექსანდრეს უფროსი ვაჟი იოანე (მეტწილად მოიხსენიებენ როგორც ივანეს) 1749-1763 წლებში ფსკოვის კარაბინერთა პოლკში მსახურობდა. იმხანად ეს პოლკი პოლტავაში იყო დაბანაკებული, ქართველთა კოლონიასთან, კრემენჩუკის ახლოს. ხოლო ყიზლარში თავად იოანეს ნაბოძები ჰქონდა პატარა მამული, სადაც დაემკვიდრა, ცოლი შეირთო და შეეძინა ორი ვაჟი — პეტრე (1765-1812 წწ.), შემდეგში სახელოვანი სარდალი, ბოროდინოს გმირი და რევაზი (იგივე რომანი, 1778-1834 წწ.).[4]

მეცნიერთა და მკვლევართა მხრიდან არაერთი მცდელობის მიუხედავად, აქამდე ვერ მოხერხდა იოანე/ივანე ბაგრატიონის მეუღლის ვინაობის დადგენა, ანუ ჩვენთვის არ არის ცნობილი, ვინ იყო პეტრე ბაგრატიონის დედა. თუმცა გამოითქვა რამდენიმე ვარაუდი, რომელმაც ბაგრატიონთა გენეალოგიაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა (პ.იოსელიანი, ს. ცომაია).

„ალექსანდრე იესეს ძე ბაგრატიონი, ძმისწული ვახტანგ VI-ისა, საქართველოდამ რუსეთში გადასახლდა 1757 წელს. ამ ალექსან-

[3] პ. ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, თბ, 1981, გვ. 34. ტექსტი დაადგინა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა.

[4] ვ. პარკაძე, პეტრე რევაზის ძე ბაგრატიონი, თბ., 1956, გვ. 7.

დრემ სწავლა რუსეთში მიიღო, ვახტანგ მეექვსის დროს, რუსეთში გადასახლებული მსახურობდა პოლკოვნიკად კავკასიის დივიზიაში. კირილე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი იყო იმდენად მომზადებული და განათლებული, რომ უკანასკნელ მიაღწია სენატორობამდე. კირილე ბაგრატიონის ძმა უნდა იყოს ივანე ბაგრატიონი, ვისი შვილიც უნდა გახლდეს პეტრე ბაგრატიონი. როგორც სჩანს, ივანე მამას არ გაჰყოლია რუსეთში, იგი საქართველოში დარჩენილა და 1757 წ. არ გადასახლებულა. ამიტომაც პეტრე ბაგრატიონი საქართველოში დაბადებულა 1765 წელს".[5]

სამწუხაროდ, ზაქარია ჭიჭინაძე, უდავოდ განსწავლული და ჭკვიანი ისტორიკოსი, ამჯერად უნდა ცდებოდეს, რადგან დადასტურებულია ის, რომ ივანე ბაგრატიონი საქართველოდან გადავიდა საცხოვრებლად რუსეთს 1749 წელს, რასაც იზიარებს ვ. პარკაძე და თ. ლომოური. შესაბამისად, იქვე შეირთო ცოლი და შეეძინა ჯერ პეტრე (1765 წ.), ხოლო მოგვიანებით რომანი, იგივე რევაზი (1778 წ.). აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ, რამდენადაც რუსეთის იმპერიაში არც სენატი არსებობდა და არც მსგავსი ინსტიტუტი, ამდენად, გაუგებარია, კირილე ბაგრატიონი რომელი სენატის წევრი იყო.

ცნობილი რუსი მკვლევარი ს. ბორისოვი წერს: „არწივი! ასე ეძახდნენ ჯარისკაცები ბაგრატიონს. მას, როგორც სუვოროვის[6] ერთ-ერთ უნიჭიერს მოწაფეს, ჯეროდა, რომ: „სამხედრო ხელოვნების ჭეშმარიტი წესია — პირდაპირ თავს დაესხა მოწინააღმდეგეს მისთვის ყველაზე უფრო საგრძნობი მხრით და არა დახვდე მას ლაჩრულად შესასვლელი გზებით. ბაგრატიონს ჰქონდა საამისოდ საჭირო თვისებები: რკინისებური შეურყევლობა და ტაქტიკური თვალზომა, რომლებიც მან ბრძოლის ველზე წარმატებით განავითარა".[7]

ის უდავოდ დიდი მხედართმთავარი, გონებაგმაჭრიახი სამხედრო მოღვაწე იყო, მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატიონს არ მიუღია იმ დროისათვის სათანადო უმაღლესი სამხედრო განათლება, რაც მაშინვე გახდა მითქმა-მოთქმის საფუძველი. „ბაგრატიონს ჰქონდა ერთი ნაკლი, რომელმაც ხელი შეუშალა მას, გამხდარიყო ისეთი რანგის სარდალი, როგორიც სუვოროვი და კუტუზოვი. ეს იყო სამხედრო განათლების არქონა".[8] „მისთვის (ბაგრატიონისთვის — მ.ც.) მთლი-

[5] დასხ. ზ. ჭიჭინაძე, გვ. 22.

[6] 1730-1800 წწ. რიმნიგის გრაფი, იტალიის თავადი, რუსი მხედართმთავარი, სამხედრო თეორიტიკოსი და გენერალისიმუსი.

[7] ს. ბორისოვი, ბაგრატიონი, თბ, 1941, გვ. 5, ქართულად თარგმნა გ, ჩიგოგიძემ.

[8] იქვე, გვ. 6.

ანად მისაწვდომი არ იყო დიდი საბრძოლო მოსაზრებანი, მაგრამ ის იყო ლომი, რომელმაც არც საფრთხე იცოდა და არც შიში“. [9]

აქვე უნდა განვმარტოთ, რომ მე-18 საუკუნის შუა წლებში რუსეთში არც ერთ მაღალი რანგის სამხედრო მოხელეს უმაღლესი სამხედრო განათლება არ მიუღია და, ბუნებრივია, გამონაკლისი არც ბაგრატიონი იქნებოდა. მით უმეტეს, რომ მან მხოლოდ 47 წელი იცოცხლა (ანუ ამ პერიოდში მიაღწია სამხედრო პირისთვის შესაფერის ყველა მაღალ ჩინს და იმპერატორის ყველაზე ძვირფას თანაგუნდელად ითვლებოდა), მაშინ როცა, სუვოროვი გარდაცვალების მომენტისათვის 69 წლისა იყო (1730-1800 წწ.), ხოლო კუტუზოვი — 68 წლის (1745-1813 წწ.).

რომ გადავხედოთ ახალგაზრდა გენერლისა და გმირის ცხოვრებას, დავრწმუნდებით, რომ მისთვის მთავარი იყო სამხედრო ღირსება და მუნდირი, ბრძოლა თავისუფლებისა და ერთიანობისათვის, ბრძოლა გამარჯვებამდე, რასაც შეეწირა კიდეც.

პეტრე ბაგრატიონი 17 წლის იყო, როდესაც რუსეთის მოქმედ არმიაში მიიღეს, როგორც რიგითი ჯარისკაცი. ის იმ პოლკში მსახურობდა, რომელიც თურქეთის წინააღმდეგ იბრძოდა და იცავდა კავკასიის მისადგომებს (1783-1792 წლები). ეს ყველაფერი მამიდის, ანა გოლიცინას წყალობით მოხდა. მან უამბო ძმისშვილზე რუსეთის არმიის გენერალს გრიგოლ პოტიომკინს და ამ დიდებული ადამიანის რეკომენდაციით ჩაირიცხა ასტრახანის ქვეითთა პოლკის სერჟანტად. მისი სამხედრო სამსახურის ნათლობად ითვლება 1782 წლის 21 თებერვალი. 1783 წელს პირველად გავიდა საბრძოლო ველზე და მონაწილეობა მიიღო ჩეჩნების წინააღმდეგ განხორციელებულ ბრძოლაში. 1785 წელს ჩეჩნებთან მეორე ბრძოლის დროს, რომელიც მდინარე სვინშთან გაიმართა, პოლკოვნიკი პიერის რაზმი სრულიად განადგურდა, შემოვლის თუ პატრულირების დროს ჩეჩენმა მეომრებმა მომაკვდავი ბაგრატიონი მოკლული ცხენის ქვემოდან გამოიყვანეს, ჭრილობები დაუმუშავეს და გონზე მოიყვანეს. ეს ყველაფერი იმ უდიდესი მადლიერებისა და სიყვარულის გამოხატულება იყო, რომელიც მისმა მამამ, ივანემ მოიმკო ამ ხალხში. მანსურ მაგომამის (ჩეჩნეთის სარდალი) ბრძანებით, ღამით, რუსების ბანაკთან ახლოს მიიყვანეს დაჭრილი სერჟანტი და თავად უკან დაბრუნდნენ. გამოჯანმრთელებული ბაგრატიონი ახალი ძალებით შეუდგა სამხედრო სამსახურს. რეორგანიზაციაც განიცადა მისმა ბრიგადამ, ის

[9] ვ. პოტტო, საქართველო და მისი ისტორიული წარსული, მოსკოვი, 1856, გვ. 172, ციტატა რუსულიდან თარგმნა ანჟელა ლალიაშვილმა.

შეუერთდა ტომსკის ქვეითთა პოლკს და ამირიდან კავკასიის მუსკეტერთა პოლკი ეწოდა.

1787-1791 წლებში, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ახლაგაზრდა ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა უკრაინაში, ნიკოლაევის ოლქის ქალაქ ოჩაკოვის ციხე-სიმაგრის აღებას, რისთვისაც სუვოროვის მადლობა და კაპიტნის ჩინი დაიმსახურა. ამ დროს სუვოროვს პირველად შეხვდა, მაგრამ გენერალს არც დაუმალავს ბაგრატიონისადმი თავისი კეთილი დამოკიდებულება. 1793 წელს მიენიჭა პრემიერ-მაიორის სამხედრო ჩინი (ვიცე-პოლკოვნიკის რანგის ჩინია, წესისამებრ მეთაურობს ბატალიონს) კიევის კავალერიის პოლკში თავდადებული სამსახურისათვის. 1794 წელს ბაგრატიონი, სუვოროვის გადაწყვეტილებით, დაინიშნა ბულგარეთის ქალაქ ბროდისა და ჩეხეთის ქალაქ სელდეცის ბრძოლების ბრიგადის მეთაურად, სადაც 1000 პოლონელი დაამარცხა და ხელთ იგდო სამხედრო ტექნიკა და 250 ტყვე. ამ ბრძოლების გამო, 1794 წელს მიენიჭა ვიცე-პოლკოვნიკის ჩინი, 1798 წელს პოლკოვნიკის სამხრეები ებოძა, ხოლო 1799 წელს გენერალ-მაიორის უმაღლესი სამხედრო ჩინით დაჯილდოვდა.

1798 წლის ბოლოს ინგლისმა, ავსტრიამ, თურქეთმა, ნეაპოლის სამეფომ (ჯერ იტალიის შემადგენლობაში იყო, ხოლო ალფონსო I-ის წყალობით ესპანეთის მფარველობაში გადავიდა და ორი სიცილია გაერთიანდა) და რუსეთმა შეკრეს სამხედრო კოალიცია საფრანგეთის წინააღმდეგ იტალიის ტერიტორიების გამოსახსნელად. შეთანხმების მიხედვით, საფრანგეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ჯარს გამოიყვანდა ავსტრია და რუსეთი, ხოლო ფინანსურ პრობლემებს გადაწყვეტდა ინგლისი. იმპერატორი იძულებული გახდა, არმიის მთავარსარდლად დაენიშნა ალექსანდრე სუვოროვი (აქვე შევნიშნავთ, რომ იმხანად ფელდმარშალ სუვოროვს უთანხმოება ჰქონდა იმპერატორ პავლე პირველთან, რის გამოც სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი და მშობლიურ სოფელ კონჩანსკოვოში იყო გადასახლებული, სადაც მეთვალყურედ ადგილობრივი ბოქაული დაუნიშნეს და სადაც გაბედულად სტუმრობდა მისი მოსწავლე პეტრე ბაგრატიონი) და გენერალისიმუსიც შეუდგა ცნობილ შვეიცარიულ ლაშქრობას. სუვოროვმა ავანგარდის, ანუ მოწინავე ლაშქრის მეთაურად დანიშნა გენერალ-მაიორი პეტრე ბაგრატიონი, რომლის უშუალო სარდლობით ჯერ ვენა გაათავისუფლეს, შემდეგ კი ჩრდილოეთ იტალია.

1799 წლის 10 აპრილს ბაგრატიონის შენაერთებმა ქალაქ ბრეშის ციხე-სიმაგრეს შეუტიეს და აიღეს კიდეც. მსუბუქად დაჭრილი სარდალი ბრძოლის ველზე რიგით ჯარისკაცებთან ერთად მამაცურად

იბრძოდა. ტყვე და ნადავლი აურაცხელი იყო. ამ მოვლენის შესახებ იმპერატორისადმი მიწერილ სუვოროვის პატაკში ვკითხულობთ: „გენერალ-მაიორ ბაგრატიონს, ვიცე-პოლკოვნიკ ლომონოსოვს და მაიორ პოზდნევს (ბაგრატიონის ავანგარდში შემავალი სამხედრო ნაწილების მეთაურებს) ვაქებ ციხის აღებისას გამოჩენილი სიმარდის, არაჩვეულებრივი თავგამოდებისა და გულმოდგინებისათვის“.[10] ამ პატაკს მოჰყვა უდიდესი რეზულტატი. იმპერატორის განკარგულებით რუსეთის არმიის პირველი არარუსი გენერალი დაჯილდოვდა წმიდა ანას პირველი ხარისხის ოქროს ორდენით.

იმავე წლის 26-27 აპრილს სუვოროვმა ჩრდილოეთ იტალიაში მდებარე მდინარე ადასთან გაანადგურა ფრანგების არმია. მდ. ადასთან გამართული ბრძოლების დროს ბაგრატიონმა აიღო ბერგამო (ქალაქი იტალიაში, ლომბარდიის რეგიონში), შემდეგ კი ქალაქ ლუკოსთან დაამარცხა საფრანგეთის საპატიო მარშალი, „ძლევამოსილი“ ჟან-მატიე-ფილიბერ სერიურიეს დივიზია.

1799 წლის 17-19 ივნისს ბაგრატიონმა თავი გამოიჩინა მდინარე ტრებთან (იტალია, ქალაქი პიაჩენცა) გამართულ ბრძოლაში. ეს ბრძოლა დასრულდა სუვოროვის გამარჯვებით, მოწინააღმდეგე მხარემ 18 000 ჯარისკაცი დაკარგა. ბაგრატიონი ამ დროს კიდევ დაიჭრა, თუმცა მას ბრძოლის ველი არ დაუტოვებია. მომდევნო დღეებში, რუსებსა და ფრანგებს შორის ქალაქ ნოვისთან გამართული შეტაკების დროს დაიღუპა გენერალი ჟიბერი. საომარი მოქმედებების დროს გამოჩენილი მამაცობის, სიმარჯვისა და ერთგულებისათვის სუვოროვმა რუსეთის იმპერატორს ბაგრატიონზე მისწერა: „იერიშზე გადასული არმიის მარცხენა ფრთაზე გენერალ-მაიორმა ბაგრატიონმა ექვსი ბატალიონითა და კაზაკთა ორი პოლკით დაიკავა გენუის ციხე-სიმაგრე ნოვოი, სადაც მან ხელთ იგდო დიდი რაოდენობის ნადავლი, სამხედრო ტექნიკა და სხვა საარტილერიო მარაგი. მადლობას ვუძღვნით ამისათვის გენერალს“.[11]

ამ ბრძოლის წარმატებით ჩატარებისათვის იმპერატორმა პავლემ გენერალ ბაგრატიონს თავისი ხმალი აჩუქა, რომელსაც პეტრე სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა.

რუსეთის არმიის ასეთმა წარმატებამ შეაშფოთა ინგლისისა და ავსტრიის მმართველი წრეები. სუვოროვს უბრძანეს, რომ იტალიაში დაეტოვებინა ავსტრიელები, თავისი არმიით კი ალპები გადაეკვეთა და შვეიცარიაში შეჭრილიყო. შესაბამისად, დახმარებაც აღუთქვეს,

[10] მიხ. გონიკაშვილი, ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბ., 1986, გვ. 132.

[11] ა. შერვაშიძე, ბაგრატიონი, ბათ., 1976, გვ. 19.

თუმცა ავსტრიელებმა პირობა არ შეასრულეს.

1799 წლის სექტემბერში სუვოროვის არმიამ ალპები გადალახა სურსათ-სანოვაგისა და დამხმარე ძალების გარეშე, სადაც ავანგარდს ისევ გენერალი ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა. პირველი წინააღმდეგობა „ეშმაკის ხიდთან“ წარმატებით დაძლიეს, შემდეგ დაიკავეს ქალაქი მიუტენი. ავსტრიის ღალატის გამო რუსეთის არმია ალყაში მოაქციეს. სუვოროვის ბრძანებით დაიწო ალყის გარღვევა, მთავარი ძალის გამოყენება ისევ ბაგრატიონს დაევალა. პეტრე გზაში დაიჭრა, ამჯერად მესამედ, მაგრამ მსუბუქად, წესისამებრ არ დაემორჩილა ადიუტანტებს და გმირულად იბრძოდა. ბოლო შეტაკება მოხდა ქალაქ შვანდენთან, რომელმაც არმიის მშვიდობიანად უკან დახევა უზრუნველყო.

ამის შემდეგ ბაგრატიონი დაინიშნა არიერგარდად, რუსეთის არმიის ხერხემლის მეთაურად. მან ბრძოლა მოიგო, მართალია, დიდი დანაკარგით, მაგრამ საიმპერატორო კარი ამას აღფრთოვანებით შეხვდა და უდიდესი მადლიერების ნიშნად, ბაგრატიონს პავლე პირველმა ლიტვაში „სამეფოდ“ წოდებული სოფელი უბოძა.

აქ პეტრე ბაგრატიონის პირად ცხოვრებას შევეხებით, ვინაიდან ჟამთა სვლის თანმიმდევრობას ასე უფრო დავიცავთ.

პეტრე იმპერატორის ოჯახთან დაახლოებული პიროვნება იყო. ის მეთაურობდა ეგერთა ლეიბგვარდიის ბატალიონს, რომელსაც იმპერატორის და მისი ოჯახის დაცვა ევალებოდა. არასაომარ ვითარებაში პეტრე იმპერატორს თან ახლდა როგორც აგარაკებზე, ისე საიმპერატორო წვეულებებსა და ბალ-მასკარადებზე.

პეტრეს ცხოვრებაში დადგა მომენტი, როდესაც 18 წლის ეკატერინე სკავრონსკაიამ მისი გაცნობა მოისურვა და შუამავლობა სთხოვა გრაფ ბალაშოვს, რომელიც დაახლოებული იყო გენერალთან. ბაგრატიონი ამ შემთხვევას თავს არიდებდა. ამის მიუხედავად, თავხედი თავადის ასული მივიდა და უთხრა: „მამაც გენერალს არ შეჰფერის, სუსტ ქალიშვილს ზურგი უჩვენოს და გაიქცეს.“[12] პეტრე მოიხიბლა ქალიშვილის პირდაპირობით და მათ შორის სასიყვარულო სიმი გაიბა, თუმცა თავადის ქალი არც ისე მგრძნობიარე და ნაზი აღმოჩნდა, როგორც თავს აჩვენებდა.

გაჭიანურებული ქორწინების ამბავმა იმპერატორის ყურამდეც მიაღწია და ჯვრისწერის საიდუმლოს შესრულება, აღდგომის მძიმე მარხვაში ბრძანა, მიუხედავად იმისა, რომ მღვდელი და თავად გენერალიც უარზე იყვნენ. საბოლოოდ, ჯვრისწერა შესრულდა 1800 წლის

[12] ა. ჟილინი, „კუტუზოვი“, თბ., 1956, გვ. 87.

14 სექტემბერს, საიმპერატორო კარის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში და სიძის მეჯვარე გახლდათ თავად რუსეთის იმპერატორი პავლე პირველი.[13]

ქორწინება კრახით დასრულდა, ვინაიდან ერთი შეხედვით მოკრძალებული პატარძალი მხოლოდ დროსტარებასა და გართობაზე ფიქრობდა. ამას დაემატა ბაგრატიონის ორი პირადი ტრაგედია. 1800 წლის მაისში 69 წლის ასაკში გარდაიცვალა მისი მასწავლებელი და უფროსი მეგობარი ალექსანდრე სუვოროვი, ხოლო 1801 წელს მოკლეს იმპერატორი პავლე პირველი. გულაცრუებული მხედართმთავარი უმეტეს დროს ან ჯარში ატარებდა, ან საომარ ველზე.

1805 წლის აპრილში შეიკრა რიგით მესამე კოალიცია ნაპოლეონის საფრანგეთის წინააღმდეგ. არმია ისევ რუსეთს და ავსტრიას გამოჰყავდათ, ინგლისი კი მას ფინანსურად უზრუველჰყოფდა. თუმცა მანამდე, სანამ გენერალი კუტუზოვი თავის არმიას გენერალ მაკის არმიას შეურთებდა, ნაპოლეონმა ავსტრიელებს შეუტია და ქალაქ ულმთან ისე დაამარცხა, რომ 21 ოქტომბერს ავსტრიელებმა კაპიტულაციას მოაწერეს ხელი. როდესაც ეს ამბავი კუტუზოვმა შეიტყო, მან გადაწყვიტა სწრაფი უკან დახევით ეშველა თავისთვის და არმია მდინარე დუნაის მეორე მხარეს გადაეყვანა. გზაში მას გენერალ მაკის არმიიდან გადარჩენილი ავსტრიელებიც შეუერთდნენ გენერალ კინმაიერის მეთაურობით. კუტუზოვის გეგმა დუნაის გადალახვის შემდეგ არმიის გენერალ ფ. ბუკსგევდენის კორპუსთან შეერთებას ითვალისწინებდა.

რუსეთის არმია უკან დახევას ცდილობდა საარიერგარდო ბრძოლებით, რომელსაც ბაგრატიონი სარდლობდა. უკან დახევისას, არიერგარდმა მტრის შესაჩერებლად მდინარე ენსი გადალახა და ხიდები გადაწვა. თუმცა ბრძოლა არ შეწყვეტილა. ავსტრიის ქალაქ ამშტეტენთან არიერგარდს შეუტიეს, მაგრამ გენერალ მილორადოვიჩის დახმარებით ბაგრატიონმა გამარჯვებას მიაღწია.

ვენის აღების შემდეგ, იმავე წლის 15 ნოემბერს, მარშალ იოაჰიმ მიურატის შენაერთმა მდინარე დუნაი გადმოლახა და შეეცადა, რუსეთის არმიისათვის უკან დასახევი გზები მოეჭრა. მის შესაჩერებლად ბაგრატიონის არიერგარდი გაემართა, თუმცა მიურატს ეგონა, რუსეთი მთელი არმიით გამოდიოდა და მოლაპარაკება გააჩაღა. ნაპოლეონი მიხვდა მიურატის დაბნეულობას და წინსვლა უბრძანა. ბრძოლა მიმდინარეობდა ქალაქ შენგრაბენთან. ალყაში მოქცეულმა ბაგრატიონმა გაარღვია ჩაკეტილი სივრცე და სამშვიდობოს გავიდა,

[13] გენერალი დ. დავიდოვი, „სამხედრო ჩანაწერები“, მოსკოვი, 1897, გვ. 34.

რასაც ნაპოლეონის მხრიდან ბრძოლის შეწყვეტის შესახებ ბრძანება მოჰყვა.

კუტუზოვმა მიწერა იმპერატორს: „მოწინააღმდეგემ ალყა შემოარტყა ბაგრატიონს იმგვარად, რომ მისი კორპუსის განადგურება გარდაუვალი იყო, თავად ბაგრატიონი მამაცურად ებრძოდა თავისი 6 000 მეომრით 30 000 მეტ კაცს, გეგმაზომიერად დაიხია უკან და შემოუერთდა მთავარ არმიას, რამაც რუსული არმია განადგურებისაგან იხსნა“.[14]

ამ ბრძოლაში გამოჩენილი მხედრული მამაცობისათვის პეტრე ბაგრატიონს ებოძა გენერალ-ლეიტანანტის სამხედრო ჩინი და დაჯილდოვდა მარი-ტერეზას ორდენის კომანდორის ჯვრით, რომელიც მიანიჭა ავსტრიის იმპერატორმა კარლ მეექვსემ (ეს ჯილდო ენიჭებოდა მხოლოდ ავსტრიელებს, გამონაკლისი დაუშვეს მხოლოდ ბაგრატიონზე), ხოლო არიერგარდის მებრძოლებს გადაეცათ სპეციალურად მათთვის დამზადებული სამკერდე ნიშნები წარწერით „ხუთი ოცდაათის წინააღმდეგ“.

ამის შემდეგ კუტუზოვის არმიას გენერალ ბუკსგევდენის კორპუსი შეუერთდა და მისმა რიცხვმა დაახლოებით 85 000-ს მიაღწია. ბაგრატიონი სათავეში ავანგარდს ასეთ ვითარებაში ჩაუდგა. 27 ნოემბერს დაიძრა გაერთიანებული არმია ნაპოლეონ ბონაპარტესთან შესარკინებლად. ბაგრატიონმა იმთავითვე დაიკავა ქალაქი ვიშაუ, ხოლო ქალაქ ოლმიუცში ჯარები გაერთიანდა, რომელთაც ალექსანდრე I და ფრანც II ჩაუდგნენ სათავეში. ამაყმა იმპერატორებმა კუტუზოვის მიერ წარდგენილი გეგმა არ მოიწონეს და თავიანთი, უნიჭოდ შედგენილი გეგმით დაიწყეს საბრძოლო მოქმედება. მანამდე პეტრეს გააცვნეს გეგმა და მან ერთმნიშვნელოვნად განაცხადა: „ჩვენ ამ ბრძოლას წავაგებთ“.[15]

1805 წლის 2 დეკემბერს[16] სოფელ აუსტერლიცთან გაიმართა ბრძოლა იმპერატორების გეგმის მიხედვით (იგივე ვეიროტერის გეგმა). ბაგრატიონს ჩაბარებული ჰქონდა არმიის მარჯვენა ფლანგი. მის განკარგულებაში იყო 13 000 მეომარი (არის წყაროები, რომლებიც 14 და ზოგჯერ 15 ათასსაც ასახელებენ). მის წინ განლაგებული იყო გენერლების, მიურატისა და ლანის საჯარისო შენაერთები. ნაპო-

[14] ი.როსტუნოვი, ბაგრატიონი, მოსკოვი, 1937, გვ. 51.

[15] ს. ბორისოვი, ბაგრატიონი. თითქმის ეს ფრაზა გამოიყენა ლევ ტოლსტოიმ თავის ნაწარმოებში „ომი და მშვიდობა.“

[16] თარიღები ყველგან ნაჩვენებია ძველი სტილით, როგორც ეს მითითებულია რუსეთის ომების ისტორიის ენციკლოპედიურ გამოცემაში, მოსკოვი, 1902.

ლეონმა ისარგებლა „ვეიროტერის“ აბსურდული გეგმით და სრულიად მარტივი სვლებით მოიგო ბრძოლა. ერთადერთი შენაერთი, რომელიც არ დაშლილა და ბრძოლის ველიდან არ გაქცეულა, გენერალ ბაგრატიონის ნაწილი იყო. როგორც ეს უმეტესად ხდება, იმპერატორებმა გაქცევით უშველეს თავს.

მესამე კოალიციური ომი ფრანგების გამარჯვებით დასრულდა, რასაც რუსეთის იმპერატორის გაღიზიანება და სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელება მოჰყვა, მათ შორის კუტუზოვიც დაისაჯა. ერთადერთი, ვისაც აუსტერლიცის ომის გმირი ეწოდა, ბაგრატიონი იყო, იგი დაჯილდოვეს წმიდა გიორგის მეორე ხარისხის ორდენით.[17] ამ ბრძოლამ განსაზღვრა ბაგრატიონის უდიდესი ავტორიტეტი მთელს რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში.

1806 წელს რუსეთმა, ინგლისმა, პრუსიამ და შვედეთმა შექმნეს კიდევ ერთი, რიგით მეოთხე კოალიცია. როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ჯარები საბრძოლველად გამოჰყავდა რუსეთს, მეკავშირედ პრუსია გამოვიდა. ფინანსურ უზრუნველყოფას ინგლისი ახორციელებდა. მოქმედებათა დაწყებამდე ნაპოლეონი პრუსიაში შეიჭრა 170 000-იანი არმიით, რომელიც გაანადგურა გერმანიის ქალაქ იენასთან მომხდარი ბრძოლის დროს; იქიდან კი ბერლინისკენ გაეშურა და უომრად ჩაიგდო ხელში.

იმავე წელს ფრანგები პოლონეთში შევიდნენ. საომრად მზად იყვნენ გენერლების, ბუკსგევდენისა და ბენიგსგენის ნაწილები, რომელთა საერთო რაოდენობამ 135 000 გადააჭარბა. ნაწილებს ხნიერი გენერალი კამენსკი ხელმძღვანელობდა, რომელმაც არმია უმალვე დატოვა, ვინაიდან მიხვდა თავის ფიზიკურ უძლურებას. ის ჩაანაცვლეს უნიჭო ბენიგსგენით, ხოლო მას შემდეგ, რაც მისი შეცდომები ცხადი გახდა, ავანგარდის მეთაურად გენერალი ბაგრატიონი განამწესეს. მიმდინარე ბრძოლებისას პინა ხან ბაგრატიონის, ხან კიდევ ფრანგების მხარეს იხრებოდა. რომ არა მრავალი უნიჭო სარდალი და მათი მოქმედება, ბაგრატიონი უფრო მალე მიაღწევდა სასურველ შედეგს. ბაგრატიონის არმიამ გაათავისუფლა ფრანგების მიერ დაკავებული ქალაქი ეილაუ (ზოგან პროისიშ-აილაუ, რუსეთი, კალინინგრადის ოლქი), რომელსაც 1947 წლის 7 სექტემბერს ბაგრატიონოვსკი ეწოდა.

ეილაუს ბრძოლის დროს გაიცა მოღალატური ბრძანება უკან დახევის შესახებ, რომელმაც გადაწყვიტა ბრძოლის შემდგომი ბედი.

[17] მ. ბოგდანოვიჩი, ისტორია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველისა, რუსეთი და მისი დრო, მოსკოვი, 1869, გვ. 81.

საერთოდ, ბენიგსგენმა არაერთი შეცდომა დაუშვა, რასაც მოჰყვა უკანდახევა, ჯარების არასწორი განლაგება, უყურადღებობა, თვითნებობა. მარცხი გარდაუვალი აღმოჩნდა, 1807 წლის ივლისში ქალაქ ტილზიტში ზავი დაიდო, რომელმაც ვერ შეძლო მხარეების დაზავება. სამაგიეროდ, უარყოფითი შედეგები უხვად მოიტანა, რამაც შედეგად რუსეთის მოსახლეობაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოების და, შესაბამისად, რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის კარგა ხნით ისევ ჩიხში მოქცევა მოიტანა.

მეოთხე კოალიციის სახელით ცნობილი ომის შემდეგ ბაგრატიონი ერთხანს პეტერბურგში ისვენებდა, მაგრამ რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა შვედეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო. არმიას მთავარსარდლობდა გენერალი ბუკსგევდენი, რომელიც თებერვლის ბოლოს ფინეთში შეიჭრა. ბაგრატიონის 21-ე დივიზიამ, 26 გრადუსი ყინვის მიუხედავად, წარმატებით გადალახა საშიში გზები და მარტის 10-სათვის დაიკავა ფინეთის ქალაქები — ტავასტჰუსი, აბო და ტამერფორსი. შემდეგ აიღო ქალაქი ბეირნებორგი, მაგრამ წინსვლაში უნიჭო მხედართმთავარმა შეუშალა ხელი. რასაც დაემატა ბაგრატიონის ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულება და ამიტომ მან სექტემბრამდე ტაიმ-აუტი აიღო.

წინა მხედართმთავარს კიდევ უფრო უნიათო ჩაენაცვლა. კარლ კნორინგმა ყველასთან შეუთანხმებლად დაიწყო სვლა ქალაქ სტოკჰოლმისაკენ. თუმცა ეს ძალიან სახიფათო იყო, რადგან გადასალახი იყო ბოტნიის ყურე (ბალტიის ზღვაში). ამის მიუხედავად, ბაგრატიონმა 17 000 მეომრით ღირსეულად გადალახა ყურე და დაიკავა ალანდის კუნძულები (ყოფილი პრინცესას კუნძულები, ფინეთის არქიპელაგთან ახლოს). სტოკჰოლმისაკენ მიმავალ გზაზე შეიტყვეს, რომ შვედეთში დაიდო ფრიდრიხსგამის ზავი, ხოლო რუსეთში დაბრუნებულ რუსეთ-შვედეთის ომის მთავარ გმირს ინფანტერიის გენერლის სამხედრო ჩინი ებოძა.

გარკვეული დროით შეისვენა ბაგრატიონმა, მაგრამ პეტერბურგში მას დახვდა მეუღლის აუარებელი ვალები. ეკატერინეს თავხედობა იქამდეც კი მივიდა, რომ ვალების აღება მეუღლეს დააბრალა და მაღალ საზოგადოებაში მისი სახელი შებღალა. ჩვენთვის არ არის ცნობილი, განქორწინება შედგა თუ არა, მაგრამ როგორც ეკატერინეს რწმუნებული ვ. ბოგოლიუბოვი იგონებს: „პეტრე იყო უაღრესად მოკრძალებული, თავმდაბალი და ასეთი ცოლი მას არ შეეფერებოდა“[18].

[18] ბ. გრიბანოვი, „ბაგრატიონი პეტერბურგში“, მოსკოვი, 1976, გვ. 67.

ეკატერინეზე გულაცრუებულმა პეტრემ თითქოს ნავთსაყუდელი ჰპოვა ალექსანდრე პირველის დასთან, მაგრამ ეს რომანიც კრახით დასრულდა. ეკატერინე (ესეც ბედის ირონიაა) ჯერ ავსტრიის პრინც ფილიპე მეორეზე უნდა დაქორწინებულიყო, რაც არ შედგა, მაგრამ იგი დააქორწინეს ედიმბურგის უფლისწულ გეორგიზე, რომელიც რუსეთის არმიის გენერელ-მაიორი იყო. ამის მიუხედავად, ეკატერინესა და პეტრეს შორის რაღაც სიმი მაინც ირხეოდა, რაც არ გამოჰპარვია იმპერატორს და მან პრევენციულ ღონისძიებას მიმართა — პეტრე ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად გააგზავნა, რამაც ამ ორი ადამიანის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა.

რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 წლების ომი გამოწვეული იყო ოსმალეთის რევანშისტული პოლიტიკით. კონტანტინეპოლში მიიჩნევდნენ, რომ რადგან რუსეთი 1804 წელს ირანთან ომობდა, ხოლო 1805 წელს საფრანგეთთან, ოსმალეთი ადვილად შეძლებდა საქართველოს დაპატრონებას და შავიზღვისპირეთში თავისი ჰეგემონიის დამყარებას. 1806 წლის 21 ნოემბერს რუსეთის 40 000-იანმა არმიამ გენერალ მიხელსონის მთავარსარდლობით მდინარე დნესტრი გადალახა და დუნაის სამთავროები დაიკავა. 18 დეკემბერს ოსმალეთმა რუსეთს ომი ოფიციალურად გამოუცხადა. საომარი მოქმედებები გაიშალა დუნაიზე და ამიერკავკასიაში, ხოლო პარალელურად რუსეთის არმიამ ათონთან ბრძოლაში დაამარცხა ოსმალთა ფლოტი.

1807 წლის მიწურულს მთავარსარდალი ი. მიხელსონი გარდაიცვალა, მის ნაცვლად დაინიშნა ა. პროზოროვსკი, რომელიც ასევე მალე, 1809 წელს გარდაიცვალა. იმავე წლის 11 აგვისტოდან არმიას მთავარსარდლობდა პეტრე ბაგრატიონი. 17 სექტემბერს რუსეთის საჯარისო ნაწილებმა იერიში მიიტანეს რასევატის ციხე-სიმაგრეზე, რომელიც აიღეს კიდეც. რასაც მოჰყვა ბაგრატიონის დაჯილდოვება წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უმაღლესი ორდენით.

გარკვეულ მომენტში ბაგრატიონის ნაწილებმა ქალაქ ტარაციტასთან მარცხი იწვნიეს. იგი შეეცადა, განახლებული ძალებით კვლავ დაეწყო შეტევა, მაგრამ გაბრაზებულმა იმპერატორმა, 1810 წლის თებერვალში პეტრე გაანთავისუფლა არმიის მთავარსარდლობიდან და მოლდავეთის არმია ჩააბარა, მისი ადგილი კი გენერალმა კამენსკიმ დაიკავა.

1812 წლისათვის საფრანგეთსა და რუსეთს შორის ისედაც გართულებული ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. ბონაპარტემ პრუსია-ავსტრიასთან ხელშეკრულება დადო, რომლის მიხედვით მათი არმიები ნაპოლეონის განკარგულებაში გადავიდნენ. რუსეთს კი მხარს

უჭერდა ინგლისი, ესპანეთი და შვედეთი. იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ბაგრატიონი დანიშნა პოდოლსკის არმიის მთავარსარდლად. მან შეადგინა სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანი იყო შეტევითი მოქმედებების რადიკალური განხორციელება და, შესაბამისად, საფრანგეთის მოკავშირეების — ავსტრიის, პრუსიისა და პოლონეთის — ჩამოცილება. იმპერატორმა მხარი არ დაუჭირა ბაგრატიონის გეგმას და უპირატესობა გენერალ ფულეს ინიციატივას მიანიჭა.

24 ივნისს ნაპოლეონმა 600 000 ჯარისკაცისაგან შემდგარი არმიით, მოულოდნელად, ომის გამოუცხადებლად გადალახა მდინარე ნემანი და გენერალ ფულეს გეგმის მიხედვით წარმოებული ანტირუსული საომარი მოქმედებები უმალვე მოიგო, რამაც სამარცხვინო დამარცხება აგემა ალექსანდრე იმპერატორსა და მთელს რუსეთს. 17 აგვისტოს ნაპოლეონმა იერიში მიიტანა სმოლენსკზე. ქალაქს იცავდა დასავლეთის პირველი არმია, ბაგრატიონის არმია კი მოსკოვისკენ მიმავალ გზას აკონტროლებდა, რათა მტრისთვის დედაქალაქში შესვლის საშუალება არ მიეცა. ბარკლაი-დე-ტოლიმ თავიდან მტერს ქალაქი არ დაუთმო, თუმცა მეორე დღეს სმოლენსკი მტრის ხელში აღმოჩნდა, რამაც ბაგრატიონისა და ბარკლაი-დე-ტოლის ურთიერთობა უფრო დაძაბა. რასაც მოჰყვა დე-ტოლის დაუყოვნებლივ დათხოვა თანამდებობიდან, რომელიც კუტუზოვმა ჩაანაცვლა. მ. კუტუზოვმა ნაპოლეონის წინააღმდეგ საბრძოლველად აირჩია ბოროდინოს ველი. სადაც ძალები ასე გადანაწილდა: რუსები — 120 000 ჯარისკაცი და 640 ზარბაზანი, ფრანგები — 130 000 ჯარისკაცი და 587 ზარბაზანი. ბაგრატიონს ჩააბარეს მარცხენა ფლანგი.მოულოდნელად ნაპოლეონის სიძემ, ფრანგმა მარშალმა და ნეაპოლის მეფემ (1808-1815 წწ.) იოაჰიმ მიურატმა დაიწყო შეტევა და შევარდინოს რედუტიც (ტრაპეციის ფორმის მიწაყრილი) დაიკავა, თუმცა ბაგრატიონმა ბრძოლაში თავი გამოიჩინა და რედუტი უკან დაიბრუნა. თუმცა კუტუზოვის მოულოდნელმა განკარგულებამ ბაგრატიონი უკან დააბრუნა და შესაბამისად შევარდინო ფრანგებს დაუთმეს.

7 სექტემბერს ფრანგებმა საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს რუსების მარცხენა ფრთას, რომელსაც ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა. დაახლოებით 100 ზარბაზანი იყო იერიშზე გადასული. სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობდა ყველა მიმართულებით. ვორონცოვის (შემდეგ კავკასიის მეფისნაცვალი) ფლანგს უტევდა გენერლების, დეზესა და კომპანის დივიზიები, გადალახეს ეგერთა პოზიციები და ბაგრატიონის ფლეშებში* შეაღწიეს. მაგრამ ეგერების

თავგანწირული ბრძოლის კვალდაკვალ უკან დაიხიეს. ბრძოლა მეტად დაძაბულსა და დაუნდობელ ვითარებაში მიმდინარეობდა, დაიჭრნენ კომპანი და დეზე, მარშალმა დავუმ კონტუზია მიიღო.

მესამე შეტევისათვის ნაპოლეონმა შემტევი ჯარები გააძლიერა, მათი უმთავრესი სამიზნე სწორედ ბაგრატიონის ფლეშები იყო. ამ ბრძოლაში დაიჭრნენ კუტუზოვი და ვორონცოვი. რუსები არ მოერიდნენ ნაპოლეონის ასეთ გააფთრებას და კონტრშეტევა განახორციელეს. ფლეშები მონაცვლეობით ხან მტრის, ხან კიდევ ბაგრატიონის ხელში იყო. 11 საათისათვის ნაპოლეონმა 45 000 ქვეითითა და კავალერიით და 410 ქვემეხით მეოთხე იერიში დაიწყო. ბაგრატიონი მიხვდა რა ძალთა მკვეთრ სხვაობას, უმალ გადავიდა შეტევაზე 20 ათასი მეომრით, რომელსაც, ომის კანონების საწინააღმდეგოდ, თავად ჩაუდგა სათავეში. ბრძოლის შუაგულში ფრანგებმა ხიშტებით დაიწყეს ბრძოლა, რომელიც 1 საათი გაგრძელდა. რუსებმა უპირატესობა მოიპოვეს. მაგრამ მოხდა ის, რამაც საგონებელსა და შოკში ჩააგდო მთელი არმია. მტრისგან ზარბაზნის ყუმბარის ნასხლეტით ბაგრატიონი მარჯვენა ქვემო კიდურის წვივში დაიჭრა (დეტალებზე ცოტა ქვემოთ) და ბრძოლას გამოეთიშა, მიუხედავად იმისა, რომ გონების დაკარგვამდე მამაცურად იბრძოდა. ამ ტრაგიკულმა ფაქტმა გადაწყვიტა ბოროდინოს ბრძოლის ბედი. ჯარებმა უკან დახევა დაიწყეს. დაჭრილი და ღონემიხდილი ბაგრატიონი სოფელ სიმში გადაიყვანეს.

აკადემიკოსი ტარლე წერდა: „ბაგრატიონის ასეთმა მდგომარეობამ საგონებელში ჩააგდო გენერალიტეტი და ჯარისკაცები. ეს იყო ბრძოლის ყველაზე კრიტიკული და საბედისწერო ეპიზოდი. გარდა იმისა, რომ არმიასა და ჯარისკაცებს უყვარდათ გენერალი, მათ სჯეროდათ მისი უძლეველობისა და სიმამაცის“.[19]

მხედართმთავარს მკურნალობას უწევდნენ სახელგანთქმული ექიმები. თავად მთავარი ექიმი გოვოროვი არ ტოვებდა გენერალს. ერთ მომენტში მას ექიმებმა ფეხის ამპუტაციაც კი შესთავაზეს მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, რაზეც მკაცრი უარი მიიღეს. როდესაც ფრანგების მიერ მოსკოვის აღება შეიტყო, პეტრემ ხმამაღლა წარმოთქვა: „მშვიდობით, ჩემო პატივცემულო მეგობრებო! მე ვკვდები არა ჭრილობით, არამედ მოსკოვით“.

ამის მიუხედავად ის იმედებს არ ჰკარგავდა, მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. მასში იფეთქა ქართულმა ჯიშმა და როდესაც

[19] კ.ტარლე, ნაპოლეონი, მოსკოვი 1941, გვ 91.

* fleSi _ savele simagre blagvi kuTxis formisa (red).

შეიტყო, რომ მოსკოვზე ფრანგები ბატონობდნენ, ფეხზე წამოიჭრა და რამდენიმე მეტრი ჩქარი ნაბიჯებით ოთახში გაიარა, რამაც უკიდურესად დაამძიმა მისი მდგომარეობა და განგრენაც განუვითარდა.

ექიმი გოვოროვი არის უტყუარი მომსწრე ბაგრატიონის უკანასკნელი დღეებისა და მის მიერ დაწერილი პატარა ნაშრომი, რომელიც ქართულად 1990 წელს თარგმნა მზია გელაშვილმა, სავსებით ამომწურავად სცემს პასუხს ყველა კითხვას, თუ როგორი ადამიანი იყო რუსეთის არმიის ყველა დროის ყველაზე გამოჩენილი მხედართმთავარი. აქვე ვიტყვით, რომ გოვოროვმა გააცოცხლა ბაგრატიონი, რომელიც შეეწირა კეთილდღეობას და თავისუფლებას რუსეთისა, რომელიც უყვარდა.

„მე მივმართე: თავადო, თქვენო აღმატებულებავ, ასეთ დროს ხშირად ღმრთის მადლი სასწაულებრივად მოქმედებს სნეულზე, ამიტომ ხომ არ ინებებდით მღვდელი გვეხმო წმიდა ზიარების მისაღებად?“ ბაგრატიონმა მიპასუხა: „დიახ! კარგად მესმის, ეს რასაც ნიშნავს. მე მუდამ მართლმორწმუნე ქრისტიანი ვიყავი და უბრძანეთ, ახლავე მოიყვანონ მღვდელი (ამ პასუხში ნათლად ჩანს თავად ბაგრატიონის პიროვნება; მასშია წარმოჩენილი გულის უმაღლესი გრძნობიერება და დიდებული მართლმორწმუნე ქრისტიანის სული)“. „საღამოს 9 საათზე თავადმა ქრისტიანის ყველა უკანასკნელი ვალი პირნათლად მოიხადა. მეორე დღის პირველ საათზე იგი მშვიდად მიიცვალა“.

დაგვეთანხმებით, ეს ციტატა კომენტარს არ საჭიროებს. აქ სრულიად მკაფიოდ და ამაღლებულადაა გადმოცემული დიდი ადამიანის ცხოვრების უკანასკნელი დღეები. ამის მიუხედავად მაინც დავსძენთ, რომ პეტრე ბაგრატიონი იყო წმიდა ადამიანი, რომელიც რუსეთის ისტორიაში იყო მოვლენა და რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რუსეთის არმიის ძლევამოსილებას.

მისივე მკურნალი ექიმი განგარტი წერდა: „ჭრილობისაგან ის გრძნობდა სასტიკ ტკივილს, იტანჯებოდა შეტევებით, მაგრამ მცირეოდენი წუხილიც კი არ გამოუხატავს თავის ბედსა და ტანჯვაზე. ყველაფერს იტანდა, ისე როგორც ნამდვილი გმირი, არ ეშინოდა სიკვდილისა. მის მოახლოებას ისეთივე სიმშვიდით ელოდა, როგორითაც მზად იყო გააფთრებულ ბრძოლაში მას შეხვედროდა.“ [20]

17 დღიანი უშედეგო მკურნალობის შემდეგ, 24 სექტემბერს პეტრე ბაგრატიონი გარდაიცვალა და 30 სექტემბერს მოკრძალებული პატივით მიაბარეს სიმის სასაფლაოს.

ბაგრატიონის თანამებრძოლისა და პირველი ადიუტანტის, გენ-

[20] ბ. გრიბანოვი, ბაგრატიონი პეტერბურგში, მოსკოვი. 1979, გვ. 200.

ერალ დენის დავიდოვის სურვილი იყო, რომ მისი ნეშტი ბოროდინოს ველზე გადაესვენებინათ, რაც 27 წლის შემდეგ, 1839 წელს განხორციელდა, თუმცა იდეის ავტორი ამას ვერ მოესწრო.

პეტრე ბაგრატიონის დამსახურება რუსეთის სახელმწიფოს წინაშე მის სიცოცხლეშივე არაერთგზის დაფასდა, ამაზე მეტყველებს ის ჩინ-მედლები, რომლებიც მანამდე არც ერთ არარუს (და იშვიათი გამონაკლისის გარდა, არც რუს) მაღალი რანგის სამხედრო მოღვაწეს არ მიუღია: „სარდინიელი წმიდანების მავრიკიოსისა და ლაზარეს პირველი ხარისხის ოქროს ორდენი“, „მარი-ტერეზას ოქროს ორდენი კომანდორის ჯვრით“, მალტის „წმიდა იოანე იერუსალიმელის ოქროს ორდენი ალმასებით“, „წმიდა ანას პირველი ხარისხის ოქროს ორდენი ბრილიანტებით“, „წმიდა ალექსანდრე ნეველის ოქროს ორდენი ალმასებით“ (ყველა 1799 წელს), „წმიდა გიორგის მეორე ხარისხის ორდენი“ (1806 წელი), პრუსიული „წითელი არწივის ოქროს ორდენი“ და პრუსიული „შავი არწივის ოქროს ორდენი“ (ორივე 1807 წელს, ეს ორდენები ენიჭებოდათ მხოლოდ პრუსიელებს და მხოლოდ ერთხელ დაუშვეს გამონაკლისი, ისიც გენერალ ბაგრატიონის გამო), „წმიდა ვლადიმერის პირველი ხარისხის ოქროს ორდენი“, (1808 წელი), „წმიდა ანდრია პირველწოდებულის ოქროს ორდენი“ (1809 წელი, ეს ორდენი სპეციალურად დამზადდა და რუსეთის სამხედრო მოღვაწეებიდან მიენიჭა მხოლოდ ბაგრატიონს), „ოქროს დაშნა მხედრული სიმამაცისათვის“ ალმასებითა და ბრილიანტით (1810 წელი, გადაეცა იმპერატორისაგან და როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, ეს იყო პირველი და უკანასკნელი უძვირფასესი საჩუქარი ბოძებული უშუალოდ იმპერატორისაგან).

იმპერატორმა პავლემ და იმპერატორმა ალექსანდრემ უბოძეს ქალაქი და რამდენიმე სოფელი, რაზეც ბაგრატიონმა მადლობა შესწირა მათ, მაგრამ უარი განაცხადა, რაც მის კეთილშობილურ ბუნებასა და სულიერებაზე მეტყველებს.

200 წლის წინ რუსეთი გამოეთხოვა თავის ყველაზე ახალგაზრდა, ერთგულ, ძლიერსა და უნიჭიერეს გენერალს და მხედართმთავარს, თავის მამაც და გულწრფელ მეომარს, გონიერ და გონებაგამჭრიახ სამხედრო მოღვაწეს, რუსეთის არმიის რეფორმატორსა და ორგანიზატორს.

200 წლის წინ მთელი ევროპა შეძრა ამ ტრაგედიამ, ხოლო ნაპოლეონს ათქმევინა: „მე მეშინოდა ბაგრატიონის, მისი სიკვდილით რუსეთის არმიას დედაბოძი წაექცა“. ამის მიუხედავად, გმირული სულით აღვსილმა რუსეთის არმიამ საბოლოოდ მაინც შეძლო და

დაამარცხა ნაპოლეონი, ხოლო ამ დიად გამარჯვებაში ლომის წილი სწორედ ბაგრატიონს მიუძღვის.

სულით და გულით ქართველმა, ბაგრატიონთა დინასტიის ღირსეულმა შთამომავალმა, თავადმა პეტრე ბაგრატიონმა თავისი სიცოცხლე ანაცვალა რუსეთის ძლიერებას, რაც გამარჯვების ერთ-ერთ ძირითად პირობად მიაჩნდა იმ ბრძოლაშიც, რომელსაც მისი პატარა სამშობლო მთელი თავისი არსებობის განმავლობაში აწარმოებდა.



გულბაათ რცხილაძე

რატომ ეწინააღმდეგება დასავლეთი უკრაინისგან ყირიმის გამოყოფას?[1]

დასავლეთი მთელი ძალით ეწინააღმდეგება უკრაინისგან ყირიმის ჩამოცილებას. რა თქმა უნდა, დასავლეთისთვის უფრო მომგებიანია, რომ უკრაინა დარჩეს ერთიან და უნიტარულ სახელმწიფოდ, რადგან იგი კიევში თავისთვის და თავისი მარიონეტებისათვის სახეს შეინარჩუნებს. ასევე, როგორც ცნობილია, ყირიმი წარმოადგენს რუსეთის შავი ზღვის ფლოტის დასაყრდენს. ყირიმის დაუფლებით, რუსეთი უფლებას იბევებს, მუდმივად გამოიყენოს სევასტოპოლის ბაზა. რა თქმა უნდა, გეოპოლიტიკურად ყირიმი მნიშვნელოვანია, მაგრამ არასგზით არ შეიძლება მისი მნიშვნელობის გადაჭარბება, რადგან ევროკავშირსა და ნატოზე ორიენტირებულ უკრაინას, თეორიულად, სავსებით ძალუძს ყირიმის გარეშე არსებობა. უკრაინისთვის ყირიმი იგივე არ არის, რაც საქართველოსთვის „სამხრეთ ოსეთი“, ანუ შიდა ქართლის რაიონებია — ოდითგანვე ქართული მიწები, თითქმის გული საქართველოსი. საქართველოში უამრავი ლტოლვილია აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან, ხოლო ლტოლვილების მოზღვავება უკრაინაში, ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში გადასვლის გამო, მოსალოდნელი არ არის. ასეც რომ იყოს, უზარმაზარ უკრაინაში ეს ნაკლებად შესამჩნევი იქნებოდა. ყირიმი მხოლოდ პერიფერიაა უკრაინის რუკაზე, რომელსაც არ შეუძლია, ხელი შეუშალოს უკრაინის განვითარებას დასავლეთის ფრთის ქვეშ.

გარდა ამისა, ყირიმი რუსეთის კიდევ ერთ დოტაციურ რეგიონად იქცევა, ეს კი ნიშნავს, რომ წნეხი რუსეთის ბიუჯეტზე გაიზრდება. ეს ასევე დასავლეთისთვის სასურველია.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, დასავლელი პოლი-

1 პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №1(11), 2014.

ტიკოსების გააფთრება ყირიმის გამო არაბუნებრივად გამოიყურება — დასავლეთი თავის კონტროლს უქვემდებარებს მთელ უკრაინას, ხოლო რუსეთი იერთებს მხოლოდ ნახევარკუნძულს, სადაც არ არის არანაირი სასარგებლო წიაღისეული, სამაგიეროდ არის რუსული ქალაქი სევასტოპოლი, რუსთა ისტორიული მითოლოგიით გარემოცული. მაშ, რაში მდგომარეობს საქმის არსი? რატომ წავიდა დასავლეთი ასე შორს და რატომ რისკავს, რუსეთთან კონფრონტაციის შედეგად ძალზე ბევრი დაკარგოს როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად? განა არ სჯობს, „რუს დათვს“ ნადავლის ერთი ლუკმა გადაუგდონ, ყირიმის სახით, დაამშვიდონ იგი, ხოლო თავად კი გამარჯვებით დატკბნენ? თავად უკრაინელები, თვით რადიკალებიც, ასე თუ ისე შეეგუებიან ყირიმის დაკარგვას; დაკარგული ყირიმი რადიკალებს უფრო აწყობთ, რათა საზოგადოებაში რუსეთისგან „მტრის“ სახე მუდმივად შენარჩუნდეს.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ყირიმი დასავლეთისთვის იმდენად გეოგრაფიულად კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ უფრო მნიშვნელოვანია, როგორც ***პრეცედენტი*. რუსეთი, რომელიც დახმარებას უწევს ყირიმის მოსახლეობას, უფლებას იტოვებს, ჩაერიოს უკრაინის სხვა მხარეებში მიმდინარე პროცესებშიც, მაგალითად, დონბასში (ქვეყნის აღმოსავლეთი), დონბასის გარეშე კი უკრაინა ეკონომიკური კრახისთვის არის განწირული**. ყირიმი, შესაძლოა, უკრაინის სხვა რეგიონებისთვის მაგალითი გახდეს. უეჭველია, რომ ნახევარკუნძული რუსეთის პრიორიტეტული რეგიონი იქნება, სადაც ცენტრალური ბიუჯეტიდან დიდი თანხები გადმოიქაჩება, ამ დროს კი უკრაინაში მკაცრი ეკონომია და ეკონომიკის პერმანენტული დაქვეითება იქნება ფაქტი. დონეცკსა და ხარკოვში არ წყდება მიტინგები რუსეთის ჩარევის მოთხოვნებით, მაგრამ როგორც სავსებით სწორად ივარაუდა როსტოვის პრეს-კონფერენციაზე ბანდერელების მიერ გაძევებულმა უკრაინის პრეზიდენტმა ვ. იანუკოვიჩმა, დონბასი ფეხზე დადგება, როდესაც გაჩერდება შახტები და ქარხნები, როდესაც ხალხი უმუშევარი დარჩება. მოვლენათა ასეთი განვითარება მოსალოდნელია, რადგან დასავლეთი არ არის იმ მდგომარეობაში, რომ უკრაინას საკმარისი დახმარება აღმოუჩინოს, რათა მან რუსეთისგან მოსალოდნელ ეკონომიკურ ბლოკადას გაუძლოს. ეკონომიკის გაჩერების შედეგად უკრაინის აღმოსავლეთში პროტესტი ბევრად უფრო დიდი ძალით იფეთქებს, ვიდრე ახლა, ხოლო რუსეთს საფუძვლიანი მიზეზი მიეცემა, დაეხმაროს მოსახლეობას და შეიყვანოს ჯარები, კიევიდან მოვლენილი დამსჯელებისაგან ადამიან-

ების დასაცავად. სწორედ ამის ეშინია დასავლეთს და სურს, რომ რუსეთმა არა მხოლოდ არ შეიერთოს (დაიბრუნოს) ყირიმი, არამედ ნახევარკუნძულიდან გაიყვანოს ყველა შეიარაღებული შენაერთი, რომლებიც იქ არაოფიციალურად მოქმედებენ. ყირიმის პრეცედენტი არ უნდა შედგეს, რადგან იგი თითქმის აუცილებლად განმეორდება უკრაინის სხვა ნაწილებში. მაგრამ, როგორც იტყვიან, მატარებელი უკვე წავიდა, თავისი უპასუხისმგებლო ქმედებებით, ბანდერელთა მფარველობითა და 21 თებერვლის შეთანხმების შეუსრულებლობით დასავლეთმა თავად უბიძგა ყირიმელებს, რუსეთისგან პირდაპირი დაცვა მოეთხოვათ, უკრაინის ტერიტორიული ერთიანობის ხარჯზე. მეტიც, 16 მარტის რეფერენდუმმა უკვე ყველა კითხვა მოხსნა და ყირიმი რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნდა, ზუსტად 60-წლიანი განშორების შემდეგ.

ალბათ, ყველა მოაზროვნე ქართველი ხვდება, რომ ყირიმის პრეცედენტს საქართველოსთვისაც სერიოზული მნიშვნელობა აქვს, მისი ტერიტორიული პრობლემებიდან გამომდინარე. ბუნებრივია, კიდევ ერთი სეპარატისტული რეგიონის წარმოშობა ზოგადად არ არის საქართველოსთვის სასურველი, თუმცა არც ამ ფაქტის ზედმეტად დრამატიზება შეიძლება. სწორი საგარეო კურსის გატარების შემთხვევაში, და ეს კურსი, რა თქმა უნდა, არ უნდა გულისხმობდეს რადიკალურ „დასავლეთუმეობას“, ნატოში საქართველოს ჩათრევის დაუოკებელ ჟინს და ევროკავშირისკენ ბრმად სწრაფვას, საქართველოს შეუძლია, კონსტრუქციულად ააწყოს ურთიერთობები რუსეთთან და შემდგომ ეტაპზე დიალოგი აწარმოოს აფხაზებთან და ოსებთან. რუსეთისთვის არც აფხაზეთი და არც სამაჩაბლოა ემოციურად ისე ახლოს, როგორც ყირიმი. **ასე რომ, რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ან სამაჩაბლოს ანექსიის მცდელობა თავისით არ წარმოიშობა, ეს მხოლოდ საქართველოს მხრიდან უხეში შეცდომების ჩადენის შემთხვევაში შეიძლება, რომ მოხდეს.**

დაბოლოს, გავაანალიზოთ, რა განსხვავებაა ყირიმსა და აფხაზეთ-‘სამხრეთ ოსეთს“ შორის. სამწუხაროდ, ამ კითხვას არავინ სვამს საქართველოში, სატელევიზიო „ექსპერტების“ მხრიდან. არადა, მეტად მნიშვნელოვანია არსებული სხვაობის დანახვა, რათა მომავალში ეს ფაქტორი ქართულმა დიპლომატიამ გამოიყენოს.

რუსეთის შემადგენლობაში ყირიმის გადასვლის ფაქტის ლეგიტიმურობა მთელ მსოფლიოში იწვევს კითხვებს, სავარაუდოდ, ბევრი არავინ ცნობს ამგვარ ტერიტორიულ ცვლილებებს, საკუთრივ რუსეთის გარდა, მაგრამ რუსულ მხარესაც აქვს არგუმენტები თა-

ვის სასარგებლოდ — როგორც სამართლებრივი, ისე წმინდა ისტორიული, რომლებიც „ისტორიული სამართლიანობის აღდგენაზე“ მიანიშნებენ. მაგრამ მოვახდინოთ ყურადღების ფოკუსირება დასმულ კონკრეტულ კითხვაზე — რით განსხვავდება ყირიმის პრეცედენტი აფხაზეთის პრეცედენტისაგან.

საერთაშორისო სამართალი ორ მთავარ პრინციპს ეყრდნობა, თუმცა ისინი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიან — ესენია: სახელმწიფოთა ტერიტორიული ურღვევობის (საზღვრების ურღვევობის) პრინციპი და ხალხთა თვითგამორკვევის უფლება. მოცემულ შემთხვევაში რუსეთი პრიორიტეტს ანიჭებს ყირიმის მცხოვრებთა უფლებას თვითგამორკვევაზე, ხოლო დასავლური სახელმწიფოები ამოდიან არსებული საზღვრების ურყევობის პრინციპიდან. როგორც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ ყირიმში პროცესები თუმცაღა დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობს, მაგრამ მშვიდობიანად, უმცირესობათა უფლებების დარღვევის გარეშე. რუსების გარდა, გარანტირებულია ნახევარკუნძულზე მცხოვრები უკრაინელებისა და თათრების უფლებებიც. აფხაზეთში (ისევე, როგორც „სამხრეთ ოსეთში“) ყველაფერი სხვანაირად იყო: რეფერენდუმები ჩატარდა ეთნიკური ქართველების მონაწილეობის გარეშე, რომელთაგან უმრავლესობა იძულებული იყო, თავისი მშობლიური მხარე დაეტოვებინა. აფხაზი ხალხის თვითგამორკვევაზე საუბარი არ შეიძლება, რადგან სამართლებრივად „აფხაზი ხალხი“ არ არის ეთნიკური ცნება, არამედ სახელმწიფოებრივი. ანუ აფხაზეთის (და ‘სამხრეთ ოსეთის“) ყველა მცხოვრები, თავისი ეთნიკური წარმოშობისგან დამოუკიდებლად, არის სახელმწიფოს ფუძემდებელი და, შესაბამისად, ყველა მათგანის აზრი უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული რეფერენდუმზე, რაც არ მოხდა. ამიტომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში „ხალხის ნების გამოხატვის“ არგუმენტი ძალზე საეჭვოა — გავიმეორებთ, ყირიმისაგან განსხვავებით.

შესაბამისად, ყირიმის რეფერენდუმს ბევრად უფრო მაღალი ლეგიტიმურობის ხარისხი აქვს, ვიდრე აფხაზურ-ოსურს.

შოთა აფხაიძე

"უკრაინული მაიდნის" თავიდან აცილების გზა[1]

უკრაინაში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ დასავლეთი, ამერიკის დომინირებით, თავისი გეოპოლიტიკური გავლენის არეალის გასაფართოებლად მკვეთრად ფორმულირებული და ურყევი სტრატეგიით მოქმედებს. მინდა მოკლე ანალიზი გავაკეთო, თუ როგორ განვითარდება პოლიტიკური პროცესები "მაიდნის" შემდეგ საქართველოში.

რამ შეუწყო ხელი უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალების ასეთ წარმატებას ?

1) უკრაინის მოქალაქეებს მართლაც ჰქონდათ ობიექტური მიზეზები ხელისუფლების ცვლილების მოთხოვნისა, რადგან რეალურად უკრაინაში იანუკოვიჩის მთავრობის პირობებში იყო კორუფცია, ნეპოტიზმი, კლანურობა და დაუსჯელობის სინდრომი. მაგრამ ამ ყველაფრის ცვლილება მათ მხოლოდ დემოკრატიული გზით უნდა მოეხდინათ. სწორედ ზემოთ ჩამოთვლილმა ნეგატიურმა მიზეზებმა მოუმზადა ნოყიერი ნიადაგი ერთი დასავლური სახელმწიფოს (აშშ) დამანგრეველ გეგმას, უკრაინაში სწრაფად და ეფექტურად მოეხდინა სახელმწიფო გადატრიალება.

2) ამას დაემატა მახინჯი იდეოლოგიური ფაქტორი — უკრაინელი ნაციონალისტების რუსოფობიული და ზოგადად ფაშისტური განწყობა. ულტრამემარჯვენე ნაციონალისტების ფრონტი — „მემარჯვენე სექტორი" დიმიტრი იაროშის ხელმძღვანელობით „მაიდნის" დამრტყმელ ძალად იქცა, ამავდროულად თვითონ ოპოზიციური სპექტრის და ზოგადად მთელი უკრაინის ჟანდარმის ფუნქციაც კარგად შეითავსა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ძალა ძალიან ორგანიზებული, დისციპლინირებული, იერარქიულად სტრუქტურირებული,

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე", №1(11), 2014.

იდეოლოგიურად მოტივირებულია და, ამასთან, კარგად კოორდინირებულია აშშ-სთან. აქ უკვე ნათელია „ცივილიზებული სამყაროს“, ანუ დასავლეთის ორმაგი სტანდარტების სახე — დემოკრატიული რიტორიკის ფონზე ძალადობის და ფაშიზმის მხარდაჭერა.

უკრაინა დღეს უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. აშკარაა როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური კრიზისი. შექმნილი კრიზისი უკრაინის, როგორც სახელმწიფოს კრახს გამოიწვევს, ეს გარდაუვალია. დასავლური კრედიტები ვერ იხსნის უკრაინას. უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ უკრაინას ვერ ეყოლება ერთი ხელისუფლება ამ ოპოზიციური ელიტის პირობებში, ის ძალიან ჭრელია და ყველას აქვს ამბიცია პირველობაზე. ჩვენ ვხედავთ მხოლოდ ერთ რელობას: პოლიტიკურ ძალთა დაქსაქსულობის ფონზე უკრაინაში ადგილი აქვს ფაშისტური დიქტატურის დამყარების მცდელობას.

როგორ განვითარდება მოვლენები უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში? უდავოა, რომ იქ მცხოვრებმა რუსულენოვანმა მოსახლეობამ ქაოსის პირობებში თვითმობილიზაცია დაიწყო. რეგიონების პარტიის დეპუტატთა დიდი ნაწილი იუდას გზას დაადგა და თავის ხალხს უღალატა, ისევე, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელთა უმრავლესობა. მათ ფინასური კეთილდღეობა არჩიეს სიმართლეს. მაგრამ მოსახლეობამ თვითორგანიზების რეჟიმში გადაიყვანა არსებული რეალობა. აქ მცხოვრები ხალხის წინააღმდეგობა არის პროტესტი და ამავდროულად თავდაცვა იდეური ფაშისტებისგან, რის საფუძველზეც დღეს უკრაინას მართავენ. სამხრეთ-აღმოსავლეთი მენტალურად და კულტურულად სრულიად სხვა სამყაროს წარმოადგენს, აქაურები არ დაუშვებენ რუსული ენის აკრძალვას (საჯარო სფეროდან განდევნას), რადგან ეს ენა საუკუნეებია არის კომუნიკაციის ერთადერთო ენა რეგიონში. ისინი არ დაუშვებენ ბანდერას, მელნიკის და მათი იდეური მემკვიდრეების და მოკავშირეების დომინირება-გაფეტიშებას რეგიონზე. მართლმადიდებელი აღმოსავლეთისა და სამხრეთისათვის კატეგორიულად მიუღებელია უნიატებისა და კათოლიკეების მხრიდან მართლმადიდებლური ტაძრების დაპატრონების მცდელობებიც. გარდა ამისა, სამხრეთ-აღმოსავლეთი არ დაუშვებს, რომ ”სოციალურად იმპოტენტმა” და პარაზიტმა დასავლეთმა უკრაინამ გამოიწვიოს მთელი რიგი საწარმო ობიექტების კვდომა, რასაც რეგიონის და მთლიანად უკრაინის გაღარიბება მოყვება (უკრაინის ეკონომიკა დგას აღმოსავლეთის რე-

გიონზე, დასავლეთი 80%-ით დოტაციაზეა). სამხრეთ-აღმოსავლეთი არ დაუშვებს თავის რეგიონებში იმას, რაც დღეს ხდება დასავლეთ უკრაინაში: მორალდიორობა, ვანდალიზმი, ძარცვა-გლეჯა და ა.შ. ასე რომ, ამ ნაწილში კონფლიქტის ესკალაცია გარდაუვალია, რომელიც დასავლეთის მარცხით დამთავრდება.

იგივე ძალები, ვინც სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო უკრაინაში, შემდეგი დარტყმის განხორციელებას შეეცდებიან საქართველოში. სცენარი თითქმის იდენტური იქნება, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რეალობა — მასშტაბები, პოლიტიკური სისტემა, ეკონომიკის განვითარების დონე, საზოგადოება და კიდევ ბევრი სხვა ასპექტი — სერიოზულად განსხვავდება უკრაინულისაგან.

მიხეილ სააკაშვილმა და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ „მაიდნის“ მოვლენების საშუალებით თავიანთი თავის პოლიტიკური რეაბილიტაცია სცადეს, რაც, ჩემი აზრით, საკმაოდ წარუმატებელი ნაბიჯი იყო. დასავლელმა ლობისტებმა სააკაშვილის იმიჯის გასასუფთავებლად მისთვის უკრაინული პიარ-აქცია მოიფიქრეს. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის ის მაინც ისეთივე მიუღებელ პერსონად რჩება, როგორიც მაიდნის მოვლენებამდე იყო. მან და მისმა გუნდმა ამ საქციელით კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ასრულებენ ამერიკელი ნეოკონსერვატორების და ოდიოზური დასავლელი რეაქციულ-მილიტარისტული ძალების შეკვეთებს. „ნაციონალებისა“ და უკრაინელი ფაშისტების „მეგობრობას“ საფუძვლად ანტირუსული განწყობა და პროვოკაციების დაუოკებელი სურვილი უდევს საფუძვლად — საკუთარი ერების ინტერესების საზიანოდ. მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ნებისმიერ ავანტიურაზე წავლენ, ოღონდ მსოფლიოს დაანახონ, რომ რუსეთი „აგრესორია“ და ისინი — მის წინააღმდეგ მებრძოლი „გმირები“. სწორედ ეს ძალა შეეცდება, თავისი დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერით, რევანშის გზით დაბრუნდეს საქართველოს ხელისუფლებაში. ამ პროცესის განხორციელება უახლოეს თვეებში დაიწყება. უკვე „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების და მათი იდეოლოგების მხრიდან სახეზე გვაქვს მეტად აგრესიული და მუქარის შემცველი მესიჯები, სადაც ისინი ამბობენ, რომ ივანიშვილის მთავრობა „პრორუსულია“, ისევე, როგორც იანუკოვიჩის მთავრობა; რომ ივანიშვილი გაიზიარებს მის ბედს და ვანო მერაბიშვილი ისევე იქნება გათავისუფლებული პატიმრობიდან, როგრც იულია ტიმოშენკო... ანუ ეს არის აშკარა პარალელის გავლება უკრაინულ და ქართულ სცენარებს შორის.

საქმეს ართულებს დასავლელი დიპლომატების განცხადებები საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, მაგალითად: ევროკავშირის ელჩმა ფილიპ დიმიტროვმა სააკაშვილის რეჟიმის ჯალათის, გოგა ონიანის დაკავებას პოლიტიკური დევნა უწოდა წინასაარჩევნო პერიოდში. ასევე არაერთი უსაფუძვლო კრიტიკა მოვისმინეთ ბოლო თვეების განმავლობაში ევროპის საბჭოს და ევროპის კავშირის საპარლამენტო ასამბლეებზე საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიმართ.

დაბოლოს, ამერიკაში ჩასულ პრემიერს და ქართულ დელეგაციას პირდაპირ უთხრეს, რომ დამნაშავე რეჟიმი მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით უნდა გახდეს ხელისუფლების პარტნიორი, როგორც ოპოზიციური ძალა. აშკარაა, რომ ეს ყველაფერი ემსახურება დეზინფორმაციული ფონის შექმნას და ცრუ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების გადატრიალების მიზნით. დასავლეთის რეაქციული ძალები დეკლარირებულად მხარს უჭერენ და დაუჭერენ საქართველოში მსგავსი ძალადობრივი სცენარის განვითარებას.

საქართველოს ხელისუფლებამ როგორ უნდა აიცილოს რევანში თავიდან?

1) საქართველოს პრემიერმა და მინისტრთა კაბინეტმა სასწრაფოდ უნდა გაატაროს საკადრო ცვლილებები და, უპირველეს ყოვლისა, თავიდან მოიშოროს ძალოვან სტრუქტურებში დარჩენილი დამნაშავე რეჟიმის კადრები. ასევე უნდა მოხდეს წმენდა სხვა სტრუქტურებშიც.

2) უნდა სასაწრაფოდ გამოძიებულ იქნას დამნაშავე რეჟიმის მიერ ჩადენილი აბსოლუტურად ყველა დანაშაული და უმკაცრესად დაისაჯონ დამნაშავე პირები, და არა ისე, როგორც ეს დღეს ხდება (ვანო მერაბიშვიოლს მიესაჯა მხოლოდ 4 წელი და 6 თვე), არამედ მათ პასუხი უნდა აგონ კანონის სრული სიმკაცრით და დაუწესდეთ მაქსიმალური სანქციები.

3) საქართველოს მთავრობამ სასწარფოდ უნდა გააუმჯობესოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, შექმნას შესაძლებლობიდან გამომდინარე მაქსიმალურად უკეთესი ეკონომიკური ფონი, ამის საშუალება არის სოფლის მეურნეობაში სუბსიდირებით და რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებით.

4) რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება გამოიწვევს საქართველოს ეკონომიკის მკვეთრ გაუმჯობესებას და პოლიტიკურ სტაბილიზაციას. არის დიდი ალბათობა, რომ რუსეთმა გადახედოს

გაზის და სხვა ენერგოშემცველების ტარიფებს და საქართველოსთვის შეღავათიანი ფასები დააწესოს. ასევე ქართულ პროდუქციას და ქართველ მუშახელს მიანიჭოს გარკვეული პრივილეგიები, კარი გაუხსნას რუსულ ბიზნესს საქართველოში (მსხვილ რუსულ ინვესტიციებს). ყოველივე ეს საგრძნობლად გაზრდის სახელმწიფო ბიუჯეტს და ქვეყანა აღარ იქნება დამოკიდებული მხოლოდ დასავლურ კრედიტებსა და გრანტებზე, შემცირდება დასავლეთის მიერ პოლიტიკური მანიპულაციის ბერკეტებიც. სუვერენიტეტის ინდექსიც შესაბამისად გაიზდება.

5) მკვეთრად შეკვეცოს მაღალი თანამდებობის პირებზე გასაწევი სახელმწიფო ხარჯები — პირველ ყოვლისა, დაწესდეს ლიმიტი სამსახურებრივი მანქანების შეძენაზე. არც ერთი მინისტრი არ უნდა დადიოდეს 20-25 ათას დოლარზე უფრო ძვირი ავტომანქანით. ავტომანქანის გამოცვლა უნდა მოხდეს მინიმუმ 3 წელიწადში ერთხელ.

6) ჩანასახშივე მოსპოს კლანურობა ხელისუფლებაში, ბიზნესში და მთლიანად ქვეყანაში.

ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების შესრულების შემთხვევაში საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მოიპოვებს ქვეყნის მოსახლეობის უპრეცედენტო მხარდაჭერას, რაც გაამყარებს მის პოლიტიკურ პოზიციებს და შეუძლებელს გახდის სააკაშვილის ბანდის მიერ მის დისკრედიტაციას. მაგრამ საქართველოს არსებული ხელისუფლება მაინც ვერ მოიპოვებს ისეთ მხარდაჭერას დასავლეთიდან, როგორიც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს ჰქონდა, რადგან დღევანდელი ხელისუფლება, მადლობა ღმერთს, არასოდეს წავა ისეთ ავანტიურაზე და არ მოაწყობს ისეთ პროვოკაციებს, როგორსაც სააკაშვილი და მისი ბანდა დასავლელი მილიტარისტების დაკვეთით აწყობდა.



მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი)

საქართველოს გზა[1]
წერილი I

ქვეყანა, რომელიც აღმოსავლეთის და დასავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის გზაჯვარედინზე მდებარეობს, ყოველთვის დგას იმ დიდი არჩევანის წინაშე, რომელიც მის აწმყოს და მომავალს განსაზღვრავს. ქრისტეს შობამდე საქართველოს გარკვეული კავშირი ჰქონდა სპარსეთთან, განიცდიდა რომის გავლენასაც; შემდეგ იყო ბიზანტია, არაბები, მონღოლები, თურქები. ახლა კვლავ არჩევანის წინაშე ვდგავართ: აქეთ რუსეთი, იქით — ევროპა და ამერიკა, რომელსაც დასავლეთს უწოდებენ დღეს. რა არჩევანს აკეთებს ერი? იცვლებოდა თუ არა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი არჩევანი იმისდა მიხედვით, ვინ ვის ენაცვლებოდა: აღმოსავლეთიდან სპარსეთს — მონღოლეთი, დასავლეთიდან რომს — ბიზანტია, სამხრეთიდან არაბებს — სელჯუკები, ბოლოს — სპარსეთი და თურქეთი, ჩრდილოეთიდან კი — რუსეთი.

15 საუკუნის მანძილზე, თუ მეტი არა, ქართველ ერს არ შეუცვლია თავისი ეროვნულ-კულტურულ-სარწმუნოებრივი ორიენტაცია, ის არჩევანი, რომელიც თავისუფლად, ძალდატანების გარეშე გააკეთა. ვგულისხმობ ქრისტიანულ სწავლა-მოძღვრებას, სარწმუნოებას. ამ არჩევანმა განაპირობა თავისთავადობა და დიდებულება ქართული კულტურისა, არქიტექტურისა და მხატვრობისა, მწერლობისა (აგიორგაფია, ჰიმნოგრაფია) და გალობისა, მანვე იქონია გავლენა საკანონმდებლო სამართლებრივ აქტებზეც. საწინდარი ამ არჩევანისა განცხადებული იყო პირველ საუკუნეში, როცა უფლის

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №2(12), 3(13), 2014.

კვართი მობრძანდა საქართველოში და როდესაც მოციქულები, ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი, ბართლომე, თადეოზი და მატათა შემოვიდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში და იქადაგეს სახარება. საუკუნეების მანძილზე გვაიძულებდნენ არჩევანის შეცვლას. მოწამეობის და სისხლის ფასად ვუერთგულეთ ჩვენს თავისუფალ არჩევანს — უფალს, შემოქმედს ცისა და ქვეყნისა, და მის სიტყვას.

დღეს გარეგნული თავაზიანობით თავს გვახვევენ ახალ არჩევანს — ორიენტაცია ავიღოთ ევროპულ ღირებულებებზე. ზნეობრივი კატეგორიები, სულიერი ღირებულებები არ ექვემდებარება გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას. ქრისტიანობა საქართველოში დასავლეთიდან შემოვიდა. მაშინ ჩვენ ავირჩიეთ არა ევროპა და ევროპული ღირებულებები, არამედ უფალი და მისი სიტყვა, სჯული, რომელიც იმ დროს ვრცელდებოდა ევროპაში. I საუკუნეში ეს პროცესი ნაკლებად ჩანდა, ძლიერი იყო წარმართობა, მაგრამ IV-Vსაუკუნეებში უკვე განცხადდა. ევროპის გაქრისტიანებამ, რომის იმპერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ მიიზიდა საქართველო ამ არჩევანისკენ. რომი ახალ რომად იქცა, საქართველოში მოციქულების მიერ დათესილი ჭეშმარიტი სარწმუნოების მარცვლები უხვად აღმოცენდა წმიდა ნინოს ქადაგებით და ასურელი მამების მოღვაწეობით.

დღევანდელი „ევროპული“ ღირებულებები, რომლებსაც გვთავაზობენ, განსხვავდება ქრისტიანული ღირებულებებისგან. გვხიბლავენ იმით, რომ ეს თანამედროვეა, პროგრესულია, მაგრამ რა არის საზომი თანამედროვეობის, ან პროგრესულობის?

15 საუკუნე მტკიცედ ვიდექით ერთ სარწმუნოებაზე, ერთგული ვიყავით იმ არჩევანის, რომელიც იძულების გარეშე გავაკეთეთ, და ვერავითარი ზეწოლა, კულტურული თუ სამხედრო, ძალისმიერი, ამ არჩევანს ვერ ცვლიდა, ვერც ბიზანტიის იმპერიის არსებობისას და ვერც მისი დაცემის შემდეგ. არაბთა, თურქთა თუ სპარსთა ბატონობის დროს, იძულებით თუ ზეწოლით, ქართველთა გარკვეული ნაწილის გამაჰმადიანება ხდებოდა, მაგრამ ის, რასაც ეწოდა საქართველო, ქრისტიანული დარჩა. საქართველოს დეფინიცია ჩამოყალიბებულია საუკუნეების წინ: „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“. ეს ეროვნულ-სარწმუნოებრივი დეფინიცია ძალაშია დღემდე. რა არჩევანი გავაკეთოთ დღეს? მივიღოთ ახალი შემოთავაზება? თუ ევროპულ ღირებულებებზე გადას-

ვლით ქართველი ერის მენტალობა შეიცვლება, საქართველო აღარ იქნება ქვეყანა, „რომელსა შინა ჟამი ქართულითა ენითა შეიწირვის“. პოლიტიკურ-ეკონომიკურ კონიუნქტურას თუ ავყვებით, შეიძლება ვცვალოთ ღირებულებები: ევროპული, აზიური, აფრიკული, ამერიკული, ავსტრალიური და ნებისმიერი სხვა.

რა სხვაობაა ე.წ. ევროპულ ღირებულებებსა და ქრისტიანულ ღირებულებებს შორის, რომელზეც ჩვენი ერი საუკუნეების მანძილზე დგას და რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ჩვენი კულტურა, ჩვენი მენტალობა? რატომ არის მიუღებელი არჩევანი, რომელსაც დღეს პოლიტიკური მოღვაწეები გვთავაზობენ? „ევროპული“ ღირებულებები, ერთი მხრივ, თავის თავში შეიცავს ქრისტიანული ღირებულებების ნატამალს და მეორე მხრივ, არაქრისტიანულს და ანტიქრისტიანულს. უპირველეს ყოვლისა, ანტიქრისტიანულია ადამიანის უფლებების დაცვის საბაბით, შემწყნარებლობის ნიღბით არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პროპაგანდა, გავრცელება და სოციალურ ფენომენად გადაქცევის მცდელობა. გამონაკლის შემთხვევაში ადამიანში პათოლოგიურ გადახრას აქვს ადგილი, ამას არავინ უარყოფს. მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენაში, ამგვართა რიცხვი, ერთად აღებული, 1%-საც კი არ შეადგენს. ეს არის მუტაცია, მუტანტები არ მრავლდებიან. მათ გამო ერი ორიენტაციას არ შეიცვლის. ე.წ. ევროპული ღირებულებები პათოლოგიური გადახრის დაკანონებას მოითხოვენ, პარადების მოწყობით საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედებენ და სკოლებში გაუკუღმართებული ურთიერთობების დანერგვას სწავლების სახით ცდილობენ. ფიზიო-პათოლოგიური გადახრის სოციალურ მოვლენად აღიარება დაგმობილია ღვთის მიერ როგორც ძველი აღთქმის, ისე ახალი აღთქმის წიგნებში; ასევე სხვა რელიგიები, იუდაიზმი იქნება თუ მაჰმადიანობა, ამ მოვლენას ერთხმად უარყოფითად აფასებენ.

რა არის ჩვენთვის დღეს საქართველოს გზა, რომლითაც უკვე 15 საუკუნეზე მეტია მოვდივართ, რის გამოც ბევრი სისხლი დაგვიღვრია, ბევრი განსაცდელი გადაგვიტანია? თანამედროვე ქართველი პოლიტიკოსები გვთავაზობენ, ძველი გზა წარსულში დავტოვოთ და ავირჩიოთ ის, რომელიც დრომ მოიტანა. რაც დრომ მოიტანა, ის შეიძლება დრომვე განაქარვოს. გზა, რომელიც ღვთისგან დაშორებას და ღვთისადმი დაპირისპირებას ქადაგებს, სიკეთეს არავის მოუტანს. რუის-ურბნისის ძეგლისწერაში, მეფე დავით აღმაშენებლის დროს, ითქვა: სადაც ადამიანთა შორის გაუკუღმართებული

ურთიერთობები გამრავლდა, ის ერი და სახელმწიფო დაიშალა და დაინგრა. წარღვნის წინა პერიოდს გავიხსენებთ, თუ წარღვნის შემდგომ, ბაბილონის გოდლის შენების დროს, სოდომსა და გომორს, თუ სხვა ქვეყნების ისტორიას, შედეგი ერთია: ყველა ქვეყანა, რომელიც ამ გაუკუღმართებული ურთიერთობების პოეტიზაციას და პროპაგანდას ეწეოდა, დაიშალა. იგივე ელის დღეს სამყაროს, რომელიც ამ გზას დაადგა. საქართველოს ეს გზა არ გამოადგება.

ჩვენ გვაშინებენ ჩრდილოელი მეზობლით — რუსეთით და გვიკიჟინებენ, რომ — „რუსეთი ამას და ამას გიზამთ თქვენ“... ქვეყანა, რომელმაც წარსულში ბევრი ბოროტება დაატეხა თავს ჩვენს ქვეყანას, მომავალში კიდევ უფრო მეტად გაგვამწარებს, „რუსეთს ეს და ეს გაუკეთებია ჩვენთვისო“... რუსეთთან საქართველოს სულ ცოტა ორსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორია აქვს. მანამდე ეს ურთიერთობა ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. ამ ურთიერთობის მთავარი სიკეთე იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოს ეძლეოდა საშუალება არსებობის იმ გზით გაგრძელებისა, რომელიც 15 საუკუნის წინ აირჩია, რაც ძალიან კარგად იცოდა ერეკლე მეორემ. თუ მის მიერ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯის შედეგს ფართო მასშტაბით, ობიექტურად გავაანალიზებთ, ისტორიული პროცესი დაგვიდასტურებს, რომ რუსეთთან თანაცხოვრების პერიოდი, საქართველოსთვის დადებითი იყო, თუმცა დღეს ბევრი საპირისპიროს დამტკიცებას ცდილობს.

ჩვენ გთავაზობთ შედარებითი ანალიზის საფუძველზე მსჯელობას. უფალი გვეუბნება: „ხე ნაყოფით იცნობა“. ქართველ პოლიტიკოსებს რატომღაც არ უნდათ ნაყოფის მიხედვით განსჯა. ქართველ ერს, რომელიც არჩეულ გზას თავგანწირვით იცავდა, XVIII საუკუნის ბოლოს თურქების, სპარსელების, ლეკების შემოსევების შედეგად ფიზიკური განადგურების საფრთხე დაემუქრა. მისი მოსახლეობა მილიონზე ნაკლები იყო. ერთი საუკუნის მანძილზე, XIX საუკუნეში, მოსახლეობა სამჯერ გაიზარდა, ქართველობა 3 მილიონზე მეტი გახდა და, რაც მთავარია, სარწმუნოება არ შეუცვლია. ღვთის განგებამ რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოქცევით ქართველი ერი ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა, ერმა არა თუ ენა და სარწმუნოება დაკარგა, არამედ თანამედროვე ქრისტიანული კულტურა შექმნა. ქართველი ერის ის ნაწილი, რომელიც ოსმალეთის იმპერიაში მოექცა, მართალია, გამრავლდა, მაგრამ გათურქების გზით, ანუ დაივიწყა მშობლიური ენა, დამწერლობა, შეიცვალა სარწმუნოება, კულტურულ სფეროშიც ვერაფერი შექმნა.

რუსეთს ბრალად ედება საქართველოს სამეფოს გაუქმება, დიდი

დანაშაულია, მაგრამ ვინც იცის ისტორიული მასალები, იცის, რომ ამ დანაშაულში გარკვეული წვლილი ჩვენს იმდროინდელ პოლიტიკურ ელიტასაც მიუძღვის. რუსეთმა გააუქმა ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალია, დიდი დანაშაულია, დიდი შეცდომაა რუსეთის იმპერიისა, მაგრამ ამას არ მოჰყოლია ტაძრების ნგრევა, მონასტრების აოხრება და, ზოგადად, ქრისტიანობის დევნა საქართველოში. პირიქით, ქართველი თავადების მიერ მიტაცებული საეკლესიო მიწები ეკლესიას დაუბრუნდა, გაიხსნა სამრევლო სკოლები, აღდგა მონასტრები, ტაძრები: ბეთანია, ზარზმა, ჭულევი და სხვა მრავალი, და შესაბამისად, აღდგა სასულიერო განათლების კერები, სემინარიები. XIX საუკუნის მანძილზე მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი სასულიერო პირები, როგორებიც იყვნენ გაბრიელ ეპისკოპოსი, ალექსანდრე ოქროპირიძე; ჩვენი ეკლესიის პირველი პატრიარქები იყვნენ ისინი, ვინც სასულიერო განათლება და მღვდელთმთავრის ხარისხი სწორედ ეგზარქოსობის ხანაში მიიღეს.

სამწუხაროდ, ვრცელდება მოარული შეხედულება, რომ რუსებმა შურის გამო გადაათეთრეს ჩვენი ტაძრები და ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა აკრძალეს. ეს განცხადება ვიღაცამ ოდესღაც გაავრცელა და ბევრმა აიტაცა ისე, რომ არც გაანალიზა, რაში იყო საქმე. საერთოდ ტაძრები კი არ შეუთეთრებიათ, არამედ რუსეთის მეფის საქართველოში სტუმრობის წინ, გზაზე, რომელზეც მას უნდა გაევლო, იმ ტაძართა კედლები, რომლებზეც ფრესკების მხოლოდ ფრაგმენტებიღა იყო შემორჩენილი, რადგან მათი რესტავრაციის ან ხელახალი მოხატვის საშუალება არ იყო, შეათეთრეს და ხატები დაკიდეს; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში სიონის, სამების, მამადავითის ტაძრები ხელახლა მოიხატა. რაც შეეხება ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის აკრძალვას, ამის შესახებ ვიტყვით: სწორედ XIX საუკუნეში დაიბეჭდა ის საღმრთისმსახურო წიგნები, რომლითაც დღესაც სარგებლობს საქართველოს ეკლესია. რისთვის იბეჭდებოდა, თუ ქართულად მსახურება აკრძალული იყო? რუსეთის იმპერიამ ვერ აკრძალა ბეჭდვა ქართულ ენაზე? ვის წასაკითხად იყო ისინი გამიზნული, თუკი ტაძრებში ქართულად მსახურება დაუშვებელი იყო?

სლავურად მსახურება სრულდებოდა საკათედრო ტაძრებში და იქ, სადაც რუსულენოვანი მრევლი იყო, სამხედრო გარნიზონის სობოროში, რუსების მიერ აშენებულ ტაძრებში: მიხეილ ტვერელის, ალექსანდრე ნეველის, იოანე ღმრთისმეტყველის და სხვ. თუ გაბრიელ ეპისკოპოსის ან ალექსანდრე ორქოპირიძის ქადაგებებს გავეცნობით, ვნახავთ, რომ უმრავლეს შემთხვევაში, ქართულადაა წარმოთქმული. ისინი ქართველ მრევლს მიმართავდნენ და ქართ-

ველ ერს მოძღვრავდნენ ქართულად. ესეც მეტყველებს იმაზე, რომ ქართული ენა ზოგადად ღმრთისმსახურებისთვის აკრძალული არ ყოფილა. იგივე ითქმის ქართული საეკლესიო გალობის შესახებაც, მისი კანონიკურობა რუსეთის სინოდმა აღიარა და ეგზარქოსმა საგანგებო კურთხევა მისცა, რომ სწორედ კანონიკური ქართული გალობა არა მარტო ოჯახებში ეგალობათ, არამედ სკოლაშიც ესწავლებინათ. იმავეს ვერ ვიტყვით თურქეთის იმპერიის ფარგლებში მოქცეული საქართველოს ეკლესია-მონასტრებისა და მათი მრევლის შესახებ.

რუსოფობიის გარკვეული ტალღა ცდილობს, შავ ფერებში წარმოაჩინოს რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდი საქართველოში და რატომღაც სრულიად დავიწყებას ეძლევა სხვა იმპერიების ბატონობის შედეგები საქართველოში, იქნებოდა ეს არაბებისა, მონღოლებისა, სპარსელებისა თუ თურქების. მაშინ რა მდგომარეობაში იყო ეკლესია და მთლიანად ქართველი ერი?

ყველა იმპერიას თავისი მიზნები აქვს, თავისი ინტერესები, მას სულაც არ ედარდება შენი კულტურული მემკვიდრეობა, ისტორიული წარსული და ა.შ. მაგრამ როცა ჩვენ ერთმანეთს ამ იმპერიების ბატონობათა ნაყოფს ვადარებთ, შედეგს და კვალს ჩვენი ერის ისტორიაში, ობიექტურები თუ ვიქნებით, დავინახავთ, რომ ქართველი ერისთვის ღმრთის განგებამ, რომლითაც ჩვენი ქვეყანის დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიის ფარგლებში აღმოჩნდა, მისი და მის მიერ არჩეული გზის გადარჩენა განაპირობა, არა მხოლოდ იმით, რომ დემოგრაფიული მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა, არამედ ეროვნული კულტურა განვითარდა; შეიქმნა ქართული კლასიკური ხელოვნება, ლიტერატურა, პოეზია, მხატვრობა... აღარაფერს ვამბობ შემდგომში მეცნიერებათა აკადემიის, უნივერსიტეტის, კონსერვატორიის, სამხატვრო აკადემიის დაარსებაზე. ეს ყველაფერი გაიხსნა, დაარსდა და მოქმედებდა სწორედ რუსეთის იმპერიის წიაღში. იმპერიის მხრიდან იყო წინააღმდეგობა, იყო დამცირება, უსამართლობა — ამას არავინ არ უარყოფს, მაგრამ საბოლოო ჯამში რუსეთის იმპერიის წიაღში ყოფნა მაინც სასიკეთო აღმოჩნდა ჩვენთვის, რისი თქმაც ნამდვილად არ შეიძლება საქართველოს იმ ნაწილზე, რომელიც თურქეთის იმპერიამ დაიპყრო და შეიერთა. რატომღაც ამ შედარებას ჩვენ ვერიდებით, არ გვინდა დღეს ამის გახსენება.

ისტორიული ფაქტები გემოვნების საკითხი არ არის, თავს ნუ ვიტყუებთ! რა მოგვიტანა რუსეთთან დაპირისპირებამ და რა შედეგი მივიღეთ თურქეთთან დამეგობრებით დღეს? ჩვენი ქვეყნის ნაწილი ოკუპირებულია და ერთ-ერთი პრიორიტეტი — სოფლის მეურნეობა —

დაქცეულია. თურქეთის ენერგეტიკული პოტენციალის გაძლიერებისათვის ჩვენს ქვეყანას ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე ვაყენებთ, პანთურქისტული იდეის განხორციელების შემთხვევაში ჩვენ აღმოვჩნდებით სატრანზიტო კუნძული თურქეთსა და თურქმენეთს შორის. ჩვენი ქვეყნის თურქიზაცია დაწყებულია, რისგანაც ევროპა არ დაგვიცავს.

ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმას, რომ თურქეთში მყოფი ქართველები, ვისაც ეროვნული მენტალობა ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს, ოდესმე, თურქეთის იმპერიის დაშლის შემთხვევაში, შეიძლება დაუბრუნდნენ ისტორიულ გზას, რომელიც მათმა წინაპრებმა აირჩიეს. ეს გზა ჩვენთვის არ უკარნახია არც მონღოლს, არც არაბს, არც სპარსელს, არც თურქს, არც რუსს, არც ევროპელს. ეს ჩვენი თავისუფალი არჩევანი იყო. საუკუნეების მანძილზე ამ არჩევანის ერთგულები ვიყავით, მიუხედავად მისთვის გაღებული დიდძალი მსხვერპლისა. ალბათ, სწორედ ამიტომ განაგო უფალმა ჩვენი ერის გადარჩენა ფიზიკურად, სულიერად, ზნეობრივად, ეკონომიკურად, რუსეთის იმპერიის წიაღში. ეს ღმრთის განგების საკითხია და წინ ნუ აღვუდგებით მას.

ევროპა გვთავაზობს შესვლას მის ერთობაში, ევროპის გაერთიანებულ ქვეყნებში. რა საშიშროებას წარმოადგენს ეს? ეკონომიკურად, სამათლებრივად შესაძლოა ეს უკეთესი იყოს ჩვენთვის, თუმცა დასაფიქრებელია, რატომ აღმოჩნდა ევროკავშირში გაერთიანებული ევროპის რამდენიმე ქვეყანა მძიმე ეკონომიკურ-ფინანსურ კრიზისში! ევროპა გვპირდება, რომ იქნება გარკვეული გარანტი ჩვენი დაცვისა რუსეთის ექსპანსიისგან. დღემდე ევროპამ საქმით არ დაგვიცვა და ვერც დაგვიცავს. როდესაც რუსეთში რევოლუცია მოხდა, საქართველოში ხან გერმანული კორპუსი შემოვიდა, ხან ინგლისური, მაგრამ ჩვენ ბოლშევიკების ექსპანსიისგან არცერთს დავუცვივართ. ბოლშევიკების იდეოლოგია ევროპიდან იყო ექსპორტირებული რუსეთში. რუსეთი თვითონ აღმოჩნდა მსხვერპლი ევროპაში გავრცელებული ათეიზმისა და სოციალურ-კომუნისტური იდეებისა. ევროპამ და ამერიკამ დააფინანსეს ჯერ რევოლუცია და მერე სამოქალაქო ომი რუსეთში. იმედი, რომ ევროპა რუსული იმპერიული ზრახვებისაგან ჩვენი დაცვის გარანტი იქნება, ჯერჯერობით არაფრით არ დასტურდება.

სიტყვიერი დაპირების სანაცვლოდ ევროპა ჩვენგან დასავლეთში მიღებულ სამართლებრივ ნორმებთან ერთად ადამიანებს შორის გაუკუღმართებული ურთიერთობების ნორმად აღიარებას და ამა

თუ იმ სახით პროპაგანდას ითხოვს, რაზედაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ჩვენ გვაყენებენ არჩევანის წინაშე — გადავუხვიოთ ისტორიულ, ქრისტიანულ გზას და მოვახდინოთ აღრევა ქრისტიანობისა ანტიქრისტიანობასთან, ზნეობისა — უზნეობასთან, ღმრთის სათნო ცხოვრებისა — ღმრთის საგმობ ცხოვრებასთან. ამგვარი შინაგანი განხეთქილება კარგს არაფერს მოუტანს ჩვენს ერს.

ევროპულ ღირებულებათა შორის უმთავრესად ადამიანის უფლებების დაცვა ითვლება, მაგრამ რატომღაც ადამიანთა უმრავლესობის უფლებების საწინააღმდეგოდ, მთავრობები თავიანთი ხალხებისგან გაუკუღმართებული ურთიერთობების კანონად მიღებას იძულების წესით ითხოვენ. თვით ევროპაშიც კი, მაგალითად, საფრანგეთში, გერმანიაში ხალხი ერთსქესიანთა ქორწინებისა და ერთსქესიან დაქორწინებულთათვის ბავშვის მიშვილების დაკანონების წინააღმდეგ გამოვიდა, მაგრამ დემოკრატიულმა ევროპამ, ხალხის პროტესტის მიუხედავად, ანტიქრისტიანული კანონები მაინც მიიღო, საპროტესტო გამოსვლები კი დაარბია. ამას უწოდებს ევროპა ადამიანის უფლებების დაცვას; ე.ი. 1%-ის პათოლოგიური გადახრები ნორმად ვაქციოთ, ხოლო ბუნებითი ნორმით მცხოვრებთა უფლებები შევზღუდოთ. ეს არის ევროპული ღირებულება?

დასავლეთი სიტყვის თავისუფლების დეკლარირებას ეწევა, მაგრამ რატომღაც სიტყვის თავისუფლებად მარტო თავისი პოზიციის ქადაგება მიაჩნია; ხოლო როცა ეკლესია ხმას აიმაღლებს და თავის სიტყვას იტყვის, ყველა ტრიბუნიდან მის ჩახშობას ცდილობს. ამ პოზიციის მიხედვით, მხოლოდ ეკლესიას, ქრისტიან ქართველს არა აქვს თავისი აზრის გამოხატვის უფლება. ეს უცნაური დაპირისპირება, ცნობიერების დეზორიენტაცია საზიანოა ქართველი ერისთვის, მის მიერ არჩეული მრავალსაუკუნოვანი გზით სვლისათვის.

დაბოლოს, დასკვნის სახით ვიტყვით: ქართველი ერის გზა საუკუნეების მანძილზე იყო ქრისტიანობა, მართლმადიდებლობა, რომელიც მან აირჩია ძალადობრივი ზეწოლის გარეშე და სხვა გზა, მიუხედავად მრავალმხრივი იძულებისა, არ მიიღო. უკეთუ სხვა გზას ძალით თუ ხიბლით თავს მოგვახვევენ, ქართველი ერი დაკარგავს თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი არსებობის საფუძველს, რაც კატასტროფა იქნება მისთვის.

დღეს ჩვენ კვლავ ვდგავართ არჩევანის წინაშე, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. ამიტომ ობიექტური საზომებით უნდა შევაფასოთ, რა ემსახურება ნამდვილად ჩვენს კეთილდღეობას, მომავალს, ჩვენი თვითმყოფადობის

გადარჩენას, შენარჩუნებას და განვითარებას. შეძლებს თუ არა ქართველი ერი ქვეყნებისა და ერების მსოფლიო მასშტაბის ერთობაში თავისი სიტყვის თქმას, ხალხთა მრავალფეროვნებაში საკუთარი სახის შენარჩუნებას, თუ გაითქვიფება ამსოფლის გაურკვეველ ღირებულებებში, რომლებსაც „თანამედროვეს“, „პროგრესულს“ უწოდებენ. არსებობს თანამედროვეობის ერთი ობიექტური საზომი — ეს არის ღმრთის სიტყვა, ღმრთის მცნება, სჯული, მარადიული ცხოვრების კანონი, რომელიც უარყოფითად აფასებს ადამიანის დაცემას, გაუკუღმართებულ ცნობიერებას, ხედვას და ქმედებას, ამიტომ ღმრთისგან დაშორებას არა პროგრესს, არამედ დეგრადაციას უწოდებს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ერი ერთგული დარჩება თავისი ისტორიული არჩევანისა და მონახავს თავის თავში ძალას, რათა დაიცვას თავისი ისტორიული, კულტურული და სარწმუნოებრივი თვითმყოფადობა, როგორც მას აქამდე იცავდა. მხოლოდ ამ შემთხვევაში განაგებს უფალი ჩვენს გადარჩენას.

აქვე მინდა გავცე პასუხი კითხვას, რომელიც ხშირად ისმება, სახელდობრ, რაში მდგომარეობს ამ პროცესში თითოეული ჩვენგანის, როგორც ქრისტიანის და მოქალაქის ვალი? — უწინარესად, ყოველი ჩვენგანის ვალია, რომ იყოს ქრისტიანი, რადგან ღმრთის ხატად არის შექმნილი. ეს რას ნიშნავს? არსებობს კურთხევა ღმრთისა: „აღორძინდით, გამრავლდით, აავსეთ ქვეყანა და დაეუფლეთ მას“, ე.ი. უნდა გამრავლდე. შემდეგი კურთხევაა: „დაიცავი მცნებები“; და ასევე: „შენს ქვეყანას მოუარე, უპატრონე და დაამუშავე, ააღორძინე“. თუ შენ გამრავლდები, მცნებებს დაიცავ და ზნეობრივად იცხოვრებ, უფალთან ერთობა გექნება და ღმრთის კურთხევას შეასრულებ, მაშინ ერი გადარჩება. ცხადია, ყველა არ ცხოვრობს კურთხევით, მცნებების დაცვით, მაგრამ გავიხსენოთ პასუხი უფლისა აბრაამისადმი, რომელიც მას სოდომის გადარჩენას შეევედრა: „ათი მართალი რომ ყოფილიყო სოდომში, არ დაიღუპებოდა ქალაქი“, ანუ მცირერიცხოვანი მართალი უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს ერის ბედზე, ვიდრე ცრუთა სიმრავლე, რადგან ღმრთის წინაშე ისინი ბევრად უფრო ფასდებიან, ვიდრე ცრუნი, მიუხედავად მათი მრავალრიცხოვნობისა.

ამიტომ თითოეული ქართველის პასუხისმგებლობა ღმრთის წინაშე ისტორიულად გაკეთებული არჩევანისა და შესაბამის გზაზე სვლის დაცვაა. ქართველმა უნდა შეასრულოს ის, რაც ღმრთისგან არის კურთხეული. უკეთუ ჩვენს ერში ღმრთის ერთგულებას მისი მცირე ნაწილი მაინც შეინარჩუნებს, მაშინ იგი თავის ისტორიულ

გზაზე დარჩება და ღმრთისგან იქნება დაცული. არჩევანის გაკეთება და დადასტურება საერთოდ ერის არჩევანისა, თითოეული ადამიანის შინაგანი ბრძოლის შედეგად ხდება. საღმრთო ისტორიაში ჩვენ ამის მრავალი მაგალითი გვაქვს. პასუხისმგებლობა თითოეული ადამიანისა იმაში მდგომარეობს, რომ იყოს ქრისტიანი, რადგან დაბადებით, როგორც ეს საუკუნეების წინ ითქვა, ყველა ქრისტიანია.

წერილი II

ცხოვრების მანძილზე ადამიანს მრავალგზის უხდება არჩევანის გაკეთება. არის არჩევანი თვითნებური, ნაკარნახევი ემოციით, ვნებით, ან გაბატონებული ცნობიერებით და არის არჩევანი ღვთის განგებით, არა ადამიანური ლოგიკით ნაკარნახევი. ამ არჩევანის სისწორე საუკუნეებში ცხადდება. წარსულ მოვლენათა შედარებითი ანალიზი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი გაცნობიერებული არჩევანის გაკეთებისას აწმყოში. ზემოთ ჩვენ შევეხეთ ქვეყნის საგარეო ურთიერთობათა არჩევანის სფეროს. ახლა გთავაზობთ ქვეყნის შიდა ურთიერთობების შედარებითი ანალიზის ზოგიერთ ასპექტს, რომელიც დაგვეხმარება არჩევანის გაკეთებისას დღევანდელ ვითარებაში.

პირველ რიგში, **განვიხილოთ ჩვენი ერის ისტორიული საწყისები, რომელიც საუკუნეების მანძილზე აისახა ჩვენს ცხოვრებაში.** ბაბილონიდან წამოსული თარგამოსიანები რითი ხდებიან ცნობილები? იმით, რომ შეებრძოლებიან ნებროთს, პირველ ხელმწიფეს, პირველ იმპერიას, ხოლო ნებროთის მკვლელობის შემდეგ, თავს აფარებენ მთას და აშენებენ ციხე-სიმაგრეებს ნებროთიანთა შიშის გამო. თარგამოსის შვილებს აერთიანებდათ რწმენა ერთი უხილავი ღმერთისა, ცისა და ქვეყნის შემოქმედისა. შემდგომში იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთობა შეიცვალა ურთიერთდაპირისპირებით და სარწმუნოებრივი ცნობიერების რღვევით, მრავალღმერთიანობით, რასაც ერის დაძაბუნება მოჰყვა. გმირების ადგილს იკავებენ მთავრები, მათ კი ენაცვლებიან მამასახლისები.

ბოლშევიკური რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველები ერთად ვიყავით, ხოლო როცა დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ერთმანეთს დავუპირისპირდით და გამაერთიანებელი მართლმადიდებლობის წილ მრავალი სახის აღმსარებლობა გავრცელდა ჩვენ შორის. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და ერთმანეთთან დაპირისპირება, ძალაუფლების მოყვარულობა და თავნე-

ბობა — ამ თვისებების გამო ხანგრძლივად ვერ ვძლიერდებით და ვერ ვინარჩუნებთ სახელმწიფოებრივ მდგრადობას. აბსოლუტიზმს ვერ ვეგუებით და კუთხურობას კატასტროფამდე მივყავართ.

ვისაც მთავარ მტრად მივიჩნევდით, მის წინააღმდეგ ვერთიანდებოდით მეზობელ ერებთან: სომხებთან, ოსებთან... მაგალითად, სპარსეთის წინააღმდეგ, მაგრამ ესეც ეპიზოდურად. ხანგრძლივად არც ჩვენს მეზობლებთან ვინარჩუნებთ ერთობას. ექვსი ენა იყო ოდესღაც გავრცელებული საქართველოში და ქართულმა დანარჩენი ენების ასიმილირება მოახდინა, ლექსიკურად გამდიდრდა, ინტერნაციონალური ხასიათი ისე შეიძინა, რომ თვითმყოფადობა არ დაკარგა. **ეს ხასიათის უნივერსალიზმის მაჩვენებელია.** მაგრამ ქვეყნის გარეთ ფესვებს მოწყვეტილი ქართველი ადვილად ადაპტირდება და ასიმილირებას თავად განიცდის.

ქვეყანაზე დამწერლობის სხვადასხვა სისტემა არის შექმნილი, მაგრამ ჩვენ ავირჩიეთ ღვთივკურთხეული ანბანური სისტემა, მსგავსი იმისა, რომელიც ღმერთმა აკურთხა სინას მთაზე, როდესაც მოსე წინასწარმეტყველს სჯულის ორი ფიცარი გადასცა. მეცნიერები მას ფინიკიურს უწოდებენ, თუმცა სინას სჯულდება მოხდა მანამდე, სანამ ებრაელები აღთქმულ ქვეყანაში შევიდოდნენ და ფინიკიელებს გაიცნობდნენ. ზოგიერთ ერს ორი დამწერლობა აქვს: გერმანელებს — ლათინური და გოთიკური, სომხებს — გრაბარი და თანამედროვე. ქართველებმა სამი შევქმენით. ერთსა და იმავე სისტემაში ჩვენ შეგვიძლია ახალი სიტყვის თქმა, ანუ **აზროვნების ორიგინალობა გვახასიათებს.**

მეფე მირიანი და ვახტანგი თავის დროზე დაპირისპირებულები იყვნენ ბიზანტიასთან, მაგრამ ერთმა წიგნების შესწავლით და წმიდა ნინოს სასწაულებით, ხოლო მეორემ წმიდა ბერების შეგონებით შეცვალეს პოლიტიკური ორიენტაცია. მეფე მირიანი თავს იხრის ანტიოქიიდან ჩამოსული მღვდელმთავრის წინაშე, ხოლო მეფე ვახტანგი, ეპისკოპოს მიქაელისგან საჯაროდ შეურაცხყოფილი, მაინც ქრისტეს ეკლესიას აძლიერებს საქართველოში. იგივე შეიძლება ითქვას მეფე გუბაზზე. **ხელმწიფეთა თავმდაბლობა ღვთის გულისათვის და ერთგულება ჭეშმარიტი რწმენისადმი, საწინდარია ღვთის განგებით ქვეყნის ერთობისა და ძლიერებისა.**

წმიდა გრიგოლ ხანძთელის და ტაო-კლარჯეთის ბერების ღვაწლი საფუძველი იყო ქვეყნის აღდგენისა და აღორძინებისა არაბთა შემოსევების შემდეგ. ბაგრატ III ღვთის განგებით მერე გახდა ერთიანი საქართველოს მეფე. ხელმწიფის ძალაუფლების შესუსტება

იწვევს ქვეყნის მხარეების განკერძოებას და ამასთან ერთად — ერის ზნეობრივ დაცემას. მეფე დავით ფსალმუნთმთქმელი და მანასე სინანულის მაგალითს გვაძლევენ, მაგრამ ცოტა მოიძებნება მეფეთა შორის, ვინც მათგვარად განიცდიდა თავის ცოდვებს. მეფე დავით აღმაშენებელმა, რომელიც ერის ზნებრივ განწმედასა და აღორძინებას ემსახურა, სინანულის საგალობლები გვიანდერძა. მკაცრი საკუთარი თავის მიმართ მკაცრია ერის და ქვეყნის მტრების მიმართ, მაგრამ არა ულმობელი. ასეთი თვისებები მართებს ხელმწიფეს. მეფე თამარი სიმდაბლითა და ლოცვით მებრძოლი და მოწყალეებით მმართველი, მისთვის ყველაზე ძვირფას თვლებს ლალისა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატს შესწირავს სინანულით იმის გამო, რომ დროული გულისხმიერება არ გამოიჩინა მთხოვნელი გლახაკის მიმართ, ე.ი. **ქართველს შეუძლია ძალაუფლების მწვერვალზეც იყოს დიდსულოვანი და სულგრძელი, მოწყალე და მართალი,** ფსალმუნის სიტყვების — „წყალობასა და სამართალსა გაქებდე შენ, უფალო“ — თანაზიარი. **მაგრამ, ვაი სამეფოს, ფუფუნებით და დაუმსახურებელი ძალაუფლებით გახრწნილი, უზნეო და მზაკვარი მეფისგან!**

თამარი და რუსუდანი, დედა-შვილი, ერთი სარკის წინაშე დგანან, ღვთის სიტყვითა და სჯულით, მიუკერძოებელი სამართლით განისჯებიან. ერთის ნაყოფი დიდებაა, მეორის კი — დაცემა; ერთის — ქვეყნის აყვავება, მეორის კი — დამხობა-გაპარტახება. მრავალი ცოდვა ჰქონდა დემეტრეს, მაგრამ განსაცდელის ჟამს იტვირთა ჯვარი ერის ხსნისათვის. ერის სიწმიდის დაცვისათვის აიღეს ჯვარი შალვამ, ბიძინამ და ელიზბარმა, შეთქმულებით გაერთიანებულებმა გაიმარჯვეს, ხოლო გარნისში გაყოფილ-დაპირისპირებულ-უდარდელები სასტიკად დავმარცხდით. ასი ათასი მოწამის სისხლით გვიხსნა ჩვენ უფალმა. მესხთა და ქართლელთა რაინდული ამბიციის გამო ლუარსაბ I-ის დასუსტებულმა ლაშქარმა ბასიანში უკან დაიხია. დავკარგეთ ტაო-კლარჯეთი და თითქმის მთელი მესხეთი.

რა ცხოვრებით ვცხოვრობდით ქართველები ვახტანგ გორგასლის დროს, რომ მისი მეუღლის აღმზრდელი სპარსი ქურუმი, ცეცხლთაყვანისმცემელი, აღფრთოვანებული ქრისტიანული სჯულის შესაბამისი ცხოვრებით, მოინათლა და გახდა საქართველოს ეკლესიის პირველმოწამე რაჟდენი? ან რა წესი ნახა არაბმა აბომ მძევლად წაყვანილ ნერსეს ოჯახში, რომ დატოვა მაჰმადის სჯული, მოინათლა და ქრისტესთვის ეწამა და საუკუნეების მანძილზე თბილისის მფარველად არის აღიარებული? **ჩვენ სწრაფად ვეცემით და სწრაფადვე ვდგებით**. გიორგი ბრწყინვალის დროს ქართველებს გვქონდა უფლე-

ბა გაშლილი დროშებით, ცხენებზე ამხედრებულებს იერუსალიმში შესვლისა, ხოლო ერთი საუკუნის შემდეგ დაიწყო ჩვენი შევიწროება წმიდა მიწაზე და ვერც ჯვრის მონასტერი დავიხსენით. დანაწევრდა საქართველო კუთხეებად, გაუთავებელმა ომებმა, თავდასხმებმა, გაჭირვებამ დაგვაკნინა და **ვყიდდით ყველას და ყველაფერს, ოღონდ თავი გვერჩინა**. მოთხოვნა იყო მონებზე — მონებად ვყიდდით ქართველის შვილს; მოთხოვნა იყო ხატებზე — გავძარცვეთ გელათი; გაჩნდა მოთხოვნა ტაძრების ნგრევაზე — ვანგრიეთ; ერთმანეთის დასმენაზე — ვასმენდით. **დღეს რაზეც არის მოთხოვნა, იმაზე ვიყიდებით.** ანგარებამ, ვერცხლისმოყვარეობამ და პატივმოყვარეობამ მოიცვა ყველა ფენა. სცადა დიდმა ილიამ ერის ზნეობრივი გაჯანსაღება — მოვკალით, პატრიარქი კირიონი არ დავინდეთ, ამბროსის კი გული გავუხეთქეთ. ექვთიმემ ეროვნული განძი შეგვინახა და სამშობლოში დააბრუნა — შევავიწროვეთ და დასაფლავებაზე მისვლის შეგვეშინდა. **სულმდაბლობა გამრავლდა ჩვენში, დიდსულოვნება კი უცხოდ, გამონაკლისად გვეჩვენება. ყველას ზემოდან ვუყურებთ და ყველაზე ბოლოში აღმოვჩნდით.** ომები იყო, გვანადგურებდნენ, მაგრამ ვმრავლდებოდით და ჩვენს მიწა-წყალს ვიმკვიდრებდით. რამდენი ხანია, ომი აღარ ყოფილა და ვეღარ გავმრავლდით. **ჩვენს მიწა-წყალზე სხვა მრავლდება და იმკვიდრებს მას.**

საუკუნეებია მოვდივართ ჩვენი ავკარგიანობით. ერთი კეთილი მრავალ უკეთურს სძლევდა. რა დაგვემართა, როგორ დავძაბუნდით? ნუთუ ვეღარ აღვდგებით? ისევ უფალი და ჭეშმარიტი რწმენა, სიწმიდე და სიყვარული თუ გვიხსნის, ღვთის მადლი თუ დაგვიფარავს, რადგან მცირედი მართლისა მეტია ცოდვილთა სიმრავლეზე. სიწმიდე და სიმართლე, სამშობლოს სიყვარული და შრომისმოყვარეობა ოჯახში აღზრდით იწყება და ეს საფუძველი თუ ქვაკუთხედი ერისა და ქვეყნის კეთილდღეობისა ჩვენში უმეტეს შემთხვევაში დარღვეულია. თავადი თავის შვილს კეთილგონიერი, პატიოსანი მშრომელი გლეხის ოჯახში გზავნიდა აღსაზრდელად. დღეს უმრავლესობას თავადობის პრეტენზია აქვს და ვისთან ვაგზავნით შვილებს აღსაზრდელად? მშობლები ვეღარ იცლიან ამისთვის.

თავისი დროის პოლიტიკურად თუ ეკონომიკურად წამყვანი ქვეყნის ორბიტაში მოქცევით, სპარსეთ-თურქეთი იყო, რუსეთი თუ ამერიკა-ევროპა, ვითვისებდით და ვითვისებთ მათგან კარგსაც და ცუდსაც. მათ მიმართ სერვილიზმმა პროვინციალებად გვაქცია, ვივიწყებთ და ვკარგავთ ჩვენი თვითმყოფადობის გზას და შელახულ პიროვნულ ამბიციებს სნობურ-სალონური უნაყოფო და უქმი მეტყ-

ველებით ვიკმაყოფილებთ. ასე იყო ილიას დროს და რითი დამთავრდა? ასეა დღეს და რა გველის? ხელისუფლებაზეა დამოკიდებული ბევრი რამ და ვის ხელშია სახელისუფლებო ბერკეტები?

თვითკრიტიკული სინანულით გამოგვაფხიზლოს უფალმა და განგვათავისუფლოს ერთმანეთის განკითხვისაგან. ჩვენი ხსნა ღვთისა და ჩვენს ხელშია.

***

მიმოვიხილეთ რა ზოგადად ჩვენი ქვეყნის წარსული და აწმყო, საგარეო და საშინაო პრობლემების ავკარგიანობა, უპრიანია მომავლისაკენ მიმართული დღევანდელი კონკრეტული საქმიანობის გზები გავიხსენოთ და შევაფასოთ პერსპექტივები. პირველ რიგში, განვიხილოთ საყოველთაოდ აღიარებული ჩვენი პრიორიტეტები.

ისტორიულად საქართველო არა მარტო კავკასიის გეოპოლიტიკური, არამედ სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყო, რადგან მეზობელი მცირე ერებისგან განსხვავებით მრავალი საუკუნის მანძილზე შედარებით სტაბილურ, ჩამოყალიბებულ და განვითარებულ სახელმწიფო სტრუქტურებს ინარჩუნებდა.

მდგომარეობა შეიცვალა და დღეს საქართველო დემოგრაფიულად, პოლიტიკურად და ეკონომიკურად არათანაბარ მდგომარეობაშია რუსეთთან (მასში ჯერჯერობით შემავალ ჩრდილო კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკებთან), თურქეთთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან.

საქართველოს სახელმწიფოს უპირველესი ამოცანა დღეს არის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-დემოგრაფიული წონასწორობის აღდგენა ორი მიმართულებით: 1) საგარეო ურთიერთობის დაბალანსებისა და 2) შიდა მდგომარეობის სწორი რეგულირების გზით. პირველისათვის საჭიროა დიპლომატიური კორპუსის კადრების უმაღლეს დონეზე მომზადება და საქართველოს გარშემო არსებული აღმატებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალების ინტერესთა გაწონასწორება ქვეყნის კეთილდღეობისა და განვითარების შენარჩუნებისათვის. მეორისთვის აუცილებებლია ბუნებრივი პრიორიტეტების განვითარება დღეისათვის წამყვანი ქვეყნების გამოცდილების გათვალიწინებით. პირველ რიგში, ეს პრიორიტეტები არის განათლება და სოფლის მეურნეობა, ასახელებენ ასევე ტურიზმსაც. სამივე პრიორიტეტის ერთდროულად განვითარება დიდ ინვესტიციებს მოითხოვს. თუ პირველ რიგში ტურიზმი განვითარდა, საქართველო სინგაპურიზაციის გზას დაადგება და ქართველი ერის

ეთნიკურ-კულტურული თვითმყოფადობა ეჭვის ქვეშ დადგება. ამიტომ, ვფიქრობთ, პირველ რიგში, განათლება და სოფლის მეურნეობა უნდა განვითარდეს, სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში. ზნეობრივად დაზიანებული საზოგადოება თუ არ გაჯანსაღდა, არ განიკურნა ანგარებისა და თვალთმაქცობისგან, ვერც განათლების სისტემა და ვერც სოფლის მეურნეობა ვერ მოემსახურება ქვეყნის კეთილდღეობას.

განათლების სისტემაში ჩვენ ხუთ საფეხურს გამოვყოფთ: 1. საოჯახო და სკოლამდელს; 2. სასკოლოს; 3. პროფესიულ-ტექნიკურს; 4. უმაღლესს; 5. თვითგანათლებას.

საოჯახო აღზრდა-განათლების სისტემა, რომელიც ისტორიულად იყო საფუძველი ახალი თაობის ზნეობრივ-სამართლებრივი და შრომით-პატრიოტული აღზრდისა, დღეს პრაქტიკულად მოშლილია. ამის მიზეზები ცნობილია; სიტუაციის გამოსწორება შესაძლებელია თანამიმდევრული, მიზანმიმართული, სტაბილური სახელმწიფო მასშტაბის პროგრამის განხორციელების საშუალებით.

იგივე ითქმის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაციის და იქ დასაქმებული პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ.

სასკოლო აღზრდა-სწავლება და განათლება ორი ძირითადი პრობლემის წინაშე დგას: 1) განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით პედაგოგიური კადრების მომზადება, საგნობრივი პროგრამების, სახელმძღვანელოების მეთოდიკების შემუშავება და შემდგომში მათი გამოცემა და სასწავლო პროცესში ჩართვა; 2) მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური ბაზის უზრუნველყოფა.

პედაგოგიური კადრების მომზადება საჭიროებს ორსაფეხურიან სწავლებას: პირველი — უნდა შეიქმნას პროფესიულ-პედაგოგიური სასწავლებელი — კოლეჯი (2-3 წლიანი) სკოლადამთავრებულ ახალგაზრდებში პედაგოგიური ნიჭის და საგნობრივი ორიენტაციის გამოსავლენად; მეორე — ცალკე გამოიყოს პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებელი, მსგავსად სამხატვრო აკადემიისა, კონსერვატორიისა და თეატრალური ინსტიტუტისა, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებით. საბაკალავრო კურსი ძირითადად მოამზადებს საგნის მასწავლებელ-პედაგოგს, ხოლო სამაგისტრო კურსი ძირითადად — პედაგოგ-ფსიქოლოგს და მეთოდისტს. პედაგოგიური სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლების შესარჩევად გამოცხადდეს კონკურსი და კონკურსში გამარჯვებულებმა გაიარონ კვალიფიკა-

ციის ამაღლების კურსები. დაუშვებელია პედაგოგიური კადრების პოლიტიზება და საქართველოს ისტორიული და ტრადიციული გზისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება. საგანმანათლებლო სისტემის მენტალური სივრცე საპარლამენტო და საზოგადოებრივი ყურადღების სფერო უნდა იყოს. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პედაგოგიური კადრების შრომის უმაღლესი ანაზღაურება.

საჭიროა, **სკოლები** სასწავლო-ასაკობრივი საფეხურების შესაბამისად აღიჭურვოს. **ელემენტარული სკოლა** (I-VI კლასები) განთავსდეს ცალკე შენობაში, რომელსაც თავისი ეზო ექნება. **საბაზო სკოლისათვის** (VII-IX კლასები) შეიქმნას სხვადასხვა სახის სახელოსნოები და საცდელი ნაკვეთები, მოსწავლის მიერ გამოვლენილი ნიჭის შესაბამისი განვითარებისათვის. სააბიტურიენტო მომზადებისათვის **საშუალო, ზედა სკოლაში,** მოსწავლის მიერ გამოვლენილი ნიჭისა და შესაძლებლობების შესაბამისად სპეციალიზირება უნდა მოხდეს. **პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები** (კოლეჯები) ტერიტორიულად უნდა განთავსდეს რაიონებში და თავისი პროფილით სამეურნეო-სამრეწველო რეგიონალურ სპეციფიკას და, ამასთან ერთად, სახელმწიფო ზოგად დაკვეთას ექვემდებარებოდეს, ვგულისხმობ, რაიონებში სპორტულ, სამხედრო და სოციალურ მუშაკთა კადრების მომზადებას.

უმაღლეს სასწავლებლებში აბიტურიენტების მისაღებად საკონკურსო ადგილები ქვეყნის პერსპექტიული სამუშაო ადგილების რაოდენობას უნდა შეესაბამებოდეს. სახელმწიფო სტატისტიკური სამსახური ყოველწლიურად უნდა აქვეყნებდეს პროფესიული სამუშაო ადგილების მოთხოვნადობის ბიულეტენს, რათა აბიტურიენტმა მომავალში თავისი დასაქმების პერსპექტივები გაითვალისწინოს. დღეისათვის უმაღლეს სასწავლებელდამთავრებულთა რიცხვი ბევრად აღემატება დასაქმების შესაძლებლობას. ამგვარი დისპროპორცია ზრდის უმუშევართა რიცხვს და იწვევს მოსახლეობის გაღატაკებას. უმაღლეს სასწავლებლებთან შეიქმნას ქვეყნისათვის პრიორიტეტული **სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები.** შვეიცარიის და ფინეთის მსგავსად, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებით და დანერგვით გაძლიერდეს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა.

თვითგანათლება მხოლოდ პირადი მოტივაციით განისაზღვრება.

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით მოკლედ ვიტყვით. მიწა და ბუნებრივი რესურსები არის სახელმწიფო საკუთრება და არ გაიყიდება. მიწა სარგებლობაში მიეცეს სოფლის მოსახლეობას და

სახელმწიფოსათვის პრიორიტეტულ საწარმოებსა და დაწესებულებებს. სამეურნეო საქმიანობისათვის დაწესდეს მოკლე და გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულებები. გრძელვადიანი ხელშეკრულება გაფორმდეს იმ ჯგუფთან, რომლის მოკლევადიანი პროექტი მიზნობრივად იქნება რეალიზებული და დადებითად შეფასებული. სოფლის საყოფაცხოვრებო და სამეურნეო სამუშაო პირობები უნდა გაუმჯობესდეს თანამედროვე ტექნიკური პროგრესის მიღწევების, წყალმომარაგების, მზისა და ქარის ენერგიების, მეურნეობაში ელექტრონული აპარატურის გამოყენებით და სოფელში დასაქმებულთა შრომის მაღალი ანაზღაურებით. შეჩერდეს სოფლის მოსახლეობის მიგრაცია ქალაქში და უცხო ქვეყნებში. სოფელი სამეურნეო საქმიანობით ისტორიულად და დღესაც არის გარანტი ქვეყნის სტაბილურობისა. რაიონებში (რეგიონებში) სოფტექნიკის სადგურების ორგანიზებასთან ერთად სახელმწიფოს მიერ, ან მისი დახმარებით, კერძო ინვესტორების დაინტერესებით შეიქმნას სოფლის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები და დასაქმდეს ადგილობრივი მოსახლეობა, შეიქმნას ჯიშების გამოყვანის და ბიოსასუქების წარმოების კვლევითი ლაბორატორიები და საჯიშე მეურნეობები. სახელმწიფოს ხელშეწყობით შეიქმნას ბიომეურნეობების ქსელი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოებისა და ექსპორტისათვის. ყოველივე ამისთვის სახელმწიფომ უზრუნველყოს შესაბამისი საკადრო პოლიტიკა და მიიღოს სათანადო ზომები საქართველოში წარმოებული საკვები პროდუქტის კონკურეტუნარიანობისათვის.

განათლების სისტემისა და სოფლის მეურნეობის წარმატებული საქმიანობით გაძლიერდება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, გამრავლდება მოსახლეობა და სწორი საგარეო პოლიტიკით უზრუნველყოფილი იქნება მშვიდობიანი გარემო საქართველოს ისტორიული გზით განვითარებისა და მისიის აღსასრულებლად.

***

ზემოთ განხილულ ქვეყნისა და ერის პრობლემებსა და პერსპექტივებს მივყავართ ერთ დასკვნამდე: *წარმატებისათვის აუცილებელია სახელმწიფო სტრუქტურების მიზანშეთანხმებული ეტაპობრივი მშვიდობიანი და ხანგრძლივი თანამშრომლობა. ამისთვის წინასწარ უნდა შეიქმნას ეროვნული სახელმწიფოს კონსოლიდირებული მოქმედებისა და განვითარების კონცეფცია.*

ისტორიულად, თითქმის ორი ათასი წლის მანძილზე, საქართველოში იყო მონარქიული მმართველობა აბსოლუტიზმის ნიშ-

ნებისა და თავად-აზნაურთა ავტონომიურობის მონაცვლეობით. ამ ტრადიციული მმართველობის ორსაუკუნოვანმა წყვეტამ და მსოფლიოში დღეს გავრცელებულმა სახელმწიფოთა მართვის სისტემების პრაქტიკამ განაპირობა ჩვენი ქვეყნის მართვის სისტემის გარეგნული ფორმა ბოლო 25 წლის მანძილზე. ჩვენი ხასიათის ამბიციურმა თვისებამ, ბელადომანიისა და ლიდერთა ერთპიროვნული მმართველობისაკენ ლტოლვამ სხვადასხვა სახით იმსხვერპლა და პოლიტიკურ მოღვაწეობას ჩამოაშორა ეროვნული მოძრაობის ზნეობრივი და გონივრული ნაწილი და ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელიც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში უთანასწორო და უსამართლო ბრძოლას შეეწირა. ამიტომ დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე ქვეყნის აღმშენებლობის სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ.

ჩვენი საზოგადოების პარტიებად დაყოფამ მოგვიტანა მიკერძოება, დაპირისპირება, უსამართლობა, ძალადობა, მმართველი გუნდის პარტიული ტოტალიტარიზმი და სხვადასხვა მასშტაბის კორუფცია. სახელმწიფოს განვითარების ერთიანი, სტაბილური, თანამიმდევრული კონცეფცია ვერ ან არ ჩამოყალიბდა.

ვფიქრობთ, უნდა ვეძებოთ ჩვენი სახელმწიფოს მართვის ალტერნატიული სისტემა, არაპარტიული. დღეს არსებული სახელმწიფო სტრუქტურებიდან უნდა დარჩეს: **1) პარლამენტი, წარმოდგენილი მაჟორიტარი დეპუტატებით (პარტიული ნიშნით დეპუტატების არჩევა უნდა გაუქმდეს); 2) პარლამენტში არსებული შესაბამისი დარგობრივი კომისიები, დაკომპლექტებული კონკურსის წესით შერჩეული კვალიფიციური, კომპეტენტური პირებით; 3) დარგობრივი სამინისტროები რეგიონული განვითარების გათვალისწინებით: 4) მინისტრთა კაბინეტი პრემიერმინისტრის მეთაურობით (მინისტრების შერჩევა უნდა მოხდეს კონკურსის წესით და მინისტრთა კანდიდატურებიდან უნდა გამოირჩეს პრემიერ-მინისტრი); 5) ადგილობრივი მმართველობის ხელმძღვანელების შერჩევა უნდა მოხდეს კონსკურსის წესით წინასწარ განსაზღვრული მაჩვენებლების მიხედვით (პირადი თვისებები, საქმიანობა, საზოგადოებასთან ურთიერთობა და საზოგადოების აზრი მათ შესახებ); 6) მეცნიერებათა აკადემიასთან აღდგეს დარგობრივი, კვლევითი ინსტიტუტები ქვეყნისთვის აქტუალური პროექტების დაფინანსების წესით და რეგიონული განვითარების სპეციფიკის გათვალისწინებით.**

კვლევითი ინსტიტუტები დაკავშირებული უნდა იყოს უმაღლეს სასწავლებლებთან ახალგაზრდა კადრების შესარჩევად და დასაქმებლად. სტრატეგიული მნიშვნელობის კვლევითი ინსტიტუტები

(თავდაცვის, უშიშროების, საგარეო პოლიტიკისა და ურთიერთობების, სამართალმცოდნეობისა და სოციალური განვითარების, ეკონომიკისა და აღზრდა-განათლების) თავის დასკვნებსა და რეკომენდაციებს განსახილველად და განსახორციელებლად წარუდგენენ პრეზიდენტს, მინისტრთა კაბინეტს და შესაბამის საპარლამენტო კომისიებს. **მეცნიერებამ, ცოდნამ, გამოცდილებამ, პროფესიულმა კეთილსინდისიერებამ უნდა შეცვალოს პარტიულობა და პარტიული ნიშნით მართვა-ხელმძღვანელობა.**

ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში სახელმწიფოს მართვასა და განვითარებაში სხვადასხვა პარტიის მონაწილეობა არ იწვევს მათ შორის დესტრუქციულ დაპირისპირებას, შერჩევით სამართალს, ქვეყნის განვითარებისა და სტრატეგიული პოლიტიკის მიმართულების დესტაბილიზაციას. იქ პარტიული ინტერესები ემსახურება სახელმწიფო ინტერესებს. **ჩვენთან, სამწუხაროდ, პირიქით, სახელმწიფო ინტერესები ექვემდებარება პარტიულ და პირად ინტერესებს.** ჩვენთან, როგორც ჩანს, ჯერ არ ჩამოყალიბებულა მექანიზმი ქვეყნისათვის სასიკეთო კურსის სტაბილურობის დაცვისა, მიუხედავად იმისა, რომელი პარტია არის მმართველი.

ზემოთ წარმოდგენილი სახელისუფლებო ბლოკის რეფორმირების მოდელის (მეცნიერება, ცოდნა, გამოცდილება, პროფესიული კეთილსინდისიერება, ნაცვლად პარტიული ტოტალიტარიზმისა) რეალიზებისათვის საჭიროა რამდენიმე პირობა: **1. ძალაუფლების მქონე სახელმწიფო სტრუქტურის გონივრული, დამოუკიდებელი პოლიტიკური ნება; 2. სათანადო რაოდენობის მეცნიერთა, კვალიფიციურ პროფესიონალთა კადრების არსებობა, რომლებიც ჩამოაყალიბებენ შესაბამის კომისიებს პარლამენტში და მინისტრთა კაბინეტში; 3. საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული ძალების დაბალანსება ქვეყნის ხელისუფლებაზე ზეწოლის გასანეიტრალებლად.**

ჩვენი ქვეყნის პრესტიჟის ასამაღლებლად სხვა პრიორიტეტებთან შედარებით ყველაზე მნიშვნელოვანია ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის და ბუნებრივი გარემოს დაცვა.

ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში ისტორიულად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ეკლესიას, რაც აღიარებულია კონსტიტუციაში. ამ მისიას ეკლესია დღესაც ასრულებს. შექმნილია სხვადასხვა დარგის სამონასტრო მეურნეობები, სასკოლო, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემა ეკლესიის წიაღში, საქველმოქმედო მისიები. ეკლესია ზრუნავს საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა ოჯახებისთვის და საქართველოში საოჯახო გარემოს გა-

ჯანსაღებისათვის, ერის რეპროდუქციული პოტენციალის რეალიზებისათვის; ხელისუფლებას სთავაზობს სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტის ალტერნატიულ გზებს.

საქართველო განიცდის ორმაგ ექსპანსიას: ტერიტორიულს და მენტალურს. ტერიტორიული ექსპანსია ჩვენში აძლიერებს ეროვნული იდენტობის გრძნობას; მენტალური ექსპანსია შლის ეროვნული იდენტობის საზღვრებს. საკითხავია: ქართველი ერის ხომალდი, რომელიც უფალმა დღემდე მოიყვანა ჩვენი ნებაყოფლობითი არჩევანის გზით, დღევანდელ ექსპანსიურ სცილასა და ქარიბდას შორის გაივლის ისე, რომ არ წამოეგოს წყალში დაფარულ დამღუპველ რიფებს?

უფალო, შეგვიწყალე და „მოწყალებისა კარი განგვიღე“.

მამუკა ცუხიშვილი

მიხეილ ვორონცოვი – XIX საუკუნის საქართველოს აღმშენებელი[1]

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს XIX საუკუნის გამოჩენილი რუსი სახელმწიფო, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის მიხეილ ვორონცოვის პიროვნების წარმოჩენას, მისი ღვაწლის შეფასებას და ჩვენი დიდი და ღირსეული წინაპრების მოგონებების მიმოხილვას თავად ვორონცოვის შესახებ.

1801 წლის 19 აპრილს საქართველოში რუსეთის ჯარების პირველ მთავარსარდალს, გენერალ კარლ კნორინგს (1746-1820 წწ.) დაევალა მოემზადებინა მასალები იმის შესახებ, შეძლებდა თუ არა ქართლ-კახეთის სახელმწიფო დამოუკიდებლად არსებობას.

შემდეგ მომზადდა დასკვნა, რომლის დედააზრი იყო, რომ ქართლ-კახეთის სახელმწიფო ვერ შეძლებდა დამოუკიდებლად არსებობას; მისი გადარჩენის ერთადერთ ხსნას წარმოადგენდა სახელმწიფოებრიობის გაუქმება და თვითმპყრობელური მმართველობის დაწესება; მთავარ არგუმენტად კი „ქართველი ხალხის თანხმობა“ მოჰყავდა.

მაგრამ არსებობდა სხვა აზრიც, მაგალითად – გრაფი მიხეილ ვორონცოვის და გრაფი ვიქტორ კოჩუბეისა, რომლებიც 1801 წლის 24 ივლისს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I რომანოვისადმი მირთმეულ მოხსენებაში უარყოფდნენ კნორინგისეულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ქართლ-კახეთის სახელმწიფოს არსებობა არ შეეძლო და 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული პუნქტების შესრულებას მოითხოვდნენ.

---

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №2(12), 2014.

ვორონცოვი ამ დროს სულ რაღაც 19 წლის ჭაბუკი იყო.

გავიდა ათეული წლები და ვორონცოვი საქართველოს და ამიერკავკასიას მოევლინა როგორც პირველი მეფისნაცვალი.

მიხეილ ვორონცოვის შესახებ ვკითხულობთ: „ვორონცოვი მიხეილ სიმეონის ძე – გრაფი, უგანათლებულესი თავადი, ინფანტერიის გენერალი, გენერალ-ფელდმარშალი. ვორონცოვების საგვარეულოს ფუძემდებელი იყო სიმონ აფრიკანის ძე, რომელიც 1287 წელს გერმანიიდან კიევში ჩასულა დიდ მთავარ იაროსლავ ვლადიმერის ძესთან და მიუღია მართლმადიდებლობა. დიმიტრი დონელის დროს სიმონის ერთ-ერთმა შთამომავალმა – თევდორემ მიიღო თიკუნი „ვორონეც“ და იმ დროიდან დაწესდა გვარი ვორონცოვებისა“[2].

რუსეთის საიმპერატორო კარზე დაწინაურებული გრაფი სვიმეონ ვორონცოვის ვაჟი და ამავე კარის კანცლერის ალექსანდრე ვორონცოვის ძმისშვილი თავიდანვე გამოირჩეოდა სწავლისადმი სწრაფვით. მან საუკეთესო განათლება მიიღო ლონდონში, რამაც ხელი შეუწყო მის წინსვლას ჯერ ციციანოვის, ხოლო შემდეგ გულიაკოვის აპარატში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავარმართებლის პავლე ციციანოვის[3] კარზე მუშაობისას, ვორონცოვმა შეიყვარა ქართველი ხალხი და შედეგმაც არ დააყოვნა, მისი ფასდაუდებელი ღვაწლის შედეგად XIX საუკუნის საქართველოს სასიკეთო ცვლილებანი დაეტყო.

მანამდე კი იყო ზაქათალას 1804 წლის 15 იანვრის შეტაკება, სადაც შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. მონაწილეობდა 1805-1807 წლებში ნაპოლეონის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლებში, კერძოდ, პუტლუსკისა და ფრიდლანდის მისადგომებთან. ასევე, 1809-1811 წლებში მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომში შთამბეჭდავ გამარჯვებებს მიაღწია და არაერთგზის დაიმსახურა სარდლობის მადლობა.

1812 წელს, როდესაც ნაპოლეონი რუსეთს თავს დაესხა, მიხეილ ვორონცოვი პეტრე ბაგრატიონის მეთაურობით მამაცურად იბრძოდა ბოროდინოს ველზე და სათავეში ედგა გრენადერთა ბატალიონს.

ვორონცოვის დივიზია, რომელიც შედგებოდა 4000 მეომრისაგან, გააფთრებით უტევდა მარშალ დევუს ფრთას. მეომართაგან 300 გადარჩა და ბრძოლის ველზე თავადაც დაიჭრა. დაჭრილი ვორონ-

[2] **Акти**, ტ. X, თბ., 1885, გვ. 71.

[3] წარმოშობით იყო ქართველი, ვახტანგ VI ერთად რუსეთში გადასახლებული პაატა ციციშვილის (1754-1806 წწ.) შვილიშვილი, მთავარმართებლად მსახურობდა 1802-1806 წლებში.

ცოვი ბრძოლას დროებით გამოეთიშა, თავის დაჭრილ მეომრებთან ერთად სოფელში მკურნალობდა და 1813 წელს კვლავ დაუბრუნდა თავის საქმიანობას, მაგრამ მას იქ აღარ დახვდა მისი ძვირფასი მასწავლებელი და სახელოვანი სარდალი პეტრე ბაგრატიონი.[4]

1813 წელს იბრძოდა დენევიცისა და ლაიპციგის მისადგომებთან. 1814 წლის მაისში ერთი დღის განმავლობაში კრაონთან ებრძოდა ნაპოლეონს და დაამარცხა კიდეც. 1815-1818 წლებში მიხეილ ვორონცოვი საფრანგეთის წინააღმდეგ ოკუპაციის ძალთა მეთაური იყო. 1823 წლის 7 მაისს იგი დაინიშნა ახალი რუსეთის გენერალ-გუბერნატორად, იმავდროულად იყო ბესარაბიის ნამესტნიკი და რუსეთის იმპერიის სამხრეთ პროვინციების გამგებელი. მისი დამსახურებაა ოდესისა და ყირიმის აღმშენებლობა და წინსვლა.

მისივე ინიციატივით, 1828 წელს შავ ზღვაზე პირველად გამოჩნდა რუსეთის თბომავალი. იმავე წლებში (1828-1829 წწ.), რუსეთ-თურქეთის ომის დროს, ვარნის მიმართულების დაჭრილი სარდალი მენშიკოვი ჩაანაცვლა და 28 სექტემბერს ბრძოლა დასრულდა რუსეთის გამარჯვებით.

მიხეილ ვორონცოვის დამსახურებაა, აგრეთვე, მომზადება სპეციალური გეგმისა, რომლის მიხედვით კავკასიასა და რუსეთში თავიდან იქნა აცილებული თურქეთში გავრცელებული შავი ჭირი.

რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I (1796-1855) მიიჩნევდა, რომ კავკასიის რუსეთთან დასაკავშირებლად საჭირო იყო მოქნილი და დიპლომატიური პოლიტიკა, რათა, არც რუსეთის ინტერესები დაზარალებულიყო და არც კავკასიელი ხალხების ეროვნული მენტალიტეტი შელახულიყო, ამიტომ გადაწყვიტა, კავკასიაში არა მთავარმართებელი, არამედ მეფისნაცვალი დაენიშნა და ეს თანამდებობა გრაფ მიხეილ ვორონცოვს მიანდო.

როგორც ცნობილია, კავკასიაში მიხეილ ვორონცოვის აქტიური მოღვაწეობა დაიწყო შამილის[5] წინააღმდეგ შეტევით. გეგმა შეიმუშავა იმპერატორმა ნიკოლოზ I, რომელიც ითვალისწინებდა დარგოზში შამილის რეზიდენციაზე იერიშის მიტანას და დაღესტან-ჩეჩნეთის რუსეთის იურისდიქციაში მოქცევას.

რუსეთის საიმპერატორო კარზე მიხეილ ვორონცოვის გვერდის ავლით მომზადდა გეგმა, რომლის განხორციელება დაევალა ვორონცოვს. დაიწყო შეტევა შამილის წინააღმდეგ არტილერიით, ქვე-

[4] იხ. ჩვენი ნარკვევი: „პეტრე ბაგრატიონი“, ჟურ. „სამი საუნჯე“, 3(9), 2013.

[5] 1799-1871 წწ., ხუნძი, იგივე დაღესტნელი რელიგიური მეთაური, იბრძოდა რუსეთის წინააღმდეგ.

ითი და ცხენოსანთა 8 რაზმით, რომელთაც ცალ-ცალკე გამოცდილი გენერლები ხელმძღვანელობდნენ. ავანგარდში მონაწილეობას იღებდნენ ქართველი მეომრებიცა და პოლიციის ნაწილებიც. სამწუხაროდ, გეგმა შედგენილი იყო მთელი რიგი ხარვეზებით, რასაც ბრძოლის წაგება და ჯარისკაცთა აუნაზღაურებელი დანაკარგი მოჰყვა. ცუდად შედგენილი გეგმის გამო რუსეთის იმპერატორმა თავი დამნაშავედ იგრძნო და ვორონცოვს მისი გამოსყიდვის მიზნით პირველი ხარისხის თავადობა უბოძა.

1845 წელს მიხეილ ვორონცოვი საქართველოში, კერძოდ კი, თბილისში ჩამოვიდა (დაბრუნდა) არა როგორც რიგითი მოხელე ან ჩინოვნიკი, არამედ როგორც მეფისნაცვალი, ანუ იმპერატორის მოადგილე, იგივე კავკასიის ნამესტნიკი.

მ. ვორონცოვს ასევე მინიჭებული ჰქონდა განსაკუთრებულ დავალებათა მინისტრის წოდება, რაც უზრუნველყოფდა მისი უფლებების რეალიზაციას ყველა მიმართულებით და გაცილებით აიოლებდა ქვეყნებსა და მმართველ წრეებს შორის ურთიერთობას, რომელიც მანამდე მოუგვარებელი და დაუბალანსებელი იყო.

მეფისნაცვლის ინსტიტუტის ჩამოყალიბება დიდად არ განსხვავდებოდა მთავარმართებლის თანამდებობიდან, მაგრამ არსებობდა რიგი ფაქტორებისა, რომელთა წყალობითაც იგი მეტი დიპლომატიურობით, მოქნილობითა და სიზუსტით გამოირჩეოდა. მიუხედავად ამისა, ყველაფერი ეს გამოუსადეგარი შეიქნებოდა, რომ არა მიხეილ ვორონცოვის, როგორც შესანიშნავი მმართველის, დიპლომატის, პოლიტიკოსის, ქართველ ერზე მზრუნველი ადამიანის, ხელოვნების, განათლებისა და კულტურის მფარველის, მრეწველობისა და ეკონომიკის სულისჩამდგმელის მოღვაწეობა და საქმის უანგარო ერთგულება.

საქართველოში ჩამოსვლიდან ორ თვეში მიხეილ ვორონცოვმა მოიარა და დაათვალიერა სამეგრელო, იმერეთი, კახეთი, ქართლი, შავი ზღვის მაზრა, ჯარ-ბელაქანი და ახალციხის მაზრა. „მეფისნაცვალმა შეადგინა ამიერკავკასიისა და საქართველოს მხარის გეოგრაფიული მოწყობის გეგმა. მას ჩაფიქრებული ჰქონდა მრეწველობის, განათლების, ეკონომიკისა და სხვა მნიშვნელოვანი დარგების განვითარება. ვორონცოვს მიაჩნდა, რომ ეროვნული მენტალიტეტისა და ადათ-წესების დაცვა იყო უპირველესი გარანტი იმისა, რომ არ დაკარგულიყო ნდობა ხალხსა და მეფისნაცვალს შორის, რამაც უაღრესად დადებითი შედეგი გამოიღო“.[6]

[6] საქართველოს 1904 წლის კალენდარი, თბ., 1903, გვ. 103.

თუმცა, იყვნენ ადამიანები, რომელთაც მიაჩნდათ, რომ მიხეილ ვორონცოვის პოლიტიკა მიმართული იყო ქართველთა გარუსებისა და გადაგვარებისაკენ. ცხადია, ამ მოსაზრების ავტორებს დღესაც ჰყავთ დამცველები, ჩვენ მათ ნააზრევსაც შევეხებით.

ვორონცოვმა თბილისში დამკვიდრებისთანავე დაიწყო ახალი პოლიტიკური კურსის გატარება, რაც აისახა 1846 წელს ნიკოლოზ პირველისადმი გაგზავნილ მოხსენებაში: „ყოველი ცვლილება და ყოველი ახალი საქმე, რომელიც ცვლის საუკუნოვან ადათებს, მეტისმეტად ძნელი გასატარებელია ყველგან, განსაკუთრებით აქაურ მხარეში, და ამიტომ მსგავს შემთხვევაში უნდა ვიმოქმედოთ დიდი სიფრთხილით. ძალდატანებითი ზომები არა თუ მოიტანენ სიკეთეს, მათ შეიძლება ჰქონდეთ ძალიან ცუდი შედეგები“.[7]

მისი, როგორც მეფისნაცვლის, ტოლერანტული დამოკიდებულება ხალხის მიმართ მაშინვე გახდა ცნობილი. მან გაატარა მნიშვნელოვანი ღონისძიებები — დაწყებული მიწის მესაკუთრეობიდან, დამთავრებული მთელი რიგი საგლეხო რეფორმებით.

მიხეილ ვორონცოვის ერთ-ერთ უმთავრეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს, თავად-აზნაურთა მხრიდან მთავრობისადმი წოდებრივი კუთვნილების შესახებ წაყენებული ულტიმატუმების დადებითად გადაწყვეტა. კერძოდ, იმპერატორთან შეთანხმებით, გადაისინჯა 1831 წლის სენატის მიერ მიღებული შემოწმების ოქმი და დადგენილება, რომელიც ხარვეზებით სავსე აღმოჩნდა.

აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა საკითხის შესწავლა შედარებით იოლი გამოდგა, ვინაიდან 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე თანდართული იყო მათი სია, ხოლო დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა პრობლემის გადაწყვეტამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. სათავადო აზნაურები ცალკე გამოყვეს და ამიერიდან აღირიცხებოდნენ, როგორც დამოუკიდებელი აზნაურები. 1850 წლის დეკემბრიდან იმერეთისა და გურიის თავადებსა და აზნაურებს მიეცათ უფლება, ცალ-ცალკე აერჩიათ წინამძღოლები. ასევე, ქუთაისში დაფუძნდა თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულო.

1846 წელს მიხეილ ვორონცოვის დავალებით ჩრდილო ამერიკიდან და ეგვიპტიდან გამოიწერეს ბამბის თესლი და ბამბის წარმოების მანქანები, ხოლო ალბანეთიდან, ყირიმიდან და სმირნიდან — თამბაქოს თესლი.

მიხეილ ვორონცოვის დამსახურებაა ისიც, რომ თბილისთან ახ-

[7] ვ. ნ. ოვანენკო, ამიერკავკასიის სამოქალაქო აქტები, 1901, მოსკოვი, გვ. 249, რუსულ ენაზე.

ლოს, ნორიოში 1848 წელს შეიქმნა მეცხვარეობის საცდელი ფერმა, საიდანაც დაინტერესებულ ოჯახებს თუ ფერმერებს მოსაშენებლად უფასოდ ეძლეოდათ მერინოსის ჯიშის ცხვარი. ამ ფერმამ სულ 7 წელი იარსება, მაგრამ გარკვეული წვლილი ნამდვილად შეიტანა ქართული მეცხვარეობის განვითარების საქმეში.

1850-იანი წლების დასაწყისში თბილისში დაიწყო სამრეწველო ობიექტების მშენებლობა, რომელნიც შემდეგში საფუძვლად დაედო საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებს და კუსტარულ საწარმოებს.

იმავე წლებში, თბილისში გაიხსნა აბრეშუმის სახაზინო წარმოება, სადაც დაასაქმეს პატიმარი ქალები; მენეჯმენტის არქონა და კვალიფიციური მუშახელის არარსებობა გახდა მიზეზი იმისა, რომ ფაბრიკა მალე დაიხურა, თუმცა მან საქართველოსა და კავკასიის მეაბრეშუმეობის განვითარებას ხელი ნამდვილად შეუწყო.

1851 წელს სოფელ დრეში[8] მ. ვორონცოვის ინიციატივით გაიხსნა მაუდის ფაბრიკა. ჩვენ შემოგვრჩა მისი წერილი მისივე მოადგილის რეადისადმი, სადაც ის წერს: „ჩვენ გვაქვს იმედი იმისა, რომ მაუდის ფაბრიკა წარმატებით გაართმევს თავს მოვალეობას და ის უზრუნველყოფს კავკასიის კორპუსის სალდათებისათვის საჭირო და საკმარისი მაუდის დამზადებას. მაუდის ფაბრიკის არსებობისათვის აუცილებელია ნამდვილი და სარწმუნო გასაღება, ე. ი. ის, რომ კომისარიატი საჭირო მაუდს ფაბრიკიდან ყოველთვის ღებულობდეს. ასეთი ღონისძიება მუდამ ხელსაყრელი იქნებოდა თვით კომისარიატებისთვის. მაგრამ რუსეთში სალდათის მაუდის ფაბრიკისათვის დამტკიცებული წესების პირობებში ფინანსთა მინისტრი თვლის, რომ დიდი რაოდენობით აქაური მაუდის მიღება გაძნელდება და ვშიშობ, რომ ეს სასარგებლო საქმე, ესოდენ ხელსაყრელი როგორც ხაზინისათვის, ისე აქაური უზარმაზარი მეცხვარეობისათვის, რომელიც ბაზარს თითქმის ვერ პოულობს, სავსებით შეწყდება“.[9]

1850-იანი წლებიდან თბილისში ცხოვრობდა შვეიცარიელი მეწარმე შტიუსე, რომელმაც 1851 წელს თბილისშივე გახსნა ლითონის ჩამომსხმელი ქარხანა. ამის შესახებ ვორონცოვი იმპერატორს სწერდა: „ჩემი დიდი სურვილი იყო, თბილისში გამეხსნა ლითონჩამომსხმელი ქარხანა და შესაბამისად, 1850 წელს ნება დავრთე შესაბამის სამსახურებს, თბილისში მცხოვრებ მექანიკოს შტიუს-

[8] იმხანად შედიოდა თბილისის შემადგენლობაში, ახლა კი ეკუთვნის თეთრიწყაროს რაიონის ორბეთის თემს.

[9] **Акти, X,** გვ. 886.

ესთვის მიეზომათ მიწა და მასვე[10] ჩემს განკარგულებაში არსებული თანხიდან მივეცი 10 ათასი მანეთი. ამ წარმოების შენობა დასრულებულია და ეს თავდებია სესხისა. უცხოეთიდან გამოწერილია ზუსტი ნაკეთობის მანქანები, ქარხანა მიმდინარე წელს უკვე ამოქმედდა. გარდა ამისა, ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მუშაობს ასეთივე თუჯის სამსხმელო ქარხანა, რომელიც ეკუთვნის არტილერიის პოლკოვნიკს ყორღანოვს".[11]

ვორონცოვის მხარდაჭერით 1846 წელს სოფელ ღვარევში ელიზბარ და დიმიტრი ერისთავებმა ააგეს მინის ქარხანა, რომლის მიერ წარმოებული მინის ტარა გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით და, შესაბამისად, მახლობელ ბაზარზე ყველაზე მაღალტექნოლოგიურ პროდუქციად იყო მიჩნეული.

XIX საუკუნის 50-იან წლებში განახლდა ქართული პერიოდული პრესის გამოცემა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გიორგი ერისთავი. ჟურნალს ეწოდა „ცისკარი", რომელიც გამოდიოდა ყველთვიურად. ამ ჟურნალში იბეჭდებოდა ქართული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები, ასევე რუს და უცხოელ მწერალთა ნაწარმოებები.

თბილისში გამოსვლა დაიწყო ყოველწლიურმა კალენდარმა, სადაც თავს იყრიდა ყველა სახის მასალა, რაც ენციკლოპედიურ განათლებას აძლევდა დაინტერესებულ საზოგადოებას.

გარდა იმისა, რომ ხიდების, გვირაბების, გადასარბენი ბორნების, ქარხანა-ფაბრიკების მშენებლობა გაჩაღდა, ვორონცოვი ხელიდან არ უშვებდა არც ერთ შემთხვევას, რომ თავისი მოღვაწეობა კულტურულ-საგანმანათლებლო კუთხითაც წარემართა.

თუ როგორ აფასებდა ქართულ კულტურასა და, საერთოდ, ქართველ ერს მიხეილ ვორონცოვი, კარგად ჩანს მის მიერ იმპერატორისადმი გაგზავნილ ერთ წერილში: „წიგნის ბეჭდვა აქ პირველად დაიწყო მეფე ვახტანგის დროს, ას წელზე მეტი ხნის წინათ, მაგრამ მის დროს წლიურად ორი წიგნი თუ გამოდიოდა, ხოლო მის შემდეგ შეუწყვეტელი შფოთის წყალობით, ქვეყანას რომ გლეჯდა, ერთიც არ დაბეჭდილა და ახლა საეკლესიო წიგნებს აქ მოსკოვიდან ღებულობენ. ეს მაშინ, როცა ლიტერატურის და მხატვრული სიტყვისადმი გემოვნება აქ არასოდეს არ წყდებოდა. ღირსია აღინიშნოს, რომ მაშინ, როცა ევროპის ყველა ქვეყანაში სალაპარაკო ენა იცვლებოდა, აქ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ძირეულმა ენამ შეინარჩუნდა თავდაპირველობა. განთქმული პოემა „ვეფხის-

[10] ანუ შტიუსეს.

[11] **Акти, X,** გვ. 887.

ტყაოსანი“, დაწერილი 700 წლის წინათ, თამარ მეფის დროს, ახლაც ითვლება ქართული ენის საუკეთესო ნიმუშად. საქართველოში თითქმის ყველამ ზეპირად იცის ეს პოემა. უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში და ახლაც წარჩინებული ქართველი ოჯახებიდან ბევრნი არიან, რომლებიც ეწევიან ლიტერატურულ მუშაობას პროზაში და ლექსში, ორიგინალის თუ თარგმანის სახით. ამგვარი კულტურული მიმართულება საჭირო იყო წამექეზებინა, რათა საზოგადოებაში გავრცელებულიყო ეს კეთილშობილი მისწრაფება ხელოვნებისადმი“.[12]

ვორონცოვისეული შეფასება განსაკუთრებით საგულისხმოა დღეს, როცა თვით ქართველთა შორის შეიმჩნევა ტენდენცია ნიჰილისტური დამოკიდებულებისა ჩვენი ერის ისტორიული წარსულისა და კულტურისადმი.

1850 წლის 2(15) იანვარს თბილისის გიმნაზიის სააქტო დარბაზში სცენისმოყვარეთა ძალებით, გიორგი ერისთავის რეჟისორობით და მონაწილეობით დაიდგა სპექტაკლი „გაყრა“. სწორედ ეს თარიღი არის მიჩნეული ქართული თეატრის აღდგენის დღედ. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკისა და ნუმიზმატიკური საზოგადოების დაარსებას მართლაც შეუფასებელი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული საზოგადოების სულიერი და კულტურული დაწინაურებისათვის.

1846 წელს კავკასიის მეფისნაცვლის შიდა ბიბლიოთეკისა და 1842 წელს დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით გახსნილი „კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ ბაზაზე დაარსდა „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა“. ბიბლიოთეკის გამართვა და დირექტორობა დაევალა მეფისნაცვლის კანცელარიის ინსპექტორს გავრილ ტოკარევს, რომელსაც ასევე დიდი სამსახური გაუწია იმხანად თბილისში მყოფმა ნევშატელის აკადემიის აკადემიკოსმა, შვეიცარიელმა მოგზაურმა, მკვლევარმა და გეოლოგმა მარი-ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ (1798-1850).

აქვე აღვნიშნავთ ერთ ფრიად საგულისხმო ამბავს, მიხეილ ვორონცოვმა 1847 წელს თხოვნით მიმართა ცნობილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ვახტანგ ორბელიანს,[13] მისი სახსრებით აეგო საჯარო ბიბლიოთეკისთვის შენობა, რაზეც ვახტანგ ორბელიანი მყისვე დათანხმდა. ახლად აგებული შენობა 1851 წელს გადაეცა საჯარო ბიბლიოთეკას. ვორონცოვის დავალებით 1850 წელს ბიბ-

[12] **Акти, X, გვ. 881.**

[13] 1812-1890, ერეკლე II შვილიშვილი, თეკლე ბატონიშვილის ვაჟი.

ლიოთეკის დირექტორად მოსკოვიდან მოწვეულ იქნა ლუდვიგ დე სან-ტომა, რომელიც მალევე შეცვალა მისმა შვილმა, რადგან ის ავადმყოფობის გამო უკანვე, მოსკოვში დაბრუნდა.

მანამდე კი ვორონცოვი წერდა იმპერატორს: „რუსული დრამატული წარმოდგენების დამოუკიდებლად, 1850 წლის დასაწყისში იყო პირველი ცდა წარმოდგენების დადგმისა ქართულ ენაზე თბილისის საზოგადოების საუკეთესო პირებისაგან. ამ ცდას წილად ხვდა სრული წარმატება, რამაც დაამტკიცა, რომ შეიძლება შეიქმნეს მუდმივი ქართული თეატრი. გამოჩნდნენ არტისტები, ამოღებულია ქართული მწერლობის ბევრი, ადრე დავიწყებას მიცემული, სრულფასოვანი ნაწარმოებები და გადაკეთებულია სცენისათვის. ქართული ლიტერატურა გამოცოცხლდა“.[14]

შური — ეს განსაკუთრებული სენი კაცთა მოდგმისა ყოველთვის მუდმივი თანამდევი იყო და არის დიდთა და კეთილთა საქმეების შემოქმედთა. არც მიხეილ ვორონცოვი და მისი მოღვაწეობა ყოფილა გამონაკლისი.

მაუდის ფაბრიკის დახურვის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის იმპერატორის კარზე მომსახურე უსაქმური ჩინოვნიკები იყვნენ, რომლებიც ფინანსთა და ვაჭრობის მინისტრებს აიძულებდნენ ვორონცოვის დაწყებული ყველა საქმე ჩაეგდოთ, რასაც დრეშის მაუდის კომბინატის (ფაბრიკის) დახურვაც ადასტურებს.

„ჩვენ თვალს ვადევნებთ ვორონცოვის მოღვაწეობას და უნდა აღინიშნოს მისი უეჭველი დამსახურება, რომელიც მიუძღვის მხარის[15] განათლების განვითარების საქმეში, თბილისში საჯარო ბიბლიოთეკის გახსნაში, გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შექმნაში, სტამბების დაარსებაში, გაზეთ „კავკაზისა“ და „კავკაზსკი კალენდრის“ ბეჭდვის დაწყებაში, თბილისში შესანიშნავი თეატრის აშენებაში“.[16]

XX საუკუნის დასაწყისში გამოცემული კრებული იუწყებოდა: „ვორონცოვს თავის სამშობლოსავით უყვარდა ჩვენი მხარე და სიყვარულით და ერთგულებით განაგებდა მას. მისი ზრუნვის თავი[17] მიზანი იყო ადგილობრივ მცხოვრებთა სიკეთე და ბედნიერება. მას კარგად ესმოდა, რომ უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო ადგილობრივი

[14] **Акти, X, გვ. 881.**

[15] იგულისხმება საქართველო.

[16] **Акти, ტ. X, გვ. 8.**

[17] მთავარი.

ელემენტი დაეახლოებინა რუსეთისათვის. ეს უნდა მომხდარიყო მშვიდობიანად, ძალდაუტანებლად, კულტურულად. ძალდატანებითი ზომები არამც თუ სარგებლობას არ მოიტანენ, პირიქით, შეუძლიათ ცუდი შედეგებიც მოიტანონო, – მოახსენა მან ერთხელ იმპერატორს. ამიტომ, ვორონცოვმა თავიდანვე მიჰყო ხელი კულტურულ შრომას. ბევრ ახალგაზრდას რუსეთში განათლების მიღების შეძლება მისცა, დააარსა კავკასიაში გიმნაზიები, სახელოსნო და სახალხო სკოლები, ხელს უწყობდა მრეწველობის ყველა დარგის განვითარებას. ამის გარდა იგი ზრუნავდა ხალხის გონებრივ განვითარებაზეც. დააარსა გაზეთები, მშვენიერი საოპერო და დრამატული თეატრები. ერთი სიტყვით, ვორონცოვში ჩვენ ვხედავთ შეგნებულ მსოფლიოში გავლენიან პოლიტიკოსს, რომელიც ხალხის გულს იგებდა არა შიშით და დევნით, არამედ სიყვარულით, თანადგომითა და სერიოზული დახმარებით".[18]

მიხეილ ვორონცოვი თავის ყოველწლიურ მიმოხილვაში, რომელიც შეეხებოდა სოფლის მეურნეობის, მეწარმეობის თუ ტექნიკურ მიღწევებს, წერდა: „ყველა საგანი (გაკეთებული მხარეში) ავლენს კავკასიის უდიდეს სიმდიდრეს. სხვადასხვანაირობა, რომელიც ამიერკავკასიის ყოფა-ცხოვრებისათვის საერთოდ დამახასიათებელია, ისტორიულობის, ხალხისა და ჰავის მხრივ, ყველაზე მეტად გამოიხატა ამ მხრის ბუნებრივ და სამრეწველო ნაწარმოებებში. თუ საქართველოს მისწრაფება მრეწველობისადმი, ასევე, ხალხის დაინტერესება ძლიერი ეკონომიკური ბერკეტის შესაქმენლად ხელისუფლების მხრიდან იქნება შეუზღუდავი, უფრო განვითარდება ამიერკავკასიისა და საქართველოს ეკონომიკა და ისინი შეძლებენ რუსეთის მომარაგებას ეროვნული პროდუქციით".[19]

„1845-1850 წლებში თავად ვორონცოვის მიერ განხორციელებულმა მთელმა რიგმა მნიშვნელოვანმა ღონისძიებებმა, ჩვენში სოფლის მეურნეობის გასავითარებლად, ახლანდელი საზოგადოების პრაქტიკული მოღვაწეობისათვის საუკეთესო ნიადაგი შექმნეს",[20] — აღნიშნავდა ნიკო ნიკოლაძე. მასვე მიაჩნდა, რომ სწორედ XIX საუკუნის შუა პერიოდმა გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს ეკონომიკური და სტრატეგიული განვითარების სამამულიშვილო საქმეში, რაშიც მიხეილ ვორონცოვის დამსახურება ენით აუწერელია.

ნიკო ნიკოლაძე ასევე მიუთითებს იმ წარმატებებზე, რომელსაც

[18] საქართველოს კალენდარი-1904, ვ. გუნიას რედაქციით. თბ., 1903, გვ. 219.

[19] **Акти, X**, გვ. 889-890.

[20] ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 4. თბ., 1964. გვ.

საქართველომ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში უმოკლეს დროში მიაღწია. კერძოდ, „1850 წლის მარტის გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 2000-მდე ნიმუში. უყურადღებოდ ვტოვებთ რა აქაური მეურნეობის ჩვეულებრივ ნაწარმოებებს, სიმოკლისათვის დავასახელებთ შემდეგ პროდუქტებს: ხორბალი არნაუტკა, ჩინური ბრინჯი, რომელიც მშრალ ადგილებში მოდის, გარეული შვრია, გამხმარი ხილი, კაკალი, ჭარხალი, წიწმატი[21], ადგილობრივი და იტალიური ამოხვევის აბრეშუმი, აბრეშუმის ქულა, აბრეშუმის პარკი, დართული და დაურთავი მატყლი, თივთიკი, ანგორის ჯიშის თხების თივთიკი, ესპანური მატყლი, იონჯა, ხის ჯიშების 37 ნიმუში, ადგილობრივი, თურქული და ჰავანური (ეიდაროვის) თამბაქო, ბაღისა და გარეული ენდრო (საღებავი) — დამუშავებული ადგილობრივი და ფრანგული ხერხებით, ადგილობრივი და ფრანგული დამუშავების ზაფრანა, ადგილობრივი გამოყვანის ინდიგო, ავინიონური მსხალი, ალისარჩული, ბაია, საღებავი ირმისთვალა, თრიმელი, ბროწეულის ქერქი (საღებავისთვის), გარეული ვაშლის ხის ქერქები (საღებავისთვის), სხვადასხვა ხარისხის მთრმილავი ნივთიერებები, ადგილობრივი, ამერიკული და ეგვიპტური თესლებიდან მოყვანილი ბამბის (გრძელბოჭკოვანი) ბამბაზია და სხვა.

თავადმა ვორონცოვმა ეს გამოფენა მოაწყო რამდენიმე თვით ადრე კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დაარსებამდე. თითქოს ამით უნდოდა ეჩვენებინა ჩვენი მხარის ყველა სიმდიდრე. მისი მთავარი დევიზი იყო „ყველაფერი ეს შენ მოგეცი, იშრომე და განავითარე“.[22]

სწორედ ამიტომ დაწერა ლევ ტოლსტოიმ თავის მოგონებებში მიხეილ ვორონცოვის პიროვნებაზე: „ბრძენკაცად და გენიალურ ორგანიზატორად არ დაბადებულა, ის ასეთი გახდა თავისი სურვილით; დაჟინებული მონდომებითა და მეცადინეობით იგონებდა მეთოდებს, როგორ აეყვავებინა და განევითარებინა მის მიერ მართული ქვეყანა; დაძაბული გონებრივი შრომის შედეგი იყო თავადის სწრაფვა და ბრძნული გადაწყვეტილებების მიღება“.[23]

ავის მთქმელს რა გამოლევს?

აი, ესენიც: „დაიწყო საქართველოს კულტურული დაპყრობა რუსეთის მეფის ხელისუფლების მიერ. ამ „დაპყრობის“ დასაწყისს

[21] მებაღეებსა და მებოსტნეებს არ შეეძლოთ წლის იმ დროში წარმოედგინათ თავიანთი ნახელავი.

[22] ნიკოლაძე, იქვე.

[23] ლ. ტოლსტოი, ავტობიოგრაფიული ტრილოგია, თბ., 1935, გვ. 212.

დაემთხვა კავკასიაში მეფისნაცვლად მ. ს. ვორონცოვის დანიშვნა (1844-1854), რომლის პირფერობა და ლოიალობა კარგად ნიღბავდა მის ნამდვილ განზრახვებს, საქართველოსა და მთელი კავკასიის რუსიფიკაციის საქმეში".[24]

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის გამგე, აწ განსვენებული პროფესორი გ. თავზიშვილი ვორონცოვის მოღვაწეობას მიიჩნევდა საქართველოს გარუსებისკენ სწრაფვად, თუმცა ამავდროულად იმასაც აღიარებდა, როგორ აღაშენა და განამშვენა მეფისნაცვალმა მთელი საქართველო. იგი აცხადებს: „ვორონცოვის ყველა ამ ღონისძიებას ობიექტურად არ შეეძლო სარგებლობა არ მოეტანა ხალხისათვის, თუმცა სუბიექტურად ის მათ ატარებდა როგორც უფრო მოხერხებულ საშუალებებს ნაციონალური განვითარების გზიდან ქართველი საზოგადოების აცდენისა და რუსებთან მისი უმტკივნეულო ასიმილაციის მიზნით".[25] იქვე მოყვანილი აქვს ციტატა რუსი ისტორიკოსის ივანენკოს წერილიდან, რომელსაც მისი აბსურდულობიდან გამომდინარე აქ ნამდვილად არ გავიმეორებთ.

თავზიშვილი ყველა გზით ცდილობს ვორონცოვის ავტორიტეტი დაბლა დასცეს: „მეფისნაცვალი ვორონცოვი, როგორც ამ მოძრაობის[26] აგენტი, მრავალნაირად აჩქარებდა თავადაზნაურული ყოფა-ცხოვრების ლიკვიდაციის პროცესს. ხედავდა რა ვორონცოვი ქართველ თავადაზნაურობაში მეფის ხელისუფლების საიმედო დასაყრდენს, ყოველგვარად უწყობდა ხელს მის შეზრდას რუსულ ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ახალ სისტემასთან".[27]

ვახტანგ კოტეტიშვილიც (1893-1937) ტენდენციურად აფასებდა ვორონცოვის პიროვნებას: „ვორონცოვის ხანა უნდა ჩაითვალოს იმ სისტემატური რეაქციის ეპიზოდად, რომელსაც მეფის რუსეთი აწარმოებდა საქართველოს მიმართ. ვორონცოვს მხოლოდ ის „დამსახურება" მიუძღვის, რომ მან გამოიჩინა დიპლომატიური უნარი და მოქნილობა, რის საშუალებითაც თავისი პოლიტიკის ბადეში მოაქცია ქართველი არისტოკრატიის დიდი ნაწილი. ვორონცოვს საქართველოს სასარგებლოდ არაფერი გაუკეთებია";[28] „ვორონცოვის ხანა უნდა ჩაითვალოს იმ სისტემატური რეაქციის ეპიზოდად,

[24] გიორგი თავზიშვილი, რჩეული ნაწერები, წიგნი I, თბ., 1974, გვ. 165.

[25] იქვე.

[26] საუბარია რუსეთთან საქართველოს ასიმილაციაზე.

[27] თავზიშვილი, იქვე.

[28] ვახტანგ კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები, წ. I., თბ., 1965, გვ. 171.

რომელსაც მეფის რუსეთი აწარმოებდა საქართველოს მიმართ... ვორონცოვმა დიდი სამსახური გაუწია რუსეთს, მაგრამ რა მფარველობა გაუწია საქართველოს, არა ჩანს. მართალია, მან ენერგიულად მოკიდა ხელი ჩვენს ქვეყანას,კულტურას თითქოს სათავეში ჩაუდგა, მაგრამ იგი თავის საქმეს აკეთებდა და თუ ზოგჯერ ქართულ საქმეს გადმოხედავდა, ეს იყო თვალის ახვევა და შირმა. იგი ქმნიდა იმ ცენტრებს, სადაც აჩქარებით და სისტემით ხდებოდა ეროვნული დეგრადაცია“.[29]

მაგრამ რა ვუყოთ ფაქტებს? რა ვუყოთ იმ სახელოვან ქართველთა გამონათქვამებს, რომლითაც ისინი ვორონცოვის მოღვაწეობას აფასებდნენ?

არჩილ ჯორჯაძე (1872-1913 წწ.) ბრძანებს: „ვორონცოვის ხანა განსაკუთრებული ხანა იყო ჩვენში. არც წინედ, არც შემდეგში, მის მსგავს მოვლენას არა ვხედავთ. ვორონცოვის პოლიტიკა იყო სწორედ ის პოლიტიკა, რომელსაც საუკუნოების განმავლობაში ამაოდ ეძებდა რუსეთის მმართველობის წრეში ქართველთა პოლიტიკური აზროვნება. ერთგულება და მჭიდრო კავშირი რუსეთთან, ხოლო ნაცვლად ამისა ქართველების ეროვნულ-კულტურული აღორძინების უზრუნველყოფა რუსეთის მფარველობის ქვეშ. ვორონცოვის ხანამდე მხოლოდ პირველ ნაწილს ამ პოლიტიკური ფორმულისას მიეცა რეალური ხასიათი, ხოლო მეორე ნაწილი კი ოცნება იყო და განუხორციელებელი წადილი. ვორონცოვმა პირველმა გაბედულად გამოაცოცხლა ეს დღემდე განუხორციელებელი იმედი. ქართველთა ეროვნული კულტურა რუსეთის მფარველობის ქვეშ, — ეს ოცნება რეალობად იქცა და ფერმიხდილი წადილი ბრჭყვიალა ფერადებით შეიმოსა”.[30]

ასეთივე შეფასებას იძლევა მელანია ბადრიძე-მამაცაშვილიც, რომელიც სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა და რომლის სახელი თითქმის დავიწყებულია. ის წერს: „დიდი ხანია არ ვყოფილვარ საქართველოს დედა-ქალაქში, და როცა დავბრუნდი, ველარ ვიცანი. ჩემს აქ არ ყოფნაში, ჩვენი აზიური ქალაქის ცვლილება ჩემთვის აუწერლად გასაოცარი იყო... მივხვდი, რომ მოვესწარი საქართველოს განათლების საუკუნეს, რომ მაშასადამე ამაოდ არ მიმეცადინია, რაც შემეძლო ჩემს ცოდნას რომ შევსწირე ძალა, რომ ეხლა არავინ გამკიცხავს, რომ ეხლა თვით ჩვენი ქალ-ვაჟები გამოდიან თეატრის სცენაზე და თამაშობენ პიესებს და როგორს? — **ქართულს!..** არა მჯეროდა რომ ტფილისში ვიყავი, ან უკეთ რომ ვსთქვა, რომ

[29] იქვე, 172.

[30] არჩილ ჯორჯაძე, ძველი და ახალი, თბ., 1906, გვ. 78.

ტფილისში, ჩემს თანამემულეთა შორის ასეთი განათლება იყო. როდესაც ამაში დავრწმუნდი, კიდევ გავცოცხლდი რაღაც დიდებით, თითქოს ახალი წვიმა დამეპკურა, თითქოს გადამერეცხა ჩემს ძვლებიდან მთელი ძველი აზიური ჟანგი... მადლობა ღმერთს და ქება მთავრობისგან მიღებულს ჩემი ძვირფასი სამშობლოსადმი".[31]

არ არსებობს ეროვნული მნიშვნელობის არც ერთი სფერო კულტურისა და მეცნიერებისა, რომლის განვითარებაში ვორონცოვს თავისი წვლილი არ შეეტანოს. როდესაც ავადმყოფობის გამო მიხეილ ვორონცოვი, იმპერატორთან შეთანხმებით, სამშობლოში დაბრუნდა (მას შემდეგ საქართველოში აღარც დაბრუნებულა), თავის მოადგილეს და მოვალეობის შემსრულებელს, გენერალ რეადს მისცა მითითება, რომ არ უნდა შეჩერებულიყო ის პროცესები, რომელიც დაიწყო მეფისნაცვალმა და მათ შორის ჩამოთვლილია: ზრუნვა განათლებაზე, კულტურაზე, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაზე.

ალექსანდრე დიუმა თავის ცნობილ რომანში „კავკასია" ასე ახასიათებს ვორონცოვს: „ჯარისკაცები, რომლებიც ვორონცოვს პორტო-ფრანკოს ეძახდნენ მისი ლიბერალური და პროგრესული იდეებისათვის, ენთუზიაზმით იმსჭვალებოდნენ მისადმი, როცა ამ კეთილშობილ მხცოვანს მუდამ მშვიდს, თანაბარს, ალერსიანს, ყოველივე გაჭირვების გადამტანს, ხიფათში მუდამ აუღელვებელს და მოცინარს ხედავდნენ".[32]

არის კიდევ რამდენიმე ფაქტი, რომლის ართქმა დანაშაული იქნება, კერძოდ, ამიერკავკასიის შემოსავალი 1845 წლისთვის (ვორონცოვი ახალი ჩამოსული იყო) შეადგენდა – 1 649 151 მანეთს, 1849 წლისთვის – 2 000 000 მანეთი, ხოლო 1851 წლის მონაცემებით – 6 226 492 მანეთი იყო. თავისთავად ცხადია, ასეთი ეკონომიკური ზრდა დაეტყო მოსახლეობის ზრდასაც. **თუ 1835 წელს თბილისის მოსახლეობა იყო 25 000, 1847 წლის აღწერით შეადგენდა 43 862 სულს.**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ გვერდზე ვკითხულობთ: „1835-1845 წლებში[33] რუსეთის იმპერიის მეფისნაცვალი კავკასიაში იყო მიხეილ ვორონცოვი, რომელმაც გარდაბნის მტკვრის ჭალების სანადირო პოტენციალი დადებითად შეაფასა და აქ ააშენა თავისი სანადირო სასახლე".[34]

აკად. გურამ შარაძე სამართლიანად შენიშნავს, რომ „მიუხედა-

[31] გაზ. ტრიბუნა, 1921, № 115.

[32] ა. დიუმა, კავკასია, თბ., 1964, გვ. 366.

[33] წლები მითითებულია შეცდომით.

[34] ამჟამინდელი არქივის და მერიის შენობები.

ვად დიდი სამხედრო ნიჭისა და გამოცდილებისა, მ. ვორონცოვი მაინც არ იყო კავკასიის ასათვისებლად რუსეთის მიერ სამხედრო ძალის გამოყენების მომხრე: კავკასიაში ვორონცოვმა დიდი სახელი უფრო მშვიდობიანი სამოქალაქო მოღვაწეობით დატოვა! მან მოახერხა კავკასიის ხალხების, კერძოდ, ქართველების სიმპათიის მოპოვება რუსეთთან კულტურული შეერთების პროპაგანდით“.[35]

მიხეილ ვორონცოვის პიროვნების შესახებ ყველაზე მეტი ნაშრომი აკაკი წერეთელმა დაგვიტოვა.

მიუხედავად იმისა, რომ აკაკი არ იყო ვორონცოვის არც თანამედროვე და არც პოლიტიკური მოღვაწე, მან ყველაზე ნათლად დაინახა მეფისნაცვლის დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე. „ძმობისა და მეგობრობის დამნერგავი“, „ქართველი ხალხის მამაშვილურად მოყვარული“, „ცით მოვლენილი ზე-კაცი“ და სხვ. ეს ეპითეტები აკაკის შემოქმედებაში მიხეილ ვორონცოვის მისამართითაა ნათქვამი.

პოემაში „ვორონცოვი“ აკაკი წერეთელი წარმოგვიდგენს ძმების, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანების, ნიკოლოზ ბარათაშვილის და დიმიტრი ყიფიანის სახეებს, რომლებიც ბჭობენ საქართველოს მომავალზე. ერთი ეპიზოდი დიმიტრი ყიფიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის დიალოგს ეთმობა:

(დიმიტრი)
„შენც კი მატყობ, მგონია,
რომ ვარ გახარებული?
დღემდი ჩვეულს ტანჯვისას,
სხვა გვარად მიგრძნობს გული.
    გავიცანი ახალი
    მე მთავარმართებელი
    მისგან ჩვენი ქვეყნისთვის
    ბევრ კეთილს გამოველი“.

პოეტს არ ავიწყდება ვორონცოვის მოღვაწეობის ადრეული წლებიც:

„ეს ის ვორონცოვია
ოდესას რომ მართავდა;
ვის ხელშიაც ზღვის პირი
გახრეკილი აჰყავდა.
    ჩვენში ადრეც ყოფილა
    და უყვარს საქართველო,
    მაშინ ყვავილოვანი
    დღეს კი დამჭკნარი მდელო!“

[35] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, თბ., 1991, გვ. 76.

დიდი იმედით შეჰყურებს დიმიტრი ყიფიანი უკვე მხცით შემოსილი ვორონცოვის საქართველოში ჩამოსვლას.

„მჯერა, რომ საქართველოს,
ასე დასნეულებულს
ნელა-ნელა განკურნავს
და მოუბრუნებს ის გულს“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი პასუხობს:

„თუ მართლა შეიყვარა
საბრალო ქართველობა,
და თანც გამოიჩინა
ჩვეულებრივ ქველობა.
მეტიც არა უნდა რა...
მოიგებს ქართველის გულს
და აქ საშვილიშვილოთ
ჩაჰნერგავს წრფელ სიყვარულს“.

დიახ, არ შემცდარა აკაკი, როცა ამ სიტყვებს წერდა, ვორონცოვმა საქართველოს ახალ ისტორიაში თავისი სათქმელი ისე თქვა, რომ მისი წაშლა გამორიცხულია.

მე-19 საუკუნის შუა ხანებში საქართველო, ვორონცოვის თვალით დანახული, ასე წარმოგვიდგინა:

(ვორონცოვი, მარტო დაფიქრებული დადის)
„მე რომ მინახავს, ის აღარ არის!
რამ გამოცვალა ასე ქართველი?
სადღაა მისი ამაყი სახე,
შეუპოვრობის გამომხატველი?
ძალ-დატანებით შეშინებულსა,
თითქოს, დასმია რაღაც ბეჭედი,
გმირი ქცეულა ნაცარქექიად
და მოუხრია მონურად ქედი“.

რა თქმა უნდა, საქართველოს რუსეთთან შეერთებას ნამდვილად ჰქონდა თავისი ჩრდილოვანი მხარეები, რასაც არ შეიძლებოდა თავისი დაღი არ დაეჩნია ქართველი ერის ყოფისათვის, მაგრამ მეფე ერეკლეს ბრძნულმა პოლიტიკურმა ორიენტაციამ მთავარი შედეგი მოიტანა: ქართველი ხალხის ფიზიკური და სულიერი გადარჩენა, რაც ძირითადად სარწმუნოების ერთიანობით იყო განპირობებული.

დიმიტრი ყიფიანისა და მიხეილ ვორონცოვის დიალოგი მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს, რადგან ურთიერთპატივისცემითაა გამსჭვალული და მიზნად არა საკუთარ აზრთა უპირატესობის დამტკიცე-

ბას, არამედ ჭეშმარიტებამდე მისვლასა და სწორი დასკვნების გამოტანას ისახავს:

(დიმიტრი)
„ვამბობდით: ძმურად გამოგვაშუშებს,
რომ აღგვადგინოს უფრო ძლიერად
და მასთან ერთად ჩვენც შევებრძოლოთ
საქრისტიანოს მტერს ღონიერად.
„ძალა აღმართს ხნავს“ ნათქვამი არის,
არ აგვისრულდა ის, რაც გვეგონა
აგვხადეთ მძინარს ყოველიფერი
და შევიქმენით მორჩილი მონა“.
(ვორონცოვი)
„სცდები! რუსეთმა თქვენს დასაპყრობად
როდის იხმარა მახვილით ძალა?
თქვენ თხოულობდით, ხომ, დახმარებას?
და თქვენი თხოვნა მან შეიწყალა!“.

ვორონცოვის პასუხში არა დაყვედრების სულისკვეთება, არამედ მოყვასისადმი ქრისტიანის გულწრფელი სიყვარული ჩანს:

„აბა, მეც გეტყვი, როგორც მამა შვილს,
გაგიზიარებ ყველა ჩემს ზრახვებს,
თუ ქართველები მომეშველებით
და შენც გადასცემ ამ ჩემ სურვილს სხვებს:
მინდა, ქართველი დარჩეს ქართველად
ისე, როგორიც ყოფილა ძველად,
მისი წარსული მომავლისათვის
ვიხმარო მხოლოდ მე საფუძველად.
არც რჯულს შევეხო, არც ეროვნებას,
არც მისს სიწმინდეს, მის დედა-ენას,
რომ არ უშლიდეს მომავლისათვის
სწორსა მსვლელობას და აღმა-ფრენას!“

რაც მთავარია, ეს არ ყოფილა ცარიელი სიტყვები, ვორონცოვმა სიყვარული იმპერიისათვის თავშეფარებული მცირერიცხოვანი ერისა, რომელიც რწმენისა და მამულის დაცვისათვის ყოველდღიურმა თავგანწირულმა ბრძოლამ სრული მოსპობის საფრთხის წინაშე დააყენა, თავისი მოღვაწეობით დაადასტურა.

დიმიტრი ყიფიანი გულწრფელად ლოცავს:

„კურთხეულ იყოს თქვენი განზრახვა
და მობრძანება მთავარ-მართებლად!

თქვენთვის თავს დადებს მთლად საქართველო
და გაუხდებით სადიდებელად!“

მართალია, ეს პოემა მაღალმხატვრულობით არ გამოირჩევა და ამ მხრივ დიდად ჩამორჩება აკაკის სხვა სახელგანთქმულ პოემებს, მაგრამ იგი ყურადსაღებია და დიდად საგულისხმო იმ ობიექტურობის გამო, რომელსაც აკაკი საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენის ანალიზისას იჩენს. აკაკი წერეთელი მიხეილ ვორონცოვისადმი გულწრფელი პატივისცემით გამსჭვალული ნახევარი საუკუნის შემდეგ ასე მიმართავს მის ქანდაკებას, რომელიც თბილისში მისივე სახელობის მოედანზე იდგა:

„ეგ შენი სახე, სხივმომფინარე,
ხიდის წინა სდგას გაბრწყინვებული
და გადაჰყურებს მტკვარს ქუდ-მოხდილი
მოწყენილი და დაფიქრებული.
შენ ხომ არა ხარ ცისკრის სხივებზე
ჩამონაყოლი, ცით ჩამოსული,
მარად სახსოვარ-დაუვიწყარი
დიდ-ვორონცოვის უკვდავი სული?
თავს მიქნევ? ის ხარ? მაშ ნება მომეც,
დავემხო მის წინ და ვსცე თაყვანი
იმას, რომელსაც შეთვისებია
ჩემი გულის თქმა, ჩემი ზრახვანი“.

გამოღვიძებული და კმაყოფილი აკაკი თავის პოემას ასრულებს იმედიანად და დიდი რწმენით:

„ეს რა მეზმანა? ცხადივით ვნახე,
რომ ვორონცოვი გამომეცხადა
და დღევანდელი შავი პირ-ბადე,
ვით მოციქულმა მაღლით ამხადა.
თან „სამი სიტყვა“ გადმომცა მცნებად
და ამიღელვა მძინარეს გული!
ჩვენს ქვეყნებს შორის უნდა დამყარდეს
„ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“.

1900 წელს აკაკიმ კიდევ ერთი შესანიშნავი ლექსი უძღვნა ვორონცოვს. ეს ლექსი მან წაიკითხა მიხეილ ვორონცოვის ძეგლთან:

„გონება ნათელს, გრძნობა ბრწყინვალეს,
უნდა შევსჩივლო მოხუც ვორონცოვს,
რომ როგორც მის დროს ჩემს სამშობლოში,
„მგელი და კრავი ერთად ვერა სძოვს“.

რაც მის დროს იყო წაღმა დახნული,
დღეს უგნურება უკუღმა ჰფარცხავს,
და შუამდგომლად აწ საქართველოს,
როგორც მოსარჩლე, აღარავინ ჰყავს...
კურთხეულ იყოს საქართველოში
შენი სახელი, შენი ხსენება!
და მათ ვინც შენს გზას გადაუხვია,
რისხვა ქრისტესი და შეჩვენება“. [36]

ჩემი აზრით, აკაკის ამ ლექსს აქტუალურობა დღესაც არ დაუკარგავს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც პოემა და არც ეს ლექსი 1940-იანი წლების შემდეგ აღარ შეუტანიათ აკაკის ტომებში.

აქვე მოვიტანთ ვრცელ ციტატას ცნობილი რუსი მოგზაურისა და მეცნიერის, კორნელი ბოროზდინის (1828-1896 წწ.) წიგნიდან „სამეგრელო და სვანეთი 1854-1861“: „ვორონცოვის პროგრამა სადა და მარტივი იყო, იგი უდიდეს სტრატეგიულ მუშაობას აწარმოებდა, ეს მუშაობა უდიდესი იყო როგორც განზრახვით, ისე თავისი წვრილმანებითაც. ამავე დროს, აწარმოებდა საორგანიზაციო მუშაობას კავკასიის ყველა ნაწილების მართვა-გამგეობის საქმეში; თანაც, ვორონცოვი არ ივიწყებს მესამენაირ, მეტად მნიშვნელოვან მუშაობას — პირადი გავლენა ჰქონდა ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრების შინაურ მხარეზე და აქაც მისი ნიჭი სავსებით იყო ხოლმე გაშლილი. ამ მხარეში წარმოების დარგი არ იყო ისეთი, რომლისათვის ვორონცოვს თავისი გამჭრიახი თვალით არ შეეხედნა და სადაც თავისი პირადი მონაწილეობით არ აემოძრავებინა, არ წაეხალისებინა ადგილობრივი მკვიდრნი. მისი ხასიათის ასეთი თვისებების წყალობით დიდძალი ნაცნობობა გაიჩინა მკვიდრთა შორის, მერე პირდაპირ გასაოცარი იყო, როგორ იმახსოვრებდა ყველას სახესა და სახელს, და ეს ხომ მეტად ხელს უწყობდა მის ნაყოფიერ მოღვაწეობას. როცა მხარის მოსანახულებლად მიდიოდა, ყველგან ისე ჰგრძნობდა თავს, თითქოს შინაურიაო: ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა კერძო, პირადი ურთიერთობა ადგილობრივ მკვიდრებთან. ერთ-ერთისათვის რაღაც თესლი მიეცა. ისიც ისწრაფვოდა მისთვის ეთქვა — მშვენივრად იხარაო. მეორესთვის ნამყენი მიეცა ხილისა და კარგი ხილი რომ დაუკრეფია, მასთან საჩვენებლად მიჰქონდა“... „მხარის დავლის დროს მასთან მიდიოდნენ ომში მოკლულთა ობლები, ქვრივები და ყველანი, ვისაც კი მართლაც უჭირდათ. განუკითხავნი არა რჩებოდნენ, ხელცარიელს არავის გაუშვებდა. რომელსამე მის

[36] აკაკი წერეთელი, ხუთტომეული, ტ. IV, თბ., 1935, გვ 341.

პირად ადიუტანტს ყოველთვის თან ჰქონდა პარკით ჩერვონცები, რომელიც ვორონცოვის ბრძანებით დაუყოვნელივ ურიგდებოდათ ხოლმე, როგორც შესაწირავი გაჭირვებულთ“... „თვით ტფილისში ვორონცოვი პირდაპირ სული და გული იყო ამ ქალაქისა. ყოველ-დღე დილით სასეირნოდ გამოდიოდა, უკან მოდიოდა ყაზახ-რუსი, რომელსაც მისი ქოლგა და კალოშები მოჰქონდა. და ამ სეირნობის დროსაც კი რასმე სასარგებლოს აკეთებდა... აქ ხურო მიხაკო აუხსნიდა, რა გააკეთეს გუშინ დილიდან, იქ ივანიკა კალატოზი უჩვენებდა, თუ რამდენზე ამოიყვანა აგურით კედელი სპარსელი მუშების დახმარებით...

ასეთის გულისამაჩვილებელის სისადავისა იყო ვორონცოვი, მაგრამ აზრადაც კი არავის მოუვიდოდა, მას შესაფერისი პატივით არ მოპყრობოდნენ“.[37]

აქვე ვიტყვით, რომ თურმე თბილისში ვორონცოვის ორი ძეგლი მდგარა. გთავაზობთ ერთ პატარა ამონარიდს საგაზეთო წერილიდან: „ვორონცოვის ერთი ძეგლი სრულიად შემთხვევით, 1957 წლის ზამთარში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სარდაფში მუშაობის დროს ნახა მეცეცხლურმა მიშა თაბორიძემ. ეს ბრინჯაოს ძეგლი მიხეილ ვორონცოვისა რომ იყო, მაშინვე დაადასტურეს ქალბატონმა ქრისტინე შარაშიძემ და მხატვარმა გიორგი ერისთავმა. ამის შემდეგ რა ბედი ეწია მიხეილ ვორონცოვის ძეგლს, არ ვიცით.

მიხეილ ვორონცოვის უფრო მცირე ზომის ძეგლი, იტალიური კერარის მარმარილოსგან არის გამოქანდაკებული. ის ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

პროფესორი გურამ ჩხაიძე განმარტავს: „მიხეილ ვორონცოვის მარმარილოს ქანდაკება, რომელიც ახლა ჩვენს მუზეუმში ინახება, თავის დროზე ვიღაც თბილისელ სომეხ სოვდაგარს დაუმზადებინებია. მეფისნაცვლის დიდი პატივისცემის ნიშნად ეს ძეგლი თავიდანვე მეფისნაცვლის სასახლის ბაღში დაუდგამთ. საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ მიხეილ ვორონცოვის ძეგლები ადგილიდან აიღეს, მაგრამ, როგორც ჩანს, პიროვნება, ვისაც ძეგლების აღება დაავალეს, განათლებული და კულტურული პიროვნება ყოფილა და ვორონცოვიც სცოდნია, თუ არა ისე ეს ძეგლები ჩვენამდე ვერ მოაღწევდა“.[38]

---

[37] კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი 1854-1861, მოგონებანი, თარგმნა თედო სახოკიამ, თბ., 1935, გვ. 199-200.

[38] დ. ცინცაძე, თბილისში მიხეილ ვორონცოვის ორი ძეგლი იდგა, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, თბ., 2006 წლის 23 ივნისი, გვ. 11.

მიხეილ ვორონცოვის შემდეგ კავკასიის მეფისნაცვალი იყო ალექსანდრე ბარიატინსკი (1815-1875, მეფისნაცვლად 1856-1862 წლებში), რომელსაც მიმართეს ქართველმა თავად-აზნაურებმა და მოითხოვეს თბილისში ვორონცოვის ძეგლის დადგმა. შეგროვდა ხელმოწერები, შეგროვდა თანხა 36104 რუბლი და ძეგლის დამზადება დაუკვეთეს სამხატვრო აკადემიის პროფესორს პიმენოვას, რომელიც ისე გარდაიცვალა, რომ ვერ დაასრულა სამუშაოები. ძეგლი დაასრულა მხატვარმა კრეიგანმა.

ძეგლი ჩამოისხა პეტერბურგში, ჩამოიტანეს თბილისში და 1866 წლის 25 მარტს დაიდგა ალგეთის ქვის კვარცხლბეკზე. კურთხევასა და გახსნას ესწრებოდა კავკასიის მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

კიდევ ბევრის თქმა შეგვიძლია მიხეილ ვორონცოვის ღვაწლის, შრომის, გამბედაობის და გმირობის შესახებ, მაგრამ ჩვენს სტატიაში აუცილებლად უნდა შევიტანოთ რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ I მიწერილი დეკლარაციის შესავალი, რომელიც მთელი საქართველოს სახელით შეადგინა დიმიტრი ყიფიანმა (წმიდა დიმიტრი სამშობლოსათვის თავდადებულმა) და რომელიც სავსებით ამომწურავ პასუხს გასცემს ყველა დაინტერესებულ თუ პოლიტიკურად აჟიტირებულ მკითხველს, რატომ შევაჩერეთ ჩვენი ყურადღება მიხეილ ვორონცოვის პიროვნებაზე, რატომ გაგვახსენდა საქართველოსა და თბილისის აღმშენებელი და რა როლი მიუძღვის მას ქართველი და რუსი ერების მეგობრობის საქმეში.

„ჩვენ, ქართველები, ძველი ქრისტიანული ხალხის მცირე ნაწილი[39], გარშემორტყმული ჩვენს წინააღმდეგ მებრძოლი ხალხებით, დიდხანს, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, ვიბრძოდით მათთან ჩვენ საზღვრებზე და მხოლოდ.... ამ საუკუნის დასაწყისში მოვისვენეთ რუსეთის მფარველობის ქვეშ. თუ ჩვენ მძიმე და ხანგრძლივი განსაცდელი ავიტანეთ და შევინარჩუნეთ სიმტკიცე სარწმუნეობისა, რომელიც გვიანდერძეს წინაპრებმა საქართველოს სამეფოს უკეთეს ხანის დროიდანვე; თუ ჩვენ არ ვუღალატეთ მართლმადიდებლობას, თუ შევინარჩუნეთ ჩვენი კეთილშობილება და კარგი სახელი, ყველამ ვიცით, რომ ამით მოვალენი ვართ რუსეთის თვითმპყრობელობისა და ერთმთავრობისა. რასაკვირველია, თვითმპყრობელობა ერთადერთი დასაწყისია, საიდანაც ყოველთვის წარმოდგებოდა ჩვენი საერთოცა და კერძო კეთილდღეობა. ახლა ჩვენ შიგნით სავსებით მშვიდობიანად ვგრძნობთ თავს, ჩვენ შინ-

[39] გულისხმობს ქრისტიან ერებს.

აურ საქმეებს დამშვიდებით ვასრულებთ, ვებრძვით მტრებს არა ჩვენს სახლში, არამედ მათ სახლში. ჩვენს შვილებს ვზრდით ისე, რომ არაფრის გვეშინია და შევხარით მათ მომავალს; ჩვენი მართლმადიდებლობა, ჩვენი საზოგადო ცხოვრება არავითარ საფრთხეს არ განიცდის. ვინ მიგვიყვანა ჩვენ ამ მდგომარეობამდე? თვითმპყრობელობამ და ერთმთავრობამ **საქრისტიანო მსოფლიოს ერთადერთმა მართლმადიდებელმა და დიდმა მონარქიამ....** ჩვენი სიკეთე ხელმწიფის გულშია.... გვინდა მოხსენდეს ხელმწიფე იმპერატორს, თუ რა გრძნობებს განვიცდით იმ შინა მყუდროების გამო, რომლითაც ვსტკბებით მის ზეცით ნაკურთხ თვითმპყრობელოვან მონარქიულ ხელისუფლების ქვეშ. გვინდა, რომ მოხსენდეს მის იმპერატორობით უდიდებულესობას, ჩვენი საერთო ერთსულოვანი სურვილი, რომ აღნიშნულ გრძნობათა მიხედვით მოგვეთხოვოს სამსახური უცხოეთშიც, თუნდაც სახელმწიფო საზღვრებს გარეთ, როგორც იყო, ჩვენი მეფეები მოგვთხოვდნენ ჩვენ სამსახურში ქუდზე კაცს საერთო საფრთხის დროს, თუ კი უწესრიგობანი, რომელიც ამჟამად ევროპას აღელვებს, დაემუქრებიან კეთილდღეობას სახელმწიფოსას, რომლის საზღვრებში ყოფნის პატივი აქვს საქართველოს, თანახმად ჩვენი ღვთით ნაკურთხი მეფეების გადაწყვეტილებისა“.[40]

დაბოლოს, მინდა მივმართო იმ ადამიანებს, ვისაც ხელეწიფება ამ საკითხის გადაწყვეტა, რომ ქართველი ერის მადლიერების გამოხატულება იქნება, თუ თბილისში გამორჩეულ ადგილზე დაიდგმება საქართველოს ეროვნული მუზეუმის საცავში შენახული მიხეილ ვორონცოვის ძეგლი, ნიშნად ამ დიდებული ადამიანის პატივისცემისა.

[40] **Акти, X,** დოკუმენტი № 29.

გრიგოლ რუხაძე

საქვეყნო ამბების მიმოხილვა[1]
ცოტა რამ ნატო-ს, უკრაინის, სერბეთის, საქართველოსა და რუსეთის შესახებ

ქართველი ხალხი, 2013 წელს ჩატარებულ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში «ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» დანაშაულებრივი რეჟიმის დამარცხების შემდეგ, დიდი მოთმინებით ელის გამოძიების გარეშეც ყველასთვის ცნობილი დამნაშავეების დასჯას. დადგა ის ჟამიც (27.03.2014), როცა ექსპრეზიდენტი **მ. სააკაშვილი საქართველოს მთავარ პროკურატურაში დაკითხვაზე იქნა დაბარებული.** თითქოს ყინული უნდა დაძრულიყო, მაგრამ «დემოკრატიის შუქურის» მუდმივად კიაფისთვის მთელმა დასავლეთმა რეაგირება სწრაფად მოახდინა. კერძოდ, რამდენიმე დღით ადრე, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელა განცხადება, რომლითაც საქართველოს ხელისუფლებასა და სამართალდაცვის ორგანოებს მოუწოდა, ხელი აეღოთ მ. სააკაშვილის დაკითხვის განზრახვაზე. ევროპელი პოლიტიკოსებიც მსგავსი განცხადებებით გამოვიდნენ.

მედიაში გავრცელებული ცნობით, აღნიშნული დეპარტამენტის ყოფილმა წარმომადგენელმა მეთიუ ბრაიზამ კი ოფიციალურ თბილისს, ფაქტობრივად, ულტიმატუმი წაუყენა: საქართველოს ხელისუფლებამ ან უნდა ხელი აიღოს სააკაშვილის დანაშაულებრივ ქმედებათა გამოძიებაზე, ან ამა წლის სექტემბერში NATO-ს ქვეყნების ხელმძღვანელთა უელსის სამიტზე საქართველო ალიანსში გაწევრიანების სამოქმედო გეგმას არ მიიღებსო. ბრაიზამ ამის თაო-

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №2(12), 4(14), 2014.

ბაზე ბრიუსელში მიმდინარე მარშალის ფონდის ფორუმზე განაცხადა, რომელსაც ზოგიერთმა სხვა დასავლელმა პოლიტიკოსმაც დაუჭირა მხარი. სხვათა შორის, ამ ფორუმს «საპატიო სტუმრის» სტატუსით მ. სააკაშვილიც ესწრებოდა.

ზემოთ აღწერილ მოვლენათა კონტექსტში არის განსახილველი მ. სააკაშვილის მუქარაც: «მალე დავბრუნდები საქართველოში, რათა გავათავისუფლო ქვეყანა ამჟამინდელი ხელისუფლებისგან, გავაგრძელო რეფორმები და გამოვიყვანო იგი რუსეთის ჩაგვრიდან». — ეტყობა, ამ ქართველთმოძულე «რეფორმატორმა» დასავლელ მეპატრონეთაგან ახალი დირექტივა მიიღო, რათა მათივე მხარდაჭერით საბოლოოდ ჩაკლას ჯერ კიდევ შემორჩენილი ქართული სული და ნატო-ევროკავშირის ძახილით ერი ამორალიზმის უფსკრულში გადაჩეხოს. ზნედაცემული კაცის მართვა კი, ოდენ მიწიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებითაც ადვილად შეიძლება, რადგან მისთვის წინაპართაგან ნაანდერძევ «სამ საუნჯეს» პური, სექსი და სანახაობა ცვლის.

ჩვენს ახლანდელ ხელისუფლებას, მიუხედავად სიტუაციის სიმძიმისა, ყველა პრობლემა ხელის გულზე უდევს. არჩევანიც არ არის ახალი და უცხო: სიკეთეს გულმართალი და ვაჟკაცი ირჩევს, ბოროტებას — ცრუ და ლაჩარი; სიკეთე ჩვენი მამა-პაპათა სარწმუნოების დაცვაა, ბოროტება — ლგბტ-ის მხარდაჭერა; სიკეთე ქრისტიანობის დამცველ ძლიერ სახელმწიფოსთან, რუსეთთან ისტორიული კავშირის აღდგენაა, ბოროტება — ნატოსთან და ევროკავშირთან ზავის შეკვრა.

სრულიად განუსწავლელმა, უფრო სწორად, ნაცების მიერ ზომბირებულმა ადამიანებმა არ იციან მხოლოდ, რატომ არის სწორი ზემოთ მოცემული სიკეთისა და ბოროტების კლასიფიკაცია, მაგრამ **თქვენ, ბატონო ხელისუფალნო, მიუხედავად ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებისა და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დადებისა (რომელიც ამ თვის ბოლოს, 27 ივნისს უნდა გაფორმდეს), სიმართლის დაცვა და სამშობლოს ერთგულება მოგეთხოვებათ! თქვენ უკვე აღარავისთან გაქვთ დასამალი, რომ ე. წ. დემოკრატიული დასავლეთი გაიძულებთ ბოროტების მხარეზე დგომას, ბოროტმოქმედი ექსპრეზიდენტის ხელშეუხებლობას, ანტიეროვნული მედიის საქმიანობაში ჩაურევლობას და ა. შ.**

შეუძლებელია, მთავრობა ვერ აცნობიერებდეს საშიშროებას, რომელიც დასავლეთის მიერ სააკაშვილის მფარველობით არის განპირობებული. ალბათობა სააკაშვილის ხელისუფლებაში და-

ბრუნებისა მავანისთვის შეიძლება აბსურდი იყოს, მაგრამ დასავლეთს, ზემოთ აღნიშნული ულტიმატუმის გათვალისწინებით, ნაცური რეჟიმის რეანიმაციის იმედი რეალურად აქვს. ამ რეალიზმს კი მას ჩვენი ხელისუფლების უპირობო მორჩილება სძენს, რომლის გადალახვის გარეშე, ამჟამად შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, «ქართული ოცნება» თავის თავსაც და ქართველ ხალხსაც დასაღუპად გაწირავს.

ვფიქრობთ, ხელისუფლებას რეალობის ობიექტური შეფასებისთვის თვითმმართველობის არჩევნების (15.06.2014) შედეგებიც გამოადგება, რადგან თავდაჯერებულობისა და კვეხნის წილ მან იძულებითი მეორე ტური მიიღო, თანაც — 18 უბანში და თანაც — მოქალაქეთა უმრავლესობისთვის საძულველ ნაცებთან პაექრობაში! არჩევნებმა დაადასტურა, რომ აღუდგენელმა სამართლიანობამ და პრემია-ხელფასების ფორმით უსამართლოდ (მტაცებლურად!) განაწილებულმა სახალხო დოვლათმა საზოგადოების ნაწილს «ქართული ოცნებისადმი» ნდობა დაუკარგა. გასათვალისწინებელია, რომ არჩევნებზე არგამოცხადებულ მოქალაქეთა რაოდენობა (როგორც ცნობილია — 70%), ჯერჯერობით უმოქმედო ვულკანის პოტენციას ფლობს, მაგრამ, თუ შურისძიებასა და ანგარიშსწორებაზე გავრცელებული ცნობების მიხედვით ვიმსჯელებთ, მას გავარვარებული მასა უკვე ყელში აქვს ამოსული. აქვე შევნიშნავთ, რომ ნაცები ტყუილად ლაღობენ! თუ ვულკანი ამოქმედდა, ლავა პირველად მათ თავებზე გადმოინთხევა. თან, ეს ისე სწრაფად შეიძლება მოხდეს, რომ «ერთიანი ნაციონალური მოძრაობისგან» მხოლოდ პომპეის ანალოგი შემორჩეს ისტორიას.

უკრაინაში მომხდარი გადატრიალების შემდეგ (თებერვალი, 2014), რუსეთსა და დასავლეთს (აშშ, ევროკავშირი) შორის გადამწყვეტ ფაზაში შევიდა იდეოლოგიური დაპირისპირება, რომელიც დასაბამს XI ს-დან იღებს, როცა რომის კათოლიკური (დასავლური) ეკლესია ბიზანტიის მართლმადიდებლურ (აღმოსავლურ) ეკლესიას გამოეყო და პოლიტიკურ, ცეზარულ-პაპისტურ ინსტიტუტად გარდაიქმნა.

მომდევნო ოთხი საუკუნის განმავლობაში, ჯვაროსნული ლაშქრობების მეშვეობით კათოლიკურმა ევროპამ ძირი გამოუთხარა ბიზანტიის იმპერიას და XV ს-ში, საბოლოო განადგურებისთვის, იგი მაჰმადიანთა ხელში ჩასაგდებად გაწირა. ბიზანტიის დაცემის შემდეგ თითქოს ცივილიზებული მსოფლიოს პოლიტიკური ცენტრის სტატუსი ვატიკანს უნდა შეეძინა, მაგრამ იდეოლოგიურად დეგრა-

დირებული კათოლიციზმი XIII ს-ში შექმნილმა პოლიციურმა ორგანიზაციამ, ინკვიზიციამ საბოლოოდ გახრწნა და მისივე სნეულ სხეულზე, XVI ს-ში, პროტესტანტიზმის სახით ახალი მეტასტაზები გააჩინა. რეფორმაციით დასუსტებულმა ვატიკანმა იეზუიტური მეთოდებით პოლიტიკური გავლენის სფეროთა აღდგენა და გაფართოება თანდათან შეძლო, მაგრამ XVIII ს-ში ევროპულ ექსპანსიას წინ აღუდგა ბიზანტიის იდეოლოგიური მემკვიდრე, რუსეთის მართლმადიდებლური იმპერია. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის მსოფლმხედველობრივმა შეუთავსებლობამ XX ს-ში ორი მსოფლიო ომი გამოიწვია, დაძაბულობა მაინც არ ჩამცხრალა.

ძლევამოსილი მხედართმთავრის, გენერალისიმუსი იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილის მეთაურობით საბჭოთა კავშირის ჯარების მიერ ფაშიზმზე მოპოვებული გამარჯვების საპასუხოდ, დასავლურმა კოალიციამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და საკუთარი აგრესიული ძალის სადემონსტრაციოდ, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან სამი თვის თავზე (6-9.08.1945), ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო თვითმფრინავებმა უკვე დამარცხებული იაპონიის ორ ქალაქში, ხიროსიმასა და ნაგასაკში, ატომური ბომბები ჩამოყარა.

არავინ იცის, რა ელოდა მსოფლიოს, სტალინის გენიალური ნიჭისა და ორგანიზებულობის წყალობით საბჭოთა მეცნიერებს ბირთვული იარაღი სასწრაფოდ რომ არ შეექმნათ და რუსეთთან შეკავშირებული ხალხები დასავლურ ჰეგემონიას წინ არ აღდგომოდნენ. ამ ფაქტმა პირდაპირი ინტერვენციის გეგმა ჩაშალა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ეკონომიკურად უზომოდ გაქსუებულმა დასავლეთმა, კერძოდ აშშ-მა, ომის დასრულებისთანავე, საბჭოთა საფრთხის მოტივით, ოპერატიულად შეიმუშავა ეკონომიკური «მარშალის გეგმა» და შექმნა NATO-ს სამხედრო ბლოკი. ყოველივე ამას, ელექტრული საინფორმაციო საშუალებების განვითარებასთან ერთად, დაემატა ახალი სტრატეგიული აღჭურვილობა — მედია და ინტერნეტი.

ამჟამად აღმოსავლურ-დასავლური პოლუსების ფლაგმანებად რუსეთი და აშშ გვევლინებიან. ჩვენ ახლა ვცხოვრობთ აღნიშნული დაპირისპირების ეპოქაში, რომელმაც, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, ახალი მსოფლიო წესრიგი წარმოქმნა და დიპლომატიურ მეტყველებაში «**ცივი ომის**» სახელი შეიძინა. სახელწოდება 1946 წელს, ფულტონის კოლეჯში (აშშ), აღმოსავლეთ ევროპაზე დაშვებული რკინის ფარდის შესახებ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-

მინისტრის, უინსტონ ჩერჩილის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან არის დაკავშირებული. ზოგიერთი პოლიტოლოგის ვარაუდი, საბჭოთა კავშირის დანგრევასთან ერთად ცივი ომის დასასრულზე, მცდარი აღმოჩნდა. პირიქით, ცივი ომის «ტემპერატურა» ეკოლოგიური საფრთხეების მსგავსად გლობალურად მატულობს.

მტკიცება შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ფაქტია, რომ მსოფლიოს დღევანდელი პოლიტიკური სიტუაცია საქართველოს სრულიად დამოუკიდებლად არსებობის მდგომარეობას ვერ შეუქმნის. ჩვენ დილემის წინაშე ვდგავართ: რუსეთი თუ ამერიკა. — ვისაც ესმის სარწმუნოების მნიშვნელობა და მართლაც სწამს ღმერთი, მაშინ ჩვენი ღირსეული წინაპრებისა და „ქართლის ცხოვრების“ შეგონებანი მას გაუადვილებენ გადაწყვეტილების მიღებას, რათა «ცხოვრება ჩვენი იყოს სასოებითა ჯვარცმულისათა».

ისტორიული თვალსაზრისით, რუსეთისა და რუსების, ისევე როგორც ჩვენივე თანამემამულეების, წინააღმდეგ არაერთი ფაქტის გახსენება შეიძლება, მაგრამ უნდა შევიგნოთ, რომ **ჩვენ ვდგავართ ყოფნა-არყოფნის წინაშე;** შექმნილია ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან ერთ-ერთი აუცილებლად უნდა ავირჩიოთ. მიუხედავად XX ს-ის 70-წლიანი ანექსიისა, უნდა შევძლოთ განსხვავება: რუსეთში გადარჩა საქართველო თუ თურქეთში? რუსეთთან შეერთებულ საქართველოში შეინარჩუნა ქართველმა ეროვნულ-სარწმუნოებრივი სახე თუ თურქეთის საზღვრებში მოქცეული ტაო-კლარჯეთის ძალით გამაჰმადიანებულმა გურჯმა? თუნდაც ახლანდელი და საბჭოთა კავშირის დროინდელი საზოგადოების ზნეობრივი სახე შევადაროთ ერთმანეთს: უკაცრავად, მაგრამ ამ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ჩვენმა მანდილოსნებმა დასავლური მანერები იმდენად შეითვისეს, რომ დაფლეთილი სამოსის ტარება და ჟარგონით მეტყველება კულტურულ გარემოშიც აღარ ერიდებათ. ახლა წარმოიდგინეთ, რუსეთთან ორსაუკუნოვანი ურთიერთობის მსგავსად, ამერიკასთან და ევროპასთან რომ გაგრძელდეს პოლიტიკური თანამშრომლობა, საერთოდ იარსებებს თუ არა ქართული ეთნოსი?!

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: ნუთუ საკვირველი არ არის, ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც ასე ერთნაირად რატომ შეუყვარდათ ჩრდილოელი NATO? განა რა აქვს ამ ნატოს ასეთი მიმზიდველი? — თავისუფლებასა და უსაფრთხოებას მოგვიტანსო, ამბობენ. — მაშინ გვიპასუხეთ, ამერიკელი ოფიცრის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მართული სამხედრო შენაერთი ჩვენს

ინტერესებს გაითვალისწინებს და საჭიროების შემთხვევაში ჩვენ შეგვეკითხება, რომელი ბაზიდან რომელ სახელმწიფოს დაარტყას? ხოლო თუ ეს ჩვენთვის სულ ერთია, მაშინ მსოფლიოს წინაშე პასუხისმგებლობის მოხსნა გვსურვებია, ჩვენს გადარჩენაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ამასთანავე, ნატოს თაყვანისმცემელნო, თქვენთვის უცნობი არ უნდა იყოს ერთი ისტორიული ფაქტი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იოსებ სტალინმა მიზნად საქართველოს ძირძველი ტერიტორიის, ტაო-კლარჯეთის შემოერთება დაისახა. ამის საპასუხოდ აშშ-მა თურქეთს პოლიტიკური კურსი განუსაზღვრა და სამხედრო („ტრუმენის დოქტრინა“, 1947 წ.) და ეკონომიკური („მარშალის გეგმა“, 1948 წ.) მხარდაჭერის შემდგომ, დაჩქარებული წესით 1952 წელს ნატოშიც შეიყვანა, რითაც მან, ფაქტობრივად, თურქეთს ტაო-კლარჯეთი დაუკანონა.

აქედან გამომდინარე, ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულებით (1949 წ.) დაფუძნებულმა ამ სამხედრო-პოლიტიკურმა ორგანიზაციამ საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის ერთი-მესამედი სხვა სახელმწიფოს საზღვრებში აღიარა და სამომავლოდ თურქეთ-კავკასიის ფედერაციის შექმნას ჩაუყარა საფუძველი; ფედერაციისა, რომელიც ამერიკას მხოლოდ რუსეთზე ყულფის ჩამოსაცმელად ესაჭიროება და არა თურქეთის, ან კავკასიის ხალხთა ინტერესების გასათვალისწინებლად. ამიტომ, გაზვიადების გარეშე ვიტყვით, ნატოს აპოლოგეტები სინამდვილეში დაქირავებული მწყემსები არიან და სამშობლოზე ზრუნვით მხოლოდ ინიღბებიან.

მართალია, ყოველივე ზემოთქმულის აღქმას დინჯი და, თანაც, ცოტა ნაწრთობი გონება სჭირდება, მაგრამ არც მხურვალე გულის გარეშე გამოვა რამე. ამის ცხადი მაგალითია ქცევა რუსთმოძულე ადამიანებისა, რომელნიც, სამი თვის წინ, ნატოს მოქმედებათა შესაფასებლად შეკრებილ თანამოაზრეებს ისტერიკულად დაუპირისპირდნენ. მათთან ლოგიკური მსჯელობა შეუძლებელი აღმოჩნდა, მაგრამ, ვფიქრობთ, საზოგადოებისთვის მომხდარი ინციდენტის ახსნა აუცილებელია; მით უმეტეს, რომ ვიღაც ექსპერტის თუ ჟურნალისტის მიერ ნატოს მოწინააღმდეგეთა გაიგივებას «მეხუთე კოლონასთან» პოლიტიკური ცილისწამების ელფერი ადევს.

2014 წლის 24 მარტს სერბეთის ტრაგედიიდან 15 წელი შესრულდა. 1999 წლის 24 მარტიდან აშშ-ის მთავრობის ბრძანებით NAთO-ს ჯარები 78 დღის განმავლობაში უმოწყალოდ ბომბავდნენ მართლმადიდებელი ქვეყნის ეკლესია-მონასტრებს, სასაფლაოებს(!), კულტურის ძე-

გლებს, ქალაქებსა და სოფლებს. ამ დღეს, ისევე როგორც 1946 წელს, საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევითა და გაეროს დადგენილებათა უგულებელყოფით აშშ-მა დაუნდობელი აგრესორის ნიღაბი ჩამოიხსნა. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, **ერთმორწმუნე სერბი ხალხისადმი თანაგრძნობის გამოსახატავად საზოგადოების ერთი ნაწილი, დაახლოებით 150-მდე ადამიანი, თბილისის კინოს სახლში შეიკრიბა,** სადაც ევრაზიის ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა ჩვენება სერბი დოკუმენტალისტების მიერ გადაღებული ფილმისა, რომელიც NATO-ს გამოკვეთილად ანტიქრისტიანული სამხედრო-სადამსჯელო ოპერაციის შედეგებს ასახავდა.

ფილმის ჩვენების შემდეგ, როგორც წინასწარვე იყო დაგეგმილი და ქალაქის მერიასთან შეთანხმებული, პროტესტის ნიშნად მოეწყო ფეხით მსვლელობა, რომელშიც მსურველებმა მიიღეს მონაწილეობა — კინოს სახლიდან, რუსთაველის პროსპექტის გავლით, ნატოს საინფორმაციო ცენტრამდე, რომელიც საჯარო ბიბლიოთეკასთან არის განთავსებული. ნატოს წარმომადგენლებს მიეწოდა მათივე ორგანიზაციის აგრესიაზე შეკრებილი ობიექტური მასალა და აქციაც ამით იქნა დასრულებული.

ძნელი დასანახი არ არის, რომ აქციის მონაწილეთა არც განზრახვასა და არც ქმედებაში ეთიკური ან სამართლებრივი ნორმების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ, როგორც ჩანს, ნაცებისა და ლგბტ-აქტივისტებისთვის დემოკრატია არა მარტო მათი უფლებების, არამედ უკვე მათი სურვილების დაცვასაც ნიშნავს. რომ არაფერი ვთქვათ კინოს დარბაზში შემოპარულ ორ პროვოკატორზე, კინოს სახლთან შეკრებილი ნაც-ლგბტ-ური მცირე ჯგუფი თავგამოდებით ლანძღავდა აქციის ყველა მონაწილეს. ამას ვერ დავარქმევთ მხოლოდ ხულიგნობას, რადგან ისინი არა მარტო უხამსად ილანძღებოდნენ, არამედ აქციის მონაწილეებს ცილს ურცხვად სწამებდნენ.

როცა ორ ჯგუფს შორის დაპირისპირება სტიქიურად წარმოიშვება, ასეთ შემთხვევას შეიძლება გაგებით მოეკიდო კიდეც, მაგრამ, როცა ვიღაც სპეციალურად მოგზავნილი თავხედი, პოლიციის კორდონის იმედით, მშვიდობიანად და ყოველგვარი ხმაურის გარეშე თავიანთი საქმისთვის შეკრებილ ადამიანებს შეურაცხყოფას აყენებს, ბუნებრივია, იგი მოქალაქეებს საფრთხეს უქმნის. ეს მოგზავნილი პროვოკატორები კადრულობენ უკადრებელს, რათა კაცი როგორმე მოთმინებიდან გამოიყვანონ.

ჩვენი აზრით, თუ საქართველო ახლო მომავალში რეალურად შე-

ძლებს საკუთარი სახელმწიფოებრიობის დაცვას, ბოლოს და ბოლოს ოფიციალურად უნდა გაუქმდეს ქვეყნის დამაქცევარი «ერთიანი ნაციონალური მოძრაობა», ხოლო ჰომოსექსუალებს (ლგბტ), როგორც უზნეობის ადეპტებს, აეკრძალოთ საკუთარი ცოდვის დემონსტრირება და მისი ყოველგვარი პროპაგანდა. მათ უნდა იცოდნენ, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ «დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ» მიღებული კანონი (02.05.2014) ქართველი ხალხის მორალურ კანონებზე მაღლა ვერ დადგება და, საჭიროების შემთხვევაში, არც მისი გაუქმება გახდება ძნელი.

ასოცირების ხელშეკრულება, კოლაბორაციონისტი ნაცების ინიციატივა, უკრაინის ხელისუფლების ახალი კადრი, საყდრისის საბადო, რუსეთის პრეზიდენტის განცხადება, პრემიერის პრესკონფერენცია

1. 2014 წლის 18 დეკემბერს, სტრასბურგში ევროპარლამენტმა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების **რატიფიკაცია** მოახდინა, ანუ საქართველოს მიერ 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილ შეთანხმებას იურიდიული ძალა მიანიჭა. საქართველოს მხარე ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მეთაურობით, მაგრამ, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ევროპის სახალხო პარტიის მიწვევით რატიფიკაციის ღონისძიებას საკუთარი ქვეყნიდან გაქცეული ექსპრეზიდენტი მ. სააკაშვილიც ესწრებოდა. ამასთან, ევროპარლამენტმა ჩვენი დელეგაციისთვის განკუთვნილ სექციაში მას უფრო საპატიო ადგილი მიუჩინა, ვიდრე მოქმედ პრეზიდენტს; ამ უკანასკნელს სხდომაზე სიტყვის თქმის უფლებაც კი არ მისცეს.

ამ მრავლისმეტყველი ფაქტის კონსტატირებისთვის აღვნიშნავთ, რომ რატიფიკაციის ღონისძიებაზე დამნაშავე ექსპრეზიდენტის მიწვევით ევროპარლამენტართა მიერ მთელი ქართველი ხალხისა და მისი ხელისუფლების მიმართ გამოხატული, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ქმედების გამო საქართველოს მთავრობის არცერთ ოფიციალურ პირს არათუ პროტესტი, არამედ მოკრძალებული საყვედურიც კი არ გამოუთქვამს. მართალია, პოლიტიკაში ყოველთვის ძალა აღმართს ხნავს, დიდი ილიაც ასე გვასწავლიდა, მაგრამ საზოგადოებას, თუნდაც მინიშნებით, სახისმეტყველებით ან

დიპლომატიის ენაზე, რომელიმე პარლამენტარმა მაინც ხომ უნდა აუხსნას, თუ რა მდგომარეობაში ვიმყოფებით და რატომ ვართ იძულებული ვდუმდეთ, როცა მოცემული ვითარება გვავალდებულებს პასუხისგებას.

ნახეთ, რა გახსნილი ქარგა აქვთ ჩვენს ნაწრთობ ექსპერტებსა და პოლიტიკოსებს, მაგალითად: «პუტინი ყველაფრის მკადრებელია» (ს. ცისკარიშვილი);[2] «რაც უფრო მეტი პრობლემა ექნება რუსეთს, მით უკეთესი საქართველოსთვის» (დ. ბერძენიშვილი);[3] მედიის მიერ ფილოსოფოსად წოდებული ერთი რესპოდენტი რუსეთის პრეზიდენტს «ბოროტ ხულიგნად» მოიხსენიებს (ზ. ფირალიშვილი);[4] ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ამბობს: «დასავლეთი ხვდება, რომ თუ „ჯინი", ანუ პუტინი გაექცათ, მესამე მსოფლიო ომი გარდაუვალია» (გ. გვაზავა).[5] — რომ არაფერი ვთქვათ ჩვენივე ქვეყნისთვის ამ მავნე გამონათქვამთა ეთიკურ მხარეზე, ისინი ვერც პოლიტიკურ და დიპლომატიურ ჩარჩოებში ეტევა, მაგრამ ჩვენ ამ ბატონების სუბიექტურ მოსაზრებათა დამოწმება მხოლოდ იმისთვის დაგვჭირდა, რომ ღია ბრძოლის ნიმუში გვეჩვენებინა.

2. ჩვენს ხელისუფლებას მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს, რომ აშშ-ის მიერ მართული ქართული მედია-საშუალებები საზოგადოებრივ აზრს ნაცების სასარგებლოდ აყალიბებენ. ვფიქრობთ, ისიც შესახსენებელია, რომ ქვეყანაში წამოჭრილ პრობლემათა არსის არცოდნა საზოგადოებას ხელისუფლებისადმი უარყოფითად განაწყობს. რა თქმა უნდა, დიდი ძალისხმევა და ცოდნაა საჭირო იმისთვის, რომ საჭირო ინფორმაცია ადამიანებამდე ზომიერების დაცვით მიიტანო, მაგრამ თანამედროვე კონკურენციის პირობებში სტრატეგიულ საშუალებათა შორის, ეკონომიკურ-ტექნოლოგიურთან ერთად, იდეურ-ინფორმაციული მიმართულება ძირითადია. მისი გათვალისწინების გარეშე, ხელისუფლებამ რა სასიკეთო საქმეებიც უნდა აკეთოს, შეიქმნება შევარდნაძის დროინდელი სიტუაცია, როცა მედიის გამუდმებული ზომბირებით გათანგულმა საზოგადოებამ მ. საკაშვილი მხსნელად აღიარა.

ჩვენი აზრით, გარდა გარეშე ფაქტორებისა, 2003 წელს ნაცების გამარჯვებას სახელისუფლო ინსტიტუტების მიერ იდეური ბრ-

[2] გაზ. კვირის პალიტრა, 22.12.2014.

[3] გაზ. ახალი თაობა, 22.12.2014.

[4] გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 25.12.2014.

[5] გაზ. საქ. რესპ. 05.09.2014.

ძოლის უგულებელყოფამ, ეროვნულ-აღმზრდელობითი ინსტიტუტების დაუფინანსებლობამ და, საბოლოო ჯამში, შეძლებული ქართველების უმოქმედობამ შეუქმნა საფუძველი. მაშინ საზოგადოებას ნება არ აღმოაჩნდა ხელისუფლების თანადგომისა, მაგრამ, ფაქტია, ხელისუფლებასთან დაახლოებულმა ადამიანებმაც ეროვნულ-იდეოლოგიური ბრძოლის საწარმოებლად ვერაფერი გააკეთეს. ეს საკითხი, სხვათა შორის, ცალკეა შესასწავლი: როგორ მოხდა, რომ დიდი ისტორიული გამოცდილებისა და განათლების მქონე ერის შვილებმა თავის გადასარჩენადაც კი ვერ გამოიყენეს ინტელექტუალური იარაღი და იმის მაგივრად, რომ მოვლენათა ობიექტური და მეცნიერული ანალიზით საზოგადოება გამოეფხიზლებინათ, განზე გადგომა და საერთო მასაში გათქვეფა ამჯობინეს? — ამ ტრაგედიის ასახსნელად, მე ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთ მიზეზს ვხედავ: ქართველებს, მიუხედავად უფლისგან მომადლებული მრავალი ნიჭისა, გაერთიანების უნარი გვაკლია. ამ ნაკლს კი, ჩვენი წინაპრებისთვისაც კარგად ცნობილი სულის ჟანგი, შური ასაზრდოებს.

3. თუ დავუბრუნდებით წამოჭრილ თემას, ნაცების აქტიურობის ფონზე უფრო ნათლად დავინახავთ, როგორ ღვივდება შფოთი, როცა სახელისუფლო მხარე ვითარებას თვალს არ უსწორებს, მოვლენათა შეფასებას ვერ ასწრებს და შემდეგ, როცა პოპულისტური მუხტი საზოგადოებაში უკვე შეღწეულია, პოზიციის აღდგენას უკანდახევით ცდილობს. ამ რიგის ერთ-ერთი საკითხი ისიცაა, რომ არა და არ დაადგა საშველი რუსეთის შეურაცხყოფის მიზანშეწონილობაზე ოფიციალური დამოკიდებულების გამოხატვას და ნაცების ამ მთავარი იდეოლოგიური სტიმულატორისთვის სამთავრობო ექსპერტიზის ჩატარებას. ნუთუ პოლიტიკოსებისთვის ძნელია ამ მავნე ტენდენციის გაანალიზება და არგუმენტირებულად დასაბუთება, რომ რუსეთთან მუდმივად მტრულ და შეურიგებელ მდგომარეობაში ყოფნა, ძალისმიერ დაპირისპირებამდეც რომ არ მივიდეს საქმე, ბოლოს და ბოლოს თვით საქართველოს გამოფიტვას? იმის თქმას თუ ვერ ვბედავთ, რომ არა ჩვენი სახელმწიფოს, არამედ დასავლეთის სტრატეგიული მიზანია რუსეთსა და საქართველოს შორის მუდმივი დაძაბულობის შენარჩუნება, რათა მეზობელ ქვეყნებს შორის პრობლემების მოგვარება მოლაპარაკების გზით არ დაიწყოს, ის მაინც ვაღიაროთ, რომ დიდ მეზობელთან ომის დაწყება არა საქართველოს, არამედ სააკაშვილის და მისი ბანდის კისერზეა და ყველას, ვინც დამარცხება გამარჯვებად გამოაცხადა და გლოვის მაგივრად ზეიმი გამართა, შესაბამისი სახელი ვუწოდოთ: **სამ-**

შობლოს მოღალატე. რა თქმა უნდა, ერთ მშვენიერ დღეს ისტორიის ჩარხი თავის კბილანებში ყველას სათითაოდ მოაქცევს, მაგრამ ახლავე სჯობია მათი ნაქნარის შეფასება, რათა რუსეთის თემით აღგზნებულ ნაცებს საზოგადოების დაშანტაჟების სურვილი გაუქრეთ.

ახლა კი მოვლენებს თანმიმდევრულად მივყვეთ.

2014 წლის 13 აგვისტოს ნაცური მთავრობის ცნობილმა წარმომადგენელმა, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა **ბაჩო ახალაიამ** საგანგებო განცხადება გააკეთა: «თავისუფალი საქართველოს თავისუფალ მოქალაქეებს!

ძმებო, დღეს ნამდვილად მიმდინარეობს დაუნდობელი ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისთვის, მომავლისთვის და ეს ფრონტის ხაზი გადის უკრაინაზე. გარწმუნებთ, ყველაფერს ვაკეთებთ საქართველოს პატრიოტები, რომ უკრაინელების 20 წლის წინანდელი, აფხაზეთში ჩვენთვის გაწეული დახმარება არ იყოს დავიწყებული, სწორედ იმიტომ, რომ ჩვენი უკრაინელი ძმები ისევ ჩვენს გვერდით დადგნენ სოხუმის და გაგრის მისადგომებთან. მაგრამ არსებობს კიდევ უფრო დიდი საფრთხე — მაღალი ალბათობა უკრაინაში რუსეთის რეგულარული არმია შეიჭრას. ამ მომენტისთვის გვჭირდება მობილიზება, მხოლოდ ქართველი ოფიცრების და სამხედროების მხარდაჭერა არ იქნება საკმარისი, აუცილებელია თავისუფალი საქართველოს თავისუფალი მოქალაქეების მობილიზება, რათა დამატებითი და ძლიერი წინააღმდეგობა გავუწიოთ უკრაინაში პუტინის რუსეთს.

ამიტომაც მოგიწოდებთ, დღესვე დავიწყოთ მობილიზება, თუნდაც სიების შედგენა იმ გულადი ქართველებისა, ვინც რუსეთის შეჭრის შემთხვევაში მზად იქნება დაუყოვნებლივ, მყისიერად თავისუფლების და აფხაზეთის სახელით გაემგზავრონ უკრაინაში და კიდევ უფრო გავაძლიეროთ იქ ჩვენი მყოფი ქართველობა. უნდა ვიბრძოლოთ საქართველოს თავისუფლების მტრის წინააღმდეგ ყველგან და ყოველთვის!» (ნიუპოსტი).

ამ არა მარტო პოპულისტურ, არამედ დანაშაულებრივ და ანტისახელმწიფოებრივ მოწოდებას შესაბამისი ორგანოების მხრიდან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. ამიტომ ფლიდი **მ. სააკაშვილი** საქართველოს ყოფნა-არყოფნის თამაშით კიდევ უფრო გაერთო და მისი ღირსების შესაფერისი განცხადება გააკეთა: «ბევრი ქართველი ოფიცერი ამ დღეებში იღებს უკრაინის მოქალაქეობას. უკრაინის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ის ქართველი ოფიცრები, რომლებიც გადაწყვეტენ უკრაინის არმიაში მოღვაწეო-

ბას, ყველა უკრაინის მოქალაქე გახდება. იმ პირობებში, როდესაც საქართველოს თავდაცვის მინისტრს დაუნიშნეს მოადგილე ბურჯანაძის პარტიიდან, მე ვფიქრობ, ბევრ ქართველ ოფიცერს სხვა გამოსავალს არ უტოვებენ, თუ არა წავიდნენ და გააგრძელონ სამსახური მეგობრულ უკრაინაში, რომელიც იბრძვის იმ ომს, რომელიც საქართველოს მტრებთან ომია» (გეოტიმეს.გე — 12.12.2014).

ამის შემდეგ კი თავდაცვის სამინისტრომაც გამოაქვეყნა განცხადება: «ექსპრეზიდენტის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ქართველი ოფიცრები მზად არიან დატოვონ საქართველოს შეიარაღებული ძალები და სამსახური გააგრძელონ სხვა ქვეყანაში, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. შეიარაღებულ ძალებში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, როდესაც ქართველმა ოფიცრებმა დატოვეს ქვეყანა და სხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში დაიწყეს სამსახური. ჩვენი ინფორმაციით, უკრაინაში იმყოფება საქართველოს რამდენიმე მოქალაქე, რომლებიც წლების წინ მსახურობდნენ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და ამჟამად შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში არ ირიცხებიან. ქართველ ოფიცერთა შემადგენლობა ჩვენი საზოგადოების გამორჩეულ ნაწილს წარმოადგენს. ჩვენი ოფიცრები, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების სანაცვლოდ არ შეწყვეტენ საკუთარი სამშობლოს, საზოგადოების უსაფრთხოების დაცვას. ისინი იცავდნენ და ყოველთვის დაიცავენ საქართველოს. მაშინ, როდესაც თვალნათლივ გამოხატულია თავდაცვის სამინისტროს უცვლელი კურსი ნატო-სკენ, მიმდინარეობს უმნიშვნელოვანესი, მაღალი დონის შეხვედრები, ყოფილი პრეზიდენტი ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობა და საზოგადოება. ყოფილი უმაღლესი მთავარსარდლის მოწოდება არის უპასუხისმგებლო, გაუმართლებელი პროპაგანდა, რომელიც მიმართულია საკუთარი ქვეყნისა და სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგ» (მოდ. გოვ. გე — 08.12.2014).

როგორც ჩანს, სწორედ ეს «უცვლელი კურსია» მიზეზი იმ თავშეკავებისა, რომელმაც თავდაცვის სამინისტოს საშუალება არ მისცა, ექსპრეზიდენტისთვის მორალურთან ერთად სამართლებრივი პასუხისმგებლობაც დაეკისრებინა. რაზეც, სხვათა შორის, ყურადღება გაამახვილა შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა **კობა ნარჩემაშვილმა:** «უკრაინის მოვლენების ფონზე სააკაშვილის მოწოდება ქართველი ოფიცრების მიმართ პროვოკაციული და ავანტიურისტულია. ის ქმნის საფრთხეს, რომ საქართველო რუსეთთან კონფლიქტში ჩაითრიოს. პროცესები შეიძლება ძალიან სწრაფად,

მაღალი ინტენსივობით განვითარდეს. ეს განცხადება ძალიან მყიფეს ქმნის საქართველოს უსაფრთხოებას. ამ პროცესების გაღრმავების შემთხვევაში ჩვენ ვდგავართ რუსეთის მხრიდან ღია აგრესიის საფრთხის წინაშე. მას დასაყრდენი საქართველოში არ აქვს. ამიტომ ის ელვისებური ოპერაციით გავა საბჭოთა კავშირის საზღვრებზე იმისათვის, რომ ომის შემთხვევაში ამიერკავკასიის და საბჭოთა კავშირის ტერიტორია არ გადაიქცეს ისეთ ადგილად, სადაც შემოაღწევენ ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები. ამას რუსეთი არ დაუშვებს. სააკაშვილის განცხადებები საქართველოს პროკურატურამ უნდა შეაფასოს» (გეოტიმეს.გე — 12.12.2014).

რასაკვირველია, პროკურატურისგან ადეკვატური შეფასების მოსმენა სასურველი იყო, მაგრამ სახელმწიფო ორგანომ, რომელიც თვალყურს უნდა ადევნებდეს კანონების ზუსტად შესრულებას, ამჯერადაც თავი შეიკავა. აღსანიშნავია, რომ ეს ორგანო არ რეაგირებს მაშინაც კი, როცა ბრალდებას უშუალოდ მას უყენებენ. მაგალითად, ზემოთ ნახსენები **ს. ცისკარიშვილი** ამბობს: «პროკურატურა როგორც იყო საქართველოს სირცხვილი, ასეთადვე რჩება სამწუხაროდ».[6] ეს არ არის უბრალო, ერთიდან მეორე ყურში გასატარებელი, ბრალდება. მე ჯერ არცერთი ექსპერტისგან არ მომისმენია სიტყვა პროკურატურის დამსახურებაზე, თუნდაც ის, რომ საქართველო ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყანა აღარ არის, ანუ ნაცების შემდეგ საქართველო საერთაშორისო დანაშაულებრივი სინდიკატის საქმიანობაში არ მონაწილეობს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი ნარკოტიკების დიდი რაოდენობით ამოღების რამდენიმე შემთხვევის შემდეგ ეჭვს არ იწვევს, ექსპერტთა ბიურო, როგორც ჩანს, არა დამოუკიდებლად, არამედ დირექტივების მიხედვით მუშაობს და რეალობის აღქმის ინტერესიც კი დაკარგული აქვს. ისინი თავიანთ საქმეს მიზანდასახულად ასრულებენ: სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი აგდებული დამოკიდებულება, მით უმეტეს, როცა შეურაცხყოფაზე პასუხის გაცემაც არავის შეუძლია, მოსახლეობაში ხელისუფლებისადმი ნდობის რეიტინგს დაბლა სცემს. ქვეყნის მესაჭეთა სიფხიზლისთვის ისევ გავიმეორებთ: აღვირახსნილმა ცილისმწამებლურმა პროპაგანდამ და ზღვარდაუდებელმა პოპულისტურმა განცხადებებმა მოიყვანეს ნაცები ქვეყნის სათავეში.

4. სააკაშვილის განცხადების უმტკივნეულოდ ჩავლის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ნაცებს თავიანთი პოლიტიკის გასატარებლად, ანუ საზოგადოებაში დაძაბულობის გასაღვივებლად,

[6] გაზ. საქ. რესპ. 05.11.2014.

რაღაც ახალი საბაბისთვის უნდა მიეგნოთ. ასეთი ხელმოსაკიდი შემთხვევა მათთვის აღმოჩნდა **თავდაცვის სამინისტროს განცხადება,** რომელიც მან უკრაინაში გარდაცვლილი ქართველი მებრძოლის თაობაზე გაავრცელა: «გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ალექსანდრე გრიგოლაშვილის დაღუპვის გამო, სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდებენ, მონაწილეობა მიიღონ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში. თავდაცვის სამინისტროს მხრიდან არაერთხელ აღინიშნა, რომ მსგავსი მოწოდებები არის უპასუხისმგებლო და ემსახურება საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოფილი და მოქმედი სამხედრო მოსამსახურეების შეცდომაში შეყვანას.

თავდაცვის სამინისტრო მოუწოდებს საქართველოს ყველა მოქალაქეს, არ აყვეს პროვოკაციას და სხვადასხვა შემოთავაზების სანაცვლოდ არ ჩაიგდოს საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში»[7] (20.12.2014).

განცხადების გავრცელებასთანავე ვიღაც ვირტუალურმა მბრძანებელმა განგაშის ღილაკს თითი დააჭირა და მთელი ნაც-შემადგენლობა, ძველი საბარგო მატარებლის ვაგონებივით, ერთმანეთის მიყოლებით აჭრიალდა: ნ. ჟორჟოლიანი, არ. გამზარდია, ი. ნადირაშვილი, ალ. პეტრიაშვილი, გ. ხაჩიძე, დ. ზურაბიშვილი, ალ. ელისაშვილი, ი. გრიგოლია, გ. თარგამაძე, ნ. ფანჯიკიძე, ხ. ლაგაზიძე, ლ. რამიშვილი, ლ. ჯავახიშვილი, მ. საკაშვილი, ტუ-ტუუ[8]... შესაძლოა, ვინმე შემედაოს, აქ დასახელებული შემადგენლობის ყველა წევრი ნაცი არ არისო, მაგრამ, ზემოთ მოყვანილი ანალოგიის მიხედვით, რა მნიშვნელობა აქვს ვაგონების ნუმერაციას, თუ ყველა ერთნაირი ბალასტით არის დატვირთული?

ამ «ქვეყნის იმიჯის» დამცველი და საკუთარ ქვეყანაზე «გაგიჟებული» შემადგენლობის ეთიკურ შეფასებაზე დროს ვერ დავხარჯავთ, მაგრამ თუ მათი ნააზრევიდან სალანძღავ და საგინებელ ფრაზებს გამოვხშირავთ, შეგვრჩება სრულიად დაუსაბუთებელი და განყენებული ტერმინები, რომლითაც ისინი თავდაცვის სამინისტროს განცხადებას აფასებენ: *სამარცხვინო, ამორალური, ანტისახელმწიფოებრივი,* ხოლო ძირი ყველა ამ გამონათქვამისა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის სიძულვილით არის საზრდოები.

სხვათა შორის, ამ კონგლომერატში აღმოჩნდა გამძვინვარებული დავით თევზაძეც, თავდაცვის ექსმინისტრი, რომელმაც თავდაც-

[7] გაზ. ახალი თაობა, 22.12.2014.

[8] ინფორმაციის წყარო: ambebi.ge.

ვის სამინისტროს განცხადებაზე ამგვარი რეაგირება მოახდინა: «ამ განცხადებით თქვენ მწუხარება კი არ გამოთქვით, არამედ დაგვანახეთ, რომ თქვენც ისევე დაგვყრით დაუმარხავებს, როგორც თქვენმა კოლეგებმა 2008 წელს დაგვყარეს, იმიტომ, რომ იმავე გვარისა ხართ».[9] — დედაბრულ წყევლას კი ჰგავს ეს გამონათქვამი, მაგრამ ქართველი გენერლისას — არა! მართლაც რომ წარწყმდეს მხედრული სული და მთელი თავდაცვის სამინისტრო სააკიანთ გვარისა აღმოჩნდეს, ამ წერილის შემდეგ, «ვალდებულების» მოსახდელად რომ გამოგიქვეყნებიათ, თქვენ მაინც აღარავინ გამოგყვებათ, ბატონო ექსმინისტრო!

ახლა დავუბრუნდეთ თავდაცვის სამინისტროს განცხადებას და სანამ მას კრიტიკულად შევაფასებდეთ, გარდაცვლილი მეომრის მამის სიტყვა გავიხსენოთ და ჭეშმარიტად ღირსეული ქართველი ჭირისუფლის ნათქვამი შთამომავლობას ჩვენც შემოვუნახოთ:«მე მინდა მადლობა ვუთხრა მთავრობას და საელჩოს, რომ ჩემი შვილის გადმოსვენებაში დამეხმარნენ. უნდა მორჩეს პოლიტიკური სპეკულაციები და ვთხოვ ყველას, თავი დაგვანებონ. არავის დაუძალებია ჩემი შვილისთვის საომრად წასულიყო. რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს, მათ განცხადებაზე კომენტარს არ გავაკეთებ».[10]

გამგები გაიგებს მამის ნათქვამს, მაგრამ ჩვენ მოვალენიც ვართ, პასუხი გავცეთ პოლიტიკურ სპეკულანტებს, რომლებიც თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულ «სხვადასხვა შემოთავაზებას» ჯარისკაცის დამცირებად და შეურაცხყოფად განიხილავენ. მაგრამ ერთია — რას ამბობენ ნაცები, ხოლო მეორე — მართლაც რა შინაარსი აქვს განცხადებას. საერთოდ, სექტანტებისთვის დამახასიათებელი მეთოდია — სიტყვის ან ფრაზის ამოგლეჯა კონტექსტიდან და შემდეგ მათთვის სასურველი ინტერპრეტაციის გამოგონება.

სინამდვილეში, თავდაცვის სამინისტროს 8 და 20 დეკემბერს გაკეთებული განცხადებები შინაარსობრივად იდენტურია და ექსპრეზიდენტის მზაკვრული ზრახვების მხილებასა და საზოგადოების გაფრთხილებას ემსახურება. მაგრამ იმ ბრალდების გადასაფარად, რომელიც თავდაცვის სამინისტრომ ქართველი მებრძოლის დაღუპვის გამო ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს სრულიად სამართლიანად წაუყენა, დაიდგა ნაცნობი ნაცური სპექტაკლი, რომლის ლიბრეტო ისევ და ისევ «საქართველოს მტერი რუსეთის»

[9] გაზ. ახალი თაობა, 22.12.2014.

[10] გაზ. საქ. რესპ. 23.12.2014.

სიძულვილზე აიგო. იდეოლოგიურ «შემოთავაზებათა» მთავარი მომწოდებელი კი უცხოეთიდან გზავნის სტატუსებს, რომ ჩვენმა ჯარისკაცებმა საქართველოს მოქალაქეობა დატოვონ და უკრაინაში საომრად წავიდნენ.

ისე, ამ ქართველთმოძულე და ლაჩარი ექსპრეზიდენტის მიმდევრებს მინდა ვკითხო, თქვენ რომ ტერორისტებსა და სეპარატისტებს უწოდებთ, პ. პოროშენკოს მარიონეტულ ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ უკრაინელ მოქალაქეებს ვგულისხმობ, ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ იმათ მხარეს მებრძოლი ქართველი რომ დაიღუპოს, დაკრძალვაზე მიხვალთ? — რასაკვირველია, არა; ჯერ ერთი იმიტომ, რომ ისინი, თქვენი გაგებით, მტრის მხარეს იბრძვიან, მეორე მხრივ კი, თქვენ არა მარტო რუსები, არამედ ის ქართველებიც გძულთ, ვინც დასავლურ ზნეობრივ ღირებულებებს, უფრო ზუსტად, გარყვნილების პოლიტიკურ კურსს არ იზიარებს და თქვენს ჰალსტუხთმტკვერელ კერპს არ ეთაყვანება.

თქვენ, რუსთმოძულენი, დაუნდობელნი ხართ ყველა განსხვავებულად მოაზროვნის მიმართ. ვერც კი ხვდებით, რომ სინამდვილეში კაცთმოძულეებად გადაიქეცით. თქვენ თვითონ ხომ ისტორიის არავითარი ცოდნა არა გაქვთ, მაგრამ, საუბედუროდ, აღარც სხვისი მოსმენა შეგიძლიათ. განა სასურველი არ იქნებოდა ქართველთა შორის ურთიერთგაგებასა და შენდობაზე სიტყვის ჩამოგდება? მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის; თქვენ ცოდვებმა ისე გაგაბოროტათ, რომ თავს ვეღარ სჯობნით. რეალობას ვეღარ აღიქვამთ და ვერ ხვდებით, რომ თქვენგან შერისხული ახლანდელი ხელისუფლება არის თქვენივე არსებობის ერთადერთი გარანტი, თორემ თქვენი ბოღმის ნთხევისგან დაგესლილი ხალხი სიკვდილსაც კი მოგანატრებდათ.

ყოველივე ამას იმიტომ კი არ ვწერ, რომელიმე თქვენგანის შეგონებას ვცდილობ, უბრალოდ ფაქტს აღვნიშნავ; იქნებ ვინმე სიმართლის მაძიებელს გამოადგეს მოვლენათა შეფასების დროს და მერყევი აზრი სიკეთისკენ მიაქციოს. თორემ თქვენთან კამათს რომ არავითარი აზრი არ აქვს, ჩემთვის ეს დღესავით ნათელია. მით უმეტეს, აქამდე არსებული ფაქტების სერიას ზემოაღნიშნული კიდევ ერთი აშკარად მოღალატური მოწოდება მიემატა. ახალაიასა და სააკაშვილის «შემოთავაზებას» რომ აყოლოდა ქართული მხედრობა, გარდა იმისა, რომ საქართველო უშუალოდ ჩაერთვებოდა რუსეთთან სამხედრო კონფლიქტში, ქვეყანა არა მარტო ფიზიკურად (დიდი ალბათობით), არამედ იურიდიულადაც დაკარგავდა თავის მრავალ მოქალაქეს; ვინაიდან საქართველოს ორგანულ კანონ-

ში მოქალაქეობის შესახებ დადგენილია: «საქართველოს მოქალაქე დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას, თუ საქართველოს კომპეტენტური ორგანოების ნებართვის გარეშე შევა სხვა ქვეყნის სამხედრო სამსახურში ან პოლიციის ან უშიშროების სამსახურში» (მუხ. 21.1.ა.).

5. წერილი თითქმის დასრულებული გვქონდა, როცა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა **პრესკონფერენცია** (26.12.2014) გამართა და ჩვენ მიერ უკვე განხილულ საკითხებთან ერთად რამდენიმე სხვა საინტერესო კითხვასაც უპასუხა. ამიტომ ვსარგებლობთ შემთხვევით და პრესკონფერენციის დაბეჭდილი ტექსტიდან ამონარიდებს შემოგთავაზებთ.[11] მით უმეტეს, რომ ჩვენ მის პოზიციას აქ წამოჭრილ პრობლემებზე სრულიად ვიზიარებთ.

ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა:

ჩვენ გახმაურებული საქმეების გამოძიების ძირითადი ნაწილი, პრაქტიკულად, დავასრულეთ. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც დანაშაულებრივი სისტემის არქიტექტორები და შემქმნელები იყვნენ, ან სხედან ციხეში, ან არიან გაქცეულები. რამდენიმე საქმე ძიების პროცესშია და მუშაობა დასრულდება. როგორც დაპირებული იყო, წლის ბოლომდე ძირითადი საქმეები დაიხურებოდა და პრინციპში ასეც არის. **შეიძლება უკვე კრიმინალებად ოფიციალურად მოვიხსენიოთ ეს ადამიანები.**

საქართველოს მთავრობა, ისევე როგორც ყველა ევროპული სახელმწიფო და მთელი მსოფლიო, უკრაინაში სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობისგან გამიჯნულია. ჩვენი მხარდაჭერა შემოიფარგლება, მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარების და პოლიტიკური მხარდაჭერის სახით, უკრაინელი ხალხის და უკრაინელი მოსახლეობის მიმართ.

ირაკლი ღარიბაშვილმა „პროვოკაციული“ უწოდა კითხვას, არის თუ არა **ვლადიმერ პუტინი** საქართველოსა და უკრაინის საერთო მტერი. როგორც მან ტელეკომპანია „ტაბულას“ პასუხად განაცხადა, საქართველოს მიმართ მტრულად და მოღალატეობრივად ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოქმედებს, რომელიც შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში ჩართვისკენ მოუწოდებს. თქვენს ფავორიტ სააკაშვილს ერთადერთი საზრუნავი აქვს — მოხდეს საქართველოში კონფლიქტი, არეულობა და საქართველო კიდევ ერთხელ შევიდეს შეიარაღებულ დაპირისპირებაში რუსეთთან. აი, ეს არის ჩვენი ქვეყნის და ხალხის მტრობა, რასაც ჩვენ არ დავუშვებთ. მთე-

[11] გაზ. საქ. რესპ. 27.12.2014.

ლი ფილოსოფია იმაში კი არ არის, ვინ უფრო გაბედულად იტყვის, მტერია თუ არა, შეაგინებს თუ არა. საქმე ის არის, რომ უნდა ვიყოთ პასუხისმგებელი ჩვენს თითოეულ განცხადებაზე. მე ვარ მთავრობის მეთაური და უნდა გავაკეთო განცხადება, რომელიც სიკეთის მომტანი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის, ხალხისათვის და არა ის, რაც ქვეყანას დააზიანებს. ამ განცხადებით გინდათ გასიამოვნოთ თქვენ და ნაციონალური მოძრაობის 20-კაციანი სექტა. მე ამას არ დავუშვებ, რადგან პასუხისმგებლობა მაქვს ხალხის და ქვეყნის წინაშე.

რაც შეეხება უკრაინასთან დაკავშირებით გაკეთებულ პროვოკაციულ განცხადებებს, რომ ყოფილი პრეზიდენტი, ბრალდებული მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდის წევრები მოუწოდებდნენ ქართველ ჯარისკაცებს, მიდიოდა პირადი მოლაპარაკებები, რომ დათმონ მათ საქართველოს მოქალაქეობა, დათმონ საქართველოს შეიარაღებული ძალები და წავიდნენ უკრაინაში, რადგან იქ მაღალი ანაზღაურება ექნებათ, ეს არის პირდაპირი ღალატი და მოწოდება ღალატისაკენ. სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, ეს მართლაც იყო. თავდაცვის სამინისტროს განცხადება თქვენ ყველას ძალიან გაგიკვირდათ და მე ვთქვი, რომ ის განცხადება სამინიტროს არ უნდა გაეკეთებინა, მაგრამ პოლიტიკოსი თუ გააკეთებდა განცხადებას, იქ არაფერი უჩვეულო არ ეწერა.

პრემიერის განმარტებით, **ტელევიზიების უმრავლესობა ხშირ შემთხვევაში დეზინფორმაციას ავრცელებს**. მოსახლეობას აქვს განცდა, რომ რაღაც არ კეთდება. ეს ფსიქოლოგიური მომენტია, რადგან როცა ადამიანს ერთსა და იმავეს უმეორებ 24 საათის განმავლობაში, როგორც მინიმუმ მას ეჯვი აღეძვრება და ეჯვის თვალით შეხედავს ყველაფერს. ჩვენ ტელევიზიებს რეალურად უნდა დავარქვათ სააკაშვილი, უმრავლესობა ხშირ შემთხვევაში სიცრუის ტირაჟირებას ახდენს.

მთავრობის მეთაურის ინფორმაციით, ტელევიზიებში დღეს მიზანმიმართული ქაოსი, სიცრუის ტირაჟირება და მოსახლეობის დაძაბვა ხდება. ნაციონალური მოძრაობა — ეს არის დესტრუქციული ძალა, რომელიც ჩამოყალიბდა სექტად და მათი თითოეული ქმედება მიმართულია იმისკენ, რომ მოხდეს არეულობის ფონის შექმნა საქართველოში. ამისთვის მათ აქვთ ისეთი მძლავრი იარაღი, როგორიცაა ტელევიზია.

ბოლო 2 წლის განმავლობაში ჩვენ შევისწავლეთ ყველა ის განაცხადი, რომელიც ოფიციალურად შევიდა პროკურატურაში და რომელიც უკანონოდ ჩამორთმეულ ქონებას, ბიზნესებს, ასევე იმ რეპრე-

სირებულ ადამიანებს უკავშირდებოდა, რომლებიც აცხადებდნენ, რომ უკანონოდ იხდიდნენ სასჯელს ციხეებში, რომ იყვნენ წამების, არაადამიანური მოპყრობის, გაუპატიურების მსხვერპლნი. პროკურატურამ დაასრულა ყველა ამ განაცხადის შესწავლა. მაქსიმუმ თებერვლამდე ჩვენ საზოგადოებას წარვუდგენთ კონკრეტულ გეგმას იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდება სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაწყება და დასრულება, როგორ მოხდება კომპენსირება.

ხშირად მე არაპოპულარულ განცხადებებს ვაკეთებ, მაგრამ ვალდებული ვარ, დავაფიქსირო სიმართლე. **საყდრისში** 3 ათასი ოჯახი მუშაობს, ამიტომ პოლიტიკოსებმა უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა გავაკეთოთ განცხადებები, უფრო მეტი დაფიქრება გვმართებს. მხოლოდ პოპულიზმზე არ უნდა იყოს გათვლილი ესა თუ ის განცხადება. 3 ათასი ოჯახი სასოწარკვეთილების პირასაა. ძალიან მარტივია განცხადებების გაკეთება, საქმის კეთებაა რთული. ჩვენ უნდა შევაფასოთ, რომელი სიკეთეა უფრო მნიშვნელოვანი. თუ გინდათ, შევინარჩუნოთ არქეოლოგიური ობიექტი — დავაკონსერვოთ და 3 ათასი ოჯახი გავუშვათ სახლებში, მაგრამ მე ამის პასუხისმგებლობას ვერ ავიღებ და არ ავიღებ. მე ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ ამ 3 ათას ოჯახს დავიცავ და დიახ, შევუქმნით პირობებს, რომ კომპანიამ და ამ ოჯახებმა იქ გააგრძელოს მუშაობა.

მთავრობის მეთაურის მტკიცებით, **საყდრისთან დაკავშირებით დაწყებული კამპანიის თანაორგანიზატორი ნაციონალური მოძრაობაა.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის მზაობა არსებობს.* მისი თქმით, ამ შეხვედრას სჭირდება ძალიან კარგი დაგეგმვა და მომზადება. „ჩვენ მიგვაჩნია, რომ შეხვედრა შეხვედრისთვის არ უნდა შედგეს. ჯერ ნაადრევია საუბარი იმაზე, როდის და რა ფორმატით შედგება შეხვედრა. ჩვენ მზაობა გვაქვს, ვფიქრობ, უნდა შედგეს ასეთი შეხვედრა, მაგრამ ამას სჭირდება ძალიან კარგი მომზადება, რომ იყოს შედეგიანი“.

„პოლიტიკა არის პოლიტიკოსების საქმე. ჩვენ გვაქვს ყველაზე მთავარი პრობლემა რუსეთის ხელისუფლებასთან ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. რუსეთის ხალხთან, რა თქმა უნდა, გვინდა, რომ კარგი, კეთილმეზობლური ურთიერთობა გვქონდეს. პოლიტიკა არ უნდა აისახოს ხალხებს შორის ურთიერთობებზე. მე მხოლოდ მივესალმები რუსი ტურისტების ჩამოსვლას საქართველოში. ისტორიულად, ჩვენ ხალხებს შორის პრობლემა არ გვქონია, პირიქით, გვაქვს მეგობრული ურთიერთობა“, — განაცხადა

ირაკლი ღარიბაშვილმა და დასძინა, რომ ჩვენთვის რუსი ტურისტები, ისევე როგორც ყველა ტურისტი, ძვირფასები არიან.

6. წინამდებარე მიმოხილვაში ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის **საშობაო მილოცვას** ექსპრეზიდენტისადმი, მით უმეტეს, რომ ზოგიერთ გაზეთში ტექსტი არასრულად და არაზუსტად დაიბეჭდა: «ბატონო მიხეილ, მიიღეთ ჩვენი მილოცვა შობა-ახალწლის ზეიმთან დაკავშირებით; დღესასწაულთან, რომელიც სიხარულით აღავსებს ყოველი ადამიანის გულს. გისურვებთ ჯანმრთელობას, მრავალჟამიერ სიცოცხლეს და ღვთისსათნო საქმეთა აღსრულებით მონიჭებულ ბედნიერებას».

ეტყობა, პატრიარქისადმი წამხედურობამ გადაადგმევინა პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს თამამი ნაბიჯი და ყოფილ პრეზიდენტს საახალწლოდ წარმატებები უსურვა. თუ სულიერ წინამძღოლს იმედი აქვს «უძღები შვილის დაბრუნებისა», დ. უსუფაშვილმა ნამდვილად უნდა იცოდეს მ. სააკაშვილის სანუკვარი და დაუფარავი ოცნების შესახებ — დაბრუნდეს საქართველოში, რათა «დასაჯოს ყველა, ვინც მისი ქვეყნის წინააღმდეგია». — ამ სიტყვის თქმას როგორ ბედავს ქვეყნის დამაქცევარი, ჩვენ ამაზე ამჯერად არაფერს ვიტყვით, მაგრამ ბოლოს მოხმობილი ციტატიდან თუ ზედმეტ სიტყვას — ქვეყნის — ამოვიღებთ, უფრო ადვილად დავინახავთ, რომ მ. სააკაშვილს ქართველთა სისხლი ისევ სწყურია და ამ წყურვილის მოსაკლავად იგი არაფერზე უკან არ დაიხევს. განა სპიკერმა ეს არ იცის? ან იქნებ ქრისტიანული სულგრძელობის გამომხატველია მისი საახალწლო მისალოცი? — ეგზეგეტიკურ წიაღსვლებს მოვერიდებით, მაგრამ მოკლედ შევნიშნავთ: ერთია — სიყვარული მტრისა, და მეორე — არა წარმატების სურვება, არამედ საკადრისის მიგება ქვეყნის მაოხრებელისთვის.

7. საკადრისის მიგება კი, ახალი ხელისუფლების სასახელოდ უნდა ითქვას,უკვე დაწყებულია. მ. სააკაშვილის წინააღმდეგ პროკურატურამ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე აღძრა სახელმწიფო სახსრების დატაცებისა და სამსახურებრივ უფლებამოსილებათა გადაჭარბების ბრალდებით. გარდა იმისა, რომ მასზე ქვეყნის შიგნით გამოცხადებულია ძებნა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინტერპოლში გაგზავნა ყველა აუცილებელი დოკუმენტი ექსპრეზიდენტის «წითელ ცირკულარში» შესაყვანად, რომლითაც ყველაზე სახიფათო დამნაშავეებზე საერთაშორისო ძებნა ცხადდება.

მართალია, საზოგადოება სამართლიანობის აღდგენას ჩქარობს

და მთავრობისგანაც იმავეს მოითხოვს, მაგრამ ანგარიშის გაწევა უთუოდ გვმართებს, რადგან ახლანდელ ხელისუფლებას ძველის გასასამართლებლად არა მარტო უამრავი ფაქტის გამოწვლილვა, არამედ ცალკე საერთაშორისო ასპარეზზე სიმართლის გასატანად დიდი ძალისხმევა სჭირდება. ზემოთ მოხსენიებულ ფაქტებს ისიც მივუმატოთ, რომ საქართველოში კრიმინალურ სისტემად გამოცხადებული «ნაციონალური მოძრაობის» წევრები (ალ. კვიტაშვილი, ე. ზღულაძე) პ. პოროშენკომ უკრაინის ჯანდაცვის მინისტრად და თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშნა. ფაქტია, რომ აშშ თავისი პოლიტიკური კადრის შერჩევისას სხვა ხალხთა ინტერესებს, იქნება ეს ქართველების თუ უკრაინელებისა, არავითარ ანგარიშს არ უწევს. ამიტომ, შექმნილი მძიმე სიტუაციიდან გამომდინარე, «უცვლელი კურსი» ქვეყანას ტაძრამდე ვერ მიიყვანს.

დასავლეთის წინააღმდეგ იმდენი მორალური და პოლიტიკური სამხილი დაგროვდა, რომ მისი რეაბილიტირება პრინციპულად უკვე შეუძლებელია. გამოსავალი, რაც შეიძლება, სწრაფად უნდა გამოინახოს. თუ ხელისუფლებას ძალუძს რეალობისთვის თვალის გასწორება, მაშინ, ჩვენი აზრით, ყურადსაღებია პოლიტოლოგ **გულბაათ რცხილაძის** მოწოდება და ქვეყანაში წარმოქმნილი ვითარების ადეკვატური ანალიზი: «პრემიერ-მინისტრმა მძლავრად უნდა დაჰკრას ხელი ნაცურ ქვეწარმავალს და ხერხემალში გადატეხოს იგი. დღეს ხალხი დიდი ენთუზიაზმითაა მოცული და გაჰყვება პრემიერ-მინიტრს, თუკი იგი აღიარებს, რომ ქვეყანაში არის პოლიტიკური კრიზისი და ამ კრიზისის გადასაწყვეტად აუცილებელია რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება და პოლიტიკური სისტემის ძირეული ცვლა. დღეს ღარიბაშვილის პოპულარობა ეჭვს არ იწვევს. ხვალ და ზეგ, შეიძლება, გვიანი აღმოჩნდეს!»[12] — გვიანი აღმოჩნდება, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ საქართველოს «უცვლელი კურსი» საბოლოოდ ჩვენი ტრადიციის, ზნეობისა და ეკლესიის ამოძირკვისკენ არის მიმართული, ხოლო, მეორე მხრივ, თუ ძალიან გავჯიუტდით და ჩვენი ექსპერტების ჭკუაზე ვიარეთ, დღევანდელი ეფემერული მშვიდობაც კი სანატრელი გაგვიხდება. რუსეთი მოსაზღვრე ტერიტორიებს ნატოს არ დაუთმობს და ყულფს თავზე არ ჩამოიცვამს![13]

---

[12] გაზ. საქ. რესპ. 26.11.2014.

[13] სტატიის აკარგიანობაზე მოსაზრებათა გაზიარებისთვის მადლობას მოვახსენებთ ბ-ნ ავთანდილ წულაძეს.



უწმიდესი პატრიარქი კირილეს მიმართვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების საჭეთმპყრობელებისადმი უკრაინაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით[1]

აღმოსავლეთ უკრაინაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, სადაც უკვე რამდენიმე თვეა არ წყდება ძმათა სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა, უწმიდესმა კირილემ მიმართა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების საჭეთმპყრობელებს და გამოითხოვა მათგან ლოცვა უკრაინის მიწაზე მშვიდობის დამყარებისათვის.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელმა აგრეთვე მოუწოდა მათ, აღიმაღლონ ხმა აღმოსავლეთ უკრაინის მართლმადიდებელ ქრისტიანთა დასაცავად, რომელნიც ბერძენ-კათოლიკეთა და განხეთქილებაში მყოფთა მხრიდან ძალადობას განიცდიან და ყოველ დღეს შიშში ატარებენ.

ეპისტოლე გავრცელდა 2014 წლის 14 აგვისტოს (Патриархия.ру).

კერძოდ,[2] კონსტანტინეპოლის პატრიარქის უწმიდესი ბართლომეოსის მიმართ გაგზავნილ ეპისტოლეში ნათქვამია:

თქვენო უწმიდესობავ, უფლისმიერ საყვარელო თანამოძმევ და თანამწირველო!

გულითადად მოგესალმებით თქვენ და გისურვებთ მშვიდობას, ხორციელ ძალთა მადლისმიერ განმტკიცებას და ღმრთის მოუკლებელ შემწეობას თქვენს სამღვდელთმთავრო მსახურებაში.

აღმოსავლეთ უკრაინაში, სადაც უკვე რამდენიმე თვეა ძმათა

---

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №3(13), 2014.

[2] როგორც ანოტაციაში არის აღნიშნული, ანალოგიური ეპისტოლე საქართველოს ეკლესიასაც უნდა მიეღო, მაგრამ საპატრიარქოს კანცელარიაში ჩვენ იგი ვერ მოვიძიეთ (რედ.).

სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი არ წყდება, ჩვენი ეკლესიის სამწყსოს მდგომარეობით გამოწვეულმა დიდი ტკივილის გრძნობამ და უკიდურესმა შეშფოთებამ აღმძრა, რათა თქვენთვის წინამდებარე წერილით მომემართა.

ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე, უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის დასაწყისში, ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიისა და განხეთქილებაში მყოფ საზოგადოებათა წარმომადგენლები, გამოდიოდნენ რა კიევის მაიდანზე, მართლმადიდებელი ეკლესიისადმი სიძულვილს ღიად ქადაგებდნენ და მართლმადიდებლური სიწმინდეების მიტაცებისა და უკრაინის ტერიტორიიდან მართლმადიდებლობის ამოძირკვისაკენ მოუწოდებდნენ. ხოლო საბრძოლო მოქმედებათა დაწყებისთანავე უნიატებმა და სქიზმატიკოსებმა, ხელთ იგდეს რა იარაღი, ანტიტერორისტული ოპერაციის საბაბით, ქვეყნის აღმოსავლეთით უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელოების მიმართ პირდაპირი აგრესიის განხორციელება დაიწყეს.

ამავე დროს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია, ბერძენ-კათოლიკეებისა და სქიზმატიკოსებისგან განსხვავებით, რაიმე პოლიტიკური ანგაჟირებისგან შორს დგას. იგი განაგრძობს სულიერ წინამძღვრობას თავისი მრავალრიცხოვანი სამწყსოსი, რომლის წევრები კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ; ეკლესია მათ შერიგებას ცდილობს და განუწყვეტლივ დიალოგისკენ მოუწოდებს.

ბოლო კვირეებში ადგილებზე მყოფი მღვდელთმთავრებისგან ჩვენ ვიღებთ ცნობებს, რომლებიც უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელოების აბუჩად აგდებასა და ის მიზანმიმართულ დევნაზე მოწმობენ. აი, რამდენიმე მაგალითი:

ამა წლის 17 ივლისს, ქალაქ სლავიანსკის აღდგომის ტაძარში საღმრთო ლიტურგიის შესრულების დროს ბერძენ-კათოლიკე სამხედრო კაპელანის მეთაურობით შეიარაღებულ პირთა ჯგუფი შეიჭრა, რომლებიც ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზ ვიტალი ვესიოლის დაემუქრნენ. უკრაინის ბერძნულ-კეთოლიკური ეკლესიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უკრაინაში მოსკოვის საპატრიარქოს ადგილი არ არის; იგი დრტვინავდა იმაზე, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა უნიატებს კიევის პეჩერის ლავრის დაპყრობის უფლება არ მისცა.

19 ივლისს შეურაცხყოფა მიაყენეს და მოკვლის მუქარით ბორკილდადებული დაკითხეს გორლოვის ეპარქიის ნიკოლაევის ოლქის ბლაღოჩინი, დეკანოზი ანდრეი ჩიჩერინდა.

20 ივლისს სლავიანსკის ახლოს, ავტომატებით შეიარაღებულმა

ადამიანებმა დეკანოზი ვადიმ იაბლონოვსკი აიძულეს, რომ თავისთვის საფლავი გაეთხარა, ხოლო დეკანოზ ვიქტორ სტრატოვიჩს იმავე დღეს ხელბორკილები დაადეს და თავზე ტომარაგადაცმული ტყეში წაიყვანეს, სადაც მუხლებზე დააჩოქეს და ამ მდგომარეობაში დაკითხავდნენ.

30 ივლისს დონეცკის ოლქის სოფელ კრასნოარმეისკოეში, შეიარაღებულ ადამიანთა ჯგუფმა წმიდა კეთილმორწმუნე თავადის ალექსანდრე ნეველის ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ იგორ სერგიენკოს სახლში უკანონო ჩხრეკა ჩაატარა. მღვდელს შეურაცხყოფდნენ, იატაკქვეშა ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობას აბრალებდნენ, წამებით ემუქრებოდნენ, მოითხოვდნენ, რომ მას უკრაინის ტერიტორია დაეტოვებინა და გაეცა ტაძრის სადამფუძნებლო დოკუმენტები, როგორც გამამაგრებელი უფლებებისა საეკლესიო ქონებაზე.

იმავე დღეს დონეცკის ოლქის ამვროსიევსკის რაიონში, უკრაინელმა სამხედროებმა დააკავეს დეკანოზი ევგენი პოდგორნი, რომელსაც სალანძღავი და უცენზურო სიტყვებით მიმართავდნენ, შემდეგ იგი შეკრეს, მიწაზე დააგდეს და წიხლებითა და ავტომატის კონდახით დაუწყეს ცემა, ტყვიებს მის თავს ზემოთ ისროდნენ და იმის აღიარებას აიძულებდნენ, რომ იგი სახალხო მოლაშქრეებს ეხმარებოდა. დონეცკელ დეკანოზს ძალას ატანდნენ, რომ სამღვდელო ჯვარი თვითონ ჩამოეხსნა, მაგრამ უარის მიღების შემდეგ ჯვარი ძალით ჩამოგლიჯეს და თავზე ტომარაგადაცმული ორმოში ჩასვეს, ვაჟიშვილის მოკვლით ემუქრებოდნენ, სახლი კი გაძარცვეს. მღვდელი მხოლოდ ეკლესიის მრევლის წარმომადგენელთა ჩარევის წყალობით გაათავისუფლეს.

ჩვენ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ ის ფაქტი, რომ კონფლიქტს უკრაინაში საკვებით გარკვეულად რელიგიური სარჩული აქვს. უნიატები და მათთან მიკედლებული განხეთქილებაში მყოფნი უკრაინაში კანონიკურ მართლმადიდებლობაზე უპირატესობის მოპოვებას ცდილობენ, მაშინ, როცა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია ამ რთულ პირობებში მოთმინებითა და მხნეობით განაგრძობს თავისი ტანჯული და ერთგული სულიერი შვილების წინამძღვრობას. დიდი უმრავლესობა მღვდლებისა, რომლებიც საომარ მოქმედებათა არენად ქცეულ ადგილებში მსახურობენ, სამწყსოს არ ტოვებენ და სამოქალაქო ომის მთელ საშინელებას მასთან ერთად იზიარებენ. მათი ოჯახები გაწამებულნი არიან თავდასხმებისა და წყლისა და სურსათის უკმარისობისგან, საარტილერიო სროლების დროს

ჭურვებისგან იღუპებიან. ასე მაგალითად, 31 ივლისს ლუგანსკის საცხოვრებელი კვარტლების დაცხრილვის დროს დაიჭრა და მალევე გარდაიცვალა დეკანოზი ვლადიმერ კრესლიანსკი. დაღუპულ მღვდელს მეუღლე და ხუთი შვილი დარჩა.

აღმოსავლეთ უკრაინა — აყვავებული მხარე, რომელიც მილიონობით შრომისმოყვარე მართლმადიდებელი ქრისტიანით არის დასახლებული — ამჟამად გადამწვარ ველს ემსგავსება. დაბომბვის შედეგად დანგრეულია დონეცკისა და მარიუპოლის მიტროპოლიტის ილარიონის რეზიდენცია. ნანგრევებად არის ქცეული დონეცკის ეპარქიის ივერიის დედათა მონასტერი, რომელიც საომარი მოქმედებების დროს დაიწვა. მაგრამ უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესია, მოწამე ეკლესია, მიუხედავად ამ უმძიმესი პირობებისა, თავის სამწყსოსთან იმყოფება და ყველაფერს აკეთებს, რომ დაეხმაროს ადამიანებს, რომლებიც უკრაინის უახლესი ისტორიის ყველაზე საშინელ პერიოდს განიცდიან. სამოქალაქო დაპირისპირების ცეცხლმა ასიათასობით ადამიანი სახლ-კარის გარეშე დატოვა და ლტოლვილად აქცია. ბევრმა მათგანმა ომის საშინელებათაგან თავის გადასარჩენად ტაძრებსა და მონასტრებს მიაშურა, კერძოდ, სვიატოგორსკის მიძინების ლავრა ამჟამად ლტოლვილებით არის გადავსებული. დონეცკში, გორლოვკასა და ლუგანსკში მშვიდობიანი მოსახლეობა, დაბომბვებისა და სროლებისაგან თავის გადასარჩენად, ღამის გასათევად ტაძრებში რჩება, სადაც თავს აფარებს და უფასო საკვებს იღებს. ლტოლვილებს და საერთოდ მშვიდობიან მოსახლეობას აქტიურ დახმარებას უწევენ სხვა მონასტრებიც, სამრევლოებიცა და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიებიც.

მოსკოვის საპატრიარქო ყველა შესაძლებლობას იყენებს ჰუმანიტარული დამხარების აღმოსაჩენად იმ რაიონების მშვიდობიანი მოსახლეობისა, სადაც საომარი მოქმედებები მიმდინარეობს. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძრებში ყოველდღიურად აღევლინება განსაკუთრებული ლოცვა უკრაინის მშვიდობისა და შინაომის დაძლევისათვის. ეკლესია ზრუნავს აღმოსავლეთ უკრაინიდან გადმოსულ მრავალ ათას ლტოლვილზე, რომლებიც საკარვე ბანაკებში არიან განთავსებულნი და საიდანაც ისინი რუსეთის სხვადასხვა რეგიონში სპეციალურად მომზადებულ საცხოვრებელ სახლებში გადაჰყავთ. ეხმარებიან ყველას, განურჩევლად ეროვნებისა და აღმსარებლობისა. მათ შორის, ვინც თავშესაფარს რუსეთში ეძიებს, არის უკრაინის არმიის მრავალი სამხედრო მოსამსახურე, ვინც არ ისურვა თავისი ხალხისთვის ესროლა.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ამ მძიმე დღეებში, განსაკუთრებით უკრაინაში მყოფი მისი ერთგული სულიერი შვილებისთვის, ვითხოვ ლოცვებს თქვენი უწმიდესობისა, ყოვლადსამღვდელო მღვდელთმთავრებისა, მოძღვრებისა, ბერ-მონაზვნებისა და კონსტანტინეპოლის უწმიდესი ეკლესიის ყველა ერთგული შვილისა უკრაინის მიწაზე მშვიდობის დამყარებისთვის, სისხლისღვრის შეწყვეტისა და უფლისთვის ნატანჯი ჩვენი ძმებისთვის, განსაკუთრებით მღვდელთმთავრებისა და მღვდლებისთვის, რომლებიც სამოქალაქო დაპირისპირების უმძიმეს პირობებში უშიშრად განაგრძობენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას, საეკლესიო მსახურების აღსრულებასა და წმიდა მართლმადიდებლობის დაცვას.

თქვენო უწმიდესობავ, გთხოვთ გამოიყენოთ ყველა შესაძლებლობა, რათა აღიმაღლოთ ხმა აღმოსავლეთ უკრაინის მართლმადიდებელ ქრისტიანთა დასაცავად, რომელნიც ბერძენ-კათოლიკეთა და განხეთქილებაში მყოფთაგან დიდ ძალადობას განიცდიან და იმ განსაცდელის შიშით ცხოვრობენ, რომელიც მათ და მათს ახლობლებს ყოველდღიურად მოელით; ისინი შიშობენ, რომ, თუ მდევნელები ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებენ, მართლმადიდებლებს საკუთარი სარწმუნოების უარყოფას აიძულებენ, ან მკაცრ დისკრიმინაციულ პირობებს შეუქმნიან.

უფლისმიერი ძმური სიყვარულით
+კირილე, პატრიარქი მოსკოვისა და
სრულიად რუსეთისა.

რედაქტორის მინაწერი.

წინამდებარე საზოგადო ეპისტოლის წაკითხვის შემდეგ, ვფიქრობთ, ბევრს გაუჩნდება კითხვა: ვის გავლენას განიცდის ქართული მედია, როცა იგი უკრაინის სახელისუფლო არმიასთან დაპირისპირებულ სახალხო მოლაშქრეებს (ополченцы) სეპარატისტებსა და ტერორისტებს უწოდებს? თუმცა რატომ მარტო მედია, ქართველი ჩინოვნიკებიცა და ექსპერტთა მთელი კოჰორტაც ხომ ამ ტერმინოლოგიით სარგებლობს?

არავისთვის საიდუმლო აღარ არის, რომ ქართული მედიის აშშ-ის მიერ დანიშნული იდეოლოგიური ინსტრუქტორები ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხს დასავლური ინტერესების გათვალისწინებით აშუქებენ. თუმცა ბეჭდურ მედიაში აქა-

იქ ეროვნული სულისკვეთებითა და სწორი პოლიტიკური ხედვით დაწერილი სტატიებიც ქვეყნდება, მაგრამ ისინი საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების ზნეობრივსა და გონებრივ განვითარებაზე, ზეგავლენას ვერ ახდენენ. ამასთან, გარდა იმისა, რომ ელექტრონული მედიის სივრცე დახშულია დასავლური ინსტრუქციების შეუსაბამო აზრისათვის, ტელე-რადიო მაუწყებლობათა რიცხვი იმდენად დიდია, რომ პრაქტიკულად მათზე თვალის მიდევნებას ადამიანი ვერ ახერხებს.

რა თქმა უნდა, ერთი-ორი ტელეარხიც სრულიად საკმარისი იქნებოდა ინფორმაციით მასების ზომბირებისთვის და მის მეპატრონეებს დიდი თანხებიც დაეზოგებოდათ, მაგრამ ეს მზაკვრული სტრატეგია, ინფორმაციის განტოტვა საზოგადოებაზე მასირებული თავდასხმისთვის, შემუშავებულია თითქმის უშეცდომოდ, რადგან მედიის უზარმაზარ ბადეში გახლართული მაყურებელი თუ მსმენელი ცნობის მომწოდებელზე (არხზე, პერსონაზე) ყურადღების შეჩერებას ვერ ასწრებს და მარტოოდენ გაუანალიზებელი, ზერელე და არასაიმედო ცნობების მიღებით კმაყოფილდება.

ჩვენს მედიას იმდენი ცრუ ექსპერტ-პოლიტოლოგ-კონფლიქტოლოგ-თეოლოგი ჰყავს, რომ მთელ საქართველოში, ეჭვგარეშე ვამბობ, არც მოიპოვება ამ რაოდენობის კრიტიკულად და ობიექტურად შემფასებელი სპეციალისტი, რომ საქმის ცოდნითა და მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობით თითოეული ყალბი ინფორმაციის მამხილებელი პუბლიკაცია მოემზადებინა. ამიტომაც დაუბრკოლებლად გაჰკივის ჩვენი მედია-მანქანა: გაუმარჯოს ნატო-ს! თანადგომა ლგბტ-ებს! ძირს რუსეთი!

ერთი სიტყვით, გასაგებია, რომ დასავლური პროპაგანდის შედეგად საქართველოში ერთიანი პოლიტიკური შეხედულებები მყისიერად ყალიბდება და, აქედან გამომდინარე, უკრაინაში წარმოშობილი მოვლენებიც ერთმნიშვნელოვნად არის შეფასებული: ამერიკის მიერ დაუფარავად მოწყობილი გადატრიალებით უკრაინის სათავეში მოსული რევოლუციონერები ეროვნულები არიან, ხოლო საკუთარი სამშობლოს გადასარჩენად ამხედრებული მოქალაქენი — ტერორისტები. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, აღნიშნული პოლიტიკური ხედვა, ერთი მხრივ, ერთ არეალში აქცევს ევროსაბჭოს, აშშ-ს, უკრაინის ახლანდელ პრეზიდენტს პ. პოროშენკოს, მის მრჩეველს, მ. სააკაშვილს და მის მხარდამჭერ «ერთიან ნაციონალურ მოძარაობას», ხოლო, მეორე მხრივ, აღიარებს დასავლეთის ზეწოლას და იმ საშიშროებას, რომელიც ნაცების როგორც საგარეო, ისე შინა ანტი-

სახელმწიფოებრივი ქმედებით არის გამოწვეული.

ფაქტია, რომ განხილული პოლიტიკური პოზიცია შინაგანად წინააღმდეგობრივია და ლოგიკურად მისი სისწორე შეუძლებელია დასაბუთდეს. დასავლეთი მართლაც ჩვენი მოკავშირე და მეგობარი რომ ყოფილიყო, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, იგი არც ბოროტმოქმედ სააკაშვილს შეიფარებდა და არც სხვა არანაკლებ დამნაშავე ნაცების ციხიდან გამოშვებას მოითხოვდა, მით უმეტეს, ისედაც ყველასთვის ცნობილი მათი კრიმინალური საქმიანობის გამოაშკარავების შემდეგ.

ხელისუფლების მდგომარეობას ის ართულებს, რომ ნაცებისგან მემკვიდრეობით მიღებული პროდასვალური იდეოლოგიის შეცვლის ძალა, სურვილის შემთხვევაშიც, არ შესწევს. იგი იძულებულია, მტერს მოყვარე უწოდოს და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინოს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ხელისუფლების მიერ პოლიტიკური კურსის ერთპიროვნულად განსაზღვრამ, უფრო სწორად, გაგრძელებამ, შესაძლოა, არა მარტო მისი კრახი, არამედ სამოქალაქო კრიზისიც გამოიწვიოს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქვეყნის კეთილისმყოფელ მთავრობას შიშიც კი უნდა ჰქონდეს იმისა, რომ საორჭოფო პოლიტიკით, საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლად, სახელმწიფოს რაიმე ახალი ხიფათი არ შეამთხვიოს. მით უმეტეს, მსოფლიოში წარმოქმნილი კატაკლიზმების გათვალისწინებით, პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის განაწილება არა მარტო ქვეყნის, არამედ თვით ხელისუფლებისთვისაც სასარგებლო იქნებოდა.

დღეს რუსეთი და მისი ეკლესია მართლმადიდებლობის სადარაჯოზე დგას. რამდენიც არ უნდა ამტკიცონ რუსოფობებმა და ერეტიკოსებმა — რუსეთი არის ბოროტების იმპერიაო, რეალობა მაინც არ შეიცვლება. ცრუ მოძღვრები არც ჩვენს ეკლესიას აკლია, მაგრამ მართლმადიდებელმა მრევლმა იცის, რომ რუსეთთან დაპირისპირებული დასავლეთი თვით არის ერეტიკული, ცოდვათა დამკანონებელი და ჭეშმარიტების მოძულე.

ჩვენ უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ დღევანდელი რუსეთის ძლევამოსილება ღმრთის წყალობაა არა მარტო ჩვენთვის, როგორც მართლმადიდებლური ქვეყნისთვის, არამედ მთელი კაცობრიობისთვისაც, რადგან აქამდე ერთპოლუსიანი მსოფლიოს წესრიგს მარტო აშშ ადგენდა, ხოლო რუსეთის ახალი პოლიტიკა მრავალპოლუსიანი მსოფლიო წესრიგის დასამყარებლად, როგორც პოლიტოლოგები მიიჩნევენ, ერთადერთი პრაგმატული გზაა, რომელმაც შეიძლება სამყარო მესამე მსოფლიო ომისგან იხსნას.

ისე, დავუშვათ და ბედის ბორბალი რომ სხვაგვარად დატრიალდეს, დოლარის იმპერია განადგურდეს და დასავლეთმა თავისი იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული საქმიანობა საბოლოოდ შეწყვიტოს, ამით, კერძოდ საქართველოში, რა დაზარალდება: განათლების სისტემა, სიტყვის თავისუფლება, მორალური კოდექსი თუ სისხლის სამართალი? — დაზარალებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სწორედ დასავლელი პარტნიორების ხელშეწყობით თითოეულს დასახელებულ ინსტიტუტთაგან დღეს რომ ძალიან უჭირს, ეს დღესავით ნათელია. მთლად უგუნურები არ გამოვდექით, ბოლოს და ბოლოს ჩვენც «ჩავწვდით ამერიკულ სულს» და აღმოვაჩინეთ, რომ მასაც მწვანე ფერი ჰქონია. თავის დროს ნაცების, ახლა კი უკრაინის, ეკონომიკურმა იდეოლოგმა კ. ბენდუქიძემ, ყველაფერი იყიდება სინდისის გარდაო, რომ თქვა, მოიტყუა; როცა ისიც მწვანეა, მაშინ შესაბამისი ფერის ვალუტა მასაც ყიდულობს. საქმე ისაა, რომ, როცა სულიერი ღირებულებები სპეტაკ ფერს იცვლიან, მაშინ ისინი არსებით თვისებებსაც კარგავენ: სული უტყვი ხდება, სინდისი კი — ყრუ.

ჩვენც ამგვარ მდგომარეობაში რომ არ აღმოვჩნდეთ და სულიერად არ გავღატაკდეთ, სიმართლის გზა უნდა ავირჩიოთ და გამწვანებას გასპეტაკება ვამჯობინოთ. თორემ «მოვა მიქელ-გაბრიელი» მარტო რეფრენი კი არ არის, ერთ მშვენიერ დღეს განკითხვის ჟამი ყოველ ჩვენგანს დაუდგება. მაშინ თავს ვერავინ იმართლებს იმით, რომ ამერიკისა თუ ევროპის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების მიხედვით იქცეოდა; მაშინ ყველა საქმეთა მისთაებრ აგებს პასუხს.

ასე რომ, ღირსია ყურადღებისა უწმიდესი პატრიარქი კირილეს ეპისტოლე, რათა მართლმადიდებლობის ამოძირკვის მოსურნენი და სამშობლოს დამცველი მოლაშქრენი ერთმანეთში არ აგვერიოს.





მკითხველს ვთავაზობთ აგვისტოს ომთან დაკავშირებით ევრაზიის ინსტიტუტის სპეციალისტების გამოკვლევას, რომელიც შარშან, 2013 წელს მოამზადდა. მას გარკვეული სიცხადე შეაქვს ამ უმნიშვნელოვანესი და ტრაგიკული მოვლენის მთელ რიგ საკვანძო საკითხებში. ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ მისი გამოქვეყნება.
"სამი საუნჯის" რედაქცია.

აგვისტოს ომი[1]
პასუხები მთავარ კითხვებზე ხუთი წლის შემდეგ

წინასიტყვაობა

როდესაც 2008 წლის აგვისტოში მომხდარ მოვლენებზე ჩამოვარდება საუბარი, ხშირად გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელმა მხარემ დაიწყო საომარი მოქმედებები 8 აგვისტოს, ან შემოვიდა თუ არა რუსეთის ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 7 აგვისტოს. ამგვარი პოზიციის დამცველები აცხადებენ, რომ თითქოს ომი რუსეთსა და საქართველოს შორის „200 წელია მიმდინარეობს" (იგულისხმება პერიოდი ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების დროიდან).

სინამდვილეში, სააკაშვილის რეჟიმი ჯერ კიდევ აგვისტოს ომამდე დიდი ხნით ადრე შეგნებულად ძაბავდა რუსეთთან ურთიერთობებს. როგორც მკითხველი დაინახავს, ეს ხდებოდა შეგნებულად და ამით მზადდებოდა სიტუაცია, რომ საომარი მოქმედებები გარდაუვალი გამხდარიყო. სააკაშვილის მიერ ქართულ-რუსული ურთიერთობების დაძაბვა იქამდე დაიწყო, ვიდრე ის პრეზიდენტად

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე", №3(13), 2014.

მოევლინებოდა საქართველოს. ჩვენ მიერ გამოცემულ ბროშურაში „რუსეთი და საქართველო: რა ხდება“ (2010 წ.) შეტანილია ცნობილი პუბლიცისტის, თემურ მირიანაშვილის მონაყოლი 1997 წელს რუსეთის სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის შესახებ, რომლის ჩაშლასაც სააკაშვილი შეეცადა[2].

ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ კი „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის პროვოკაციულმა გამოხტომებმა რუსეთის და მისი ხელმძღვანელობის მიმართ პიკს მიაღწია. ზემოთ ნახსენებ ბროშურაში მოტანილია ასევე ფაქტები, თუ როგორ ლანძღავდნენ, მასხრად იგდებდნენ და დასცინოდნენ პირადად პუტინს და სხვა რუს მაღალჩინოსნებს სააკაშვილი, მისი მთავრობის წევრები თუ ოფიციალურ წრეებთან დაახლოებული ე.წ. ექსპერტები. ისინი შეურაცხყოფას აყენებდნენ რუს ხალხს. მაგალითად, იმხანად ეკონომიკის მინისტრად დანიშნული ი. ოქრუაშვილი აცხადებდა, რომ რუსეთში „ფეკალური მასაც“ რომ შევიტანოთ, რუსები მაინც დალევენო[3].

ასევე ხელოვნურად ძაბავდა ქართულ-რუსულ ურთიერთობებს სააკაშვილის რეჟიმის ქმედებები. მაგალითად, ე.წ. რუსი ჯაშუშების დაკავების დროს, მათ დემონსტრაციულად დაატარებდნენ ქალაქის ქუჩებში, ქალი-პოლიციელების „ბადრაგის“ ქვეშ, რითაც ვითომ ნიშნს უგებდნენ რუსეთს: ნახეთ, როგორი „ცივილიზებული“ და „ევროპული“ სახელმწიფოს შექმნა მოვახერხეთ ჩვენ, „ნაცებმა“, ორიოდე წელიწადში, თქვენ კი ისევ „ველურ რუსებად“ დარჩით. ამავე დროს, ცდილობდნენ რუსი ოფიცრების მორალურად დამცირებას.

მსგავსი გამოხტომები სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან მრავლად იყო, რასაც რუსეთი უპასუხოდ არ ტოვებდა. ამას კი, თავის მხრივ, ლანძღვის და კრულვის მორიგი ნიაღვარი მოსდევდა სააკაშვილის და მისი „თანამებრძოლების“ მხრიდან. ამგვარად იქმნებოდა ჩაკეტილი წრე, რომელიც სულ უფრო ძაბავდა რუსულ-ქართულ ურთიერთობებს.

ეს ყველაფერი დასრულდა 2008 წლის 7 აგვისტოს საღამოთი, როცა, სააკაშვილის ბრძანებით, ქართული არმიის არტილერიამ მასირებული ცეცხლი გახსნა ცხინვალის და ოსური სოფლების

---

[2] „რუსეთი და საქართველო: რა ხდება“, ევრაზიის ინსტიტუტის გამოცემა, თბ., 2010, გვ. 14-16. ვებ-გვერდზე: **http://geurasia.org/wp-content/uploads/2010/02/ruseTi-da-saqarTvelo-broshurisatvis-FULL-VERSION1.pdf**

[3] **“МИД РФ в представлении послу Грузии особо отметил «фекальные массы» министра обороны Окруашвили” (26/04/2006)- http://newsru.com/russia/26apr2006/vino.html**

მიმართულებით. დაიწყო აქტიური საომარი მოქმედებები, რომლებიც რამდენიმე დღე გაგრძელდა და დამთავრდა საქართველოს სამხედრო ფორმირებების სრული გამოდევნით როგორც ცხინვალის რეგიონის, ასევე აფხაზეთის ტერიტორიიდან.

თუმცა, ამის შემდეგაც სააკაშვილის რეჟიმი განაგრძობდა პროვოკაციულ ქმედებებს. კერძოდ, პირადად სააკაშვილმა უარი განაცხადა სარკოზი-მედვედევის შეთანხმების ტექსტში ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის სტატუსის შესახებ მოლაპარაკებების გამართვის შეტანაზე. ამავე დროს, იმუქრებოდა რუსეთის გამოცხადებით ოკუპანტად და „პარტიზანული ომის" დაწყებით. რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ გადაწყვეტილება სწორედ ამ პირობებში მიიღო.

იმისთვის, რომ აღვადგინოთ მოვლენათა ქრონოლოგია და გავარკვეთ მათ მამოძრავებელ მიზეზებში, თანმიმდევრობით უნდა განვიხილოთ მთავარი კითხვები და შევეცადოთ, მათ დასაბუთებული პასუხები გავცეთ.

შეკითხვა პირველი: ვინ იყო დაინტერესებული ომის გაჩაღებით? ამ შეკითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა გავერკვეთ კიდევ ერთ კარდინალურ საკითხში: **ვინ ისარგებლა აგვისტოს ომის შედეგებით?**

ერთი შეხედვით, ჩანს, რომ ომის შედეგებით ისარგებლა რუსეთმა და „საქართველოს წაართვა მისი ძირძველი ტერიტორიები". სინამდვილეში, საქმე გაცილებით უფრო რთულად არის.

ისტორიიდან მრავლად ვიცით ფაქტები, რომ ბრძოლის ან თუნდაც ომის მოგება სულაც არ ნიშნავს ავტომატურად პოლიტიკური დივიდენდების მიღებას. რუსეთის არმია გამარჯვებული გამოვიდა აგვისტოს ომიდან, მაგრამ სამხედრო წარმატება გადაფარა პოლიტიკურმა დანაკარგებმა:

ა) რუსეთმა გაიმყარა პოზიციები აფხაზეთში და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, მაგრამ დაკარგა ყველაფერი საქართველოში, მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობების საშუალება. ამავე დროს, გეოსტრატეგიულად საქართველო გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია რუსეთისთვის.

ბ) რუსეთს მკვეთრად გაურთულდა ურთიერთობები დასავლეთთან ამ კონფლიქტის გამო, რაც აშკარად არ შედიოდა ახლადარჩეული პრეზიდენტის დ. მედვედევის გეგმებში.

გ) ეკონომიკურად რუსეთმა ვერაფერი მოიგო, პირიქით, ის

იძულებული იყო, ძალზე დიდი საბიუჯეტო სახსრები ჩაედო ცხინვალის აღდგენაში. აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ ამჟამადაც განაგრძობენ დოტაციების მიღებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

კიდევ ერთი ფაქტი: თავად სააკაშვილმა სახალხოდ აღიარა, რომ სწორედ მან, როგორც მარიონეტმა დასავლეთის ხელში, დაიწყო აგვისტოს ომი. მის კუთვნილ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-თან ინტერვიუში[4], მან განაცხადა (თითქმის სიტყვა-სიტყვით ციტირება): „და რა მოიგო რუსეთმა აგვისტოს ომით? სულ ორიოდე სოფელი. დაკარგვით კი ბევრი რამე დაკარგა“.

ამონარიდი გულბაათ რცხილაძის სტატიიდან, რომელიც გამოქვეყნდა ევრაზიის ინსტიტუტის ვებ-გვერდზე: „სწორედ ამის შესახებ ვწერ და ვსაუბრობ ორდღიანი ომის დასრულების მომენტიდან მოყოლებული. რუსეთს „შეტენეს“ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება, რითაც მას ხელ-ფეხი შეუკრეს კავკასიის სამხრეთით — რუსეთის გავლენა ამ ტერიტორიებში ჩაიკეტა. ამის შესახებ ნათქვამია ჟურნალ „ქართული ელიტისადმი“ მიცემულ ვრცელ ინტერვიუში, ხოლო სულ ახლახანს რადიოგადაცემაში „პროვოკატორი“ განვაცხადე, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა აიძულეს, ეცნო ქართული ტერიტორიების დამოუკიდებლობა, რამაც ისტერიული კრუნჩხვები და კონვულსიები გამოიწვია აწ უკვე ჩამოშლილი სააკაშვილის რეჟიმის დაქირავებულ აპოლოგეტებს შორის. ეს იმიტომ, რომ, ცხადია, რუსეთს უბიძგეს აღიარებისკენ ომის საშუალებით, რომელიც გააჩაღეს სააკაშვილის ხელით“[5].

შეკითხვა მეორე: სურდა თუ არა რუსეთს აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარება?

2008 წლის თებერვალში ნატო-ს მიერ ოკუპირებულმა კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობამ მყისიერად აღიარა ის. რუსეთი, რომელიც გამოდიოდა საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან და საღი აზრიდან, გადაჭრით შეეწინააღმდეგა კოსოვოს დამოუკიდებლობას. მაგრამ დასავლეთმა არ შეისმინა რუსეთის პოზიცია. ბევრი პოლიტოლოგი

[4] ნინო შუბლაძის საავტორო გადაცემა „პოზიცია“, 16 აპრილი, 2013 წ.: **http://babajana.co/index.php?newsid=14768**

[5] „მ. სააკაშვილმა გულბაათ რცხილაძის ციტირება მოახდინა ანუ ექს-პრეზიდენტის გულწრფელი აღიარება“: **http://geurasia.org/geo/1416/m-saakashvilma-gulbaat-rcxiladzis-citireba-moaxdina-anu-eqs-prezidentis-gulcrfeli-agiareba.html**

ელოდა, რომ ამის შემდეგ მოსკოვი სიმეტრიულ ზომებს მიიღებდა და აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობას აღნიშნავდა, რისთვისაც მას მხოლოდ უმნიშვნელო საბაბი სჭირდებოდა. თუმცა მოხდა საპირისპირო რამ — რუსეთი საერთაშორისო სამართლის ერთგული აღმოჩნდა და არ აღიარა კავკასიური რესპუბლიკების დამოუკიდებლობა. აქედან ჩანს, რომ რუსეთი არ იყო დაინტერესებული საქართველოს დანაწევრებით.

გარდა ამისა, რუსეთის საზღვრებთან წარმოიქმნა არაბუნებრივი სიტუაცია: ე.წ. სამხრეთ ოსეთი, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია მასზე ბევრად უფრო დიდ და განვითარებულ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაზე, „დამოუკიდებლად“ ითვლება, იმ დროს, როცა ჩრდილოეთ ოსეთი რუსეთის ნაწილს წარმოადგენს. გრძელვადიან პერსპექტივაში ამგვარმა სიტუაციამ შეიძლება ნეგატიური შედეგები იქონიოს რუსეთის ფედერაციული მოწყობის სტაბილურობისთვის.

რუსეთის ინტერესებში არც ის შედის, რომ აფხაზეთმა რეალურად განიმტკიცოს თავისი დამოუკიდებლობა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზი სეპარატისტები გარეგნულად ინარჩუნებენ რუსეთის მიმართ ერთგულებას, არც ის არის საიდუმლო, რომ აფხაზურ საზოგადოებაში არის უკმაყოფილება ჩრდილოელ მეზობელზე მეტისმეტად დიდი დამოკიდებულების გამო. აფხაზები ცდილობენ კავშირების გაბმას თურქეთთან, სადაც ცხოვრობს მრავალრიცხოვანი აფხაზური დიასპორა, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან და ა.შ.

თუკი სოხუმი მოახერხებს თანდათანობით შეამციროს რუსეთზე დამოკიდებულება, რისი შანსიც არსებობს, რუსეთისთვის ახალი თავის ტკივილი გაჩნდება კავკასიაში. ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს საფრთხეები რუსეთის ხელმძღვანელობას გათვლილი არ ჰქონოდა თავის დროზე.

შეკითხვა მესამე: მაშ, რატომ აღიარა რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების დამოუკიდებლობა, თუ ეს გადაწყვეტილება ნეგატიურად აისახებოდა მის პოლიტიკურ ინტერესებსა და ეკონომიკაზე?

რუსეთმა იძულებით გადადგა ეს ნაბიჯი. შექმნილ სიტუაციაში პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოსაზრებებზე უფრო მაღლა იდგა ის გარემოება, რომ თუკი რუსეთი ამ ორ რესპუბლიკას დამოუკიდებლად არ სცნობდა, მოსკოვი სიტუაციაზე კონტროლს დაკარგავდა

და აღარ დარჩებოდა იურიდიული საფუძველი, ამ ტერიტორიებზე ჯარების დატოვებისა.

გავიხსენოთ რუსეთის პრეზიდენტის, დ. მედვედევის განცხადება 2008 წლის 26 აგვისტოს, როცა მან აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარების შესახებ გამოაცხადა: განცხადებაში მედვედევმა ხაზი გაუსვა, რომ დამოუკიდებლობის აღიარება მისთვის „მძიმე გადაწყვეტილება“ იყო[6].

შეკითხვა მეოთხე: ვინ იყო რეალურად დაინტერესებული რუსეთსა და საქართველოს შორის სამხედრო კონფლიქტის გაჩაღებით და რუსეთის მიერ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის აღიარებით?

პირველ რიგში, სტრატეგიულად ეს ხელსაყრელი იყო ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. მართლაც, თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ აშშ, ჯერჯერობით მაინც, არ გამოხატავს ინტერესს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მიმართ. ამავე დროს, ამერიკელთა ინტერესი საქართველოს დანარჩენი ტერიტორიის მიმართ აშკარაა. ეს ტერიტორია, წითელი ხიდიდან ფოთის და ბათუმის პორტებამდე, ხელსაყრელი სატრანზიტო „დერეფანია“. აფხაზებს და ოსებს არ შეუძლიათ და არც სურთ ხელი შეუშალონ ამ „დერეფნის“ ფუნქციონირებას, სამაგიეროდ, „დერეფნად“ გადაქცეული საქართველო ამერიკის ერთგულ ვასალად იქცა.

საქართველოს რომ ჰქონოდა დაბალანსებული ურთიერთობები რუსეთთან, მაშინ აქ არ იქნებოდა ტოტალური ამერიკული გავლენა, და არც საკაშვილის რეჟიმი იარსებებდა. უფრო მეტიც, ქვეყანას გაუჩნდებოდა გაერთიანების ბევრად უკეთესი პერსპექტივა.

სწორედ ამიტომ, ამერიკელებმა, საკაშვილის რეჟიმის ხელით, ამგვარი პროვოკაცია მოუწყვეს რუსეთს და, ფაქტობრივად, აიძულეს ის, რომ მიეღო მისთვის ნაკლებად მომგებიანი გადაწყვეტილება. რუსეთს „მიაჩეჩეს“ აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“, როგორც „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოები, პარალელურად კი ლამის საბოლოოდ გააფუჭეს ურთიერთობები რუსეთსა და საქართველოს შორის.

გავიხსენოთ ასევე, რა ხდებოდა აშშ-ში 2008 წლის ზაფხულში.

---

[6] **“…я подписал указы о признании Российской Федерацией независимости Южной Осетии и независимости Абхазии. Россия призывает другие государства последовать её примеру. Это нелёгкий выбор, но это единственная возможность сохранить жизни людей”. – Заявление Президента Российской Федерации Дмитрия Медведева (26/08/2008): http://archive.kremlin.ru/text/appears/2008/08/205744.shtml**

ამ დროს იქ მიმდინარეობდა დაძაბული ბრძოლა პრეზიდენტის პოსტისთვის. რესპუბლიკურ პარტიას წარმოადგენდა სენატორი ჯონ მაკკეინი, რომელიც ასევე ცნობილია თავისი მჭიდრო კონტაქტებით სააკაშვილთან და მისი მფარველობით. მაკკეინი აშკარად ჩამორჩებოდა რეიტინგით დემოკრატთა კანდიდატს — ბარაკ ობამას.

საქართველოში ომის დაწყების შემდეგ, აშშ-ს საარჩევნო კამპანიაში აქცენტებმა გარკვეული პერიოდით გადაინაცვლა საგარეო პოლიტიკის სფეროში. მაკკეინის გუნდმა ეს თემა გადააქცია დებატების მთავარ თემად და რუსეთისგან მტრის ხატის შექმნა დაიწყო. მაკკეინის რეიტინგი სწრაფად დაეწია ობამას რეიტინგს[7] და ვინ იცის, ვინ გაიმარჯვებდა ამ არჩევნებში, რომ არა იმავე წლის შემოდგომაზე დაწყებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი.

კრიზისმა მძიმე დარტყმა მიაყენა ბუშის ადმინისტრაციისა და რესპუბლიკელთა რეპუტაციას, რომლის წარმომადგენელი იყო მაკკეინი. ამის შემდეგ ობამას პოზიციები ისევ გაძლიერდა. ამიტომ ცხადია, რომ აშშ-ის რესპუბლიკური ადმინისტრაცია დაინტერესებული იყო ამ ომის გაჩაღებით, როგორც ამერიკელი ამომრჩევლის ყურადღების გადატანის საშუალებით ეკონომიკური პრობლემებიდან.

მხოლოდ სრულიად გაუთვითცნობიერებელი ადამიანი თუ დაიწყებს კამათს იმაზე, რომ ბუშის ადმინისტრაციას აბსოლუტური გავლენა ჰქონდა სააკაშვილზე და მის გარემოცვაზე. პროამერიკელი „გრანტიჭამიების“ და დაქირავებულების ლუღლუღი იმის შესახებ, რომ თითქოს ამერიკელები „აფრთხილებდნენ“ სააკაშვილს, არ დაეწყო ომი, სრული ტყუილია. პირიქით, კულუარული მოლაპარაკებები (გავიხსენოთ, მაგალითად, კონდოლიზა რაისის ვიზიტი საქართველოში ომამდე ცოტა ხნით ადრე) ამერიკის წამქეზებლურ როლზე მიუთითებენ. სააკაშვილი, შესაძლოა, ფსიქოპათია, მაგრამ შეურაცხადი ნამდვილად არ არის და ვერ წავიდოდა რუსეთთან ომზე, ამერიკის ნების საწინააღმდეგოდ. ეს დამღუპველი

---

[7] **შდრ.: “В Америке практически все выгоды от грузинского вторжения в Южную Осетию достались республиканцам. Об этом наглядно говорит предвыборный рейтинг Маккейна. Если в начале августа он отставал от Обамы на 7%, то с началом грузино-югоосетинского конфликта его рейтинг начал стремительно расти и к 23 августа сравнялся с рейтингом Обамы – 47%. Правда, дальше дело не пошло: война закончилась, американцы поняли, что «продолжения банкета» не последует, и рейтинг Маккейна сразу начал сдуваться: по состоянию на 1 сентября Обама снова ушел в отрыв – его рейтинг достиг 50%, тогда как рейтинг Маккейна снизился до 42%”. – cit.: Юрий Баранчик: “Большая война, которая принесет победу Маккейну” (16/09/2008) – http://ruskline.ru/monitoring_smi/2008/09/16/bol_shaya_vojna_kotoraya_prineset_pobedu_makkejnu/**

იქნებოდა პირადად მისთვის.

შეკითხვა მეხუთე: ვინ დაიწყო ომი?

თუმცა, ხანდახან ისეც ხდება, რომ დიდ პოლიტიკაზე, მათ შორის ომზე, გავლენას ახდენს შემთხვევითობა. სახელმწიფო მოღვაწეები გადაწყვეტილებებს ყოველთვის როდი იღებენ რაციონალურად და პასუხისმგებლობის გრძნობით. მაგალითად, ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში აცხადებდა, რომ ერაყში შეჯრა მას „ღმერთმა უკარნახა“. მაშ, იქნებ აგვისტოს ომი მართლაც რუსეთმა დაიწყო, თავისივე ინტერესების საპირისპიროდ?

თუკი აქამდე ძირითადად თეორიული არგუმენტებით შემოვიფარგლეთ, ახლა ფაქტებიც განვიხილოთ. ფაქტები კი მრავლისმეტყველია.

საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების მიერ სრულად კონტროლირებადი ტელეკომპანიის, „რუსთავი 2“-ის ეთერში, 2008 წლის 7 აგვისტოს, დაახლოებით 23 საათსა და 30 წუთზე, გადაიცა ცხინვალის რეგიონში ქართული სამშვიდობო ძალების სარდლის, გენერალ მამუკა ყურაშვილის განცხადება, რომელშიც ის აცხადებდა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა“ რეგიონში.

იმავე ტელევიზიის კადრებში ჩანდა, თუ როგორ ისროდნენ ზალპური ცეცხლის სარაკეტო დანადგარები ცხინვალის მიმართულებით. მოგვიანებით, აგვისტოს მოვლენათა შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის სხდომაზე, გენერალი ყურაშვილი შეეცადა იმპულსურობით აეხსნა საკუთარი განცხადება და ამტკიცებდა, რომ ის არ ყოფილა შეთანხმებული ქვეყნის ხელმძღვანელობასთან, თუმცა ეს დაგვიანებული თავის მართლება ნაკლებად დამაჯერებლად გამოიყურება.

პრეზიდენტ სააკაშვილის სატელევიზიო გამოსვლებში 2008 წლის 7 და 8 აგვისტოს, არაფერი იყო ნათქვამი რუსეთის ჯარის ყოფნის შესახებ ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე; უფრო მეტიც, სააკაშვილი აცხადებდა, რომ ქართული ჯარი სრულად აკონტროლებდა „სამხრეთ ოსეთის“ მთელ ტერიტორიას, გარდა დაბა ჯავისა. იმავეს იმეორებდნენ ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები — სახელმწიფო მინისტრი თ. იაკობაშვილი, განათლების მინისტრი კ. ლომაია, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ე. ზღულაძე და ა.შ. არც ერთ მათგანს სიტყვა არ დაუძრავს რუსეთის

ჯარის შესახებ 2008 წლის 9 აგვისტომდე.

დადასტურებული ფაქტია, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს ღამით, მოხდა შეიარაღებული შეტაკება ქართულ სამხედრო ფორმირებებსა და რუს სამშვიდობო ძალთა ბატალიონს შორის. დაიღუპა სამშვიდობო ბატალიონის რამდენიმე რუსი ოფიცერი და ჯარისკაცი[8]. არანაირი დახმარება რუსეთის არმიის ნაწილებისგან იმ დროს სამშვიდობო ძალთა ბატალიონს არც იმ ღამით და არც მომდევნო დღეს არ მიუღია, რადგან რუსული ნაწილები ცხინვალში და მის მისადგომებთან ჯერ კიდევ არ იმყოფებოდნენ.

ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს გააჩნიათ სატელიტური თვალთვალის საშუალებები, რომლებსაც შეეძლოთ დაეფიქსირებინათ რუსული ჯავშანტექნიკის და ჯარის ნაწილების შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის 7 აგვისტომდე. თუმცა დღემდე არ ყოფილა წარმოდგენილი შეერთებული შტატების მხრიდან ამგვარი ფაქტის დამადასტურებელი მასალა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს მასალა არ არსებობს.

შედარებით მიუკერძოებელმა და ნეიტრალურმა, ე.წ. ტალიავინის კომისიამ გამოაქვეყნა დასკვნა, რომელშიც ნათლად არის ასახული, რომ საბრძოლო მოქმედებები 2008 წლის 7 აგვისტოს დაიწყო ქართულმა მხარემ. აი, რამდენიმე ფრაგმენტი ხსენებული კომისიის მოხსენებიდან[9]:

„2008 წლის 7-დან 8 აგვისტოს ღამეს ქართულმა არტილერიამ ქალაქ ცხინვალზე განუწყვეტელი საარტილერიო შეტევა მიიტანა. ხდებოდა ქართული შეიარაღებული ძალების სხვა გადაადგილებებიც ცხინვალისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების მიმართულებით. მალე ბრძოლაში რუსეთის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სამხედრო ნაწილები და შეიარაღებული ქვედანაყოფები ჩაერთნენ. თუმცა, საქართველოს იერიში სამხრეთ ოსეთის მიმართულებით მალევე შეჩერდა. კონტრშეტევის შედეგად, რომელიც საჰაერო დარტყმებითა და შავი ზღვის ფლოტის ქვედანაყოფების მონაწილეობით განხორციელდა, რუსეთის შეიარაღებული ძალები ღრმად შეიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე, გადაკეტეს ქვეყნის ძირითადი აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალი, მიაღწიეს ფოთის პორ-

[8] **"Опубликован список миротворцев, погибших в Южной Осетии" (12/08/2008): http://top.rbc.ru/society/12/08/2008/220297.shtml .** სააკაშვილის რეჟიმის ვერაგული თავდასხმის შედეგად, რუსებს, სულ მცირე, 15 სამშვიდობო მისიაში მონაწილე ჯარისკაცი დაუხოცეს.

[9] **Международная независимая Комиссия по установлению фактов по конфликту в Грузии – отчет (сентябрь 2009 г.).** სრული ტექსტის ნახვა შეიძლება შემდეგ ბმულზე: **http://www.wiz-aut.narod.ru/sources/L078_IFFMCG_vol_1_RUS.pdf**

ტამდე და თბილისის, საქართველოს დედაქალაქის მახლობლად გაჩერდნენ“.

„ქართული შეიარაღებული ძალების მიერ ცხინვალის საარტილერიო დაბომბვით 2008 წლის 7-დან 8 აგვისტოს ღამეს დაიწყო ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი საქართველოში. თუმცა, ეს იყო დიდი ხნის განმავლობაში მზარდი დაძაბულობების, პროვოკაციებისა და ინციდენტების კულმინაცია“.[10]

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ 2008 წლის 6 ნოემბერს გამოქვეყნდა ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის ზონაში მომუშავე დამოუკიდებელი სამხედრო დამკვირვებლების მოხსენების შესახებ ინფორმაცია, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ქართული მხარის ვერსიას ომის დაწყების შესახებ[11]. მოხსენებებში ნათქვამია, რომ საქართველოს გამოუცდელმა სამხედრო ფორმირებებმა მასიური საარტილერიო და სარაკეტო ცეცხლი გაუხსნეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალს 2008 წლის 7 აგვისტოს, რითაც საფრთხის ქვეშ დააყენეს მშვიდობიანი მოსახლეობა, რუსი სამშვიდობოები და უიარაღო დამკვირვებლები.

საერთაშორისო დამკვირვებელები ასევე წერენ ამ მოხსენებებში, რომ მათ ვერ შეძლეს დაედასტურებინათ ქართული მხარის განცხადებები იმის შესახებ, რომ ქართული სოფლები იბომბებოდა იმ საღამოს, რაც თბილისის ერთ-ერთი არგუმენტი იყო.

ყველა ეს ზემოთ მოყვანილი და კიდევ სხვა ფაქტები მიუთითებს იმაზე, რომ 2008 წლის 7 აგვისტოს საღამოსთვის, „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე არ იმყოფებოდა რუსეთის შეიარაღებული ძალების რამდენადმე მნიშვნელოვანი კონტინგენტი და რომ საქართველოს ხელისუფლებამ მოახდინა სამხედრო ფორმირებების დიდი კონცენტრაცია ცხინვალის მისადგომებთან. ამ ნაწილებმა 7 აგვისტოს ღამის 23.30 წუთზე და 8 აგვისტოს ღამით, განახორციელეს მასიური იერიშები ოსური ფორმირებების წინააღმდეგ, დროებით დაიკავეს ქალაქ ცხინვალის ნაწილი და მის ირგვლივ მდებარე სოფლების უმრავლესობა, წაიწიეს დაბა ჯავის მიმართულებით, რის შემდეგაც დაიწყო რუსეთის საჯარისო ნაწილების შემოსვლა რეგიონის ტერიტორიაზე, რომლებმაც წამოიწყეს კონტრშეტევა და რამდენიმე დღის ბრძოლების შემდეგ, განდევნეს ქართული სამხედრო ქვედანაყოფები „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიიდან.

---

[10] იხ. მოხსენების გვ. 10-11.

[11] **“Georgia Claims on Russia War Called Into Question” – NYT: http://www.nytimes.com/2008/11/07/world/europe/07georgia.html?_r=2&oref=slogin&**

შეკითხვა მეექვსე: ითხოვს თუ არა რუსეთი საქართველოსგან აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებას?

რუსეთსა და საქართველოს შორის დიალოგის და მათი დაახლოების მოწინააღმდეგეები ცრუობენ, თითქოს რუსეთის ფედერაცია საქართველოსგან მოითხოვს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, ანუ, მათი ლოგიკით, ქართულ-რუსული დაახლოება გამოიწვევს უზარმაზარ მსხვერპლს ქართული მხრიდან — საკუთარი ტერიტორიების აღიარებას „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად". ეს ტყუილია და პროვოკაცია, ოფიციალურ მოსკოვს ასეთი რამე არასოდეს მოუთხოვია.

რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევის განცხადება, რომელიც მან საქართველოსთან დაკავშირებით გაზეთ „კომერსანტში" გააკეთა, მთლად სწორად არ აღიქმება ქართული მასმედიისა და ქართველი პოლიტიკოსების მიერ. მედვედევმა თქვა: „რუსეთი ყოველთვის ამბობდა, რომ ჩვენ მზად ვართ საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან დიალოგისათვის. მაგრამ, რა თქმა უნდა, არსებული გეოპოლიტიკური რეალიებისა და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით"[12].

ზოგიერთები საქართველოში, რუსეთის ხელისუფლების ამ პოზიციას მოსკოვის მხრიდან თბილისისადმი წაყენებულ მოთხოვნად ასაღებენ, რომლის მიხედვით თითქოს უნდა ვაღიაროთ და საბოლოოდ შევეგუოთ საქართველოსთვის კანონიერად კუთვნილი, ისტორიული მიწების დაკარგვას.

მაგრამ ეს ასე არ არის. სიტყვები „არსებული გეოპოლიტიკური რეალიებისა და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით" ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ საქართველომ რუსეთთან ურთიერთობების აღდგენის წინაპირობად არ უნდა დააყენოს ტერიტორიული საკითხი. რუსეთი არ არის მზად და არ შეუძლია, განიხილოს ეს საკითხი, მაგრამ არავითარ მოთხოვნებს, რომ საქართველომ უნდა აღიაროს საკუთარივე ტერიტორიები „დამოუკიდებლად", იგი არ აყენებს. გავიმეორებთ: ეს არის რუსული სახელმწიფოს ოფიციალური პოზიცია, იგი არ უნდა გავაიგივოთ ზოგიერთი რუსი პოლიტიკური მიმომხილველი-

[12] **Интервью Д.Медведева газете «Коммерсант» - 29.11.2012: http://www.kommersant.ru/doc/2078024**

სა და აფხაზებისა და ოსების ლობისტების პოზიციასთან.

მართლაც, საქართველომ მოსკოვთან დიალოგი ჰუმანიტარულ, კულტურულ, და რა თქმა უნდა, ეკონომიკურ საკითხებზე უნდა დაიწყოს, ხოლო ტერიტორიული მთლიანობის ურთულესი პრობლემის მოგვარება უკეთეს დრომდე გადადოს.

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის განცხადება, საქართველოს ახალი ხელისუფლების ქვეყნის სათავეში მოსვლიდან ცოტა ხნის შემდეგ, იმედისმომცემია. პრეზიდენტი უაღრესად გულახდილი იყო — სიტყვები, ლოგიკა, სახის მიმიკა, ჟესტიკულაცია — ბუკვალურად ყველაფერი ამაზე მეტყველებს. პუტინი რეალისტია. პრობლემა ცხადია: სააკაშვილმა და მისმა მფარველმა პროვოკატორებმა ეს ურთიერთობა, ისევე როგორც აფხაზებთან და ოსებთან დარეგულირება, ჩიხში შეიყვანეს. რუსეთს არ შეუძლია, უკან წაიღოს ამ რესპუბლიკების აღიარება, და პუტინმა კიდევ ერთხელ მიანიშნა, რომ რუსეთი ამით უფრო ბედნიერი არ გამხდარა, ხოლო საქართველოს არ შეუძლია მათი აღიარება — პუტინს ესეც ესმის[13]. მადლობა რუსეთის პრეზიდენტს პატიოსნებისა და გულახდილობისთვის. მისი სიტყვები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რაზეც საქართველოში ჩვენ, ევრაზიის ინსტიტუტის წარმომადგენლები, იძულებულნი ვართ, ლამის ვიყვიროთ, მაგრამ ვერ გადავფარავთ ელექტრონული მასმედიის ხმას: საქართველოს შიგნით მოქმედი საინფორმაციო ტერორისტების მიერ გავრცელებული რუსეთის ლიდერების სიტყვების ინტერპრეტაციის საწინააღმდეგოდ, რუსეთი არ ითხოვს საქართველოსგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას კეთილმეზობლობის აღდგენის სანაცვლოდ!

რუსეთის ხელისუფლებისა და ხალხის კეთილი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ არ იცვლება. საჭიროა დაახლოების გზების ძიება, იმ საკითხების აქცენტირება, რომლებიც აახლოებს, და არა აშორებს ორ ისტორიულად ძალზე ახლობელ, სულიერად მონათესავე ხალხებს (ეს ფორმულირებაც პრეზიდენტის განცხადებას ეფუძნება).

იმ დღეს ჩვენ ვიხილეთ და მოვუსმინეთ იდეალურ პუტინს, რომელთანაც შესაძლებელი და აუცილებელია მოლაპარაკება, რომელიც არ არის საქართველოს მტერი, და პირიქით, შეიძლება, გახდეს მეგობარი.

პუტინის პრეს-კონფერენციაზე ასევე წამოწეულ იქნა ქართულ-რუსული ურთიერთობების თემა. პუტინმა განაცხადა, რომ

[13] იხ. ვლ. პუტინის დიდი ბრიფინგი, 2012 წლის 20 დეკემბერი. ვიდეო: **http://www.newsru.com/data/video/14549.html**

„რუსეთი მხარს უჭერს საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზაციას, მაგრამ არ შეუძლია თავისი გადაწყვეტილების გაუქმება (იგულისხმება აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის ცნობა — შენიშვ.). ამის გამო ორ ქვეყანას შორის დიალოგი კიდევ დიდხანს არ იქნება, აღნიშნა „რუსეთის ხმასთან“ ინტერვიუში პოლიტიკური კონიუნქტურის ცენტრის ექსპერტმა ევგენია ვოიკომ. ამავე დროს, ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთი დიდი ბაზარია ქართული პროდუქციისთვის, მათ შორის ღვინოების და სასოფლო-სამეურნეო ნაწარმისთვის. „ახლა კოზირები მოსკოვს აქვს ხელთ, იმიტომ რომ მას მაინცდამაინც არ სჭირდება ამგვარი კავშირების დამყარება საქართველოსთან“, — აღნიშნა ექსპერტმა[14].

თავის მხრივ, სერბი პოლიტოლოგი ჯორჯე ვუკადინოვიჩი აცხადებს, რომ რუსეთ- საქართველოს ურთიერთობებს ზიანი მიაყენა ოფიციალური თბილისის ავანტიურიზმმა: „რუსეთის და საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზაცია აუცილებელია, ამისთვის არსებობს ეკონომიკური, ისტორიული და პოლიტიკური მიზეზები. შევნიშნავ, რომ ურთიერთობები გაფუჭდა არა მოსკოვის გამო — დამნაშავეა, რბილად რომ ვთქვათ, საქართველოს ყოფილი ხელისუფლების ავანტიურიზმი. სხვა საქმეა, რომ მომხდარი მოვლენების შემდეგ კავშირების აღდგენა ძნელი იქნება“.[15]

ამ კავშირების აღდგენა ერთბაშად შეუძლებელია, ამისთვის საჭიროა მოსამზადებელი პერიოდი, მიაჩნია „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელს, პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატს გულბაათ რცხილაძეს.

„ურთიერთობების აღსადგენად საჭიროა მოსამზადებელი პერიოდი, რათა ყველაფერი წინასწარ იქნას განსაზღვრული, — რა ფორმატში გაგრძელდება დიალოგი. ჯერჯერობით ცნობილია, რომ მნიშვნელოვან საკითხებში კვლავ არსებობს შეუთანხმებელი პოზიციები, ძირითადად ეს ეხება ტერიტორიულ საკითხებს. მაგრამ, როგორც ქართული მხარის მიერ ითქვა, ჯერ სხვა საკითხების განხილვაა საჭირო, რადგან ორ ქვეყანას შორის არსებობს შეხების წერტილებიც. ვლადიმერ პუტინი ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოსთან კეთილმეზობლურ ურთიერთობებს და ყოველთვის პოზიტიურ კონტექსტში მოიხსენიებდა ქართველ ხალხს. ეს ყველაფერი შეიძლება გახდეს შემდგომი დარეგულირებისთვის საჭირო

[14] **Пресс-конференция Владимира Путина. Мнения экспертов: http://www.minchenko.ru/press/press_2645.html**

[15] იქვე.

საფუძველი“, — განაცხადა გ. რცხილაძემ.[16]

თუმცა ყოფილი ხელისუფლების მომხრე „ექსპერტები“ და ნაციონალების კონტროლის ქვეშ მყოფი მასმედიის საშუალებები ყოველნაირად ცდილობდნენ და ცდილობენ, მოძებნონ პუტინის სიტყვებში ისეთი რამ, რაც მათ სააკაშვილის გამართლების საშუალებას მისცემს. ამისთვის მათ გამოიყენეს რუსეთის პრეზიდენტის განცხადება, რომ ოსური ფორმირებების წვრთნა ხდებოდა რუსეთის არმიის გენშტაბის მიერ.

„ეს საიდუმლო არ არის, რომ გეგმა არსებობდა და მის ფარგლებში ვმოქმედებდით კიდეც. გეგმა შემუშავებული იყო გენშტაბის მიერ 2006 წლის ბოლოს – 2007 წლის დასაწყისში და შეთანხმებული ჩემთან. გეგმის ფარგლებში ჩვენ ვამზადებდით ოს მოხალისეებს“, — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.[17] სააკაშვილის და მისი მომხრეების აზრით, პუტინის ეს განცხადება „კიდევ ერთხელ ამტკიცებს“, რომ კრემლს 2008 წლის აგვისტომდე დიდი ხნით ადრე გააჩნდა გეგმები, საქართველოს წინააღმდეგ აგრესია განეხორციელებინა და მისი ტერიტორიების ოკუპაცია მოეხდინა.

რა თქმა უნდა, რუსეთის პრეზიდენტის სიტყვების ამგვარ ინტერპრეტაციაში ადვილად იკითხება დემაგოგია, მაგრამ მასმედიის მხრიდან პროპაგანდამ, შესაძლოა, არაერთი მოქალაქე დაარწმუნოს ამგვარი დემაგოგიური გაგების სისწორეში. ამიტომ საჭიროა საქართველოს მოსახლეობას განემარტოს, რომ პუტინი საუბრობდა თავდაცვით გეგმაზე, რომელიც შემუშავებული იყო რუსეთის არმიის გენშტაბის მიერ. მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ თარიღს, როცა მოხდა გეგმის შემუშავება — 2006 წლის ბოლო — 2007 წლის დასაწყისი.

2004 წლის ზაფხულში სააკაშვილმა უკვე მოახდინა შეტაკებების პროვოცირება ცხინვალის რეგიონში, როცა დაიღვარა ქართველი, ოსი და რუსი სამშვიდობოების, ასევე მშვიდობიანი მოქალაქეების სისხლი. სწორედ ამის შემდეგ იწყება თითქოსდა გამოსწორების გზაზე დამდგარი ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუარესება. ხოლო 2006 წლის შემოდგომაზე სააკაშვილმა კიდევ ერთხელ შეძლო როგორც რუსეთის ხელმძღვანელობის, ასევე მთელი რუსი ხალხის პროვოცირება, როცა არა მხოლოდ დააპატიმრა, არამედ დემონსტრაციულად დაამცირა შპიონაჟში ბრალდებული რუსი

[16] იქვე.

[17] **“Путин рассказал о подготовке южноосетинских ополченцев перед войной с Грузией” – ИНТЕРФАКС, 08.08.2012: http://www.interfax.ru/russia/259585**

სამხედრო სპეციალისტები.

ეს ფაქტი წყალგამყოფი გახდა, მან საბოლოოდ გამოუთხარა ძირი ორმხრივ ურთიერთობებს. როგორც არ უნდა დასუსტებულიყო რუსეთი (თუმცა სააკაშვილის და მისი მომხრეების შეფასებების მიუხედავად, 2006 წლისთვის რუსეთი სულაც არ იყო დასუსტებული, პირიქით, საკმაოდ გაძლიერდა 90-იან წლებთან შედარებით), იქ ყოველთვის ძალზე მწვავედ აღიქვამდნენ თავისი სამხედროების დამცირებას.

ვთქვათ პირდაპირ: რუსეთი ის ქვეყანა არაა, სადაც ოფიცრებს და ჯარისკაცებს პოლიციის განყოფილებაში სცემენ — სწორედ ეს მოხდა საქართველოში ე.წ. „მუხროვანის ამბოხის“ დროს. ფსევდოქართულმა ხელისუფლებამ დაამცირა როგორც კონკრეტული სამხედრო პირები, ასევე მთელი ქართული ჯარი. სამწუხაროდ, საქართველომ მაშინ ეს მოითმინა და გადაყლაპა, ასეთი რამ წარმოუდგენელია რუსეთში. მართალია, პოლიცია რუსეთშიც საკმაოდ კორუმპირებულია, ხოლო ჯარში მრავალი პრობლემაა, მათ შორის ე.წ. დედოვშჩინა და სხვ., მაგრამ არმია განსაკუთრებული პატივისცემის ობიექტია.

სწორედ ამიტომ, რუსი ოფიცრების დამცირება კრემლმა არ აპატია „ვარდების რევოლუციის“ ბელადებს. აქედან გამომდინარეობს ამგვარი დამთხვევა — ოფიცრები დააპატიმრეს 2006 წლის შემოდგომაზე, ხოლო ამავე წლის ბოლოს რუსეთის გენშტაბმა დაიწყო გეგმის შემუშავება, რომელიც უნდა დაპირისპირებოდა თბილისის ხელისუფლების გაზრდილ აგრესიულობას. გამოდის, რომ, იმისდა მიუხედავად, თუ რას გეგმავდა რუსეთის გენშტაბი, მთავარი პასუხისმგებლობა მაინც ჩვენს, ქართულ ხელისუფლებას ეკისრება.

2013 წლის მარტში, ევრაზიის ინსტიტუტს დაუკავშირდა ცნობილი ქართველი ჟურნალისტი, ბატონი თენგიზ პაჭკორია, რომელიც, რიგი „ექსპერტებისგან“ განსხვავებით, აფხაზეთს ყურმოკვრით არ იცნობს. მით უმეტეს, მას, აფხაზეთიდან დევნილს, ვერავინ დასწამებს, რომ საქართველოს ერთიანობის თემა ვინმეზე ნაკლებად ადარდებს. ბატონმა თენგიზმა მხარდაჭერა გამოხატა ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელის, გულბაათ რცხილაძის მიერ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში[18] 8 მარტს გაჟღერებული პოზიციის ძირითადი პოსტულატების მიმართ. კერძოდ, ბატონი თენგიზი აღნიშნავს, რომ საქართველოს 1993 წლის შემოდგომაზე კი არ უნდა

[18] გადაცემა „ღია ეთერი“, 08.03.2013 - https://www.youtube.com/watch?feature=%20layer_profilepage&v=myNQgy_Pr70

მიეცა თანხმობა რუსეთისთვის დსთ-ში შესვლაზე, როდესაც სოხუმი დაეცა და ყველაფერი დამთავრებული იყო, არამედ დროულად, ანუ ამ მოვლენაზე ბევრად ადრე. გარდა ამისა, წარმოუდგენელია აფხაზებთან ურთიერთობების დარეგულირება რუსეთთან ურთიერთობების მოგვარების გარეშე.

ზუსტად ეს პოზიცია აქვს მრავალგზის გამოხატული ევრაზიის ინსტიტუტს და მის ხელმძღვანელს, წლების მანძილზე. შედარებისათვის გთავაზობთ ბატონი თენგიზ პაჭკორიას მოსაზრებას, რომელიც მან მე-9 არხზე, გადაცემა „ახალკაცის მატრიცა“-ში გამოხატა. კერძოდ, აფხაზეთიდან დევნილი ჟურნალისტის განცხადებით (შესაბამისი მაგალითების მოხმობით), აფხაზეთში დიდ აჟიოტაჟს იწვევს თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობების მოგვარების პერსპექტივა. რა თქმა უნდა, რუსეთი უკან არ წაიღებს აფხაზეთის აღიარებას, მაგრამ გარკვეულ ეტაპზე რუსები უშვებენ იმის შესაძლებლობას, რომ შედგეს მოლაპარაკება ქართველებთან ერთიანი სახელმწიფოებრივი სივრცის შექმნის შესახებ, თუკი აფხაზებიც თანახმანი იქნებიან. ამგვარი პერსპექტივა აფხაზების დიდ ნაწილს დღესდღეობით არ ხიბლავს, თუმცა აფხაზეთში არსებობს ამის საპირისპირო მოსაზრებებიც. მთავარია, არსებობდეს გარკვეული „ჩონჩხი“ რუსულ-ქართული ურთიერთობების დარეგულირების საფუძვლად — განაცხადა თენგიზ პაჭკორიამ.[19]

შეკითხვა მეშვიდე: იტყვის თუ არა როდესმე რუსეთი უარს ამ ტერიტორიებზე და ამგვარად, მოხდება თუ არა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა?

ჯერ თავად ჩვენ, ქართველები, უნდა გავერკვეთ იმაში, თუ რა მიზანი გვაქვს. „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“ — ეს ის ფრაზაა, რომელიც აშინებს და აუცხოებს ქართველებისგან აფხაზ და ოს ხალხებს, რადგან ეს ტერმინი ომთან ასოცირდება. მათთვის მთავარია, თუ როგორ ცხოვრებას ვთავაზობთ ჩვენ, რამდენად ვუზრუნველვყოფთ მათ თავისუფლებას და დავიცავთ მათ უფლებებს. თუ ჩვენ ამ მხრივ უზრუნველყოფას შევძლებთ, რა თქმა უნდა, რუსეთის შუამავლობის პირობებში, მაშინ ამ ხალხების ცნობიერებაში თანდათან შესუსტდება ქართველების მიმართ ნეგატი-

[19] გადაცემის ბმული: იხ. 17-ე წუთიდან 32-ე წუთამდე, ზემოთ მოყვანილი ციტატის მოსასმენად კი — 30 წთ. 16 წმ. - 31 წთ. 12 წმ. — „ახალკაცის მატრიცა“. **http://www.youtube.com/watch?v=rQ-obvSv-qw&feature=youtu.be&t=17m**

ური დამოკიდებულების სტერეოტიპი და ისინი ერთიან სახელმწიფოში თანაცხოვრების შესაძლებლობაზე იფიქრებენ. ამისკენ მათ უბრალოდ მომავალში შექმნილი გარემოებები უბიძგებს. ახლა ისე ჩანს, რომ ამის წარმოდგენა შეუძლებელია, მაგრამ ისტორიულ რეალობას ქმნიან ადამიანები და მათ მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები.

იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს არსებული რეალობა, სამსჯელო მასალას გვაძლევს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის, კათოლიკოს-პატრიარქის ვიზიტი რუსეთის დედაქალაქში (2013 წლის იანვარი). მოსკოვში ის შეხვდა რუსეთის პატრიარქს, ხოლო შემდეგ ილია II მიიღო რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, და ეს თავადაც აღნიშნა უწმიდესმა და უნეტარესმა, რომ ეს იყო ისტორიული ვიზიტი.[20] მთლიანობაში, უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოჩნდა სინათლის სხივი რუსულ-ქართულ ურთიერთობებში. როგორც ცნობილია, ორმხრივი ურთიერთობები ფაქტობრივად აღარ არსებობდა წინა ხელისუფლების დროს. ახლა კი, შეიძლება ითქვას, ქართულ-რუსული ურთიერთობები განახლდა და ხელახლა იწყებს განვითარებას. ორ ქვეყანას შორის ახალი ეტაპი დგება.

კათალიკოს-პატრიარქის ვიზიტი იმითაც იყო ისტორიული, რის შესახებაც ილია II-ს განცხადების საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ. პატრიარქმა ისაუბრა 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყების მიზეზებზე და განაცხადა, რომ **არც რუსეთი, არც საქართველო არ არიან დამნაშავე ამ ომის დაწყებაში**. მისი თქმით, დამნაშავეები არიან და ომის გამომწვევ მიზეზს წარმოადგენდნენ კონკრეტული პიროვნებები. ეს იყო უმნიშვნელოვანესი მომენტი ამ ვიზიტის დროს. ჩვენი აზრით, ეს განცხადება არის უმნიშვნელოვანესი და მან დააგვირგვინა პატრიარქის ვიზიტი მოსკოვში.

დაწყებული თავად 2008 წლის აგვისტოს ომიდან, ევრაზიის ინსტიტუტი მუდმივად ხაზს უსვამდა, რომ რუსეთს არ დაუწყია ეს ომი, მაგრამ არც საქართველოს დაუწყია იგი. როდესაც ჩვენ და ყოფილი ხელისუფლების სხვა ოპონენტები ვამბობდით, რომ საკაშვილმა დაიწყო საბრძოლო მოქმედებები, მაშინ ჩვენ გვიტევდნენ იმ ხელისუფლების წარმომადგენლები და დამცველები. მათი

[20] ილია მეორე: „მოსკოვში ვიზიტი ისტორიული იყო და მას კარგი შედეგები მოჰყვება“ (27/01/2013) - **http://www.ambebi.ge/sazogadoeba/70240-ilia-meore-moskovshi-viziti-istoriuli-iyo-da-mas-kargi-shedegebi-mohyveba.html?add=1**

აზრით, იმის განცხადება, რომ სააკაშვილმა დაიწყო ომი, უდრიდა იმის აღიარებას, რომ ომი საქართველომ დაიწყო, ეს კი ქვეყნის მტრობას წარმოადგენდა, ხელისუფლების დამცველების თქმით.

თუ იმ ფორმალური პოზიციიდან გამოვალთ, რომ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი იყო, რა თქმა უნდა, ის წარმოადგენდა ქართულ სახელმწიფოს, და მაშინ მართლაც გამოდის, რომ საქართველომ დაიწყო ომი. მაგრამ თუ ჩვენ საქართველოდ მივიჩნევთ არა მის ყოფილ ხელისუფლებას, არამედ ქართველ ხალხს, მაშინ სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ქართველ ხალხს არ დაუწყია ომი რუსეთთან. ქართველ ხალხს არ უნდოდა ეს ომი, არც არასოდეს სდომებია და არც ახლა უნდა. ამის შესახებ არსებობს ჩვენი განცხადებები მას-მედიაში, თუ როგორ იქცეოდა ქართული მოსახლეობა აგვისტოს დღეებში, რუსეთის ჯარის შემოსვლის დროს. ხშირი იყო შემთხვევები, რომ ადგილობრივი მოსახლეობა უმასპინძლდებოდა რუსული ჯარის წარმომადგენლებს, საკმაოდ კარგად ღებულობდნენ მათ, არანაირ პარტიზანულ ომს და დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. ჩვენ ისიც აღვნიშნეთ ერთ-ერთ სტატიაში, რომ რუსეთის მაგივრად რომ ყოფილიყო სხვა რომელიმე მეზობელი ქვეყნის ჯარები, მოსახლეობას უფრო სხვა რეაქცია ექნებოდა. ამიტომ, კათოლიკოს-პატრიარქის ეს ბრძნული განცხადება ადასტურებს და ამტკიცებს იმას, რაზეც ვსაუბრობდით უკვე წლების მანძილზე.

შემთხვევითი არ არის, რომ ნაციონალური მოძრაობის ნარჩენები მისი უწმიდესობის განცხადებამ ძალზე გააღიზიანა. ორი მართლმადიდებელი ერის ურთიერთობა, ღვთის მადლით, გრძელდება და პატრიარქის ისტორიული ვიზიტი ამის მაჩვენებელია.

ასევე უნდა აღინიშნოს რუსეთის პრეზიდენტის ვ. პუტინის ბრძნული პოზიცია, რაც მოწმობს, რომ მას არ განელებია სურვილი საქართველოსთან ურთიერთობების აღდგენის და ქართველ ხალხთან მეგობრობისა. შეიძლება ითქვას, რომ იგი, და მისი სახით მთლიანად რუსეთი, საქართველოს მხარესაა. ის, რომ არსებობს მოუგვარებელი ტერიტორიული პრობლემები, სხვა საკითხია, მაგრამ ახლა მთავარია დალაგდეს ურთიერთობები რუსეთთან. აეწყოს მეგობრობა და თუკი ვინმე მართლა არის საქართველოს მტერი, ეს არის ის, ვისაც არ სურს ამ მეგობრობის აღდგენა. უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს მტრებს, პირველ რიგში, საქართველოს მეგობრობისა რუსეთთან ეშინიათ. მათ ვერ სძინავთ მშვიდად, როცა ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები არის კარგი და ნორმალური.

ახლახან, კათალიკოს-პატრიარქი კიდევ ერთხელ გაემგზავრა რუსეთში და მის ამ ვიზიტს ასევე ერთობ საინტერესო განვითარება მოჰყვა. კერძოდ, რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან საუბრისას, ამ უკანასკნელმა თავად გამოთქვა ინიციატივა, რომ შეიქმნას დოკუმენტი, რომელშიც აისახება აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობის პრობლემატიკა. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ, ილია II-მ განაცხადა, რომ მას იმედი აქვს პუტინის მიერ სიტყვის შესრულებისა. „სიტყვის კაცი" უწოდა ვლადიმერ პუტინს პრეზიდენტობის კანდიდატმა ნინო ბურჯანაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს განცხადება პირველი არ ყოფილა რუსეთის პრეზიდენტის მხრიდან და რომ ანალოგიური შინაარსის „მესიჯები" ადრეც იყო გამოთქმული მისი მხრიდან.

ეს ნიშნავს იმას, რომ რუსეთის ხელისუფლება არ გამორიცხავს მოვლენათა განვითარების ნებისმიერ ვარიანტს. 2013 წლის 3 აგვისტოს, ტელეკომპანია „ღუსსია თოდაყ"-სთვის მიცემულ ინტერვიუში, იგივე პოზიცია დააფიქსირა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დ. მედვედევმა, რომლის პრეზიდენტობის დროსაც მოხდა აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის" აღიარება რუსეთის მიერ. მისი თქმით, „ყველაფერი დამოკიდებულია იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც იღებენ ადამიანები, მათ პოლიტიკურ ნებაზე. სულ ცოტა ხნის წინ ჩვენ ვერ წარმოვიდგენდით, რომ შევძლებდით საბაჟო კავშირის შექმნას და დავიწყებდით ევრაზიის ეკონომიკური კავშირისკენ სვლას. ეს კი სერიოზული ინტეგრაციული გაერთიანებებია, არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური შედეგებით. ყველაფერი დამოკიდებულია იმ ხალხების ნებაზე, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობენ; ქართველი ხალხის ნებაზე და იმაზე, თუ ვის აირჩევენ თავისი ქვეყნის ხელმძღვანელად. ასევე, აფხაზი და ოსი ხალხების ნებაზე — მათ შეუძლიათ გასცენ ნებისმიერი მანდატი მათი კომპეტენციის ფარგლებში. ჩვენ გვინდა, რომ ამ ხალხებმა მშვიდობიანად იცხოვრონ. თუ როგორი ფორმით აღდგება მათი ურთიერთობები — ეს მათი საქმეა, ჩვენ არ დავიწყებთ ამ პროცესებზე ზეგავლენის მოხდენას. თუმცა, რა თქმა უნდა, დავიცავთ რუსეთის ეროვნულ ინტერესებს"[21].

ინტერნეტ-გამოცემა „ვზგლიადისთვის" მიცემულ ინტერვიუში (4 ოქტომბერი, 2012 წ.) ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე საუბრობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთო-

[21] ვიდეო და ტექსტური ვერსია (04/08/2013) "რაშა ტუდეის" ვებ-გვერდზე: **http://russian.rt.com/article/13464**

ბების პერსპექტივებზე[22]:

„ვზგლიადი“: — რამდენად შესაძლებელია მოსკოვის და თბილისის დაახლოება, იმ პირობებში, როცა არც ერთი მხარე არ არის მზად, წავიდეს დათმობებზე აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სტატუსის ირგვლივ?

გ. რცხილაძე: — სამწუხაროდ, სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა, თავიანთი ოკეანისგაღმელი მფარველების ხელშეწყობით, ჩაიდინეს ის, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა: დაიღვარა სისხლი რუსეთის და საქართველოს არმიებს შორის.

რუსეთი იძულებული იყო, მას უბიძგეს იქითკენ, რომ ეღიარებინა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ე.წ. „დამოუკიდებლობა“. ეს დამოუკიდებლობა სრულიად ეფემერულია და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მაგრამ რუსეთს სხვა გზა არ ჰქონდა იმისთვის, რომ შეენარჩუნებინა თავისი ყოფნა კავკასიონის ქედის სამხრეთით. სხვანაირად უკვე აღარ გამოდიოდა.

სააკაშვილის მთავარი „მიღწევა“ ის არის, რომ მან შეძლო გაეფუჭებინა ფუნდამენტური რუსულ-ქართული ურთიერთობები. ახლა, როგორც არ უნდა მეგობრობდნენ რუსეთი და საქართველო, ეს პრობლემა დარჩება და მოწამლავს ურთიერთობებს. რუსეთის ზოგიერთი წარმომადგენელი აცხადებს, რომ გავა დრო, შეიცვლება თაობები და ისინი შეეგუებიან ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობას. მაგრამ ეს არ მოხდება!

ამავე დროს, საჭიროა რაღაცით დავიწყოთ. დავარეგულიროთ, პირველ რიგში, ეკონომიკური ურთიერთობები, აღვადგინოთ ჩვენი ინტენსიური კულტურული და ეკონომიკური კავშირები, გავაცხოველოთ კავშირები ერთმორწმუნეებს შორის — ჩვენ ხომ ერთი მსოფლიო ეკლესიის შვილები ვართ. საჭიროა ბეჯითი ყოველდღიური მუშაობით დავკავდეთ და ეს პრობლემური საკითხები, როგორებიცაა აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსი, დროებით გვერდზე გადავდოთ.

„ვზგლიადი“: — ეკონომიკის რომელი მიმართულებების მიხედვით შეიძლება თანამშრომლობის აღდგენა პირველ რიგში?

გ. რცხილაძე: — პირველ ყოვლისა, ეს ეხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, ღვინოებს... მაგრამ არის სხვა ინტერესებიც. სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია აუცილებელია, რომ ბიზნესმენებს

[22] **«Это будет отравлять отношения» – Грузинский политолог рассказал о том, по каким направлениям должны теперь развиваться отношения Москвы и Тбилиси – http://vz.ru/politics/2012/10/4/601006.html**

გაუადვილდეთ კონტაქტების დამყარება.

დასკვნა

წინამდებარე ანალიზის მიზანია, ნათელი მოჰფინოს საქართველოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანეს მომენტს — 2008 წლის სამხედრო კონფლიქტს რუსეთის და საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შორის. თუ არ იქნა გააზრებული ამ ომის დაწყების რეალური მიზეზები, ქრონოლოგია და ის, თუ ვის აწყობდა მისი გაჩაღება, ჩვენ ვერ გამოვალთ შიდა თუ გარე ძალების მიერ შექმნილი მრუდე სარკეების ტყვეობიდან. ამის გარეშე კი შეუძლებელია საქართველოს განვითარების პერსპექტივებზე სწორი მსჯელობა.

შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ:

ა) 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტი დაიწყო მიხეილ სააკაშვილმა, აშშ-ს იმდროინდელი ადმინისტრაციის წაქეზებით თუ არა, წაყრუებით მაინც.

ბ) რუსეთი ობიექტურად არ იყო დაინტერესებული სეპარატისტული რესპუბლიკების დე იურე აღიარებით, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში მას სხვა გამოსავალი არ დაუტოვა საქართველოს ხელისუფლებამ.

გ) რუსეთი დღესაც არ არის დაინტერესებული საქართველოს დაშლით და დანაწევრებით. პირიქით, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ რუსეთი მომავალში საქართველოში მცხოვრები ხალხების მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშემწყობი და გარანტი გახდეს.

დ) ტყუილია სააკაშვილის და ნაცმოძრაობის პროპაგანდისტთა მტკიცება, რომ რუსეთი საქართველოს დაუძინებელი და ბუნებრივი მტერია. ორ ქვეყანას შორის შექმნილი რთული სიტუაცია სააკაშვილის რეჟიმის და ცალმხრივად პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის ბრალია.

უკვე საქართველოს მოსახლეობასა და მის მიერ არჩეულ ხელისუფლებაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად გააცნობიერებენ ისინი არსებულ რეალობას და, შესაბამისად, აირჩევენ იმ გზას, რაც წარსულის შეცდომების გამოსწორების საშუალებას მოგვცემს. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი ერის მტანჯველი ტკივილების მკურნალობა და საქართველოს სხეულზე არსებული იარების მოშუშება.

ევრაზიის ინსტიტუტი, 2013 წლის აგვისტო.

გულბაათ რცხილაძე

გამოკითხვა 2014: საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება ნატოსა და აშშ-სადმი[1]

ევრაზიის ინსტიტუტმა 2014 წლის 10-იდან 17 ნოემბრამდე განახორციელა ბოლო ორი წლის მანძილზე მეორე სოციოლოგიური გამოკვლევა, საქართველოს მასშტაბით. ამჯერად გამოკითხვის თემატიკა მხოლოდ და მხოლოდ საგარეო პოლიტიკის ასპექტებს მოიცავდა, კერძოდ, საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში (ნატო) ინტეგრაციისადმი და საკუთრივ ამ ორგანიზაციისადმი, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისადმი.

გამოკითხვა ჩატარდა ქალაქებსა და სოფლებში, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. სავსებით შეგნებულად, მეთოდოლოგიური (და არა რაიმე სხვა) მოსაზრებით, ჩვენ გვერდი ავუარეთ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებს — ქვემო ქართლსა და ჯავახეთს.

საველე სამუშაოებს ევრაზიის ინსტიტუტის თანამშრომლები აწარმოებდნენ რესპონდენტების საცხოვრებელ ადგილზე, მათი შემთხვევითი შერჩევის მეთოდით, და არავითარ ზეგავლენას მათზე არ ახდენდნენ. გამოკითხვა ანონიმურია, რაც მითითებულია კიდეც ყველა ანკეტა-კითხვარზე.

გამოკითხვის გეოგრაფია შემდეგნაირად გამოიყურება:

თბილისი (საბურთალო, დიდი დიღომი, ვერე, ჩუღურეთი, დიდუბე) – 482 რესპონდენტი (გამოკითხულთა საერთო რაოდენობიდან 28,1%);

გორი – 262 (15,3%);

ბათუმი – 296 (17,2%);

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №4(14), 2014.

ზუგდიდი – 151 (8,8%);

ზუგდიდის რ-ნის სოფლები – 100 (5,8%);

საგარეჯოს რაიონი – 160 (9,3%);

მცხეთის რაიონი – 48 (2,8%);

დუშეთის რაიონი – 73 (4,2%);

ლტოლვილები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან (დასახლებულნი **მცხეთის** რაიონში) – 146 (8,5%).

მთლიანობაში: 1718 რესპონდენტი მთელი საქართველოდან. მათგან 825 მამაკაცი (48.5%) და 875 ქალბატონი (51.5%). გამოკითხულთა სოციალური სტატუსი: თვითდასაქმებულები - 22.8%, სახელმწიფო მოხელეები - 11.2%, ბიზნესმენები - 2.9%, უმუშევრები - 35.2%, პენსიონერები - 17.3%, სტუდენტები - 8.2%, დაქირავებული მუშაკები - 2.5%.

გამოკითხულთა ასაკობრივი დიაპაზონი ასევე დაბალანსებულია: 18-25 წელი – 14.5%, 26-35 წელი – 16.0%, 36-45 წელი – 20.9%, 46-55 წელი – 19.7%, 56-65 წელი – 14.7%, 65 წელზე ზევით – 14.1%.

მოსახლეობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო გამოკითხვაში. განსხვავებით **2012 წლის აგვისტო-სექტემბრისაგან**, აშკარაა ხალხის მეტი გაბედულება, გამოხატოს საკუთარი აზრი; ძალიან ცოტა იყო მათი რიცხვი, ვინც უარი განაცხადა გამოკითხვაში მონაწილეობაზე, ან ცალკეულ შეკითხვებს პასუხი არ გასცა, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამჟამინდელი გამოკითხვა მხოლოდ საგარეო პოლიტიკას შეეხებოდა.

ცალკეული საკითხების კორელაციამ ევრაზიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების საკმარისად მაღალი სანდოობის ხარისხი აჩვენა. ამიტომ, ეს გამოკითხვა შეიძლება, ჩაითვალოს რეპრეზენტატიულად.

ევრაზიის ინსტიტუტი გეგმავს, უახლოეს პერიოდში მოაწყოს მასმედიისა და ყველა დაინტერესებული პირისათვის გამოკითხვის შედეგების პრეზენტაცია და გამოაქვეყნოს დეტალური მონაცემები (რეგიონულის, სოციალურისა და სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით). აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ყველაზე «პრონატოურ“ და „პროამერიკულ“ რეგიონი აღმოჩნდა ქალაქი ზუგდიდი და ზუგდიდის რაიონი, ხოლო ყველაზე „ანტინატოურ“ და „ანტიამერიკულ“ შედეგები მცხეთისა და დუშეთის რაიონებში, ლტოლვილების ჩათვლით, აგრეთვე, ქალაქ ბათუმში დაიდო.

მაგრამ ყველაზე მთავარს — საქართველოს მასშტაბით მიღებულ გამოკითხვის შედეგებს — მკითხველთა ყურადღებას უკვე ახლა

ვთავაზობთ:

1. ნატო თქვენი აზრით არის...

ა) თავდაცვითი სამხედრო ბლოკი ---------- 51%

ბ) აგრესიული სამხედრო ბლოკი ---------- 28%

გ) მიჭირს პასუხის გაცემა ---------- 21%

2. თქვენი შეფასებით, ნატო საკმარისად ეხმარება თუ არა საქართველოს?

ა) დიახ ---------- 20%

ბ) არა ---------- 66%

გ) მიჭირს პასუხის გაცემა ---------- 13%

3. საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ შეერთებული შტატებისა (აშშ) და ნატოს მიზნები და ინტერესები ემთხვევა საქართველოს მიზნებსა და ინტერესებს, მეორე ნაწილის აზრით კი — ეს მიზნები და ინტერესები არ ემთხვევა. თქვენ რომელ მოსაზრებას იზიარებთ?

ა) ემთხვევა ---------- 29%

ბ) არ ემთხვევა ---------- 52%

გ) მიჭირს პასუხის გაცემა ---------- 13%

4. თანახმა იქნებით თუ არა, რომ ახლო მომავალში საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს სამხედრო ბაზები განთავსდეს?

ა) თანახმა ვიქნები ---------- 20%

ბ) არ ვიქნები თანახმა ---------- 55%

გ) ნეიტრალურ პოზიციას დავიკავებ ----------18%

დ) მიჭირს პასუხის გაცემა ---------- 7%

5. როგორ აფასებთ საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებას, გააგზავნოს სამხედრო კონტინგენტები აშშ-ისა და ნატოს სამხედრო ოპერაციების ზონებში?

ა) დადებითად ---------- 16%

ბ) უარყოფითად ---------- 62%

გ) ნეიტრალურად ---------- 18%

დ) მიჭირს პასუხის გაცემა ---------- 7%

6. თქვენი აზრით, რას წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოსათვის?

ა) აშშ არის მეგობარი, მოკავშირე ---------- 29%

ბ) აშშ არის მოწინააღმდეგე, გამოუცხადებელი მტერი ---- 17%

გ) აშშ არც ერთია და არც მეორე, არამედ სახელმწიფო, რომელიც მხოლოდ საკუთარ ინტერესებს ახორციელებს ----- 44%

დ) მიჭირს პასუხის გაცემა ---------- 11%

7. ხვალ რომ ნატოში საქართველოს გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით პლებისციტი იმართებოდეს, თქვენი არჩევანი როგორი იქნებოდა?

ა) დადებითად ვუყრიდი კენჭს ---------- 32%
ბ) უარყოფითად ვუყრიდი კენჭს ---------- 40%
გ) არ წავიდოდი ხმის მისაცემად ---------- 16%
დ) მიჭირს პასუხის გაცემა ---------- 12%

8. როგორ მიგაჩნიათ, იმ შემთხვევაში, თუკი საქართველო ნატოში გაწევრიანების კურსს განაგრძობს, ურთიერთობები მეზობელ რუსეთთან...

ა) გაუმჯობესდება ---------- 8%
ბ) გაუარესდება ---------- 64%
გ) არ შეიცვლება ---------- 18%
დ) მიჭირს პასუხის გაცემა ---------- 10%

ძირითადი დასკვნა: საქართველოს მოსახლეობა მთლიანობაში საკმაოდ სკეპტიკურად აფასებს ნატოსთან და შეერთებულ შტატებთან საქართველოს თანამშრომლობას. ამ დღეებში (2014 წლის ბოლო) რომ ტარდებოდეს პლებისციტი, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის რიგებში საქართველოს შესვლას, ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, ამომრჩეველთა ნახევარზე ნაკლები მისცემდა (32% „დადებითად ვუყრიდი კენჭს“ + 12%, ვისაც პასუხის გაცემა გაუჭირდა + 4% მაქსიმალურად დასაშვები სტატისტიკური ხარვეზი, ესეც ნატოს მომხრეთა სასარგებლოდ ჩავთვალოთ = 48%).

მოსალოდნელია, რომ დასავლური საელჩოების მიერ დაფინანსებული ანგაჟირებული ორგანიზაციები ჩვენი გამოკითხვის შედეგებს საკამათოდ გახდიან და ჩვენი ინსტიტუტის „ევრაზიულ“ დასახელებაზე გაამახვილებენ ყურადღებას. მაგრამ ჩვენ მზად ვართ, წარმოვადგინოთ ყველა შევსებული ანკეტა-კითხვარი და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად ჩავატაროთ განმეორებითი გამოკითხვა.

იოსებ არჩვაძე

საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური ორიენტაცია[1]

დიდი ინტერესით გავეცანი ევრაზიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის **„საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება ნატოსა და აშშ-სადმი“** შედეგებს. სულ რამდენიმე კვირის წინ (2014 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში) ჩატარებული გამოკითხვა არ მიეკუთვნება რიგით სოციალურ თუ კონიუნქტურულ კვლევებს, რომელთა შედეგების პრეზენტაციას დიდ დროსა და სივრცეს უთმობენ თანამედროვე მედია-საშუალებები. ეს გამოკითხვა რეზონანსულია, უპირველეს ყოვლისა, თავისი თემატიკით, რადგანაც იგი ეხება აქტუალურ, ჩვენი ქვეყნისათვის ფაქტობრივად ბედგანმსაზღვრელ პრობლემას.

სანამ უშუალოდ მიღებულ შედეგებს შევეხებოდე, მინდა აღვნიშნო გამოკითხვის საკმაოდ მაღალ, აკადემიურ დონეზე ჩატარება, რაც გულისხმობს შერჩევის ველის სწორად შერჩევას და მაღალ რეპრეზენტატულობას. – 1718 რესპონდენტი სავსებით საკმარისია დამაჯერებელი, სარწმუნო ინფორმაციის მისაღებად. შედარებისათვის ვიტყვი, რომ ეს ციფრი 52 პროცენტია საქართველოსა და მის ცალკეულ რეგიონების შინამეურნეობების მიხედვით შემოსავლებისა და ხარჯების კვლევისათვის შერჩეული რესპონდენტების რაოდენობისა (სულ 3350 შინამეურნეობა), რომლებსაც ჯერადად მეტ კითხვარსა და ფორმულარზე უწევთ პასუხების გაცემა. ასე რომ, გამოკვლევის შედეგებს საკმაოდ მაღალი ლეგიტიმაცია აქვთ. ამის გათვალისწინებით, **გამოკვლევის შედეგები შეიძლება 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად ჩატარებული პლებისციტის შედეგების მორალურ საპირწონედაც კი გამოდგეს** (მაშინ,

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №4(14), 2014.

მოგეხსენებათ, შედეგების დაჯამებისას „რატომღაც“ ოთხჯერ მოხდა ნატოს მხარდამჭერი მოსახლეობის წილის ცვლილება... ზრდის მიმართულებით).

გამოკვლევის რესპონდენტთა შერჩევაში გენდერული თანაფარდობა თითქმის „ბალისტიკური სიზუსტითაა“ განხორციელებული (კვლევაში — მამაკაცები/ქალები: 48.5/51.5%, საქართველოს მოსახლეობაში, შესაბამისად — 47.7/52.3%). ასევე, საკმაოდ მაღალია ასაკობრივი ნიშნით რესპონდენტთა განაწილების თანხვედრა საქართველოს მოსახლეობის შესაბამის ასაკობრივ განაწილებასთან (იხ. ქვემორე ცხრილი).

ცხრილი 1

გამოკითხვის რესპონდენტებისა და საქართველოს მთელი მოსახლეობის განაწილებას ასაკობრივი ნიშნით (პროცენტი)

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	65 წელზე მეტი
ოფიციალური სტატისტიკით	17,1	16,3	15,3	17,7	15,6	19,2
გამოკვლევით	14,5	16,0	20,9	19,7	14,7	14,1

ასაკობრივ განაწილებაზე ყურადღებას ვამახვილებ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ახალგაზრდული რადიკალიზმი და ასაკობრივი კონსერვატიზმი ზოგადად, ყოველთვის ახდენს მნიშვნელოვან გავლენას ადამიანთა მსოფლმხედველობრივი პოზიციის ჩამოყალიბებაზე. ეს აისახა აღნიშნული გამოკითხვის შედეგებშიც. თანაც, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ **გამოკითხვამ დასმულ კითხვებზე სხვაობა რეგიონულზე მეტად ასაკობრივი ნიშნით მოგვცა.** ცალკეული პოზიციების მიხედვით 65 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის აზრი მნიშვნელოვნად (ხშირად, 2-3-ჯერ) განსხვავდებოდა ახალგაზრდების (18-25 წლიანები) შეხედულებისაგან. მაგალითად, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (51%) ნატოს თავდაცვით ბლოკად მიიჩნევს, თუმცა ახალგაზრდებში (18-25 წელი) ეს მაჩვენებელი 63.5 პროცენტია, მაშინ როდესაც პენსიონერებში (65<) — მხოლოდ 34 პროცენტი. ანალოგიური მასშტაბებისაა სხვაობა სხვა პასუხების მიხედვითაც, რაზეც ქვემორე ცხრილი იძლევა წარმოდგენას.

ცხრილი 2

გამოკითხვის პასუხები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

	საშუალოდ	18-25 წელი	65 წელზე მეტი
ნატო თავდაცვითი ბლოკია	51	63.5	34
საქართველოსა და ნატოს ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს	29	44.2	20
თანახმა ვარ, რომ ნატოს ბაზები განლაგდეს საქართველოში	20	33.3	12
აშშ საქართველოს მეგობარია	29	40.6	23
აშშ საქართველოს მოწინააღმდეგეა	17	11.2	19.8
პლებისციტზე საქართველოს გაწევრიანებას ნატოში:			
— მხარს დავუჭერ	32	47	24
—მხარს არ დავუჭერ	40	29.3	45.5
ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში გაუარესდება ურთიერთობა რუსეთთან	64	47.0	75.0

აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფები (18-25 წლიანები და 65 წელზე უფროსი ასაკის) რამდენადმე ნაკლები სიხშირით არიან წარმოდგენილი გამოკითხვაში (18-25 წლიანები — 2.6 პროცენტული პუნქტით, 65 წელზე უფროსი ასაკის რესპონდენტები — 5.1 პროცენტული პუნქტით), ვიდრე მთლიან მოსახლეობაში (ამ ჯგუფებისაგან განსხვავებით, 36-55 წლიანებში საპირისპირო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე). ვფიქრობ, გამოკითხულ რესპონდენტებს შორის შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენელთა წილები შესატყვისი რომ ყოფილიყო მოსახლეობაში შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების წილებთან (იხ. ცხრილი 1), მიღებული პასუხების კონ-

ტრასტულობა, ფაქტობრივთან შედარებით, უფრო მეტი, ხოლო საშუალო მაჩვენებლები ნატოსა და აშშ-სადმი მოსახლეობის დამოკიდებულებისა — რამდენადმე უფრო ნეგატიური იქნებოდა.

ასაკოვანი მოსახლეობის პასუხებში ნატოსა და აშშ-ისადმი ნეგატიური დამოკიდებულების დონე დაახლოებით 2-ჯერ და მეტად მაღალია სახელმწიფო მოხელეებისაგან მიღებულ პასუხებთან შედარებით.

რესპონდენტთა 35.2 პროცენტი უმუშევარია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობ, საინტერესო იქნებოდა უმუშევართა პასუხების რესპონდენტთა ასაკთან კორელაციაც.

გამოკითხვამ აჩვენა **საქართველოს მოსახლეობის ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი დამოკიდებულება ნატოსა და აშშ-ის სამხედრო ოპერაციათა ზონებში საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობაზე**. აღნიშნულს მხარს უჭერს გამოკითხულთა მხოლოდ 16 პროცენტი, მაშინ როდესაც უარყოფითადაა განწყობილი თითქმის 4-ჯერ მეტი — 62 პროცენტი. ამასთან, რაც უფრო მაღალი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებთან გვაქვს საქმე, მით უფრო ნეგატიურია დამოკიდებულება (საპენსიო ასაკის მოსახლეობაში — მხოლოდ 8.3%). მხარდამჭერების კონტინგენტი, პროცენტულად, ყველაზე მაღალია 25 წლამდე რესპონდენტებში — აქ მათი წილი 24.5 პროცენტია, თუმცა ამ ასაკობრივ ჯგუფში აღნიშნული გარემოებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების მქონეთა რაოდენობა მხარდამჭერთა რაოდენობას თითქმის ორჯერ აღემატება (49.4%).

ყოველი 10 გამოკითხულიდან 3 რესპონდენტი (29%) აშშ-ს საქართველოს მეგობრად მიიჩნევს. თუმცა მათი 4/5-იც კი (81.2%) თვლის, რომ ის არასათანადოდ ეხმარება საქართველოს. ამასთან, ყოველი მეექვსე გამოკითხული (17%) აშშ-ს მიიჩნევს მტრად. მხოლოდ 25 წლამდე ახალგაზრდებშია ეს მაჩვენებელი დაბალ დონეზე (11.2%), დანარჩენი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით იგი მერყეობს 14.6%-დან 20.1%-მდე, რაც სერიოზული დაფიქრებისათვის უნდა განაწყობდეს ხელისუფლებას.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ **პლებისციტის შემთხვევაში იდეა საქართველოს ნატოში საქართველოს გაწევრიანების შესახებ დამარცხდებოდა — მას მხარს დაუჭერდა მოსახლეობის 1/3-ზე ნაკლები, მაშინ როცა წინააღმდეგ ხმას მისცემდა 2/5**. უნდა ვივარაუდოთ, რომ ის 16%-იანი კონტინგენტი, რომელიც არ წავიდოდა პლებისციტზე, დიდწილად ნატოში საქართველოს გაწევრიანების მოწინააღმდეგეა.

ასეთთა რიგებს მე მაღალი ალბათობით მივაკუთვნებდი იმ 12 პროცენტის დიდ ნაწილსაც, რომელმაც თავი შეიკავა პასუხის გაცემისაგან.

მოსახლეობას, მიუხედავად პროპაგანდისტული კლიშეებისა და პერმანენტული „ტვინის გამორეცხვისა", საკმაოდ მაღალ დონეზე აქვს ეროვნული თვითშენახვისა და გადარჩენის ინსტინქტი (ასე რომ არ ყოფილიყო, ქართველი ერი ვერც გაუძლებდა საუკუნეთა ქარტეხილებს). სწორედ ამ ინსტინქტის საფუძველზეა გაკეთებული დასკვნა, რომ **ნატოში გაწევრიანებაზე კურსის გაგრძელება დაძაბავს რუსეთთან ურთიერთობებს.** რუსეთთან ურთიერთობების გაუარესებას ამ შემთხვევაში ვარაუდობს 8-ჯერ მეტი რესპონდენტი იმათთან შედარებით, რომლებიც შესაძლებლად მიიჩნევენ ამ ურთიერთობების გაუმჯობესებას (შესაბამისად, 64% და 8%).

ზოგადად, ასეთი ტიპის სოციალური გამოკვლევებით ჩვენი საზოგადოება განებივრებული არაა, ამიტომ კარგი იქნებოდა, რომ კითხვარში არსებულთან ერთად დამატებით შესულიყო კითხვები იმის თაობაზეც, თუ რატომ გვინდა ნატოში გაწევრიანება, რა იმედებს და პრაქტიკულ სარგებელს მოუტანს (მოუტანდა) ნატოს წევრობა საქართველოს, როგორი იქნებოდა ნატოსა და სხვა სტრუქტურების (ან მსხვილი სახელმწიფოების) როლი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში, რამდენად დაბალანსებულია საქართველოს წვლილი ნატოსა და აშშ-ის ხელმძღვანელობით განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებსა და კოლექტიური უსაფრთხოების სიტემაში და ამის საფუძველზე მიღებული სარგებელი, სად გადის ნატოსა და აშშ-ის, ერთი მხრივ და რუსეთის, მეორე მხრივ, ინტერესთა თანხვედრა ან შეუთავსებლობა საქართველოსთან მიმართებაში და ა.შ. ვფიქრობ, აღნიშნული კვლევით მიღებულ შედეგებზე მიზანშეწონილი იქნებოდა ფართო საზოგადოებრივი დისკუსია და ანალოგიური დატვირთვის, ოღონდ უფრო გაფართოებული ფორმატის, გამოკითხვის გარკვეული პერიოდულობით, რეგულარულად ჩატარება.

თბილისი, დეკემბერი, 2014 წ.

ვალერიან დოლიძე

«მაიდანი» და უკრაინული სცენარის გავრცელების პერსპექტივა სამხრეთ კავკასიაში[1]

უკრაინის „მაიდანი“ და აგორებული თოვლის გუნდის ეფექტი

უკანასკნელ ხანს, მსოფლიო პოლიტიკაში მომხდარი ბევრი ცვლილება აგორებული თოვლის გუნდის ეფექტის წესით წარიმართა. ამ დროს, დომინოს პრინციპის მსგავსად, სახალხო გამოსვლების შედეგად, ერთმანეთის მიყოლებით შეიცვალა სხვადასხვა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეჟიმები, რასაც საფუძვლად მაგალითის ძალა ედო. სწორედ ასე წარიმართა „არაბული გაზაფხული“, რომელიც ამ ეფექტის ერთ-ერთ უკანასკნელ შემთხვევას წარმოადგენს. პოლიტიკური რეჟიმების შეცვლის ეს მექანიზმი გულისხმობს რომელიმე ქვეყანაში მომხდარი ღრმა პოლიტიკური ცვლილების მაგალითის გავლენის შედეგად, მსგავსი ცვლილებების გავრცელებას მის საზღვრებს გარეთ, დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში.

უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა, რომლებსაც „მაიდანი“ ეწოდა, საზოგადოების ერთ ნაწილში წარმოშვა კითხვა — ხომ არ შეიძლება განმეორდეს უკრაინული სცენარი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში? იმისათვის, რომ მას ვუპასუხოთ, საჭიროა ვიცოდეთ — როგორია ის აუცილებელი და საკმარისი პირობები, რომლის დროსაც ერთი ქვეყნის მაგალითი ჯაჭვური რეაქციის სახით იწვევს მსგავსი პოლიტიკური ცვლილების გავრცელებას სხვა ქვეყნებში. ფერადი რევოლუციების განხორციელება პოსტსაბჭოთა სივრცეში აგორებული თოვლის გუნდის ეფექტის შთაბეჭდილებას ტოვებს,

1 პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №4(14), 2014.

რადგანაც ისინი დროში თანამიმდევრულად, ერთმანეთზე მიყოლებით გაიშალა. მაგრამ ეს არ ნიშნავს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების არსებობის აუცილებლობას. როცა ვსაუბრობთ აგორებული თოვლის გუნდის ეფექტის შესახებ, საჭიროა, გავითვალისწინოთ ისიც, რომ პოლიტიკური ცვლილებები შეიძლება შედეგი იყოს არა გარე მაგალითის გავლენისა. მთავარია ქვეყნის შიგნით შექმნილი ვითარება — რამდენად უწყობს ხელს ის პოლიტიკური ცვლილებების განხორციელებას. თუ ქვეყანა მომზადებულია ამისათვის, მაშინ სხვა ქვეყნის მაგალითმა შეიძლება დეტონატორის როლი შეასრულოს და გამოიწვიოს პოლიტიკური ცვლილება.

„მაიდანი“ – ერთი თუ მრავალი?

„მაიდანი“ აღნიშნავს უკრაინაში განვითარებულ დრამატულ პოლიტიკურ მოვლენებს, რასაც შედეგად მოჰყვა ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი შეცვლა. მაგარამ ეს სიტყვა შეიძლება გამოყენებული იყოს აგრეთვე ხელისუფლების შეცვლის ან დესტაბილიზაციის გამოწვევის ზოგადი წესის აღსანიშნავად, როცა დედაქალაქის რომელიმე ადგილი გადაიქცევა პროტესტის გამოხატვის ეპიცენტრად, სადაც თავმოყრილია პროტესტანტების დიდი რაოდენობა, რომელთა პროტესტი უწყვეტად მიმდინარეობს, რაც იწვევს დესტაბილიზაციას და უკიდურესად ძაბავს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას, რომლის შედეგადაც შეიძლება მოხდეს ხელისუფლების არაკონსტიტუციური ცვლა. უკრაინული მაიდანის ეგვიპტურ ეკვივალენტად შეიძლება მივიჩნიოთ ქაიროში ტაჰრილის მოედანი, სადაც პროტესტანტთა დიდი რაოდენობით ხანგრძლივი კონცენტრაციის საბოლოო შედეგი მუბარაქის ხელისუფლების დამხობა გახდა. ასეთივე რამდენიმე მაიდანი იყო საქართველოშიც, როცა პარლამენტის წინ, რუსთაველის გამზირზე არსებული ტერიტორია, რამდენჯერმე გახდა საპროტესტო აქციის პერმანენტული კონცენტრაციის ადგილი. ამის შედეგად მივიღეთ ჯერ ზ. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა, შემდეგ ე. წ. „ვარდების რევოლუცია“, რასაც მოჰყვა 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციები, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ უსასტიკესად ჩაახშო და საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ამას მოჰყვა სააკაშვილის ფორმალური გადადგომა და მისი ხელახალი „არჩევა“. ამის შემდეგ რუსთაველის გამზირის აღნიშნული მონაკვეთი კვლავ იქცა საპროტესტო ტალღის ახალი გავრცელების ეპიცენტრად, როცა თბილისი

გამოცხადდა საკნების ქალაქად,ხოლო მისი ცენტრალური ნაწილი კი საკნებით იქნა დაფარული. ერთხელ და სამუდამოდ ქართული მაიდანის თავიდან მოშორების მიზნით, მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტი საერთოდ გადაიტანა თბილისიდან ქუთაისში.

უკრაინის სახელმწიფოს თავისებურება

უკრაინა, როგორც სახელმწიფო, ორი განსხვავებული კულტურული კომპონენტის ბალანსის საფუძველზე არსებობს. როგორც სერგი დაციუკი აღნიშნავს, „უკრაინა რთული ქვეყანაა, რომელიც თავისი ისტორიის განმავლობაში თავისი ნაწილებით სხვადასხვა ცივილიზაციებს მიეკუთვნებოდა. ამიტომ ის ყოველთვის ემყარებოდა ქვეყნის შიგნით არსებულ ცივილიზაციათა ბალანსს“.[2] დასავლეთ უკრაინა, როგორც გეოგრაფიულად, ასევე კულტურულადაც უფრო ახლოს დგას ევროპასთან, ვიდრე აღმოსავლეთი. ამიტომ „ხშირად დასავლეთ უკრაინას უფრო უკრაინულად თვლიან, ვიდრე აღმოსავლეთს“.[3]

დასავლეთ უკრაინა დიდი ხნის განმავლობაში ვითარდებოდა აღმოსავლეთ უკრაინისაგან იზოლირებულ რეჟიმში, განსხვავებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პირობებში. მისი მიწები შედიოდა ავსტრია-უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხეთისა და რუმინეთის შემადგენლობაში. დასავლეთ უკრაინას აქვს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის გარკვეული გამოცდილებაც: აქ არსებობდა დასავლეთ უკრაინის სახალხო რესპუბლიკა (1919-1921). უკრაინული მიწების საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში გაერთიანებამ ისინი განვითარების საერთო რეჟიმში მოაქცია, მაგრამ იმდენად ძლიერი აღმოჩნდა განსხვავებული ისტორიის გავლენა, რომ მათ შორის არსებული კულტურული და პოლიტიკური დაახლოება საჭოთა ხელისუფლების წლებშიც კი ვერ მოხერხდა, რამაც მთელი სიმწვავით იჩინა თავი უკვე დამოუკიდებელ უკრაინაში.

თავისი სპეციფიკის, აღმოსავლელებისაგან განსხვავების დაფიქსირება, დასავლელ უკრაინელებში წარმოშობს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის მოტივაციას. უკრაინელი პუბლიცისტის მოწმობით, უკრაინის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ

---

[2] **Сергіи Дацюк. Что такое майдан. Украінска Правда. 20 лютого 2014.http://blog.prauda.com.ua/authors/datsuk/530cb8896062**

[3] **Так кто же кормит Украину? vlasti.net Пятница, 17 октября 2014. http://vlasti.net/news/82804**

დასავლეთის რეგიონის მცხოვრებლებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ საუკეთესოდ იცხოვრებდნენ „აღმოსავლელი ძმების“ გარეშე. (იქვე) უკვე ვიზუალურ დონეზეც ფიქსირდება განსხვავება, რომელიც არსებობს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის: „ბევრი ჩვენი თანამემამულე, რომელიც იმყოფებოდა დასავლეთ უკრაინაში, გააკვირვა ახალმა, გაზიფიცირებულმა, აკურატულად მოვლილმა სოფლის სახლებმა, რომელთაც თვალითაც კი ვერ ნახავთ ჩვენს სოფლებში“ (იქვე). ცხოვრების დონეებს შორის არსებული ასეთი განსხვავება უკმაყოფილებას იწვევს აღმოსავლეთში მცხოვრებ უკრაინელებში, რადგანაც ამას უსამართლობად მიიჩნევენ.

მათი აზრით, მაშინ როცა, მოსახლეობის კეთილდღეობას უკრაინის აღმოსავლეთი ქმნის, ამ უკანასკნელის მოსახლეობა ვერ სარგებლობს მის მიერ შექმნილი სიმდიდრით, რადგანაც მისი გადანაწილება ხდება დასავლეთ რეგიონების სასარგებლოდ. აღმოსავლელების აზრით, სწორედ მათი შრომა აძლევთ დასავლელებს იმის საშუალებას, რომ მხოლოდ თავიანთ პირად კეთილდღეობაზე ხარჯონ ის რესურსები, რომლებსაც ისინი იღებენ ევროპაში საშოვარზე სიარულის შედეგად: „საშოვრიდან დაბრუნებული ადგილობრივი მცხოვრები აშენებს კოხტა სახლს, თავის ხარჯზე ახდენს მის გაზიფიკაციას, ხოლო მისკენ მიმავალი გზა კი გაჰყავს სახელმწიფოს იმ ფულით, რომელიც ბიუჯეტისთვის არის გადახდილი აღმოსავლეთის მიერ. ამავე ფულით ხდება სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებების შენახვა“ (იქვე). აღმოსავლეთ უკრაინის მცხოვრებლებში უკმაყოფილება იწვევს ისიც, რომ მათ ეკოლოგიური კატასტროფის პირობებში უწევთ არსებობა, მაშინ როცა დასავლეთ უკრაინის მოსახლეობა საკურორტო პირობებში ცხოვრობს: „ჩვენი თანამემამულენი მუშაობენ მძიმე პირობებში შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოებში, ჩვენ ვცხოვრობთ ეკოლოგიური კატასტროფის პირობებში, უზრუნველვყოფთ რა როგორც ჩვენი რეგიონის, ასევე მთელი უკრაინის კეთილდღეობას, ხოლო დასავლეთ უკრაინის მცხოვრებლები, რომლებიც საკურორტო პირობებში ცხოვრობენ, სარგებლობენ დოტაციისა და რეგულარული დახმარების სახით ყველა იმ მატერიალური სიკეთებით, რომელიც იწარმოება უკრაინის სამხრეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთში“ (იქვე).

დასავლეთ უკრაინელებში დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის მოტივაციის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტურიზმის განვითარების მოლოდინი, რომელიც, მათი აზრით, შეიძლება ამ რეგიონის დამოუკიდებლობის მნიშვნელოვან ბაზად იქცეს. მა-

გრამ აღმოსავლელთა აზრით, დასავლეთ უკრაინას არც ამისათვის გააჩნია საჭირო რესურსები: „დასავლეთ უკრაინა დამოუკიდებლად ვერ შეძლებს ტურისტული ბიზნესის განვითარებას, რადგანაც ის ვერ დაფარავს ხარჯებს, რომელიც ასეთი პოლიტიკის გატარებასთან არის დაკავშირებული... იმისათვის, რომ მოიზიდო ტურისტები, საჭიროა შექმნა პირობები მათი ცხოვრებისათვის და მთელი ტურისტული ინფრასტრუქტურა. მაგრამ რომ ააშენო, საჭიროა ფული, რომლის აღებაც შეიძლება მხოლოდ უკრაინის ეკონომიკურად განვითარებულ ოლქებში – ანუ ჩვენთან. ამიტომ სანამ დაიწყებენ დასავლეთ უკრაინის დამოუკიდებლობის დეკლარირებას, ჩვენმა დასავლელმა ძმებმა უნდა იფიქრონ იმაზე, თუ ვის ფულზე ისწავლიან მათი ბავშვები“ (იქვე). ასეთი მოსაზრება უკრაინის ეკონომიკური ფუნქციონირების თავისებურებას ეფუძნება. ამ ქვეყნის ბიუჯეტი ძირითადად აღმოსავლეთის, სამხრეთის და სამხრეთ-აღმოავლეთის ოლქების ხარჯზე ივსება. მისი დონორები არიან დნეპროპეტროვსკის, დონეცკის, ზაპოროჟიეს, ლუგანსკის, ხარკოვის ოლქები. ყველა სხვა რეგიონი ფინანსირდება სახელმწიფო ბიუჯეტის დოტაციის ხარჯზე. ყველაზე მომგებიანი დარგების – შავი და ფერადი მეტალურგიის,ქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობის — ძირითადი საწარმოები, ნედლეულის ადგილმდებარეობის შესაბამისად, განლაგებულია ქვეყნის აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში. საწარმოო პოტენციალის არაპროპორციული განაწილება განაპირობებს აგრეთვე საგადასახადო ტვირთის არაპროპორციულად განაწილებასაც — აღმოსავლეთის რეგიონების საწარმოო შესაძლებლობები იწვევს საგადასახადო ტვირთის გაზრდას ამ რეგიონებზე (იქვე).

დასავლეთ უკრაინაში მრეწველობა, რომელიც არასოდეს გამოირჩეოდა ძლიერი ეკონომიკით, ამჟამად სრული დაცემის პირობებში იმყოფება. სუსტი საწარმოო პოტენციალი განაპირობებს იმას, რომ უკრაინის დასავლეთის ოლქები არსებობენ საბიუჯეტო დოტაციის ხარჯზე. აქ არ არის მსხვილი სამრეწველო საწარმოები, ხოლო საშუალო ზომის ქარხნები, რომლებიც ოდესღაც მუშაობდნენ, ან გაჩერდნენ ან კიდევ ძლივსღა არსებობენ. სამუშაო ადგილების დეფიციტისა და ხელფასის დაბალი დონის გამო, მოსახლეობა იძულებულია წავიდეს საშოვარზე ევროპის ქვეყნებში – ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, იტალია. სულ საზღვარგარეთ სამუშაოდ გასულია 7 მლნ. უკრაინელი, რომლებიც ძირითადად დასავლეთ უკრაინიდან არიან. უცხოეთში საშოვარზე სიარული უკრაინელებს

უზრუნველყოფს საკუთარი არსებობისათვის საჭირო რესურსებით, მაგრამ უკრაინა, როგორც სახელმწიფო, აქედან სარგებელს ვერ ნახულობს. საბოლოო ჯამში უკრაინელების საზღვარგარეთ მუშაობა ემსახურება პირადად მათსა და იმ სახელმწიფოების კეთილდღეობას, სადაც ისინი მუშაობენ. ეს აძლიერებს ეკონომიკურ ტვირთს აღმოსავლეთის რეგიონებზე, რომლებმაც უნდა იმუშაონ იმისათვის, რომ შეინახონ საკუთარი თავიცა და დასავლეთის რეგიონებიც. დასავლეთ უკრაინის ადგილობრივი ბიუჯეტების 80% ფორმირდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დოტაციის შედეგად, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტსა და საპენსიო ფონდში ეს ფული შედის შესაბამისად უკრაინის აღმოსავლეთისა და სამხრეთის რეგიონებიდან. ყოველი 6 კაპიკიდან, რომელიც გამომუშავებულია სამხრეთისა და აღმოსავლეთის მიერ, 4 კაპიკი მიდის დასავლეთში, ერთი რჩება ცენტრში და მხოლოდ ერთი კაპიკი ხმარდება საკუთარი რეგიონის განვითარებას (იქვე).

სასურსათო თვალსაზრისითაც, დასავლეთ უკრაინა ქვეყნის სამხრეთსა და აღმოსავლეთის რეგიონებზეა დამოკიდებული. ვინაიდან აქ ხორბლის საკვები ჯიშების მოყვანა არ არის მიზანშეწონილი, მოჰყავთ ისეთი ჯიშები, რომლებიც ადგილობრივი მეცხოველეობისათვის არის საჭირო. მაგრამ აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისევე, როგორც მთელ უკრაინაში, დასავლეთშიც მეცხოველეობა განადგურებულია. დასავლეთ უკრაინის სოფლის მეურნეობის საფუძველია შაქრის ჭარხლის წარმოება, მაგრამ სსრკ-ს დანგრევის დროიდან, მოთხოვნა შაქრის ჭარხალზე შემცირდა, რამაც უარყოფითად იმოქმედა შესაბამისი წარმოების განვითარებაზეც. ამიტომ ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფის ფუნქცია კვლავ უკრაინის სამხრეთსა და აღმოსავლეთის რეგიონებზე მოდის (იქვე).

ასეთმა კულტურულმა და სოციალურ-ეკონომიკურმა განსხვავებამ გამოიწვია ის, რომ ქვეყნის სხვადასხვა ნაწილმა განსხვავებული რეაგირება მოახდინა მთავრობის გადაწყვეტილებაზე — დროებით შეეჩერებინა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელისმოწერა.

„მაიდანის“ გენეზისისა და განვითარების ქრონოლოგია

უკრაინის მაიდანი წარმოიშვა და განვითარდა სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთი ნაწილის მწვავე დაპირისპირების პირობებში. მას ბიძგი მისცა უკრაინის მთავრობის გადაწყვეტილებამ, დროებით

შეეჩერებინა ხელმოწერა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე. ამის საპასუხოდ ხელმოწერის მომხრეებმა, მიუხედავად იმისა, რომ ეს აკრძალული იყო სასამართლოს მიერ, 2013 წლის 21 ნოემბერს კარვები გაშალეს ევროპის მოედანზე. მათ მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების უგულებელყოფამ გამოიწვია მილიციის ჩარევა, რომელიც, სასამართლოს ნების აღსრულების მიზნით, შეეცადა გაეწმინდა მოედანი პროტესტის მონაწილეებისაგან. 22 ნოემბერს სამართალდამცავთა უშედეგო მცდელობას, დაეშალა კარვების ქალაქი, მოჰყვა პირველი შეტაკება მომიტინგეებსა და მილიციას შორის. ეს გადაიქცა დეტონატორად საპროტესტო აქციების გავრცელებისათვის ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. აღსანიშნავია, რომ ისინი არც მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდნენ და არც განსაკუთრებული სიმწვავით. ყველაზე მრავალრიცხოვანი მიტინგი გაიმართა ლვოვში — 2000 კაცის შემადგენლობით, ხოლო ყველაზე მცირერიცხოვანი ხარკოვში — 50 კაცი. მიტინგებში მონაწილეთა რაოდენობა ძირითადად ასეულობით ადამიანს არ აღემატებოდა.[4]

მაიდანი, რომელიც ჩაისახა, როგორც პასიური პროტესტის ფორმა, 24 ნოემბრიდან უკვე აქტიურსა და შემტევ ხასიათს იძენს, თანდათანობით საკუთარ ხელში იღებს ინიციატივას და სახელისუფლებო ძალებს აყენებს ისეთ პირობებში, რომ ეს უკანასკნელნი იძულებულნი ხდებიან, გამოიყენონ ძალა პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ, რათა უზრუნველყონ სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მათზე დაკისრებული კონსტიტუციური მოვალეობების შესრულება. სახელმწიფოს მიერ ძალის ასეთი იძულებითი გამოყენება უარყოფით რეზონანსს იწვევდა საერთაშორისო საზოგადოებაში, რომელიც აშკარად უჭერდა მხარს მაიდანს. უკრაინის ხელისუფლება, რომელიც თავად იყო ევროპაზე ორიენტირებელი, ასეთ პირობებებში იძულებული ხდება, თანდათანობით შეამციროს მაიდანისათვის წინააღმდეგობის გაწევა და საბოლოოდ შეწყვიტოს ის, რასაც შედეგად მოჰყვა სახელმწიფო გადატრიალება და ხელისუფლების ლეგიტიმურობის კრიზისი, რამაც ბიძგი მისცა სახელმწიფოს დაშლის პროცესის დაწყებას.

მაიდანის ისტორიის დასაწყისშივე იკვეთება ოპოზიციის მისწრაფება ხელისუფლების დაუფლებისაკენ. ასეთი გარდატეხა მის აქტიურობაში დაიწყო 24 ნოემბერს და გაგრძელდა მაიდანის მთელი ხანმოკლე ისტორიის მანძილზე, სანამ მის ხელში არ გადავიდა მთელი ხელისუფლება. ამ დღეს არა მხოლოდ მკვეთრად გაიზარდა,

[4] **Хронология Евромайдана https://ru.wikipedia.org**

როგორც პროტესტის მონაწილეთა აქტიურობა და გაფართოვდა პროტესტის გეოგრაფია, არამედ მაიდანმა მიიღო აგრეთვე შემტევი და ძალადობრივი ხასიათი, გაჩნდა აჯანყების პირველი ნიშნებიც.

ყველაფერი დაიწყო მშვიდობიანი აქციით. 24 ნოემბერს კიევში ჩატარდა მრავალათასიანი მსვლელობა და მიტინგი დამოუკიდებლობის მოედანზე. მიტინგის ორგანიზატორთა აზრით, მასში მონაწილეობდა 100 000, ხოლო პოლიციის მონაცემებით – 50 000 ადამიანი. მასზე გამოცხადდა უვადო აქციის დაწყება და მიიღეს „სახალხო ვეჩეს“ რეზოლუცია, რომლითაც ითხოვდნენ მთავრობის გადაყენებას (ნაციონალური ინტერესების ღალატისათვის), ევროინტეგრაციის კურსის განახლებას, ვილნიუსის სამიტზე ასოციაციის შესახებ ხელის მოწერას და სხვ. (იქვე).

24 ნოემბერს გამოიკვეთა აგრესია აქციის მონაწილეთა მხრიდან, რომლებიც პირველად შეეცადნენ, არა მხოლოდ ხელი შეეშალათ, არამედ საკუთარი კონტროლისათვის დაექვემდებარებინათ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობა. ხელისუფლების ხელში ჩაგდების პირველი მცდელობა ბერკუტის მიერ წინააღმდეგობის გაწევის შედეგად ჩაიშალა. მიტინგის შემდეგ, დემონსტრანტთა ნაწილი — ძირითადად პარტია „თავისუფლების“ მომხრეები — შეეცადნენ, რომ შეჭრილიყვნენ მინისტრთა კაბინეტის შენობაში. მაგრამ მათ წინააღმდეგობა გაუწიეს ბერკუტის სპეცრაზმელებმა, რომლებმაც გამოიყენეს ხელჯოხები და გაზი. თავის მხრივ პროტესტის მონაწილეებმაც გამოიყენეს გაზი და ისროლეს რამდენიმე ასაფეთქებელი პაკეტი. მილიციის ერთ-ერთ თანამშრომელს თავი გაუტეხეს რკინის მილით. ამის შემდეგ მაიდანის აქტიურობა სუსტდება – ყველანი ელოდებიან ვილნიუსის სამიტის შედეგებს. ღამღამობით კარვების ქალაქში მუდმივად რჩებოდა მცირე რაოდენობის ახალგაზრდობა.

მაიდანის დასაწყისშივე დაუჭირა მხარი ზოგიერთმა უცხოელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, რომლებიც არა მხოლოდ სტუმრობდნენ, არამედ მონაწილეობდნენ კიდეც მაიდანის მიერ მოწყობილ ზოგიერთ აქციაში. მაგალითად, მოლოდინის რეჟიმში მყოფ მაიდანს ესტუმრა ლიტვის სეიმის თავმჯდომარე ლ. გრაუჟინენე (იქვე).

მაიდანმა თავიდანვე წარმოაჩინა მის რიგით შემადგენლობასა და პოლიტიკურ ლიდერებს შორის არსებული უნდობლობა, რამაც მაიდანის დროებითი გაყოფა გამოიწვია. 24 ნოემბერს, იმის გამო, რომ პროტესტის მონაწილეებს არ სურდათ პოლიტიკოსების ხილვა, პარტიების კარვები გაიშალა ევროპის მოედანზე, ხოლო საზოგადოებისა — დამოუკიდებლობის მოედანზე. ეს ფაქტი კარ-

გად გვიჩვენებს მაიდანის სოციალურ ძირებს, თავად მაიდანის მონაწილეებს შორის არსებულ წინააღმდეგობას და რაც ყველაზე საგულისხმოა — იმას, რომ ხალხი არ ენდობოდა არა მხოლოდ მთავრობის მომხრე პოლიტიკოსებს, არამედ პოლიტიკური ელიტის იმ ნაწილსაც, რომელიც ოპოზიციაში გადავიდა და მაიდანის ლიდერებად მოგვევლინა. ეს გაყოფა დიდხანს არ გაგრძელებულა. 26 ნოემბერს ორივე მიტინგი გაერთიანდა, ხოლო ოპოზიციის ლიდერებმა და კარვების ქალაქის ორგკომიტეტმა განაცხადეს, რომ ისინი ერთიანნი იყვნენ. იულია ტიმოშენკომ მოუწოდა ხალხს, რომ მაიდანიდან მოეშორებინათ პარტიული სიმბოლიკა. მაიდანი უნდა გაგრძელებულიყო 2013 წლის 1 დეკემბრამდე. ამ დღეს ოპოზიციის ლიდერებმა დანიშნეს დამამთავრებელი აქცია, რომლითაც უნდა დამთავრებულიყო პირველი ფაზა (იქვე).

30 ნოემბერს ღამის 4 საათზე მილიციამ მოითხოვა მაიდანის დაშლა, რომელიც ახალი წლისათვის უნდა მოემზადებინათ. ამ მოთხოვნას მომიტინგეები არ დაეთანხმნენ. შედეგად მოხდა მათი დარბევა, რაც, მილიციის მონაცემების მიხედვით, მომიტინგეთა მხრიდან წესრიგის დამცველების მიმართ მიმართული აგრესიის შედეგი იყო. განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა „მემარჯვენე სექტორი“, რომლის საიტიც „ბანდერელი“ ამ დროს წერდა, რომ „მემარჯვენე სექტორმა“ გამძაფრებული წინააღმდეგობა გაუწია ბერკუტს. ამის მიუხედავად, ქსელში ხვდება მხოლოდ დემონსტრანტების ცემის ფაქტები. მასმედია მოსახლეობის ხელისუფლებისადმი საწინააღმდეგო განწყობის გაძლიერების მიზნით, მხოლოდ წესრიგის დამცველების მხრიდან განხორციელებული ძალადობის ფაქტებს აშუქებდა. სწორედ ამაზე მოუთითებს ის ფაქტი, რომ პირველი სიუჟეტი, რომელშიც ნაჩვენებია პროვოკაციები მემარჯვენე ორგანიზაციების აქტივისტების მხრიდან, გამოჩნდა მხოლოდ 30 ნოემბერს, დღისით, და გაგრძელდა მხოლოდ 30 წამის განმავლობაში. ხოლო ის, თუ რა ხდებოდა მოედანზე მოვლენათა განვითარების დასაწყისში, არ იქნა ნაჩვენები. მაიდანის ძალის გამოყენებით დაშლამ გამოიწვია ფორმალური მოტივაციის წარმოშობა „ეროვნული წინააღმდეგობის შტაბის“ შექმნისა და მაიდანის აქტივისტების ახალი აგრესიის განსახორციელებლად, რაც 1 დეკემბერს სამთავრობო დაწესებულებებზე თავდასხმით და ახალი ტალღის აგორებით გამოიხატა (იქვე).

30 ნოემბერს პროტესტის ახალ აქციას საფუძველი ჩაუყარა ამავე დღეს მიხაილოვის მოედანზე დაწყებულმა მიტინგმა, რომელზედაც,

სვადასხვა მონაცემებით, შეიკრიბა 10-დან 15 ათასამდე ადამიანი. მიტინგის დაწყებამდე, ოპოზიციის ლიდერები არსენ იაცენიუკი, ვიტალი კლიჩკო და ოლეგ ტიაგნიბოკი შეხვდნენ ევროკავშირის წარმომადგენლებს. მიტინგზე წამოაყენეს მოთხოვნები, რომელთაგანაც მთავარი იყო პრეზიდენტ იანუკოვიჩის გადადგომა, შინაგან საქმეთა მინისტრის ვიტალი ზახარჩენკოსა და მთელი რიგი ოლქების „ბერკუტის“ მეთაურების პასუხისგებაში მიცემა, რომლებმაც ძალა გამოიყენეს მომიტინგეების წინააღმდეგ. მიტინგზე იაცენიუკმა ხალხს მოუწოდა საგაფიცვო კომიტეტების შექმნისაკენ და უკრაინის პრეზიდენტისა და მთავრობის ვადამდელი გადადგომის მიზნით საერთო ეროვნული გაფიცვის გამოცხადებისაკენ. მიხეილის მოედანზე იწყება თვითდაცვის რაზმების შექმნა.

30 ნოემბერს ევრომაიდანის დაშლამ ძლიერი რეზონანსი ჰპოვა რეგიონებში. რეგიონალურმა წარმომადგენლობითმა ორგანოებმა მიიღეს ერთმანეთისაგან განსხვავებული რეზოლუციები – ზოგი მხარს უჭერდა მთავრობას, ზოგი კი ოპოზიციას. მთავრობის მხარდამჭერთაგან ყველაზე უფრო რადიკალურობით გამოირჩეოდა ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელმაც არა მხოლოდ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ევროინინტეგრაციის კურსიის შეჩერებას, არამედ ოპოზიციის მოქმედება შეაფასა, როგორც დესტრუქციული და გამოვიდა მოწოდებით რუსეთთან მეგობრული კავშირების განმტკიცებისკენ. ის მთავრობისგან მოითხოვდა წესრიგის დამყარებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — საგანგებო მდგომარეობის შემოღებასაც. ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა კი გამოაცხადა, რომ რეგიონის ავტონომიას ემუქრებდა საფრთხე და მის მცხოვრებლებს მოუწოდა, მზად ყოფილიყვნენ ავტონომიის დასაცავად. დონეცკის საოლქო სახელმწიფო ადმინისტრაციის თავმჯდომარემ განაცხადა ,რომ პრეზიდენტი კანონიერად იყო არჩეული და დონბასი დაიცავდა თავის არჩევანს. დონეცკის საქალაქო საბჭომ დაგმო ძალის გამოყენება ევრომაიდანის მონაწილეების წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს გამოხატა შეშფოთება მაიდანის მიერ საერთო ეროვნული პოლიტიკური გაფიცვისაკენ მოწოდების გამო (იქვე).

განსხვავებული პოზიცია დაიკავეს დასავლეთ უკრაინაში. იმიერკარპატების საოლქო საბჭომ მხარი დაუჭირა ევრომაიდანის მონაწილეებს, ხოლო ევრომაიდნის დაშლას კი დანაშაული უწოდა. მან მოითხოვა მთავრობის გადადგომა,ხოლო მოქალაქეთა წინააღმდეგ ძალადობრივი მეთოდების გამოყენების შემთხვევაში სამო-

ქალაქო დაუმორჩილებლობისა და უკრაინის საერთო გაფიცვაში მონაწილეობის უფლება დაიტოვა. ივანოვო-ფრანკოვსკის საოლქო საბჭომ დაგმო 30 ნოემბერს ევრომაიდანის დაშლა და ევროკავშირსა და აშშ-ს მოუწოდა, რომ სანქციები დაეწესებინა უკრაინული ხელისუფლების წინააღმდეგ. მან აგრეთვე უნდობლობა გამოუცხადა საოლქო სახელმწიფო ადმინისტრაციას და მიიღო გადაწყვეტილება მისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების გამოთხოვის შესახებ. კიევის საოლქო საბჭომ თავის გადაწყვეტილებით დაგმო ევრომაიდანზე მილიციის მოქმედებები. ლვოვის საოლქო საბჭომ, ივანოვო-ფრანკოვსკის მსგავსად, საოლქო სახელმწიფო ადმინისტარაციას ჩამოართვა მისთვის დელეგირებული უფლებამოსილებები. ლვოვის მერმა ანდრეი სადოვიმ განაცხადა, რომ არ დაუშვებდა ევრომაიდანის დარბევას ლვოვში და დაგმო ბერკუტის ძალადობრივი მოქმედება კიევში. ლვოვის საქალაქო საბჭოში კი რეგიონების პარტიის ფრაქციამ შეწყვიტა არსებობა.

ოდესის ოლქში ოდესის საქალაქო საბჭომ მოუწოდა ხალხს, რომ თავი შეეკავებინათ რადიკალური განცხადებებისაგან, ხოლო პრეზიდენტს — მიეღო ზომები სიტუაციის სტაბილიზაციისათვის და გაეთვალისწინებინა ხალხის აზრი საგარეო ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების დროს. საბჭო პოლიტიკური პარტიებისგან მოითხოვდა ხელისუფლებასთან ცივილიზებული დიალოგის წარმოებას.

ტერნოპოლის საოლქო საბჭომ უნდობლობა გამოხატა ტერნოპოლის საოლქო სახელმწიფო ადმინისტრაციის მიმართ და მოითხოვა მილიციის განსაკუთებული დანიშნულების რაზმების ლიკვიდაცია. ხარკოვის ოლქში ხარკოვის საოლქო საბჭომ მხარი დაუჭირა უკრაინელი ხალხის მისწრაფებას, შეერთებოდნენ ევროპის საზოგადოებას, რომელსაც ახასიათებს ცხოვრების მაღალი დონე, დემოკრატია და კანონის პატივისცემა, აგრეთვე — ზომიერსა და თანამიმდევრულ ზომებს, რომელსაც ამ მიმართულებით იღებდა უკრაინის პრეზიდენტი და მთავრობა. მან აღიარა ადამიანების მიერ ნების თავისუფლად გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების უფლება, მაგრამ ამავე დროს დაგმო ოპოზიციის მოქმედებები, რომელიც სახელმწიფოში სოციალურ დაძაბულობის გამოწვევაზე იყო მიმართული (იქვე).

1 დეკემბერს, კიევში, ოპოზიციის კოლონა გაემართა მიხაილოვის მოედნიდან ჯერ შევჩენკოს პარკის, ხოლო შემდეგ კი დამოუკიდებლობის მოედნისაკენ, რომელიც მათ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს: მილიციამ უბრძოლველად დაუთმო მათ მოედანი, რომელიც მომზადებული იყო ახალი წლის შესახვედრად. ამ აქ-

ციაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ევროპელი დიპლომატები, ევროპარლამენტარები და სხვა უცხოელი პოლიტიკური მოღვაწეები. მსვლელობის პროცესში კოლონის რაოდენობა 100 ათასამდე გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ მიტინგის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ მიტინგი, რომელსაც უწოდეს „სახალხო ვეჩე", არ გასცდებოდა თავისუფლების მოედანს, მიტინგის მსვლელობის პროცესში მემარჯვენე აქტივისტებმა იერიში განახორციელეს პრეზიდენტის ადმინისტრაციაზე მისი დაუფლების მიზნით, რომლის დროსაც ძალა გამოიყენეს უიარაღო შინაგანი ჯარის მებრძოლთა წინააღმდეგ. იერიშის მოგერიება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ბერკუტის გამოძახების შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ მემარჯვენე ორგანიზაციის წარმომადგენლები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ სწორედ ისინი იღებდნენ მონაწილეობას პრეზიდენტის ადმინისტრაციის შტურმში, ოპოზიციის ლიდერებმა თავიდან ეს მოვლენა მთავრობის პროვოკაციად მონათლეს, მაგრამ მალევე დაიწყეს შტურმის მონაწილეების დაცვა და მათი პატიმრობიდან განთავისუფლების მოთხოვნა. რეალურად ეს ნიშნავდა ოპოზიციის ლიდერების მხრიდან ძალადობრივი მოქმედებების მხარდაჭერასა და წახალისებას. იმავე დღეს ოპოზიციამ დაიწყო სახელმწიფო ორგანოების შენობების დაკავება, რაც სამართლებრივ პირობებს ქმნიდა მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისათვის, მაგრამ იანუკოვიჩის მთავრობამ ასეთი ნაბიჯის გადადგმა ვერ გაბედა. დაახლოებით პირველი საათისათვის, მემარჯვენე სექტორის აქტივისტებმა დაიკავეს კიევის სახელმწიფო საქალაქო ადმინისტარციის შენობა, სადაც განთავსებული იყო, აგრეთვე, კიევის საქალაქო საბჭო. იმავე დღეს მათ დაიკავეს პროფკავშირების სახლი, ხოლო 2 დეკემბერს — ოქტომბრის სასახლე. მთავრობა იძულებულია, გადავიდეს თავდაცვის რეჟიმზე, რათა თავი დაიცვას მაიდნის აქტივისტების აგრესიისაგან. ამ მიზნით კიევში შემოიყვანეს შინაგანი ჯარის 100 მოსამსახურე, რომლებიც სახელმწიფო დაწესებულებების ადმინისტრაციული შენობების გასწვრივ განალაგეს. ამავე დროს მაიდანზე აგებენ ბარიკადებს შტურმისაგან თავის დასაცავად და ქმნიან თავდაცვის რაზმებს (იქვე).

უკრაინაში განვითარებული მოვლენები თავიდანვე მოექცა საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში. კიევში ჩამოვიდა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საერთაშორისო საქმეებში და უსაფრთხოების პოლიტიკაში ქრისტინ ეშტონი, რომელიც შეხვდა ვ. იანუკოვიჩს და შეატყობინა გაერთიანებული ევროპის აზრი,

რომ ყველა საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო მშვიდობიანად. მაგრამ პრობლემის ასეთი გადაწყვეტა საჭიროებდა ორივე დაპირისპირებული მხარის თანამშრომლობას, რაც შეუძლებელი იყო მემარჯვენე სექტორის შეურიგებლობისა და აგრესიულობის გამო; ამასთანავე, იგი სათანადო წინააღმდეგობას არ აწყდებოდა არც ოპოზიციის და არც ევროკავშირის მხრიდან. მათი პოზიცია, პირიქით, ხელს უწყობდა მემარჯვენეების აგრესიულობის გაძლიერებას და მთავრობის მიერ წინააღმდეგობის გაწევის უნარის დასუსტებას. კიევში ჩამოვიდა აგრეთვე აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვიქტორია ნულანდი. საერთაშორისო ძალისხმევის შედეგად გადაწყდა „მრგვალი მაგიდის“ გამართვა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის.

მთავრობასთან დაპირისპირების პროცესში მიმდინარეობს მაიდანის ორგანიზაციული და პოლიტიკური განვითარება. იქმნება მისი საკოორდინაციო საბჭო, ყალიბდება თავდაცვის რაზმები საკუთარი მეთაურებითურთ, ხოლო 22 დეკემბერს ჩატარებულ მორიგ ვეჩეზე გამოცხადდა სახალხო გაერთიანება „მაიდანის“ შექმნა. მაიდანი ჩამოყალიბდა ორგანიზაციად საკუთარი მართვის ორგანოებითა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტატუსით, როგორც რეალური ძალისა და გავლენის ცენტრი, სახელმწიფოსადმი დაპირისპირებული კარგად ორგანიზებული და კოორდინირებული ძალა, რომელიც აშკარად სარგებლობდა საერთაშორისო მხარდაჭერით, რაც აძლიერებდა მის ლეგიტიმაციას და როგორც მორალურად, ასევე პოლიტიკურად აძლიერებდა მას.

ხელისუფლება სულ უფრო მეტად კარგავდა სიტუაციაზე კონტროლს. ქვეყანაში მკვიდრდებოდა უკონტროლობა და ძალადობა. ასეთ პირობებში, საკუთარ ხელში ინიციატივის აღებისა და სიტუაციის შემობრუნების მიზნით, მთავრობა შეეცადა შეეცვლა კანონმდებლობა. 2014 წლის 16 იანვარს პარლამენტმა მიიღო კანონები, რომლებიც მიმართული იყო უკრაინაში ძალადობის ტალღის შემცირებისა და წესრიგის აღდგენისაკენ. ახალი კანონების მიღებამ პროტესტისა და ძალადობის ახალი ტალღის აგორება გამოიწვია. 19 იანვარს ჩატარებულმა ვეჩემ 16 იანვრის კანონები დიქტატურის დამყარების მცდელობად გამოაცხადა. მან მოითხოვა სახალხო მთავრობის შექმნა და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება. ამას თან მოჰყვა სამთავრობო დაწესებულებების ბლოკირების ახალი ტალღის აგორება. შეჯახებები დაიწყო მას შემდეგ, რაც მილიციამ აღკვეთა ოპოზიციის მხრიდან უზენაესი რადის დაბლოკვის მცდელობა, რომლებიც 16 იანვარს მიღებული

კანონების გაუქმებას მოითხოვდნენ. იმავე დღის სამი საათისათვის აქტივისტების ორმა ჯგუფმა გაარღვია დაცვის კორდონი და შტურმით აიღო სამთავრობო კვარტალი (იქვე).

თებერვალში ხელისუფლება საბოლოოდ კარგავს წინააღმდეგობის გაწევის უნარს და სიტუაციის კონტროლი მთლიანად გადადის მაიდანის ხელში. 19 თებერვალს ოპოზიციამ დაიკავა მთავარი ფოსტამტი, კონსერვატორია და რადიოს სახელმწიფო კომიტეტი. 21 თებერვალს უკრაინის შსს-ის ცნობით, მაიდანის აქტივისტებმა კვლავ დაარღვიეს დაზავება და ცეცხლი გაუხსნეს შსს-ის თანამშრომლებს. ასეთი დაპირისპირების ფონზე სიტუაციის განმუხტვის უკანასკნელ მცდელობას წარმოადგენდა, ერთი მხრივ, ვიქტორ იანუკოვიჩის, ხოლო, მეორე მხრივ, ოპოზიციის ლიდერების – ვიტალი კლიჩკოს, არსენი იაცენიუკისა და ოლეგ ტიაგნიბოკის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება „უკრაინის პოლიტიკური კრიზისის დარეგულირების შესახებ“. ეს დოკუმენტი შეიქმნა პრეზიდენტსა და ოპოზიციას შორის ევროკავშირისა და რუსეთის შუამავლობით მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგად და ითვალისწინებდა 2004 წლის კონსტიტუციაზე დაბრუნებას ანუ საპარლამენტო-საპრეზიდენტო მმართველობის ფორმაზე გადასვლას, სამთავრობო ძალების გაყვანას კიევიდან და ოპოზიციის მიერ იარაღის ჩაბარებას.

ხელის მოწერის მოწმეებად გამოვიდნენ გერმანიისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრები და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კონტინენტური ევროპის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. ამასთან, უზენაესმა რადამ მიიღო დადგენილება ყველა დაკავებულის გათავისუფლებისა და 2004 წლის კონსტიტუციაზე დაბრუნების შესახებ. ბერკუტმა და შსს-ის ქვედანაყოფებმა დატოვეს კიევი (იქვე). შექმნილ სიტუაციაში ეს იყო ხელისუფლების ნებაყოფლობითი განიარაღება შეტევაზე გადმოსული შეიარაღებული ოპოზიციის წინაშე. ოპოზიციის ყველა მოთხოვნა შესრულებული იყო და ამ უკანასკნელის რეალური სურვილის შემთხვევაში, მოვლენები მშვიდობიანი გზით განვითარდებოდა, მაგრამ ოპოზიციას არაფრის დათმობა არ სურდა. როგორც მოვლენების განვითარებამ გამოამჟღავნა, ოპოზიცია არ აპირებდა შეთანხმებას, მას სურდა, ერთპიროვნულად დაუფლებოდა ხელისუფლებას. ასეთ პირობებში მოხდა ხელისუფლების განიარაღება შეიარაღებული ოპოზიციის წინაშე, რომელმაც დაუყონებლივ ისარგებლა ამით და საკუთარ კონტროლს დაუმორჩილა სახელმწიფო სტრუქტურები.

მაიდნის ახალი მოთხოვნით, თუ იანუკვიჩი არ გადადგებოდა 22

თებერვლის 10 საათამდე, ხალხი შეიარაღებულ შეტევაზე გადავიდოდა.[5] ასეთი ფონი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მემარჯვენე სექტორის აქტიურობისათვის, რომელმაც ასევე არ მიიღო ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის გაფორმებული შეთანხმება. ის უკმაყოფილო იყო იმით, რომ მასში არ იყო გათვალისწინებული იანუკოვიჩის დაუყონებლივი გადადგომა და რადის დათხოვნა. მემარჯვენე სექტორი მაიდანის მსგავსად იმუქრებოდა, რომ თუ პრეზიდენტი დაუყონებლივ არ გადადგებოდა, მაშინ ის შტურმით აიღებდა პრეზიდენტის ადმინისტარციასა და უზენაეს რადას. გარდა ამისა, მას არ აწყობდა რეფორმების თანდათანობით განხორციელება, რაც დოკუმენტით იყო გათვალისწინებული და სხვ. მემარჯვენე სექტორის ლიდერმა დიმიტრი იაროშმა ამ დოკუმენტს მორიგი თვალის ახვევა უწოდა და უარი განაცხადა მის შესრულებაზე.

22 თებერვლის ღამით, ევრომაიდანის აქტივისტემა დაიკავეს სამთავრობო კვარტალი, რომელიც დატოვებული ჰქონდათ სამართალდამცავებს, და თავის კონტროლს დაუქვემდებარეს უზენაესი რადის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის, მინისტრთა კაბინეტის და შსს-ს შენობები და მოითხოვეს იანუკოვიჩის დაუყონებლივი გადაყენება. ვლადიმერ პუტინის მოწმობით, იანუკოვიჩი ენდობოდა ოპოზიციასთან დადებულ შეთანხმებას, რომლის გარანტორებიც ევროპელი მინისტრები იყვნენ და ამიტომ გადაწყვიტა კიევის დატოვება და ხარკოვში წასვლა კონფერენციაზე დასასწრებად. მისი რწმენა, რომ დადებული ხელშეკრულება არ დაირღვეოდა, იმდენად ძლიერი იყო, რომ მან მილიციაც კი გამოიყვანა კიევიდან. პუტინს კი ასეთი მოქმედება შექმნილ სიტუაციაში გაუმართლებლად მიაჩნდა. ამ უკანასკნელის მოლოდინი გამართლდა: შეთანხმების არსებობის მიუხედავად, მეორე დღესვე, როგორც კი იანუკოვიჩმა დატოვა კიევი, ოპოზიციამ შეიარაღებული ძალის გამოყენებით დაიკავა მთავრობის ადმინისტრაციული შენობები.[6]

იმავე 22 თებერვალს სახალხო დეპუტატმა, პარტია ბატკივშჩინის წევრმა, ევრომაიდანის კომენდანტმა ანდრეი პარუბიმ გამოაცხადა, რომ სამთავრობო კვარტალი, უზენაესი რადა, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მინისტრთა კაბინეტი და შსს გადავიდა მაიდანის კონტროლის ქვეშ, მილიციას კი მისცა წინადადება, რომ

---

[5] **Майдан освистил лидеров опозиции и дал Януковичу время до утра http://politozar.net/show-13552-maydan-osvistal-liderov-oppozicii-i-dal-yanoko0**

[6] **Путин на Валдае: «Это не я – вся Россия. Это для меня Россия вся жизнь. http://www.trud.ru/article/24-10-2014/1318910 _ putin_na_valdae eto_ne _ja _vsia_rossia_ eto_dlia_menja**

სამთავრობო კვარტალსა და კიევში კონტროლი მაიდნელებთან ერთად განეხორციელებინა. მისი განცხადების თანახმად, კიევის კონტროლი გადავიდა სამხედრო შტაბის ხელში, რომელიც არ დაუშვებდა რაიმე მოქმედებას მასთან შეთანხმების გარეშე.

ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა იანუკოვიჩის უკანონო (კონსტიტუციის მიხედვით, მისი გადაყენება შესაძლებლი იყო მხოლოდ იმპიჩმენტით) გადაყენება დაკავებული თანამდებობიდან, რასაც საფუძვლად დაუდეს ბრალდება, რომ თითქოს მან საკუთარი ნებით აარიდა თავისი მოვალეობების შესრულებას; უზენაესი რადის ხელმძღვანელობის გადადგომა და უმაღლესი სამთავრობო პოსტების დაკავება ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ. ამის შემდეგ იწყება უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის რღვევისა და ტერიტორიების დაკარგვის პროცესი, სამოქალაქო ომი და ქვეყნის სახელმწიფოებრიობისა და ეკონომიკის ნგრევა. ეს იყო პოლიტიკური პროცესის დემოკრატიული და კონსტიტუციური საზღვრებიდან გამოსვლისათვის გადახდილი ფასი.

მაიდანის წარმოშობის მთავარი ფაქტორი იყო ფრუსტრაცია, რაც უკრაინის საზოგადოების ერთ ნაწილში წარმოშვა მთავრობის მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ, დროებით შეეჩერებინა ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, მისი უარყოფითი შედეგების თავიდან აშორების გზების მიგნების მიზნით. ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა დაკავშირებული იყო იმედთან, რომ ევროკავშირის საშუალებით უკრაინა სწრაფად განვითარდებოდა, ამაღლდებოდა მატერიალური ცხოვრების დონე და დამკვიდრდებოდა ცხოვრების ევროპული სტანდარტები. ასეთი მოლოდინი უფრო გრძნობად-ემოციურ ხასიათს ატარებდა ვიდრე რაციონალურს, ამიტომ მთავრობის გადაწყვეტილებამ გამოიწვია ძლიერი ვნებათა ღელვა ხელმოწერის მომხრეებს შორის. სავარაუდოდ, ასეთი იმედგაცრუება ხელისუფლების დამხობით მაინც არ დამთავრდებოდა, რომ წინასწარ არ არსებულიყო ხელისუფლების შეცვლის გეგმა. მაიდანის მთელი მსვლელობა და განვითარება წინასწარ მომზადებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ აზრს ამტკიცებს უკრაინის უშიშროების სამსახურის ქცევაც, რომლის შეიარაღებულმა თანამშრომლებმა „ბატკივშჩინის“ პარტიის ოფისში ჩაატარეს ჩხრეკვა და მოახდინეს სერვერის კონფისკაცია. 31 იანვარს უკრაინის შსს-მ გააკეთა განცხადება, სადაც აღნიშნა, რომ 2013 წლის ნოემბრიდან მოყოლებული, პროტესტები იყო არა სტიქიური, არამედ წინასწარ დაგეგმილი, განვითარების ძალისმიერი სცენარის ჩათვლით. სამინისტროს აზრით, ამაზე მეტყველებდა „ბატკივშჩინას“ სერვერები-

დან ამოღებული მასალები. უკრაინის უშიშროების სამსახურმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდების ფაქტთან დაკავშირებით.[7]

მაიდანს მხარს უჭერდა აშშ და ევროკავშირიც, რაც მისი ლეგიტიმაციის გაძლიერებასა და მთავრობის გავლენის დასუსტებას უწყობდა ხელს. 1 თებერვალს კლიჩკომ და იაცენიუკმა მონაწილეობა მიიღეს მიუნჰენის კონფერეციაში, სადაც შეხვდნენ ჯონ კერის და ევროპის ხელმძღვანელებს. გარდა ამისა, ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოუწოდა ევროკავშირს, რომ ადრესული სანქციები მიეღო იმ უკრაინელი ჩინოვნიკების, პარლამენტარებისა და ოლიგარქების მიმართ, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ ოპოზიციის წინააღმდეგ ძალის გამოყენებაში. მათ ამავე დროს მოუწოდეს ევრომაიდანელებს, თავი შეეკავებინთ ძალის გამოყენებისაგან. ევროკავშირმა დაგმო ძალადობა, როგორც მთავრობის ასევე ოპოზიციის მხრიდან; მოუწოდა მთავრობას ბერკუტისა და სხვა სპეცდანაყოფების გამოყენების შეწყვეტისაკენ და ა. შ. მოცემულ სიტუაციაში ასეთი რეზოლუცია დესტრუქციული ძალების წისქვილზე ასხამდა წყალს, რომელთა წინააღმდეგ, როგორც ევროკავშირს, ასევე ოპოზიციის სხვა ლიდერებსაც რეალური ნაბიჯები არ გადაუდგამთ. ევროკავშირს შეეძლო თავისი ავტორიტეტის გამოყენება ექსტრემისტული ძალების წინააღმდეგ, მაგრამ მას ეს არ გაუკეთებია. მისი ავტორიტეტი რეალურად იანუკოვიჩის მთავრობის წინაღმდეგ იყო მიმართული. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოხატა თავისი უკმაყოფილება ევროკავშირის მიერ უკრაინის მთავრობის შეფასების გამო. გაუგებარია, რა ზომები უნდა მიეღო მთავრობას, როცა ოპოზიცია შეტევებს ახორციელებდა სამთავრობო დაწესებულებების წინააღმდეგ? ასეთ პირობებში ბერკუტისა და სხვა რაზმების გამოყენებაზე უარის თქმა არჩევნების გზით მოსული ხელისუფლების კაპიტულაციის ტოლფასი იყო. საბოლოო ჯამში ასეც მოიქცა უკრაინის მთავრობა, რამაც ეს სახელმწიფო კატასტროფის წინაშე დააყენა.

როგორც ვნახეთ, იანუკოვიჩის მთავრობის გადაწყვეტილებას ასოცირების ხელშეკრულების შეჩერების შესახებ ერთნაირი რეაქცია არ გამოუწვევია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. მას მოწინააღმდეგეების გარდა ჰყავდა მომხრეებიც, რაც უკრაინის სხვადასხვა რეგიონის განსხვავებული პოლიტიკური კულტურის გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ. აღმოსავლეთის რეგიონებისათვის, სადაც

[7] **Хронология Евромайдана https://ru.wikipedia.org**

განლაგებულია სამრეწველო ცენტრები, ის ეკონომიკურად ზიანის მომტანი იყო, რადგანაც გამოიწვევდა უმუშევრობას, წარმოებისა და შემოსავლების შემცირებას და ა. შ. ამიტომ აღმოსავლეთ უკრაინის მცხოვრებლებისათვის ნათელი იყო ამ ხელშეკრულების უარყოფითი შედეგები. ამ ხელშეკრულების შედეგები ნაკლებად გამჭვირვალე იყო აგრარული დასავლეთ უკრაინის მცხოვრებთათვის, სადაც წარმოება ისედაც გაჩერებული იყო, ხოლო უმუშევრობის დონე კი მაღალი. ამიტომ დასავლეთ უკრაინის მცხოვრებლები ინდივიდუალურ დონეზე, ერთი შეხედვით, არაფერს კარგავდნენ – პირიქით, იგებდნენ კიდევაც, რადგანაც მათ ეს ხელშეკრულება საშუალებას აძლევდათ, რომ უფრო ადვილად ევლოთ ევროპაში საშოვარზე. მაგრამ ინდივიდუალურ დონეზე არსებული სარგებლობის მიღების ასეთი მოლოდინი, ნიღბავდა იმ ზიანს, რასაც აღმოსავლეთ უკრაინის მრეწველობის გაჩერება მოუტანდა დასავლეთ უკრაინის რეგიონებს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ დასავლეთ უკრაინა უშუალოდ ესაზღვრება ევროკავშირის ქვეყნებს, რაც აგრეთვე აძლიერებს მის ევროპულ ორიენტაციასა და მოლოდინს.

ევრომაიდანის აქტიური მხარდამჭერი იყო ახალგაზრდობის ნაწილი, განსაკუთრებით სტუდენტობა, რომელიც ასევე დიდ იმედებს ამყარებდა ევროპასთან დაახლოებაზე, რასაც უკავშირებდა ცხოვრების ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას, საკუთარ კარიერულ მიზნებს, ხარისხიანი, ევროპული განათლების მიღებას, ევროპაში ცხოვრებასა და მუშაობას, მაღალ ანაზღაურებას და ა. შ. ახალგაზრდობის პოლიტიკურ ცნობიერებაში ევროკავშირის მითოლოგიზებული სახის არსებობა ნაკლები ინფორმირებულობის შედეგი იყო. სწორედ ამას მოწმობს სტუდენტთა ქცევების შეცვლა პოლონელი პუბლიცისტის კიპრიან დარჩევსკისთან საუბრის შემდეგ, რომელიც მან ჩაატარა თავის სტუდენტებთან დასავლეთ უკრაინის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში. სტუდენტებს შორის, ევროკავშირთან მიერთების მოტივაციის წარმოშობაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა უვიზო რეჟიმის შემოღების, უფრო მაღალი გამომუშავების მიღების, გზების გაუმჯობესების მოლოდინი. სტუდენტები მხარს არ უჭერდნენ იანუკოვიჩს იმის გამო, რომ ის მიაჩნდათ ევროკავშირის მოწინააღმდეგედ. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ის პოზიციებს შეიცვლიდა, მაშინ ახალგაზრდები მზად იყვნენ, მისი მმართველობა მიეღოთ.

დარჩევსკიმ აუხსნა თავის სტუდენტებს, რომ უვიზო რეჟიმის მიღება, რომელიც მოქმედებდა ბევრ ისეთ ქვეყანასთან, რომელიც

არ იყო გაერთიანებული კავშირში, არ საჭიროებდა ევროკავშირში შესვლას. მან ახალგაზრდებს ისიც უთხრა, რომ ევროკავშირი არ გაზრდიდა შემოსავლებს, რაც აუდიტორიამ უნდობლად მიიღო. სამაგიეროდ, არცერთ სტუდენტს არ სურდა, უფრო მეტი ფული გადაეხადა სხვადასხვა მომსახურებაში, მათ შორის გაზსა და ბენზინში. დარჩევსკის მოწმობით, ახალგაზრდებთან ნახევარსაათიანი საუბრის შემდეგ, მათი ევროენთუზიაზმი საგრძნობლად დასუსტდა.[8]

აღსანიშნავია ისიც, რომ უკრაინაში არსებული ფართოდ გავრცელებული კორუფციის ფონზე, ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება საზოგადოების ერთ ნაწილში, რომელიც არ იყო დაკავშირებული მრეწველობის წამყვან დარგებთან, აღქმული იყო როგორც არსებული სიტუაციიდან გამოსვლის საშუალება. მაიდანის წარმოშობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, აგრეთვე, უკრაინაში არსებულმა არაჯანსაღმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა სიტუაციამ, რომელიც ფართოდ გავრცელებულ კრიმინალსა და კორუფციას უკავშირდება.

მაიდანის გავრცელების პერსპექტივა სამხრეთ კავკასიაში

უკრაინის მოვლენების გავრცელების პერსპექტივა სამხრეთ კავკასიაში დამოკიდებულია უკრაინული მაგალითის მიმართ ამ ქვეყნების რეზისტენტულობის სიძლიერეზე, რასაც განსაზღვრავს პოლიტიკური რეჟიმების სტაბილურობის დონე. ამ რეგიონში გარედან წამოსული იმპულსების მიმართ ყველაზე მგრძნობიარე თითქოს საქართველო უნდა იყოს. აქ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 24 წლის განმავლობაში სამჯერ შეიცვალა ხელისუფლება და მხოლოდ ერთხელ არჩევნების გზით — 2012 წელს, როცა ნაციონალებმა დაკარგეს ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შედეგად. მანამდე ხელისუფლების ცვლა მიმდინარეობდა რუსთაველის მოედანზე, პარლამენტის წინ დაწყებული აქციების — ქართული მაიდნების საშუალებით. პარლამენტს ყოველთვის აკონტროლებდა პრეზიდენტის პარტია. მაგრამ, ამავე დროს, ავტორიტარული ელემენტების გვერდით არსებობდა კარგად განვითარებული დემოკრატიული ელემენტებიც, რომლის ბოლომდე დამორჩილებასაც ხელისუფლება ვერ ახერხებდა, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა საზოგადოებაში დაგროვებული პრო-

[8] **Киприан Дарчевски. Польша-Украина: окно с видом на психушку. http://www.polska-kaliningrad.ru/news/2541-polandukraine**

ტესტის პერიოდულად აფეთქების საფუძველზე ხელისუფლების არაკონსტიტუციური გზით შეცვლისათვის. ასეთი ცვლილების შემდეგ, გამარჯვებული ძალა ატარებდა პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნებს, რითაც ხდებოდა ხელისუფლების არაკონსტიტუციურად ცვლის ლეგიტიმაცია და პოლიტიკური პროცესიის კონსტიტუციურ საზღვრებში მოქცევის იმიტაცია. ასეთი პერიოდული აფეთქებების ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო ხალხი, ხოლო მიზეზი — მისი უკიდურესი გაჭირვება.

იმის გამო, რომ ამ ადამიანებს არ ჰყავდათ საკუთარი ინტერესების გამომხატველი ძლიერი პოლიტიკური ძალები, მათ უკმაყოფილებას ხელისუფლებაში მოსვლისათვის იყენებდნენ ის პოლიტიკური სუბიექტები, რომლებსაც საზოგადოებაში დაგროვებული უკმაყოფილების მობილიზაციის საფუძველზე საპროტესტო ტალღის აგორებისა და წარმართვისათვის საჭირო მატერიალური და ორგანიზაციული რესურსები გააჩნდათ. საპროტესტო აქციების ლიდერებისა და რიგითი მონაწილეების ინტერესები და მოტივაციები ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებოდა. ხელისუფლების ყოველი მორიგი ცვლილების შემდეგ, ეს განსხვავება მალევე ხდებოდა ნათელი, რაც ახალი უკმაყოფილების დაგროვებას იწვევდა საზოგადოებაში და ამზადებდა ხელისუფლების მორიგ ცვლას ქართული მაიდანის საშუალებით. მაგრამ მაიდანის პოტენციალი საქართველოში საგრძნობლად დასუსტდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რომელმაც თითქოს დროებით გამოუშვა ორთქლი პოლიტიკური სისტემიდან.

საქართველოს პოლიტიკურ სისტემაზე ზეწოლის დროებითი დასუსტების შედეგია ის, რომ: 1. გაძლიერდა უნდობლობა პოლიტიკურ ძალებსა და საზოგადოებას შორის, რომელიც ყოველი წარმატებული მაიდანის შემდეგ იმედგაცრუებული რჩებოდა. დღეს ჯერ-ჯერობით არ ჩანს ისეთი პარტია ან პიროვნება, რომელიც შეძლებდა თავის ირგვლივ პროტესტულად განწყობილი საზოგადოების საკმარისად დიდი მასის მობილიზაციას;

2. 2012 წლის არჩევნების შედეგად, ხელისუფლებაში ქართული ოცნების მოსვლის შემდეგ, მნიშვნელოვნად შესუსტდა სახელმწიფოს ზეწოლა საზოგადოებაზე, გაიხსნა პოლიტიკური სისტემა. მან აჩვენა, რომ არჩევნების გზით საქართველოში შესაძლებელია ხელისუფლების შეცვლა.

3. მიუხედავად ქართული ოცნების გავლენის მნიშვნელოვანი დასუსტებისა და მის მიმართ არსებული იმედების გაცრუებისა, საზოგადოებაში არ არის დაგროვებული იმ დონის უკმაყოფილება

და სიძულვილი ხელისუფლებისადმი, რომელიც ქუჩაში გამოიყვანდა ადამიანების იმ რაოდენობას, რომელიც უკრაინული სცენარის გამეორებისათვის არის საჭირო;

4. სავარაუდოდ, ხელისუფლება გადამჭრელ ზომებს მიიღებს ოპოზიციის მხრიდან შესაძლებელი პროვოკაციური და კანონსაწინააღმდგო ქმედებების აღსაკვეთად, რაც მანამდე არ გაუკეთებია არცერთ ქართულ მთავრობას, რომელიც მაიდანის მსხვერპლი აღმოჩნდა, და არც იანუკოვიჩს უკრაინაში. პოსტსაბჭოთა მაიდანების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი არის ხელისუფლების არაადეკვატური რეაგიერება ოპოზიციის კანონსაწინააღმდეგო, აგრესიული, პროვოკაციული ქმედებებზე. ნოემბრის მოვლენების დროს, სააკაშვილმა უკანანოდ გამოიყენა ჯარი და პოლიცია ქართული მაიდანის წინააღმდეგ და შეძლო საკუთარი პოზიციების შენარჩუნება, მაშინ როცა, ვერც იანუკოვიჩმა და ვერც შევარდნაძემ ვერ შეძლო ძალის კანონიერი გამოყენება ოპოზიციის დესტრუქციული ქცევების აღკვეთის მიზნით.

5. საზოგადოებაში მნიშვნელოვნად სუსტდება პროდასავლური მუხტი. ქვეყანამ უკვე მოაწერა ხელი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რომელსაც საზოგადოებისათვის რაიმე საგრძნობი პოზიტიური ცვლილებები არ მოუტანია, რაც ხელს უწყობს ევროკავშირის დემითოლოგიზაციის დაწყებული პროცესის გაძლიერებას. საზოგადოების სულ უფრო მეტი ნაწილისათვის ნათელი ხდება რუსეთის მნიშვნელობა საქართველოსათვის. ამიტომ ის პარტიები, რომლებიც საზოგადოების მიერ აღიქმებიან, როგორც რადიკალურად პროდასავლური და ანტირუსული ორიენტაციის მატარებლები, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერით ვერ სარგებლობენ. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის, საქართველო ყველაზე უფრო მეტად გამოირჩევა თავისი პროდასავლური ორიენტაციით. მაგრამ დღეს მიმდინარეობს მისი დასუსტების პროცესი.

თუ საბჭოთა კავშირისადმი საზოგადოების დამოკიდებულებას მივიჩნევთ დასავლეთისადმი დამოკიდებულების არაპირადაპირ მაჩვენებლად, მაშინ საბჭოთა კავშირის დანგრევისადმი დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება შეიძლება განხილული იყოს, როგორც დასავლური ორიენტაციის სიძლიერის ან სისუსტის არაპირადპირი მაჩვენებელი. გელაპის მიერ პოსტსაბჭოთა 11 ქვეყნის გამოკითხვამ აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის 33% უარყოფითად აფასებს საბჭოთა კავშირის დაშლას და მხოლოდ 37% მიიჩნევს მას დადებითად.[9] ეს სხვაობა, სავარაუდოდ, რამდენიმე წლის წინ, გან-

[9] **Институт Геллапа. Большинство жителей постсоветских стран сожалеют распад**

საკუთრებით კი დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ისტორიის დასაწყისში, გაცილებით უფრო ძლიერი იქნებოდა. სსრკ-ის დაშლისადმი უარყოფითი მაჩვენებლის ზრდა გვიჩვენებს, რომ რაც უფრო ვშორდებით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, მით უფრო ძლიერდება საზოგადოებაში საბჭოთა კავშირის დაშლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, რაც პროდასავლური განწყობების დასუსტების მანიშნებელიც შეიძლება იყოს.

აქვე ისიც არის აღსანიშნავი, რომ მმართველი კოალიციის წამყვანი პარტიები სწორედ პროდასავლური ორიენტაციისანი არიან, მაგრამ გაცილებით უფრო მეტი ზომიერებით გამოირჩევიან, ვიდრე ნაციონალური მოძრაობა – ყოფილი სახელისუფლებო პარტია. ამიტომ საზოგადოების ისედაც დასუსტებული პროდასავლური ნაწილი გაყოფილია ოცნების მმართველ კოალიციასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის. მათ ემატება, აგრეთვე, ალასანიას თავისუფალი დემოკრატების გადასვლა ოპოზიციაში, რაც ასევე აძლიერებს პროდასავლური ძალების დაქსაქსვას.

მაგრამ ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოში არ არსებობენ ისეთი ძალები, რომლებიც შეიძლება შეეცადონ უკრაინული სცენარის ქართული ვარიანტის განხორციელებას. ასეთია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“,“ რომელმაც ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ და არჩევნებში დამარცხების მიუხედავად, ხელისუფლების ხელშეწყობით, რომელიც იძულებულია ანგარიში გაუწიოს დასავლეთიდან წამოსულ ზეწოლას, ხელოვნურად შეძლო ისეთი პოზიციების შენარჩუნება პოლიტიკურ სისტემაში, რომელიც სრულებით არ შეესაბამება მის საგრძნობლად დასუსტებულ გავლენას საზოგადოებაში. ეს პარტია ძლიერი ოპოზიციური ფრაქციით არის წარმოდგენილი პარლამენტში, აქვს ძლიერი ტელევიზიები, ფული და კარგად დაფინანსებული „არასამთავრობო“ ორგანიზაციების მთელი ქსელი. მან შექმნა მაიდანის ავანგარდის, „მემარჯვენე სექტორის“ მსგავსი ორგანიზაცია — „თავისუფალი ზონა“, რომელსაც სავარაუდოდ შეუძლია პროვოკაციური და აგრესიული ქმედებების განხორციელება, ხელისუფლების ისეთი რეაგირების გამოწვევის მიზნით, რის გამოყენებასაც შეეცდებიან მისი დისკრეტიზაციისათვის. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, ნაციონალური მოძრაობა ვერ სარგებლობს საზოგადოების მხარდაჭერით, რის გამოც ის ვერ შეძლებს იმ რაოდენობის ადამიანების ქუჩაში გამოყვანას, რაც საჭიროა ქუჩიდან

СССР. Прогрессивная социалистическая Партия Украины.(http://www.vitzenko.org/start,php2lang=3@articleid=18286)

ხელისუფლების დამხობისათვის.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის სომხეთი ყველაზე უფრო ძლიერი პრორუსული ორიენტაციით გამოირჩევა. გელაპის გამოკითხვის მიხედვით, სომხეთის მოსახლეობის ^66% სსრკ-ის დაშლას ზიანის მომტანად მიიჩნევდა და მხოლოდ 12% თვლიდა მას სარგებლობის მომტანად (იქვე). საქართველოსაგან განსხვავებით, სომხეთის პოლიტიკური სისტემა უფრო მეტი სტაბილურობით გამოირჩევა. აქ ვერ გავრცელდა არა თუ ფერადი რევოლუცია, არამედ საერთოდ არ ჰქონია ადგილი ხელისუფლების არაკონსტიტუციურ ცვლას, სახელმწიფო გადატრიალებას, ქუჩიდან მოსული ხალხის მიერ ხელისუფლების დაუფლებას. საქართველოსაგან განსხვავებით, სადაც პარლამენტში დომინირებს ხოლმე ერთი პარტია, რომელიც როგორც წესი, არა მხოლოდ პრეზიდენტის მიერ არის შექმნილი, არამედ მისი გავლენის წყალობითაც არის მოხვედრილი პარლამენტში, სომხეთის პოლიტიკური სისტემა წარმოშობს საპარლამენტო კოალიციებს, რაც უკანასკნელ დრომდე უცხო იყო ქართული პოლიტიკური სისტემისათვის.მიუხედავად იმ კრიტიკისა, რაც სომხური არჩევნების მიმართ გამოითქმის, მათი გვერდის ავლით ჯერ არცერთი ხელისუფლება არ შეცვლილა.

ამის მიუხედავად, უკანასკნელ ხანს სომხეთში განვითარებული მოვლენები შეიძლება გარკვეულ საფუძველს იძლეოდეს იმისათვის, რომ დავუშვათ სომხური მაიდანის განვითარების შესაძლებლობა. სომხეთის მმართველი რესპუბლიკური პარტიის მიერ ინიცირებული საკონსტიტუიო რეფორმა, რომელიც ითვალისწინებს სომხეთის საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან საპარლამენტო რესპუბლიკის მართველობის რეჟიმზე გადასვლას, ოპოზიციურმა პარტიებმა აღიქვეს, როგორც ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტის – სარქისიანის ხელისუფლებაში ყოფნის გახანგრძლივების მცდელობა, რასაც მძლავრი საპროტესტო აქციებით უპასუხეს. ერევნის მთავარ, თავისუფლების მოედანზე 2014 წლის 10 და 24 ოქტომბერს ჩატარდა მრავალათასიანი მიტინგები სამთავრობო კოალიციის გარეთმყოფი საპარლამენტო პარტიების – „აყვავებული სომხეთი“, „სომხური ეროვნული კონგრესი“ და „მემკვიდრეობის“ — ხელმძღვანელობით.

ოპოზიციამ მოითხოვა ხელისუფლების დაუყონებლივი გადადგომა და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა, საკონსტიტუციო რეფორმაზე უარის თქმა და გამოაცხადა უვადო ბრძოლა ხელისუფლების შეცვლისათვის. მთავრობის ურჩობის შემთხვევაში, ითვალისწინებდნენ მის შეცვლას სახალხო დაუმორჩილებლობის გზით.[10] მაგრამ უკრაინული

[10] **Гордон 25 октября 2014 года. http://gordona.com./news/worldnews ; Майдан**

მაიდანისაგან განსხვავებით, ოპოზიციის უკმაყოფილებას იწვევს არა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, არამედ საშინაო. მისი ლიდერები მყარად უჭერენ მხარს სომხეთის პრორუსულ ორიენტაციას და ემიჯნებიან უკრაინულ მაიდანსაც. თითოეულ მიტინგში მონაწილეთა რაოდენობა არ აღემატებოდა 18-25 ათასს ადამიანს, რაც ბევრად ჩამორჩება იმ მასას, რაც საჭიროა მაიდანის მსგავსი აქტიურობის განვითარებისათვის, ხოლო ერევნის თავისუფლების მოედანი არ გადაქცეულა პერმანენტული პროტესტის ეპიცენტრად. მისი ორგანიზატორები ხაზს უსვამდნენ ხელისუფლების მშვიდობიანი, კონსტიტუციური შეცვლის აუცილებლობას და ამით ემიჯნებოდნენ უკრაინული სცენარის გამეორების შესაძლებლობას სომხეთში. მაგალითად, სომხეთის უმდიდრესმა ადამიანმა, „აყვავებული სომხეთის“ ლიდერმა ცარუკიანმა ხაზი გაუსვა, რომ ისინი (ე. ი. ოპოზიცია) მაიდანს არ უჭერენ მხარს, მაგრამ, მისი სიტყვებით, „მაიდანის ალტერნატივა არ შეიძლება იყოს უძრაობა“ (იქვე). „მემკვიდრეობის“ ლიდერის, რაფიკ ოვანესიანის სიტყვებით — ეს რევოლუცია იქნება კონსტიტუციური, მშვიდობიანი და კანონიერი. მისი აზრით, სომხეთს სჭირდება აზრების, სულის, ხალხის, მოქალაქისა და ეროვნული მომავლის რევოლუცია. სომხური ეროვნული კონგრესის ლიდერი ტერ-პეტროსიანი ხაზს უსვამდა იმას, რომ ოპოზიცია კონსტიტუციის ფარგლებში გეგმავდა საერთო ეროვნული ზეწოლის ორგანიზებას მთავრობაზე მისი გადაყენების მიზნით, რომლის შემდეგაც უნდა ჩატარებულიყო პრეზიდენტისა და პარლამენტის რიგგარეშე თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები.[11]

შეიძლება დავასკვნათ, რომ სომხეთში ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის წინააღმდეგობა არ არის იმდენად ღრმა, რომ მან წარმოშვას უკრაინული სცენარის გამეორების შესაძლებლობა, რა-

---

в Армении:тысячи демонстрантов в Ереване требуют смены государственной власти. Диалог-26.10.2014.http://www.dialog.ua/news/245471414178326; (Итоги митинга в Ереване:основная цель- смена власти в Армениию10.10.2014- регнум 26 октябряю2014.http://www. regnum.ru/news/polit/185585); (Следующий митинг опозиции пройдет 24 октября .7 or.arm октябрь 26,2014) Рубен Акопян: «Поставлен задача смены власти» 7 or.arm 24 октября 2014. http://www.7or.am/ru/news/view/76502/)«Мессиджи» Гасика Царуккяна обществу и Сержу Саргсяну- 7or.am октябрь 26, 2014 http://www.7 or.am/ru/news/view/75832/).(В Ереване прошел многотысячный митинг оппозиции-10.10. 2014 newsland(http://newsland.com/news/detail/id/1442803 (Невластные фракции НС подняли в парламенте два внеочередних вопроса (7 or.am Октябрь 26,2014 http://www.7 or.am/ru/news/view/76223) Глава фракции : правящая партия Армении сама осуществляет смену власти. Еркрамас. http://www.yerkramas.org/2014/10/24/glava-frakcii-pravyas hhaya-partiya-armeni)

[11] **Майдан в Армении:тысячи демонстрантов в Ереване требуют смены государственной власти. Диалог-26.10.2014.http://www.dialog.ua/ news/245471414178326**

საც ხელს უშლის აგრეთვე სომხეთის პოლიტიკური ტრადიციაც.

თუ საქართველო გამოირჩევა დასავლური, ხოლო სომხეთი კი პრორუსული ორიენტაციით, ნავთობით მდიდარი აზერბაიჯანი საკუთარ თავზეა ორიენტირებული. შავი ოქროს ფლობა აზერბაიჯანის მთავრობას აძლევს იმის საშუალებას, რომ უფრო კმაყოფილი ჰყავდეს მოსახლეობა, ვიდრე მეზობელი სომხეთისა და საქართველოს ხელისუფლებას. გელაპის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, სამხრეთ კავკასიის სამ რესპუბლიკას შორის აზერბაიჯანში ყველაზე მეტია იმათი რაოდენობა, ვინც თვლის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ სარგებლობა მოუტანა მის ქვეყანას — 44%, მაშინ როცა, იმათმა რიცხვმა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ამ მოვლენამ აზარალა მათი ქვეყანა, შეადგინა 31%.[12]აზერბაიჯანის პოლიტიკური ელიტა საკმაოდ ეფექტურად აკონტროლებს პოლიტიკური პროცესების ფუნქციონიერებას ქვეყანაში. ამიტომ, დღევანდელი მონაცემებით, უკრაინული მაიდანის მასშტაბის მოვლენის გამეორება აზერბაიჯანში ყველაზე ნაკლებად არის მოსალოდნელი.

დასკვნა

სამხრეთ კავკასიაში ამჟამად არ არსებობს ხელისუფლების დამხობისათვის საჭირო ისეთი ძლიერი და საკმარისად ფართოდ გავრცელებული უკმაყოფილება, რაც გამოიწვია უკრაინაში იანუკოვიჩის მთავრობის მიერ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის შეჩერებამ. ოპოზიცია არ სარგებლობს ისეთი გავლენით, რომ მან შეძლოს მაიდანის მოწყობისათვის საჭირო ხალხის აუცილებელი რაოდენობის გამოყვანა ქუჩაში. სამხრეთ კავკასიის მმართველ ელიტებს საკმარისი ნებისყოფა გააჩნიათ იმისათვის, რომ დროულად აღკვეთონ აგრესიული ოპოზიციის მიერ ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ბლოკირების ისეთი შემთხვევები, რასაც ადგილი ჰქონდა კიევში განვითარებული მოვლენების დროს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ უკრაინული სცენარის გამეორება სამხრეთ კავკასიაში ამჟამად შეუძლებელია, თუმცა არ გამოვრიცხავთ ოპოზიციის გარკვეული ნაწილისა და ხელისუფლების დაპირისპირების გამწვავების ცალკეულ შემთხვევებს, რომლებიც, ალბათ, მაიდანის მასშტაბებს ვერ მიაღწევენ, თუნდაც რომ ამით გარე ძალები იყვნენ დაინტერესებულნი.

---

[12] **Институт Геллапа. Большинство жителей постсоветских стран сожалеют распад СССР. Прогрессивная социалистическая Партия Украины. http://www.vitzenko.org/start,php2lang=3@articleid=18286)**

მარუტ ვარდაზარიანი
**ისტორიის მეცნიერებათ კანდიდატი, დოცენტი,
ერევნის სახ. უნივერსიტეტის საერთაშორისო
ურთიერთობათა და დიპლომატიის კათედრის გამგე**

უკრაინის კრიზისი და ქართულ-სომხური ურთიერთობები[1]

საკვანძო სიტყვები *— უკრაინის კრიზისი, სამხრეთ კავკასია, აშშ, ევროკავშირი, რუსეთი, ქართულ-სომხური ურთიერთობები, MAP*

უკრაინის კრიზისი ახალ ფაზაში შევიდა და სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაზე გავრცელდა. აშშ-ს და ევროკავშირის ამ კონფლიქტში ჩართულობის გამო, მან საერთაშორისო ხასიათი მიიღო. ოფიციალურმა მოსკოვმა უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ არ გეგმავს სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის მიერთებას რუსეთთან. მიუხედავად ამისა, დასავლეთის პოლიტიკამ მოიტანა ის, რომ რუსეთმა თავის აღმოსავლეთ საზღვრებთან მიიღო „მინავლებული“ კონფლიქტი, რომელზეც მას არ შეუძლია რეაგირება არ მოახდინოს.

უკრაინა თანდათან იქცევა ბრძოლის არენად, ერთი მხრივ, აშშ-ს და ევროპას, და მეორე მხრივ, რუსეთს შორის. უკრაინის კრიზისი, პირველ რიგში, შიდაპოლიტიკური პრობლემების შედეგია. უკრაინისთვის, რომელიც მძიმე ეკონომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდა, რუსეთის ფედერაცია მნიშვნელოვანი პარტნიორია და თუ რუსეთი დაუყოვნებლივ არ მიიღებს ზომებს, უკრაინა კიდევ უფრო მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაში აღმოჩნდება. „ანტიტერორისტული ღონისძიებები“ გრძელვადიან პერსპექტივაში

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №4(14), 2014.

არ შეიძლება ეფექტიანი აღმოჩნდეს.

უკრაინის კრიზისმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დასავლეთს არ გააჩნია მკაფიო სტრატეგია დსთ-ს სივრცის მიმართ. აშშ ძირითადად კონცენტრირებულია წყნარი ოკეანის რეგიონზე, გააჩნია მრავალი გადაუჭრელი პრობლემა ახლო აღმოსავლეთში და არ სურს ბრძოლის ახალი ფრონტის შექმნა. ჯ.სოროსმა სამართლიანად აღნიშნა, რომ „ამჟამად ევროპა წარმოადგენს ქვეყანა-კრედიტორების და ქვეყანა-მოვალეების ჯგუფს, რომელშიც თითოეული ქვეყანა თავის ეროვნულ ინტერესს იცავს“.[2]

ევროპარლამენტში ბოლო არჩევნების შედეგები იმაზე მეტყველებს, რომ პოლიტიკური კუთხით ევროპა ახლა გარდამავალ ეტაპზე იმყოფება. ევროპის ლიბერალური საზოგადოება, გლობალური გამოწვევების გავლენის გამო, იძულებულია გადახედოს თავისი ქმედებების მრავალ ფორმატს. ამგვარად, უკრაინის კრიზისს ევროპა შეხვდა განვითარების გარდამავალ ეტაპზე, ერთიანი პოლიტიკის და მიდგომების გარეშე.

უკრაინის კრიზისის დროს მოსკოვი ითვალისწინებდა ასევე 2008 წლის აგვისტოს ქართულ-რუსული ომის გაკვეთილებს. ფრანგი ანალიტიკოსი დომინიკ მუაზი აღნიშნავს, რომ „ჩინეთმა და რუსეთმა ძალის გამოყენების საპირისპირო ლოგიკა გამოამჟღავნეს. იმ დროს, როცა ჩინეთი ცდილობს მსოფლიოს დაპყრობას და გაოცებას ოლიმპიური მედლების რაოდენობით, რუსეთს სურს გააოგნოს მსოფლიო თავისი სამხედრო ძლიერების დემონსტრაციით“.[3] რუსეთის მიერ ხისტი ძალის გამოყენებამ შეასუსტა მისი პრეტენზიები ასეთი ქმედებების კანონიერებაზე, ჩამოაყალიბა უნდობლობის ატმოსფერო აღმოსავლეთ ევროპაში და რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებში. რუსეთმა ვერ მიიღო შანჰაის ორგანიზაციის მხარდაჭერა, ხოლო პოლონეთმა, რომელსაც ეეჭვებოდა ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის საკუთარ ტერიტორიაზე განლაგების მიზანშეწონილობა, პოზიცია შეცვალა.

სოჭის ოლიმპიადის დროს რუსეთმა პასიური პოზიცია დაიკავა მაიდანზე მიმდინარე მოვლენების მიმართ. რუსი სპორტსმენების წარმატებული გამოსვლა ოლიმპიადაზე ხელს უწყობდა რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას. ამას მოჰყვა კრემლის მკვეთრი ნაბიჯები. მიუხედავად ამისა, რუსეთ-საქართველოს ომისგან განსხვავებით, მოსკოვის შესაძლებლობები პოლიტიკური და ეკო-

[2] **“Деловой Экспресс”, N10, март 2014 г.**

[3] **Най, С. Джозеф (младший), Будущее власти. – Москва: АСТ, 2014, с. 19.**

ნომიკური მანევრირების კუთხით უფრო შეზღუდულია. თუ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საქართველოდან გამოყოფის შემდეგ, გაეროს გენ. ასამბლეაზე, ანტირუსული რეზოლუცია მიღებულ იქნა 14 ხმით, 11-ის წინააღმდეგ, ხოლო 105-მა თავის შეიკავა, ყირიმის რეფერენდუმის შემდეგ გაეროს რეზოლუცია რუსეთის ქმედებების დაგმობით, უკვე 100 ხმით იქნა მიღებული, 11 იყო წინააღმდეგი, 58-მა თავი შეიკავა. მსოფლიოს საზოგადოებრიობამ უფრო ნაკლები ყურადღება მიაქცია სამხრეთ კავკასიის მოვლენებს, ვიდრე ყირიმისა.

უკრაინის კრიზისმა გამოძახილი ჰპოვა სამხრეთ კავკასიაშიც. ჩვენ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ყირიმის მოვლენების შემდეგ დსთ, როგორც ინტეგრაციული პროექტი, მნიშვნელოვნად ჩიხში შევიდა. ბელოვეჟის ხელშეკრულების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი იყო თანამეგობრობის ფარგლებში საზღვრების ურღვევობის აღიარება. თუ 2008 წელს მოხდა პოსტსაბჭოთა სივრცეზე საზღვრების გადასინჯვის პირველი მცდელობა, 2014 წლის პრეცედენტი უკვე სხვაგვარ ხასიათს ატარებდა. ამ შემთხვევაში საქმე ეხება სადავო ტერიტორიას, რომელიც მეორე სახელმწიფოს ნაწილი ხდება. მოვლენების ამგვარ განვითარებაში თავისი წვლილი მიუძღვის ვაშინგტონს და ბრიუსელსაც. ცივი ომის დამთავრების შემდეგ თამაშის წესები მოითხოვდნენ, რომ იუგოსლავიის რესპუბლიკების და საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობა არ უნდა გავრცელებულიყო სხვა ავტონომიურ რესპუბლიკებზე, ოლქებზე და მხარეებზე. ჩეჩნეთის შემთხვევაში ეს პირობა შესრულდა და დასავლეთი საუბრობდა ადამიანის უფლებების საკითხებზე, მაგრამ არა თვითგამორკვევაზე.

თუმცა, კოსოვის აღიარებით, დასავლეთმა პირველმა დაარღვია თამაშის წესები. რაზეც რუსეთმა განაცხადა, რომ ადეკვატური პასუხის სახით, სცნობს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ჟირაირ ლიპარიტიანის ცნობით[4], საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მას უთხრა, რომ „იმ დროს ვაშინგტონში ის შეხვდა კონდოლიზა რაისს და სთხოვა მას, რომ აშშ არ წასულიყო ამ ნაბიჯზე და არ ეცნო კოსოვოს დამოუკიდებლობა, რადგან ეს მათთვის თავის ტკივილი გახდებოდა. რაისმა უთხრა მას, რომ ეს საკითხი დახურულია“.

ყირიმის მოვლენები არაერთგვაროვნად იქნა აღქმული თბილისში, ბაქოსა და ერევანში. საქართველოსა და აზერბაიჯანისთვის უკრაინა მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური პარტნიორია. ეს სამი სახელმწიფო შედის სუამში და ერთნაირი პოზიცია გააჩნიათ

[4] ჟირაირ ლიპარიტიანი 1991-1997 წწ. იყო პრეზიდენტ ლ. ტერ-პეტროსიანის საგანგებო დავალებათა დესპანი.

ტერიტორიული მთლიანობის საკითხებში. სწორედ ამ მიზეზით, ევროპის საბჭოში ბაქომ დახმარება აღმოუჩინა კიევს და დაგმო რუსეთის ნაბიჯები ყირიმის მიერთებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება საქართველოს, უკრაინის საკითხში ოფიციალური თბილისის პოზიცია ძირითადად ემთხვევა დასავლეთის მიდგომას. საქართველოს პარლამენტმა ბობოქარი სამდღიანი მსჯელობის შემდეგ მიიღო „ქართული ოცნების“ რეზოლუციის პროექტი „უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის მხარდაჭერის შესახებ“. ეს რეზოლუცია 75 ხმით მიიღეს, ამასთან ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში და თავისი პროექტი გამოიტანა, რომელსაც ხმა მისცა მხოლოდ 27 დეპუტატმა[5]. ამის თაობაზე პრემიერ-მინისტრმა ი. ღარიბაშვილმა შენიშნა: „ჩვენი პოზიცია, მდგომარეობა არსებითად განსხვავდება იმ ქვეყნების სიტუაციისგან, რომლებიც მხარს უჭერენ უკრაინელ ხალხს, რადგან, ჩვენ გარდა, არც ერთ სხვა ქვეყანას არ განუცდია რუსეთის მხრიდან აგრესია“[6].

მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ საქართველოს ხელისუფლების ქცევა მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა ხელისუფლებისგან. მიუხედავად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში არსებული მრავალი უთანხმოებისა, საქართველოს ხელისუფლება უფრო მეტად დაბალანსებულ პოლიტიკას ატარებს. „ქართულმა ოცნებამ“ მიუღებლად ჩათვალა „ნაციონალური მოძრაობის“ ის მიდგომა, რომლის თანახმად საქართველო უნდა მიუერთდეს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ შემოღებულ სანქციებს და გაატაროს რეგიონში მოსკოვის იზოლაციის პოლიტიკა. „ქართულმა ოცნებამ“ აღნიშნა, რომ მზად არის „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად დაგმოს რუსეთის ქმედებები უკრაინაში, მაგრამ არ აპირებს, ყირიმის მოვლენების გამო მათ განთავისუფლებას წარსული შეცდომების პასუხისმგებლობიდან“[7]. თუმცა, ორი მთავარი ქართული ძალისთვის პირველი რიგის ამოცანად რჩება ევროატლანტიკური ინტეგრაცია. ეს მნიშვნელოვანია ძალაუფლების კვლავწარმოების თვალსაზრისით.

ამგვარად, უკრაინული მოვლენები შეუძლებელია არ ასახულიყო

[5] **Парламент Грузии принял резолюцию в поддержку Украины – newsgeorgia.ru/politics/20140307.216421121:html**

[6] **Ираклий Гарибашвили: У Грузии – прагматичный, но решительный подход к украинским событиям-www.golos-ameriki.ru/content/georgia-garibashvili-ukraine-russia/1871342.html**

[7] **,,Мечтатели“ и ,,Националы“ задались украинским вопросом. kavpolit.com/articles.mechtateli-nationaly-zadalis-ukrainskim-voprosom-1450/**

რუსულ-ქართულ დიალოგზე. ყირიმის მოვლენები ქართველებისთვის ასოცირდებოდა 2008 წლის სამხრეთ-ოსურ და აფხაზურ მოვლენებთან. ცნობილი ქართული ანსამბლი „ერისიონი“ აღარ წავიდა მაშინ კრემლში საგასტროლოდ, ხოლო საქართველოს კულტურის პალატამ გააუქმა სერგეი ბეზრუკოვის თეატრის გასტროლები თბილისში, რომელიც 2014 წლის მაისში იყო დაგეგმილი.

ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს საქართველოში საზოგადოებრივი აზრის არსებობაზე, რომელიც შეიქმნა საკაშვილის მმართველობის დროს. ქართველი პოლიტოლოგის გიორგი აბაშიძის აზრით, „უკრაინის მოვლენებმა და ყირიმის კონფლიქტის ესკალაციამ ძალზე შეაშინა საქართველო. გაისმის კითხვები: დაგვიცავს კი ჩვენ ევროპა, თუ მას არ შეუძლია უკრაინის დაცვა? საქართველოში ეშინიათ, რომ თუ ჩვენ გადავდგამთ რაღაც ნაბიჯებს, რომლებიც არ მოეწონებათ რუსეთში, შეიძლება დაიწყოს პროვოკაციები იმ რეგიონებში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ აზერბაიჯანელები ან სომხები — ჯავახეთში, ქვემო ქართლში. ქვეყანა შეიძლება დანაწევრდეს და სწორედ ამის ეშინიათ ყველაზე მეტად. ამიტომ პოლიტიკოსები და ექსპერტები სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ საჭიროა უფრო სწრაფად სვლა დასავლეთისკენ, ინტეგრაციის ყველა მექანიზმების გამოყენება“[8]. 2014 წლის თებერვლის ბოლოს ვაშინგტონში ვიზიტით იმყოფებოდა ი. ღარიბაშვილი. თავიდან დაგეგმილი იყო მხოლოდ აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტთან ჯოზეფ ბაიდენთან შეხვედრა, მაგრამ მათ საუბარში მონაწილეობა მიიღო ასევე ბ. ობამამ. პროფ. გიორგი მჭედლიშვილის აზრით, სწორედ უკრაინის ფაქტორმა განაპირობა ამერიკის პრეზიდენტის შეხვედრა საქართველოს პრემიერთან.[9]

ქართველი ექსპერტი რამაზ საყვარელიძე ასევე იზიარებს იმ აზრს, რომ უკრაინის მოვლენებმა დააჩქარა ქართული დელეგაციის ვიზიტი ვაშინგტონში. თბილისი ისევ ცდილობს დაადასტუროს თავისი საგარეო-პოლიტიკური კურსის უცვლელობა და მიიღოს საქართველოს უსაფრთხოების საკითხში სტაბილური გარანტიები[10].

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ

---

[7]**Ольга Алленова, „Грузия более уязвима, чем Украина“, Власть, №10 (1065), 17 марта, 2014 г., с.31.**

[9] **Обама и Байден встретились с Гарибашвили в Белом Доме – www.golos-ameriki.ru/content/obama-biden-met-with-georgian-prime-minister-in-white-house/1858736.html**

[10] **Михаил Вардзелашвили, Гарибашвили едет в США из-за Украины? – www.georgiatimes.info/articles/98848 – 1.html**

„სასიამოვნო სიურპრიზად“ ჩათვალა სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება საქართველოს მიმართ დახმარების შესახებ ვაშინგტონის მხრიდან, ე.წ. „მაპის“ მიღების საკითხში.

ატლანტიკურ საბჭოში ი. ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო ელის მაპის მინიჭებას, სადაც მკაფიოდ იქნება ნათქვამი, თუ როდის გახდება მისი ქვეყანა ნატოს წევრი.[11] ქართული ხელისუფლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ წლის განმავლობაში საქართველო ჩართული იქნას ნატოს წევრობის მოსამზადებელი მოქმედებების გეგმაში. ამით ისინი დაუმტკიცებენ ქართულ საზოგადოებას, რომ მათი პოლიტიკა დასავლურ სტრუქტურებში წევრობისა წარმატებულია.

აშშ-გან განსხვავებით, ევროპაში კარგად ესმით, რომ თუ მოსკოვს ჯერ კიდევ შეუძლია შეურიგდეს ევროკავშირთან ასოცირების პროცესს საქართველოსთვის, ნატოში გაწევრიანება ის რუბიკონი გახდება, რომელიც საბოლოოდ გააფუჭებს რუსეთთან ურთიერთობას. ამ თვალსაზრისით აბსოლუტურად სამართლიანია გ. რცხილაძის შენიშვნა იმის შესახებ, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობა დასავლური ფასეულობების მატარებლად გამოდის და არ ამბობს უარს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების პერსპექტივაზე.

თუკი ევროკავშირში შესვლის იდეა იზიდავს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსაც, ნატოს წევრად გახდომის მისწრაფება გამოიწვევს საქართველოს იზოლაციას რეგიონში. რამდენად უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს ეს ფაქტორი რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე, ძნელი სათქმელია, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ის უკვე აფერხებს მეგობრული და ნდობაზე დამყრებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას რუსულ მხარესთან.[12] ევროკავშირის ლიდერმა გერმანიამ ვერ გაამართლა საქართველოს იმედები იმასთან დაკავშირებით, რომ მისი „პროგრესი“ დაფასდებოდა მაპის მინიჭებით. საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ ბრიფინგზე, რომელიც 2014 წლის 2 ივნისს გაიმართა, ა. მერკელმა განაცხადა: „ჩემი აზრით, საქართველოს ჩართვა მაპის პროგრამაში არ დგას ნატოს მორიგი სამიტის დღის წესრიგში და საქართველოს პროგრესი სხვა საშუალებებითაც

---

[11] **Госдеп США преподнес Грузии „приятный сюрприз“, „Независимая газета“, 27.02.2014**

[12] **Гулбаат Рцхиладзе: Новый президент Грузии и российско-грузинские отношения: что дальше? – http://georgians.ru/news.asp?idnews=135002**

შეიძლება შეფასდეს“.[13] უშიშროების საკითხების და საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის დირექტორი ნიკა ჩიტაძე მიიჩნევს, რომ „მიუხედავად უკრაინის კრიზისისა, გერმანიამ ჯერ ძირეულად არ შეცვალა თავისი პოზიცია რუსეთთან მიმართებაში“.[14] მსგავსი მიდგომა ჩამოყალიბდა პარიზშიც. თავისი ტურნეს დროს სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში, ფრანსუა ოლანდმა საქართველოს ხელისუფლებას განუცხადა, რომ „საქართველოს მთავრობამ კონცენტრირება უნდა მოახდინოს ეკ-თან ასოციაციის ხელშეკრულების იმპლემენტაციაზე და არ უნდა აჩქარებდეს ბრიუსელს „სხვა პერსპექტივებით“.[15]

ნატოში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივების შესახებ ელისეს სასახლის პატრონის განცხადებები ასევე თავშეკავებული იყო: უნდა განისაზღვროს ნატოსთან რესპუბლიკის ურთიერთობების ფორმა და ამისთვის არ არსებობს მზა რეცეპტი. მსგავსი იდეები გაისმა 21 მაისს საქართველოს მთავრობის და ევროკომისიის წევრებს შორის შემდგარი შეხვედრის დროს ევროპელების მხრიდან.[16]

უკრაინის კრიზისის პირობებში, როცა გამწვავდა დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობა და ხორციელდება რუსეთის იზოლირების მცდელობები, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კეთილმეზობლური ქართულ-სომხური ურთიერთობების შენარჩუნება და ამისთვის ყველა საფუძველი არსებობს. 2014 წლის 18 ივლისს საქართველოსა და სომხეთის პრეზიდენტების, გიორგი მარგველაშვილისა და სერჟ სარგსიანის შეხვედრის შემდეგ, სომხეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ „ქართულ-სომხური პარტნიორობის თანმიმდევრული გაძლიერება სომხეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად რჩება. სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული მყიფე სტაბილურობა და მშვიდობა მნიშვნელოვან წილად განპირობებულია სომხეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის სიმტკიცით. ჩვენ ყოველთვის პატივს ვცემდით ერთმანეთის გადაწყვეტილებებს, ვაცნობიერებდით რა, რომ პირველი რიგის ამოცანაა საკუთარი სახელმწიფოების გაძლიერება და გვიხაროდა ეს, იმიტომ რომ საქართველო და სომხეთი ერთმანეთით და ერთმა-

---

[13] **Расмуссен: В НАТО пока не приняли решения в связи с Грузией – www.golos-ameriki.ru/content/georgia-nato-membership-options/1929.html**

[14] იქვე.

[15] **Отложенная евроатлантическая интеграция Грузии: новое “испытание” выборами – www.kavkazoved.info/news/2014/06/05.otlozhennaja-evroatlanticheskaja-integracija -gruzii-novoe-ispytanie-vyborami.html**

[16] იქვე.

ნეთთან არიან ძლიერები“.[17] ქართულ-სომხურმა ურთიერთობებმა დროის გამოცდას გაუძლო და შეიძლება თანამშრომლობის მრავალი მაგალითის მოყვანა. პოსტსაბჭოთა პერიოდში სომხეთი და საქართველო სხვადასხვა გზებით მიდიან, განსხვავებული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების წევრები არიან. სომხეთმა უარი თქვა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე და გადაწყვიტა ევრაზიულ ინტეგრაციულ პროცესებს შეერთებოდა. საქართველო აღრმავებს ურთიერთობებს ევროკავშირთან, ნატოსთან და აშშ-თან, 2014 წლის 27 ივნისს მან ხელი მოაწერა ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც ასევე აფუძნებს თავისუფალი ვაჭრობის ზონას ეკსა და საქართველოს შორის. ქართველი პოლიტოლოგი, მშვიდობის და დემოკრატიის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი გია ნოდია მიიჩნევს, რომ „საქართველოს და სომხეთს შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა პრიორიტეტები, მაგრამ ეს არ ახდენს გავლენას ორმხრივი ურთიერთობების დონეზე. მე ვთვლი, რომ სომხეთის და საქართველოს ხელისუფლებებმა გამოავლინეს პრაგმატული მიდგომა ამ საკითხისადმი: არის დიდი საერთაშორისო პოლიტიკა, მაგრამ არის სომხურ-ქართული ურთიერთობებიც, რომლებიც ორივე ქვეყანას სჭირდება და საჭიროა მათი განვითარება“.[18]

ორი სუვერენული ქვეყნის ლიდერებმა უნდა გადადგან ნაბიჯები, მიმართული იმისკენ, რომ საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის და სომხეთის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების შემდეგ, საქართველო-სომხეთის საზღვარი არ გადაიქცევა სადემარკაციო ხაზად. უკრაინის, საქართველოს და მოლდავეთის მიერ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა გახდა მანიშნებელი პოსტსაბჭოთა სივრცეზე გარდამავალი ეტაპის დასრულებისა და სათავე დაუდო ახალ ეტაპს. მოსკოვი, ახალი ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესების ინიცირებით, ცდილობს ისევ გააერთიანოს პოსტსაბჭოთა სივრცე. შეიქმნა ახალი სიტუაცია, რომელიც გულისხმობს ახალი მიდგომების გამომუშავებას.

მოვლენები შეიძლება ორი მიმართულებით განვითარდეს. პირველი — ასოცირების ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ, თავდაპირველად არ ითვალისწინებდა რუსეთის იზოლაციას, მაგრამ შეიძლება საფუძველი ჩაუყაროს ამგვარ პროცესებს. რაც შეეხება ქართულ-სომხურ

[17] **Армяно-грузинское сотрудничество является одной из важнейших задач РА – С. Саргсян. news.gisher.ru/ru/politics/naxagahy-vrastanum.html**

[18] „ჟამანაკი”, 27 მაისი 2014 წ.(სომხ.ენ.).

ურთიერთობებს, შექმნილ სიტუაციაში საქართველო აპირებს თავისი სავაჭრო პოლიტიკა ევროკავშირის სტანდარტებით აწარმოოს. თავის მხრივ, საბაჟო კავშირში სავაჭრო პოლიტიკას ძირითადად განსაზღვრავს რუსეთი, რომლის საბაჟო ტარიფები განსხვავდება ევროპულისგან. ეს ფაქტორები შეიძლება აისახოს ექსპორტის და იმპორტის მოცულობაზე ორ ქვეყანას შორის.

მოვლენათა განვითარების მეორე ვარიანტმა ასახვა ჰპოვა სომხეთის პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებაში, საქართველოში ვიზიტის დროს, 19 ივნისს. მან აღნიშნა: „დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო, რომელმაც ხელი მოაწერა ასოციაციის ხელშეკრულებას და გახდა თავისუფალი ვაჭრობის ზონის წევრი, ქმნის შესაძლებლობებს სომეხი ბიზნესმენებისთვის, რომლებიც ხედავენ თავიანთ მონაწილეობას ევროპის ბაზარზე, რომ მათ განახორციელონ ინვესტიციები საქართველოში და ვხედავ საპირისპიროსაც — საბაჟო კავშირში სომხეთის შესვლის შემდეგ იხსნება პერსპექტივა ქართველი ბიზნესმენებისთვის, რომ განახორციელონ ინვესტიციები სომხეთში და გავიდნენ რუსეთის და საბაჟო კავშირის სხვა ბაზრებზე“.[19]

რესპუბლიკური ინსტიტუტის სამხრეთ კავკასიური ინსტიტუტის პროგრამების დირექტორი ივლიანე ხაინდრავა, კითხვაზე: „შეუძლია თუ არა სომხეთის და საქართველოს შესვლას სხვადასხვა ეკონომიკურ ბლოკებში შექმნას პრობლემები ორი ქვეყნის ურთიერთობებში?“ — პასუხობს: „თეორიულად შეუძლია, პრაქტიკულად არ უნდა შექმნას. ჩემი წარმოდგენით, ორი მეზობელი ქვეყნის პოლიტიკურ კლასებში უკვე მყარად ჩამოყალიბდა პარადიგმა, რომელიც არ უშვებს ორმხრივი ურთიერთობების გაუარესების შესაძლებლობას, იმის მიუხედავად, თუ რომელ ალიანსებში, ბლოკებში, კავშირებში მოხვდებიან სომხეთი და საქართველო. ამ ურთიერთობებმა დროს და სხვადასხვა გარემოებებს გაუძლეს. იმის გაგება, თუ რამდენად ახლო ვართ და ვჭირდებით ერთმანეთს, პრევალირებს ტაქტიკურ უთანხმოებებზე, როცა, მაგალითად, საქართველო და სომხეთი სხვაგვარად აძლევენ ხმას ამა თუ იმ საერთაშორისო ორგანიზაციაში. არსებობს გრძელვადიანი ინტერესები და ეს ინტერესები, ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა“.[20]

---

[19] **Визит Сержа Саргсяна в Тбилиси был в центре внимания западных послов в Грузии – ru.1in.am/1050956.html**

[20] **Ивлиан Хаиндрава: Угроза армяно-грузинским отношениям исходит от третьей стороны, „Деловой Экспресс“, N 26 (1070), июль 2014 г.**

მაგრამ ეს სიტუაცია ახალი არ არის, რადგან, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, სომხეთი და საქართველო სხვადასხვა მიმართულებით მიდიან. ამ პოზიციების მიუხედავად, თბილისი და ერევანი ყოველთვის დიდად აფასებდნენ კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნებას. საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი გრიგოლ ვაშაძე სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ქართველებიც და სომხებიც ევროპულ ოჯახს ეკუთვნიან კულტურულად, ისტორიულად, გენეტიკურად. იქნება მცდელობები, რომ ჯავახეთის სომეხი მოსახლეობა გამოიყენონ საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ ეჭვი არ გვეპარება მათ გონიერებაში“.[21]

2008 წლის ომის დროს სომხეთი შეეცადა გაეკეთებინა ყველაფერი, რაც მასზე იყო დამოკიდებული, რომ კონფლიქტი უსწრაფესად მოგვარებულიყო. თუმცა, მაშინ საქართველოს ხელისუფლებამ არ უპასუხა ერევნის შემოთავაზებას შუამავლობის შესახებ, მაგრამ თბილისი გაგებით მოეკიდა ამგვარ ინიციატივას. ი. ხაინდრავა აღნიშნავს, რომ „ჩვენი პირველი დამოუკიდებლობისგან განსხვავებით, 1918-1920 წლებში, ამ დამოუკიდებლობის დროს სომხეთმა და საქართველომ შესძლეს ექსცესების თავიდან არიდება. თითქოს ზოგადი გარემო არ უწყობდა ამას ხელს, მაგრამ არის ორმხრივი გაგება იმისა, რომ არ გვაქვს უფლება საფრთხე შევუქმნათ არსებულ ურთიერთობებს“.[22]

საქართველოში აფასებენ სომხეთის ლოიალურობას და იმ გარემოებას, რომ სომხეთმა არ სცნო სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობა. თუმცა, საქართველოში არიან პოლიტიკური ძალები, რომლებიც ცდილობენ დააშინონ ქართული საზოგადოება „სომხური საფრთხით“ და საქართველო ხელში ჩაუგდონ თურქებს და აზერბაიჯანელებს. ამის შესახებ ორგანიზაცია „გაერთიანებული ჯავახკი“-ს ხელმძღვანელი ვაჰან ჩახალიანი აღნიშნავს, რომ „უკრაინაში და საქართველოში მიმდინარე პროცესები განსხვავდება ერთმანეთისგან. უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლებისგან განსხვავებით, საქართველოს მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს ეროვნული უმცირესობების საკითხებს. მე არ ვიცი, საიდან წარმოიშვა აზრი, რომ ჯავახეთის სომხები პრორუსულად არიან განწყობილი და ა.შ. ჯავახკის სომხები არასოდეს არ მოქმედებდნენ მესამე ქვეყნების ბრძანების საფუძველზე, ეს თვალსაზრისი ჩამოყალიბდა

[21] „ჟამანაკი“, 2 აპრილი 2014 წ.(სომხ.ენ.)

[22] „ჟამანაკი“, 20 მაისი 2014 წ.(სომხ.ენ.)

მ. სააკაშვილის ხელისუფლების პროპაგანდის გამო".[23] უფრო მეტიც, სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის სომხური საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭო მიესალმება საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას. მათ განცხადებაში, რომელიც 2014 წლის 30 ივნისს მიიღეს, ნათქვამია: „ჩვენი საბჭო ყოველთვის დადებითად უყურებდა ქვეყნის ევროპულ ინტეგრაციულ ვექტორს, რადგან ევროპული ფასეულობების სული და პრინციპები მისაღებია სამცხე-ჯავახეთის სომხური მოსახლეობისთვის. თავის მომავალს ჩვენი ხალხი ხედავს ევროპულ ოჯახში, სადაც არ იქნება დისკრიმინაცია, არანაირი ნიშნით".[24]

ის, რომ ახალმა ხელისუფლებამ გააცნობიერა სააკაშვილის ხელისუფლების შეცდომები ეროვნულ საკითხში, ჩანს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებიდანაც იმის შესახებ, რომ „წინა ხელისუფლება ჩვენს ძმებს, აფხაზებს და ოსებს, ელაპარაკებოდა სიძულვილის ენაზე. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ არა ტერიტორიის დაბრუნებაზე, არამედ ჩვენსა და ჩვენს ძმებს შორის ნდობის ხიდის აღდგენაზე".[25]

ქართულ-სომხურ ურთიერთობას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საქართველოსთვის, თურქულ-აზერბაიჯანული ფაქტორის დაბალანსების კუთხით. სააკაშვილმა თურქეთი გამოაცხადა საქართველოს „ისტორიულ მეგობრად" და ანკარას ფართო შესაძლებლობები გაუხსნა მისი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის ზრდისთვის. შედეგად, ზოგიერთი პოლიტიკური ძალა თურქეთში აჭარას განიხილავს, როგორც თურქეთის „განუყოფელ ნაწილს". სარგებლობენ რა საქართველოს ეკონომიკური პრობლემებით და „უფროსი ძმის" სტატუსით, თურქები აქცენტს აკეთებენ საგანმანათლებლო პროგრამებზე, და მათში ითრევენ ძირითადად ღარიბი ოჯახების ბავშვებს. დღეისათვის აჭარაში 50 თურქული სკოლა-ინტერნატი არსებობს, ბათუმში 25 ათასი თურქი ცხოვრობს, ახალციხეში თურქული უნივერსიტეტი არსებობს, ხოლო აზერბაიჯანელთა თემი 500 000 კაცს ითვლის. ამგვარად, საქართველო კვლავ აღმოჩნდა ორი თურქულენოვანი ქვეყნის გეოპოლიტიკურ მარწუხებში. საქართველოს ევროორიენტაცია ცივილიზაციური თვითმყოფადობის შენარჩუნების

[23] „ჟამანაკი", 20 მარტი 2014 წ. (სომხ.ენ.).

[24] **Координационный Совет армянских общественных организаций Самцхе-Джавахка и Квемо-Картли приветствует подписание договора об Ассоциации Грузия-ЕС – javakhkmedia.com/координационный-совет-армянских общ. (5 ივლისი 2014 წ.).**

[25] „ჟამანაკი", 4 აპრილი 2014 წ.(სომხ.ენ.).

თვალსაზრისით ვერ იქნება ეფექტური, იმიტომ რომ ევროპა თავად დგას ისლამიზაციის ზღურბლზე და ვერ ახერხებს საკმარისი ნებისყოფის გამოჩენას შექმნილი სიტუაციის დასაძლევად.

თურქულ-აზერბაიჯანული ზეწოლის შედეგად თბილისი დათანხმდა ბაქო-ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობას, რომელიც ხელს არ აძლევს საქართველოს ეკონომიკური თვალსაზრისით, იმიტომ რომ ამცირებს ბათუმის და ფოთის პორტების მუშაობის ეფექტურობას. სომხეთის პრეზიდენტმა სარგსიანმა თბილისში ვიზიტის დროს ისევ დასვა საკითხი აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესახებ. საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეცწარმომადგენელი რუსეთთან დარეგულირების საკითხებში ზურაბ აბაშიძე აცხადებს, რომ ქართული მხარე მზად არის ყურადღებით მოისმინოს რუსეთის წინადადებები სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესახებ აფხაზეთის გავლით. „ჩვენ სერიოზული პირობები გვაქვს რკინიგზის აღდგენისთვის. თუ რუსეთის მხრიდან წამოყენებული იქნება სერიოზული ინიციატივა, ჩვენ მზად ვართ ძალიან ყურადღებით განვიხილოთ ის, მაგრამ ჩვენს პირობებსაც წარმოვადგენთ“, თქვა ზ. აბაშიძემ. აზერბაიჯანის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა არაზ ალიზადემ განაცხადა: „სომხეთისთვის სარკინიგზო მოძრაობის აღდგენის შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიის გავლით, ჩვენ გვეცოდინება, ვინ არის აზერბაიჯანის მტერი და ვინ მეგობარი“.[26] ქართული მხარე ცდილობს თავისი პოზიცია დაასაბუთოს ეკონომიკური „მიზანშეწონილობით“, მაგრამ არსებობს სხვა ფაქტორებიც. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის გიორგი ვოლსკის სიტყვებით, რკინიგზის აღდგენის საკითხს უშიშროების საბჭო განიხილავს. მან ასევე აღნიშნა: „ამ საკითხზე გადაწყვეტილებას მარტო საქართველო არ იღებს. აქ ასევე უნდა გავითვალისწინოთ სომხურ-აზერბაიჯანული ურთიერთობები და ბაქოს რეაქცია; ასევე — შტატების რეაქცია. რკინიგზა დააკავშირებს რუსეთს სტრატეგიულ მოკავშირესთან სამხრეთ კავკასიაში და ფაქტობრივად იქნება საქართველოს საგარეო პოლიტიკის ცვლილების ნიშანი რუსეთთან მიმართებაში, კონფრონტაციულიდან უფრო რბილისკენ. გაითვალისწინეთ ასევე „მე-5 კოლონის ფაქტორი“ - საკაშვილის მომხრეების, რომლებიც გააფთრებულ ისტერიკას მოაწყობენ. და რესპუბლიკელების

[26] **Араз Ализаде: „В случае восстановления железной дороги в Армению через территорию Грузии мы будем знать, кто для Азербайджана друг, а кто – враг“ – http:/javakhkmedia.com/?p=3289**

და ალასანიას როლი „ოცნებაში“, რომლებიც რადიკალური „პროამერიკელები“ არიან და მცირედით თუ განსხვავდებიან სააკაშვილის მომხრეებისგან. ჩემი პროგნოზით — ამ ეტაპზე საკითხის გადაწყვეტა ნაკლებად სავარაუდოა“.[27]

სომხები არაერთხელ დარწმუნებულან მსოფლიო მოთამაშეების ორმაგ სტანდარტებში. უკრაინის კრიზისის გამოყენებით, აშშ და ეკ ცდილობენ რუსეთის გავლენა შეამცირონ და კვლავ მიდიან თანხმობამდე, სამხრეთ კავკასიის ხალხების ინტერესების უგულვებელყოფით. მაგალითად, ზ. ბჟეზინსკი აღნიშნავს, რომ დასავლეთმა უნდა ჩაატაროს საიდუმლო მოლაპარაკებები რუსეთთან, ისეთი მოლაპარაკებები, რომლებმაც წარსულში გადაწყვიტეს ფინეთის და ავსტრიის საკითხი.[28] დასავლეთში ასევე ბევრი თვლის, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები, აშშ-ს მოთხოვნით „იმპორტირებული“, ვერ მოახდენენ რუსეთზე ზეწოლას და ევროპისთვის უფრო მტკივნეული იქნებიან. აშშ-ს ფინანსთა მინისტრი დევიდ კოენი თვლის, რომ „რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გამო ყველა იძულებული გახდება გადაიხადოს ფასი, მათ შორის აშშ. ჩვენ არ უარვყოფთ იმ ფაქტს, რომ ყველაზე ძლიერი დარტყმა ევროპას მიადგება“.[29]

აშშ ასევე ცდილობს უკრაინის კრიზისის გამოყენებას რუსეთსა და ევროკავშირს შორის დაძაბულობის შესაქმნელად. ეკონომიკურ სანქციებს შეუძლიათ რუსეთს შემოსავლები შეუზღუდონ, მაგრამ, მეორე მხრივ, შეიძლება მოახდინონ მოსკოვის ძალისხმევის სტიმულირება პოსტსაბჭოთა სივრცეზე ინტეგრაციული ნაბიჯების გადასადგმელად, ასევე ერთიანი ვალუტის და ეროვნული საგადამხდელო სისტემის შესაქმნელად. საქართველოს და სომხეთის იმედები იმის შესახებ, რომ დასავლეთი მათი გულისთვის რუსეთთან კონფრონტაციაზე წავა, არარეალისტურია. სწორედ ამიტომ, საგარეო პოლიტიკის გამოცხადებული პრიორიტეტის — ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს ხელისუფლებამ ვერ მიაღწია თვისებრივ გარღვევებს. დასავლელი პარტნიორები კიდევ ვერ გარკვეულან მისთვის მაპის მინიჭების საკითხში.

განა იდეალური არ არის ორი ქვეყნისთვის პერსპექტივა, გახდნენ „სამხრეთ კავკასიის ფინეთი“, არ დაუპირისპირდნენ რუსეთს და აშშ-ს. გაატარონ რეფორმები, აშენონ დემოკრატიული სისტემა.

---

[27] **Джавахк является препятствием для создания Великого Турана. – http://javakhkmedia.com/?p=3269**

[28] „ჟამანაკი”, 22 მაისი 2014 წ.

[29] „ჟამანაკი”, 9 მაისი 2014 წ.

ეს მოდელი უზრუნველყოფს ორი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას, მინიმუმამდე შეამცირებს საგარეო ზეწოლას. ორი მოძმე ხალხის თანამშრომლობა, უდავოდ, უზრუნველყოფს რეგიონში ბალანსის დამყარებას. რა დასკვნები უნდა გამოიტანონ ჩვენი რეგიონის ქვეყნებმა უკრაინის კრიზისიდან?

● პოსტსაბჭოთა ქვეყნების შიდა პრობლემების ტრანსფორმაციამ საერთაშორისო კონკურენციად შესაძლოა გამოიწვიოს ქაოსი და არ არის საჭირო ქვეყნების დაყენება მკაცრი არჩევანის წინაშე.

● უკრაინის მოვლენებმა ყველას დაანახა ევროკავშირის პოლიტიკის ნაკლოვანებები პოსტსაბჭოთა სივრცეში. ასოცირების ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ევროკავშირში შესვლის პერსპექტივას. ამის შესახებ ბრიუსელს არაერთხელ განუცხადებია, რომ სამხრეთ კავკასიის არცერთ ქვეყანას ამგვარი პერსპექტივა არ აქვს. თვით რეგიონში ყველაზე პროდასავლურად ცნობილმა საქართველომაც ვერ მოახერხა, ხელშეკრულების ტექსტში შეეტანა პუნქტი ევროკავშირში წევრობის პერსპექტივის შესახებ.

● რაც შეეხება სომხეთს, თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა განსაკუთრებულ ეკონომიკურ პერსპექტივებს არ სახავს, რადგან ევროპის ბაზარზე შესასვლელად საჭიროა ევროპული სტანდარტების მიხედვით კონკურენტუნარიანი პროდუქცია, რომელიც ჩვენ არ გვაქვს. პოლიტიკური კუთხით, სომხეთის არჩევანი განპირობებულია საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფით, რადგან, მეზობელი ქვეყნებისგან განსხვავებით, რეგიონული გეოპოლიტიკური სიტუაცია უფრო მეტად მოქმედებს სომხეთზე, დახურული საზღვრების გამო.

სომხეთმა და საქართველომ უნდა გაითვალისწინონ უკანასკნელი მოვლენების შედეგები. ორი მოძმე ხალხის თანამშრომლობა დროის მოთხოვნაა, ის ნაკარნახევია გეოპოლიტიკური და ცივილიზაციური პროცესებით. ჩვენ გვინდოდა, სტატია დაგვესრულებინა საქართველოს მეორე პრეზიდენტის სიტყვებით, რომლებიც მან წარმოთქვა ერევანში ოფიციალური ვიზიტის დროს. ე. შევარდნაძემ ახალქალაქის ერთ-ერთი მოქალაქის სიტყვები გაიხსენა: „ქართველი, რომელიც სომხეთის წინააღმდეგ გამოდის, პირველ რიგში საქართველოს მტერია, ასევე სომეხი, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ გამოდის, პირველ რიგში სომხეთის მტერია“.[30]

---

[30] **Армяно-грузинская дружба: блеф или реальность? – noev-kovcheg.1gb.ru/article.asp?n=45@a=1**



ზურაბ ცუცქირიძე

მადლი და უმადურობა[1]

ისტორიის უცოდინარი ან ძალიან უმადური და ცოტა ჭკუასუსტიც უნდა იყოს ის ადამიანი, ვინც ვერ ხედავს იმას, რომ რუსეთთან შეერთების შედეგად გადარჩა საქართველო სულიერადაც და ფიზიკურადაც. ვაი და უიპატრიოტი თუ არ არის კაცი, იმასაც უნდა ხვდებოდეს, რომ შუა საუკუნეების შემდეგ ქართველი ერის ჩამოყალიბება ახლიდან XIX საუკუნეში დაიწყო, როგორც ეს, თავის დროზე, იოსებ სტალინმა ბრძანა. ან კი როგორ უნდა ჩამოყალიბებულიყო ერთიანი ეთნოფსიქიკა ტერიტორიული მთლიანობის გარეშე?

აბა, მანამდე ვინ ვიყავითო — იკივლებს ვინმე ვაი და უიპატრიოტი. ვინ ვიყავით, ჩემო ბატონო, და ათ ნაწილად დაყოფილი ქართველური ტომები, რომელთაგან ზოგს სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ჰქონდა, თავისი მეფითა და ნაზირ-ვეზირებით; ზოგს სამთავრო და ზოგს სანჯაყი, ბეგებითა და ფაშებით. აი, ვინ ვიყავით!

იშვიათად, მაგრამ დიდი ქართველები მაინც ახერხებდნენ, ზოგჯერ, ქართველური ტომების ერთ სახელმწიფოდ (სამეფოდ!) გაერთიანებას მცირე ხნით, რაც ერთიანი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის საკმარისი არ იყო. მართლმადიდებლური ეკლესია იყო ერთადერთი ძალა, რომელიც, ასე თუ ისე, ინარჩუნებდა ქართველურ ტომებს შორის ნათესაურ კავშირებს.

ერთიანი ქართული ცნობიერების ჩამოყალიბება ქართული ეროვნული სკოლის დამსახურებაა, რისთვისაც დღენიადაგ იღვწოდნენ ქართველი მამულიშვილები, ხოლო ქართველმა სამოციანელებმა,

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №1(15), 2015..

დიდი ილიასა და იაკობ გოგებაშვილის მეთაურობით, ქართველთა შორის განათლების გავრცელება უპირველეს ეროვნულ მრწამსად აქციეს. რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე კი საქართველოში არც ერთი საერო სკოლა არ იყო! არც ერთი!

ერთი ეპიზოდი უნდა გავიხსენო, რომელიც უცხოელისათვის შეიძლება სასაცილო იყოს, ჩვენთვის კი ფრიად სათაკილოა. XVIII საუკუნის 90-იან წლებში, რუსეთთან საქართველოს შეერთებიდან ცოტა ხნის მერე, დასავლეთ საქართველოში თავად-აზნაურული „ბუნტი“ მოხდა. ხელისუფლების წარმომადგენლები შეხვდნენ ბუნტარ თავადებს და ჰკითხეს, რას „ბუნტარობთ“, რა გინდათო? ჩვენ გვინდა ისეთივე პრივილეგიები, როგორიც რუს თავად-აზნაურობას აქვსო. მერე და, რას „ბუნტარობთ“, მისწერეთ კოლექტიური წერილი ჩვენს მეფეს და თქვენც მოგცემენ პრივილეგიებსო. დაუჯერეს „ბუნტარმა“ თავადებმა, დაწერეს თხოვნა რუსეთის მეფის სახელზე და... ორასი კაციდან მხოლოდ ხუთმა შეძლო პეტიციაზე ხელის მოწერა, დანარჩენებმა ჯვრის დასმა მოახერხეს მხოლოდ.

ეს ისტორიული ფაქტი ინფორმაციაა განსჯისათვის, მეტი არაფერი!

ახლა იმ უტყუარ, არასაკამათო ფაქტებს მივაქცევ თქვენს ყურადღებას, რომელსაც არა განსჯისათვის, არამედ დასკვნების გაკეთებისათვის შემოგთავაზებთ...

რუსეთის განათლების სამინისტროს 1786 წლის დებულების საფუძველზე საქართველოშიც იხსნებოდა „სახალხო სასწავლებლები“. პირველი ასეთი სასწავლებელი გაიხსნა 1802 წელს თბილისში, რომელშიც 45 მოსწავლე ჩაირიცხა. ამავე წელს დამტკიცდა სასწავლებლის წესდება. ეს იყო წოდებრივი სკოლა, რომელშიც თავადაზნაურების შვილები სწავლობდნენ. 1804 წელს გაიხსნა „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი“, რომელშიც თავადაზნაურების შვილებთან ერთად იღებდნენ სამღვდელოების, მოხელეებისა და ვაჭართა შვილებსაც. 1830 წელს ეს სასწავლებელი კლასიკურ გიმნაზიად გადაკეთდა. 1817 წელს გაიხსნა სასულიერო სემინარია სწავლების ექვსწლიანი კურსით. მან ზუსტად ასი წელი (1917 წლამდე) იარსება და ბევრი გამოჩენილი ადამიანი აღზარდა. ამ სემინარიისათვის კონტინგენტის მოსამზადებლად გაიხსნა რამდენიმე სასულიერო სასწავლებელი: თბილისში (1817 წ.), გორში (1818 წ.), სიღნაღში (1818 წ.), თელავში (1818წ.), ქუთაისში (1821 წ.), მარტვილში (1830). 1893 წელს თბილისში გაიხსნა სომხური გრიგორიანული სემინარია; დაარსდა, აგრეთვე, რამდენიმე კათო-

ლიკური და მუსულმანური სკოლა.

1830 წელს დაარსდა რამდენიმე სამაზრო სასწავლებელი: თბილისში, ქუთაისში, გორში, სოფელ ნაოღალევში (მარტვილის რაიონი), ახალციხეში, სიღნაღში, დუშეთში.

1835 წელს საქართველოში იყო ყველა ტიპის 90 სკოლა 1800 მოსწავლით.

XIX საუკუნის ორმოციან წლებში დაიწყო წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლების დაარსება. პირველი ასეთი სასწავლებლები გაიხსნა თბილისში (1846 წ.), ქუთაისში (1847 წ.), თელავში (1865 წ.). ეს სასწავლებლები ჯერ ექვსწლიანი იყო, 1864 წლიდან კი შვიდწლიანი გახდა. ისინი ამზადებდნენ საშინაო მასწავლებლებს.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში არსებობდა რამდენიმე სამხედრო სასწავლებელი. 1816 წელს გაიხსნა საარტილერიო სასწავლებელი, 1836 წელს დაარსდა დაწყებითი სამხედრო სასწავლებელი, სადაც უმცროს ოფიცრებს ამზადებდნენ. მათ შეეძლოთ სწავლის გაგრძელება სამხედრო გიმნაზიებსა და კადეტთა კორპუსებში. 1816 წელს დაარსდა თბილისის სამხედრო-საფერშლო სასწავლებელი, რომელმაც 1917 წლამდე იარსება.

არსებობდა კერძო სასწავლებლების საკმაოდ ფართო ქსელიც. 1835 წელს მათი რიცხვი 72-მდე გაიზარდა. განსაკუთრებით აღიარებული იყო რაევსკის, ჰაკეს, პერეირას, ახვერდოვას, იანიცკის სასწავლებლები. 1840 წელს პერეირას კერძო ქალთა სკოლა გადაკეთდა ამიერკავკასის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტად.

1851 წელს საქართველოში უკვე არსებობდა სამი გიმნაზია: თბილისისა და ქუთაისის კლასიკური გიმნაზიები და თბილისის კომერციული გიმნაზია. სამივე გიმნაზიაში 787 მოსწავლე ირიცხებოდა. ყველა ტიპის 139 სასწავლებელში 5554 მოსწავლე სწავლობდა.

თავდაპირველად საქართველოში სკოლების მართვის ერთიანი სისტემა არ არსებობდა. სკოლები ემორჩილებოდნენ მთავარმმართებლის კანცელარიასა და რუსეთის განათლების სამინისტროს. 1848 წელს შეიქმნა კავკასიის სასწავლო ოლქი, რომელმაც განათლების სამინისტროს ფუნქცია იკისრა.

XIX საუკუნის ორმოციან წლებში საქართველოში მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებანი განხორციელდა. 1850 წელს არსებობა დაიწყო ქართულმა თეატრმა, 1851 წელს დაარსდა ქართული ჟურნალი „ცისკარი“, გაიხსნა რამდენიმე სასწავლებელი და ა. შ.

1867 წელს დამტკიცდა „კავკასიისა და ამიერკავკასიის სასწავლო ნაწილის დებულება“, რომლის მიხედვით, სახალხო სკოლებში, სწავლების პირველი ორი-სამი წლის განმავლობაში, სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა. გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში გაუქმდა წოდებრივი ბარიერები, აიკრძალა მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა; სკოლებთან შეიქმნა ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც მატერიალურ დახმარებას უწევდნენ სასწავლებლებს.

XIX საუკუნის 60-იან წლებში დაწყებითი განათლების ქსელი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. 1841-1850 წლებში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში დაარსდა სულ ორი სკოლა, 1851-1860 წლებში — ექვსი, 1861-1870 წლებში — 12, 1871-1880 წლებში — 116, 1880-1890 წლებში — 120, 1891-1900 წლებში — 197. 1890 წელს საქართველოში იყო — 240 დაწყებითი სკოლა, 1900 წელს კი — 442, სადაც 20 ათასამდე მოსწავლე სწავლობდა.

ხალხის განათლებაში ერთობ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საეკლესიო-სამრევლო სკოლები და სასულიერო სასწავლებლები, რომლებიც დაწყებით განათლებას აძლევდნენ ახალგაზრდებს. ეს, ცხადია, ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე არ კეთდებოდა.

1885 წელს საქართველოში გაიხსნა — 15 სამრევლო სკოლა, 1886 წელს — 18, 1887 წელს — 17, 1888 წელს — 17, 1889 წელს — 39. 1890 წელს საქართველოში იყო 121 სამრევლო სკოლა, 1895 წელს — 304, 1899 წელს — 371. ამ ტიპის სკოლებში 17 ათასზე მეტი მოზარდი სწავლობდა.

იზრდებოდა სასულიერო სასწავლებელთა რიცხვი და მოსწავლეთა კონტინგენტი. ზოგიერთ სასულიერო სასწავლებელში მოსწავლეთა რიცხვი ფრიად შთამბეჭდავი იყო. მაგალითად, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა — 623, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში — 306, თელავისაში — 245, გორის სასწავლებელში — 229 მოსწავლე და ა. შ.

1864 წელს უმაღლეს ინსტანციებში დამტკიცდა გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების წესდება, რომლის მიხედვით აღიარებული იყო ორი ტიპის გიმნაზია: კლასიკური, ორი ძველი ენით (ლათინური და ბერძნული) და რეალური, ახალი ენებით (გერმანული, ფრანგული და ინგლისური). გიმნაზიებში სწავლა შვიდწლიანი იყო.

XIX საუკუნის დასაწყისში გიმნაზიები გაიხსნა ფოთში, გორში, სოხუმში, ახალციხეში, თელავში, ლანჩხუთში, ზუგდიდში, ხაშურში და სხვაგან. 1916 წელს საქართველოში იყო ვაჟთა და ქალთა 23 გიმნაზია, 3 რეალური სასწავლებელი, 3 წმინდა ნინოს სასწავ-

ლებელი, 3 სასულიერო სემინარია, 2 ეპარქიული სასწავლებელი, 1 კადეტთა კორპუსი, 4 კომერციული სასწავლებელი, 1 ქალთა ინსტიტუტი, 5 კერძო და საზოგადოებრივი გიმნაზია. სულ 45 საშუალო სასწავლებელში სწავლობდა 20 257 მოსწავლე. ამასთან ერთად ფუნქციონირებდა 5 პროგიმნაზია 813 მოსწავლით.

საქართველოში სპეციალური სასწავლებლები XIX საუკუნის 70-იან წლებამდე არ არსებობდა. პირველი სახელოსნო სასწავლებელი გაიხსნა თბილისში 1873 წელს, შემდეგ სპეციალური პროფესიული სასწავლებლები გაიხსნა ბათუმში (1889 წ.), ხონში (1898 წ.), ბორჯომში (1895 წ.). 1874 წელს დაარსდა თბილისის სამიწათმზომელო სკოლა, თბილისსა და ქუთაისში მებაღეობა-მებოსტნეობის სკოლები (1875 წ.), ლოჭინის სანიმუშო ფერმა-სკოლა (1864 წ.), რკინიგზის ტექნიკური სასწავლებელი (1870 წ.). XX საუკუნის დასაწყისში მათ მიემატა ფოთის სანაოსნო სკოლა, თბილისის მებაღეობის სკოლა, საქარის სანერგე სკოლა, ქუთაისის ელემენტარული სამეურნეო სკოლა და ა. შ.

დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა მომზადება XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. პირველი ასეთი სასწავლებელი იყო ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომელიც 1866 წელს დაარსდა თბილისში.

პირველი პედაგოგიური სემინარია დაარსდა ქ. გორში 1876 წელს, რომელიც მალე ამიერკავკასიაში პედაგოგთა მომზადების ცენტრად იქცა. მას ჰქონდა აზერბაიჯანული და სომხური სექტორები. ასეთივე სემინარია გაიხსნა 1881 წელს დაბა ხონში.

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სასწავლებელი იყო თბილისის სასულიერო სემინარია. ამ სემინარიაში მხოლოდ სასულიერო პირებს როდი ამზადებდნენ. აქ აღიზარდნენ ისეთი მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ პლატონ იოსელიანი, გაბრიელ ქიქოძე, დიმიტრი ბაქრაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, თედო ჟორდანია, ავქსენტი ცაგარელი, დანიელ ჭონქაძე, ლავრენტი არდაზიანი, ნიკო ლომოური, იოსებ სტალინი, სოფრომ მგალობლიშვილი და სხვები.

1894 წელს ქუთაისში დაარსდა სასულიერო სემინარია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პედაგოგთა კადრების მომზადებაში.

1879 წელს დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელსაც ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები ედგნენ სათავეში. ეს საზოგადოება ხსნიდა

და ინახავდა სკოლებსა და ბიბლიოთეკებს საქართველოს ყველა კუთხეში. ბუნებრივია, მისი საქმიანობის ეფექტიანობას ხელისუფლების ხმარდაჭერა განაპირობებდა. ამგვარი საგანმანათლებლო პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა და განვითარდა დიდი ქართული მწერლობა, მეცნიერება და ხელოვნება. ამ დიდი საგანმანათლებლო პროგრესის დაგვირგვინება იყო ქართული უნივერსიტეტის დაარსება 1918 წელს და ეს ყველაფერი მოხდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნის ერთი საუკუნის განმავლობაში.

საბჭოთა კავშირში, მოდერნიზებულ რუსეთის იმპერიაში ცხოვრებას რაც შეეხება, უხერხულიც კი არის იმაზე მსჯელობა, თუ რას მიაღწია საქართველომ სოციალურ-კულტურული განვითარებისა და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების გზაზე. გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში სამი ათასზე მეტი სკოლა ფუნქციონირებდა. სკოლები იყო გახსნილი ყველაზე პატარა სოფლებშიც კი; იქ კი, სადაც თითოეულ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 1-2 მოზარდს არ აღემატებოდა, იხსნებოდა კლას-კომპლექტები. სადაც ამის შესაძლებლობა არ იყო (მაღალმთიანეთში!), რაიონული მასშტაბის ან სოფელთაშორისი სკოლა-ინტერნატები მუშაობდნენ. 60-იანი წლების ბოლოს საქართველოში (ისევე, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში!) ჩამოყალიბდა ალტერნატიული საშუალო სკოლის ტიპი — საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სკოლა, მდიდარი სასწავლო-საწარმოო ბაზით. რაიონებში მუშაობდნენ სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები, რომელნიც მოზარდთა პროფესიული კონსულტაციისა და პროფესიული ორიენტაციის მნიშვნელოვანი კერები იყვნენ.

გასული საუკუნის ბოლოს საქართველოში იყო ოცამდე უნივერსიტეტი და ინსტიტუტი, სადაც თითქმის ყველა მაშინ არსებულ პროფესიაში მზადდებოდნენ სპეციალისტები. აი, ასეთი უმაღლესი განათლების ფართო ქსელის საფუძველზე ფუნქციონირებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია თავისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მთელი სისტემით.

რა რეზონანსი ჰქონდა ქართულ მეცნიერებას მაშინდელ მსოფლიოში, ამის თაობაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ამაზე თავისთავად მეტყველებს იმ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა და მათი ღვაწლის საერთაშორისო შეფასებები.

ისე, მოგეცეთ ლხენა, სჯობდა, რომ ეს ყველაფერი მომხდარიყო

და დამოუკიდებელი სამეფოც შეგვენარჩუნებინა და სამეფო ტახტიც, რომელზეც რომელიმე თავკერძა პრინციც დაბრძანდებოდა ზოგჯერ, მაგრამ ეგრე სად არის!

ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის თავგასულ უმადურობას რომ ვხედავ, ერთი ანეკდოტური ამბავი მახსენდება: ერთი ბავშვი ადიდებულ მდინარეში გადავარდა და იხრჩობოდა. ბედად, შეშინებულ სეირის მაყურებელთა შორის თავგანწირული კაცი გამოჩნდა, მდინარეში გადაეშვა და ბავშვი გადაარჩინა. სად იყო, სად არა, საიდანღაც იმ ბავშვის მამა გამოტყვრა, გადამრჩენელს მივარდა და გაჯავრებულმა შესძახა: ჩემს შვილს ქუდი ეხურა და სად არის ის ქუდიო!

აი, ასეა ზოგიერთი ჩვენი „ეროვნული მოღვაწის“ ჭკუა-გონებისა და მეხსიერების საქმე.

გრიგოლ რუხაძე

გლობალიზაციის ბედნიერი მონები[1]

ერთი ახლობელი კაცის ნაამბობიდან ჩვენი ერისთვის დამახასიათებელი ფრიად მნიშვნელოვანი თვისების შესახებ შევიტყვე; უფრო სწორად, ასე გონებამახვილურად ფორმულირებული აზრი პირველად მოვისმინე და მკითხველამდე მისი მიტანის სურვილიც ამიტომ გამიჩნდა. ვინმე უცხოელს ჩვენი თანამემამულეებისთვის უკითხავს, თუ იცით თქვენი მთავარი ნაკლი რა არისო. იგი არცერთის პასუხს არ დაუკმაყოფილებია და უთქვამს: ქართველებს სამშობლოს დაკარგვის შიში არა გაქვთო.

ჩემი აზრით, ზუსტი შეფასებაა, მაგრამ მეეჭვება, რომ ამ შესანიშნავ მცოდნეს ჩვენი ბუნებისა შესძლებოდა პარადოქსული რეალობის ახსნა: მიუხედავად აღნიშნული შიშის არქონისა, ქართველმა ერმა დღევანდლამდე როგორ მოაღწია ამ ვაგლახ წუთისოფელში? — თუმცა, შესაძლოა ჩემი ეჭვი უსაფუძვლოც იყოს და პატივცემულმა უცხოელმა, როგორც თავისი სტრატეგიის შემუშავების ან ეკონომიკური სარგებელის მიღების მიზნით ქართული ხასიათის ზედმიწევნით შემსწავლელმა, ჩვენი გადამრჩენელი სამი წმინდა საუნჯის მნიშვნელობაც კარგად იცოდეს და იმის ხელოვნებასაც ფლობდეს, როგორ შეიძლება მათი ამოშლა ეროვნული ცნობიერებიდან.

ვფიქრობ, მკითხველს არ გაუკვირდება, რომ საქართველოში შემოსული ერთი უცხოელი განვაზოგადეთ და იმ თვისებებით აღვჭურეთ, რომელთაც ისინი ქართული ბაზრის ასათვისებლად და ქართველ საზოგადოებაში საკუთარი იდეების დასანერგად იყენებენ. უკვე არავისთვის დაფარული არ არის, რომ დღეს თითქმის ყველა საერთაშორისო ურთიერთობის საგანს ბიზნესპარტნიორობა, ანუ

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №1(15), 2015.

პირადი გამდიდრების წყაროს მოძიება წარმოადგენს.

ბიზნესისადმი ლტოლვა იმდენად დაუოკებელი გახდა, რომ იგი ამქვეყნიური ტკბობისთვის კაცობრივი ცნობიერებისა და მსოფლმხედველობის დამონებასაც კი ცდილობს. ბიზნესი თავის გაკვალულ გზაზე ქმნის შესაბამის ინფრასტრუქტურას, რომელიც საუკუნოვან კულტურას, სულიერ ღირებულებებსა და ადამიანურ ურთიერთობებს უმოწყალოდ იწირავს. მისი ინტენსიურობა იმდენად სწრაფად იზრდება, რომ, ალბათ, ამ ცოდვიან დედამიწას ეკოლოგიური კატასტროფის დადგომამდე მოუღებს ბოლოს.

დღეს გამეფებული ბიზნესის არსენალი უზარმაზარია. მიუხედავად იმისა, რომ მას უკვე სახელმწიფოებრივი საზღვრების დადგენა, კანონმდებლობათა შეცვლა და გლობალური ეკონომიკური კრიზისის გამოწვევაც კი შეუძლია, მის მთავარ სამიზნეს მაინც სულიერი ღირებულებები წარმოადგენს, რადგან ბიზნეს-მონსტრი ძირითადად ადამიანთა ქვენა გრძნობებით საზრდოობს და, ბუნებრივია, სინდისი, პატიოსნება და სარწმუნოება მის დაუკმაყოფილებელ მოთხოვნილებებს ეწინააღმდეგება. მეთოდები, რომელსაც ბიზნესი მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად იყენებს, შემზარავია. გენმოდიფიცირებული პროდუქცია, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, პროსტიტუცია, აზარტული თამაშები, ხელოვნური განაყოფიერება, ტრანსგენდერული ოპერაციები, ფერადი რევოლუციები — არასრული ჩამონათვალია ბიზნესის სამეწარმეო სფეროებისა, რომლითაც იგი თავის იმპერიას ასაზრდოებს.

ამ იმპერიის მმართველმა გუნდმა, რომლის შემადგენლობა არცთუ ისე დიდია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში შემოიტანა ახალი ცნება — გლობალიზაცია. იგი არ უნდა აგვერიოს ინტერგაციის ბუნებრივ პროცესთან, რომელიც ეკონომიკის, ინფორმატიკის ან მეცნიერების რომელიმე დარგის განვითარების მიზნით შეიძლება იქნეს წარმოქმნილი. ქრისტიან მოაზროვნეთა დაკვირვებით, გლობალიზაცია დასავლელ ფილოსოფოსთა მიზანმიმართული შემოქმედების პროდუქტია, რომელიც მსოფლიო ელიტის სტრატეგიად არის გადაქცეული. მიუხედავად იმისა, რომ «იგი არის ხაფანგი კაცობრიობის ისტორიისათვის», მისი მთავარი სამიზნე, როგორც ამაში საქართველოსა და უკრაინაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები უეჭველად გვარწმუნებს, მაინც მართლმადიდებლობის მთავარი ბურჯისკენ არის მიმართული.

დასავლური სამყაროს (აშშ, ევროკავშირი) ცნობილი იდეოლოგები რუსეთის ეროვნული დამოუკიდებლობის ლიკვიდაციას პროგრესულ მოვლენად განიხილავენ და მისი საინფორმაციო უს-

აფრთხოების დარღვევის, ეკონომიკური კრიზისის წარმოქმნის და თავდაცვისუნარიანობის დაკარგვის მიზნით არაფერს თაკილობენ.

წმიდა მამათა ესქატოლოგიური წინასწარუწყებანი საყოველთაო აპოსტასიის შესახებ თანდათანობით რეალობად იქცევიან. ამიტომ მომავალი დროისთვის გამოთქმული მათი ბევრი აზრი უკვე ამჟამინდელ ვითარებას ასახავს. ერთ-ერთი მაგალითი ამისა თანამედროვე, ე. წ. ცივილიზებული სამყაროს ქრისტიანობისაგან გაუცხოებაა, როგორც მორალური, ისე თეოლოგიური თვალსაზრისით. თანდათან დედამიწაზე სულიერი ღირებულებების სულ უფრო ნაკლები დამცველი რჩება, რადგან ახალ მსოფლიო წესრიგს ინტერნაციონალური საბანკო კაპიტალის დიქტატურა განსაზღვრავს. ამიტომ, ვფიქრობთ, სწორედ ეს გლობალური ფაქტორები განაპირობებენ ერების ონტოლოგიური საფუძვლების რყევას, რომლებმაც, სხვათა შორის, სამშობლოს დაკარგვის შიში ქართველებსაც გაგვიქრო.

სანამ გლობალიზმის შესახებ საკითხს ძირეულად გავაანალიზებდეთ, ქართველმა მკითხველმა, თუ იგი რუსთმოძულე და ანტიქრისტიანი არ არის, უნდა გაითვალისწინოს, რომ დღევანდელი მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე სწორი იმფორმაციის მიღება მხოლოდ და მხოლოდ რუსული სოციალური ქსელების საშუალებით არის შესაძლებელი. ამის დასტურად, სერბი ანალიტიკოსი ზორან მილოშევიჩი გლობალიზმის თემაზე მუშაობის დროს მიღებულ გამოცდილებას გულახდილად გვიზიარებს: «ინფორმაციის წყაროთა მოძიებისას ჩვენ სერიოზულ პრობლემებს წავაწყდით, ვინაიდან ანტიგლობალისტურ გამონათქვამებზე დაუფარავი ცენზურა არსებობს, ანუ ანტიგლობალიზმის მხარდასაჭერი საქმიანობა და აზრის გამოხატვის თავისუფლება იზღუდება. ამგვარად, გლობალიზმის მოწინააღმდეგე ეკლესიის ბევრ მსახურსა და მართლმადიდებელი ინტელიგენციის წარმომადგენელს თავისი აზრის ცხადად გამოთქმა არ შეუძლია. ამ ფაქტის გამო, ძირითადი ინფორმაცია ჩვენ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წყაროებიდან მოვიპოვეთ».[2]

ამ სახის რამდენიმე პუბლიკაცია ჩვენც მოვიძიეთ და მათს შინაარსს ქართველ მკითხველებსაც გავაცნობთ, მაგრამ, ამასთანავე, დავსძენთ, რომ მოწოდებული ინფორმაცია სარგებლობის მომტანი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიქნება, თუ წამოჭრილი პრობლემების დასაძლევად საკუთარ ძალისხმევას არ დავიშურებთ და საზოგადოებრივი მდგომარეობის გამოსწორებას საქმით, სიტყვით და გულისხმისყოფით შეძლებისდაგვარად შევუწყობთ ხელს.

[2] **Зоран Милошевич, Русская Православная Церковь и глобализация, 05.05. 2011.**

გლობალიზაცია

თავიდან ეს ტერმინი პოზიტიური პროცესის აღსანიშნავად, საწარმოო და ეკონომიკურ ურთიერთობათა გაუმჯობესების თვალსაზრისით გამოიყენებოდა (ვაჭრობა, ინოვაციური ტექნოლოგიები, ტრანსპორტი, კომუნიკაცია და სხვ.). მაგრამ გლობალიზმის ძირითადი პრინციპების ახლებურად გააზრებამ მასში ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფის (რელატივიზმის) ნიშნები და ადრინდელი ჰუმანისტური იდეალებისადმი ფორმალური დამოკიდებულება გამოამჟღავნა. ამ თეორიის მიხედვით, «ღია საზოგადოების» იდეოლოგიის შესაბამისად, პრივილეგირებული უმცირესობის წარმომადგენლებს პლანეტის გლობალური რესურსების («ოქროს მილიარდების») მოხმარებისთვის შეუზღუდავი უფლებები ენიჭებათ. ამგვარი იდეოლოგია კი, თავისთავად, უმაღლესი მორალური ღირებულებების ცვლილებას მოითხოვს და თავისი არსით ქრისტიანულ პრინციპებს ეწინააღმდეგება.

გლობალიზმის ერთ-ერთი პოსტულატის მიხედვით, მთელი კაცობრიობა უნივერსალურ ერთობად უნდა გადაიქცეს, ყველა რასა ერთმანეთს უნდა შეერწყას. აქედან გამომდინარეობს იდეა მსოფლიო ხელისუფლების, ერთიანი პოლიტიკური ცენტრის შექმნის აუცილებლობაზე, რომელსაც მეთაურად ერთი მსოფლიო მბრძანებელი და ყველა აღმსარებლობის რელიგიური ლიდერი ეყოლება. ძნელი დასანახი არ არის, რომ ამ იდეოლოგიის უკან «თავიანთი ღმრთისმბრძოლი გეგმების რეალიზაციის მიზნით ანტიქრისტეს მსახურები იმალებიან».[3]

ასევე ფსევდომეცნიერულია მსჯელობა იმის შესახებ, რომ პროცესი გლობალიზაციისა აუცილებელი და გარდაუვალია. გლობალიზმის იდეოლოგები ამ თეზისით დროდადრო განაიარაღებენ იმ ადამიანებს, რომელთაც «ახალი მსოფლიო წესრიგის» შემქმნელთა მთავარი მიზნების დანახვა არ შეუძლიათ. ისინი სარგებლობენ ადამიანების უცოდინრობითა და ურწმუნოებით, რადგან საეკლესიო სწავლება ანტიქრისტესა და ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ მათ არ აინტერესებთ.

კიდევ ერთი ცრუ დებულება გლობალიზმისა ისაა, თითქოს «ახალი მსოფლიო წესრიგის» დამყარების შემდეგ ყველა სახელმწიფოსა და ყველა ხალხს თანასწორი უფლებები და შესაძლებლობები ექნებათ, ანუ კაცობრიობას საყოველთაო აყვავებისა და კეთილდღეობის

[3] **Филимонов В., Но избави нас от лукавого, СПБ., 2004. с. 212.** დამოწმებულია ზ. მილოშევიჩის სტატიიდან.

ხანა დაუდგება. თუმცა სულ სხვა რამეს ამტკიცებს აშშ-სა და ევროკავშირის პოლიტიკა ერაყის, ავღანეთის, იუგოსლავიის, ლიბანის, სირიისა და მთელი მართლმადიდებელი სამყაროს მიმართ. გლობალიზმის მთავარმა იდეოლოგებმა (ბჟეზინსკი, პეჩეი, ზანგერი, კისინჯერი და სხვ.) მართლმადიდებლობა ნომერ პირველ მტრად ოფიციალურად გამოაცხადეს. ამ საკითხზე მხოლოდ ერთ ციტატას დავიმოწმებთ მ. სააკაშვილის ცნობილი მხარდამჭერის, შვეიცის საგარეო საქმეთა მინისტრის კარლ ბილდტის ნასიბრძნიდან: «პუტინი არა საყოველთაო მსოფლიო ღირებულებების, არამედ მართლმადიდებლობის მიმართ ახდენს ერთგულების დემონსტრირებას, მართლმადიდებლობა კი ისლამურ ფუნდამენტალიზმზე უფრო სახიფათოა და დასავლური ცივილიზაციის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს; ამასთან იმიტომაც, რომ ოჯახურ ურთიერთობათა რეგლამენტირებას ცდილობს და გეებსა და ტრანსგენდერებს მტრობს».[4] რუს ავტორთა მონაცემების მიხედვით, აშშ-ის სახელმწიფო კონგრესი მილიონობით დოლარს ხარჯავს მარტო იმისთვის, რომ აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობა დასავლური დემოკრატიის მიღწევებს აზიაროს და ამით შეასუსტოს აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხთა სულიერი ერთობა, რომელიც მართლმადიდებლურ ტრადიციებზეა დაფუძნებული.

გლობალიზაციის ალტერნატივა

ოდესისა და იზმაილის მიტროპოლიტს აგათანგელოსს აქვს კონცეფცია, რომლითაც აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის გზას გვთავაზობს: «უწინარეს ყოვლისა, აუცილებლად საჭიროა რუსეთთან გაერთიანება უკრაინისა, ბელორუსიისა, შუა აზიის ხალხებისა და ამიერკავკასიისა,[5] რომელნიც ადრე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ. შემდეგ კი ამ ბლოკში შეიძლება შევიდნენ ბალკანეთის სახელმწიფოები[6] და საბერძნეთი»[7].

მსგავსი მოსაზრება სერბეთის მართლმადიდებელ ეკლესიაშიც არსებობს. მაგალითად, მეუფე ნიკოლოზი (ველემიროვიჩი) მართლმადიდებლობის ფარგლებში ასეთ თანამშრომლობასა და სახელმწიფოებრივ გაერთიანებას მხარს უჭერს. ანალოგიური შეხედულება

[4] **Ольга Четверикова, Речь идет о создании антицеркви, 04.02.2015.**

[5] ე. ი. საქართველოსი , სომხეთისა და აზერბაიჯანისა.

[6] ე. ი. ბულგარეთი, ალბანეთი, სერბეთი, ჩერნოგორია და რუმინეთი.

[7] **Филимонов В., Архипастыри, пастыри и монашествующие Русской Православной Церкви о глобализации и цифровом кодировании людей, СПБ., 2004. С. 28.**

ჰქონდა რუსეთის ყოფილ პატრიარქს ალექსი მეორესაც, რომელიც საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეებს ახალი სახის აღმოსავლურ-ქრისტიანული კავშირის შექმნისკენ მოუწოდებდა. შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაციის ალტერნატივა იდეურად ფორმირებულია და მასში მართლმადიდებელი ხალხებისა და სახელმწიფოების ისეთი გაერთიანება იგულისხმება, რომელიც არ გამოიყენებს ელექტრონულ კოდებს სამი ექვსიანით, საფრთხეს არ შეუქმნის ხალხთა თვითმყოფადობას, არ მოსპობს ეროვნულ და ტრადიციულ საგანმანათლებლო სისტემას, უსარგებლო საგრანტო პროგრამებით არ გაფლანგავს ინტელექტუალურ პოტენციალს და ა. შ.

თუმცა იდეა «აღმოსავლური კავშირისა» დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ბოლომდე რეალიზებული იგი არასდროს ყოფილა. ძირითადად ყველაფერი ყოველთვის დეკლარაციულ დონეზე მთავრდებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადგილობრივ მართლმადიდებლურ ეკლესიებს აქამდე იმდენი პოლიტიკური და სულიერი ძალა არ ჰქონიათ, რომ ასეთი გაერთიანებისთვის მიეღწიათ. ამიტომ იგი მხოლოდ მაშინ შეიძლება განხორციელდეს, როცა ზემოთ ხსენებულ ხალხთა სახელმწიფო ორგანოები და პოლიტიკური პარტიები აღნიშნულ (მართლმადიდებლურ) პროგრამებს საკუთარ სამოქმედო პროგრამებად ჩათვლიან.

2004 წლის მაისში რუსეთის, ბელორუსიის, უკრაინისა და ყაზახეთის სახელმწიფოთა მთავრობებმა აღნიშნული იდეის ხორცშესხმისთვის კონკრეტული ზომები მიიღეს: მაშინ მოეწერა ხელი შეთანხმებას ამ სახელმწიფოთა გაერთიანებაზე, რომლის თანახმადაც რუსული რუბლი 2006 წლიდან ყველა სახელმწიფოში გადახდის საშუალება უნდა გამხდარიყო, საზღვრები გაუქმდებოდა, გათვალისწინებული იყო ერთი მოქალაქეობის შემოღება, ანუ მიზანს ერთიანი პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავება წარმოადგენდა. ამ პროგრამის ინიციატივა ეკუთვნოდა ბელორუსიის პრეზიდენტს ა. ლუკაშენკოს, ხოლო შემდგომ წამყვანი როლი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვ. პუტინს დაეკისრა. სხვათა შორის, როგორც ანალიტიკოსები აღნიშნავენ, ეს ფაქტი არის ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გასაჯაროების შემდეგ დასავლური მასმედია ლუკაშენკოს დაატყდა თავს და იგი დიქტატორად გამოაცხადა.

ბალკანეთისა და განსაკუთრებით სერბ მართლმადიდებელთა შორის «აღმოსავლური კავშირის» იდეას სათანადო მხარდაჭერა არა აქვს, რადგან გლობალისტები მათზე ნეგატიურ გავლენას ახდენენ. არსებობს სხვა «წყალქვეშა კლდეებიც»: ყველას, ვინც ამ იდეის მხ-

არდაჭერას გაბედავს, ერეტიკოსად აცხადებენ და მას-მედია, თავის მხრივ, იწყებს თავდასხმას, რომელსაც დიდი უმრავლესობით გლობალისტები აკონტროლებენ. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ XX ს-ის ბოლოს ყოფილმა იუგოსლავიის სოციალისტურმა რესპუბლიკამ მიიღო გადაწყვეტილება რუსეთსა და ბელორუსიასთან ინტეგრაციის შესახებ, მაგრამ 2000 წელს, სლობოდან მილოშევიჩის ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ეს იდეა დავიწყებას მიეცა, თუმცა ის ოფიციალურად არც არავის უარუყვია.

გლობალიზმის ადგილობრივი ადეპტები

«ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» ცნობილი წარმომადგენლების — ა. კვიტაშვილის, ე. ზღულაძის, გ. გეწაძის, ზ. ადეიშვილის, მ. სააკაშვილის — უკრაინის სახელისუფლო პოსტებზე დანიშვნით სრულიად ცხადი გახდა, რომ საქართველოში ცხრა წლის განმავლობაში მოქმედი ნაცთა მმართველი გუნდი დანაშაულებრივი საერთაშორისო ორგანიზაციის ინსტრუქციებით ხელმძღვანელობდა. ნაცების მიერ გლობალისტური იდეოლოგიით განხორციელებულმა რეფორმებმა მიზანმიმართულად გაანადგურა განათლების სისტემა, მეცნიერების დარგები და კულტურის ცალკეული სფეროები; გარდა იმისა, რომ ხელში ჩაიგდო მედიის ყველა ბერკეტი, განსაკუთრებით ტელევიზიებში ამორალური, ანტიქრისტიანული და ანტიეროვნული სული დაამკვიდრა; არ დარჩენილა არც ერთი ეროვნული სიწმინდე, ძეგლი თუ მემორიალი, გლობალიზმის ადგილობრივი ადეპტების მსახვრალი ხელი რომ არ შეხებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაცური ელიტის წარმომადგენლები ყველა ანტისახელმწიფოებრივ დავალებას მონური მორჩილებით ასრულებენ, მათი დაბნელებული სულები მაინც ბედნიერების განცდას ელიან, რომელიც მათ მამონამ უნდა მოუტანოს. მაგრამ მათ სამშობლოს მტრობა ჩაუშხამდათ და განაჩენი თავიანთ თავს თვითონ გამოუტანეს. 21 მარტს ჩატარებული აქცია, მართალია, გლობალისტური წესრიგის აღსადგენად, ანუ ქვეყანაში ქაოსის გამოსაწვევად იყო დაგეგმილი, მაგრამ ქართველმა ხალხმა ნაცურ გეენიაში დაბრუნება არ ისურვა და, როგორც საქმეს პირი უჩანს, თუ აუცილებლობამ მოითხოვა, ცოცხიანი კუდიანების თავებზე შეკრებილ ნაკვერჩხალს ნამდვილად გააღვივებს!

მამუკა ცუხიშვილი

გაიოზ რექტორი[1]
„არა რაი არს ესრეთ ტკბილ ვითარცა სიყვარული მამულისა“.[2]

სარწმუნოებრივად მოაზროვნე ადამიანებისთვის გასაკვირი აღარ არის ის ფაქტი, რომ საქართველოს ყოფილი ხელისუფლების მხრიდან აღიარებული პროდასავლური კურსი გაცილებით დიდი საფრთხეების შემცველია, ვიდრე სარგებელისა და განსაკუთრებულ საშიშროებას უქადის დიდი ისტორიის მქონე ქართველ ხალხს და მის მომავალს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ადარდებს არც გარეშე და არც იმ შინაურ მტრებს, რომლებიც როგორც ხელისუფლებაში, ისე ოპოზიციაში ასე მრავლად არიან.

რუსეთთან კეთილმეზობლური, დიპლომატიური და პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობების აუცილებლობაზე ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისში წერდნენ ჩვენი ერის გამორჩეული შვილები. მათ რიცხვში თამამად შეიძლება დავასახელოთ აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი IV,[3] რომელმაც 1737 წლის 12 მაისს ტყვეობიდან ახლადგათავისუფლებულმა შემდეგი სახის

1 პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №1(15), 2015.

2 ხეც, ფონდი **H-96**, მინაწერი ბარონ დე პოლნიცას ქართულ ენაზე თარგმნილ თხზულებაზე, რომელიც გაიოზ რექტორმა უძღვნა ბატონიშვილს გიორგი ვახტანგის ძეს.

3 დომენტი IV (დამიანე ბაგრატიონი) აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1705-1741 წლებში, მეფე ვახტანგ VI-ის ძმა. 1707 წელს ირანში ეწვია შაჰს და დაამტკიცებინა საკათალიკოსო და კახეთის ხელისუფალთა მიერ უკანონოდ მიტაცებული მამულები. ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ გამოვლენილი პროტესტის გამო 1727 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს სტამბოლის მახლობლად კუნძულზე, სადაც ტყვეობაში გაატარა 9 წელიწადი, ხოლო სამშობლოში დაბრუნდა 1739 წელს. დომენტი კათალიკოსი მრავალმხრივი მოღვაწე და ღირსეული იერარქი იყო.

წერილი გაუგზავნა რუსეთის იმპერატორს ანას[4]: „ქ. ბრწყინვალეთ უზეშთაესო, უმაღლესო და უდიდებულესო, ძლიერო, უძლეველო ხელმწიფეო დიდისა სამეუფოსა ქალაქისა მოსკოვისა და ყოვლისა დიდისა რუსეთისაო, ასულო დიდისა ხელმწიფის იოვანესაო, უფალო ანნა, შეყვარებულო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა: მადლი, მშვიდობა და ზიარება სულისა წმიდისა და საზომისაებრ ჩემისა მიერ ლოცვა, კურთხევა იყავნ თქვენზედა თვითმპყრობელო ხელმწიფევ. იყავნ სახელი უფლისა, რომ თქვენს ამაღლებულსა და ძლიერსა და უძლეველსა ტახტზედ კეთილად და მშვიდობით, სასოებითა და სარწმუნოებითა, სათნო ღმრთისა და სადგურ და სავანე სულისა წმიდისა სუფევ და იყოფები: აწ, ვილოცავ და ვევედრები უფალსა ჩემსა იესო ქრისტესა, რათა დაგიცვას და დაგიფაროს და მოგივლინოს ანგელოზი თვისი მშვიდობის მცველად თქვენდა ხილულთა და უხილავთა მტერთა თქვენთა საძლეველად, მოგზედოს თვალითა თვისითა ტკბილითა, აღგადგინოსთ ცხედრისაგან უძლურებისა და გიხსნას ყოვლისა ჭირისა, შეწუხებისა და განსაცდელისაგან, მოგცეს სიმთელე, სიცოცხლე, განგკურნოს და განგაცხოველოს, რამეთუ, ვიყვენით ჩვენ წელსა ცამეტსა ტყვეობასა და ექსორიობასა დიდ ჭირსა შინა, მაშინ უკვე გვექმენით მოწყალე და მწყალობელი შეწევნითა და წყალობითა თქვენითა გამოვიზარდენით: ღმერთმა მოგანიჭოსთ მადლი და მშვიდობა, შეგინდოს ყოველნი უსჯულოებანი და ცოდვანნი თქვენნი, მოგიტევნეს ყოველნი შეცოდებანი რაოდენნი ჰსცოდე წინაშე ღმრთისა ვითარცა კაცმან ხორციელმან სიტყვით, საქმით და გონებით, ნებსით და უნებლიეთ. ყოვლითა სახითა, შენდობილ და განთავისუფლებულ გყოსთ ყოვლად-ძლიერისა ხელმწიფებისა და მადლისაგან სამღთოსა და თაყვანის-საცემელისა სულისა მიერ მადლითა და მეოხებითა უფლისა ჩვენისა ქრისტე იესოს მიერ და მშობლისა მისისა ყოვლად-უხრწნელისა დედოფლისა ჩვენისა, ღმრთის-მშობელისა მარადის ქალწულისა მარიამისაგან და ყოველთა წმიდათა, ამინ. ახლა, ამას მოვახსენებ თვით-მპყრობელს, დიდ ხელმწიფეს, აქამდინ ბოხჩას ექსორია ვიყვენით, ახლა ყიზილბაშის ელჩმა გვითხოვა, აქ, სტანბოლს მოგვიყვანეს: ახლა ამას მოვახსენებთ და ვეხვეწებით, **რომ ჩვენი ქვეყანა და სამწყსო საქართველო უსჯულოთ თათართ როგორ წაახდინეს, ყველა მოეხსენება. იქ ჩვენგან აღარ გაიძლება, აქ მცველი და მფარველი არავინ გვყავს, არცა რა საზრდო გვეპოვება რამ. ამთონი დიდის ხელმწიფის წყალობა იყოს, რომ ყური მოგვიგდოს, მოწყალება ყოთ, გვიპატრონო. ერთს**

[4] ანა ივანეს ასული რომანოვა, რუსეთის იმპერატორი 1730-1741 წლებში.

ალაგს დაგვაყენოთ და გაგვაძლებინოთ. აშტრახანი იყოს, თუ თერგი, თუ სოლაღი, თუ თარღუ, თუ დარუბანდი. ამაებს ალაგში საზრდოს და სარჩოს წყალობაც გვიყონ: მაგათი მლოცველი და მომხსენებელი მაგათ საფარველს ქვეშ ვიყვენით, რომ არა ვისი ფიქრი და შიში გვქონდეს, რომ არავინ რა შეგვცოდოს და გვაწყინოს, ჩვენთვის უზრუნველათ ვიყვნეთ: კიდევ ამას ვეხვეწებით დიდს ხელმწიფეს და მოვახსენებთ საცა ვიყვნეთ, აქა თუ სხვაგან, ხელმწიფის წყალობა და ულუფის წყალობა გვეძლეოდეს, მაგათი მლოცველი და მომხსენებელი დღივ და ღამე გვამყოფონ.

ქ. წარმოვიდა სამეუფოს ქალაქს კონსტანტინეპოლიდამ თვესა მაისსა იბ ქრისტეს აქათ ჩოლზ.

კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი“.

კათოლიკოს-პატრიარქის დომენტი IV წერილში ასახულია ის გაუსაძლისი რეალობა, რომელიც სუფევდა XVIII საუკუნის საქართველოში. აქედან გამომდინარე, აღმოსავლეთ საქართველოს მწყემსმთავარმა გადადგა მართებული ნაბიჯი და დახმარებისთვის რუსეთის იმპერატორს მიმართა. რამდენადაც გათათრების საფრთხე გარდაუვალი, საქართველოს ხსნის სხვა გზა, გარდა რუსეთისაგან გაწეული შემწეობისა, არ ჩანდა. მით უმეტეს, რომ ქართველ პოლიტიკოსებს დასავლეთ ევროპაში სულხან-საბას მოგზაურობის შედეგად უკვე შეძენილი ჰქონდა გამოცდილება იმისა, რომ ე.წ. ქრისტიანული დასავლეთი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მდგომი პატარა მართლმადიდებლური ქვეყნის გადასარჩენად თითსაც არ გაანძრევდა.

სად და ვისთან უნდა ეპოვა ხსნა და გამოსავალი მაჰმადიანური აგრესორი ქვეყნებისაგან ყოველი მხრიდან შეკიწროვებულ ქართველს, რომელიც ოდითგანვე ისე მძლავრად ისწრაფვოდა კულტურული დაწინაურებისაკენ, რომ ამ გზაზე თვით ისეთი მაღალი კულტურის მქონე ქვეყნის მხარდამხარ სიარულს ახერხებდა, როგორიც ბიზანტია იყო?

გარდა იმისა, რომ იმ დროისთვის რუსეთში ახალ რელსებზე იყო შემდგარი კულტურისა და ხელოვნების, მეცნიერებისა და განათლების ყველა დარგი, უმთავრეს ფაქტორს მაინც ერთმორწმუნეობა წარმოადგენდა: რუსეთი მართლმადიდებლური ქვეყანა იყო.

საქართველო-რუსეთის მეგობრობისათვის საფუძვლის ჩამყრელად მეფე-პოეტს არჩილ II-ს[5] მიიჩნევენ. მან მოსკოვში დააფუძნა

[5] არჩილ მეფე 1699 წელს გადასახლდა რუსეთში, დაუახლოვდა პეტრე I, ასევე იმპერატორის კარზე საკმაოდ დაწინაურდა არჩილის ვაჟი ალექსანდრე. მეფეყოფილმა არჩილმა ბინა მოსკოვის მახლობლად, სოფელ ვსესვიატკოეში დაიდო. იქვე შექმნა პოეტური შედევრები

ქართველთა სათვისტომო, სადაც ფართოდ გაიშალა კულტურული მოღვაწეობა, რასაც ხელს უწყობდა რუსეთის საიმპერატორო კარზე ალექსანდრე ბატონიშვილის დაწინაურებაც.

არჩილ II ერთად რუსეთ-საქართველოს შორის მეგობრობის „ხიდის“ მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ: ბაგრატ სოლოღაშვილი, დავით თურქესტანიშვილი, დიმიტრი საკაძე, გაბრიელ ჩხეიძე, პეტრე ნექაძე და სხვები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ თვალსაზრისით დიდი ქართველი მეცნიერის, გეოგრაფოსის, კარტოგრაფის, ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის, ბაგრატიონის[6] მოღვაწეობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დასაწყისში. ცნობილმა მეცნიერ-მკვლევარმა 1755 წელს ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების საშვილიშვილო საქმეში, რასაც ადასტურებს უნივერსიტეტის მთავარი შენობის შესასვლელთან დაფაზე ოქროს ასოებით ამოტვიფრული ვახუშტი ბაგრატიონი, სახელების დედოფალი ელისაბედი, გრაფი შუვალოვი, მიხეილ ლომონოსოვის გვერდით.[7]

აღსანიშნავია 1739 წლის ხოთინის ციხესთან გამართული ბრძოლა, სადაც თავდადება და გმირობა გამოიჩინა ქართველ ჰუსართა პოლკმა და საიდანაც იწყება რუსეთის არმიაში ქართველთა ბრძოლისა და სამხედრო თავდადების სამაგალითო ისტორია. სხვათა შორის, ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო დავით გურამიშვილმა:

„ათას-შვიდას-ოც-და-ცხრამეტს
ხითონის კარს ვთხლიშეთ კეტი,
ორმოც-და-ორს ფინდრეღაენს
ცეცხლით გამოვბუგეთ შვეტი“. [8]

ბიზანტიის დაცემის შემდეგ, მრავალი საუკუნის განმავლობაში მაჰმადიანებისა ალყაში მოქცეულ ჩვენს ქვეყანას რუსეთთან შეერთებამ, კვლავ გაუხსნა გზა ქრისტიანულ კულტურასთან ურთიერთობისა. იოანე ხელაშვილის [9] ხედვით, რუსეთი „აღანთებს გა-

და იქვე აღესრულა 1713 წელს. დაკრძალულია დონის მონასტერში.

[6] ვახუშტი ბატონიშვილი დაიბადა 1693 წელს, 1717 წელს დაქორწინდა მარიამ გიორგი აბაშიძის ასულზე. ვახტანგ VI განჯაში ყოფნის დროს ასრულებდა ქართლის სამეფოს გამგებლის მოვალეობას. 1724 წელს რუსეთში გაჰყვა ვახტანგ VI, მოსკოვში დასახლდა, დაენიშნა სახელმწიფო ჯამაგირი, იქვე მოღვაწეობდა სიცოცხლის ბოლომდე და აღესრულა 1757 წელს. დაკრძალულია მოსკოვში.

[7] **История Московского университета. Т. 1—2. М., 1955.** გვ. 398.

[8] დ. გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1967, გვ. 45

[9] იოანე (იონა) ხელაშვილი (1754-1837 წწ.), გამოჩენილი ქართველი სასულიერო მოღვაწე,

ნათლებისა ლამპარსა ქუეყანასა შიგან ჩუენთა ქართლოსიან იბერიელთასა და ესრეთ იწყებს სიბრძნე და ხელოვნება სუფევასა სამარადისო ცხოვრებად, რომე თითოეულთა თვისითა ნიჭითა და სწავლისა შეწყნარებათაგან იქმნებიან ნეტარეულ და ენებთა ევროპისა მეტყველ და მთარგმნელ ჩვენისა დედისა ენასა ზედა“[10].

იმ დიდ სასულიერო, პოლიტიკურ თუ კულტურის მოღვაწეთა შორის, რომლებიც საქართველოს სულიერი და კულტურული ამაღლების გზას მეზობელ ქრისტიანული ერთან მჭიდრო ურთიერთობაში ხედავდნენ, გაიოზ რექტორი იყო.

მისი გვარი დღემდე უცნობია. „საქმეს აძნელებს ის, რომ გაიოზი ხელს აწერს ყველგან სახლმოხელეობით, სახელდობრ: გაიოზ რექტორი, გაიოზ მოზდოკელი, გაიოზ პენზელი, გაიოზ ასტრახანელი და სხვ.“,[11] — წერს ტრ. რუხაძე და სამართლიანად შენიშნავს: „გაიოზს გვარი ნამდვილად აღარ სჭირდება, რადგან ის სახელოვანი ქართველია“.

ნ. მთვარელიშვილს მიაჩნია, რომ გაიოზი „არის გვარად ნაცვლიშვილი, ღარიბ აზნაურთაგანი“[12]. პ. კარბელაშვილი თვლის, რომ „გაიოზ რექტორი გახლავთ თაყაშვილ-ბარათაშვილთა გვარიდან“[13]. ი. რაინეგსი, რომელსაც პირადი ნაცნობობა ჰქონდა გაიოზ რექტორთან, მას მიიჩნევს ვაგოშაშვილთა გვარის წარმომადგენლად.[14]

თეიმურაზ ბატონიშვილი იყო გაიოზ რექტორის თანამედროვე, მასზე მასალები პირველად მოიძია ა. ცაგარელმა და შემდეგ წიგნად გამოსცა. ჩვენ ასევე გავეცანით თეიმურაზ ბატონიშვილის ფონდს, სადაც ვკითხულობთ: „წიგნი ველისარიონი, ღირსი ხსოვნისა საქმენი და შემთხვეულებანი,, რუსულიდამ თარგმნილი გაიოზ არხიერეისგან, აშტრახანის არხიეპისკოპოსისა; ესე იყო პ-ლ საქართველოსა, კახეთსა ქალაქსა თელავს საკეთილშობილოთა მოძღვარი, ხ-ო თვით იყო თავადთა ბარათაანთაგანი თაყაშვილი, აღზრდილი სამეცნიეროთა ყოველთა კათოლიკოსის მიერ ანტონი პირველისა“.[15]

მწიგნობარი, თეოლოგი, ფილოსოფოსი.

[10] იოანე ხელაშვილი, ოცდათოთხმეტი შეკითხვის წიგნი, წიგნი გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო გ. დედაბრიშვილმა, თბ., 1967, გვ. 31

[11] ტრ. რუხაძე, გაიოზ რექტორი, გაზ „სახალხო განათლება“”, თბ., 1956, № 39.

[12] ნ. მთვარელიშვილი, თელავის სემინარია და პირველი მისი რექტორი გაიოზ ნაცვლიშვილი, ჟ. ფერია, 1881, № 8.

[13] პ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში, ისტორიული მიმოხილვა, ტფ., 1902, გვ. 29.

[14] ჟ. ღაინეგგს, Aლლგემეინე ჰისტორისცჰ-ტოპოგრაპჰისცჰე Bესცჰრეიბუნგ დეს კაუკასუს, II, 1797, გვ. 108.

[15] ხეც, ფონდი H- 71.

გაიოზ რექტორის თაყაშვილ-ბარათაშვილის გვართან კავშირს ადასტურებენ იოანე და ბაგრატ ბატონიშვილები[16] და ტრ. რუხაძე[17].

არის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი, კერძოდ, ანტონ კათალიკოსმა ასტრახანის ეპისკოპოს მეთოდეს შეკითხვაზე, თუ ვინ იყო გაიოზი, საპასუხო წერილი მისწერა. ამ ფაქტთან დაკავშირებით კ. კეკელიძე წერს: „კათალიკოსის სიტყვები გვაფიქრებინებს, რომ გაიოზი უბრალო, ღარიბი, შეიძლება უპატრონოც ყოფილიყო და, როგორც ასეთი, აუყვანია გასაზრდელად (შემდგომ გამოცემებში: აღსაზრდელად — მ.ც.) ვიღაც თბილისელ დიაჩოქს“,[18] და იქვე დასძენს: „რაც შეეხება კერძოდ იმ აზრს, თითქოს გაიოზის გვარი ნაცვლიშვილი იყოს, ეს უბრალო გაუგებრობაა. გაიოზის და სალომე მისთხოვებია ვიღაც თადეოზ ნაცვლიშვილს, ამათ შესძენიათ შვილი გურგენი, რომელსაც მემკვიდრეობად დარჩენია, გაიოზის გარდაცვალების შემდეგ, მთელი მისი ქონება და ავლა-დიდება; ამ ქონებიდან წიგნსაცავი, რომელიც 273 ნომრისგან შესდგებოდა, გურგენს 1822 წელს შეუწირავს აშტრახანის სასულიერო სემინარიისთვის“.[19]

ერთი სიტყვით, დღემდე დაუზუსტებელია გაიოზ რექტორის გვარი და არც დაბადების თარიღია საბოლოოდ დადგენილი, მაგრამ სამაგიეროდ არსებობს უტყუარი მტკიცებულება მისი გარდაცვალების თარიღის შესახებ. ეს არის საფლავის ქვა, რომელიც გვამცნობს: „Здес погребено тело преосвиашченного гаиа, архиепископа астраханского д кавкаского, скончавшегосиа в 1821 году февралиа 29 дниа, на 82 году от рождения“.[20]

ზოგი მიიჩნევს, რომ გაიოზი დაბადებულა 1739 წელს, ზოგის აზრით — 1746 წელს; თავად გაიოზის მიერ რუსეთის უწმინდესი სინოდისადმი მიწერილ წერილში სასულიერო აკადემიაში ჩარიცხვასთან დაკავშირებით კი წერია: დაბადების წელი — 1746.[21]

გაიოზ რექტორი – ასე შევიდა ისტორიაში XVIII საუკუნის უაღრესად გამორჩეული სასულიერო მოღვაწე, მწიგნობარი, დიპლომატი, მქადაგებელი, განმანათლებელი, მესტამბე და, რაც მთავარია, თავის სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული დიდი ქართველი. მისი

[16] კალმასობა, II, თბ, 1948, გვ. 191.

[17] ტრ. რუხაძე, დასხ. ნაშრომი.

[18] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941, გვ. 354.

[19] იქვე, გვ. 355.

[20] ა. ცაგარელი, Сведения о памиатниках грузинскои писменности, 1894, I, вип. III, ст. 213.

[21] ხეც, ფონდი S-№ 378.

ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული ანტონ კათოლიკოსთან[22], რომლისგანაც მოისმინა „ღრამატიკაი, პიიტიკისა ხელოვნებაი, რიტორიკაი, ლოღიკაი ბაუმეისტერისა და სხუაი“; ავტორი იქვე დასძენს: „ესე აღზრდილი და განსწავლული იყო კათალიკოზის ანტონის იესე მეფის ძის მიერ. ესე ჟამსა ამას ძვირფასობდა ქვეყანასა საქართველოსასა და ამის შემდგომად, ღმერთმან უწყის, დაშთება მჰსგავსი ამისი მეცნიერი ქვეყანასა ჩვენსა?!“ [23]

ანტონ კათოლიკოსმა 1765 წელს ბერად აღკვეცა გაიოზი, მანვე აკურთხა ჯერ დიაკვნად, შემდეგ კი არქიდიაკვნად. 1772 წელს ერეკლე II რუსეთში წარგზავნა დელეგაცია ლეონ ბატონიშვილისა და ანტონ I კათოლიკოსის ხელმძღვანელობით, ამ დელეგაციაში ასევე იყო გაიოზიც. დელეგაცია ორი წლით დარჩა პეტერბურგში, რითაც ისარგებლა გაიოზმა და სთხოვა ანტონ კათოლიკოსს, დახმარებოდა სწავლის გაგრძელებაში, რაზეც ანტონიც დასთანხმდა.

გაიოზს ალექსანდრე ნეველის სახელობის სასულიერო სემინარიაში დაუწყია რუსულის სწავლა ტვერის არქიეპისკოპოსის პლატონის მეთვალყურეობით, რომელმაც ასევე შეასწავლა ბერძნული და ლათინური ენები. მოგვიანებით კი ქართულ ენაზე თვით გაიოზმა თარგმნა ეპისკოპოს პლატონის შრომა „ღმრთისმეტყველება“(1792 წ.).[24]

1774 წელს, როდესაც ქართულ დელეგაციას რუსეთში ყოფნის ვადა ამოეწურა, გაიოზმა რამდენიმე ახლობლის პირით კათოლიკოს ანტონს შეუთვალა, რომ სურდა მოსკოვში დარჩენა სასულიერო აკადემიაში სწავლის გაგრძელების მიზნით, მაგრამ ანტონმა კატეგორიული უარით უპასუხა და სამშობლოში დაბრუნების კურთხევა მისცა. მიუხედავად ამისა, გაიოზი რუსეთში მაინც დარჩა.

გაიოზის მიერ კურთხევის შეუსრულებლობამ ანტონ კათოლიკოსი ძალიან გაანაწყენა. რასაც მის მიერ 1776 წელს ტვერის ეპისკოპოსის მეთოდესადმი მიწერილი წერილიდან ვგებულობთ.[25]

გაიოზ რექტორი თავისი მასწავლებლის შესახებ წერს: „ანტონმა აღმომიყვანა სიბნელისაგან უმეცრებისა და საქართველოის იწყო შენობად ბედნიერებისად ამის ჩვენისა. მან სრულჰყოცა სახლი სიბრძნისა და საქართველოისა ყოვლითა საჭიროთა სწავლულებითა;

[22] ანტონ I, ერისკაცობაში — თეიმურაზ ბაგრატიონი, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მწერალი, მეცნიერი, განმანათლებელი, ვახტანგ VI ძმის, მეფე იესეს და ერეკლე I ქალიშვილის ელისაბედის ვაჟი. კათოლიკოს-პატრიარქობდა ორჯერ 1744-1755 და 1764-1788 წლებში.

[23] ხეც, ფონდი **H-№ 2510.**

[24] ხეც, ფონდი **S-№ 28.**

[25] ხეც, ფონდი **H-№ 2510.**

ამან და საუნჯე სწავლისა ამის სანამ დიდსა ქმნილთა და თარგმნითა წერილთა სასიბრძნოთი. მან გულსმოდგინებით თვისით ჰყო ათინად მამული თვისი, რომელიცა უწინარეს ამისა ვითარცა სიბნელესა შინა უმეცრებითსა დაფარული იყო".[26]

გაიოზი მოსკოვის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა თავისი საფასით და სულთმოფენობის სახელობის მამათა მონასტერში ცხოვრობდა. სწავლის პერიოდში, 1776 წელს ერეკლე მეორის დავალებით გაიოზს ბერძნულიდან უთარგმნია „წიგნი ქმნილი აღაპიტ არქიდიაკონის მიერ კონსტანტინეპოლელისა დიდისა ეკლესიისა, მირთმეული ბერძენთა იმპერატორისა დიდისა იუსტინიანეს მიმართ, ოდესიგი მიიღო მან საყდარი კოსტანტინეპოლისა"[27], ასევე უთარგმნია „მიმოსვლა ბარონ დე პოლნიცისა, აღწერილი ისტორიისა და გეოგრაფიის გვარად"[28], რომელიც მიუძღვნია ბატონიშვილის გიორგი ვახტანგის ძისთვის. მკვლევრები უაღრესად საინტერესოდ მიიჩნევენ გაიოზ რექტორის მიერ 1777 წელს თარგმნილ და მეფე ქაიხოსროს ქალიშვილის ანასთვის მირთმეულ „კატაის სიბრძნეს", რომელიც თბილისში დაიბეჭდა 1784 წელს. [29]

1778 წელს ერეკლე მეორის თხოვნით გაიოზმა დროებით დატოვა მოსკოვი და თბილისში დაბრუნდა. დაბრუნებისთანავე დააფუძნა რუსული სკოლა[30]. მალე ხელნი დაასხეს მღვდელმონაზვნად. ამავე პერიოდში მანვე შეადგინა ანტონ კათოლიკოსის ნაშრომის „ღმრთისმეტყველება" საძიებელი.

1780 წელს გაიოზი რუსეთის წმიდა სინოდის მიერ მიწვეულ იქნა მოსკოვში, სადაც ებოძა იღუმენის წოდება. იქვე დაჰყო ორი წელი და 1782 წელს საიმპერატორო კარის დავალებით ერეკლე მეორესთან პოლიტიკურ დიალოგში ჩართვის მიზნით საქართველოში დაბრუნდა.

გაიოზი რუსეთში ცხოვრება-მოღვაწეობის წლებში მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რუსეთის მოკავშირეობის გარეშე საქართველო ვერ დაძლევდა აღმოსავლურსა და ევროპულ პოლიტიკურსა და სულიერ აგრესიას.

1782 წლის 28 მაისს ქ. თელავში გაიხსნა სასულიერო სემინარია, რომლის ფუძემდებელი და რექტორი (1783 წლამდე) სწორედ გაიოზი გახლდათ. სემინარია ჩამოყალიბდა მოსკოვის სლავურ-ბერ-

[26] ხეც, ფონდი S- № 29.

[27] ხეც, ფონდი S-№ 71.

[28] ხეც, ფონდი S-№ 100.

[29] ხეც, ფონდი Q- № 251.

[30] დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია, თბ., 1952, გვ. 198.

ძნულ-ლათინურ სტილზე, რექტორობის დროს გაიოზმა გამოავლინა მაღალი პედაგოგიური აზროვნება და აღმზრდელობითი უნარ-ჩვევები. ქართულად თარგმნა რუსეთის იმპერატორის პეტრე პირველის მიერ დამტკიცებული „წესდება“[31].

მოსკოვის სასულიერო აკადემიის მსგავსად თელავის სასულიერო სემინარიაშიც იმართებოდა სტუდენტთა დისპუტები სამეცნიერო საკითხებზე, ეწყობოდა საჯარო ლექციები... თელავის სასულიერო სემინარიამ განათლებისა და მეცნიერების განვითარების საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა.

ნ. კანდელაკის შეფასებით გაიოზ რექტორი იყო „დიდი ორატორი, მჭერმეტყველი, მქადაგებელი, გამორჩეული ჰომილეტიც და ღირსეული ორგანიზატორი“.[32]

სემინარიაში ისწავლებოდა ღმრთისმეტყველება, ლიტურგიკა, რიტორიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, გრამატიკა, ისტორია, არითმეტიკა და სხვ.[33] ძველი მსოფლიოს ისტორიის კურსს კითხულობდნენ შარლ ლორენის წიგნის „ძველი ისტორიის“ მიხედვით, რომელიც შედგებოდა 11 ტომისგან და რომლის ქართულად თარგმნა გაიოზ რექტორს დაუწყია.[34]

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, გაიოზი იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა თელავის სასულიერო სემინარიის რექტორის თანამდებობაც და სამშობლოც, რადგან იგი ერეკლე მეორის მიერ დაინიშნა გეორგიევსკის ტრაქტატის მომზადების კომისიის წევრად და გაიგზავნა მოსკოვში 1783 წლის ივნისში.

გაიოზი უაღრესად შორსმჭვრეტელი და ჭკვიანი დიპლომატი აღმოჩნდა. მან კარგად გააცნობიერა ერთმორწმუნეობის მნიშვნელობა და ამიტომ მთელი არსებით ჩაერთო პოლიტიკურ-დიპლომატიურ საქმიანობაში, რამაც უდიდესი შედეგი გამოიღო. გაიოზმა ჯერ ერეკლე II-ის, ხოლო მერე რუსეთის იმპერატორის ნდობა და პატივისცემაც დაიმსახურა.

ზოგი მიიჩნევს, რომ დელეგაციებსა და პოლიტიკურ შეხვედრებში გაიოზი მონაწილეობდა როგორც რუსული ენის კარგი მცოდნე, მაგრამ XIX საუკუნის მიწურულს ნ. მთვარელიშვილმა დასვა შეკითხვა: „თუ გაიოზი მესამე ვექილად იყო ხელშერულების მომზადების და დადების პროცესში (საქართველოს ეკლესიის მხრით), რატომ

[31] ხეც, ფონდი S- № 794.

[32] ნ. კანდელაკი, ქართული მჭერმეტყველება, თბ., 1958, გვ. 193 (ვნახოთ).

[33] ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობები, თბ, 1961, გვ. 237.

[34] იქვე, გვ. 240.

ამას ხელი არ უწერია ხელშეკრულებაზე და ამის შემდეგ რაღად დარჩა რუსეთში?“ და იქვე პასუხობს: „რა თქმა უნდა, რომ ამის აზრსაც მოქმედება ექნებოდა საქართველოს ვექილებზეც, ხელშეკრულებაზე საუბრის დროს“.[35]

საქმე ისაა, რომ საქართველოს და რუსეთის ადგილობრივი ეკლესიები ოფიციალურად არ მონაწილეობდნენ გეორგევსკის ტრაქტატის რატიფიცირებაში, ამიტომ დოკუმენტზე ვერ აისახებოდა გაიოზ რექტორის ხელმოწერა, რაც სრულებითაც არ აკნინებს მის როლსა და ფუნქციას. „უნდა აღინიშნოს, რომ გაიოზი იყო ის პიროვნება, რომელმაც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულა გეორგევსკის ტრაქტატის მომზადებისა და დადების საქმეში. თავისი განათლებით, ერუდიციითა და საქმის ცოდნით ის ბევრად მაღლა იდგა ოფიციალურ წარმოამდგენლებზე – ივანე ბაგრატიონსა და გარსევან ჭავჭავაძეზე. თუ რატომ არ აქვს ხელი მოწერილი გაიოზს ოფიციალურ დოკუმენტზე, შეიძლება ვეძიოთ იმაში, რომ მას, როგორც სასულიერო წრის წარმომადგენელს, ამის რწმუნებულება არ გააჩნდა. გაიოზი რომ ერთ-ერთი წამყვანი პირი იყო ხელშეკრულების დადების დროს, ამაზე ოფიციალური დოკუმენტები მიგვითითებენ და ამაზევე მეტყველებს მისი შემდგომი პოლიტიკური მოღვაწეობა“.[36]

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდები ინახავს უაღრესად საინტერესო მასალებს, ერთ-ერთ მათგანში გაიოზ რექტორის ღვაწლი ნათლად და დაუფარავად წარმოუჩენია რუს გენერალს პავლე პოტიომკინს: „ელჩნი მათი ბრწყინვალება კნიაზ ივანე კონსტანტინოვიჩი ბაგრატოვანი, და კნიაზ გარსევან რევაზიჩი ჭავჭავაძე და ეგრეთვე მომჭირნეობა და ერთგულება მამა არხიმანდრიტისა გაიოსისა“[37] და სხვ.

გაიოზ რექტორის დამოკიდებულება საქართველო-რუსეთის ურთიერთობებსა და ერეკლე II-სადმი ნათლად გამოვლინდა იმ სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში გეორგიევსკის ტრაქტატის დადებიდან ერთ თვეში, 1783 წლის 20 აგვისტოს[38]. აგრეთვე, გაიოზისა და ანტონ კათოლიკოსის მიმოწერიდან ნათლად ჩანს გაიოზის წუხილი საქართველოს ბედზე და იმედი რუსეთის მხრიდან შემწეობისა: „არც რუსეთი საქართველოზე ხელს

[35] ნ. მთვარელიშვილი, ჟ. ოვერია, 1881, № 9.

[36] მ. დარჩია, გაიოზ რექტორი, თბ., 1961, გვ. 100.

[37] ხეც, ფონდი **H- № 2507.**

[38] ეს სიტყვა პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში “დროშპ”, შ. ხანთაძის. წინასიტყვაობით. 1959 წ. № 5.

არ აიღებს და ვერც აღა-მახმად-ხანი მოვა კიდევ მაგაზედ... აღამამადხანი, თუ კიდევ ცოცხალი არის სადმე, ამას ვეღარ გაბედავს, რომ რუსეთი აიშალოს კიდევ. და არც აგრე გიჟია აღამამადხანი რომ კიდევ ის ქართლზე მოვიდეს. და რომ მოვიდეს, რაღა უნდა წაიღოს. სჯობს რიგიანად მოიქცნენ და არ აირივნენ, თორემ მაგ არეულობით აღამამადხანს აღარავინ მოუცდის... იმპერატორი აგრე უიმედოთ არ გაუშვებს საქართველოს და საიმედოც აქვს, რომ საქართველოს იმედიან ბინას დაუდებს და არც მტრის პირში გაუშვებს. ისეთ ბინას დაუდებს, რომ ის ბინა საუკუნოდ აღარ მოეშალოს ქართლს".[39]

თანამედროვეთა და შემდგომი თაობების მეცნიერთა გამოკვლევებით დადასტურდა, რომ გაიოზს არასოდეს უღალატია თავისივე სიტყვებისთვის: „რათა ყოველი წესი თვისისამებრ ძალისა მარად მეცადინეობდეს მსახურებად მამულისადმი".[40] გარდა იმისა, რომ რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდმა გაიოზი ეპისკოპოსის ხარისხში აღიყვანა, ფაქტობრივად, ის ითვლებოდა საქართველოსა და რუსეთს შორის ელჩად, მთავარ დიპლომატად.

გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების შემდეგ, გაიოზი დაინიშნა ოსეთის საქმეების შემსწავლელი საიმპერატორო კომისიის მთავარ წევრად (თავმჯდომარეობდა თვით იმპერატორი) და მანვე მოამზადა ოსური ანბანი.

1784 წელს პეტერბურგში, მთავარ ტაძარში რუსეთის წმიდა სინოდის წევრებმა გაიოზი აკურთხეს არქიმანდრიტად. კურთხევას დასწრებია რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II, რომელიც ძალიან აფასებდა გაიოზ რექტორს და ხელს უწყობდა მის დაუღალავ საქმიანობაში.

საინტერესოა გამოჩენილი რუსი მოღვაწის, გრიგოლ პოტიომკინისა და გაიოზ რექტორის მეგობრობა, რის დასტურსაც წარმოადგენს პოტიომკინთან ერთად ჯერ უკრაინაში (1785-1789 წწ.), შემდეგ კი მოლდავეთში (1789-1792 წწ.) გატარებული წლები. გაიოზ რექტორი პოტიომკინის მთავარი მრჩეველი იყო. გარდა იმისა, რომ გაიოზი პოტიომკინთან ერთად ეწეოდა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ თუ პოლიტიკურ საქმიანობას, თარგმნიდა და წერდა ორიგინალურ ნაშრომებს, რომელთა შესახებ საცნაური ხდება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებიდან (ხეც, ფონდი S-№ 35, 172, 378, H-№ 2293, 3112 და სხვ.).

1793 წლის 29 მაისს არქიმანდრიტ გაიოზს ეპისკოპოსად დაასხეს

[39] ხეც, ფონდი Hd- № 122.

[40] ხეც, ფონდი H- № 70.

ხელნი და განამწესეს მოზდოკის ეპარქიის მმართველად. მანამდე კი ერთი წელი ოფიციალურად მართავდა ასტრახანის ეპარქიას.

როგორც ნ. მთვარელიშვილი წერს: „გაიოზი გამოირჩეოდა პასუხისმგებლიანობითა და თავდადებული საქმიანობით. ამიტომაც მიანდვეს მას ძნელად მოსავლელი მოზდოკელების დამწყემსვა. რაშიაც ხელს უწყობდა იმპერატრიცა ეკატერინეს მიერ ბოძებული გაფართოებული უფლებები და ნდობა, რომელიც მან გაამართლა“.[41]

1799 წლის 16 ოქტომბერს გაიოზი გადაყვანილ იქნა სარატოვისა და პენზის ეპისკოპოსად, ამ ეპარქიას განაგებდა 1808 წლამდე. 1808 წელს გაიოზი გამოარჩიეს ასტრახანისა და სტავროპოლის ეპარქიის მმართველად და აღიყვანეს მთავარეპისკოპოსის პატივში.

ყველგან, სადაც კი გაიოზ რექტორმა იმოღვაწევა, დატოვა ღრმა ნაკვალევი. „მან ყველგან დაიმსახურა საერთო სიყვარული და დაუვიწყარი ხსოვნა“. [42] იოანე ბატონიშვილი წერს: „გაიოზი იყო აღზრდილი კათოლიკოზის ანტონისაგან საფილოსოფოსოთა და საღმრთისმეტყველოსა სწავლასა შინა, ზედმიწევნით ფლობდა რუსულ ენასა, ლათინურსა, სომხურსა და ბერძნულსა, თავადვე იყო აღმზრდელი მრავალთა და მრავალთა“.[43]

დავით ბაგრატიონი გვამცნობს: „წელსა ამასა 1821, თებერვალში 21, გარდაიცვალა არხიეპისკოპოსი გაიოს, ქართველი თაყაშვილი. ასტრახანს მისი ეპარხიელი იყო. ესე იყო ფრიად განსწავლულ რუსულსა, ქართულსა და სომხურსა ენასა ზედა. ამან თარგმნა რუსულიდამ უმრავლესნი წიგნნი, ვითარცა სამოქალაქო, ეგრეთვე საეკლესიონი ვიდრე 400-მდე; ამან გამართა დაბადება რუსულისაგან და ლათინთა და ბერძენთაგან, რაიცა აკლდა ქართულსა დაბადებასა, შემატა. ესე მიიცვალა წელსა 75“.[44]

დღეს ჩვენთვის კიდევ უფრო ფასეულია გაიოზ რექტორის სიტყვა წარმოთქმული სიონის ტაძარში, რათა თანამედროვე საზოგადოებამ დაინახოს რეალობა და ამ რეალობიდან გამომდინარე საფრთხეები, რასაც გვიქადის უსიყვარულობა, ურწმუნოება, კეთილმეზობლურ ურთიერთობათა გაწყვეტა და წარსულის ლაფში ამოსვრა; ამასთან, რათა ცხადად შევიგრძნოთ მართლმადიდებლობის ძალა და ამ ძალით გამოწვეული გადარჩენის სიხარული.

---

[41] ნ. მთვარელიშვილი, ჟ. ფერია, თბ., 1881, № 12.

[42] კ. კეკელიძე, დასახ. წიგნი, გვ. 356.

[43] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, თბ., 1937, გვ. 192.

[44] მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი დავით და ბაგრატ ბაგრატიონების მიერ, გამოცემულია ტფ., 1905, გვ. 157

გაიოზ რექტორის სიტყვა[45]

„შეერთებისათვის და მფარველობისა სამეფოსა საქართველოისა რუსეთის იმპერიისა თანა წელსა 1783 აგვიტოს 20 და თანამდებობითისა მადლობისა ესოდენისათვის მოწყალებისა ღვთის.

თქმული სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს,

ეკლესიასა შინა კათოლიკესა ყოვლად წმიდისა ღვთის მშობლის მიცვალებისასა არხიმანდრიტისა და თელავის სემინარიის რეკტორის გაიოსის მიერ და აკურთხენ ღმერთმან დრო ესე, და განამტკიცენ მაღალმან მარჯვენა ეკატერინა დიდის მფარველობასა ზედა საქართველოსასა და განაგრძვენ ღმერთმან დღენი კეთილმსახურისა მეფის ჩვენისა ირაკლი მეორისა, აღსარებასა შინა უმაღლესი სახელმწიფებისა ყოვლისა რუსეთის საიმპერატორო ტახტისასა.

მოდრკა ღმერთი უმდაბლესსა თხოვასა ზედა, პირველთა კეთილმსახურთა მეფეთა ჩვენთასა და მიიღო იგი აწინდელმან ბედნიერობით მმეფობმან კეთილმსახურმან ხელმწიფემან ჩვენმან მეფემან ირაკლი, ვითარცა დაუნჯებული მამათა მიერ საუნჯე.

რაიმე შევსწიროთ შენდა ქველის მოქმედო ღმერთო ჩვენო! ვითარ ცხად ვჰყოთ სიდიდე ესოდენისა ქველისა მოქმედებისა, რომელიცა მოჰფინე მამულსა ჩვენსა.

გარნა შემძლებელ ვარ თქმად, ვითარმედ ღვთისა მიერი ქველისმოქმედება ესე არა ეგოდენ საკუთარი მეფისათვის, რაოდენცა სამფლობელოთა მისთათვის, და თუმცა გონიერება

---

[45] „როგორც ცნობილია, 1783 წლის 24 ივლისს ჩრდ. კავკასიაში, ქ. გეორგიევსკში ხელმოწერილი იქნა მეგობრობისა და მფარველობა-მოკავშირეობის ხელშეკრულება რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის. ეს იყო დიდი მნიშვნელობის მოვლენა, როგორც საქართველოს, ისე რუსეთის პოლიტიკურ ცხცოვრებაში. 1783 წ. 20 აგვისტოს, თბილისში, სიონის ტაძარში, საზეიმო შეკრება მოქწყო, სადაც ამ სასიხარულო მოვლენის აღსანიშნავად სიტყვა წარმოუთქვამს ცნობილ ქართველ პედაგოგსა და კულტურულ მოღვაწეს, თელავის სასულიერო სემინარიის რექტორს გაიოზ თაყაშვილს (ბარათაშვილს, 1746-1821 წწ.). გაიოზის ეს სიტყვა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქართველი საზოგადოების დამოკიდებულებაზე რუსეთთან ხელშეკრულების დადებისადმი. კარგად ჩანს, რომ ამ ამბავს ქართველებს შორის საყოველთაო სიხარული გამოუწვევია. გაიოზ რექტორის სიტყვა, 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, მეტად საყურადღებო დოკუმენტია ქართველი საზოგადოების პოლიტიკური აზროვნების დახასიათებისათვის მე-18 საუკუნის დამლევს. არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ იგი საყურადღებო ძეგლია ქართული მჭევრმეტყველებისა. სიტყვა შემონახულია იოანე ბატონიშვილის ხელნაწერთა კოლექციაში (ხელნაწერი № 219), რომელიც ლენინგრადში, სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაშია დაცული და ქვეყნდება პირველად. შ. ხანთაძე“. ჟ. „დროშა“, №5, 1959.

თქვენი, პატიოსანო მსმენელნო! სრულებით ჰგრძნობს სიდიდესა ამის ღვთისა მიერისა მოწყალებისასა, ვითარცა დაამტკიცებს მხიარულებითა ესე შეკრულება თქვენი, გარნა მიხედეთ დასასრულებითა მიზეზთა მისთა.

კაცი ოდეს აღიძვრის ხელყოფად საქმისა რაისიმე, მყისვე გამოხატავს თვის შორის ვითართამე სასარგებლოთა დასასრულთა, რომლისათვისცა გულსმოდგინე არს სრულყოფად მისა, სიტყვისამებრ სალმრთოსა წერილისა, „ვითარმედ კაცი საქმისა მიმართ კეთილსა განმტკიცებულ“. და შემდგომად სრულყოფისა საქმისა მის ჰგრძნობს თვის შორის გამოუთქმელსა სიხარულსა, შემეცნებისამებრ ბრძნისა სოლომონისა: „და ვიხილე, რამეთუ არს კეთილი, რომელ იხაროს კაცმან ქმნულთა თვისთა ზედა, რომელნიცა იქმნებიან შემდგომად მისა“. რომელისა მართლისამებრ ჰაზრისა პატივსცეთ ბედნიერობითსა ამას საქმესა კეთილ მსახურისა მეფისა ჩვენისასა და პატივ ვჰსცეთ, ვითარცა ქველისმოქმედებასა ღვთისა ყოვლისა მპყრობელისასა, რომელმანცა უპყრა ხელი მარჯვნივ ცხებულსა თვისსა იმპერატრიცა ეკატერინა ალექსივნისა, მპყრობელსა სრულიად რუსეთისასა და წინაძღომითა თვისითა დაუვაკნა მთანი იგი შეუვალნი კავკასიისანი, და პორფირისა მისისა სიგრილითა დაჰფარა მამული ჩვენ და სკიპტრისა მისასა შარავანდედითა განამტკიცა სკიპტრა კეთილმსახურისა მეფისა ჩვენისა. ჰოი, ნიჭსა ყოვლად მდიდრისა და ქველისა მოქმედებასა მაღლისასა დაულევნელსა.

ამას ბედნიერობითსა შემთხვევასა შინა ვის ჩვენგანისა არს გული მყარი, რომელიცა არა ჰგრძნობდეს თვის შორის გამოუთქმელსა სიხარულსა და დღესასწაულობით არა მოუთხრობდეს მილოცვითსა ხმასა განსვენებისა თვისისასა.

და ვინათგან ყოველი მოცემა კეთილი და ყოველი ნიჭი სრული ზეგარდმო არს, ამისათვის თანამდებ ვართ, რათა მაღლისადმი მსხვერპლად სიმართლისა შევსწიროთ მადლობაი მხურვალითა გულითა, ვითარცა დასრულებითი მიზეზი შეკრებულებისა ამის ჩვენისა.

ესე ვითარისა ამის მადლობისა დასაბამად ვჰყოთ ვედრებაი საყდრისადმი ღვთისა ყოვლისა მპყრობელისა განგრძელებისათვის დღეთასა კეთილმსახურისა მეფისა ჩვენისა, ვითარცა მამისა მოღვაწისა, რომელმანცა ძლიერებისა თვისისა სისხლნი წარმოაცალიერნა ოფლითა სიმხნისა შრომისათა უვნებლად დაცვისათვის სამფლობელოსა თვისისა და მარადღე მიურულებლად

სცვიდა ერსა თვისსა გარემოს მყოფთა მძვინვარეთა მტერთაგან, რომელნიცა ნიადაგ ჰლამობდენ განბძარვასა მისსა და შემდგომად ესე ვითარისა სიბრძნისა საჭითა მიაყენა ნავთსაყუდელსა უღელვოსა და მხეცთა მათ მძვინვარეთა, რომელთაცა აღეშკმოთ პირნი და ბრჭყალნი შთანთქმად და განბრძარვად, ერთსა მას განუმზადა მახვილი იგი მკვეთრი და მეორესა ბურთი ცეცხლისა სოფელსა შინა დიდებულისა და საკვირველისა რუსეთის ძალისა, რომელმანცა საშინელითა ქუხილითა თვისითა დააჯაბნა ვითარცა კურდღელნი ლომად მგონებელნი თავთა თვისთანი.

და შენ სამღვდელოო პირო და მიზეზო ამის ყოვლისა კეთილობისაო, რომელმანცა სამეფო შენი შემოზღუდე უძლეველითა და სოფელსა შინა საკვირველითა რუსეთის ძალითა და პორფირითა რუსეთის საიმპერატოროს ტახტისათა წარგარგნე სკიპტრა მეფობისა შენისა, რომლითაცა დაამტკიცე საუკუნო მშვიდობა და მყუდროება ერისა შენისა და მით სრულ ჰყვეთ თანამდებობითი იგი შეკრულება, რომლისთვისცა დაგადგინა შენ ღმერთმან თავად ერისა თვისისა. ამისთვის მადლობადცა მისა უმეტეს ყოვლისა თავი შენი ათანამდებე და ერისა ამის შენისა მსხვერპლად ქებისად შენწირული მადლობაი მიართვი ყოვლად მაღალსა, რათა შენ მიერისა ამის განზრახულისა სიმტკიცე უკუნისამდე ეგოს როსიისა ერთობასა შინა და აღსარებასა უმაღლესისა ხელმწიფებისა როსიისა იმპერატორთასა, ამინ".

გაიოზ რექტორი რიტორიკული პათეტიკით ქებას უძღვნის რუსეთის იმპერატორს ეკატერინე მეორეს და ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე მეორეს, რომელთა ძალისხმევით მომზადდა და გაფორმდა გეორგიევსკის ტრაქტატი (შეკრულობა), ის განუმარტავს საზოგადოებას ხელშეკრულების მნიშვნელობასა და დამსახურებას რუსეთის სახელმწიფოს, რომელიც არის გარანტი ქართველთა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და უშიშროების უზრუნველყოფისა.

ეს სიტყვა არის პოლიტიკური ხასიათის უმნიშვნელოვანესი ძეგლი. გაიოზ რექტორმა იგი წარმოსთქვა ტაძრის ამბიონიდან და ჯერ კიდევ XVIII საუკუნის გადმოსახედიდან აგვიხსნა ის ისტორიული გარემოებანი, რომელმაც გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმება განაპირობა. დრომ ტრაქტატს ბეჭედი დაუსვა: ქართველთა გადარჩენა და სამშვიდობო გზაზე გაყვანა მხოლოდ რუსეთმა შეძლო.

„....უფრო ძლიერი და უფრო ცხოველი იყო ამ პერიოდში რუსული გავლენა. ერთმორწმუნე რუსებში ქართველებმა დაინახეს ბი-

ზანტიისა და მისი კულტურის, მისი მისიის მემკვიდრენი, ამიტომ ისეთივე სასოებით და რწმენით დაუწყეს მათ ცქერა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კონსტანტინეპოლი დაეცა, როგორითაც ბერძნებს უცქერდნენ წინეთ. რუსეთისადმი ღრმა ერთგულებამ განსაკუთრებით თავი იჩინა მეთვრამეტე საუკუნეში; რუსების პოპულარობას ჩვენში ხელს უწყობდნენ განსაკუთრებით ის პირნი, რომელნიც რუსეთში გადასახლდნენ ანდა იქ ცხოვრება უხდებოდათ სამსახურის და სხვა რაიმე მიზეზით. ასეთებია, მაგალითად, მეფე არჩილი, ვახტანგ VI, ანტონ კათალიკოსი, იოსებ სამებელი, მიტროპოლიტი რომანოზი, გაიოზ რექტორი და სხვ“.[46]

„არა რაი არს ესრეთ ტკბილ, ვითარცა სიყვარული მამულისა“, — გაიოზ რექტორმა ეს სიტყვები ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანის და ყველა ჭეშმარიტი ქართველის გასაგონად დატოვა. მით უმეტეს წმიდა ილია მართალიც იგივე პურით გვაპურებდა საუკუნენახევრის წინ: „აი, სად და რაში ჰპოულობდა ჩვენი უწინდელი სამღვდელოება თავის სულიერს და ხორციელს ღონეს, თავის ძლიერებას, პატივისცემას! აი, როგორ გაიმაგრა სამღვდელოებამ სარწმუნოება ქრისტეში ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც გარშემო ვეშაპი მტრები ეხვევნენ და ჰლამობდნენ, ქრისტიანობა ძირიანად ამოეგდოთ. აი, რამ მოაგერიენებინა ამ პატარა ქვეყანას აუარებელი მტერი! მამული და ეროვნება მოაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული — მამულსა და ეროვნებას, და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაინძღვარა წინ, ათასხუთასი წელიწადი ომითა და სისხლისღვრით გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა“.[47]

ღმერთმა მოანიჭოს ქართველ ერს გული გონიერი, რათა გაიოზ რექტორის მსგავსად რწმენით შევუდექეთ საქართველოს გადარჩენის და გამთლიანების სამამულიშვილო საქმეს, იმ საქმეს, რომელიც ჩვენივე ნებითა და უგუნურობით ძირი გამოვუთხარეთ!

---

[46] კ. კეკელიძე, დასხ. წიგნი, გვ. 70.

[47] ი. ჭავჭავაძე, გაზ. ფერია, 1888, № 9.

გიორგი პაიჭაძე

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის[1] (XVIII ს. I მეოთხედი), თბ., 1960

თეზისები

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში XVIII ს-ის 20-იანი წლები მნიშვნელოვანია იმით, რომ ამ პერიოდში საქართველომ გადაჭრით სცადა რუსეთთან კავშირის დამყარებით უცხო დამპყრობლებისაგან განთავისუფლება და რუსეთის მფარველობაში შესვლით შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების უზრუნველყოფა. 1722 წელს, კასპიისპირეთში პეტრე I-ის ლაშქრობის დროს, რუსეთი და საქართველო შეეცადნენ, ერთად გამოსულიყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. მაგრამ არახელსაყრელი პირობების გამო რუსეთ-საქართველოს საერთო გეგმა ვერ განხორციელდა. მიუხედავად ამ საკითხის ესოდენ დიდი მნიშვნელობისა, ისტორიოგრაფიაში იგი ჯერ კიდევ არაა სათანადოდ გაშუქებულ-გადაწყვეტილი.

საერთოდ, 1722-23 წწ. ლაშქრობის შეფასების მხრივ სამი პოზიცია შეიძლება გამოვყოთ: I. სხვისი მიწების დაპყრობა ფეოდალური სახელმწიფოს ნორმალურ ფუნქციას წარმოადგენდა. ამდენად იგი დამახასიათებელია აგრეთვე პეტრე I-ის საგარეო პოლიტიკისთვისაც, რომელიც XVIII ს-ის პირველი ნახევრის რუსეთის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარებით იყო განპირობებული. კასპიისპირეთში ლაშქრობა წარმოადგენდა სწორედ რუსეთის ცარიზმის იმ დაპყრობითი პოლიტიკის გამოხატულებას, რომელსაც კოლონიური მონობისაკენ მიყავდა არარუსი ხალხები.

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №2(8), 2013.

ცარიზმს თავისი საკუთარი კლასობრივი ინტერესები აწუხებდა, საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა. ამ პოლიტიკის წარმატების უზრუნველსაყოფად ცარიზმი მოხერხებულად იყენებდა ამიერკავკასიის ქვეყნებს, კერძოდ, საქართველოს.

II. თუ გავითვალისწინებთ იმ კონკრეტულ ვითარებას, რომელიც შეიქმნა XVIII ს-ის 20-იან წლებში ამიერკავკასიაში, სავსებით ნათელი იქნება პროგრესული, განმათავისუფლებელი ხასიათი რუსეთის ჯარების ლაშქრობისა, რომლითაც თვით ამიერკავკასიის ხალხები იყვნენ დაინტერესებულნი. 1722-1723 წწ. კასპიისპირეთში რუსეთის ჯარების ლაშქრობას განმათავისუფლებელი ხასიათი ჰქონდა, რადგან რუსეთთან ამიერკავკასიის შეერთებით ადგილობრივ ხალხებს საშუალება ეძლეოდათ თავიდან აეცილებინსთ თურქეთისა და ირანის აგრესია.

III. მიუხედავად იმისა, რომ ეს ლაშქრობა წარმოადგენდა რუსეთის გაბატონებული კლასების ინტერესებით განპირობებული ცარიზმის დაპყრობითი პოლიტიკის გამოხატულებას, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს მხოლოდ რუსეთთან შეერთებით შეეძლოთ უზრუნველეყოთ თავიანთი შემდგომი პროგრესი, საწარმოო ძალების შემდგომი განვითარება. სწორედ ამიტომ რუსეთის ჯარების ლაშქრობა ამიერკავკასიაში უშუალოდ შეესაბამებოდა ადგილობრივი ხალხების ინტერესებს.

XVIII ს-ის დასაწყისში რუსეთის სახელმწიფოს წინაშე იდგა გადამწყვეტი მნიშვნელობის ამოცანა — მოეპოვებინა ბალტიის ზღვაზე გასასვლელი. არასოდეს არც ერთი ერი არ შერიგებია იმას, რომ მისი საზღვაო სანაპიროები და მდინარეების შესართავები ასე ყოფილიყო მისგან მოწყვეტილი. პეტრე I-ის დამსახურება სწორედ ის არის, რომ მან შეძლო თავისი დროის ამოცანების სიმაღლეზე მდგარიყო და ეთავა მათი გადაჭრა.

რუსეთის დიპლომატია, აქტიურად იბრძოდა რა ევროპაში ბალტიის ზღვის პრობლემის გადასაწყვეტად, ამავე დროს არ ასუსტებდა ყურადღებას აღმოსავლეთის მიმართ. აღმოსავლეთში XVIII ს-ის პირველ მეოთხედში რუსეთის ინტერესების დაცვისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა კასპიისპირეთში ლაშქრობა, რომელიც ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

რუსეთის მრეწველობის განვითარება, რისთვისაც დაუღალავად იღვწოდა პეტრე I-ის მთავრობა, პირველ ყოვლისა, მოითხოვდა ნედლეულის ბაზისა და გასაღების ბაზრის გაფართოებას. მდიდარი

კასპიისპირა პროვინციების შეერთება კი ხელს შეუწყობდა რუსეთის მრეწველობის სხვადასხვა ნედლეულით უზრუნველყოფის საქმეს, ძირითადად აბრეშუმის ნედლეულით მომარაგებას.

კასპიისპირა პროვინციების შეერთება ასევე ხელსაყრელი იყო საფეიქრო, აგრეთვე, თოფის წამლის წარმოების ნედლეულით უზრუნველსაყოფადაც. აქ უხვად იყო სხვა ნედლეულიც (საშენი მასალა, სხვადასხვა ლითონი, ნავთობი). ამიტომ გასაკვირი არაა, რომ პეტრე I ასე დაჟინებით ცდილობდა კასპიისპირეთში გაბატონებას (კავკასია, ირანი, შუა აზია). კასპიისპირეთის ხელში ჩაგდებით რუსეთის მთავრობას სახელმწიფო შემოსავლის ახალი წყარო უჩნდებოდა. სწორედ ამით აიხსნება პეტრე I-ის მთავრობის დიდი ინტერესი იმ შემოსავლისადმი, რომელიც შაჰის ხაზინას შემოსდიოდა კასპიისპირა პროვინციებიდან.

შავი, ბალტიისა და კასპიის ზღვები, როგორც სხვა სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობის გზები, პეტრეს ყურადღებას იპყრობდა. იგი, პირველ ყოვლისა, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ცდილობდა სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას და ამ მიზნით დაჟინებით ეძებდა ბალტიის ზღვაში გასასვლელს. როცა ეს ამოცანა გადაჭრა, პეტრე I შეუდგა აღმოსავლეთში რუსეთის ინტერესების უზრუნველყოფისთვის ბრძოლას. ირანიდან აბრეშუმის ნედლეულის და ბამბის ქსოვილების გამოტანით ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა იყო დაინტერესებული. ამიტომაც XVI და XVII სს-ში ევროპელებმა დაჟინებით სცადეს მიეღოთ ტრანზიტის საშუალება რუსეთის ტერიტორიის გავლით.

მაგრამ ევროპელთა მიერ ვოლგის გზის ფართო გამოყენება რუს ვაჭართა ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ მოსკოვის მთავრობა მკაცრად იცავდა ირანში სატრანზიტო გზას, რუსეთის მთავრობა მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზებით გამოწვეული აუცილებლობის შემთხვევაში აძლევდა ევროპელებს სატრანზიტო ვაჭრობის უფლებას და ამასთანავე არასოდეს ღალატობდა საკუთარ სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ივანე IV ითვალისწინებდა საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური გეგმების განხორციელების საქმეში ინგლისის მნიშვნელობას და აძლევდა მას ყველაფერს იმისთვის, რომ მიეღწია მასთან ურთიერთდახმარების შეთანხმებისთვის. მაგრამ ინგლისი გაურბოდა ამ შეთანხმებას, რადგანაც ინგლისის მთავრობის გეგმებს სრულებით არ შეესაბამებოდა რუსეთის სახელმწიფოს გაძლიერება. პირიქით, მოსკოვის სახელმწიფოს მიმართ ინგლი-

სის გეგმებს აგრესიული ხასიათი ჰქონდა. მისი მმართველი წრეები მოსკოვის სახელმწიფოს ეკონომიკაში შეჭრას ლამობდნენ და ამით მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის სადავეების ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. ამიტომ, როცა გამოირკვა, რომ სამხედრო კავშირის საკითხში ინგლისი ატყუებდა მოსკოვის სახელმწიფოს, ივანე IV-ემ წაართვა ინგლისელებს ადრე მიცემული პრივილეგიები. 1572 წ. ივანე IV-ემ ნაწილობრივ აღადგინა ინგლისელი ვაჭრების პრივილეგიები; მაგრამ უფრო გვიან, ივანე IV-ის სიკვდილის შემდეგ, ინგლისელებს ისევ შეუზღუდეს პრივილეგიები და აღმოსავლეთ ქვეყნებში რუსეთის გავლით ვაჭრობის უფლება საბოლოოდ წაართვეს.

XVII ს. პირველი ნახევრის განმავლობაში ინგლისელებმა არა ერთხელ წამოაყენეს მათთვის პრივილეგიების მინიჭებისა და ირანთან სატრანზიტო ვაჭრობის უფლების საკითხი, მაგრამ მათი ყოველი ცდა ამაო იყო. რუსეთის მთავრობა, ტრანზიტის უფლების მიცემით, ერთი მხრივ, რუსეთ-ირანის ვაჭრობის ინტენსიფიკაციას, კერძოდ, რუსეთის გადაქცევას ირანსა და ევროპას შორის ვაჭრობის შუამავლად, ხოლო, მეორე მხრივ, თურქეთისათვის ეკონომიკური ზიანის მიყენებას ცდილობდა, რამდენადაც ირანის აბრეშუმის გატანის შეწყვეტა თურქეთში ამ უკანასკნელს დააკარგვინებდა მნიშვნელოვან შემოსავალს. პეტრე I დაინტერესებული იყო, ირანის მთელი აბრეშუმი ევროპაში პეტერბურგის გზით გაეტანა, რაც მერკანტილიზმის პოლიტიკას უწყობდა ხელს. მაგრამ მთავრობის ყველა ცდა, გაეხადა რუსეთი აღმოსავლეთსა და ევროპას შორის ვაჭრობაში შუამავალ ქვეყნად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და თურქეთის დიდ წინააღმდეგობას წააწყდა.

რუსეთის ვაჭრობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა პეტრე I-ის წინაშე აყენებდა კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროების დაუფლების ამოცანას, რაც თავის მხრივ შესაძლებელს ხდიდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან რუსეთის სავაჭრო გეგმების პრაქტიკულ განხორციელებას.

პეტრე I-ის გეგმით, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ირანთან, შუა აზიასა და ამიერკავკასიასთან, მათ შორის საქართველოსთან, ვაჭრობის გაძლიერება. რუსეთის დესპანი ირანში არტემ ვოლინსკი აცნობებდა პეტრე I-ს, რომ აზერბაიჯანში — ირანის ბელელში — შვიდი წლის განმავლობაში მიწები დაუთესავი რჩებოდა, ქვეყნად შიმშილი სუფევდა, ხოლო თავრიზის ქუჩებში ადამიანთა გვამები ეყარა და მათხოვრების ბრბოები დაძრწოდნენ.

ირანში გამეფებული იყო კორუპცია, დიდ ფეოდალთა სხვადასხ-

ვა დაჯგუფებების ბრძოლა, სასახლის ინტრიგები, რამაც განუსაზღვრელ მასშტაბებს განსაკუთრებით უნიჭო შაჰის, ჰუსეინის (1694-1722 წწ.) მეფობის დროს მიაღწია. შაჰი ჰუსეინი სათამაშო თოჯინა იყო სასახლის კარისკაცთა ხელში. ისინი წარმართავდნენ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. თანამედროვეთა დახასიათებით, ჰუსეინს აბსოლუტურად არ გააჩნდა სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის უნარი. ქვეყნის რიგ რაიონებში სისტემატურად მძვინვარებდა აჯანყებანი. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო დაპყრობილ ხალხთა აჯანყებებმა, რომლებიც ჩვეულებრივ შიიზმისაგან სუნიზმის დაცვის იდეოლოგიური დროშის ქვეშ მიმდინარეობდნენ.

1711 წ. დაიწყო აჯანყება დაღესტანში და აზერბაიჯანის ჩრდილო რაიონებში. 1717 წ. არაბებმა აიღეს სპარსეთის ყურის რიგი კუნძულები და მოაწყვეს თავდასხმები ირანის სანაპიროებზე. უზბეკებმა აიღეს ხორასანი, ხოლო ქურთები ჰამადანის რაიონს დაეუფლნენ. სამეფო დინასტიისთვის განსაკუთრებით დამღუპველი გამოდგა ავღანელთა აჯანყება.

1722 წ. 8 მარტს ავღანელთა ბელადმა მირ-მაჰმუდმა გულნაბადთან გაანადგურა ირანის ჯარი და დაიწყო ისპაჰანისთვის ალყის შემორტყმა. ხანგრძლივი ალყის შემდეგ 1722 წლის 12 ოქტომბერს შაჰი ჰუსეინი დანებდა მირ-მაჰმუდს.

თურქეთი, რომელიც უარს ეუბნებოდა დახმარებაზე ირანის შაჰს მირ-მაჰმუდთან ბრძოლაში, ცდილობდა ეს უკანასკნელი თავის ქვეშევრდომად გაეხადა.

პირველ ყოვლისა, თურქები კავკასიაში თავიანთი უფლებების გაფართოებისაკენ ისწრაფოდნენ. ამ მიზნით მათ დაიწყეს აქტიური მოქმედება ყაბარდოში, დაღესტანსა და აზერბაიჯანში. აქ თურქეთის აგენტებად გამოვიდნენ ოსმალთა მიერ მოსყიდული ცალკეული ადგილობრივი ფეოდალები.

1722 წლისათვის ლეკთა ანტიირანული მოძრაობის ხელმძღვანელთა თურქულმა ორიენტაციამ რეალური გახადა კასპიისპირეთში თურქეთის დამკვიდრების შესაძლებლობა, რაც აშკარად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს. კასპიისპირა პროვინციების დაუფლების შემდეგ თურქეთი შეძლებდა ამ ტერიტორიაზე რუსეთის ვაჭრობისათვის ხელის შეშლას. ცნობილია, რომ იგი ირანული აბრეშუმის რუსეთში შეტანის აშკარა მოწინააღმდეგე იყო, რომელიც აბრეშუმის თურქეთის გზით ევროპაში გატანით იყო დაინტერესებული.

კასპიისპირეთში თურქეთის დამკვიდრება საფრთხეს უქმნიდა,

აგრეთვე, რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებს. ეს დაკავშირებული იყო საზღვრების მოხაზულობასა, ადგილმდებარეობის ხასიათსა, სიმაგრეთა უქონლობასა და ეთნიკურ თავისებურებებთან. ეს, ასევე, რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებსაც ეწინააღმდეგებოდა; ამ ფაქტს კი არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამრიგად, კასპიისპირეთში თურქეთის გაბატონება საფრთხეს უქმნიდა რუსეთს: ა) აღმოსავლეთში ვაჭრობის ჩაშლით; ბ) კავკასიაში პოლიტიკური და სტრატეგიული პოზიციების დასუსტებით; გ) სამხრეთ-აღმოსავლეთის სუსტად დაცულ საზღვრებზე თავდასხმით. ამიტომ კასპიისპირეთში თურქეთის გაბატონებისთვის ხელის შეშლა რუსეთისთვის დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხი იყო. ამ საკითხის გადაჭრა კი შეიძლებოდა მხოლოდ რუსეთის ჯარების მიერ აღნიშნული ტერიტორიის დაკავებით და მისი რუსეთის სრულ მფლობელობაში გადასვლით. ამ განზრახვის შესასრულებლად რიგი ხელსაყრელი პირობები არსებობდა. ჯერ ერთი, ირანში შექმნილი მდგომარეობის გამო პეტრე I-ს შეეძლო შეეერთებინა კასპიისპირა პროვინციები ისე, რომ ირანთან მშვიდობა არ დაერღვია. მეორე, საქართველოსა და სომხეთის სახით რუსეთს საიმედო მოკავშირეები ჰყავდა. დაბოლოს, 1721 წ. ჩრდილოეთის ომი გამარჯვებით დამთავრდა. ნიშტადტის ზავი პეტრე I-ს ხელფეხს უხსნიდა და კასპიისპირეთში საომარი მოქმედების დაწყების შესაძლებლობას იძლეოდა.

ყოველივე ამასთან ერთად, რუსეთს საომარი მოქმედების დასაწყებად ის დამაჯერებელი საბაბი ჰქონდა, რომ ლეკებმა 1721 წ. 7 აგვისტოს შამახიაში რუსი ვაჭრები გაძარცვეს.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ რუსეთის ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების ერთობლიობამ აიძულა პეტრე I 1722 წ. გადაედგა გადამწყვეტი ნაბიჯი კასპიის ზღვის დასავლეთი და სამხრეთი სანაპიროების შესაერთებლად.

XVIII ს-ის დასაწყისში საქართველო წარმოადგენდა ფეოდალურ ქვეყანას, დაქუცმაცებულს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთერთ შემაფერხებელ მიზეზს წარმოადგენდა XIII-XV სს-ში მტრის გამანადგურებელი შემოსევები, ხოლო XVI-XVIII სს-ში — თურქი და ირანელი აგრესორების ბატონობა, რომელნიც ფეოდალიზმის განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ, ვიდრე საქართველო. „თავისთავად ცხადია, რომ ყოველთვის, როცა დამპყრობლად ნაკლებ კულტურული ხალხი გამოდის, ეკონომიკური განვი-

თარება ფერხდება, ხოლო საწარმოო ძალები ნადგურდება". 1555 წ. ირან-თურქეთის შეთანხმების საფუძველზე ქართლი, კახეთი და სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი ირანის ხელში გადავიდა, ხოლო იმერეთის სამეფო, გურიისა და სამეგრელოს სამთავროები თურქეთს ხვდა წილად. მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი არ ურიგდებოდა დამპყრობელთა ბატონობას და მამაცურად იბრძოდა თავისუფლებისთვის.

1618 წ. და 1639 წ. დამპყრობლებმა ხელახლა გაიყვეს ამიერკავკასიის ტერიტორია ისე, რომ XVIII ს-თვის დასავლეთი საქართველო (იმერეთის სამეფო, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროები), სამხრეთი საქართველო და დასავლეთი სომხეთი თურქეთს ერგო, ხოლო აღმოსავლეთი საქართველო (ქართლი, კახეთი), აღმოსავლეთი სომხეთის ნაწილი, აზერბაიჯანი და დაღესტანი — ირანს. მოსახლეობის ფიზიკური განადგურება, სამშობლოდან ხალხის მასობრივი გადასახლება, ქალაქებისა და სოფლების იავარქმნა, ბაღ-ვენახების გაჩეხვა, კულტურის ძეგლების განადგურება, უცხო წესების, ზნე-ჩვეულებებისა და რელიგიის ძალით თავს მოხვევა, რომ არაფერი ითქვას მძიმე ხარკზე, რომელსაც ადებდნენ დაპყრობილ ქვეყნებს, — აი ის საშუალებანი, რომლითაც აგრესორები ამიერკავკასიის თავისუფლებისმოყვარე ხალხების რეალურ დამორჩილებას ლამობდნენ.

XVI-XVIII სს. საქართველოს ისტორია ფიზიკური არსებობისათვის ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის ისტორიაა. მტრის განუწყვეტელი, დამანგრეველი შემოსევები ფეოდალურ დაქსაქსულობას უწყობდა ხელს, რადგან დამპყრობლები ცენტრალური ხელისუფლების დასასუსტებლად აღვივებდნენ ფეოდალთა შორის შუღლს და ამით ცდილობდნენ შიგნიდან გაეტეხათ საქართველოს ძალები. მათ მიერ წაქეზებული ფეოდალები ქართველი მეფეებისათვის ხელშეუხებელნი ხდებოდნენ და ამით ემსახურებოდნენ სამშობლოში დამპყრობელთა ძალაუფლების განმტკიცებას. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ჩამორჩენილობის ნათელ მაგალითს იძლევა სათავადოების სისტემის გამარჯვება, რომელიც საბოლოოდ XV ს-ის დასასრულს ჩამოყალიბდა და იარსება საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე.

საქართველოს პროგრესული სახელმწიფო მოღვაწენი აწარმოებდნენ ბრძოლას ურჩი თავადებისა და გარეშე მტრების წინააღმდეგ, მოხერხებულად იყენებდნენ თვით ირანსა და თურქეთს შორის წარმოქმნილ წინააღმდეგობებს, აგრეთვე, შინაგან განხეთქილებებს

ამ სახელმწიფოებში. იყენებდნენ ამიერკავკასიის მოძმე ხალხთა ბრძოლასაც დამპყრობლების წინააღმდეგ, მაგრამ ყველაფერი ეს საქართველოს ეკონომიკური დაქუცმაცებულობის გამო საკმარისი არ იყო მტერზე გადამწყვეტი და საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად. აუცილებელი იყო საიმედო და ძლიერი მოკავშირე, რომელიც დაინტერესებული იქნებოდა საქართველოს მტრებთან ბრძოლით და შეძლებდა მის დახმარებას. საქართველოს მოწინავე პოლიტიკურ მოღვაწეებს კარგად ესმოდათ ეს და ამიტომ განუწყვეტლივ ეძებდნენ მოკავშირეს.

საქართველოს სახელმწიფო არა ერთხელ ცდილა, მიეღო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების დახმარება. ამ მიზნით ქართველი პოლიტიკოსები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ რომის პაპთან, ესპანეთთან, საფრანგეთთან, მაგრამ ეს სახელმწიფოები იმედებს არ ამართლებდნენ. ამ მოლაპარაკებათა მსვლელობაში გამოირკვა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნები სრულებითაც არ იყვნენ დაინტერესებულნი ირანისა და თურქეთის კლანჭებისგან საქართველოს გამოხსნით. პირიქით, მათთვის ხელსაყრელი იყო ამიერკავკასიაში არსებული მდგომარეობის შენარჩუნება. მათ სურდათ, გამოენახათ საერთო ენა თურქეთისა და ირანის მთავრობასთან და ამით მიეღწიათ აღმოსავლეთში სავაჭრო შეღავათებისთვის. საქართველო მხოლოდ რუსეთში ხედავდა ნამდვილ მოკავშირეს, რადგანაც ეს უკანასკნელი მეტად დაინტერესებული იყო თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლით და ეძებდა მოკავშირეებს კავკასიის ხალხთა შორის. თავის მხრივ საქართველოს პროგრესული პოლიტიკური მოღვაწეები ბეჯითად მიისწრაფოდნენ რუსეთ-საქართველოს კავშირისაკენ.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

ჯერ კიდევ XI-XII სს-ში რუსეთისა და საქართველოს ფეოდალური საზოგადოებრიობა კარგად იცნობდა ერთმანეთს. ამაზე ნათლად მეტყველებს ისეთი ფაქტები, როგორიცაა საქართველოს მეფის დემეტრე I-ის (1125-1156 წწ.) ასულის დაქორწინება კიევის დიდ მთავარ იზიასლავზე (1154 წ.), ქართველთა მეფის თამარის მიერ (1184-1213) ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟის გიორგის საქმროდ არჩევა (1185 წ.). გარდა ამისა, ცნობილია მჭიდრო კულტურული თანამშრომლობის ფაქტებიც. მაგალითად, ქართველი ხუროთმოძღვრების და მხატვრების მონაწილეობა კიევ-პეჩორის მონასტრისა და ნოვგოროდის ტაძრის მოხატვასა და ვლადიმირში დიმიტრის ტაძრის აშენებაში მოწმობს ქართველი ხალხის მოწინავე

წარმომადგენლების ინტერესს რუსეთისადმი, რუსებთან შრომითს თანამეგობრობას.

XIII-XIV სს-ში რუსეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური და კულტურული კავშირის შემდგომ განვითარებას ხელს უშლიდა საერთო უბედურება — თათარ-მონღოლთა უღელი, რომელმაც დიდი ხნით შეაფერხა ორივე სახელმწიფოს ნორმალური განვითარება. მაგრამ XV ს-ის ბოლოს საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო მტკიცდება და ამიერიდან ხასიათდება ურთიერთშორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირისაკენ მისწრაფებით.

XV ს-თვის რუსეთის მიწები გაერთიანებულ იქნა მოსკოვის გარშემო და შეიქმნა ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო. ხოლო ყაზანისა და ასტრახანის დაუფლების შემდეგ მოსკოვის სახელმწიფომ ხელთ იგდო ვოლგის სანაოსნო გზა და დაიწყო კავკასიაში აქტიური მოქმედება.

საქართველოს პოლიტიკურმა მოღვაწეებმა იმთავითვე სათანადოდ შეაფასეს მოსკოვის სახელმწიფოს გაძლიერების მნიშვნელობა და სწორად განსაზღვრეს მისი სახით რეალური მოკავშირე. თავის მხრივ, რუსეთი ყირიმთან და თურქეთთან ომის დროს ცდილობდა თავისი ინტერესებისთვის გამოეყენებინა რთული საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა კავკასიაში; რუსეთი ეძებდა საიმედო მოკავშირეებს.

რუსეთის პოლიტიკური ინტერესების საქართველოს პოლიტიკურ მისწრაფებებთან დამთხვევის გამოხატულებას წარმოადგენდა XVI ს. 80-იან წლებში (1585-1589 წწ.) დადებული ხელშეკრულება რუსეთის მეფე თეოდორესა და კახეთის მეფე ალექსანდრეს შორის. საქართველოს მოწინავე მოღვაწეებმა რუსეთთან ერთად შეიმუშავეს მტრული გარემოცვის გარღვევის გეგმა, მაგრამ მაშინ ამის განხორციელება ვერ მოხერხდა.

ირანელი და თურქი დამპყრობლები, რომელნიც ამიერკავკასიის დამონებას ლამობდნენ, ყოველმხრივ ცდილობდნენ არ დაეშვათ საქართველოს დაახლოება რუსეთთან, რადგან ამას მოყვებოდა მათი აგრესიული გეგმების ჩაფუშვა. XVII ს-ში მათ გააძლიერეს თავიანთი ექსპანსია საქართველოში. მტრის შემოსევათა მსხვერპლი გახდა მრავალი ათასი ქართველი.

მტრებთან ბრძოლის ინიციატორი და ბელადი ჩვეულებრივ ქართლი იყო, რომელიც მთელი საქართველოს პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა; მაგრამ დროდადრო, შექმნილი ვითარების მიხედ-

ვით, ქვეყნის პროგრესისათვის და მტრული გარემოცვის გარღვევისათვის გადამწყვეტი ბრძოლის ინიციატივა სხვა ქართულ სამეფოთა ხელშიც გადადიოდა, რომელნიც იმ დროისათვის ეკონომიკურად და პოლიტიკურად უფრო მოწინავენი იყვნენ. ასე მაგალითად, XVI ს-ის ბოლოს და XVII ს-ის პირველ ნახევარში უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას იწყებს იმ დროისათვის ყველაზე ძლიერი კახეთის სამეფო, რომელიც ცდილობს რუსეთთან კავშირის დამყარებას.

კახეთის თავისუფლებისათვის თავგანწირულმა ბრძოლამ გაამძვინვარა ირანის შაჰი, რომელმაც სცადა საქართველოს საბოლოო განადგურება. შაჰ-აბას I-ის ბარბაროსული გეგმა მიზნად ისახავდა ქართველთა განადგურებას და ქართლ-კახეთის დასახლებას მომთაბარე თურქმანული ტომებით. მართალია, ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის შედეგად მტერმა ვერ შეძლო თავისი განზრახვის განხორციელება, მაგრამ ეს ძვირად დაუჯდა საქართველოს. საქართველომ დიდი ზარალი ნახა. ეს ხანა უმაგალითო ავბედობის ხანა იყო ქართველი ერის ისტორიაში. ბარბაროსული შემოსევების შედეგად განსაკუთრებით კახეთი დაზარალდა. გაჩანაგდა აყვავებული მხარე.

XVIII ს-ის 20-იან წლებში საქართველომ გაითვალისწინა რა შუა აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარება, მტრული გარემოცვის თავიდან აცილების მიზნით გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი რუსეთთან კავშირის დასამყარებლად. ამჯერად ბრძოლის ინიციატორად და წინამძღვრად გვევლინება ქართლი, რომელიც იმ დროს გაცილებით წინ იდგა სხვა სამეფო-სამთავროებზე, როგორც მოსახლეობის რაოდენობით, ისე სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარების დონით.

ქართლის ეკონომიკური და კულტურული დაწინაურების ერთერთი მიზეზი იყო ის, რომ XVII ს-ის მეორე ნახევარში ქართლში შედარებით სიმშვიდე სუფევდა. გამოცოცხლდა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ხელოსნობა და საქალაქო ცხოვრება. შესამჩნევად გაიზარდა მოსახლეობის რიცხვი, აღდგა დანგრეული დაბა-ქალაქები, განადგურებული ბაღ-ვენახები. მეორე მხრივ, ქართლის ეკონომიკური გაძლიერების საქმეში გარკვეული როლი შეასრულა ცენტრალური ხელისუფლების ღონისძიებებმა გლეხობის საკითხსა და, აგრეთვე, სამეურნეო მშენებლობის, კანონმდებლობისა და ურჩი თავადების ალაგმვის საქმეში.

ქართველი გლეხის მდგომარეობა, რომელიც განიცდიდა მძიმე

ფეოდალურ ჩაგვრას, აუტანელი იყო, ხოლო გაუთავებელი შინაფეოდალური ომები გლეხურ მეურნეობებს ნაკლებ ზიანს როდი აყენებდნენ, ვიდრე გარეშე მტრების შემოსევა. ხალხისათვის დიდი სოციალური უბედურება იყო „ტყვის-სყიდვა“ — საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა ყველაზე მახინჯი ფორმა. ფეოდალების სიხარბე იქამდე მიდიოდა, რომ გლეხისაგან გაცილებით მეტს თხოულობდნენ, ვიდრე მას შეეძლო გადაეხადა და როცა ვერ იღებდნენ, მაშინ თვით მას ყიდდნენ მონად. ყოველივე ეს გლეხს უსპობდა ინტენსიური მეურნეობის წარმოების სტიმულს და მის დაქვეითებას იწვევდა.

თავის მძიმე მდგომარეობას გლეხები ბრძოლით პასუხობდნენ. საქართველოში გლეხთა კლასობრივი ბრძოლა სხვადასხვა ფორმას ღებულობდა: მებატონეებისაგან გახიზნვა, გადასახადზე უარის თქმა, საძულველ ფეოდალთა მკვლელობა, ტყეში გავარდნა, ადგილობრივი გლეხური გამოსვლები, აჯანყებანი და სხვ. რაც შეეხება ფეოდალური ეპოქის კლასობრივი ბრძოლის უმაღლეს ფორმას — გლეხთა ომებს, მას ჩვენ საქართველოში ვერ ვხვდებით.

ვახტანგ VI-ს, როგორც თავისი დროის მოწინავე მოღვაწეს, კარგად ესმოდა, რომ ფეოდალთა კლასის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა მთლიანად დამოკიდებულია გლეხური მეურნეობის მდგომარეობაზე. ქართულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არჩილმა გამოთქვა აზრი, რომ ქვეყნის ძალა გლეხობაშია: „თუ ამოსწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდა“.

ვახტანგს ესმოდა, რომ ფეოდალთა ზომას გადასული თვითნებობა, კერძოდ, „ტყვის-სყიდვა“ შიდა ბრძოლას ამძაფრებდა, აიძულებდა გლეხობას აყრიყილო, რასაც მთელი რაიონების გაპარტახება მოსდევდა. ვახტანგმა სცადა მოეწესრიგებინა ურთიერთობა ფეოდალებსა და ყმა გლეხებს შორის. ამისთვის მან აკრძალა „ტყვის-სყიდვა“, შეზღუდა ფეოდალთა თვითნებობა და კანონით განსაზღვრა მათი უფლებები გლეხობაზე. ვახტანგმა ენერგიული ზომები მიიღო, აგრეთვე, იმისთვის, რომ ქართლში დაებრუნებინა ის ყმა გლეხები, რომლებიც გაიხიზნენ კახეთში ერეკლე I-ის მეფობის დროს („მყრელობა“).

ამ ღონისძიებათა წყალობით, ვახტანგმა შეძლო ჩაესახლებინა გლეხები დიდი ხნით მიტოვებულ სოფლებში და აეღორძინებინა მთელი რაიონები (თრიალეთი, გუჯარეთი, ბაიდარი, ტაშირი, ქვიშხეთი). ვახტანგმა იზრუნა, აგრეთვე, მივიწყებული სარწყავი არხების აღდგენასა და ახლის გაყვანაზე. დიდი სამუშაო ჩატარდა

გზების, ხიდების, ქარვასლების, სასახლეთა და ეკლესია-მონასტერთა აშენებისათვის.

გარდა ამისა, ვახტანგ VI აწარმოებდა ბრძოლას რეაქციონერ თავადებთან. ამ მხრივ დიდ ყურადღებას იმსახურებს მცველთა ჯარის შექმნა, რომელიც შედგებოდა ვახტანგის ერთგული თავადიშვილების, აზნაურებისა და მსახურებისაგან. ურჩ თავადებთან ბრძოლაში ქართლის მეფე გადამწყვეტ ზომებს მიმართავდა. ასე მაგალითად, პაპუნა დიასამიძე და სხვები ჩამოახრჩეს, მუხრანის მფლობელი ერეკლე დააბრმავეს, ხოლო ბაგრატ ციციშვილი, ფეშანგი ფალავანდიშვილი, ხერხეულიძე და სხვანი ქართლიდან გააძევეს.

ვახუშტის ცნობით, ბაქარმა „შეიპყრა მუხრანის ბატონი ერეკლე და აღმოხადნა თვალნი და მისცა მუხრანი ლევანს ძესა პაპუასასა, კვალად მოაშთო პაპუნა დიასამიძე, რომელი იყო მაშფოთებელი ძმათა და სხვანი რომელნიმე ექსორია-ჰყვეს და ეს ყოველი ჰყო ბრძანებითა მამისათა“. ვახტანგმა კი „შეიპყრა ძე ქამარ-ბეგისა სომხითის მელიქი და დახვრიტა თოფითა, კვალად ბაგრატ ციციშვილი, ფეშანგი ფალავანდის შვილი, ჯამასპი ხერხეულიძე, რევაზის-შვილი პაპუნა ვეშაპიძე და პლატონ, ესენი იხსნა კათალიკოზმან სიკუდილისაგან და გაყიდეს ოსეთს თხებთა ზედა“.

რა თქმა უნდა, ეს ღონისძიებანი არ იყო საკმარისი თავადთა ძალაუფლების ასალაგმავად, მაგრამ მაინც ხელს უწყობდნენ ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებასა და რეაქციული ძალების დასუსტებას. ყოველივე ამის შედეგად ქართლი როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად მნიშვნელოვნად განმტკიცდა. ქვეყნის სამეურნეო აღმავლობა, ბუნებრივია, კულტურის მნიშვნელოვან აღორძინებასაც იწვევდა.

იმ პერიოდში ქართლში გატარდა ისეთი სერიოზული ღონისძიებანი, როგორიც იყო 1709 წ. თბილისში პირველი სტამბის დაარსება, „სწავლულ კაცთა“ მეოხებით საქართველოს ისტორიის შედგენა XIV ს-ის დასაწყისიდან XVIII ს-მდე, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა და სხვ. იმ დროს მოღვაწეობდა ნიჭიერ მოაზროვნეთა, პოეტთა და მეცნიერთა მთელი პლეადა (არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, ვახუშტი, დავით გურამიშვილი).

ფეოდალური საქართველოს მოწინავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა პატრიოტიზმი, ბრძოლა ირანელ და თურქ დამპყრობლებთან, ეროვნული

ერთობის იდეების პროპაგანდა, ეროვნული კულტურის განვითარება, რაც სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის იდეოლოგიური ქვაკუთხედი იყო.

ასეთი იყო ქართლის საშინაო მდგომარეობა XVIII ს-ის 20-იან წლებში, იმ დროისათვის, როცა ქართლის სამეფომ გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა რუსეთთან კავშირზე დაყრდნობით ირანის ბატონობისაგან თავდასახსნელად. რაც შეეხება ქვეყნის საგარეო მდგომარეობას, მას საკუთარი თავისებურებანი ჰქონდა. 1632 წლიდან 1744 წლამდე ქართლი იძულებული გახდა ეცნო თავისი დამოკიდებულება ირანზე.

ქართლისათვის ირანის პოლიტიკური ბატონობა აუტანელი ტვირთი იყო, რომელიც უმთავრესად მშრომელ მოსახლეობას აწვა, რამდენადაც ირანისათვის ხარკის გადახდა მთლიანად მის კისერზე იყო. ხოლო შაჰისათვის ქართლიდან ჭაბუკებისა და ქალიშვილების გაგზავნა, როგორც წყაროები გვიმოწმებენ, — ნამდვილი სახალხო უბედურება. ამიტომაც სავსებით გასაგებია, რომ ყოველივე ეს კიდევ უფრო აძლიერებდა ქართველი ხალხის წინააღმდეგობას უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ.

რაც შეეხება ქართლის ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის, 1632 წლიდან მან ახალი ფორმები მიიღო. კონკრეტულ-ისტორიული მდგომარეობის გამო XVII ს-ის მეორე ნახევარში აშკარა და პირდაპირი ბრძოლის დაწყება ქართველი პოლიტიკოსებისათვის შეუძლებელი იყო და ამიტომ ბრძოლა შენიღბულ ხასიათს ატარებდა. ქართლის მეფეები იძულებული იყვნენ ემოქმედათ ფარულად და მოხერხებულად, მტრისათვის გადამწყვეტი დარტყმის მისაყენებლად შეერჩიათ შესაფერი მომენტი.

გიორგი XI-ის აჯანყება ირანის წინააღმდეგ XVII ს-ის დასასრულს ერთხელ კიდევ ადასტურებდა, რომ საკუთარი ძალებით, ძლიერი მოკავშირის დაუხმარებლად, ქართლს არ შეეძლო გაემარჯვა. ამის გამო ქართლის მეფეები ტახტის შესანარჩუნებლად და ირანისაგან დამოკიდებულების შესამსუბუქებლად იძულებულნი იყვნენ, მონაწილეობა მიეღოთ ირანის სახელმწიფო საქმეებში, ხმალი ექნიათ ირანის სამსახურში.

შაჰის ტახტისათვის მოქიშპეთა შორის ხშირად გამარჯვებული გამოდიოდა სწორედ ის, ვის მხარეზეც ქართლის მეფე იდგა. ირანის შაჰებს კარგად ესმოდათ ქართლის, როგორც მტრებთან ბრძოლაში მოკავშირის, მნიშვნელობა, რის გამოც ცდილობდნენ ყოველმხრივ გამოეყენებინათ იგი საკუთარი ინტერესებისათვის. ამიტომაც შემ-

თხვევითი არაა, რომ შაჰთან სადღესასწაულო მიღების დროს ქართლის მეფისათვის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ადგილი იყო განკუთვნილი.

ვახტანგ VI-მ, რომელიც ითვალისწინებდა კრიზისს ირანში და ქართველთა ლაშქრის მხარდაჭერით შაჰის დაინტერესებას, გადაწყვიტა ბოლო მოეღო ირანის მიერ თავსმოხვეული კიდევ ერთი პირობისთვის — ქართლის მეფის მიერ მაჰმადიანობის მიღების აუცილებლობისთვის. 1712 წელს, როდესაც ვახტანგ VI გაემგზავრა ირანში მეფობის მისაღებად, მან კატეგორიული უარი თქვა ისლამის მიღებაზე. მაგრამ შაჰმა ნაცად ხერხს მიმართა. მან ისარგებლა საქართველოში არსებული შინაფეოდალური შუღლით და ვახტანგ VI-ს დაუპირისპირა მეორე კანდიდატი ბაგრატიონთა გვარიდან.

1714 წ. შაჰმა ვახტანგი ქირმანში გაგზავნა, სადაც იგი იმყოფებოდა როგორც ტყვე, ხოლო ქართლის მეფედ დაამტკიცა მისი ძმა — გამაჰმადიანებული იესე. ეს მოასწავებდა ქართველ ფეოდალთა მოწინავე ნაწილის დამარცხებას, რომელსაც სათავეში ედგა თავისი ეპოქის პროგრესული მოღვაწე ვახტანგ VI.

მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. ტყვეობაში ვახტანგ VI-მ მოახერხა კავშირის დამყარება ქართლის პროგრესულ პოლიტიკურ მოღვაწეებთან. საქართველოს ფეოდალური საზოგადოების მოწინავე ნაწილი, პირველ ყოვლისა, ვახტანგის განთავისუფლებას და ქართლში მის გამეფებას ცდილობდა. ამ მიზნის მისაღწევად მათ სცადეს დახმარება მიეღოთ დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან. 1713 წ. რომსა და პარიზში გაემგზავრა სულხან-საბა ორბელიანი. იგი რამდენჯერმე წარუდგა საფრანგეთის მეფეს და რომის პაპს საქართველოს საქმეებზე ინფორმაციით, მაგრამ ყოველი მისი ცდა ამაო გამოდგა. იმედგაცრუებული სულხან-საბა 1716 წ. სამშობლოში დაბრუნდა.

მას შემდეგ, რაც დასავლეთ ევროპის დახმარების იმედი ამოიწურა, ქართველი პატრიოტები დათანხმდნენ, რომ ვახტანგ VI-ს მიეღო მაჰმადიანობა და 1716 წელს ამ თხოვნით მიმართეს თავიანთ მომავალ მეფეს. ვახტანგმა მიიღო ისლამი და შაჰმა დაამტკიცა იგი ქართლის მეფედ, უბოძა აგრეთვე სპასალარის წოდება და ირანის არმიის მხედართმთავრობა. ამის გამო 1719 წლამდე ვახტან VI იძულებული იყო ირანში, შაჰის სამსახურში დარჩენილიყო, ხოლო ქართლის მმართველად დაინიშნა მისი ძე ბაქარი.

ირანში ყოფნისას ვახტანგ VI საბოლოოდ დარწმუნდა ამ სახელმწიფოს დაქვეითებაში, გაითვალისწინა ამიერკავკასიაში რუსე-

თის ინტერესები და სწორად განსჭვრიტა შექმნილი მდგომარეობა, რომელიც ირანის უღლისაგან საქართველოს განთავისუფლებას ხელს უწყობდა. სწორედ ამიტომ იგი გაორკეცებული ენერგიით შეუდგა ერთობლივი მოქმედებისათვის მზადებას რუსეთის ჯართან ერთად.

ვახტანგ VI 1719 წლიდან უკვე საქართველოში იმყოფებოდა.

ქართლის მოწინავე პოლიტიკურმა მოღვაწეებმა სწორად შეაფასეს შექმნილი მდგომარეობა და გადაწყვიტეს, რომ დადგა დრო განეხორციელებინათ დიდი ხნის ოცნება — რუსეთის დახმარებით გაეთავისუფლებინათ საქართველო ირანის ბატონობისაგან და დაებრუნებინათ თურქეთის მიერ მიტაცებული სამხრეთ საქართველოს მიწები. მაგრამ როცა ამ საკითხს იხილავდნენ ვახტანგ VI-ის კარზე, დარბაზის წევრთა ერთი ნაწილი ამ გეგმას ქართლისათვის სახიფათოდ თვლიდა იმ მიზეზით, რომ საქართველოს მრავალრიცხოვან მტრებს შეეძლოთ ესარგებლათ ამ შემთხვევით და რუსეთის ჯარის ამიერკავკასიაში შემოსვლამდე დაექციათ ქვეყანა. მაგრამ, როცა დაინახეს ვახტანგისა და მისი მომხრეების ურყეობა, დათანხმდნენ და ურჩიეს ვახტანგს, ფრთხილად ემოქმედა, წასულიყო მცირე რაზმით და ფარულად დახმარებოდა პეტრე I-ს. საქართველოს მოწინავე პოლიტიკური მოღვაწენი კი, და მათ რიცხვში ვახტანგ VI, ხსნას მხოლოდ გადამწყვეტ მოქმედებაში ხედავდნენ, როგორც რუსეთის, ისე საქართველოს მხრივ.

1720 წლისათვის პეტრე I-სა და ვახტანგ VI-ს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება ირანის წინააღმდეგ საერთო მოქმედების შესახებ.

ვახტანგს, კარგად იცოდა რა სომხების განწყობილება აჯანყებისადმი, ნათლად ესმოდა, რომ სომხებისა და ქართველების განცალკევებული მოქმედება წინასწარ განწირული იყო. ამიტომაც მან დაიწყო მოლაპარაკება სომეხ მელიქებთან. მან სომხური ჯარის ორგანიზაციის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ქართველმა მეფემ ვახტანგ VI-მ, რადგან დამპყრობთა წინააღმდეგ სომეხი ხალხის შეიარაღებული ბრძოლის სამზადისის პერიოდში მას მხედართმთავრებს უგზავნიდა. ვახტანგ VI ხელმძღვანელობდა ქართულ-სომხურ გაერთიანებულ ჯარებს, რომლებიც განჯასთან შეიკრიბნენ. მის დროს მოხდა ქართული და სომხური ძალების გაერთიანება სეფევიდებისა და თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ.

პეტრე I ითვალისწინებდა საქართველოსა და სომხეთის სტრატეგიულ მნიშვნელობას — ამ ქვეყნების ტერიტორიაზე გადიოდა უმოკლესი გზა თურქეთიდან კასპიის ზღვის სანაპიროები-

სკენ. რუსეთის ჯარი, რომელსაც მოელოდა ახალ მოწინააღმდეგესთან შეხვედრა, მისთვის ახალ პირობებში, უცნობ ადგილებში, აუცილებლად საჭიროებდა ადგილობრივი კავკასიელი ხალხების დახმარებას. რუსეთის ჯარისათვის კი რეალური დახმარების გაწევა მხოლოდ ქართველებსა და სომხებს შეეძლოთ.

ამრიგად, XVIII ს-ის 20-იანი წლების რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი წარმოადგენდა რუსეთისა და საქართველოს ინტერესთა ერთიანობის კონკრეტულ გამოხატულებას.

XVIII ს-ის დასაწყისში დაღესტანსა და ჩრდილოეთ აზერბაიჯანში იფეთქა ანტიფეოდალურმა და ანტიირანულმა აჯანყებამ.

აჯანყებას ბიძგი მისცა შირვანის რაიონებში ჭარელების შემოსევამ 1711 წელს. მაგრამ მალე ლეკების სათავეში აღმოჩნდნენ თურქეთის აგენტები — დაუდ-ბეგი და სურხაი-ხანი. მათ შეაგროვეს დიდი ლაშქარი და 1721 წლის 7 აგვისტოს დაესხნენ შამახიას, ხელში ჩაიგდეს და უმოწყალოდ ააწიოკეს. დაზარალებულთა შორის აღმოჩნდნენ რუსი ვაჭრებიც, რომელთაც 500 000 მანეთის ზარალი ნახეს.

7 აგვისტოს ამბები გამოყენებულ იქნა კასპიისპირეთში სამხედრო მოქმედების გაჩაღების საბაბად. პეტრე I-ის მიერ გამოცემულ მანიფესტში აღნიშნულია, რომ ეს იყო საომარი მოქმედების დაწყების მიზეზი.

პეტრე I-მა, რომელმაც შეაგროვა ცნობები ირანის საშინაო მდგომარეობის შესახებ, შეისწავლა კასპიისპირეთის გეოგრაფიული პირობები, გაიჩინა მოკავშირენი საქართველოსა და სომხეთის სახით, შეარჩია ხელსაყრელი მომენტი საომარი მოქმედების დასაწყებად და 1722 წლის ივლისში თავი მოუყარა ჯარებს ასტრახანში. პეტრე I-მა ასტრახანში აღმოსავლურ ენებზე გამოაქვეყნა მანიფესტი ლაშქრობის დაწყების შესახებ, რომლითაც განაცხადა, რომ რუსეთის ლაშქარი მიემართება ლეკი მეამბოხეების წინააღმდეგ, ხოლო კასპიისპირა პროვინციების მოსახლეობას უსაფრთხოების გარანტია ეძლევა.

1722 წლის 18 ივლისს რუსეთის ქვეითი ჯარი 274 ხომალდით გამოემგზავრა ასტრახანიდან. ამ ფლოტის ხელმძღვანელობა დაევალა გენერალ-ადმირალ აპრაქსინს. ცხენოსანი ჯარი ხმელეთით წავიდა.

1722 წლის 2 ივლისს ვახტანგ VI-სთან გაგზავნილ იქნა ბორის თურქისტანიშვილი წერილით, რომელშიც იუწყებოდნენ კას-

პიისპირეთში რუსეთის ჯარის მალე ჩამოსვლას. ამასთან ერთად თურქისტანიშვილს მიეცა სპეციალური ბარათი პეტრე I-ის ხელმოწერით, რომლის შინაარსი მას ზეპირად უნდა გადაეცა ვახტანგისათვის.

საპასუხო წერილში ვახტანგ VI სიხარულს გამოთქვამდა ესოდენ სანუკვარი ცნობისათვის და სრულ მზადყოფნას და მხარდაჭერას აღუთქვამდა პეტრე I-ს, პირდებოდა 20 აგვისტოს, განჯაში ყოფნას თავისი ლაშქრით. ამასთან ერთად ვახტანგ VI წერდა, რომ შაჰმა მას ანდო აზერბაიჯანში იმ ჯარების წინამძღოლობა, რომელთაც უნდა დაესაჯათ აჯანყებული ლეკი მმართველები. ეს გარემოება კი, როგორც ვახტანგ VI-ს, ისე პეტრე I-ს უწყობდა ხელს.

დაახლოებით იმავე დროს არზრუმის ფაშამ თურქეთის სულთანის სახელით აცნობა ვახტანგ VI-ს, რომ თურქეთს განზრახული ჰქონდა ირანის წინააღმდეგ ბრძოლა და წინადადება მისცა, თურქეთის მხარეზე გამოსულიყო, ამისათვის სულთანი ქართლის მეფეს მთელი საქართველოს სამეფოს ჩაბარებას პირდებოდა. მაგრამ ვახტანგი პეტრე I-ის ერთგული მოკავშირე დარჩა და ეს წინადადება არ მიიღო.

მან პეტრე I-ის წინადადების მიღება არჩია დარუბანდსა და ბაქოს შორის რუსი და ქართველი ჯარების შეერთების შესახებ და გაემგზავრა განჯისაკენ, სადაც მას სომეხ მელიქთა რაზმები შეუერთდნენ.

23 აგვისტოს რუსეთის ჯარი შევიდა დარუბანდში. დარუბანდის ნაიბი პეტრე I-ს ქალაქგარეთ შეხვდა და ქალაქის გასაღები მიართვა. დარუბანდში პეტრემ მიიღო ცნობები ბაქოს მცხოვრებთაგან, რომელთაც გამოთქვეს მზადყოფნა რუსეთის ქვეშევრდომად ყოფნისა, რადგანაც ლეკთა თარეშისაგან დიდად იყვნენ შეწუხებულნი.

პეტრე I-მა თავისი ჯარი დარუბანდის მიდამოებში განალაგა. ცხენოსნები საძოვრებით უზრუნველყოფის მიზნით მდინარე მილიკენტის ნაპირას დააბანაკა, ხოლო მის შესართავთან 12 გემი გააჩერა, ფქვილის გადმოსატვირთად, პურის გამოსაცხობად და ორცხობილების დასამზადებლად; მაგრამ წინა ღამით ამოვარდა ძლიერი ქარი და გემებში წყალი შეიპარა. მართალია, ხომალდების გადარჩენა მოხერხდა იმის წყალობით, რომ ისინი მეჩეჩზე დააყენეს, მაგრამ ფქვილის მარაგის დიდი ნაწილი დასველდა და გაფუჭდა. ახლა მთელი იმედი დამყარებული იყო იმ 30 გემის მოსვლაზე, რომელიც ასტრახანიდან მოემგზავრებოდნენ სურსათით დატვირთული ვილბოის წინამძღოლობით.

სურსათის უქონლობა, ჯარში ავადმყოფობის გავრცელება და ცხენების დაღუპვა ლაშქრობის გაგრძელებას სახიფათოდ ხდიდა. შექმნილი მდგომარეობის გამო პეტრემ გადაწყვიტა სამხედრო საბჭოს მოწვევა, რომლის სხდომაც შედგა 29 აგვისტოს. ყველა იმ აზრს ადგა, რომ სურსათის ნაკლებობის გამო ლაშქრობის გაგრძელება საშიშია. ამიტომ წინადადებას იძლეოდნენ, დაეცადათ ვილბოისთვის არა უმეტეს ერთი კვირისა და მისი ჩამოსვლის შემთხვევაში გაეგზავნათ გარნიზონი ბაქოში, ხოლო ლაშქრის ძირითადი ნაწილი დაბრუნებულიყო ასტრახანში.

მალე პეტრე I-მა მიიღო ცნობა, რომ ვილბოი ასტრახანის ყურეშია გაჩერებული და შემდგომი მგზავრობის შიში აქვს, რადგან ხომალდები ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან. ამიტომ პეტრე I-მა ჯარს უბრძანა, დაუყოვნებლივ მომზადებულიყო უკან დასახევად. 4 ოქტომბერს პეტრე ჯარის ნაწილითურთ დაბრუნდა ასტრახანში. მას მალე მიყვა არმიის დანარჩენი ნაწილიც. 16 ოქტომბერს პეტრემ სენატს აუწყა დარუბანდიდან უკან წამოსვლის ამბები და თავისი განზრახვა, რომ ზამთრისათვის მოსკოვში იქნებოდა.

ამრიგად, პეტრე I-მა დასახული მიზნის განხორციელება 1722 წელს ვერ შესძლო. ამ წლის სამხედრო კამპანიის შედეგად რუსეთის ჯარების მიერ დაკავებული იყო მხოლოდ კასპიის ზღვის დაღესტნის სანაპირო. ცხადია, რომ პეტრე I-ის ჯარის დაბრუნება ასტრახანში მხოლოდ რუსეთის მტრებს ახარებდა და გულს წყვეტდა მოკავშირეებს, კერძოდ, ქართველებს.

როგორც ცნობილია, პეტრე I-თან შეთანხმების თანახმად ვახტანგ VI 1722 წლის აგვისტოს ბოლოს ქართველთა ჯარით განჯისაკენ გაემგზავრა, სადაც მას უნდა შეერთებოდა სომეხთა ლაშქარი. ამიტომაც, როცა ჯერ კიდევ განჯისაკენ მიმავალ გზაზე იმყოფებოდა, ვახტანგმა სომხეთის კათალიკოსი ესაი ჰასან ჯალალიანი გააგზავნა ყარაბახში. ქართული ჯარის ჩასვლამ განჯაში დაღესტნელი ფეოდალების გაქცევა გამოიწვია. ამასთან ერთად ქართველთა და სომეხთა შეერთებულმა ჯარებმა დაიწყეს ბრძოლა ირანის შაჰის ერთგული ფეოდალების წინააღმდეგ, კერძოდ, განჯის ხანის წინააღმდეგ.

განჯაში ვახტანგ VI უცდიდა პეტრე I-ის შემდგომ მითითებებს შირვანში რუსეთის ჯარის შემოსვლის და ჯარების შეერთების შესახებ.

1722 წლის 28 სექტემბერს პეტრე I-მა საქართველოში თურქისტანიშვილის თანხლებით გაგზავნა გვარდიის პოდპორუჩიკი ივანე

ტოლსტოი შემდეგი დავალებით: 1) ყოფილიყო მუდამ ვახტანგთან და არ წამოსულიყო საქართველოდან პეტრე I-ის სპეციალური ნებართვის გარეშე. 2) მიეღწია იმისათვის, რომ ვახტანგ VI-ს ეკისრა შუამავლობა რუსეთსა და ირანს შორის მოლაპარაკების დროს და გაეგზავნა შაჰთან თავისი კაცი, რომელსაც უნდა აეხსნა, რომ პეტრე აწყობს კასპიისპირეთში ლაშქრობას მხოლოდ იმისათვის, რომ გადაარჩინოს ირანი დაღუპვისაგან, ვინაიდან ცნობილია, რომ დაუდ-ბეგმა და სურხაიმ დახმარების თხოვნით მიმართეს თურქეთს, რომელიც მთელი ირანის ხელში ჩაგდებას ცდილობს, რასაც რუსეთი ვერ დაუშვებს. 3) ტოლსტოის ევალებოდა ეცნობებინა ვახტანგ VI-თვის 1722 წლის ლაშქრობის მიმდინარეობისა და პეტრეს დარუბანდიდან დაბრუნების მიზეზი. ამ მიზნით ი. ტოლსტოის მიეცა სპეციალური ტექსტი, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ წინასწარი გეგმით ლაშქრობის დაწყება ნავარაუდევი იყო 1723 წელს, მაგრამ თურქეთის მიერ კასპიისპირეთის ხელში ჩაგდების შიშით, გადაწყდა, ლაშქრობა ერთი წლით ადრე დაეწყოთ, რის გამოც არ იყო შესაძლებლობა ყოველმხრივ და გულდასმით მოემზადებინათ ჯარი და ფლოტი.

ტოლსტოის, აგრეთვე, ევალებოდა, ეცნობებინა ვახტანგისთვის პეტრეს განზრახვა მომავალ წელს შამახიის დაკავების თაობაზე, პირველ ყოვლისა, კასპიის ზღვისპირეთში ფეხის მტკიცედ მოკიდებისა და სურსათის საწყობების დაარსების შესახებ, რათა უზრუნველეყო ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარის წარმატება.

პეტრე I ინსტრუქციის განსაკუთრებულ პუნქტში ტოლსტოის მიუთითებდა, რომ თურქეთს განზრახული ჰქონდა დიპლომატიური ხრიკების გზით ერევნის აღება. ტოლსტოის უნდა ეცნობებინა ვახტანგისთვის, რათა მას არ დაეშვა ერევნის გადასვლა თურქეთის ხელში. ვიდრე რუსეთის ჯარი არ აიღებდა შამახიას და კასპიისპირეთის სხვა ქალაქებს, ვახტანგს უნდა ემოქმედა ირანის შაჰის სახელით, და როგორც მის მომხრეს, ებრძოლა აჯანყებული ლეკების და სხვათა წინააღმდეგ რუსეთის ჯარის მოსვლამდე. ხოლო რაც შეეხება ერევანს, პეტრეს გადაწყვეტილი ჰქონდა, ეს ქალაქი ვახტანგის მფლობელობაში გადაეცა.

1722 წლის 27 ოქტომბერს ტოლსტოი თბილისში ჩამოვიდა. მას შეხვდა ვახტანგის შვილი ვახუშტი, რადგან ქართლის მეფე ამ დროს კვლავ განჯაში იმყოფებოდა. ვახუშტიმ დაუყოვნებლივ აცნობა მეფეს ტოლსტოის საქართველოში ჩამოსვლა და მისი თბილისში დაბრუნების აუცილებლობა. რუსეთის ჯარის ასტრახ-

ანში დაბრუნების ამბავმა ვახუშტის თავზარი დასცა. მას აწუხებდა, რომ თურქეთი არ შემოჭრილიყო საქართველოში რუსეთის ჯარის ჩამოსვლამდე და შიშობდა, ამბავი პეტრეს უკან დაბრუნების შესახებ საქართველოში ფართოდ არ გავრცელებულიყო და უიმედობა არ გამოეწვია.

22 ნოემბერს ვახტანგი თბილისში დაბრუნდა და 24-ში მიიღო ტოლსტოი. ამ მოლაპარაკების შესახებ დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის ტოლსტოი პეტრესადმი მიწერილ 1722 წ. 1 დეკემბრის წერილში. ვახტანგს მიუღია ტოლსტოისაგან სიგელები, გაცნობია მათ და დათანხმებია პეტრე I-ის წინადადებას. მაგრამ ტოლსტოის შეკითხვაზე: მოელის თუ არა ვახტანგი დადებით შედეგს ამ მოლაპარაკებისაგან, ქართლის მეფემ უარყოფითად უპასუხა; მისი აზრით, მხოლოდ რუსეთის ჯარის ჩამოსვლას შეეძლო აეძულებინა ირანის შაჰი წასულიყო დათმობაზე. ვახტანგმა პირდაპირ განუცხადა ტოლსტოის, რომ უკეთუ პეტრეს რაიმე ვითარების გამო პირადად ჩამოსვლა არ შეეძლო, დაუყოვნებლივ უნდა გამოეგზავნა ჯარები. ტოლსტოი, როდესაც პეტრე I-ს აცნობებდა ქართლის მეფის ამ წინადადებას, გამოთქვამდა საკუთარ მოსაზრებასაც ამ საკითხზე, რომელიც ვახტანგის აზრს სავსებით ემთხვევა.

1722 წლის დეკემბრის დასაწყისში ვახტანგთან ჩავიდა შაჰ-თამაზის ყულარ-აღასი, რომელმაც ოფიციალურად აცნობა ავღანელების მიერ ისპაჰანის აღება, ჰუსეინის დატყვევება და მოითხოვა, რომ ქართლის ჯარი გამოსულიყო შაჰის დასახმარებლად. ვახტანგი მოეთათბირა ი. ტოლსტოის, აწონ-დაწონა საქმის ვითარება და მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება — არ გაეგზავნა ირანში ლაშქარი და რუსეთის ჯარის მოსვლისთვის დაეცადა.

როდესაც პეტრე I-მა 1723 წლის 5 აპრილს მიიღო ტოლსტოის მიერ 1722 წლის 30 დეკემბრის თარიღით გამოგზავნილი წერილი საქართველოს მდგომარეობის შესახებ, სადაც ნათქვამი იყო, რომ არზრუმის ფაშა ჯარებს თავს უყრიდა ყარსში, რათა გაზაფხულზე ჯერ ერევანზე გაელაშქრა, ხოლო შემდეგ ქართლზე, აგრეთვე, პირადად ელჩის და თავად ზურაბ ხერხეულიძის ხელით ვახტანგის მიერ გამოგზავნილი ცნობები, საქართველოში ორიათასიანი ჯარის გაგზავნა გადაწყვიტა ბასკაკოვის წინამძღოლობით. 1723 წლის 19 აპრილს ბასკაკოვს მიეცა ბრძანება ლაშქრობის შესახებ, მაგრამ რაზმის გაგზავნა მაინც არ მოხერხდა. საქართველოში მომხდარმა ამბებმა წინ უსწრეს ბასკაკოვს — იგი პეტერბურგიდან აპრილში გამოემგზავრა და მხოლოდ მაისის შუა რიცხვებში ჩავიდა ასტრახ-

ანში, აქედან გამოემართა საქართველოსაკენ და გზაში შეხვდა რუსეთში მიმავალ ი. ტოლსტოის. ამის შემდეგ ბასკაკოვს ისღა დარჩენოდა, რომ ტოლსტოის მაგალითისთვის მიებაძა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1722 წლის ბოლოსათვის ქართლში მდგომარეობა მეტად გამწვავდა. ირანის შაჰი თამაზი განრისხებული იყო ვახტანგის ურჩობით და შურისძიება სწყუროდა. თურქეთი თავს უყრიდა ჯარებს საქართველოს საზღვრებთან და გაზაფხულზე შემოჭრას ეპირებოდა. შექმნილ მდგომარეობას ართულებდა შინაფეოდალური ბრძოლები და ქართლ-კახეთის მეფეთა გამწვავებული ურთიერთობა.

XVIII ს-ის 20-იან წლებში კახეთში მეფობდა ერეკლე პირველის ძე კონსტანტინე (მამად-ყული-ხანი), რომელმაც გადაწყვიტა ესარგებლა ვახტანგ VI-ის შევიწროებული მდგომარეობით და ქართლის ტახტი ხელთ ეგდო. პეტრესადმი მიწერილ წერილში ვახტანგი არაერთხელ უსვამდა ხაზს კონსტანტინეს მტრულ დამოკიდებულებას მისდამი.

1723 წლის იანვარში შაჰმა კონსტანტინე ქართლის მეფედ დაამტკიცა. ირანის გარნიზონმა, რომელიც თბილისში იმყოფებოდა, მიიღო თამაზის ბრძანება ქალაქისათვის სროლის ატეხის შესახებ, იქიდან ვახტანგის გაძევების მიზნით. მალე ქალაქს მიადგა თავისი ჯარით კოსნტანტინეც, რომელსაც თან ჰყავდა დაქირავებულ ლეკთა რაზმებიც. კონსტანტინეს მხარს უჭერდნენ, აგრეთვე, განჯისა და ერევნის ხანები. ვახტანგის დასახმარებლად ჩამოვიდნენ იმერლები და რაჭველები. ბრძოლა სამ თვეს გრძელდებოდა.

კონსტანტინემ მარცხი განიცადა, მაგრამ თავის განზრახვაზე ხელი არ აუღია. 1723 წელს ლეკთა დიდი რაზმებით მან კვლავ შემოუტია ვახტანგს. მხოლოდ ვახტანგ VI-ის ბანაკში არსებული ღალატის შედეგად შეძლო კონსტანტინემ თბილისის აღება. ლეკებმა ქალაქი დაანგრიეს ისე, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში ვერ შეძლო ძველი დიდების დაბრუნება.

თურქეთმა არ დააყოვნა ესარგებლა ქვეყნის მძიმე მდგომარეობით. ჯერ კიდევ კონსტანტინეს მიერ თბილისის აღებამდე, არზრუმის ფაშამ წინადადება მისცა ვახტანგს, მიეღო თურქეთის პროტექტორატი, მაგრამ ვახტანგმა უარყო ეს წინადადება, რადგანაც იმედი ჰქონდა რუსეთის ჯარის ჩამოსვლისა და დახმარებისა.

თბილისში გაჩაღებული ბძროლების დროს არზრუმის ფაშამ ხელმეორედ კატეგორიულად მოითხოვა, რომ ვახტანგ VI-ს ეცნო სულთანის უფლება. ფაშა პირობას იძლეოდა, რომ ვახტანგს და-

ტოვებდნენ ქართლის მეფედ. ამ საკითხის გასასაწყვეტად მოწვეულ დარბაზზე ქართლის თავადებმა მოითხოვეს თურქეთის წინადადების მიღება, რათა ამით შეენარჩუნებინათ ძალაუფლება და გადაერჩინათ ქვეყანა გამანადგურებელი ომისაგან. ი. ტოლსტოი და თურქისტანიშვილი საწინააღმდეგო აზრს ადგნენ იმ იმედით, რომ რუსეთის ჯარი მალე ჩამოვიდოდა.

მდგომარეობა უაღრესად კრიტიკული იყო, რადგანაც თურქებს ყოველ წუთს შეეძლოთ დაეწყოთ საომარი მოქმედება. ვახტანგმა გადაწყვიტა, მიეღო ფაშის წინადადება და თავისი პირობები წამოეყენებინა.

ვახტანგის ვარაუდი დროის მოგებაზე იყო დამყარებული. ფაშა, რომელიც მის პირობებს მიიღებდა, უნდა დაკავშირებოდა კონსტანტინეპოლს, ამას კი საკმაო დრო მოუნდებოდა. ვახტანგს იმედი ჰქონდა, რომ ამით თურქეთის ჩარევას დროებით შეაჩერებდა, რადგანაც იმედოვნებდა რუსეთის ჯარის მალე ჩამოსვლას. შექმნილ მდგომარეობაში ვახტანგის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთადერთი სწორი ნაბიჯი იყო, რამდენადაც მას არ შეეძლო ერთდროულად ეწარმოებინა ომი კონსტანტინესთან და სათანადო წინააღმდეგობა გაეწია თურქეთისთვის.

ვახტანგის იმედები არ გამართლდა. 4 მაისს კონსტანტინემ თბილისი აიღო და ვახტანგი იძულებული გახდა ცხინვალში გახიზნულიყო. თურქებმა ისარგებლეს ამით და შემოიჭრნენ ქართლში. 1723 წლის ივნისში ისინი თბილისს მიადგნენ. კონსტანტინემ ვერ გაბედა ქალაქის დაცვა და უბრძოლველად დათმო იგი.

თურქებმა გადაწყვიტეს ქართლის ტახტის გაუქმება. ვახტანგ VI-ს აღარ შეეძლო საქართველოში დარჩენა და ამიტომ გადაწყვიტა რუსეთში წასულიყო. ი. ტოლსტოის დაბრუნების შემდეგ ასტრახანში ამ საკითხთან დაკავშირებით მოწვეულ იქნა სპეციალური თათბირი. თათბირზე გადაწყდა მიეღოთ ყოველგვარი ზომები ვახტანგის გასახიზნავად პეტერბურგიდან საამისო ნებართვის მიღებამდე, რადგან ამას დიდი დრო დასჭირდებოდა, ხოლო შექმნილი ვითარება სწრაფ მოქმედებას მოითხოვდა.

რიგი მიზეზების გამო ვახტანგ VI შეყოვნდა საქართველოში და მხოლოდ 1724 წლის 15 ივლისს გემგზავრა რუსეთში.

როცა პეტრე I-მა მიიღო 1723 წ. 14 მარტის წერილი ივანე ტოლსტოისაგან, განკარგულება გასცა, დაეწყოთ ლაშქრობა ბაქოზე. 28 ივლისს რუსეთის ჯარი მაღლა აღმართული დროშებით შევიდა ქალაქში.

1723 წლის 12 სექტემბერს პეტერბურგში ირანის ელჩმა ისმაილ-ბეგმა დადო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც რუსეთის ხელში უნდა გადასულიყო კასპიისპირეთის რიგი ოლქები ქალაქების — დარუბანდის, ბაქოს და სხვ. ჩათვლით.

კასპიისპირეთში პეტრე I-ის ძალაუფლების განმტკიცებისათვის ერთ-ერთი ღონისძიება იყო ციხე-სიმაგრეთა აგება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხრივ „წმინდა ჯვრის“ სიმაგრის აშენებას, რომელსაც ეკავა ხელსაყრელი მდებარეობა. ამ სიმაგრის წყალობით რუსეთს შეეძლო მორჩილებაში ჰყოლოდა ადგილობრივი ლეკი მმართველები. რიგი თავდაცვითი ნაგებობა გაკეთდა, აგრეთვე, დარუბანდსა და ბაქოში.

1722-1723 წწ. სამხედრო კამპანიის შედეგად რუსეთის ჯარმა დაიკავა კასპიის ზღვის მთელი დასავლეთი და სამხრეთი სანაპირო. ამასთან ერთად ბაქოს ასაღებად მოწყობილი ოპერაცია დაგეგმილ იქნა და გატარდა თურქეთის ჯართან შესაძლო შეტაკების ვარაუდით. იმის გამო, რომ კასპიისპირეთის შეერთებას და ამიერკავკასიაში რუსეთის დამკვიდრებას თურქეთი დიდ წინააღმდეგობას უწევდა, პეტრე I-ისა და ვახტანგ VI-ის საერთო გეგმები ვერ განხორციელდა.

რუსეთისადმი კასპიისპირა პროვინციების შეერთების საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მოითხოვდა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის მოგვარებას, რაც მიღწეულ იქნა 1724 წ. რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებით.

პეტრე I ლაშქრობის მომზადებისას, რა თქმა უნდა, ითვალისწინებდა იმას, რომ ამიერკავკასიაში რუსეთის არმიის მოქმედება გაამწვავებდა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობას. ამიტომ მას აუცილებლად მიაჩნდა წინასწარ მიეღწია თურქეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნების გარანტიისათვის. „სამარადისო მშვიდობის“ შეთანხმება, რომელიც კონსტანტინოპოლში 1720 წელს რუსეთის ელჩმა ა. დაშკოვმა დასდო, ამ ამოცანას ემსახურებოდა.

პეტრე I-მა, თურქეთთან ურთიერთობის გამწვავების თავიდან აცილების მიზნით, გადაწყვიტა წინასწარ შეემზადებინა ნიადაგი კასპიისპირეთში რუსეთის ჯარების მიერ საომარი მოქმედების დაწყების ოფიციალურად გამოცხადებისთვის. ამ მიზნით რუსეთის რეზიდენტს ი. ნეპლუევს პირადად ევალებოდა, თურქეთის მთავრობისთვის ეცნობებინა 1721 წლის 7 აგვისტოს შამახიაში მომხდარი ამბების შესახებ.

ამასთან ერთად ნეპლუევს თურქეთისთვის უნდა მოეთხოვა,

რომ მას მფარველობა არ გაეწია ლეკებისთვის, რასაც მან მიაღწია კიდეც 1722 წ. 21 აპრილს ვეზირთან აუდიენციის დროს, მაგრამ ფაქტობრივად თურქები ლეკთა მთავრებს მფარველობას კვლავაც უწევდნენ.

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის გამწვავებაში გარკვეული როლი შეასრულეს დასავლეთ ევროპის ქვეყნების მმართველმა წრეებმა, რომელნიც განგებ აქეზებდნენ თურქეთს რუსეთის წინააღმდეგ. ინგლისის, ვენეციისა და ავსტრიის ელჩები ყოველნაირად ცდილობდნენ თურქეთის მთავრობა დაეშინებინათ იმით, რომ საქართველოსა და სომხეთში ფეხის მოკიდების შემდეგ პეტრე თავს დაესხმოდა თურქეთს. ევროპის გაზეთებმა დიდი აურზაური ატეხეს და განგებ გააზვიადეს ცნობები სალაშქროდ გამზადებული რუსეთის ჯარის რაოდენობის შესახებ.

ამიერკავკასიაში რუსეთის წარმატებანი და მისი დამკვიდრება კასპიის ზღვის სანაპიროებზე განსაკუთრებით აშინებდა ინგლისის მთავრობას, რადგანაც ამას უნდა მოყოლოდა რუსეთის საგარეო ვაჭრობის გაძლიერება. ინგლისი კი იმისკენ მიისწრაფვოდა, რომ მთელი ვაჭრობის მონოპოლია მის ხელთ ყოფილიყო და რუსეთის საგარეო ვაჭრობა მთლიანად ინგლისზე ყოფილიყო დამოკიდებული. მაგრამ რუსეთის დიპლომატიამ ამ ბრძოლაში უფრო მეტი ოსტატობა გამოიჩინა. რუსეთის დიპლომატები ევროპაში შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობით მოხერხებულად სარგებლობდნენ და ინგლისის დიპლომატიასთან ბრძოლაში იყენებდნენ ინგლისსა და სხვა ევროპულ სახელმწიფოებს შორის (საფრანგეთი, ჰოლანდია და ესპანეთი) არსებულ წინააღმდეგობას.

თურქეთის მთავრობას განსაკუთრებით აშინებდა ის, რომ ქართლი რუსეთის მფარველობის ქვეშ არ შესულიყო და არ გაერთიანებულიყო რუსეთ-საქართველოს ჯარები, რადგანაც ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ თურქეთი საბოლოოდ დაკარგავდა ამიერკავკასიას. ამიტომაც იგი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ დაეყოლებინა ვახტანგ VI, მიეღო თურქეთის პრიტექტორატი. მაგრამ ქართლის მეფე ყოველთვის უარყოფდა თურქეთის წინადადებას.

დასავლეთ ევროპის დიპლომატებმა იცოდნენ, რომ რუსეთისა და საქართველოს დაახლოება თურქეთს შიშს გვრიდა და ყოველნაირად ცდილობდნენ მიეღწიათ რუსეთ-თურქეთის ომისათვის.

რუსეთის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა დიპლომატიური გზით მიეღწია იმისათვის, რომ თურქეთის ჯარი არ შემოსულიყო

ქართლში და ამიტომაც უმალავდა თურქეთს ვახტანგთან კავშირს, ხოლო განჯაში ქართლის მეფის წასვლას მხოლოდ შაჰის დავალების შესრულებით ხსნიდა.

1722 წ. 20 დეკემბერს ნეპლუევმა ოფიციალურად აცნობა თურქეთს ასტრახანში პეტრე I-ის დაბრუნება. ამან გარკვეული გავლენა მოახდინა თურქეთის მთავრობაზე. ვეზირმა განაცხადა, რომ პეტრეს ამ დაბრუნებით თურქეთში ყოველგვარი ეჭვები გაიფანტა. ასე ჩანდა, რომ თითქოს ყველაფერი იყო გაკეთებული რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის მოსაგვარებლად და ამ ურთიერთობამ კეთილი მიმართულება მიიღო. მაგრამ სინამდვილეში მოხდა პირუკუ. თურქეთმა გადაწყვიტა ესარგებლა რუსეთის ჯარის დაბრუნებით და რაც შეიძლებოდა ხელსაყრელად მოეწყო თავისი საქმეები ამიერკავკასიაში.

ინგლისის მმართველი წრეების პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ, ფრთებს ასხამდა თურქეთის ძალებს, აღაფრთოვანებდა მათ. ინგლისის ელჩი მიუთითებდა, რომ თურქეთს არ უნდა ეშინოდეს რუსეთთან ომისა, რადგანაც ევროპის ყველა ქვეყანა მტრულადაა განწყობილი მასთან და ამის გამო პეტრეს არ შეუძლია წარმატებას მიაღწიოს ომშიო. ამის შემდეგ თურქეთის მთავრობამ აშკარად მოითხოვა კასპიისპირეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში ომით იმუქრებოდა. თურქებს იმედი ჰქონდათ, რომ აიძულებდნენ პეტრეს, დაეტოვებინა ამიერკავკასია. მაგრამ პეტრეს დაშინება ძნელი იყო, მით უმეტეს, რომ იგი კასპიის სანაპიროს დაუფლებას ბალტიის ზღვის სანაპიროს შეერთების აუცილებელ დამატებად თვლიდა.

1723 წლის აპრილში პეტრემ მართლაც დაიწყო საჭირო სამზადისი თურქეთთან ომისთვის. მაგრამ ამასთანავე იგი ამ ომის აცილებასა და შეთანხმების მიღწევასაც ცდილობდა. როგორც რუსეთის, ასევე თურქეთისთვისაც ქართლს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის.

პეტრე I-ს უდავოდ ესმოდა ქართლის ესოდენ დიდი მნიშვნელობა და ამიტომაც გადაწყვიტა, გაეგზავნა იქ ორიათასიანი რაზმი ა. ბასკაკოვის მეთაურობით. მას იმედი ჰქონდა, რომ ამით გააძლიერებდა ვახტანგ VI-ის ძალებს, გაამხნევებდა მას და თავიდან აიცილებდა ქართლში არზრუმის ფაშის შემოსევას. მაგრამ ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთობ დაგვიანებით. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით თურქეთმა შეძლო დაესწრო პეტრესთვის. არზრუმის ფაშამ ისარგებლა საქართველოში გაჩაღებული შინა-

ფეოდალური ომებით, შეესია ქართლს და აიღო თბილისი.

1724 წლის 12 ივნისს მრავალრიცხოვანი კონფერენციების შემდეგ კონსტანტინეპოლში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც თურქეთი აღიარებდა რუსეთის მიერ კასპიისპირა პროვინციების შეერთებას, რაც ასახული იყო რუსეთ-ირანის 1723 წლის ხელშეკრულებაში. მაგრამ, თავის მხრივ, რუსეთიც იძულებული იყო, ეღიარებინა თურქეთის უფლებები დაპყრობილ მიწა-წყალზე.

ამრიგად, 1724 წლის ხელშეკრულება გარკვეული მხრით პეტრე I-ის დიპლომატიური გამარჯვება იყო, რადგანაც მან შეძლო მიეღწია თავისი ძირითადი მიზნისათვის — თურქეთმა აღიარა რუსეთის უფლებები კასპიისპირა პროვინციებზე.

ვახტანგ VI, რომელმაც თურქების შემოსევის შემდეგ თავი შეაფარა ქართლის მთიანეთს, ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა ხელი შეეწყო უცხო დამპყრობლებთან ბრძოლაში არა მარტო ქართველების, არამედ სომხებისთვისაც. მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული ვახტანგთან, აგრეთვე, ყარაბაღელი სგნახების მეთაურებსაც. ვახტანგმა, რომელიც თურქ-ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი და რუსეთთან კავშირის შეურყეველი მომხრე იყო, სამართლიანად დაიმსახურა ქართველ და სომეხ პროგრესულ მოღვაწეთა აღიარება, როგორც მათმა საერთო ხელმძღვანელმა. რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში ინახება წერილები, რომლებიც გაუგზავნეს ვახტანგს სომხეთიდან. ამ წერილებში მას თხოვენ, აწარმოოს მოლაპარაკება რუსეთის მთავრობასთან სომხეთის განთავისუფლებისა და დახმარების საკითხზე. ყველა ეს ფაქტი ცხადად მოწმობს ამიერკავკასიის ხალხების ინტერესთა ერთიანობას, მათს საუკუნეობრივ მეგობრობასა და დაუცხრომელ სწრაფვას რუსეთისადმი, რომელიც მტრებით გარემოცულ ქართველებსა და სომხებს ერთადერთ რეალურ განმათავისუფლებელ ძალად ესახებოდათ.

როგორც ზემომოყვანილი მასალებით მტკიცდება, კონკრეტულ პირობებში შექმნილი ვითარების გამო პეტრე I-ისა და ვახტანგ VI-ის საერთო გეგმები ვერ განხორციელდა. აღმოსავლეთ ამიერკავკასია თურქმა აგრესორებმა დაიპყრეს და მხოლოდ კასპიისპირა პროვინციები, რომელნიც რუსეთის ჯარებს ეკავათ, გადაურჩნენ თურქეთის ბატონობას.

ქართველთა ოცნება — უცხო დამპყრობთა უღლისაგან განთავისუფლება — შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ

საქართველოში რუსეთის ჯარის შემოსვლით, რომელიც ქართველ ხალხთან ერთად იბრძოლებდა საერთო მტრის წინააღმდეგ. მაგრამ XVIII ს-ის 20-იან წლებში ეს ვერ მოხერხდა.

თურქი დამპყრობლების შემოსევის შემდეგ ვახტანგ VI-ს საქართველოში აღარ ედგომებოდა და მან გადაწყვიტა რუსეთში გახიზნულიყო. იგი ამალითურთ ასტრახანში ჩავიდა. აქედან კი, 84 კაცის თანხლებით, პეტერბურგს გაემგზავრა და 1725 წლის მარტში მოსკოვს ჩავიდა.

რუსეთში გამგზავრებისას ვახტანგს იმედი ჰქონდა, რომ საქართველოში მალე დაბრუნდებოდა რუსეთის ჯართან ერთად და გაათავისუფლებდა ქვეყანას თურქი დამპყრობლებისაგან. მაგრამ პეტრე I-ის მემკვიდრეების დროს რუსეთის საგარეო და საშინაო ვითარება ისეთი შეიქმნა, რომ მის მიზანს განხორციელება არ ეწერა. 1737 წლის 27 მარტს იგი ასტრახანში გარდაიცვალა.

მასთან ერთად რუსეთში გახიზნულმა ქართველებმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს და მოსკოვში დასახლდნენ, რის შედეგადაც XVII ს-ში არჩილის მიერ დაფუძნებული ქართველთა კოლონია მნიშვნელოვნად გაიზარდა. მოსკოვში ქართული კოლონიის დაარსებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსი და ქართველი ხალხების შემდგომი კულტურული და პოლიტიკური დაახლოების საქმეში.

რუსეთში ქართველებმა განაგრძეს სამშობლოში დაწყებული დიდი მეცნიერული და ლიტერატურული მუშაობა, ხელი მოჰკიდეს, აგრეთვე, მთარგმნელობით მოღვაწეობასაც. აქ დაამთავრეს თავიანთი სამეცნიერო შრომები სულხან-საბა ორბელიანმა (ქართული განმარტებითი ლექსიკონი „სიტყვის კონა“), ისტორიკოსმა და გეოგრაფმა ვახუშტიმ (საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია). ვახუშტიმ თარგმნა აგრეთვე ქართულად რუსი და ევროპელი ავტორების რიგი თხზულებანი, მუშაობდა ქართულ-რუსული ლექსიკონის შედგენაზე.

1703 წ. მოსკოვში არჩილმა დააარსა პირველი ქართული სტამბა, რომელშიც 1705 წელს დაიწყეს ქართული წიგნების ბეჭდვა. არჩილს ეკუთვნის რამდენიმე თარგმანი, მანვე დაწერა ოდა პოლტავის ბრძოლაზე. მისმა შვილმა ალექსანდრემ, რომელიც რუსეთის ისტორიაში ცნობილია როგორც პირველი გენერალ-ფელდცეხმეისტერი, რუსულიდან ქართულად თარგმნა სიმეონ პოლოცკის თხზულებანი.

სასულიერო და მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად ქართულად ითარგმნებოდა აგრეთვე ისტორიული, გეოგრაფიული, მათემა-

ტიკური და სხვა შრომები.

ქართველი პატრიოტები, რომლებმაც თავშესაფარი რუსეთში პოვეს, ეცნობოდნენ ამ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობას, კულტურას, ხელს უწყობდნენ რუსეთთან საქართველოს დაახლოებას. ამავე დროს ისინი რუსეთის საზოგადოებრიობას აცნობდნენ ქართულ კულტურას. მაგალითად, ცნობილმა რუსმა ისტორიკოსმა ვ. ნ. ტატიშჩევმა თავისი „ისტორიის“ პირველ ტომში რუსეთში მცხოვრებ ქართველთა შემწეობით ფართოდ გამოიყენა ქართული მატიანის „ქართლის ცხოვრების“ ცნობები.

XVIII ს-ის განმავლობაში რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში ფართოდ იყენებდნენ ვახუშტის კარტოგრაფიულ შრომებს. 1736 წელს რუსეთის აკადემიამ მისი ყველა რუკა გადათარგმნა რუსულად. ამ რუკების საფუძველზე ფრანგმა მეცნიერმა დელილამ შეადგინა საქართველოს რუკა, რომელიც პარიზში გამოიცა 1766 წელს.

რუსეთში დასახლებულმა ქართველმა ემიგრანტებმა არა მარტო დიდი მეცნიერული და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, არამედ სამეურნეო საქმიანობაც გააჩაღეს. ამასთან, ბევრმა მათგანმა თავი გამოიჩინა სამხედრო სარბიელზე, მონაწილეობა მიიღო რიგ ბრძოლებში.

მე-18 ს-ის 30-იან წლებში რუსეთში შეიქმნა ქართველ ჰუსართა ასეული, ხოლო ამის შემდეგ ჰუსართა ქართული პოლკი. პოლკში ჩარიცხულ პირებს მამულები მიეცათ პოლტავის მხარეში. მათ რიცხვში იყო დავით გურამიშვილი, რომელიც სამი მოძმე ხალხის — რუსების, ქართველებისა და უკრაინელების მეგობრობის ერთერთი პირველი მომღერალი იყო. ქართველ ჰუსართა პოლკმა აქტიური მონაწილეობა მიიღო რუსეთის არმიის გმირულ ბრძოლებში. ქართველთა მამაცობა და გულადობა არაერთხელ აღუნიშნავს უმაღლეს სარდლობას.

ქართველი ხალხის მრავალმა შვილმა მიიღო მონაწილეობა 1812 წლის სამამულო ომში, სახელდობრ, ცნობილ ბოროდინოს ბრძოლაში. მათ შორის იყვნენ: ი. ჯავახიშვილი, ს. ჯავახიშვილი, რ. ბაგრატიონი, ძმები ფანჩულიძენი, ბიბილური (ლაშქაროვი), ა. ჭავჭავაძე, ლ. იაშვილი და სხვა როგორც მაღალი, ისე დაბალი ჩინის ბევრი მეომარი. ეს სახელოვანი პლეადა უკვდავყო გენერალ პეტრე ბაგრატიონის სახელმა. ა. ს. პუშკინი შემთხვევით როდი წერდა: «Грузины — народ воинсвтенный, они доказали свою храбрость под нашими знаменами».

რუსეთი იყო თავშესაფარი არა მარტო ქართველი თავადაზნაურობის მოწინავე სახელმწიფო და კულტურულ-პოლიტიკური მოღვაწეებისათვის, არამედ ხალხის ფართო მასების — ქართველი გლეხობისაც. უცხო დამპყრობთა ბატონობა საქართველოში და მთიელთა მძარცველური თარეში ქართველი ხალხისათვის აუტანელი იყო. ქართველ გლეხებს იტაცებდნენ და ჰყიდდნენ თურქები, ლეკები, მათ არ ჩამორჩებოდა ზოგიერთი ფეოდალიც. ტყვედ ჩავარდნილი ქართველები პირველი შესაძლებლობისთანავე გათავისუფლებას ცდილობდნენ და წარმატების ერთ-ერთ საიმედო პირობად რუსეთში გაქცევას თვლიდნენ.

რუსეთის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა დახმარებოდა ტყვეობიდან გამოქცეულ ქართველებს, რომელნიც ცენტრალურ რუსეთში მოხვედრის შემთხვევაში ჩაჰყავდათ მოსკოვში ვახტანგ VI-თან. ვახტანგი არჩევდა მათ საქმეებს და მათი სურვილის მიხედვით შუამდგომლობდა საგარეო საქმეთა კოლეგიის წინაშე, მათი რუსეთში დატოვებისა ან საქართველოში დაბრუნების შესახებ.

ამრიგად, XVIII ს-ის 20-იან წლებში საქართველომ ვერ განახორციელა მისწრაფება — განთავისუფლებულიყო უცხოელ დამპყრობთა უღლისაგან. დაუძლურებული ირანის ხელიდან საქართველო ძლიერი თურქეთის ხელში გადავიდა. მაგრამ ქართველობა მარცხს არ ურიგდებოდა და არ წყვეტდა ბრძოლას, მას მტკიცედ სწამდა, რომ თავისუფლების მოპოვება შეეძლო დიდი ჩრდილოელი მეგობრის დახმარებით.

მოამზადა *გრიგოლ რუხაძემ.*

სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი

თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ[1]

განმათავისუფლებელი ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ გამარჯვებული დემოკრატია ირაზმება როგორც მშვიდობიანობისა და უშიშროების დასაყრდენი. ამ ორგანიზაციაში თავისუფლებისმოყვარე ხალხებს სურთ დაიკავონ მათი შესაფერი ადგილი, ისინი ეძიებენ თავიანთ სანუკვარ მისწრაფებათა განხორციელებას.

ქართველმა ხალხმაც, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფაშიზმის განადგურების საქმეში, უფლება მოიპოვა წარადგინოს თავისი კანონიერი მოთხოვნები. ჩვენ მივმართავთ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს თურქეთის მიერ წართმეული ჩვენი ძირძველი მიწა-წყლის შესახებ. საქმე ეხება არა უმნიშვნელო ტერიტორიულ შევიწროებას, არამედ ჩვენი ხალხის ინდივიდუალობის აკვანს, ჩვენგან მიტაცებულს, დანაშაულს, რომელმაც ორად გაჰკვეთა ცოცხალი ეროვნული სხეული. საქმე ეხება ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ბრძოლის საგანს — ჩვენი ძველისძველი მიწა-წყლის დაბრუნებას.

ქართველი ხალხი ძველთაგანვე ცხოვრობდა, შრომობდა და იბრძოდა თავის ამ მკვიდრ ტერიტორიაზე — დიდი ტავრიდან მოკიდებული დიდ კავკასიამდე. ჰქმნიდა რა თავისი ცივილიზაციისა და სახელმწიფოებრიობის ახალ-ახალ ცენტრებს, ქართველმა ხალხმა ცხადჰყო სიცოცხლისა და შემოქმედების იშვიათი უნარი, მშობლიური მიწა-წყლის მტკიცე სიყვარული, ურყევი ნებისყოფა — დაეცვა ის, რაც მას ეკუთვნის.

ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში ხეთები და სუბარები, ქართველი ხალხის უშუალო წინაპრები, პირველობენ წინა

1 პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №3(9), 2013.

აზიაში. იმ მდინარის დიდ უბეში, რომელიც მთელი ძველი მსოფლიოსათვის ცნობილია თავისი ქართული სახელწოდებით — ღალისი (ახლა — ყიზილ-ირმაკი), მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის აუზების ზემო ნაწილში ისინი ჰქმნიან სამიწათმოქმედო და მეტალურგიული კულტურის დიდებულ კერებს.

ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში ურარტუს სახელმწიფოს ღირსეულად უჭირავს ხეთურ-სუბარული ცივილიზაციის დროშა და ავითარებს ამ ცივილიზაციას.

მომთაბარე დამპყრობლებმა ბოლო მოუღეს ხალდთა სახელმწიფოს. მაგრამ ქართველი ხალხი პოულობს თავის თავში სასიცოცხლო ძალებს, რათა განუწყვეტლივ განავითაროს მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაცია ახალ სახელმწიფოებრივ და კულტურულ ცენტრებში, რომლებიც თანდათანობით ჩრდილოეთისაკენ გადადიან. ურარტუს ადგილს იკავებს ქართველი ხალხის ორი ახალი სახელმწიფო — იბერია აღმოსავლეთით და კოლხეთი დასავლეთით.

ამ ახლად შექმნილ ანტიკურ ქართულ სახელმწიფოებს, რომლებიც ორგანულად არიან ამოსულნი საერთო-სახალხო ძირიდან, ჯერ კიდევ უკავიათ ძველი ნაციონალური ტერიტორიის ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი. ძველ ბერძენ ავტორთა სარწმუნო ცნობებით, სასპერთა, ე. ი. იბერთა სახელმწიფო — წინა აზიის ერთი ოთხ უდიდეს სახელმწიფოთაგანი, ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის შუა წლებში ვრცელდება კალახენასა და ადიაბენამდე,[2] ე. ი. მთავარი (აღმოსავლეთი) ტავრის ქედამდე.

ძველი წელთააღრიცხვის ჯერ კიდევ II საუკუნის დამდეგს იბერიას ეკუთვნის პარიადრის მთიანი ოლქი[3] — ახლანდელი სივასის ოლქის აღმოსავლეთი სექტორი, ხეთთა ძველი სამეფოს ერთ-ერთი ძირითადი რაიონი. აქ იბერია გადიოდა შავ ზღვაზე, რასაც გვიჩვენებს ტიბარანიის სახელწოდება, რომელსაც ატარებდა ქვეყანა ღალისის შესართავის აღმოსავლეთით ჯერ კიდევ სტრაბონის დროს. ძველი წელთაღრიცხვის 66 წელს მითრიდატე პონტოელს, რომელიც პომპეუსს გამოექცა, ევფრატის ზემო წელში შეტაკება მოუხდა ადგილობრივ იბერებთან, ძველი ქართული პროვინციის ხორძენე-ხოტენეს მკვიდრ მცხოვრებლებთან.[4]

ტიბარანიის აღმოსავლეთით, შავი ზღვის სანაპიროზე მდე-

---

[2] სტრაბონი, გეოგრაფია, წიგნი XI, თავი XIV, §§ 12-13.

[3] სტრაბონი, იქვე წ. XI, თ. XIV, § 5; პლინიუსი, ბუნების ისტორია, წ. VI, §§ 28-29.

[4] აპიანე, მითრიდატეს ომები, 101; სტრაბონი, გეოგრაფია, წ. XII, თ. III, § 28.

ბარეობდა მეორე ქართული სახელმწიფო, კოლხეთი, ერთ-ერთი წინა აზიის VI საუკუნის ოთხ უდიდეს სახელმწიფოთაგან, როგორც ამას მოწმობს „ისტორიის მამა“ — ჰეროდოტე.[5]

მეცნიერებას მოეპოვება სარწმუნო ცნობები კოლხეთის, ქართულად — ეგრისის, სამეფოს საზღვრების შესახებაც. ცნობილი ბერძენი მწერალი-მხედართმთავარი ქსენოფონტე, რომელიც პირადად იყო კოლხეთში ძველი წელთაღრიცხვის 400 წელს, ამბობს, რომ ტრაპეზუნტი და კერასუნტი (ამჟამად გირესუნი) კოლხეთის ქალაქებია, რომ ტრაპეზუნტის გარშემო კოლხები ცხოვრობენო. თავისი ათიათასიანი რაზმით ქსენოფონტემ მთელი თვე დაჰყო კოლხთა სოფლებში ტრაპეზუნტის მახლობლად და აქედან ესხმოდა და აოხრებდა კოლხეთის სხვა ნაწილებს.[6]

სამხრეთ, უფრო სწორად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორია,— ე. ი. კოლხეთის ტერიტორია მდინარე ჭოროხის შესართავის დასავლეთით და იბერიის ტერიტორია მდინარე მტკვრის სათავისა და ჩილდირის ტბის სამხრეთით, — უძველესი დროიდანვე მთლიანად დასახლებული იყო ქართველი ტომებით, რომელნიც შემდგომ ქართველ ერად გაერთიანდნენ.

ოცდაათი საუკუნე ებრძოდა ქართველი ხალხი, თავისი საკუთრებისა და თავისი პოზიციების დასაცავად, მტრულ ძალებს, რომლებიც ცდილობდნენ განედევნათ იგი მსოფლიო-ისტორიული ასპარეზიდან. მაგრამ ქართველ ხალხს არასოდეს არ დაუკარგავს ეროვნული თვითშეგნება და ურღვევი კავშირი თავის დიად წარსულთან. უარი არ უთქვამს თავის წმიდათა-წმიდა უფლებებზე. ჭარბი ძალების მოწოლით გამოწვეული უკანდახევა დროებითი აღმოჩნდებოდა ხოლმე. ქართველი ხალხი კვლავ იკრებდა ძალებს და იერიში მიჰქონდა მტერზე, ანადგურებდა დამპყრობლებს და იბრუნებდა თავის მიწა-წყალს.

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში რომაელებმა მოახერხეს კოლხეთის დაპყრობა. უფრო გვიან, IV საუკუნეში, აღმოსავლეთ კოლხეთისაგან შეიქმნა ლაზთა სამეფო, რომელსაც ქართველები კვლავ უწოდებდნენ ძველ ეროვნულ სახელს ეგრისს. ლაზიკა რომ კოლხეთის მემკვიდრეა და თვითონ ლაზები რომ კოლხთა პირდაპირი შთამომავალნი არიან, ამას სადავოდ არავინ ხდის. ამას მოწმობს VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი:

---

[5] ჰეროდოტე, IV 37, IV 40. I 104,I 110.

[6] „ანაბაზისი“, წ. IV, თ. 8; წ. V, თ. 3.

„შეუძლებელია, კოლხები იგივე ლაზები არ იყვნენ... კოლხთა სახელი ამჟამად ლაზებად შეიცვალა, როგორც ეს ბევრ სხვა ხალხშიც მომხდარა“.[7] ამის შესახებ უფრო გარკვეულად ლაპარაკობს პროკოპის უმცროსი თანამედროვე და თანამემამულე აგათია: „ძველად რომ ლაზებს კოლხები ერქვათ და რომ ისინი ნამდვილად კოლხები არიან, ამაში არავინ დაეჭვდება, ვინც კი გაეცნობა ფაზისის, კავკასიისა და გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას“. „ლაზები, — ამბობს იგივე ბიზანტიელი მწერალი, — ძლიერი და მამაცი ხალხია, რომელიც ბატონობს სხვა ძლიერ ხალხებზე. ისინი ფრიად ამაყობენ კოლხთა ძველი სახელმწიფოებით, და ალბათ, არც უსაფუძვლოდ...“[8]

მაგრამ ხომ იყო არა მარტო აღმოსავლეთის, ასე ვთქვათ — რიონის კოლხეთი, არამედ დასავლეთის, ჭოროხ-ტრაპეზუნტის კოლხეთიც. სწორედ ამიტომ ლაზების სახელი დაერქვა დასავლეთ კოლხეთის მოსახლეობასაც. თუმცა დასავლეთმა კოლხეთმა ვერ მოასწრო ლაზიკის სამეფოსთან ერთ სახელმწიფოში გაერთიანება. დასავლეთ კოლხეთის მოსახლეობას ეს სახელწოდება შერჩა მთელს მომდევნო დროში ჭანების, ხალდების სახელწოდებასთან ერთად. X საუკუნის ქართველი მწერალი ბიზანტიელი ავტორის გამოთქმას — „ლაზიკის ქალაქი ტრაპეზუნტი“, მშობლიურ ენაზე კანონზომიერად გადმოგვცემს ასე: „მეგრელთა ქვეყნის ქალაქი ტრაპეზუნტი“.

ტრაპეზუნტის იმპერიის (1204–1461 წლები) ხელმწიფეებს კონსტანტინოპოლში უწოდებდნენ „ლაზთა მბრძანებლებს“, ხოლო მათს სამფლობელოს ხან ლაზიკას, ხან კოლხეთს. ლაზთა ამ ტომის ისტორიული მოსახლეობის საზღვრების გამოსარკვევად კი საინტერესოა აკადემიკოს მარის ცნობა: „კონსტანტინოპოლში ლაზებს უწოდებენ თურქეთის შავი ზღვის სანაპიროს ყველა მცხოვრებს, სამსუნელებსა და სინოპელებსაც კი... ხოლო არზრუმელები ლაზებს უწოდებენ, ერთი მხრივ — გიუმიშხანელებს, ხოლო მეორე მხრივ — სანაპიროს ყველა მცხოვრებს“.[9]

შუა საუკუნეებში საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გაერთიანების ბირთვად იქცა ქართლი, იბერიის ძირითადი ნაწილი. ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის აღმოსავლეთ საქართველოს სახელგანთქმულ მეფეს ვახტანგ გორგასალს (გარდაიცვალა 502 წელს), მაგრამ მისი ცდები გააქარწყლა სპარსელთა გაბატონებამ

[7] „გუთებთან ომის შესახებ“, VIII 2.

[8] II, 18, III 5.

[9] თურქეთის ლაზისტანში მოგზაურობიდან, გვ. 608.

VI საუკუნეში. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღორძინება, უკვე ფეოდალურ საფუძველზე (VI საუკუნის დამლევს), და მისი პირველი წარმატებანი მდინარე მტკვრის ხეობაში შეაფერხა არაბთა მიერ დაპყრობამ. დამპყრობთადმი წინააღმდეგობის გაწევისა და ეროვნულ ძალთა ორგანიზაციის მთავარი ცენტრი სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადავიდა.

საყურადღებოა, რომ სწორედ სამხრეთ საქართველოს პროვინციის სპერის (ამჟამად ისპირი) მფლობელებმა, ბაგრატიონებმა, რომელთა საკუთარი მამული მდინარე ჭოროხის ზემო წელში, ქალაქ ბაიბურთის რაიონში იყო, საფუძველი დაუდვეს საერთო-ეროვნულ დინასტიას, X საუკუნის დამლევს მთელი საქართველო რომ გააერთიანა. მაგრამ ჯერ კიდევ გაერთიანებამდე ბაგრატიონებმა, რომლებიც საქართველოს მხოლოდ ერთი ნაწილის — ტაო-კლარჯეთის მთავრები იყვნენ, ბრძოლით დაიბრუნეს სამხრეთ საქართველოს მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგალითად, მეფე დავით III-მ 979 წელს აიძულა ბიზანტიის იმპერატორი ბასილი, დაეთმო საქართველოსთვის წინათ წართმეული მისი ოლქები: კარინი (ქალაქ არზრუმის ოლქი), ჰარქი და აპაჰუნიქი (იმ დროს უკვე სომხებით დასახლებული ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით), უმნიშვნელოვანესი ციხე-სიმაგრე ხალდოი — არიჭი (რაც ნიშნავს ხალდთა სოფელს) და კლისური (ზეკარი) არზრუმიდან ტრაპეზუნტს მიმავალ მაგისტრალურ გზაზე, ჩორ-მაირი მდინარე ჭოროხის ზემო წელში და სხვ. ოთხმოციან წლებში დავითმა საზღვრები გააფართოვა უფრო შორს სამხრეთ-დასავლეთით, დაიბრუნა ოლქები დერჯანი (ამჟამად ტერჯანი) და ტარონი, ხოლო 997 წელს მან აიღო ქალაქი მანასკერტი (მელიაზგერდი).

ამრიგად, საქართველოს სამხრეთი საზღვრის ხაზი გადაჭიმულ იქნა ვანის ტბიდან ქალაქ ერზინჯანამდე.

სამხრეთ საქართველოს სამთავროებში IX-X საუკუნეებში ბრწყინვალედ გაიფურჩქნა ქართული კულტურა, რომელსაც მტკვრის ხეობაში არაბები ავიწროებდნენ. ჭოროხის აუზის მთელ ტერიტორიაზე, მტკვრისა და ევფრატის ზემო წელში აგებულ იქნა მონუმენტური შენობები, თავისთავადი ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლები — ბანა (ოლთისის, ამჟამად ოლთის რაიონში), ხახული (თორთუმის ახლოს), ოშკი (იქვე), იშხანი, წყაროს-თავი, ტბეთი, ხანძთა, ანჩა თავისი 12 სავანით („ქართული სინა“), ოპიზა, დოლის-ყანა, შატბერდი, ფანასკერტი და სხვ.

ტაო-კლარჯეთში შესანიშნავად განვითარდა ქართული სალიტერატურო ენა, რომლის წარმომადგენლები არიან ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორიცაა გიორგი მერჩული, მიქაელ მოდრეკილი (ჰიმნოგრაფი და კომპოზიტორი), იოანე და ექვთიმე მთაწმიდელები და სხვ. სწორედ აქ მიიღო დამთავრებული ფორმა ფეოდალური ეპოქის საქართველოს ერთიანობის შეგნებამ.

ქართველი ხალხის კულტურული შემოქმედებითი ძალების დიად გამოვლინებაში XI-XIII საუკუნეების მანძილზე სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პირველი ადგილი უჭირავს. საკმარისია დავასახელოთ დიდი შოთა რუსთაველი, შეუდარებელი ოსტატები ბექა ოპიზარი და ბეშქენ ოპიზარი, ქართული ფილოსოფიური აზროვნების სიამაყე — იოანე პეტრიწი, გამოჩენილი ფილოლოგები და ისტორიკოსები გიორგი მთაწმინდელი და ეფრემ მცირე, — რათა გავიგოთ, თუ რა შვილები მისცა დედა-სამშობლოს სამხრეთმა საქართველომ.

საქართველოს ბუნებრივი განვითარება შეწყვიტა მონღოლთა შემოსევამ. თითქმის ორი საუკუნე თავდადებულად იბრძოდა ქართველი ხალხი, რათა დაეცვა თავისი კულტურა და თავისუფლება.

დასავლეთს მადლობით უნდა ახსოვდეს, რომ ჩრდილოეთით დიდი რუსეთი და სამხრეთით იმ დროს ძლიერი საქართველო იქცნენ ძირითად ბარიერად, რომელმაც შეასუსტა მომთაბარე დამპყრობთა საშინელი ტალღა, მაგრამ ამან ქართველ ხალხს აუნაზღაურებელი ზარალი მოუტანა. მეთხუთმეტე საუკუნეს, რომელიც კაცობრიობის ისტორიას დიდმნიშვნელოვანი ამბებით ახსოვს, საქართველო აოხრებული და სისხლით დაცლილი შეხვდა. ეს ის მომენტი იყო, როდესაც ახლო აღმოსავლეთში თათრების ნაცვლად გამოდიან ახალი მომთაბარე დამპყრობლები — ოსმალო თურქები.

XV საუკუნეში თურქები უშუალოდ მოადგნენ საქართველოს. ამ დროისათვის საქართველო, გარეშე და საშინაო არახელსაყრელი პირობების შედეგად, მთელ რიგ ცალკეულ ფეოდალურ სამეფოებსა და სამთავროებს წარმოადგენდა. მაგრამ ამ მდგომარეობაშიც სამხრეთ-საქართველოს სამთავრო სამცხე, რომლის სამფლობელო ჯერ კიდევ ვრცელდებოდა ერზინჯანამდე და ტრაპეზუნტის მისადგომებამდე, გმირულად იგერიებს შემომტევ მოსისხლე მტერს. კიდევ მეტიც: იმ საფრთხის სწორი შეგნება, რაც მთელ კულტურულ სამყაროს დაემუქრა, ჰქმნის ერთიან საგარეო-პოლიტიკურ ხაზს ქართველი მეფეებისა და მთავრებისას, რომელნიც ორჯერ შეეცადნენ მოეწყოთ

ოსმალო თურქთა წინააღმდეგ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ფართო კოალიცია. ამ ცდის მარცხით დამთავრებას არ შეუსუსტებია ქართველთა ენერგია: ქართლის, იმერეთის და სამხრეთ საქართველოს შეერთებული ძალებით მათ არაერთხელ აგემეს დამპყრობლებს მწარე გაკვეთილი. მაგალითად, 1545 წელს ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს თურქების შემოსეულ დიდ ლაშქარზე ბასიანში (არზრუმის ახლოს).

თურქებს, რომლებმაც ამ დროისთვის დაიპყრეს ახლო აღმოსავლეთის დიდი ნაწილი და ბალკანეთის ნახევარკუნძული, განზრახვა ჰქონდათ დაეპყროთ მთელი საქართველო, მაგრამ ქართველი ხალხი უმაგალითო გამძაფრებით უწევდა წინააღმდეგობას მათს ამ განზრახვას. საქართველოს ცენტრალური და დასავლეთი რაიონებიდან განდევნილმა თურქებმა მაინც შეძლეს გამაგრება სამხრეთ საქართველოში, რომელიც მოსწყვიტეს დედა-სამშობლოს.

მაგრამ ბრძოლა შემდეგაც არ შეწყვეტილა. საქართველოს მთლიანობის შეგნება არასოდეს ჩამქრალა. XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი გორგიჯანიძე თავის თანამემამულეთა განწყობილებას გამოხატავს, როდესაც ამბობს, რომ ქართველები, რომელთაც „ქრისტეს რჯული ეჭირათ“ და რომლებიც მომწყვდეული იყვნენ ორ დიდ მაჰმადიანურ სახელმწიფოს — თურქეთსა და ირანს შორის — „ბევრს ეცადნენ: აქეთ იქნიეს ხმალი და იქით, მრავალი ნაქნეშიც ქნეს, მაგრამ არ იქნა და ვერცა რას თავს გაუვიდნენ. ხონთქარმა და ყაენმა საქართველო შუა გაიყვეს (ავტორს მხედველობაში აქვს ირან-თურქეთის 1555 წლის ხელშეკრულება) — სამცხე, ქართლი და კახეთი ყაენს (დარჩა), იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი, გურია და ლაზის ქვეყანა — ხონთქარსა“.

მაგრამ საქართველო არასოდეს არ სცნობდა მტაცებელთა ამ აქტს, მას არასოდეს არ აუღია ხელი თავის ძველისძველ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ მიწებზე. რუსეთ-საქართველოს მეგობრობის 1783 წლის ტრაქტატის IV სეპარატულ არტიკულში ნათქვამია: იმპერატორი „პირობას იძლევა, რომ ომის შემთხვევაში ყოველგვარ საშუალებას იხმარს იარაღის შემწეობით, ხოლო ზავის შემთხვევაში — დაჟინებითი მოთხოვნით, რომ ქართლის სამეფოს დაუბრუნდეს მისი ოდითგანვე კუთვნილი მიწები და ადგილები“.

ქართველები აქტიურ მონაწილეობას იღებენ თურქეთის წინააღმდეგ რუსეთის XIX-XX საუკუნეების ყველა ომში და ამ ომებზე გაერთიანების შესაძლებლობასთან დაკავშირებულ იმედებს ამყარე-

ბენ. ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები — ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი — აღტაცებით მიესალმებოდნენ თურქეთის მიერ დაპრობილი ქართული მიწა-წყლიდან ყოველი ახალი რაიონის დაბრუნებას. საერთო-სახალხო ზეიმით იქნა აღნიშნული თურქეთისათვის ბათუმის, არტაანისა (არდაგანის) და ართვინის ოლქების წართმევა, არზრუმის, ლაზისტანისა და ტრაპეზუნტის დაკავება. ხალხი ამაში თავისი საუკუნეობრივი ოცნების განხორციელებას ხედავდა.

საქართველოს ბევრი დამპყრობი უნახავს, თურქებმა სამართლიანად დაიმსახურეს მათ შორის უარესთა სახელი. მხოლოდ სიკვდილი, აოხრება და გაველურება მიჰქონდათ მათ ყველგან, სადაც კი ისინი გაჩნდებოდნენ. მათ მიერ დაპყრობილ ქართულ ოლქებში განვითარებული მატერიალური კულტურა რამდენიმე საფეხურით ჩამოქვეითდა. ქალაქთა ცხოვრება მთლიანად ჩაკვდა იქ, სადაც იგი წინათ დუღდა და გადმოდიოდა. გაჰქრა ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურები — მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა, მოსახლეობა გაღატაკდა. მხეცურად, არაადამიანურად სდევნიდნენ ქართველი ხალხის წმიდათა-წმიდას — მის ენას, მის კანონებსა და ტრადიციებს, მამაპაპათა კულტურასა და სარწმუნოებას. ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ თურქულ ენასა და ისლამს.

ურჩ მოსახლეობას მასობრივად ერეკებოდნენ მამაპაპეული ადგილებიდან. იქ, სადაც VIII საუკუნეში აგებულ იქნა ბანას ტაძარი, მსოფლიო ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ძეგლი, იქ, საიდანაც XII საუკუნეში გაისმა რუსთაველის უკვდავი ხმა, სადაც XIV საუკუნეშიაც აშენებული იყო ჭულესა და საფარის დიდებული ტაძრები, თურქების შემოსევის შემდეგ და მათი ბატონობის მთელ მანძილზე არაფერი დადებითი არ შექმნილა. მეჩეთებადაც კი ქართულ ეკლესიებს იყენებდნენ; ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს მოსახლეობა მხოლოდ იმ ხიდებით სარგებლობდა, რომლებიც თამარ მეფის დროს იყო აგებული.

მაგრამ თურქთა ბატონობის ქვეშ მოხვედრილი ქართველი მოსახლეობა მუდამ განაგრძობდა მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლას. თურქებმა ვერ შეძლეს, რამდენსაც არ ეცადნენ, აღმოეფხვრათ მათ მიერ მოწყვეტილი სამხრეთის რაიონების ორგანული კავშირი საქართველოსთან. ამ ერთიანობას ადასტურებდნენ და ადასტურებენ ყველა ფაქტები, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, მეცნიერება. თვითონ თურქები იძულებული არიან აღიარონ ეს. თურქეთის მთავრობამ

1578 წელს დაიპყრო სამხრეთ-საქართველოს სამთავრო — სამცხე და მას გურჯისტანის, ე. ი. საქართველოს ვილაიეთი უწოდა. დაცულია და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა 1595 წლის თურქული ოფიციალური დოკუმენტი — „საქართველოს ვილაიეთის ვრცელი დავთარი“ („დევთერი მუფასალ ვილაიეთი გიურჯუსტან“), რომლის ერთ ნაწილში, სხვა რაიონებს შორის, აწერილია ჩილდირის, ფოცხოვის, პანიაკის (ბანას), არტაანის რაიონები.

მეორე ვილაიეთი — ტრაპეზუნტისა — წარსული საუკუნის სამოციან წლებში შეიცავდა მთელ ტერიტორიას მდინარე ყიზილ-ირმაკამდე (ძველი ღალისი) და გაყოფილი იყო ოთხ სანჯაყად: 1) ლაზისტანი, რუსეთის საზღვრიდან ქ. რიზემდე, 2) ტრაპეზუნტის სანჯაყი, რიზედან ქ. ორდუმდე, 3) ჯანიკი, ორდუდან მდინარე ყიზილ-ირმაკამდე, ცენტრით ქ. სამსუნში და 4) გიუმიშხანა (ინგლისის კონსულ ვ. ჯიფორდ პალგრევის ანგარიში. ИКОИРГО, ტ. 7, დამატება). ამრიგად, ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს თურქეთის ოფიციალური ნომენკლატურა მოწმობდა, რომ ქალაქ სამსუნის ოლქიც კი, თვით ყიზილ-ირმაკამდე, არის ჯანიკი — ჭანების, ე. ი. იმავე ლაზების ქვეყანა.

თურქულ ენციკლოპედია „ჰაამუს-ულ-ალამში“ ნათქვამია: „ლაზები ცხოვრობენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ტრაპეზუნტის ვილაიეთში... ითვლებიან კავკასიელ ხალხად და ქართველებთან ნათესაური კავშირი აქვთ... მათი გარეგნობაც კი მოწმობს მათ კავკასიურ წარმოშობასა და რასას“.

სამხრეთმა საქართველომ XX საუკუნემდე შეინარჩუნა დიდი რაოდენობით ქართული გეოგრაფიული სახელწოდებანი, XIX საუკუნისა და XX საუკუნის დამდეგის რუკებზე აღნიშნულია მრავალი წმინდა ქართული სახელწოდება, როგორიცაა იმერა (გიუმიშხანეს ჩრდილო-აღმოსავლეთით), ძარა, გორიანა, მაჭარა, შუვა, მირზანი, მოხორა, ლორი, ბორშიანი, ნატეხილები, ქსანთა, კიტრა, ჭოროღმა, ხართი, ჩუმოვანი, ორწვერი და სხვ. ახლა თურქი ხელისუფლები გამალებით შლიან ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებებს, ანგრევენ ქართულ ისტორიულ ძეგლებს — არქიტექტურის შედევრებს. ისინი კვლავ მასობრივად ერეკებიან ქართველ მოსახლეობას შორეულ რაიონებში, აძევებენ მათ ჩვენი წინაპრების ასეულ თაობათა სისხლითა და ოფლით უხვად მორწყული მშობლიური ადგილებიდან.

მძიმე დროს, რასაც ქართველი ხალხი 1920 წელს და 1921 წლის დასაწყისში განიცდიდა, თურქები შემოიჭრნენ საქართველოს ტერი-

ტორიაზე და მოახდინეს არტაანის, ოლთისისა და ართვინის ოლქების და ბათუმის ოლქის სამხრეთი სექტორის ოკუპაცია, რათა ისინიც მიემატებინათ წინათ დაპყრობილი ძველისძველი ქართული მიწა-წყლისათვის.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში თურქეთი, რომელიც ფაქტიურად გერმანელ დამპყრობთა მხარეზე რჩებოდა, კვლავ შურის თვალით შემოჰყურებდა ჩვენს ტერიტორიებს. ამის შესახებ აშკარად წერდა თურქული პრესა. თურქეთი ერთხელ კიდევ ნებაყოფლობით დადგა იმპერიალისტური გერმანიის სამსახურში და ზიანს აყენებდა ანტიჰიტლერულ კოალიციას.

ჩვენ კი: განა საჭიროა გავახსენოთ მსოფლიოს, თუ რა წვლილი შეიტანა ქართველმა ხალხმა გაერთიანებული ერების წმიდათა-წმიდა საქმეში?

ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს თავისი მიწა-წყალი, რომელზეც არასოდეს უთქვამს უარი და ვერც იტყვის, ჩვენ მხედველობაში გვაქვს არტაანის (არდაგანის), ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის, ბაიბურთის, გიუმუშხანეს რაიონები და აღმოსავლეთი ლაზისტანი, ტრაბზონისა და გირესუნის რაიონების ჩათვლით, ე. ი. საქართველოსათვის წართმეული ტერიტორიების მხოლოდ ნაწილი.

ს. ჯანაშია,
პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი,
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

ნ. ბერძენიშვილი,
პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

ილია მაისურაძე

მესხური ხალხური სიტყვიერება თურქ-დამპყრობთა ბარბაროსობაზე[1]

თბილისი, 1949

თეზისები

„საქართველოს ბევრი დამპყრობი უნახავს. თურქებმა სამართლიანად დაიმსახურეს მათ შორის უარესთა სახელი“, — წერდნენ თავის ცნობილ წერილში „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“ აკადემიკოსები სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი.[2] ეს ისტორიული სიმართლეა თავხედ დამპყრობელზე, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ონავარ მტაცებელივით თავს დასტრიალებდა ქართველ ხალხს. მას აოხრება-განადგურება, სიკვდილი და გადაგვარება მოჰქონდა ჩვენი წინაპრებისათვის. ამიტომაც იყო, რომ სიტყვები „თათარი“ და „თათრობა“ დაუნდობლობის, ყაჩაღობა-მტაცებლობის, სისხლისმსმელობისა და ყოველგვარი საშინელების სინონიმად იქცა ჩვენი ხალხის ცნობიერებაში.

როგორც ცნობილია, თურქ-სელჯუკ ბარბაროსთა უშუალო შთამომავალნი, ნახევრად ველურ მომთაბარე ტომებისაგან გაერთიანებული თურქ ოსმალო აგრესორები XV ს-დან იწყებენ თავიანთ დაპყრობით ომებს. ისინი ცეცხლითა და მახვილით შეიჭრნენ წინა აზიასა და ევროპაში, ფეხით გადათელეს მთელი რიგი ქვეყნები, დაიპყრეს და „ოსმალობის“ მძიმე უღელი დაადგეს აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის მრავალ ხალხს. 1453 წელს კონსტანტინეპოლის ხელში ჩაგდების შემდეგ თურქმა მეჯოგეებმა ბოლო მოუღეს ბიზანტიას, უაღრესად კულტურულ სახელმწიფოს აღმოსავლეთში. ამ-

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №3(9), 2013.

[2] ეს წერილი ჟურნალის წინამდებარე ნომერშიც არის დაბეჭდილი (რედ.).

იერიდან, თურქეთის სახით, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზე ზღაპრულ გველეშაპივით გაწვა ხალხთა მშვიდობის მტერი, რომელმაც საბოლოოდ გადაღობა ის დიდი სახმელეთო და საზღვაო გზა, რომელიც ცხოველი ეკონომიკური ძალებით აკავშირებდა ერთმანეთთან მსოფლიოს ორ დიდ მატერიკს — ევროპასა და აზიას.

სულხან-საბა ორბელიანი შესანიშნავად გამოხატავდა თურქის ამ „მსახვრალი“ ხელის ნიშან-კვალს, თავისივე თვალით ნახულს ევროპაში: „სადაც თათარს მიუწევია, იქ ღვთის ნათელი აღარ დამდგარა, იმას გაუოხრებია. ნეტავი ნახოთ და, ვინც ნახავთ, ჩემს სიმართლეს მაშინ შეიტყობთ“.[3]

ბიზანტიისა და ტრაპიზონის იმპერიების დაცემის შემდეგ სტამბოლში ფეხმორთხმით მჯდომარე სულთანის წინაშე მალე ახალი დაპყრობითი გეგმა დაისახა: საქართველოს დამორჩილება და კავკასიონის მთაგრეხილის მაღალ ზღუდეზე ზურგის მიყრდნობა. დაიწყო თურქთა დაუცხრომელი შემოსევები საქართველოში. ქართველი ხალხი ჩვეული სიმტკიცით დახვდა ახალი ჯურის მომხდურს. იგი თითქმის 400 წლის განმავლობაში გასაოცარი ენერგიით იგერიებდა მტრის სასტიკ იერიშებს და მონობის უღელს კი არ იდგამდა. მამაცმა ქართველმა ხალხმა თავისი დამოუკიდებლობა სასახელოდ დაიცვა. მრავალი განსაცდელისა და „ჟამთა სიავის“ მიუხედავად, მან „შესძლო საუკუნეების მანძილზე გამოეტარებინა თავისი ენა, თავისი ძველი კულტურა, თავისი ნებისყოფა გამარჯვებისა და თავისუფლებისადმი“ (ლ. ბერია).

***

თურქთა მოძალების მთელი სიმწვავის გადატანა განსაკუთრებით საქართველოს იმ ნაწილს ხვდა წილად, რომელიც ამ აგრესიული სახელმწიფოს უშუალო მეზობლად მდებარეობდა. ეს იყო სამხრეთ საქართველოს დიდი სამთავრო, ე. წ. სამცხე-საათაბაგო, ანუ „ქვეყანა მესხეთისა“. ეს ისტორიული კუთხე თავისი სივრცითა და მოსახლეობით ძველი საქართველოს თითქმის ერთ მესამედს შეადგენდა და მის მნიშვნელოვან ნაწილად ითვლებოდა. საქართველოს ამ კუთხემ განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული განვითარების საქმეში.

ქართული კულტურის კლასიკურ ხანაში სამხრეთ საქართველოს საგანმანათლებლო ცენტრებმა ქვეყანას მისცეს გამოჩენილი მოაზროვნე-მოღვაწენი ფილოსოფიის, საეკლესიო მოძღვრების, ისტო-

[3] ს. ს. ორბელიანი. მოგზაურობა ევროპაში. ს. იორდანიშვილის რედაქციით. თბ., 1940 წ., გვ. 144.

რიოგრაფიის, ხუროთმოძღვრების, მხატვრობის, ოქროჭედილობის, პოეზიისა და საერო მწერლობის დარგებში. „საკვირველს, მედიდურს სანახაობას წარმოადგენს იგი საქართველოს ისტორიაში, — აღფრთოვანებით წერდა ი. ჭავჭავაძე მესხეთზე — ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა“.

უკვე XVI ს-ში, როდესაც განსაკუთრებით გაძლიერდა თურქეთის ექსპანსიური იერიშები და სამხრეთ საქართველოს მიწა-წყალი გააფთრებული ბრძოლების ასპარეზად გადაიქცა, იწყება მესხეთში შექმნილი მაღალი კულტურის განადგურება და ნგრევა. მტერმა იმძლავრა და ამავე საუკუნის 80-იან წლებში, მძიმე მსხვერპლის ფასად, საქართველოს უსამართლოდ მოსტაცა ეს ღვიძლი კუთხე, რომელიც მალე ახალციხის საფაშოდ, ანუ გურჯისტანის დიდ ვილაიეთად, გამოაცხადა. დაპყრობილ მხარეში უმალვე დაიწყო მოსახლეობის ძალდატანებით გათურქების პროცესი. სამცხე-საათაბაგოში დასახლებულ ძველ ქართველ ტომებს — მესხებს, ჯავახებს, აჭარლებს, ჭანებს, ტაო-კლარჯეთისა და შავშეთ-ერუშეთის მცხოვრებლებს, ტრადიციული რელიგიური რწმენის, მშობლიური ქართული ენისა და კულტურის უარყოფა და თურქული ენა-რჯულის აღიარება უბრძანეს. მაგრამ ქართველობა მედგრად და შეუპოვრად იცავდა თავის ათასწლოვან კულტურას, ენას, წეს-ჩვეულებებს, სარწმუნოებას. ქართველობის ერთი ნაწილი აიყარა და საქართველოს სხვა კუთხეებს, უმთავრესად ქართლ-კახეთსა და იმერეთ-გურიას, შეაფარა თავი. გურიაში ჩაწერილი ერთი ხალხური ლექსი პირდაპირ ცნობას გვაწვდის ზარზმიდან იძულებით აყრილი და ერკეთში გადასახლებული ძმების, ვინმე ბალაძეების, შესახებ:

სამა ძმამა ბალაძემა
ჩვენ დავაგდეთ ბალავერი,
თუ თორმეტი ჩამეიღებს,
ის იქნება ფალავანდი...
ძმები იქ ერთად ვიყავით:
მოსე, ენუქი, ელია,
ზარზმის სახტარი დავაგდეთ,
შევიქენთ ერკეთელია.[4]

ცნობილია, ისიც, რომ „მას ჟამსა შინა, ოდეს პატიოსანი და დიდი საათაბაგო საქრისტიანო უსჯულოთაგან და უღმრთოთა აგარიანთა მიერ განირყუნა, იწყო მოკლებად ჰსჯულმან ჩვენმან და

[4] ალ. ღლონტი, გურული ფოლკლორი, თბილისი, 1937 წ., გვ. 26.

აღორძინებად ჰსჯულმან მაჰმედისამან, მაშინ ჟამსა საათაბაგოს ურწმუნოთა და ბილწთა თათართაგან განირყუნა ზარზმის საყდარი, მონასტერი მოიშალა და მოოხრდა და აიშალა ზარზმის ხატი შენი ძლიერი მთაბორსა განბრწყინვებული. აქ გურიას ჩამოასვენეს ვითარცა ექსორია ქმნილი“.[5]

წარმოუდგენელ ტანჯვად, ნამდვილ ეროვნულ ტრაგედიად გადაიქცა იმ ქართველების ცხოვრება, რომელთაც ვერ მიატოვეს თავიანთი სახლ-კარი, ვერ აიყარნენ და თავისავე მიწა-წყალზე დარჩნენ. თურქი ხელისუფალნი მათ ოჯახებს იკლებდნენ, ასახლებდნენ, ტყვეთა ბაზარზე ჰყიდდნენ და ოფიციალური თუ არაოფიციალური გადასახადებით სულს უხუთავდნენ. „ოსმალობას“ შედეგად ოსმალური მიწისმფლობელობის შემოღება მოჰყვა, ოსმალური მიწისმფლობელობის მიხედვით, მიწის მფლობელად მხოლოდ მხედარი შეიძლებოდა ყოფილიყო, მხედარი კი — უეჭველად მაჰმადიანი. მესხი ფეოდალების საგრძნობი ნაწილი, მიწის შენარჩუნების მიზნით, „გაოსმალებას“ დათანხმდა. ერთი სიტყვით, „აზნაური აქ მიწას გაჰყვა...“, მხოლოდ გლეხობა იცავდა თავ-გამოდებით მამა-პაპურ სარწმუნოებას. საქართველოში „დამპყრობლებმა ისლამის გავრცელების საქმეში ფართოდ გამოიყენეს ცეცხლი და მახვილი. მთელი რიგი ქართული სოფლები გადაწვეს და ამობუგეს, მხოლოდ იმისათვის, რომ მათ არ სურდათ მაჰმადიანობის მიღება, გადაჰყავდათ თავისი დასახლებული ადგილებიდან ოსმალეთის შინაგან ვილაიეთებში და სანჯაღებში, სამაგიეროდ საქართველოს დაპყრობილ ნაწილებს ასახლებდნენ ქურთებითა და „იურუკებით“, რომლებიც უნდა გადაქცეულიყვნენ დამპყრობთა პოლიტიკის გატარების მტკიცე ბაზად სამცხე-საათაბაგოში“.[6] მიუხედავად ამგვარი ველური ძალადობისა, ქართველთა გამაჰმადიანების პროცესი XIX ს-შიც კი ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ დასრულებული.

ქართველთა გამაჰმადიანების ეს მწვავე პროცესი, ეს ნაციონალური ჩაგვრა-წამება მშვიდობიანი მოსახლეობისა მრავალი ისტორიული საბუთით არის დადასტურებული, მაგრამ ამ საკითხის ირგვლივ არსებული უხვი წერილობითი წყაროების გვერდით მეტად საგულისხმო ცნობებს გვაწვდის ხალხური ზეპირსიტყვიერებაც.

ისტორიული ხასიათის ქართულ ხალხურ ლექსებსა და სიმღერებში, თქმულება-გადმოცემებსა და იგავ-არაკებში, ანდაზებსა და

[5] **Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Грузии и Адчаре, стр. 130-131.**

[6] გ. ტოფაძე, სამცხე-საათაბაგო ოსმალთა ბატონობის უკანასკნელ პერიოდში (წიგნში: „ოსმალეთის დერვიშობა და გლეხთა აჯანყებანი“, თბ., 1946, გვ. 157).

ყოველდღიურ თქმებში სრული უბრალოებითა და უშუალობით არის გადმოცემული „თათრობის“ საშინელებანი, ოსმალო დამპყრობთა ბარბაროსობის ცოცხალი სურათები. ჩვენი ხალხის ხსოვნაში დღემდე წარუშლელია ისტორიული მოგონებანი დევნა-აოხრების, ადამიანთა „კევრებით ლეწვის“, მასობრივი ხოცვა-ჟლეტის შემზარავ ამბებზე. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ გურია-აჭარის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და მესხეთ-ჯავახეთის ხალხური სიტყვიერების მასალა, სახელდობრ, იმ კუთხეებისა, რომელთაც ყველაზე მეტად სწვდებოდა დაუნდობელი მტრის ავბედითი ხელი.

ჩვენ ამჯერად შევეხებით მხოლოდ მესხურ ფოლკლორს, რომელიც განსაკუთრებით მდიდარია ისტორიული მოტივებით. როგორც საქვეყნოდ ცნობილია, წარსულში უსამართლოდ მოტაცებული სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი დღესაც თურქეთს უპყრია, მხოლოდ პატარა აჭარა და მესხეთ-ჯავახეთის რაიონები მდებარეობს საქართველოს მიწაზე.

დღევანდელ მესხეთში, ახალციხის, ასპინძისა და ბორჯომ-ადიგენის რაიონებში, მტკვრისა და ფოცხოვ-ქობლიანის ხეობებში განლაგებულია ძველი ქართული ისტორიული სოფლები: უდე, ვალე, არალი, ღრელი, მუსხი, ანდრიაწმინდა, ჭობარეთი, ზველი, ერკოტა, დადეში, ზედა თმოგვი, ზედა ვარძია, სარო, ხიზაბავრა და სხვანი; აქ სახლობენ ის მკვიდრი მესხნი, რომელთა წინაპრებმაც ვაჟკაცურად გაუძლეს თურქთა ეროვნულ და რელიგიურ ჩაგვრას, უდიდესი შეუპოვრობითა და გამძლეობით თავის ზურგზე გადაიტანეს თურქ დამპყრობთა მკაცრი რეჟიმი და პატრიოტული შემართებით დღემდე მოიტანეს თავიანთი ეროვნული შეგნება, მშობლიური ქართული ენა და ტრადიციები.

ამ სოფლებში ჩაწერილი ხალხური სიტყვიერების ნიმუშები მწვავე მოგონებაა წარსულისა, ცოცხალი, დაუწერელი ისტორიაა ერის სასიცოცხლო ინტერესების შელახვისა. ოსმალთა ბატონობა-ძალადობით გამოწვეულ სევდიან ჰანგებთან ერთად მტრის დაცინვასაც შეიცავს სოფელ მუსხში გავრცელებული ეს ისტორიული ლექსი:

დავიბადენით ცოდვილნი,
დამწვარნი, დადაგულები,
არ ამოვიდა მზე ჩვენთვის,
არ გაგვიმთელდა გულები...
ფაშა იმერეთ წავიდა,
თან დაიდევნა ყულები,[7]

[7] ყულები — ყულის ჯარი.

საგძალი ბევრი წაიღო —
თეთრი კაკალი პურები,
საკლავი ბევრი წაასხა —
ზანგელ-ზანგელა ფურები,
ყაუხი[8] გზაზე დაჰკარგა,
სიცივემ დასძრა ყურები.[9]

მწვავედ განიცდიდა ხალხი სამშობლოს გაჩანაგებას, სევდიანი ჰანგით გამოხატავდა ჯავახი გლეხი თავისი კუთხის შავბედითობას:

ჯავახეთი განსაცდელში ჩავარდა,
მისი ტანჯვა კიდით-კიდეს გავარდა,
გაიტაცა მტერმა მისი ქონება,
გაღარიბდა, ყველას ფეხქვეშ დავარდა.[10]

ვერაგმა დამპყრობელმა არ იკმარა საქართველოს მარტო ამ ერთი დიდი კუთხის ხელში ჩაგდება, მან მახვილით მიტაცებული ეს კუთხე ჩვენი ქვეყნის შუაგულზე ახალი დარტყმების პლაცდარმად გადააქცია. ცნობილია, რომ ახალციხის საფაშოდან თურქი მტაცებლები დროდადრო ქართლ-კახეთსა და იმერეთშიც იჭრებოდნენ და ამ კუთხეების ან დროებით ოკუპაციას ახდენდნენ, ანდა რბევა-თარეშით აოხრებდნენ და ძარცვავდნენ სოფელ-ქალაქს. მტრის ასეთ თარეშზე მიგვითითებს არა ერთხელ გამოქვეყნებული ხალხური ლექსი:

ჯავახეთო და კახეთო,
გავერნებული გნახეთო,
შენი ცხვარი და ძროხანი
გატეხილ ხიდზე ვნახეთო,
შედგმული შეჭამადები
მარილად ვეღარ ვნახეთო,
ჭურში ჩასხმული ღვინები
ჭაშნიკად ვეღარ ვნახეთო.

ოსმალო სულთნის მაჰმადიანი მოხელენი ქართულ სოფლებში მისვლისას ყოველგვარ ზომებს ხმარობდნენ, რათა ეკონომიკურად შეეიწროებინათ მშრომელი გლეხობა, მორალურად დაეცათ და ამ გზით, ბოლოსა და ბოლოს, აეძულებინათ ისინი უარეყოთ ქართველობა, წელში გაეტეხათ მათი წინააღმდეგობა. ამ მიზნისთვის იყო მოწოდებული მრავალრიცხოვან გადასახადთა მთელი სისტე-

[8] ყაუხი — თავსაბურავი, დოლბანდი.

[9] ჩაწერილია სოფ. მუსხში 1938 წ. ისააკ მაისურაძის თქმით.

[10] ჩაწერილია ჯავახეთში გ. გოგოლაძის თქმით (ახალციხის მხარეთმც. მუზეუმის მასალებიდან).

მა, რომელშიც ქართველობისთვის დაწესებული ე. წ. „ისფენჯიც“ შედიოდა,[11] მაგრამ ფაშები, ბეგები და აღაბეგები ამითაც არ კმაყოფილდებოდნენ და ხშირად თვითნებურად ახალ შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ ვალდებულებებსაც იგონებდნენ. ამის გამომხატველია გადასახადი „დიშ ქირა“, ანუ „კბილის ქირა“, რის შესახებაც ცნობა ხალხს შემოუნახავს. სოფელ ვალის მცხოვრებ გ. ნადირაძის გადმოცემით, „თათრობის დროს ქართველი გლეხები სოფელში მოსულ თათრის ცხენს ქერს რომ აჭმევდნენ, ცხენის პატრონი გადასახადს ახდევინებდა: ჩემი ცხენის კბილის ქირა მომეცით, რო თქვენი ქერი დაფქვაო“.

ხალხისადმი ამგვარი ცინიკური მოპყრობის ერთ სხვა მაგალითს წარმოადგენს სოფელ ზველში ღრმად მოხუცი კოლმეურნის პ. ზედგინიძის თქმით ჩაწერილი შემდეგი ისტორიული გადმოცემა: თათრები განსაკუთრებით ავიწროებდნენ თურმე ზედგინიძეების გვარს, რომელიც მტკიცედ იდგა ქართველობაზე. რაკი მათი სიმტკიცე ვერ გატეხა, გაგულისებულმა თურქმა მოხელემ ამ გვარეულობის ყველა მამაკაცს ქართველად ყოფნისათვის ბეგარად დაუდო ზურგით კირის ზიდვა. „ჩემი მამა-პაპანი გოდრით მოიკიდემდნენ ხოლმე კირს და ტოლოშიდან ახალციხეში ეზიდებოდნენ.[12] ვინც გათათრდებოდა, ამ ბეგარიდანაც გადარჩებოდა, მაგრამ ჩვენ ძველებს ეს გაჭირვება აუტანიათ და ქართველობა მაგრად შეუნახიათ, თუმცა ზურგზე ტყავი ჰქონიათ გადამძვრალი“, — ამაყად დასძენს მთქმელი.

მისივე გადმოცემით, „როცა ათათრამდნენ“ ქართველებს, გახურებულ თასს ადებდნენ თავზე; თუკი ქართველობას უარყოფდა, მაშინ მოაცილებდნენ, თუ არა უნდა გაეძლო, ან მომკვდარიყოო“.[13]

მაგრამ, როგორც ჩანს, ამგვარი წამებით რჯულგამოცვლილი ქართველიც ვერ თავისუფლდებოდა მოძალადეთა დამცირებაბუჩად აგდებისაგან. ამის საუცხოო მაჩვენებელია მესხეთში დღესაც გავრცელებული ანდაზა: „ჯერ გაათათრამენ და მერე ჩინჩავატს დაუძახამენ“.[14]

მაჰმადიანური ფანატიზმის მესვეურები უხეში ადმინისტრაციული

[11] ამ ბეგარა-გადასახადების შესახებ დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის თურქ მოხელეთა მიერ XVI საუკუნეში შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელიც 1940 წ. ქართულად გამოსცა საქ. მეცნიერებათა აკადემიამ.

[12] სოფ. ტოლოშიდან ქალაქ ახალციხემდე 45 კილომეტრია.

[13] გ. ნადირაძისა და პ. ზედგინიძის გადმოცემები ჩაწერილია 1945 წელს ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიერ მოწყობილი ექსპედიციის მიერ. მასალები ამავე მუზეუმში ინახება.

[14] ჩინჩავატი — უხეირო, ბეჩავი ადამიანი.

და სამხედრო ძალის დახმარებით ცდილობდნენ გზა გაეხსნათ და ფეხი მკვიდრად მოედგათ დაპყრობილ მხარეში. თურქ-ოსმალთა მიერ მიტაცებულ საქართველოს მიწა-წყალზე ქრისტიანული მართლმადიდებლობა ოფიციალურად გაუქმებული იყო და სასტიკად იდევნებოდა, ამიტომ თავისი ენა-რჯულის ერთგულ ქართველებს ისღა დარჩენოდათ, რომ გარეგნულად მაჰმადი ეღიარებინათ, ხოლო ქართული ენა და ნაციონალური სარწმუნოება ფარულად დაეცვათ. „მოსე ბერიძის ბიძას ორი სახელი ჰქონდაო, — გადმოგვცემს მთქმელი, — ერთი ქართული — ივანეჲ და მეორე კი თათრული — ხურშუტაჲ; ქართულ სახელს შინაურობაში ეძახდნენ, თათრული კი საგარეო იყოო“.[15]

„გაგვიგონია, რო წყლიპირზე რო მაღარიებია,[16] იმ ერთ მაღარაში ყოფილა თომა ბიძიაჲ მონათლული ჩუმათ, ღვდელს ერისკაცივით ეცვა და ისე დადიოდა მრევლში, ნათლობასაც ტყეში ან კლდეში მართამდნენ“, — ასე გადმოგვცემენ მამა-პაპათაგან უშუალოდ მოღწეულ მართალ ამბებს შავბნელი წარსულის შესახებ დღევანდელი მესხი მთხრობელები.

როგორც ირკვევა, დამპყრობელთა თვალის ასახვევად, ქრისტიანობის ფარულად აღმსარებელ ქართველებს ზოგჯერ მაჰმადის რჯულის წესებიც უსრულებიათ. ისლამის სამსახური ტრადიციული საქრისტიანო წესების აღსრულებასთან ერთად მეტად მძიმე და არასასიამოვნო მოვალეობა უნდა ყოფილიყო მათთვის. ამიტომაცაა, რომ ერთ ხალხურ ლექსში იუმორისტული სტილით გაკიცხულია რამაზანის (მაჰმადიანური მარხვის დლეების) ადრე მოსვლა:

რა უდროოდ მოგვივიდა
დალოცვილი რამაზანი,
შიმშილმა წელი მამწყვიტა,
გვერძე მიმთრამს ქალამანი.[17]

მჩაგვრელის ხელი ტრადიციულ ქართულ ოჯახს, მის ოდინდელ სიწმინეს, მის მორალსაც სწვდა. მან შებღალა წმიდათა წმიდად მიჩნეული ქართველი ქალის მანდილი, მან ფეხქვეშ გათელა ქმრისა და შვილის, ცოლისა და დედის ბუნებრივი და საზოგადოებრივი უფლებები. მოთარეშენი შეურაცხყოფდნენ ქალსა და რძალს, მასობრივად იტაცებდნენ მათ და ტყვეთა ბაზარზე უსულგულოდ ჰყიდდნენ.

სოფელ უდეში ჩაწერილი გადმოცემის თანახმად, „აქ ვინცხა

[15] სოფ. მუსხში 1938 წელს გ. ოქრომელიძის თქმით ჩაწერილი თქმულებიდან.

[16] მაღარიები — მაღაროები, გამოქვაბულები.

[17] ჩაწერილია კ. სამსონიძის მიერ სოფ. ტატანისში (ახალც. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალებიდან).

მეიდან-ბეგი ყოფილა, მუდამ ლამაზ ქალებს თხოულობდაო. ლამაზ ქალს მშობლები მურს წაუსვემდნენო, ძველ ტანისამოსს ჩააცმევდნენ, რო ბეგს არ მოეწონოსო".[18] მესხურ სიტყვიერებაში შეიძლება გამოვყოთ თქმულება-გადმოცემებისა და ლექსების მთელი ციკლი, რომელიც ნათლად ასახავს ქართველი ახალგაზრდების, სილამაზით განთქმული ქალებისა და ვაჟების ყაჩაღურად გატაცებას და მათ გაყიდვას ტყვეთა ბაზარზე:

მანდ რო ქალი დავიკარგე,
განჯელ თათარსო ვყავარო,
დღისით მიყრია ბორკილი,
ღამე ოთახში ვყავარო, —

გულსაკლავად ჩივის მშობლების კალთას ვერაგულად მოწყვეტილი ტყვე გოგონა, რომელიც სასოებით იხვეწება შინაურებისა და მეზობლების მიმართ: თითო შაური მომიგროვეთ, გამომიხსენით, „უცხო ქვეყნისა ტყვე ვარო"...

მტრისაგან შუაღამისას მოტაცებული მანდილოსნის ტრაგიკულ ხვედრს გადმოგვცემს ერთი მხატვრულსახოვანი ლექსი. სახლში მარტოდ დარჩენილი ქალი, რომელმაც ვერ იცნო კარზე მომდგარი მტრები და ქართული სტუმართმოყვარეობის წესით მოეპყრო, მოსთქვამს თავის მწარე ამბავს:

წუხელი ლაშქრად მოვიდნენ
შუაღამისა ხანსაო,
ავდექ, ავანთე სანთელი,
ფიცხლა მივარდი კარსაო:
ოქროსა სკამი უბოძე,
— დაბრძანდი შენსა, მზესაო!
ჩექმის სახდელად უჩოქე,
ჯიღვი მიღერა ყბასაო...

ქალი გაიტაცეს. იგი დასტირის თავის შავ ბედს და განაგრძობს თხრობას:

ავდექ, გაველ, გავიარე,
გაუდექ შავსა გზასაო,
გადაველ, გადავემძრახე
ივანეს, ჩემსა ძმასაო:
— აგერ, მივდივარ, მივჰყავარ
შვიდი დღის სავალ გზასაო,
შემიკვრენ შვიდსა ფიცარსა,

[18] სოფ. უდეში 1938 წ. ჩაწერილი ს. ბალახაშვილის თქმით.

შემაცურებენ ზღვასაო,
ზღვა დამკრამს, მიწა დამლეკამს
მე, ძუძუკოკობ ქალსაო“

გზად იგი თურქ-ოსმალო მხეცებს არ ნებდება და წყალში იხრჩობს თავს. ლექსი ბრწყინვალე პოეტური ფერებით ასახავს გმირულად დაღუპული ქალის სიკვდილს:

მორევივითა თვალები
ამოუვსია ლამსაო,
იმისი ბროლის თითები
დაუწეწკია ქვასაო;
შვიდნაწნავ გიშრის თმაშია
დაუბუდნია თევზსაო...
იმისი მოვის პერანგი
მობიბინებდა წყალსაო,
იმისი მოვის სარტყელი
გარს შემორტყმოდა ზღვასაო.[19]

***

მტრის ავმა ხელმა სამი საუკუნის მანძილზე სრულიად გააპარტახა მესხეთის ზვიად ათაბაგთა ყოფილი სამფლობელო. სიცარიელემ და უდაბურებამ დაისადგურა მონასტერთა სავანეებში, კულტურის ამ განთქმულ კერებში, ქალაქებში სიცოცხლე ჩაკვდა. მჭიდროდ დასახლებული ხეობები მოსახლეობისგან დაიცალა, ნასახლარნასოფლარებმა, ნაოხარმა და „ვერანა“ ადგილებმა აავსო ერთ დროს ცხოველმყოფელი „ქვეყანა სამცხისა“. „დღეს მესხეთს ვეღარ იცნობთ, — მწუხარებით წერდა ნანგრევად ქცეული მხარის მხილველი, ქართველი პუბლიცისტი ალ. ფრონელი, — აჩრდილი და ნატამალია წარსულისა, ჩონჩხი რა არის, ჩონჩხისთვისაც ვერ შეგვიდარებია რ უ ს თ ვ ე ლ ი ს, ბ ე ქ ა ს ა და ა ღ ბ უ ღ ა ს სამშობლო, ისე დაკნინდა ეს მშვენიერი და სიცოცხლით სავსე მხარე ძველის ერთიანის საქართველოსი. დღევანდელი მესხეთი ერთი შემზარავი, თვალგადუწვდენელი და უსამზღვრო სასაფლაოა. ქართველი მოგზაური, ქართული ისტორიის ცოდნით შეიარაღებული, სწორედ დასნეულდება აუარებელი ნანგრევების ხილვით. დღევანდელ თითოეულ სოფელს 3-4 ნასოფლარის ადგილ-მამული უჭირავს. ნასოფლარს რუსები пустошь-ს ეძახიან. ყურთა სმენა წაიღო სწორედ ამ „პუსტოშმა“, რომელიც ძალაუნებურად მხოლოდ სიკვდილსა და უბე-

[19] ჩაწერილია სოფელ ვალეში გ. ნადირაძის თქმით 1945 წ.

დურებას მოგვაგონებს. მერე ნეტა თითო-ოროლას ლამაზი სახელი მაინც არ ერქვას, მაგალითად, ვარდისუბანი, თივთიკა, მეშურნეთი, ტბასაწოლი და სხვა“.[20]

***

არასდროს არ შეუწყვეტია ქართველ ხალხს შეუპოვარი ბრძოლა მომხდურ-დამპყრობთა წინააღმდეგ, საბოლოოდ არასდროს არ მოუდრეკია ქედი მის სამშობლოზე მოზღვავებული მტრების წინაშე. გაჩანაგებული და აოხრებული ქვეყანა ისევ იბრუნებდა სასიცოცხლო ძალებს, ისევ იშუშებდა მაოხრებელთა მიერ მიყენებულ ჭრილობებს, დროებით დაცემული კვლავ ფეხზე დგებოდა და პატრიოტიზმის მაღალი გრძნობით ისევ განაგრძობდა თავდაცვითს ბრძოლებს. მესხი, ჯავახი, აჭარელი და ჭანი მოსახლეც არასოდეს არ შერიგებია თურქ აგრესორს და უაღრესად ძნელ პირობებში უწევდა წინააღმდეგობას, ამიტომ უძლეველობისა და სიმტკიცის მძლე ჰანგებიც მოისმის მესხური ხალხური სიმღერებიდან.

რბევა-აწიოკებისა და ხოცვა-ჟლეტის შემზარავი ეპიზოდების გვერდით ხალხის მეხსიერებაში მტკიცედ არის ჩამჯდარი ძალადობისა და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლთა უკვდავი სახელები. ხალხი უმღერის და დიდების შარავანდედით მოსავს თავისუფლებისათვის თავდადებულ გმირ ვაჟკაცებს:

ბიჭი ვარ გოგიტაული,
თოფი მაგდია მხრიანი,
აწყვერში დავიარები
როგორც ირემი რქიანი.

მეორე ლექსში:

შავი ხარ, შავსა ცხენს ზიხარ,
შავი თაქალთო გიგია,
კუპრის პერანგი გაცვია,
ზედ ნავთის ღილი გიგია,
გამოხვეულხარ აბჯარში,
შუბლზე ალმასი გიგია!

სხვაგან შექებულია დუშმანის მმუსვრელი ახალციხელი ბიჭი, რომელსაც მტრის სისხლის ღვრა სიკეთედ ეთვლება:

შენ, ბიჭო ახალციხელო,
ხმა შენი ჩამოდიოდა,
შენი ნახოცი ლეკ-თურქი

[20] ალ. ფრონელი. დიდებული მესხეთი. გორი, 1916 წ., გვ. 7.

არაგვში ჩამოდიოდა,
დიდი-პატარა გლოცემდენ,
სიკეთე გამოდიოდა...

სხვა ლექსებში გადმოცემულია მესხი სახალხო გმირების — ყაფლანის, ანდურყაფარის, კოპაძის (იგივე სოლაღა), ბუტულაშვილის და სხვათა — სასახელო საქმეები. ხალხურ ნაწარმოებთა მთელი წყებაა შექმნილი საქართველოს განთქმულ სარდალთა, მეფეთა და იმ სახელოვან მოღვაწეთა ირგვლივ, რომელთაც ღვაწლი მიუძღვით მესხეთის ისტორიულ ცხოვრებაში. დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის და გიორგი სააკაძის სახელები სასიყვარულოდ ჟღერენ ხალხის შემოქმედებაში, მაგრამ მათ შორის ასპინძის ლეგენდარული გმირის ერეკლე მეორის სახე განსაკუთრებით ცოცხლად არის გადმოცემული.

ერეკლეს მებრძოლი ფიგურა ერთ ლექსში ასპინძის ფონზე დინამიკურად არის წარმოსახული:

ასპინძას ერეკლე ვნახე,
ხელში ეჭირა ხმალიო,
ჩეხა დაუწყო ლეკ-ოსმალთ,
ადინა სისხლის ღვარიო,
კოხტა ბელადიც იქ მოკლა,
მასაც გაუპო თავიო.
რისთვის ეომე ერეკლეს,
ხომ არ გეგონა ქალიო?!

ისტორიულ ამბავთა შორის მოხუცი მთქმელები ხალისით მოგვითხრობენ წინაპართა გადმოცემებს, ისინი მიგვითითებენ იმ ადგილებზე, სადაც სამხრეთ საქართველოს გასათავისუფლებლად 1770 წელს ცნობილი ასპინძის ომი გადახდილა. მიგვითითებენ იმ ხიდის ბურჯებზე, რომლის ისრებიც ერეკლემ მოხერხებულად გადაახერხინა და რომელიც მეორე დღეს უკანდახეული შეძრწუნებული მტრის შედგომისთანავე ჩატყდა. „რამდენჯერაც ამივლია და ჩამივლია ამ ბურჯებთან, — ამაყად დასძინა ძველი ამბების მთხრობელმა პ. სუდაძემ, — ყოველთვის მომგონებია ერეკლეს ომი და თითქო იმისი ძახილი ყურთა მსმენია“.

***

მაგალითები საკმაოა... წარმოდგენილი მასალიდანაც ნათლად ირკვევა, თუ რა მკვეთრად გამოუხატავს ხალხს თავის სამშობლოში შემოჭრილი მტრის სისხლიანი თარეში, თუ როგორ ღრმად აღბეჭდილა მის ცხოველ მეხსიერებაში მოთარეშეთა ბოროტმოქმედებანი

და წინაპართა გმირული ბრძოლა თავისუფლებისათვის. მესხური ხალხური შემოქმედება თურქ-ოსმალო მტაცებელთა ბარბაროსობის კიდევ ერთი მჭევრმეტყველური საბუთია, იგი ისტორიის სამარცხვინო ბოძზე აკრავს მას, ვინც ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესებს ლახავდა, ვინც მის გულზე ფეხს აბიჯებდა და მშობლიურ ენას პირიდან ჰგლეჯდა. ხალხური შემოქმედების წიაღიდან ნათლად ჩანს, რომ უკვალოდ არ გამქრალა თურქი ბარბაროსის მიერ ჩადენილი მძიმე ისტორიული დანაშაული ქართველი ხალხის წინაშე.

დამპყრობთაგან წარსულში ეგზომ გატანჯული აჭარელი, მესხი და ჯავახი მოსახლეობა დღესაც ოცნებობს, რომ სამხრეთ საქართველოს ორად განკვეთილი სხეული გამრთელდება და ტაო-კლარჯელი გურჯების შემოერთების შემდეგ აღარ მოუხდებათ საკუთარი სამშობლოდან ლტოლვა, ბნელ დარნებსა და გამოქვაბულებში თავის შეფარება...



მარინა გულეიშვილი

საქართველოს სამღვდელოება რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში[1] (XVIII ს. მეორე ნახევარი) თბილისი, 1991

თეზისები

გამოქვეყნებული დოკუმენტების, სპეციალური ლიტერატურისა და ახლად მოძიებული საარქივო საბუთების საფუძველზე, ნაშრომში გაშუქებულია ისტორია ორი ელჩობისა, რომლებიც გაიგზავნენ საქართველოდან რუსეთში XVIII ს. მეორე ნახევარში (1752-1754 წწ. და 1772-1774 წწ.). მიუხედავად წარუმატებლობისა, მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის შემდგომი განვითარების საქმეში. „სათხოვარი პუნქტები", რომლებითაც ელჩები 1772-1774 წწ. წარდგნენ საიმპერატორო ხელისუფლების წინაშე, საფუძვლად დაედო რუსეთისა და საქართველოს შორის 1783 წელს გეორგიევსკში დადებულ ტრაქტატს.

წინასიტყვაობა

აღნიშნულ დიპლომატიურ მისიებს ხელმძღვანელობდნენ მღვდელმთავრები — თბილისის მიტროპოლიტი ათანასე ამილახვარი და კათალიკოსი ანტონი. ამდენად, განხილულია გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ერთი ასპექტი, კერძოდ, ეკლესიის მსახურთა როლი აღმოსავლეთ სა-

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე", №4(10), 2013.

ქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მოძიებული ახალი საარქივო მასალა საშუალებას გვაძლევს, უფრო სრულყოფილად შევაფასოთ იმ მღვდელმთავართა საქმიანობა, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ესოდენ საპატიო და პასუხსაგები მისია. ნაშრომში მხილებულია ზოგიერთი მათგანის (ათანასე ამილახვრის, სიმონ საგინაშვილის, ფილიმონ ხოფელის და რომანოზ არაგვის ერისთავის) არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება მათზე დავალებული საქვეყნო საქმისადმი.

1752-1754 წლებში ქართლ-კახეთის ერთობლივი ელჩობა რუსეთში ათანასე ამილახვრის ხელმძღვანელობით

რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის საწყისები

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია უძველესი დროიდან იღებს სათავეს. რუსული წერილობითი წყაროები მოგვითხრობენ, რომ თავდაპირველად ეს ურთიერთობა გამოიხატა ქორწინებრივი კავშირებით ორივე ხალხის სამეფო ოჯახის წევრებს შორის. ასე მაგალითად, დიდი მთავრის ვლადიმერ მონომახის შვილიშვილს იზიასლავ მსტისლავის ძეს ცოლად შეურთავს ობეზების (ე. ი. ქართველების) მეფის დიმიტრი I-ის ასული. ეს მოხდა 1154 წელს. კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე მიგვითითებს თამარ მეფის ქორწინება ვლადიმირის დიდი მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟზე — იურიზე.

მონღოლების შემოსევამ დროებით ხელი შეუშალა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

ქართულ სამეფოებს შორის პირველი, რომელმაც კავშირ-ურთიერთობა დაამყარა ცენტრალიზებულ რუსულ სახელმწიფოსთან, კახეთის სამეფო იყო. 1491 წ. კახეთის მეფემ, ალექსანდრე გიორგის ძემ (1476-1511 წწ.) ელჩები გაამგზავრა მოსკოვის დიდ მთავართან ივანე III-თან და წერილიც გაატანა.

მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის XVI ს-დან მყარდება. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოსაგვარებლად არაერთხელ იგზავნებოდნენ დიპლომატებად სასულიერო პირები. ერთმორწმუნე ქვეყნებს შორის კავშირ-ურთიერთობის მოგვარებას სახელმწიფო მესვეურები ხშირ-

ად მათ ავალებდნენ. აღსანიშნავია, რომ იმდროინდელი სამღვდელოება სახელმწიფოში მოსახლეობის ყველაზე განათლებულ ფენას წარმოადგენდა.

კახეთის მეფემ ლევან გიორგის ძემ მფარველობისა და დახმარების სათხოვნელად მეფე ივანე IV-ის კარზე სგანგებო ელჩი გაგზავნა. რუსეთის სამეფო კარმა ქართველი ელჩი კარგად მიიღო. ლეკების მარბიელი რაზმების წინააღმდეგ კახეთის დასახმარებლად დამხმარე რაზმი გაიგზავნა. რუსმა მეომრებმა დაიკავეს კახეთის ციხეები და შვიდი წლის მანძილზე (1565-1572 წწ.) იცავდნენ კახელებს ლეკთა შემოსევებისგან. ამ ხანებში რუსეთსა და კახეთს შორის სავაჭრო ურთიერთობა ინტენსიურად ვითარდებოდა.

1586 წ. კახეთის მეფემ ალექსანდრე II-მ მოსკოვში ელჩები მიავლინა. კახეთი რუსეთს სთხოვდა, დაეცვა და მფარველობა გაეწია მისთვის მტრებთან, უმთავრესად ლეკებთან ბრძოლაში. ელჩები ითხოვდნენ, რომ რუსეთს თერგზე აეგო დიდი ციხე და შიგ კარგად შეიარაღებული რუსული გარნიზონი ჩაეყენებინა. ეს გეგმა რუსეთისთვის ხელსაყრელი აღმოჩნდა.

საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური მისიით სასულიერო და საერო პირების მიმოსვლა XVII ს-დან კიდევ უფრო ინტენსიური გახდა და საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე არ შენელებულა.

XVII ს-ის პირველ ნახევარში რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კიდევ უფრო გაფართოვდა, თუ ადრე მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობა მხოლოდ კახეთს ჰქონდა, ამიერიდან საქართველოს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული დაუკავშირდა მას. ეს კავშირი, ცხადია, მეტ-ნაკლები სიახლოვით და სიმტკიცით ხასიათდებოდა. ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა რუსეთის გავლენის განუხრელი ზრდა ამიერკავკასიაში.

XVII ს-ის დასაწყისიდან კახეთის გარდა რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს იმერეთი, სამეგრელო და გურია. ისინი მეტწილად ურთიერთშეუთანხმებლად მოქმედებენ. რუსეთში სტუმრად თვით მეფეებიც მიდიოდნენ, ანდა თავიანთი სათხოვარით ელჩებს გზავნიდნენ.

რუსეთთან აქტიურ დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს თეიმურაზ I, XVII ს. 20-იან წლებში. 1618 წ. 17 ოქტომბერს მან რუსეთში მიავლინა იღუმენი ხარიტონი, 1624 წ. 14 მარტს — არქიეპისკოპოსი თეოდოსი, არქიმანდრიტი არსენი და არქიდიაკვანი კირილე, ხოლო 1635 წ. 20 დეკემბერს — მიტროპოლიტი ნიკიფორე,

რომლის ელჩობის პასუხად რუსეთიდან გამოგზავნეს ვოლკონსკი, ხვატოვი და არქიმანდრიტი იოსები, რომელთაც თეიმურაზ I-ისგან „ფიცის წიგნი“ მიიღეს. XVII ს-ში დიპლომატიური მისიით რუსეთიდან საქართველოში ჩამოვიდნენ თავადი მიშეცკი და მდივანი კლიუჩეროვი. XVIII ს. 30-იან წლებში დასავლეთ საქართველოდან რუსეთში ელჩად მიავლინეს ეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი.

ამ ელჩობებმა დიდი წვლილი შეიტანეს რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის განმტკიცებაში.

საქართველოს პოლიტიკური ვითარება 1752-1754 წლების წინა ხანებში

ქართლში თეიმურაზ II-ის გამეფების შემდეგ (1745 წ.) ქვეყანამ ნელ-ნელა დამშვიდება იწყო. ფეოდალებმა ადრინდელი გავლენა დაკარგეს, მეფეებთან ბრძოლაში დასუსტდნენ და ძველებურად ვეღარ ებრძოდნენ ეროვნული დროშის ქვეშ მებრძოლ ქრისტიან მეფეს. თეიმუზარ II-მ და ერეკლე II-მ რუსეთში სგანგებო ელჩობა გაგზავნეს ათანასე თბილელისა (ამილახვრის) და თავად სიმონ მაყაშვილის ხელმძღვანელობით.

სანამ უშუალოდ აღნიშნულ ელჩობას შევეხებოდეთ, მოკლედ მიმოვიხილავთ საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას, რამაც განაპირობა აღნიშნული ელჩობის ორგანიზება.

XVIII ს. მეორე ნახევარი საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში ქართველი ხალხის მთელი რიგი წარმატებებით აღინიშნა. ქართლ-კახეთის შეერთებული ძალები ლეკებს ამარცხებენ და ამ უკანასკნელთა თარეში დროებით სუსტდება. მაგრამ მიუხედავად შედარებითი ძლიერებისა, ქართლ-კახეთი იმ ხანად სპარსეთის ვასალად ითვლება.

ნადირ-შაჰის მიერ გაერთიანებული სპარსეთი შინაბრძოლებში იყო ჩართული. ქართლ-კახეთმა ისარგებლა შექმნილი ვითარებით და სპარსეთის დამოკიდებულებისგან ფაქტობრივად განთავისუფლდა. თბილისისა და სხვა ციხეებიდან სპარსთა ჯარები უბრძოლველად განდევნეს. სპარსეთს უკვე აღარ შეეძლო ქართლ-კახეთის გაძლიერებისთვის ხელი შეეშალა. როდესაც თეიმურაზმა და ერეკლემ ყაზახი შემოიერთეს, ხოლო შემდეგ ერევნისა და განჯის ხანები დაიმორჩილეს და ხარკი დაადეს, სპარსეთი იძულებული გახდა, ამაზე გულისტკივილით დათანხმებულიყო. უფრო მეტიც — ერეკლე და თეიმურაზი ამიერიდან თვით სპარსეთის საქმეებშიც აქტიურად

ერეოდნენ.

ხელახლა აღდგნენ სპარსელთა წინააღმდეგ და თითქმის მთელი სპარსეთი ხელში ჩაიგდეს ავღანელებმა. როდესაც მათმა წინამძღოლმა აზატ-ხანმა თავრიზი აიღო, ამ ქალაქის თავმა შველა ქართველებს სთხოვა. ერეკლეს დახმარებისთვის მიმართეს ერევნის, განჯის, ყარაბაღისა და შირვანის ხანებმაც. თეიმურაზმა და ერეკლემ ჯერ თავრიზზე გალაშქრება გადაწყვიტეს, შემდეგ კი ისპაჰანზე, ბრძოლა ერევანთან მოხდა 1754 წელს. ქართველმა ჯარმა სძლია აზატ-ხანის დიდძალ ლაშქარს. ამ გამარჯვების შედეგად ქართველთა ძლიერება ყველასთვის ნათელი გახდა. აზატ-ხანის დამარცხების შემდეგ საქართველოს სპარსეთის მხრიდან შიში აღარ ჰქონდა. ერეკლემ თავის მოხარკედ გადააქცია მოსაზღვრე განჯის, ერევნისა და ნახჯევანის სახანოები. ირანში შექმნილ ვითარებას ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს მისი უახლესი მეზობლები — რუსეთი და თურქეთი. ირანის ამბებს ფართოდ ეხმაურებოდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებიც.

თურქეთმა, რომელიც ადრე ერთმორწმუნე ავღანელებისთვის დახმარების გაწევას აპირებდა, თავისი პოლიტიკა შეცვალა, რადგან დაინახა, რომ ქართველთა გამარჯვებები ირანში არც იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ საფრთხე შეექმნა თურქეთის საზღვრებისთვის. აზატ-ხანის გამეფებას კი შესაძლოა მთელი ირანის გაერთიანება მოჰყოლოდა, რაც თურქეთს აღარ აწყობდა, რადგან იქ კარგად ახსოვდათ ის დიდი უსიამოვნებანი, რაც თურქეთს ნადირ-შაჰის მიერ გაერთიანებულმა სპარსეთმა მიაყენა. ამდენად, ერეკლეს მიერ აზატ-ხანის დამარცხება თურქეთისთვის დადებით მოვლენას წარმოადგენდა. მაგრამ არც თურქეთი იყო ნეიტრალური საქართველოს მიმართ. მე-18 ს-ის მეორე ნახევრიდან იგი ლეკებისა და აზერბაიჯანელი ხანების შემოსევების სულისჩამდგმელია.

რუსეთი ყოველნაირად ცდილობდა თურქეთთან ყოველგვარი უთანხმოების თავიდან აცილებას, რადგან მთელი მისი ყურადღება პრუსიის იმპერატორის აგრესიული პოლიტიკისკენ იყო მიპყრობილი, რომელიც დაქსაქსული გერმანული მიწების პრუსიის ირგვლივ გასაერთიანებლად იბრძოდა. პრუსიას მიზნის მიღწევაში ინგლისი ეხმარებოდა, რომელიც ფინანსურ დამხარებას უწევდა მას. მოწინააღმდეგეებად გამოდიოდნენ ავსტრია, საფრანგეთი და რუსეთი. ეს იყო „შვიდწლიანი ომის“ წინა ხანები.

ასეთი იყო საერთაშორისო ვითარება, როდესაც თეიმურაზ II-ის ინიციატივით 17 კაცისგან შემდგარი ელჩობა რუსეთში გაემგზავრა.

ელჩობის ხელმძღვანელებად დაინიშნა თბილისის მიტროპოლიტი ათანასე ამილახვარი და კახელი თავადი სიმონ მაყაშვილი. აღნიშნული ელჩობის გამგზავრება იმ კონკრეტულ მომენტში გადაწყდა, როდესაც ავღანელი აზატ-ხანი თავისი დიდძალი ლაშქრით საქართველოს მოხარკე ერევნის სახანოს მიადგა. ბრძოლის მომენტში ერევნის ხანმა უღალატა მეფეებს და მტრის მხარეზე გადავიდა. ქართველები სასტიკად დამარცხდნენ. ცოტა ხნით ადრე საქართველომ მარცხი განიცადა შაქის მმართველ ჰაჯი ჩელებისთან ბრძოლაში. ქვეყნის შიგნით კი პაპუნა ორბელიანის თქმით: „ალაგი არ იყო, რომ ლეკი არ იდგა“.

1752 წლის ელჩობა ქართლ-კახეთის მეფეთა პირველი ერთობლივი ნაბიჯი იყო დიპლომტიურ სარბიელზე. ელჩებს ქართლ-კახეთის მეფისგან რუსეთის საიმპერატორო კარზე უნდა წარედგინათ ოფიციალური თხოვნა საქართველოსთვის მფარველობის გაწევის შესახებ, რათა დაეცვათ იგი ირგვლივ მცხოვრები მაჰმადიანების რბევა-აწიოკებისგან. ამასთან ერთად, ელჩებს რუსეთის სამეფო კარზე მიჰქონდათ რუსეთის იმპერატორებისგან მათი წინაპრებისთვის ადრე ბოძებული, ქვეშევრდომობის ამსახველი სიგელები ხელახალი დადასტურებისთვის.

ელჩებს დაევალათ, საიმპერატორო კარზე გადაეცათ საიდუმლო ზეპირი დანაბარებიც, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის ჯარის დახმარებით შინაბრძოლებში ჩაბმული, დასუსტებული სპარსეთის იმ ქალაქების ხელში ჩაგდების შესაძლებლობას, რომელნიც საქართველოს საზღვართან ახლოს მდებარეობდნენ. საქართველოს მესვეურები იმედოვნებდნენ, რომ რუსთა ჯარის შემოსვლით ირგვლივ მცხოვრები მაჰმადიანები მუდმივ შიშში იქნებოდნენ.

1752-1754 წწ. ელჩობის მიმდინარეობა

ათანასე ამილახვარს რუსეთში დაუხვდნენ თავისი ძმისწულები: ევგენი და ეგორ ამილახვრები. ძმები ამილახვრები მოსკოვში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე იყვნენ დანიშნული. ასე მაგალითად, ევგენი — აღმოსავლეთის კოლეგიის პრეზიდენტად, ხოლო ეგორი — თავდაპირველად მოსკოვის ობერპროკურორად, შემდეგ კი — იუსტიცკოლეგიის მრჩევლად. იგი მონაწილეობდა მოქმედი კანონმდებლობის, ახალი კანონების გადამამუშავებელ და გამომცემელ, ელისაბედ პეტრეს ასულის მიერ შექმნილ კომისიაში.

როგორც საბუთებიდან ირკვევა, ათანასე ამილახვარმა „ნად-

ვორნი სოვეტნიკ“ ეგორ ამილახოროვს, თავისი საელჩო დავალებები გააცნო. ემიგრანტმა თავადებმა ბოროტად გამოიყენეს მისი ნდობა, აქტიურად ჩაერივნენ მის საელჩო საქმეებში და მოქმედებდნენ ქართლელი ბაგრატიონების სურვილის შესაბამისად. ათანასე, სიმონ მაყაშვილთან ერთად, გამოცხადდა არა ქართველი მეფეების ადრესატ კანცლერ ბესტუჟევ-რიუმინთან, არამედ ქართლელი ემიგრანტების მფარველ ვიცე-კანცლერ მიხეილ ილარიონის ძე ვორონცოვთან. სიმონ მაყაშვილი, მართალია, ათანასეს ახლდა ამ აუდიენციაზე, მაგრამ მან არ იცოდა, რომ ბესტუჟევ-რიუმინისადმი განკუთვნილი წერილი ათანასეს მისთვის არ ჰქონდა გადაცემული.

1752 წლის 25 დეკემბერს ვორონცოვმა ელისაბედ II-ს ზოგადი სახის მოხსენებითი ბარათი წარუდგინა, რომლითაც აუწყებდა, რომ მან ქართველი ელჩები მიიღო.

ათანასე თბილელი ამ დროს დიდ გაჭირვებას განიცდიდა. მას თავისმა ახლო ნათესავებმა თავიდანვე გზა-კვალი აუბნიეს. როგორც ჩანს, მისთვის აუცილებელი იყო საქართველოდან დამატებითი ინფორმაციების მიღება, რაც, როგორც საბუთებიდან ირკვევა, ხშირად ფერხდებოდა იმავე ქართლელი ემიგრანტების ინტრიგების წყალობით. ამასობაში დრო გადიოდა და ათანასე თბილელი აყოვნებდა მეფეთა ზეპირი დანაბარების ჩამოყალიბებას რუსეთის საიმპერატორო კარზე გადასაცემად. ათანასე გრძნობდა, რომ მას ხელს უშლიდნენ თავის საქმიანობაში, ამიტომაც გამოსთქვამდა ეჭვს, ხომ არ იკარგებოდა საქართველოდან მისთვის გამოგზავნილი ინფორმაცია. მას, რა თქმა უნდა, ეჭვი ჰქონდა მოსკოვში მცხოვრებ თავის ნათესავებზე, მაგრამ იცოდა რა, რომ უშუალოდ მათგან სინამდვილეს ვერ გაიგებდა, გადაწყვიტა ოფიციალურად მიემართა საგარეო საქმეთა კოლეგიისთვის.

ჩვენ დავადგინეთ, რომ საგარეო საქმეთა კოლეგიამ ათანასეს უმორჩილესი თხოვნის შედეგად პასუხი პორუჩიკ ისაია ახვერდოვს მოსთხოვა, რომელმაც თავის მხრივ შემდეგნაირი ახსნა-განმარტება მისცა: ყიზილარიდან გამომგზავრებისას, იმ დროს იქ მყოფმა იმერეთის ეპისკოპოსმა ფილიმონმა (ხოფელმა) მას სთხოვა, მისი ახლო ნათესავებისთვის გადასაცემად წაეღო მოსკოვში რამდენიმე წერილი, რომელთაგან ერთი მიტროპოლიტ ათანასე თბილელის სახელზე იყო გაგზავნილი მისი დის მიერ. ბოლო წუთებში მან, ე. ი. ფილიმონმა, ყველა წერილი, გზაში რომ არ დაფანტულიყო, ერთად შეკრა და ზემოდან ბაქარის ქვრივის მისამართი დააწერა, ხოლო ეს შეკვრა მოსკოვში ჩასვლისთანავე ახვერდოვმა ბაქარის მეუღლეს გადასცა.

ამ ახსნა-განმარტებას ხელს აწერს თვით ისაია ახვერდოვი. საბუთი თარიღდება 1753 წ. 1 ნოემბრით.

ფილიმონის საქციელი იმით შეიძლება აიხსნას, რომ მას იმ ხანებში ათანასე უკვე ქართლელი ბაგრატიონების მომხრე ეგონა. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა, ჩვენ დავადგინეთ, რომ საგარეო საქმეთა კოლეგიამ 1753 წ. 4 ნოემბერს ბაქარის ქვრივთან თავისი სანდო პირი გაგზავნა და საქმის ვითარების გარკვევა დაავალა.

საბუთების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ფილიმონ ხოფელმა, რომელიც თავის სულიერ მამა იოსებთან ერთად ჯერ კიდევ 1752 წელს მოსკოვში იმყოფებოდა, კავშირი დაამყარა იქ მცხოვრებ ქართლელ ბაგრატიონებთან, რომელნიც, შესაძლოა, მისი ნათესავებიც იყვნენ. მათი სწრაფვა ქართლის ტახტის დასაბრუნებლად ფილიმონისთვის კარგად იყო ცნობილი. ამიტომაც 1753 წელს, რუსეთში დაბრუნებისას, მან საქართველოდან გამოტანებული წერილები და მათ შორის ათანასეს კუთვნილიც, რომლის მეშვეობით 1752 წლის ელჩობის მეთაურს საქართველოს იმდროინდელი ვითარება უნდა შეეტყო, გამოუცდელი პორუჩიკის ისაია ახვერდოვის საშუალებით ხელში ჩაუგდო ბაქარ ბატონიშვილის ქვრივს, ანა გიორგის ასულ გრუზინსკაიას, რომელმაც მოხერხებულად აიცილა წაყენებული ბრალდება და ყველაფერი ახვერდოვს გადააბრალა.

უნდა აღინიშნოს, რომ ახვერდოვის ახსნა-განმარტება სრულ ნდობას იმსახურებს. მაშინ როდესაც ბაქარის ქვრივის პასუხში მოჩანს ინტრიგაში გაწაფული დიდგვაროვანი ქალბატონი. მოძიებული საბუთები კიდევ ერთხელ ააშკარავებენ იმ დიდ წინააღმდეგობას, რომელთა გადალახვას ეცადა (მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ შეძლო) ქართლ-კახეთის მეფეთა ელჩი ათანასე თბილელი. ქართლის ბაგრატიონები არც ფარულსა და არც აშკარა საშუალებებს არ ერიდებოდნენ, რათა ათანასე მეფეთა თვალში გაეშავებინათ, საბოლოოდ ჩამოეშორებინათ საელჩო საქმიანობისგან და თავიანთ მხარეზე გადაებირებინათ.

განვიხილოთ, თუ რა პოზიციის ეკავა ამ დროს მეორე ელჩს — სიმონ მაყაშვილს. როგორც სპეციალური ლიტერატურიდან ჩანს, რადგანაც საელჩო საქმეების წარმართვა უმთავრესად ათანასე თბილელს ჰქონდა დავალებული, ელჩობის დასაწყისში სიმონ მაყაშვილი პასიურობდა. მაგრამ დრო გადიოდა და უნაყოფო ცდით შეწუხებული სიმონ მაყაშვილი მოთმინებას კარგავდა. მით უმეტეს, რომ თავისი ნათესავების ინტრიგებში გახლართული გულზვიადი ათანასე თბილელი საქმის ნამდვილ ვითარებას მას არ აცნობდა.

მაყაშვილმა 1753 წ. მაისამდე თუ ივნისამდე არც კი იცოდა, რომ ათანასემ ბესტუჟევ-რიუმინისადმი მიწერილი მეფეთა წერილი ადრესატს არ ჩააბარა. როგორც ჩანს, ამ ამბის გარკვევაში მას საგარეო საქმეთა კოლეგიის თარჯიმანი დავით აბაზაძე დაეხმარა.

ელჩებს შორის დიდი უსიამოვნება ჩამოვარდა. მოთმინებიდან გამოსულმა სიმონ მაყაშვილმა გადაწყვიტა მეფეთა სიტყვიერი დავალებანი და ის კონფლიქტი, რაც მასა და ათანასეს შორის ჩამოვარდა, წერილობით ჩამოეყალიბებინა და კანცლერ ბესტუჟევ-რიუმინისთვის წარედგინა, რომელმაც შემდეგში ქართლ-კახეთის მეფეთა მისამართით შედგენილი პასუხი სწორედ ამ მისი მოხსენების მიხედვით დაამუშავა. კანცლერ ბესტუჟევ-რიუმინისადმი გაგზავნილ თავის ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში იგი წერდა, რომ მასა და ათანასეს შორის არსებული უთანხმოების ძირითად მიზეზი იყო ათანასეს მიერ მისთვის (ე. ი. კანცლერისთვის) მეფეთა მიერ მიწერილი წერილის ჩაუბარებლობა.

ქართველი ელჩების უთანხმოებამ, რომელიც რუსეთის სამეფო კარისთვის ცნობილი გახდა, იქ არავითარი რეაქცია არ გამოიწვია.

ნათესავების ინტრიგების შედეგად გზააბნეული ათანასე ამის შემდეგ ცდილობდა, რუსეთის სამეფო კარის ჩაურევლად მოეგვარებინა საქმე და შექმნილი კონფლიქტის გარჩევა საქართველოს მეფეებისთვის მიენდო, რომელნიც მას განუსაზღვრელად ენდობოდნენ. თუ რა სახით გააცნო მან ქართველ მეფეებს საქმის ვითარება, ზუსტად არ არის ცნობილი. მაგრამ არსებული დოკუმენტების მიხედვით სავარაუდოა, რომ მას ქართველი მეფეები თავის სიმართლეში დაურწმუნებია და მოუხსენებია, რომ საელჩოს საქმიანობაში თავისი უადგილო საჩივრებით სიმონ მაყაშვილი უშლიდა ხელს. ამიტომ სთხოვა მათ, ჩამოეცილებინათ იგი საელჩო საქმიანობისთვის. თეიმურაზ II-ის და ერეკლე II-ის წერილებიდან, რომლებიც მეფის რუსეთის კანცლერისა და ვიცეკანცლერისადმი იყო მიმართული, ირკვევა, რომ ისინი ნდობას მხოლოდ ათანასეს უცხადებდნენ. წერილები დათარიღებულია 1753 წ. 8 ივნისით.

1753 წ. 10 ოქტომბერს ქართლ-კახეთის მეფეებმა კიდევ ერთი განუსაზღვრელი ნდობით აღსავსე წერილი გაუგზავნეს ათანასეს, სადაც კვლავ სთხოვდნენ, რათა რუსეთის სამეფო კარის მოხელეებს ელჩობის პასუხი დაეჩქარებინათ. ამასთან ატყობინებდნენ, რომ სიმონ მაყაშვილი გაფრთხილებულია თავისი უტაქტო საქციელის გამო.

ათანასემ მეფეებს სიმონ მაყაშვილის დისკრედიტირებისთვის

საჭირო ცნობები, როგორც ირკვევა, ბესტუჟევ-რიუმინისადმი მაყაშვილის ოფიციალური საჩივრის გაგზავნამდე მიაწვდინა. შესაძლოა, ათანასეს იმ ხანად ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ მისი ნათესავები მას მოქმედების სწორ გეზს კარნახობდნენ, ხოლო სიმონი კი თავისი აჩქარებით საქმეს ვნებდა. მაგრამ დრო გადიოდა და ელჩებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო მწვავდებოდა.

სიმონ მაყაშვილი გრძნობდა, რომ ათანასე თავისი ნათესავების ხრიკების შედეგად თავის მოქმედებას მეფეების წინაშე ვერ გაამართლებდა და რუსეთში დარჩენას შეეცდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ 1754 წლამდე ამგვარი სურვილის შესახებ რუსეთის სამეფო კარისთვის არავითარი ოფიციალური განცხადება ჯერ არ ჰქონდა წარდგენილი.

ათანასე თბილელმა 1754 წლის 27-28 თებერვალს, რუსეთში საელჩო მისიით ჩამოსვლიდან წელიწადნახევრის შემდეგ, როგორც იქნა, მოხსენებითი ბარათი წარუდგინა საგარეო საქმეთა კოლეგიას, სადაც სამ პუნქტად ჩამოაყალიბა ქართველ მეფეთა ზეპირი დანაბარები. აღნიშნული მოხსენებითი ბარათი აშკარად ზერელედ იყო შედგენილი და, ამდენად, ფორმალურ ხასიათს ატარებდა. აქ არაფერი იყო ნათქვამი მეფეთა მიერ წამოყენებული წინადადებების შესახებ, რომელიც სპარსეთის ქალაქების აღების შესაძლებლობას შეეხებოდა. არ იყო ნახსენები არც მათი თხოვნა ჯარით დახმარების შესახებ. ამგვარად, ამ მოხსენებით ბარათში გამოტოვებული იყო ყველა ის პუნქტი, რის განხორციელებასაც აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ მოსკოვში მცხოვრები ქართლის ტახტის მაძიებლები.

როგორც ირკვევა, ამ ხანებში ათანასესთვის უკვე აშკარა იყო, რომ იგი თავისი ნათესავების ხრიკებს თავს ვეღარ დააღწევდა, რადგან მათთან წინააღმდეგობა უშედეგო იყო და გადაწყვიტა, ამ ფორმალური მოხსენებითი ბარათით თავისი საელჩო საქმიანობა ოფიციალურად დაემთავრებინა; როგორც ელჩობის ხელმძღვანელს, მიეღო რუსეთის სამეფო კარის პასუხი, და ამ პასუხით თავისი საელჩო კრებული სამშობლოში გაემგზავრებინა, თვითონ კი საბოლოოდ მოსკოვში დარჩენა გადაწყვიტა, რადგან იმ ხანად უკვე გაგებული ჰქონდა (შესაძლებელია თვით ვიცეკანცლერის, ანდა თავისი ნათესავების საშუალებით), რომ კანცლერი ბესტუჟევ-რიუმინი სიმონ მაყაშვილის მოხსენებათა საფუძველზე ელჩობის საპასუხო მოხსენებას ადგენდა.

1754 წლის 21 მარტით თარიღდება ბესტუჟევ-რიუმინის საიდუმლო მოხსენებითი ბარათი, რომელიც მან იმპერატრიცა ელისაბედ

I-ს წარუდგინა. აქ მან ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებანი 1752 წლის ქართლ-კახეთის ელჩობასთან დაკავშირებით, აღნიშნული მოხსენების საფუძველზე, ჩვენ საშუალება გვეძლევა თვალი გავადევნოთ მეფის რუსეთის დიპლომატიის საიდუმლო გადაწყვეტილებებს ქართლ-კახეთის სამეფოებთან დაკავშირებით XVIII ს-ის სამოციანი წლების დასაწყისში.

კანცლერი, უპირველესად ყოვლისა, უარს აცხადებს საქართველოში რუსეთის დამხმარე ჯარის გაგზავნაზე. მიზეზად იშველიებს შორ მანძილს, რომ ყოველივე ეს თვით ქართველი მეფეებისთვისაც კარგად ცნობილი ფაქტია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც აგზავნიან ელჩებს, რათა რუსეთთან მჭიდრო კონტაქტებით დააშინონ თურქები და სპარსელები. მისი აზრით, რუსეთის იმპერიის ინტერესები სრულიადაც არ მოითხოვენ ქართველებისთვის დახმარების გაწევით სპარსეთის საქმეებში ჩარევას, მით უმეტეს, იმ დრომდე, სანამ თურქეთი ნეიტრალიტეტს იცავს ირანის საქმეების მიმართ. ამიტომ ისე უნდა მოვიქცეთ, რომ თურქეთს არავითარი ეჭვი არ აღვუძრათ რუსეთის ნეიტრალურ პოზიციასთან დაკავშირებითო.

ყოველივე ამის შედეგად, მას საჭიროდ მიაჩნია, ქართლ-კახეთის აღნიშნულ ელჩობაზე მეფეთათვის ოფიციალური წერილობითი პასუხის გაგზავნა. ცხადია, რომ რუსეთისთვის საქართველოს მეფეების რეაქციას რუსეთის სამეფო კარის ამგვარ მოქმედებაზე მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან თუ განაწყენებული მეფეები რუსეთის ორიენტაციას უღალატებდნენ, რუსეთში ხომ მრავლად იყვნენ თავშეფარებული ქართლის ტახტის მაძიებელი ბაგრატიონები, რომელნიც ყოველგვარ პირობებზე თანახმა გახდებოდნენ.

ყოველივე ამის შედეგად, მას საჭიროდ მიაჩნია საქართველოდან ხშირი და სწორი ინფორმაციის მიღება. ამ სახის დაზვერვითი სამუშაოების ჩასატარებლად კანცლერი შესაფერის კანდიდატურად ასახელებს ქართველ ჰუსართა პოლკის ოფიცერს ოთარ თუმანოვს.

ზემოაღნიშნულ მოხსენებით ბარათზე იმპერატრიცა ელისაბედ I-ის ხელით დაწერილია «Быть по сему». ეს ნიშნავდა, რომ ამ მოხსენებითი ბარათის ყოველი პუნქტი ცხოვრებაში უნდა გატარებულიყო.

1754 წლის მარტში საგარეო საქმეთა კოლეგიამ, კანცლერ ბესტუჟევ-რიუმინის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ქართლ-კახეთის სამეფოთა 1752 წლის ელჩობაზე განზრახ უმისამართო და ხელმოუწერელი პასუხი შეადგინა. რუსეთის მთავრობის ოფიციალური პასუხი ქართლ-კახეთის მეფეთა ელჩობაზე, მათი კანონიერ

მემკვიდრეებად ცნობის ტოლფასი იქნებოდა. რაც რუსეთის დიპლომატიურ წრეში ჯერ დღის წესრიგში არ იდგა. სწორედ ზემოაღნიშნულმა ვითარებამ განაპირობა ელჩობის პასუხად არაოფიციალური, უმისამართო და ხელმოუწერელი პასუხის გამოგზავნა ქართლ-კახეთის მეფეებთან.[2]

კვლავ დავუბრუნდეთ ელჩებს და მათ ურთიერთობას მეფის რუსეთის პასუხით სამშობლოში დაბრუნების წინ.

1754 წლამდე ათანასეს ოფიციალურად თავი ისე უჭირავს, თითქოს რუსეთში დარჩენას სრულიადაც არ ფიქრობს და სამშობლოში გამგზავრების სამზადისშია. მაგრამ მისი საქციელი უკვე აშკარა თვალთმაქცობაა. ამას ადასტურებს იმავე 1754 წლის მაისით დათარიღებული საიდუმლო საბუთი, რომლის სათაური და შინაარსი ამტკიცებს, რომ ამ ხანებში ათანასე თბილელი, თავისი ნათესავების ჩაგონებით, სრულიად ჩამოსცილდა დიპლომატიურ საქმიანობას და დაფარული თანამშრომლობა დაიწყო მეფის რუსეთის სადაზვერვო სამსახურში, რასაც, ბუნებრივია, თავის სასულიერო მოღვაწეობასაც უთავსებდა.

1754 წლის ივნისში ათანასე თბილელმა ვიცეკანცლერ მ. ი. ვორონცოვის სახელზე გაგზავნა არზა, სადაც მოითხოვდა ავადმყოფობის გამო რუსეთში დარჩენას და სიმონ მაყაშვილისა და მთელი მისი საელჩო კრებულის საქართველოში გამგზავრების ნებართვას. სიმონ მაყაშვილი და ათანასე თბილელის სამღვდელო კრებული საქართველოში ცარიცინის გზით გაემგზავრა.

მიუხედავად 1754 წლის ელჩობაზე რუსეთის საიმპერატორო კარის არადამაკმაყოფილებელი პასუხისა, ქართლ-კახეთის მეფეებს სხვა არაფერი რჩებოდათ და 1754 წლის 4 დეკემბერს რუსეთის სამეფო კარს მადლობის წერილი გაუგზავნეს, სადაც კიდევ ერთხელ არწმუნებდნენ რუსეთის იმპერატრიცას თავიანთ სრულ ერთგულებაში.

ჩვენთვის უცნობია, როგორი ახსნა-განმარტება მისცა სიმონ მაყაშვილმა მეფეებს ათანასეს საქციელის შესახებ. შესაძლოა, პირველ ხანებში ვერც დაიჯერეს, რომ ათანასე მომიზეზებული ავადმყოფო-

[2] უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ისტორიკოსების შეფასებით, 1752 წლის ელჩობის წარუმატებლობა განაპირობა საქართველოში არსებულმა შიდა განხეთქილებამ და, რაც მთავარია, რუსეთის ქართული ემიგრაციის მოქმედებამ, რომელიც ერეკლე II-ის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ მოვლენათა თანამედროვე მემატიანის, პაპუნა ორბელიანის ლაკონიური დასკვნით: „ვინა ქართველთა შვილნი რუსეთსა შინა იყოფებოდენ, იმათ ერთმანეთის მტრობა და შური არ მოიშალეს და ამათის მიზეზით ქართლში მოხმარება რუსთა აღარ ინებეს“ (ამბავნი ქართლისანი, თბ., 1981. გვ. 222). რედ.

ბის შემდეგ სამშობლოში არ დაბრუნდებოდა. მთელი წლის ლოდინის შემდეგ თეიმურაზი და ერეკლე დარწმუნდნენ, რომ ათანასემ რუსეთში დარჩენა გადაწყვიტა.

მეფეები იძულებული გახდნენ, ათანასეს სამშობლოში ჩამოსაყვანად რუსეთში სპეციალირად გაეგზავნათ 1752 წლის ათანასეს საელჩო კრებულის ერთ-ერთი წევრი, თბილისის სიონის მღვდელი სიმონ საგინაშვილი. 1755 წელს სიმონ საგინაშვილი კვლავ რუსეთში გაემგზავრა. მას მეფეებმა რუსეთის სამეფო კარზე წარსადგენი წერილები გაატანეს. რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში წარდგენილ მოხსენებით ბარათში საგინაშვილი წერს, რომ ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიამ მხოლოდ 1756 წლის 29 ივნისს მისცა მოსკოვში გამგზავრების უფლება. ქართლ-კახეთის მეფეთა მიერ გამოგზავნილი წერილები მან საგარეო საქმეთა კოლეგიის მოსკოვის განყოფილებაში წარადგინა, საიდანაც ისინი პეტერბურგის სიმპერატორო კარზე უნდა გაეგზავნათ, რადგან თვით საგინაშვილმა ავადმყოფობა მოიმიზეზა, პეტერბურგში გამგზავრებაზე უარი განაცხადა და გადაწყვიტა, პასუხის მოლოდინში მოსკოვში დარჩენილიყო. აღნიშნულ მოხსენებით ბარათში იგი სარჩენ ფულს ითხოვს თავისთვის და მსახურისთვის. საბუთი 1756 წლის 6 მარტით თარიღდება.

სავარაუდოა, რომ საგინაშვილმა ათანასეს ჩაგონებით აარიდა თავი პეტერბურგში გამგზავრებას და, ამრიგად, პირადად არ შეასრულა მეფეთა დანაბარები, ხოლო საგარეო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების მოლოდინში მოსკოვში თავის ყოფილ პატრონთან მოკალათდა, სადაც სამშობლოში გამგზავრების წინ, როგორც ჩანს, საკმარისად აღჭურვეს მეფეთა საწინააღმდეგო ინსტრუქციებით.

სიმონ საგინაშვილმა მოსკოვში ქართველი მეფეების მიერ მეფის რუსეთის კანცლერთან და ვიცეკანცლერთან მიწერილი თითქმის ერთი და იმავე შინაარსის ორი წერილი ჩაიტანა.

სიმონ საგინაშვილი ყოველგვარი პასუხის გარეშე გაისტუმრეს სამშობლოში. საგინაშვილის მისიის საპასუხოდ ათანასემ სასწრაფოდ კვლავ წერილით მიმართა თავის მფარველს — კანცლერ მიხეილ ილარიონის ძე ვორონცოვს. მიუხედავად ქართველი მეფეების კატეგორიული მოთხოვნისა, ათანასე თბილელი მოსკოვში იქნა დატოვებული, რაც, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ მისი სურვილით არ იყო ნაკარნახევი. მიზეზი იმისა, რომ მას აგრერიგად მფარველობდა სინოდი და საგარეო საქმეთა კოლეგია, ჩვენთვის უკვე ნათელია. მას, საქართველოდან ახლად ჩასულ, განსწავლულ მღვდელს, ბევრი რამ უნდა სცოდნოდა იმდროინდელი საქართველოსა და, საერთოდ,

მთელი კავკასიის პოლიტიკური ვითარების შესახებ. ამიტომ იგი ერთნაირად საჭირო იყო როგორც მეფის რუსეთში მოკალათებული რეაქციული ქართლელი თავადაზნაურებისთვის, ასევე თვით მეფის რუსეთისთვის მისი პოლიტიკის გასატარებლად. ათანასეს მფარველი სინოდი, როგორც მეფის რუსეთის იდეოლოგი, დაინტერესებული იყო ათანასეს მსგავსი მოხელეებით, რომელნიც თავის სასულიერო სამსახურს წარმატებით უთავსებდნენ რუსეთის სადაზვერვო უწყებაში მუშაობას.

სამშობლოში დაბრუნებულმა სიმონ საგინაშვილმა, როგორც ჩანს, ათანასე თბილელის ინსტრუქციის შესაბამისად დაიწყო მოქმედება და დიდი არეულობა და შფოთი ატეხა სიონის ეკლესიის სამღვდელოებაში. კერძოდ, დავა და უთანხმოება მოხდა მასა და დეკანოზ ნიკოლოზს შორის, რომელიც მასავით 1752 წლის ელჩობის მონაწილე იყო.

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ ათანასეს, რომელმაც დიდი პოპულარობა მოიხვეჭა არა მხოლოდ რუსეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს შორის, არამედ თვით რუს მოსახლეობაშიც. სხვა ქართველ იერარქებთან ერთად, იგი მღვდელმსახურებას კრემლის მეფე-მთავართა განსასვენებელ მთავარანგელოზის ტაძარში ასრულებდა. 1755 წლის 24 ოქტომბერს სინოდის მოსკოვის განყოფილების დადგენილების თანახმად, მას ხელქვეითად დაენიშნა ერთი იპოდიაკონი და საეკლესიო მგალობლები. ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთხელ მიუთითებს მის „დამსახურებაზე“ მეფის რუსეთის მმართველი წრეების მიმართ.

გაორებული ხასიათისა იყო ათანასე თბილელის მოღვაწეობა რუსეთში ცხოვრების პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ იგი მშობლიურ მიწა-წყალს მოსწყდა, კავშირი გაწყვიტა ქართლ-კახეთის მეფეებთან და მათ მიმართ მტრულად განწყობილთა ბანაკში გადაინაცვლა, კულტურის სფეროში მოღვაწეობით მან მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია თავის სამშობლოს.

1761 წლის 21 დეკემბერს ათანასემ სინოდს თხოვნით მიმართა, რათა ნება მიეცათ მისთვის, მოსკოვში ქართული სტამბა მოეწყო. სინოდმა ამაზე მას თანხმობით უპასუხა და ათანასემ პრესნიაზე დააარსა ქართული სტამბა, რომელსაც უფრო მოგვიანებით ანტონ კათალიკოსის მიერ ვლადიმირში მოწყობილი სტამბაც შეუერთა. სტამბის კორექტორად მან მელქისედეკ კავკასიძე დანიშნა, ხოლო სტამბის საერთო ზედამხედველად — ჩვენთვის ცნობილი „ნადვორნი სოვეტნიკი“ ევგენი ამილახოროვი. რუსული ტექსტების მიხედვით

საბეჭდი მასალის გამსწორებლად მუშაობდა ათანასეს ახლო ნათესავი დიმიტრი ციციანოვი. 1765 წელს ამ სტამბაში მთელი რიგი საეკლესიო ხასიათის წიგნებისა დაიბეჭდა: სამოციქულო, დავითნი, ლოცვანი, ჟამნი და ლათინური, ბერძნული და რუსული ანბანი, რომელიც სინოდმა რუსეთის იმპერატრიცას საჩუქრად მიართვა. ამავე სტამბიდან 1762 წელს გამოვიდა „დაუჯდომელი“, 1767 წელს — „პარაკლისი“ და სხვ.

1769 წლის 20 სექტემბერს ათანასემ სინოდს გადასცა კათალიკოს ანტონ I-ის თხოვნა წმინდა მირონის რუსეთიდან საქართველოში გაგზავნის შესახებ. სინოდმა ამაზე თანხმობა განაცხადა და ათანასეს ხელწერილით საქართველოში ვედრონახევარი მირონი გაიგზავნა. ამ ფაქტს იმ დროისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთ-საქართველოს შემდგომი დაახლოების საქმეში.

რუსეთში მოღვაწეობისას ათანასე მჭიდრო კავშირ-ურთიერთობას ამყარებს ქართულ ეკლესიებთან. მის მიერ დაარსებულ სტამბაში დაბეჭდილ სასულიერო ლიტერატურას იგი რეგულარულად აგზავნის სამშობლოში.

ათანასე სიცოცხლის ბოლო ხანებში ცხოვრობდა მოსკოვის ჯვართამაღლების მონასტერში, სადაც გარდაიცვალა 1774 წლის 9 იანვარს. იგი დონის მონასტერში დაკრძალეს.

აღმოსავლეთ საქართველოს საელჩო მისიები რუსეთში 1772-1774 წწ. ელჩობის წინა პერიოდში

1752-1754 წწ. ელჩობის წარუმატებლად დასრულებამ ვერ შეაფერხა რუსეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის შემდგომი გაღრმავება. 1760 წელს მეფე ერეკლეს ინიციატივით რუსეთში კვლავ გაემგზავრა ელჩობა, რომელსაც მეფე თეიმურაზ II თაოსნობდა.

მეფე თეიმურაზის სათხოვარს შეადგენდა ჯარი, ანდა ჯარის დასაქირავებელი ფულადი სესხი, რათა აელაგმათ მოძალებული ლეკები და შეჭრილიყვნენ ფეოდალური შინაამლილობით დასუსტებულ ირანში, სადაც სპარსელი დიდებულების ყრილობა უნდა მოეწვიათ და რუსეთისთვის სასურველი პირი შაჰად დაესვათ. მაგრამ რუსეთის მთავრობა თურქეთის გაღიზიანებას მოერიდა, რადგან თვითონ ევროპის საქმეებით იყო დაკავებული. პრუსიის აქტიური პოლიტიკა ევროპაში მეფის რუსეთის მთავრობას მეტად მწვავე და საშიშ მოვლენად მიაჩნდა. პრუსიის წინააღმდეგ შვიდწლიან ომში

ჩაბმული, იგი აღმოსავლეთის საქმეებში ჩარევას არ აპირებდა. ამიტომ იყო, რომ თეიმურაზი კარანტინის საბაბით კარგახანს ასტრახანში დააყოვნეს.

თავის მხრივ თეიმურაზიც იცავდა კონსპირაციას, რათა თურქეთთან და ირანთან ურთიერთობა არ გაემწვავებინა. ამიტომაც იგი ოფიციალურად აცხადებდა, რომ პეტერბურგში მიემგზავრება, რათა თავისი წინაპრების მსგავსად თაყვანი სცეს რუსეთის ხელმწიფე იმპერატორს.

1761 წლის მარტში იგი წარდგა იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულის წინაშე და წარუდგინა თავისი წინადადებანი. მაგრამ მეფის რუსეთის მთავრობა, როგორც უკვე აღინიშნა, იმხანად, მის ზრახვებს არ ეთანხმებოდა.

რუსეთის მხრიდან რეალურ დახმარებაზე იმედგაცრუებული თეიმურაზი სამშობლოში გამომგზავრების წინ თხოვნით მიმართავდა მეფის რუსეთის მთავრობას, რათა იმედი მაინც მიეცა, რომ მომავალში დაეხმარებოდა ქართლ-კახეთს, მაგრამ ვერც ამ თხოვნაზე მიიღო დადებითი პასუხი. შვიდწლიანი ომის დამთავრების მოლოდინში მეფის რუსეთს სხვა საქმეებისთვის აღარ ეცალა.

1762 წ. 8 იანვარს თეიმურაზ II მოულოდნელად პეტერბურგში გარდაიცვალა. მისი ამალის წევრებმა იგი ასტრახანში ჩამოასვენეს და თავისი სიმამრის, მეფე ვახტანგ VI-ის გვერდით ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარში დაკრძალეს. ასე რომ, 1760 წ. ელჩობა რუსეთში წარუმატებლად დამთავრდა.

ამის შემდეგ რუსეთ-თურქეთის ომით (1768-1774 წწ.) გამწვავებულ პოლიტიკურ ვითარებაში, მნიშვნელოვანი ზეპირი დავალებებით, მეფე ერეკლე II-მ რუსეთში ელჩად მიავლინა თავადი არტემონ ანდრონიკაშვილი. იგი 1769 წლის 5 ივლისს გაემგზავრა რუსეთში, ერთი აზნაურისა და 7 მსახურის თანხლებით.

არტემონ ანდრონიკაშვილს მეფის რუსეთის მთავრობისთვის უნდა მოეხსენებინა, რომ მეფე ერეკლე II ყოველთვის მონდომებულია ჯეროვანი სამსახური გაუწიოს ხელმწიფე-იმპერატორს, რათა მოიპოვოს რუსეთის მფარველობა, რასაც მომავალში ელოდება. ერეკლეს წინადადებანი კი ასეთი იყო: 1. თუ მისი იმპერატორობითი დიდებულება საჭიროდ მიიჩნევს სპარსეთზე გალაშქრებას, იგი სიხარულით დაიწყებს ომს სპარსეთთან. 2. ამჟამად კი, როდესაც იგი, მეფე ერეკლე, თურქეთთან ომისთვის ემზადება, რუსეთის მთავრობისგან ითხოვს, რათა მან საქართველოსთვის სიმშვიდე უზრუნველყოს სპარსეთის მხრიდან. ამის შესახებ რუსეთის სამეფო კარმა

სპარსეთის მესვეურებს უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება. 3. საქართველოში ბევრგან მოიპოვება ოქროს, ვერცხლის და სხვა მადნები. ამიტომ მეფე ერეკლე ითხოვს, რათა მისი იმპერატორობითი დიდებულების ჯარს გამოაყოლონ მეცნიერები, რომლებიც ამ სიმდიდრეს აქ მოიძიებენ, რისი განხორცელებაც ამდენ ხანს ვერ ხერხდებოდა მტრების გამუდმებული შემოსევების შედეგად.

ამასთან, მეფე ერეკლემ ა. ანდრონიკაშვილის ხელით რუსეთის უპირველესი მინისტრის ნიკიტა ივანეს ძე პანინისთვის გადასაცემად გაატანა ქართულ ენაზე შედგენილი აღწერილობა (შემდეგ ხვაბულოვის მიერ რუსულად თარგმნილი) იმ ქალაქებისა და ქვეყნებისა, რომლებიც ქართლსა და კახეთს ემიჯნებოდნენ. აღწერილია იქ მცხოვრები ხალხების ზნე-ჩვეულება, თუ როგორი მეომრები არიან, ვის მფლობელობაში თუ ქვეშევრდომობაში ითვლებიან და სხვ.

არტემონ ანდრონიკაშვილის ელჩობამ დადებითი შედეგი გამოიღო. ამას ამტკიცებს რუსეთის სამხედრო კორპუსის ჩამოსვლა საქართველოში, გენერალ ტოტლებენის მეთაურობით, და სამთამადნო საქმის ოსტატების ჩამოსვლა პროფესორ გიულდენშტეტის წინამძღოლობით. ა. ანდრონიკაშვილი რუსეთში მოქმედებდა მასთან ერთად წასულ იმერეთის მეფის სოლომონ I-ის (1751-1784 წწ.) დესპან დავით კვინიხაძესთან შეთანხმებით.

ანტონ ბაგრატიონისა და ლეონ ბატონიშვილის ელჩობა რუსეთში 1772-1774 წწ.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება 1772-1774 წწ. ელჩობის წინა პერიოდში

XVIII ს-ის ბოლო მეოთხედში საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება მკვეთრად შეიცვალა.1768 წელს რუსეთმა თურქეთთან ომი დაიწყო. ორივე მხარე მტრის წინააღმდეგ თავისი მეზობელი მცირე ხალხების ამხედრებას ცდილობდა. რუსეთი დიდ იმედს ამყარებდა ბალკანეთის მცხოვრებლებზე: ბერძნებსა და განსაკუთრებით ჩერნოგორიელებზე, ასევე პოლონელებსა და კავკასიის ქრისტიანებზე. თურქეთი თავის მხრივ იმედოვნებდა დახმარების მიღებას ყირიმისა და კავკასიის მაჰმადიანებისგან.

რუსეთის მთავრობის ოფიციალურ მოწოდებას ბალკანეთის

ხალხები არ გამოეხმაურნენ. პოლონეთის მეფეს, რომელიც ეკატერინე II-ის აქტიური დახმარებით იქნა პოლონეთის სამეფო ტახტზე აყვანილი სტანისლავ-ავგუსტის სახელით, თვით რუსეთის ჯარი ეხმარებოდა აჯანყების ჩაქრობაში. ამდენად, მას ომში ჩაბმა არ შეეძლო. ყირიმის ხანი, როგორც მოსალოდნელი იყო, ომის გამოცხადებისთანავე შეიჭრა რუსეთის სამხრეთ საზღვრებში და თარეშით თვით კიევამდე მივიდა. შემდეგ კი მთელი სამხედრო კამპანიის განმავლობაში თურქეთის მხარეზე იბრძოდა რუსეთის წინააღმდეგ. ყაბარდოელებსაც მუდმივად ეჭირათ თავიანთი ერთმორწმუნეების — თურქების მხარე. ომის დასაწყისიდანვე ისინი მტრულ განწყობას ამჟღავნებდნენ რუსეთის მიმართ, მაგრამ გენერალმა მედემმა დაამარცხა ისინი 1769 წელს და მიაღებინა რუსეთის ქვეშევრდომობა.

მხოლოდ ქართველი მეფეები გამოეხმაურნენ ხალისით რუსეთის მთავრობის მოწოდებას და თურქეთთან ომში აქტიურ მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს. მაგრამ ამისთვის მათ აუცილებლად მიაჩნდათ რუსეთიდან ჯარის, ანდა ნივთიერი დახმარების მიღება. ქართველ მეფეებს სრულიად გარკვეული მიზეზები ამოძრავებდათ. სოლომონს რუსეთის ჯარი საშინაო და საგარეო საქმეების მოსაგვარებლად სჭირდებოდა. მისი აზრით, რუსების ხელშეწყობით იგი თავადებს დაიმორჩილებდა, ოსმალთა მიერ მიტაცებულ ტერიტორიას დაიბრუნებდა და თურქებს იმერეთიდან გააძევებდა.

ერეკლეს მიზანს შეადგენდა რუსთა ჯარის დახმარებით ოსმალეთის მიერ მიტაცებული მესხეთის შეერთება, ჭარ-ბელაქნის დაპყრობა და ქართლ-კახეთში ლეკიანობის მოსპობა. ამის გარდა, რაკი საქართველო რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობაში იქნებოდა, ეს მას ირან-ოსმალეთის მომავალი თავდასხმებისგან დაიცავდა.

რუსეთი მიზნად ისახავდა „საქართველოს მხრიდან მძლავრი დივერსიის მოწყობას“, ძირითადად, ქართველთა სამხედრო ძალის გამოყენებით, რათა ამ გზით მტრის დიდი ძალები მიეზიდა საქართველოს საზღვრებთან და ამით ხელი შეეშალა თურქთა საომარი მოქმედებისთვის ძირითად ფრონტზე. საქართველოს საქმეების რწმუნებულს, თავად მოურავოს რუსეთის მთავრობა 1769 წლის 28 მაისის ინსტრუქციით ავალებდა, რომ ყოველი ღონე ეხმარა ქართველი მეფე-მთავრებისა და გავლენიანი თავადების დასარაზმავად. სამაგიეროდ, მეფის მთავრობა არ იშურებდა ქართველ მეფეთათვის უხვ დაპირებას. იგი აღუთქვამდა მათ, რომ მომავალ სამშვიდობო ტრაქტატში, რომელიც თურქეთთან დაიდებოდა სპეციალური „არტიკულობით“, მათი სამეფოების ინტერესები იქნებოდა დაცული.

იმ დროს, როდესაც ერეკლე მეფესთან რუსეთის იმპერატორის ელჩი იმყოფებოდა, მას ოსმალეთის დესპანები ეწვივნენ, რომელნიც თავიანთი მთავრობის სახელით მხოლოდ იმას ითხოვდნენ, რომ საქართველოს ამ ომში მონაწილეობაზე უარი ეთქვა, მაგრამ ერეკლემ ისინი უპასუხოდ გაისტუმრა და უყოყმანოდ მიემხრო რუსეთს. **ქართველ მესვეურთა საგარეო პოლიტიკას ყოველთვის ახასიათებდა რუსეთის ასეთი დიდი ნდობა.**

მეფის რუსეთის მთავრობამ საქართველოში ოსმალეთის საწინააღმდეგო სამხედრო მოქმედებისთვის გამოგზავნა გენერალი ტოტლებენი ერთი ქვეითი პოლკით, ორი ასეული ცხენოსანი კარაბინერით, ორი ასეული ცხენოსანი ჰუსარით, ორასი დონელი კაზაკით, სამასი ყალმუხით და თორმეტი საველე ზარბაზნით. რუსთა ჯარის გამოჩენამ საქართველოს მმართველი წრეები კიდევ უფრო მეტად განაწყო რუსეთის მიმართ. ცნობილია, რომ XVIII ს-ში რუსეთის ჯარი და საომარი იარაღი ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა მთელს მსფლიოში. საქართველოში ერთობლივი მოქმედებისას რუსეთ-საქართველოს შეერთებულ ლაშქარს არც ერთხელ არ განუცდია მარცხი. მართალია, მხედართმთავრებს შორის ხშირად აღიძრა მნიშვნელოვანი უთანხმეობა, მაგრამ ამან ქართველებში რუსეთის ორიენტაციის პოპულარობა ვერ მოშალა.

ცნობილმა ავანტიურისტმა გენერალმა ტოტლებენმა თავისი აღვირახსნილი მოქმედებით დახმარების ნაცვლად ქართველ მეფეებთან ურთიერთობა უკიდურესად გაამწვავა. რუსეთის სამეფო კარმა ტოტლებენი უკან გაიწვია და მის ნაცვლად გენერალი სუხოტინი დანიშნა. არც სუხოტინს გაუღიმა ბედმა. იგი ადგილობრივ პირობებს არ იცნობდა, ხოლო გამოცდილი ხალხის რჩევას არად აგდებდა. ყოველთვის თავისი სურვილის შესაბამისად მოქმედებდა, რითაც დიდი ზიანი მიაყენა რუსეთის მხედრობას.

1771 წელს, ჯერ კიდევ რუსეთის ჯარის საქართველოში ყოფნისას საქართველოს მესვეურნი დარწმუნდნენ, რომ თურქეთი ამ ომიდან გამარჯვებული ვეღარ გამოვიდოდა. ამ ხანებში ქერიმ ხან ზენდთან ერეკლეს მიერ მიწერილი წერილიდან აშკარა ხდება, რომ ერეკლე ზუსტ ინფორმაციას ფლობდა აღნიშნულ ომში რუსეთის გამარჯვების შესახებ, **ჯერ კიდევ 1771 წელს ქართველმა დიპლომატებმა დაასკვნეს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლა დროული აქტი იქნებოდა.** მით უფრო, რომ დამარცხებული თურქეთი საზავო ხელშეკრულების დადებისას საქართველოს საკითხის ამგვარ გადაწყვეტას წინ ვეღარ აღუდგებოდა. ამით დაი-

მედებულმა აღმოსავლეთ საქართველოს მმართველმა წრემ რუსეთთან მჭიდრო კონტაქტის დამყარება ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის 1772-1774 წწ. ომის მიმდინარეობის პირობებში გადაწყვიტა.

სწორედ ამ მიზნით 1771 წლის 29-30 დეკემბერს ერეკლე II-ის განკარგულებით საქართველოდან რუსეთის საიმპერატორო კარზე გაიგზავნა სგანგებო ელჩობა ანტონ კათალიკოსისა და ლეონ ბატონიშვილის ხელმძღვანელობით.

1772-1774 წწ. ელჩობის მიმდინარეობა

1768-1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დასასრულის მოახლოება მეფე ერეკლემ და საქართველოს იმდროინდელმა მესვეურებმა ხელსაყრელ მომენტად მიიჩნიეს და რუსეთის საიმპერატორო კარზე სგანგებო ელჩობა გაგზავნეს. ელჩებს იმპერატორისთვის უნდა წარედგინათ ხელშეკრულების პროექტი, რომლის ძალითაც იურიდიულად უნდა გაფორმებულიყო საქართველოს რუსეთის მიერ მფარველობა. ამ საპატიო და პასუხსაგები მისიის შესრულება წილად ხვდათ იმდროინდელი საქართველოს ყველაზე წარჩინებულსა და გავლენიან პირებს — ერეკლეს ძმას, ანტონ კათალიკოსსა და სრულიად ახალგაზრდა, 16 წლის ნიჭიერ და ენერგიულ ლეონ ერეკლეს ძეს.

როგორც საბუთებიდან ირკვევა, ელჩობის სამზადისი 1771 წლის დასასრულს დაწყებულა. საბუთების დიდი უმრავლესობა, რომლებიც ელჩებმა თან წაიღეს რუსეთში (ხელშეკრულების პროექტი და ოფიციალური წერილები), 1771 წლის 29-30 დეკემბრით თარიღდება.

ელჩობის ხელმძღვანელად მეფე ერეკლემ ანტონ კათალიკოსი დანიშნა. ამიტომ იგი ელჩობასთან დაკავშირებულ წარდგინებებსა და წერილებში თავდაპირველად კათალიკოსს ახსენებს, ხოლო შემდეგ ლეონ ბატონიშვილს. მიუხედავად ამისა, რუსეთში ჩასულ ელჩებს შორის მეფის მთავრობა უპირატესობას 16 წლის ბატონიშვილს ანიჭებდა. ამიტომ ელჩების მიმართ დაწერილ საბუთებში თავდაპირველად მიმართავენ ჯერ მას, ხოლო შემდეგ ანტონ კათალიკოსს.

ჩვენი აზრით, ანტონის მიმართ ასეთი დამოკიდებულება გამოწვეული იყო ერთგვარი უნდობლობით, რომელსაც მეფის მთავრობა მის მიმართ იჩენდა, როგორც ქართლის ბაგრატიონთა წარმომადგენლის მიმართ, რომელიც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ქართლ-კახეთის მეფეთა ამ მოწინააღმდეგე ბანაკის აქტიურ წევრად ითვლებოდა. საფიქრებელია, რომ რუსეთის საიმპერატორო კარზე ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ ათანასე ამილახვარსა და სიმონ მაყაშვილს შო-

რის მომხდარი კონფლიქტი და, რომ ამგვარი ფაქტი კვლავ აღარ განმეორებულიყო, საქმიანი ურთიერთობა უშუალოდ კახელი ბაგრატიონების წარმომადგენელთან დაამყარეს.

წარადგენდა რა რუსეთის საიმპერატორო კარზე „სათხოვარ პუნქტებს", მეფე ერეკლემ კარგად იცოდა, რომ მარტო ერთმორწმუნეობისთვის მფარველობასა და დახმარებას ვერ მიიღებდა. საჭირო იყო უფრო არსებითი რამ, რაც რუსეთის სამეფო კარს დააინტერესებდა. ამიტომ „სათხოვარი პუნქტებიც" ამის გათვალისწინებით იქნა შედგენილი. უპირველესად ყოვლისა, მეფე ერეკლე ითხოვდა: „...მისის იმპერატორობის დიდებულებისგან... რომელ განვთავისუფლდეთ აწვე წარმართთაგან და როგორც უკაზით ებრძანა მეფესა ჩვენსა საქართველოსი მფარველობასა შინა თვისისა დიდებულებისასა მიღება, რომ ბრძანებული ესე აღსრულდესო". მეფე ერეკლე ეკატერინე II-ისადმი მიწერილ წერილშიც ახსენებდა მას რუსეთის მეფეთაგან საქართველოსთვის ადრე მოცემულ პირობას მფარველობის გაწევის შესახებ.

თუ რაში უნდა გამოხატულიყო რუსეთის მფარველობა, „სათხოვარ პუნქტებში" შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „...მიეცეს ჯარი კაცი რიცხვით ოთხი ათასი რეგულარნი და თუ სულ რეგულარნი არ იქნებოდეს ნახევარი რეგულარნი და ნახევარი ურეგულო. საკუთრად ჩვენს მხარეზედ, რათა ებრძოდნენ ესენი და მეფე ჩვენი ზოგად ჩვენის მხრიდან ოსმალთა. და როგორც მეფე ჩვენი ისმენდეს ამ თქმულს კორპუსის კამენდირისას ეგრევე კორპუსის კამენდირიც ისმენდეს ჩვენის მეფისას ვითარცა იქაურთა საქმეთა შინა გამოცდილისასა". აქვე ნათქვამია, რომ ბაგრატიონთა გვარეულობა კვლავ სამეფო ტახტზე დარჩებოდა, მაგრამ იქნებოდა მეფის რუსეთის მორჩილი და იმ სამსახურის შემსრულებელი, რომელიც აქვე „სათხოვარ პუნქტებში" იყო ჩამოყალიბებული. კათალიკოსის უფლებები უცვლელი უნდა დარჩენილიყო. ამასთან, მეფე ითხოვდა, რათა ყირიმში განთავისუფლებული ტყვე ქართველებისთვის სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცათ. მეფე ვალდებულებას კისრულობდა, რომ რუსეთის კორპუსისა და ადგილობრივი ლაშქრის ერთობლივი საბრძოლო მოქმედების შედეგად დაბრუნებული ქართული ტერიტორიებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში შეგროვილი გადასახადით გადაიხდიდა რუსეთის ხაზინის მიერ კორპუსისთვის გაწეულ დანახარჯს. ამასთან, ხსენებული კორპუსის საქართველოში ყოფნის პერიოდში საჭირო ხარჯებისა და თვით ქართული ჯარის შესანახი თანხის დასაფარავად იგი ხელმწიფისგან სესხს ითხოვდა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წყალობის სანაცვლოდ, მადლობის ნიშნად, მეფე ერთ თავის ძეს და რამდენიმე თავადისა და აზნაურის შვილებს რუსეთის სამსახურში გააგზავნიდა. ამასთან ერთად, მეფე პირდებოდა: „...რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში მეტალი არის და ამიერიდან იპოვება და იქიდან სარგებელი მოიპოვება, ნახევარი მისის დიდებულების ხაზინას მიერთმის“.

მეფე ვალდებულებას კისრულობდა, ყოველ წელიწადში ქართლ-კახეთში მცხოვრებ თითო კომლზე რუსეთის იმპერიის ხაზინის სასარგებლოდ თოთხმეტი შაური გადასახადი შემოეღო. ამასთან ერთად, მას ყოველ წელს რუსეთის საიმპერატორო კარისთვის თოთხმეტი რჩეული ცხენი უნდა გაეგზავნა. „სათხოვარ პუნქტებში“ ამასთან ნათქვამი იყო: „როდესაც მძლავრობით სპარსნი ფლობდეს საქართველოსა ზედა, ორს წელიწადში ერთჯერ ცხრას ტყვეს წაართმევიდიან და გლეხის თითოს კომლზე ათოთხმეტს შაურის მოჰკრეფდიან ამავე ტყვეების სახმარისთვის. და კვალად ორმოცდაათს საპალნეს რჩეულს ღვინოს თავიანთის ხარჯით წაიღებდნენ სახელმწიფოდ და ახლა ჩვენ რიცხვით ორიათას ვედროს ჩვენის ქვეყნის რჩეულს ღვინოს ყიზლარს სახელმწიფოდ ყოველს წელიწადს ჩვენის ხარჯით მოვიტანოთო“.

რუსეთის კორპუსისა და ქართველი ჯარის ოსმალთაგან მოტაცებული მიწების დასაბრუნებლად ერთობლივი ბრძოლის პერიოდში აღთქმული გადასახადის გადახდას მეფე კისრულობდა, ხოლო მიწების დაბრუნების შემთხვევაში რუსეთში გასაგზავნი გადასახადი ამ მიწების მცხოვრებლებისგან აიკრიფებოდა. გადასახადის რაოდენობა ასე განისაზღვრებოდა: „რაოდენსაც რუსეთში სოფლების პატრონების გლეხნი აძლევენ იმის ნახევარი“. — ამასთან „თუ კახეთის მამულები, რომელიც წართმეული აქვს, დაიპყრობს ბედნიერობითა დიდებულებისა მისითა იმათგანაც აღთქმულისაებრ თვითოს გლეხის სახლისგან ათოთხმეტი შაური სახელმწიფოდ მიერთმოდეს ყოველს წელიწადს და კვალად ორასი ფუთი აბრეშუმი. და თუ ის მამულები მეტს შეიძლებენ, მეტი მიერთმის“.

შემდეგ ერეკლე ითხოვდა თურქეთთან ზავის დადებისას გათვალისწინებული ყოფილიყო, რომ ახალციხე, როგორც ძველთაგან საქართველოს კუთვნილი მხარე, საქართველოსვე დაბრუნებოდა, მით უფრო, რომ აქ მცხოვრებ ქრისტიანებს თურქნი „მძლავრობით მაჰმადიანად მრავალს გარდააქცევენ“.

ამასთანავე მეფე კისრულობდა, რომ როდესაც „...ჩვენი ქვეყანა წარმართთაგან განთავისუფლდება და დამშვიდდება, მაშინ ჩვე-

ნის მამულიდამ ქონებულისა და ახალ დაპყრობილიდამ მიართვამს იმის დიდებულებას გლეხის სახელზედ სალდათს რაოდენსაც სულზე რუსები აძლევსო"; ხოლო თუ ქართველთა და რუსთა შეერთებული ძალებით „სხვადასხვა მტრის მამული დაიჭირება", ის დაპყრობილი ადგილები იმპერატორის გამგებლობაში დარჩება.

როგორც დავინახეთ, საქართველოს ერთიანობის აღდგენა და მაჰმადიან მტერთაგან მისი გამოხსნის გეგმა ქართველმა პოლიტიკოსებმა საფუძვლიანად დაამუშავეს. მაგრამ ქართველ მესვეურთა გეგმების განხორციელებას ხელს უშლიდა მეფის რუსეთის იმდროინდელი დაძაბული საშინაო და საგარეო ვითარება.

1771 წელს რუსეთში შავი ჭირის ეპიდემია გავრცელდა. იგი მოსკოვსაც მოედო. ამ ნიადაგზე მოსკოვში აჯანყება დაიწყო. აჯანყების ცენტრი თანდათან იაიკის (ურალის) და დონის კაზაკებსაც გადაედო და ვოლგაზედაც გადაინაცვლა. გლეხთა ეს მღელვარებანი 1773 წლის გრანდიოზულ აჯანყებად გადაიზარდა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ემელიან პუგაჩოვი.

იმპერიის მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე მთავრობას აღარ ემორჩილებოდა, აქაური თავადაზნაურობის დიდი ნაწილი საზღვარგარეთ გასაქცევად გაემზადა. რუსეთის ცენტრალური გუბერნიების გლეხობაც არ იყო მშვიდად. გლეხთა აჯანყების ჩასახშობად მეფის მთავრობა იძულებული გახდა, რუსეთ-თურქეთის ფრონტზე მებრძოლი რეგულარული ჯარები გადმოესროლა.

ბუნებრივია, რომ ამგვარ ვითარებაში მყოფი მეფის რუსეთი თურქეთთან სასწრაფოდ ომის შეწყვეტას და საზავო მოლაპარაკების დაწყებას ცდილობდა. რუსეთის წარმომადგენელს მითითება მიეცა, რათა საჭიროების შემთხვევაში საგრძნობ დათმობებზე წასულიყო. უფრო მეტიც, რუსეთი თანახმა იყო, წინასწარ შემუშავებულ საზავო პირობებში რადიკალური ხასიათის ცვლილებებიც შეეტანა, რაც ყირიმის სახანოს საკითხის მოხსნას და ომამდელი მდგომარეობის უცვლელად დატოვებას ითვალისწინებდა. მაგრამ მთავარსარდალ რუმიანცევის სიმტკიცემ და გამჭრიახობამ იხსნა ყველაფერი. მან მოლაპარაკების პროცესში საკუთარი ინიციატივით მტრის წინააღმდეგ შეტევა განაახლა და ახალი გამარჯვება მოიპოვა, რამაც რუსეთის მთავრობას საშუალება მისცა თურქეთის წარმომადგენლებისთვის აღარ გაემჟღავნებინა ადრე ნავარაუდევი დათმობები. საზავო ხელშეკრულება ქუჩუკ-კაინარჯში მხოლოდ 1774 წლის 10 ივლისს იქნა დადებული. ხელშეკრულების ძალით თურქეთმა რუსეთს ყირიმი დაუთმო. მართალია, ყირიმის რუსეთთან სრული შეერთება უფრო

გვიან, 1785 წელს მოხდა, მაგრამ ეს ფაქტი 1774 წლის ზავმა განაპირობა.

ასეთი იყო საქმის ვითარება რუსეთში, როდესაც მეფე ერეკლეს ელჩებმა რუსეთის საზღვრებს მიაღწიეს. ბუნებრივია, რომ ქართლ-კახეთის მფარველობაში მიღება, ერეკლეს პირობების შესაბამისად, მეფის რუსეთის გეგმებში იმხანად არ შედიოდა.

ჯერ კიდევ 1772 წლის 30 იანვარს, ელჩების ყიზლარში მისვლისთანავე, ასტრახანის გუბერნატორმა ბეკეტოვმა სპეციალური წერილით მიმართა მინისტრ პანინს, სადაც ინსტრუქციას ითხოვდა ასტრახანთან მიახლოებული ელჩების მიღებასთან დაკავშირებით, კერძოდ, გაემგზავრებინა ისინი პეტერბურგში, თუ ასტრახანში დაეყოვნებინა. ამგვარი ინსტრუქცია, წერდა იგი, მას მით უფრო ესაჭიროებოდა, რამდენადაც გაგებული ჰქონდა, რომ რუსეთ-თურქეთის ომში ქართველებმა რუსეთს მცირე დახმარება გაუწიეს. ბეკეტოვს საგარეო საქმეთა მინისტრი ნიკიტა პანინი 1772 წლის 28 თებერვლით დათარიღებულ წერილში ამასთან დაკავშირებით შემდეგნაირ ინსტრუქციას აძლევდა: „...საქართველოს მიმართ ამჟამად სხვა მდგომარეობა იქმნება. იმასთან შედარებით, რაც პორტასთან ომის დასაწყისში არსებობდა, კერძოდ, როდესაც მეფის მთავრობას ძირითადად ქართველების გამოყენებით თურქეთის წინააღმდეგ მძლავრი დივერსიის მოწყობა სურდა. მაგრამ, — წერს იგი, — სინამდვილეში საქმე სხვაგვარად წარიმართა, ამ მხარის მფლობელთა შორის არსებული ურთიერთუთანხმოებისა და თითოეული მათგანის გამთიშავი მოქმედების შედეგად. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, მათი მიწების შინაგანი მოუწყობლობაც შეუძლებელს ხდის მნიშვნელოვან საომარ მოქმედებაში მათ გამოყენებას... ხსენებული მიზეზის შედეგად, რუსეთის სამეფო კარმა გადაწყვიტა, რუსეთის კორპუსი გამოყვანილ იქნას საქართველოდან, ხოლო საქართველოს საქმეების რწმუნებულად განსაზღვრული დროით იქ დატოვებულ იქნას კაპიტანი ლვოვი“.

ცდილობს რა აიცდინოს რუსეთის სამეფო კარისთვის არასასურველი, უდროოდ წარმოგზავნილი ელჩობა, პანინი იმავე წერილში ბეკეტოვს შემდეგს აცნობებს: „ზემოხსენებული ვითარება ქართველი ელჩების მოსვლას რუსეთის საიმპერატორო კარზე ზედმეტს ხდის. მით უფრო, რომ მათ მიღებას საკმაო ხარჯი ესაჭიროება. რუსეთის კორპუსის სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით ირაკლისა და სხვა ქართველი მფლობელების შემდგომი მოქმედება გვიჩვენებს, საჭიროდ ჩავთვლით თუ არა ქართველი ელჩების პეტერბურგში მიღებას, თუ გადავწყვეტთ ასტრახანში მათ დაყოვნებას. ამგვარად,

— წერს იგი, — შექმნილი ვითარება დაგვანახებს, რამდენად შესაძლებლად ჩაითვლება ელჩობის შემდგომი მგზავრობა. თუ ერეკლე ჩვენი ჯარის გამოყვანის შემდეგაც ჩვენს პატივისცემას დაიმსახურებს, ელჩებიც შესაბამისად მიიღებიან რუსეთის საიმპერატორო კარზე, ხოლო საწინააღმდეგო შემთხვევაში უკან უნდა გავაბრუნოთ მიზეზების ზუსტი განსაზღვრით“.

ასტრახანში მოსული ელჩები, ყოველივე ზემოთქმულის გასარკვევად ერთი წლის მანძილზე დააყოვნეს. ასეთი დიდი ხნით დაყოვნების ასახსნელად, ზემოაღნიშნული საბუთის მიხედვით, საგარეო საქმეთა სამინისტროს ინსტრუქციის თანახმად, ასტრახანის გუბერნატორ ბეკეტოვს მათთან ხან მდინარეთა ადიდება უნდა მოემიზეზებინა, ხან მგზავრობისთვის აუცილებელი კარანტინის გავლა, რაც თითქოსდა გამოწვეული იყო იმ მოარული სენისგან საიმპერატორო კარის დასაცავად, რომელიც წინა წელს ზამთარში მოსკოვში მძვინვარებდა. მართალია, ეპიდემია იმჟამად შეწყვეტილი იყო, მაგრამ ხომ შეიძლებოდა კვლავ ეფეთქა.

ამასთან ერთად, აღნიშნულია საბუთში, გუბერნატორს ავალებდნენ ყოველი ღონე ეხმარა, რათა ელჩები მოწყენილი არ ყოფილიყვნენ. მათი შენახვისთვის საჭირო თანხა ძველი წესის მიხედვით უნდა განსაზღვრულიყო. გუბერნატორს მიუთითებდნენ, რათა წინადადება მიეცა ელჩებისთვის, თავიანთი მრავალრიცხოვანი ამალა შეემცირებინათ, მაგრამ ეს ისეთი ფორმით უნდა ეთქვათ, რომ ელჩებს საწყენად არ მიეღოთ.

სანამ ელჩები ასტრახანში იცდიდნენ, რუსეთის სამხედრო კორპუსმა საქართველოს ფარგლები დატოვა. საქართველოდან რუსეთის საბრძოლო კორპუსის გაყვანამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო მეფე ერეკლე და სხვა მთავრებიც, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გამძვინვარებულ მუსლიმანთა რკალში მოემწყვდნენ, არცერთ მათგანს, რუსეთის ორიენტაციაზე ხელი არ აუღია. ისინი ძველებურად მეფის რუსეთს თავის სრულ ერთგულებას ეფიცებოდნენ და ამას არა მხოლოდ სიტყვით აცხადებდნენ, არამედ საქმითაც ამტკიცებდნენ.

მეფე ერეკლე კვლავ გულმხურვალედ ევედრება ეკატერინეს: „არცა უწესონი საქმენი და შეურიგებლობანი მოხდა, რომლითაც სახითა და რომლისა გვამისგანაც, ყოველივე აპატივე შენსა შემყვარებელსა ქრისტესა, რომელმანცა გადიდა შენ, და ნუ მიგვცემ მოუთმენელსა მწუხარებასა და ქვეყნის აოხრებასა, და... მოგვეც წყალობა, ვითარცა მომიხსენებიეს ჩემის ძმისა და ძის გამოტანებულისა არზებით და ეგრეთვე დაბარებულობით“.

1772 წ. 30 დეკემბერს მინისტრმა პანინმა, როგორც იქნა შეატყობინა ასტრახანის გუბერნატორ ბეკეტოვს, რომ იმპერატრიცასგან მიღებულია სანკტ-პეტერბურგში ელჩების გამგზავრების ნებართვა. 1773 წ. 22 იანვარს ბეკეტოვი ატყობინებდა მინისტრ პანინს ელჩებისა და მათი ამალის სანკტ-პეტერბურგში გამგზავრების შესახებ. ელჩებისთვის მთარგმნელად გამოუტანებიათ ყიზლარში მცხოვრები ქართველი მღვდელი გაბრიელ იაკოვლევი. პეტერბურგში ჩასულმა ელჩებმა რუსეთის სამეფო კარზე წარადგინეს მეფე ერეკლეს საჩუქრები, წერილები და „სათხოვარი პუნქტები“.

პეტერბურგში ჩასვლისთანავე კათალიკოსმა ანტონმა, სასულიერო პოზიციებიდან გამომდინარე, ჩვეული მაღალფარდოვანი, სიტყვაკაზმული სტილით დაწერილი ორი ოფიციალური წერილი მოამზადა ეკატერინე II-სა და ტახტის მემკვიდრე პავლე პეტრეს ძისთვის წარსადგენად. წერილების შინაარსი ადრესატებს მოაგონებდა მათს მოვალეობას, დაეცვათ და დაეფარათ ყველა ჩაგრული ქრისტიანული ქვეყანა და მათ შორის საქართველო. მაგრამ, როგორც საბუთებიდან ირკვევა, ეს შესანიშნავი წერილები ანტონს გამოუყენებელი დარჩა, რადგან ელჩები სამეფო კარზე არ მიიღეს. ელჩების პეტერბურგში ჩასვლა იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც რუსეთი თურქეთთან ზავის დასადებად ემზადებოდა.

ამ პერიოდში საქართველოში მყოფ კაპიტან ლევოს მეფის მთავრობამ დააავალა, რათა ზავის დადებამდე ადგილობრივი ძალების მობილიზება მოეხდინა მტრის წინააღმდეგ აქტიური მოქმედების საწარმოებლად. ამასთან დაკავშირებით 1773 წლის 30 მაისს კაპიტანი ლევოვი მინისტრ პანინს ატყობინებდა: „ქართველ მეფეთა შორის ადრევე არსებული უთანხმოება კვლავ გრძელდება. ერეკლესა და სოლომონს ერთმანეთთან შეხვედრა ჯერაც ვერ მოუხერხებიათ და მათ შორის ერთმანეთის დასახმარებლად პირობა ჯერაც არ დადებულა“.

მაგრამ ლევოვის ენერგიული ჩარევის შედეგად მეფეებმა გადალახეს მათ შორის არსებული უთანხოება და 1773 წლის 27 ივლისს სოფელ სანგარში დადეს ხელშეკრულება საერთო მტრის წინააღმდეგ ურთიერთდახმარების შესახებ. 7 მუხლისგან შემდგარი ხელშეკრულების ტექსტი კაპიტან ლევოვის თანდასწრებით იქნა ხელმოწერილი. ხელშეკრულების ასლი მათ რუსეთის მთავრობას გაუგზავნეს. ამის შემდეგ მათ კვლავ ერთიანი ძალით განაახლეს საომარი მოქმედება მტრის წინააღმდეგ.

ქართველ მეფეთა ერთობლივმა მოქმედებამ ახალციხის ფაშას

საპასუხო რეაქცია გამოიწვია. რადგან მას საკუთარი ძალა არ შესწევდა გაერთიანებული ქართული მხედრობისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, ამიტომ იმერეთს დადიანი და აფხაზები აუმხედრა, ქართლ-კახეთს ხუნძახის ბატონი და ჭარელები დაასხა თავს, ქართლს კი ახალციხის მხრიდან ლეკები შეუსია. მაგრამ მეფეებმა მომხდურნი დაამარცხეს და საქართველოდან გარეკეს. შემდეგ კი ერთობლივად ჯავახეთში ილაშქრეს.

იმერეთ-ქართლ-კახეთის 11-ათასიანი ლაშქარი გორში შეერთდა და აქედან ჯავახეთში გადავიდა. მეფეებმა ახალქალაქის ციხე დაიკავეს. ქართველებმა მტრის ტერიტორია მოარბიეს და ბოლოს ყარსსა და არტაანამდე მიაღწიეს, მაგრამ აქ იმერთა მეფე სოლომონი ციებ-ცხელებით გახდა ავად და ისინი იძულებული გახდნენ, თავიანთი ლაშქრით უკან გაბრუნებულიყვნენ.

ამგვარად, ისედაც სავალალო მდგომარეობაში მყოფმა ქართველმა მეფეებმა იმპერატრიცას ეს მოთხოვნაც შეასრულეს იმ იმედით, რომ უზრუნველყოფდნენ რუსეთის იმპერიის მფარველობას. ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფეებს არც დადიანი ჩამორჩებოდა რუსეთის მფარველობის ძიებაში. მაგრამ ვერც მეფეების ერთობლივმა მოქმედებამ მტრის წინააღმდეგ და ვერც დადიანის ცდამ მფარველობის მიღებისა, სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მეფის რუსეთმა ჯერ კიდევ 1773 წლის დასაწყისში გადაწყვიტა, უარი ეთქვა მეფე ერეკლეს „სათხოვარ პუნქტებზე“. ერეკლეს მიმართ მიწერილი წერილის შინაარსი, რომელიც სამოქალაქო საქმეთა მრჩეველის ბაკუნინის ხელით მხოლოდ 1774 წლის 5 თებერვალს გადაეცა ელჩებს სანკტ-პეტერბურგში, მეფე ერეკლეს მიერ პანინისადმი 1772 წლის 3 ივნისს მიწერილი წერილის ნაგვიანები პასუხია. წერილში მინისტრი პანინი მადლობას უცხადებს მეფეს იმ პატივისთვის, რომელიც მან დასდო, როდესაც თავისი ელჩების მეურვეობა დაავალა. პანინი არწმუნებს მეფეს, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი მის მიმართ ძველებურად კეთილგანწყობილია, მაგრამ შექმნილი ვითარება, გამოწვეული თურქეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყებით, სამეფო კარზე ელჩების მიღების საშუალებას არ იძლევა. აქვე პანინი ერეკლეს არწმუნებს, რომ საჭიროა შეირჩეს უფრო ხელსაყრელი მომენტი საქართველოს რუსეთის მფარველობაში მისაღებად. შემდეგ იგი წერს, რომ, რადგან რუსეთის სამხედრო კორპუსის საქართველოში ყოფნამ, რაზედაც თავის დროზე დდ იმედებს ამყარებდა რუსეთის სამეფო კარი, არათუ წარმატება არ მოიტანა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ პირიქით, სინანულით უნდა აღინიშ-

ნოს, რომ ამ საერთო საქმეს წინ მრავალი დაბრკოლება გადაეღობა არა მხოლოდ ურთიერთუთანხმოებისა, მეფე-მთავართა გამთიშავი მოქმედებისა და ქართული მიწების შინაური მოუწყობლობის გამო, არამედ ქართველი და რუსი ლაშქრის სხვადასხვა საბრძოლო წესების არსებობის გამოც, რაც ამ ორი ლაშქრის ერთდროულ მოქმედებას უშლიდა ხელს, ამიტომ, წერს პანინი, ახალი საომარი მოქმედების წამოწყებაზე ფიქრი ზედმეტად მიგვაჩნია. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოსთვის უფრო მიზანშეწონილია, რათა მისი ბედი და უშიშროება პორტასთან მომავალი ზავის დადებისას აქაური ცდებით იქნას უზრუნველყოფილი, ვიდრე ისედაც გაღიზიანებულ მტერს კიდევ უფრო დიდი გაღიზიანების საბაბი მივცეთ ახალი საომარი მოქმედების დაწყებით.

ეს ყოველივე იმ დროს იწერება, როდესაც, რუსეთის სამხედრო კორპუსის სამშობლოში დაბრუნების გამო, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი მეფეებისა და მთავრობის სავალალო მდგომარეობის მიუხედავად, კაპიტან ლევოვს ავალებენ თურქეთთან ზავის დადებამდე ადგილობრივი ძალების ორგანიზებას თურქეთზე ახალ-ახალი თავდასხმების მოსაწყობად. ამავე დროს, რუსეთში ჩასულ ელჩებს, ამჯერად, ერთი წლის განმავლობაში პეტერბურგში აყოვნებენ პასუხის მოლოდინში, რათა, როგორც ჩანს, უდროო უარყოფითი პასუხით ხელი არ შეეშალათ ლევოვის მიერ ორგანიზებული მეფეთა ერთობლივი საომარი მოქმედებისთვის საქართველოში.

მეფე ერეკლეს „სათხოვარ პუნქტებზე“ ოფიციალური პასუხი ელჩებმა წერილობით მიიღეს 1773 წლის 31 დეკემბერს, მათი სამშობლოში გამომგზავრების წინ. მასში ნათქვამია: „დადგა მომენტი, როდესაც საქართველო სიმშვიდეს ითხოვს, ამჟამად მისთვის ყველაზე არსებითს წარმოადგენს თურქეთის მხრიდან უშიშროების გარანტირება, რომელსაც რუსეთის იმპერია მომავალი საზავო ხელშეკრულების დადებისას გაითვალისწინებს“. ლეონ ბატონიშვილი დაასაჩუქრეს 1000 ოქროთი და ძვირფასი ბეჭდით, ხოლო ანტონ კათალიკოსს 2000 მანეთი გადაეცა.

სამშობლოში დაბრუნების წინ ლეონ ბატონიშვილმა, მეფე ერეკლეს ერთ-ერთი „თხოვნის პუნქტის“ თანახმად, რომელიც ყირიმში ტყვედ ჩავარდნილი ქართველების სამშობლოში დაბრუნებას გულისხმობდა, წერილობითი თხოვნით მიმართა საგარეო საქმეთა კოლეგიის მინისტრს ნიკიტა პანინს. პროფ. ვ. მაჭარაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ XVIII ს. მეორე ნახევარში ქართველი ტყვეების დაცვა რუსეთში სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ავიდა. 1758 წელს

იმპერატორის ბრძანებულებით რუსეთის გუბერნიების მესვეურებს დაევალათ, ტყვეობიდან გაქცეული ქართველებისადმი — „ტყვეობაში გატარებული გაჭირვებისთვის მიეცათ სამგზავრო პასპორტი, უზრუნველეყოთ გზაში სურსათით, ღამის გასათევით და მეგზურით, რომ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ“. ამგვარად, ლეონ ბატონიშვილის გამჭრიახობის წყალობით, მრავალი ქართველი ტყვე თავის სახლკარს დაუბრუნდა.

ამრიგად, ქართველი მეფეების ჩაბმამ 1768-1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში და ამასთან დაკავშირებით რუსეთის სამხედრო კორპუსის საქართველოში მოქმედებამ, საქართველოს მოსალოდნელი სარგებლობა ვერ მოუტანა.

ევროპაში რევოლუციური ძვრებითა და ქვეყნის შიგნით პუგაჩოვის მიერ ორგანიზებული გლეხთა გრანდიოზული აჯანყებით შეშინებულმა მეფის რუსეთის დიპლომატებმა XVII ს-ის ბოლოს ამიერკავკასიიდან უკან დახევა გადაწყვიტეს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხი და მისი მესვეურები მათ ამგვარ მოქმედებას დროებით მოვლენად მიიჩნევდნენ და თავიანთი საბოლოო გამოხსნის იმედს მაინც რუსეთთან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობაზე ამყარებდნენ. ამით აიხსნება ქართველი ხალხის მუდმივი ლტოლვა რუსეთისაკენ, რომელიც არასდროს არ შენელებულა. ამიტომ იყო, რომ, მიუხედავად გულისტკივილისა, მეფე ერეკლე 1774 წ. 24 აგვისტოს რუსეთის უპირველეს მინისტრს, პანინს ატყობინებდა რა ელჩების სამშობლოში მშვიდობიანად დაბრუნებას, კვლავ ერთგულებას ეფიცებოდა.

მართალია, 1772-1774 წწ. ელჩობას რუსეთში ქართლ-კახეთისთვის დადებითი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ მან გარკვეული როლი შეასრულა, რადგან ელჩების მიერ რუსეთის სამეფო კარზე წარდგენილი „სათხოვარი პუნქტები“, შემდეგში საფუძვლად დაედო 1783 წელს გეორგიევსკში დადებულ ტრაქტატს.

მოამზადა ბრიგოლ რუხაძემ.

ვალერიან მაჭარაძე

თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში[1]

XVIII ს-ის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს
ურთიერთობის ისტორიისთვის, ნაწ. II, თბ., 1968

თეზისები

წიგნში გაშუქებულია ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანებული ელჩობის ისტორია რუსეთში 1760-1762 წლებში თეიმურაზ მეორის მეთაურობით. ამასთან ერთად ავტორი მოკლედ ეხება რუსეთის ქართული კოლონიის საკითხებსაც. შრომას დართული აქვს ავტორის მიერ საბჭოთა კავშირის ქალაქების (მოსკოვი, ლენინგრადი, ასტრახანი, ერევანი) არქივებში მოპოვებული მდიდარი მასალები საქართველოს ისტორიის ამ საინტერესო პერიოდის შესახებ.

XVIII ს-ის 40-50-იან წლებში აღმოსავლეთმა საქართველომ, რომელმაც ვახტანგ VI მარცხის შემდეგ «ოსმალობა» და «ყიზილბაშობა» გადაიტანა, ერეკლე II და თეიმურაზ II მეთაურობით კვლავ წელში გასწორება იწყო. ერეკლე მეფემ მარჯვედ ისარგებლა ნადირ-შაჰის მოკვლის (1747 წ.) შემდეგ ირანში შექმნილი ვითარებით, ირანელთა გარნიზონები თბილისიდან განდევნა და ქართლსა და კახეთს ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მოუპოვა, ხოლო მეზობელი სახანოები ქართლ-კახეთის ხელდებული გახადა. ამ გამარჯვების დამკვიდრებისა და ირანის ბატონობისაგან ქვეყნისთვის საბოლოო და სრული დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით, მეფეებმა

---

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №1(11), 2014.

ელჩობა მიავლინეს რუსეთს ათანასე თბილელისა და სვიმონ მაყაშვილის მეთაურობით, ხოლო ხსენებული ელჩობის უშედეგოდ დამთავრების შემდეგ, 1760 წელს, ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანებული დიდი ელჩობა კვლავ გაგზავნეს რუსეთს. ელჩობას სათავეში თვით ქართლის მეფე თეიმურაზ II ჩაუდგა. ელჩობამ რუსეთში ორ წელზე მეტი დაჰყო.

ამ უკანასკნელი ელჩობის ამოცანას შეადგენდა: რუსეთიდან დამხმარე ჯარის, ან ჯარის დასაქირავებლად ფულის სესხად მიღება, ქართლ-კახეთისა და დამხმარე ჯარით ლეკთა თარეშის ალაგმვა, ირანში შეჭრა, იქ შინაბრძოლებისთვის ბოლოს მოღება, ირანის შაჰის ტახტზე ქართველ პოლიტიკოსთა კანდიდატის, რუსეთისთვისაც მისაღები პირის დასმა და აღმოსავლეთ საქართველოს სამშვიდობოს გამოყვანა.

XVIII ს-ის შუა ხანებში სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველო მტრებით იყო გარემოცული. დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან საქართველოს თურქები უტევდნენ, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან — ირანელები, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან — ლეკები. მაჰმადიანური ქვეყნების ჭარბი ძალებით გარშემორტყმული ქვეყანა ფიზიკური განადგურებისა და ეროვნული თვითმყოფობის დაკარგვის საფრთხის წინაშე იდგა. თურქებმა XVI ს. მესხეთი მიიტაცეს, შემდეგ აჭარა, ხოლო XVIII ს-ში გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის სამთავროებისა და იმერეთის სამეფოს დაპყრობას შეუდგნენ.

XVIII ს. 50-იან წლებში დასავლეთ საქართველოს ციხეებში (გონიოს, ბათუმის, ფოთის, ანაკლიის, რუხის, სუხუმის, შორაპნის, ბაღდადის, ცუცხვათის, ქუთაისის) თურქები იდგნენ. ამ ციხეებზე დაყრდნობით თურქები აიძულებდნენ დასავლეთ საქართველოს, როგორც ვასალს, ხარკად ქალ-ვაჟები ეძლია, ან — ფული და ტილო. გარდა ამისა, ქვეყანა ვალდებული იყო თურქებთან ადამიანებით (ტყვეებით) ევაჭრა. «ოსმალთა ხელში ეს ციხეები ტყვის მსყიდველთა ბუნაგებად იქცნენ. ციხისა და მის გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობა თანდათან მაჰმადიანდებოდა. ოსმალები ამ ციხეებიდან ადვილად ერეოდნენ ფეოდალების ურთიერთობაში და ქვეყნის საბოლოოდ დასაპყრობად თანდათან გზას იკვლევდნენ», — წერდა აკად. ნ. ბერძენიშვილი.

ასეთ რთულ ვითარებაში მთავრები (დადიანი და გურიელი) მეფისაგან დამოუკიდებელნი იყვნენ, ხოლო იმერეთის ძლიერი თავადები — როსტომ რაჭის ერისთავი და ლევან აბაშიძე «მთავრო-

ბას იჩემებდნენ». ამ ფეოდალური არევ-დარევის დროს «წესიერების წარმომადგენელი» — «მეფის ხელისუფლება უკიდურესად დაცემული იყო». ასეთი მემკვიდრეობა მიიღო ახალგაზრდა **სოლომონ I,** როცა იგი მამის (ალექსანდრე V) გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა (1752 წ.).

ტყვის სყიდვის აკრძალვისა და მაჰმადიანობის გავრცელების წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლის გარეშე ქვეყანას დაღუპვა ელოდა: პირველი მას მოსახლეობიდან ცლიდა, მეორე ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვას უქადდა. ახლადგამეფებულ სოლომონ I-ს ეს ორი ამოცანა უნდა გადაეჭრა. მაგრამ სოლომონ I-ის ხელისუფლება 1752 წელსვე აჯანყების მსხვერპლი გახდა. აჯანყებას მეთაურობდნენ მეფის ბიძები, **მამუკა** და **გიორგი ბაგრატიონები,** და მეფის დედა. აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობდნენ **როსტომ რაჭის ერისთავი** და **ლევან აბაშიძე.**

სოლომონ I-მა აჯანყების მეთაურები დასაჯა: მამუკა ბაგრატიონი «გარდმოაგდეს», მამია გურიელი გააძევეს და გურიელობა მამიას უმცროს ძმას — გიორგის უბოძეს. სოლომონ მეფემ არ დაინდო საკუთარი დედაც კი, რომელიც 1770 წელსაც, იმერეთიდან გაძევებული, სამეგრელოში ცხოვრობდა. გარდა ამისა, მეფემ «დაამდაბლა სახლი აბაშიძეთა», მაგრამ «შეიწყნარა ერისთავი როსტომ და დაადგინა ერისთავად».

ტახტის დაბრუნების შემდეგ მეფემ თავისი მოღვაწეობა «მაჰმადიანობის გავრცელებისა და ტყვის-სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო», რითაც თავის მოღვაწეობას «მტკიცე იდეური დასაყრდენი მოუპოვა: ის ქართველობისთვის ბრძოლის მეთაურად გამოდიოდა». სოლომონ მეფის პოლიტიკა შეუთავსებელი იყო თურქეთის მთავრობის პროგრამასთან, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნის საბოლოოდ დაპყრობას. იგი მიუღებელი იყო აგრეთვე თავადებისთვისაც, რადგან ასეთი პოლიტიკა ამაღლებდა მეფის ავტორიტეტს, ხელს უწყობდა ცენტრალური ხელისუფლების ზრდას; გარდა ამისა, ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვით შემოსავალი აკლდებოდა გადაგვარებულ თავადაზნაურობას. ამიტომ ეს ორი რეაქციული ძალა — შინაური და გარეშე — გაერთიანდა მეფის წინააღმდეგ.

ახალციხის ფაშა, რომელიც ადრე დაეხმარა მეფეს ტახტის დაბრუნებაში, ამჯერად სოლომონ I-ის მოწინააღმდეგეთა მხარეზე დადგა. პ. ორბელიანის ცნობით, «წარვიდა ლეონ აბაშიძე ახალციხეს და მოიცა ძალი ოსმალთაგან და მივიდა აბაშიძე იმერეთს დიდითა სერესკლებითა». აბაშიძესთან ერთად ფაშის ჯარებთან ყოფილა

რაჭის ერისთავიც. მტრის ჯარი იმერეთში შეიჭრა და ხრესილის მინდორზე დაბანაკდა. სოლომონ მეფემ გაიმარჯვა. ხრესილის ომი, როგორც შ. ბურჯანაძემ დაადგინა, 1756 წელს მოხდა. იგი «დასაწყისი იყო დასავლეთ საქართველოს გამათავისუფლებელი ომისა» თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. ხრესილის ომის შემდეგ დიდად ამაღლდა სოლომონ მეფის ავტორიტეტი. 1758 წელს იმერეთის, ქართლისა და კახეთის მეფეებმა თავდაცვითი კავშირი შექმნეს.

სოლომონ მეფეს კარგად ესმოდა, რომ ეკლესიის დასუსტება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას სცემდა. თურქები გამაჰმადიანების გზით ცდილობდნენ ქვეყნის საბოლოო დაპყრობას. საჭირო იყო ეკლესიის გაძლიერება, რათა ეს უკანასკნელი აქტიურად ამოსდგომოდა მხარში ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ მეფეს. ეკლესიის ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერების მიზნით სოლომონ I-მა 1759 წლის 7 დეკემბერს მოიწვია დასავლეთ საქართველოს **საეკლესიო კრება**, რომელმაც საქუთათლო აღადგინა, მამული და მიმობნეული მრევლი დაუბრუნა და ქუთათელად **მაქსიმე აბაშიძე** დასვა. ამას მოჰყვა სხვა ანალოგიური ღონისძიებანიც. კერძოდ, აღადგინეს ხონის ტაძარი, მოაწესრიგეს საგადასახადო სისტემა მრევლში; მეფემ საეკლესიო ყმებს ვალდებულებანი შეუმცირა.

ბუნებრივია, ეკონომიკურად და პოლიტიკურად მომძლავრებულ ეკლესიას მეტი შესაძლებლობა ექნებოდა მხარში ამოსდგომოდა ცენტრალურ ხელისუფლებას, რადგან ეკლესიის მტრები იყვნენ თურქები და საეკლესიო ყმა-მამულის მიმტაცებელი ფეოდალები, რომელთა წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდა სოლომონ I; ხოლო სოლომონ I საეკლესიო პოლიტიკა, რამდენადაც იგი ხელს უწყობდა ცენტრალური ხელისუფლებისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გამტკიცებას, პროგრესული იყო.

1759 წლის 30 დეკემბერს სოლომონ მეფემ მოიწვია დასავლეთ საქართველოს **საეკლესიო პირებისა და საერო ფეოდალების კრება**, რომელსაც ახალციხის ფაშის «სასმენლად საზარო სიტყვის» («ტყვეს თუ არ გაყიდით, არ იქნებაო») პასუხად დაუდგენია: «სანამდის სული გვედგას, ეს საქმე (ტყვის სყიდვა — ვ. მ.) ჩუჩნგან არ იქნეს, არც ამაშიდ ერთმანეთს უსუსტოთ, კიდეც ერთმანეთს მიუდგეთ, კიდეც მეფე სოლომონის მორჩილი და ბრძანების აღმასრულებელი ვიქნეთ... ამ საქმეზედ ჩუჩნი თავი არ დავიშუროთ და ამ საქმეშიდ ჩუჩნს ხელმწიფეს მეფე სოლომონს არ გისუსტოთ და არც ამისთანა საშინელი ცოდვა ჩუჩნგან იქნეს»...

ტყვის გაყიდვის აკრძალვის ზემოხსენებული დადგენილება, სა-

დაც ეკლესია შეჩვენებით ემუქრებოდა მის დამრღვევს, საინტერესოა იმითაც, რომ სოლომონ მეფეს, როგორც დასავლეთ საქართველოს ხელმწიფეს, მის შესრულებაზე პირობას აძლევდნენ არა მარტო იმერეთის თავადები, არამედ სამეგრელოსა და გურიის მთავრები და თავადებიც, რაც ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების მომასწავებელი იყო. იმერეთის მეფე დასავლეთ საქართველოს უმაღლესი ხელისუფლის როლში გამოდიოდა და ქვეყნისთვის ყველაზე მტკივნეული საკითხის გადაჭრას კისრულობდა.

ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ დადგენილება მიღებულ იქნა ახალციხის ფაშის მოთხოვნის წინააღმდეგ, რაც თურქების გამოწვევასაც ნიშნავდა.

ამ ნაბიჯიდან ძალიან მალე უმალვე სოლომონ მეფე ქართლისა და კახეთის მეფეებს შეხვდა ცხინვალში (1769 წლის 15 იანვარს) და რუსეთში **ბესარიონ კათალიკოსის** გაგზავნა გადაწყვიტა, რათა, თურქეთის მხრიდან, მის წინააღმდეგ ამხედრებამდე, რუსეთიდან დახმარება მიეღო (ქართლ-კახეთის დახმარება საკმარისი არ იყო თურქების შესაკავებლად); მაგრამ ბესარიონ კათალიკოსის რუსეთში გამგზავრების საკითხი მოიხსნა. თურქეთის მთავრობამ ზემოხსენებული კრების დადგენილების გაუქმება და ტყვის ყიდვა-გაყიდვის დაშვება მოითხოვა და, რადგან სოლომონ მეფისგან უარი მიიღო, უმალვე (1760 წელს) დიდი ჯარი დაძრა დასავლეთ საქართველოს ასაოხრებლად მოლა აბდულა ფაშას სარდლობით.

***

ვახტანგ VI მარცხის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველო თურქთა ბატონობის (1723-1735) მძიმე უღელქვეშ აღმოჩნდა (**«ოსმალობა»**), რომელიც შემდეგ ირანელთა არანაკლებ აუტანელი ბატონობით (**«ყიზილბაშობა»**) შეიცვალა. მაგრამ დამპყრობლებმა ვერ შეძლეს თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის წელში გატეხა. ქართველების გმირულმა ბრძოლამ და კახი ბაგრატიონების (**თეიმურაზ II, ერეკლე II**) მოხერხებულმა პოლიტიკამ აიძულა ნადირ-შაჰი დათმობაზე წასულიყო: 1744 წელს ნადირ-შაჰმა კახეთის მეფე თეიმურაზ II ქართლის მეფედ დანიშნა, ხოლო მისი შვილი ერეკლე II — კახეთის მეფედ; ამასთან, ირანის მბრძანებელმა ხელი აიღო ქართლის გამაჰმადიანების პოლიტიკაზე (1745 წელს თეიმურაზ II-ს ნება დართო, ქრისტიანული წესით ასულიყო ტახტზე) და ქართლს დაუბრუნა შაჰ-აბასის მიერ მიტაცებული ლორე, ბორჩალო და ბაიდარი. ცხადია, «ეს ნადირ-შაჰის წყალობა როდი იყო. ეს იყო

ქართველთა ასორმოცდაათწლოვანი მედგარი ბრძოლით მონაპოვარი უფლება», — წერდა აკად. ნ. ბერძენიშვილი.

1747 წელს **ნადირ-შაჰმა** მთელ ირანსა და აღმოსავლეთ საქართველოსაც, როგორც საყმო ქვეყანას, დიდი გადასახადები შეაწერა. ქართველმა პოლიტიკოსებმა აჯანყება გადაწყვიტეს. მოსახლეობა დახიზნეს და ციხე-სიმაგრეებში ჯარების თავმოყრას შეუდგნენ; ქართველები ბრძოლისთვის ემზადებოდნენ.

განრისხებულმა შაჰმა აჯანყებული ქართველების დასჯა **გივი ამილახვარს** დაავალა და 34 ათასიანი ჯარიც ჩააბარა, მაგრამ იგრძნო, რომ გაერთიანებულ ქართლ-კახეთთან ბრძოლა ადვილი საქმე არ იყო, ამიტომ დამსჯელი ჯარი უკან დააბრუნა და ქვეყანას საგადასახადო ტვირთი შეუმსუბუქა, ხოლო მეფეებს «სიტკბოებისა და წყალობის» რაყამი მოსწერა; გარდა ამისა, შაჰმა ერეკლე მეფე თავისთან დაიბარა. თეიმურაზ მეფემ იცოდა, რომ «სიამტკბილობით» ირანს დაბარებული ქართველი პოლიტიკოსი შეიძლებოდა შაჰის რისხვის მსხვერპლი გამხდარიყო, ამიტომ შვილის მაგივრად თვითონ წავიდა. მაგრამ მეფე ჯერ კიდევ გზაში იყო, როდესაც ნადირ-შაჰი შეთქმულებმა მოკლეს (1747 წლის მაისი). ირანის შაჰის ტახტს შეთქმულების მეთაური, ნადირის ძმისშვილი **ალი-ყულიხანი** დაეუფლა ადილ-შაჰის (სამართლიანის) სახელწოდებით.

ირანში დაიწყო ბრძოლა ტახტის მაძიებელთა შორის.

აბდულა-ბეგი (გამაჰმადიანებული არჩილ იესეს ძე), რომელიც თეიმურაზ II-მ ირანს გამგზავრების წინ საბარათიანოს გამგედ დატოვა, შეეცადა, ირანში შექმნილი მდგომარეობა და იქ თეიმურაზ მეფის გამგზავრება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. აბდულა-ბეგმა ყიზილბაშ სარდლებთან კავშირი გააბა და ქართლის დაჭერა გადაწყვიტა. ამ მიზნით ჯერ საბარათიანოს თავადები შემოიფიცა, სამშვილდის ციხეს ორი დიდი ბურჯი მიაშენა, ციხეში წყლის აუზი მოაწყო, ორი წლის მარაგიც დააგროვა და ერეკლეს მოსწერა: «მეფე არჩილობით ქართლი ჩემია, დამანებე და შენ კახეთს მიეპატრონეო». ამასობაში აზერბაიჯანში მყოფი ირანელი სარდლისგანაც ჯარი მიიღო და თბილისის ციხის ყიზილბაშური გარნიზონის დახმარების იმედით თბილისს მოადგა. აბდულა-ბეგმა ერეკლეს წინადადება მისცა, დაეცალა თბილისი.

«განვიდა მეფე ირაკლი მცირედითა მჭედრობითა, ვინაითგან მაშინ მცირე ჰყვა მჭედრობაჲ. განვიდნენ ერთისა უკუჱ მჭრითაცა მოქალაქენიცა, რომელთაცა ბრძოლეს ფრიად მჭნედ. იძლივნენ მჭედრობანი სპარსთა და ბარათიანთანი... და უკუნ იქცნენ სირცხ-

ვილეულნი». დამარცხებულმა აბდულა-ბეგმა სამშვილდეს შეაფარა თავი.

ერეკლე მეფის მდგომარეობას ის ართულებდა, რომ თბილისის ციხეების ყიზილბაშთა გარნიზონი აბდულა-ბეგს უჭერდა მხარს. ამიტომ აბდულა-ბეგის წინააღმდეგ ბრძოლა თბილისის ციხეებიდან უნდა დაწყებულიყო. ერეკლე მეფე ციხეების გათავისუფლებას შეუდგა. თაბორის კოშკის წინასწარ დაკავების შემდეგ «დიდის ცდით ტფილისის ციხე აიღო მეფე ერეკლემ 436 (1748 წ.) ივლისს 22».

თბილისის ციხეების ყიზილბაშური გარნიზონი ქართველმა მეციხოვნეებმა შეცვალეს. დედაქალაქის ციხეები ქართველობის სამსახურში ჩადგა. აბდულა-ბეგმა ერთი მოკავშირე დაკარგა თბილისის ციხეების გარნიზონის სახით. მალე ხელიდან გამოეცალა მეორე მოკავშირეც — ირანელი სარდალი ამირ-ასლან-ხანი (იგი 1748 წელს იბრეიმ-ხანთან ერთად ებრძოდა ადილ-შაჰს; ადილ-შაჰი დაღუპეს, მაგრამ იბრეიმ-ხანმა თავისი მოკავშირეც არ დაინდო, ამირ-ასლან-ხანი გზიდან ჩამოიცილა და თავი შაჰად გამოაცხადა). მოკავშირის გარეშე დარჩენილმა აბდულა-ბეგმა ფარ-ხმალი დაყარა. ერეკლე სამშვილდესაც დაეუფლა.

1749 წელს ირანიდან დაბრუნებულ თეიმურაზ II-ს ქართლი და კახეთი ერეკლეს გარჯით ირანელთა ბატონობისაგან ფაქტობრივად გათავისუფლებული დახვდა.

ირანში კვლავ გრძელდებოდა ტახტის მაძიებელთა შორის ბრძოლა. 1749 წ. იბრეიმ-შაჰი ნადირის შვილიშვილმა შაჰ-როჰმა შეცვალა. ირანის პროვინციების მმართველებმა და სარდლებმა მარჯვე დრო ნახეს თავიანთი სამფლობელოების გასაფართოებლად. ერთი მათგანი, მაჰმად-ხანი, ერევანს მოადგა. ერევნელებმა ქართველ მეფეებს მოსწერეს: «მაჰმად-ხან ამ ქვეყანას აოხრებს, თქვენ მოგვეშველენით, ამას მოგვარჩინეთ და თქვენ გმსახურებთო».

ყველაფერი ეს საქართველოს საზღვარზე ხდებოდა. ქართველი პოლიტიკოსები მაყურებლის როლში ვერ დარჩებოდნენ. ქართლ-კახეთის ჯარი ერევნისაკენ დაიძრა, მაჰმად-ხანი დამარცხდა. მეფეებმა, დახმარების პირობის თანახმად, ერევნის სახანოს, როგორც საყმო ქვეყანას, ხარკი დაადეს. ჯერ კიდევ ერევნისკენ მიმავალმა ქართველმა მეფეებმა გზაში განჯის ხანისაგან ცნობა მიიღეს, რომ ფანა-ხანს «შეეყარა ჯარი და გლეჯდა განჯა-ყარაბაღის ქვეყნებსა». განჯელებიც დახმარებას ითხოვდნენ. ამიტომ ერევნიდან ქართველთა ჯარი განჯისაკენ წავიდა. ფანა-ხანი განჯას გაეცალა და განჯის სახანოც საქართველოს საყმო გახდა (1749). ამ ხანებში ნახჭევნის

ხანსაც გაუჭირდა და ქართველი მეფეებისაგან მაშველი ჯარი ითხოვა; ამის გამო ქართლისა და კახეთის გავლენა ნახჭევნის სახანოზეც გავრცელდა.

ფანა-ხანმა ზავი მალე დაარღვია და 1750 წელს განჯას მოადგა. მეფეებმა ჩრდილო კავკასიიდან ოსები და ჩერქეზები გადმოიყვანეს, რათა საბოლოოდ შეემუსრათ ფანა-ხანი. მეფეების სერიოზული სამზადისის მიზეზი პ. ორბელიანს ასე აქვს ახსნილი: «ჯერ პირი მოეცა ფანა-ხანს: «ჩემს ელს დავჯერდეო და არას ქვეყანას არა უმტერო რაო». ეს პირი გაუტეხა, მერე თუ განჯას ძალით დაიჭერდა, ყახაზ-ბორჩალუსაც მოინდომებდა: ყაენი აღარსად იჯდა მას ჟამში და ამით ბევრს შფოთებს აშლიდა, მერე ქართველნი ყიზილბაშთა საომრად დიდად აღლესილ-იყვნეს»... აქ საკმაოდ მკვეთრადაა ხაზგასმული ის საშიშროება, რაც მოსალოდნელი იყო ფანა-ხანის გაძლიერების შემთხვევაში, მაგრამ ისტორიკოსი არ ივიწყებს იმასაც, რომ პირველი გამარჯვებით წახალისებულ ქართველთა საბრძოლო განწყობილება მაღალი იყო და რომ ქართველი პოლიტიკოსებიც ამიერიდან აღარ ფიქრობდნენ, ვინმესთვის დაეთმოთ უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ასე იბადებოდა ის პირველობა, რაც ქართლ-კახეთმა XVIII ს-ის 50-იან წლებში მოიპოვა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და რომელსაც 80-იან წლებამდე წარმატებით ინარჩუნებდა.

1750 წლის თებერვალში მეფეები განჯისკენ გაეშურნენ. ფანა-ხანმა განჯას ალყა მოხსნა და ყარაბაღისკენ წავიდა. ქართველი მეფეები მისკენ დაიძრნენ. მათ ფანა-ხანი დაამარცხეს, განჯის სახანოს, ფანა-ხანის წინააღმდეგ გაწეული დახმარების გამო, ხარკი გაუდიდეს (ხანმა ხარკის ანგარიშში დათმო შამშადილო, რომელიც ქართლს შემოუერთდა) და გამარჯვებული მეფეები 16 აპრილს თბილისს დაბრუნდნენ.

ქართლისა და კახეთის სამეფოები ირანისაგან ფაქტობრივად დამოუკიდებელნი გახდნენ, ხოლო ირანის ყოფილი პროვინციების ნაწილი ქართლის მორჩილი და მოხარკე გახდა. იმ დროს, როცა ქართველი მეფეები აღმოსავლეთ ამიერკავკასიის საქმეებს აწესრიგებდნენ და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდნენ, საკუთარი ქვეყნის მეტად მტიკვნეული საკითხი გადაუჭრელი რჩებოდათ.

ის-ის იყო ქართველი მეფეები განჯიდან დაბრუნდნენ, რომ ქვეყანაში ლეკთა შემოჭრის ამბავი შეიტყვეს. ქართველმა პოლიტიკოსებმა იცოდნენ, რომ ლეკთა თარეშის ალაგმვა შეუძლებელი იყო ჭარ-ბელაქნის დაპყრობის გარეშე, ამიტომ «მოინდომეს ქართველთა და

კახთა ჩინებულთა კაცთა ჯარზე მისვლა, მეფემან თეიმურაზ და ძემან მისმან მეფემ ერეკლემ დაამტკიცეს რჩევა ესე...»

მეფეებმა ქართლ-კახეთისა და ყაზახ-ბორჩალუს ჯარები შემოყარეს, განჯის ხანიც დაიბარეს, შაქი-შირვანის ხანი **აჯი-ჩალაბიც** ჰპირდებოდა ქართველ მეფეებს მეგობრობას, მაგრამ ამ უკანასკნელმა მეფეებს უღალატა (რადგან მისთვის ძლიერი ქრისტიანი მეზობელი სასურველი არ იყო). 1751 წლის 11 თებერვალს ქართველებმა აჯი-ჩალაბთან ომი წააგეს. ლეკთა საკითხი რთული გადასაჭრელი გამოდგა.

ამასობაში საქართველოს კვლავ ახალი საშიში მტერი მოევლინა — სარდალი **აზატ-ხან ავღანი,** რომელიც ავღანელთა და უზბეკთა ჯარით თავრიზს დაეუფლა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობას შეუდგა. მან ერევნის დასაპყრობად დიდი ჯარი გაგზავნა. ერეკლე ქართველთა ლაშქრით ერევნისაკენ დაიძრა. აზატ-ხანის სარდალმა ერევნის ციხეს ალყა მოხსნა და უკან დაიხია. ერეკლეს ლაშქარი ყირხბულახთან (ერევნიდან 12 ვერსზე) დაბანაკდა. აზატ-ხანი დიდი ჯარით (18-40 ათასი კაცით) მისკენ დაიძრა.

ქართველთა ლაშქრის მცირერიცხოვნობით შეშინებულ დიდებულებს ერეკლე მეორისთვის ურჩევიათ, გასცლოდნენ მრავალრიცხოვან მტერს, მაგრამ მეფეს მათთვის ასეთი პასუხი მიუცია: «იცოდეთ, მე აზატ-ხანის შეუბმელი არ დავსდგები, ამაღამ რომ გავიქცეთ, ხვალ გზაზედ მოგვეწევიან და უნამუსოდ სიკვდილს ნამუსიანად სიკვდილი სჯობსო»... მტრის უზარმაზარი არმია ქართველთა ჯარის ირგვლივ რკალს ავიწროებდა. ერეკლე მეფემ თავის ჯარს ჩამოქვეითება უბრძანა და მტრის ძლიერი რაზმისკენ წაიყვანა, თან წინადადება მისცა, ბრძანების გარეშე თოფი არ გაესროლათ და ცხენებზე არავინ შემჯდარიყო. როცა მტერი ახლოს მოვიდა, ქართველებმა მეფის ნიშანზე მათ ტყვია დაუშინეს, შემდეგ კი ცხენებზე შესხდნენ და მტრის კაფვა დაიწყეს. სამარცხვინოდ დამარცხებული მტერი გაიქცა, ხოლო გამარჯვებულ ქართველებს დარჩათ «24 ზარბაზანი, 200 ზამბულაკი თავისის ასის აქლემით და დროშა მრავალი და ორი ათას ხუთასი კარავი...» ეს ბრძოლა მოხდა 1751 წლის ივლისში.

ირანის ტახტის მაძიებელმა აზატ-ხანმა თავს გაქცევით უშველა, ხოლო გამარჯვებულ ერეკლეს «დაუდგეს აზატ-ხანის კარავი, დაბრძანდა მეფე ერეკლე მას შინა». ქართველ მეფეს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ხანები გამარჯვებას ულოცავდნენ. საქართველომ შეინარჩუნა თავისი უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ერეკლეს სახელი დიდებით შეიმოსა.

აზატ-ხანის დამარცხების შემდეგ ქართველ მეფეებს ისევ ლეკთა საკითხისთვის უნდა მიეხედათ, მაგრამ გამოცდილებით იცოდნენ, რომ ეს საქმე აჯი-ჩალაბიდან უნდა დაეწყოთ. 1752 წლის იანვარში ერეკლე და თეიმურაზი განჯას წავიდნენ. შაქი-შირვანის ხანს აჯი-ჩალაბს ერთმორწმუნე ხანები გადაებირებინა. მეფეებმა შეიტყვეს ეს და მოღალატეები დააპატიმრეს, მაგრამ თვით ღალატის ფაქტმა ქართველთა ჯარში დისციპლინა და ბრძოლის უნარი დააქვეითა, რის გამო ქართველები დამარცხდნენ.

აჯი-ჩალაბმა განჯა აიღო, თავისი ერთგული ხანები გაათავისუფლა და ყაზახ-ბორჩალუს თათრებთანაც კავშირი დაამყარა. აჯი-ჩალაბის შვილმა **აღა-ქიშმა** შაქი-შირვანის, განჯა-ყარაბაღის, ერევნის და ლეკთა ჯარები შემოიკრიბა და 1752 წლის მაისში დადგა ბაიდარში, რომელიც ავაზაკთა ბრბოების სადგურად იქცა. ბაიდარიდან გამოგზავნილი რაზმები აოხრებდნენ სომხით-საბარათიანოს, ხოლო ქართლ-კახეთის სოფლებში ლეკთა ბრბოები დათარეშობდნენ.

მეფეები მოზღვავებულ მტერთან შესაბმელად მზადებას შეუდგნენ: **რევაზ** სარდალს სამშვილდეს გამაგრება ებრძანა, თბილისს მოსალოდნელი თავდასხმისაგან მოქალაქეთა სამათასიანი რაზმი იცავდა, **ზედგენიძე** ჩერქეზეთს გაიგზავნა ჯარის დასაქირავებლად, მეფემ საკუთარი სალაროდან განძეულობა გამოიტანა და ზარაფხანას გადასცა ფულის მოსაჭრელად, რათა ამით მეტი ჯარის დაქირავების საშუალება ჰქონოდა; **ათანასე თბილელი** რუსეთს გაიგზავნა.

ერეკლე თვით მიეგება ჩრდილოეთ კავკასიიდან მომავალ ჩერქეზთა რაზმს, მას სათავეში **ჯიმშერ ერისთავი** და **გივი ამილახვარი** ჩაუყენა და თიღვის მისაშველელად გაგზავნა (თიღვს ლეკები შემოსდგომოდნენ), თვითონ ერეკლე კი კახეთს წავიდა ჯარის გამოსაყვანად. ერისთავმა და ამილახვარმა ლეკები დაამარცხეს და ჩერქეზთა რაზმით თბილისს ჩამოვიდნენ. ერეკლე მეფეც კახეთის ჯარით თბილისს მოვიდა.

1752 წლის 1 სექტემბერს თეიმურაზი და ერეკლე ქართლ-კახეთის ჯარითა და დაქირავებული რაზმებით აღა-ქიშის წინააღმდეგ დაიძრნენ. მტერმა გაცლა ამჯობინა, მაგრამ ქართველები მათ ყაზახ-შამშადილის საზღვარზე დაეწიენ და სასტიკად დაამარცხეს (აღა-ქიში შაქს გაიქცა, განჯის ხანი — განჯას), მეფეები ყაზახ-ბორჩალუს საქმეების მოწესრიგებას შეუდგნენ.

შაქის ხანზე გამარჯვებას მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა: საქართველოს წინააღმდეგ გაერთიანებულ მაჰმადიან სახანოთა კავშირი დაიშალა, ხანები ქართველი მეფეების მიმართ მორჩილების გზას

დაადგნენ, აზატ-ხანმაც ზავი ითხოვა. ხუთი წლის განუწყვეტელი ბრძოლის შედეგად ქართლ-კახეთმა უკუაგდო აზატ-ხანი, წარმატებით მოიგერია მეზობელი ხანების გაერთიანებული შემოტევა და უდავოდ ცხადყო თავისი უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

ამ გამარჯვების შემდეგ ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარზე კარგა ხნით მშვიდობიანობა დამყარდა (ირანში ჯერ კიდევ გრძელდებოდა ტახტისთვის ბრძოლა, ამიტომ გართულებას კვლავაც ელოდნენ), მაგრამ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი დაცული არ იყო: ლეკთა საკითხი, იმ დროის ურთულესი საკითხი, კვლავ გადაუჭრელი რჩებოდა.

კახეთის მეზობლად მცხოვრები დაღესტნის მთიელი ტომები თავიანთი ყაჩაღური თავდასხმებით ქვეყანას განადგურებას უქადდნენ. ლეკი აბრაგების რაზმები ქურდულად იჭრებოდნენ სოფლებში, იტაცებდნენ ადამიანებს, საქონელს, ნივთებს და კვლავ მთებს აფარებდნენ თავს. უცხოელთა ბატონობის შედეგად გაძვალტყავებული და ქანცგამოლეული მშრომელი მოსახლეობისთვის, რომელსაც ფეოდალური ექსპლოატაციის მძიმე უღელი ედგა კისერზე, ეს დამღუპველი იყო.

მთიელ ყაჩაღთა თარეშის შედეგად მარტო ინტენსიური მეურნეობა კი არ ირღვეოდა, ქართველობას გადაშენება ელოდა. ავაზაკებს ამ მხრივ ხელს უწყობდა სამხედრო-ფეოდალური თურქეთი, რომელიც მონათა ბაზარს წარმოადგენდა. ავაზაკები თურქეთის მონათა ბაზრებს ორი გზით უკავშირდებოდნენ: ჩრდილო-კავკასიიდან — ყირიმის, ხოლო სამხრეთით — ახალციხის საფაშოს გზით. ყირიმის სახანო და ახალციხის საფაშო, თურქეთის აგრესიის ბაზები, წარმოადგენდნენ მონათა ბაზრებსაც და ძირითად კომუნიკაციებსაც შიდა თურქეთის მონათა ბაზრებისაკენ. სანამ თურქეთი ზემოხსენებულ «სავაჭრო» კომუნიკაციებს ინარჩუნებდა და მონათა ბაზრად რჩებოდა, ტყვეების მტაცებლობა, ბუნებრივია, ძნელი ასალაგმავი იყო (მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ლეკებისთვის ტყვე ძირითადად გაცვლა-გამოცვლის საგანი იყო).

მართალია, სახელდახელოდ შეყრილი ქართული ფეოდალური ლაშქარი ამარცხებდა ავაზაკებს, მაგრამ ყაჩაღთა თარეშის საბოლოოდ ალაგმვა ვერ ხერხდებოდა. ავაზაკთა რაზმები ღრმა რეიდებს აწყობდნენ ქვეყანაში, სერავდნენ მას ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრიდან სამხრეთ-დასავლეთ საზღვრამდე. წყაროები და თანამედროვენი (პ. ორბელიანი, ო. თუმანოვი) მოწმობენ, რომ XVIII ს. 50-

იან წლებში ქვეყანას არც ერთი მშვიდობიანი წელი არ ჰქონია.

ქვეყნის საგარეო მდგომარეობის გართულების პირობებში მათი თარეში ჩვეულებრივ ძლიერდებოდა. უცხოელთა ხანგრძლივი ბატონობის შედეგად ეკონომიკურად დასუსტებულ ქვეყანას, რომელსაც მუდმივი ჯარისა და კორდონების შექმნის შესაძლებლობა არ ჰქონდა, საკითხის მოგვარება არ შეეძლო. გარდა წვრილი ყაჩაღური თარეშებისა, ლეკებმა მე-18 ს-ის 50-იან წლებში მოაწყვეს მსხვილი ლაშქრობებიც, რომლებიც, — აკად. ნ. ბერძენიშვილის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, — «ლეკიანობის» «ჩვეულებრივი» ხასიათისგან განსხვავდებიან.

1754 წელს ხუნძახის ბატონი **ნურსალ-ბეგი** ლეკთა დიდი ჯარით შილდის თავს მოვიდა, თან «მუქარა მოეთხოვა, ქართლსა და კახეთს დავიჭერო». მეფეებმა მოსახლეობა ციხესიმაგრეებში დახიზნეს. ერეკლემ კახეთის ჯარი შემოიკრიბა და თელავის ციხეში დადგა. ნურსალ-ბეგი კახეთში შეიჭრა, «გამოიარა ქუნძახის ბატონმა გაღმა-მხარზე, დაწვა ზოგიერთი ალაგები, გამოვიდა ალაზანს, მოვიდა, დაწვა რიუს-პირი, აიყარა, ავიდა, დაწვა ახმეტა, გაიარა, ავიდა გაგნაკორას. ქართველი ბატონი ჯერ არ მიბძანებულიყო და მარტო კახეთის ჯარით კახი ბატონი ვერ შეება». მტერმა გადალახა არაგვი, «შემოუშვა ჯარი არაგვის ერისთვის მამულში, დაწვეს, აიკლეს, ააოხრეს, ანანურს აქეთ აღარსად-რა გაუშვეს-რა წაუხდენელი: მივიდნენ დუშეთს, დაწვეს სასახლე ერისთვისა, შებილწეს მონასტერი, ჩამოხდენ იქ დიდი ნაშოვრით... აიყარა ხუნძახის ბატონი დუშეთიდამ თვესა აგვისტოსა ი(10), გარდმოვიდა, შემოაყენა ჯარი ციხესა მჭადიჯვრისასა»... ქართული წყაროები ნურსალ-გების ჯარის რიცხვს არ ასახელებენ. მიუთითებენ მხოლოდ, რომ «ხუნძახის ბატონი კაის დიდებით წამოსულიყო, რაც ლეკობას გაეწყობოდა».

ყიზლარის მცხოვრები ქართველი (?) თამაზოვი, რომელიც გარემოცვის დროს მჭადიჯვრის ციხეში ყოფილა, იუწყებოდა, რომ ლეკებს 6 ათასი კაცი ჰყავდათ და ციხე 8 დღეს ჰქონდათ გარემოცული; მათ სცადეს ციხის კედლების აფეთქება, რათა ციხეში შეჭრილიყვნენ, ორ ადგილას საამისო ცდა კიდეც ჩაატარეს, მაგრამ მეციხოვნეებმა რამდენჯერმე გამოხდომა მოაწყვეს და 200-მდე კაცი მოუკლეს. ამასობაში ერეკლე და თეიმურაზი 5 ათასი ჯარით მოეშველნენ ციხესო.

კაპიტან ოთარ თუმანოვის ცნობით, ხუნძახის ბატონი, რომელსაც «სამი ათასამდე ლეკნი ჰყვანდა», 12 აგვისტოს დუშეთსა და ბაზალეთს მიხდომია, შემდეგ მჭადიჯვრის ციხეს შემოდგომია; 16

აგვისტოს ერეკლე კახეთიდან 2.000 კაცით მოსულა და თეიმურაზ მეფესთან ერთად 19 აგვისტოს შებმია ხუნძახელებს. 460-მდე კაცი მოუკლავთ ლეკებისა. პ. ორბელიანის ცნობით, ერეკლემ ჯარჯით დატვირთული ურმები გაუშვა წინ, ამ საფარით მტერს მიუახლოვდა და სასტიკად დაამარცხა. რუსული წყაროების ჩვენებით, ლეკებმა ბრძოლაში 500-ზე მეტი კაცი დაკარგეს, ხოლო ქართველების დანაკარგი უმნიშვნელო ყოფილა. მოტანილი ცნობები ძირითადად ემთხვევა და ავსებს ერთმანეთს.

დამარცხებულ ნურსალ-ბეგს გზადაგზა კახელებიც დაესხნენ თავს და სარდალი შერცხვენილი დააბრუნეს დაღესტანს. ამ დიდ გამარჯვებას ლეკთა თარეში არ აულაგმავს. «გარნა არა დასცხრნენ ლეკნი კუალად ქურდულად რბევად ქართლისა და კახეთისაო», — წერს ო. ხერხეულიძე. ოთარ თუმანოვიც ამასვე გვაუწყებს.

1755 წელს ნურსალ-ბეგი კვლავ დიდი ჯარით მოადგა საქართველოს, ყვარლის მთაზე დადგა და ამიერკავკასიის ხანებსა და ჭარელებს დახმარება სთხოვა. აჯი-ჩალაბის შვილი და კაკის სულთანი თავიანთი ჯარებით მოვიდნენ, ჭარელებიც იყვნენ, განჯის ხანმაც ჯარი გამოუგზავნა და ეს უზარმაზარი ჯარი ყვარლის ციხისკენ დაიძრა. ო. ხერხეულიძე გვაუწყებს, რომ ყვარლის ციხესთან მტერმა 20 ათასი კაცი მოიყვანაო. ო. თუმანოვის ცნობით კი, ყვარლის ციხეს ლეკები 18 ათასი კაცით შემოდგომიან 30 აგვისტოს.

სანამ ნურსალ-ბეგს მოკავშირეები შეუერთდებოდნენ, მეფეებს საშზადისი ჩაუტარებიათ. მოსახლეობა ციხეებში დაუხიზნავთ ოთხი თვის მარაგით. ერეკლეს კახეთის ჯარი თელავს მიუყვანია. თეიმურაზი კი, როგორც წყაროები მოწმობს, ზემო ქართლში წასულა, იქ «შემოიყარა ჯარი ქართველთა, რომ იარაღის ამღები აღარავინ დააგდო შინა»; მივიდა ახალგორს, სადაც ქსნის ერისთავი და ბარათაშვილი შეუერთდნენ, და წავიდა ანანურისკენ, სადაც ერეკლეს ცნობას უნდა დალოდებოდა.

მეფეები ჩერქეზებისგან დამხმარე ჯარს ელოდნენ, მაგრამ ჯარი ვერ მიიღეს, ამიტომ მრავალრიცხოვან მტერთან პირისპირ შებმა მიზანშეუწონლად ჩათვალეს. ამავე დროს ლეკებმა ყვარლის ციხეს ისეთი «მაღალი საფრები შეუკრეს გარედან, რომ შიგ ციხეში თოფს ჩაისროდნენ». მეციხოვნე ჯარს უჭირდა, ამიტომ აუცილებელი იყო მათი სურსათითა და საჭურვლით მომარაგება და გამხნევება, რომ წინააღმდეგობა გაეგრძელებინათ, რადგან ყვარლის ციხის დაკარგვით ხომ ქვეყანას «გაღმა-მხარი» ეკარგებოდა, რაც მთელ კახეთს საფრთხეს უქმნიდა.

ერეკლე მეფემ წინადადებით მიმართა ჯარს და გულოვნობისთვის «სამუქფო» წყალობასაც დაჰპირდა. გამოვიდნენ ვაჟკაცები და მეფის დავალება ბრწყინვალედ შეასრულეს — მაშველი ჯარი ალყაშემორტყმულ ციხეში შევიდა. გარდა ამისა, მეფემ ქიზიყში მარჯვე ცხენოსნები შეარჩია და ჭარს შეუსია. ამის გამო ნურსალ-ბეგს ჭარელები ჩამოსცილდნენ. ქართველთა შიშით კაკის სულთანიც მათ გაჰყვა. მალე თვით ლეკებს შორის ჩამოვარდა უთანხმოება და ყვარლის ალყაც მოიშალა. ნურსალ-ბეგმა ომი წააგო და ისევ ძველ ნაცად გზას დაადგა — სოფლებს საძარცვავად ავაზაკთა რაზმები შეუსია.

ლეკთა თარეშები მომდევნო წლებშიც ინტენსიური ჩანს. მართალია, ლეკებს «საქართველოს ერთი დაკვრით გაოხრება» არ შეეძლოთ, მაგრამ «ლეკიანობა მისი ჩვეულებრივი სახით მართლაც რომ მოთხრას უქადდა ქვეყანას».

აქ მოტანილი ცნობები ნათლად მეტყველებს, თუ როგორი დაძაბული ვითარება იყო საქართველოში XVIII ს-ის 50-იან წლებში, რამდენი მძიმე ბრძოლის გადატანა მოუხდა ქართველ ხალხს. ცხადია, უცხო მოძალადეთა წინააღმდეგ ბრძოლა ქვეყნის მთელ ძალებს ნთქავდა და შეუძლებელს ხდიდა საშინაო პოლიტიკის დარგში დიდი ღონისძიებების გატარებას ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული აღორძინების ხაზით. ძალაუნებურად საშინაო პრობლემები უკანა პლანზე დგებოდა. მიუხედავად ამისა, კულტურული საქმიანობა ქვეყანაში ამ ძნელ პირობებშიც არ წყდებოდა. ამის უტყუარი საბუთია 1756 წელს **თბილისის სემინარიის დაარსება.**

ქართველმა სახელმწიფო მოღვაწეებმა კარგად იცოდნენ, რომ ქვეყნის «აღდგომისა და გამოხსნისთვის» საჭირო იყო მისი გაერთიანება, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება და ეკონომიური ხასიათის ფართო ღონისძიებანი. მაგრამ საგარეო ფაქტორი პირუკუ მოქმედებდა: ჯერ ერთი, წარმოების განვითარებისა და ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის ასათვისებლად XVIII ს-ის 50-იან წლებში არც კადრები იყო, არც მატერიალური რესურსები და არც ხელსაყრელი საგარეო პირობები (60-80-იანი წლების ამბები მოწმობს, თუ რა სიძნელეს ქმნიდა საგარეო პირობები ქვეყნის ეკონომიური აღორძინების გზაზე).

მეორე, ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ძალების დასაყრდენს უცხო ქვეყნები წარმოადგენდა (ამაზე მეტყველებს მთელი გვიან-ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორია).

მესამე, საქართველოს გაერთიანება, სოციალ-ეკონომიკურ ფაქ-

ტორებს თავი რომ დავანებოთ, საგარეო პირობების მიზეზითაც შეუძლებელი იყო: აღმოსავლეთი საქართველო ირანის გავლენის სფეროს ეკუთვნოდა, დასავლეთი საქართველო კი თურქეთის საკასალო ქვეყანა იყო.

დასასრულ, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს გაერთიანების შემთხვევაშიც კი მისი მოსახლეობა, 1770 წლის მონაცემებით, ½ მილიონზე ნაკლები იყო, მაშინ როცა ამავე პერიოდში მარტო თურქეთი ახერხებდა ½ მილიონიანი არმიის გამოყვანას. ლეკები ხომ თურქეთისთვის დიდ რეზერვს შეადგენდნენ. გარდა ამისა, შინაპოლიტიკური ბრძოლის მიუხედავად, ირანსაც დიდი რეზერვები გააჩნდა. ამიტომ საქართველოს ძლიერი მოკავშირე და მფარველი ესაჭიროებოდა.

***

XVIII ს-ის 50-60-იან წლებში რუსეთი მსოფლიო მასშტაბის ერთ-ერთი მძლავრი სახელმწიფო იყო. პეტრე I დროს გატარებულმა რეფორმებმა და ბალტიის ზღვით ევროპასთან დაკავშირებამ ისეთი ბიძგი მისცა რუსეთის შემდგომ დაწინაურებას, რომ აღნიშნულ პერიოდში მანუფაქტურული წარმოება საკმაოდ წინ წავიდა. განსაკუთრებით საყურადღებოა რუსეთის წარმატებანი მეტალურგიის დარგში (რკინისა და თუჯის წარმოება), რომელზედაც დიდად იყო დამოკიდებული ქვეყნის სამხედრო პოტენციალი. რუსეთის საგარეო ვაჭრობის მოცულობაც საკმაოდ დიდი იყო. რუსეთს ჰყავდა კარგად შეიარაღებული რეგულარული არმია, რომელიც შიშის ზარს ჰგვრიდა ევროპის დიდ სახელმწიფოებს, რაც ნათლად გამოჩნდა შვიდწლიან ომში.

XVII ს-ის II ნახევარში, რუსეთთან უკრაინის შეერთების შემდეგ, რუსეთის სახელმწიფო საზღვარი შავი ზღვის სანაპიროებს მიუახლოვდა, მაგრამ რუსეთი შავ ზღვას მოწყვეტილი იყო, რადგან უშუალოდ შავი და აზოვის ზღვების სანაპირო ზოლი თურქეთსა და მის საკასალო ყირიმის სახანოს ეჭირა, რომლებიც რუსეთს შავ ზღვაზე გასასვლელს არ აძლევდნენ. გარდა ამისა, რუსეთის სამხრეთი საზღვარი ღია ველზე გადიოდა, ბუნებრივი პირობებით დაუცველი იყო, ამიტომ რუსეთსა და უკრაინაზე თათართა ყაჩაღური თავდასხმები არ წყდებოდა. რუსეთის უზარმაზარ სახელმწიფოს არ შეეძლო თავისი მდინარეების შესართავებსა და ზღვაზე გასასვლელს მოწყვეტილი დარჩენილიყო, დაეტოვებინა იგი მომთაბარე თათართა ხელში.

შავ ზღვაზე გასვლის პრობლემა XVIII ს. II ნახევრის რუსე-

თის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს პრობლემად რჩებოდა. რა თქმა უნდა, შავი ზღვის პრობლემის დღის წესრიგში დასმა ნაკარნახევი იყო არა მარტო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და ნორმალური ეკონომიკური განვითარების ამოცანებით, არამედ, აგრეთვე, გაბატონებული კლასის მისწრაფებითაც — ხელში ჩაეგდო ახალი მიწები.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო რუსეთისთვის კასპიის ზღვის პრობლემა. მართალია, XVI ს-ის II ნახევარში რუსეთმა შეძლო კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე დამკვიდრება, რაც რუსეთს ირანთან და ინდოეთთან ურთიერთობისთვის გზას უხსნიდა, მაგრამ ირანში მიმდინარე გაუთავებელი შინა ფეოდალური ომები საგრძნობლად აფერხებდა რუსეთის ვაჭრობას როგორც ირანთან და კავკასიის ქვეყნებთან, ისე ინდოეთთან; ამიტომ რუსეთი მიისწრაფოდა კასპიის ზღვის დასავლეთ და სამხრეთ სანაპიროებზე დასამკვიდრებლად.

კასპიისა და შავი ზღვის სანაპიროებზე დაკვიდრებისთვის რუსეთს კავკასიაში სტრატეგიული პლაცდარმი და ერთგული მოკავშირე ესაჭიროებოდა, ასეთს კი იგი ქრისტიანულ საქართველოში ხედავდა. ამიტომ იყო, რომ XVI ს-დან მოყოლებული, თვით რუსეთი არაერთგზის გამოსულა ქართულ სამეფოებთან კავშირის დამყარების ინიციატორად.

ქართველი სახელმწიფო მოღვაწეებისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ XVIII ს-ის II ნახევარში მძლავრ და იმ დროის კვალობაზე კულტურულად დაწინაურებულ რუსეთს კავკასიაში თავისი პოლიტიკური ინტერესები გააჩნდა, ამიტომ მათ ორიენტაცია კვლავ რუსეთზე აიღეს. კახი ბაგრატიონებისთვის (ერეკლე, თეიმურაზი) ისიც კარგად იყო ცნობილი, რომ ქართველ პოლიტიკოსთა რუსულ ორიენტაციას (XVI ს-დან დაწყებული) არაერთგზის მოჰყოლია მძიმე შედეგები (ალექსანდრე კახთა მეფის ტრაგედიას რომ თავი დავანებოთ, თეიმურაზ II ქართლის ტახტზე ხომ ვახტანგ VI-ის რუსული ორიენტაციის მარცხის წყალობით აღმოჩნდა). მაგრამ მტრული ძალებით გარშემორტყმულ ქვეყანას ხსნის სხვა გზა არ ჰქონდა, როგორი სახიფათოც უნდა ყოფილიყო იგი. ამიტომ, როგორც კი ნადირ-შაჰის მოკვლის შემდეგ საქართველოდან ირანელები განდევნეს და მეზობლები დააწყნარეს, ერეკლე II-მ და თეიმურაზ II-მ 1752 წელს საგანგებო ელჩობა გაგზავნეს რუსეთის ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის მეთაურობით.

სიმონ მაყაშვილის მოხსენებით ბარათში ქართველ მეფეთა

თხოვნა ასეა ჩამოყალიბებული: 1. ქართველი მეფეები რუსეთისაგან ითხოვენ დამხმარე ჯარს, რათა ისარგებლონ შექმნილი ვითარებით და სპარსეთის ქალაქები დაიჭირონ; 2. მეფეები ითხოვენ ფულს საკუთარი ჯარის შესანახად, ან — საჭირო შემთხვევაში ჯარის დასაქირავებლად; 3. ქართველი მეფეები რუსეთის მთავრობას სთხოვენ, გააფრთხილოს ლეკები, არ დაესხნენ თავს საქართველოს.

როგორც ვხედავთ, ქართველ მეფეებს გადაწყვეტილი ჰქონიათ ესარგებლათ ირანში შექმნილი ვითარებით და რუსეთის დახმარებით «გამოეხსნათ» და «აღედგინათ» საქართველო. მაგრამ მაშინ რუსეთის მთავრობის ყურადღების ცენტრში დასავლეთის პრობლემა იდგა. ცენტრალურ ევროპაში გაძლიერებული პრუსიის მეფე ფრიდრიხ II ფართო მტაცებლური გეგმით გამოდიოდა. რუსეთის დასავლეთ საზღვარზე საშიში ვითარება იქმნებოდა. რუსეთის კანცლერი ა. პ. ბესტუჟევ-რიუმინი პრუსიაში რუსეთისთვის ყველაზე საშიშ ძალას ხედავდა და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ფრთები შეეკვეცა პრუსიის მტაცებლური გეგმებისთვის. ასეთ ვითარებაში ქართველი მეფეების თხოვნას ვერ გამოეხმაურნენ, რადგან კავკასიაში წარმატებისთვის სპარსეთის სისუსტე საკმარისი არ იყო, რუსეთის გამოსვლას (როგორც გამოცდილებამ ეს ცხადყო) თურქეთი გულგრილად ვერ შეხვდებოდა, ხოლო თურქეთთან დაპირისპირების დრო, რუსეთის მთავრობის აზრით, ჯერ არ დამდგარიყო.

ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა. ქართველ მეფეებს მცირე საჩუქრები გამოუგზავნეს და მომავალში დახმარებით დააიმედეს. მართალია, ქართველ მეფეებს თხოვნაზე უარს უთვლიდნენ, მაგრამ ეს როდი ნიშნავდა, რომ რუსეთის ინტერესი საქართველოსადმი შენელებული იყო. რუსეთს საქართველოს დაკარგვა და თურქეთის გაძლიერება აშინებდა, მაგრამ დასავლეთის ამბები წინა პლანზე წამოიწია და ამიტომ საქართველოსთვის დროებით არ ეცალა.

***

ელჩობის საქართველოდან გამგზავრების ზუსტი თარიღის დადგენა პირდაპირი დოკუმენტებით არ ხერხდება, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, 1760 წლის აპრილის შუა რიცხვებში უნდა მომხდარიყო. საქართველოდან თეიმურაზ მეფეს გაჰყოლია 72 კაცი, ხოლო მეფითურთ ელჩობა 73 კაცს ითვლიდა: მეფე, თავადი — 13, აზნაური — 10, სასულიერო პირი — 7, თბილისელი ქეთხუდა — 3, მსახური — 39.

1760 წლის 28 აპრილს თეიმურაზ II ყიზლარის კომენდანტს

გენერალ ფრაუენდორფს სწერდა: «ყოვლად მოწყალის ჭელმწიფის თაყვანის საცემლად მოვალთ. დღეს რომ აპრილის ოცდარვა არის, აქ ყაზახის ყარაულებთან გიახელით. ხვალ ორუზღალას გიახლებით. თქვენი ხლება დიაღ გვეშურება. ამას მოველით თქვენის ბრწყინვალის თავისაგან, რომ თქვენი შეყრა არ დაგვიგვიანოთ, ამის ამბავი მალე გვაცნობოთ». ყიზლარის კომენდანტი საგონებელში ჩავარდა. გვირგვინოსანი სტუმარი კარს მოადგა, მთავრობა და ასტრახანის გუბერნატორი კი არაფერს აცნობებდნენ, თუ როგორ მოქცეულიყო.

1760 წლის 16 ივნისს კანცლერ მ. ვორონცოვს თეიმურაზის რუსეთში მიღების თაობაზე მისი უმაღლესობის კარის კონფერენციისთვის მოსახსენებლად შეუდგენია რელაცია, რომლითაც იგი ხარჯების გამო ზედმეტად მიიჩნევდა ქართველი მეფის მიღებას. როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის ბრძანებიდან ჩანს, თეიმურაზის გამოჩენას თერგის ხაზზე რუსეთის მთავრობა გულგრილად შეხვდა. მ. ვორონცოვის მოხსენება, ერთი შეხედვით, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს საქმე ხარჯებს ეხებოდა, მაგრამ, სინამდვილეში, ხარჯები მთავარი როდი იყო. რუსეთის მთავრობის პოზიცია საერთაშორისო ვითარებამ განსაზღვრა.

ქართლ-კახეთის ელჩობა რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე რუსეთისთვის არასასურველ ვითარებაში გამოჩნდა. როგორც ცნობილია, რუსეთი 1756 წლიდან შვიდწლიან ომში იყო ჩაბმული. მართალია, რუსეთის ჯარებმა 1757-1759 წლებში რამდენიმე ბრწყინვალე ბრძოლა გადაიხადეს, მაგრამ რუსეთის მოკავშირეების (ავსტრიისა და საფრანგეთის) უღიმღამო მოქმედების, მოკავშირეთა შორის ინტერესთა წინააღმდეგობისა (ავსტრიას ეშინოდა რუსეთის მეტისმეტი გაძლიერებისა) და ინგლისის სუბსიდიების წყალობით, ფრიდრიხ II კვლავ ახერხებდა, გაეგრძელებინა აქტიური წინააღმდეგობა.

გარდა ამისა, ძლიერი მოწინააღმდეგის — რუსეთის ჩამოშორების მიზნით ფრიდრიხ II-მ, ერთი მხრივ, სეპარატიული ზავი შესთავაზა რუსეთს, ხოლო მეორე მხრივ, თავისი ემისრები გაგზავნა თურქეთს, რათა თურქები აემხედრებინა რუსეთის წინააღმდეგ.

ელისაბედ პეტრეს ასულის მთავრობამ, რაკი მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, საბოლოოდ შეემუსრა მტაცებელი პრუსია, უარყო ფრიდრიხ II წინადადება სეპარატიული ზავის დადების თაობაზე ისე, რომ მსჯელობის საგნადაც კი არ გაუხდია. ხოლო თურქეთში პრუსიის ემისრების საქმიანობის ჩაშლის მიზნით იგი ყოველ ღონეს ხმარობდა ეჩვენებინა თურქეთის მთავრობისთვის, რომ რუსეთი თურქეთთან დადებულ ხელშეკრულებას მტკიცედ იცავდა.

თავისთავად ცხადია, პრუსიის წინააღმდეგ აქტიური მოქმედების გაგრძელება სამხრეთ საზღვარზე — თურქეთთან (სპარსეთში მაშინ არეულობა გრძელდებოდა) მშვიდობის შენარჩუნების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. მით უმეტეს, რომ ყირიმელი თათრების პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიაში და მათი მტრული დამოკიდებულება კაზაკებთან რუსეთ-თურქეთის კონფლიქტისთვის ისედაც საკმაო საფუძველს ქმნიდა.

რუსეთის მთავრობა განსაკუთრებით ადევნებდა თვალყურს პრუსიის ემისრების საქმიანობას თურქეთში. 1759 წლის 24 მარტს რუსეთის რეზიდენტი ა. ობრესკოვი კონსტანტინოპოლიდან იუწყებოდა პრუსიის მეფის ემისრების გამოჩენას თურქეთში და ყირიმის ხანის განზრახვას, ჩარეულიყო ყაბარდო-ჩერქეზეთის საქმეებში, რაც ართულებდა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობას.

1759 წლის 4 აპრილს ა. ობრესკოვი აცნობებდა რუსეთის მთავრობას, რომ პრუსიის მეფეს თურქეთთან ურთიერთობის მოგვარებაში ეხმარება ინგლისის ელჩი, მაგრამ თურქეთს არ სურს პრუსიასთან კავშირიო. 1759 წლის 1 მაისს ობრესკოვი ისევ პრუსიის მეფის აგენტების თურქეთში საქმიანობას იუწყებოდა. 1759 წლის 2 ივნისს ობრესკოვი მოახსენებდა რუსეთის მთავრობას, რომ ყირიმის ხანი სულთანს სთხოვს ყუბანში შეჭრის ნებართვას, მაგრამ თურქეთის მთავრობას განზრახული აქვს რუსეთთან მეგობრობა შეინარჩუნოსო. 1759 წლის 2 სექტემბრის მოხსენებით ობრესკოვი კვლავ იტყობინება, რომ პრუსიის ემისრები თურქეთის მიმხრობას ცდილობენო. ხოლო 1759 წლის 1 ოქტომბერს იგი აუწყებდა მთავრობას: მოკავშირეთა (იგულისხმებიან რუსეთის მოკავშირეები შვიდწლიან ომში) მინისტრების თხოვნის მიუხედავად, პორტა არ ფიქრობს პრუსიის მეფის ემისრების გაძევებასო. 1759 წლის 4 დეკემბერს ობრესკოვი იუწყებოდა: ინგლისის ელჩი ურჩევს თურქებს, დადონ სამოკავშირეო ხელშეკრულება პრუსიასთან, თურქები უპასუხებენ — თანახმა ვართ, მაგრამ არ არის «გარანტი»; არც ერთი ქვეყანა, გარდა ინგლისისა, ამის მომხრე არაა. ობრესკოვს არ სჯეროდა, რომ თურქეთი ომს წამოიწყებდა, მაგრამ ესმოდა, რომ ზაპოროჟიელ კაზაკებთან ყირიმელი თათრების უთანხმოება (რაც ამ პერიოდში გამწვავებული იყო) და საზღვრისპირა სიმაგრეებზე დავა არასასურველ ვითარებას ქმნიდა.

რუსეთის მთავრობა პრუსიის ემისრების საქმიანობას თურქეთში დიდ მნიშვნელობას აძლევდა და ჯერ კიდევ 1759 წლის 23 იანვრის რესკრიპტით ა. ობრესკოვს საგანგებო ზომების მიღებას ავალებდა. 1759 წლის 28 სექტემბრის რესკრიპტით რუსეთის მთავრობა ობ-

რესკოვს უბრძანებდა: წინადადება მიეცა თურქეთისთვის, გაეწყვიტა ურთიერთობა პრუსიის მეფესთან. რუსეთის მთავრობა არიგებს თავის ელჩს, ზუსტად გაიგოს თურქეთის განზრახვა, რადგან მას ამჯერად მშვიდობა სჭირდება, და ეცადოს გულისყურით მოეპყრას ყოველ უმნიშვნელო წვრილმანსაც კი, რასაც შეუძლია თურქეთთან ურთიერთობის გაუარესება.

არანაკლებ საინტერესოა 1760 წლის 8 ივნისის რესკრიპტი ობრესკოვისადმი, სადაც ნათქვამია: ყირიმის ხანი ცდილობს წაგვაჩხუბოს თურქეთთან; თათრების საქციელი იძულებულს გვხდის გავგზავნოთ იქ დამატებითი ჯარები, ჩვენი საზღვრები გავაძლიეროთ. თურქეთის მთავრობა რომ არ დააეჭვოს ჩვენი ჯარების მოძრაობამ, საჭიროა სულთანმა წინასწარ იცოდეს ჩვენი ნამდვილი განზრახვა: უნდა ეცნობოს თურქეთის მთავრობას, რომ, როგორც კი ხანი ყირიმში დაბრუნდება, ჩვენი ჯარები საზღვრიდან უკანვე დაბრუნდებიანო.

ზემოთ მოტანილი მასალების შუქზე უნდა იქნეს გაგებული აღნიშნულ პერიოდში (1759-1760 წლებში) რუსეთის პოზიცია საქართველოს საკითხისადმი და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა. თეიმურაზ II რუსეთის საზღვარზე გამოჩენა რომ არ ესიამოვნათ, ეს შემთხვევითი როდი იყო: რუსეთს, პრუსიის მეფის გეგმები რომ ჩაეშალა, ადრევე ჰქონდა მიცემული «ვექსილი» თურქეთის მთავრობისთვის, რომ იგი საქართველოს საქმეებში არ ერეოდა და არც ჩაერეოდა.

ამ ამბების შემდეგ მიიღეს ცნობა — იმერეთის კათალიკოსი ბესარიონი და ქართლის მეფე თეიმურაზ II მოდიანო რუსეთს — და რა გასაკვირია, თუ არ ესიამოვნებოდათ. მართალია, იმერეთის კათალიკოსის რუსეთში გამგზავრების შესახებ ხმები არ გამართლდა, მაგრამ ქართლის მეფის რუსეთის საზღვარზე გამოჩენაც ნაკლებ საშიში როდი იყო, რაკი წინასწარ მისცეს «ვექსილი» თურქებს საქართველოს საქმეებში ჩაურევლობის თაობაზე. ცხადია, კანცლერ ვორონცოვსა და მისი უდიდებულესობის კარის კონფერენციას (საბჭოს) 1760 წლის ივნისში სხვა არაფერი რჩებოდათ, თუ არ ის, რომ წინადადება მიეცათ საგარეო საქმეთა კოლეგიისთვის, რათა ამ უკანასკნელს ებრძანებინა ყიზლარის კომენდანტისთვის: თეიმურაზ მეფე იმ შემთხვევაში გაეტარებინათ, თუ იგი საცხოვრებლად მოდიოდა რუსეთში და თანაც თავისი ხარჯით შეინახავდა თავს; ასევე უნდა მოქცეოდნენ სხვებსაც, ვინც საქართველოდან წამოვიდოდა.

ვიდრე პეტერბურგიდან 1760 წლის 30 ივნისის ბრძანებას (რომ-

ლითაც თეიმურაზ II-ს რუსეთში მხოლოდ საცხოვრებლად წასვლის ნებას რთავდნენ — თავისი ხარჯით) ყიზლარში მიიღებდნენ, თეიმურაზ II დიდი ხნით ადრე (1760 წლის 2 ივნისს) ამალითურთ უკვე ჩავიდა იქ. იგი ყიზლარამდე მიაცილეს კომენდანტის ბრძანებით მის შესახვედრად გაგზავნილმა პოლკ. დე ბოგსბერხმა, ტიტულარულმა მრჩეველმა აშხარუმოვმა და თერგის კაზაკთა ატამანებმა კაზაკებითურთ. მეფემ თვეზე მეტს დაყო კარანტინში (1760 წლის 29 აპრილიდან 30 მაისამდე). კარანტინის საბაბით საზღვარზე მეტი დაკავენა წინასწარი განცხადების გამო აღარ შეიძლებოდა.

რაკი მთავრობისგან პასუხი არ ჰქონდა მიღებული და არც ასტრახანის გუბერნატორისგან ელოდა მხარდაჭერას, ყიზლარის კომენდანტმა ვერ გაბედა, სამხედრო წესდების შესაბამისად სალუტი მიეცა მეფისთვის. იგი მეფეს დოლის ცემით მიესალმა, ბინა მისცა, მცველად ასეული გამოუყო; მეფის მომსახურებაზე ხელმძღვანელობისთვის სომეხთა ესკადრონის პოდპოლკოვნიკი პეტრე კასპაროვი მიამაგრა, დღიური ულუფა 30 მანეთით განსაზღვრა, ხოლო 11 ივნისიდან მთელს ამალას თვიურ საზრდოდ 420 მანეთი დაუნიშნა.

აუწყებდა რა თეიმურაზის ყიზლარში მიღების ამბავს, ყიზლარის კომენდანტი 1760 წლის 19 ივნისის მოხსენებით რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას აცნობებდა: თეიმურაზის მოსვლის მიზეზი ისაა, რომ მას რაღაც სათხოვარი აქვს იმპერატორთან, მაგრამ კონკრეტულად რა, არ ამბობსო; დასასრულ, კომენდანტი ითხოვდა, გვაცნობეთ: გამოვუშვათ თუ არა მეფე, რამდენი კაცით, სახარჯოდ რამდენი მივცეთ, წამოსვლის შემთხვევაში სალუტი საჭიროა თუ არაო.

ეს მოხსენება პეტერბურგში 1760 წლის 29 ივლისს მიუღიათ. მინაწერები მოწმობს, თუ როგორი რეაგირება მოუხდენია მას. პირველ მინაწერში აღნიშნულია, რომ კონფერენციის რესკრიპტის საფუძველზე ბრძანება 30 ივნისს გაიგზავნა; მეორე მინაწერში, რომელიც ფანქრითაა შესრულებული, შიშიც კია გამოთქმული: თეიმურაზისთვის ახლანდელ ვითარებაში დოლის ცემით მისალმება და ისიც ზედ საზღვარზე, ზედმეტი იყოო.

თეიმურაზ მეფეს უგრძვნია, რომ რუსეთში მას გულღიად ვერ ხვდებოდნენ, მოსალოდნელი იყო მისი გამგზავრების დაყოვნება. ამასთან, როგორც ჩანს, შეფერხების მიზეზად ვახტანგის მემკვიდრეთა პოზიციაც მიუჩნევია (ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობის ისტორია ასეთი ეჭვის საფუძველს ქმნიდა) და გადაუწყვეტია, თავისი კაცი გაეგზავნა წინასწარ პეტერბურგს, რათა ქართლის ტახტის პრეტენდენტთა ინტრიგები ჩაეშალა და პეტერ-

ბურგში ჩასვლის ნებართვა მიეღო. ამიტომ, ყიზლარს ჩასულა თუ არა, მეფეს თავ. შ. ტუსიშვილი, ნათესავების ნახვის საბაბით, წინასწარ გაუგზავნია პეტერბურგს, მაგრამ ისე, რომ რუსეთის მთავრობისთვის ტუსიშვილის მისიის ნამდვილი მიზანი წინასწარ ცნობილი არ უნდა ყოფილიყო.

თავადი შიო ტუსიშვილი პეტერბურგში ხელცარიელი როდი მიდიოდა. მას მიჰქონდა თეიმურაზ მეფის წერილები ბაქარის ქვრივთან — დედოფალ ანასთან, ბაქარის ვაჟებთან — ლევანთან და ალექსანდრესთან, აგრეთვე, რუსეთის სამსახურში მყოფ თავად ამილახვრებთან. ამ წერილების გაცნობით ნათელი ხდება, რომ თეიმურაზ მეფე ცდილობს, თვალი აუხვიოს ვახტანგის მემკვიდრეებს, რომ ხელი არ შეუშალონ მას პეტერბურგში ჩასვლისა და რუსეთთან ურთიერთობის საქმეში. საყურადღებოა ერთი გარემობაც. როგორც ჩანს, ვახტანგის მემკვიდრეების მხრით ხელშეშლისა ადრევე შინებიათ და სათანადო თადარიგიც დაუჭერიათ; თეიმურაზს ერეკლე მეფის წერილიც კი ჰქონია თან წამოღებული საქართველოდან ვახტანგის მემკვიდრეებთან (რომელიც ტუსიშვილისთვის გაუტანებია პეტერბურგში).

1760 წლის ივლისში თავ. ტუსიშვილი უკვე პეტერბურგს იყო. მას შემდეგი წერილები ჩაუტანია: 1) ერეკლე მეფის წერილი თავ. ეგორ (გიორგი) ამილახვრისადმი, დათარიღებული 1760 წლის 1 აპრილით, რომლითაც ერეკლე მეფე აუწყებდა ადრესატს, რომ მტრების მიერ ჩვენი ქვეყანა ოდითგან შეწუხებულია. რაკი სხვა მფარველი არა გვყავს, ამის გამო მამაჩვენი წამოვიდა იმპერატორთან; 2.) ერეკლე მეფის წერილი ალექსანდრე ბაქარის ძისადმი (ქართლის ტახტის პირდაპირი მემკვიდრე-პრეტენდენტისადმი), დათარიღებული 1760 წლის 9 აპრილით, სადაც მეფე იუწყება მტრების მიერ ქვეყნის შევიწროებასა და წერს: «მამაჩემი წამოვიდა მისის იმპერატორობის დიდებულების წინაშე ამ ქვეყნებისა უსჯულოთაგან შეიწროების მიზეზისთვის საჩივრებელადო» და იქვე განაგრძობს: «ამას მოველი თქვენის კეთილ მეცნიერებისაგან, რათა შეეწიო და წარმართებულყო ამის და ამ ქვეყნების საქმე, რომლისაც შემძლებელობა გაქვნდეს, რომელიც დიდი ღმრთის მსახურება და საქებელია, რაც შეწევნა იქნებოდეს, შეეწიოთო»; 3) ერეკლე მეფის წერილი ლევან ბაქარის ძისადმი, დათარიღებული 1760 წლის 11 აპრილით, სადაც მეფე ერეკლე ისევ ქვეყნის გაჭირვებას უჩივის; 4) თეიმურაზ II წერილი დედოფალ ანასადმი, დათარიღებული1760 წლის 11 ივნისით; 5) თეიმურაზ მეფის წერილი ლევან და ალექსანდრე ბაქარის ძეთ, და-

თარიღებული 1760 წლის 11 ივნისით; 6) თეიმურაზ მეფის წერილი თავ. ეგორ (გიორგი) ამილახვრისადმი, დათარიღებული 1760 წლის 11 ივნისით; 7) თეიმურაზ მეფის წერილი ელენე ამილახვრისადმი, დათარიღებული 1760 წლის 11 ივნისით, სადაც მეფე წერს: დარწმუნებული ვარ, რომ მთელი თქვენი სახლი ჩვენი ერთგულია ისევე, როგორც მამათქვენი იყო, თქვენ გიყურებთ როგორც დას, ხოლო თქვენი შვილები ისევე მიყვარს, როგორც საკუთარი შვილები.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტები მოწმობს, თეიმურაზს თავისი მისიის წარმატების მიზნით გაუგზავნია თავ. შ. ტუსიშვილი პეტერბურგს და არა ნათესავების სანახავად, როგორც ყიზლარის კომენდანტსა და ასტრახანის გუბერნატორს სწერდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, რაკი თეიმურაზის პეტერბურგში ჩასვლამდე არ იყო ნავარაუდევი მათი გახმაურება, ერეკლეს წერილებში არის პირდაპირი მითითება, რომ თეიმურაზი საქვენო საქმეზე მიდის რუსეთს და არა იმპერატორის თაყვანისსაცემად; რაც შეეხება თეიმურაზის წერილებს, ისინი სხვა ფორმითაა შედგენილი, რაკი თეიმურაზს საზღვარზევე უგრძვნია, რომ რუსეთში მისი მიღება არ სურდათ; იგი თავის წერილებში საგანგებოდ გახაზავს: იმპერატორის თაყვანისსაცემად მივდივარო. ცხადია, ერეკლეს წერილები გარკვეულ დრომდე რუსეთის სამეფო კარზე გამოსაჩენი არ იყო, რაკი თეიმურაზი თავის მისიას საიდუმლოდ ინახავდა. თუმცა თეიმურაზს არ შეეძლო ევარაუდა, რომ ერეკლეს წერილებს უეჭველად კანცლერს გადასცემდნენ, მაგრამ, რადგან საქმე ფერხდებოდა, თეიმურაზ მეფე იძულებული გამხდარა, მისი პეტერბურგში გამგზავრების დაჩქარების მიზნით ერეკლეს წერილები გამოეყენებინა: ისინი მას ტუსიშვილისთვის გაუტანებია, როგორც თავისებური «გარანტია» ვახტანგის ოჯახის წევრებისა და მასთან დაახლოებული პირების დასამშვიდებლად.

ზემოხსენებული წერილებით თავ. შიო ტუსიშვილი 1760 წლის 11 ივნისს ყიზლარიდან გამგზავრებულა, 17 ივნისს ასტრახანში იყო, ხოლო 22 ივლისისთვის უკვე პეტერბურგს ჩასულა.

ჩვენ არ ვიცით, რა განუცხადა შ. ტუსიშვილმა ვახტანგის შთამომავლებს, არც ვახტანგის მემკვიდრეთა თავგამოდგება ჩანს თეიმურაზის მიღების სასარგებლოდ, მაგრამ შ. ტუსიშვილს რომ მათი განეიტრალება მოუხდენია, ეს სადავო არ უნდა იყოს. რაც შეეხება თავ. ამილახვარს, არც მისი აქტიურობა ჩანს, მაგრამ არაპირდაპირი მასალები გვაფიქრებინებს, რომ თავ. ტუსიშვილი მისი ხელშეწყობით მოქმედებდა.

1760 წლის 11 აგვისტოს თავ. შიო ტუსიშვილმა კანცლერ მ. ვორონცოვს წარუდგინა ბარათი, სადაც წერს: ჩვენს მეფეს «მათის იმპერატორობის დიდებულობის კარზედ მოსვლა და თაყვანისცემა მათის იმპერატორობის დიდებულობისა ეღირსოს»; ამას თქვენს გრაფობის ბრწყინვალებას «ვედრებით მოგახსენებ და თქვენს ბრძანებას ველი». შ. ტუსიშვილის ბარათი კანცლერს ყოველგვარი რეზოლუციის გარეშე იმავე დღეს (11 აგვისტოს) დაუბრუნებია საგარეო საქმეთა კოლეგიაში. 1760 წლის 5 ოქტომბერს შ. ტუსიშვილი გაისტუმრეს ასტრახანისკენ. რა თქმა უნდა, ტუსიშვილის მისია უშედეგოდ არ დამთავრებულა. იგი იმედმოცემული გაემგზავრა, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

***

რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის 1760 წლის 30 ივნისის ბრძანება ყიზლარის კომენდანტ გენ. ფრაუენდორფისადმი 1760 წლის 30 ივლისს მიუღია ფრაუენდორფის შემცვლელს, პოლკოვნიკ დე ბოგსბერგს. იგი 7 აგვისტოს მეფეს შეხვედრია და, თანახმად ბრძანებისა, გამოუკითხავს რუსეთში წასვლის მიზეზი, თანაც უცნობებია, რომ, თუ საცხოვრებლად მოდიოდა რუსეთს და შეძლებდა (თავისი სახსრებით) ამალის შენახვას, გაუშვებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში უკან დაბრუნებას ურჩევდა. პოლკოვნიკს უთქვამს: თუ რამ მოსახსენებელი გაქვს იმპერატორთან, მე მაცნობე და თვით კი პასუხს აქ დაელოდეო.

თეიმურაზ II-ს პასუხად ასე მოუხსენებია: «პირველყოფილნი ნათესავნი ჩვენი, სრულიად რუსეთისა მპყრობელთა, ვითარცა ქრისტიანეთა, მპყრობელად მბძანებელად და უფლებელად თვისით ჰყურობდენ და მიაჩნდათ და ამისთვის თაყვანის საცემად თავის ქვეყნიდამ რუსეთს მოვიდოდნენ, ხოლო მე... აღვძარ წადილი ჩემი, რომ ღირს ვიქმნა ხილვასა ყოვლად განათლებულისა სახისა მისის იმპერატორობის დიდებულობისა და მივსცეთ წესისაებრ ყოვლად ქებულისა ქრისტიანობისა, ვითარცა ჭეშმარიტად ჩვენს მბრძანებელს და უფლებელს, თაყვანისცემა და ესე არს ჩემი პირველი მიზეზი მოსვლისა ჩვენის ქვეყნიდგან და არცა გვწადს აქ რუსეთს ცხოვრება და როგორც მსწრაფლ ღირს ვიქმნებით მისის იმპერატორობის დიდებისა და მაღლისა მისის დიდებულობის ფამილიის თაყვანის ცემასა, ეგრეთ მსწრაფლ გამოვბრუნდები ჩვენს ქვეყანასა და ამისთვის, როგორც მისვლა, აგრეთვე ჩემის ქვეყნისაკენ გამობრუნება არ დამიგვიანდეს, მცირე კრებული გვახლავს თან».

თეიმურაზის პასუხის ერთი ნაწილი (რომ იგი რუსეთში საცხოვრებლად არ მიდიოდა და რომ მას სასწრაფოდ სამშობლოში დაბრუნება ჰქონდა გადაწყვეტილი) სადავო არაა. რაც შეეხება მეფის პასუხის მეორე ნაწილს (რომ თითქოს იგი რუსეთის იმპერატორთან მხოლოდ თაყვანისსაცემად მიდიოდა), სინამდვილეს არ შეეფერება. დე ბოგსბერგისთვის ასეთი პასუხის მიცემა შემდეგი გარემოებით იყო გაპირობებული: ჯერ ერთი, თეიმურაზის ჩასვლის ნამდვილი მიზნის (რომელიც ფართო საგარეო პოლიტიკურ გეგმებს მოიცავდა) წინასწარ გამხელას შეიძლებოდა ვახტანგის მემკვიდრეთა რეაქცია გამოეწვია; მეორე, ეს გეგმა აგენტების მეშვეობით შეიძლებოდა თურქეთსა და ირანის სახანოებშიც შეეტყოთ, რასაც, ალბათ, საწინააღმდეგო ღონისძიებები მოჰყვებოდა; მესამე, თეიმურაზ მეფეს ადრევე უგრძვნია, ხოლო დე ბოგსბერგის განცხადებით საბოლოოდ დარწმუნებულა, რომ არახელსაყრელი პირობების გამო მისი ჩასვლა რუსეთში არ სურდათ, ამიტომ ჩასვლის მიზნის წინასწარ გამხელას კატეგორიული უარი მოჰყვებოდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თეიმურაზ მეფემ ელჩობის მიზანი მხოლოდ ერთადერთ სანდო კაცს — ამილახვარს გაანდო, ისიც მოსკოვში, როცა დარწმუნდა, რომ მისი პეტერბურგში ჩასვლა გადაწყვეტილი იყო და მას ვეღარაფერი შეაფერხებდა.

თეიმურაზ მეფე მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩაუყენებია დე ბოგსბერგის პასუხს, — თუ საცხოვრებლად არ მოდიხარ რუსეთში, სჯობს უკან დაბრუნდეო. ასეთი პასუხი მარტო დამამცირებელი როდი იყო, იგი მეზობლების თვალში სახელს გაუტეხდა მეფეს. როგორც ჩანს, რუსეთის დიპლომატიას უგრძვნია, რომ თეიმურაზს შეეძლო ესარგებლა 30 ივნისის ბრძანებით და პეტერბურგს წასულიყო, ყიზლარის კომენდანტი მას ვეღარ შეაკავებდა; ამიტომ შეცდომის გამოსწორების მიზნით მისთვის უბრძანებიათ: ახალი ბრძანების მიღებამდე თეიმურაზ II სხვადასხვა საბაბით როგორმე ასტრახანში მაინც შეაკავეთო.

მეორე დოკუმენტი, რომელიც დე ბოგსბერგს 20 სექტემბერს მიუღია, წარმოადგენდა ასტრახანის გუბერნატორის ბრძანებას, რომელიც გამომდინარეობდა საგარეო საქმეთა კოლეგიის 2 აგვისტოს ბრძანებიდან და თავისებურ რჩევას აძლევდა ყიზლარის კომენდანტს. ამ უკანასკნელი ბრძანების მიღებამდე პოლკოვნიკი დე ბოგსბერგი შეხვედრია თეიმურაზ მეფეს. ამ შეხვედრის შედეგები მან დაუყოვნებლივ, 1760 წლის 20 სექტემბრის პატაკით მოახსენა ასტრახანის გუბერნატორს: 1) მეფეს ავუხსენი ამ მხარეში ჯარის საჭიროება და

ყარაული ისე შევამცირე, რომ მეფის უკმაყოფილება არ გამოუწვევია, შევეცდები კიდევ შევამცირო; 2) მეფემ, წინა (30 ივნისის) ბრძანების საფუძველზე, რომელიც მას ეცნობა, გამოთქვა ასტრახანსა და მოსკოვს თავისი ხარჯით გამგზავრების სურვილიო.

1760 წლის 6 ოქტომბერს თეიმურაზ II ამალითურთ ასტრახანისკენ გამგზავრებულა. როგორც ვხედავთ, 4 თვეზე მეტი დაყო თეიმურაზმა ყიზლარს (1760 წლის 2 ივნისიდან 6 ოქტომბრამდე). მას დიდი დიპლომატიური ბრძოლა დასჭირდა, რომ ასტრახანში წასვლა მოეხერხებინა.

1760 წლის 16 ოქტომბერს თეიმურაზ II ამალითურთ ასტრახანის მისადგომებთან, ბანგუშევსკის ფორპოსტთან მივიდა. 17 ოქტომბერს ფორპოსტში მიიღეს საგუბერნიო კანცელარიის ბრძანება — სათანადო განკარგულების მიღებამდე ელჩობა ადგილზე შეეჩერებინათ. მეფე შეუწუხებია ამ ამბავს და ქართველი თარჯიმნის, ვინმე ივანე პეტროვის (?) მეშვეობით პოდპოლკოვნიკ კოპიტოვსკისთვის განუცხადებია: ჩვენ კარანტინის მიზეზით ყიზლარშიც საკმაოდ გვალოდინეს, აქ, როგორც ამბობენ, კიდევ 40 დღეს გვიპირებენ შეჩერებას, ვაჭრები კი შეუფერხებლად გაატარესო; კოპიტოვსკის სათქმელი არაფერი ჰქონია და ისღა განუცხადებია, რომ ფორპოსტიდან გამოგზავნილ კაპრალს ყველა არ გაუსინჯავსო.

19 ოქტომბერს კოპიტოვსკის აცნობეს, რომ მეფის ამალა კარანტინში მხოლოდ 8 დღეს დარჩებოდა, 23 ოქტომბერს შეეძლო შესულიყო ასტრახანში და მისთვის გამოყოფილ სასტუმროში დაბინავებულიყო. თეიმურაზი უკმაყოფილო დარჩენილა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა.

1760 წლის 23 ოქტომბერს თეიმურაზ II-ეს წინასწარ გაუგზავნია ასტრახანს ნაზირი **გიორგი ციციშვილი**, რათა ასტრახანის გუბერნატორი მოეკითხა და ამალისთვის განკუთვნილი ბინები შეემოწმებინა. იმავე დღეს მეფე ვოლგას მიდგომია; წინა დღით გამოყოფილი ნავებით მეფის ამალა ვოლგაზე გადაუყვანიათ. მართალია, ქალაქში შესვლისას სალუტი არ მიუციათ, მაგრამ ნავმისადგომთან მეფეს უფროსი ოფიცრები დახვედრიან ვიცე-გუბერნატორის მეთაურობით და მეფე თავისი ამალით ბინამდე მიუცილებიათ. ასტრახანში მეფეს დიდი პატივით ეკიდებოდნენ: გუბერნატორმა მეფეს საჩუქრები მიართვა; მას გაუმასპინძლდნენ გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი და ასტრახანის ეპისკოპოსი; 24 ოქტომბერს საკრებულო ტაძარში მეფის მისვლისას წირვა თვითონ ეპისკოპოსმა მეთოდემ გადაიხადა; 30 ოქტომბერს მეფე არტილერიის პოლიგონზე წაიყვანეს. თეიმუ-

რაზი რუსი არტილერისტების ოსტატობით განცვიფრებულა. აღსანიშნავია, რომ მეფესა და მის ამალას ასტრახანში საცხოვრებლად მიუჩინეს სომხებით დასახლებული უბანი (სულ 27 სახლი გამოუყვიათ); ასეთი არჩევანი იმას განუპირობებია, რომ მეზობელი ხალხებია და ერთმანეთს უკეთ გაუგებენო. ასტრახანის საოლქო არქივში შემონახულია იმ სახლების მფლობელთა სია, სადაც მეფესა და ელჩებს უხდებოდათ ცხოვრება.

1760 წლის 28 ოქტომბერს პეტერბურგიდან დაბრუნდა შიო ტუსიშვილი, ხოლო 30 ოქტომბრიდან მეფემ საქმიანი მოლაპარაკება დაიწყო ასტრახანის ვიცე-გუბერნატორ ბეკლემიშევთან პეტერბურგს გაშვების თაობაზე, რამაც თითქმის 3 თვეს გასტანა, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

***

ასტრახანის ხელისუფალნი, თანახმად მთავრობის დავალებისა, გზის უვარგისობის მომიზეზებით ცდილობდნენ მეფე შეეჩერებინათ და თანაც შეეტყოთ თეიმურაზ მეფის რუსეთში გამგზავრების ნამდვილი მიზანი. 1760 წლის 6 ნოემბერს ასტრახანს ჩავიდა ახალი გუბერნატორი ნერონოვი, რომელმაც 10 ნოემბერს მეფესთან შეხვედრისას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი გზის სიძნელეს. თეიმურაზ მეფეს კიდევ უფრო ენერგიულად დაუწყია მოთხოვნა ასტრახანის ახალ გუბერნატორ ვ. ნერონოვისთვის — პეტერბურგს გამიშვითო. რაკი დაუნახავს, რომ ტალახი და გზის სიძნელე არ ჭრიდა, ნერონოვს ახალი «მოტივები» გამოუნახავს: ამ უვარგის გზაზე შეიძლება ახლა ხიფათი გადაგეყაროსო.

როგორც ზემოთ დავინახეთ, თეიმურაზ I სამეფო კარზე მიღების საქმეს პრუსიასთან ომის დროს თურქეთის პოზიცია აფერხებდა. 1760 წ. სექტემბრის ბოლოს რუსეთის ჯარებს გარკვეული წარმატება ჰქონდათ: აღებულ იქნა ბერლინი. 1760 წლის 13 ოქტომბერს რუსეთის მთავრობამ საგანგებოდ გაუგზავნა რუსეთის რეზიდენტ ა. ობრესკოვს გენერალ ფერმორის 28 სექტემბრის რელაცია ბერლინის აღების შესახებ, რათა იგი კონსტანტინოპოლში გაეხმაურებინა და თურქეთის მთავრობა ჩაეფიქრებინა. 30 ოქტომბრის რესკრიპტით ობრესკოვს საგანგებოდ ავალებდნენ: მოკავშირე მინისტრების დახმარებით ეცადე, დაითანხმო თურქეთის მთავრობა, რომ პრუსიის ემისარი გაუდენი თურქეთიდან გააძევესო. მართალია, ობრესკოვის მიერ 1760 წელს გამოგზავნილ მოხსენებებში აღნიშნულია, რომ პრუსიის მეფის ემისრები ცდილობენ, აამხედრონ თურქეთი რუსეთის

წინააღმდეგ, რომ ყირიმის ხანი ყველაფერს აკეთებს, რათა თურქეთი რუსეთს დაუპირისპიროსო და სხვა, მაგრამ იმავე მოხსენებებში საკმაოდ ნათლადაა წარმოდგენილი თურქეთის რთული საშინაო ვითარებაც, რაც რუსეთის მთავრობისთვის ცნობილი იყო.

1760 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში, როცა პეტერბურგში თეიმურაზის მიღების საკითხი საბოლოოდ წყდებოდა, რუსეთის მთავრობას საკმაო ცნობები ჰქონდა მიღებული ასტრახანიდან (1 და 4 ნოემბრის პატაკი ჟურნალითურთ), ბერლინიდან (რელაცია ბერლინის აღების შესახებ) და კონსტანტინოპოლიდან (ობრესკოვის 4 ოქტომბრის რელაცია თურქეთის სამხედრო უძლურების შესახებ).

1760 წლის 2 დეკემბერს კანცლერმა მ. ვორონცოვმა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის კარის კონფერენციას მოახსენა იმპერატორის გადაწყვეტილება თეიმურაზ მეფის სამეფო კარზე მიღებასთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც მიღებულ იქნა სათანადო გადაწყვეტილებანი საგარეო საქმეთა კოლეგიასა და სენატში გასაგზავნად. ამის შემდეგ დაიგზავნა სათანადო განკარგულებანი.

1760 წლის 3 დეკემბერს სენატს გაეგზავნა მიწერილობა, სადაც ნათქვამი იყო, რომ იმპერატორმა თეიმურაზს თავისი ამალით სამეფო კარზე ჩამოსვლის ნება დართო და სარჩოდ თვეში 500 მანეთი დაუნიშნა.

23 იანვარს, ნაშუადღევს, ქართლ-კახეთის ელჩობა ასტრახანიდან მოსკოვისაკენ დაიძრა. 1761 წლის 25 თებერვლიდან 8 მარტამდე თეიმურაზ მეფე მოსკოვში დარჩა. იქ ჩასვლის პირველსავე დღეს (25 თებერვალს) თეიმურაზ II-თან მოსულა შტაბს-ოფიცერი, რომელსაც ვიცე-გუბერნატორის სახელით მეფისთვის მიულოცავს მოსკოვს მშვიდობით ჩასვლა. იმავე დღეს მეფესთან მისულან გენერალ-ლეიტენანტი **გიორგი ბატონიშვილი** (ვახტანგ VI-ის ძე) და მოსკოვს მყოფი სხვა ქართველები, რომლებიც მეფეს კმაყოფილებით მიუღია. 26 თებერვალს მეფესთან მისულა მოსკოვბის კომენდანტი, გენერალ-მაიორი **ათანასე ბატონიშვილი** თავისი პოლკების ოფიცრების თანხლებით და მშვიდობით მობრძანება მიულოცავს; 3 მარტს მეფე ინახულა მოსკოვის ვიცე-გუბერნატორმა ჟერეპცოვმა, რომელსაც ახლდნენ: პოლკოვნიკი კისელევი, რევიზიის კოლეგიის პროკურორი ტუტოლმინი, იუსტიციის კოლეგიის წევრი პოხვინები, ჰერალდმაისტერი ოგარევი. მათაც მეფისთვის მშვიდობით მობრძანება მიულოცავთ. მეფეც, თავის მხრივ, თავაზიანად და თბილად მისალმებია და გამასპინძლებია. საუბრისას მეფეს განუცხადებია, რომ სურდა ჩქარა გამგზავრებულიყო პეტერბურგს.

თავად ე. ამილახვრის ჩანაწერების ჟურნალი მოწმობს, რომ მეფეს გულთბილად იღებდა და უმასპინძლდებოდა მოსკოვს მყოფი ყველა უმაღლესი მოხელე. ამასთან, მეფეს კარგი ურთიერთობა დაუმყარებია ვახტანგის შთამომავლებთან (თავის ცოლის ძმებთან) და სხვა ქართველ თავადებთან. იგრძნობა, რომ მეფეს მათთან საერთო ენა გამოუნახავს (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართლის ტახტის უშუალო პრეტენდენტი ალექსანდრე ბაქარის ძე იმ დროს მოსკოვში არ ყოფილა და მეფეს არ შეხვედრია). ერთი სიტყვით, მეფე ყურადღების გარეშე არც ერთ დღეს არ ყოფილა. 26 თებერვლიდან 2 მარტამდე (ჩათვლით) ვიზიტები არ ჩანს, მაგრამ ეს იმიტომ, რომ დიდი მარხვის პირველი კვირა ყოფილა.

თეიმურაზ მეფეს მოსკოვში საქმიანი მოლაპარაკებაც ჰქონია კარის მრჩეველ თავად ე. ამილახვართან. რაკი მეფემ იცოდა, რომ პეტერბურგში მის ჩასვლას არაფერი აბრკოლებდა, თანაც ე. ამილახვარი სანდო კაცად მიუჩნევია, აღარ დაუმალავს რუსეთში გამგზავრების ნამდვილი მიზეზი.

ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთათვის ცნობილი იყო, რომ რუსეთს ირანში თავისი ინტერესები გააჩნდა და დახმარებას სთხოვდა არა შეწყალებისთვის, არამედ თვით რუსეთის სასარგებლოდაც. ქართველმა სახელმწიფო მოღვაწეებმა ისიც იცოდნენ (და ეს თეიმურაზს მხოლოდ რუსეთში არ უნდა შეეტყო), რომ შეიძლება რუსეთს ჯარით დახმარება ვერ გაებედა. ამიტომ აცხადებდა იგი, რომ, თუ სხვადასხვა გარემოების გამო ჯარით შემწეობა არ მოხერხდება, უკიდურეს შემთხვევაში ფულით მაინც დაგვეხმარეო.

მეფის განცხადებიდან ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი მომენტიც. ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს განზრახული აქვთ ჯარით ირანში შეჯრა და იქ ტახტზე თავისი კაცის (რუსეთისთვის მისაღები კანდიდატის) დასმა, ამიტომ სჭირდებათ რუსეთის მთავრობის სათანადო დასტური («е. и. в. апробации»). ასეთ დიდ ნაბიჯს რუსეთთან წინასწარი შეთანხმებისა და დასტურის გარეშე ვერ გადადგამდნენ.

მეფე მოსკოვში მიღებით კმაყოფილი დარჩენილა, მაგრამ რუსეთის მოხელეებთან მოლაპარაკებისას პეტერბურგს დაუყოვნებლივი გამგზავრების სურვილი გამოუთქვამს. როგორც ჩანს, მეფეს ყიზლარისა და ასტრახანის გაკვეთილები აშინებდა, მაგრამ საშიში არაფერი იყო. პირიქით, რუსეთის მთავრობა ცდილობდა დაეჩქარებინა თეიმურაზის მოსკოვიდან გამგზავრება, რადგან მარტი დადგა და გზის გაფუჭებისა ეშინოდა, მ. ვორონცოვი საგანგებოდ ავალებდა საგარეო საქმეთა კოლეგიის მოსკოვის კანტორის უფროსს მ. სო-

ბაკინსა და ამილახვარს: ზრდილობიანი ფორმით ჩააგონეთ თეიმურაზს, რომ წამოსვლა დააჩქაროსო.

1761 წლის 8 მარტს ქართლ-კახეთის ელჩობამ მოსკოვი დატოვა და პეტერბურგისკენ გაემგზავრა. ოფიციალურ გამცილებელთა (რუსეთის მოხელეები, სამხედრო რაზმი) გარდა, თეიმურაზ მეფე სოფელ ვსესვიატსკოემდე გენერალ-პორუჩიკ გიორგი ბატონიშვილსა (ვახტანგის ძე) და მოსკოვს მყოფ ქართველ თავად-აზნაურობას გაუცილებია. 19 მარტს ელჩობა პეტერბურგისკენ დაძრულა და დღის 12 საათზე მისულა ელჩობისთვის მომზადებულ ბინაში — «ვოლოხთა» თავადის კანტემირის სახლში, სადაც მიუღია სტატს კანტორის მრჩეველს თავ. ეგორ (გიორგი) ამილახვარს.

1761 წლის 21 მარტს მეფეს პირველი ოფიციალური შეხვედრა ჰქონდა კანცლერ მ. ვორონცოვთან, ხოლო 25 მარტს კანცლერმა მეფე სადილზე მიიწვია. ფაქტობრივად ამ შეხვედრებით დაიწყო საქმიანი მოლაპარაკება.

პეტერბურგში ჩასვლისთანავე მეფეს უახლესი ცნობები მიუღია საქართველოდან. კერძოდ, 1761 წლის 26 მარტს თეიმურაზ მეფეს წერილი მიუღია ერეკლე მეფისაგან. წერილი 1760 წლის 25 დეკემბერსაა გამოგზავნილი. თეიმურაზ მეფემ შეიტყო, რომ 1761 წლის დეკემბერში ერეკლემ ფანა-ხანი დაამარცხა, განჯის ტახტზე თავისი ერთგული შაჰ-ვერდი-ხანი აღადგინა, რომ განჯა და ერევანი ერეკლეს ემორჩილებოდა და აზატ-ხანიც შეპყრობილი ჰყავდა მას.

ამ ამბებს მოლაპარაკების მსვლელობისთვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. თეიმურაზ მეფე რუსეთის მთავრობას ამაყად აცნობებდა ერეკლეს წარმატებებს, რუსეთის მთავრობას კი, კონსტანტინეპოლიდან ა. ობრესკოვის მიერ გამოგზავნილი რელაციების საფუძველზე (მისთვის უცნობი იყო საქართველოს ამბები), ამ წარმატებისა არ სჯეროდა და მათ ყალბად მიიჩნევდა.

1761 წლის 8 აპრილს მეფეს აუდიენცია ჰქონდა იმპერატორის ოჯახის წევრებთან. რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართველი მეფის მიღებას რომ თურქეთში მითქმა-მოთქმა არ გამოეწვია, რუსეთის მთავრობას დაუყოვნებლივ, 1761 წლის 12 აპრილს, რესკრიპტი გაუგზავნია კონსტანტინოპოლში ა. ობრესკოვისთვის, რომლითაც რეზიდენტს აცნობებდა, რომ 19 მარტს პეტერბურგს ჩამოვიდა თეიმურაზი 76 კაცით, რათა წინაპრების მაგალითისამებრ თაყვანი სცეს იმპერატორსო.

ერთი სიტყვით, ობრესკოვს უნდა ეპასუხა თურქეთის მთავრობისთვის: როგორც თქვენ არ ერევით სპარსეთის საქმეებში, მაგრამ

ერთმორწმუნეობის გულისთვის თავშესაფარს აძლევთ აზატ-ხანს და ახლაც მანდ გყავთ, ჩვენ კი ამაზე არაფერს ვამბობთ, ასევე ჩვენც მივიღეთ, ერთმორწმუნეობის გულისთვის, ქართველი მფლობელი და არც თქვენ უნდა თქვათ რაიმე, მით უმეტეს, რომ სპარსეთში არეულობის დაწყების დროიდან ჩვენ მასში არავითარ მონაწილეობას არ ვიღებთ და ჩაურევლობის პოზიციის შენარჩუნება გვსურსო.

საქმიანი მოლაპარაკების დაწყებამდე თეიმურაზ მეფეს საქართველოდან ახალი ცნობა (ერეკლე მეფის 1761 წლის 23 იანვრის წერილი) მიუღია, რომელიც 21 აპრილს კანცელარიისთვის გადაუცია. ამ წერილის მიღებას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მას ნაწილობრივ უნდა გაეფანტა ის ეჭვები, რომელიც აზატ-ხანის შეპყრობის საკითხზე რუსეთის მთავრობას შეუქმნა ობრესკოვის რელაციამ კონსტანტინოპოლიდან.

ერეკლე მეფე წერილით ატყობინებდა, რომ ფანა-ხანს უთხოვია, აზატ-ხანი მისთვის გაეგზავნა, მაგრამ ერეკლეს უარი შეუთვლია. განჯიდან გაქცეულან აზატ-ხანის ჯარისკაცები. ფათალი-ხანი ყარაბაღში ყოფილა, ხოლო ქართველთა მაშველი ჯარი — შაჰვერდი-ხანთან; ეს ხანები, ქართველების მაშველი რაზმით, ბარდავისა და შუშის ასაღებად იბრძოდნენ თურმე. ერეკლეს ჭარელებთან ხელშეკრულება დაუდვია («და ჯერჯერობით ზავს არ არღვევენო»). ერევანი ერეკლეს მფარველობაში ყოფილა და 10.000 მანეთს უხდიდა მას. ქერიმ-ხანსა და ფათალი-ხანს შორის დავა გრძელდებოდა. ამბობენ, ქერიმ-ხანს სპარსელები აუჯანყდნენო. ლეკების აშკარა გამოსვლას დიდი ძალებით ადგილი არ ჰქონია — ცალკეული ქურდული თავდასხმებია, რომელსაც დიდი ზარალი არ მოუტანიაო.

ასე რომ, თეიმურაზ მეფე, საქმიანი მოლაპარაკების წინ საქართველოსა და კავკასიაში არსებულ ვითარებას კარგად იცნობდა, თანაც, ერეკლეს წარმატებანი თეიმურაზ მეფეს საშუალებას აძლევდა მნიშვნელოვანი საკითხები გაბედულად დაესვა რუსეთის მთავრობის წინაშე.

1761 წლის 28 აპრილს დაიწყო საქმიანი მოლაპარაკება თეიმურაზ II-სა და რუსეთის იმპერიის კანცლერ მ. ვორონცოვს შორის. მეფეს კანცლერისთვის გადაუცია ქართულად დაწერილი ბარათი და უთხოვია, მოხერხებულ დროს გადაეცა იგი იმპერატორისთვის. მასში ზოგადად გაშუქებულია საქართველოს პოლიტიკური ვითარება და ჩამოყალიბებულია ძირითადი მოთხოვნები: 1) ლეკთა ყაჩაღური თავდასხმები საქართველოს აოხრებს, მაშველი ჯარი ამიტომ გვჭირდება, მაგრამ «შემცირება შემოსავლისა ნებას არ გვრთავს»

«ჯამაგირით სამხედროსა მსახურებასა მოსამატათ ქართველთა თანა სომეხთაგან და ყაბარდოთაგან შემრავლებასო»; ამიტომ «ესრეთ დამხობით წინაშე ფერხთა თქუენისა ყოვლად უგანათლებულობისა იმპერატორობის დიდებულობისა უმდაბლესად და მონებრივ მოვივედრებ უუმაღლესს შემწეობასა ჯარითა გინა ყოვლად უუმოწყალესის შეწყნარებით მერაოდენისამე წელით გამოჩინებულით თეთრის ხაზინით, რომელსა უკვე პირველსა ჭელის გამართვას ჩემსა დადგინებასა ყოვლად უმდაბლესის მადლობით ხაზინასა შინა თქუენის იმპერატორობის დიდებულობისა მოქცევას ვითანამდებებ». 2) როცა ქართლსა და კახეთს მტერთაგან სიმშვიდეს მოვუპოვებ, «საქართველოსა და კახეთსა საიმედოთი შეიარაღებულის ერითა მწადის გამორჩეულის დასით სპარსეთში შევიდე, რათა მოყუანებად ერთხმობით ჩინებულთა სპარსთა შეკრებანი ვინათგან მით შევიძლო შემოკლება შფოთისა და ვეცადო მოგროვებულის ძალით ყეენი კეთილმოსურნე, რუსეთის შესამატათ, ერანის ტახტზე აღვიყვანო».

განსაკუთრებით საინტერესოა მეფის მეორე წინადადება, რომლითაც ნავარაუდევია ირანის ბატონობისაგან საქართველოს საბოლოო გამოხსნის საკითხის გადაწყვეტა. ქართველ მეფეებს გადაუწყვეტიათ, რომ, როგორც კი ლეკთა საკითხს მოაგვარებდნენ, ქართლ-კახეთის ჯარით ირანში შეჭრილიყვნენ, არეულობისთვის ზღვარი დაედოთ და ირანის ტახტზე თავიანთი კანდიდატი დაესვათ. რუსეთს დაინტერესების მიზნით პირდებიან: თქვენთვის სასურველ პირს ავიყვანთ ირანის ტახტზეო.

თეიმურაზ მეფის წინადადებანი 1761 წლის 30 აპრილს კანცლერს იმპერატორისთვის მოუხსენებია, მაგრამ თეიმურაზ მეფის წინადადებაზე რუსეთის მთავრობა პასუხს რომ არ ჩქარობდა, ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, რუსეთის მთავრობას ევროპაში არახელსაყრელი ვითარების მიუხედავად არ სურდა ქართველი მეფის ხელცარიელი გამოსტუმრება და კავკასიაში ფეხის მოკიდების მარჯვე შემთხვევის ხელიდან გაშვება. სხვა რომ არა იყოს რა, ხელცარიელი გამოსტუმრება ერთგულ კავკასიელ მოკავშირეს რუსეთზე გულს აუცრუებდა, რაც არ შეიძლებოდა მისთვის სასურველი ყოფილიყო. ერთი სიტყვით, რუსეთის მთავრობა ევროპაში ვითარების შეცვლას ელოდებოდა, თეიმურაზ მეფე — რუსეთის მთავრობის პასუხს.

რუსეთის მთავრობა მეორე ფრონტის შიშით ცდილობდა ჩაეშალა თურქეთ-პრუსიის კავშირი, არ დაეშვა თურქეთის ჩარევა სპარსეთის საქმეებში, ვიდრე რუსეთი პრუსიასთან ომით იყო დაკავებული. რუ-

სეთის დიპლომატიამ თურქეთის შინაგანი სისუსტის ვითარებაში ფრთხილი პოლიტიკით ორივე ამოცანის განხორციელება შეძლო. მაგრამ სწორედ ეს ფრთხილი პოლიტიკა აფერხებდა ქართველი მეფისთვის გარკვეული პასუხის მიცემას და თეიმურაზი პასუხის მოლოდინში პეტერბურგში რჩებოდა. რუსეთის მთავრობას კავკასიის საკითხში ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ პრუსიასთან ომის დამთავრების შემთხვევაში შეეძლო, წინააღმდეგ შემთხვევაში თურქეთ-პრუსიის სამეგობრო და კომერციული ხელშეკრულება შეიძლებოდა თურქეთ-პრუსიის სამხედრო კავშირად გადაქცეულიყო.

ასე რომ, 1762 წლიდან რუსეთს კავკასიაში სამოქმედოდ ხელები უნდა გახსნოდა, რასაც ელოდებოდნენ რუსეთის მთავრობა და თეიმურაზ II. მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ: 1761 წლის 25 დეკემბერს გარდაიცვალა **ელისაბედ პეტრეს ასული**, ტახტზე ავიდა **პეტრე III**, რასაც მოჰყვა მკვეთრი მობრუნება რუსეთის საგარეო პოლიტიკაში. რუსეთი ყოფილი მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლის სამზადისს შეუდგა **ფრიდრიხ II**-ის გადასარჩენად, რამაც საქართველოს საკითხი უკანა პლანზე გადაწია.

ელისაბედ პეტრეს ასულის გარდაცვალებიდან 2 დღის შემდეგ, 1761 წლის 27 დეკემბერს, ფაქტობრივად გადაწყდა თეიმურაზ მეფის სამშობლოში ხელცარიელი გამოსტუმრების საკითხი. ამჯერად, რაკი ახალი იმპერატორი პრუსიული ორიენტაციისა იყო, ალბათ, კარისკაცებს აღარ ეეჭვებოდათ, რომ ევროპაში საქმეებს შემდგომი გართულება ელოდა და ქართველი მეფისთვის სხვა პასუხის მიცემა, გარდა სიტყვიერი დაპირებით გამოსტუმრებისა, გამორიცხული იყო. თუმცა ახალ იმპერატორს გადაწყვეტილების მიღება დიდად არ დაუყოვნებია, მაგრამ 1762 წლის 8 იანვარს, საღამოს 6 საათზე, გარდაიცვალა თეიმურაზ II.

საქართველოში ელჩობის დაბრუნება და ერეკლესათვის მხოლოდ იმედიანი სიტყვის შემოთვლა საბოლოოდ გადაწყდა. რაც შეეხება თეიმურაზ მეფის მიერ რუსეთის მთავრობისთვის წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს, ისინი შეუსრულებელი დარჩა.

1762 წლის 8 (19) თებერვალს გამოქვეყნდა დეკლარაცია პრუსიასთან საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ. 5 (16) მარტს იმპერატორმა ხელი მოაწერა პრუსიასთან დროებით ზავს, ხოლო 24 აპრილს (6 მაისს) — სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომლითაც რუსეთმა მთელი დაპყრობილი ტერიტორია საზღაურის გარეშე დაუბრუნა პრუსიას; კიდევ მეტი, რუსეთის 20 ათასიანი არმია გადასცა ფრიდრიხ II-ის განკარგულებაში და ყოფილი მოკავშირეების

წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყება უბრძანა.

აღსანიშნავია, რომ 1762 წლის 31 იანვარს ერეკლესათვის გასაგზავნი საჩუქრების სია შეუდგენიათ, სადაც ერეკლე გაერთიანებული ქართლისა და კახეთის მეფედ იხსენიება, რაც მის ოფიციალურ ცნობასაც ნიშნავდა (ვახტანგის მემკვიდრეთა სურვილის საწინააღმდეგოდ). ასე რომ, რუსეთმა ადრევე მისცა ოფიციალური სანქცია იმას, რაც ერეკლემ შემდეგ განახორციელა.

მართალია, ამას თავისთავად დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ რუსეთის დიპლომატიის ეს უკანდახევა და საჩუქრები, დაპირებასთან ერთად, ერეკლე-თეიმურაზის წინადადების უპასუხოდ დატოვების თავისებური კომპენსაცია იყო.

1762 წლის 18 (თუ 20) თებერვალს ქართლ-კახეთის ელჩობა პეტერბურგიდან გამოსულა. ხოლო 26 თებერვალს იგი უკვე მოსკოვს ჩასულა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პეტერბურგიდან ქართლ-კახეთის ელჩობა სრული შემადგენლობით არ გამოსულა, როგორც ეს სიებშია მოხსენიებული (მას აკლდა რუსთავის ეპისკოპოსი იოანე და თავ. გ. ციციშვილი, მსახურებითურთ). არქიეპისკოპოსი იოანე თავისი ნებით დარჩენილა რუსეთში, ხოლო გ. ციციშვილს ვალის უმალ დაფარვა ვერ მოუხერხებია და დროებით დარჩენილა პეტერბურგში.

1762 წელს 4 მარტს ელჩობა მოსკოვიდან გასულა და 19 მარტს ჩასულა ყაზანში, სადაც 26 აპრილამდე დარჩენილა.

მოსკოვში ქართველებს შეუტყვიათ, რომ სახმელეთო გზით ყაზანამდე გზავნიდნენ, ხოლო ყაზანიდან ვოლგით უნდა გამგზავრებულიყვნენ, რაც ყინულის გალღობამდე (გაზაფხულამდე) შეუძლებელი იქნებოდა; ასეთი მგზავრობით გზაში ძალზე დაუგვიანდებოდათ, ზაფხული მოუსწრებდათ და ცხედრის საქართველოში ჩამოსვენება შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ მოსკოვიდან გასვლის წინა დღეს, 1762 წლის 3 მარტს, საგარეო საქმეთა კოლეგიის მოსკოვის კანტორისთვის გადასაცემად ქართველ თავადებს ასეთი თხოვნა შეუდგენიათ: «о погребени тела его светлости покойного владетеля нашего в Астрахани, где погребен и покойный грузинской царь Вахтанг Леонович». საგარეო საქმეთა კოლეგიას ზემოაღნიშნული თხოვნა მალე მიუღია და დათანხმებულა.

1762 წლის 26 აპრილს ქართლ-კახეთის ელჩობა გავიდა ყაზანიდან და 26 მაისს ასტრახანს ჩავიდა. 4 ივნისს თეიმურაზ მეფე «по отправлении литургии с отпевом по обыкновению с подобающею по церковному чиноположению честию, при нем губернаторе и протчих штап и обер офицерах и при множестве народа погребен с

звоном». ასე დაასრულა თავისი სიცოცხლე XVIII ს-ის ცნობილმა პოეტმა და დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ თეიმურაზ II-მ.

1762 წლის 20 ივნისს ქართლ-კახეთის ელჩობა ასტრახანიდან ყიზლარისკენ წამოვიდა. მას მოაცილებდა პრაპორშჩიკი დ. მანღოვი, რომელსაც თან მოჰქონდა ასტრახანის გუბერნატორ ვ. ნერონოვის წერილი ერეკლე მეფესთან. ვ. ნერონოვის წერილში (რომელიც 1762 წლის 13 ივნისითაა დათარიღებული) სამძიმარია გამოთქმული თეიმურაზ მეფის გარდაცვალების გამო, შემდეგ ლაპარაკია იმაზე, თუ როგორი პატივით იქნა გამოცილებული ელჩობა პეტერბურგიდან და როგორ დაასაფლავეს თეიმურაზი ასტრახანში; გუბერნატორი საგანგებოდ ჩერდება რუსეთის მთავრობის მხრივ ერეკლესადმი გამოჩენილ ყურადღებაზე და გაკვრით იხსენიებს საჩუქრებს, რომელთა ჩამოთვლა ზედმეტად მიუჩნევია (მასზე კანცლერი წერსო); ბოლოს, გუბერნატორი აღნიშნავს, რომ, როგორც კი ამალა ჩამოვა, პრაპორშჩიკი მანღოვი, რომელიც ელჩობის უკეთ გაცილების მიზნით გამოვგზავნე, სასწრაფოთ უკანვე დააბრუნე საპასუხო წერილითო.

ელჩობა 1762 წლის 28 ივნისს ყიზლარს ჩასულა, ხოლო 20 აგვისტოს თბილისს დაბრუნდა.

***

ქართველი კოლონისტები, საქართველოსთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, პირობით შეიძლება დავყოთ სამ ძირითადად ჯგუფად:

პირველი ჯგუფი, რომელსაც ალექსანდრე ბაქარის ძე ბატონიშვილი მეთაურობდა, ქართლის ტახტისთვის იბრძოდა და კახი ბაგრატიონისადმი მტრულად იყო განწყობილი. ეს ჯგუფი ძალზე სუსტი და მცირერიცხოვანი იყო, რაც იმითაც უნდა იყოს გაპირობებული, რომ მას რუსეთის მთავრობა მხარს არ უჭერდა.

მეორე ჯგუფი, რომელიც კოლონისტების უმრავლესობას შეადგენდა, კმაყოფილი იყო რუსეთში მიღებული ყმა-მამულით, მტკიცედ იდგა რუსეთის სამსახურში, სამშობლოში დაბრუნებაზე აღარ ფიქრობდა, ქართლის ტახტის გარშემო წარმოებული ბრძოლისაგან თავი შორს ეჭირა (უთუოდ იცოდა რუსეთის პოზიცია) და ერეკლე-თეიმურაზის მიმართ ლოიალური იყო (ამ ჯგუფს ეკუთვნოდა ბატონიშვილების ნაწილიც, რომელთაც ქართლის ტახტზე პრეტენზია არ ჰქონიათ). ამ ჯგუფიდან ზოგიერთმა იმდენად დაუკავშირა თავისი ბედი რუსეთს, რომ საქართველოში რუსეთის დაზვერვის აგენტობაც

კი იკისრა (ო. თუმანოვი).

მესამე ჯგუფი კოლონისტთა პატრიოტულად განწყობილი ნაწილი იყო, რომელსაც სამშობლო მიწის სურნელი ეწეოდა და, როგორც ჩანს, ისევ უკან დაბრუნებაზე ოცნებობდა, ამიტომ ერეკლე-თეიმურაზთან ახლო ურთიერთობაში იყო.

ქართველი კოლონისტების ასეთი დაყოფა იმით იყო გაპირობებული, რომ XVIII ს. 50-60-იან წლებში დასავლეთის ამბებით დაკავებული რუსეთი საქართველოს საქმეებში არ ერეოდა, ცდილობდა კავკასიაში სიმშვიდე შეენარჩუნებინა, რომ თურქეთისთვის არ მიეცა ირანის საქმეებში ჩარევის საბაბი. ამიტომ რუსეთი ქართლის ტახტის მაძიებლებს არა თუ არ სწყალობდა, 50-60-იან წლებში საქართველოში წამოსვლის ნებასაც არ აძლევდა, რითაც ფაქტობრივად ერეკლე-თეიმურაზის მხარდამჭერის როლში გამოდიოდა.

რაც შეეხება ერეკლესა და თეიმურაზს, ისინი ქართველ კოლონისტთა პატრიოტულ ნაწილთან მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ, წყალობას პირდებოდნენ და მათი მეშვეობით საჭირო ინფორმაციას აგროვებდნენ; მათივე მეშვეობით ქართლის ტახტისთვის მებრძოლთა რიგებს თიშავდნენ და ამ უკანასკნელთა პოზიციებს ასუსტებდნენ. ისიც შეინიშნება, რომ თეიმურაზი და ერეკლე დიპლომატიურად ელოლიავებოდნენ თვით ვახტანგ VI-ის შთამომავლობას და ცდილობდნენ «დაემტკიცებინათ» ბატონიშვილებისთვის, რომ ერეკლე-თეიმურაზის წარმატებანი მათთვის «უსარგებლო» არ იქნებოდა.

ვახტანგის შთამომავალთა ერთი ნაწილი, რომელსაც ესმოდა, რომ ერეკლესა და თეიმურაზს ქართლი საკმაოდ მაგრად ეჭირათ ხელში და რუსეთის მთავრობაც საქართველოს საქმეებში ჩარევას არ ფიქრობდა, გრძნობდა — ქართლში დაბრუნებაზე ფიქრი ფუჭი ოცნება იყო. ამიტომ ისინი საბოლოოდ შეურიგდნენ მომხდარ ფაქტს და თეიმურაზს ისე შეხვდნენ რუსეთში, როგორც ნათესავს. მხოლოდ ალექსანდრე ბაქარის ძე და მისი თანამოაზრე რამდენიმე თავადი, რომელნიც რეალურ ვითარებას ჯეროვნად ვერ აფასებდნენ, ერეკლესადმი მტრობაზე ხელს კვლავ არ იღებდნენ.

მოამზადა **გრიგოლ რუხაძემ.**

ვალერიან მაჭარაძე

რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო

ვალერიან მაჭარაძე, მასალები XVIII ს-ის მეორე ნახევრის
რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისთვის
ნაწილი III, ნაკვეთი I, თბ., 1988; ნაწილი III, ნაკვეთი II, თბილისი, 1997.

თ ე ზ ი ს ე ბ ი

რუსი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში საყურადღებო ეტაპია რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომის პერიოდი, როცა რეალურად განხორციელდა სამხედრო კავშირი. ქართველი ხალხი ომის დამთავრებამდე ურყევად იდგა თავისი მოკავშირის — დიდი რუსეთის მხარეზე, მის მხარდამხარ ებრძოდა თავის მოსისხლე და დაუძინებელ მტერს, **სულთნის თურქეთს,** რითაც გარკვეული წვლილი შეიტანა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ხსენებულ ომსა და რუსეთ-საქართველოს სამხედრო კავშირს უშედეგოდ არ ჩაუვლია: **ჯერ ერთი,** რუსეთმა გატეხა თურქეთის ძლიერება, საბოლოოდ დამკვიდრდა **შავი ზღვის** ჩრდილო ნაწილში და მოიპოვა შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის უფლება, რითაც უზრუნველყო ქვეყნის უშიშროება და ნორმალური ეკონომიკური განვითარება; ომში დამარცხებული თურქეთი კი ერთბაშად გადაიქცა მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ, რომელმაც ამიერიდან საბოლოოდ დაკარგა იმის შესაძლებლობა, რომ შავი ზღვის ჩრდილო ნაწილში

---

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №2(12), 3(13), 2014.

ბატონობისთვის რუსეთის სერიოზულ მეტოქედ გამოსულიყო; **მეორე, ყირიმის სახანოს** თურქეთისაგან ჩამოცილებითა და მისი დამოუკიდებლად გამოცხადებით, თურქეთმა არა მარტო პლაცდარმი და საიმედო რეზერვი დაკარგა, ამ აქტმა წინასწარვე გადაწყვიტა აგრეთვე ყირიმის საკითხი და გააიოლა ჩრდილო კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების საქმეც; **მესამე,** ქართველი ხალხის გმირული ბრძოლითა და რუსეთის სამხედრო და დიპლომატიური დახმარებით თურქები განდევნილ იქნენ **იმერეთის** ციხეებიდან. თურქეთმა „საზეიმოდ და სამუდამოდ" აიღო ხელი იმერეთის ყოველგვარ ხარკზე, მათ შორის ხარკზე ქალ-ვაჟებით, ხოლო ომის მძიმე შედეგების წყალობით თურქებმა ვერ შეძლეს ტრაქტატის ორაზროვანი ადგილების გამოყენება და იმერეთის სამეფოზე თავიანთი ბატონობის აღდგენა; **მეოთხე,** რუსეთ-საქართველოს სამხედრო კავშირმა ხელი შეუწყო რუსი და ქართველი ხალხების შემდგომ დაახლოებას. ასეთია საკითხის ისტორიული მნიშვნელობა.

რუსეთ-თურქეთის ომის წარმოშობის მიზეზები. რუსეთის ვითარება ომის წინ. ომის დასაწყისი

თურქეთი, სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო, რომელიც ძირითადად დაპყრობებითა და ძარცვით ცხოვრობდა, მე-15 ს-ის უკანასკნელ მეოთხედში გაბატონდა შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში. ჯერ ყირიმის სახანო გახდა თურქეთის სავასალო, ხოლო შემდეგ თურქები დონის შესართავს დაეუფლნენ და აზოვის სიმაგრე, სადაც იანიჩართა გარნიზონი იდგა, გადააქციეს თავიანთი აგრესიის ძირითად ბაზად. აზოვი გასაღები იყო ვოლგისპირეთის, სამხრეთ რუსეთის, ჩრდილოეთ კავკასიის და საერთოდ აღმოსავლეთისაკენ თურქეთის ექსპანსიისა.

ყირიმის ხანი, თურქეთის სამხედრო და დიპლომატიური მხარდაჭერით, XVI ს-ის დასაწყისიდან აქტიურად დაუპირისპირდა რუსეთს. მართალია, მე-17 ს-ში რუსეთზე თათართა ბატონობის აღდგენა რეალურ ნიადაგს მოკლებული იყო, მაგრამ თურქების მფარველობის პირობებში ყირიმელი თათრები ახერხებდნენ რუსეთის ტერიტორიაზე შეჭრას. თათრები თარეშების დროს ძარცვავდნენ და წვავდნენ ქალაქებსა და სოფლებს, ტყვედ იტაცებდნენ ადამიანებს, რომელთაც თურქეთის მონათა ბაზრებზე ყიდდნენ.

რუსეთს შეეძლო თათრების თარეშის ალაგმვა (ამას მოწმობს 1559 წელს ა. ადაშევის წარმატებული ლაშქრობა ყირიმში, 1637-

1642 წლებში კაზაკების მიერ აზოვის დაკავება და სხვ.), მაგრამ მთავარ დაბრკოლებას მას უქმნიდა თურქეთი. ჯერ ერთ, თურქები იცავდნენ თათრებს, როგორც თავიანთ ვასალებს, ამიტომაც რუსეთს საქმე ჰქონდა არა მარტო თათრებთან, არამედ თურქებთანაც; მეორე, თურქებს ეჭირათ აზოვის სიმაგრე, რომლის დაკავების გარეშე თათრების ალაგმვა არ შეიძლებოდა.

მე-17 ს-ის მეორე ნახევარში, უკრაინის ნაწილის რუსეთის ხელში გადასვლის შემდეგ, რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა უფრო დაიძაბა: ჯერ ერთი, თურქეთი აქტიურად გამოვიდა უკრაინის ხელში ჩასაგდებად, რაც რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ხელყოფას ნიშნავდა (თურქეთ-თათართა ჩიგირნის ლაშქრობების წარუმატებლობა და ბაღჩისარაის ზავი სრულებითაც არ იძლეოდა საკითხის მოგვარების გარანტიას); გარდა ამისა, უკრაინის შეერთებისა და სამხრეთ ველების კოლონიზაციის შემდეგ რუსეთის სახელმწიფო საზღვარი შავი ზღვის სანაპიროებს მიუახლოვდა. ამასთან, საწარმოო ძალებიც აღმავლობას განიცდიდნენ. რუსეთის სახელმწიფოს სამხრეთი ოლქების ნორმალური ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი იყო, დაცული ყოფილიყო ეს ოლქები თათართა თარეშისაგან და ამ ოლქების ნაწარმს მისცემოდა შავი ზღვის საავჭრო გზით ბაზარზე გასვლის საშუალება.

პეტრე I-მა სცადა ესარგებლა აზოვის ლაშქრობის შედეგებით და კარლოვიცის კონფერენციაზე (1698-1699) თურქეთს შავი ზღვის სანაოსნო გზის გახსნა მოსთხოვა, მაგრამ **ავსტრია** ადრე მოურიგდა თურქებს, რითაც თავისი მოკავშირე რუსეთი მარტო დატოვა. რაკი თურქეთმა რუსეთის დიპლომატები დაიმარტოხელა, ხელცარიელი გამოისტუმრა კარლოვიციდან. 1699 წელს პეტრე I-მა სამხედრო გემით სპეციალური მისია გაგზავნა ზავის დასადებად კონსტანტინეპოლში. ამ მისიას ე. ურკაინცევი მეთაურობდა.

რუსეთის მთავრობა თურქეთს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს უყენებდა: ა) აზოვისა და კაზი-კერმენის სიმაგრეები, რომლებიც რუსეთის არმიას ჰქონდა დაკავებული, რუსეთის კუთვნილებად ეცნო, რათა ამ უკანასკნელს საშუალება ჰქონოდა აელაგმა თათართა თარეში რუსეთის მიწა-წყალზე; ბ) რუსეთის განთავისუფლებას ყირიმის ხანის სასარგებლო ხარკისაგან; გ) შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის უფლებას ორივე მხარისთვის ნორმალური საავჭრო ურთიერთობის უზრუნველყოფის მიზნით.

თურქეთს ამ დროს შავი და აზოვის ზღვები შიდა ზღვებად ჰქონდა გადაქცეული, ამიტომ თავის უფლებას არ თმობდა.

კონსტანტინეპოლის ზავით (1700 წ.) რუსეთის ხელში გადავიდა აზოვი მომიჯნავე ტერიტორიითურთ, კაზი-კერმენის სიმაგრე დაინგრა და მისი ტერიტორია დაუბრუნდა თურქეთს. ტრაქტატში აღნიშნული იყო ისიც, რომ რუსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა და ყირიმის ხანმა ხარკი არ უნდა მოსთხოვოსო.

შავ ზღვაზე გასვლის პრობლემა გადაუჭრელი დარჩა.

კონსტანტინეპოლში მოლაპარაკებისას კარლოვიცელი მედიატორების **(ინგლისი** და **ჰოლანდია)** პოზიციას რუსი ელჩი პეტრე I-ს ასე აცნობდა: ინგლისის და ჰოლანდიის ელჩებს ყველაფერში თურქეთის მხარე უჭირავთ, რადგან ამ ქვეყნების საკავშრო ურთიერთობა თურქეთთან ძველთაგანვე ფართო ხასიათისაა, ამიტომ შენ რომ გააჩაღე საზღვაო გემთმშენებლობა და ნაოსნობა აზოვთან, შურთ, რადგან ამაში ხედავენ თავიანთი საზღვაო ვაჭრობის შეფერხებასო.

რუსეთის პირველი გემის გამოჩენა შავ ზღვაზე და შავი ზღვის პრობლემის რუსეთის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში დასმა საკმარისი გახდა, რომ ევროპის ქვეყნები თურქეთის მხარეზე დამდგარიყვნენ.

პრუტის მარცხიანი ლაშქრობის (1711 წ.) შემდეგ რუსეთმა დაკარგა აზოვის სიმაგრე, რომელიც თათართა თარეშების ალაგმვისა და შავ ზღვაზე გასვლის იმედს იძლეოდა.

1735-1739 წლების ომში რუსეთის იარაღის წარმატებას არსებითი შედეგები არ მოჰყოლია. ევროპის ქვეყნებმა, განსაკუთრებით **საფრანგეთმა** (მას ამ დროს ლევანტის ვაჭრობაში პირველი ადგილი ეჭირა), მტრული პოზიცია დაიკავეს, რადგან რუსეთის შავ ზღვაზე გასვლით ლევანტის ვაჭრობაში კონკურენტი უჩნდებოდათ. ამ მხრივ რუსეთის გეგმების წარუმატებლობაში გარკვეული როლი შეასრულა რუსეთის მოკავშირის **ავსტრიის** მიერ სეპარატიული ზავის დადებამაც.

ბელგრადის ზავით (1739 წ.) რუსეთს დაუბრუნდა აზოვი, მაგრამ სიმაგრეების აგების უფლება ვერ მოიპოვა; რუსეთმა მიიღო ტერიტორია დნეპრსა და ბუგს შორის (შავი ზღვის სანაპირო ზოლის გამოკლებით).

თუ XVI-XVII სს-ების რუსეთი ვერ ახერხებდა თათართა პრობლემის გადაჭრას იმის გამო, რომ თათრების ზურგს უკან ძლიერი თურქეთი იდგა, ვერც მე-18 ს-ის პირველი ნახევრის რუსეთმა შეძლო შავი ზღვის პრობლემის გადაჭრა, რადგან რღვევის გზაზე დამდგარი თურქეთის იმპერიის ზურგს უკან ევროპის დიდი ქვეყნები აღმოჩნდა, რომელთა პოზიციისთვის რუსეთს არ შეეძლო, ანგარიში არ გაეწია.

თურქეთი მე-18 ს-ის პირველ ნახევარში შავი ზღვის „ქალწულობის“ დაცვასა და შავი ზღვის ჩრდილო ნაწილში აგრესიის ბაზების (ყირიმის სახანოსა და შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე სიმაგრეების) შენარჩუნებას ახერხებდა ევროპის ქვეყნების დახმარებით.

ამრიგად, რუსეთის სახელმწიფოს საზღვარი, გარკვეული ისტორიული პირობების გამო, მე-17 ს-ის მეორე ნახევარში უშუალოდ მიუახლოვდა შავ ზღვას. თურქეთი თითქმის მთელი ს-ის მანძილზე ხელოვნურად წყვეტდა რუსეთს შავი ზღვის სავაჭრო გზიდან. თათართა თარეში სამი ს-ის მანძილზე ხელს უშლიდა რუსეთის სამხრეთ ოლქებში მეურნეობის ნორმალურად წარმოებას. ზემოაღნიშნული მიზეზები აფერხებდა რუსეთში საწარმოო ძალთა განვითარებას. აი, რატომ არ შეეძლო რუსეთს დონის, დნეპრის, ბუგის შესართავები და ქერჩის სრუტე მომთაბარე თათარი ყაჩაღების ხელში დაეტოვებინა და დასთანხმებოდა თურქეთს იმაში, რომ შავი ზღვა „უმანკო ქალწულად“, თურქეთის ტბად, დარჩენილიყო.

ასეთი იყო ამოცანა, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო ეკატერინე მეორის მთავრობამ თურქეთთან ურთიერთობის საკითხში. ამასთან, XVIII ს-ის მეორე ნახევრის რუსეთი აღარ იყო ის ქვეყანა, რომელმაც ადრე ამ ამოცანის გადაჭრა ვერ შეძლო.

მე-18 ს-ის 60-იან წლებში რუსეთისთვის ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება შეიქმნა, რაც, რუსეთის სამხედრო და ეკონომიკურ ძლიერებასთან ერთად, მომწიფებული საგარეო პრობლემების გადაჭრას შესაძლებელს ხდიდა. ამ დროს ტახტზე ავიდა ეკატერინე II. რუსეთის მთავრობას, უპირველეს ყოვლისა, უნდა განესაზღვრა თავისი დამოკიდებულება შვიდწლიანი ომის მონაწილეებისადმი. 1761 წლის ბოლომდე რუსეთი ავსტრია-საფრანგეთთან კავშირში ომს აწარმოებდა პრუსიის წინააღმდეგ. 1762 წელს ახალმა იმპერატორმა, პეტრე III-ემ, სამხედრო კავშირი დადო პრუსიასთან და ჯარი დაძრა ყოფილი მოკავშირის წინააღმდეგ, რითაც ფრიდრიხ II იხსნა განადგურებისგან. პეტრე III-ის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ მთავრობა ძველ კურსს დაუბრუნდებოდა, მაგრამ ეს არ მომხდარა.

რუსეთის ახალმა მთავრობამ პრუსიასთან გაწყვიტა სამხედრო კავშირი, მაგრამ მასთან ზავი ძალაში დატოვა. რუსეთის ასეთი გადაწყვეტილება შემთხვევითი როდი იყო. პრუსია ამ დროს საკმაოდ დასუსტდა და მის მთლიანად გაწირვას აზრი არ ჰქონდა. იგი საჭირო იყო ავსტრიისა და საფრანგეთის დასაპირისპირებლად ევროპაში წონასწორობის შენარჩუნების მიზნით.

რუსეთის მთავრობამ მთელი თავისი ძალ-ღონე იქითკენ მიმართა, რომ ევროპის ქვეყნებს ხელი არ შეეშალათ რუსეთის ინტერესების სამსახურში, რაც მიხეილის ძისა და პეტრე I-ის დროიდან რუსეთის სამხედრო და დიპლომატიური ბრძოლის ყურადღების ცენტრში იდგა: შემოეერთებინა **უკრაინა** და **ბელორუსია,** რომლებიც პოლონეთს ჰქონდა დაპყრობილი, გამაგრებულიყო ბალტიის სანაპიროზე და წინ წაწეულიყო შავი ზღვისაკენ. ეს პრობლემები რუსეთის ისტორიულ მოწინააღმდეგეებად აქცევდა **შვეციას, თურქეთსა** და **პოლონეთს.**

მე-18 ს-ის სამოციან წლებში არც ერთი ზემოაღნიშნული სახელმწიფო ცალ-ცალკე არ წარმოადგენდა ისეთ ძალას, რომ რუსეთის იმპერიის გეგმების განხორციელების გზაზე გადაულახავი დაბრკოლება შეექმნა. სიძნელე ის იყო, რომ ამ ქვეყნების ზურგს უკან იდგა **საფრანგეთი** და მასთან კავშირში მყოფი **ავსტრია.**

საფრანგეთი შვიდწლიანი ომიდან დაზარალებული გამოვიდა. ლუდოვიკო XV-ის უხეირო პოლიტიკით საფრანგეთი კონტინენტზე ჩაება ომში, რათა ავსტრიისთვის დაებრუნებინა ფრიდრიხ II-ის მიერ მიტაცებული სილეზია; შედეგები საჯალალო გამოდგა. ფრიდრიხ II-ემ შეინარჩუნა სილეზია, ხოლო ინგლისთან კოლონიურ ომში დამარცხებულმა საფრანგეთმა **კანადა** და **ინდოეთი** ინგლისს დაუმთო (1763 წ.). ფრანგი ვაჭრები და მრეწველები რუსეთის წინ წაწევას შავი ზღვისაკენ და ყოველგვარ საშიშროებას თურქეთის სამფლობელოების მიმართ პირდაპირ და სერიოზულ საშიშროებად თვლიდნენ საფრანგეთის ეკონომიკური ინტერესებისთვის. გარდა ამისა, რუსეთ-საფრანგეთის ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა აღმოსავლეთ ევროპაშიც.

საფრანგეთის პოლიტიკური სისტემა აღმოსავლეთ ევროპაში ძველთაგანვე აგებული იყო პოლონეთის, შვეციისა და თურქეთის კავშირზე, რომელთაც რუსეთის მზარდი გავლენის წინააღმდეგ ზღუდის როლი უნდა შეესრულებინათ. ამიტომ საფრანგეთის მთავრობა ცდილობდა ევროპის საქმეებიდან რუსეთის ჩამოცილებით უზრუნველყოო თავისი უპირატესობა.

რუსეთის წინააღმდეგ ფარულ ბრძოლას საფრანგეთი დიდ სახსრებს ახმარდა, აგენტების საკმაოდ ფართო ქსელიც ამ საქმეზე მუშაობდა. რუსეთშიც არ იყვნენ გულუბრყვილონი. ამის გამო, ვარშავასა და სტოკჰოლმში ორი „პარტია“ იბრძოდა, რაც ფაქტობრივად ასუსტებდა პოლონეთსა და შვეციას. რაც შეეხება ავსტრიას, იგი 1762 წლიდან ცდილობდა რუსეთთან ტრადიციული კავშირის აღდ-

გენას, რადგან კარგად ესმოდა, რომ მასთან მეგობრობის გაწყვეტით ბევრს დაკარგავდა. ავსტრიისთვის რუსეთთან კავშირს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თურქეთისა და პრუსიის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ პოლონეთის საკითხში მათი ინტერესები ერთმანეთს სცდილდებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ პოლონეთის საკითხის პირველ რიგში დასმამ გამოიწვია რუსეთ-ავსტრიის ტრადიციული კავშირის დარღვევა. სხვანაირად არც შეიძლება გაგებულ იქნეს რუსეთის თავისებური დამოკიდებულება ავსტრიის მიმართ: რუსეთი, უახლოვდებოდა რა პრუსიას, ცდილობდა შეენარჩუნებინა მეგობრობა ავსტრიასთანაც, რაც ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, რუსეთმა წინა ომების გამოცდილებით კარგად იცოდა, რომ ავსტრია თურქეთის წინააღმდეგ არცთუ საიმედო მოკავშირე იყო; ამის გამო ავსტრიის, როგორც თურქეთის წინააღმდეგ მომავალ ომში შესაძლო მოკავშირის, შენარჩუნების მიზნით პრუსიის დაკარგვა და პოლონეთში საქმის ჩაშლა, როგორც ჩანს, რუს სახელმწიფო მოღვაწეებს მიზანშეუწონლად მიუჩნევიათ.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში პირველ რიგში პოლონეთის საკითხი დადგა. პოლონეთის საკითხში საფრანგეთის და ავსტრიის პოზიცია აიძულებდა რუსეთს, მოკავშირეები ეძებნა ამ ქვეყნისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოებში. ასეთი ამ დროს **ინგლისი** და **პრუსია** იყო. ინგლისს ეშინოდა საფრანგეთის მხრით რევანშისა, რადგან ის ახალი გამოდევნილი ჰყავდა ამერიკიდან და ინდოეთიდან; პრუსიას — ავსტრიისა, რომლისგან, თუმცა ძვირად დაუჯდა, მაგრამ მაინც მიიტაცა სილეზია.

შვიდწლიან ომში განადგურების პირას მისული და ევროპაში იზოლირებული პრუსიის სახელმწიფო მხოლოდ იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ასულის უეცარი სიკვდილისა და პეტრე III-ის მიერ რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მკვეთრი მობრუნების წყალობით გადარჩა გარდაუვალ დაღუპვას. გარდა ამისა, მტაცებელ პრუსიას თვალი ეჭირა პოლონეთზე, მაგრამ ამ ამოცანის დასმა აშკარად არ შეიძლებოდა, რუსეთთან სიახლოვეს კი შეეძლო ფრიდრიხ II-სათვის გარკვეული სარგებლობა მოეტანა. აი, რა იყო პრუსიის რუსეთთან დაახლოების საფუძველი. რუსეთისთვის პრუსია ამ დროს საშიშ ძალას აღარ წარმოადგენდა, რადგან იგი საკმაოდ გატეხილი იყო. ახლა შეიძლებოდა მისი გამოყენება პოლონეთის საკითხის მოსაგვარებლად. რუსეთ-პრუსიის დაახლოება სამხედრო კავშირით დაგვირგვინდა (1764 წ.).

რაც შეეხება ინგლისს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას ეშინოდა რევანშისა საფრანგეთის მხრიდან და სჭირდებოდა მოკავშირე კონტინენტზე; მაგრამ ინგლის-რუსეთის დაახლოებას სხვა მიზეზებიც აადვილებდა. ინგლისის ვაჭრობა და გავლენა თურქეთში მე-17 ს-ში დიდი იყო, განსაკუთრებით გაძლიერდა იგი 1675 წლის „კაპიტულაციით", მაგრამ მე-18 ს-ში საფრანგეთის ენერგიული კონკურენციის წყალობით მისი ვაჭრობა დასუსტდა. ამის გამო „ინგლისი უფრო დაინტერესებული იყო რუსეთთან მეგობრობით, ვიდრე მის საწინააღმდეგოდ მოქმედებით აღმოსავლეთში". ინგლისის კაბინეტი ორი ბოროტებისგან უმცირესს ირჩევდა. გარდა ამისა, ინგლისს რუსეთში დიდი საავაჭრო ინტერესები ჰქონდა.

რუსეთის მთავრობამ კურსი აიღო ინგლისსა და პრუსიაზე, რათა ავსტრია-საფრანგეთის კავშირისთვის (ე. წ. სამხრეთის ქვეყნების კავშირი) დაეპირისპირებინა ჩრდილოეთის ქვეყნების კავშირი. რუსეთის მთავრობის ანგარიშით, ჩრდილოეთ ევროპაში უნდა შექმნილიყო სახელმწიფოთა კოალიცია, რომელშიც შევიდოდნენ **რუსეთი, პრუსია, ინგლისი** და **დანია,** როგორც აქტიური მონაწილენი; კოალიციაში უნდა შესულიყვნენ აგრეთვე **პოლონეთი, შვეცია** და **საქსონია.** მაგრამ ამ უკანასკნელთ, როგორც პასიურ წევრებს, მოეთხოვებოდათ მხოლოდ ნეიტრალიტეტი.

მართალია, რუსეთის დიპლომატიამ ვერ მოახერხა ერთიანი ანტიფრანგული კოალიციის შექმნა გათვალისწინებული მთავარი მონაწილე ქვეყნების პოზიციის გამო, მაგრამ ინგლისსა და პრუსიასთან დაახლოებამ, რაც ცალკე ხელშეკრულებების გაფორმებით დამთავრდა, რუსეთის გეგმების წარმატებით დაგვირგვინების საქმეში გარკვეული როლი შეასრულა.

***

რუსეთ-თურქეთის ომის საბაბი გახდა რუსეთის ჩარევა პოლონეთის საქმეებში.

მე-18 ს-ში პოლონეთი, როგორც ზემოთ ითქვა, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, სადაც ცენტრალური ხელისუფლებაც ძალზე მოისუსტებდა. მსხვილი მაგნატები, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმეებში გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით, გულმოდგინედ იცავდნენ პოლონეთის კონსტიტუციას, „პოლონეთის დანგრევის საუკეთესო საშუალებას"; ასევე გულმოდგინედ იცავდნენ მას ევროპის ქვეყნებიც, რათა სუსტი პოლონეთის საშინაო საქმეებში თავისუფლად ჩარეულიყვნენ.

პოლონეთში მეფის არჩევის საკითხი (მეფის ხელისუფლება მემკვიდრეობით არ გრძელდებოდა) ევროპის ქვეყნებს პოლონეთის საშინაო საქმეებში ჩარევის შესაძლებლობას აძლევდა. ავგუსტ III-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება სამზადისის სიგნალი გახდა. რუსეთის სამეფო კარზე გადაწყდა: მომავალ არჩევნებში მეფედ აერჩიათ პოლონელი, კერძოდ, გრაფი სტანისლავ პონიატოვსკი; თუ მისი არჩევა არ მოხერხდებოდა, მაშინ ტახტზე მისი ბიძაშვილი, თავადი ადამ ჩარტორიისკი უნდა აეყვანათ; ამავე დროს გადაწყდა, რომ რუსეთს საზღვართან მზად ჰყოლოდა 30.000-იანი არმია, ხოლო 50.000 კაცი გამზადებული ყოფილიყო. რა თქმა უნდა, სამზადისი საიდუმლოდ მიმდინარეობდა.

1764 წელს დაიდო რუსეთ-პრუსიის სამხედრო კავშირი. რუსეთ-პრუსიის ერთობლივმა მოქმედებამ უზრუნველყო რუსული „პარტიის“ გამარჯვება — 1764 წელს რუსეთის ჯარის დახმარებით ტახტზე ავიდა სტანისლავ პონიატოვსკი. რუსეთის მთავრობამ ახალ მეფეს და რუსული „პარტიის“ მეთაურებს, ჩარტორიისკებს წაუყენა შემდეგი მოთხოვნები: 1) დისიდენტები (არაკათოლიკები — მართლმადიდებლები და პროტესტანტები) სამოქალაქო უფლებებში გაეთანაბრებინათ კათოლიკებთან და 2) პოლონეთის კონსტიტუციის დაცვა დაეყენებინათ გარანტიის ქვეშ. პირველი საბოლოოდ მტკიცე და საიმედო „პარტიას“ შეუქმნიდა რუსეთს პოლონეთში, ხოლო მეორე პოლონეთის საშინაო საქმეებში მუდმივი ჩარევის შესაძლებლობას მისცემდა.

კათოლიკური სამღვდელოება და შლიახტა დისიდენტთა საკითხში დათმობას არ ფიქრობდნენ, რადგან ეს იყო უმთავრესი საშუალება, რათა უკრაინელი და ბელორუსი ხალხები მონობაში ჰყოლოდათ. რუსი ელჩის ენერგიული მოქმედებით მიზანი მიღწეულ იქნა; პოლონეთის საკითხი 1768 წლის დასაწყისში მოგვარებული ჩანდა. რუსეთის ჯარი ვარშავიდან გამოვიდა, იგი პოლონეთის სამეფოს ტერიტორიის დასატოვებლადაც ემზადებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. უკმაყოფილო ელემენტებმა ქ. ბარში მოაწყვეს კონფედერაცია. კონფედერატებმა კავშირი დაამყარეს თურქეთსა და საფრანგეთთან.

პოლონეთში რუსეთის აქტიური საქმიანობის პარალელურად თურქეთში აქტიურად მოქმედებდნენ საფრანგეთის აგენტები. რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა 1768 წელს უკიდურესად დაიძაბა.

ამ ამბებს დაემთხვა გლეხთა **აჯანყება უკრაინაში**. პოლონელი პანებისა და ბარის კონფედერატების თვითნებობით განაწამები დნე-

პრის მარჯვენა მხარის უკრაინელი გლეხობა აჯანყდა. აჯანყებულ გლეხთა ერთი რაზმი შილის მეთაურობით შეიჭრა საზღვრისპირა სოფ. ბალტაში; ეს სასაზღვრო ინციდენტი რუსეთის მტრებმა მარჯვედ გამოიყენეს, რომ გაეძლიერებინათ დაწოლა თურქეთზე. თურქეთმაც ხელზე დაიხვია ეს უბრალო სასაზღვრო ინციდენტი (რომელსაც რუსეთის მთავრობის პოლიტიკასთან საერთო არაფერი ჰქონდა), რათა ომი დაეწყო მის წინააღმდეგ. ჯერ ერთი, ცნობილია, რომ რუსეთის მთავრობა თვით ებრძოდა უკრაინელ გლეხთა აჯანყებას და მისმა ჯარმა ჩააქრო კიდევაც იგი ეკატერინეს ბრძანებით; მეორე, ცნობილია ისიც, რომ რუსეთი ამ დროს ერიდებოდა თურქეთთან ურთიერთობის გართულებას. ასეთი სასაზღვრო ინციდენტები, ჩვეულებრივ, დიპლომატიური ნოტების გაცვლით მთავრდება ხოლმე, როცა საქმის მშვიდობიანად მოგვარება სურთ.

საფრანგეთის აგენტები მოქმედებდნენ ყველგან — ვარშავაშიც, კონსტანტინოპოლშიც, სტოკჰოლმშიც. არ ზოგავდნენ თანხებს რუსეთის წინააღმდეგ ინტრიგების მოსაწყობად. ფულითა და იარაღით ამარაგებდნენ პოლონელ კონფედერატებს. 1767 წლიდან საფრანგეთის მთავრობა აშკარად გამოვიდა რუსეთზე კოალიციური თავდასხმის ორგანიზატორად. გენ. დიუმურიე ოფიცერთა მთელი შტატითა და იარაღით პოლონელი კონფედერატების დასახმარებლად გაიგზავნა, გაძლიერდა თურქეთზე დაწოლა.

1768 წლის 11 ივლისს რუსეთის ელჩს კონსტანტინეპოლში, ა. ობრესკოვს წინადადება მისცეს, რომ რუსეთს დაუყოვნებლივ გაეყვანა ჯარი პოლონეთიდან. 25 აგვისტოს შეიცვალა დიდი ვეზირი. სულ მალე შეიცვალა რეის-ეფენდიც (საგარეო საქმეთა მინისტრი). ა. ობრესკოვი ამჩნევდა, რომ ომის მანქანა ამოქმედებული იყო. ნ. პანინი სპეციალური წერილით არწმუნებდა დიდ ვეზირს რუსეთის მშვიდობიან განზრახვებში თურქეთის მიმართ და თან უგზავნიდა საფრანგეთის აგენტის წერილს, საიდანაც ცხადი ხდებოდა, რომ საფრანგეთის აგენტებს მოსყიდული ჰყავდათ სოფ. ბალტის უფროსი იაკუბი (ინციდენტის შესახებ იგი გაზვიადებულ ცნობებს გზავნიდა თურქეთში), მაგრამ პანინ-ობრესკოვის ცდა — ომი გადაედოთ — მარცხით დამთავრდა.

1768 წლის 25 სექტემბერს დიდმა ვეზირმა მოსთხოვა ა. ობრესკოვს, რომ რუსეთს დაუყოვნებლივ გაეყვანა ჯარი პოლონეთიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა ომით. ორი საათის შემდეგ კი ელჩს დამატებითი წინადადება მისცა, რუსეთს ხელი აეღო უკანასკნელი სეიმის გადაწყვეტილებათა გარანტიასა და დისიდენტ-

თა საკითხზე. ა. ობრესკოვმა სთხოვა თურქეთის მთავრობას, რომ ეს წინადადება წერილობით გადაეცათ მისთვის, რათა მას გადაეგზავნა თავისი მთავრობისთვის. მაგრამ ა. ობრესკოვი საელჩოს 11 წევრთან ერთად დააპატიმრეს და სარდაფში ჩასვეს. ეს ომის გამოცხადებას ნიშნავდა. თურქეთის მთავრობამ კარგად იცოდა, რომ ასეთ მოთხოვნებზე მთავრობის დაუკითხავად რუსეთის ელჩს დაპირების მიცემა არ შეეძლო. მან ეს შეგნებულად გააკეთა, რათა საქმის მშვიდობიანად მოგვარების გზა მოესპო.

საფრანგეთის მინისტრი შუაზელი არც ფარავდა, რომ მან ადვილად მოახერხა თურქების ამხედრება რუსეთის წინააღმდეგ. ფრანგები აშკარად მოქმედებდნენ. მაგრამ რუსეთის წინააღმდეგ თურქეთის გამოსვლას ფარულად ხელს უწყობდა ავსტრია და რუსეთის მოკავშირე პრუსიაც კი. გარკვეული როლი შეასრულა ყირიმის ხსნის აქტიურმა პოზიციამაც.

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ არც საფრანგეთის ინტრიგებს, არც პოლონეთის საქმეებში რუსეთის ჩარევას და არც ბალტის ინციდენტს რუსეთ-თურქეთის ომი არ გამოუწვევია. მათ მხოლოდ დააჩქარეს ომის დაწყება. ომს ბევრად უფრო ღრმა მიზეზები ჰქონდა: იგი განაპირობა შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში ბატონობისთვის მებრძოლი რუსეთის და თურქეთის მეტოქეობამ.

რუსეთი საერთოდ თურქეთთან ომის წინააღმდეგი არ ყოფილა, მაგრამ ამჯერად ვითარება სასურველი არ იყო: მას პოლონეთში საქმე გართულებული ჰქონდა, ევროპის ქვეყნებს მტრული პოზიცია ეჭირათ, ინგლისთან სამხედრო კავშირის დადება არ მოხერხდა (თუმცა 1766 წ. ინგლისთან დადებულმა სავაჭრო ხელშეკრულებამ გარკვეული სამსახური გაუწია რუსეთს: შვეციაში ფრანგული „პარტია“ დამარცხდა, რითაც ჩრდილოეთიდან საშიშროება მოიხსნა). რაკი თურქეთმა ომი დაიწყო, რუსეთს გამოწვევა უნდა მიეღო და დღის წესრიგში დაესვა ის ამოცანები, რომლებიც მე-17 ს-ის ბოლოდან გადაუჭრელი რჩებოდა.

თურქეთის აგრესიულ გადაწყვეტილებას პოლონეთის დაცვის კეთილშობილურ მიზნებთან საერთო არაფერი ჰქონდა. ევროპის ქვეყნების მიერ დაიმედებული თურქები ვარაუდობდნენ, რომ პოლონეთის საქმეებით დაკავებულ რუსეთს ადვილად დაამარცხებდნენ და უკრაინას ხელში ჩაიგდებდნენ. ყირიმის ხანი კი პეტრეს წინადროინდელი უფლების აღდგენაზე (რუსეთიდან ხარკის მიღებაზე) ოცნებობდა.

ოფიციალურად მოკავშირის გარეშე დარჩენილ რუსეთს მაინც ჰყავდა ერთი საიმედო დასაყრდენი — თურქეთის უღელქვეშ მყოფი

ქრისტიანი ხალხები, რომლებმაც თურქეთის ბატონობის წინააღმ-დეგ თავიანთი ბრძოლით, ოსმალური სამხედრო ლენური სისტემის რღვევასთან ერთად, მცირედი როლი როდი შეასრულეს ოდესღაც ძლიერი ოტომანის პორტას სამხედრო ძლიერების მსხვრევის საქმე-ში. ბუნებრივია, რუსეთ-თურქეთის ომის დაწყება (ომისა, რომელსაც უნდა გაეტეხა თურქი დამპყრობლები, რომლებიც საუკუნეების მან-ძილზე ფლეთდნენ და ასახიჩრებდნენ ბალკანეთისა და კავკასიის ხალხებს) ამ ხალხებში გამოძახილის გარეშე ვერ დარჩებოდა.

საქართველო XVIII ს-ის 60-იან წლებში და მისი ურთიერთობა რუსეთთან

XVIII ს-ის 60-იან წლებში საქართველოს სამეფო-სამთავროე-ბის მდგომარეობა ერთნაირი არ იყო. აღმოსავლეთ საქართველო, რომელმაც ფაქტობრივ დამოუკიდებლობას 50-იან წლებში მიაღ-წია, 60-იან წლებში ოფიციალურად გაერთიანდა, მეზობელ ქვეყ-ნებთან დამოკიდებულება დროებით მოაგვარა და აღმავლობის გზას ადგა. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, მისი მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო: სამეფო-სამთავროებად დაშლილ ქვეყ-ანაში, რომელსაც თურქი აგრესორები მოსვენებას არ აძლევდნენ, შინაპოლიტიკური ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა, ცენტრალური ხელისუფლება მოიშალა, ქვეყანა სისხლიდან იცლებოდა.

ქართლ-კახეთის სამეფო

რუსეთიდან ელჩობის დაბრუნების შემდეგ (რომელსაც თეიმურაზ II მეთაურობდა), ერეკლე მეორისთვის ნათელი გახდა, რომ რუსეთს კავკასიის საქმეებში ჩარევა ამჯერადაც არ შეეძლო; ამიტომ მეფეს უნდა გადაესინჯა თავისი საგარეო პოლიტიკის კურსი: უპირველეს ყოვლისა, ირანის საქმეებში აქტიური ჩარევის ნაცვლად, მასთან მორიგების გზას უნდა დასდგომოდა, რათა არსებული მდგომარეო-ბა მაინც განემტკიცებინა და ვითარების შეცვლამდე ძალები შეენ-არჩუნებინა; ასევე უნდა ეზრუნა ერეკლეს კავკასიის ხალხებსა და თურქეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზეც.

1747 წლიდან ირანში შექმნილმა ვითარებამ ქართლ-კახეთს საშუ-ალება მისცა ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მოეპოვებინა, ამასთან ერთად ირანის ყოფილ პროვინციებზე (ერევნისა და განჯის სახანოე-ბზე) თავისი გავლენა გაევრცელებინა, ხოლო 50-იან წლებში ირანელ

სარდლებთან წარმატებული ბრძოლით ეს მიღწევა განემტკიცებინა.

60-იანი წლების დასაწყისში ირანში ტახტის მაძიებელთა ბრძოლა დასასრულს უახლოვდება. მაჰმედ-ჰასან-ხანი ყაჯარი, რომელიც 1749 წელს ამიერკავკასიაში გაბატონებისთვის იბრძოდა, ერეკლემ ერევანთან დაამარცხა, შემდეგ იგი ქერიმ-ხან ზენდთან ბრძოლაშიც დამარცხდა. მაჰმედ-ხანის ჯარში უკმაყოფილება ჩამოვარდა. ხანი მისმა მსახურებმა შეიპყრეს და 1760 წელს მოკლეს. მთელი მისი ოჯახი ტყვედ მიჰგვარეს შირაზის მფლობელს ქერიმ-ხან ზენდს. ქერიმ-ხანს რჩებოდა კიდევ ერთი ძლიერი მოწინააღმდეგე — აზატ-ხან აღღანი. ქერიმ-ხანმა ისიც დაამარცხა და აიძულა ირანიდან გაქცეულიყო. 1761 წელს ქერიმ-ხანმა თავრიზიც აიღო და ამ დროიდან თითქმის მთელი ირანის მმართველი გახდა (ხორასნის გამოკლებით, სადაც შაჰ-როჰი იჯდა). 1760 წლის დეკემბერში ერეკლე მეორემ შეიპყრო აზატ-ხანი, რომელიც 1762 წლის მეორე ნახევრამდე დაპატიმრებული ჰყავდა, მაგრამ რუსეთიდან ელჩობის უშედეგოდ დაბრუნების შემდეგ იგი ქერიმ-ხანს გაუგზავნა, რითაც ამ უკანასკნელთან ურთიერთობა მოაგვარა. „ქერიმ-ხანმა სცნო ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება, აგრეთვე ერეკლეს უფლება განჯა-ერევნის სახანოებზე, და ამით აღიარა საქართველოს მეფის უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში“ (ნ. ბერძენიშვილი). კიდევ მეტი, ქერიმ-ხანს წერილი გამოუგზავნია ამიერკავკასიის ხანებისთვის, რომ ისინი ერეკლე მეორის მორჩილებაში ყოფილიყვნენ.

XVIII ს-ის 60-იან წლებში თურქეთი იძულებული იყო, ქართლ-კახეთის სამეფოსთან ნორმალური ურთიერთობა შეენარჩუნებინა. თუმცა, თურქეთის დიპლომატია ქართლ-კახეთისადმი მტრობას ფარულად აგრძელებდა, რისთვისაც ლეკებსა და აზერბაიჯანელ ხანებს იყენებდა. ერეკლემ რომ 50-იან წლებში აღმოსავლეთ კახეთისთვის (ჯარისთვის) ბრძოლა წააგო, ეს შემთხვევითი არ ყოფილა.

ლეკები, 50-იანი წლების მარცხის შემდეგ, დიდი ლაშქრობების მოწყობას ვერ ახერხებდნენ, თუმცა მათი თავდასხმები 60-იან წლებშიც არანაკლებ ზიანს აყენებდა ქართლ-კახეთს. მუდმივი ქურდული თარეშისა და ძარცვა-ტყვევნის პირობებში ცხოვრების ნორმალურად წარმართვა შეუძლებელი იყო, ამიტომ ირღვეოდა ინტენსიური მეურნეობა, ჩანაგდებოდა და მოსახლეობისაგან იცლებოდა სოფლები. ასე რომ, ლეკიანობა დაღუპვას უქადდა ქვეყანას.

საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის წარმატებით საწარმოებლად საჭირო იყო მტკიცე ცენტრალური ხელისუფლება, უამისოდ ქვეყანა საგარეო მტერს ვერ გაუმკლავდებოდა. მაგრამ

მთავარ დაბრკოლებას აქ სათავადოების სისტემა ქმნიდა. თავადები, იბრძოდნენ რა თავიანთი ძალაუფლების შესანარჩუნებლად, ქვეყნის ყველა მტერს განურჩევლად უკავშირდებოდნენ, ოღონდ კი ცენტრალური ხელისუფლება დაესუსტებინათ.

60-იან წლებში რეაქციონერ თავადებსა და ქართლის ტახტის მაძიებლებს გარედან დახმარების იმედი გადაეწურათ, რადგან საერთაშორისო ვითარება ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს სასარგებლოდ შეტრიალდა: ირანში ტახტის მაძიებლებს შორის ბრძოლა დამთავრდა, ხოლო ქერიმ-ხანი ერეკლესთან მტრობას, ამჯერად, მასთან მეგობრობას არჩევდა; თურქეთს, რუსეთთან დაძაბული ურთიერთობის პირობებში, ქართლ-კახეთის დაპირისპირება არ შეეძლო, ამას რუსეთის დიპლომატია არ დაუშვებდა. ასეთ ვითარებაში იგი ამჯობინებდა ერეკლესთან კარგ ურთიერთობაში დარჩენილიყო; რუსეთს, პოლონეთის საქმეებში გახლართულს, როდესაც თურქეთთან ომი ყოველდღე მოსალოდნელი იყო, საქართველოს საქმეებისთვის არ ეცალა და აღარც ვახტანგის მემკვიდრეებს საჭიროებდა (ან კი რუსეთისთვის ვახტანგის მემკვიდრეები რით სჯობდნენ ერეკლეს?). ასე რომ, ქართლის თავადებს ამ ძალაზე ვარაუდი ერეკლეს წინააღმდეგ საერთოდ არც გამოადგებოდათ, მით უმეტეს, რომ რუსეთის მთავრობამ თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის მეფედ ოფიციალურად სცნო ერეკლე II.

ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ქართლის რეაქციონერ თავადებს ისღა დარჩენოდათ, რომ საკუთარი ძალით რაიმე ეღონათ ერეკლეს წინააღმდეგ და მათაც ცდა არ დაუკლიათ: „წელსა ამასვე 1765 შეითქვნენ რამოდენიმე ქართველნი თავადნი და აზნაურნი და აბირეს ბუშსა ვახტანგ მეფისასა პაატას... რათამცა წარეწყმინდათ მეფე ირაკლი და დაეპყრათ თვით მეფობაჲ ქართლისა“. მეფემ შეიტყო შეთქმულთა განზრახვა და დააპატიმრა ისინი, „ხოლო საზოგადოებამ საქართველოსამან თანხმობითა სულიერთა კრებათამან განაწესეს დასჯა მათი სიკვდილითა“. „მოჰკვეთეს პაატას თავი და დაწვეს ცეცხლში თაქთაქიშვილი ელისბარ. და დიმიტრი (ამილახვარი — ვ. მ.) პატიმარ ჰყვეს და შეურაცხვ ჰყვეს აღჯდომითა მისითა კარაულსა ზედა. მოჰკვეთეს ძესა მისსა ალექსანდრეს ცხვირი და გლახა ციციშვილსაცა მოჰკვეთეს ენა“.

პაატა ბატონიშვილის მარცხის შემდეგ ალექსანდრე ბაქარის ძემ სცადა ქართლში დაბრუნება, მაგრამ ვეღარ გაბედა, იგი ჩრდილო კავკასიიდან ირანს წავიდა.

ერეკლეს ბრძოლა თავადების წინააღმდეგ მტკიცე ზურგის შეს-

აქმნელად პროგრესული მოვლენა იყო. მაგრამ ერეკლეს წარმატებანი მიზნის საბოლოო მიღწევას როდი ნიშნავდა. სათავადოების არსებობა, რაც იმ დროს საკმაოდ მყარ ეკონომიკურ ნიადაგზე იდგა, ასეთ მტკიცე ზურგს გამორიცხავდა. რეაქციონერთა ფიზიკურ თუ მორალურ მარცხს, ბუნებრივია, მათი გაქრობა ვერ მოჰყვებოდა.

როგორც ცნობილია, ქვეყნის ნამდვილი გაერთიანება და მტკიცე ცენტრალური ხელისუფლების შექმნა შეიძლება გარკვეულ პირობებში (საწარმოო ძალთა განვითარება; ოლქებს შორის გაცვლა-გამოცვლის გაძლიერება და საერთო ნაციონალური ბაზრის წარმოქმნა; გარკვეული სოციალური ფენის ან კლასის არსებობა, რომელიც დაუპირისპირდება მემამულეთა კლასს და შექმნის წონასწორობას ძალებისა). საქართველოში კი მაშინ საამისო პირობები არ არსებობდა. ქართლ-კახეთის გაერთიანება და შედარებით მტკიცე ხელისუფლების შექმნა, რაც ერეკლემ მოახერხა, მხოლოდ „ზედაპირულ-ადმინისტრაციულ სფეროს ეხებოდა“ და მალე შეიძლებოდა დარღვეულიყო „მთავრების ჟინიანობითა და გლეხების გულგრილობით. სხვანაირად არც შეიძლებოდა, საქართველოს ეკონომიკური დაქუცმაცების პირობებში“ (ი. სტალინი). ისიც აღსანიშნავია, რომ ერეკლეს წარმატებანი ფაქტობრივად საგარეო ვითარებით იყო გაპირობებული, ქვეყნის პროგრესულ ძალებს შეგნებული ჰქონდათ, რომ სხვაგვარად სამშობლოს დაცვა შეუძლებელი იყო, და მეფეს მხარში ედგნენ.

მე-18 ს-ის საქართველო ფეოდალური ქვეყანა იყო, სადაც მეურნეობის ფეოდალურ-ბატონყმური წესი ბატონობდა. ლეკების თარეშს მემამულეთა განუკითხავი თვითნებობაც ემატებოდა, ამიტომ გლეხს სამკვიდროზე აღარ ედგომებოდა და გარბოდა. ასე რომ, **XVIII ს-ში უცხოელთა მძლავრობისა და ლეკთა თავდასხმების შედეგად საქართველოს მოსახლეობა თითქმის 10-ჯერ შემცირებულა** (810 ათასი კომლიდან — 87 ათას კომლამდე, ანუ 4-5 მილიონიდან 1/2 მილიონამდე). სამეფო ვერ ახერხებდა ვერც 5 ათასიანი რეგულარული ჯარის შექმნას, ვერც მის დაქირავებას, რომ ქვეყანაში ლეკთა ყაჩაღური თარეში აელაგმა. ასევე ქვეყნის თავდაცვა ძნელდებოდა სახელმწიფოს ტექნიკური და ეკონომიკური ჩამორჩენილობის გამო და, პირიქით, თავდაცვის მოუგვარებლობის პირობებში ვერ ხერხდებოდა მისი ეკონომიკური აღორძინება.

მიუხედავად აღნიშნულისა, ქართლ-კახეთის სამეფო და მისი გული, თბილისი, იმ დროს ამიერკავკასიაში მაინც დაწინაურებული იყო. ქართლ-კახეთის მეფეს შეეძლო ბრძოლის ველზე რეალურად გამოეყვანა 14-15 ათასი კაცი. ქართველი ჯარი ამ მხარეში განთქმუ-

ლი იყო თავისი მამაცობით, მეფე — მხედართმთავრული ნიჭით. მეფეს მეზობელი მაჰმადიანური სახანოების ნაწილი დამორჩილებული ჰყავდა, ზოგიც — დაშინებული და თვით აწესრიგებდა მათ საქმეებს.

ერეკლემ მარჯვედ ისარგებლა მე-18 ს-ის 50-60-იან წლებში ირანში შექმნილი ვითარებით და ქვეყნის მოწინავე ძალებზე დაყრდნობით შეძლო აღმოსავლეთ საქართველოს ფაქტობრივი განთავისუფლება ირანის ბატონობისაგან, ქართლისა და კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება, ქვეყნის შიგნით რეაქციული ძალების დამარცხება და შედარებით მტკიცე ხელისუფლების შექმნა. ასეთ პირობებში ქართლ-კახეთის სამეფო ახერხებდა წამყვანი როლის შესრულებას აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მეზობელი ქვეყნები მას ანგარიშს უწევდნენ.

მაგრამ გასაკეთებელი კიდევ მეტი რჩებოდა, ქვეყნის მომავალი ჯერ უზრუნველყოფილი არ იყო, ირანთან სამხედრო და დიპლომატიური ბრძოლით მონაპოვარს შენარჩუნება სჭირდებოდა. ლეკთა საკითხიც საბოლოო გადაჭრას საჭიროებდა — საქმის მოგვარება უნდა დაწყებულიყო ჭარ-ბელაქნის დაპყრობით, რაც, როგორც 50-იანი წლების გამოცდილებიდან ჩანდა, საკუთარი ძალით ძნელი გადასაწყვეტი იყო. ამ პრობლემების გადაუჭრელად კი ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება და მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება ვერ მოხერხდებოდა.

დაბოლოს, მართალია, მე-18 ს-ის 60-იან წლებში ქართლ-კახეთს თურქეთთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ მისი შემოტევისგან ქვეყანა დაზღვეული იყო. თურქეთთან სამსაუკუნოვანი ურთიერთობა საქართველოს ძვირად დაუჯდა. რაც მთავარია, ამჯერად თურქეთს ხელთ ჰქონდა „ქართლის ქვეყნის ნაწილი“ — მესხეთი — და იყენებდა მას, როგორც აგრესიის პლაცდარმს, საქართველოს დანარჩენი ნაწილების ხელში ჩასაგდებად. სანამ ეს პლაცდარმი მტრის ხელში რჩებოდა და თურქეთს აგრესიის უნარი საბოლოოდ დაკარგული არ ჰქონდა, ქვეყნის უშიშროება ამ მიმართულებითაც უზრუნველყოფილად არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო.

ამ ამოცანების გადაჭრა ერეკლე II-ს საკუთარი ძალებით არ შეეძლო.

ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანას ძლიერი მოკავშირე სჭირდებოდა და ერეკლეც მთელს იმედებს რუსეთზე ამყარებდა. მაგრამ ელჩობის რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ (1762 წ.) მეფე მიხვდა, რომ ვიდრე ბელგრადის ზავი ძალაში რჩებოდა, რუსეთიდან რეალური დახმარების მიღების იმედი არ უნდა ჰქონოდა. რუსეთი თავს არიდებდა და არც ერეკლესათვის იყო ხელსაყრელი ასეთ პირობებში ოფიციალური

დიპლომატიური ურთიერთობის დემონსტრირება (რითაც იგი მაჰმადიან მეზობლებს გააღიზიანებდა). ამიტომ მომდევნო ხუთი წლის მანძილზე (რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე) ოფიციალური ელჩობა რუსეთში არ გაგზავნილა, მაგრამ ერეკლეს რუსეთთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია: დიპლომატიური შიკრიკების მეშვეობით მას მუდმივი კავშირი ჰქონდა ყიზლარის კომენდანტთან და ასტრახანის გუბერნატორთან. რუსეთის სამეფო ხელისუფლების ეს წარმომადგენლები მთავრობის სათანადო ინსტრუქციებით იყვნენ აღჭურვილნი და მათი საშუალებით ხდებოდა რიგი საკითხების მოგვარება.

აქვე გვინდა შევეხოთ ერთ ფაქტსაც. ყირიმელთა, დაღესტნელთა და სხვათა ტყვეობიდან გაქცეული ქართველები ჩვეულებრივ რუსეთს აფარებდნენ ხოლმე თავს. რუსეთის მთავრობა მათ მატერიალურად ეხმარებოდა და სამშობლოში დაბრუნებასაც უზრუნველყოფდა ხოლმე. 60-70-იან წლებში ასე დაბრუნდნენ საქართველოში ტყვეყოფილი ქართველები. ეს კი ერთ-ერთი ნათელი ფურცელია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისა.

დასავლეთი საქართველო

XVIII ს-ის 50-იან წლებში იმერეთის მეფე **სოლომონ პირველმა** გარკვეულ წარმატებებს მიაღწია: დაამარცხა შეთქმულნი, ხრესილის ბრძოლაში გაანადგურა იმერეთის მსხვილი თავადები და მათი მოკავშირე თურქები, აკრძალა ტყვის სყიდვა, გააჩაღა ბრძოლა მაჰმადიანობის გავრცელების წინააღმდეგ, 1758 წელს თავდაცვითი კავშირი დადო ქართლისა და კახეთის მეფეებთან, 1759 წლის დეკემბერში აღადგინა საქუთათლო, რითაც განამტკიცა თავისი მოკავშირის — ეკლესიის — ნივთიერი მდგომარეობა, ხოლო 1759 წლის 30 დეკემბერს მეფემ მოიწვია დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და საერო ფეოდალების კრება, რომელსაც ახალციხის ფაშის „სასმენლად საზარო სიტყვის“ („ტყვეს თუ არ გაყიდით, არ იქნებაო“) პასუხად დაადგენინა: «სანამდის სული გვედგას, ეს საქმე (ტყვის სყიდვა — ვ. მ.) ჩუტნგან არ იქნეს, არც ამაშიდ ერთმანეთს უსუსტოთ, კიდეც ერთმანეთს მიუდგეთ, კიდეც მეფე სოლომონის მორჩილი და ბძანების აღმასრულებელი ვიქნეთ... ამ საქმეზე ჩუტნი თავი არ დავიშუროთ და ამ საქმეშიდ ჩუტნს ხელმწიფეს მეფე სოლომონს არ გისუსტოთ და არც ამისთანა საშინელი ცოდვა ჩუტნგან იქნეს».

ტყვის სყიდვის აკრძალვის ზემოხსენებული დადგენილება, რომელშიც ეკლესია შეჩვენებით ემუქრებოდა მის დამრღვევს, სიანტერესოა იმით, რომ სოლომონ მეფეს, როგორც დასავლეთ საქართ-

ველოს ხელმწიფეს, მის შესრულებაზე პირობას აძლევენ არა მარტო იმერეთის თავადები, არამედ სამეგრელოსა და გურიის მთავრებიცა და თავადებიც. ეს ფაქტი ცენტრალური ხელისუფლების ზრდის მომასწავებელი იყო. მეფე დასავლეთ საქართველოს უმაღლეს ხელისუფლად გამოდის, რომელიც კისრულობს ქვეყნისთვის ყველაზე მტკივნეული ამოცანის გადაჭრას. მაგრამ აქ საყურადღებოა ისიც, რომ დადგენილება მიღებული იყო ახალციხის ფაშის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, რაც თურქეთის გამოწვევასაც ნიშნავდა.

თურქები ვერ ურიგდებოდნენ სოლომონ მეფის პოლიტიკას, რადგან ისინი ქართველი ტყვეებით ავსებდნენ იანიჩართა რიგებსა და ჰარამხანებს, იაფფასიანი ქართველი ტყვეებით ვაჭრობა მონათა ბაზრებზე დიდ მოგებას იძლეოდა.

1760 წელს თურქების დიდი ჯარი დაიძრა დასავლეთ საქართველოს დასასჯელად მოლა აბდულა ფაშას სარდლობით, მაგრამ მტერი სასტიკად იქნა დამარცხებული. მომდევნო (1761) წელს თურქეთმა ხელახლა გამოგზავნა ჯარი, მაგრამ ისეთივე პასუხი მიიღო. 1763 წელს თურქეთის მთავრობას ორგზის მოუწყვია იმერეთზე თავდასხმა. მტერი სასტიკად იქნა დამარცხებული.

1764 წლის დასაწყისში სულთანმა არტილერიით შეიარაღებული დიდი ჯარი (მაქსიმე აბაშიძის ცნობით, 80 ათასი კაცი) სერასკირ ჰასან-ფაშას სარდლობით გამოგზავნა იმერეთში, რომელმაც ასევე მარცხი განიცადა. სულთანმა 1765 წლის იანვარში ახალციხის ჰასან-ფაშას გაუგზავნა ფირმანი, რომლითაც უბრძანებდა, გაზაფხულამდე მომზადებულიყო იმერეთის დასათრგუნავად, თან აცნობებდა, რომ ანალოგიური ბრძანებები სხვა ფაშებსაც გაეგზავნაო.

დასავლეთ საქართველოში თურქეთის წინააღმდეგ 1765 წელს წარმოებული ბრძოლების შესახებ საყურადღებო ცნობებია შემონახული. ასე მაგალითად, 1765 წლის 31 აგვისტოს რუსი დიპლომატები კონსტანტინოპოლიდან იუწყებოდნენ, რომ აქ ხმები გავრცელდა, გაზაფხულზე ევროპიდან გაგზავნილი თურქთა 8-10 ათასი კაცისაგან შემდგარი კორპუსი, რომელიც თურქთა აზიის ჯარებს უნდა შეერთებოდა, გადაუსხამთ ბათუმში, სადაც იმერლები დახვედრიან და ერთიანად გაუნადგურებიათო.

იმ მარცხის მიუხედავად, რომელიც დასავლეთ საქართველოში უგემნიათ, თურქებს 1765 წელს მაინც მიუღწევიათ გარკვეული წარმატებისთვის. სხვა ცნობები დაბეჯითებით იუწყება, რომ ჩილდირის ჰასან-ფაშას მოუხერხებია გურიის დაჭერა, მამია გურიელი გადაუყენებია და ტახტზე მამიას უმცროსი ძმა გიორგი დაუს-

ვამს. შეშინებული დადიანი თურქებს მორიგებია და თურქთა ჯარების ნაწილისთვის ოდიშში გაზამთრების უფლება და სურსათი მიუცია.

ასე რომ, თურქების მარცხი, რომლის თაობაზე იუწყებიან რუსი დიპლომატები კონსტანტინოპოლიდან, იმერეთში წარუმატებლობას უნდა ეხებოდეს და არა გურია-სამეგრელოში. მაგრამ 1765 წლის ბრძოლების საერთო შედეგები რომ მაინც არ ყოფილა სახარბიელო თურქებისთვის, ამას რუსი დიპლომატების სხვა მოხსენებები ადასტურებენ.

სამწუხაროდ, საქმე ასე არ წასულა. 1766 წლის ზაფხულის მიწურულში ბრძოლაში გარდატეხა მოხდა, სექტემბერში სვერის ციხე დაეცა და თურქები ქუთაისში შევიდნენ. ახალციხის ფაშამ, სულთანის სახელით, სოლომონ I-ის ბიძაშვილი თეიმურაზ ბაგრატიონი იმერეთის მეფედ გამოაცხადა. იმერეთის თავადებმა თეიმურაზს მორჩილება განუცხადეს. რაკი საქმე მოგვარებული ჩანდა, თურქთა მთავარმა ძალამ იმერეთი დატოვა, ოღონდ ციხეთა გარნიზონები მნიშვნელოვნად გააძლიერა.

სოლომონ მეფე საწერეთლოში, მოდინახეს ციხეში, აფარებდა თავს. მეფის ერთგული ქვეშევრდომების წყალობით თურქებმა ვერ შეძლეს მისი შეპყრობა.

დამარცხებულ სოლომონ მეფეს ფარ-ხმალი არ დაუყრია. მან 1766 წლის 20 ოქტომბერს ყიზლარში გენ. პოტაპოვთან გაგზავნა სარდალი ქაიხოსრო წერეთელი და გიორგი აბდუშერიძე წერილით, რომლითაც ატყობინებდა: თურქებმა აიძულეს ჩემი წინამორბედი მეფეები, რომ ქრისტიანი ტყვეებით ვაჭრობის თავისუფლება დაეშვათ, მე ეს ავკრძალე, ამიტომ ორჯერ გამომიგზავნა სულთანმა წერილი და მომთხოვა აკრძალვა გამეუქმებინა, მე არ დავთანხმდი, ამიტომ რამდენჯერმე დაგვესხნენ თავს სულთანის გამოგზავნილი ჯარები, მაგრამ მარცხი იგემეს; მე თანახმა ვარ ფულადი ხარკი ვაძლიო, მაგრამ სულთანი კვლავ ქრისტიანი ტყვეებით ვაჭრობის თავისუფლებას ითხოვს, რაზედაც მე არასოდეს დავთანხმდები; ამჯერად თურქებმა ჯარების ნაწილი ქვეყნიდან გაიყვანეს, ხოლო ნაწილი კი დატოვეს ქუთაისში, სადაც მათი გარნიზონი ჩვეულებრივ დგასო. ქვემოთ სოლომონ I, თეიმურაზ ბაგრატიონის იმერეთში გამეფების მოუხსენიებლად, წერს: „თუ ჩემი სამეფო ჩემს ნებაზე დამანება და ტყვის სყიდვა არა შემამიკვეთა, ხომ ვიქნები ჩემს სამეფოში და, თუ არ დაიშალა და დამიჟინა ტყვის გასყიდვის დასტურის მიცემა ხალხისა, მე არც ხორციელი სიმდიდრე და დიდება და პატივი მინდა და არც ჩემის სულის წაწყმენდა. და ჩემი განზრახულობა ეს არის, რომ ჩემი სამეფო დაუტეო, მართლმადიდებელს და ყოვლად მოწყ-

ალეს ხელმწიფის საფარველს ქუეშე გადმოვიდე და ამას ვეველრები მის იმპერატორობის დიდებულებას, რომელნიც ჩემთან თავადნი, აზნაურნი და გლეხნი თან გადმამყვებიან, ან რომელს ადგილს ბრძანებს ჩვენს დასახლებას, ან რას დედობრივს მოწყალებას მოიღებს ჩვენზე, ესენი სრულიად მის დიდებულების კარზე მისწეროთ“.

რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიამ 1767 წლის იანვრის ბოლოს შეადგინა ვრცელი მოხსენებითი ბარათი სოლომონ I-ის თხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც 1 თებერვალს ეკატერინე II-მ მოიწონა. იმპერატორს კოლეგია სთავაზობდა: ყიზლარის კომენდანტისთვის ბრძანებით დაევალებინათ, სოლომონთან საიმედო კაცი გაეგზავნა, რომელიც საიდუმლოდ აცნობებდა იმერეთის მეფეს, რომ რუსეთის ხელმწიფემ დიდის კმაყოფილებით შეიტყო მისი თავდადებული ბრძოლის ამბავი. იწონებს კიდეც მის განზრახვას, მაგრამ ახლა თურქები მოღლილნი არიან, სოლომონ მეფესთან შერიგებას აპირებენ და იქნებ საჭირო არც იყოს, ახლა მან სამშობლო დატოვოსო; ქვემოთ კიდევ უფრო ნათლადაა ნათქვამი: თურქეთთან ზავი გვაქვს და თქვენი მიღება რუსეთში ახლა არ შეგვიძლია, ეს განზრახვა უფრო ხელსაყრელი დროისთვის გადადეო.

როგორც მასალებიდან ჩანს, სოლომონ მეფეს რუსეთიდან პასუხის მოლოდინში ბრძოლა არ შეუწყვეტია. როგორც კი თურქთა ძირითადი ძალები იმერეთიდან წავიდა, სოლომონ მეფემ ნიკოლოზ წერეთელი გაგზავნა დაღისტანში, სადაც დააქირავებინა სამასამდე ლეკი, რომელთაც უხდიდა თვეში თითოეულს ორ-ორ, სამ-სამ თუმანს. მეფემ ერთგული ხალხი შემოიკრიბა და აქტიურ შეტევაზე გადავიდა. თეიმურაზ ბაგრატიონმა, რომელსაც მხარს უჭერდნენ დადიანი, გურიელი და რაჭის ერისთავი, ვერ შეძლო გამკლავებოდა სოლომონ მეფეს. იგი სოლომონ I-მა ჩხარის მახლობლად დაამარცხა, შეიპყრო და მუხურის ციხეში დაამწყვდია, სადაც მოკვდა კიდეც.

მართალია, სოლომონ მეფემ მოახერხა ტახტის დაბრუნება, მაგრამ ქვეყანა სამშვიდობოს გასული როდი იყო: თურქთა ჯარების ლაშქრობათა შედეგად მეურნეობა დაეცა; თურქებს ეჭირათ ბათუმის, ქობულეთის, ციხისძირის, ფოთის, რუხის, ანაკლიის, სოხუმის, ქუთაისის, შორაპნის, ბაღდადის, ციცხვათის ციხეები, სადაც იანიჩართა სამიათასიანი გარნიზონი იდგა; მტრის ხელში რჩებოდა დედაქალაქი ქუთაისიც; გუშინდელი მტრები, რომლებიც თურქებთან ერთად მხარში ედგნენ თეიმურაზ ბაგრატიონს (კ. დადიანი, გ. გურიელი, როსტომ რაჭის ერისთავი) და ებრძოდნენ სოლომონ მეფეს, მოყვრებად არ გადაქცეულან; 1759 წლის საზეიმო პირობა, თურქების

აქტიური შემოტევის შედეგად, 1766 წელს არარაობად იქცა,; ცენტრალური ხელისუფლება კვლავ შესუსტდა. ამიერიდან მტრებთან ზავი არაფერს ნიშნავდა. საერისთავოცა და სამთავროებიც მხოლოდ ძალით დამორჩილების შედეგად შეიძლებოდა დაეთანხმებია მეფეს 1759 წლის შეთანხმების შესრულებაზე. ამასთან, ეს ნომინალური ვასალები ძლიერებაში მეფეს არ ჩამოუვარდებოდნენ. გარდა ამისა, თურქებს შეეძლოთ კვლავ ახალი დამსჯელი ჯარების გადმოსროლაც.

აი, რა აიძულებდა სოლომონ მეფეს 1768 წლის 23 ივნისს, მიუხედავად რუსეთის მთავრობის მიერ გრიგოლ არქიმანდრიტის პირით ახლახან შემოთვლილი უარისა, დიდი უფლებებით აღჭურვილი ელჩი გაეგზავნა რუსეთს.

სოლომონ მეფის შიში უსაფუძვლო როდი იყო. სულთანი მართლაც არ აპატიებდა მას ურჩობას. მაგრამ რუსეთში ელჩობის გაგზავნის შემდეგ საერთაშორისო ვითარება საგრძნობლად შეიცვალა, რამაც იმერეთი იხსნა. საქმე ისაა, რომ 1768 წლის 11 ივლისს კონსტანტინოპოლში რუსეთის რეზიდენტს ა. ობრესკოს კატეგორიულად მოსთხოვეს, რომ რუსეთს ჯარი გაეყვანა პოლონეთიდან. 25 აგვისტოს შეიცვალა დიდი ვეზირი, „კაცი მშვიდობის მოყვარე“ და რუსეთისადმი კეთილგანწყობილი. რუსი დიპლომატები ამჩნევდნენ, რომ ომის მანქანა ამოქმედებული იყო. როგორც აღვნიშნეთ, 1768 წლის 25 სექტემბერს რუსეთის რეზიდენტი ა. ობრესკოვი დააპატიმრეს, რითაც ფაქტობრივად ომი გამოუცხადეს რუსეთს. ასეთ ვითარებაში იმერეთის დასასჯელად ჯარის გაგზავნას აზრი არ ჰქონდა. ამიტომ თურქეთის მთავრობამ ამჯობინა, დროებით დათმობაზე წასულიყო და სულთანმაც იმავე დღეს სოლომონ მეფეს „აპატია“ ძველი „დანაშაული“ და წყალობის წიგნი გამოუგზავნა. ახალციხის ფაშამ სულთანის სახელით, სოლომონ I-ს ხმალი აჩუქა და წერილობითაც დააიმედა, რომ ძველი დანაშაული აპატია, ოღონდ ახალი არ უნდა ჩაედინა და ხარკი უნდა ეკისრა. ნიშანდობლივია, რომ ა. ობრესკოვის დაპატიმრება და სოლომონ მეფის „შეწყალებაც“ 25 სექტემბერს მოხდა, რაც უნდა მიგვანიშნებდეს, რომ სწორედ რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამ აიძულა სულთანი დათმობაზე წასულიყო.

სოლომონ მეფეც გარკვეულ დათმობაზე წავიდა: მან ივალდებულა 30 ათასი მანეთის გადახდა ახალციხის ფაშას სასარგებლოდ, იმერლებმა კი, რაკი ფული არ ჰქონდათ, შვილები გაჰყიდეს, რომ ხარკი დაეფარათ. ძნელია იმის თქმა, მეფე წავიდოდა თუ არა ამ დათმობაზე, მისთვის რომ ცნობილი ყოფილიყო ის, რაც თურქეთში ხდებოდა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: სოლომონი გრძნობდა, რომ

ქვეყნისთვის სულის მოთქმა აუცილებელი იყო, რათა შესვენების შემდეგ ბრძოლა ახალი ძალით გაეჩაღებინა.

რუსეთის შეთანხმება ქართულ სამეფოებთან და საომარი მოქმედებანი საქართველოში. რუსეთ-იმერეთის შეთანხმება. რუსეთის ჯარის შემოსვლა საქართველოში

რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყო რთულ ვითარებაში, რაზეც ზემოთაც გვქონდა საუბარი. ასეთ სიტუაციაში, ბუნებრივია, სახელმწიფო საბჭოს პირველსავე სხდომაზე უნდა დასმულიყო მოკავშირეთა საკითხი. რუსეთის მთავრობისათვის 70 წლის გამოცდილებით ცხადი იყო, რომ ევროპის ქვეყნები მას მოკავშირედ არ გამოადგებოდნენ. თუ შეიძლებოდა მოკავშირეებზე ლაპარაკი, ეს, უპირველეს ყოვლისა, თურქეთის უღელქვეშ მყოფი ქრისტიანი ხალხები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთა ინტერესებს, თურქეთის საკითხში, რუსეთის ინტერესები არ ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ შემთხვევითი როდი იყო ის გარემოება, რომ რუსი სახელმწიფო მოღვაწეები ამ ხალხებზე იღებდნენ კურსს.

თურქეთის უღელქვეშ მყოფი ქრისტიანი ხალხების ომში გამოყენების საკითხი სახელმწიფო საბჭოს სპეციალური მსჯელობის საგნად იქცა 1768 წლის 12 ნოემბრის სხდომაზე. გადაწყდა: მორეაში, „დალმატებში“, საქართველოში და თურქეთის იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ქრისტიან ხალხებში ხმა გაევრცელებინათ, რომ რუსეთი იძულებულია თურქებთან ომი აწარმოოს „სარწმუნოებისათვის“, ხოლო ჩერნოგორიელებს გამოენახათ უშიშარი ნავსადგური, თუ ექსპედიცია განხორციელდებოდა.

ზემოხსენებული სხდომის გადაწყვეტილება ცხადყოფს, რომ რუსეთის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა ქრისტიანი ხალხების, და მათ შორის ქართველების, ომში მიმხრობა-გამოყენება. სხვანაირად „ხმის გავრცელებას“ არავითარი აზრი არა აქვს, იგი პირდაპირი მნიშვნელობით მოწოდებას უდრის.

სოლომონ I-ის ელჩი — **მაქსიმე ქუთათელი** (აბაშიძე) კი ამ დროს ყიზლარში კარგა ხნის მისული იყო და ელოდებოდა გენ. პოტაპოვის პატაკის პასუხს, რათა პეტერბურგში ჩასვლის ნებართვა მიეღო. მაქსიმე ქუთათელს 3 საბუთი მიჰქონდა: სოლომონ I თხოვნის წიგნი იმპერატორისადმი, მეფის წერილები გრაფ ნ. პანინთან და

ყიზლარის კომენდანტ ნ. პოტაპოვთან. ნ. პანინსა და ნ. პოტაპოვს იმერეთის მეფე სთხოვდა ხელის შეწყობას, რათა მისი ელჩი სამეფო კარზე მიეღოთ; რაც შეეხება იმპერატორისადმი წერილს, რომელიც 1768 წლის 23 ივნისს (თურქეთის მიერ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამდე სამი თვით ადრე) არის დაწერილი, სოლომონ I ეკატერინე II-ს სთხოვს: მფარველი ხელი დასდოს და თუ ეს არ მოხერხდება, ფულადი დახმარება აღმოუჩინოს, რომ შეძლოს ჯარის გამოყვანა და მტერთან ბრძოლა, და თუ ესეც არ მოხერხდა (იგი მტერთან შერიგებას მაინც არ აპირებს), დამარცხების შემთხვევაში მიეცეს თავშესაფარი რუსეთში.

ეს იწერებოდა 1768 წლის ივნისში, როდესაც რუსეთ-თურქეთის ომი შესაძლებლობიდან სინამდვილედ არ იყო გადაქცეული, როდესაც სოლომონ I-ის დროებითი წარმატებანი, 1767 წლის ბოლოს და 1768 წლის პირველ ნახევარში ბრძოლით მოპოვებული, შეიძლებოდა კვლავ არარად ქცეულიყო.

ყიზლარის კომენდანტმა ნ. პოტაპოვმა, ხელმძღვანელობდა რა მთავრობის ინსტრუქციებით, იმერეთის ელჩს პეტერბურგში გამგზავრებაზე უარი უთხრა და ურჩია სამშობლოში დაბრუნებულიყო. ამასთან დაპირდა, რომ მეფის თხოვნას მთავრობას ვაცნობებ და, რასაც მიპასუხებენ, შეგატყობინებო. მაქსიმე ქუთათელი, რათა პეტერბურგში ჩასვლის ნებართვა მიეღო, იძულებული გამხდარა, კომენდანტისათვის განეცხადებინა: 1) თუ სოლომონ მეფეს რუსეთი საიდუმლო დახმარებას მაინც აღმოუჩენდა, სამაგიეროდ, როდესაც არ უნდა მოეთხოვა რუსეთს (იგულისხმება რუსეთ-თურქეთის ომის შემთხვევაში), სოლომონი წაართმევდა თურქებს შავი ზღვის სანაპიროზე სიმაგრეებს და არ მისცემდა მათ საშუალებას იმ ადგილებიდან ჯარის მიღებისა; 2) იგი მზად იყო, საკუთარი ხარჯით წასულიყო პეტერბურგში; 3) რაც უნდა მოეთხოვა უმაღლეს კარს, იგი მეფისაგან უფლებამოსილი იყო, რომ ყველა საკითხზე ეპასუხა და თან მეფის ბეჭედიც ჰქონდა; ბოლოს ელჩს ისიც კი უთქვამს, რომ სამშობლოში დაბრუნება არ შეეძლო, სანამ პეტერბურგში ჩასვლას არ მოახერხებდა.

ნ. პოტაპოვი იძულებული გახდა, დასთანხმებოდა იმერეთის ელჩს ყიზლარში დარჩენილიყო და 1768 წლის 4 ოქტომბერს ფოსტით გაგზავნა მოხსენება პეტერბურგში, რომელსაც დაურთო მაქსიმე აბაშიძის განცხადებებიც.

1768 წლის 30 ნოემბრის განკარგულებით საგარეო საქმეთა კოლეგია ატყობინებდა გენ. პოტაპოვს: მიტროპოლიტი მარჯვე დროსაა მოსული, უნდა ვისარგებლოთ იმერეთის მეფის თურქეთისადმი

მტრული განწყობილებით, ამიტომ მიტროპოლიტი თავისი ამალით დაუყოვნებლივ გამოგზავნე სამეფო კარზე, ხოლო არქიმანდრიტი (მიტროპოლიტის ამალიდან) გაგზავნე იმერეთის მეფესთან, რათა წინასწარ აუწყოსო მეფეს მისი თხოვნის შეწყნარება; ამასთანავე საგარეო საქმეთა კოლეგია ავალებდა კომენდანტს, თითქოსდა არქიმანდრიტის გასაცილებლად, ნამდვილად კი საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ ცნობების შესაგროვებლად და გზების შესასწავლად, საქართველოში გაეგზავნა საიმედო და უნარიანი კაცი.

არქიმანდრიტს სოლომონ მეფესთან უნდა წაეღო ნ. პანინის წერილი, დათარიღებული 1768 წლის 30 ნოემბრით. წერილით ნ. პანინი აცნობებდა სოლომონ მეფეს: თურქეთის მიერ ვერაგულად ზავის დარღვევამ მოსპო ის დაბრკოლება, რაც აძნელებდა თქვენი თხოვნის შეწყნარებას; ჩვენ ვბრძანეთ, რომ თქვენი ელჩი შეუფერხებლად გამოგზავნონ კარზე, როგორც კი ის ჩამოვა, სათანადო გადაწყვეტილებებს მივიღებთ და ისეთ დახმარებას აღმოგიჩენთ, როგორიც შესაძლებელი იქნება: მაგრამ, სანამ ელჩი ჩამოვა და უკან დაბრუნდება, საკმაო დროა საჭირო, ამიტომ წინასწარ გაცნობებთ, რომ მტერზე გამარჯვების შემთხვევაში დავიწყებული არ იქნებით და საზავო ტრაქტატში თქვენი ინტერესებიც იქნება გათვალისწინებულიო. ნ. პანინი ხაზს უსვამდა, რომ შეიძლება ომი თქვენი სამშობლოს განთავისუფლების მარჯვე იარაღად იქნეს გამოყენებული და ამიტომ ნუ დააყოვნებ, რაც შეიძლება მეტი ჯარი შემოიკრიბე და დაიწყე მტრის წინააღმდეგ მოქმედებაო; ურჩევდა: ეცადე, ერეკლე მეფეც მიიმხრო ქრისტიანების საერთო მტრის წინააღმდეგ ომშიო. ასეთი იყო ნ. პანინის წერილის შინაარსი.

ყიზლარის კომენდანტმა მაქსიმე ქუთათელი (მხლებლებითურთ) 1769 წლის 6 იანვარს სამეფო კარზე გაგზავნა, ხოლო 14 იანვარს არქიმანდრიტი და იმერეთში გამოსაგზავნად შერჩეული პორუჩიკი თავადი **გრიგოლ ხვაბულოვი** (ქობულაშვილი) ნ. პანინის წერილით იმერეთისაკენ გამოისტუმრა. ქართველი არქიმანდრიტი და პორუჩიკი გრ. ხვაბულოვი 1769 წლის 20 მარტს მივიდნენ სოლომონ მეფესთან (რაჭაში). სოლომონ მეფე სიხარულით შეხვედრია ნ. პანინის წერილს. შეცვლილმა ვითარებამ მას საშუალება მისცა, ომში მონაწილეობისთვის უკვე თავისთვის ხელსაყრელი მოთხოვნა წამოეყენებინა: თუ იგი 1768 წლის 23 ივნისს, როცა რუსეთში ელჩს გზავნიდა, ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ რაიმე დახმარება აღმოსჩენოდა რუსეთისაგან, ახლა აცხადებდა, რომ მას არა თუ ომის დაწყება, მისი გამოცხადებაც კი არ შეეძლო, რადგან ეშინოდა თავისი ქვე-

შევრდომებისა. ასეთ ნაბიჯს იგი იმ შემთხვევაში გადადგამდა, თუ რუსეთიდან დამხმარე ჯარს მიიღებდა.

სოლომონ პირველმა ნ. პანინის წერილი ერეკლე მეორეს გაუგზავნა და 1769 წლის 26 მარტს პორუჩიკი გრ. ხვაბულოვიც თბილისისკენ გაისტუმრა. 11 აპრილს ერეკლემ მიიღო გრ. ხვაბულოვი და თურქეთთან ომში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა, მაგრამ ამასთან გარკვეულად მოითხოვა დამხმარე ჯარი. ერეკლეს უთქვამს: თუ რუსეთი ჯარით დამეხმარება, შემიძლია ცარგრადამდეც კი დავიპყრო თურქეთის ქალაქებიო.

21 მაისს სოლომონ I თბილისში ჩავიდა. მეფეებმა ერთობლივი მოქმედება გადაწყვიტეს და საგანგებო ელჩები შეარჩიეს (სოლომონმა — დ. კვინიხიძე, ერეკლემ — ა. ანდრონიკოვი) პეტერბურგში გასაგზავნად. ამასობაში რუსეთიდან ცნობა მოვიდა, რომ ჯარი იგზავნებოდა და გრ. ხვაბულოვი სოლომონ მეფეს გზის საკითხზე უნდა მოთათბირებოდა.

წინასწარი სამზადისის ჩატარების შემდეგ (გადაწყვეტილების მიღებიდან 2 თვის თავზე) ეკატერინე II და ნ. პანინი 26 მაისის წერილებით აცნობებდნენ სოლომონ I-ს: ჯარი იგზავნება თქვენს დასახმარებლადო.

ამ პატარა ჯარის (3 ასეული და 6 ქვემეხისაგან შემდგარი საარტილერიო რაზმი, სულ 411 კაცი), „მთავარ მეთაურად“ 1769 წლის 27 ივნისს დაინიშნა გრაფი ტოტლებენი.

გოტლიბ-კურტ-ჰენრიხ ტოტლებენი დაიბადა 1715 წლის 31 დეკემბერს სოფ. ტოტლებენში, საქსონიაში (თუ ტიურინგიაში), მშობლები განქორწინებულნი ყოფილან; პატარა ტოტლებენი დედას საქსონიის კურფიურსტის კარზე პაჟად მოუწყვია. ტოტლებენი გრაფის ქალზე დაქორწინებულა, მისთვის გრაფობაც უბოძებიათ და სასამართლოს წევრადაც დაუნიშნავთ (1745 წ.). მალე უსიამოვნება მოსვლია ცოლთან, რომელსაც განქორწინება უთხოვია. ტოტლებენს მექრთამეობა და სხვა ბოროტმოქმედებანი დასდებია ბრალად და დრეზდენიდან გაქცეულა კიდეც (1747 წ.); სასამართლო პასუხისგების თავიდან აცილების მიზნით, ტოტლებენი ჰოლანდიის სამხედრო სამსახურში შესულა; მის მიერ ჩამოყალიბებული პოლკი უვარგისი გამომდგარა და ომის დამთავრებისთანავე დაუშლიათ; თვითონ უწესრიგობისათვის ციხეშიც მჯდარა, მაგრამ მალე გაუთავისუფლებიათ.

1750 წელს ტოტლებენს ერთ-ერთი სოვდაგრის ნდობა დაუმსახურებია და ამის წყალობით მოუხერხებია სოვდაგრის მეურვეობის ქვეშ მყო-

ფი 14 წლის მდიდარი ობლის გატაცება. თუმცა იგი ვაიმარში დაუპატიმრებიათ, მაგრამ პრუსიაში ჩასვლა მაინც მოუხერხებია; პრუსიის მეფის მფარველობით ამ ობოლზე დაქორწინებულა 1754 წელს, მზითვად დიდი თანხა მიუღია და დასახლებულა ბერლინში. ტოტლებენმა პრუსიის სამხედრო სამსახურში შესვლა ვერ მოახერხა, გარდა ამისა, ცუდად მოპყრობისა და ფულის ფლანგვის გამო მეორე ცოლმაც განქორწინება მოსთხოვა; ერთ-ერთ დიდებულთან ინციდენტის გამო, ტოტლებენისთვის წინადადება მიუციათ, დაეტოვებინა ბერლინი. ამის შემდეგ მას კვლავ ჰოლანდიაში ვხედავთ. აქ მან შეიტყო, რომ რუსეთი პრუსია-ავსტრიის ომში მონაწილეობის მისაღებად ემზადებოდა და გრაფ გოლოვკინს (რეზიდენტი) სთხოვა რუსეთის სამხედრო სამსახურში მიღება.

1758 წლიდან ტოტლებენი „ვოლონტერად“[1] ჩანს რუსეთის არმიაში, 1759 წლიდან მიღებულ იქნა რუსეთის ნამდვილ სამხედრო სამსახურში გენერალ-მაიორის ჩინით და პრუსიასთან ომში რუსეთის ჯარის ცალკე კორპუსს მეთაურობდა.

რუსეთის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა, 1761 წელს, ადრე გაზაფხულზე, აქტიური საომარი ოპერაციების დაწყებით საბოლოოდ აეძულებინა ფრიდრიხ II, რომ ზავი დაედო. სამხედრო სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული იყო კოლბერგის დაკავება. მთავარსარდალმა ბუტურლინმა ტოტლებენს შესთავაზა ამ ამოცანის შესრულება, მაგრამ მისგან ცივი უარი მიიღო (ტოტლებენი განგებ ადიდებდა კოლბერგთან პრუსიის ძალების რიცხვს 30 ათასამდე და ბუტურლინს უმტკიცებდა მისი აღების შეუძლებლობას). მაშინ კოლბერგის ოპერაციის ჩატარება რუმიანცევს დაეკისრა, ტოტლებენს კი უბრძანეს, თავისი კორპუსიდან 3 ქვეითი პოლკი რუმიანცევისთვის გადაეცა, ხოლო თვითონ დანარჩენი ჯარით მთავარ არმიას შეერთებოდა. ამ უკანასკნელი ბრძანების შესრულების დროს, 1761 წლის 19 ივნისს, ტოტლებენი დააპატიმრეს.

საქმე ისაა, რომ ტოტლებენის ურთიერთობამ პრუსიის გენერლებთან და აგენტების ხშირმა მიმოსვლამ (ტოტლებენი „წინასწარ შეუთანხმდა“ მთავარსარდალ ბუტურლინს) დააეჭვა მისივე ხელქვეითები, თავისი ეჭვი პოდპოლკოვნიკმა ფრიდრიხ აშმა 1761 წლის 16 ივნისს ბუტურლინს აცნობა. 18 ივნისს ბერნშტეინის ახლოს, სადაც ტოტლებენის ბანაკი იყო, გამოცხადდა ებრაელი საბატკა (ტოტლებენის აგენტი), რომელიც ტოტლებენმა 19 ივნისს კიუსტრინისკენ გაისტუმრა. პოდპოლკოვნიკმა აშმა გზაში საბატკა დააკავა და გაჩხრიკა. საბატკას ჩექმაში აღმოაჩნდა რუსეთის ჯა-

[1] **волонтёр** — მოხალისე (რედ.).

რის მთავარსარდლის 12 ივნისის საიდუმლო ბრძანება (ოპერაციის გეგმა) და ტოტლებენის წერილი პრუსიის მეფისადმი. ტოტლებენთან მივიდნენ მისივე კორპუსის პოლკოვნიკები. ტოტლებენი (იგი ბოლო დროს „ავადმყოფობდა“ და რუსეთის მთავრობას სამსახურიდან „განთავისუფლებასაც“ სთხოვდა) არ დაბნეულა. ბრძანა, აში დააპატიმრეთო, მაგრამ ამაოდ (ტოტლებენმა მოასწრო მხოლოდ საიდუმლო შიფრის მოსპობა). იგი თვითონ დააპატიმრეს.

ტოტლებენი და საბატკა იმავე დღეს ძლიერი დაცვის თანხლებით მთავარბანაკისკენ გაისტუმრეს, იქიდან კი — პეტერბურგის საპყრობილისაკენ. ტოტლებენი თავს იმით იმართლებდა, რომ თითქოს მას სურდა ფრიდრიხ II-ს შეპყრობა და ამიტომ ჰქონდა მასთან მიმოწერა (რა თქმა უნდა, ამ ზღაპარს სარწმუნოდ არავინ მიიჩნევდა). იმპერატორის 1762 წლის 26 აპრილის ბრძანებით, ტოტლებენის საქმის გასარჩევად შეიქმნა სამხედრო სასამართლო, რომელმაც 20 მაისს გამოიტანა განაჩენი: ტოტლებენი, როგორც გამცემი, სიკვდილით დაისაჯოს; საბატკა განთავისუფლდეს, რადგანაც იგი მხოლოდ წერილის დამტარებელი და ტოტლებენის ჯაშუში იყო, რომელმაც ფაქტობრივად არც იცოდა წერილების შინაარსი.

პეტრე III-ის სიცოცხლეში განაჩენი სისრულეში არ მოუყვანიათ.

1763 წლის 31 მარტს ეკატერინე II-მ ხელი მოაწერა ბრძანებას სენატისადმი (იგი გამოქვეყნებულ იქნა 11 აპრილს), რომლითაც ტოტლებენს სიკვდილით დასჯა შეეცვალა რუსეთიდან გასახლებით და ჩინების აყრით; ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ ტოტლებენს აკრძალული ჰქონდა რუსეთის იმპერიის ფარგლებში (აშკარად ან ფარულად) გამოჩენა; თუ ვინმე მას რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ნახავდა, შეეძლო მისი მოკვლა და ამისთვის პასუხსაც არ აგებდა; ეს ბრძანება უნდა გამოქვეყნებულიყო უცხოეთის პრესაშიც. 1763 წლის 13 მაისს, თანახმად იმპერატორის ბრძანებისა, ტოტლებენი მიიყვანეს დასავლეთ საზღვარზე შულცენ-კრუგის (სოფელია) მახლობლად და რუსეთიდან გააძევეს.

და აი, სულ რაღაც ექვსიოდე წლის შემდეგ, 1769 წლის მაისში, ეკატერინე II სწერდა პანინს: „ნიკიტა ივანეს ძევ! გუშინ, გატჩინიდან ბედნიერად დაბრუნების შემდეგ, მივიღე ტოტლებენის წერილი, რომლითაც მთხოვს, რომ ჩემი ბრძანებით მას ან თავი მოკვეთონ ან გადაასახლონ ციმბირის შორეულ მხარეში, სადაც მე მოსახერხებლად მივიჩნევ. ამისთვის ის გამოცხადდება ბრაუნთან, რომ დაელოდოს ჩემს ბრძანებას, რადგანაც მას არსად ცხოვრება არ შეუძლია. იგი, სულის წაწყმედის რომ არ ეშინოდეს, თავს მოიკლავდა. მე მგო-

ნია, რომ შეიძლება მას ნება მიეცეს, ჰქონდეს თავშესაფარი სადმე რუსეთში, ციმბირში. რას ფიქრობთ თქვენ ამაზე?“

„ს. პეტერბურგის ვედომოსტის“ №45-ში, 1769 წლის 5 ივნისს, გამოქვეყნებულ იქნა ტოტლებენის თხოვნა რუსეთში დაბრუნების თაობაზე და იმპერატორის მიერ მისი შეწყნარების მაუწყებელი ცნობა. ასეთი წარსულის მქონე კაცი 1769 წლის 20 ივნისს აღადგინეს გენერალ-მაიორის წოდებაში, ხოლო 27 ივნისს საქართველოში გამოსაგზავნი რაზმის „მთავარ მეთაურად“ დანიშნეს.

რა ამოცანით იგზავნებოდა 411 კაცისაგან შემდგარი საექსპედიციო რაზმი საქართველოში? — ინსტრუქციის შესავალი ნაწილი აცნობდა საგანგებო რწმუნებულს **ა. მოურავოვს** (და ე. ი. ტოტლებენსაც) იმერეთის მძიმე საშინაო და საგაერო მდგომარეობასა და რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებას: შექმნილი ვითარების გამო დახმარებოდა იმერეთს. აქვე არწმუნებდა მათ, რომ თურქეთთან ომი შორეულ და უგზო მხარეში დიდი ჯარის გაგზავნის საშუალებას არ იძლევაო.

ინსტრუქციაში ხაზგასმულია ერთი მომენტიც: თუმცა პატარა ჯარი იგზავნება, მაგრამ იგი სავსებით საკმარისია, რომ უჩვენოს იმერლებს უპირატესობა რეგულარული ჯარისა; ჯარი იგზავნება იმერლების გასამხნევებლად და დასახმარებლად, რათა იმერლებმა შეძლონ უფრო დიდი ჯარის გამოყვანა, ვიდრე წინათ გამოჰყავდათო. აღსანიშნავია, რომ თვით ეკატერინე II 1769 წლის 26 მაისის წერილით არ უმალავდა სოლომონ I-ს, რომ ეს პატარა ჯარი იგზავნება „თქვენი ქვეშევრდომებისთვის მაგალითის საჩვენებლად და გასამხნევებლადო“. იქვე იყო გამოთქმული სურვილიც, რომ თუ იმერეთში რეგულარული ჯარის შექმნა არ მოხერხდებოდა, დაეწესებინათ რიგი აზნაურობისა და მოსახლეობისა (ე. ი. შეექმნათ ე. წ. მორიგე ჯარი), რათა მთელი ერი რიგიან ჯარად ქცეულიყო.

შემთხვევითი როდი იყო, რომ არტილერიის იარაღის ნოვატორი და სიმაგრეთა მშენებელი ინჟინერი პოდპოლკოვნიკი ჩოლოყაევი 6 ქვემეხისაგან შემდგარი საარტილერიო რაზმის უფროსად დაინიშნა; ეკატერინე საგანგებოდ სწერდა სოლომონ I-ს, რომ სიმაგრეების მშენებელ და საარტილერიო საქმის მცოდნე ოფიცრებს უგზავნიდა.

ინსტრუქციის მთელი შინაარსი ნათლად მეტყველებს, რომ რუსეთი ცდილობდა იმერეთი ფეხზე დაეყენებინა, ბრძოლისუნარიანი გაეხადა, რათა იმერეთს შეძლებოდა, რაც შეიძლება მეტი ჯარის გამოყვანა (იგულისხმება: თურქებისთვის ზიანის მისაყენებლად. გარდა დამხმარე ჯარისა, რუსეთის მთავრობა სოლომონ მეფეს უგზავნიდა 50 ათას მანეთს ფულს და ზავის დადებისას ტრაქტატში იმერეთის

ინტერესების გათვალისწინებას პირდებოდა.

ეს უდავოდ სერიოზული დახმარება იყო. იგი სცილდებოდა მეფის დანაბარებს, იმერეთის ელჩს ასეთი დახმარების იმედი, ალბათ, არც ჰქონდა. ამასთან ელჩმა იცოდა, რომ ამით იმერეთის მეფე თურქეთთან ომს კი არ დაიწყებდა, არამედ „ათორმეტი“ წლის წინათ დაწყებულ ომს გააგრძელებდა. ელჩს ისიც კარგად ესმოდა, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დაწყება მარჯვე დრო იყო იმ ამოცანის გადასაწყვეტად, რისთვისაც იმერეთის მეფე უფრო მძიმე პირობებში იბრძოდა. აი, ასეთი შედეგებით ბრუნდებოდა მაქსიმე ქუთათელი პეტერბურგიდან.

მაქსიმე ქუთათელის ელჩობა, შექმნილი ვითარების წყალობით, წარმატებით დამთავრდა. 1769 წლის 28 მაისს, სამშობლოში გამომგზავრების წინ, ელჩს გადასცეს ოფიციალური პასუხი, სადაც ნათქვამი იყო, რომ „იგზავნებოდა სამხედრო რაზმი და საკმაო ფული, რათა სოლომონ მეფე ფეხზე დამდგარიყო, რათა მას თავისი საქებარი საქმე დაესრულებინა... შური ეძია მათზე (თურქებზე — ვ. მ.) შევიწროებისა და დამცირებისთვის...“ ელჩს აცნობეს სხვა ღონისძიებანიც და დაასაჩუქრეს 1000 მანეთით.

ახლა ისევ საექსპედიციო რაზმის ფორმირების საკითხს დავუბრუნდეთ.

1769 წლის 12 აგვისტოს ტოტლებენი 2 ქვემეხით და 110 კაცით (პირადი დამცველი და გამცილებელი რაზმი) მოზდოკიდან საქართველოში წამოსულა, ხოლო 14 აგვისტოს მაიორ რემენიკოვსაც საექსპედიციო რაზმის 3 ასეულითა (ქვეითი, დრაგუნთა და ჰუსართა) და 2 ქვემეხით (სულ 370 კაცი) ყიზლარიდან გეზი საქართველოსკენ აუღია. 1769 წლის 11 ოქტომბრის პატაკისათვის დართული უწყისით საქართველოში მყოფი ჯარის რიცხვი ასეა განსაზღვრული: რემენიკოვის მიერ ჩამოყვანილ საექსპედიციო რაზმში — 372 კაცი, ტოტლებენის მიერ ყიზლარიდან და მოზდოკიდან წამოყვანილი — 108 კაცი. სულ 480 კაცი.

როგორც ვხედავთ, ტოტლებენი 1769 წლის ზაფხულის გასულს საქართველოსაკენ დაიძრა არა 3767 კაცით, როგორც ამას ჩვენი ისტორიოგრაფია წარმოგვიდგენს, არამედ სამი ასეულითა და 4 ქვემეხით. იგი საქართველოშიც ამ ჯარით ჩამოვიდა. შეიძლება ითქვას, რომ უფრო სწორი ცნობა აღმოჩნდა დაცული მეთვრამეტე საუკუნის ქართულ ქრონიკებში, ვიდრე გვიანდელ სამეცნიერო ლიტერატურაში.

მაქსიმე აბაშიძე, როგორც ზემოთაც გქვონდა აღნიშნული, აყენებდა სამ მოთხოვნას: 1) იმერეთის მიღებას რუსეთის მფარველობაში, 2) 5 ათასიან დამხმარე ჯარს და 3) სესხს იმერეთის მეფის ჯარის

შესანახად. აი, მაქსიმე აბაშიძემ რას მიაღწია: 1) თუ რუსეთის იარაღს წარმატება ექნებოდა თურქეთთან ომში და იმერეთიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა, საზავო ტრაქტატში იმერეთის ინტერესებიც იქნებოდა გათვალისწინებული; 2) იმერეთში იგზავნებოდა რუსეთის ჯარის სამი ასეული არტილერიით და საარტილერიო საქმის მცოდნე და სიმაგრეების მშენებელი ოფიცრით; 3) იმერეთის მეფეს ეძლეოდა 50 ათასი მანეთი საკუთარი ჯარის შესანახად.

რუსეთის ჯარის გადმოსაყვანი გზის საკითხზე ჯერ კიდევ პორუჩიკ ხვაბულოვის საქართველოში ყოფნისას სოლომონ მეფე და ხვაბულოვი შეუთანხმდნენ ერეკლე მეფეს და დარიალის გზა აარჩიეს. ერეკლემ თვით იკისრა საჭირო სამზადისი გზის მოსაგვარებლად. ტოტლებენის ყიზლარში მისვლისთანავე პოტაპოვმა აცნობა ერეკლეს, რომ ჯარი გაეგზავნა გენერლის შესახვედრად. ტოტლებენი ამალითა და 2 ქვემეხით (დაახლოებით ასიოდე კაცი) მაიორ რატიევის თანხლებით 1769 წლის 12 აგვისტოს მოზდოკიდან საქართველოსკენ წამოვიდა. 14 აგვისტოს მოურავოვი ყიზლარში იყო. მან მიტროპოლიტი მაქსიმე იქვე დატოვა და თვითონ საჩქაროდ საქართველოსაკენ გამოემართა; 24 აგვისტოს იგი დაეწია ტოტლებენს 10 ვერსზე საქართველოს საზღვრიდან.

ჯარის თერგზე გადასასვლელად 10 ხიდი გაუკეთებიათ (მათ შორის 3 — ქართველებს), ვიწროებზე დაშლილი ქვემეხები ერეკლეს მიერ გაგზავნილ ქართველებს ხელით გადმოუტანიათ სტეფანწმინდამდე. ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე ტოტლებენს წერილით შეუტყობინებია ერეკლე მეფისათვის, რომ ის ავანგარდი-თურთ იმყოფება სამეფოს ტერიტორიაზე და იმპერატორის ბრძანებით მიდის იმერეთის მეფესთან; ამიტომ სთხოვს ჯარის გატარებისა და სურსათის ყიდვის ნებართვას; უცნობებია, რომ მას სურს პირადად განუცხადოს ერეკლეს ზოგი საიდუმლო რამ.

27 აგვისტოს ერეკლე მეფე დიდებულებთან ერთად თბილისიდან გასულა და დუშეთში შეჩერებულა, სადაც მასთან 28 აგვისტოს მოსულა თავ. რატიევი ტოტლებენის წერილით. 29 აგვისტოს ერეკლე წერდა ტოტლებენს დუშეთიდან, რომ მზად იყო ყველა მისი თხოვნა შეესრულებინა და თხოვდა დაენიშნა შეხვედრის ადგილი, თუმცა მეფე ფიქრობდა, რომ უმჯობესი იყო ხევში შეხვედროდნენ. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ერეკლე უმალვე გასულა დუშეთიდან და სოფ. ხოდასთან დამდგარა, სადაც მეფეს იმავე დღეს, როგორც მოურავოვი იუწყება, ტოტლებენი, მოურავოვი და რატიევი ხლებიან ადოს მინდვრიდან.

ქართლ-კახეთის სამეფოს მიმხრობა რუსეთ-იმერეთის სამხედრო კავშირისადმი თურქეთის წინააღმდეგ ომში

რუსეთსა და თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა ერეკლესათვის ხვაბულოვის (ქობულაშვილის) საქართველოში ჩამოსვლამდეც ცნობილი ყოფილა. ამ კაცის საქართველოში გამოჩენა მას სასარგებლოდ მიუჩნევია და, რადგან ერეკლე თავის თავს სოლომონზე უპირველესად და უძლიერესად თვლიდა, საწყენადაც კი მიუღია, რომ ხვაბულოვი ჯერ სოლომონ მეფესთან მიდიოდა.

ერეკლეს დაზვერვის საქმე კარგად ჰქონდა აწყობილი და, ბუნებრივია, მას მეზობლად მომხდარი ამბები არ გამოეპარებოდა. მით უმეტეს, ერეკლემ კარგად იცოდა, რომ მე-16 ს-დან მოყოლებული მისი სამშობლო ორი ძლიერი მეზობლის — თურქეთისა და ირანის — ბრძოლის ასპარეზი იყო და ხან ერთს რჩებოდა საჯიჯგნად, ხან — მეორეს. მართალია, ახლა ირანი დასუსტებული იყო, ქართლ-კახეთმა კი ფაქტობრივად თავისუფლებასაც მიაღწია, მაგრამ მეფემ კარგად იცოდა: ირანის სისუსტე საკმარისი არ იყო მისი სამეფოს უშიშროების უზრუნველსაყოფად, საჭირო იყო თურქეთიც დასუსტებულიყო. ერეკლე თურქეთში მომხდარ ამბებს განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა და მოუთმენლად ელოდა „უჭშმარიტესსა უწყებასა“ რუსეთიდან „მისი იმპერატორობის დიდებულების და ხუანთქრის ზავის დახსნის“ შესახებ.

სავსებით მართალი იყვნენ ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები, როდესაც თვლიდნენ, რომ ქვეყნის გადასარჩენად მთელი თავისი საგარეო პოლიტიკა კავკასიის ყელისათვის მებრძოლი 3 დიდი სახელმწიფოს — ირანის, რუსეთისა და თურქეთის — პოლიტიკურ ურთიერთობაზე უნდა აეგოთ.

როგორც ზემოთ ითქვა, 1769 წლის 26 მარტს სოლომონ I-მა ხვაბულოვი თბილისისკენ გამოისტუმრა. ამ დროს ერეკლესთან თურქი ელჩები ყოფილან, რომელთაც ნეიტრალიტეტი უთხოვიათ. ერეკლეს რუსეთის წარმომადგენლები ქართულ ტანსაცმელში გადაცმული ჩაუყვანია თბილისში, რათა თურქეთის ელჩებისთვის ხვაბულოვის მოსვლა დაეფარა. თურქებს აგენტების საშუალებით მაინც შეუტყვიათ რუსეთის წარმომადგენლის ადგილსამყოფელი და ბინის თვალიერება დაუწყიათ. გაჯავრებულ ერეკლე მეფეს თურქი ელჩები გაუძევებია. 11 აპრილს მეფეს პირველად მიუღია ხვაბულოვი. რუსეთის წარმომადგენელთან საუბარში მეფეს მცირერიცხოვანი ჯარი უთხოვია, უმთავრესად იმ მიზნით, რომ მეზობელი ქვეყნები დაეშინებინა. რუსთა

ჯარის საქართველოში ჩამოსვლას ისინი ამ ქვეყნის მიმართ რუსეთის მფარველობად მიიჩნევდნენ: სამაგიეროდ, ერეკლე ცარგრადამდე თურქეთის ქალაქების დაპყრობას ჰპირდებოდა რუსეთს.

1769 წლის 21 მაისს სოლომონ მეფე თბილისს ჩავიდა და მეფეებმა თურქეთის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედება დათქვეს. ერეკლეს საიდუმლო სამზადისიც კი დაუწყია, მაგრამ იგი ნაბიჯის გადადგმას არ აპირებდა მანამ, სანამ რუსეთი ერეკლეს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებდა. ერეკლეს ამჯერად თავისი მოთხოვნებისთვის უფრო კონკრეტული სახე მიუცია. თუ აპრილში იგი „მცირერიცხოვანი ჯარით“ კმაყოფილდებოდა, ამჯერად ითხოვდა, რომ რუსეთს 7-5 პოლკი დამხმარე ჯარი, ე. ი. 5-7 ათასი კაცი გამოეგზავნა, ამასთან, თურქეთთან ზავის დადებისას საზავო ტრაქტატში ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ ყოფილიყო შეყვანილი. რუსეთისაგან დამხმარე ჯარის მიუღებლად, ლეკების შიშით, თურქეთთან ომის დაწყებაზე იგი უარს ამბობდა. მეფე აიმედებდა რუსეთის მთავრობას, თუ ჯარს მიიღებდა, რუსეთის იმპერატორის „სამსახურზე“ თავს დადებდა.

1769 წ. 29 აგვისტოს ერეკლე II, ანტონ კათალიკოსი, გიორგი და ლევან ბატონიშვილები, დიდებულებთან ერთად, სოფელ ხოდაში, სახელდახელოდ მოწყობილ ბანაკში, საზეიმო მიღებას უწყობენ რუსეთის წარმომადგენლებს — ტოტლებენსა და მოურავოვს, რომელთაც თან ახლავთ მაიორი (ამ დროს უკვე პოდპოლკოვნიკი) თავადი რატიევი. 30 აგვისტოს კი ტოტლებენს თვით მიუღია თავის ბანაკში ერეკლე მეფე, ანტონ კათალიკოსი და ლევან ბატონიშვილი. ამ შეხვედრების დროს განიხილავდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს თურქეთთან ომში მიმხრობის საკითხს.

ერეკლე მეფესთან პირველ შეხვედრას ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია მოურავოვსა და ტოტლებენზე, რომ მეორე შეხვედრისას ისინი გულახდილები ჩანან: მათ შესაძლოდ მიუჩნევიათ სოლომონ მეფისადმი განკუთვნილი პაკეტიც კი გაეხსნათ და ერეკლესთვის პანინის წერილი გადაეცათ (რუსეთისთვის ამ დროს სოლომონი და ერეკლე ერთი იყო, მას ორივე ერთი მიზნისთვის სჭირდებოდა).

ერეკლეს მზადყოფნა გამოუთქვამს „დახმარებოდა“ სოლომონ I-ს. მაგრამ აქვე მოუთხოვია, რომ რუსეთს გამოეგზავნა მისთვის 5 ათასიანი დამხმარე ჯარი; თუ ეს 5 ათასიანი ჯარი ზამთრამდე გადმოსვლას ვერ მოახერხებდა, მანამდე 1500 კაცი მაინც უნდა გადმოყვანილიყო, ხოლო დანარჩენი — მომავალი წლის გაზაფხულზე; ამასთან, თუ 1500 კაცს მეფე შემოდგომითვე მიიღებდა, ხოლო დანარჩენს — მომავალ წელს, იგი მზად იყო თურქებისთვის ომი

გამოეცხადებინა. ერეკლე აიმედებდა მათ, რომ დიდ ზიანს მიაყენებდა თურქებს და ამით სამსახურს გაუწევდა რუსეთს.

ერეკლეს, გარდა დამხმარე ჯარისა, მოუთხოვია არტილერიის საქმის მცოდნეც (მას ქვემეხები ბევრი ჰქონდა, მაგრამ საჭირო იყო მათი შეკეთება, ლაფეტებზე გაწყობა) და სპეციალისტებიც წიაღისეულ სიმდიდრეთა დასამუშავებლად.

ერეკლეს წინადადებები იმდენად საქმიანი ყოფილა, რომ ტოტლებენი იძულებული გამხდარა, მეფისთვის ყველაფერზე თანხმობა მიეცა და დაეიმედებინა ის. კერძოდ, ტოტლებენი შეჰპირებია, რომ სამეფო კარის დაუკითხავად 1500 კაცს გადმოიყვანდა. გარდა ამისა, ტოტლებენს ისიც აღუთქვამს, რომ ის ნამდვილად მოახერხებდა 5 ათასიანი ჯარის რუსეთიდან გამოგზავნასაც.

1769 წლის 12 ოქტომბერს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე წაკითხულ იქნა ერეკლეს, ტოტლებენის და მოურავოვის წერილები და მოხსენებები. გადაწყდა ჯარის გადიდება. საბჭომ ისიც გადაწყვიტა, რომ საქართველოში გამოეგზავნათ სამთო საქმისა და ლითონის დნობის 58 სპეციალისტი. იმპერატორის 22 ოქტომბრის ბრძანებას აქვს დანართი, სადაც მოცემულია ჯარის რაოდენობა, სულ: 3767 კაცი და მომავალი 1770 წლის ხარჯთაღრიცხვა: 134.600 მანეთი. რუსეთის მთავრობა, რაკი სჯეროდა, რომ ქართლ-კახეთის მეფე სარგებლობას მოუტანდა, იძულებული გახდა გაეზარდა ჯარის რიცხვი 9-ჯერ და უფრო მეტად, ხოლო ჯარის შესანახი თანხა — 21.256 მანეთიდან134.600 მანეთამდე გაედიდებინა.

ტოტლებენის გადასვლა იმერეთში. შორაპნის ციხის ალყა. რუსეთის სამხედრო რაზმის ქართლში დაბრუნება

ტოტლებენი და მოურავოვი რუსეთის ჯარის სამი ასეულით 1769 წლის 26 სექტემბერს იმერეთის საზღვარზე მივიდნენ, სადაც მათ 27 სექტემბერს სოლომონ მეფე შეხვდა. იოსებ კათალიკოსისა და დიდებულების თანხლებით 28 სექტემბერს ტოტლებენს განუცხადებია იმერეთის მეფისათვის, რომ იმპერატორისგან მას დავალებული აქვს: იმერეთის სიმაგრეებიდან თურქების განდევნა და სოლომონისთვის მისი ქვეშევრდომების დამორჩილება. თუ ამას ვერ შეძლებს, სოლომონ მეფეს თავისი ოჯახით წაიყვანს რუსეთში, სადაც მეფე დიდი პატივით იქნება მიღებული.

1769 წლის 3 ოქტომბერს ტოტლებენი და სოლომონ მეფე შორაპ-

ნის ციხეს შემოადგნენ. ტოტლებენმა ციხის გარნიზონს (23 კაცი) დანებება მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. ამასობაში იმერეთის ტერიტორიაზე დადიანი და თურქები შემოჭრილან, სოლომონ მეფე იძულებული გამხდარა მოწინააღმდეგეს შეგებებოდა და ამიტომ ტოტლებენი ციხესთან დაუტოვებია. ოთხი დღის უშედეგო შეტევის შემდეგ ტოტლებენს ალყა მოუხსნია და 13 ოქტომბერს იმერეთიც დაუტოვებია. 29 ოქტომბერს ტოტლებენი და მოურავოვი რუსეთის სამხედრო რაზმით ცხინვალში იყვნენ.

რატომ დაბრუნდა ტოტლებენი ქართლში?

ა. მოურავოვი 1769 წლის 29 ოქტომბრის პატაკით იუწყება: თუმცა გრაფი ცდილობდა ციხის აღებას, მაგრამ „სურსათისა და ალაფის“ ნაკლებობის გამო განზრახვაზე ხელი აიღოო.

შეიძლება თუ არა ეს მივიჩნიოთ იმერეთიდან დაბრუნების მიზეზად? რა თქმა უნდა, არა. 1770-71 წლებში იმერეთში რუსეთის 4 ათასიანი კორპუსი ახერხებდა საჭირო სურსათ-სანოვაგის შოვნას და მტკიცება იმისა, თითქოს 1769 წლის ოქტომბერში 400 კაცის გამოკვება არ მოხერხდა, უსაფუძვლოა. ტოტლებენის პატაკით დასტურდება, რომ სურსათის ნაკლებობას თუმცა ჰქონია ადგილი, მაგრამ ტოტლებენს თითოეულ ჯარისკაცზე დღეში 4 კაპიკი გაუცია, რითაც ისინი უზრუნველყოფილი ყოფილან. კიდევ მეტი, როცა სოლომონ მეფემ ტოტლებენის წუწუნი შეიტყო, 15 ოქტომბრის წერილით გენერალს აცნობა: ღირსეულად ვერ გემსახურებით, მაგრამ რამდენიმე დღე დამაცადეთო; ტოტლებენს და მოურავოვს სოლომონ მეფისთვის დაბრუნების მიზეზი წესიერად არც კი უცნობებიათ. ამიტომ დადიანსა და თურქებზე გამარჯვებულ მეფეს, როცა რაზმის ქართლში დაბრუნების ამბავი შეუტყვია, მაშინვე წერილი გაუგზავნია (წერილი უთარიღოა, მაგრამ იგი მოურავოვს მიუღია მუხრანში 1769 წლის 9 ნოემბერს). მეფე ეკითხება მოურავოვს, რა მიზეზით დაბრუნდით ქართლშიო.

იმერეთის დატოვებას, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სულ სხვა მიზეზი ჰქონდა. 1769 წლის 12 ოქტომბრის პატაკით მოურავოვი ასე უხასიათებს ნ. პანინს იმერეთის მდგომარეობას: ქვეყანა უაღრესად გაღარიბებულია, პური და სხვა სურსათ-სანოვაგე ძნელი საშოვნელია; თავადები და მთავრები მეფისადმი მტრულად არიან განწყობილნი, ქვეყნის შიგნით ციხეები — შორაპანი, ბაღდათი, ქუთაისი, ცუცხვათი, ანაკლია, ფოთი, ქობულეთი, ციხისძირი — მტერს უჭირავს, სადაც მტრის 3.000-იანი გარნიზონი დგას; ქვეყანა უგზოა, ტყიანი. „ვბედავ თქვენს მაღალ გრაფობის ბრწყინვალებას ღრმა პა-

ტივით მოვახსენო, რომ სოლომონს რუსეთის საიმპერატორო ტახტის სამსახური და სარგებლობის მოტანა არ შეუძლია“.

დასკვნა ასეთია: რაკი იმერეთი ვერ ამართლებს რუსეთის იმედებს, მისი დაცვაც ზედმეტი ხდება. ახლა საჭიროა ქართლ-კახეთის სამეფოს მიმხრობა, მაგრამ ეს უკანასკნელი უგარანტიოდ ომში არ ერევა. საჭიროა დანაპირების შესრულება. მეფე ერეკლე ისეთი კაცი როდი იყო, რომ დანაპირებს ადვილად დასჯერდებოდა. ტოტლებენი ჯერ კიდევ ქართლში იმყოფებოდა, რომ მას ანტონ კათალიკოსი მიუგზავნია გრაფთან; 1769 წლის 19 სექტემბერს ანტონ I ტოტლებენს შეხვედრია ლამისყანაში და მეფის დანაბარები გადაუცია (რომ ომს თურქეთთან მხოლოდ 5 ათასი კაცის მიღების შემდეგ დაიწყებდა). გრაფს პირობა მიუცია.

საქართველოში 1770 წლის აპრილის შუა რიცხვებში ახალციხეზე ლაშქრობის დროს 12.000-მდე რუსეთის ჯარისკაცი იყო. რაც მთავარია, 1770 წლის გაზაფხულისთვის ერეკლე მეფისათვის ცნობილი იყო, რომ რუსეთის მთავრობა მას უგზავნიდა 4 ათასიან დამხმარე ჯარს, რომელიც უახლოეს დროში ჩამოვიდოდა და დაკმაყოფილებდა ყველა მის მოთხოვნას. ამის შემდეგ ერეკლეს ჩაბმა ომში გადაწყვეტილი იყო.

ერეკლეს დიპლომატიური ბრძოლა და მისი შედეგი ქართველი პოლიტიკოსების ლანძღვის უფლებას არ იძლევა. სხვა საქმეა, თუ აქ გაბედული ნაბიჯიც ჩანს. გაბედული ნაბიჯების გაკიცხვა, როცა ხალხის არსებობას ეხება საქმე, და პასიურობის ქადაგება, მონობისთვის წინასწარი განწირვაა. ქართველმა ხალხმა სწორედ გაბედული და სარისკო ბრძოლების წყალობით მოიტანა თავი XIX ს-ის დასაწყისამდე.

ასპინძის ბრძოლა

ერეკლე მეორეს კარგად ესმოდა, რომ რუსეთთან კავშირს დროებით მოწესრიგებული საგარეო ურთიერთობის გართულება და მეზობელი მაჰმადიანური ქვეყნების მხრივ მტრობის გაძლიერებაც მოჰყვებოდა. ქართველ პოლიტიკოსს შესანიშნავად ესმოდა, თუ რამდენად ართულებდა მის მდგომარეობას რუსეთთან სამხედრო კავშირი, მაგრამ უკან დახევას მაინც არ აპირებდა, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი საქართველოში დამხმარე ჯარს გამოგზავნიდა, რადგან ამაში რუსეთის მფარველობის ნამდვილ გარანტიას ხედავდა. ამასთან, ქართლ-კახეთის მეფე რუსეთთან კავშირს ფართო საგარეო პოლი-

ტიკურ გეგმებსაც უკავშირებდა, რომელთაგან უმთავრესი სამხრეთ საქართველოს თურქი დამპყრობლების ხელიდან გამოგლიჯვა იყო.

რით იყო გაპირობებული ამ საკითხის წინა პლანზე წამოწევა? თურქებმა მესხეთი ჯერ კიდევ XVI ს-ში მოსწყვიტეს დედა-სამშობლოსა და მის გათურქებას შეუდგნენ. XVIII ს-ში საქართველოს ამ უძველეს კულტურულ მხარეში ახალციხის თურქული საფაშო არსებობდა, რომელიც ქართლზე თავდასხმის მარჯვე პლაცდარმად იყო ქცეული და თურქეთის აგრესიის უმთავრეს ბაზას წარმოადგენდა საქართველოს დანარჩენი რაიონების ხელში ჩასაგდებად. ამიტომ, ბუნებრივია, ვიდრე ეს მარჯვე პლაცდარმი მტრის ხელში იყო, საქართველოს უშიშროება უზრუნველყოფილად ვერ ჩაითვლებოდა. გამოცდილებაც ხომ ამას ნათლად მოწმობდა.

ცხადია, რუსეთ-თურქეთის ომის დროს ქართლ-კახეთის პოლიტიკოსებს უმთავრესად ეს ამოცანა უნდა დაესვათ თავიანთი საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში, როგორც ყველაზე უახლოესი და რეალური.

როდის იქნა მიღებული სათანადო გადაწყვეტილება?

მესხეთის შემოერთება ერეკლე მეორემ რუსეთის ჯარის საქართველოში შემოსვლისთანავე გადაწყვიტა, მაგრამ ის მცირე საექსპედიციო რაზმი, რომელიც 1769 წელს გენ. ტოტლებენის განკარგულებაში იყო, საკმარისად არ მიაჩნდა ამ ამოცანის გადასაჭრელად. ამიტომ იყო, რომ იგი მტკიცედ იბრძოდა რუსეთიდან 5 ათასიანი კორპუსის მისაღებად.

ახალციხის ლაშქრობის გეგმა ერეკლემ ჯერ კიდევ 1769 წლის აგვისტო-სექტემბერში წამოაყენა, მაგრამ მეფე მის განხორციელებას არ ჩქარობდა, სანამ რუსეთი დამხმარე ჯარს არ გაზრდიდა. ტოტლებენის ნაბიჯიც მთავრობის დაუკითხავად 1500 კაცის ქართლში გადმოყვანის თაობაზე ერეკლეს გეგმის მიღების მომასწავებელია.

გვიანდელი საბუთები უფრო რელიეფურად წარმოგვიდგენს, რომ ერეკლე მეფე ახალციხის შემოერთებისთვის იბრძოდა. ახალციხისთვის ბრძოლას ქართველი პოლიტიკოსები ორ ამოცანას უკავშირებდნენ: მტრისათვის ქართლზე თავდასხმის პლაცდარმის მოშლასა და ქართული მიწა-წყლის შემოერთებას. ერეკლეს გადაწყვეტილი ჰქონდა ესარგებლა რუსეთ-თურქეთის ომით და რუსეთის სამხედრო და დიპლომატიური დახმარებით, მტრის ხელიდან გამოეგლიჯა ძველისძველი ქართული მიწა-წყალი, სადაც თურქი დამპყრობლები ძალით ნერგავდნენ ისლამს და ათურქებდნენ მოსახლეობას.

ახალციხის აღებით ქართლს თურქეთის აქტიური შემოტევის

საფრთხე ეხსნებოდა, რადგანაც იშლებოდა ბუდე, საიდანაც თურქეთი ქვეყნის დაპყრობას ლამობდა, იშლებოდა ლეკი აბრაგების თავშესაფარი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით. გარდა ამისა, ახალციხის დაკავებას ქართლ-კახეთისთვის ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ იგი საერთოდ, მთელი მესხეთის დედასამშობლოსთვის დაბრუნების იმედს იძლეოდა, რასაც არ შეიძლებოდა ომში ქართლის აქტივობის ზრდა არ მოჰყოლოდა.

რადგან რუსეთი იმხანად საქართველოში დამკვიდრებას მიზნად არ ისახავდა, ბუნებრივია, მისთვის მისაღები იყო ყველა გეგმა, რომლის წყალობითაც მტრის ძალების დაბანდება და „დივერსიის“ მოწყობა მოხერხდებოდა (ამიტომ არც ტოტლებენისა, არც სუხოტინისთვის წინასწარ შემუშავებული სამხედრო ოპერაციის რაიმე გეგმა პეტერბურგში არ მიუციათ). ერეკლეს გეგმას რუსეთისთვის ის უპირატესობა ჰქონდა, რომ, ჯერ ერთი, მტრის ხელიდან მარჯვე პლაცდარმის გამოგლეჯა საომარი მოქმედების ფართო გაშლის იმედს იძლეოდა; მეორე, ამ გეგმის მიღების შემთხვევაში ომში აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა შედარებით ძლიერი ქართლ-კახეთის სამეფო, რაც წარმატების გარანტია იყო. ამიტომ რუსეთის წარმომადგენლები ერეკლეს გეგმას უყოყმანოდ დაეთანხმნენ.

ახალციხის ლაშქრობის გეგმა იმერეთის სამეფოსთვისაც ობიექტურად სასარგებლო ჩანდა. ცნობილია, რომ თურქეთი დასავლეთ საქართველოს საქმეებს ჩვეულებრივად ახალციხის ფაშას ხელით „აწესრიგებდა“; ამასთან ერთად, ახალციხის დაკავებით იმერეთის რეაქციონერ თავადებს გარედან დახმარების იმედი გადაეწურებოდათ და სოლომონ მეფეს გაუადვილდებოდა მათი დამორჩილება. მართალია, ვიდრე იმერეთის ციხეებში თურქი მეციხოვნეები იდგნენ, სოლომონ მეფეს კვლავაც სიძნელეები ელოდებოდა, მაგრამ თუ ახალციხის მიმართულებით წარმატებას მიაღწევდნენ, იმერეთის ციხეებში გამოკეტილი თურქი მეციხოვნეები პასიურ თავდაცვასაც ვეღარ შეძლებდნენ და ამას, ბუნებრივია, მათი დანებება უნდა მოჰყოლოდა. ამის შემდეგ სოლომონ მეფეს მოქმედებისთვის ხელ-ფეხი ეხსნებოდა.

ერეკლეს მიერ წამოყენებული სამხედრო მოქმედების გეგმა 1769 წლის შემოდგომაზე ტოტლებენის მიერ მიღებული ჩანს. რუს-ქართველთა ჯარს 1770 წლის გაზაფხულზე ამ გეგმით უნდა დაეწყო მოქმედება.

1770 წლის 17 მარტს ერეკლე მეორე შვიდი ათასი კაცით და 3 ქვემეხით მისულა სურამში, სადაც ტოტლებენი რუსეთის სამხედრო რაზმით (დაახ. 1.200 კაცი) იყო დაბანაკებული; მეფე 2 ათას კაცს

უახლოეს დროში ელოდა.

როგორც ა. მოურავოვის ცნობიდან ჩანს, ერეკლეს იმედი ჰქონია, რომ მას სოლომონ მეფეც შეუერთდებოდა, როცა ეს უკანასკნელი დადიანთან ზავს დადებდა. ჩვენ არ ვიცით, რამდენად სჯეროდა ერეკლეს სოლომონის მონაწილეობა ახალციხის ლაშქრობაში, მაგრამ ერთი კი ცხადია: ამ დროს (1770 წლის მარტი) სოლომონ I, თავისი სისუსტის მიუხედავად (თურქებს ეჭირათ: შორაპნის, ბაღდადის, ცუცხვათის, ქუთაისის ციხეები, ამას შინაური არეულობაც ერთვოდა), ხელს იწვდიდა საათაბაგოსკენ და საეჭვო იყო, რომ იგი ერეკლეს მიერ წამოყენებულ ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა. ცნობილია, რომ ხელთუბნის თათბირზე სოლომონ მეფემ ახალციხეზე ლაშქრობას, ობიექტურად მისთვის სასარგებლოს, მხარი არ დაუჭირა, თუმცა პრინციპული წინააღმდეგობა არ გამოუხატავს.

1770 წლის აპრილში, რუს-ქართველთა ჯარის ახალციხისკენ დაძვრის წინ, ტოტლებენი წინანდებურად აღტაცებული აღარ არის ახალციხეზე ლაშქრობით, არც ჩქარობს ახალციხისკენ დაძვრას. 6 აპრილის პატაკით, რომელიც მას ქვიშხეთიდან გაუგზავნია, თანამდებობიდან განთავისუფლებას ითხოვს — „ძალა არ მყოფნისო“. სურდა თუ არ სურდა, ტოტლებენი ერეკლესთან ერთად ახალციხისაკენ მაინც უნდა დაძრულიყო. რუსეთის მთავრობისა და ერეკლე მეფისადმი მიცემული საზეიმო დაპირებები მას ახალციხეზე ლაშქრობაში მონაწილეობაზე აშკარა უარის თქმის უფლებას არ აძლევდა.

1770 წლის 14 აპრილს ერეკლე მეფე და ტოტლებენი რუსეთ-ქართველთა ჯარით სადგერში (ბორჯომთანაა) იდგნენ. ტოტლებენს მეფისთვის წინადადება მიუცია, ქართველი ჯარის ნაწილი სადგერის ციხეში დაეტოვებინა, თან შეჰპირებია: „სამოც კაცს და ერთ ზარბაზანს“ დავტოვებო, მაგრამ ერეკლე მეფეს უარი უთქვამს. ერეკლე, ქართველი ჯარითა და რუსეთის ჯარის ზარბაზნებით მდ. შავი წყლის („ბორჯომულა“) გაყოლებით აწყურისაკენ დაიძრა. ტოტლებენს თავისი რაზმის ნახევარი და ექვსი ზარბაზანი სადგერში მაინც დაუტოვებია და მეორე დღეს აწყურისაკენ უმოკლესი გზით (მდ. მტკვრის ხეობით) წასულა. იგი მეფეს საკირესთან შეერთებია და რუს-ქართველთა ჯარი 17 აპრილს აწყურის ციხეს მისდგომია.

ფაქტებიდან ნათლად ჩანს, რომ ერეკლე მეფისათვის ახალციხეზე ლაშქრობაში რუსების, როგორც დამხმარე სამხედრო ძალის, მონაწილეობას არსებითად გადამწყვეტი მნიშვნელობა არ შეიძლებოდა ჰქონოდა, მას მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მეფე საკუთარი ძალით ფიქრობდა დაუფლებოდა ძველ მესხეთს, სა-

ნამ თურქები დამხმარე ძალებს მოაშველებდნენ ახალციხის ფაშას. ამასთან, მეფეს იმედი ჰქონდა, რომ, სანამ თურქები ძალების გადმოსროლას მოასწრებდნენ, იგი შეძლებდა სტრატეგიული ადგილების დაკავებას, ამასობაში კი რუსეთიდანაც დამხმარე ძალებს მიიღებდა.

1770 წლის 17 აპრილს, შუადღისას, ერეკლე მეფის ნების საწინააღმდეგოდ, რუს-ქართველთა ჯარი აწყურის ციხეს შემოადგა. აწყურისთვის დროის დაკარგვა შეცდომა იყო, რადგან რუს-ქართველთა ჯარს საალყო ქვემეხები არ ჰქონდა; მცირეყალიბიანი ქვემეხებით ციხის იერიშით აღების ცდა კი, ბუნებრივია, უშედეგოდ უნდა დამთავრებულიყო. სანამ გარნიზონს საკვები და წყალი ჰქონდა და გარედან დახმარების იმედიც, ციხის აღება დიდი მსხვერპლის გაღებასა და დროს მოითხოვდა. ერეკლეს გეგმის მიხედვით, აწყურის ციხის აღების სხვა საშუალებაც არსებობდა: მტრის ზურგში ღრმად შეჭრა და მეციხოვნე ჯარის მოწყვეტა მტრის დანარჩენი ჯარებისაგან. ასეთ პირობებში ციხის ალყა მცირე ძალითაც შეიძლებოდა განხორციელებულიყო და გარედან დახმარებას მოკლებული მტერიც წინააღმდეგობას ვეღარ მოახერხებდა.

სამხედრო-ტაქტიკური თვალსაზრისით, აწყურის ციხის ალყა არასწორად იქნა ჩატარებული. ტოტლებენის შტაბში შედგენილი გეგმიდან ჩანს, რომ 1770 წლის 17-18 აპრილს ციხისთვის ბრძოლა ისე წარმოებდა, მისი სრული გარემოცვა არ იყო გათვალისწინებული. ეს საშუალებას აძლევდა ახალციხის ფაშას ციხეში შეეგზავნა ჯარი საჭურვლითა და სურსათით. ამასვე ადასტურებს კაპ. ი. ლვოვის 1770 წლის 13 მაისის წერილიც, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი ჯარის განლაგება.

თუ ტოტლებენს ციხის აღება ნამდვილად სურდა და თანაც მისი მალე აღება შესაძლებლად მიაჩნდა, იგი სრულ ალყაში უნდა მოექცია. ერეკლემ იცოდა, რომ ციხის აღება ძნელი იყო, თავისთავად კი — უმნიშვნელო. ამიტომ, შესაძლებელია, მან ხელი აიღო საკუთარ ინიციატივაზე და საქმე ტოტლებენს მიანდო (ან იძულებული გახდა მიენდო). როგორც მეფის წერილებიდან ჩანს, ტოტლებენს პირობა დაუდვია, რომ ციხეს დაუყოვნებლივ აიღებდა. შესაძლებელია, მეფემ ჯერ კიდევ არ იცოდა რუსეთიდან ჩამოტანილი მცირეყალიბიანი ქვემეხების ცეცხლის ძალა და ენდო კიდეც ტოტლებენის დაპირებას.

ციხის იერიშით აღება შეუძლებელი გახდა და გენ. ტოტლებენმა სცადა „გამოესწორებინა“ აშკარა შეცდომა (როგორც ჩანს, სამხედრო კოლეგიის შენიშვნის თავიდან აცილების მიზნით) და ერეკლეს წინადადება მისცა, მტკვრის მარცხენა მხარეს 2000 კაცი გადაეყვანა

ხიდით (ციხის კედელთან ცეცხლის ქვეშ), ან ხიდი დაეწვა, რომ გარნიზონს დამხმარე ძალები არ მიეღო; მაგრამ უკვე გვიანღა იყო. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა გვიან, როცა თურქების დამხმარე ძალები უკვე გამოჩნდა.

რადგან ციხეზე მისასვლელი გზა გადაჭრილი არ იყო, ახალციხის ფაშას უსარგებლია და ციხეში ჯარები შეუყვანია, ხოლო 18 აპრილს ტოტლებენს ბრძოლა მიუტოვებია და აწყურიდან წასულა. ერეკლეს ბევრი უთხოვია ტოტლებენისთვის, ა. მოურავოვსაც უცდია ტოტლებენზე ზეგავლენის მოხდენა, მაგრამ ამაოდ.

ტოტლებენის მიერ ბრძოლის ველის მიტოვებას ქართველთა ჯარში უწესრიგობა მოჰყოლია. მტერი კი ამით გამხნევებულა. ერეკლეს, სიმკაცრის წყალობით, მოუხერხებია ქართველ ჯარში დისციპლინის აღდგენა და ციხიდან უკან დაუხევია. გამხნევებული მტერი შეტევაზე გადმოსულა. მაგრამ ქართველები კვლავ კონტრშეტევაზე გადასულან და დამარცხებული მტრის ჯარები ციხეში შეურეკიათ.

ამის შემდეგ ერეკლეს არ შეეძლო მისი სურვილის საწინააღმდეგოდ დაწყებული ალყის გაგრძელება. აწყურის გარემოცვა წარუმატებლად დამთავრდა. აღნიშნული ოპერაციის წარუმატებლობას მკვლევარები სხვადასხვანაირად ხსნიან. ერთ-ერთ „უმთავრეს“ მიზეზად სურსათის ნაკლებობა სახელდება.

ტოტლებენის 1770 წლის 6 აპრილის პატაკით დასტურდება, რომ რუსეთის ჯარს საქართველოში ჩამოსვლის დროიდან 1770 წ. აპრილამდე არაფერი ჰკლებია. ერეკლე მეფის განკარგულებები (1769-1770 წლებისა) ნათლად ადასტურებენ, რომ მეფე დიდი ყურადღებით ექცეოდა რუსეთის ჯარის მომარაგების საქმეს და სურსათის მიყიდვაც ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა.

უცნაურია, რომ ტოტლებენი 1770 წლის 6 აპრილის პატაკით გრაფ ჩერნიშევს აუწყებდა: მოურავოვი საერთოდ არ ზრუნავს ჯარის მომარაგებაზე, ხაზინისთვის ზიანის მიყენებას ცდილობსო. სინამდვილეში, ტოტლებენის საჩივრის მიზეზი იყო შემდეგი; ა. მოურავოვს თავადმა ციციშვილმა აცნობა, რომ ტოტლებენმა ქართველ გლეხებს არ დაუბრუნა ძროხები, რომლებიც კაზაკებმა ლეკებს დაატოვებინეს, რის თაობაზე აცნობა მაიორ რემენიკოვს, რაკი ამ უკანასკნელმა იცოდა სამხედრო კოლეგიის 1769 წლის 13 ნოემბრის ინსტრუქცია, რომელიც აფრთხილებდა ტოტლებენს — ყოველგვარი თვითნებობა და ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხება აღკვეთილიყო. გარდა ამისა, მაიორმა რემენიკოვმა ურმები დაიქირავა ბარგის გადასაზიდად, ტოტლებენმა იძვირა და გაცემული თანხის უკან და-

ბრუნება მოითხოვა, შემდეგ ერეკლეს მისწერა: ძროხები, როგორც ნადავლი, ჯარს დავურიგე და ვერ დავაბრუნებო, ხოლო თუ გლეხები ურმების ფულს არ დააბრუნებენ, რემენიკოვს ჯამაგირიდან დავუკავებო. ერეკლე იძულებული გახდა ებრძანებინა მეურმეებისათვის, თანხა უკან დააბრუნეთო.

აი, რატომაა საჩივარი მოურავოვზე: ხაზინის ინტერესებზე არ წუხსო.

რა მოხდა 6 აპრილის შემდეგ? მოურავოვის 1770 წლის 15 და 16 აპრილის წერილებიდან ჩანს, რომ ტოტლებენმა ქვიშხეთშივე მიიღო საკმაო რაოდენობის პური (გამომცხვარი) და ხორცი. კიდევ მეტი, ერეკლე უსასყიდლოდაც აძლევდა რუსეთის ჯარს სურსათს. ჩვენამდე მოღწეული ცნობებით დგინდება, რომ 19-ში, როცა ტოტლებენი უკან დაბრუნდა, მათ კიდევ 3 დღის საკმარისი პური ჰქონდათ. დავუშვათ, რომ სურსათის ნაკლებობას მართლაც ჰქონდა ადგილი, განა სურსათის უქონლობის გამო ჯარი ფრონტს ტოვებს? განა ეს მოკავშირე ჯარის მტრის პირისპირ მიტოვებას ამართლებს? მით უმეტეს, ერეკლე დაჰპირდა მათ მომარაგებას (500 კაცი გაუგზავნია სურსათის მოსატანად).

დავუშვათ, რომ რეგულარულ ჯარს არ შეეძლო რეკვიზიციისთვის მიემართა (მხედველობაში გვაქვს ლევოვის განცხადება, რომ ქართველები „თურქეთის ტერიტორიაზე“ სოფლებს ძარცვავდნენო). მაგრამ, თუ კაპიტან ლევოვს ეს ფაქტი სამარცხვინოდ მიაჩნდა, რატომ იმაზე არაფერს ამბობს, რომ სწორედ იმ დროს, როცა იგი ზემოაღნიშნულ წერილს წერდა, ტოტლებენი მოკავშირე ქვეყნის ტერიტორიაზე თვითნებობდა?

აწყურიდან ტოტლებენის გაბრუნების მიზეზი, რა თქმა უნდა, სურსათის ნაკლებობა არ ყოფილა. ეს „მიზეზი“ ტოტლებენმა მოიფიქრა 19 აპრილს, რომ როგორმე გაემართლებინა ბრძოლის ველის მიტოვება. მან გვიან (13 მაისს) მოიშველია თავისი თანამოსაქმე კაპ. ლევოვიც, რათა რუსეთის მთავრობის თვალში აწყურიდან წასვლა გაემართლებინა.

ტოტლებენის შტაბში შედგენილი აწყურის ოპერაციის გეგმა ცხადყოფს, რომ 18 აპრილს მას ციხის აღება კი არა, მის აღებაზე ხელის აღების სამზადისი დაუწყია: მეფის ჯარის განლაგება წინანდებური რჩება, ტოტლებენისა კი თანდათან იცვლის პოზიციას იმგვარად, რომ 19-ში უკვე საკმაო მანძილითაა დაცილებული ციხეს. ბოლოს, როგორც ერეკლე იტყობინებოდა, ტოტლებენი გაიპარა, ხოლო ქართველი ჯარის განლაგება კი კვლავ უცვლელი დარჩა (ასეა წარმოდგენილი ჯარის განლაგება ტოტლებენის შტაბ-

ში შედგენილ გეგმაზეც). ერეკლე მეფე მართალი ჩანს, როცა წერს: „აწყურის ციხიდამ (ტოტლებენი) ომში გაუჭირვებლად გამოპარვით წამოვიდა, რომ მე მამატყუა, ბალახში მახლობლად დავდგებიო... პირველივე გაბრუნება ზდებია გულშია, რომლითაც უფრო დამტკიცდება, რომ აქავ სურამს და ქუშხეთს დიდად ეზარებოდა მტერზედ წამოსვლა“. ერეკლეს ცნობის საუკეთესო ილუსტრაციაა ტოტლებენის მიერ გრაფ. ჩერნიშევსკისადმი 1770 წლის 6 აპრილს ქვიშხეთიდან გაგზავნილი პატაკი, რომლითაც იგი გათავისუფლებას ითხოვდა. ტოტლებენის ამ პატაკს რომ არ ვიცნობდეთ, კიდევ შეიძლებოდა ერეკლეს მეფის ცნობაში დავეჭვებულიყავით, მაგრამ ამის შემდეგ, ვფიქრობთ, მეფის წერილი ტენდენციური და საეჭვო არავის უნდა მოეჩვენოს. მოურავოვიც იმ აზრისა ყოფილა, რომ ტოტლებენის აწყურიდან გაბრუნება წინასწარ იყო განზრახული.

აწყურის ციხის გარემოცვის წარუმატებლობის შემდეგ ერეკლე მეფე ქართველი ჯარით ასპინძის მიმართულებით დაიძრა; ახალციხის ფაშამ მთელი ძალები მის წინააღმდეგ დაძრა. ფაშამ ახალქალაქისა და ხერთვისის ციხეებიდან სასწრაფოდ ათას ხუთასი კაცი გამოაყვანინა, რათა მეფისათვის ასპინძასთან გზა გადაეჭრა. მეფე რჩეული ქართველი მხედრებით გზიდანვე შეუჩერებლივ ეკვეთა მტერს და დაამარცხა ის. დამარცხებული მტრის დევნა დამთავრებული არ იყო, რომ ახალციხის ფაშას მიერ გამოგზავნილი დიდი კორპუსი ასპინძასთან გამოჩნდა. ერეკლე მეფისა და მოურავოვის ცნობით, მტრის 4 ათასიანი კორპუსი მოსულა ასპინძასთან, ტყვეების ჩვენებით კი თურქთა ჯარის რიცხვი 8 ათასს აღწევდა.

1770 წლის 20 აპრილს, შუადღისას, გაიმართა ქართველი ხალხის გმირულ ისტორიაში ცნობილი ასპინძის ბრძოლა. ქართველთა ჯარი ერეკლე მეფის სარდლობით შეტევაზე გადავიდა და თურქებისა და ლეკების საკმაოდ ძლიერ კორპუსს მედგრად შეუტია. ბრძოლაში გატეხილმა მტერმა უწესრიგოდ დაიხია, მიაშურა ხიდს, რომელიც, მეფის ბრძანებით, წინასწარ მოშლილი იყო. მტერმა ბრძოლის ველზე 4 ათასი კაცი დატოვა, გადარჩენილი მტრის ჯარების ნაწილი ადიდებულ მტკვარში ჩაიხრჩო. 8 ათასიანი კორპუსიდან (თუ ტყვეების ჩვენებას დავუჯერებთ) ახალციხეს 13 კაციღა დაბრუნებულა. დაღუპულან მტრის კორპუსის მთავარსარდალი, 12 სანჯაყის მფლობელი და ყულიანის, კარცხლისა და ოლთისის ფაშები.

ქართველთა ჯარს ტყვედ ჩაუვარდა 56 თურქი და ერთი ლეკი. მრავალი დროშა, ცხენი და იარაღი გამარჯვებულ ქართველთა ნადავლი გახდა.

ქართველების ზარალი უმნიშვნელო იყო. მოკლულ იქნა 25 კაცი, დაიჭრა — 7, დაჭრილთა შორის დასახელებული არიან სარდალი **ალექსანდრე ციციშვილი** და **იასე ერისთავი.** ბრძოლაში თავი გამოუჩენიათ **ერეკლე მეფესა** და **დავით ორბელიანს.** ა. მურავოვის ცნობით, მეფეს თავისი ხელით მოუკლავს ლეკთა წინამძღოლი მალაჩილა (კოხტა ბელადი), ქართველი ხალხის სისხლის მსმელი. ა. მოურავოვისავე ცნობით, ბრძოლაში უშუალოდ მონაწილეობა მიუღია 3000 ქართველს.

ასპინძასთან თურქებს საკმაო ძალები ჰყავდათ, ამიტომ ბრძოლის ბედი გმირობასა და გამბედაობას უნდა გადაეწყვიტა. ერეკლე მეფე ეყრდნობოდა ერთგულ, ბრძოლაში მრავალჯერ ნაცად ქართველ მეომრებს; ქართველთ ჯარს სწამდა გმირი სარდლის, მისი სამხედრო ნიჭის, მისი ავტორიტეტის, არც ჰქონდა საფუძველი არ მინდობოდა ყორბულახისა და მჭადიჯვრის ბრძოლების გმირს. ერეკლე მეფემ მშვენივრად ისარგებლა თურქების შეცდომით; სუსტად დაცული ერთადერთი ხიდი მეფემ თავის რჩეულ მეომრებს წინასწარ ღამით ააყრევინა, რითაც მტერს მოუსპო უკან დახევისა და მაშველი ძალების მიღების საშუალება, მტრის ზურგში კომუნიკაციების მოშლით მოწინააღმდეგის სრული განადგურება წინასწარ უზრუნველყოფილ იქნა. კარგად მოფიქრებული, გაბედული, რთული ოპერაცია ბრწყინვალედ დაგვირგვინდა. ასპინძის ოპერაციით ქართველი ხალხის ისტორიის მატიანეში ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა. ქართველმა ერმა დიდების შარავანდედით შემოსა ასპინძის გმირი მეფე ერეკლე.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ომის ბედს მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის განადგურება წყვეტს და არა ტერიტორიის დაკავება. ასპინძასთან ახალციხის ფაშას ძირითადი ძალების განადგურების შემდეგ ერეკლეს ადვილად შეეძლო დაეკავებინა ახალციხე, მაგრამ ტოტლებენის აწყურიდან საეჭვო „გაპარვა“ მეფეს ამის შესაძლებლობას არ აძლევდა. იგი ქართლში უნდა დაბრუნებულიყო და ასეთი მარჯვე დრო, სამწუხაროდ, ხელიდან უნდა გაეშვა.

ტოტლებენის აწყურიდან დაბრუნების შემდეგ რუს-ქართველთა ჯარების ერთობლივი მოქმედება თურქების წინააღმდეგ შეუძლებელი გახდა, რითაც სამხედრო კავშირს ჩრდილი მიადგა. ამიტომ განხეთქილების მიზეზების ახსნა მნიშვნელოვან ამოცანად გვესახება, მით უმეტეს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ამასთან დაკავშირებით არაერთი გაუგებრობა არსებობს.

ტოტლებენის ავანტიურა და ახალციხეზე ლაშქრობის ჩაშლა

როგორც აღვნიშნეთ, ასპინძის ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, რაკი ახალციხის ფაშას განკარგულებაში მყოფი ძირითადი ძალები განადგურებული იყო, ერეკლეს შეეძლო ქართლ-კახეთის ჯარებით დაუფლებოდა ახალციხეს. ამ მარჯვე სამხედრო-სტრატეგიული პლაცდარმის დაკავება კი ინიციატივის ერეკლეს ხელში გადასვლის საწინდარი გახდებოდა, რაც საომარი ოპერაციების გაშლის პერსპექტივას ქმნიდა. გარდა ამისა, რადგან თურქეთს ახალციხის დაკარგვით ლეკებთან უშუალო კავშირის შესაძლებლობა ერთმეოდა, ქართლ-კახეთს აქტიურად მოქმედებისათვის ეხსნებოდა ხელები. მაგრამ ტოტლებენის აწყურიდან საეჭვო დაბრუნებამ ახალციხის დაკავება შეუძლებელი გახადა.

ერეკლე თავისი ჯარით ჯავახეთის გზით1770 წლის 29 აპრილს თბილისში დაბრუნდა.

ამ დროს ტოტლებენი პორუჩიკ დეგრალიეს აწერინებდა რუსეთში გასაგზავნ წერილებს, თითქოს ერეკლე ემზადებოდა ირანის და არა თურქეთის წინააღმდეგ საომრად. დეგრალიემ ვერ გაბედა ტოტლებენისთვის ეკითხა, თუ რისთვის ჩადიოდა ასეთ სიყალბეს, მაგრამ ეს ამბავი აცნობა ა. მოურავოვს (როგორც რუსეთის მთავრობის წარმომადგენელს). ა. მოურავოვისგან ეს შეიტყო ერეკლემ და ტოტლებენს ახსნა-განმარტება მოსთხოვა. თუმცა მეფეს არ უთქვამს, ვინ შეატყობინა ეს ამბავი, ტოტლებენმა ეჭვი აიღო დეგრალიეზე და იგი განაწყენების გარეშე გაათავისუფლა.

2 მაისს ტოტლებენმა გამოსცა მანიფესტი, რომელიც განმდგარ ოფიცრებს იმპერატორისა და ერეკლე მეფის მოღალატეებად აცხადებდა და წინადადებას იძლეოდა, ვინც რატიევს, ჩოგლოკოვს და დეგრალიეს რუსეთის კორპუსში ცოცხალს მიიყვანდა, 1000 თუმანს მისცემდა, ვინც მკვდარს — ათას მანეთს.

2 მაისს დეგრალიემ ერეკლეს შეატყობინა, რომ **ტოტლებენი რუსეთის მთავრობის მიერ მიცემულ ინსტრუქციებს არღვევდა, რუსეთის მთავრობის თვალში ერეკლე მეფეს სახელს უტეხდა და ფარულად ქართლ-კახეთის დაპყრობაზეც ოცნებობდა.**

დეგრალიესგან ერეკლემ ისიც შეიტყო, რომ 1770 წელს ტოტლებენი სწორედ მას აწერინებდა ახალციხის ფაშასთან გასაგზავნ წერილებს. მეფემ სარწმუნოდ იცოდა, რომ ახალციხის ფაშას ჯაშუში თვეზე მეტხანს ჰყავდა პატიმრობაში ტოტლებენს, რის შემდეგ

გაუშვა ფაშასთან წერილით. ამ ამბავს მოჰყვა გაურკვეველი მიზეზით რუსი ოფიცრების განდევნა საქართველოდან, აწყურთან ღალატი, ბრძანება რატიევის დაპატიმრებისა და მის რაზმში მყოფი ქართველი ოფიცრების განდევნის თაობაზე, 2 მაისის მანიფესტი, 7 მაისის ბრძანება თბილისში მყოფი რუსეთის ჯარის ოფიცრებისადმი.

ზემოაღნიშნული ფაქტები და მოვლენები ისე ლოგიკურად დაკავშირებული ჩანდა ერთმანეთთან, რომ ერეკლე საბოლოოდ დარწმუნდა: ტოტლებენის დატოვება საქართველოში აღარ შეიძლებოდა; ამიტომ 1770 წლის 7 მაისს ერეკლე მეფემ წინადადება მისცა რატიევს: „...მე ამას განვაცხადებ შენდამი და ყოველთა შტაფთა აფიცერთა წინაშე, ტოტლებენს არესტი უყოთ და მისის დიდებულების უმაღლესსა კარსა გაგზავნოთ და ვინც თქვენმა გონებამ ამჯობინოს, ის თავად დააყენოთ ტომსას პოლკის პოლკოვნიკის მოსვლამდის... თუ ამას არ აღასრულებთ, ყოვლად მოწყალის ხელმწიფის უმაღლესს კარს პასუხი ყველამ გაეცით“...

ამ ფაქტმა საბოლოოდ ჩატეხა ხიდი ერეკლესა და ტოტლებენს შორის.

8 მაისს, როგორც დეგრალიეს ჩვენებიდან ჩანს, რატიევი, ბოგდანოვი, ერეკლე და მოურავოვი ესკადრონებით და 3 ქვემეხით უნდა დაძრულიყვნენ ტოტლებენის ბანაკისკენ, მაგრამ შეჩერებულან. დეგრალიე უჩვენებდა სასამართლოს: რისთვის მიდიოდნენ, არ ვიცოდი, მაგრამ სისხლისღვრა რომ არ მომხდარიყო, ვურჩიე ა. მოურავოვს შეჩერებაო. მიზანი, ცხადია, ტოტლებენის დაპატიმრება იყო. როგორც ერეკლე მეფის 13 მაისის წერილიდან ჩანს, მეფისთვის შეჩერება მოურავოვს ურჩევია. „რადგან დაჟინებით გირჩევია არესტის უქნელობა... ამ საქმისათვის დიდი მადრიელნი ვართ“, — სწერდა ერეკლე მოურავოვს. მართალია, ერეკლემ ტოტლებენის დაპატიმრების ბრძანება გააუქმა, მაგრამ თბილისში გადაწყდა, დაკავშირებოდნენ ტომსკის პოლკს, რომელიც მოზდოკიდან მოდიოდა.

ერეკლეს ბრძანების შეტყობამ ტოტლებენი წონასწორობიდან გამოიყვანა. თუ აქამდე მისი განკარგულებები ოფიცრებს რუსეთის სახელმწიფოსა და ერეკლე მეფის მოღალატეებად აცხადებდა და ოფიციალურად ერეკლეს წინააღმდეგ არ გამოდიოდა, 8-9 მაისს იგი აშკარად დაუპირისპირდა ერეკლეს: დუშეთის ციხე დაიკავა, იქიდან ზარბაზნების ნაწილი ანანურში გადაიტანა და იქ გამაგრდა. ერეკლეს წინააღმდეგ ტოტლებენის აშკარა გამოსვლა რომ დაინახეს, ქართლის თავადებმაც თავი წამოყვეს: **ზაალ ორბელიანმა და დავით ქსნის ერისთავმა ტოტლებენს შესთავაზეს თბილისზე გალაშქრე-**

ბა, ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდება და ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთება.

ქართველი თავადების პოზიციამ ტოტლებენს გამბედაობა შემატა და გადაწყვიტა ერეკლეს წინააღმდეგ გამოსვლა. გენერალმა რუსეთის წარმომადგენელს საქართველოში თავ. მოურავოვს წინადადება მისცა, მთავრობისგან ნებართვის მიღებამდე დაეტოვებინა საქართველო, თვით კი მოსახლეობის რუსთ ხელმწიფის ერთგულებაზე ძალით დაფიცებას და ძარცვას შეუდგა.

ტოტლებენის რაზმში მართლაც გადაუწყვეტიათ ქართლ-კახეთის დაპყრობა, ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდება, მისი დაპატიმრება და რუსეთში გაგზავნა, ან განდევნა. ეს საქმე, მათი აზრით, მეტად ადვილად გაკეთდებოდა 3.000 რუსი ჯარისკაცის ხელით. როგორც ჩანს, ტოტლებენი 1200 კაცითა და ქართველი თავადების იმედით ერეკლეს წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას ვერ გაბედავდა. ტოტლებენს 3000 კაცი შეუსრულდებოდა მოზდოკიდან მომავალი ტომსკის პოლკის (დაახლ. 2000 კაცი) შეერთების შემდეგ.

ანანურში დგომისას, როგორც ჩანს, ქართველმა თავადებმა აცნობეს ტოტლებენს ერეკლეს საიდუმლო მიმოწერის თაობაზე არაგვის მოურავ **ქაიხოსრო ჩოლოყაშვილთან,** ამიტომ გენერალმა მოურავის სახლი აიკლო და გაძარცვა.

XVIII ს-ში რუსეთის არმიაში სარდალს სამხედრო საბჭოს თანხმობის გარეშე გადაწყვეტილების მიღება არ შეეძლო. საისტორიო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ტოტლებენმა ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდების საკითხზე სამხედრო საბჭოს დასტური მიიღოო. ასეთ პირობებში, ცხადია, საინტერესოა, რას წარმოადგენდა ის საბჭო, რომელიც ტოტლებენს ავანტიურისტულ გადაწყვეტილებებზე თანხმობას აძლევდა. ჩვენ ზუსტად ვერ დავადგინეთ ტოტლებენთან მყოფი მცირე რაზმის ოფიცერთა გვარები, მაგრამ მისი ბრძანების აღმასრულებელნი კი ჩვენთვის ცნობილნი არიან: კარპი,ზორნაი, პიკსნერი, ტოტინი, ბარონი შტეინი, ვინკლერი, კელერი და სხვ. ამათგან, რუსი ჩანს მხოლოდ კარპი (თუმცა ესეც საეჭვოა). არც ერთ მათგანს რუსეთის მთავრობა არ იცნობდა. რაც შეეხება კაპ. ლვოვს, რომელიც რუსეთის მთავრობამ შიკრიკად გამოგზავნა და ერეკლესთვის გადასაცემი ორდენი და ფული გამოატანა, სიბეცით თუ შიშით, საქართველოში ჩამოსვლისთანავე, იგი ტოტლებენმა თავის თანამოსაქმედ გაიხადა (შემდეგ კაპ. ლვოვმა დაიკავა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის ოფიციალური წარმომადგენლის, ა. მოურავოვის ადგილი. თუმცა მალე ტოტლებენმა კაპ. ლვოვსაც დევნა დაუწყო და

მან დაპატიმრების შიშით, თავი სოლომონ მეფის კალთას შეაფარა).

სამაგიეროდ ტოტლებენმა საქართველოდან განდევნა: გენერალ-პროკურორისა და სამხედრო კოლეგიის არჩეული პოდპოლკოვნიკი ჩოლოყაშვილი (როგორც საეჭვო), სამხედრო კოლეგიის მიერ საიმედოდ მიჩნეული კაცი მაიორი რემენიკოვი (როგორც მის წინააღმდეგ შეთქმული და საეჭვო), ასევე სამხედრო კოლეგიის არჩეული კაპიტანი ზამარაევი (როგორც მხდალი), პოდპოლკოვნიკი ჩოგლოკოვი (როგორც შეთქმული).

მასალების ფონზე დამაჯერებლად გამოიყურება პოდპოლკ. ჩოგლოკოვის ცნობა. იგი წერდა: ტოტლებენი ან ჭკუაზე შეიშალა, ან გამცემლობას ჩადის, როდესაც რუსეთის სამეფო კარის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს: მეფეები ერთმანეთს გადაამტერა, თავადებს ცუდად ექცევა, სოფლები ააწიოკა — უსასყიდლოდ ართმევს საქონელს, ახალციხის ფაშასთან მოლაპარაკება გამართა, 12 საუკეთესო ოფიცერი რუსეთში გაგზავნა, თავისთან არავის იტოვებს, გარდა გერმანელებისა და უსაქციელო რუსებისაო.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ორივე მხარე (ერეკლეცა და ტოტლებენიც) ტომსკის პოლკის ნაბიჯს ელოდებოდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტოტლებენის დასაპატიმრებლად ერეკლეს არ სჭირდებოდა არც რატიევი და არც კლავერი (1200 კაცით ერეკლეს დაშინება არ შეიძლებოდა). ერეკლეს სიფრთხილე რუსეთთან ურთიერთობის გართულებისა და სამხედრო კავშირის ჩაშლის შიშით იყო გამოწვეული და ამიტომ აძლევდა მეფე რუს ოფიცრებს წინადადებას, თვითონვე დაეპატიმრებინათ ტოტლებენი, როგორც საეჭვო და საერთო საქმის ხელისშემშლელი.

ტოტლებენის ავანტურა ტომსკის პოლკმა ჩაშალა. ტომსკის პოლკის გამოუცხადებლობას დაურწმუნებია ტოტლებენი, რომ რუსი ოფიცრების დაყოლიება ავანტურაზე ადვილი არ იყო. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ ტომსკის პოლკის ოფიცრებს, ტოტლებენის ბრძანების აშკარა შეუსრულებლობასთან ერთად, ყოველი შემთხვევისათვის წესდების დარღვევა (დაუმორჩილებლობა) რომ არ დასწამებოდათ, მარშრუტის გეგმა ისე შეუდგენიათ, რომ პოლკი სამი-ხუთი დღე იდგა და ქვემეხების დაშლა-აწყობას, ყუთების გადატან-გადმოტანას უნდებოდა.

ტოტლებენს მართლა გაუჭირდა ტომსკის პოლკის ანანურში მიყვანა. კიდევ მეტი, იგი ვერ მიიღო, სანამ ავანტურაზე უარი არ თქვა. ტომსკის პოლკის პოზიციამ ერეკლეს არსებითად ეჭვი გაუფანტა და მეფემ 3 ივნისს გენერალს შესთავაზა: დავივიწყოთ ძველი მტრობა

და შევუდგეთ ერთობლივ მოქმედებას მტრის წინააღმდეგო. თუმცა მეფის 8 ივნისის წერილში ტოტლებენის მიმართ კვლავ უნდობლობა გამოსჭვივის, მაგრამ ერეკლეს სწამდა რუსი ოფიცრებისა და რუსეთის ჯარისა.

ტოტლებენს, 9 ივნისის წერილით უცნობებია მეფისათვის, რომ იგი ჯარით იმერეთში მიდიოდა, საიდანაც გაილაშქრებდა ახალციხეზე. ამის შემდეგ მეფე ენერგიულად ცდილობდა განეახლებინა ერთობლივი შეტევა. ერეკლე იმაზედაც თანახმა იყო, რომ ტოტლებენს თუნდაც 5-6 ვერსის დაშორებით ემოქმედა, ოღონდ — ახალციხის მიმართულებით. როგორც ჩანს, მეფისათვის ცნობილი იყო **პატრ დომენიკთან** ტოტლებენის მიერ 16 ივნისს გაკეთებული განცხადება (თითქოს, რაკი მტკვარზე ხიდი აყრილი იყო, ქართლიდან ახალციხისაკენ გზა არ არსებობდა და სხვ.). მეფე აქარწყლებდა ტოტლებენის მიერ წამოყენებულ უსაფუძვლო მოტივებს (18 ივნისის წერილით იგი დაბეჯითებით ამტკიცებდა ქართლიდან ლაშქრობის მიზანშეწონილობას), მაგრამ ერეკლეს ყველა ცდა, ტოტლებენთან ერთად განეახლებინა საომარი მოქმედება ახალციხის მიმართულებით, მარცხით დამთავრდა. ტოტლებენი იმერეთისაკენ დაიძრა.

ზ. ორბელიანისა და დ. ერისთავის გეგმაც თავისთავად ჩაიშალა.

1770 წლის ივნისის პირველ რიცხვებში, როცა ზ. ორბელიანი რუსეთს გაიგზავნა, ტოტლებენს ავანტურაზე ხელი უკვე აღებული ჰქონდა და რუსეთის მთავრობას თბილისის ნაცვლად თურქების ხელში მყოფ ქუთაისზე დაძვრის გადაწყვეტილებას აცნობებდა (ქუთაისი სოლომონ მეფეს ალყაში ჰყავდა მოქცეული).

ტოტლებენის ავანტურის ჩაშლის მიუხედავად, პეტერბურგში ჩასული **ზაალ ორბელიანი** თავის გეგმას არ ეშვებოდა. იგი რუსეთის მთავრობას სთხოვდა, ებრძანებინა ტოტლებენისათვის, რომ კვლავაც რაიმე ეღონა ერეკლეს ჩამოსაგდებად და ბრძოლის ხერხებსაც თავად სთავაზობდა. ზ. ორბელიანს ქართლის ტახტზე ერეკლეს შემცვლელი კანდიდატებიც (გარდა რუსისა) დაუსახელებია: იმერეთის მეფე სოლომონი და ქსნის ერისთავი დავითი. ზ. ორბელიანს თავისი კანდიდატურის აშკარად წამოყენება ვერ გაუბედავს, მაგრამ შეფარვით მიუნიშნებია. საუბრის ჩამწერი შენიშნავს, რომ ზ. ორბელიანი რუსეთში გამოჩენისთანავე თავის გვარიშვილობას ხაზს უსვამდაო. მის ამპარტავნობაზე სხვა ცნობებიც საკმაოდ მეტყველებენ. დასასრულ, ზ. ორბელიანს განუცხადებია, რომ თუ რუსეთის მთავრობის დასტურს მიიღებდა, იგი მზად იყო და შეეძლო კიდეც პეტერბურგიდან წაუსვლელად (წერილების გაგზავნით) ქართველი თავადები

აეჯანყებინა ერეკლეს წინააღმდეგ. ზ. ორბელიანის წინადადებები სამეფო კარიდან საგარეო საქმეთა კოლეგიას რეზოლუციის გარეშე დაუბრუნეს 1770 წლის 11 სექტემბერს და შემდეგაც თავადს პასუხი საკმაო ხანს არ გასცეს (ეს მაშინ ჩვეულებრივი ამბავი იყო).

როგორც ითქვა, მაშინ რუსეთის მთავრობას ქართველების თურქეთთან ომში მიმხრობა ჰქონდა დაგეგმილი და არა ანექსია. ამასთან, რუსეთის მთავრობა ქართველების დარაზმვისა და კავკასიის ფრონტზე წარმატების იმედს ერეკლეზე ამყარებდა. როცა შეიტყვეს, რომ ტოტლებენი საქმეს აფუჭებდა (ერეკლესთან შერიგებას არ აპირებდა და ამით ერთობლივი მოქმედება იშლებოდა), 1770 წლის დეკემბერში ტოტლებენის განთავისუფლება გადაწყვიტეს და ქართველ თავადებსაც თავზე ცივი წყალი გადაასხეს.

საქართველოში გამომგზავრების წინ, 1771 წლის 23 იანვარს, ერეკლეს ელჩებს — ზ. ორბელიანს და ე. ნათანლიშვილს — ერთად გასცეს პასუხი. მასში აღნიშნული იყო, რომ გენ. ტოტლებენი, „თავისი თხოვნით“, განთავისუფლებულია და მის ნაცვლად გენ. სუხოტინია დანიშნული, რომელსაც ერეკლესთან იმპერატორის სიგელი მიაქვსო; რაკი თქვენი გამოგზავნის მიზანი ერეკლესა და ტოტლებენს შორის უთანხმოებითა და ერთობლივი მოქმედების სიძნელეებით იყო ნაკარნახევი, ახალი უფროსის დანიშვნით ეს საქმე მოგვარდება და თქვენი შემდგომი აქ ყოფნაც ზედმეტიაო. ასე რომ, ზ. ორბელიანი გაწბილებული წამოვიდა საქართველოში. კიდევ მეტი, მისთვის გამომგზავრებისას ისეთი პატივიც კი არ მიუგიათ, როგორც ა. ანდრონიკაშვილს მიაგეს.

მართალია, ერეკლესთვის ეს ამბავი უცნობი იყო, მაგრამ თვით ზაალ ორბელიანი მუდამ შიშობდა თურმე და 1774 წელს საქართველოდან გაქცეულა; მაგრამ ერეკლეს, რაკი საკმაო საბუთები არ აღმოაჩნდა, თავადის საქციელი ლაყბობად მიუჩნევია, იგი შეუწყალებია და 1775 წელს მისთვის მარნეულიც უბოძებია. ასე რომ, შეთქმულება გაუხსნელი დარჩა, თორემ ერეკლე მტრებს არ დაინდობდა.

ამრიგად, ტომსკის პოლკის პოზიციამ არა მარტო ტოტლებენს ააღებინა ხელი ავანტურაზე, არამედ ქართველი თავადების გეგმებიც ჩაშალა. რუსეთის მთავრობამ კი რეაქციონერ ქართლის თავადებს იმედები ამჯერად გადაუწურა.

ტოტლებენის ავანტურა და საქართველოს მეზობელი ხალხების თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის ერეკლესეული გეგმის ჩაშლა

რუსეთის მთავრობა, როცა ერეკლე II-ის ომში ჩაბმას ცდილობდა, იმასაც ვარაუდობდა, რომ ერეკლე შეძლებდა თურქეთის წინააღმდეგ მეზობელი ხალხების ამხედრებასაც. ერეკლე მეფეს ამაზე მზადყოფნა გამოუთქვამს.

სომხების მიმხრობა რომ ერეკლეს არ გაუჭირდებოდა, ეს ყიზლარის კომენდატისათვისაც იყო ცნობილი იოსებ ემინის მოღვაწეობით და სხვა მასალებითაც. მაგრამ ერეკლეს ქურთებისა და ასირიელების იმედიც ჰქონდა და რუსეთის წარმომადგენელს უცხადებდა: თუ რუსეთიდან ჯარით დახმარება მექნება, შევძლებ თურქეთის ქალაქების დაპყრობას თვით ცარგრადამდე (კონსტანტინოპოლამდეო). მეფემ იცოდა, რომ ქურთები და ასირიელები **„სარწმუნოებით სრულიად ქრისტიანენი“** კარგი მეომრები იყვნენ და თურქებისაგან დიდად შევიწროებულნი.

ერეკლემ რუსეთის წარმომადგენელს, პორუჩ. ხვაბულოვს, გააყოლა თავისი ელჩი — ა. ანდრონიკაშვილი, რომელსაც გაატანა საქართველოს მეზობელი ქვეყნების აღწერა (იგი 1769 წლის 14 ივნისითაა დათარიღებული). დოკუმენტში მეზობელი ქალაქებისა და მოსახლეობის აღწერასთან ერთად ამ ხალხების სამხედრო პოტენციალიცაა დახასიათებული.

რუსეთიდან გამოგზავნილი ჯარის გადიდების შემდეგ, რაკი ახალციხის მიმართულებით ლაშქრობაში ტოტლებენის მონაწილეობის იმედიც ჰქონდა, ერეკლეს კავშირი დაუმყარებია ქურთებსა და ასირიელებთან. ასირიელთა ეპისკოპოსი ისაია საქართველოში ჩამოსულა. 1770 წლის 15 აგვისტოს, ესაია აცნობებდა ერეკლე მეფეს: იეზიდებიცა და ასირიელთა კათალიკოსიც მზად არიან თქვენი ბრძანება შეასრულონო. არსებული საბუთებიდან ნათელია, რომ სომხები, ქურთები და ასირიელები ელოდებოდნენ ერეკლეს შეჭრას ბაიაზეთისა და ყარსის პროვინციებში, რათა თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყება დაეწყოთ.

1770 წლის 26 სექტემბერს ერეკლემ მიიღო ზემოაღნიშნული წერილები ქურთებისა და ასირიელებისაგან, მაგრამ მეფეს უკვე აღარ შეეძლო ქურთებთან „მიახლოება“, რასაც ისინი ითხოვდნენ, რადგან ტოტლებენი ავანტურის შემდეგ იმერეთში გადავიდა და ერეკლესთან ერთად ახალციხის მიმართულებით ლაშქრობაზე კატეგორიულად

უარი თქვა. ერეკლეს თავისი ძალების ამარა, რაკი ტოტლებენის საქციელით ახალციხის ფაშამ შვება მიიღო და ქართლ-კახეთს „ლეკები“ წამოუსია, საკუთარ ქვეყანაში უჭირდა და ქურთებისა და ასირიელებისათვის მიშველება ვერ გაბედა. მეფეს ისღა დარჩენოდა, ქურთებისა და ასირიელების წერილები, საკუთარი კომენტარებით, გრაფ ნ. პანინისათვის გაეგზავნა, სადაც სინანულით წერდა: „თუ რუსეთის ჯარი და მეფე სოლომონ და ჩვენ ამ ზაფხულ ერთად ვყოფილიყავით, ჩვენს ქვეყნებსაც მტრისაგან დავიცავდით, ესენიცა და იმ მხარის ქრისტიანენიც ჩვენ შემოგვერთდებოდნენ, და დიდი ძალი მოგვემატებოდა საზოგადოთ ქრისტიანეთ მტერთ ოსმალეთზედ“.

რუსეთის მთავრობა ამ დროს ტოტლებენის მიერ აწეწილ საქმეებს არკვევდა და ნ. პანინს ერეკლესთვის არაფერი უპასუხია, თუმცა ქრისტიანთა კოალიციის შექმნისა და მისი თურქეთის წინააღმდეგ გამოყენების იდეა რუსეთიდან მოდიოდა.

ამრიგად, ტოტლებენმა ჩაშალა არა მარტო ახალციხის მიმართულებით რუს-ქართველთა ერთობლივი ლაშქრობა, არამედ თურქეთის წინააღმდეგ დიდი კოალიციის შექმნის ერეკლესეული გეგმაც, რითაც, არა მხოლოდ ამ ხალხებსა და საქართველოს, თვით რუსეთის სახელმწიფო ინტერესებსაც ზიანი მიაყენა.

ტოტლებენის ავანტურა და ერეკლეს ურთიერთობის გამწვავება „სპარსეთის“ ხანებთან

გენ. ტოტლებენი წერილებში ხშირად იმეორებს, რომ ერეკლეს რუსეთის ჯარის სპარსეთის წინააღმდეგ გამოყენება უნდა, თურქების წინააღმდეგ კი ომი არ სურსო. გენ. სუხოტინი ვერ გაერკვა ტოტლებენის მიერ დახლართულ ვითარებაში და ისიც უსაყვედურებს ერეკლე მეფეს: სპარსეთის საქმეებს მოეშვიო. ეს საჩივრები უსაფუძვლოა.

1769 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში, პორუჩიკ გრ. ხვაბულოვთან მოლაპარაკებისას, რუსეთის მთავრობის წინადადებაზე, გამოსულიყო „ქრისტიანების საერთო მტრის“ — სულთნის თურქეთის წინააღმდეგ, ერეკლე მზადყოფნას აცხადებდა, მაგრამ რეგულარულ დამხმარე ჯარს ითხოვდა. ამასთან, როგორც ელჩისათვის (ა. ანდრონიკაშვილი) ზეპირად დანაბარებიდან ჩანს, ერეკლე მზად იყო რუსეთთან ერთად ებრძოლა არა მარტო თურქეთის, არამედ სპარსეთის წინააღმდეგაც. მაგრამ ეს ეხებოდა სხვა ვითარებას და არა თურქეთთან ომის პერიოდს.

ტოტლებენის ავანტურის შემდეგ, როცა ერეკლეს საქმეები აეწე-

წა, თურქეთის აგენტებს სამოქმედოდ უკეთესი პირობები შეექმნათ. ფულმა, საჩუქრებმა და აგიტაციამ თავისი გაიტანა. 1770 წლის ზაფხულიდან ფართო მასშტაბი მიიღო „ლეკთა“ თავდასხმებმა ქართლსა და კახეთში, ხოლო ერეკლეს რთული მდგომარეობით ისარგებლეს მაჰმადიანმა ვასალებმაც და თურქეთის მხარე დაიჭირეს. ერეკლე მეფე ნ. პანინთან წერილში, 1770 წლის 9 ოქტომბერს, არა მარტო დაწვრილებით ეხება თურქეთის აგენტების საქმიანობის შედეგად „ლეკთა“ ინტენსიურ თავდასხმებს, არამედ მიუთითებს მეზობელი მაჰმადიანი ხანების „ცხად“ და „ფარულ“ მტრობაზეც და ვასალების განდგომაზეც.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ტოტლებენმა იმერეთში გადასვლის შემდეგაც არ მოიშალა მტრობა ერეკლესადმი. ერეკლეს, თურქებთან ბრძოლის გარდა, სერიოზული ყურადღების დათმობა უხდებოდა აღმოსავლეთ საზღვრისათვის, რადგან იქიდან ლეკების აქტიური შემოტევა შეიძლებოდა დიდი საფრთხის სათავე გამხდარიყო, რაც 50-იანი წლების მაგალითით მისთვის კარგად იყო ცნობილი. ცხადია, ერეკლეს მთელი ძალების ახალციხისაკენ გაგზავნა არ შეეძლო.

თურქეთის აგენტებმა არა მარტო დაღესტნელები და ერევნის ხანი გამოიყენეს ერეკლეს წინააღმდეგ, არამედ ირანის გამგებელი ქერიმ ხანიც დაუპირისპირეს მეფეს, რომელიც ერეკლეს რუსეთთან კავშირის გაწყვეტასა და თურქეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობაზე ხელის აღებას სთხოვდა.

ერეკლე მეფე რუსეთის მთავრობას, როგორც თავის მოკავშირეს, არაფერს უმალავდა — მაჰმადიან ხანებთან მიმოწერის მთელს მასალას უგზავნიდა და საქმის ვითარებას ატყობინებდა, რასაც ნათლად მოწმობს რუსეთის არქივებში დაცული დოკუმენტი.

იმერეთის ციხეების განთავისუფლება თურქების ბატონობისაგან

სოლომონ პირველმა ისარგებლა ქართლ-კახეთის ჯარების თურქებზე აწყურსა და ასპინძასთან გამარჯვებით და 1770 წლის ზაფხულში იმერეთის ციხეების განთავისუფლებას შეუდგა. მეფემ ჯერ ცუცხვათის სიმაგრე დაიკავა, შემდეგ ქ. ქუთაისი გაათავისუფლა და ბოლოს შორაპნისა და ქუთაისის ციხეების ხანგრძლივ ალყაზე გადავიდა.

სწორედ ამ დროს ტოტლებენიც იმერეთისკენ დაიძრა. 1770 წლის

ივნისში ტოტლებენი იმერეთში გადავიდა. სოლომონ მეფე მას შეეგება და რუს-ქართველთა ჯარი 2 ივლისს ბაღდადის ციხეს შემოადგა. იქ 30-მდე თურქი მეციხოვნე იყო. სრული ალყის პირობებში თურქ მეციხოვნეებს (რაკი ახალციხიდან დახმარების იმედი არ ჰქონდათ) დანებების გარდა სხვა გამოსავალი არა ჰქონდათ.

ბაღდადის ციხის აღების შემდეგ რუს-ქართველთა ჯარი ქუთაისისკენ დაიძრა. შორაპნის ციხე სოლომონ მეფემ რუსის ჯარის დაუხმარებლად აიღო და ქალაქი ქუთაისიც დაიკავა, ხოლო ქუთაისის ციხე კი ტოტლებენის ქართლში ყოფნის დროსაც ბლოკადაში იყო. შორაპნის ციხის აღებაში ტოტლებენს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი წარმატება თავისად მიეთვალა და სამხედრო კოლეგიის მესვეურთან თავი მოეწონებინა.

ბაღდადის ციხის აღების შემდეგ, როგორც უკვე აღინიშნა, ტოტლებენი და სოლომონ მეფე ქუთაისის ციხეს შემოადგნენ. ქუთაისის ციხის ალყა, სადაც 60-მდე თურქი ჯარისკაცი და ორივე სქესის 220 მოქალაქე იყო, ერთი თვე გაგრძელდა.

იმერეთის ციხეების შედარებით იოლი განთავისუფლება უთუოდ ასპინძის ბრძოლაში თურქთა დამარცხებამ განაპირობა. იმერეთის ციხეების განთავისუფლება რომ საყურადღებო მოვლენას წარმოადგენდა, ეს სადავო არაა, მაგრამ, ვფიქრობთ, მართალი იყო ერეკლე, როცა იგი ეკატერინესა და პანინისათვის გაგზავნილ წერილებში მიუთითებდა: ახალციხის მიმართულებით ლაშქრობის გაგრძელებისა და წარმატების ვითარებაში იმერეთის ციხეები თვითონ დაგვნებდებოდა, რაკი არსაიდან დახმარების იმედი არ ექნებოდათ, მაგრამ ტოტლებენს ერთად მოქმედების სურვილი არ აღმოაჩნდაო.

მაშასადამე, ტოტლებენის მიერ ერეკლეს გეგმის მიუღებლობა საერთო ინტერესებისათვის საზიანო იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე რუსეთის ჯარის იმერეთში გადასვლამ ციხეების განთავისუფლების საქმე დააჩქარა.

ტოტლებენი იმერეთში გადასვლის შემდეგ სოლომონ მეფესაც მალე წაეჩხუბა. მეფემ მას წინადადება მისცა, შავი ზღვის მიმართულებით ელაშქრათ; ტოტლებენმა ამაზე უარი თქვა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ახალციხეზე ლაშქრობას აპირებდა. სოლომონ მეფე ახალციხეზე ლაშქრობაში მონაწილეობაზედაც თანახმა იყო, მაგრამ ტოტლებენმა არც ეს მოინდომა. იგი რუსეთის ჯარით ახალციხისკენ კი დაიძრა, მაგრამ გაურკვეველი მიზეზებით მალე გზიდან უკან დაბრუნდა. ბოლოს ტოტლებენი სოლომონ მეფის მტერს, თურქების ყოფილ მოკავშირეს, **კ. დადიანს,** დაუმეგობრდა და გეზი ფოთისკენ აიღო.

ფოთის კამპანიის მარცხი. ტოტლებენის ინტრიგები. სამხედრო მოქმედების „ახალი გეგმა“

1770 წლის 3 ოქტომბერს ტოტლებენი ფოთისკენ დაიძრა. რუხისა და ანაკლიის ციხეები (ოც-ოცი კაცი იყო თითოეულში) თურქებმა რუსის ჯარის მოახლოებამდე დატოვეს. ტოტლებენი ცარიელ ციხეებს დაეუფლა, ხოლო შემდეგ დადიანთან ერთად ფოთს შემოადგა.

1770 წლის 31 დეკემბერს, სამხედრო კოლეგია უკვე ტოტლებენის შემცვლელს, გენერალ სუხოტინს, ვრცელ სამოქმედო ინსტრუქციას აძლევდა. მაგრამ გენ. სუხოტინის ჩამოსვლამდე ტოტლებენს საკმაო დრო დარჩა იმისათვის, რომ საქმე გაეფუჭებინა.

დადიანთან ერთად ფოთის უწესოდ ჩატარებული ალყა სამთვენახევარს გაგრძელდა. მას რუსეთისათვის არავითარი სარგებლობა არ მოუტანია, ხოლო საექსპედიციო კორპუსს ბრძოლის უნარი დაუკარგა, რაც სრული კატასტროფით შეიძლებოდა დამთავრებულიყო, საქმეში რომ სოლომონ მეფე არ ჩარეულიყო. საქმე ისაა, რომ 1770 წელს დეკემბრის ბოლოს თურქებმა ძალებს თავი მოუყარეს ბათუმში და ფოთის გარნიზონისთვის მიშველებას ცდილობდნენ, რაც ტოტლებენის დაუძლურებულ კორპუსს ხიფათში ჩააგდებდა. სოლომონ მეფემ ეს დროულად შეიტყო და რუსეთის წარმომადგენელს აცნობა.

სოლომონ პირველი 1771 წლის იანვარში გურიაში შეიჭრა და თურქებს გზა გადაუჭრა. ამით იმერეთის მეფემ ერთდროულად ორი საქმე გააკეთა — რუსეთის კორპუსი განადგურებისგან იხსნა და გურიაც დაიმორჩილა (ტახტიდან ჩამოაგდო **გიორგი გურიელი,** რომელიც თურქების მიერ იყო მთავრად დასმული და მის ნაცვლად აღადგინა მისი უფროსი ძმა **მამია,** ასკანის ციხე დაიკავა და გურიის თავადაზნაურობას ფიცის წიგნი და მძევლები ჩამოართვა).

ფოთის სამთვენახევრიანი ალყა გაჭიანურდა, კორპუსმა ბრძოლის უნარი დაკარგა და მარცხით დამთავრდა.

1771 წლის 3 თებერვლის წერილით სოლომონ მეფე ტოტლებენს აცნობებდა **ზურაბ შერვაშიძისა** და **ქელეშ ბეის** ზუგდიდს მოსვლას და მათს განზრახვას, თავს დასხმოდნენ რუსეთის კორპუსს და აეძულებინათ ტოტლებენი ფოთს შემოსცლოდა; მეფე ურჩევდა გენერალს: ფრთხილად ყოფილიყო და ციხეს არ მოსცილებოდა.

როგორც მიმოწერიდან ჩანს, სოლომონ მეფეს ბრალს ვერაფერში დავდებთ. რაც შეეხება რუს ოფიცრებს, მათ მართლაც აიძულეს ტოტლებენი, ფოთისთვის ალყა მოეხსნა, მაგრამ ამას სერიოზული მიზეზები ჰქონდა. საქმე ისაა, რომ მთელი ზამთარი კოლხეთის მა-

შინდელ ჭაობებში, ნესტიან პირობებში, განუწყვეტელი წვიმების პერიოდში ჯარი მოიქანცა და სამოსელი შემოაცვდა. გარდა ამისა, კორპუსს არც საჭურველი გააჩნდა და არც ცხენები.

ბუნებრივია, გაშიშვლებული, უსაჭურვლო, ბრძოლისუნარდაკარგული კორპუსით ფოთის ციხის აღება ვერ მოხერხდებოდა. მტრის მაშველის გამოჩენას შეიძლება კორპუსის დაღუპვა მოჰყოლოდა. ამიტომ აიძულეს ოფიცრებმა ტოტლებენი, ფოთის ალყაზე ხელი აეღო, რათა ჯარისკაცები უაზროდ არ დაღუპულიყვნენ. რა თქმა უნდა, ფოთის კამპანიის მარცხი და საექსპედიციო კორპუსის მიერ ბრძოლის უნარის დაკარგვა ტოტლებენის საქციელს მოჰყვა. ტოტლებენს არ სურდა მეფეებთან ერთობლივი მოქმედება, თავიდან იცილებდა მათ; შეურაცხყოფდა მეფეებს — სოლომონს „თურქს“ ეძახდა, ერეკლეს „მოღალატეს“. ასეთ პირობებში მეფეებიც გულგრილად ექცეოდნენ საექსპედიციო ჯარის მომარაგების საქმეს.

ავანტიურის ჩაშლისა და იმერეთში გადასვლის შემდეგაც ტოტლებენს ერეკლე მეფის მტრობაზე ხელი არ აუღია, რამაც ქვეყნის საშინაო და საგარეო პირობები კიდევ უფრო გაართულა. რაკი ახალციხეზე ლაშქრობა არ განახლდა, ახალციხის ფაშამ ლეკებთან კავშირი შეინარჩუნა — ლეკთა თარეში გაძლიერდა; შემორიგებული ჭარელებიც აიშალნენ; ერევნის ხანმაც „აიხადა საფარველი საქართველოსი“, დაარღვია „მორჩილების პირობა“ და თურქებთან კავშირი დაამყარა; „ესე ყოველი ღრაფ ტოტლებენის მიზეზით“ მოხდა, როგორც ამის შესახებ სამართლიანად სწერდა ერეკლე მეფე ნ. პანინს 1770 წლის 9 ოქტომბერს.

1771 წლის 9 მარტს ყიზლარის კომენდანტმა ნეიჩმა წერილი გამოუგზავნა ერეკლეს, რომლითაც აცნობებდა ტოტლებენის განთავისუფლებას.

მართალია, ტოტლებენის საქმიანობას რუსეთის მიზნებთან საერთო არაფერი ჰქონდა, იგი ინსტრუქციების საწინააღმდეგოც იყო, მაგრამ, ვიდრე იგი რუსეთის კორპუსის მეთაურად რჩებოდა, სხვების თვალში ოფიციალურ რუსეთს წარმოადგენდა და ისე გამოდიოდა, მის პოლიტიკას მთავრობაც მხარს უჭერდა. მაგრამ, რაკი იგი გაათავისუფლეს, მაშასადამე — რუსეთის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ უმოქმედია. მაგრამ ტოტლებენის საქმიანობის უარყოფითი შედეგები ზემოაღნიშნულით არ ამოიწურება. **ტოტლებენმა ჩაშალა საომარი კამპანია ყველაზე მოსახერხებელ ვითარებაში, რითაც საქართველოსთან ერთად რუსეთსაც დიდი ზიანი მიაყენა.**

1770 წლის ზაფხულში ომის ცენტრალურ ფრონტზე რუმიანცე-

ვის მიერ ჩატარებულ ბრწყინვალე ოპერაციებს ლარგსა და კაგულთან დიდი გამარჯვება მოჰყვა: თურქეთის მთავარი ძალები სასტიკად დამარცხდნენ და საომარი ოპერაცია დუნაიზე იქნა გადატანილი. მეორე არმიაც წარმატებით იბრძოდა. ბენდერის ციხის წინააღმდეგობა გატეხილ იქნა. რუსეთის ფლოტმა ჩესმასთან თურქეთის ფლოტი გაანადგურა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში გაბატონდა. ასეთ ვითარებაში თურქეთს კავკასიის ფრონტზე ძალების გადმოსროლის საშუალება არ ჰქონდა. რაკი ახალციხის ფაშის ჯარებიც ასპინძასთან განადგურდა, საქართველოდანაც შეიძლებოდა საბრძოლო ოპერაციების წარმატებით გაშლა, ტოტლებენს რომ საქმე არ ჩაეშალა.

1770 წელს ერეკლემ რამდენჯერმე შესთავაზა ტოტლებენს ახალციხის მიმართულებით კამპანიის განახლება, იაზიკოვიც მხარს უჭერდა ამ გეგმას. მაგრამ 1770-1771 წლებში ტოტლებენს მისი განხორციელების სურვილი არ აღმოაჩნდა.

რუსეთის მთავრობა იბრძოდა საქართველოს ძალების გაერთიანებისთვის, რათა მტრის ძალები საქართველოს ფრონტს მიეზიდა, ტოტლებენი — დაქსაქსვისთვის; რუსეთი იბრძოდა ომში ერეკლეს მისამხრობად, ტოტლებენი — ერეკლეს ჩამოსაცილებლად, არწმუნებდა სუხოტინს და რუსეთის მთავრობას, რომ ასპინძის გმირს თურქეთთან ომი არ სურსო.

გარდა ამისა, ტოტლებენი რუსეთს მეგობრებად უხატავდა დადიანს და გურიელს, ეს მაშინ, როცა თვითონვე არ ფარავდა, რომ დადიანის ხელშეწყობით იქნა გატაცებული რუსეთის კორპუსის ცხენები; ისიც ხომ ცნობილი იყო, რომ **გ. გურიელს არც გაუფრთხილებია რუსეთის ჯარი, როდესაც თურქების მოახლოება შეიტყო, პირიქით, გზა მისცა მათ.** კორპუსი დაღუპვისგან იხსნა სოლომონ მეფემ გურიაში შეჭრით, მაგრამ ტოტლებენი მაინც სოლომონს ლანძღავდა.

ტოტლებენი ერეკლეს რუსეთის მთავრობის თვალში თურქეთის აგენტად ხატავდა და აუწყებდა მთავრობას — სულთანისგან საჩუქრები მოსდისო.

ტოტლებენის საქმიანობის შესწავლა საფუძველს გვაძლევს, რომ 1770 წლის თებერვლის ბოლოდან მის საქციელში ეჭვი შევიტანოთ.

ქართველების ლანძღვა, ოფიცრებზე ცილისმწამებლური წერილების წერა, მათ გასადევნად ნიადაგის მომზადება 1770 წლის თებერვლის ბოლოდან იწყება. ახალციხეზე ლაშქრობის საზეიმოდ აღიარებული გეგმის უარყოფა, აწყურთან ღალატი, ავანტიურა, ერეკლესა და სოლომონთან ერთად მოქმედებაზე უარის თქმა, მათი

ჩამოცილების მიზნით, ახალი „შეთქმულების“ მზადება იაზიკოვის, ლვოვის, კლავერის, მარკოვის გასადევნად და ბოლოს საომარი მოქმედების „ახალი გეგმა“ — ყოველივე ეს შეუძლებელს ხდიდა შეთანხმებულ მოქმედებას და საქართველოს ფრონტზე თურქებს ნამდვილად შესვენების საშუალებას აძლევდა.

ტოტლებენმა თავისი საქციელით, ერეკლეს მოუსპო საომარი ოპერაციის გაშლის საშუალება, რითაც თურქებს შესაძლებლობა მისცა შეენარჩუნებინათ კავშირი ლეკებთან. გარდა ამისა, ახალციხის მიმართულებით ლაშქრობაზე უარის თქმით რუსეთმა დაკარგა მოკავშირე ქურთებისა და ასირიელების სახით.

არსებობს საბუთები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ტოტლებენმა 1770 წლის ზამთარში კავშირი დაამყარა ახალციხის ფაშასთან, კერძოდ, იმასთან, ვისაც ანდობდა სულთანი საქართველოს ფრონტს. ტოტლებენის მიმოწერა ახალციხის ფაშასთან, მისი ებრაელი ჯაშუშის განთავისუფლება და ახალციხეში გაგზავნაც უცილობელი ფაქტია. ტოტლებენის ოფიციალური ურთიერთობა ფაშასთან მისდამი ეჭვს არ ხსნის (შვიდწლიან ომშიც ტოტლებენი ჯაშუშობას ასეთივე მეთოდით აწარმოებდა). ამალითა და ჯარით გარშემორტყმული გენერალი, ბუნებრივია, სხვაგვარად უცხოეთის დაზვერვას ვერც დაუკავშირდებოდა.

ცნობილია, რომ ტოტლებენის საქციელზე ეჭვს გამოთქვამდნენ ერეკლე II და სოლომონ I. ერეკლე, ბუნებრივია, ტოტლებენისადმი აწყურის შემდეგ ტენდენციურად იქნებოდა განწყობილი და იქნებ აჭარბებდა კიდეც. მაგრამ სოლომონ პირველი, რომელსაც 1770 წლის ივლის-აგვისტოში ტოტლებენმა გარკვეული სამსახური გაუწია და ჯერ მტრობაც არ ჰქონდა მასთან, 1770 წლის 19 სექტემბერს პანინს სწერდა: „ეს (ტოტოლებენი — ვ. მ.) ასერიგად იქცევა, რომ უფროსად განაძლიერებს და მჯნე ჰყოფს მტერთა“.

მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ტოტლებენი უცხოეთის აგენტი, ერთი რამ სადავოდ არ მიგვაჩნია: ტოტლებენმა ნამდვილად ჩაშალა საომარი კამპანია საქართველოს ფრონტზე 1770-1771 წლებში, რითაც რუსეთს კიდევ უფრო მეტი ზიანი მიაყენა, ვიდრე 1761 წელს.

არ ვფიქრობთ, გადაჭარბებით შევაფასოთ პიროვნების როლი, მაგრამ ისე, რომ საქმისათვის სასარგებლო გაბედული ინიციატივა, ქვეყნისთვის სასარგებლო გაბედული ნაბიჯი სამხედრო წესდების „არტიკულებით“ (სარდლისადმი, უფროსისადმი ბრმა მორჩილება) იზომებოდა და ამითვე ისჯებოდა, საშუალებას აძლევდა ტოტლებენს თვითნებურად ემოქმედა. გარდა ამისა, ჩოგლოკოვის პატიმრობიდან გაქცევამ მთავრობის თვალში „3 აპრილის შეთქმულება“

საეჭვო არ გახადა და ტოტლებენის განთავისუფლების საქმე გადადო. გარკვეული როლი შეასრულა პეტერბურგის სიშორემ — კავშირისა და სატრანსპორტო საშუალებათა მაშინდელმა მდგომარეობამ. საქართველოს რთული საშინაო ვითარებაც გარკვეულად ხელშემწყობი პირობა იყო.

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, თუ როგორ სურდათ გამოეყენებინათ ქართლის თავადებს ტოტლებენის უთანხმოება ერეკლესთან. დას. საქართველოშიც სოლომონ მეფის მტრებმა, როგორც კი დაინახეს უთანხმოება იმერეთის მეფესა და ტოტლებენს შორის, სცადეს იგი გამოეყენებინათ თავიანთი მიზნებისთვის. მაგ., გარდა იმისა, რომ გურიასა და სამეგრელოში სოლომონ მეფის პოლიტიკას მუქ ფერებში ხატავდნენ (გიორგი და მამია გურიელები, კაცია დადიანი და სხვ.), გადაყენებული **ბესარიონ კათალიკოსი** 1770 წლის ბოლოს ტოტლებენს აცნობებდა, რომ სოლომონ მეფემ პეტერბურგში გაგზავნილი წერილებით სამეფო კარზე დაგაბეზღა, ხოლო ჩერქეზეთში კაცი გაგზავნა და შენს წინააღმდეგ ჯარი მოიწვიაო. ამ ყალბმა დასმენამ კაპ. ლევოვიც კი დააეჭვა, მაგრამ ერეკლე მეფე 1771 წლის 3 იანვარს აცნობებდა კაპ. ლევოს, რომ მას სარწმუნოდ არ მიაჩნია სოლომონის მიერ რუსეთის ჯარის წინააღმდეგ ჩერქეზების მოწვევა. კიდევ მეტი, 1771 წლის 4 აპრილს **კაცია დადიანი** ტოტლებენს წერდა, რომ სოლომონ მეფეს ახალციხის ფაშასთან კავშირი აქვს, ფაშის ჯაშუში სოფ. ქვიტირში ჰყავს, სულეიმან ფაშისაგან პასუხს ელოდება და თურქეთიდან დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში გიღალატებსო. ზემოაღნიშნულმა პირობებმა ტოტლებენს საშუალება მისცა მთელი წლის მანძილზე ეფუჭებინა საქმე.

ტოტლებენის, უცხოეთის ყოფილი ჯაშუშის, ისეთ რთულ და საპასუხისმგებლო პოსტზე დანიშვნით, როგორიც საქართველოში გამოგზავნილი ჯარის სარდლობა იყო, რუსეთის მთავრობამ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა, რითაც საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივსა და საქართველოს ინტერესებს დიდი ზიანი მიაყენა.

საომარი კამპანია 1771 წლის მეორე ნახევარში და რუსეთის ჯარის გაწვევა საქართველოდან

ტოტლებენის ეჭვებს რუსი ოფიცრებისა და ქართველების მიმართ, რომელიც გამოთქმული იყო მის წერილებში (1770 წლის თებერვალ-აპრილი), დაურწმუნებიათ ეკატერინე II, რომ ტოტლებენს საქართველოში საქმის ჩაშლა უფრო შეეძლო, ვიდრე მისი რუ-

სეთისთვის სასარგებლოდ წარმართვა და პანინისათვის მისი შეცვლის თაობაზე მიუწერია კიდეც. მთავრობამ საქართველოში საქმის მოსაგვარებლად კაპ. იაზიკოვი გამოგზავნა. კაპ. ნ. იაზიკოვის პირველივე მოხსენებებით რუსეთის მთავრობა დარწმუნდა, რომ ტოტლებენი საქმისთვის გამოუსადეგარი იყო და 1770 წლის დეკემბერში გაათავისუფლა კორპუსის უფროსობისგან. კორპუსის მეთაურად გენ. ალექსი სუხოტინი დაინიშნა.

გენ ა. სუხოტინი უმტკივნეულოდ ჩამოვიდა საქართველოში. ერეკლემ საზეიმო შეხვედრები მოუწყო მას დუშეთსა და თბილისში. 1771 წლის 13 მაისს გენ. სუხოტინი ქუთაისს ჩავიდა.

1771 წლის 5 ივნისის პატაკით სუხოტინი ჯარის მდგომარეობას ასე აღუწერდა მთავრობას: ჯარისკაცები არიან უკარვებოდ, უტანსაცმლოდ, არც ერთი ცხენი, არც ერთი უნაგირი, ქვემეხი უთოფისწამლოდ, ჯარისკაცები უთოფისწამლოდ, არც ერთი ცალი სასანგრო იარაღი; ხაზინა მთლიანად ვალშია, არ არის არავითარი აღრიცხვა; სუხოტინი განაგრძობდა: გაუშიშვლებია კორპუსი, იგი (ტოტლებენი) ამასაც არ დასჯერდა — შეეცადა სხვადასხვა ხრიკით, ბრძოლისუნარიანი ახალგაზრდების რუსეთში გაგზავნით დაესუსტებინა კორპუსი; მეც მიმზადებდა ნიადაგს მეფეებთან წასაჩხუბებლად, მარწმუნებდა — მეფეები მოღალატეები არიანო.

პარალელურად სუხოტინი სამხედრო კოლეგიას 5 ივნისის პატაკით აცნობებდა: ტოტლებენმა 33.704 მანეთი ვალი დატოვა. გაურკვეველია, რაზე დაიხარჯა 17.131 მანეთი, ხაზინას სახეზე ჰქონდა 11.579 მანეთი, საჭირო იყო 117.216 მანეთი. კორპუსს უნდა ჰყოლოდა 1508 ცხენი, ჰყავდა 119.

მართალია, გზა უშიშარი გახდა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, საჭირო იყო დიდი დრო, რომ კორპუსი მომარაგებულიყო, ბრძოლისა და მანევრირების უნარი დაბრუნებოდა. საომარი ოპერაციის გეგმა მარტო პოლიტიკით როდი განისაზღვრება. პოლიტიკაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია სამხედრო შესაძლებლობებზე — პოლიტიკის იარაღზე.

1771 წლის ივნისში სოლომონ მეფე და გენ. სუხოტინი გადმოვიდნენ ქართლში, სოფ. ხელთუბანში, სადაც 15 ივნისს შეხვდნენ ერეკლეს და შეთანხმდნენ სამხედრო მოქმედების გეგმის თაობაზე, რომელიც, პროფ. ი. ცინცაძის სამართლიანი შენიშვნით, მთლიანად ფოთის ციხის აღებას ემსახურებოდა.

სიტყვიერი შეთანხმებით, როლები ასე ნაწილდებოდა: სუხოტინს რუსების ჯარის კორპუსით უნდა გარემოეცვა ფოთი, ხოლო ქართ-

ველთა ძალებს იგი უნდა დაეცვათ მტრის ძალებისგან. შეთანხმებით ერეკლე მეფეს ჯარის ნაწილები უნდა დაეგზავნა ქვეყნის სხვადასხვა მხარეში ლეკებისგან ქვეყნის დასაცავად, ხოლო თვით მეფე ძირითადი ძალებით ახალქალაქ-ახალციხე-ყარსის მიმართულებით უნდა შეჭრილიყო, თარეშით თურქები შეეწუხებინა, და არ მიეცა მათთვის საშუალება, მიშველებოდნენ ფოთის ციხეს; სოლომონ მეფეს თავისი ჯარით ახალციხიდან იმერეთისკენ მიმავალი გზა უნდა გადაეკეტა, დადიანს უნდა დაეცვა აფხაზეთიდან ფოთისკენ მიმავალი გზა, გურიელს — ტრაპიზონიდან შავი ზღვისპირზე ფოთისკენ მიმავალი გზა.

ხელთუბანში შეთანხმებული გეგმა სერიოზული ხარვეზებით ხასიათდებოდა: 1) ეს გეგმა არ ითვალისწინებდა კლიმატურ პირობებს, რის თაობაზეც ერეკლე მეფე შეახსენებდა გენერალს, რომ ტოტლებენმა ზამთარში ჯარისკაცებს სული ამოხადა ფოთში, ლაშქრობა ზაფხულშიც ძნელი იქნება, ამიტომ უმჯობესია ახალციხეზე ვილაშქროთ, თუ ფოთზე ლაშქრობა ნაბრძანები არ გაქვსო; დაბოლოს, სოლომონ I და კ. დადიანსაც ხუნწში შეხვედრისას უთქვამთ გენერლისთვის, რომ ზაფხულში ფოთზე ლაშქრობა საშიში იყო; 2) სუხოტინს მხედველობიდან გამორჩენია, რომ საჭირო იყო საალყო ქვემეხები, უამისოდ ფოთის ციხის აღებას დიდი დრო დასჭირდებოდა; 3) გენ. სუხოტინმა არ გაითვალისწინა ყველაზე ძლიერი მოკავშირის, ერეკლეს მოთხოვნა ახალციხეზე ლაშქრობის თაობაზე, თუმცა დააიმედა, რომ ფოთის აღების შემდეგ ახალციხეზე წავიდოდა.

გენ. სუხოტინის შეცდომები, როგორც ჩანს, განაპირობა კორპუსის ფაქტობრივმა მდგომარეობამ, ტოტლებენის მიერ ჩაგონებულმა ეკატერინეს რჩევამ — ქართველებს არ დაენდოო — და ფოთის გარნიზონის სიმცირემ.

ერეკლეს მტრებსაც არ ეძინათ: მათ მეფის სამზადისი აცნობეს ერევნის ხანს, ხოლო ამ უკანასკნელმა — ახალციხის ფაშას, რომელმაც სათანადო ზომები მიიღო (მოსახლეობა დახიზნა ციხეებში, რომელთა გარნიზონები გააძლიერა, ხოლო მეფეს ელჩები გამოუგზავნა, შევრიგდეთო); გარდა ამისა, კაპ. ლვოვს აუწყეს, თითქოს ერეკლემ ახალციხეზე სალაშქროდ მცირე ძალები გამოყო და ფაშასთან მოლაპარაკებას აწარმოებსო. კაპ. ლვოვმა ეს ამბები 15 ივლისის წერილით შეუთვალა გენ. სუხოტინს.

ხელთუბნიდან დაბრუნებულმა სუხოტინმა, ქუთაისში, სადაც გეგმა საბოლოოდ დაამუშავა, ახალი შეცდომები დაუშვა. საქმე ისაა, რომ გენერალი შეუდგა კ. დადიანთან და მასთან თავშეფარებულ გ.

გურიელთან ადრე დაწყებული მოლაპარაკების გაგრძელებას. რაკი იმპერატორი ავალებდა, რომ ქართველი მფლობელები ერთმანეთთან შეერიგებინა და თანაც არ ნდობოდა მათ, გენერალი დამთმობიც გახდა და უნდოც. ხშირად საიმედოსა და საეჭვოს ერთმანეთისგან ვერ ასხვავებდა და გადაწყვიტა მძევლები — „ამანათები“ — მოეთხოვა, რითაც დაშვებული შეცდომები კიდევ უფრო გაღრმავდა.

ერეკლემ პასტიოსნად შეასრულა შეთანხმება, რომელიც ხელთუბანში იქნა მიღწეული: დათქმულ დროს გამოვიდა ჯარით და იდგა თრიალეთში, ახალციხის საფაშოს ახლო, რითაც დააშინა ახალციხის ფაშა და უზრუნველყო რუსეთის კორპუსის უსაფრთხოება. მაგრამ კაპ. ლევოვის 15 ივლისისა და 27 ივლისის წერილებმა და აგრეთვე „გეგმაზე“ მინაწერებმა ისე გააცხარეს გენერალი, რომ მან წონასწორობა დაკარგა, მეფეს უხეშად უპასუხა და გეგმა უკან დაუბრუნა, ხოლო კაპ. ლევოვს დაავალა, აეძულებინა მეფე ერეკლე, ყველაფერი ისე გაეკეთებინა, როგორც გენერალი ბრძანებდა.

1771 წლის 9 აგვისტოს, სუხოტინისგან პასუხის მისაღებად, ერეკლე მეფე სწერდა გენერალს, რომ 12 ივლისს იგი თბილისიდან გავიდა და საზღვარზე იმყოფება. შეშინებული ახალციხის ფაშა შერიგებას მთხოვს, იტყობინებოდა მეფე, მაგრამ მე 6 მძევალი მოვითხოვე, რომ შემდეგ შენთან ერთად გადავწყვიტო როგორ მოვიქცეთ, პასუხი არ მიმიღიაო. ამასობაში მეფემ სუხოტინის წერილიც მიიღო, სადაც იგი ბრალს სდებდა ერეკლეს და წარსულში მომხდარ ამბებშიც ტოტლებენს ამართლებდა.

1771 წლის 21 აგვისტოს ერეკლე მეფემ გენერალს ორი წერილი გაუგზავნა: პირველში განაწყენებულმა მეფემ ჩამოთვალა ყველა თავისი მოქმედება თურქეთის წინააღმდეგ რუსთთან კავშირში შესვლის შემდეგ. ერეკლე ხაზს უსვამდა, რომ მისმა მტრებმა არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს გენერალს, ლევოზეც გადაუკრა, რომ იგი მისდამი კეთილგანწყობილი არაა (იგულისხმებოდა კაპ. ლევოვის პოზიცია ტოტლებენის ავანტურის დროს და ლევოვის წერილი მეფისადმი); ერეკლე ლაშქრობის 20 ივლისამდე გადავადებასაც უსაყვედურებდა გენერალს. თან დასძენდა, რომ 19 აგვისტოს იმერეთიდან მოსულმა ჩემმა კაცმა მაცნობა, სოლომონ მეფე ისევ ბაღდადში დგასო. ლაშქრობა ნავარაუდევი იყო 6 კვირით, ხსენებული ვადა უკვე იწურება, გლეხები კი ტყუილუბრალოდ მოვსწყვიტეთ მინდვრის სამუშაოებსო; გეგმასთან დაკავშირებით ერეკლე წერდა, რომ იგი მიიღო, ხელიც მოაწერა და ვალდებულება აიღო თავისი შესაძლებლობის გათვალისწინებით, გეგმის ხელმოწერის თაობაზე მეტი

აღარ შემაწუხოო. მეორე წერილში, რომელიც აგრეთვე 1771 წლის 21 აგვისტოსაა გაგზავნილი, ერეკლე მოაგონებდა გენ. სუხოტინს, რომ ხელთუბანში დაიჩემეს ზოგიერთებმა, მაგრამ მე არ მიკისრია სალაშქროდ გარკვეული რაოდენობით ჯარის გამოყვანა და არც ის, თუ სად რამდენი დამეყენებინა; შექმნილმა რთულმა ვითარებამ მაიძულა ჯარის ნახევარი გამეგზავნა თუშეთში, რომელსაც ლეკები დაესხნენ თავს; თუმცა ლეკები განდევნეს, დაამარცხეს, მაგრამ ჯარი იქედან ჯერაც არ დაბრუნებულა; ჯარის ნაწილი იალღუჯში გავგზავნე ლეკების წინააღმდეგ; ცნობა მივიღე აგრეთვე, რომ ლეკები ახმეტას ემუქრებიანო; რაც შეეხება მძევლების საკითხს, შეურაცხყოფილი მეფე წერდა: „ამანათის მთხოველი ვისაცა სთხოვს, ან მტერი იქნება ის კაცი, რომელსაც ეთხოვება და ან მოყვარე, და მიზეზსაც გამოუცხადებენ“.

ერეკლეს პასუხი მტკიცე იყო, მაგრამ ტონი — ზომიერი და მეგობრული. გენ. სუხოტინის რჩევის მიხედვით ძალების განაწილება ქვეყნის თავდასაცავად ერეკლეს არ უვალდებულია და არც შეეძლო, ხოლო თავადებთან ერთად ფიცის მიღება მათთან გათანაბრება იქნებოდა, რაც მეფის ავტორიტეტს დასცემდა, დაანგრევდა იმას, რასაც ერეკლე 37 წლის განმავლობაში აგებდა. ერეკლე ამაზე არ წავიდა.

არც დასავლეთ საქართველოში მიდიოდა საქმე უკეთესად. გენ. სუხოტინმა საქართველოში ჩამოსვლისთანავე მიიღო ზომები, რომ დასავლეთ საქართველოს მფლობელები შეერიგებინა და ერთობლივად ეწარმოებინათ ომი თურქეთის წინააღმდეგ, როგორც ამას ინსტრუქცია მოითხოვდა. რუსეთის სამეფო კარის დავალებითა და გენ. სუხოტინის თხოვნით, ერეკლემ წერილები გაუგზავნა სოლომონ მეფეს, კ. დადიანსა და გ. გურიელს, რომ შერიგებულიყვნენ და ერთად გამოსულიყვნენ ქრისტიანების საერთო მტრის — თურქეთის წინააღმდეგ, ხოლო თავ. ზურაბ შერვაშიძეს — რუსეთის კორპუსისთვის დაებრუნებინა გარეკილი ცხენები.

იმერეთში ჩასვლისთანავე გენ. სუხოტინმა დაიწყო მიმოწერა კ. დადიანთან და გ. გურიელთან. სოლომონ მეფისთვის ეს მეტად საწყენი იყო, მიუხედავად ამისა, მან მაინც გაგზავნა იოსებ კათალიკოსი (თავისი ძმა) დადიანთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ დადიანმა პროვოკაციები მოაწყო. ხელთუბნის თათბირიდან დაბრუნების შემდეგ გენ. სუხოტინს ყველაფერი უკუღმა მოახსენეს, რაც გენერალმა დაიჯერა და იგი იოსებ კათალიკოსს ადანაშაულებდა, რომ მას არ სურდა სოლომონ მეფის კ. დადიანთან შერიგება. გენ. სუხოტინი თვითონ შეუდგა კ. დადიანთან მოლაპარაკებას და გადაწყვიტა ზოგი-

ერთ დათმობაზე წასულიყო. ეს დათმობა აისახა გეგმაში, რომელიც ხელთუბნის თათბირის შემდეგ ქუთაისში დამუშავდა 1771 წლის 5 ივლისს: სოლომონ მეფეს დაევალა 6 ათასი კაცი გამოეყვანა და ახალციხიდან იმერეთში მომავალი გზები შეეკრა, ხოლო დადიანს — არა მარტო აფხაზეთიდან ფოთისკენ მომავალი გზის შეკვრა ევალებოდა, არამედ აგრეთვე ქუთაისიდან ფოთამდე კომუნიკაციების დაცვაც. ამ უკანასკნელი დავალების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ სოლომონ მეფის ჯარი სამეგრელოს ტერიტორიაზე არ დაეშვა, რისთვისაც კ. დადიანი კარგა ხანია იბრძოდა.

თუმცა გენ. სუხოტინის ნაბიჯებით განაწყენებული იყო, მაგრამ სოლომონ მეფე ყველა ზომას იღებდა რუსეთის კორპუსის მოსამარაგებლად. ამასთან ერთად, მეფეს ესმოდა, რომ მისი კ. დადიანთან მორიგება გაძნელდებოდა, რადგან კ. დადიანის სასახლე თავშესაფარს წარმოადგენდა სოლომონით უკმაყოფილო პირებისას: ტახტიდან ჩამოგდებული გ. გურიელის, გადაყენებული კათალიკოსის ბესარიონის (რაჭის ერისთავის ძმის) და სხვათა. სოლომონ მეფე გენ. სუხოტინს სწერდა: ბესარიონ კათალიკოსი თურქებთან კავშირშია, ჩემს წინააღმდეგ გესლავს კ. დადიანს, ამიტომ სანამ იგი სამეგრელოშია, კ. დადიანთან ზავი შეუძლებელიაო.

გენ. სუხოტინმა სამეგრელოში წერილით გაგზავნა პოდპოლკ. ო. ბ. ბიბიკოვი და კ. დადიანს სთხოვა, დათანხმებოდა სოლომონთან ზავსა და მასთან შეხვედრაზე. 1771 წლის 20 ივლისს კ. დადიანი პასუხად სწერდა გენერალს, რომ მას ეშინოდა სოლომონ მეფისა და სთხოვდა, სუხოტინი მისულიყო მასთან ხუნწში, სადაც იქნებოდა გ. გურიელიც. გენ. სუხოტინმა ოფიცერი გაგზავნა და გ. გურიელს სამთავროს დაბრუნება აღუთქვა (გურიის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა ომის შემდეგ დამოკიდებული იქნებოდა ეკატერინეზე), ხოლო სოლომონ მეფე აიძულა, დასთანხმებოდა ომის დროს გ. გურიელთან შერიგებას. კ. დადიანი ცდილობდა მიეღწია არა მარტო გ. გურიელის მთავრად აღდგენის, არამედ აგრეთვე გურიიდან წაყვანილი მძევლების განთავისუფლებისა, რომელნიც სოლომონ მეფეს ჰყავდა, და იმერეთის გარნიზონის ასკანის ციხიდან გამოყვანისთვისაც, რომ გურიისათვის სრული დამოკიდებულობა მოეპოვებინა.

გენ. სუხოტინის შეხვედრა კ. დადიანთან არც თუ სასურველ ვითარებაში მომხდარა, მაგრამ კ. დადიანმა, მისმა ძმამ ნიკოლოზმა და გ. გურიელმა 1771 წლის 29 ივლისს „გეგმას“ ხელი მოაწერეს და ფიციც მიიღეს; 29 ივლისს მიწერილ წერილში კ. დადიანი გენ. სუხოტინს წინადადებას აძლევდა, რომ რუსეთის წარმომადგენელს

ჩაებარებინა გურიის სოფლები და ციხე და გადაეცა გ. გურიელ-ისთვის (სხვაგვარად სოლომონი გურიელს არ მისცემსო). იგი უმტკიცებდა გენერალს, რომ გ. გურიელი ფოთის ალყის დროს დაგვჭირდებაო. თუმცა სოლომონ მეფის წარმომადგენელი გურიაში არწმუნებდა გენერალს, გურიას ომის დროს კარგად გამსახურებო, მაგრამ სუხოტინი სოლომონის მტრებს უფრო უსმენდა. 1771 წლის 3 აგვისტოს კ. დადიანი სწერდა გენერალს, რომ გ. გურიელი წავიდა თქვენი ოფიცრის მოსვლამდე, ამიტომ ჩვენ იგი (ოფიცერი) გურიაში გავგზავნეთო.

13 აგვისტოს გენ. სუხოტინმა გ. გურიელისგან მიიღო წერილი, რომლითაც ყოფილი მთავარი გენერალს აუწყებდა: თქვენი (გენ. სუხოტინის) კაცი გურიაში მოვიდა და ყველას ვუთხარით თქვენი (გენერლის) განკარგულება, მაგრამ სოლომონ მეფის კაციც მოვიდა და ჩემს ხალხს განუცხადა, რომ, თუ ისინი ჩემთან (გ. გურიელთ-ან) გამოცხადდებიან, მეფე მძევლებს დაახრჩობს, ამიტომ გურიის თავადები და აზნაურები შეშინდნენ და ჩვენთან არ ცხადდებიან, გთხოვთ გამოგზავნოთ თქვენი კაცი და მძევლები გადმოგვცენო.

გენ. სუხოტინის დათმობა გ. გურიელისადმი, რაშიც არსებითი როლი შეასრულა კ. დადიანის პოზიციამ, გენერლის შეცდომა იყო. ამ საქმეში გარკვეული როლი შეასრულა აგრეთვე გენ. ტოტლებენ-მაც, ეკატერინეს ინსტრუქციამაც და თვით მამია გურიელმაც კი, რომელიც ტახტზე ხელახლა ასვლის შემდეგ თავგამოდებით იბრ-ძოდა, რათა სოლომონ მეფეს ჯარი გაეყვანა ასკანის ციხიდან. ამას-თან, მ. გურიელი იმერეთის მეფის პოლიტიკას გურიაში არანაკლებ მუქი ფერებით ხატავდა, ვიდრე გ. გურიელი, კ. დადიანი და გენ. ტოტლებენი. რა თქმა უნდა, მ. გურიელის საქციელი იყო მთავრის პარტიკულარისტული მისწრაფების ტიპური გამოვლინება, რო-მელიც არავითარ მორალს არ ექვემდებარებოდა. სამართლიანად მიუთითებდა პროფ. ა. ცაგარელი, რომ გენ. სუხოტინმა თავი ვერ გაართვა მისი წინამორბედის მიერ აწეწილ საქმეებს და თვითონაც საკმაოდ შეცდომები დაუშვაო.

ამრიგად, გენ. სუხოტინი ბრმად მიჰყვებოდა რა იმპერატორის ინ-სტრუქციას (შეერიგებინა საქართველოს მფლობელები), მთავრებთან დათმობის გზას დაადგა, რითაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა რუსე-თის ერთგული მოკავშირე სოლომონ მეფე და კიდევ უფრო გაართუ-ლა ვითარება დასავლეთ საქართველოში. კ. დადიანი და გ. გურიელი აცხადებდნენ რუსეთისადმი თავიანთ ერთგულებას, სურდათ მიეღწი-ათ იმერეთის მეფისგან სრული დამოუკიდებლობისთვის, ამავე დროს

არ აფუჭებდნენ ურთიერთობას თურქებთანაც, რათა რუსეთის ჯარის წასვლის შემდეგ დამხმარის გარეშე არ აღმოჩენილიყვნენ. ამას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა მოვლენათა მსვლელობაზე.

1771 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში გენ. სუხოტინი ფოთისკენ დაიძრა. ფოთის ციხის დაუყოვნებლივ იერიშით აღება, საალყო ქვემეხების უქონლობის გამო, შეუძლებელი აღმოჩნდა და ალყა გაჭიანურდა. მეფეების რჩევის უგულებელყოფა სუხოტინს ძვირად დაუჯდა: კოლხეთის კლიმატმა გამოიწვია ჯარისკაცების მალარიით მასობრივი დაავადება, მძიმედ გახდა ავად თვით გენერალიც. ფოთის კამპანია ამჯერადაც მარცხით დამთავრდა.

ქუთაისში დაბრუნებული გენერალი ფოთის კამპანიის შედეგებს 1771 წ. 20 ოქტომბერს სამხედრო კოლეგიას კორპუსის მდგომარეობას აცნობებდა: მოკლულ იქნა — 4 კაცი, დაიჭრა — 15, ავადმყოფობით და ჭრილობით მოკვდა — 293, გაიქცა — 57, სახეზეა ჯანმრთელი — 782, ავადმყოფი — 1934. გარდა ამისა, გენერალი ხარჯების გადიდებას ითხოვდა.

გენ. სუხოტინის მოხსენებები პეტერბურგში დეკემბერში მიიღეს და სახელმწიფო საბჭოს 1771 წლის 15 დეკემბრის სხდომაზე საქართველოდან საექსპედიციო კორპუსის უკან გაწვევაც გადაწყვიტეს.

სუხოტინის მარცხში უმთავრესი დამნაშავე იყო ტოტლებენი და ეკატერინე მეორე: ტოტლებენმა, სუხოტინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გააშიშვლა“ და „განაიარაღა“ კორპუსი, ხოლო ეკატერინე ბრმად ერწმუნა ტოტლებენს და გენერალს ურჩია ქართველებს არ ენდოო; შედეგიც საავალალო აღმოჩნდა.

გენ. სუხოტინის შედგენილი გეგმით განსაზღვრულ ძირითად ამოცანას შედეგი არ მოჰყოლია. დამხმარე ამოცანა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს კორპუსის დაფარვას აკისრებდა და იგი ასეც იქნა შესრულებული. რაც შეეხება ერეკლეს, მას აქტიური მოქმედებით და თარეშით უნდა შეეწუხებინა ახალციხის ფაშა, რათა იგი ფოთის გარნიზონს არ მიშველებოდა. ერეკლემ არა მარტო ეს გააკეთა, ქართლ-კახეთის ჯარმა 1771 წ. 25-26 ოქტომბერს ხერთვისის ციხეც აიღო.

ასეთი იყო საომარი კამპანიის შედეგი საქართველოს ფრონტზე 1771 წელს.

ფოთის კამპანიის მარცხის შემდეგ გენ. სუხოტინის ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭდა არა მარტო ქართველ მეფეებთან, არამედ აგრეთვე რუსეთის წარმომადგენელ კაპ. ლევოვთანაც. ავადმყოფი გენერალი ეჭვიანიც გახდა, კაპ. ლევოს რუსეთში ცილისმწამებლუ-

რი ინფორმაციების გაგზავნას სწამებდა, ხოლო ქართველ მეფეებს ბრალად სდებდა თავის მარცხს. მეფეები წარუმატებლობის მიზეზად გენ. სუხოტინს თვლიდნენ.

მიზეზები საკმაო იყო: სუხოტინმა, რომელიც ბრმად გაყვა ეკატერინესა და კ. დადიანის რჩევას, სოლომონ მეფის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, გურიის მთავრად გიორგი გურიელი (თურქეთის აგენტი, რომელიც ჯერ კიდევ ტოტლებენის დროს, რუსეთის კორპუსების ფოთთან დგომისას, ღალატისთვის სოლომონ მეფემ დასაჯა) აღადგინა, რაც კაპ. ლევოს შეცდომად მიაჩნდა. მართალია, სოლომონ მეფე გიორგი გურიელის ტახტზე აღდგენას დასთანხმდა, მაგრამ მძევლების განთავისუფლებას და ასკანის ციხის დათმობას არ ფიქრობდა. ამ ნიადაგზე მეფესა და გენერალს შორის ურთიერთობა ფოთის კამპანიის დროს კიდევ უფრო დაიძაბა, ხოლო იმერეთის მეფის ავტორიტეტი და გავლენა გურიაში საკმაოდ შეირყა. გარდა ამისა, სუხოტინმა საჭიროდ არ ჩათვალა იმერეთის მეფის მონაწილეობა ფოთის გარემოცვაში, რამაც წინასწარვე განაპირობა მარცხი.

რაც შეეხება ერეკლესთან ურთიერთობის გართულებას, ამის მიზეზები, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ისიც იყო, რომ 1771 წლის ივლისში, თრიალეთში დგომისას, ერეკლემ ახალციხის ფაშასთან მოლაპარაკება გამართა და მძევლად ფაშის ძმა მოითხოვა, რითაც ახალციხის ფაშას ფოთის გარნიზონისათვის მიშველებაზე ხელი ააღებინა, ლეკები წააჩხუბა ფაშას, ამით კი თურქებს მოუსპო აქტიური მოქმედების შესაძლებლობა. დაბოლოს, მეფე მოელაპარაკა ხერთვისის ციხის უფროსს ციხის ჩაბარების თაობაზე, ამიტომ ყალბი მანევრი გააკეთა — ფაშისაგან საჩუქრები მიიღო და უეცრად დაბრუნდა ქართლში (სექტემბერი), რათა თურქები შეცდომაში შეეყვანა და მათი ყურადღება მოედუნებინა; შემდეგ მეფე ხელახლა შეიჭრა ახალციხის მხარეში და უეცარი შეტევით აიღო ხერთვისის ციხე. მაგრამ ერეკლეს ეშინოდა მოქმედების გეგმის გახმაურებისა, ამიტომ მან ამის თაობაზე წინასწარ არ აცნობა არც კაპ. ლევოს და არც გენ. სუხოტინს, რის გამოც ისინი ერეკლეს აბრალებდნენ თურქებთან მორიგებას. შემდეგ ისინი დარწმუნდნენ, რომ ფაშასთან არავითარ მორიგებას ადგილი არ ჰქონდა (კაპ. ლევი თვით მონაწილეობდა ხერთვისის ოპერაციაში), მაგრამ ერეკლეზე საჩივრები, შეურაცხმყოფელი წერილები და ამ ნიადაგზე განაწყენება დარჩა.

გენ. სუხოტინისა და კაპ. ლევის უკმაყოფილების მიზეზი გახდა ის ფაქტიც, რომ 1771 წლის 1 ნოემბერს ერეკლემ გენ. სუხო-

ტინს სთხოვა, ან მიეღო მონაწილეობა ახალციხეზე ლაშქრობაში, ან 1500 კაცი მაინც გამოეგზავნა. ერეკლე მეფე არწმუნებდა გენერალს, რომ, თუ იგი მასთან იქნებოდა, ვერც იმერეთის მეფე და ვერც სხვა ვინმე გაბედავდა ურჩობას და საქმე კარგად წავიდოდა, მაგრამ გენერალს ამის გაგონებაც არ სურდა. ვერ მიიღო რა გენ. სუხოტინის დადებითი პასუხი, ერეკლე მეფემ გადაწყვიტა, მათთვის უცნობებლად საგანგებო ელჩობა გაეგზავნა პეტერბურგში **ლევან ბატონიშვილისა და ანტონ კათალიკოსის** მეთაურობით. მეფე ითხოვდა დამატებით ჯარს, რომელიც მასთან ერთად იქნებოდა, რადგან კორპუსის მეთაურს არ სურდა ერეკლესთვის მოესმინა და მისი ინტერესები გაეთვალისწინებინა. ამასთან, ერეკლე სთავაზობდა პირობებს, რომლითაც მას რუსეთის მფარველობაში შესვლა სურდა (რაზედაც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი). როგორც ჩანს, ასეთის მაღალი რანგის ელჩების გაგზავნამ პეტერბურგში მათთვის შეუტყობინებლად, გენ. სუხოტინი და კაპ. ლვოვი ძალიან გააჯავრა, რაც აისახა კიდევაც გენ. სუხოტინის უტაქტო წერილებში, მაგრამ ერეკლე თავაზიანი ფორმით ჩამოთვლიდა თავის დამსახურებას, აქარწყლებდა გენერლის ეჭვებს და ხელახლა მოუწოდებდა მას ერთობლივი მოქმედებისთვის.

არც სოლომონ მეფე თვლიდა თავს დამნაშავედ. იგი რუსეთის მთავრობას სთხოვდა, მხოლოდ არტილერია მომეცით და საკუთარი ძალებით ავიღებ ფოთსო. ამით მეფე გენ. სუხოტინის შეცდომაზე მიუთითებდა, რომელმაც არ დაუშვა მისი მონაწილეობა ფოთის გარემოცვაზე.

ზედმეტი არ იქნება, თუ შევნიშნავთ, რომ კ. დადიანი ამჯერადაც არ იქნებოდა გულახდილი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1771 წლის 15 დეკემბერს სახელმწიფო საბჭომ მოისმინა გენ. სუხოტინის 20 ოქტომბრის მოხსენება და გადაწყვიტა კორპუსის საქართველოდან გაწვევა. ასეთი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა: კორპუსის ჯარისკაცების დიდი ნაწილი დაავადებული იყო მალარიით, მათს გამოჯანმრთელებას დიდი დრო დასჭირდებოდა, ხოლო „გაშიშვლებული“ კორპუსის მომარაგება დიდ დროს და სახსრებს მოითხოვდა; გენ. სუხოტინმაც ვერ გამონახა საერთო ენა ქართველ მეფეებთან; 1771 წლის საომარი კამპანიის შედეგები მთავარ ფრონტზე მნიშვნელოვანი იყო — რუმიანცევის მიერ დამარცხებული და დუნაის გაღმა გადასროლილი თურქეთის მთავარი ძალები გატყდა და იძულებული გახდა თავდაცვით ტაქტიკას დასდგომოდა;

რუსეთის მეორე არმიამ ყირიმი დაიკავა და თათრები მზად იყვნენ საბოლოოდ ჩამოცილებოდნენ თურქეთს. მეორე მხრივ, იზრდებოდა ომის საფრთხე შვეციიდან, ავსტრიის პოზიციაც მეტად საეჭვო ჩანდა; რუსეთის არმიაც მოღლილი იყო და შევსებას საჭიროებდა. რუსეთის მთავრობის გავლენიან წრეებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, ესარგებლათ თურქეთთან ომში მოპოვებული წარმატებებით და რუსეთის მხრით გარკვეულ დათმობებზე წასვლით ცდილობდნენ ზავი დაედოთ თურქეთთან. ასეთ ვითარებაში საქართველოდან საომარი მოქმედების გაშლის პერსპექტივამ საგრძნობლად იკლო.

ეკატერინემ, გაითვალისწინა რა ზემოაღნიშნული გარემოებანი, მიზანშეწონილად ცნო სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება და 1772 წლის 25 იანვარს სამხედრო კოლეგიას უბრძანა საექსპედიციო კორპუსი საქართველოდან გაეწვია, ხოლო ზედმეტი საჭურველი სოლომონ მეფისთვის დაეტოვებინა. ამასთან, რუსეთის მთავრობამ საჭიროდ ჩათვალა, საქართველოში დაეტოვებინა თავისი წარმომადგენელი კაპ. ი. ლვოვი.

1772 წლის 4 თებერვლის წერილით ეკატერინე II სოლომონ მეფეს აცნობებდა: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მთავრობას ცდა არ დაუკლია და ხარჯიც გასწია, საქართველოდან საომარ კამპანიას რაიმე მნიშვნელოვანი შედეგები არ მოჰყოლია, ამიტომ საქართველოში ჩვენი ჯარის დატოვება ზედმეტად მიგვაჩნია და საჭიროდ ვთვლით მის უკან გაწვევას, რათა გამოვიყენოთ იგი იქ, სადაც ნამდვილად შეუძლია სარგებლობა მოიტანოსო.

უკან იწვევდა რა საექსპედიციო კორპუსს, რუსეთის მთავრობა ცდილობდა, თურქეთთან ომის დამთავრებამდე გამოეყენებინა ქართველთა ძალები თურქეთის წინააღმდეგ. ამ მიზნით ეკატერინე II სოლომონ მეფეს აცნობებდა: თანახმად შენი თხოვნისა, მომარაგებული იქნები; პორტასთან ზავის დადებისას იმერეთი დავიწყებული არ იქნებაო.

ერეკლესთან იმავე რიცხვში გაგზავნილი წერილში კი ეკატერინე აღნიშნავდა: თუმცა ქართველები ჩვენს მოწოდებას და დახმარებას არსებითად ვერ გამოეხმაურნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პორტასთან ზავის დადებისას საქართველოს დაცვაზე ვიზრუნებთო. ეკატერინე ჰპირდებოდა ერეკლეს: თუ რაიმეს დაპყრობას შეძლებთ, შეეცდებით პორტასთან ზავით სამუდამოდ დაგიმკვიდროთ თქვენ მიერ დაკავებული ადგილებიო.

გარდა ამისა, რუსეთის მთავრობა საქართველოში მყოფ თავის წარმომადგენელს, კაპ. ლვოვს ავალებდა ქართველ მეფეებზე ზეგავ-

ლენას, რათა ამ უკანასკნელთ გაეგრძელებინათ ომი თურქეთის წინააღმდეგ.

რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილება ქართველმა პოლიტიკოსებმა 1772 წლის აპრილში შეიტყვეს, რასაც უდიდესი გულისტკივილით შეხვდნენ. ეს მეტად მძიმე იყო ერეკლე მეფისთვის, რომელსაც ომის წინ საგარეო საკითხები შედარებით მოწესრიგებული ჰქონდა და ომში მონაწილეობის გამო მეზობლები მტრად გაიხადა. მიზანი კვლავ მიუღწეველი რჩებოდა. აქვე უნდა დაენახა მეფეს რუსეთში სპეციალური მისიით ახლახან გაგზავნილი ელჩების მოსალოდნელი წარუმატებლობაც.

1772 წლის 21 აპრილს ერეკლე მეფე ნ. პანინს სწერდა: „საქართველოში ქრისტიანობა მოისპობის და სრულებით აღოჴრდების, თუ ეს კორპუსი აქეთგან უკმობრუნდების“. ერეკლე მორალურად ავალდებულებდა რუსეთის მთავრობას, მაგრამ ასეთი მოტივებით დიპლომატიასა და სახელმწიფოთა ურთიერთობაში როდი ხელმძღვანელობენ. საქმე გადაწყვეტილი იყო.

1772 წლის 5 მაისს რუსეთის საექსპედიციო კორპუსი ქუთაისიდან გავიდა. იგი სოლომონ მეფემ ქართლის საზღვრამდე მიაცილა, მოამარაგა ტრანსპორტით და 26 მაისს იმერეთის მეფე რუსის ჯარს „თვალცრემლიანი გაშორდა“. 31 მაისს კორპუსი ცხინვალში იყო, მალე ქართლიც დატოვა და გეზი რუსეთისკენ აიღო. 1772 წლის 2 ივნისს ერეკლე მეფე გრაფ ჩერნიშევს სწერდა: „...უნამეტნავესისა სიხარულითა და საცინელის საქმითა გვყვედრიან და გვეუბნებიან: ვისგანაც სასოება გქონდათ — მიგეფარათ და ნუღარ სასოებთ მათგანაო, — ამისებრითა სიტყვითა ნიშნს გვიგებენ წარმართნი“.

მტრებისთვის თვალის ასახვევად ერეკლეს ყალბი ცნობა გაუვრცელებია, თითქოს მან ლევან ბატონიშვილისგან შეიტყო, რომ რუსეთი გაწვეული ჯარის ნაცვლად ახალ ჯარს გზავნიდა საქართველოში.

რუსეთის კორპუსი ჯერ კიდევ საქართველოს ტერიტორიაზე იყო, როცა თურქეთთან დროებითი ზავი ძალაში შევიდა. 1772 წლის 1 ივნისს რუმიანცევმა ცნობა გამოუგზავნა სუხოტინს დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ. ცნობა დიდი ვეზირის ბრძანებასთან ერთად სუხოტინს 5 ივლისს მიუღია კავკასიის მთებში და გამოუგზავნია კაპ. ლვოვისა და ერეკლე მეფისთვის. კაპ. ლვოვმა 10 ივლისს ცნობა გაუგზავნა ახალციხის ფაშას, რომელსაც იმავდროულად მიუღია რუმიანცევის ბრძანება რუსეთის ჯარისადმი. ქართლ-კახეთის სამეფოსა და ახალციხის საფაშოს შორის დროებითი ზავი ჩამოვარდა. მაგრამ ფაშას დროებითი ზავი არ დაუცავს იმერეთის მიმართ. მან

იმერეთს ლეკების რაზმი შეუსია, რომელიც სოლომონ მეფემ სასტიკად დაამარცხა. ამის შემდეგ დროებით ზავი იმერეთის სამეფოსთანაც შევიდა ძალაში. კაპ. ლვოვი 1772 წლის 29 სექტემბერს აუწყებდა რუსეთის მთავრობას: დროებითი ზავი „დღემდე საჭირო სიზუსტით ნამდვილად სრულდებაო“.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ჯარი თითქმის სამი წელი იყო საქართველოს ტერიტორიაზე, რუს-ქართველთა ჯარის ერთობლივი მოქმედება ვერ განხორციელდა, ამიტომ საქართველოს ფრონტზე ფართო მასშტაბის ოპერაციების გაშლა შეუძლებელი აღმოჩნდა. ეკატერინე და პანინი, ქართველ მეფეებთან გამოგზავნილ წერილებში, საქართველოს ფრონტზე წარუმატებლობასა და ერთობლივი შეთანხმებული მოქმედების მიუღწევლობის ძირითად მიზეზად ქართველ პოლიტიკოსებს შორის უთანხმოებას ასახელებდნენ.

მართალია, ქართველ მეფეებს შორის ინტერესთა სხვაობას მართლაც ადგილი ჰქონდა, მაგრამ ეს არ ყოფილა ისეთი დაბრკოლება, რომლის დაძლევა შეუძლებელი ყოფილიყო: ჯერ ერთი, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ქართველი მეფეები ტოტლებენს შეთანხმებული დახვდნენ; კიდევ მეტი, სოლომონსა და ერეკლეს შორის განხეთქილების მიზეზად სოლომონ მეფე გენ. ტოტლებენს ასახელებდა; კაპ. იაზიკოვი და კაპ. ლვოვი არაერთგზის მიუთითებენ, რომ ტოტლებენს არ სურს მეფეებთან ერთობლივი მოქმედებაო, მაგრამ არსად არ წერენ, რომ სოლომონსა და ერეკლეს ერთად მოქმედება არ სურდათო; მეორე, საექსპედიციო კორპუსის გაწვევის შემდეგ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ქართველი მეფეები კვლავ შეთანხმდნენ და 1773 წელს ერთად ილაშქრეს ახალციხის მიმართულებით. ზემოაღნიშნული ფაქტები ცხადყოფენ, რომ ქართველი მეფეების ურთიერთ-შეთანხმება, მათი ერთობლივი მოქმედება შესაძლებელი იყო, მხოლოდ საჭირო იყო საომარი მოქმედების გაშლისთვის შერჩეულიყო ისეთი მიმართულება, რომელიც უზრუნველყოფდა ქართველთა ძალების ერთად მონაწილეობას.

გარდა ამისა, საექსპედიციო ჯარის სარდლებს, თუ სურდათ ქართველების გამოყენება ომში, ყურადღება უნდა მიექციათ საქართველოში უძლიერესი პოლიტიკური ერთეულის, ქართლ-კახეთის სამეფოს, სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის. ტოტლებენმა და მოურავოვმა კარგად გაიგეს ეს და 1769 წლის შემოდგომაზე, რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით, უდავოდ სწორი ნაბიჯი გადადგეს, როდესაც რუსეთის მთავრობა აიძულეს, ერეკლეს თხოვნისთვის ჯარის გადიდების თაობაზე ანგარიში გაეწია.

ამასთან, ტოტლებენმა ახალციხეზე ლაშქრობა დაგეგმა, მაგრამ 1770 წელს, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ტოტლებენმა უღალატა ერეკლე მეფეს, რუსეთის მთავრობას და საკუთარ საზეიმო განცხადებებსაც კი, რის გამო ახალციხის მიმართულებით საომარი მოქმედება ჩაიშალა.

მიუხედავად იმისა, რომ ტოტლებენის ყალბი მოხსენებებითა და 1770 წელს საქართველოში მომხდარი ამბებით რუსეთის მთავრობა შეცდომაში იყო შეყვანილი, მაინც რუსეთის მთავრობის ყურადღების ცენტრში ერეკლესთან (როგორც საქართველოში უძლიერეს „მფლობელთან“) ურთიერთობის საკითხი იდგა. მართალია, ა. სუხოტინის შეცდომა ჯარის მდგომარეობამ და იმ უნდობლობამ შეამზადა, რასაც ტოტლებენის ინფორმაციებით გაბრუებული ეკატერინე მას წინასწარ უნერგავდა ქართველების მიმართ, მაგრამ სუხოტინს რომ ერეკლეს ახალციხეზე ლაშქრობის გეგმა მიეღო, განა ერთობლივი მოქმედება უზრუნველყოფილი არ იქნებოდა? თვით სუხოტინის მოწმობით საეჭვო არ ხდება, რომ ერეკლეს გეგმას, სუხოტინს რომ მხარი დაეჭირა, მიიღებდა სოლომონ მეფეც.

სუხოტინს არ ესმოდა, თუ რატომ იყო სოლომონ მეფე ყველაფერზე მზად „განუსჯელად“. იმერეთის სამეფოსთვის ახალციხეს ფოთზე ნაკლები მნიშვნელობა როდი ჰქონდა, სოლომონ მეფემ კარგად იცოდა, რომ თურქები უფრო ფეხმოკიდებული იყვნენ ახალციხეში, საიდანაც იმერეთს ძირითად დარტყმას აყენებდნენ. აი, ამიტომ იყო სოლომონ მეფე „განუსჯელად“ ყველაფერზე მზად. ამიტომ იყო, რომ რუსეთის ჯარის გაწვევის შემდეგაც სოლომონ მეფემ ერეკლეს გეგმა მიიღო და 1773 წელს მასთან ერთად ახალციხის მიმართულებით ილაშქრა.

რაც შეეხება ერეკლე მეფეს, მისთვის ფოთზე ლაშქრობას არსებითად არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. იგი ქართლ-კახეთის სამეფოს არაფერს მატებდა.

თურქეთის წინააღმდეგ ომში ქართველთა ძირითადი ძალების გაერთიანება და წარმართვა შეიძლებოდა მხოლოდ ახალციხის მიმართულებით, რაც წარმატების უტყუარი გარანტია იყო. ამაზე უარის თქმა ერთობლივი მოქმედების განუხორციელებლობისა და საქართველოს ფრონტზე წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ რუს-ქართველთა ჯარის ერთობლივი მოქმედება და ფართო მასშტაბის ოპერაციების ჩატარება შეუძლებელი აღმოჩნდა, რუსეთის ჯარის ყოფნას საქართველოში უშედეგოდ არ ჩაუვლია. მცირე საექსპედიციო რაზმის კორპუსად გადაქცევით

რუსეთის მთავრობა გარკვეულ დათმობაზე წავიდა ერეკლეს წინაშე, რამაც განაპირობა ერეკლე მეფის ჩაბმა ომში. ასპინძის ბრძოლამ წელში გატეხა ახალციხის ფაშა და შესაძლებლობა წაართვა მას იმერეთის ციხეების დასაცავად აქტიურად გამოსულიყო, რამაც უზრუნველყო თურქი ოკუპანტების იმერეთიდან განდევნა. ამას კი უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო დასავლეთ საქართველოს, არამედ მთელი ქართველი ხალხისათვის.

საექსპედიციო კორპუსის საქართველოში ყოფნა ცოცხალი განსახიერება იყო რუსი ხალხის კავშირისა ქართველ ხალხთან. ტოტლებენის ავანტურასა და სუხოტინის უტაქტო საქციელს არ შეურყევიათ ქართველი პოლიტიკოსების რწმენა დიდი რუსეთის მიმართ; ისინი რუსეთიდან კვლავ ახალი ჯარის მისაღებად იბრძოდნენ, რათა მისი დახმარებით მშობლიური მიწიდან უცხო დამპყრობლები განედევნათ.

ლევან ბატონიშვილისა და ანტონ კათალიკოსის ელჩობა რუსეთს. საომარი მოქმედების განახლება. ომის დასასრული.

სამხრეთ საქართველოს განთავისუფლების საკითხი, რისთვისაც ერეკლე ომში ჩაება, გადაუჭრელი რჩებოდა. გადაუჭრელი რჩებოდა ერეკლეს მეორე ამოცანაც — ლეკთა საკითხიც, რომლის მოგვარება სცადა მეფემ რუსეთის ჯარის დახმარებით. ლეკი აბრაგების ავაზაკური თარეშის ალაგმვის გარეშე ქართლ-კახეთის აღორძინება შეუძლებელი იყო, ხოლო ეს საქმე ჭარ-ბელაქნის დაპყრობით უნდა დაწყებულიყო.

1770 წლის ოქტომბერში ერეკლემ რუსეთის მთავრობას თხოვნით მიმართა: თუ მომავალ ზამთარს რუსთა ჯარი ქართლში დადგებოდა და ამავე დროს ახალციხის მიმართულებით ლაშქრობას არ ისურვებდა, მაშინ მეფეს ჭარ-ბელაქნის დაპყრობაში მაინც დახმარებოდა. ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა.

1771 წლის დეკემბერში ქართლ-კახეთის სამეფო კარზე გადაწყდა, რომ რუსეთთან ურთიერთობის საკითხში ახალი ნაბიჯი გადაედგათ და ამ მიზნით ლეონ ბატონიშვილი და ანტომ კათალიკოსი რუსეთში გაეგზავნათ, რათა რუსეთის მთავრობისათვის წარედგინათ ხელშეკრულების პირობები, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლას აპირებდა.

ხელშეკრულების პროექტით, რომელიც 1771 წლის 30 დეკემბერს შეუდგენიათ, ერეკლე რუსეთის მთავრობას შემდეგ პირობებს

უყენებდა: 1) რუსეთს უშუალოდ ქართლ-კახეთში გამოეგზავნა ოთხიათასიანი ჯარი, რომ მასთან ერთად ებრძოლათ თურქეთის წინააღმდეგ; 2) მიეღოთ ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობის ქვეშ სამუდამოდ, ოღონდ იმ პირობით, რომ ერეკლეს „ჩამომავლობის მეფობა...“ საუკუნოდ „უცვალებლად“ დარჩენილიყო; 3) რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო ეკლესიურადაც დამოუკიდებელი უნდა დარჩენილიყო: „მსგავსადვე კათალიკოზიცა წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად“; 4) ყირიმში განთავისუფლებულ ტყვეებს სამშობლოში დაბრუნების ნება დართოდათ; 5) ქართლ-კახეთს მიცემოდა სესხი.

თუ ერეკლეს თხოვნა დაკმაყოფილდებოდა, მეფე რუსეთის მთავრობის წინაშე ვალდებულებას იღებდა: 1) „დღეს ჩვენს ქვეყანაში, რომლისაც ნივთის მადანი არის, და ან გამოჩნდება, იქიდამ სარგებელი მოიპოვება ნახევარი თქვენის დიდებულების ხაზინას მიერთმეოდეს“; 2) „... რაც ჩვენს მორჩილებას ქვეშ კაცნი არიან, ყოველწლივ ამათგან კვამლზედ თოთხმეტი შაური საჴელწმიფოთ აიღებოდეს და მოგერთმეოდესთ“; 3) „...ღვინოს, რიცხვით ორი ათას ვედრას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში რჩეული ღვინით იშოება, ყიზლარს ჩვენი ხარჯით მივიტანთ საჴელმწიფოთა“; 4) „რაც ამ ქვეყანაში რჩეული ცხენი იშოება — თოთხმეტი ცხენი ნიადაგ წელიწადს ყოვლად დიდებულებასა თქვენსა მიეთმეოდეს“; 5) „როდესაც ძალითა და შეწევნითა თქვენისა დიდებულების კორპუსისათა, რაც ოსმალთაგან წართმეული მამულები გვაქუს და იმ ადგილებს დავიჭერთ იმათ მოგართვან ხარჯი თქვენ ყოვლად დიდებულსა ჴელმწიფესა. რაც რომ რუსეთის იმპერიაში თავადს ყმა აძლევს, იმისი ნახევარი“; 6) „თუ რომ კახეთის წართმეული ადგილები (საინგილო — ვ. მ.) დავიჭირეთ ... ამასაც, როგორც ზემორე დაგვიწერია, იმ სახით ვამსახურებთ: კომლზე თოთხმეტ შაურს წელიწადში, და იმავე ადგილებიდან წელიწადში აბრეშუმს ორას ფუთს იმ ქვეყნებიდან, და, თუ მეტი შევიძელით, მეტს მოვართმევთ დიდებულობასა თქვენსა“; 7) როდესაც ქვეყნის მდგომარეობა გაუმჯობესდება, ჯარზე დახარჯული ფული დაუბრუნდება ხაზინას; 8) როდესაც ქვეყანა დამშვიდდება, „რაც რუსეთის იმპერიაში სულზედ სალდათი აძეს, ჩვენ იმდენს კვამლზედ მივართმევთ სალდათს დიდებულებასა თქვენსა“; 9) თუ ზემოაღნიშნული თხოვნა შესრულდება „...მოვართმევთ ძესა ჩვენსა რომელსამე და ეგრეთვე რაოდენსამე კნიაზსა თქვენს ყოვლად დიდებულსა ჴელმწიფესა და აზნაურთაცა შეძლებისაებრ ჩვენისა“.

ხელშეკრულების პროექტში ხშირად მეორდება, რომ ყველაფერი

ეს ემსახურება მტრისგან მიტაცებული ქართული ოლქების განთავისუფლების საქმეს და ვალდებულებებიც ამ ოქლების მოსახლეობის სახელითაცაა აღებული; საგანგებოდ ხაზგასმულია: „კუალად ვედრებით მოვახსენებთ თქვენს ყოვლად მოწყალებასა, რათა ამავე ზაფხულსა არ უტეონ დაუპყრობელად ქვეყანა ახალციხისა, და უკეთუ შერიგება მოხდეს თქვენის დიდებულებისა და სულტანისა, მაშინაც გარეთ არ დარჩეს ქვეყანა ახალციხისა, ვინაიდგან საქართველოს მიწა არის და ქართული ენა აქუსთ, და მრავალნი ქრისტიანენი არიან ამათში და სხუანიცა ახალნი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ“. ამასთან ერეკლე პრეტენზიას არ აცხადებდა სხვისი მიწა-წყლის მითვისებაზე: „უკეთუ ღ˜თითა და ბედნიერობითა თქვენითა, რომელიც სხვა მტრის ქვეყანა თქვენის დიდებულების კორპუსის ძალით დავიჭიროთ, ამისი სრულიადი ნება თქუჩნის დიდებულებისა არის“. ასეთია ერეკლეს მიერ წაყენებული პირობები.

მართალია, სამეფო რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ გარკვეულ მსხვერპლს იღებდა, მაგრამ პირობები, რომელსაც ერეკლე რუსეთის მთავრობას სთავაზობდა, არ ზღუდავდა მას, რომ ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეებში დამოუკიდებლად ემოქმედა. ამავე დროს, ამ მსხვერპლს ქვეყანა იღებდა რუსეთიდან დამხმარე ჯარის და სესხის მისაღებად, რომ ამით მტრის ხელიდან გამოეგლიჯა ქართული მიწა-წყალი და უზრუნველეყო ქვეყანის მომავალი. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ აქ მარტო ქართული მიწების განთავისუფლების საკითხი კი არ დგას, არამედ თვით ქართლისა და კახეთის თავდაცვის.

ქართლ-კახეთის სამეფო კარს საჭიროდ ჩაუთვლია, მცხეთაში გადასულიყო და იქ, ძველ სატახტოში, 1772 წლის 6 იანვარს **პირობა** შეედგინა, სადაც ნათქვამი იყო: როგორ წარმატებასაც არ უნდა მივაღწიოთ თურქეთთან და ირანთან ბრძოლაში, რუსეთის ერთგულებაზე ხელს არ ავიღებთო. პირობას ხელი მოაწერეს და ბეჭედი დაუსვეს: ერეკლემ, დარეჯან დედოფალმა, ანტონ კათალიკოსმა და გიორგი, ლეონ, ვახტანგ და იულონ ბატონიშვილებმა.

საგანგებო ამოცანითა და ფართო რწმუნებით აღჭურვილი ქართველი ელჩები 1772 წლის იანვარში საქართველოდან წავიდნენ და 6 მარტს ასტრახანში ჩავიდნენ. ელჩები ჯერ კიდევ გზაში იყვნენ, როცა ასტრახანის გუბერნატორმა ბეკეტოვმა მათი ყიზლარში მისვლის ცნობა მიიღო. პეტერბურგში ამ ცნობის მიღებამდე გადაწყვეტილი ჰქონდათ საქართველოდან საექსპედიციო კორპუსის

გაწვევა, ამიტომ სახელმწიფო საბჭომ 1772 წლის 23 თებერვლის სხდომაზე გადაწყვიტა ელჩების ასტრახანში შეჩერება. ერთი სიტყვით, ელჩების პეტერბურგში გაგზავნა თუ საქართველოში მათი დაბრუნება ვითარებაზე იყო დამოკიდებული.

დუნაის სამთავროების საკითხში რუსეთის მთავრობის მხრით დათმობაზე წასვლის შემდეგ რუსეთი და თურქეთი მზად იყვნენ დაეწყოთ საზავო მოლაპარაკება. 1772 წლის 19 მაისს მათ ხელი მოაწერეს კიდეც დროებით ზავს და მოლაპარაკების ადგილად შეარჩიეს ფოკშანი (რუმინეთი).

ავსტრიის მტრული პოზიცია, ომის საფრთხე შვეციიდან და პირველი არმიის არასახარბიელო მდგომარეობა აიძულებდა რუსეთს გარკვეულ დათმობაზე წასულიყო. მაგრამ რუსეთის მთავრობამ ისიც იცოდა, რომ თურქეთი რუსეთის ძირითად მოთხოვნებზეც ადვილად როდი დათანხმდებოდა, მოსალოდნელი იყო საზავო მოლაპარაკების წარუმატებლობაც. რუსეთის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა ასეთ ვითარებაში საომარი ოპერაციების დუნაის გაღმა გადატანითა და კონსტანტინოპოლზე დარტყმით აეძულებინა თურქეთი დათმობაზე წასულიყო. ამ შემთხვევაში შეიძლებოდა საჭირო გამხდარიყო ერეკლესთვის ანგარიშის გაწევაც, მაგრამ, თუ საზავო მოლაპარაკება სასურველი გზით წარიმართებოდა, ერეკლეს ელჩების სამეფო კარზე მიღება, ცხადია, თურქებს გააღიზიანებდა და ზედმეტ სირთულეებს შექმნიდა.

გარდა ამისა, რაკი რუსეთის მთავრობა თავის წარმომადგენლებს უფლებას აძლევდა საზავო კონფერენციაზე დათმობაზე წასულიყვნენ (გარდა მოლდავეთისა და ვლახეთისა) საქართველოს საკითხშიც, ბუნებრივია, ქართველი ელჩებისთვისაც რაიმე გარკვეული პასუხის მიცემაც არ შეეძლოთ საზავო მოლაპარაკების დამთავრებამდე.

ავსტრია იბრძოდა თურქეთის იმპერიის მთლიანობის შესანარჩუნებლად, პრუსია კი რუსეთს მხარს უჭერდა თათართა საკითხსა (ყირიმის სახანოს დამოუკიდებლობის აღიარება) და შავ ზღვაზე ნაოსნობის უფლების მოპოვებაში (იგულისხმება, რომ სხვა საკითხებში, ისევე როგორც ვლახეთისა და მოლდავეთის საკითხში, პრუსიაც, ავსტრიასთან ერთად, თურქეთის მხარეზეა).

ბუნებრივია, რუსეთის დიპლომატია მძიმე მდგომარეობაში იყო, ამიტომ მან უკან დაიხია არა მარტო ვლახეთისა და მოლდავეთის, არამედ საქართველოს საკითხშიც. ამიტომ, თუმცა ინსტრუქციის მე-5 მუხლში საკმაო მტკიცება იყო ქართველთა ინ-

ტერესების (დასავლეთ საქართველოს) სასარგებლოდ, მაგრამ კონგრესზე მიმავალ წარმომადგენლებს ინსტრუქციაში ისიც ჩაუწერეს: თურქეთის ზავზე დასათანხმებლად უფლება გეძლევათ, დათმოთ არა მარტო მოლდავეთისა და ვლახეთის საკითხში, არამედ აგრეთვე: «...согласиться в рассуждении грузинских владетелей на востановлении с ними границ, как они до войны были, только бы по последней мере избавлены оны были навсегда утвердительно безчеловечной подати христианскими девками, взыскаваемой от них пашами турецкими».

1772 წლის ივლისის ბოლოს ფოკშანში დაიწყო საზავო კონფერენცია, თურქები დათმობაზე არ წავიდნენ და 28 აგვისტოს მოლაპარაკება ჩაიშალა. თურქეთის მთავრობამ ისევ ითხოვა დროებითი ზავის გაგრძელება. 1772 წლის 29 ოქტომბერს რუსეთისა და თურქეთის წარმომადგენლები შეიკრიბნენ ბუქურეშტში, სადაც გადაწყდა დროებითი ზავის გაგრძელება 1773 წლის 9 მარტამდე და ხელახალი მოლაპარაკება დაიწყო.

მართალია, საზავო მოლაპარაკება ბუქურეშტში 1772 წელს არ დამთავრებულა, მაგრამ მთელ რიგ საკითხებზე შეთანხმება მიღწეული ჩანდა; რაც მთავარია, საქართველოს საკითხზე წინასწარი მოლაპარაკება დეკემბერში დამთავრებული იყო. ქართველი ელჩები კვლავ კატეგორიულად მოითხოვდნენ: ან პეტერბურგში მიეღოთ, ან სამშობლოში დაებრუნებინათ. ასეთ ვითარებაში რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა ქართველი ელჩების მიღება. 1772 წლის 30 დეკემბერს ნ. პანინი აცნობებდა ბეკეტოვს რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებას ელჩების პეტერბურგში გაშვების შესახებ.

1773 წლის იანვრის ბოლოს ლეონ ბატონიშვილი და ანტონ კათალიკოსი ასტრახანიდან პეტერბურგისკენ გაემგზავრნენ. გზაფხულზე ისინი პეტერბურგში იყვნენ. 27 აპრილს ელჩებმა წერილობით აცნობეს პანინს ერეკლეს გადაწყვეტილება რუსეთის მფარველობაში შესვლის თაობაზე. ელჩების ზემოხსენებულ წარდგინებაში ზუსტად მეორდებოდა ის პირობები, რომელსაც ერეკლე 1771 წლის 30 დეკემბრით დათარიღებული ხელშეკრულების პროექტით სთავზობდა რუსეთის მთავრობას.

ერეკლეს წინადადების მიღება რომ რუსეთს არ შეეძლო, ეს რუსეთის მთავრობისთვის იმთავითვე ცხადი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვითარების შეცვლამ ქართველი ელჩებისთვის პეტერბურგიც მეორე ასტრახანად აქცია — რუსეთის მთავრობას, თურქეთთან საზავო მოლაპარაკების ჩაშლის (1773 წლის მარტი) შემდეგ, ქართველი

ელჩებისთვის უარყოფითი პასუხის მიცემა და მათი დაუყოვნებლივ სამშობლოში გამოსტუმრება, როგორც ჩანს, მიზანშეწონილად მიუჩნევია.

* * *

საქართველოს ფრონტზე დროებითი ზავის ჩამოვარდნის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სერიოზული საფრთხე გაუჩნდა ლეკთა თარეშის გაძლიერების გამო, რაშიც, უთუოდ, თურქების ხელიც ერია.

1772 წლის 27 აგვისტოს ერეკლე მეფე ზემო ქართლის სარდალს — **რევაზ ამილახვარს** — ქვეყნის თავდაცვის მიზნით ატენის ხეობაში ოთხ ადგილას ყარაულების დაყენებას ავალებდა. ხოლო 28 აგვისტოს მასვე აცნობებდა უჯარმაში ლეკის ქვეითი ჯარის შემოჭრის ამბავს და ავალებდა სოფლები გაეფრთხილებინა, მოსალოდნელ საფრთხეს მოუმზადებელი არ შეხვედროდნენ.

1773 წლის მარტში ხუნძახის ბატონი ნურსალ-ბეგი ლეკების დიდი ჯარით შეიჭრა ქიზიყში, სადაც სასტიკი დამარცხება იგემა. დამარცხებულ ნურსალ-ბეგს ჯარი შემოეფანტა და მცირე რაზმით ბელაქანში დაბრუნდა, საიდანაც ერეკლეს კვლავ შერიგებას სთხოვდა.

ლეკთა დიდი შემოტევის საფრთხემ გაიარა.

როგორც ერეკლეს წერილებიდან ირკვევა, დროებითი ზავის დროს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ხანებთან კარგი ურთიერთობა ყოფილა და ქართლ-კახეთის მეფე არბიტრის როლსაც ასრულებდა. რაც შეეხება ახალციხის ფაშას, მან დროებითი ზავი არ დაიცვა. ნურსალ-ბეგის კახეთის საზღვართან მოახლოებით ფაშამ ისარგებლა და 1772 წლის შემოდგომაზე ქართველი თავადის — **ხიდირბეგიშვილის** მეთაურობით ქართლში გამოგზავნა მოთარეშე რაზმები, რომელთაც ცხინვალისა და სურამის მიდამოები დაარბიეს და ტყვეებიც გაიტაცეს.

ამასობაში რუსეთიდანაც ახალი ცნობები მოვიდა, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. გარდა ამისა, 1773 წლის მაისში შეიტყვეს, რომ ლევან ბატონიშვილი „ჰაშტრახანიდამ ოცდა ხუთის კაცით დიდის პატივით წაუყვანიათ კარზე“. ასეთ ვითარებაში, 1773 წლის ივლისის ბოლოს, ერეკლე II და სოლომონ I ერთმანეთს შეხვდნენ, რაც დამთავრდა სამხედრო შეთანხმებით, რომლითაც მეფეებმა ურთიერთდახმარება იკისრეს და გადაწყვიტეს ერთადვე ელაშქრათ ახალციხის მიმართულებით.

ეს ლაშქრობა აგვისტოს ბოლოსთვის იყო განსაზღვრული, მა-

გრამ ქართველ მეფეთა შორის სამხედრო შეთანხმებით შეშფოთებული ახალციხის ფაშა ამოქმედდა. მან ერეკლეს ნურსალ-ბეგი და ჭარელები დაუპირისპირა, სოლომონს — დადიანი და აფხაზები, ხოლო ახალციხის მხრიდან მოთარეშე რაზმების გაგზავნა დაიწყო. ამის გამო ერთობლივი ლაშქრობის განხორციელება ოქტომბრამდე არ მოხერხდა.

ბოლოს, მეფეები, ქვეყნის დასაცავად ჯარის გარკვეული კონტინგენტის გამოყოფის შემდეგ, ქართლში შეიკრიბნენ. რადგან ახალციხის ფაშამ ბორჯომის ხეობაში გზების შეკვრა მოასწრო, მეფეებმა ლაშქრობის მიმართულება შეცვალეს და გორიდან ჯავახეთში შეიჭრნენ (თუმცა ახალციხის ფაშას აქაც მოესწრო ციხეებში ჯარების თავმოყრა). 17 ოქტომბერს დაკავებულ იქნა ახალქალაქის გარეუბანი. მტერი ციხეში გამაგრდა. ქართველმა მეფეებმა იცოდნენ, რომ ფაშა ვერ გაბედავდა ციხეებიდან ჯარის გამოყვანას, რადგან ქრისტიანი მოსახლეობის იმედი არ ჰქონდა, ამიტომ მათ ღრმა ლაშქრობა მოაწყვეს ყარსის მიმართულებით და თვით არდაგანამდე მიაღწიეს. მაგრამ სოლომონ მეფის ავადმყოფობის გამო ყარსის მიმართულებით ოპერაციების განვითარება შეუძლებელი გახდა და უკან დაბრუნდნენ.

1773 წელს რუსეთის არმიამ რამდენჯერმე გადალახა დუნაი და დუნაის გაღმა არაერთი ბრწყინვალე ბრძოლა გადაიხადა, მაგრამ ეს გადამწყვეტი არ აღმოჩნდა, ქართველი ელჩებისთვის პასუხის შემდგომი დაგვიანება უხერხული იყო. ამიტომ 1773 წლის ბოლოს რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა ერეკლესთვის უარყოფითი პასუხი გაეგზავნა და რუსეთის წარმომადგენელიც საქართველოდან უკანვე გაეწვია.

რუსეთის მთავრობა ვარაუდობდა, რომ ერეკლეს წინადადების მიღება თურქეთთან ომის გაჭიანურებას გამოიწვევდა და ირანსაც აამოძრავებდა, რაც მისთვის ხელსაყრელი არ იყო. ამიტომ 1773 წლის 31 დეკემბრის წერილით ეკატერინე II ერეკლე მეფეს თავის წინადადებაზე უარყოფით პასუხს უთვლიდა, მაგრამ თან ატყობინებდა მას: ზავის დადებისას თურქეთს ქართველი ხალხის უშიშროების და უვნებლობის პირობას ჩამოვართმევთ, ხოლო ჩვენ მისი შესრულების მეთვალყურეობას ვიკისრებთო.

1774 წლის 5 თებერვალს ბაკუნინმა ლევან ბატონიშვილს ოფიციალურად გადასცა რუსეთის მთავრობის პასუხი, ელჩები დააჯილდოვა და მალე ისინი სამშობლოში გამოისტუმრა (კათალიკოსი 9 თებერვალს გამოემგზავრა, ლევან ბატონიშვილი — 13 თებერ-

ვალს). გამომგზავრების წინ ბატონიშვილმა ნ. პანინს სთხოვა რუსეთის არმიის მიერ ყირიმში განთავისუფლებული ქართველი ტყვეების გამოშვება, რაზედაც უპასუხეს, რომ სათანადო განკარგულება გაგზავნილიაო.

თუმცა ერეკლეს წინადადება რუსეთის მთავრობამ არ მიიღო, მაგრამ შემდეგ იგი საფუძვლად დაედო გეორგიევსკის ტრაქტატის მომზადებას.

1774 წელი საქართველოში თურქების ახალი შემოტევით აღინიშნა, იანვარში ახალციხის ფაშამ 4 ათასიანი კორპუსი იმერეთის ასაოხრებლად გაგზავნა. ფაშას კავშირი ჰქონდა **აბაშიძესა** და **დადიანთან**. აბაშიძემ უმტკივნეულოდ გაატარა თურქ-ლეკთა ჯარები. მტერი, რაკი ზურგში საიმედო ვახანის ციხე ეგულებოდა, ხოლო დასავლეთიდან დადიანის დახმარების იმედიც ჰქონდა, იმერეთის სიღრმეში შეიჭრა. სოლომონ მეფის თხოვნით, ერეკლემ დადიანს კაცი გაუგზავნა და განზრახვაზე ხელი ააღებინა. ამავე დროს ერეკლემ ჯარი შემოიკრიბა და გორიდან იმერეთისკენ დაძვრას აპირებდა. მტერი მიხვდა, რომ ხიფათში გაება და სწრაფად უკანდახევა იწყო. სოლომონ მეფემ რაზმი გაგზავნა და თურქებს უკანდასახევი გზა გადაუჭრა, თვითონ კი ზურგიდან დაჰკრა და სასტიკად დაამარცხა (1774 წლის თებერვალი). იმერლებმა მტერს ადგილზევე მოუკლეს 1.000 კაცი, ხოლო 600 — ტყვედ ჩაიგდეს, შემდეგ დამარცხებულ მოწინააღმდეგეს 20 ვერსზე სდიეს და მათი უმრავლესობა დახოცეს. ტყვედ ჩაუვარდათ ლეკთა წინამძღოლი რაჯაბი, რომელიც სოლომონ მეფემ საჩუქრად გაუგზავნა თავის მოკავშირე ერეკლეს. სამიათას შვიდასი კაციდან ახალციხეში მხოლოდ შვიდასი კაცი დაბრუნდა.

მალე თურქებს აჭარლებიც განუდგნენ. ახალციხის ფაშამ მათი დასჯა გადაწყვიტა და ჯარით შეიჭრა კიდეც აჭარაში, მაგრამ სასტიკი მარცხი განიცადა.

საქართველოს საგარეო ვითარებას უკეთესი პირი უჩანდა.

1774 წლის 10 ივლისს სოფ. კუჩუკ-კაინარჯში რუსეთსა და თურქეთს შორის ზავი დაიდო. მთავარ უბანზე ომი ამით დამთავრდა.

1774 წლის აგვისტოში რუსეთიდან ერეკლეს ელჩები ხელცარიელი დაბრუნდნენ. რუსეთის წარმომადგენელმა ი. ლვოვმა საქართველო დატოვა.

ერეკლემ ჯერ კიდევ არ იცოდა რუსეთსა და თურქეთს შორის ომის დამთავრების ამბავი, ამიტომ 24 აგვისტოს წერილით მეფე ერთხელ კიდევ მოაგონებდა რუსეთის მთავრობას, რომ იგი რუ-

სეთის მთავრობის თხოვნით ჩაება ომში თურქეთის წინააღმდეგ, რის გამოც საგარეო პირობები გართულდა; ამიტომ რუსეთმა ზავის დადებისას ჩვენს დაცვაზე უნდა იზრუნოსო.

თუმცა ოფიციალური ცნობა ომის დამთავრების შესახებ რუსეთიდან საქართველოში 1774 წლის 5 სექტემბერს გამოიგზავნა, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ ომის დამთარების ამბავს საქართველოში აგვისტოს ბოლოს მოეღწია. ამის გამო უნდა მომხდარიყო, რომ 1774 წლის 30 აგვისტოს, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ერეკლეს ახალციხის ფაშასთან წინასწარი ზავი დადებული ჰქონდა.

ამრიგად, საომარი მოქმედება საქართველოს ფრონტზეც დამთავრდა.

რუსეთ-თურქეთის ომის შედეგები და საქართველო

რუსეთ-თურქეთის ომს უშედეგოდ არ ჩაუვლია. კუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთმა მიიღო ქერჩის, ენიკალის და კინბურნის ნავსადგურები, ხოლო რუსეთის ფლოტმა შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის უფლება მოიპოვა. ხანგრძლივი ბრძოლა შავ ზღვაზე გასვლისათვის რუსეთის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა, გარდა ამისა, თურქეთმა, აღიარა რა თათართა დამოუკიდებლობა, დაკარგა მნიშვნელოვანი რეზერვი, რომელსაც რუსეთის წინააღმდეგ იყენებდა. ამიერიდან რუსეთის სამხრეთ რაიონების უშიშროება უზრუნველყოფილად შეიძლებოდა ჩათვლილიყო. დასასრულს, ომის შედეგებმა წინასწარვე გადასწყვიტა ყირიმის რუსეთთან შეერთების საკითხიც.

რუსეთ-თურქეთის ომს არც საქართველოსთვის ჩაუვლია უშედეგოდ. ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების წინ დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა უაღრესად კრიტიკული იყო. იმერეთის მეფე სოლომონ I ომის წინ 12 წელი ებრძოდა თურქებს ტყვის სყიდვის აკრძალვისა და თურქეთის სასარგებლო დამამცირებელი ხარკისაგან (ხარკი ქალ-ვაჟებით) ქვეყნის გასათავისუფლებლად. ეს ბრძოლა 1766 წელს მარცხით (სოლომონ მეფის ტახტიდან ჩამოგდებით) დამთავრდა. 1768 წელს სოლომონ მეფის მიერ მოპოვებული წარმატება, უთუოდ, არარად იქცეოდა, რომ თურქეთი რუსეთთან ომის საშზადისით არ ყოფილიყო დაკავებული. სწორედ ამიტომ დაიხია თურქეთმა უკან და რუსი ელჩების დაპატიმრების დღეს სოლომონ I-ს პატიების ფირმანი გამოუგზავნეს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-

თურქეთის ომის დაწყებამ სისხლიდან დაცლილი იმერეთი გადაარჩინა კატასტროფას და გამაჰმადიანებას, რასაც ასე თავგამოდებით ცდილობდა სულთანი 60-იან წლებში.

ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულება პირველი საერთაშორისო ტრაქტატია, სადაც ომში დამარცხებული თურქეთი „საზეიმოდ და სამუდამოდ“ ხელს იღებს იმერეთის ხარკზე. «Торжественно и на всегда, — ნათქვამია ტრაქტატის 23 მუხლში, — отказывается она (ბრწყინვალე პორტა — ვ. მ.) требовать дани отроками и отроковицами и всякого рода других податей...».

ეს იყო თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ხალხის დიდი გამარჯვება. მართალია, ტრაქტატით დასავლეთ საქართველო კვლავ თურქეთის ქვეშევრდომად რჩებოდა, მაგრამ თურქეთი ვალდებულებას კისრულობდა, **არ შეევიწროებინა დასავლეთ საქართველოში სარწმუნოება და არ დაესაჯა ქართველნი ომში მონაწილეობისათვის,** რაც თურქეთის საშინაო საქმეებში პირველი საერთაშორისო ჩარევა იყო.

ხანგრძლივმა ომმა თურქეთი წელში გატეხა და ერთბაშად მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ აქცია. თურქეთი ვალდებული იყო რუსეთისათვის 4,5 მილიონი მანეთი კონტრიბუცია გადაეხადა, რაც ისედაც ჩამორჩენილ და ეკონომიკურად სუსტ ქვეყანას მძიმედ აწვა. „დამოუკიდებელი“ ყირიმი დღეს თუ ხვალ რუსეთის ხელში უნდა გადასულიყო, რითაც თურქეთი საბოლოოდ უნდა გამომშვიდობებოდა საიმედო რეზერვს.

აფასებდა რა ომის შემდგომ ვითარებას, ნ. ბერძენიშვილი წერდა: „სოლომონ მეფე ვერ დაიმორჩილეს, ვერც იმერეთის ციხეები დაიჭირეს. მეფემ სავსებით მოსპო ტყვეთა სყიდვა, მტკიცე ხელით ალაგმა თავადების აღვირახსნილობა... მეფე შესამჩნევად გაძლიერდა, მისი შიში და პატივისცემა დასჩემდათ დადიანსა და გურიელსაც. ქვეყანა დამშვიდდა და სწრაფად მოშენება იწყო. ათიოდე წელიწადში მოსახლეობამ თვალსაჩინოდ მოიმატა“.

ასეთი გამოდგა ომის შედეგები დასავლეთ საქართველოსათვის, რაც უთუოდ ომში ქართველი ხალხის გმირულმა მონაწილეობამ და რუსეთის მხარდაჭერამ განაპირობა.

მართალია, ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ საქართველოს ვერ უბრუნებდა და ქვეყანა რუსეთის მფარველობაში ვერ შეჰყავდა, მაგრამ მნიშვნელობას მოკლებული არ იყო ის, რომ თურქეთს ამიერიდან ეკრძალებოდა ომში მონაწილე ქართველებისთვის სამაგიეროს გადახდა. თურქეთის მთავრობას ამ

აქტით უნდა გაეგო, რომ ამიერიდან აღმოსავლეთ საქართველოს საკითხი თურქეთ-ირანის ორთაბრძოლის საგნიდან საერთაშორისო საკითხად იქცეოდა და რუსეთის პოლიტიკური ძლიერების ზრდის კვალობაზე ამ უკანასკნელის სერიოზული ყურადღების საგანი ხდებოდა. ეს კი კავკასიაში ირან-თუქრეთის ბატონობას კითხვის ქვეშ აყენებდა. ეს ახალი ძალა მით უფრო ანგარიშგასაწევი და თურქეთისთვის საშიში ხდებოდა, რაც უფრო ახლოვდებოდა ყირიმ-ყაბარდოს რუსეთთან შეერთების საკითხი, რისთვისაც ომმა ნიადაგი საფუძვლიანად მოამზადა.

ყირიმის საკითხის გადაწყვეტით რუსეთმა მტკიცედ იწყო ფეხის მოკიდება ჩრდილოეთ კავკასიაში, რადგან იქ იურიდიული მოცილე არავინ ჰყავდა. ასე განვითარდა მოვლენები საქართველოს ჩრდილოეთით რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, ამან საქართველოსთან რუსეთის ურთიერთობა გააადვილა და გეორგიევსკის ტრაქტატის დადებაც შესაძლებელი გახდა.

ბუნებრივია, ზემოაღნიშნულ მოვლენებთან კავშირში უნდა იქნეს გაგებული თურქეთის დამოკიდებულება ქართლ-კახეთის სამეფოსთან რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ.

ზოგიერთი ისტორიკოსი აწეწილი საგარეო ურთიერთობის მოწესრიგებას მხოლოდ ერეკლეს ნიჭით ხსნიდა. ერეკლეს ნიჭსა და უნარს მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ერეკლეს წარმატებანი საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში 70-იან წლებში მხოლოდ მისი ნიჭით არ აიხსნება. ომმა არსებითად შეცვალა ძალთა თანაფარდობა კავკასიისთვის მებრძოლ დიდ სახელმწიფოებს შორის, რასაც უთუოდ უნდა გაეწიოს ანგარიში, როცა ქართველ პოლიტიკოსთა წარმატებით მოღვაწეობაზე ვლაპარაკობთ XVIII ს. 70-80-იანი წლების მიჯნაზე. ამასთან, ქართველი ხალხის გაბედულ ბრძოლასაც აქ თავისი ადგილი უნდა დაეთმოს.

ერეკლეს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 1774 წლის 30 აგვისტოს ახალციხის ფაშასთან წინასწარი ზავი დადებული ჰქონდა. მალე მოლაპარაკებასაც არ დაუყოვნებია და საქმე წარმატებით დამთავრდა.

***

სამხედრო კავშირი, რომელიც 1768-74 წლების რუსეთ-თურქეთის ომში განხორციელდა, მნიშვნელოვანი ეტაპია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში. მართალია, ამ კავშირს თან ახლდა მთელი რიგი ჩრდილოვანი მომენტებიც (ტოტლებენის ავან-

ტურა, სუხოტინის უტაქტო საქციელი, რუსეთის მთავრობის არაგულისხმიერი დამოკიდებულება ქართველი პოლიტიკოსებისადმი და სხვ.), მაგრამ ეს ოდნავადაც არ არყევდა მოწინავე ქართველ პოლიტიკოსთა რწმენას, *„რომ რუსეთი ერთადერთი დიდი ქრისტიანული სახელმწიფო იყო, რომელსაც ამიერკავკასიაში რეალური პოლიტიკური ინტერესები ჰქონდა და რომ ეს ინტერესები ქართველი ხალხის პოლიტიკურ მისწრაფებას არ ეწინააღმდეგებოდა“* (ნ. ბერძენიშვილი). ამიტომ მასთან კავშირი აუცილებელი იყო, ხოლო საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღვრილი სისხლი განამტკიცებდა რუსი და ქართველი ხალხების საუკუნეობრივ მეგობრობას, ხელს უწყობდა მათს შემდგომ დაახლოებას.



ვალერიან მაჭარაძე

რუსეთის ქართული კოლონიების ისტორიის ზოგიერთი საკითხი (XVIII საუკუნის 60-70-იანი წწ.)[1]

ვალერიან მაჭარაძე, მასალები XVIII ს-ის მეორე ნახევრის
რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისთვის
ნაწილი III, ნაკვეთი II, თბილისი, 1997.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში რუსეთს ქართული კოლონიების (მოსკოვის, ყიზლარის და სხვ.) რიცხვს მოზდოკის კოლონიაც შეემატა. კერძოდ, მოზდოკის ციხე-სიმაგრის მშენებლობას მოჰყვა მთავრობის ზრუნვა მის დასასახლებლად. ამიტომ დაიწყო ყიზლარიდან და მის ახლო პუნქტებიდან ქართველების გადასახლება მოზდოკში, რამაც შეადგინა მოზდოკის ქართული კოლონიის ძირითადი მასა. მოზდოკის დასახლების საქმეში დიდი როლი შეასრულეს თვითონ ქართველებმა და კერძოდ ი. ფიცხელაურმა, რომელიც 1763 წლიდან საგანგებოდ მიემგზავრებოდა მთიელებში (განსაკუთრებით ოსეთში) კოლონისტთა მიზიდვის მიზნით.

რუსეთის ქართული კოლონიების მოსახლეობის ზრდა, ძირითადად, ბუნებრივი გამრავლების გზით ხდებოდა. მართალია, კოლონიებს დროდადრო ემატებოდა ტყვეობიდან გამოქცეული ქართველები, მაგრამ მათი რიცხვი უმნიშვნელო იყო, რაც გაპირობებული იყო ორი გარემოებით: 60-იან წლებში საქართველოში მდგომარეობის გაუმჯობესებით და რუსეთის მთავრობის პოლიტიკით. საქმე ისაა, რომ რუსეთის მთავრობა არავითარ დაბრკოლებას არ უქმნიდა ტყვეობიდან თავდახსნილ ქართველებს სამშობლოში დაბრუნების საქმეში. რუსეთის ჯარმა ბევრი ქართველი ტყვე დაიხსნა, ხოლო მთავრობამ უზრუნველყო მათი სამშობლოში დაბრუნება. საინტერესოა ისიც,

[1] პირველად გამოქვეყნდა: „სამი საუნჯე“, №1(15), 2015.

რომ იყო ცალკეული შემთხვევები, როცა რუსეთის მთავრობის მოხელეები გამოისყიდდნენ ხოლმე ქართველს და ათავისუფლებდნენ. რუსეთის მთავრობა ეხმარებოდა ქართველებს ტყვეობაში მყოფი ნათესავების მოძებნისა და გამოხსნის საქმეშიც.

XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში ქართველი ტყვეები დაღესტნიდან, ჩეჩნეთიდან, ყაბარდოდან და ყირიმიდან რუსეთში გარბოდნენ, რომელთაც რუსეთის მთავრობა დიდ დახმარებას უწევდა სამშობლოში დაბრუნების საქმეში; რაც ხელს უწყობდა ქართველი საზოგადოების ყველა ფენაში რუსეთისადმი ნდობის განმტკიცებას.

ერეკლე მეფე დიდად აფასებდა რუსეთის მთავრობის ამ ღონისძიებას, ამის საუკეთესო დასტურია 1770 წლის შემოდგომაზე ქერიმ-ხანისათვის გაგზავნილი ერეკლე მეფის წერილიც, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ლეკები და ახალციხის ფაშა ქვეყანას ანგრევენ, სულთანი მეფის საჩივარს ყურად არ იღებდა; არც „სპარსეთს დაუდვია ჩემს ჭრილობაზე მალამო“, არც სხვა სახელმწიფოს, ახლობელს თუ შორეულს ჩემთვის დახმარება არ აღმოუჩენია, მხოლოდ რუსეთის იმპერატორი ეხმარება ქართველ ტყვეებს და მისი წყალობით ბრუნდებიან ისინი სამშობლოში და რუსეთთან კავშირს როგორ გავწყვეტო.

რუსეთის ქართულ კოლონიებს 60-70-იან წლებში ქართველ თავადაზნაურთაგან ძალზე ცოტა შეემატა. ესაა ერეკლეს პოლიტიკის უკმაყოფილო იესე მეფის შთამომავალნი: ივანე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი (დიდი სარდლის პეტრე ბაგრატიონის მამა), იესეს ქვრივი მარიამი და მისი შვილიშვილი დიმიტრი ბაგრატიონი და სხვ. გადასახლება, ძირითადად, 1766-1768 წლებზე მოდის, რაც იმით უნდა იყოს გაპირობებული, რომ 1765 წლის შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ ერეკლეს ეჭვები უნდა გაზრდილიყო ბაგრატიონთა ქართლის შტოს შთამომავლებზე და მათაც, ალბათ, ეშინოდათ ხიფათს არ გადაყროდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ მეფის მთავრობა, როგორც მასალებიდან ჩანს, საგანგებოდ არავის ეპატიჟებოდა და არც ხალისით ხვდებოდა, თუმცა თავშესაფარზე უარსაც არ ეუბნებოდა.

ასე რომ, XVIII საუკ. 60-70-იან წლებში რუსეთში ქართული კოლონიების ზრდის საქმეში ტყვეობიდან თავდახსნილ და საქართველოდან გადასახლებულთა წილი უმნიშვნელო იყო.

რაც შეეხება ქართველ კოლონისტთა სამშობლოსადმი დამოკიდებულების საკითხს, აქ არსებითად იგივე მდგომარეობა გვაქვს, რაც 60-იანი წლების დასაწყისში გვქონდა. კოლონისტთა დიდი ნაწილი რუსეთის სამსახურში ჩადგა და თავდადებით ემსახურებოდა ახალ

სამშობლოს, საქართველოს ამბებიდან შორს იდგა; მეორე ნაწილი — ისევ სამშობლოზე ფიქრობდა, ერეკლესადმი ერთგული რჩებოდა და ინფორმაციასაც აწვდიდა; მესამე ნაწილი — ძალზე უმნიშვნელო, ერეკლესადმი მტრობაზე ხელს არ იღებდა, თუმცა ალექსანდრე ბაქარის ძის შერისხვამ მათ თავგზა აუბნია. შემდეგ ამ ჯგუფს შეემატა ალექსანდრე ამილახვარი, რომელმაც 70-იანი წლების მიწურულიდან აქტიური ბრძოლა გააჩაღა.

***

საარქივო მასალებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ XVIII საუკუნის რუსეთის ქართულ კოლონიებში (პირველ რიგში მოსკოვის) სწავლა-აღზრდის საქმე მაღალ დონეზე იდგა. ცხადია, ქართველი ახალგაზრდობა სწავლა-განათლებას რუსულ სასწავლებლებში იღებდა, მაგრამ კოლონიებში საოჯახო აღზრდაც (იქნებ კერძო სკოლებიც არსებობდა) საგანგებო ყურადღების საგანი ყოფილა, ამიტომ XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში მოსკოველი, თუ ყიზლარელი ქართველი ახალგაზრდები, რუსულთან ერთად, შესანიშნავად ფლობდნენ მშობლიურ ენასაც. სწორედ ამის წყალობით რუსეთ-საქართველოს ოფიციალურ ურთიერთობისას გამოიდევნა შუალედური უცხოური ენები (ბერძნული, თურქული, სპარსული) და მათი ადგილი ქართულმა დაიკავა.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში გამოჩნდა მთარგმნელთა მთელი პლეადა: ძმები ამილახვრები, ანტონ მოურავოვი (თარხან-მოურავი), დავით აბაზაძე, ივანე ფიცხელაური და სხვებიმ რომლებიც საკმაოდ კარგად ფლობდნენ ორივე ენას და თარგმნიდნენ, როგორც ქართულიდან რუსულად, ისე რუსულიდან ქართულად. 60-70-იან წლებში შეიქმნა დ. გურამიშვილის პოეტური შედევრების ნაწილი, გ. ბაგრატიონის თხზულებები და სხვ. გრძელდებოდა წიგნების ქართულად თარგმნა და ბეჭდვა, რომელთა ნაწილი საქართველოშიც იგზავნებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველ კოლონისტთა ნაწილი 60-იან წლებში აგრძელებდა საგანმანათლებლო საქმიანობას ჩრდილო ოსეთში (არქიმანდრიტი გრიგოლი და სხვ.), რომელიც 40-იან წლებში დაიწყო.

ქართველი კოლონისტთა უმეტესი ნაწილი რუსეთის სამხედრო სამსახურში იყო, რომლებიც, ქართულ ჰუსართა პოლკის გარდა, რუსეთის არმიის სხვა ნაწილებშიც მსახურობდა. მათგან აღსანიშნავია მოსკოვის ობერკომენდანტი გენერალი ათანასე ბაგრატიონი, პოლკოვნიკი ივანე ვახუშტის ძე ბაგრატიონი, პოდპოლკოვნიკი ნიკოლოზ რატიევი (რატიშვილი), პოდპოლკოვნიკი სიმონ ჩოლოყ-

აევი (ჩოლოყაშვილი), პოდპოლკოვნიკი დავით აბაზაძე და სხვ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველი კოლონისტები, რომლებმაც რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს, სამსახურს მოვალეობის მოხდის ან ჯამაგირის მიღების კუთხით აღარ უყურებდნენ, ისინი მთელ თავიანთ ნიჭს მეორე სამშობლოს კეთილდღეობას ახმარდნენ, მისი ძლიერებისათვის იღვწოდნენ. ამის მაგალითია პოდპოლკოვნიკ ს. ჩოლოყაშვილის, სიმაგრეთა მშენებლისა და არტილერიის ახალი იარაღების შემქმნელის, მოღვაწეობა.

ქართველ კოლონისტთა ნაწილი სამოქალაქო სამსახურში იყო: ძმები ამილახვრბეი, ა. თარხან-მოურავი (სამხედრო სამსახურისათვის თავის დანებების შემდეგ), ი. ფიცხელაური, სერგი ლაშქარევი (ბიბილური) და სხვ.

XVIII საუკუნის 60-70-იანი წლებში ქართველ კოლონისტთა ნაწილს რუსეთის დიპლომატიური დოკუმენტების მთარგმნელებად იყენებდნენ: ამილახვრებს, დ, აბაზაძეს, ა. თარხან-მოურავს, ი. ფიცხელაურს და სხვ. საქართველოსთან კავშირის დასამყარებლად იყენებდნენ არქიმანდრიტ გრიგოლს, ხოლო სერგი ლაშქარევს, როგორც ენების მცოდნესა და მოხერხებულ კაცს, თავი გამოუჩენია კონსტანტინოპოლში რუსული საელჩოს დაპატიმრების შემდეგ, რის თაობაზე ა. ობერსკოვი საგანგებოდ მოახსენებდა მთავრობას და ითხოვდა მის დაჯილდოებას. რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, როცა რუსეთმა მიიღო უფლება თავისი რეზიდენტი ყოლოდა მოლდავიისა და ვალახიის სამთავროებში, პირველ რეზიდენტად ს. ლაშქარევი დაინიშნა.

რუსეთის ქართული კოლონიები დახმარებას უწევდნენ და იკედლებდნენ სამშობლოდან გადახვეწილ თანამემამულეებს. ეს კარგად ჩანს იესე მეფის ქვრივის და მისი შვილიშვილის დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონის მაგალითზე და სხვ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს კოლონიები ფეოდალური ეპოქის ცოცხალი ორგანიზმები იყვნენ, ამიტომ ეპოქის დამახასიათებელი ყველა ნიშანი თავს იჩენდა: ქიშპი ქონების თაობაზე (ბატონიშვილებს შორის), კლასობრივი ბრძოლა და სხვ.

რუსეთის ქართული კოლონიების წყალობით ქართველები რუსეთის ცხოვრებას, კულტურას და ადათ-წესებს ეცნობოდნენ, ხოლო რუსები — ქართველთა კულტურას, ხასიათს და ცხოვრების ნირს. ეს ხელს უწყობდა რუსი და ქართველი ხალხების შემდგომ დაახლოებას.

თეზისები მოამზადა ***გრიგოლ რუხაძემ.***

Р Е З Ю М Е

ВЫПИСКА ИЗ ОПРЕДЕЛЕНИЯ СВЯЩЕННОГО СИНОДА РУССКОЙ ПРАВОСЛАВНОЙ ЦЕРКВИ ОТ 19 НОЯБРЯ 1943 ГОДА

Русская православная церковь находилась в каноническом разрыве с Грузинской православной церковью со времени Февральской революции 1917 года. Причиной разрыва послужило провозглашение автокефалии Грузинской церковью без благословения возглавляющего тогда Русскую церковь Святейшего Правительствующего Всероссийского Синода, поскольку в это время Грузинская церковь иерархически была подчинена Русской церкви. В 1943 году, когда поместными церквями руководили Патриарх Московский и Всея Руси Сергий и Католикос-Патриарх Всея Грузии Калистратэ (Цинцадзе), согласно доброй воле обеих сторон каноническая связь между двумя автокефальными церквями была восстановлена.

В связи с этим достопримечательным фактом в выписке представлено определение Священного Синода России, обращения глав Русской и Грузинской церквей, доклад архиепископа Антона и краткие биографические сведения иерархов Грузинской церкви.

ГУЛБААТ РЦХИЛАДЗЕ

2012: РЕАЛЬНЫЕ ОПАСНОСТИ И ПЕРСПЕКТИВЫ ДЛЯ ГРУЗИИ

В статье на основе теории конструктивизма рассматривается восприятие одним субъектом международной политики, в данном случае Грузией, другого субъекта международной политики – России. Аргументируется вред восприятия России как врага, тогда как на самом деле жизненные интересы грузинского народа, если исходить из необходимости сохранения своей религиозной (православной) идентичности и, к тому же, экономического развития, требуют налаживания добрососедских отношений с Россией. Угрозы для Грузии возникают, на первый взгляд, довольно с неожиданной стороны – Запада, который тотально вмешивается во внутренние дела страны, маскируя это вмешательство «помощью»,

«поддержкой», «партнерством» и т.д. Здесь же рассматриваются вопросы турецко-грузинских отношений, которые только на первый взгляд являются образцовыми, а на самом деле отягощены острыми проблемами.

ТЕМУР МИРИАНАШВИЛИ

МОРАЛЬНАЯ ОЦЕНКА ЗАПАДНЫХ И ВОСТОЧНЫХ ЦИВИЛИЗАЦИЙ

В статье отрицается господствующий взгляд на то, что западная (католическо-протестантская) цивилизация, в отличие от восточной (православной) цивилизации, испокон веков характеризовалась имманентным гуманизмом. Исходя из исторических фактов, этот взгляд насаждается совершенно безосновательно путем западной пропаганды и пиара. Например, для доказательства западного гуманизма приводят тот факт, что по сравнению с Западом на Востоке гораздо больше случаев смертной казни, но это не соответствует действительности.

Автор на фактах доказывает, что правда здесь повернута на 180 градусов. В православном мире требующие отмены смертной казни теории, мораторий на смертную казнь и пресекающий её закон появились гораздо раньше.

Автор касается и других антигуманных преступлений и доказывает, что в католическо-протестантской цивилизации выявлено больше жестокости, чем в других.

ТЕМУР МИРИАНАШВИЛИ

ОТКРЫТОЕ ПИСЬМО ПОСЛУ СОЕДЕНЕННЫХ ШТАТОВ АМЕРИКИ, ГОСПОДИНУ РИЧАРДУ НОРЛАНДУ

Автор в письме, написанном на имя посла США, обращается к адресату с вопросом – почему молчит американское государство, имеющее в мире иммидж знаменосца демократии, о тех антидемократических действиях и правонарушителях, с точки зрения защиты прав человека, которые внедрила в повседневную жизнь, называемая «маяком демократии», нынешная власть Грузии.

ГВАНЦА КОПЛАТАДЗЕ

«КТО РОДИНУ ЛЮБИТ, ЖИЗНЬ ДЛЯ НЕГО БОЙ»

В статье проанализированы происходящие в Грузии за последние три десятилетие явления. Автор разделяет мнение Ильи Чавчавадзе, что нация, желающая сохранить самобытность, должна чувствовать веяния времени и уметь давать соответствующие ответы на его требования. В это время особая ответственность возлагается на интеллигенцию, как на мыслящую часть нации и постольку, ее предводителя. Автор статьи называет те причины (неспособность разбираться в политических явлениях, страх потери престижного положения, нерешительность), из-за которых интеллигенция, в основном, не смогла выполнить свою миссию и до сегодняшнего дня не вывела нацию на мирную тропу.

К сожалению, не смогла изменить картину и деятельность нескольких представителей интеллигенции, которые, в создавшихся условиях, обладали и соответствующими знаниями и храбростью говорить правду. Однако большинство смогло легко перекрыть их голос.

ЗУРАБ ЦУЦКИРИДЗЕ

РОДИНА В ОПАСНОСТИ

Невооруженным глазом явно видно, какая массовая атака осуществляется сегодня на грузинское национальное сознание. Автор статьи рассуждает о том, что стараются выкорчевать наши «доброжелатели» из сознания грузин и что собираются внедрять вместо него. Он указывает на нравственные аспекты, чреватые смертельной опасностью для нашего будущего.

ТЕМУР МИРИАНАШВИЛИ

ПРАВДА О ГРУЗИНО - РОССИЙСКИХ ОТНОШЕНИЯХ В ТЕЧЕНИИ ПОСЛЕДНИХ ПЯТИ ВЕКОВ

В статье опровергаются взгляды вестернофилов, выраженные в известной фразе: «Я грузин, следовательно, я европеец». Автор обосновывает, что грузины ни генетически, ни этнокультурно не

близкородственны не одному из европейскому народу, что признают и западные ученые.

По мнению автора, исторически не подтверждается также утверждение вестернистов, что Грузия всегда стремилась к Европе, а не к России. Приведенные в статье факты подтверждают, что после XV века (распада единоверной Византийской империи), почти все грузинские цари, политические или общественные деятели пытались сблизить нашу страну с Россией.

А после 1801 года все великие грузинские политические и общественные деятели – Н.Бараташвили, Д.Кипиани, Я.Гогебашвили, И.Чавчавадзе – весьма положительно оценивали историческое решение Ерекле I I.

ГУЛБААТ РЦХИЛАДЗЕ

ТРАГЕДИЯ СЕРБИИ И ГРУЗИЯ

В статье дан обзор причин практически безусловной поддержки албанского сепаратизма в Косове со стороны США и их союзников. Причина кроется как в военной стратегии США (освоение военных баз, в том числе и в Косове - база Бондстил), так и в деятельности албанского лобби внутри Соединенных Штатов. Охарактеризован также предвзятый подход Гаагского трибунала по бывшей Югославии к президенту Милошевичу и к представителям сербского народа в целом.

В статье особо отмечается, что разгром Югославии со стороны НАТО и последующее признание Косово западными державами сыграли плачевную роль в контексте территориальной целостности Грузии. «Не было бы признания Косово со стороны западных государств, не было бы и признания Абхазии и Южной Осетии со стороны России», – говорится в статье. Но, кроме того, в статье подчеркнуто, что поведение миротворческих (тех же оккупационных) войск НАТО, допустивших разрушение и осквернение многих православных монастырей на территории Косово, отчасти объясняет поддержку со стороны Запада любых сил антиправославной направленности, будь они в Сербии, России или Грузии. «Запад не так сильно волнуют отдельно взятая Грузия, отдельно взятая Сербия или даже отдельно взятая Россия. Их волнует Православие, как вера и как основа евразийской идентичности», – заключает автор статьи.

ВАЛЕРИАН МАЧАРАДЗЕ

ГЕОРГИЕВСКИЙ ТРАКТАТ

Георгиевский трактат, по которому царство Картли-Кахети (Восточная Грузия) добровольно приняло покровительство России, был первым двухсторонним международным договором во всей многовековой истории русско-грузинских отношений. Этим актом царь Ираклий «именем своим» и «наследников и преемников своих» офоциально объявил, что Восточная Грузия навсегда отказывается признавать верховрую власть и покровительство Персии или иной другой державы, кроме России. Россия же обязывалась защищать Восточную Грузию от внешних врагов и заботиться о возвращении ей захваченных врагами земель, которые впредь будут оставаться во владении грузинских царей.

Георгиевский трактат наметил резкий поворот не только в русско-грузинских, но и грузино-персидских и грузино-турецких отношениях. Георгиевский трактат как международный договор положил начало новому этапу в русско-турецких отношениях по грузинскому вопросу, который резко отличался от многовековых традиционных отношений. Более того, этот акт по-новому ставил кавказскую проблему.

ТИНА ИВЕЛАШВИЛИ

ИСТОРИЯ СОСЛАННЫХ ИЗ МЕСХЕТИ МУСУЛЬМАН

I. *Ахалкалакский уезд.* Проблемы репатриации или отказа от возврата на историческую родину мусульманского населения, т.н. «тюрок месхетинцев», сосланных в 1944 году из Самцхе-Джавахети и выяснения их национальной принадлежности, долгое время тревожит грузинский народ. Об этих проблемах в обществе существуют взаимоисключающие мнения. Взаимосличение и анализ существующих в настоящее время письменных источников, специальной или общей литературы, документов, архивных материалов и обнаруженных и зафиксированных в течении многих лет этнографических материалов, дают возможность, раз и навсегда, определить кто такие «тюрки-месхетинцы» и кто, с какой целью использует этот искусственно созданный термин. Омусульманенное население (таракамы, курды, тюрки, позднее грузинские мусульманы) до выселения, в основном, жили в Ахалкалакском и Ахалцихском уездах.

До 40-ых годов XX века Ахалкалакский уезд (сегодняшние районы Ниноцминда, Ахалкалаки и отчасти Аспиндза), по религиозной принадлежности и этническому составу населения, был весьма пестрым. Здесь жили древние, местные христианы и частично омусульманенные грузины, а позднее, нашедшие приют курды, тюрки, армяне и карапапахи. Из письменных документов и этнографического материала становится очевидным, что в этом районе, в основном с конца XVII века и особенно, с начала XIX века, преобладали представители различных мусульманских племен, а не омусульманенных грузин. К 1944 году их численность достигла 3000 дворов. По официальным данным, в ноябре этого года из бывшего уезда выселили 4220 семей, большинство представителей которых (приблизительно 70-75%) были переселенные в первой половине XIX века из Турции и нашедшие здесь приют последователи мусульманской религии негрузинской национальности. Что касается изменивших вероисповедание грузинского населения, то по убеждениям, самосознанием и верой они были тюрками и по доброй воле избрали долю переселенцев.

2. Ахалкалакский уезд. Проблема репатриации переселенного из Самцхе-Джавахети в 1944 году мусульманского населения, т.н. «турок-месхетинцев» и вопрос о выяснении их личности, долгое время стоит перед грузинским народом. В обществе существуют разнообразные мнения. В зависимости от обострения политической лихорадки, эта проблема время от времени активно всплывает (или сознательно подбрасывается) в виде полемики. Взаимосличение и анализ существующих на сегодняшний день письменных источников, специальной или общей литературы, документов, архивных материалов и собранных и зафиксированных в течении многих лет этнографических материалов, дает возможность раз и навсегда определить, кто такие «турки-месхетинцы» и кто и с какой целью использует этот искусственно созданный термин.

До выселения омусульманенное население (таракамы, курды, турки, позднее омусульманенные грузины) проживало, в основном, в Ахалкалакской и Ахалцихской уездах. До 40-ых годов XX века Ахалцихский уезд по этническому составу и религиозной принадлежности населения был весьма пестрым. Здесь проживали коренные, местные православные и частично омусульманенные грузины, попозже обоснованные курды, армяне и карапапахцы.

Их наименование «турками-месхетинцами» имеет определен-

ный целенаправленный характер и искусственно распространено в грузинском обществе. Подобное не происходит не в одной стране мира. Интересно, знают ли различные неправительственные и возникшие в Грузии, как после дождя грибы, правительственные организации об этом, или знают, но по заказу родоначальников «нового мирового порядка», или-же получая избыточное финансирование, сознательно действуют с целью уничтожения национальной целостности, национального самосознания одного из древнейшего, имеющего многовековую историю, грузинского народа.

Их можно называть «омусульманенными месхетинцами», а не «турками-месхетинцами» и то, не переселенных из Самцхе-Джавахети представителей разных племен мусульманского населения, а живущих на территории современной Турции, на своей исторической территории (Тао-Кларджети, Кола-Артаани, Шавшети, Лазистани и т.д.) несколько миллион коренных, местных омусульманенных грузин.

ГРИГОЛ РУХАДЗЕ

НОВАЯ ТОТАЛИТАРНАЯ СЕКТА

В очерке дан обзор современных политико-религиозных вопросов Грузии. Внимание заострено на принявшие глобальные масштабы, беспредельной активности и неприемлемых для христианских традиций действий сексуальных меньшиств.

ГВАНЦА КОПЛАТАДЗЕ

АТАБАГСТВО САМЦХЕ-ДЖАВАХЕТИ В ПЕРВОЙ ПОЛОВИНЕ XIX ВЕКА

Причину удаления южной Грузии, исторической Самцхе-Джавахети от родины и ее превращения в ахалцихский пашалык, прежде всего, следует искать в грехах предков, в частности, честолюбии и изменах. Царь Эрекле в известный трактат, согласно которому, Картли-Кахетинское царство являлось подданным Российской Православной Империи, одним из пунктов внес пункт, предусматривающий усилия со стороны Российской империи, направленные на возвращении потерянных грузинских краев. В статье, на осн-

ове анализа исторических фактов, представлена реальная картина попыток Россииской Империи по возвращении Самцхе-Джавахети, которые под конец увенчались успехом. Однако честолюбие и измена и на сей раз проявились, что, естественно, причинило вред общему национальному делу, последствия которого по сей день пожинает Грузия.

НОДАР ЛОМОУРИ

НЕОБХОДИМОСТЬ ВОССТАНОВЛЕНИЯ ОТНОШЕНИЙ С РОССИЕЙ (ДВЕ РОССИИ И МЫ)

Многовековая история Грузии преисполненна весьма сложными противоречиями: великие успехи сменялись страшными поражениями. По мнению автора статьи, с XVIII века направляющей силой этих наисложнейших проблем стал северный сосед. Грузинский народ от России испытал много невзгод, однако, вместе с тем, получил и незабываемое добро. Именно поэтому и существовало «две России». «Первая» – это прогрессивная, уважаемая многими поколениями Россия и «вторая» – агрессивная, полностью неприемлемая Россия. На протяжении новейшей истории, высшие интелектуальные слои Грузии были тесно связаны с «первой Россией» и участниками этих взаимоотношений оказались несколько поколений. Представленное письмо ставит целью предание гласности конкретных фактов об этих контактах, в частности в той области, в которой работал сам автор – в византиологии и классической филологии эти контакты способствовали развитию и продвижению этих областей (как и других направлений грузинской науки) на международную арену. Однако, паралельно всегда проявлялась агрессивность «второй России», которая особенно усилилась в 90-ые годы прошлого века и проявилась в Абхазии и т.н. Южной Осетии, хотя поддержка «первой России» все еще ощущалась и ее участники объективно оценивали протекающие в Грузии процессы (Анна Антоновская, Светлана Червонная и др.). Это обстоятельство до определенного времени помогало нам отражать нападки «второй России».

К сожалению, вследствие жуткой реформы Саакашвили-Ломаиа и, в особенности, постыдной для Грузии войны августа 2008 года, страна полностью потеряла всякую связь с «первой Россией» и осталась незащищенной лицом к лицу перед «второй Россией»,

что оказалось вредоносным для нации. По мнению автора, необходимо бдительно, осмысленно, на основе объективной оценки действующих в России антигрузинских сил (армянских, турецких), восстановить отношения с «первой Россией». К счастью, сегодняшнее правительство (под руководством Бидзина Иванишвили) уже делает определенные шаги в этом направлении.

МАМУКА ЦУХИШВИЛИ

ПЕТРЕ БАГРАТИОНИ

Свою деятельность в русской армии Петре Багратиони начал с позиции рядового солдата и закончил в ранге генерала и главнокомандуюшего. Своими героическими делами и подвигами, которые удел избранных, он обесмертил свое имя.Он вначале прославил грузин и Грузию, а затем показал всему миру мощь и непобедимость России, как империи.

ГУЛБААТ РЦХИЛАДЗЕ

ПОЧЕМУ ЗАПАД ПРОТИВИТСЯ ОТДЕЛЕНИЮ КРЫМА ОТ УКРАИНЫ?

Запад ссорится с Россией и вводит против нее санкции из-за Крыма (чего не сделал из-за Грузии). Но почему Запад поступает так, вместо того, чтобы пожертвовать Крымом в качестве компенсации для России из-за намечаемой «вестернизации» Украины? Неужели Крым имеет для запада настолько важное геостратегическое значение? – задается вопросом автор статьи, на что он же отвечает: Крым так важен для Запада не столько географически, а как прецедент. **Россия, оказавшая помощь населению Крыма, оставляет за собой право вмешиваться в процессы и в других областях Украины, например в Донбассе (восток страны), а без Донбасса Украина обречена на экономический крах.** Крым может стать примером для остальных регионов Украины – вне всяких сомнений, полуостров станет приоритетным регионом России, куда будут перекачиваться большие средства из центрального бюджета, в то время как на Украине фактом будет жесткая экономия и перманентный упадок экономики.

Кроме того, автор сравнивает прецедент Крыма с примером Абхазии и «Южной Осетии». Главное отличие состоит в том, что в Крыму участие в референдуме могли принять все жители полуострова, в то время как в Абхазии и «Южной Осетии» на аналогичных референдумах мнения у коренных жителей грузинского происхождения (многочисленных беженцев) никто не спрашивал, «волеизъявление народа» прошло без их участия. Поэтому, заключает автор, «у крымского референдума есть куда более высокая степень легитимности, чем у абхазо-осетинского».

ШОТА АПХАИДЗЕ

РЕЦЕПТ КАК ИЗБЕЖАТЬ В ГРУЗИИ «УКРАИНСКИЙ МАЙДАН»

Последние события на Украине ясно показали, что Запад, под лидерством Америки, действует с четко сформулированной и неизменной стратегией, для расширения ареала своего геополитического влияния. Автор статьи анализирует возможное развитие политических процессов в Грузии после «майдана». Эта тема актуальна, так как бывшая правящая партия «Единое национальное движение» не скрывает своего воодушевления фактом свержения законной власти Украины и пытается создать условия для импорта в Грузию «майданных» настроений. Одним из главных условий для упрочения демократии и стабильного развития Грузии, чтобы исключить успешную попытку ЕНД вернуться к власти, автор считает политическое сближение Грузии с Россией.

МИТРОПОЛИТ ИОАНЭ (ГАМРЕКЕЛИ)

ПУТЬ ГРУЗИИ

Актуальность вопроса, поставленного в письме, уже обозначена в заглавии. Вкратце анализируя историческое прошлое Грузии, автор представляет путь, который грузинский народ выбрал без принуждения, по собственной воле и вследствие этого выбора, продолжал существовать, не теряя национальной самобытности. Сегодня страну опять поставили перед выбором: продолжить путь служения Христу, который выбрал 1500 лет назад, или поменять

его на т.н. европейские ценности, т.е. с кем нужно иметь тесные взаимоотношения _ с Западом или Россией. Вывод такой : выбор должен быть сделан на основе того, где больше возможности сохранить верность выбранного предками пути и, соответственно, спасение – взаимоотношением с Западом или Россией.

По мнению автора, на сегодняшний день первостепенной задачей правительства Грузии является восстановление политико-экономического и демографического равновесия по следующим двум направлениям: 1) балансирование внешних отношений и 2) правильное регулирование существующего внутри страны положения. Для осуществления первого направления необходимо подготовка кадров дипломатического корпуса на высоком уровне и, с целью сохранения благополучия и развития страны, уравновешение интересов могущественных политико-экономических сил, существующих вокруг Грузии. Для второго направления необходимо развитие природных приоритетов с учетом опыта ведущих стран. Этими приоритетами, в первую очередь, являются образование и сельское хозяйство.

МАМУКА ЦУХИШВИЛИ

МИХАИЛ ВОРОНЦОВ РАДЕТЕЛЬ ГРУЗИИ XIX ВЕКА

В очерке выявлена заслуга известного русского государственного и общественного деятеля XIX века, наместника Кавказа (1844-1854 гг.), князя Михаила Воронцова перед Грузией. Опираясь на исторические документы и оценки грузинских общественных деятелей, автор представляет нам знаменитого чиновника, который внес бесценный вклад в развитии грузинской культуры, образования и сельского хозяйства.

ГРИГОЛ РУХАДЗЕ

ОБЗОР ГРУЗИНСКИХ СОБЫТИЙ
чуть-чуть о НАТО, Украине, Сербии, Грузии и России

Нет надобности лишний раз доказывать, однако факт, что сегодняшняя мировая политическая ситуация не способствует созданию такого положения, в котором Грузия полностью смогла бы

существовать самостоятельно. Мы стоим перед дилеммой: Россия или Америка. Кто понимает значение веры и является истинным верующим, тогда внушения наших достойных предков и «Жития Картли» («Картлис цховреба») облегчат принятие решения, чтобы «жизнь наша бы была упованием распятого Христа». С точки зрения истории, можно вспомнить не один факт против России и русских, как и против наших же соотечественников, однако должны осознать, что нам следует сделать выбор – Быть или не быть; создалось положение, когда из двух нежелательных возможностей необходимо выбрать один. Несмотря на 70 летнюю аннексию, должны постараться понять: с кем смогла спастись Грузия – с Россией или Турцией? Кто смог сохранить национальную самобытность и вероисповедание – грузин, в воссоединенной с Россией, в Грузии или же проживающий на территории Турции, в Тао-Кларджети, насильно обращенный в магометанство гурдж ?

ОБРАЩЕНИЕ СВЯТЕЙШЕГО ПАТРИАРХА КИРИЛЛА К ПРЕДСТОЯТЕЛЯМ ПОМЕСТНЫХ ПРАВОСЛАВНЫХ ЦЕРКВЕЙ В СВЯЗИ С СИТУАЦИЕЙ НА УКРАИНЕ

В связи с ситуацией на восточной Украине, где уже несколько месяцев не прекращается братоубийственная гражданская война, Святейший Патриарх Московский и всея Руси Кирилл обратился к Предстоятелям Поместных Православных Церквей, попросив их молитв о мире на украинской земле.

Предстоятель Русской Православной Церкви также призвал возвысить голос в защиту православных христиан востока Украины, которые в обстановке усугубляющегося насилия со стороны греко-католиков и раскольников живут в ежедневном страхе за себя и своих близких.

ИНСТИТУТ ЕВРАЗИИ

АВГУСТОВСКАЯ ВОЙНА

пять лет спустя – ответы на главные вопросы

Аналитики Института Евразии исследуют причины начала августовской войны и мотивы заинтересованных сторон. В исследовании показано, что начало военных действий никак не

входило в интересы руководства России, тем более, в интересы грузинского народа. Документальные материалы свидетельствуют, что зачинщиком войны является режим Саакашвили, представители которого о «российской агрессии» заговорили лишь с 9 августа, а до того момента обещали общественности «восстановление конституционного порядка» в Цхинвальском регионе.

Вместе с тем, в исследовании отмечается, что Саакашвили не был невменяемым, чтобы без согласия Запада пойти войной против России. Мотив американцев в данном случае ясен – окончательный разрыв между Грузией и Россией, чтобы в Кавказском регионе установить американскую гегемонию, а сохранение российского влияния в Абхазии и «Южной Осетии» этот процесс не затормозит.

Материал Института Евразии был подготовлен в августе 2013 года, но и в настоящее время он остается актуальным.

ГРИГОЛ РУХАДЗЕ

ОБЗОР ГРУЗИНСКИХ СОБЫТИЙ

Автор в данной статье обозревает политические, социальные и общественные вопросы: соглашение об ассоциации, инициатива коллаборационистов националов, новый кадр украинской власти, прииск Сакдриси, заявление Президента России, пресс-конференция премьера.

ГУЛБААТ РІЦХИЛАДЗЕ

ОПРОС 2014: ОТНОШЕНИЕ НАСЕЛЕНИЯ ГРУЗИИ К НАТО И США

Опрос Института Евразии (ноябрь 2014 г.) был произведен в масштабе Грузии с целью исследования отношения населения к НАТО и США. Итоги опроса показали, что это отношение неоднозначное, а если бы в данный момент проводился плебисцит о вступлении Грузии в НАТО, «за» однозначно проголосовало бы не более 32 процентов избирателей.

ИОСИФ АРЧВАДЗЕ

ПОЛИТИЧЕСКАЯ ОРИЕНТАЦИЯ НАСЕЛЕНИЯ ГРУЗИИ

анализирует итоги опроса, проведённого Институтом Евразии касательно отношения населения Грузии к НАТО и США. Итоги опроса показали, что это отношение неоднозначное, а если бы в данный момент проводился плебисцит о вступлении Грузии в НАТО, «за» однозначно проголосовало бы не более 32 процентов избирателей. И. Арчвадзе высоко оценил уровень проведенного опроса. В его статье, в частности, говорится: «С большим интересом ознакомился с результатами опроса - «Отношение населения Грузии к НАТО и США», проведенного Институтом Евразии всего несколько недель назад (в середине ноября 2014 года). Данный опрос не относится к числу рядовых конъюнктурных исследований, которым столь большое внимание уделяют современные СМИ. Этот опрос является резонансным, прежде всего, своей тематикой, так как касается актуальной, фактически судьбоносной для нашей страны проблемы. Хочу отметить довольно высокий, академический уровень проведения исследования, что подразумевает *правильное определение выборки и высокую репрезентативность*. Количество 1781 респондентов вполне достаточно для получения убедительного, надежного результата. Для сравнения скажу, что эта цифра составляет 52% от количества респондентов (всего 3350 домохозяйств), которые выбираются для исследования доходов и расходов домохозяйств по Грузии и отдельным регионам, а им ведь приходится заполнять кратно большее число вопросников и формуляров. Так что, итоги исследования имеют достаточно высокую легитимность. С учетом этого,**результаты опроса можно считать моральным противовесом проведенному в 2008 году параллельно президентских выборов плебисциту** (тогда, как известно, в процессе подведения результатов, почему-то четыре раза подскакивал процент населения, поддерживающего вступление в НАТО…). В выборке исследования почти с «баллистической точностью» учтено гендерное соотношение (в опросе – мужчины/женщины: 48.5/51.5%, в населении Грузии – 47.7/52.3%). Также достаточно точное совпадение наблюдается между возрастным распределением респондентов и населения Грузии».

ВАЛЕРИАН ДОЛИДЗЕ

МАЙДАН И ПЕРСПЕКТИВА РАСПРОСТРАНЕНИЯ УКРАИНСКОГО СЦЕНАРИЯ В СТРАНАХ ЮЖНОГО КАВКАЗА

В статье предпринята попытка дать ответ на вопрос –возможно ли распространение украинского сценария в Грузии, Армении и Азербайджане?Автор сравнивает политическое функционирование южно кавказских республик с Украиной и приходит к выводу, что в Грузии, Армении и Азербайджане отсутствуют необходимые и достаточные условия для повторения майдана в этих странах.

МАРУТ ВАРДАЗАРЯН

КРИЗИС НА УКРАИНЕ И АРМЯНО-ГРУЗИНСКИЕ ОТНОШЕНИЯ

Автор анализирует текущие дела в армяно-грузинских отношениях и о перспективах этих отношений на фоне кризиса на Украине и связанных с ней глобальных процессов. Автор приходит к следующим основным выводам: 1. Трансформация внутренних проблем постсоветских государств в международную конкуренцию может привести к хаосу (в Украине сигналом к этому стало “Восточное партнерство” с ЕС) и не следует ставить страны перед жестким выбором. 2. События на Украине продемонстрировали недостатки политики ЕС на постсоветском пространстве. Соглашения об ассоциации с ЕС не подразумевает в перспективе вступления в ЕС. По этому поводу Брюссель неоднократно заявлял, что ни одной страны Южного Кавказа таких перспектив нет. Даже считавшейся самой прозападной в нашем регионе Грузии в ходе переговоров с ЕС в конце 2011г. не удалось внести в текст Соглашения об ассоциации пункт о возможности в перспективе вступления в ЕС. 3. Что касается Армении, то Договор о зоне всеобъемлющей свободной торговли особых перспектив не обещает, так как для вступления на европейский рынок нужно выпускать конкурентоспособную по европейским стандартам продукцию, которой у нас нет. В политическом плане выбор Армении обусловлено желанием обеспечении собственной безопасности, так как в отличии от соседних стран, региональная геополитическая ситуация больше влияет на Армению по причине

закрытых границ.

Армения и Грузия должны учитывать последствия последних событий, сотрудничество двух братских народов является велением времени, оно продиктовано последними геополитическими и цивилизационными процессами.

ЗУРАБ ЦУЦКИРИДЗЕ

БЛАГО И НЕБЛАГОДАРНОСТЬ

Может быть невежественным в вопросах истории или же неблагодарным и даже чуть слабоумным, чтобы не заметить, что Грузия смогла выжить, и духовно и физически, вследствие присоединения к России. До воссоединения с Россией в Грузии не было ни одной земской школы. На основе положения 1786 года Министерства Образования России в Грузии начали открываться «народные учебные заведения». В Тбилиси первое такое училище открылось в 1802 году, в котором зачислили 45 ученика. В этом же году утвердили устав училища. Это была сословная школа, в которой учились дворянские дети. В 1804 году открылось «Тбилисское училище для благородных детей», где наряду с дворянскими детьми, обучались дети духовенства, ремесленников и купцов. В 1830 году оно было преобразовано в классическую гимназию. В 1817 году открылась Духовная семинария шестилетним курсом обучения. Она существовала ровно 100 лет (до 1917 года) и воспитала многих известных людей. В 1835 году в Грузии насчитывалось 90 школ всех типов, где учились 1800 ученика. В 1851 году в Грузии уже было три гимназии: Тбилисская и Кутайсская гимназии и Тбилисская коммерческая гимназия. В этих трех гимназиях обучались 787 ученика. В 139-ти училищах всех типов учились 5554 ученика. В сороковых годах XIX в. в Грузии осуществились значительные культурные мероприятия. В 1850 году был основан грузинский театр, а в 1851 году – грузинский журнал «Цискари», открыли несколько учебных заведений и т.д.

Одним из самых популярным учебным заведением в Грузии являлась Тбилисская Духовная Семинария. В этой семинарии готовили не только духовных лиц. Здесь учились такие известные деятели, как Платон Иоселиани, Габриел Кикодзе, Димитри Бакрадзе, Иакоб Гогебашвили, Нико Цхведадзе, Тедо Жорданиа, Авксенти Цагарели, Даниел Чонкадзе, Лавренти Ардазиани, Нико

Ломоури, Иосеб Сталини, Софром Мгалоблишвили и другие. В 1894 году в Кутаиси открыли Духовную Семинарию, которая внесла значительный вклад в подготовке педагогов. В 1879 году было основано «Общество по распространению грамотности среди грузин», которое возглавляли известные грузинские общественные деятели. Это общество открывала и финансировала школы и библиотеки по всей Грузии. Естественно, эффективность его деятельности обуславливала поддержка власти. Вследствие такой образовательной политики в XIX в. создается и развивается грузинская литература, наука и искусство. Венцом этого просветительского прогресса явилось основание грузинского университета в 1918 году и все это было осуществлено в течение одного века в составе Российской Империи.

Что касается жизни в Советском Союзе, модернизованной Российской Империи, неудобно даже говорить о достижениях Грузии в плане социально-культурного развития и формирования национального сознания. В 70-ые годы прошлого века в Грузии функционировали свыше трех тысяч школ. Школы были открыты даже в самых маленьких селениях; К концу прошлого века в Грузии было около двадцати университета и института, где подготавливали специалистов по всем существующим к тому времени профессиям. Вот, на основе такой широкой сети высшего образования функционировала Академия Наук Грузии со всей системой научно-исследовательских институтов.

А какой резонанс был в то время у грузинской науки в мировом масштабе, об этом свидетельствует участие грузинских ученых в тех международных симпозиумах и конференциях и международные оценки из вклада в развитие той или иной отрасли науки.

ГРИГОЛ РУХАДЗЕ

СЧАСТЛИВЫЕ РАБЫ ГЛОБАЛИЗАЦИИ

Автор статьи обосновывает, что назначением в Украине на высокие правительственные посты известных представителей «Единого национального движения» — А.Квиташвили, Е. Згуладзе, З.Адеишвили, М. Саакашвили — стало ясно, что в Грузии правящая команда националов на протяжении девяти лет руководствовалась инструкциями преступной международной ор-

ганизации. Осуществлённые националами реформы, по своей сути соответствующие идеологии глобализма, целенаправленно уничтожили систему образования, отрасли науки и отдельные сфры культур; Помимо того, что националы овладели всеми управленческими рычагами масс-медии, они еще и утвердили, в особенности, на телевизионных каналах, аморальный, антихристианский и анти национальный дух; Не осталось ни одной национальной святыни, памятника или мемориала, которой не коснулась бы карающая рука местных адептов глобализации.

Несмотря на то, что представители элиты «национального движения» с рабской смиренностью выполняют все антигосударственные задания, их заблудшие души все же находятся в ожидании счастья, который подарит им Мамон. Однако измена родине не оправдала их ожидания и они сами же вынесли себе приговор. Хоть и проведенная 21 марта акция была запланирована, якобы, для восстановления глобалистического порядка (другими словами, ввести страну в состояние хаоса), однако грузинский народ не пожелал вернуться в огненную геену националов и, как видно, если этого потребует необходимость, раздует пламя над головами вурдалаков с метлой!

МАМУКА ЦУХИШВИЛИ

ГАЙОЗ РЕКТОР

«Нет слаще ничего, чем любовь отчизны»

Деятельность известного грузинского церковного деятеля, оратора, проповедника и просветителя Гайоза Ректора совпала с наиболее важной эпохой для Грузии. Не было ни одной отрасли в духовной или же мирских дисциплинах, где не высказал бы своего мнения. Помимо того, основал и возглавил Телавскую Духовную Семинарию, он в различный период руководил е епархиями Русской Церкви, был переводчиком. Важным достижением его деятельности считается упрочнение русско-грузинской дружбы. Восторг, вызванный заключением Георгиевского Трактата, он выразил в произнесенной 20 августа в Сионском Патриаршем Соборе проповеди. Гайоз Ректор подчеркнул судьбоносное значение политического решения царя Ерекле для грузинского народа в плане не только физического, но и духовного спасения.

ГИОРГИЙ ПАИЧАДЗЕ

ОБ ИСТОРИИ РУССКО-ГРУЗИНСКИХ ВЗАИМООТНОШЕНИЙ

(I четверть XVIII в.), Тб. 1960

Тезисы

В 20-ые годы XVIII века Грузия не смогла освободиться от ига поработителей. На смену обессиленному Ирану пришла окрепшая Турция. Однако грузинский народ не мог мириться с поражением и не прекращал борьбу за свободу. Грузины твердо верили, что обрести свободу возможно только при помощи северного соседа.

СИМОН ДЖАНАШИА, НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ

О НАШИХ ЗАКОННЫХ ПРЕТЕНЗИЯХ К ТУРЦИИ

Это письмо было опубликовано в газете «Коммунист» 14 декабря 1945 года, по прошествии семи месяцев со дня победы Советского Союза в Великой Отечественной войне. В этом письме Республика Грузия требовала от Турции возвращения всего лишь часть отобранных территорий, в частности районы Артаана, Артвина, Олтиса, Тортума, Испира, Баибурта, Гюмюшхане и районы восточного Лазистана, Трапзона и Гиресуна.

ИЛИЯ МАИСУРАДЗЕ

МЕСХЕТИНСКАЯ НАРОДНАЯ СЛОВЕСНОСТЬ О ВАРВАРСТВЕ ТУРЕЦКИХ ЗАВОЕВАТЕЛЕЙ

Тбилиси, 1949

Тезисы

Представленный материал подтверждает, насколько остро отобразил народ кровавый набег вторгшегося на родную землю врага, как глубоко отпечаталось в его живом сознании злодеяния разбойничающих и героическая борьба предков за свободу. Месхетинская народная словесность является еще одним красноречивым доказательством варварства турецко-османских захватчиков. Оно обрекает на вечный позор тех, кто ущемлял жизненные интересы нашего народа, кто топтал самое сокровенное

и посягал на родной язык. Народное творчество свидетельствует – бесследно не исчезла память о тяжких исторических преступлениях турецких варваров против грузинского народа.

МАРИНА БУЛЕИШВИЛИ

ГРУЗИНСКОЕ ДУХОВЕНСТВО В ДИПЛОМАТИЧЕСКИХ ОТНОШЕНИЯХ

(вторая половина XVIII в.)

Тбилиси, 1991

Тезисы

К концу XVII века, встревоженные революционными сдвигами в Европе и организованным Пугачевым внутри страны грандиозным крестьянским восстанием, дипломаты царской России приняли решение отступить из Закавказья. Однако, грузинский народ и его предводители решение дипломатов восприняли как временное явление и надежду на окончательное освобождение всё-таки возлагали на тесные взаимоотношения с Россией. Этим объясняется постоянное стремление грузинского народа к России, которое никогда не ослаблялось. Именно поэтому, царь Ерекле 24 августа 1774 года, сообщая министру Панину о благополучном возвращении на родину послов, несмотря на огорчение, клялся ему в верности.

Несмотря на то, что посольство в России 1772-1774 гг. не принесла для Картли-Кахетии ощутимых положительных результатов, оно всё-же выполнила определенную роль, поскольку представленная послами царскому двору «Просительные пункты» легли в основу заключенному в 1783 году Георгиевского Трактата.

ВАЛЕРИАН МАЧАРАДЗЕ

ПОСОЛЬСТВО ТЕЙМУРАЗА II В РОССИИ

Об истории русско-грузинских взаимоотношений второй половины XVIII века

часть II, Тб., 1968

Тезисы

В книге представлена история объединенного посольства Картлийского и Кахетинского царств в России в 1760-1762 гг., возглавляемого

Теймуразом II. Вместе с этим, автор вкратце рассматривает и вопросы грузинских колоний в России. К книге прилагается обнаруженный автором в архивах разных городов Советского Союза (Москва, Ленинград, Астрахань, Ереван) богатый материал, касающийся этого интересного периода истории Грузии.

ВАЛЕРИАН МАЧАРАДЗЕ

РУССКО-ТУРЕЦКАЯ ВОЙНА В 1768-1774 ГОДАХ И ГРУЗИЯ

Тезисы

Ключевым вопросом рассмотренной темы является подстроенная генералом Тотлебеном авантюра, которая в научной литературе иногда оценена односторонне - как целенаправленным политическим действием Российского государства. В действительности, Тотлебен провалил не только русско-грузинский совместный поход по направлению к Ахалцихе, но и помешал осуществлению плана царя Ерекле по созданию большой коалиции против Турции, чем навредил не только интересам этих народов и Грузии, но и интересам Российского государства. Факт, что назначением Тотлебена, бывшего иностранного шпиона, на такой сложный и ответственный пост, как командование посланной в Грузию армии, Российское правительство допустило непоправимую ошибку, чем сильно навредила не только государственным интересам собственной страны, но и интересам Грузии.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი

ისტორია და თანამედროვეობა

დამატებითი ნომერი
სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალისა
„სამი საუნჯე“

გამომცემელი შპს „სამი საუნჯე“
სამტრედია, დავით აღმაშენებლის ქ. № 409.
ელ. ფოსტა: samisaunje@sinergia.ge
ტელ.: 298-26-34, 599-19-68-23
თბილისი, 2015

❖

РОССИЙСКО-ГРУЗИНСКИЕ ОТНОШЕНИЯ

ИСТОРИЯ И СОВРЕМЕННОСТЬ

Дополнительный номер
научно-общественного журнала
«САМИ САУНДЖЕ» (Три сокровища)
(на грузинском языке)
Тбилиси, 2015

❖

ხელმოწერილია დასაბეჭდად 02.07.2015. ტირაჟი 200.

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანის“ სტამბაში.
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., 47.